ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ანთოლოგია

X

ტომი


ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ა ნ თ ო ლ ო გ ი ა

X
ტომი

გამომცემლობა „საარი"
თბილისი 2020

UDC(უაკ)908(479.22)
ა-659



იუნესკოს მსოფლიო დესპანი, მსოფლიოს სპორტსმენი, გაეროს ბუნების დაცვის ელჩი, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო ველო-მოგზაური, მოგზაური დიპლომატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი, მსოფლიო 2009 წლის ადამიანი, საქართველოს 2002 წლის ადამიანი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, მსოფლიოს მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისის საპატიო მოქალაქე, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელი, ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, 5 აკადემიის აკადემიკოსი, შეყვანილია ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის 400 წარჩინებულში, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კი – მსოფლიოს 500 წარჩინებულთა სიაში და სხვ.

1986 წელს 46 წლის ასაკში დაავადდა ნაწლავების

განგრენით. 1986-1987 წლებში ორი ოპერაციის შედეგად ამოაჭრეს 4,25 მეტრი სიგრძის ნაწლავები. 1987-1990 წლებში საკუთარი ვარჯიშების მეთოდი შეიმუშავა და დაამარცხა გარდაუვალი სიკვდილი. 1990-1992 წლებში ამყარებს მსოფლიო და გინესის რეკორდებს ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში. 1993 წლის 13 აგვისტოს 13 საათზე (სარფი) 54 წლის ასაკში იწყებს მოგზაურობას ველოსიპედით. 3333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისა და აფრიკის 234 ქვეყანა და დამოკიდებული ტერიტორია, 2-ჯერ ეწვია ანტარქტიდას; გადაიღო 50.000-ზე მეტი ფოტო-კადრი და 200 სთ-ზე მეტი ვიდეო ფირი; შექმნა მოგზაურობის 7.000 გვერდიანი დღიური. უწყვეტი მოგზაურობის პერიოდი: 9 წელიწადი და 3 თვე; სულ 111 თვე, ანუ 476 კვირა, ანუ 3333 დღე.

ჯუმბერ ლეჟავაზე თავდასხმა მოეწყო:

1. ადამიანებისგან 50-მდე.
2. მხეცებისაგან 15-მდე.
3. სტიქიური უბედურება თავს დაატყდა მრავალჯერ.
4. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მრავალჯერ იდგა. მოგზაურის მარშრუტი გავლილი დასახელებული პუნქტების მიხედვით დაფიქსირებულია 4 000-ზე მეტ პოლიციის განყოფილებაში.

15-მდე ღამე სხვადასხვა ციხეში გაატარა. უბედური შემთხვევის გამო

6-ჯერ მოხვდა საავადმყოფოში. 1000-ზე მეტჯერ გაათია ღამე კარავსა და ღია ცის ქვეშ.

© ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, 2019

ISBN 978-9941-17-883-2
ISBN 978-9941-26-?????????????

ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლეშივე დაარსდა მისივე სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, რომლის იდეის ავტორია გულნაზ ხარაიშვილი, ხოლო ერთ-ერთი დამფუძნებელი არის ჯუმბერ ლეჟავა. აკადემია მისი გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებს მუშაობას, გამოდის ჟურნალი „ათინათი“ კვარტალში ერთხელ და „ანთოლოგია“ წელიწადში ერთხელ. მისი დაბადების 80 წლის იუბილეს მიეძღვნა „ანთოლოგიის“ სპეციალური ტომი, სადაც შესულია ჯუმბერ ლეჟავას წიგნი „ჯანმრთელობის ფორმულა“ და მოაგონებები ბატონ ჯუმბერიზე.

გარდაიცვალა 2014 წლის 25 ივლისს. ჯუმბერ ლეჟავამ ცათა სასუფეველში დაიდო ბინა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მისი სულის წინაშე ფიცი დავდოთ და ვიშრომოთ მის უკვდავსაყოფად.



გულნაზ ხარაიშვილი

აკადემიის წევრების ფიცი

რამდენი ლექსი გიძღვენით მაგრამ,
სიტყვა ვერა ვთქვით შენი საქები.
ვეფერებოდით შენს ჯიშს და ნაგრამს.
კვლავ ბევრი დაგვრჩა ისევ სათქმელი.

შენი სახელის უკვდავებისთვის,
სიცოცხლის ბოლო წუთსაც განაცვლებთ...
კვლავაც ვიბრძოლებთ იდეებისთვის,
არ მოვდუნდებით, წუთს არ გავაცდენთ...

თაობებს შევკრებთ დარუბანდამდე,
ნაბიჯს ავაწყობთ ნიკოფსიიდან...
ვიბრძოლებთ ცაში წასვლის ვადამდე.
და არ ამოგშლით ჩვენი სიიდან.



ვედრება (დეისუსი)



ბასილი დიდი



ქრისტე პანტოკრატორი



იოანე ოქროპირი

ხატმწერები: ხატია და გიორგი ლარიაშვილები



წმ. ბასილი დიდი



წმ. იოანე



წმ. გრიგოლი
ღვთისმეტყველი



წმ. პეტრე და წმ. პავლე


ხატმწერები: ხატია და გიორგი ლარიაშვილები



მამა გაბრიელ

ერთ წამსაც არ მსურს იმ მადლს დავშორდე,
მამა გაბრიელ, შენ რომ მომეცი.
ჯობია უკვე ცრემლებს ვაშრობდე,
რადგან მეორედ შენით მოვედი.
სულის ლექსები შემომეფეთა,
მე მოვესწარი მეორედ მოსვლას,
გულიც სულ თოთო კვირტივით ფეთქავს,
ტანსაც სიკეთის სამოსი მმოსავს.

გულნაზ ხარაიშვილი




მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

***

შენს საფლავთან ყვავის ია-ია,
კვლავაც ცოცხლობ, რას მიქვია გლოვა,
უფლის რჩეულს გულზე დაგაყრიან,
სიყვარულით ყვავილების თოვას.

გულნაზ ხარაიშვილი



***

რა ღვთისნიერი გზაა თქვენი გზა,
უწმიდესო და უნეტარესო,
ეს გზა უფლამდე უმოკლესია,
ჩვენთვის სხვა გზა და ხსნა არ არსებობს,
თქვენა ხართ რწმენაც და ეკლესიაც,
უფლის ცრემლი ხართ უნეტარესო!!!

ჯუბა ჯულელი



დაგლოცავთ

დღეს, ისე დაგლოცავთ როგორც არასოდეს,
დღეს მე მოუხმობ ციდან მნათობებს,
დღეს ჩემი სიტყვა ყველას მსურს გახსოვდეთ...
გეფერებოდეთ და გათბობდეთ...
დღეს მტერსაც დავლოცავ, თუმცა მე სადა მყავს,
რადგანაც მე თვითონ, არავის მტერი ვარ,
შვილი არ მოუკვდეს, არც ჩიტებს, არცა ყვავს...
სიცოცხლე, ცრემლი და ხან ერთი წამია...
მიყვარხართ, მახსოვხართ, ვარ ყველას მოკეთე...
იხარეთ, იმრავლეთ, თქვენს კუთვნილ მიწაზე...
მე გევრჯერ, გული და მკლავიც კი მომკვეთეს...
მაისის სითბო ვარ... ასეთი მიწამეთ!

გულნაზ ხარაიშვილი

ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჟუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია



მაყვალა გონაშვილი

ბედი სულ რომ მათამაშებს,
ნეტავ, ვისი არის ნება,
სიხარული მე მუჭიდან
წვეთ-წვეთ რატომ მეპარება.
ვის შევჩივლო, ვინ მიშველის
დაღლილს ან ვინ შემიკედლებს,
რად ვანყდები სიმარტოვის
კირით შეთეთრებულ კედლებს.
რად ჩამძახის ყურში ჩუმად
არკეთილი, არაწმინდა,
არავინ და არაფერი.
არასოდეს, არსაიდან.

მაჩუქეთ მთვარე

(პოეტური არითმია)

გზა აბნევია ფუძის ანგელოზს
ჩამოქცეულა მაღალი ჭერი,
და შმორის სუნით მიბნედილ ქალაქს
ავტომატების აღვიძებს ჯერი...
ქალაქი – ბაზარი,
ამბები – საზარი,
რა ფიქრი,
რა ტანჯვა,
რა ცრემლი,
რა ზარი...
ინგრევა თაღები ცის – უზარმაზარი...
შიმშილით სულს ღაფავს თუ ვინმე შემოგვრჩა
უმწიკვლო, უმწეო, ნაზი და მწყაზარი.
ქალაქს იცავენ ყაჩაღები,
სახტად დარჩენილან ყოჩაღები.
ოდესღაც ამ ქალაქს უმღერდნენ მგოსნები!
კარგია პოეტური აღმაფრენა,
მაგრამ როცა პროზაული დაღმაფრენით
ცხოვრება ყოველწუთს გაფურთხებს სახეში?
როცა შენს საყვარელ ქალაქში
უცხოსავით მიაბიჯებ
და თვითონ მათხოვარი,
მათხოვარს კუპონს ჩუქნი,
როცა მათხოვარიც უკადრისობს კუპონს?
რას შვრება შენი გაფუფუნებული
ეროვნული თავმოყვარეობა?

მათხოვრები, მათხოვრები, მათხოვრები,
უმწეო მათხოვრები,
იარაღიანი მათხოვრები,
ინტელექტუალური მათხოვრები,
დამსხვრეული მუსიკა... რეპი, რეპი...
მჩხიბავნი, ცრუმეტყველნი, მისანნი,
გადარჩენა – ცხოვრების მიზანი.
მიზანს აცდენილი ისარი,
საკუთარ სამშობლოში ხიზანი.
გიშრის მძივები, ავგაროზები,
უსახელო გმირები, სახელოვანი ბოზები.
რაიკომის მდივნებივით
გასუქდნენ გამგებლები,
ცხვრების სპონსორია კეთილი გამგე მგელი.
– რას ჭამს ხალხი?
– ერთმანეთს.
– სადაა მთავრობა?
– თათბირობს...
სესია. თათბირი. კრებები.
დაშლილი მიტინგი.
ჩამქრალი ვნებები.
გახლეჩილი გული.
გახლეჩილი ერი,
შებმია ძმა ძმას.
იხილეთ ბოლო რაუნდი!
აკადემიკოსის ერთი თვის ხელფასით.

იყიდეთ ბაუნთი!
თვალებში შიში, სულში ღამე.
სიმღერა: იყიდეთ, იყიდეთ რამე!
ჯიხურები, ჯიხურები, ჯიხურები...
გულო, ბოღმით ასე რატომ იხურები?
ქალაქი – ბაზარი, ამბები – საზარი...
ოდესღაც ამ ქალაქს უმღერდნენ მგოსნები.
ჰოდა, პოეტო, გაიხედე შენ სარკმლიდან,
დაწერე რამე!
საღამოობით დამწვარი ნაგვის ალზე
როკავს მთვარე,
რომელიც ოდესღაც პოეტური იყო.
დაწერე ლექსი ცეცხლოვანი, აი, იმ ცეცხლზე,
ა იმ მთვარეზე,
დაწერე ლექსი, თუნდაც იმ კაცზე,
პური რომ ჩაუხუტებია გულში
და სახლისკენ მიიჩქარის.
ღიპზე დაცურებული ჯვარი
ჭირის ოფლში იწურება.
(როგორ შემორჩა ნეტავი ღიპი?)
(როგორ შემორჩა ნეტავი რწმენა?)
(როგორ იშოვა ნეტავი პური?)
სადაა მთვარე!
შებოლილი მაჩუქეთ მთვარე!
ეს არაა პოეზია!
ეს არც პროზაა,
ისე, როგორც თბილისი,
აღარც ქალაქია, აღარც სოფელია,
აღარც ლეგენდაა, არც სინამდვილე;
არც ამას ჰქვია თავისუფლება!
ეს არც მონობაა!
არც სიმართლეა, არც სიცრუეა,
ამ ავადმყოფობას სახელი არ ჰქვია
და ამიტომაც ვერ იშოვი საჭირო წამალს.
თუ დაიწყება დიდი წვიმები,
იქნებ უფალმა ერთი კაციც აღარ დაინდოს?
იქნება ერთიც არ აღმოჩნდეს იმ სკივრის ღირსი!
პირი დაუფჩენია წარსულს
(გაკვირვებისა თუ წყენისაგან),
რომელიც ასე საოცრად ჰგავს აწმყოს
და მაინც საოცარი გვეგონა.
არ უყვართ ოპტიმისტებს პესიმისტები,
ანუ პირიქით...
ხოლო პირაქეთ პირში წყალი დაგუბებულ
გუბურად იქცა, ბაყაყებით სავსე გუბურად!
ქალაქი – ბაზარი. ამბები – საზარი.
ჩალით მაინც გადავხუროთ ჩვენი ქვეყანა!
მაგრამ სადაა ამდენი ჩალა?
ის ჩალა უკვე გამოგვავლეს პირში და ახლა
მამა მოგვძახის: – ჩქარა და ჩქარა!
ჩქარა და ჩქარა, ჩავეხუტოთ დედაროსიას,
თომა კითხულობს, დედაა თუ დედინაცვალი?
აბა, ურწმუნოს შეაყარეთ თვალში ნაცარი,
მთავარია, რომ გვაწოვოს ძუძუ,
რაც მოკვდა, მოკვდა,
იქნებ შეგვრჩეს ახლა რაც არის.
შენზე ახია, დედა თუკი თვითონ გასწირე,
რატომ არ გინდა, შეიყვარო დედინაცვალი?
დედაროსია! დედაროსია!
ციდან ვარდება და იმსხვრევა ქვებზე სხეული.
– იკაროსია? დედალოსია?
– ცასაცდენილი ანგელოზია.
გზა აბნევია ფუძის ანგელოზს,
ჩამოქცეულა მაღალი ჭერი
და შმორის სუნით მიბნედილ ქალაქს
ავტომატების აღვიძებს ჯერი.
უჭერო სახლში ქარები ქრიან,
უჭერო სახლში გვაწვიმს და გვათოვს,
რა უნდათ ცაში გაქცეულ ფოთლებს?
ანდა მიწაზე დაქცეულ მნათობს?
უფალო, მათთვის მაინც იუფლე,
ვინც ისევ გნატრობს, ვინც ისევ გელის.
თორემ საკინძეს მიხსნის ეშმაკი,
თორემ კისერზე მეხვევა გველი...
თორემ ეს ფრთები, შენ რომ მიბოძე,
მხოლოდ ტვირთია, სხვა არაფერი.
თუ კაცი დარდით ჭაღარავდება,
მე გამიშავდა სევდისგან ფრთები...
დაწყევლილია სხეული ვნებით,
დაკარგულია ყველა გზაწვრილი,
მე დამეღალა თეთრი ხელები,
სააღსარებოდ ცისკენ გაწვდილი.
გაგვწირა ძმამ და გაგვწირა ბედმა
და თუ შენგანაც გავიწირებით,
დადგება ღამე მარადული,
მიწას ცრემლებად ჩავეწვიმებით.
გამოქცეულნი დედის საშოდან
კვლავ მიწადედას დავუბრუნდებით,
თუ არ გაგვიხსენ ზეცის კარიბჭე,
თუ არ შეგვიხსენ ზეცის ხუნდები.
ქალაქი – ბაზარი...
ამბები – საზარი...
მაჩუქეთ მთვარე.
შებოლილი მაჩუქეთ მთვარე!



მარინე ცხვედიაშვილი

თქვენ და ქიზიყი

მხარზე ქორივით მიზის
გარდასულ დღეთა სევდა,
გიგონებთ თქვენ და ქიზიყს
ჩემო მოხუცო დედა.
ალუბლის ტოტზე თეთრი
ანგელოზების სუფრა,
და გვირილების ფერხთით
ქარებს გაუდით ბუქნა.
„გზირიანთ“ წყლიდან კოკით
ავსილი ტრფობის თასი,
აქ ერთხელ თუ არ მოკვდი
რაა სიცოცხლის ფასი.
რაა უთქვენო წლები
ანაბრებული მტრის კარს,
როცა არავინ გელის
როცა არავინ გიყვარს.
მანდ არის ჩემი საძვლეც
სამიდღემჩიო ჟამის,
სხვაგვარად მე ვერ გავძლებ
ისმინე, ღმერთო, ამინ!

ჩემს საქართველოს

შენ ბედისწერა გამოგცდის ახლა
და თუ მზაკვრულად გაგაწნავს სილას,
გთხოვ, ნუ ეცდები დამბაჩის დახლას
სამაგიეროდ იყავი ფრთხილად!
თუმცა მოსისხლეს მრავალგზის სურდა
რომ შეერაცხე მხდალად და ფლიდად,
ახლაც სიკეთით ამაღლდე უნდა
როგორც არასდროს, იყავი ფრთხილად!
მოვა დრო, ისე როგორ იქნება
არ ჩამოვართავთ ღრუბლების ფთილას,
შენი წილხვედრი მზეც გაბრწყინდება
გემუდარები, იყავი ფრთხილად!
ნათლის ძებნაში თუნდაც მომმუსრონ
დავრჩები მუდამ შენს ერთგულ შვილად,
არ წაბორძიკდე, ჩემო მოხუცო,
იყავი ფრთხილად!

ბედნიერი ხარ?!

შენს ბაღში ახლა ჰყვავის ჭინჭრობი
ასეთი გზები როგორ გებედა,
ვით გველის პერანგს, ისე იძრობდი
ხსოვნის საბურველს ცოლის ფეხებთან.
და ბაცდებოდა დღეთა სიშლეგე
როგორც ნახმარი ტყავის ლაბადა,
ხოლო ოცნების ფერად მინდვრებზე
ვიღაც გახედნილ ცხენებს აბამდა.
შენ კი, უძლური, ბედის წინაშე
იდექი, როგორც ჩამცხრალი ქარი,
გტანჯავდა სატრფოს ცრემლის სიმლაშე
გერქვა ერთგული მამა და ქმარი.
არვინ უწყოდა ოცნების მაყარს
როგორ დაგრიეს ხელი ბლონდებმა,
საკუთარ თავთან ლამობდი გაყრას
მაგრამ ვიღაცა კვალში მოგდევდა.
ბედნიერი ხარ, რამეთუ ევნე
რამეთუ ღმერთი ტანჯვაში გცდიდა,
შენს საუფლოშიც ოდესმე შევლენ
ანგელოზები მაღალი ციდან.

* * *

ვუძღვნი შესანიშნავ სვან ქალს – მზია დადვანს

ლამარიას ხატთან დგახარ
ნაღვლიანი, მარტოსული,
სვანის ქალო, მართლა შენ ხარ
თუ ფრესკიდან გადმოსული
მოჩვენება გამებლანდა
ვით სიზმარი კვირაძალის,
იქნებ კიდევ დაგვებადა
ნესტანი და თამარ ქალი.
იქნებ, კიდევ გვიმოწყალოს
შენმა ლილემ და კვირიკემ,
შეგვავედრე ღმერთებს, ქალო
გულის სითბო დაგვირიგე.
იქნებ კიდევ ერთი დალი
და შეხვედრა ერთ ყამართან,
გაგვისტუმრო ვინძლო ვალი
ძველი გზების გასაყართან.
ლამარიას ხატთან დგახარ,
ნაღვლიანი, მარტოსული,
ლამარია, მართლა შენ ხარ
თუ რიჟრაჟზე გამოსული.
უხილავი ტრფობის ძალა
მინდა ჩემად დაგიგულო,
რომ წავიღო ხვალე ქალაქს
გამხელილი საიდუმლო.
საქართველოს ხატის თვალო
ლამარია, ლამარია,
აბა, როგორ მოგითვალოთ
თქვენმა ძებნამ გადამრია.
საქართველოს კართან დგახარ
ლურჯვთვალება სვანის ქალი,
საქართველოს გულის ფეთქვა,
ქართულ მიწის მონათალი.
ლილეო და ჰეი, ბუბა,
მზე იცინის, რა დარია,
ამ გულს მეტი რაღა უნდა,
დაგვიფარე, ლამარია.

აუქციონი

ხალხი გაშლეგდა და აირია
აქ არ იყიდება შედევრები,
სიცოცხლე სიკვდილისნაირია
არ მითხრა, არ მითხრა გევედრები.
ეს რა საზრუნავი გაჩენილა
ვის ახსოვს ბროლი და ანტიკვარი,
დახლებზე მორცხვად გატვრენილა
ჩვენი სადარდო და სატკივარი.
ფერადად ბრდღვიალებენ ვიტრაჟები
ვიღაცა ვიღაცას ექადნება –
დღეს თუ ბაზრობაზე მიბრძანდებით
იყიდით ნამუსს და ნეტარებას.
შეიძენთ თუკი რამ გენატრებათ
თუკი რამ უმოწყალოდ მოსპეთ,
მაგ გულით სხვაგვარად გეყვარებათ
დიდგორი, კრწანისი და ნოსტე.
მაგ გულით სხვაგვარად გეტკინებათ
მტკვარი, შაორი და რიწა,
მთებში ფურ-ირემის შეკივლება,
თქვენი მამა-პაპის მიწა.
აწი სხვანაირად ამაღლდებით
ანკი რას დაგაკლებთ წყევლა,
და ეს ფარატინა ქაღალდები
ფერად კუპიურთა წყება –
დახარჯეთ უხვად და გატაცებით,
ნუ აკლებთ ჯაფას და ზრუნვას...
ჰოი და, რამხელა ურვა...
ნაყიდი გულების აჩუყებით
სამტროდ მოსინჯული ღონე...
მეტი ველარაფრით გავჩუმდებით,
მეტით ველარაფრით მოვკვდეთ.
რა ვუთხრა მე ასეთ აუქციონს,
ასეთ წუმპესა და მორევს,
მოდით და ხსოვნისა წავუქციოთ
უდროოდ გარდაცვლილ გრძნობებს.



ბაღათერ არაბული

ეს ლექსი გამოქვეყნდა “ ლიტერატურულ გაზეთში”

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

———-////————–

...სად არის ახლა ის მამუკა ქალუნდაური,
რომელმაც მარტომ, სანეს წვერზე,
მტრის ლაშქარი გაანახევრა?!.
და მერე ხმალი მიწაში ჩაფლო,
რომ მეტი აღარ შემოჰკვდომოდა...

ანდა კიდევ თორღვა ძაგანი?-
ჯაჭვის პერანგი მდინარეში
ტანიდან რომ გაუცურდა
და მოსისხლის ისარმაც არ დაინდო?!.
სად არის ხირჩლა ბაბურაული?..
ანდა იმ ვეფხვის მომკვლელი მოყმე?
ან მოყმის დედა?-
ვეფხვის დედა რომ შეიბრალა!..

რა იქნენ
ლიბოდამსკდარი ციხის პატრონი თინიბექი,
აკათ სუხა და მელექსე ხინკალაური?..
სად არიან ის ვაჟები, სვილისფერანი?-
არხოტიონნი,შატილელნი,-
პირიქითელ-პირაქათელნი?-
მტრის ჯარს რომ რისხვად თავს ესხმოდნენ,
შიშის ზარს სცემდნენ...
სად არის ახლა ის ძაღლიკა ხიმიკაური?-
თავის მეფეზე გულმოსული,
ხის ხმლიანი ერეკლეს რომ ეახლა ომში?..
სად არის დიდი გულთმისანი ხოგაის მინდი?..

ყველას,
ყველას სძინავს ხევსურეთის
ნაღვლიან მთებში...

სად არიან გულზვიადი აბაის ძენი?
ან თირუზანი?
გეწიწურა და გათარეკა ჭინჭარაული?..
მამესწვერა, -
მაწმაოს კლდეს შეფარებული?-
მაწმავლების ადგილ-მამულის შემნახავი,
გამტკიცებელი...
ან სანათა-სანთელივით ყელანთებული?..
სად არიან
სიყვარულისთვის დაბადებული
ის ქალ-ვაჟები?..

ყველას,
ყველას სძინავს ხევსურეთის
ნაღვლიან მთებში...

რომელ მზეს გაჰყვნენ
ჩემი ტკბილი მეანდრეზე-მეზღაპრეები? –
ბიძა ველგუჯა, აბიკა და ბრძენი სუმბატა?
ჯამრულთ ბაბუა, ჩარუხელა, ხვთისო, ბათირა?
ან ის ზღაპრები, ანდრეზები სად ჩაიშალნენ?
სად ჩამოღამდნენ ის კაფიები და სიმღერები,
რომელთა ხმაზე
ზამთარიც კი გაზაფხულივით ლამაზი და
თოვლის ყვავილით შემკობილი მეჩვენებოდა
და მე, მათ ჩრდილში შეფარებულს,
ზეცისკენ ფრენა მეწადა ხშირად...

ყველას,
ყველაფერს,
დიდი ხანია, უკვე სძინავს
ხევსურეთის ნაღვლიან მთებში...



გარი ჩაფიძე

აკადემიკოს დარიკო ონიანს – აჭამად მონაზონ იოანას



სათნოებიდან მოვდივარ შენსკენ
და პევშვით მომაქვს, გროვა იების,
ელავს წარსული იების ფრთებზე,
როგორც ცრემლები
მონანიების...

შენ სხვა არა ხარ...
ერთი ვართ რადგან
ვერ დავუბრდებით სულს და ხორც შორის
ნუღარ ავყვებით
მერწმუნე კარგო,
ჩვენ შორის მხოლოდ ჭორია, ჭორი.
როს შენი ხილვა დედა იოან!
სვეტიცხოველის ჯვარივით წმინდა,
წამოვა, როგორც დეკემბრის თოვლი
და გზის ტოტებზე დაიწყებს გზინვას...
შენ უკვე იცი და მომიტევე,
რაც მოგანიჭებს ღვთაებრივ ძალას.
სული --- სიმღერა,
სული --- ცრემლები...
საკუთარ არსში, რა აზრებს მალავს...



ეთერ ჭელიძე

*

გადაიღეთ სიყვარული
ჩემი სულის ლამბაქიდან,
იქნებ მივხვდე აქ ვინ დარჩა
ან წამსვლელი ვინ წავიდა?!
გადაიღეთ, დამიჯერეთ,
ჩემი გული მზის თასია,
ხმატკბილი და გემო საკვე
შიგ შარბათის ცა ასხია...
დაგაპურებთ, დამიჯერეთ,
კეთილი და ალალი ვარ
რადგან კეთილ მაცნედ მოველ
არწივების ქარავნიდან...
გადაიღეთ, მზე, მთის წვერზე
სანამ ღრუბელს გაეტირა,
წუთისოფლის საფერფლეში
სულს გ ა ლ უ მ პ ა ვ ს სანამ წვიმა...
გადაიღეთ სიყვარული
დედამიწის ქვევრებიდან,
მეგობრები დამილოცეთ,
დროში რომ არ გერდებიან?!..

როდემდე?!...

ქარიშხლით აჩეხილ ღამის ტოტს ვკიდივარ,
მუხა ვარ, ვიკვეხნი, მტერს ვიწვევ დუელში,
დარდი მჭირს, სამართალს ვერ ვაგნებ მგონია,
მომრავლდა გველები საკუთარ უბეში...
დავკარგე თმენა და უაზროდ ვხიპიშობ...
დავეძებ სად არა გაშოლტილ სიმართლეს,
ვარ, სადღაც დანგრეულ, ჩამოშლილ მღვიმეში,
დავეძებ სამართლის, ანარეკლ სინათლეს...
ძალადობს გვირაბში შეყრილი სიმუხთლე,
ჰგონია კეთილთან ჭიდილში იმარჯვებს,
დღეს, ერისკაცების მჭირდება სიუხვე,
უფალო! მოჰფინე შენ სამწყსოს სინათლე...
არა ვარ, ის, ვისიც, გჯერა და ადიდებ,
გამექცა სადავე ერთგული მხედრების,
აქ ვეღარ თავკაცობს სარდალი „ხალიბე“
დაპეპლილ მამრებად ქცეული მდედრები...
თენდება, ღამდება... კვლავ, კვალში ვუდგევარ,
აჟღერდეს იქნება ქართული ჰანგები,
გავლამბო, შევკერო ამჯერად ის დროშა,
„მტერი“ და მოყვარე ერთად რომ დავდგებით?!
დავღალეთ ეს მიწა, ცას მტვერი ვადინეთ,
ვერ ვიცავ შვილს დედის მკერდიდან მოგლეჯილს,
ცრემლებით დადაღულს ვერ ვაშრობ საკინძეს,
დავათრევ სულს ჩემივ, გვამიდან მოკვეთილს!
შემინდე უფალო, დამეხშო გონება,
ცა იწვის, მრევლი კი, თანდათან მცირდება,
დღეს, როგორც არასდროს, მჭირდები უფალო,
დღეს როგორც არასდროს, მჭირდება ერთობა!
როდემდე ჭუჭყიან მონეტის ჩხრიალი
როდემდე ვითხოვო ცოდვილმა შენდობა?!...

2020წ

მამულო ჩემო!..

ცის ლურჯი ნოხი როგორ გავფერთხო,
დარდს შევუცვალო ფერი,
ვარდს შევურჩიო, მრავალ-ფურცლიანს,
მზის შესაშვენი ფერი...
სად დავასვენო ეს დედამიწა
გავასეირნო ეტლით,
ხარაჩოები ცას მივაწვდინე
გადავაბრუნე ბელტი.
ხან თეთრი რაშით გავაჯირითე
ხან ბოლო მარკის ჯიპით,
ხან მულტფილმების გმირად შევრაცხეთ
გავადიადე კლიპით.
ხან ევროპისკენ გადავაფრინეთ
თეთრი ღრუბლების ცეკვით,
ხან ლომის ხახას გადავასახლე
ერთი პატარა ლეკვი.
ხან ლილეოსი, ოდოია-სი,
ჰანგები შემოვაცვი,
ხან მუხის ფესვზე ავამზიანე
მუჭში ჩავუსვი ნარცისს,
ხან დედაღვთისას კალთის ნაგლეჯით
იარას ვუხვევ დაჭრილს,
ხან, ბეწვის თოკზე ფეხით გამობმულს
ქორი მიათრევს არწივს
ხან თავის კვეთით მემუქრებიან
შიშით ნალესი ხმალით,
ხან მიყვავებენ , მეუბნებიან
ვერ გავნებს, მზაკვრის ალი...
ვერ მოგიფრთხილდი, ჩემო იმედო,
ჩემო შემოთენებავ დარდის,
შენ დედამიწავ ვერ გადაგმალე,
დაჟანგულია ხმალიც!
გაბზარულია ჩემი მარჯვენაც,
ვერ მოიმშვილდა ტარი,
შენი კალთების გაშლილ სანახებს
მილეწ-მოლეწავს ქარი...
ო, მუჭა-მუჭა... ო, ნაფლეთ-ნაფლეთ,
სადმე წამიღეთ მკვდარი,
დედის სხეულის გადამსხვრეული,
შემიკოწიწეთ ძვალი
რომ დავიბრუნო ლაბირინთებში
ნაფეხურები მთვარის
და ტანზე თუნდაც შემომაფრქვიონ
უცხო მწერების შხამი...
სად გადაგმალო მამულო ჩემო,
შუშის კედლები მაკრთობს...
ზღვით მოვარდნილი აფრის ხმაურში
ვერავინ ვნახე სანდო...
სად გადაგმალო სიწმინდევ ჩემო,
სისხლ-ცრემლ-მდინარე ხატო!
ცის არმიაში ჯარისკაცს ვეძებ
ვინც არასოდეს დაგთმობს?!!!

შორით ლანდია

მივდივარ და უცებ ვჩერდები,
წინ წავიდე თუ უკან დავბრუნდე?
ახლა მაფიქრებს საწუთროს ზღუდე...
გზა ისევ მიდის... დღენი მიქრიან
და მიაქვს დარდი მცირე და დიდიც
იავარქმნილი სივრცით თუ გზებით
და მარტოობის ჩატეხილ ხიდით,
იყუჩე წამით, სულ ერთი წამით
ყური მიუგდე სუნთქვას იების,
შენ არ შეგფერის გესლი და შხამი
დამდგარა ჟამი
მონანიების.

*

მე დაგძებნიდი იის ფოთლებში,
წყაროს წვეთებში მე გიპოვიდი,
შიშველ ხელებით ლორთქო ძეძვებში
სისხლ მოწანწკარე გზას გავიდოდი...
მე დაგძებნიდი ქვების ღრიჭოში
მეხის გაბზარულ რკინის ძელებში,
შველის ნახტომსაც გადავითვლიდი
მე აგიყვანდი დედის ხელებით...
მე დაგძებნიდი ტრამალ მითებში
და მზის უბეში შეგიფარებდი,
იის ფურცლების სისადავეში
წყაროს წვეთებად შეგიყვარებდი...

2020წ

ჯარისკაცის წერილი დედას!

დედა, მე ახლა ფრონტის ხაზზე ვარ,
ქართული დროშის კალთაზე ვიწვი,
სიცოცხლის მასრებს უბეში ვმალავ
ნელ-ნელა ვაწყობ სიკვდილის მჭიდში.
აქ, სხვა სუნი აქვს გადაჭრილ ვერხვებს,
აქ, სხვა მადლი აქვს მშობლიურ მიწას,
დაჭრილი ბიჭი დედის თბილ ხელებს
ეძებს პოულობს და გულში იკრავს...
დედა, მე ახლა ომში ვარ მაგრამ
გული არ მერჩის ვესროლო ტყვია,
მიზანში ვყავარ თანატოლ ბიჭებს
თანაბრად გვაწვიმს ტყვიების წვიმა...
აქ სხვაგვარია ქართული ჟინი,
ქართული გენი სხვაგვარად გმინავს,
შენი გაზრდილი ქართველი ბიჭი
შენი მანდილის სიწმინდეს ვიცავ!
დედა, მე ახლა ფრონტის ხაზზე ვარ
ქართული დროშის ფარაჯა მიცავს,
დაღლილი მიწის ბეჭებზე ვდგავარ
და სამშობლოში სამშობლოს ვიცავ!

8-აგვისტო

შენ შეგიძლია!..

შენ შეგიძლია იყო კეთილი
რადგან განგებამ სული შთაგბერა,
და, დედამიწა ახლა შეშლილი
განდო უფალმა რადგან სამწყემსად...
შენ შეგიძლია იყო შეშლილი
მაგრამ სიბნელის შეძლო ნათება,
თუნდაც, ერთ ჩამქრალ ეულ ვარსკვლავის,
იყო ხილვა და გამონათება!
ვინმემ გიწოდოს იქნებ ბოროტი,
მაგრამ სიკეთის თესო მარცვალი,
მოგექცა თუნდაც ბედის განგება,
ცხოვრება, როგორც დედინაცვალი...
შენ შეგიძლია იყო მდინარე
სანამ სიშმაგე სულის დაცხრება,
რომ ნაკადულად ქცეული შეძლებ,
დაღლილი მგზავრის გამოტარებას!
შენ შეგიძლია იყო მდიდარი
მაგრამ უპოვარს ედგე თავდებად,
გზად განფენილი მხსნელი სიკეთე
რადგან არასდროს არ დამთავრდება...
შენ შეგიძლია იყო ღვთის მონა
გაგაჩნდეს იგი რაც დაფასდება,
რადგან სიკეეთეს შობდა უფალი
არ ხდება მისი გადაფასება!
შენ შეგიძლია
აღაპყრო ხელი,
სანამ არ არის ძალზე გვიანი,
უფალს შესთხოვო, გადაარჩინოს
შენში რომ ცხოვრობს, ადამიანი...
შენ შეგიძლია იყო პირველი
მაგრამ თქვა,რომ ხარ თუნდაც ბოლოდან,
რადგან ვინც იყო,სიცოცხლით ზიდა,
ჩვენი ცოდვა და ჩვენი გოლგოთა!...

ბოდიში...

კაცს ბოდიშის მოხდა შერცხვა
რასაც იქმდა, არა,
კაცს ცრემლების არ სჯეროდა
მაგრამ ცრემლი მალა...
მე კი ღმერთის მაშინ შემრცხვა
კაცს ჩაუცვამს კაბა,
და უგნური თაგუნას გზას
ნებით დაემგზავრა...
მე იმ დედის უფრო შემრცხვა
დედობას რომ მალავს,
პირმშო კაცად დაიბადა
გადაკეთდა ქალად...
ჩემი ქვეყნის უბედობის
გზასაყართან ვდგავარ,
კაცი, კაცად ვერ მიცვნია,
ქალი კიდევ ქალად...
ღმერთო შენი გაჩენილი
ვიცი არის ავად,
ცას ჩამოხსენ ლურჯი თალხი
ქალს ჩავაცვა კაბა,
დედავ შენთვის მოტირალი
რომ შევიცნო ქალად
კაცი, ქალზე ჯვარს იწერდეს,
ფესვი იდგეს მყარად...

სიზმარი

მიძინებულ ჰორიზონტებს
ვეღარ გასცდა ღრუბელი,
გვირილები თავქვეშ მედო
თავსასთუმლად წუხელის...
მოგონებებს ქარ ნაფურცლებს
მოწყენილი სტუმრობდი,
ფეხშიშველი დარბოდი და,
თან ჩემ სახელს ყვიროდი...
ისევ ისე დაგჩხაოდა
სინანული ყვავივით,
სიამაყემ თავისი შვა
ქარ-აფურცლილ ყვავილის...
ვერც ლარნაკში გაიშალა...
ვერც გვირგვინად დავწანი...
მხოლოდ ქარის ქალწულია,
მხოლოდ ქარის წაწალი!
შეერია ჰორიზონტებს
გულ-ბობოქარ ღრუბელი,
თავ-სასთუმლად დამემგზავრა
სამუდამოდ, წუხელის...

ოღონდაც გწამდეს!

გადახავსებულ გზის პირს მისდევ და ,
გჯერა რომ მწვერვალს მიჰყევ ტერფამდე,
მტკიცედ თუ დგეხარ მიჯვრითაც მიხვალ
რწმენით და ლოცვით ოღონდ ღმერთამდე!
ირგვლივ ქვა-ღორღი გებლანდებოდეს,
მზის თოკს მიჰყავდე ქვათაცვენამდე,
კედელს, რომელიც ზურგს გიმაგრებდა,
სულით და გულით შემოეკვართე.
მიაღწევ მიზნის ბოლო საფეხურს,
თუნდ შიშველი ფეხის დასკდეს გულები,
ოღონდ ეს მიწა, მირონმდინარე,
მრწამსად და სუნთქვად თუ გეგულვების!!!

ჯგუფი ხლვარი



სერგი ლომაძე

მარადისობა

მზე დნება, ზეცის მბრწყინავი ფერფლი
აცვივა ქალაქს მკრთალად და ნელა,
მთაწმინდის თავზე ფერია ვერცხლის,
იწყება წვიმა, ხშირ-ხშირად ელავს.

შენ მიატოე ცხოვრების ეტლი,
შენ დაივიწყე პრობლემა ყველა,
მაგრამ ჯვარცმულ ღმერთს იქ რაღას ეტყვი,
სად უდროობა წამიერს თელავს.

თუმცაღა ვხვდები, – მარტოსულ ჯვარცმულს
დუმილის სიტყვით მოულბობ მზერას.
მე ვიცი, რომ შენ სიცოცხლე არ გსურს
მაგრამ... უფრო დიდ სიცოცხლის გჯერავს...

* * *

ზეციურ ველებიდან დაცვენილნი,
მიწაზე სინათლეებად მიმობნეულნი,
ღვივიან ღამეულ სიშორეებში.
რა ობლად არიან!
რა ობლად არიან!
როგორი უსაშველო მარტოობაა
ადამიანებით სავსე
ამ გებერ პლანეტაზე!..
მაგრამ მაინც არა ქრებიან
ზეციური სინათლეები...

აბსოლუტური

მან თქვა: „იესო“. ჯვარი ვიგრძენი.
მან თქვა: „რუსთველი“. წიგნი ვიწამე.
მან თქვა: „წყვდიადი“, და მჭირს ის სენი,
რომ ცას ვერ შევწვდი, რომ ვარ მიწაზე.

მე ვარ ეპოქა დალეწილ ფრთების,
და ტკივილები ისე დიდია,
როგორც ალუდას ძალა და ნება,
ჩაფიქრებული, როგორც, მინდია.

მე მინდა გკითხო: „შენ, შენ ვინა ხარ?“
შენი შეცნობა მსურს...

მან თქვა: „იგრძენი პლანეტის გული“.
მან თქვა: „იგრძენი კოსმოსის კიდე,
რათა არ იყო დასრულებული,
ფრენის სურვილი მუდამ რომ გჭირდეს.“

მან თქვა, დაცემა რომ არის ადრე,
თუმც დაცემულნი რომ ვართ, დღეს, ყველა,
მაგრამ ამოდის, ჰე, მთვარე ბადრი,
მთვარის იქითო თვითონ მზეც ელავს.

მან მე მაჩვენა ეს სამი კადრი:
თოვლი, თოვლში კი – ციცქნა ენძელა;
და ფიროსმანი, მილიონ ვარდით;
და ველი, ქარს რომ გადაეცელა...

მე მსურს მას ვკითხო: „დემიურგი ხარ?“
მისი შეცნობა მსურს...

სფინქსთა სივრცენი

(ეძღვნება მცხეთელ პოეტს – ილია (ილი) ელიოზმარაშვილს).

შემოდგომაა, ფიქრისთვის მიწვევს
გაოქროსფრებულ სივრცეთა ცქერა,
ელავს ცის კიდე და აჩენს ნიღბებს
და აქრობს ნიღბებს და ისევ ელავს.

თბილისი, მცხეთა: პოლუსი ორი,
სამყაროს ორი სხვადასხვა კიდე,
ერთია, როგორც გოლგოთის გორა;
იდუმალებას ვერ ავერიდეთ,

რადგან არაა, არა, მარტივი –
ვრცელ პოეზიის ლაბირინთს ვმზერდეთ,
და ფოთოლცვენის რეჩიტატივი –
ქარის მუსიკის დაწყების შემდეგ.

არსებობ, როგორც სტრიქონთა სფინქსი,
ხოლო ცხოვრება, ხედავ, რომ ჯოჯო –
ხეთია, მაგრამ ვიღაცა იქსი
შენ გაიძულებს ცაში ხეტიალს

ამ ციხიდანაც, სადაც რომ ხარ და...
ფარდა სტროფების დამღუპველ სცენებს...
შენზე იტყვიან: „ის ღმერთს უყვარდა,
მიტომ ვტანჯეთ და არ დავასვენეთ...“

ხოდა არაა, არა, მარტივი –
ვრცელ პოეზიის ლაბირინთს ვმზერდეთ,
და ფოთოლცვენის რეჩიტატივი –
ქარის მუსიკის დაწყების შემდეგ...

* * *

მისთვის გედნიერება იყო,
ვთქვათ, ის,
რომ ფიქრით მაინც შეეძლო
მთელი სამყაროს მოვლა.
ვერავინ და ვერაფერი

მიაჯაჭვებდა მიწიერებას,
რადგანაც არსებობდა
პოეტური ფიქრი,
ზეციერების უსასრულობით სავსე...

უკვდავება

(ეძღვნება ფიქრისფერ ქალს)

შენ არა მოკვდები, რადგან
შენ ხარ ისე ლამაზი,
რომ დაიღუპო,
სილამაზე დაიღუპება.
არ დაბერდები,
სიყვარული არა ბერდება,
არც კვდება,
გოლოს იფანტება ცაში
ღრუბლებად.
შენ არ მოკვდები,
მზის სხივები კვლავ დაგაბრუნებს.
მე შეგეხები ოცნებებით,
სიზმრის თითებით.
დრო მოვა, როცა
სიყვარულის ღმერთად გაკურთხებ,
და თმებს შეგიმკობს
ნისლისფერი მარგალიტები.
შენ რომ არ იყო,
ეს არაფრით არ შეიძლება!..
უღრმეს თვალებში
საუკუნე წამად გაიარს...
მთელი ცხოვრება
იყო მხოლოდ
შენზე ფიქრები,
ყველაზე მეტი, ამ ფიქრთაგან,
გოლო წამია...


შენ არ მოკვდები!.....

წვიმა გამთენიისას

წვიმა მოვიდა, ჩაენაცვლა
ღამის ქარს, აშარს.
წვეთები, წვეთებს,
მელოდიის ხმაზე ებმება.
ნელა თენდება,
ახალი მზე, ღრუბლებში, არ ჩანს,
თუმც ჩანს სინათლე,
როგორც ღმერთის თეთრი შეგრძნება.

წვიმა გვიყვება
მილიარდჯერ გაგონილ ამბავს,
ხოლო იქ, მთაზე,
ძველი ჯვრები დღესაც იგრძნობა.
ადამის მოდგმას
ჭეშმარიტი იმედი მართავს, –
რომ ჯვარცმას მოსდევს
აღდგომა და მარადისობა...

მინაწერი: უდიადესი (უმაღლესი) იდეები ხშირად მომდის ხოლმე გონებაში აისის ცქერისას. ორივე, – აისიც, დაისიც, საოცრებებია...



კახა გაციკაძე

სამყაროს გადაქცევა პოეზიად

ჩამოწვიმულ წირვების წინ ვარ
და გრძნობის ტაძრებს გულით ვეხები;
და რაც მანთებდა დიდი ხნის წინათ,
იგივე მხიბლავს, დღესაც, მე, ხედი...

ჩამოშლილია სული ფოთლებად;
ვგრძნობ: შემოდგომა, ახლა, ეს – მე ვარ...

გზას კი ვაგრძელებ სევდის ლოთებთან,
და ვეტრფი, ისევ, ლექსის ესმერალდს.

ჩამოთოვლილი თითების ქროლვა
შემოაბრძანებს აწ მალე ზამთარს.
მელანი მოჩანს მუქ-ლურჯ-ფერ ქორად,
ფერმკრთალ ფურცელს რომ მრჭყალებით ფატრავს...

პოეზია კი ინთება ყველგან...

პოეტი

მე პოეტი ვარ, ამას რა შეცვლის...
ცად დაწერილა ეს განაჩენი...
უნდა შევიგრძნო ცრემლები მერცხლის,
ფოთლის შრიალი, სხვა დანარჩენიც..... ...
მე პოეტი ვარ, ხოლდა ეს ზეცა
მხრებზე მუქლურჯი ჯვარივით მადევს,
ვერ გადავიძრობ ფიქრების ზეწარს,
ვერ ავირიდებ ტკივილის ბადეს.
და ლექსების მზე ზღვაში გადავა,
ტალღის ალერსი სტრიქონს უხარის,
ეს აშკარაა, არ უნდა დავა –
ვერ მიმინავლეს გრძნობის გუხარი.
და ვერ ამარცხებს პოეტს ვერავინ;
სჯობს, სხვა სიცოცხლეს, პოეტად კვდომა;
იყო ვარსკვლავი, ზეცის მსერავი,
სჯობს – სიმნელეში დიდი ხნით დგომას...
ღამე, მთაწმინდა, გზა, ლამპიონი,
წითელი ღვინო, წვიმა და თრობა...
სჯობს – ვიყო ლექსის ერთი სტრიქონი,
ვიდრე – თუნდ ძალზედ კარგი მოთხრობა...
მე პოეტი ვარ...

ქარვისფერი ექსპერიმენტი

ნისლის გლიასე მთებმა შესრუტეს,
უკვე მეასედ ვეძებ იმ სრუტეს,
ამ სამყაროდან მე რომ გამიყვანს.
ცხოვრება – მუდმივი პანდემია,
ცრემლი გემია...
და წაგებული ბევრი სლემია,
მორჩა, □-ია.
ყინულის ნული, ეს თეთრი ხნული,
შიგნით ჩანს განცდა უცხოდ დაწნული.
მზარდი აზარტი, ბედი აზარე,
გული მოგიკვდა? კვლავ გააცოცხლე,
როგორც ლაზარე.
გრძნობას იცავდნენ ფიქრის მხედრები,
დავითხოვე და გრძნობა ვაქარვე,
მიმოვაბროლე ირგვლივ აქ არე...

გავქვიშავდი, გავწვიმისწვეთდი,
ვარ გაცრეცილი ნახატივით, – ფერს ვერ ვიმატებ.
არეულია ხშირად კლიმატი
და ზუსტად ვიცი – სად ჩამისვა ცხოვრებამ მატი.

აღარც აზარტი, ბედს არ ვაზარებ.
ათასჯერ მოვკვდი და მაინც
ვიღაცა ისევ ამბობს: აღსდექ ლაზარევ...

გრძნობა – პარნასი

დღეს ჩემს წინ ისევ გზებია უცხო,
მე არ ვჯერდები ნაცნობ მანძილებს,
ფერად აჩრდილთა ქარავნებს ვუხმობ,
ყოფიერება როცა მამძიმებს.

ირეალობას მივანდე ბედი,
უბრალოდ – სიზმრად ყოფნა მეწადა,
სულში ცხოვრობდა ლექსების ღმერთი
ღმერთი, რომელიც ასგზის ეწამა.

არაფერია – გავივლებ გულში.
სხვათა სულები უფროც ტანჯულან...
თუმცა მეც ვდგავარ სტრიქონთა ხნულში,
და ამ ცხოვრებამ ვერ მომარჯულა.

მცხეთიდან მიმზერს სვეტიცხოველი,
„ვეფხისტყაოსნის“ ყდასაც კი ვეტრფი,
ფერად აჩრდილთა ხილვას მოველი,
და გული მღერის – წითელი ფერფლი.

წინ კი გზებია ახალი, უცხო,
შევსებულია სტრიქონთა თასი,
მე პოეზიის ქურუმებს ვუხმობ,
და მაუკვდავებს გრძნობა – პარნასი.



გიორგი ზუხბაია

სევდისთვის

თუკი მზეს სხივი უნდა დააკლდეს,
სული სიცოცხლის საწყისს ეშორა,
დარდის ენაზე მოლაპარაკე,
ადამიანად ცხოვრობს შენობა...

და გულს, სიცივის სიღრმეზე მძგერელს,
ერთი სანთელიც ვეღარ ავუნთე,
და უკვე მოვკვდი, და სიტყვის მერე,
მე, წერტილებმა, მეფედ მაკურთხეს.

სამყაროები გაქრა იმდენი,
რომ ფანტაზიას სუნთქვად ვისახავ,
და მე დავკარგე „მე“ და იმედი,
ახლა თიხისგან ვძერწავ სიდდხართხას...

ღამეთა ნაცვლად ფიქრია განცდის,
იქნება ჯობდეს – აღარც ილოცოთ,
და სიყვარული თუ აღარ ძალგიძთ,
გაძლევთ უფლებას, რომ შემიცოდოთ.

მე ახლა ფრთებად აღვიქვამ ხელებს,
ზეცას ღრუბლების ფარავს სიმდორე,
და ვგავარ უფალს, რომელსაც, ერთხელ,
ბავშვები, როგორც გიჟს, დასცინოდნენ.

და დაარღვია სამყარომ ფიცი,
თუმცა ბოლომდე ვიქნები შენსკენ,
და კიდევ კარგი, არავინ იცის,
რომ მე უშენოდ ვეღარ ვწერ ლექსებს,

ანუ არავინ იცის, რომ მოვკვდი...

H_2SO_4

ხვალ, ამ ჩრდილიდან, დარჩება არცრა.
მზე ამოვიდა გულის ფეთქვიდან.
ჩემი გონება გრძნობს – ფიქრის ნაცვლად,
ფიქრი და გრძნობა, რადგან, ერთია.

და მოლოდინი ანთია მხოლოდ,
როდესაც ყველა ვარსკვლავი ქრება.
ჩემზე, ღალატი, მოქმედებს, როგორც
უკვდავებაზე – წამიერება.

და გრძნობამ შორი მთები აკურთხა.
მსურს – ფეხშიშველი ცაზე დავრბოდე.
და მე ვპატიობ მკვლელებს საკუთარს,
მაგრამ საკუთარ თავს – არასოდეს.

უბრალოდ ყოფნა მე ვერ შევძელი,
ამიტომ მუდამ სიგიჟეს ველი,
ხოლო თვალთაგან, ნაცვლად ცრემლების,
მე გოგირდმჟავა მეღვრება მწველი.

მიდნება სახე და ვიგვიანებ,
მაგრამ სხივები სულზე ავიდნენ,
და მე ვპატიობ ადამიანებს –
თვითგადარჩენას რომ მასწავლიდნენ...

როდესაც მსურდა – ოცნების ოქროს
გამოესყიდა სამყარო მთელი,
როდესაც ერთი მინდოდა მხოლოდ –
შენთან ყოფნა და წერა ლექსების...

და ფიქრი, უცებ, გაგიჟებაზე...

ზაფხული

ალი ალთა დაალბობს,
ცრემლი – ზეცის სიცისფრეს,
სევდის სული – სალამბო,
ფერებს ფრთებზე მიიფენს.

სხივთა გამებს აგორებს.
მზით კრთომა და ნელება,
ეს ზაფხული მაგონებს
ნადიმს კართაგენელთა.

ხლტიან ხმები ხელილი,
თვალი ხილვებს ეხლება,
სიცხე, ჭრელი გველივით,
ჰაერს ყელზე ეხვევა.

უფსკრულდება, ცავდება
განცდა, მარად იგივე,
და მსურს გარდაცვალება,
რომ შევიგრძნო სიგრილე,

სულის მარადისობა
ახლა ხილულ გავიცნო,
რომ სინაზემ სიოთა
გული ოდნავ დამიცხროს.

მაგრამ ქროლვა გადადის,
იგი ქრება ჩრდილივით,
რადგან ზაფხულს – ამ ნადიმს,
არ სურს ჩემი სიკვდილი.

იგი სუნთქვას დარაჯობს,
და ვერაფერს მიხვდები,
ურჩევნია – დამტანჯოს
ცეცხლგზნებული სიცხელით.

და კვლავ კრძალვით მაწამებს,
ყველა ფიქრთა შერხევით,
და ცის ცისფერ წამწამებს
ახლა ხელით ვეხები.

გაქრობათა ვადამდე
ალი ალთა დაალბობს,
და სამყაროს ვალანდებ
მზით შემოსილ სალამბოს...

ხის ნაამბობი


ვიფიქრე (თითქოს ფიქრი ვინატრე),
და გამეფანტა სული ღელვისგან,
სიო სიფრთხილით პენტავს სინათლეს,
სიო ღვთისმშობლის თითქოს ხელია.

ლანდები თხზავენ ცამდე მისავალს.
პენტავს სინათლეს – უცქირე წამო,
და ურბილესი სინათლისაგან,
თავის შვილს, იგი, უმზადებს სამოსს.

მხოლოდ სიჩუმეს ხელებს შევახებ,
და სივრცეებში ზეცას გაშლიან,
არავინ იცის სევდის შესახებ,
რადგან ჯერ იგი ციცქნა ბავშვია.

(არც არასოდეს ადგენდა მიზანს
აღმომავალი ვარსკვლავის მღერა).
სხივნი ავლენენ სამყაროს სიზმარს,
ამოუხსნელად უბრალო დღეა.

იგი თამაშობს, და კიდევ ივლის
დრო – ანგელოზებს რომ უნდა შეხვდეს.
მხოლოდ მე მწყდება გული და ჩრდილი,
რადგან ის ხე ვარ, რისგანაც ერთხელ,
აუცილებლად ჯვარს დაჭედავენ...



ამირან ამირანაშვილი

პატარა ფერრონიას

მოქარგულია მწვანე ხალიჩა
თვალისმომჭრელი, ყვავილთა გამა,
ჭრელი პეპლები ეძებენ ნექტარს
ყვავილთ სურნელი ყველას ეამა.
შემოკუნტრუშდა ამ ხალიჩაზე
წინწკლებიანი ფაქიზი შველი,
წინ შემოუძღვა დედა ირემი
გებო ქართულის მასწავლებელი.
ფეხზე დამდგარი ტაშის გრიალში
თითქოს გაივსო დიდი დარბაზი,
გენიოსები, პრეზიდენტები
თან მოყვარულთა პოეტთა დასი.
შველი არა ვარ, ფერონია ვარ
ჩუმად აღმოხდა უნაზეს იას,
მცირე ლექსებით მოგგვარა მადა
შემდეგ ვულკანი გადმოაფრქვია.
თექვსმეტი წლის ვარ, სატრფო არა მყავს
სიყვარულის კი დაანთო ცეცხლი,
ღმერთმა უბოძა უბადლო ნიჭი
მას ვერ იყიდის ოქრო და ვერცხლი.
დღეს შეეძინა აკადემიას
ულამაზესი ნამდვილი შვილი.
შველი მინდორში, ფერონია კი
დიდი პოეტი – ჩვენთან გაზრდილი.

19.VI.2020 წ.

პოეტ ქალს!

„წამწამსა და წამწამს შუა
მაღი გაგიშენებია,
ეთერო ჩვენთან მოსვლისთვის
მადლი მოგვიხსენებია“.

(ეთერ ჭელიძეს)

ეხლა ვეცნობი პოეტ ქალს
სვანურ მთებიდან მომავალს,
გულჩათხრობილი ქვითინებს
ღამეში მალავს მტირალ თვალს.
თეთნულდით გაგრილებულო
გულში რა ცეცხლი გინთია,
ეთერი ქალის ამბავი
ზღაპარია თუ მითია.
ჩაგვითრევ ლექსთა მორევში
გაგვახვევ ლექსის გადეში,
მოგვიტაცებ და აგვიყვან
ანგელოსების დასებში.
ორბნი, არწივნი დაგცქერის
შენ, არც ერთს არ ემონები,
სხარტი ხარ მიმინოსავით
ბევრს მთასვლელი ეგონები.
შენი მჩქეფარე ლექსები
სევდის და ცრემლის ქაფია,
რიონის ტალღებს ჩამოაქვს
მთებში ნათქვამი კაფია.
ეთერი ტირის წყაროსთან
აწამებს დედი-ნაცვალი,
მოფრინდა აბესალომი
ჭაბუკი მეფის ნაცვალი.
ტახტზე დაბრუნდა ეთერი
გაჩაღდა დიდი ნადიმი,
ჩვენ რომ ლეგენდა გვეგონა
თურმე ყოფილა ნამდვილი.

ამაღლება
29.VI.2020 წ.

სასაფლაო

დავეხეტები საფლავებს შორის
სამების ტაძრის შემოგარენში,
ღმერთო, რამდენი მიწად ქცეული
იმდენი სული მიცქერს თვალებში.
პატარა ბილიკს მივყავარ ტაძრად
ავლა ბილიკის ძალიან მიჭირს,
ორთავე მხრიდან შემომცქერიან
ნაზი თვალები გოგოს თუ ბიჭის.
მკერდზე ვარდებით მხვდებიან დილით
ჩიტები გალობს იმათ მაგიერ,
„ოსანა“ მესმის „მაღალთა შინა,“ –
ქვეყანაზე კი „მრავალჟამიერ“ –
აი გამოჩნდა ტაძრის გუმბათი
თეთრი გედივით შავ ქვათა შორის.
მკვდარიც, ცოცხალიც ტაძრით
ერთად ვართ
რადგან უფალი არის ჩვენს შორის.
სიჩუმეს დედის გოდება არღვევს
ყვავილებს აწყობს ჭაბუკის მკერდზე,
დაოსებული ცივ ქვას ეხვევა
ვინც გარდაიცვალა ვილოცოთ მათზე.
მართალთა შორის დაიდოს ბინა
რომ დაიმკვიდროს სასუფეველი,
მარადიულად ვინც დაიძინა.
ბევრჯერ უნახავთ ვარდის ეკალზე,
ნაზი ბულბული გულგანგმირული.
ადამიანებს გვაჯობა ჩიტმა
ბრწყინვალედ ახსნა მან სიყვარული.
ქრისტესმიერნო ძმებო და დებო,
სასუფევლისთვის ვიზრუნოთ ერთად
წუთისოფლიდან როცა გარდავალთ,
პირნათლად წარვდგეთ მსაჯულთან – ღმერთთან.
როცა დადგება ჟამი განსჯისა,
დაუკაკუნებთ სამოთხის კარებს
თუ ერთმანეთი არ გვეყვარება,
მაშინ უფალიც ვერ შეგვიყვარებს.
ომახიანად რეკენ ზარები
უხმობენ სულებს უხმობენ მრევლსაც,
მართალთა სულნი ავსებენ გუმბათს
შორიდან მესმის ცოდვილთა კვნესაც.

დე

გულნაზ ხარაიშვილს

სამოცდაათჯერ შემოუარა მზეს დედამიწამ
სამოცდაათჯერ მოგეფერა ხუთი მაისი,
ყოველწლიურად იხუნძლებიან შენი ტოტები
შენი შვილების მოლოცვები ცამდე გაისმის.
დედას გეძახის ოთხმოც წლიანი ცელქი ბიჭები,
შენ თეთრი დროშით მკაცრი ნაბიჯით წინ მიგვიძვები.
„ათინათს“ ქარგავ წმინდა ნინოთი, დედა ღვთისმშობლით,
ყველა ნატრულობს რომ იამაყონ შენი შვილობით.
დედა რომ იყო დიდი მადლი ღვთისიმშობლის შემდეგ,
საქართველოში ყველაზე ძვირფასს ვუწოდებთ დედას.
დიდო ქართველო, დიდო დედავ, დიდო პოეტო,
დიდი ჯარი გყავს შენ შებრძოლებას ვერვინ გაბედავს.
წინ მიგვიძღვება ახალგაზრდული მებრძოლი „ზღვარი“,
მარცხენა ფლანგზე დარაზმულთა „ამორძალები“.
მამაოს ლოცვას ამაღლებაში არ აქვს საზღვარი,
ჩვენ გავიმარჯვებთ, მტერს არასდროს დავემალებით.

ამაღლება 22.VII.2020 წ.

კარანტინის დღიურიდან

ურწმუნოებამ მოგვივლინა განსაცდელები,
დაცემულია, უძლურდება მთელი სამყარო,
გონს მოდით ძმებო, დავიფიწყოთ, ომი და მტრობა,
ვევედროთ უფალს დედამიწა კვლავ გაამყაროს.
დედაო ღვთისავ, წმინდა გიორგი და წმინდა ნინო,
დიდნო წმინდანნო, ივერიის მარად მფარველნო!
ღმერთს შევავედროთ, ღვთივ-კურთხეული
ქართველი ერი,
განსაცდელისგან გამოიხსნას დღეს საქართველო!

---დღე პირველი --

აპრილი მოფრინდა, ჩუმად თავდახრილი,
დამნაშავესავით თვალებს ვერ გვისწორებს,
მერცხლებიც მოფრინდნენ,ჭიკჭიკი არ ისმის,
მარტი აქვითინდა ცრემლებს ვერ იმშრალებს.
თვეო, რა გატირებს, რა შენი ბრალია,
აქ, ხომ დამნაშავე ადამიანია.
დაგროვდა ცოდვები უნდა განვიწმინდოთ,
ლოცვით და ვედრებით უფალი ვადიდოთ.
არც რჯულის კანონი, არც კონსტიტუცია,
ადამიანნო, ჩვენ არ დაგვიცვია.
ტირიან ტაძრები, დავხვრიტეთ მოძღვრები,
ციხეში დავწამლეთ ეპისკოპოსები.
უფლის უარმყოფელს ერქვა „ათეისტი“,
ტაძრებში შეყარეს ცრუ და აფერისტი,
მართლმადიდებელმა დაკარგა სიმართლე.
ეხლა კი ვისჯებით, თავს ვისთან
ვიმართლებთ.?
დავკარგეთ მორალი, სინდისი, ნამუსი,
მანტია მოვისხით ,,დემოკრატიული,“
სად გაქრა სამოსი, სირცხვილის მფარველი,
დემონი ბატონობს, გონების ამრევი.
მსოფლიო ზანზარებს, დადგა აღსასრული,
ხალხი იხოცება, არ აქვს დასასრული.
მსოფლიო ომია, ტრიალებს ავსული.
როდის დაესმება, ამ, რისხვას წერტილი,
ზეცაა, ცოდვებით, წელში გაწყვეტილი!

---დღე მეორე--

წუხელი დუმდა დედაქალაქი
შემზარავია დედის დუმილი,
უხილავ მტერთან ძნელია ბრძოლა,
არის მსოფლიოს გულის ტკივილი.
ზოგს ატომი აქვს, ზოგს მილიარდი,
მეგონა ამით თავს დავიცავდით,
სატანა მართავს, მსოფლიოს ნადიმს,
ათი მცნებიდან არცერთს ვიცავდით.
განრისხდა ღმერთი, მოვიდა რისხვა,
გონს რომ მოვეგოთ კაცი და ქალი,
სოდომ-გომორის დავგმოთ ცოდვები,
არ წაიბილწოს, წმინდანთა კვალი.
ამერიკელი სენატორები,
ახლა ლოცულობს, „მამაო ჩვენოს“...
ხალხი არ ყოფნით დიდ ევროპაში,
მიცვალებული რომ გაასვენონ.
სამწუხაროა, გლოვობს სოფელი,
შავად მოსილა დედაო ხვთისა,
თიკანი ცხოვარს გამოეყოფა,
მოგვიახლოვდა დღე განკითხვისა.
ღმერთო, შეუნდე შენს ცოდვილ შვილებს,
გამოგვიხსენი ცოდვებისაგან,
მკვდრეთით აღდგომა კიდევ გვაღირსე
და გაგვახარე აღდგომისაგან.

---დღე მესამე---

სად არ ვყოფილვარ, სად არ მივლია
რა განსაცდელი არ გამივლია,
თითქმის მსოფლიო შემომივლია,
წამიკითხია, უფლის ბიბლია.
მთელი სამყარო ღვთის შექმნილია
ადამ და ევაც უფლის შვილია,
მაცდუნებელი არის გველია
გველი ყოველთვის დასაჯელია.
მიწა ცოდვილთა სამყოფელია,
შრომაში ოფლი დასაღვრელია,
არსობის პური მოსამკელია,
შობის ტკივილიც დასათმენია.
შეიარაღდა კაცობრიობა,
ბევრი შრომობს და ზოგან ომია,
მთავარი არის იყოს მშვიდობა,
და არსად იყოს მტრობა-ფლიდობა.
წმინდაო ღმერთო, შენ შეგვიწყალე,
ცოდვილი შვილი გთხოვ, შეიბრალე.
დედაო ღვთისა გემუდარები,
მფარველი კალთა გადაგვაფარე.

---დღე მეოთხე--

ომის გამოუცხადებლად თავს დაგვესხა დიდი მტერი,
მთელი მსოფლიო დაიბყრო, აღარავინ აღარ მღერის.
სამყარო შეზანზარდა და... ხალხს შეახსენა გამჩენი,
უფლის გარდა არვინ არის, დედამიწის გადამრჩენი.
არც ტყვია აქვს და არცა ხმალი, არც ტანკი და რაკეტები,
მილიარდელებს წაართვა, ყველა ბანკის საკეტები.
ღარიბები გაგვაფრთხილეს, საქმეში ნუ „ჩაერევი“,
იმედია გადავრჩებით, თავმდაბლობას ნაჩვევები..
სატანასაც მოვერევით, მთელ მსოფლიოს გავაოცებთ.
მაცხოვარი არ გაგვწირავს, სასწაულ ცეცხლსაც გადმოგვცემს,
ქრისტე აღდგომას გვახარებს, მოწყენის ნებას არ მოგვცემს.

---დღე მეხუთე---

ყოველი კვირა მორწმუნეთათვის,
არის სიმბოლო დიდი აღდგომის,
მოძღვარი ვარ და მივდივარ ტაძრად,
არა ვარ უფლის გვერდზე განმდგომი.
ტაძარში შემხვდა, გახარებული,
დისტანციურად მრევლი ფუსფუსში...
ზოგიც კარებთან განლაგებული,
თვალებით ყველას ვიკრავდი გულში.
საკურთხეველში ვემთხვიე ტრაპეზს,
კურთხევას ვიღებ უმცროსი ძმისგან,
დისტანცია გვაქვს იდეალური,
ზეციდან მადლი იღვრება ღვთისგან.
გვიახლოვდება, დღე სასწაული,
ხარება, ბზობა, ქრისტეს აღდგომა,
წავა თავის გზით ისევ კორონა,
მას ხომ არ ძალუძს უფალთან დგომა.

---დღე მეექვსე---

იყო ცხრა აპრილი, მკაცრი და ავპირი
ნიჩბით დაგვილეწეს, ქართველებს თავპირი,
თავისუფლებისთვის, სისხლი დაიღვარა,
ბოროტმა ძალებმა, მსხვერპლი არ იკმარა.
ეს, საუკუნეც მიდის სულ ომებით,
ეპიდემიებით, ერთმანეთს ვშორდებით.
მაინც ჩავატარეთ შვიდგზის ზეთის ცხება,
ხორცის საკურნებლად, რა სჯობს მირონ ცხებას.
ცხრა აპრილს გავხსენი, ფერიის სამება,
აჭარულ ფერხულში, ძმები რომ ჩამება,
ვიცი შეგვიწირა, უფალმა ყოველი,
მწამს, რომ გადარჩება, ცოდვილი სოფელი,
წმინდაო, სამებავ! შენ გემუდარები,



ნინო უძილაური

სიყვარულის სტრიქონი

მალე არ ღამდებოდეს,
მალე არ თენდებოდეს,
შენს მკლავებზე მეძინოს,
ტუჩებს კოცნა წვდებოდეს.
შენი ტანი მფარავდეს,
შენი სუნთქვა მესმოდეს,
მზის სხივები ღრუბლებში,
სიყვარულზე მღეროდეს.
ვნების ალში მხვევდე და
დილის ცვარით მნამავდე,
მარადიულ ტრფობისთვის,
ხან მთვარესთან მმალავდე,
ზღვას ფეხებთან მირწევდე,
ღრუბელს ტანთ მიფარავდე,
წვიმის წვეთით თვალებს და,
მთელ სახეს მინამავდე,
შენთან ყოფნის წუთები,
არასოდეს ქრებოდეს,
ვნებიანი ჩურჩული,
აღარც მენატრებოდეს.
სიყვარულის სტრიქონებს,
თავად თხზავდე და ჩემთვის,
წნავდე ფერად გვირგვინებს,
სიცოცხლედ რომ ზედ მერთვის.

დღეს ნუ დამიშლით

დღეს ნუ დამიშლით ვნებიან კოცნას,
მთელი სიცოცხლე ველოდი რასაც,
თეთრი ღრუბლები ცეკვავენ როცა,
ფერი ეცვლება მიწას და ცასაც.

გედნიერება იფრქვევა ჰანგად,
გახუსი სიტყვის თქმასაც აპირებს,
ახლა მინდა რომ გადავთვრე მაგრად
და მივეხეთქო ტრფობის ნაპირებს.

დღეს ნუ დამიშლით ვნებიან კოცნას,
სიცოცხლე მიქრის, მუქდება დარიც,
ნუ მაიძულებთ აქ დიდხანს მოცდას,
ვაკოცებ....მერე ვიცოცხლებ მკვდარიც.

ფშავლის ქალი

კელაპტრით ხელში, მე, ფშავლის ქალი,
მარად მლოცველი მზისა და მთვარის,
ისე, ვითარცა კლდეები სალი,
ვდგავარ არაგვთან, სიცოცხლით
მთვრალი.

თავს დამტრიალებს აჩრდილი ვაჟას,
ამღერებული ვარსკვლავთა ქნარით
და შევციცინებ სამშობლოს ლაჟვარდს,
ჩემთვის სალოცავ მთითა და ბარით.

ვარ გედნიერი...
თავს ვარსკვლავს ვადრი,
ვერ შემაშინებს ყრანტალი ყვავის!
რადგან ბუნების და უფლის მადლით,
ირგვლივ სიცოცხლე მეფობს და ჰყვავის!

მოთქმა სიყვარულისა

სიყვარული მოუნუსხავთ ქალებს,
თვალის ჟუჟუნს სიტყვა მოუპარავს,
ცა და მიწა მოუქროლავთ ქარებს,
სირცხვილი კი ნამდვილ გრძნობას მალავს.

სიყვარული ვერ უნახავთ კაცებს,
ვნების ექო ძვალ-რბილშიაც ატანს,
კაბის კალთა უფრიალებთ ანცებს,
კაბის კალთა თვალს იტაცებს ათასს.

თვალჟუჟუნა გოგონების კისკისს,
კუნთმაგარი ბიჭუნების ოხვრას,
ცელქი სიო გზად უგზავნის თბილისს
და მთაწმინდა სიყვარულად მოთქვამს.



ედუარდ უგულავა

ისე თოვს

მიყვარხარ, მაგრამ არ გელოდები...
სარკმლიდან ვფანტავ მზერას სიცხიანს.
ისე თოვს, მგონი ანგელოზები
ფრთებზე თივთიკის ბუმბულს იცვლიან.
ვიცი, პრობლემა უფრო ჩემშია,
რადგან მიჭირდა ქვეყნად ცხოვრება,
მაგრამ თუ დღემდე რამე შემშლია,
ვცდილობდი იმის გამოსწორებას.
არ მიძებნია ბედი სათვალით,
ადვილად ვცნობდი მოსულს შორიდან,
მაგრამ ჯერ გულში ჩადგა ზამთარი
და ახლა... თოვლი მართლა მოვიდა.
ვარ ამ ყველაფრით ძლიერ დაღლილი,
მაგრამ ვერ გავხდი მაინც ორგული,
თუმცა იმედი, მშიერ ძაღლივით,
ნერვების ძაფზე მყავს გამობმული.
შენ მარტოობის დაგღლის მარხვები
და მოხვალ, ხელში ჩემი წიგნებით,
მაგრამ მე უფრო კარგი გავხდები-
მეთქი!- ვერასდროს ვერ დაგპირდები.
თითქოს ცხოვრება არის, არც არის...

მე ვდარდობ

მე ვდარდობ, შენი მორცხვი ღაწვები,
რომ შევაჩვიე უცნობ სიფითრეს.
ახლა ამ პირველ თოვლში ჩავწვები
და, რა თქმა უნდა, შენზე ვიფიქრებ.
ჩვენ დრო დავკარგეთ თავის მართლების
და მოლოდინი დაგვრჩა განკითხვის,
მაგრამ ჯერ შუქი მაქვს ასანთები
და შენი სული მაქვს წასაკითხი.
ვიცი, ამ თოვლში დიდხანს ვიწვები,
ვიდრე არ ვიგრძნობ ტკივილს უარესს,
ვიდრე ტანიდან თეთრი ჩიტები
ამომკორტნიან იმ სიმხურვალეს,
რომელიც შენზე მეტად მაფითრებს,
რადგან (როგორ ვთქვა), ისე ძნელია,
ვუცქირო ბეჭედს შენ არათითზე,
რომელიც მე არ შემიბნევია;
და მხიბლავს თოვლში ასე თამაში,
არ ვცდილობ, ტკივილს რამე ვუშველო.
ეს ის განცდაა, ალბათ, საფლავში,
რომ შევეჩვიო ყოფნას უშენოდ!

მხოლოდ დანას ვგრძნობ ვერცხლის
ტარიანს,..
ერთ წელიწადში ორი ზამთარი
იმდენად მძიმე ასატანია,
უნდა გავექცე მაინც ამ დილეგს,
რომლის კედლებსაც ვებრძვი ათწლობით,
რომ შევერიო სხვა სინამდვილეს,
მხოლოდ სულისთვის ნაცნობ განწყობით.
თუ ვტკბები, მხოლოდ შენი სიცოცხლით,
მიყვარხარ, მაგრამ მაინც მგონია,
რომ ჩვენ ერთმანეთს არც კი ვიცნობდით,
რომ ჩვენ ერთ დროში არ გვიცხოვრია.

უარყოფა

„მიუგო მას იესომ: ჭეშმარიტად გეუბნები:
ამაღამ, ვიდრე მამალი მეორედ იყივლებს,
სამჯერ უარმყოფ მე“ [მარკ. 14,30];

გაჭრიალდა მძიმე კარი გალავნის,
ის, რაც მოხდა, ჯერ გუნდოვნად გახსოვს.
დახრილ თვალებს არ უსწორებ არავის,
ფრთხილად ჯდები ცეცხლის შორიახლოს.
ვერ გრძნობ, პეტრევ, ფეხქვეშ მიწის სიმყარეს,
ჩუმად ზვერავ მღვდელმთავართა ეზოს.
ალბათ, მალე მოძღვარს გამოიყვანენ,
ნახვა მისი იქნებ კიდევ შეძლო.
იქვე ახლოს ხორხოცებენ კაცები,
ცეცხლს უშვერენ ტანს ნახევრად შიშველს.
– შენ იესოს მოწაფე ხარ, არ ვცდები! –
ამბობს ქალი და თითს შენკენ იშვერს.
– არა! არა! ეს არ არის მართალი! –
შიში გზარავს შენს უმწეო ხავილს
(სადღაც გნელში უკვე ყივის მამალი,
ეს პირველი ყივილია მამლის...)
ფეხზე დგები, არ გსურს მასთან კამათი,
ძლივს გადიხარ შიდა ეზოს გარეთ.
იცდი, ერთი უმძიმესი საათი
და ხელს ვიღაც უცებ მკლავზე გავლებს.
გსურს წახვიდე, მაგრამ ვერსად მიდიხარ,
ხროვასავით გარს გეხვევა ხალხი,
– მე შენ გიცნობ! – ჩაგსისინებს ცივი ხმა, –
თავად ვნახე, შენ იესოს ახლდი!
ხელების კვრით დაგილურჯეს სხეული,
მშიერ მზერით დაგიჭამეს სახე.
გაჰყვირიან... – კილო გალილეევური
შენს სიცრუეს ხომ ისედაც ამხელს.
ბრბო იოლად არც შენ არ შეგეშვება,
ახლა შენს ხმას მხოლოდ შიში ახშობს,
– ჩემი სახე, ალბათ, სხვაში გეშლებათ,
მე იესოს არც კი ვიცნობ, ხალხო!
არა! გულში არასოდეს დათბება,
უკვე ღმერთი უარყავი ორგზის
და გულ-ღვიძლში გიტრიალებს შანთებად
შიშის სამთითს შავი ანგელოზი.
სამოსს გაფლეთს რამდენიმე მოლაყბე,
ხელს გკრავენ და ენარცხები მიწას.
კვლავ გაჰყვირი, – არ ვარ მისი მოწაფე,
მას საერთოდ არც კი ვიცნობ, ვფიცავ!..
და ძარღვებში დგას სიცივე სამარის,
ეგრძვის სული აუტანელ ტკივილს...
სადღაც გნელში შეყუჟული მამალი
ფრთებს ისწორებს და მეორედ ყივის.
კვლავ ივსება ეზო ჯარისკაცებით,
მოჰყავთ ხელ-ფეხდაჯაჭვული ქრისტე
და მოძღვარი, დაღლილი და ნაცემი,
უცებ შედგა და თვალებში გიცქერს.
ღვთიურ მზერას თვალს უსწორებ წვალებით,
ჯერ არაფერს შეუშლიხარ ასე,
გიცქერს უფლის დიდი, ლურჯი თვალები,
სევდითა და მწუხარებით სავსე.
დავდის ცრემლი სირცხვილისგან უმართავს,
იწყებს სული ცოცხალ გვამში როკვას...
შენ უფალი უკვე სამჯერ უარყავ,
გული შენი უკვე სამჯერ მოკვდა.
მაგრამ, ალბათ, მძიმე არის ძალიან,
გოლგოთის გზა გაიაზროს კაცმა,
სადაც ჯვარიც უფლის ასატანია,
რომ იმ ჯვარზე მერე თავად აცვან.
რომ კურნებად სულიერი კეთრისა –
კაცის ცოდვებს დაეღვაროს სისხლად,
რომ შემუსროს გჭენი ჯოჯოხეთისა
და განიხვნას კარნი სამოთხისა!



ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ჩვენი მადლიანი მიწა

თუკი გაგივლია მთაში,
ადრე გაზაფხულის პირას,
ალბათ, შეასწარი თვალი
კორდზე გადმოფენილ ღვიას.
სადმე გადააწყდი, ალბათ,
თუკი ხეტიალი გიყვარს,
ხევზე გადაწოლილ ნისლში,
როგორ იბადება დილა.
ალბათ, მოიხილე მადლი
მაღლა, მწვერვალების თავზე –
ლურჯად მოკამკამე ზეცა,
წითლად შეღებილი მთვარე.
ალბათ – მოიყარე მუხლი,
ლოცე, ადიადე, აქე, –
ჩვენი მადლიანი მიწა,
ცვარ-ნამ დადენილი მზვარე.
თუკი ელოდები ღამით
ცისკარს, – განთიადის მირაჟს,
ახალ დაბადებას ლოცავ,
მკლავზე აზიარებ მირქმას,
მაშინ გადააწერ რწმენით,
გულის ნამზიანებ ფიცარს:
ამ მზეს, ამ ხატულა მთა-ველს
ჩემი საქართველო ჰქვია.

შენ მზის დარი ხარ

ახედე ვარსკვლავთ ციურ კალთაში,
ზოგან ქრებიან, ზოგან ჩნდებიან,
ცისად ნამყოფნი უძირობაში,
სამარადისოდ იბეჭდებიან.

როდესაც ხედავ სურათს შთამბეჭდავს,
გაღში იშლება თეთრი ზამბახი –
ეს შენ ხარ სხივი ელვარე მზეში,
ეს შენ ხარ სული გარდასახვაში.

შენ ყვავილი ხარ – მზეს რომ მოჰყვება,
მზე უხელს თვალებს, მზე ალამაზებს,
შენ მზის დარი ხარ, მზეზე ყვავილობ,
შენს ნიჭს და უნარს მზე აალმასებს.

არ ატარო მონობის დაღი

სული იწყებს ბრძოლას, ჭიდილს, ამბოხს,
როცა ფიქრში საღი აზრი იბრძვის,
ვინ დაგძრახავს, თუ სიმართლეს ამბობ, –
ჭიანჭველაც თავის ომში იბრძვის.

სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ აქვს ხიბლი,
აუგს თუ ამბობ ნაძირალაზე,
თუ მოიშორე ჭაობის ლიზგნი,
ანდა, თუ ახვალ ბარიკადაზე.

როდესაც იბრძვი, შენ გაქვს სიმართლე,
ბრძოლაში გული არის მზეთამზე,
თვალებში გიდგას უფლის სინათლე
და სამართალი არის მძლეთამძლე.

სული ხომ მაინც ზეცაში მიდის,
მწუხარეს მაინც ჭიები დაღრღნის,
ბრძოლაში, ცეცხლში აყივლე სისხლი
და არ ატარო მონობის დაღი!..

საბედისწერო მისნობა

მათ, ვინც კულტურას ანგრევს,
ადამიანებზე ცდებს ატარებს,
დედამიწას საფრთხეს უქმნის

შავი ღრუბლები გვიქადის ავდარს,
დარიალობენ ყორნები ცაში...
საბედისწერო მისნობა ახდა,
საგულდაგულოდ ჩარაზეთ კარი...

მზე ჰორიზონტთან მუხლებზე დადგა,
დუმს ფანტაზია – ჭრიალებს ჯაჭვი,
ღიმილი სათნო – საძებნი გახდა,
ჩაახშვეთ სიტყვა, მოწამლეთ აზრი.

არ გადასცდება მზე წყეულ გაბანს,
მანამ დაიცხრობთ ვნებას და წადილს,
სანამ თქვენს ხელებს მირონი განბანს,
იქნება სეტყვა, ხორშაკი ქარი...

თქვენს უდაბნოში სახლაკს ვინ დადგამს? –
არ აყვავდება თქვენს ბაღში ვარდი,
თქვენ გაამრავლებთ მონათა ბაზარს
და ამ სიცოცხლეს არა აქვს ფასი.

ქარი წაიღებს

ჩემს ფანჯარასთან ალუბლის ტოტი
დააფრიალებს ერთადერთ ფოთოლს,
ქარი დარაჯობს, ლოკავს და უვლის
და არ ასვენებს სუსტსა და ობოლს.

მზე ჩაესვენა დაისის ბოლოს
დეკემბერია, ყინვა და სუსხი,
უეჭველია, მიმწუხრის ჟამთან –
ამაღამ მასაც უმტყუნებს მუხლი.

ალბათ, მოწყდება მშობლიურ ღეროს
ის ერთადერთიც, ბოლოსდაბოლოს,
ქარი წაიღებს, სადღაც მიაფენს
ან წყალს გაატანს საბრალო ფოთოლს...



ლამზირა შეყილაძე

ლექსის აკვანი
დღეს პოეზიელში უნიჭიერესი
ლამზირა შეყილაძის
ლექსები

იესო

რაც თავი მახსოვს, მას აქეთ გეძებ,
დღისით თუ ღამით, სიზმარში, ცხადში,
ყველას გულის ხმას სიფრთხილით ვზვერავ.
რომ არ დავიწვე იუდას ალში.
შენგან ნაბოძებ იმედით ვცოცხლობ,
მართალი სიტყვა თავისკენ მძალავს,
ვკვესავ სიბნელეს, ვესწრაფვი ნათელს,
ვერ ვიტან ღალატს, ვერცხლის ხმა მზარავს.
ველიცლიცები ზეციურ სიმრძნეს
და ვეურჩები უსამართლობას,
მამლის ყივილზე ყოველთვის ვფხიზლობ,
ყოველ წამს ველი მკვდრეთით აღდგომას.
ჯვარცმულო ქრისტევ, მხოლოდ შენ იცი,
კოდური სიტყვის სიგანე, სიგრძე.
წმინდა გიორგი გველეშაპს გაჰკვეთს,
და გამჟღავდება ლაზარეს სიმრძნე.
იესო! შენი დიდი წყალობით
სიყვარული და სიკეთე მმოსავს,
ლოცვით შევყურებ ზეცის კარიბჭეს
როგორ შევხვდები მეორედ მოსვლას!

ამომაშენე ტაძრის კედელში

მარტყოფის ველზე გავიშლი კარავს,
ერის სიყვარულს შევსვამ თასებით,
გზა-კვალ არეულს ვატარებ მტარვალს,
მტერს შევებმები გაალმასებით.
იქ, წიწამურთან ვიდგები ფხიზლად,
სამშობლოს გულში არ მოხვდეს ტყვია,
წარსულის სიმრძნის ნაღვაწით ვსუნთქავ,
ჩემს გულის ცემას სამშობლო ჰქვია.
თუნდაც მტრის ჯარმა ჩამიგდოს ხელში,
თავს არ ვაკადრებ, წუწუნს და ჩივილს,
მომკვეთონ მკერდი, დამდაგონ ცეცხლში,
ქეთევანივით დავითმენ ტკივილს.
იქ მივალ, სადაც ჩემს თანამოძმეს
შიშველ სხეულზე ეხვევა მწერი,
ტყვიების წვიმას შევუშვერ გულ-მკერდს,
მარწუხებისგან, რომ ვიხსნა ერი.
ღმერთო! მუხლმოყრით შემოგღაღადებ,
ჩვენ გაგვახარე მზიურ ედემში,
მამულო ჩემო თუკი დაგჭირდე,
ამომაშენე ტაძრის კედელში !

იწვის აგონია

ახლა, შუაღამის მკენწლავს ჩუმი დარდი,
მთვარემ გადმომხედა რაღაც გაფითრებით,
ასე.. უსაშველოდ რატომ შემიყვარდი,
რატომ მენატრები ასე გაგიჟებით...
შენი სიყვარულით ღამე გადავღალე,
ცხადი თუ სიზმარი მგონი ამერია,
ცათა ბილიკები ფიქრით მოვიარე,
შემი მონატრების ჟინმა გადამრია.
გულში შენანთები... ცეცხლით ვიფერფლები,
მაკრთობს შემოდგომის ჩუმი ფოთოლცვენა,
ზღვის შმაგ ტალღებივით ფიქრებს ვეხეთქები,
მხოლოდ შენ ერთს ძალგიძს ჩემი გადარჩენა.
ახლა... შუაღამის იწვის აგონია,
გული იფერფლება გრძნობა შენანთები,
შენაოცნებები სიზმრებს გაჰყოლია
ურჩი სიყვარულის ცეცხლში ვიფერფლები...

რომ ყველაფერი კარგად იქნება

(უწმინდესს და უნეტარესს ილია მეორეს)

წმინდა სამების მადლი გამშვენებს,
ხატ-სალოცავად გაქვს ან-ბანია...
რა დაგაძინებს, რა მოგასვენებს,
როცა სამშობლო შენ გაბარია.
ვიცით ცხოვრება მეტად რთულია,
დროც ამინდივით ხშირად იცვლება,
შენ გვამწყალობებ ბრძენო ილია,
რომ ყველაფერი კარგად იქნება.

როცა სამშობლო გასაჭირშია,
მამულის გედი მრუდედ იხრება...
მყის გვაიმედებს შენი სიტყვები,
რომ ყველაფერი კარგად იქნება.
ღვთის მოსაობით წმინდა ლოცვებით
ზეციდან მადლი ჩამოიფრქვევა,
შენი მადლით და უფლის წყალობით.
გვწამს *ყველაფერი კარგად იქნება*.

შემინდე დედაო

წმინდაო მარიამ, გაგტანჯე ცოდვებით,
ამდენი დარდით და ამდენი ტკივილით...
ამ ცბიერ საწუთროს ვერასგზით ვშორდები,
შენს ფეხთან ვეცემი ცრემლით და ტირილით.
ყოველ ჩემს გზასავალს ეშმაკი სდარაჯობს,
საითაც წავედი ხაფანგი დამიგეს,
უფსკრულის წყვდიადში უნდათ რომ დამმარხონ,
შენს გარდა ამ ტკივილს ვერავინ გამიგებს.
სადაც კი ვეცადე, რომ სული მომეთქვა,
იქ მასვეს უფრორე შხამი და სამსალა,

ეცადნენ უფალზე უარი რომ მეთქვა,
ურწმუნომ დამსერა, სისხლისგან დამცალა.
ახლა კი ნაგვემს და უღონოს, უპოვარს,
კვლავ სულის სალბუნად ლოცვანი აღმომხდა,
შემინდე დედაო, ამ ცოდვილ მიწაზე
ფიქრში თუ ვინმეზე აუგი წამომცდა.
დედაო, ვერ ვიხსნი ამ რკინის ბორკილებს...
და ცივმა ქარებმა წამლეკა სრულიად,
უწყალე დედაო, კართან რომ ფართხალებს,
ეგ ჩემი შიშველი, ტანჯული სულია!

შენი ნეკნია

ღმერთმა მიბოძა სასწაული, ეს საჩუქარი,
არ მახსენდება თუ ოდესმე შემიკვეთია...
ამიტომ არის, ჩემს სხეულზე გიჭირავს თვალი
რადგანაც იცი, ჩემს სხეულში შენი ნეკნია...
შენს კაპრიზებზე ხშირად მიწევს,რომ ვთქვა თანხმობა,
შემოქმედის აზრს, უმთავრეს მიზეზს, ვერაფრით მივხვდი...
და თავს ვიტყუებ, შენი ნეკნის ძალმიძს დათმობა,
ტყუილად ვწვალობ, შენ ვალს მაინც ვერ გადავიხდი...

* * *

საზოგადოება პოეზიელი, საქართველოს პოეტების საერთაშორისო ასოციაციის, (თავმჯდომარე იმერეთში) საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი და გაზეთ სახალხო განათლების რეგიონალური დეპარტამენტის უფროსი სახელით გისურვებთ წარმატებებს ქ-ნო ლამზირა.

პატივისცემით გერმანე საზანოელი.



ჯუბა ღებელი

*

მიწა ზეცას დაშორდა,
მთებს დაშორდნენ ღრუბლები,
წლები წავლენ, ბავშვობას,
ვეღარ დავუბრუნდებით!..
ღმერთი გვწყალობს მიწიერთ,
ვით ძეს, გაკრულს ხის ჯვარზე,
მარცხი თუ არ იწვნიე,
ისე ვერ გაიმარჯვებ!..
როგორც გინდა იარე,
ვერ აცდები ღვთის ნებას,
ბოლოს ყველა მდინარე,
ზღვაში ჩაედინება!..
ვინ ბევრს სცოდავს, ვინ ცოტას,
ვინ რაზეც ზის, იმ ტოტს ჭრის,
გასაჭირში იცნობა,
კაცი, განა ჭილობში!..
მზე ანათებს ქვეყანას,
ხან იფარებს შავ ღრუბელს,
ბედი მიდის ყველასთან,
კარს კი ყველა არ უღებს!..
კაცი სხვაგან დაეძებს,
თავის ბედის იადონს,
მადლი ყველა ქვაზე დევს,
ოღონდ უნდა მიაგნო!..

ჩამავალი მზის მწუხარება

ამდენი ხანი, ამდენი დრო ისე გელოდე,
აღარც კი ვიცი შენი ნახვა მინდა თუ არა,
გამომილია ფიქრის ძალა ბევრმა ესოდენ,
შენმა არ მოსვლამ, არ პასუხმა, ათას უარმა!..
ჩემთვის არ იყო აღარც დილა, აღარც საღამო,
დღისა და ღამის გასაყარი ვნამე ცრემლებით,
ახლა კი სულ რომ გულის ყველა კარი გააღო,
ვერც ერთ სარქველში უკვე ვეღარ შევიხედები...
ბევრჯერ სიზმარში ვეფერები იმ თმებს, იმ ხელებს,
რაც შენი გულის ცხრაკლიტულში არ იმალება,
რადგან მიყვარხარ და ყოველთვის როცა გიხსენებ,
ჩამავალი მზის მწუხარება ჩნდება თვალებთან...
ხოლო სხეულში იდუმალი რაღაც ხმა ისმის,
მიწას ვემთხვევი და ზეცისკენ ხელებს აღვაპყრობ,
წარღვნა კი არა სიყვარულის აპოკალიფსი,
შეაზანზარებს, შეათრთოლებს გრძნეულ სამყაროს...
რადგან სამყარო სიყვარულის ღერძზე ტრიალებს,
რომლის მძლეველი არასოდეს არვინ ყოფილა,
მაშ გაუმარჯოს მარადიულ გრძნობის ციტადელს,
ამ ლამაზ სევდას ცოდვილიან წუთისოფლისა!..

ხვალიდან

კიდეც ვილექსე, კიდეც ვიმღერე,
დროც გავშვობასთან ერთად გავიდა,
უკვე ხვალიდან ვიწყებ სიბერეს
და ცხოვრებასაც ვიწყებ თავიდან!..
დროსაც ხიდი აქვს ოღონდ ცალმხრივი,
მასზე ვერ დგანან და ვერც იცდიან,
არაფერია დრო და მანძილი,
თუ სიყვარული გამოგიცდია...
მივდევ, მივყვები დროის დინებას,
ვითვლი ნაბიჯებს, როგორც კიბეებს,
უჩემო დღეებს მოეწყინებათ
და მთებზე ნისლებს გამოჰკიდებენ!..

ექვსი კედელი

საბანს ვიფარებ და ბალიშს ვეხუტები,
უნდა გავუთიო ღამე სიმარტოვეს,
მაყვლის კენკრებივით მწიფან ეგ ტუჩები,
სხვას რომ კოცნიან და მე რომ მიმატოვეს!..
მყოფნის ნებისყოფა, მოდი თუ არადა,
განა წარბებს შევკრავ, ანდა ავცრემლდები,
ღამე ყორნისფერი ჩემი სუდარაა,
თოვლის სამარეა ჩემი სარეცელი!..
ვარ ექვსკედელშუა, ღამეს ამოდ ვტეხავ,
ექვსი კედელი აქვს ოთახს რაღაცნაირს,
ვისთვის დედამიწა მხოლოდ სამოთხეა,
ვისთვის იესოს გზა, ანუ ტანჯვაც არის!..
იქნებ შენთან უფრო ცივი ზამთარია,
აქაც ყველაფერი გზინავს ვერცხლისფერად,
ცაზე მზეს მოგიქსოვ ლამაზ თვალ-წარბიანს,
ოღონდ, სიყვარულო, შენ ნუ შეგცივდება!..
საბანს ვიფარებ და ბალიშს ვეხუტები,
უნდა გავუთიო ღამე სიმარტოვეს,
მაყვლის კენკრებივით მწიფან ეგ ტუჩები,
სხვას რომ კოცნიან და მე რომ მიმატოვეს!..

*

ისე მიდის ის ქალი,
ლერწამს ისე მიარწევს,
თითქოს მართლა ის არის,
მზე მბრწყინავი მიწაზე!..
ქალზე ქარი ქილიკობს,
ისე დაუფარავად,
თითქოს მართლა ის იყოს,
მოალერსე ფარვანა!..
ჩხავის ჩხართვი და ყვავიც,
ეჯიბრება იადონს,
ვარდს ედრება მაყვალი,
მათ ეკლებმა იდარდონ!..
განა მზეა, რაც ელავს,
თუ კაშკაშებს, თუ გზინავს,
ყველა ციცინათელა,
დღისით მაინც გუზია!..
თმას ზამბახიც იღებავს,
მაგრამ განა იას სჯობს,
უნდა გქონდეს ღირსება,
შურზე რომ გაიმარჯვო!..

თბილისის ცენტრში

ერთი წელია თბილისის ცენტრში,
აღმაშენებლის გამზირზე ვცხოვრობ,
რაც საქართველოს ჰყოლია მტერი,
უთარეშია თათარს თუ მონღოლს,
დღეს ყველა ერთად ამ გამზირს ტკეპნის,
არა მარტო მას და არა მხოლოდ!..
სახლის მესამე სართულზე ვდგავარ
და აივნიდან ძველ პროსპექტს გავცქერ,
ვუყურებ შავ და მომღიმარ არაბს,
ირანულ, თურქულ, წარწერებს, აბრებს,
ყველაფერს ნახავთ ქართულის გარდა,
ნახავთ ზანგს, ჩინელს, ვერ ნახავთ ქართველს...
დრო და დრო სადღაც წამიღებს ფიქრი,
ვიჩემებ ჩემსას, დავეძებ ჩემებს,
ვგრძნობ, არც თუ ისე დიდი ხნის იქით,
აქ სადმე ახლოს ჩადგამენ მეჩეთს,
მოლას ხმა, როგორც საარი დილის,
გამოაღვიძებს ვერას და ზემელს...

ჩვენ ვივლით მაშინ პარიზში, რომში,
ავახმაურებთ ევროპის ქუჩებს,
სოფლებში სახლებს დაფარავს შმორი,
ჩაიხანები შეცვლიან დუქნებს,
ჩემი სამშობლო გახდება შორი,
შევეფარებით სხვის მკერდს და უბეს...
საქართველოში, ვინ იცის, ალბათ,
უცხო ქადაგის დადგება სხვა დრო,
დაავიწყდებათ ტერენტი, გალა,
პაოლო, ტიტე, კოლაუ, ლადო...
ყველა ურჯულო იქნება კარგად,
და აღარავინ იქნება სანდო!..
დრო და დრო სადღაც წამიღებს ფიქრი,
ვიჩემებ ჩემსას, დავეძებ ჩემებს,
ვგრძნობ, არც თუ ისე დიდი ხნის იქით,
აქ სადმე ახლოს ჩადგამენ მეჩეთს,
მოლას ხმა, როგორც საარი დილის,
გამოაღვიძებს ვერას და ზემელს...



ხათუნა კვესელავა

* * *

სევდიანი ჩემი
დარდი, წუხილი
სევდიანი ლექსია და
ცხოვრების კადრები
სულში შემომესია.
სიზმარშიც არ მასვენებს,
ჩემი თეთრი მესია,
სადაც სითბო დავთესე,
იქ ყინულებს მესვრიან...
ღმერთო, რა დავაშავე,
მე სიკეთე მწყურია,
მჯერა, რომ სიკეთეზე,
მადლი გადმოსულია!
ჩემი დარდი, წუხილი
სევდიანი ლექსია
და ცხოვრების კადრები
სულში შემომესია.

ჰაემანი

შეხვედრის წუთი მოენთო კარს და
დაცხრა საათზე სინათლის ჩქერი.
სულს მოუთმენლად ისე სწყურიხარ
თვალებს აწვება სახება შენი.
ო, უკვე დროა, ამ გულმა დაჰკრა,
დაიწყო ცვენა, ვარსკვლავთა ცაში,
სხვა რაღა უნდა მახსოვდეს ახლა?
ჩვენ ამ დროს შევხვდით მარტვილში მაშინ
დღეს არ ვიხსენებთ გაქცეულ წამებს,
რადგან ქარს მიაქვს წარსულის ეტლი.
თავს დაგვსტრიალებს ბრდღვიალა მთვარე
და ახლო-მახლო შრიალებს ვერხვი.

დანაშაული

როდის იწყება ან მთავრდება ეს სიყვარული,
გაუკვდავება როდის ხდება ბოლო წუთების,
არ მომშვებრდება შენთან ერთად მე სიარული,
ხილვებში გხედავ, რომ ჩემთან ხარ, უკან ბრუნდები..
მოდი და ერთად დავირბინოთ მთა და მინდვრები,
სანამ წამლეკავს ქარი აღმა, ვნების გოდება,
გვაპატიებენ ჩვენ ერთ ცოდვას ვარდის კვირტები,
რა ვქნა უშენოდ, თუკი გული ისევ ღონდება...
მაგრამ იცოდე, ეს ცხოვრება არის ხანმოკლე,
დანაშაულის აღარა გაქვს უკვე უფლება,
ისევ გპატიობ, დამიბრუნდი, შენი მამყოფე,
ყველა "არწივი" დაკოდილი, ცას უბრუნდება.

ტკბილი ხარ

ო, რა ტკბილია შენზე ფიქრები
და ვნებიანი შენი თვალები.
ნეტავი ახლა შენთან მამყოფა,
უშენო წუთებს მივდევ წვალებით..
მენატრები და მტანჯავს სიშორე,
რადგან ეს სულში დარდად გროვდება,
მინდა დანრჩენილ დღეებს ვუშველო,
რომ ლაღად შევძლო შენთან ცხოვრება!..
რა უმანკოა ჩემი ცრემლები
მონატრებისგან,რომ მიგროვდება...

"მუზა"

მეწვია რამდენმა წელმა გადაიარა,
ლექსებს გიწერდი ჩუმად ფარულად,
გულისგულიდან ცრემლმა ნადენმა,
ვერ მოაშუშა დარდი, იარა... ახა არ ვტირი,
შემაშრა ცრემლი და წამწამებიც აღარ ირხევა,
"მუზა" მეწვია ვარდისფერ ეტლით,
მოვნატრებივარ როგორც ირკვევა...
სადაც არ ვიყო, ვისთან და როგორც
შენ სიყვარულო, ჩემს თავს გაფიცებ,
"მუზავ" გიყვარდეს პატარა გოგო,
თაფლისფერ თვალებს ნუ დაავიწყებ...

გვინ იქნება...

მე შენ სასახლე ოცნებების ზღვაში აგიგე,
ყველაზე მეტად შენი ნახვა თუ მიხარია,
თვალებში მდგარი გაზაფხულის ნაზი სილურჯე,
სიშორის გამო ნატვრის ცრემლებს დაუნამიათ.
ღია დავტოვე გულის კარი შენს მოლოდინში,
და სიცივისგან წამოსულმა სევდამ დამღალა,
ან სად ვეძებო სიყვარული, რაც შენში ჩავდე,
ამაზე ფიქრით დღეებს რამდენჯერ შემოაღამდა.
ნეტა თუ იცი გაზაფხული არის ხანმოკლე
შენს კარებთანაც ზამთრის სუსხი მალე მოდგება,
და მაგ შავ თმებზე თეთრი თოვლი როცა დაგათოვს,
გვიან იქნება სინანული,გვიან იქნება...

უშენობა

ფიქრი მაწვალებს, მახსენებს იმ დღეს,
როს გედნიერი ვიყავი შენთან.
ქალს ულამაზეს გედს მადარებდი,
ლაღი წუთებით ვტკბებოდით ერთად...
მაგრამ სხვა ტალღამ ,,ჩამოიქროლა",
მე ისევ გზისკენ მიჭირავს თვალი.
ვგრძნობ უშენობა კარგს არ მიქადის,
დარდისგან სუნთქვა მეკვრება წამით.

რომ დაბერდები

ამაოდ გელი, აღარ მომიხვალ,
თაფლისფერ თვალებს უხმოდ ვნებდები.
ვიცი და მჯერა, ჩემს გულის სარკმელს
მაშინ შეაღებ, რომ დაბერდები.
ახლაც მარტო ვარ, ახლაც მჭირდები
ვით უსინათლოს თვალის სინათლე.
დავეძებს გრძნობას უკვე დაკარგულს
მტკივა სული და მიტომ გინატრე.
დღეს ყველა ლექსში სიყვარულს ვეძებ,
ფერი რომ დაჰკრავს შენი თვალების.

"მუზა" მეწვია

რამდენმა წელმა გადაიარა,
ლექსებს გიწერდი ჩუმად ფარულად,
გულისგულიდან ცრემლმა ნადენმა,
ვერ მოაშუშა დარდი, იარა...

ახა არ ვტირი, შემაშრა ცრემლი
და წამწამებიც აღარ ირხევა,

"მუზა" მეწვია ვარდისფერ ეტლით,
მოვნატრებივარ როგორც ირკვევა...

სადაც არ ვიყო, ვისთან და როგორც,
შენ სიყვარულო, ჩემს თავს გაფიცებ,
"მუზავ" გიყვარდეს პატარა გოგო,
თაფლისფერ თვალებს ნუ დაავიწყებ...



მანანა შალიკაშვილი

გ რ ძ ნ ო ბ ა

მინდა, გჯეროდეს, რომ სამყარო სავსეა ტრფობით,
ყოველი გრძნობა ბადებს ჩვენში უნაკლო ვნებებს,
რომ სიხარული, კაეშანი გრძნობასთან მოდის,
ამძაფრებს ფიქრებს სულიერება და მატებს ელფერს.
მინდა, გჯეროდეს, რომ მუსიკა გრძნობის ენაა,
სულის სიმშვიდე, სათნოება- თანაზიარი,
რომ მეგობრობა და სიკეთე გრძნობის წყაროა,
და ამ შეგრძნებით ბედნიერია ადამიანი.
მინდა, გჯეროდეს, რომ სიყვარული უსასრულოა,
და მის წიაღში დაბადებულა ყოველი წრფელი,
რომ ხელოვნება საუკუნო უკვდავებაა
და სასოებით იხატება ტილოზე ფერი.
მინდა, გჯეროდეს, ჩემი ისე, როგორც არასდროს
არავის ქვეყნად არ უწამია წრფელი სიტყვები,
განვლილი წლები მოგონებებს თეთრად დაათოვს,
გაფანტავს ღრუბელს მოწმენდილ ცაზე დანაფიქრები.
სიცოცხლის ფერი დაბადებაა ქვეყნად ყოველის,
მზე სიხარულის სხივებით ქარგავს სამყაროს ელფერს,
მინდა, გჯეროდეს, რომ სიცოცხლე სავსეა ფიქრით,
სულიერება და სიყვარული წარმოშობს ვნებებს.

ჯ ვ ა რ ი

საუკუნეებს ითვლის თამამად
ჯვარი ამაყი და პირმცინარი,
ქვევიდან ნაზად უმღერის ნანას
მტკვარი უტყვი და ჩუმად მზირალი.
მოდუდუნებს და ნაზი ალერსით
შეჰყურებს ტაძარს,თვის სათქმელს ამბობს,
ეალერსება ის სასოებით,
ტკბილი ალერსით უგზავნის ამბორს.
მტკვრის იავნანას ეხმაურება
არაგვი ცელქი, მოუსვენარი,
მორბის თამამად, მოაპობს ტალღებს,
ჩუმი ბუტბუტით უყვება ამბებს.
ისმენს მათს ნანას დიდი ტაძარი,
გული გაუთბო თბილმა ბგერებმა,
ისმენს და ტკბება მათი ალერსით
მლოცველი, მამულს მოეფერება.

სიკეთის ხიდი

ვერვინ დათვალა ცაში ვარსკვლავი,
ვერვინ მოწყვიტა სხივი სინათლის,
არვინ უმღერა ძალმომრმეობას,
ვერვინ გატეხა გული სიმართლის.
ვის მოეწონა უკეთურობა,
ვის შერჩა ავი საქმის კეთება?!
უნდა გავუბათ ჩონგურს სიმები,
ამით კეთილი სული ერთდება.
მოდით, ვიმღეროთ კვლავ სიყვარულზე,
ამით სამყარო გადიდღმერთდება,
ვთესოთ სიკეთე,სულიერება,
ყოველ ავ საქმეს ძალა ეცლება.
მოვუხმოთ ერთურთს, გავერთიანდეთ,
სიცოცხლის ძაფი გასიგრძელდება,
ვუმღეროთ ძმობას და გულებს შორის
სიკეთის ხიდი კვლავ გამრთელდება.

სიკეთეს ბადებს თვით სიყვარული

ცა შეიმოსა ფერთა ნათელით,
ვარსკვლავნი კრთიან, დაკეკლუცობენ,
ერთურთს უხმობენ კვლავ სიყვარულით,
კაშკაშა მზერით გულებს უთბობენ.
სამყაროს ეტრფის ყველა სულდგმული,
ჟღერს ჰარმონია თავბრუდამხვევი,
სიკეთეს ბადებს თვით სიყვარული,
უმანკო გრძნობით ამაღლებული.
გაზაფხულს შვენის მრავალი ფერი,
ყვავილთ ბაღნარში ჰყვავის ენძელა,
სიო მთებიდან მიყვება ამბავს,
შედევრს მხატვრისას შვენის ფერწერა.
თვით სიყვარულით იქმნება ტილო,
ლამაზ ფერებით შემკული ფერით,
არ დაგავიწყდეს, რომ ხელოვნება
დაბადებაა ყოველი წრფელის.
არ გადათელო თოთო ბალახი,
არ დააბიჯო ფეხი ნაზ იას,
არ დაგავიწყდეს,რომ ლურჯთვალებას
თოვლში მოსული ყვავილი ჰქვია.
ნუ გეწყინება მართალი სიტყვა,
აწონე შენი ნამოქმედარი,
ნუ მოატყუებ ნურავის ქვეყნად,
უფალი არის ყოვლის მხედავი.
ნუ დაამადლი ნურვის სიკეთეს,
იყავ მოწყალე და უშურველი,
ჩუმად აკეთე შენ ქველის საქმე,
უფალს მიანდე აზრი ყოველი.

წინაპართ მხარე

მდინარის პირას ჩამოვჯექ,
ფიქრი მეწვია ფრთამალი,
მის ახლოს ხეებს გავცქერი,
შრიალებს ვერხვი, ჭადარი.
ვიწამე ჩავლილ დღეების
წარუშლელობა მრავალი,
უდიადესი წარსული-
თვალმარგალიტის სადარი.
ღმერთო, შენ მიეც ქართველებს
უფლის წყალობა მრავალი!

სიმტკიცის კედელი

ხელში ავიღებ უამრავ აგურს
და ავაშენებ სიმტკიცის კედელს,
ანბანის ყველა ასოს ავკინძავ
და დავუბრუნებ სიმშვიდეს დედებს.
ქართულ სიმღერას კიდევ ვიმღერებ,
კვლავაც გავუბამ ჩემს ჩონგურს ლარებს,
ღრმა სიყვარულით გულში ჩავიკრავ
მცხუნვარე მზეს და მადლიან მთვარეს.

სვეტიცხოველი

ღამის წყვდიადში მდუმარებს არე,
აქა-იქ ისმის შრიალი ხეთა,
დადუმებულა წყალი და ქარი,
ღვთაებრივ შუქში ანთია მცხეთა.
ბინდისფერ ფონზე მშვიდად,ლამაზად
დგას საოცარი სვეტიცხოველი.
დიდი ტაძარი უკვდავ მამათა,
მარადიული შუქის მთოველი.



ლია შენგელია

სადღეგრძელო

სადაც დავითის ცხენს უძოვია,
ჭირს წაუღია სადაც ოსმალი,
სადაც მწვერვალნი დაუთოვია,
მრავლად შობილა სადაც მგოსანი,
სად სიყვარული მალამოდ სცხიათ,
მოყვასს გულგაშლით სადაც ხვდებიან,
სადაც მეგობრებს და-ძმებად თვლიან,
ერთგულებისთვის სადაც კვდებიან,
შერკინებიან სად მტრის ურდოებს,
ჩაუდგამთ მკერდში ფოლადის გული,
ყველა მრუდეს და ყველა უნდოებს
ამოსძრობიათ ძაღლურად სული,
სადაც იარებს ლოცვით ირჩევენ,
ტკივილის ნაცვლად ღიმილს იჩენენ.
ამ თასით შევსვათ, მაშ, სადღეგრძელო,
ეს, გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს!

მე ვდუმვარ

მე ვდუმვარ, მაგრამ ჩემი დუმილი
იმ ამოთქმულზე უფრო მეტია,
შენ რომ სიტყვებად გადამიშალე,
გულში რომ გრძნობად ვერ დაგეტია.
მე ვდუმვარ, როგორც შორი ვარსკვლავი,
ცაზე ციმციმით გადალეული
და ამ დუმილით გიცხადებ გრძნობას,
გრძნობას, რომლითაც მე ვარ ძლეული.

ახლა, უბრალოდ, ლექსად წამომცდა...

გამომიწოდე ხელი საავდროდ,
არ მაპატიე მცდარი ნაბიჯი,
ჩემი ტკივილი ვისღა გავანდო,
ვხედავ, რომ ყველას გადავავიწყდი.

ფერშეუცვლელი იყო ოცნება,
იმედნაფრქვევი დღეთა გამაში,
ჩვენი ერთობა, სხვის გაოცებად,
იყო ნამდვილი არა-თამაში.

ბარს ვიყავ, შენი ჩრდილი მეხურა,
მთას ვიყავ, სითბოდ მაწვდიდი სხივებს,
შენი სამყარო ფიქრად მებურა,
ფონად მდინარეს ვკონავდით ტივებს.

გაღმა ნაპირი მოჩანდა შორი,
ჯურთუხილავი საღამოს ჩემში,
მივცურავდით და გვხვდებოდა შმორი,
ფონზე გასულეს – ღვარი და თქეში.

ენის ქავილი, სიტყვით სიმწარე,
ჭორი და გესლი ნიადაგ გვდევდა.
არსად სილაღე, არსად სიმწვანე
და განშორების უნდობი სევდა.

P. S.

უტივო ტბორი
ჩადგა ჩვენს შორის და,
ახლა, უბრალოდ,
ლექსად წამომცდა,
ვერ გავუძელით
რომ მკაცრ გამოცდას.

გოგელენი

მე მომეწონა გობელენი
ხავსისფერ ფონზე ცხოვრების არე,
ხიდზე მიმავალი ორი სილუეტი,
მოახლოებული ღამე.
ფერთა სიმფონია, აზრთა იდეალი,
ჯერეთ ნაცრისფერი მთვარე.
ტაძარში ტრფიალნი ნეტარის გრძნობებით
დარეკენ ოცნების ზარებს.
მდუმარე სამრეკლოს დაუტევებს ამ დროს
თვალზედ მოწოლილი რული
სახელი გობელენის? – ვეკითხები ავტორს,
მპასუხობს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი !

გადაგვარება

აქ სიმართლეს ბოროტებად ნათლავენ,
აქ სინათლეს ბნელის მაცნედ თვლიან,
აქ სიკეთეს ვნების ჯვარზე აკრავენ,
აქ ღირსებას ფესვიანად თხრიან.
აქ ამაყად აღერილი თავებით
უწიგნურებს გაუშლიათ კარავი,
ერთი სიტყვით თუ მახეში გაები,
დამიჯერეთ, არ დაგინდობთ არავინ.
მლიქვნელები ადამიანთ ბაძავენ,
მანერებით, საუბრით თუ საქმით...
გარეგნულად საკუთარ „მე“-ს მალავენ,
პირს იტკბობენ თაფლითა და შაქრით,,
აქ ბოღმისგან დაგეშილი გულები
მოძმის ხორცის ჭამითაა გართული,
აქ უკეთურთ ეწერება ქულები
და ესაა სინამდვილე ქართული.
სხვის შეცდომებს აქ გულდაგულ ითვლიან,
თვის თვალში კი დირესაც ვერ ხედავენ.
სხვაზე აუგს ხელაღებით იტყვიან,
თაღლითები ათასგვარ ჭორს ბედავენ,
აქ უტიფრებს უფრო გუნდრუკს უკმევენ
ლაქუცით და კუდის ქიცინ-ქიცინით.
ვგრძნობთ და ამდენ სიმახინჯის მხილველნი
კი არ ვწუხვართ, გულიანად ვიცინით...

გინდა, არ გინდა, ასეა...

ამ ქვეყნად ყოველთვის ასე ხდება,
ზოგი იბადება, ზოგი კვდება,
ზოგან ლხინია და ზოგან ჭირი,
ზოგი იცინის და ზოგი ტირის.
ზოგი მაძღარია, ზოგი მშიერია,
ზოგი ჩაცმულია, ზოგი შიშველია,
ზოგი გულწფელია, ზოგი ცბიერია,
ზოგი მშიშარაა, ზოგი გაბედული,
ზოგი საქმეშია ჩახედული.
ცხოვრება ერთგვარი კიბე არის,
ზოგი ადის და ზოგი ჩადის,
ზოგი ლაღად ცხოვრობს, ზოგი იტანჯება,
ვიღაც ბეწვის ხიდზე გადის, იხარჯება.
ზოგი კეთილია, ზოგი ბოროტია,
ზოგი თავმდაბალი, ზოგი გოროზია,
ზოგი ჭკვიანია, ზოგი სულელია,
ზოგისთვის ყველაფერი სულ ერთია.
ზოგი სიყვარულით ცამდე ადის,
ზოგი მიწაზედაც ძლივსღა დადის,
ზოგი არსებობს და ზოგი ცხოვრობს,
ზოგი მკვდრად ითქმება, ზოგი ცოცხლობს.
და
გინდა, არ გინდა, ასეა,
ვერ გაექცევი სიმართლს,
ცხოვრება ბნელით სავსეა,
აქა-იქ ბჟუტავს სინათლე.
იტყვით, რომ ხედვა მაკლია,
მართლჭვრეტის არ მაქვს უნარი
მაგრამ თქვენც იცით, ასეა,
აზრია გაუხუნარი!

* * *

ვინც რომ ბატკანი მგონია
და გამოდგება მგელი,
ვინც რომ მოყვარე მგონია,
ის რომ იქნება მტერი,
– კაცის ცნობა არ მცოდნია, –
ვბრაზობ ჩემს თავზე მაშინ
და ადამიანს დავეძებ
ამ ზოგისთვისღა ხალხში



ლიანა ჯანეზაშვილი-თათარაშვილი

პოეტი

ვერ იქნები პოეტი
თუ არ იცი სიტყვით ტკბობა,
თუ არ იცი მადლიანი
ამბობა და სიტყვით თრობა.
თუ არ გესმის სიყვარულის
ცრემლის დენა, გულის კვდომა,
თუ არ იცი შერიგება, დათმობა
და ყინულს ლღობა.
თუ არ გესმის კვნესა გულის,
მოდუნება მასში კვდომა,
თუ არ იგრძენ სისხლძარღვებში
თბილი სისხლის, თბილი დნობა.
შენ პოეტი ვერ იქნები
თუ არ შეჰკარ სიტყვის კონა.

5.12.2019

***

მე არ მიყვარხარ მარტო ოცნებით
მე ეს ცხოვრება შენთან გავლიე.
ვიცხოვრე, როგორც შემდგარმა ქალმა
ახალგაზრდობის წლები დავლიე.
თასის დავცალე ტკბილი შარბათის
და სიყვარულის ღვინოც დავლიე.
ამ სიყვარულით წავალ უფალთან,
მივეახლები ზეცად მადლიერს.

8. 03. 2017 წ.

თეთრი გზები

ჩემი ცხოვრება თეთრი გზებით გამოვიარე,
სპეტაკი იყო ჩემი ფიქრი, ჩემი ოცნება.
ოჯახზე ზრუნვამ გადაფარა სხვა ყველა დარდი,
მათზე საზრუნავს გარემოეცვა ჩემი გონება.

შავი ყორანი ბევრჯერ უკან შემომჩხაოდა,
ვერ გადათქერა ჩემი ტვინის ზეშთაგონება,
დედა ვიყავი, არ შევუშვი გულის სიღრმეში
მრავალნაირს თუმც ეცადა გამოგონებას.

ძლიერი ვიყავი უფლის გზისკენ სუფთად მავალი
ვიცოდი, ბოლოს მასთან ვიყავ მე მიმავალი.
კვლავ ღმერთი იყო ჩემი ფიქრის წმინდა წამალი.
თეთრი სუდარით გზას გავუყვები მისკენ მავალი.

4.08.20

სიყვარულის წყარო

სიყვარულის წყაროს წყლით
ვრწყავდი მე ჩემს სამყაროს,
მინდა კვლავ სიყვარულით
უფლის გზას შევაყვარო.

გავმიჯნო მიწიერს
შევერწყა ცის სამყაროს,
თუ მიწაზე დავდივარ
შევსვავ ქვეყნის ცივ წყაროს,
იქ მინდა დავივანო,
სადაც დავლევ მზის წყაროს.

14.10.2019

ვაჟას არწივი

უნახავს ვაჟას არწივი მთის ძირს
დაჭრილი ისევ ებრძოდა ყორნებს.
ცდილობდნენ გული გამოუშიგნათ
წაქცეულს გარე ეხვივნენ ვგრონებ.
სისხლისგან დაცლილს ძალა წართმოდა
მაინც ებრძოდა ეშმაკის მონებს.
ვაჟას არწივი ცას შესცქეროდა
ელოდა ციდან მოფრენილ ხუნდებს.
არ ნებდებოდა სიკვდილის აჩრდილს
ყურს მიუგდებდა მგალობელ მგოსნებს.
დედა გუნებას მადლს შესწირავდა
და ავედრებდა მის შვილებს უძღებს.
ლოცავდა ყველას მისტვის მოშურნეს,
ვინც უანგაროდ მისთვის გულს დებდა.
სიკეთის გზისკენ გზას მიიკვლევდა,
ეცოდებოდა დაჭრილი დედა.
ვაჟას არწივი შესცქეროდა
და შესცქეროდა მთის წვერზე გუდეს.
ელავდა კვლავაც კეთილ მომავალს
და მომავლიდან მოფრენილ ხუნდებს.

30.05.2020



ლიანა ჯანეზაშვილ-თათარაშვილის ოჯახი

ღრუბლები

ღრუბლები სისწრაფით
სადღასაც გარბიან,
სიმწრისგან მღვრიან
უცნაურ არიას.
ქარები კვლადაკავალ მისდევენ
ძალიან სურთ, ძალიან
უთანაგრძნობ
ღრუბლებს გრაზიანს.
ღრუბლები სადღასაც
გარბიან, გარბიან.
ქარებიც მისდევენ კვალდაკვალ
ხმამაღლა მღერიან
ყველასთვის უცნობ და უცნაურ
არიას.



თენგიზ პაპაშვილი

* * *

ამ გულს კვლავ შენი მზერა შერჩა, დღეს ნამეხარი,
უნდა გცოდნოდა, თუ რარიგად მხიბლავდი მარა...
ლანქერს შევრჩი და შენ სიყვარულს ისევ შევხარი,
ისედაც მაცდურ გალეულა ცხოვრების შარა...

1985 წელი.

ისევ ხერთვისი, ისევ თმოგვი, ისევ მარაბდა...

ჩემი ხერთვის, ჩემი სამცხე, ჩემი აწყური,
სისხლი ქართული-რქაწითელა დღეის ნაწური.
გრემი, იყალთო, ალავერდი, თმოგვი, მარაბდა,
ჩემი ტკივილი ვერც ამ გზებზე დაპატარავდა.
ჩემი არმაზი, ჩემი მცხეთა, ჩემი ხახული,
ცრემლის გარეშე ერთხელაც კი არ მაქვს ნახული.
ტბეთი, ვარძია, კლარჯეთი და სამცხის ვარამი,
ო, ტკივილები, ტკივილები სასოს მფარავი.
ოშკი და ბანა, მწუხარების დამდის რიონი,
ისევ კრწანისი, შეღებილი ცის დაფიონი.
გულს კვლავ მისერავს არტაანი, ლორე, სამშვილდე,
დავმშვიდდე, მაგრამ აბა მითხარ, როგორ დავმშვიდდე?
ოშკი ვერ ოშკობს და ხახული ვეღარ ხახულობს,
უფალო, მამულს ნუ მიტოვებ უჭირნახულოდ.
ჩემი ხერთვის, ჩემი ოშკი, ჩემი აწყური,
სისხლი ქართული-რქაწითელა დღეის ნაწური...

1985 წელი

***

ჟამთა სიავე დასტყობია ისევ საწუთროს,
მაინც არა მაქვს ახლა მისი დიდი იმედი,
დე იყოს შენთან ამ გულს ასე რომ ისაკუთრებ,
ვიდრე სამყაროს რიყის ქვაზე მივიძინებდი. . .

11. 01. 2020წ.

* * *

ისე მჭირდები, როგორც ღამეში,
ცისფერი ალი მნათი კელაპტრის.
ისე მჭირდები, როგორც სიზმარი,
შენ კი ვერ მწამლობ , მაინც ვერაფრით.
მჭირდები , როგორც გადამხმარ მინდორს,
ლურჯი ფრთები და წვიმის ფოჩები.
არც ეს გვიანი ფიფქი დაგათოვს,
არც სიცივისგან გამეთოშები.

1984 წ.

როგორ დავიზარებდი. . .

მომენატრები, სულში ქაოსი,
როცა დაივლის ყველა აღმართებს.
მე იმედი მაქვს ძველ საწყაოსი,
თუმც ვერ ვღებულობ შენგან ბარათებს.
ღამით სიზმრების ცისფერ გამაში,
დაისადგურა უცხო არსებამ.
რა ძლიერ გსურდა:ბედთან თამაშით,
გეხილა ჩვენთა სულთა მგავსება.
გადაგირაზავს მძიმედ კარები,
სუნთქვით დაგეძებ ზეცის ტატნობზე.
შენს ნახვას როგორ დავიზარებდი,
არსება ჩემი შენ რომ გნატრობდეს ?!

6 . 03 .85 წ.

თუ სიკვდილია . . .

შენსკენ სავალი გზები დაწვრილდა,
გზები უშბის და მყინვარ-ზეკარის,
თუ სიკვდილია, მიჯობს ასწილად
ისევ და ისევ შენ მოგეკალი.
შენით გალეშილ ლექსის ფილაქანს,
მწარედ აწამებს ვნების ფიქალი
და ენარცხება ზეცა-ლილა ქანს,
სიზმრებში ისევ მსტუმროობს ის ქალი.
ღამით მოვარდნილ სტრიქონის დელგმას,
ვერრას ვუხერხებ ბედით უნალავს
და მზერას შენსას ჩემსავით შლეგს და
ეგ სილამაზე გადაუმალავს.
სტრიქონს მიშანთავს დღეს უშენობა,
მებრძვის პირისპირ შლეგს და უტეხარს
და სიჭაბუკის ლამაზი წლები,
სიზმრების სხვენში გამოუკეტავს.
გავეცი ტრფობის უზომო ხარკი,
ლექსით გისტუმრებ ტრფობის მე ღალას,
იწვის სტრიქონი, ვით ჟანა დარკი,
გულიც ლოდინით გადამეღალა.
დრო ურცხვად მნაცრავს ტრფობის კალოზე,
ვეღარც გუმანი მწყალობს მაყრისა,
ვერც ოცნებების სასაფლაოზე,
მაგ გულმა დღემდე ვერ მისაყდრისა.
ვერ მისაყდრისა და დღეს ღაწვილთან
სტრიქონს დაგიფენ ნისლად ზეკარის,
თუ სიკვდილია, მიჯობს ასწილად,
სტრიქონის წერის ჟამს მოგეკალი . . .

რაა სიცოცხლე?

რაა სიცოცხლე? – სულის კივილი,
დღისა და ღამის ურჩი ზმორება.
წამოგვეწევა ცელი სიკვდილის,
არაფრის გვაცლის განმეორებას.
რაა სიცოცხლე? – ბედთან ჭიდილი,
მკერდზე დაცემა დარდის მჯიღისა.
ვართ სიცოცხლეში სიკვდილმისჯილი
და თუ სხეულმაც ჯვარცმა იღირსა?!
წავალთ, რამე თუ ყალბი საწუთრო,
შეგვხსნის არტახებს ისევ ზმორებით.
შანსს არანაირს არ დაგვიტოვებს
ძველი კადრების განმეორების.
მთელი სიცოცხლე ყალბი ღიმილი,
ერთხელ შეზელვა სველი თიხისა,
მწუხარე განცდა და სიმძიმილი,
ან სტრიქონები ახლა მიღირს რად?!
სიცოცხლით ტკბობა მაინც სულ სხვაა,
ვერ გაჯერება ტრფობით გულისა.
სულის ნაკაწრი ჟამის ნუსხაა,
ვით ძველი ფირი დასასრულისა.
რაა სიცოცხლე? – შენც კარგად უწყი,
თვით შემოქმედმა ასე ინება:
მარადიული დიდი ძილის წინ,
ერთი უიღბლო გასეირნება.

20.06.2020წ.

* * *

უერთმანეთოდ ვით ვიწამოთ დაცლა ფიალის,
როგორ გგონია,შეველევი ფერთა სილურჯეს.
შენ სიჭაბუკის გარიჟრაჟზე იყავ ტრფიალი
და უცოდველმა ოცნებები გადამირუჯე...

1985 წელი.



ნანა მომცელიძე – დაბადებული 1970 წლის 25 ნოემბერს, ქალაქ თბილისში. პოეტი, მხატვარი პროფესიით – ფილოლოგი, იურისტი. საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი.

ემიგრანტო დედაბო და პოეტებო

თქვენ, შორეულ მოგონებებს ეფერებით
სული ტირის მონატრების ცრემლებში,
ტკივილებით ყველას გულში ეწერებით
და შედიხართ დიდ სამოთხის ედემში.
თქვენ,დედებო,ყველა დედას ეყვარებით
შვილებისთვის თავგანწირვის ბურჯებო,
ვიცი,აქაც სამშობლოში ენატრებით
სისხლით, ქცევით, სილამაზით გურჯებო.
სხვა ქვეყანას თვალხელშუა შეაბერდით
ოჯახების გადარჩენის სურვილით,
სიყვარულის მარგალიტებს შეგარქმევდით
წყალს შევსვამდი მონატრების წყურვილით.
თქვენ, დედებო,უცხო მიწის ბინადრებო
სილამაზეს და სიცოცხლეს უმღერით,
შორს წასულო ემიგრანტო პოეტებო
დაგვიბრუნდით შემართებით ურყევით.
მე მიყვარხართ ემიგრანტო
დედებო და პოეტებო!!!

უკვე ვეწამე

სამ-არე, სამი განზომილება
სამ-ოთხეს უკვე განაგებს ღმერთი,
სამარის კართან ცა გაბრწყინდება
ეშმაკი მტოვებს და ვრჩები ერთი.
სამოთხის კართან სული დამეძებს
რომ მომაშოროს ცოდვის ხუნდები,
აქ,მიწიერში, ცოდვა სულ მეძებს
ჩემს თავთან ისევ ბევრჯერ ვბრუნდები.
სული მიფრინავს, სადღაც, შორეთში
აქ სიმარტოვე აღარ მაწუხებს,
წავალ და უკან ვერ დავბრუნდები
ვეღარ გავუძლებ სულის მარწუხებს.
შეშლილი სივრცე გავდა ნახანძრალს
ჩუმად იწვოდა ჩემი სანთელიც,
ვტოვებ სიმშვიდეს,უკვე გადამზრალს
ცხოვრება ისევ ძველ ვალს მატენის.
მე კი გავრბივარ,მინდა ვუშველო
მინდა ვუპოვო ჩემს გულს მეწამლე,
დავრჩი ტაძარი, უკარ-უჭერო
და მე ერთს მივხვდი,უკვე ვეწამე.

ჩაგწვდები სულში

ჩაგწვდები სულში, ვიგრძნობ შენს გრძნობებს
შვიდი დღე მოვალ თეთრ აკორდებად,
განვმარტოვდები,ავიღებ მოლბერტს
და დაგიხატავ გრძნობებს ფერებად.
სულის ზეობას ფარავდა ვიღაც
მთვარის სონატას უკრავდა მნელში,
შენი სიჩუმე მე აღარ მხიბლავს
სული ფიფქებად ჩამადნა ხელში.
სამას სამოცდახუთი დღე მინდა
რომ პასუხობდე შეკითხვებს ჩემსას,
დუმილი გექცა ცხოვრების რითმად
ამოუცნობს ხდი მომავალს ჩვენსას.

ერთი წამისთვის

ერთი წამისთვის შეიძლება სიცოცხლე დათმო
ერთი წამისთვის შეიძლება სიცოცხლე გინდა,
ერთი წამისთვის შეიძლება წახვიდე მარტო
ერთი წამისთვის დაბრუნება იქნება ღირდა.
ერთ წამში შენთვის ამღერდება მთელი სამყარო
ერთ წამში შენთვის ჩამორეკენ ზეცის ქნარები,
არც კი ეცადო ერთი წამი სხვა წამს გაჰყარო
და დაუხუჭო ზეცის სიღრმეს ანცი თვალები.
რადგან წამია ,რისთვისაც შენ მოხველ სამყაროს
ამ ერთ წამში კი ბევრი ფიქრი სადღაც გადავა,
და მე არ მინდა, სულმა ხორცი ისე გაჰყაროს
რომ შენ ვერ მიხვდე წამის მერე სული სად წავა.
ერთი წამისთვის შეიძლება სიცოცხლე დათმო
ერთი წამისთვის შეიძლება სიცოცხლე გინდა,
ერთი წამისთვის შეიძლება წახვიდე მარტო
ერთი წამისთვის დაბრუნება იქნება ღირდა.

მე ვარ ქართველი

მე ვარ ქართველი და თან პოეტი
მწვერვალებს სულ არ ვეპოტინები,
თქვენთან მინდა და მიტომ მოვედი
არ მინდა თუ არ გეცოდინებით.
მე თქვენთან ერთად მინდა სიცოცხლე
და თქვენთან ერთად მხიბლავს აისი,
ღმერთო,ქართველი ისე მიცოცხლე
როგორც შვილს უყვარს დედა თავისი.
ენა გვიცოცხლე, რწმენა გვიცოცხლე
მტერი გვაშორე შესაბრალისი,
უფალს შევთხოვოთ ჩვენი სიცოცხლე
ჩვენთვის კალამი შესაბამისი.
მე ვარ ქართველი და თან პოეტი
თქვენს სიყვარულში ვათენ-ვაღამებ,
უფალო, ისევ შენთან მოვედი
ჩემს საქართველოს კვლავ შენ გაბარებ.

მინდა დავწერო ადამიანზე

მინდა დავწერო ადამიანზე
ვინც ერთგულება რომ იცის გულით,
ისეთ ცოლებზეც მინდა დავწერო
ვითომდა ქმრები რომ "უყვართ"ფულით.
ან ისეთებზე,ქმრებს უცინიან
და ღალატობენ სხვადასხვა ფორმით,
ან ისეთ ქმრებზე,როცა ცოლები
გადაღლილები არ უნდათ შრომით.
მინდა დავწერო"მოაზროვნეზე"
შეუგნებელი რომ არის თავით,
ან აზრიანზე,რომელსაც წიგნი
სულ არ უნახავს არცერთხელ თვალით.
წიგნგადაშლილი შტერებიც ვიცი
და უდიპლომო გენიოსებიც,
სოფლად გაზრდილი ინტელიგენტი
და მუქთახორა ქალაქელებიც.
კლოუნიც ვიცი ,თან არა ერთი
მთელი ცხოვრება რომ თამაშობდა,
კამათელს ყრიდა და ერთით ერთი
ტყუილი მასთან დათარეშობდა.
და ბოლოს, ვიცი ადამიანი
ვისი სურვილიც მართლა ასრულდა,
ცხოვრობდა ,თითქმის ,არდარდიანი
და "უიმისოდ" სუნთქვა არ სურდა.
ყველანაირო ადამიანო
სიყვარულია ბოლო ყოველის,
ეს თუ არ იცი ადამიანობ?
ამის გარეშე შენ რა მოგელის?

მე დავიბადე საქართველოში

მე დავიბადე საქართველოში
და ეს ხომ ,უკვე, უფლის მადლია,
მე დავიბადე იმ სამჭედლოში
სადაც წარსული გულის დარდია.
მე დავიბადე იმ სამშობლოში
სადაც აშენდა ვარძია, მცხეთა,
მე დავიბადე იმ საუფლოში
სადაც ვუყურებთ სამთავროს, გელათს.
მე მიხარია,რომ ვარ ქართველი
და საქართველოს მტკივა იარა,
მინდა დავლოცო მათი მარჯვენი
დასცა ,ვინც გულზე გადაგვიარა.
უფლისციხესთან ვინც პირჯვარს იწერს
ვინც ჩაიმუხლებს გრემთან, სიონთან,
ვინც სიყვარულში ალალ გულს მისცემს
ვინც დაიჩოქებს გალაკტიონთან.
მე ის ქართველი მინდა დავლოცო
ვინც დავით-გარეჯს უმზერს ამაყად,
ვინც ალავერდის მადლით მაღლდება
სხვა საფიცარი ვისაც არა ჰყავს.
იმას დავლოცავ, ვინაც ააგო
ჯვარი, იყალთო და ნიკორწმინდა,
წმინდა გიორგით ვინაც ამაყობს
და ეკლესია ვისთვის არს წმინდა.
მე ის ქართველი მინდა რომ ვიყო
ვინც წინაპართა ნაკვალევს მისდევს,
მინდა მას ვუთხრა,ვინც საზღვარს მიყოფს
გულს და გონებას მტრობით ნუ ივსებს.
ეს საქართველო მხოლოდ ერთია
წილხვდომილია დედა ღვთისმშობლის,
ჩვენი მფარველი მხოლოდ ღმერთია
და საიმედოდ
მხოლოდ ეს
გვყოფნის.

შემოდგომა

სულის კარიბჭესთან ჩავიმუხლე
იქ კი შემეგება ფოთოლცვენა,
თითქოს ენერგიით დავიმუხტე
სადღაც როკის მეფე მომეჩვენა.
გვერდით გეთჰოვენმა ჩამიარა
ყურთან ამიმღერა კლავიშები,
იქვე ჯაზ-ორკესტრი აგრიალდა
თითქოს გავიგონე არ სათქმელი.
მე კი ასეთ ხმაურს ავაყოლე
ხმელი ფოთოლცვენის შარა-შური,
მძლავრი ხმის ტალღები ავაგორე
უკან გავისროლე გოღმა,შური.
ვინ თქვა შემოდგომით მთავრდებაო
ან ვინ მოიგონა დასასრული,
სწორედ შემოდგომით ნათდებაო
ყველა დასასრულის აღსასრული.

რომ მე ეს მსურდა

მომნატრებიხარ ფოთოლცვენაში
მომნატრებიხარ ფერთა გამაში,
მომნატრებიხარ ნათელ ფერებში
და დასასრულის გამოსავალში.
ჩემი სურვილი ისევ მოექცა
უკიდეგანო სინათლის რკალში,
მსურდა,სულს ისევ ისე მოეცვა
ეს მონატრება გულსა და თავში.
თავისუფლების არეალს ვეძებ
თავდავიწყების დასალიერში,
ვეღარ მიმიხვდი?-უშენოდ ვერ ვძლებ
ამ ყოფაში და ამწამიერში.
და მე სურვილებს ვაწყობ მძივებად,
მსურს,დავუბრუნო ცხოვრებას ხურდა,
და ჩავუთვალო ჩემს სულს ღირსებად
რასაც ვაკეთებ,რომ მე ეს მსურდა.

ჯოჯოხეთში თუ სამოთხის ბაღთან

გვირაბის ბოლოს თეთრი წერტილი
სიცოცხლის ბოლოს დასმული დამღა,
უფლის სამსჯავრო გადაწყვეტილი
ჯოჯოხეთში თუ სამოთხის ბაღთან?
ჩვენი ცხოვრება ქანცგაწყვეტილი,
სცენაზე ბოლოს ეშვება ფარდა
ბევრი თამაში,ბევრი წერტილი
ბევრი ოცნებაც მიგვყვება დარდად.
მხოლოდ ნამდვილი სიცოცხლე მიყვარს
ბედისწერაა სიმართლის ღმერთი,
ბოლო სიზმარი ღამისა მხიბლავს
სიცოცხლე,როგორც ცეცხლი და დენთი.
ელიზეუმის კოშკიდან ვხედავ,
რა პატარაა ჩემთვის სამყარო
და ვით ადეპტი კამათსაც ვბედავ
მინდა, რომ ხორცი სულთან გავყარო.
ჩემი ღვთაება მასხარად მიგდებს
დემონი მთელი ცხოვრება მყვაროობს,
ვიბრძვი , რომ ჩემთვის ცხოვრება ღირდეს
არ გავერიდო ისე სამყაროს.
გვირაბის ბოლოს თეთრი წერტილი,
სიცოცხლის ბოლოს დასმული დამღა
უფლის სამსჯავრო გადაწყვეტილი
ჯოჯოხეთში თუ სამოთხის ბაღთან?

იქნებ წამიყვანო მთაში

თეთრი ტყემლებისფერ კაბას შევიკერავ
გვირილებს ჩავიწნავ თმაში,
ცელქ და მიუწვდომელ სიოდ დაგიბერავ
რაშით ჩაგიქროლებ ქარში.
ყაყაჩოს დავკრიფავ სიყვარულისფერად
ბალახს გაგითიბავ მთაში,
გვირილჩაწნულ დალალს გავშლი
ხელისხელად
მინდვრად სარეცელსაც გავშლი.
სიყვარულს მოვპარავ იქვე ნაკადულებს
ბაგეს დაგისველებ წამში,
ყვავილთა ფოთლები ცვარ-ნამს
დაგაპკურებს
მეც გულს ჩაგეკვრები მაშინ.
ჩემო ერთადერთო,
იქნებ გამიტაცო
იქნებ წამიყვანო მთაში,
იქნებ ოცნებებში ხელში ამიტაცო
ისე გამაქროლო ქარში.
თეთრი ტყემლებისფერ კაბას შევიკერავ
გვირილებს ჩავიწნავ თმაში,
ცელქ და მიუწვდომელ სიოდ დაგიბერავ
რაშით ჩაგიქროლებ ქარში.



ლია პეტრიაშვილი

ღამის თბილისი

თვალი მოჰკარით? – გაბადრულ მთვარეს,
თბილისის ცაზე რომ ამოცურდა...
ვინმეს გინახავთ, ღამის თბილისში,
მტკვარზე ვარსკვლავი როგორ გაცურდა...
სავსე მთვარის რკალს, როგორ სცვივდება,
ოქროსფერ სხივთა კონა გნიასით,
ან როგორ ხვდება მას ქართლის დედა,
გაბრწყინებული ხმლითა და თასით.
მთაწმინდის გინდი რომ მოხიბლულა,
ლამპიონების ციცინათელით,
ძველი მეტეხი როგორ დარაჯობს,
გებერ მტკვარს გზაზე წმინდა სანთელით.
ბადრი მთვარე კი ნელი ტაატით,
გაისეირნებს თბილისის ცაზე,
მოინახულებს სამების ტაძარს,
ჩაიმუხლება გუმბათის ჯვარზე.
მერე გადავა ნარიყალაზე,
წამოუწვება მას მხართეძოზე,
ყველა ბნელ ქუჩას ჩახედავს თვალში,
სხივებს შემოხვევს ქალაქს თეძოზე.
დრო კი – არც მზეს და არც მთვარეს უცდის,
მირბის, უკან არც მოიხედება,
შემოეპარა თბილისს აისი,
მთვარე კი მისკენ არ იხედება.

22 ოქტომბერი 2019 წ.

გამოუსწორებელი რომანტიკოსი

სილაგაწნული დილა გათენდა,
ღამემ დამახრჩო ცრემლის ხელებით,
ჩამოდნა მთვარე დაღონებული,
შეშლილი ქარი ქრის გახელებით.
აღარ არსებობს ჩემში ჯეინი,
ეირის გვარის ნატიფი ლედი,
ახლა ელიზა დულიტლი მქვია,
ყვავილებს ვყიდი...იქ მიცდის ბედი...
ზოგჯერ სხვა ქარი უბერავს აქეთ,
მეცვლება ფიქრი, მეცვლება სახე...
მირანდუხტი ვარ, იადხმობილი
და სიყვარულის ქვრივის მაქვს მახე...
ხან ვარ მზესავით მნათობი ლილე,
ცალთვალა დევკაც გირშელის ცოლი,
ლაშა გიორგის სიყვარული მწვავს,
მიტაცებს, თუმცა არ ვართ სწორ-ტოლი.
უკვე დიდი ვარ, ძალიან დიდი,
ბავშვურ ოცნებებს მუდამ ვინებებ,
არ მსურს რეალურ ყოფაში ყოფნა,
ზღაპრულ მირაჟში კარგად ვისვენებ.
მაგრამ ღამე ხომ წამებით სულს მხდის,
ცრემლებით სველი ბალიში მახრჩობს,
მზეს სევდისაგან სცვივა სხივები,
მხოლოდ ნიავი ბავშვურად ცელქობს.
მე რომანტიკოსს მიჯობს იქ ყოფნა,
რეალურს ვეღარ იტანს ეს გული,
მერი პოპინსად დავრჩები ისევ
და ქოლგით ვიფრენ ცამდე ასული.
იქნებ გათენდეს დილა მზიანი,
ვარდ-ყვავილები სულს გამიშალოს,
მთვარე ძირს უშვებს თეთრ საქანელას,
ბავშვური გული რომ გამიხაროს.
თავს დავანებებ მერე ოცნებებს,
პეპი გრძელწინდას ასაკს გადავალ,
აღარ დავიწნავ მასავით ნაწნავს,
ზღაპრის ქვეყნიდან მუდმივად წავალ.

12 ოქტომბერი 2019 წ.

მოდი დავით და კვლავ იდიდგორე!

აისის მკრთალი,ვარდისფერი ზეცის პირმაღზე,
იდგა ქადაგად დაცემული და ლოცულობდა...
თვალთაგან ღაწვზე, შეუწყვეტლად სდიოდა ცრემლი,
გონის სიმშვიდით, ლოცვებს შორის, სულს პოულობდა...
სამშობლო იყო, მისი ცრემლის დიდი მიზეზი,
გლოვობდა მამულს, დატაცებულ მიწებს მტრისაგან,
გულდათუთქული დასტიროდა ერის სიმხდალეს,
განურჩეველი გახდა ხალხი უკვე...მკვდრისაგან.
დრო არ იცდიდა,საღი გონით უნდა ეფიქრა,
გადაერჩინა საქართველო ყვავ-– ყორნებისგან,
კვლავ აღადგენდა ნაკუწებად ქცეულ ჩვენს მიწას:--
მიტაცებულს და იავარქმნილს დუშმანებისგან.
მჯიღა დაირტყა მწარედ გულზე, სულდალეულმა,
ამოიქშინა ნესტოებში ულაყის მსგავსად,
ვერ გაიმეტა, ქართველები მუსრგასავლებად,
ჩამოასახლა ყივჩაღები მტრებისთვის – ნავსად!
და... იდიდგორა!!! – ისე, როგორც არვინ არასდროს!
დიდგორის მიწა მოიფინა სელჩუკთ გვამებით,.
სისხლის გუბეებს აბიჯებდა გულანთებული...
სიგელთ აძლევდა გამარჯვებულთ: ჯილაგ – გვარებით!
შემოაკერა წართმეული, რაც ჰქონდა მამულს,
ააღორძინა, გააბრწყინა, ხარკი შეზღუდა,
ლოცვა-კურთხევით აძლიერა დევგმირთ ქვეყანა
და საქართველოს ყველა მტერი შიშით შეძრწუნდა!
დღეს ისევ გვიჭირს, ფერდმოგლეჯილს...სულს ვღაფავთ უკვე,
არვინ არა სჩანს გუმბერაზი, ვინც იდავითებს,
ვინც აღაშენებს, ვინც დაგვიცავს, ვინც იდიდგორებს....
ლოცვაც სურთ, მაგრამ უნიათოდ ფურცვლენ დავითნებს.
შენი ანდერძით,საფლავზე ფეხი დაგადგა და
გადაგიარა მოწიწებით გულზე ყოველმან,
გეყო სიჩუმე, შორით მზერა სულცხონებულო,
ან მიგვანიშნე, ვინ შეგცვალოს, გვითხარ რომელმა....
ეს,,ვიღაცისტი" ხალხი ისევ აერთიანე,
შეჰკარ ერთ მუჭად, საქართველო იხადონ კერპად!
თუ გული ერჩით, გამოვიდნენ –,,ხელი ხმალს იკრან",
ტურფა სამშობლოს შეეწირნენ გმირულად, მსხვერპლად!
აღსდექ და ისევ იდიდგორე ნატრულო დავით,
ნათელი გონი კვლავ სჭირდება შენს საქართველოს,
თორემ ჩინელი, ინდოელი მოედო მთა-– ბარს,
აღარ აცდიან ქართველს ,,სახლში", რომ იქართველოს!

19 ივლისი 2020 წ.

ღამის თბილისი

თვალი მოჰკარით? – გაბადრულ მთვარეს,
თბილისის ცაზე რომ ამოცურდა...
ვინმეს გინახავთ, ღამის თბილისში,
მტკვარზე ვარსკვლავი როგორ გაცურდა...
სავსე მთვარის რკალს, როგორ სცვივდება,
ოქროსფერ სხივთა კონა გნიასით,
ან როგორ ხვდება მას ქართლის დედა,
გაბრწყინებული ხმლითა და თასით.
მთაწმინდის გინდი რომ მოხიბლულა,
ლამპიონების ციცინათელით,
ძველი მეტეხი როგორ დარაჯობს,
გებერ მტკვარს გზაზე წმინდა სანთელით.
ბადრი მთვარე კი ნელი ტაატით,
გაისეირნებს თბილისის ცაზე,
მოინახულებს სამების ტაძარს,
ჩაიმუხლება გუმბათის ჯვარზე.
მერე გადავა ნარიყალაზე,
წამოუწვება მას მხართეძოზე,
ყველა ბნელ ქუჩას ჩახედავს თვალში,
სხივებს შემოხვევს ქალაქს თეძოზე.
დრო კი – არც მზეს და არც მთვარეს უცდის,
მირბის, უკან არც მოიხედება,
შემოეპარა თბილისს აისი,
მთვარე კი მისკენ არ იხედება.

22 ოქტომბერი 2019 წ.

სიყვარულის ვალები

ბროწეულისფერ კაბას ჩავიცვამ,
მკლავებს დავფარავ ფარჩის მანდილით,
გიშრის ნაწნავებს დავიხვევ კეფას,
მზერას გავსტყორცნი შორი მანძილით.
ერთგულების ჯაჭვს შევიბამ წელზე,
სანამდე გნახავ, სანამ შევხვდებით,
რომ შენი ხელით სათუთად შემხსნა,
ნდობას ნუ ავნებ ეჭვის შეხებით.
მკერდის ქარაფზე ვნება თავს იკლავს,
ტუჩებს ასკდება გზავნილი კოცნა,
ნაოცნებარი, ნაფიქრი შორით,
რომ სიყვარულზე წარმოვსთქვა ლოცვა.
უთქმელ სიტყვების მთა აღიმართა,
ვეღარ დაიტევს სამყარო მოთქმას,
უსიტყვოდ,გულში მღელვარე ლავას
და სიყვარულის სიჩუმის აღქმას.
ხელზე დავისვამ ჭიამაიას,
ვკითხავ სატრფოზე,სიმორცხვის განცდით,
ვთხოვ, მიმასწავლოს სიყვარულის გზა,
იქნებ ძებნაში ერთმანეთს ავცდით.
ცეცხლისფერ კაბას აგიფრიალებ,
ჟინით აგივსებ მომზირალ თვალებს,
სიყვარულისთვის გაცდენილ წლებზე,
სულ სათითაოდ გადმიხდი ვალებს.

30 მაისი 2019 წ.

წვიმიან გზაზე....

მივდივარ მძიმედ ნაწვიმარ გზაზე,
თითქოს მომყვება უკან სამგლეთი...
ფრიალებს უშნოდ აზრების მთაზე,
ჩამოკონკილი სევდის ნაფლეთი.
დაბერავს ქარი და თეთრ აფრებად,
დაიბერება ფიქრები ლექსზე...
ჩამოწუწულან ძონძის ღრუბლებად,
მიტოვებული ქოხის ძველ სხვენზე.
ვერავის ვენდე...სიმართლე არ ჩანს,
სხვათა სიყალბე მიძარცვავს ხალისს,
ნათელი აზრი ვისაც მოუჩანს,
ვეძებ ათასში იმ გამონაკლისს.
ეს წვიმაც,თითქოს ჯიბრით არ წყდება,
გულზე მეყრება ეს ფოთოლცვენა,
ფიქრები მაინც სულამდე მწვდება,
იწყება დარდთა ფიფქებად ცვენა.
მივყვები ჩემს გზას თავდაღუნული,
მაწვიმს სხეულზე – სევდა სულისა,
შორს მოჩანს ღობე გადაღუნული---
წუთისოფლის გზა – გადარჩენისა...

19 სექტემბერი 2019 წ.

სიყვარული არ იცი....
(სახუმარო სატრფიალო)

აბა როგორ გიყვარდი,
მზეს და მთვარეს სწვდებოდი?
ქარი ღრუბლებს გაფენდა,
სურვილებით კვდებოდი...
ამბობ, რამდენს ფიქრობდი,
ოცნების კოშკს მიგებდი,
გულგრილობით ვერ მიხვდი:--
ჩემთან თამაშს აგებდი.
ისევ შენმა ღალატმა,
სული კვლავ აგიტირა,
კარგად მიმოიხედე:--
თვალები აგიხილა.
ნანახმა და ნაფიქრმა,
გაპოვნინა შენი,,მე",
იუდობა დაგწამე,
ზურგი შემოგიბრუნე!
აბა როგორ გიყვარდი,
მე სიცოცხლეს მჩუქნიდი?
იმ ძონძებში გამცვალე,
მათთან ცოდვით ბუქნიდი!
ახლა ამბობ-- გიყვარვარ...
მე არ მჯერა ტყუილი,
შენგან ყოველი სიტყვა,
მესმის ვით მგლის ყმუილი.
იოცნებე რამდენი,
ტყეში ქოხსაც ეძებდი...
შენ ჩემს ამდენ ღირსებებს---
ვერ ხედავ, არ მეძებდი.
ახლა მე აღარ მჯერა,
მაგ ნიანგის ცრემლების,
არც გიცნობ, არც მინდიხარ,
გქონდეს ტრფობა,,ძველების"...
აბა, როგორ გიყვარდი?
ღმერთმა მოგცა ეგ შანსი,
საჩუქარი უფლისა---
შენთვის გახდა მთლად ფარსი.
სიყვარული არ იცი...
მოგწონს კაბის ფრიალი,
ადვილად დამყოლებთან,
გიყვარს ღამით,,გრიალი".
მერე მალე მოიწყენ,
ტოვებ შენს მაყვედრებელთ!
ვხედავ თვალებ დაყვლეპილთ:--
მახვეწარ-- მავედრებელთ!
პირს ბოქლომი დაიდე,
არა გაქვს სიტყვა თქმული,
ეგ შენი სიყვარული,
არ მაქვს ჩემად აღქმული.
აბა როგორ გიყვარვარ?—
არც მიკითხე, როგორ ვარ,
ეგ როგორი გრძნობაა....
იქნებ მოვკვდი, აღარ ვარ!
,,უკეთესის მაძებარს,
შეხვდება თურმე ცუდი"—
თავში კარგად ჩაბეჭდე,
მერე იფარე ქუდი!
ღვთის საჩუქრის უარმყოფს,
ელის მარტოდ სიკვდილი,
ცხოვრებით განდეგილი,
სულზე ტრფობა მისკვნილი.
არც მშვიდობა გითქვია,
არც მე გემშვიდობები!
არც რა იყო სათქმელი,
მეც არ,,გეშვილობები".
აბა როგორ გიყვარვარ?
შენ სულ სხვებთან ივანებ...
აქ ვერ ვხედავ სიყვარულს,
ვერც ვერასდროს მიმაგნებ!

24 ივლისი 2020 წ.

გაუზაფხულე ჩემს საქართველოს

კვლავ ჩამოთოვა კავკასიონზე,
ნისლის საბანი ახურავს თეთნულდს,
ზარებს რეკავენ ზემოთ სიონზე,
დაათოვს ზეგანს თეთრად დაბარდნულს.

ცხრაჯერ დაპენტილ მატყლის ფთილას ჰგავს,
ხვამლს გაწოლილი თეთრი ღრუბლები,
გაცოფებულა იქეთ რიონი,
ღრიალით მორბის, სცვივა დორბლები.

ყურძნის მტევნების აკიდოებს ჰგავს,
ხევსურეთი და ფშავი, თუშეთი,
გაზალეთის ტბის ოქროს აკვანით,
თავს კვლავ იწონებს ძველი დუშეთი.

სიღნაღის ციხის ქონგურებიდან,
მხარ-მკლავ გადაშლილ ალაზნის ველზე,
ვერცხლისფერ ზოლად მიიკლაკნება--
იქ ალაზანი,უკეთ თვით გველზე.

როგორ არ ძებნეს, მაგრამ ვერ ნახეს,
შიგ ჩაკიდული ერთი ბეგერი...
ლექსთან და მითთან, ღმერთო უცოცხლე,
ჩემს საქართველოს ერი და ბერი.

ამიღორძინე, გამიმთლიანე,
გამიძლიერე, ერი მიმრავლე,
და საქართველოს მტერსა და დუშმანს,
წინ გადაუდექ, მუსრი გაავლე.

გაუზაფხულე ჩემს საქართველოს,
თუთარჩელას და ლილეოს ჰანგით,
ქართველი დედა აკვანში პირმშოს,
უმღერდეს გრძნობით ძირძველი ჩანგით.

14 ოქტომბერი 2019 წ.

წვიმიანი განწყობა

ელვამ და მეხმა დაზაფრა ყველა,
ჩამოიქუხა გრგვინვით,ზრიალით,
ნაბახუსევმა ცამ ჩაახველა,
გადაუარა მთა-– ბარს გრიალით.

თვალის გახელას ცა ვერ ახერხებს,
იმ ჭორიკანა ცელქი ღრუბლებით,
სხივებს ფეხები გადაუხერხეს,
და გადამალეს მზის ალუბლები.

ჭლექიან ღამეს რა გაათენებს,
დაობლებული დილის წუხილით,
შემოგვაპარებს ცრიატ განთიადს,
თან მოაყოლებს წვიმას ქუხილით.

ამდენი წვიმა სულსაც აობებს,
გაუღენთილ ფიქრებს რა გამოაშრობს,
დამხრჩვალ ოცნებებს არ აწვდის ცნობებს,
ცრემლიან სევდით სულს გამოაწრთობს.

გულზე გადაშლილ ვარდს ვერ დააჭკნობს,
ფურცლებს გარეცხავს წვიმის ნაჟური,
ვინც გაეხუმროს,ეკალს დაარჭობს,
უნაზესია, მაგრამ ვაჟური.

მზე მოვიპაროთ ოქროს სხივებით,
გულს ჩავიფინოთ მისი ნათელი,
გამოვუჩინოთ წვიმას წვივები,
ჩუმად ავენთოთ, როგორც სანთელი.

18 აპრილი 2019 წ.



ნელი გიუნაშვილი

მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ა

მადლიერების ღიმილს
გაჩუქებ,
მადლიერების კალათას
მოვწნავ,
მადლიერების თაიგულს გავშლი
ლამაზ ყვავილებს თმებში ჩაგიწნავ.
მადლიერი ვარ ჩემო უფალო,
რომ გამითენე მშვიდობის დილა,
მადლიერი ვარ მზეო ნათელო,
რომ გააბრწყინე ედემი ციდან.
მადლიერი ვარ, რომ ვარ ცოცხალი,
რომ შემისვია მე წყარო წმინდა
და მეგობრებიც ჩემთან არიან
არ იშურებენ სიყვარულს წმინდას.
მადლიერი ვარ უფალო შენი
დამასაჩუქრე ჩემი შვილებით,
და ფერიებად გამომიგზავნე
ჩემთვის ნანატრი შვილიშვილები.
მადლიერი ვარ რადგან, ჩემს გულში
მოიძებნება თქვენთის ადგილი,
მე ყველა მიყვარს, ყველას ვუყვარვარ
სიყვარული მწამს მხოლოდ ნამდვილი.
მინდა დავლოცო ყველა ოჯახი
და დაგილოცოთ თქვენ თბილი კერა,
ყველას სიყვარულს დავიტევ გულში
უსიყვარულოდ ვერ გავძლებ ვერა.

თუ წარსულისკენ ქარი წამიყვანს

თუ წარსულისკენ ქარი
წამიყვანს,
სხივებს მაჩუქებს მზე
მადლიანი,
გულში ჩავიკრავ ლექსთა ქარიშხალს,
ნამდვილად მიძმობს ასათიანი.
მეტყვის ამაყად, თავმოღერებით,
როცა ზეციდან წვიმები სცრიდა,
ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა.
და როცა კრძალვით ჩავეკითხები,
მოხვედი, მაგრამ ეხლა სად წახვალ,
ის მიპასუხებს, მე კარგად ვიცი
ან სად მოვედი, ან საით წავალ.
მაგრამ შეხედე რა ლამაზია,
ჩვენი საუფლო, ეს საქართველო,
შენ პოეზიის ლერწმის აკვანში
გამოზრდილო და ტკბილო ქართველო.
უყვარდა ლადოს ძველი თბილისი,
ლამაზიაო თბილისში ყველა,
ყველა მოსწონდა,ეტრფოდა ყველას,
შველა უნდაო, ლამაზებს შველა.
ძლიერ უყვარდა მას საქართველო,
ლამაზმანები, ტრფობა ქალისა,
საიათნოვა და ფიროსმანი,
ღა ღა ა ვარდი წინანდალისა.
საქართველოში მზე, რომ ანთია,
ხშირად ცრემლების ნიაღვარია,
ცრემლებში, დარდში მიდის ცხოვრება,
მე ეს სიცოცხლე რათ მიხარია.
ჰეი, არწივნო დაჭრილნო მთაში,
ნაიარევო, ხალხო ქართველო,
ძლიერ მიყვარხართ და არ მეთმობით,
მიყვარს ეს მთები და საქართველო.



მარი კუბლაშვილი

უნდა ამისრულდე

დავწერ, ისევ შენზე დავწერ,
როგორც შემოდგომის მზეზე,
მერე უთარიღოდ გავწევთ
ერთად რთულ და მარტივ გზებზე.
ირგვლივ სიყვარულად გფანტავ,
ქარში ფოთოლ-ფოთოლ გეძებ,
სულში შემოდგომას ვხატავ,
რადგან უფერულად ვერ ვძლებ.
აი, ისევ ის დრო არის,
ისევ ქარია და შფოთვა,
სკივრში ოცნებათა ჯარის,
განცდით სავსე ღამე მოდგა.
ახლად აგიკინძავ წუთებს,
გეტყვი თუ რა მიყვარს შენში,
სიტყვას არ დავტოვებ უთქმელს,
დილას დაგიხატავ ფერში.
დღესაც სიყვარულად გფანტავ
მე ჩემს შემოდგომის მზეზე,
ისევ ის დროა და ნატვრად
უნდა ამისრულდე გზებზე!

* * *

სამყარო მიყვარს, გამჩენს ჩვენთვის რომ შეუქმნია,
სიცოცხლეც, მხოლოდ გაზაფხულის ფერებით სავსე,
ის ვაზი მიყვარს, ნამი ცრემლად რომ შეურთვია და
რომლის მადლიც არასოდეს მოშლია ქართველს.
რა სიამაყით მიცოცხლდება თვალწინ ხედები,
მზე თავაწეულ მზესუმზირებს ეალერსება,
მშვიდობის ისევ მოფრენილან თეთრი მტრედები,
თან სიხარულით ეს თვალები ცრემლით მევსება.
ჰყვავის წალკოტი, მადლიანი ხარობს თავთავი,
ფუსფუსებს გლეხი და ბეღელი ხვავით ევსება,
იშლება სუფრა, ითამადებს კვლავაც თავადი,
როგორც გულმაათ ჭავჭავაძე, გაილექსება.
აღარ დარჩება შეუსმელი ერთი ფიალაც,
კვლავ სადიდებლად უფლისა და ჩვენი ერისა...
მეც ვიგალობებ, შევიხორცებ ყველა იარას,
თუ ჩემს მიწაზე ფეხის დადგმა ისევ მეღირსა.

ნუ მეტყვი

ისევ ორგულთა შემოტევებს ვუმკლავდები
და ისევ ისეთი საცდურია დღეს ეს სამყარო,
არ დამიკარგავს, ნებით დავთმე ის, რაც არ მინდა,
დავთმე და ვცდილობ უსარგებლო ფიქრი დავმალო.
მივყვები ახლა უთავბოლოდ აზრთა დინებას,
ვიცი, ამ ბავშვურ სამყაროდან წასვლას ვინანებ,
ვერა და ვერა, ვერ გავუხდი მორჩილი ნებას,
ხვალ სიბერესთან პაემანზეც დავაგვიანებ.
კვლავ შმაგი მზერა გავაყოლე იმ წლებს გარდასულს,
შეუბრალებლად რომ მოგვპარა ჩვენ აპრილის მზე,
შევხვდებით სადმე, გავიხსენებთ ცრემლებით წარსულს,
მაგრამ ნუ მეტყვი, ნუ მეტყვი, რომ ვერ დამივიწყე!

მერე დაზამთრდება

თავის კვალს დატოვებს მალე შემოდგომა,
ქუჩას სევდიანი დააქვს ნაბიჯები,
ქარში არეული წვიმის თანადგომას ვაკვირდები...
თითქოს ვერხვებიც კი მორცხვად ქედს იხრიან,
ტოტებგადაღლილნი, ცრემლებმორეულნი,
სადღაც, ჰორიზონტზე კვლავ კვეთს მერიდიანს ჩემი ორეული...
მერე დაზამთრდება, ყინვა გამეფდება,
აჟღურტულდებიან თოვლში ბეღურები,
მე კი ისევ ისე, იქ გამითენდება სადაც მეგულები...



აქამდე ქარებს დავყვებოდი, ახლა ქარი მდევს
და კაცმა რომ თქვას, არც კი ვიცი სად რას გადამყრის,
ჩემს სტრიქონებსაც ირონია იმიტომ დასდევს,
რომ როგორც პოეტს, რეალობა იარაღს ამყრის.
ადვილად მოველ, და რა რთულად მივდივარ,
მიკვირს, ვერც შედევრები ვერ შევქმენი უმტკივნეულოდ,
ოქტავებს შორის აკორდები გამიქრა თითქმის,
მელოდიასაც დასჩნევია რიტმი უგულოდ.
უკიდურესი ძალისხმევის ფასად მიჯდება,
რომ ეს ყვირილი წააგავდეს ახლა სიჩუმეს,
მუზა არ მტოვებს, სიტყვა სიტყვას არ ემიჯნება,
ერთადერთია, რაც კი გრძნობებს დღემდე მიჩუმებს.
ყელში ამოსულ ქადაგებას ყურს აღარ ვუგდებ,
მაგრამ ხელახლა ვიბადები, რაც მთავარია,
ძველ ბილიკებზე სიარულსაც გულს ვეღარ ვუდებ
და მგონი ჩემი აღსარებაც შემზარავია.
სასწორზე ისევ სიცოცხლეს ვდებ, არ მეშინია,
მხდალი არისო!- რომ არასდროს არ გაიფიქრონ,
რადგან არ მინდა ვცოცხლობდე და ვკლავდე გენიას,
ანდა სიცოცხლე სიკვდილამდე გადავიფიქრო.

მერე ნუღარ მოხვალ!

როცა ყველაფერი სულში
ცისფერ თოვად გადაივლის,
ვიტყვი, დამაცადეთ,
იქნებ ჩემს ოცნებებს დავეწიო,
ქარი ოქტომბრისა თავგზააბნეული
სად არ ივლის, მოვა ჩემამდეც
და მერე ძველ ადგილას არ მეძიო.
თვალებგახელილი სიზმრებს ისევ ვხედავ,
ისევ მიმძიმს, გვერდით მონატრების
მწარე აჩრდილები ჩამომსხდარან,
მე კი მოლოდინი მაინც შემრჩენია
ისევ იმ მზის, რითმებს რომ ქარგავდა
ძველი ამბებიდან, რაც მომხდარა.
იქნებ ნოემბერმა კაბა შემომაცვას
თეთრი ჩითის, იქნებ მომახაროს
უკვე მერამდენედ დაბადება,
როცა ყველაფერი სულში
ცისფერ თოვად გადაივლის,
მერე ნუღარ მოხვალ,

რადგან ეს სიზმარიც დამთავრდება!



გიორგი აღნიაშვილი

ნიკალა

ცრემლით ნაზავი ფერთა პალიტრა,
ჰაეროვანი ჩრდილების დასი,
და ფუნჯი, ისე ვით მუზას სკიპტრა
თბილის ხატავდა ნიკალას ხელით.
ფრთა მოტეხილი თბილისის მუზა
კიბის ქვეშ ფერებს რომ აზავებდა,
მისი პალიტრის ფერების სევდა
ძველი თბილისის სულისთქმას რევდა.
ყველა დუქანი თუ სამიკიტნო,
სირაჯხანები ძველი თბილისის,
გაზრების ეშხი, ვაჭარი, კინტო,
და მარგარიტას ბენეფისები.
ყველა დახატა,
ყველგან მოხატა,
თბილისის ლაღი ქუჩაბანდები,
და ვინც დახატა,
და რაც მოხატა
აუჯანყდნენო თურმე ლანდები,
ნიკალას თურმე სული მოსთხოვეს,
სული მოსთხოვეს უკვდავებისთვის.
ასე იცხოვრა,
ასე იღვაწა,
გადაიხადა სიცოცხლის ღალა,
თბილისის ცოცხლად შობილმა ფრესკამ,
უფლისა კრავმა, დიდმა ნიკალამ.

* * *

ფიქრი ომში დაცემულ შვილის საფლავთან
ჭაბუკის საფლავს თავს ევლება დედა მშობელი,
მამას ცრემლი სდის, მიწას აწვიმს შეუშრობელი.
უშთამომავლოდ დაცემული ვაჟის საფლავთან
როგორც გულის თქმა სევდა ენთო ჩაუქრობელი.
„შვილი მაინც დაგრჩენოდა აწმყოს მშობელი,
შენი გულისთქმა, ნერგი ნორჩი სწორუპოვარი“
ფიქრობდა მამა,
არც ვინმე ჩანდა მუხლმოყრილის შვების მომგვრელი.
გვეყო მამებო, იარაღი ჯერ ჩვენ ავიღოთ,
გულისა ბოღმა დავანთხიოთ მტერზე, მომხდურზე,
ჯერ ჩვენ ვიომოთ, გულის ჯავრით სისხლი ავიღოთ
და თუ დავეცეთ აქ შევხვდებით სასფლაოზე,
შთამომავლობას ხომ დავტოვებთ ღმერთია მოწმე,
ვალმოხდილები მაინც წავალთ იმ ქვეყანაზე.

იცი . . .

იცი, სიყვარულსაც ცოდნა უნდა მეგობარო,
მხოლოდ ვნება არა კმარა სბაღნარო,
იცი, სიყვარულს ზრუნვაც უნდა მეგობარო,
არ იფიქრო მხოლოდ გრძნობებს მიაბარო.
სიყვარულს მოვლაც უნდა უანგარო,
როგორც ჩვილ ბავშვს ისე უნდა მოუარო,
სიჯიუტეც არ უხდება საუარო,
თბილ სიტყვას კი გვერდი არსად აუარო.
ერთ სულ, ერთ ხორც სამუდამოდ,
ედემიც კი ვერ ედემობს უიმედოდ,
ცოდვის ვაშლი დროის ხეზე თავს იწონებს,
არ გაბედო,
არ მოყვიტო,
არ შეეხო,
თუ კი გაჰქრა სიყვარული,
თუ კი ღამე ჩაწვა სულში,
თუ კი თვალშიც გაჩნდა რული,
ჩათვალე რომ მარტო დარჩი,
მწეც არვინ გყავს სიხარულში.
სიყვარულს ხომ მოვლა უნდა უანგარო,
როგორც ჩვილ ავშვს ისე უნდა მოუარო
და სიყვარულს ზრუნვაც უნდა მეგობარო,
არ იფიქრო მხოლოდ ვნებას მიაბარო. . .
სხვა რა გითხრა? . . .

მიდი ქარო, დაუბერე

მიდი ქარო, დაუბერე,
უფრიალე გოგოს კაბა,
თმები შუბლზე აუწეწე,
აუქოჩრე სხივი თვალთა.

მიდი ქარო, გაეკიდე,
ტრფობის ცეცხლი დააწიე,
თვალნი ლურჯად მოციმციმე
გულის ფეთქვად შეგვაწიე.

ქარო ანცო,
ქარო ანცო,
ვხედავ თავად კოცნას ლამობ
და მის მკერდზე დთარეშობ,
გოგოს გულსაც ასე ართობ.

მიდი ქარო დაუბერე,
უფრიალე გოგოს კაბა,
ტრფობის ცეცხლი გულს შთაბერე,
ამიქოჩრე სხივი თვალთა.

მონად გაყიდული ქართველი ქალის ლოცვა

ღმერთო, დამტოვე ქართველად,
ქალი ვარ, დედის ნაშობი,
თვისტომისაგან უსჯულოდ
„საქონლად“ განაყიდები,
ღმერთო, დამტოვე ქართველად,
რჯულს ნუ შემიცვლის უგვანო,
„ჯვარცმას“ მკერდიდან ნუ ამგლეჯს,
უსჯულო, ტომით ბოგანო,
ღმერთო, დამტოვე ქართველად,
თუნდ ყოფა მექცეს წამებად,
გთხოვ,
ნუ გამწირავ,
ნუ დამცემ,
თხოვნას გთხოვ დასაფიცებლად,
ამყარე დედობის მადლი,
სხვის სჯულის ნუ შემქმნი გამჩენად,
„სხვისი“ შვილების გამზრდელად,
მტრის ჯიშის მზიარებელად,
ღმერთო, დამტოვე ქართველად,
თუნდ ყოფა მექცეს წამებად,
საფლავი თუნდ არ მეღირსოს,
„წავიდე“ დაუტირებლად...

პოეტის და ლექსი

სულია შენი ლექსის მშობელი,
შენი გულის თქმა ლექსის რითმები,
განცდების დრდტვინვა დაუნდომელი
და შენი ფიქრის ბრძენი სიტყვები.
პოეზიაა სულის ფერწერა,
ვნების მუსიკა ბგერებად გვესმის
და სტრიქონები ვით ბედისწერა
ნისლიან ცაზე ვარსკვლავი მერმის.

თეთრი ფურცელი, ხელში კალამი,
სიშმაგის გრგვინვა, აზრთა თარეში,
სიტყვის პალიტრა, როგორც ყალამი
ლექსის მქსოველი განცდების თქეშში.
პოეტის საძმო, მადამ დე მუზა,
თუნგი ღვინო და თეთრი ფურცელი,
სიცოცხლის ხანის მცირე პაუზა,
პოეტის ლექსი გარდაუცვლელი.



ანა-მარია ლილუაშვილი

ბუნების გრძნობები

ცისკრის შუქმა გაარღვია ღამის ბინდი
და სხივებმა შესვეს ნისლის ფიალა,
მზემ ოქროსი დაახურა მთებს გვირგვინი
დაუყვავა, გული შეუფრთხიალა.

და ალერსით გაუცვითა თეთრი კაბა,
ნაცვლად აფენს ზედ მოლისფერ მოსასხამს,
ნელმა სიომ გული სულ მთლად აუჩქარა,
გაუწყვიტა მოთმინების ფიალა.


ირგვლივ ტკბილი სურნელება დაუღვარა,
გააბრუა სიყვარულმა ტიალმა.

მე ყოველ დღე ბალღური ვარ

ღვთისგან ხელის დასმული ვარ
ცად აწვდილი მთის წვერი ვარ,
გაწვდენილი ღვთის ხელი ვარ,
ამაღლებულ გრძნობებს ვაფრქვევ...
თოვლის ფიფქად მიმოფენილს,
გულს შემოსულ ულევ დარდებს
ჩიტს ვადარებ შემოფრენილს,
მე ყოველ დღე ბალღური ვარ...
ღვთისგან ხელის დასმული ვარ,
ცად აწვდილი მთის წვერი ვარ,
უსასრულოდ კეთილი ვარ,
გაწვდენილი ღვთის ხელი ვარ.

რა ვუყო? რა ვარ?

მხატვარი ვიყო,
მთებს დავხატავდი თოვლით დაპენტილს.
მათ ფერდობებზე
წარმოვაჩენდი ხეებს დაფიფქულს.
მე მუსიკოსი,
დავუკრავდი ნაზ სატრფიალოს
და ვუმღერებდი
ცისკრის ვარსკვლავს,
აფეთქებულ ტყემლებს,
მაგრამ პოეტის
უხილავი მათრობს გენია,
კალამით ხელში
ვნატრობ თუ რამ სანატრელია.



* * *

უფალმა მოგიძღვნათ თავისი თავი
გააღო სამოთხის დახშული კარი.
წარსულმა, მდუმარე დრომ თვისი გალია
გაიღო კარი და გაიხსნა გალია.
ააწყვეთ, მკერდით, აყვავდით მადლია,
ამ ქვეყნად ღვთიური ძალი და მადლია.

* * *

დაუვიწყარ უკვდავებას გვთავაზობს,
ღვთის ვედრება აღვლენილი მადლით.

* * *

გაუხშირავი დგანან ჭადრები და ირხევიან,
ქარზე ძვირფასი ქვეყნად მაინც არაფერია

* * *

წამები მიჰქრიან დროს ველარ ვაჩერებთ
და თვალებს ცრემლები იდუმალ ასველებს
აბობოქრებულ გულს ფიქრი ანელებს,
ტკივილ და დარდი უჩუმრად გვაბერებს.

* * *

ვინა ხარ, სიდამ მოდიხარო
სად მიხვალ-მოხვალ რადაო.
(გურამიშვილი)

ქართველი, ღვთისგან მოსული,
სამშობლოს კალთას მოცლილი,
რთულ ბრძოლას შეჭიდებული,
ზნე-ჩვევით არ გამოცვლილი.
გზა და სავალით საღვრთო წესს
არ გადაუხვევ. რათაო?
მოვედი სიკეთე ვთესო
ვკაფო ეკლები გზათაო.




* * *

გავყურებ სივრცეს
და აწყდება თვალებს ცრემლები,
სადღაც სხივივით გაიელვებს
ტკბილი ფიქრები,
წარბშეყრილ სახეს
ჩაუქროლებს წამით ღიმილი
მკერდს შეატოკებს ღრმა
ჭრილობის მძაფრი ტკივილი.

* * *

ქარმა აიტაცა ფიფქი მოფარფატე
დიდხანს ანავარდა, ფაფუკი, ქათქათა
ფრთხილად ძირს დაეშვა, მიწას ჩააკონა
ზედ სხვა დაამატა, დნობა არ აცადა
მიწა გამოფიტა, ძალა გააცალა
და თეთრი ზეწარი ზედ გადააფარა.



სამშობლოს რასაც დავარქმევთ თურმე...
სხვა სურნელი აქვს

სხვა სურნელი აქვს შენს გულში განცდილ
ფოთლების შრიალს, ბუნების ჩურჩულს,
ჰაერის შრიალს, ბუნების ჩურჩულს,
ჰაერის სუნთქვას, მიწას დალოცვილს.
და ცისარტყელას შენს ცაზე გართხმულს,
და იმ მიწიდან სხვა სურნელი აქვს.
ენძელას, იას, თუ ყოჩივარდას,
ან ნებისმიერ ყვავილს თუ ფოთოლს
ახლად ამოსულს და თუნდაც დამჭკნარს.
სხვა სურნელი აქვს წვიმასა და თოვლს
ცასა და ღრუბლებს მზესა და მთვარეს,
დარჩა თუ ავდარს და იმ მთას თუ ბარს
სამშობლოს! – რასაც დავარქმევთ თურმე
სხვა სურნელი აქვს.

აგვისტოს სისხლიანი წვიმა

წითლად შეიძლება გზა და ნაპირები
მიწა გაიჟღენთა სისხლით
ისმის მწარე კვნესა გულამტირები
ზეცა დაიფარა ნისლით.
მოდის ცეცხლის წვიმა შხამად მოვლენილი
მიწა მჭიდროდ იკრავს შვილებს
და საქართველოა ოთხად მოკეცილი
სიმწრისგან ძალას რომ იკრებს.
ღმერთო აგვაცილე ჭირი და ვარამი
გვაკმარე ცრემლი და კვნესა,
შენი წილხვედრი ვართ
წმინდა ღვთისმშობელო,
და ნუ დაგვივწყებ დღესაც.

ქარის სიცოცხლით ვიცოცხლებ

ქარის ფერხულში ჩავები,
წვიმის ფერხულში არა,
ქარმა აღმართზე მატარა,
წვიმამ ბურუსი მართა.
ქარის სიცილით ვიცინე,
წვიმის სიცილით არა,
ქარმა ნამდვილად მაცინა,
წვიმამ?! დამიხმო ფარად.
ქარის სიცოცხლით ვიცოცხლებ,
წვიმის სიცოცხლით არა,
ქარი ნამდვილად მაცოცხლებს
წვიმა! არ მინდა არა.

* * *

ეს ქარიშხალი მოდის,
მოაქვს მწუხარება ბევრი.
მოდით დავუხვედროთ ფარი
უფალს შევავედროთ თავი.



* * *

ველოდები გაზაფხულის პირველ დილას,
აფეთქებულ ატმის ყლორტებს ვეძებ,
მზეს, სხივებით გულში ცეცხლს რომ
გამიღვივებს,
და გრძნობების კორიანტელს მომფენს.
ვარდ, მშვენიერს სურნელებით რომ
დამათრობს
და ამიშლის ოცნებები აფრებს...
ქარს, რომელიც ჩამოშვებულ თმებს ამიწეწს
და მიამბობს სიყვარულის ზღაპრებს.

* * *

ფერი ფერებს ენაცვლება,
დღეები კი მიჰქრიან,
ღმერთო, შენთვის მომინდია,
ჩემი გზა და ფიქრია.

* * *

ბევრი რამ ვნახე, ბევრი ვეძებე,
და ამ ძებნაში გავიდა წლები,
დრო სულ გაგასწრებს თუ დაელოდე,
თუნდაც არ იყოს ლოდინი ბევრი.

მეძახის! ვეძებ!

მეძახის, ვეძებ
ფიქრის მორევს მიჰყვება გული და მიაქვს სადღაც,
იქ ვხედავ თამარს, ფეხშიშველს, დროშით,
როგორ აცილებს საკუთარ ამაგს.
დავითს, ამაყად მიაბიჯებს გელათის სავალს
აქ ფიროსმანი როგორ ხატავს თბილისის ქუჩებს,
მშიერს არაყი დაუსველებს დროდადრო ტუჩებს
და გალაკტიონს დრო არ აქვს ფიქრის
სურს ჩაეკონოს ქართულ მიწას ფანჯრიდან მიჰქრის.
ილია მართალს, განწირულს და მომრიმარ სახით
ამბობს: შეუნდეთ უვიცია, მაგას ნუ განსჯით.
და ცხარე ცრემლი მიეწება უეცრად წამწამს,
რომელს დასტოვებ, ნუთუ მართლა ღმერთი არა გწამს.

2007



ნონა გაგნიძე

* * *

მე რა გამაყვითლებს;
მე რა გამაციებს,
ჩემი ვარდისფერით ბედს ზედ დავეგები,
გულის სინორჩეში დაღლა გავაქციე
და ჩემ სიყვარულებს სანთლად დავენთები!
წვიმას წამოვისხამ , მზემ რომ ამირეკლოს,
ყვავილთა მდელოებად დამწეროს სამყარომ,
ღიმილებს დავიკრეფავ,
სითბოს დაგიბერტყავ ,
ზარმაცი გაზაფხული მაისად გახარო!
მოხვალ და აენთება ციმ-ციმად შუქები,
სიტყვებად მოირწყვება ლექსებით მუზები,
ფერმკმთალი გახდება რაც მქონდა მუქები,
ვიცი რომ სიყვარულს მე თვითონ ვუხდები! ნ.გ.

* * *

გავუძელ ყველა დარდს და უკვე ბინდი ვარ,
მაოცებს სარკეში ხან ჩემი აჩრდილი,
დღეებო უფეროვ,რიღასთვის მინდიხარ,
თუ ყველგან უნდათ რომ დავიცვა მანძილი.
ვიღაცას გონია ვირევი ქარივით,
რა ძნელი ყოფილა გულით რომ გაგიცნონ,
ავდუღდი ბრიყვთაგან,ვხდები მაჭარივით,
მინდა რომ ბავშვივით ოცნება დავიწყო.ნ.გ.

* * *

შემოდგომაც მოვა ,მზე ჩაიცმევს ქურთუკს,
მაგრამ დედამიწას ტკივილები უდუღს.
რა შორია იგრძნო ,არხილული ფერი,
როცა ყოველ ნაბიჯს გყარაულობს გველი.
დავალაგე გეგმა,
მინდა გული ჩავდო,
ისევ შიშმა შემძრა,
ძველებურად ვდარდობ.ნ.გ.

* * *

ბევრი რამეა ნათქვამ-უთქმელი,
სული დამთვრალი ბედის ბუდეა,
გრძნობა მუდმივად,როგორც ფურცელი,
გაკრულ აფიშად მაინც გულზეა.
გადავსებული ფერის ფიქრებით,
წარსულს აღვიძებ ,იპოვო შვება,
მოგონებების ალში იწვები,
მაგრამ სანთელი მაინც არ ქვრება.
სუნთქავ და მაინც იმედით ელი,
იმას ,რაც უკვე აღარა ხდება,
გადაგატარა დრომ გულზე წლები,
იმად,რაც იყო უფლისა ნება.ნ.გ .

* * *

სამშობლო ნოსტალგიაა,დიდი და
ტკბილი მშვენება,
კავკასიონზე მზის შუქი სულს ცისკრად
დაეშენება.
რით გაგაკვირვოს მნახველი,ქვევრმა
ძველმა და მღვიმარემ?
ღვინო მადლია,ნაჟური,ვაზიდან
გამომდინარე.
ჩანჩქერებს იწნავს მაღლა მთა,
ნინოს ხევს ჩაედინება,
ალაზნის მგზავრს კი მკრთალ შუქზე,
მთვრალს მშვიდად ჩაეძინება.
შამფურზე მწვადის სურნელი,
სუფრის აგიშლის ხასიათს,
მასპინძლის ,სტუმართმოყვარის,
მადლი ღვინოში ასხია.
დიდებას უფალს შესწირავს,
წმ.ღვთისმშობელ მარიამს,
ბოდბის დაგლოცავს ხის ჯვარი,
ქალწული ნინოს კელია.
გრემი ,იყალთო ,შუამთა,
ნეკრესი ერთადერთია,
მიტოვებული გარეჯი ქართველთა
სულის ღმერთია.ნ.გ.

* * *

მლიქვნელთა ბრბოებს ჩემსკენ
სავალს გადავუკეტავ,
აწი გავხდები ლექსთა მუზის მუდმივ
მპყრობელი,
და რაც კი მტკივა ,იმის გაგება თუ
მოგინდებათ,
ლექსები ჩემი გახდებიან მანათობელი.
ღიმილით გავხსნი ამოძახილს სულის
ფსკერიდან,
ძალას ვიკრეფავ სიალალით ,თბილი
მზერიდან,
იმას კი ვისაც ჩემთვის უნდა
ყოველთვის კარგი,
ლოცვებად შევკრავ მადლიერი, უფლის
წინ დავყრი.ნ.გ.

* * *

ნისლი გაკრეფილა გომბორს,
ხედავ გაზაფხული დგება,
ვფიქრობ აღარასდროს მოთოვს,
თუკი შავს გაიხდის ზეცა.
ბოდბეს გაივსება წყარო,
ჯვარი თმის ნაწნავით ელავს,
ჩიტი წინანდალში გალობს,
გრძნობებს სიყვარულით კრეფავს.
ისევ მელოდება გრემი,
ციდან გადმოვხედო მიწას,
წნორის აღმართებზე ვხვდები,
ყველაწმინდა როგორ მიცავს.
სიღნაღს სიმწვანეში ეტრფის,
ადამიანური გრძნობა,
სიტყვას სიმართლეში გეტყვის,
მუზა ღვინოში რომ მოვა.
ყანწებს გადაგივსებს ქებით ,
ყველას დაგილოცავს ნაცნობს,
სტუმართ-მასპინძლობის მადლი
ყვარლით ,ლაგოდეხით გაცნობს.
ფეხით აუყვები ნეკრესს,
დაღლილს შეგაშველებს ლოცვას,
ლომს ვინ გამოგლეჯავს ლეკვებს,
ამას დასასრულში ვნახავთ.ნ.გ

* * *

არ მინდა არავის არაფრის გაყოფა,
უფალო, მე ჩემი სიკეთით მამყოფა,
ზედმეტმა სიყვარულმა ბევრისგან
გამღობა,
დედის ლოცვა მიცავს,ღვთისმშობელს
მადლობა.
კარგია თუ ნახე გულღია ,ალალი,
იოლად გექნება ცხოვრება სავალი,
სჯობია გამოკვებო ხეებზე ჩიტები ,
ვიდრე გაამრავლო დღეს პარაზიტები.
მარტო ლაპარაკით სოფელი არ
შენდება,
სამყარო სიბოროტით მალე
გაჩერდება.
ღმერთი არის მარტო მადლი და სამება,
ლოცვა დაწყებულზე დღეს ენა დამება,
გულით და სურვილით ვარ მადლის
მხმობელი,
ვიცი რომ დამიცავს დედა
ღვთისმშობელი!ნ.გ.

* * *

შენ ჩემ თვალებზე დაწერილი ნაზი
მზერა ხარ,
ვარსკვლავის სხივი ,წერტილებად რომ
მიელვარებ,
ნეტავ სამყარო შენთან
ერთად ,ყველგან მენახა,
აუსრულებელ ოცნებებში სმას
მივეძალე.
ტკბილი დღეებით
გამორჩენილი,ბევრჯერ ნაწამებს,
ცხოვრება შანსი ერთხელ გთხოვე?
რატომ მაწვალებ,
ცრემლი მისველებს ,მშრალი ცრემლი ,
ამ ჩემ წამწამებს.
ძალა მომეცი ,გავაგრძელო იმედის
კრეფა...
სუნთქვა მაცალე.ნ.გ.

* * *

ალბათ სარკმელი დარჩენია ღია ჩემს
სიზმრებს,
გამოვიღვიძე ,ფიქრი ზმანების
სტუმრად მიმიწვევს,
მომხიბლა ხილვამ ,ამიშალა ოცნება
წრფელი,
სახლში ვიყავი და ბავშვობას მეკიდა
ხელი.
სკოლა,მერხები,მასწავლებლის
გულწრფელი მზერა,
მასწავლებელი ბავშვის თვალში არ
ბერდება,არასდროს კვდება,
მასწავლებელმა შემაყვარა ჩემი
ანბანი,
ენა ,მამული ,სიყვარულის რწმენის
ზღაპარი.
მერცხლის ბუდეებს რა დამავიწყებს
ზარის გარშემო,
ზარის ხმით დღესაც, წარსულიდან ისევ
ვარსებობ,
დაზამთრებულზე დავითვლიდი,ყინვის
ლოლოებს,
გუნდებს ვესროდი,თავს ვესხმოდი
ნამტვრევ ბოლოებს.

* * *

დაველოდები ზამთრის სისუსხეს,
დამთეთროს მინდა ფაფუკმა თოვლმა,
დაიფარება ცივი ლოდები,
არ დამჭირდება არაფრის პოვნა.
ქუჩას არ ააქვს მაინც სიცოცხლე,
უგემურ სუნთქვას ხალხისას იტანს,
შეშინებული თვალების ცქერით,
ასეთ მგზავრობას უკვე ვერ ვიტან.
ბუხარანთებულ ოთახი მიწვევს,
გადამიშალოს განვლილი წიგნად,
მოგონებებით დატვირთულ ფიქრებს,
სითბოდ ჩამოღვრილ ,ღიმილით
ვნიშნავ.
სარკმელთან ხეზე ,ჯდება ბეღურა,
გამზადებული საკენკს რომ ელის,
 მუზა გამჯდარი ვქარგავ ჩემს ლექსებს,
ვერ დავინახე,ვეღარ შევძელი.
უკიდეგანოდ ვწვდები ოცნებას,
წელთა სიმძიმეს ტანიდან ვიცლი,
დღეიდან ჩემში შიში მოკვდება,
გაიფანტება ნაგროვი ნისლი.ნ.გ.

* * *

ხან კი ვერც ვხვდები რაზე განვიცდი,
როცა სიცოცხლეს მივიჩნევ წამად,
პეპელასავით 3 დღეს დავიცდი,
ვიფრენ მსუბუქად და მერე წავალ!
ცაში საფრენად ჩიტებს მოვიხმობ,
შტვენას ბულბული მამეცადინებს,
ჩემ,ი ზღაპრებით ედემს მოვიწყობ,
და ჯოჯოხეთი ვერ ამატირებს!ნ.გ.

* * *

ეხ ნეტავ მართლა ტირიფი
ვიყო,
მდინარის წყალზე მკლავებს
გავშლიდი,
ტკივილს ნაგროვებს
ჩამომრეცხავდა,
წარსულს დარდიანს უცბად
წავშლიდი.

* * *

თითქოს ყველა წყენა უკვე სულერთია ,
როცა საათს მითვლის ჩემი კარგმყოფელი,
ის რაც მე მაცოცხლებს, უკვდავი
წყლის წვეთია,
ლოცვებით ვიპოვნე უფლის სამყოფელი.
შეცდომა ბევრია,სიმართლის ძიებისას,
ეჭვები დაახრჩობს ავადმყოფ განსაცდელს.
სურნელს ისევ ვიგრძნობ ლურჯი იებისას,
მერე მოლოდინში ღამესაც გავათევ!
არა ,დამიჯერეთ ,ვიცი მოფერება,
უბრალოდ სიცოცხლე ეძებდა განაჩენს,
გრძნობების მინდოდა ყველგან მოშენება,
მერე ჩამორჩენილ სიყვარულს დამაწევს!
არა! დამიჯერეთ მეცა მაქვს სამყარო,
მეცა მაქვს ნატვრა და ალალი თვალები,
სხვისთვის სიყვარულის დამტკიცებით,
ბევრჯერ ხაფანგებში გავები.
არა! დამიჯერეთ არ მიყვარს ამბიცია,
არ ვეძებ ვიღაცას
ვუღირდე ,ვუყვარდე,
მე ღმერთის მადლი და
სიცოცხლე მაცვია,
წლებს მალე დავკეცავ,შემოვდებ ბუხარზე.



* * *

ალბათ სარკმელი დარჩენია ღია ჩემს სიზმრებს,
გამოვიღვიძე ,ფიქრი ზმანების სტუმრად მიმიწვევს,
მომხიბლა ხილვამ ,ამიშალა ოცნება წრფელი,
სახლში ვიყავი და ბავშვობას მეკიდა ხელი.
სკოლა,მერხები,მასწავლებლის გულწრფელი მზერა,
მასწავლებელი ბავშვის თვალში არ ბერდება,არასდროს კვდება,
მასწავლებელმა შემაყვარა ჩემი ანბანი,
ენა ,მამული ,სიყვარულის რწმენის ზღაპარი.
მერცხლის ბუდეებს რა დამავიწყებს ზარის გარშემო,
ზარის ხმით დღესაც, წარსულიდან ისევ ვარსებობ,
დაზამთრებულზე დავითვლიდი,ყინვის ლოლოებს,
გუნდებს ვესროდი,თავს ვესხმოდი ნამტვრევ ბოლოებს.

* * *

თუ ვარსკვლავები ჩაქვრება ცაზე,
ღამე უშუქოდ სევდის ფერია,
რა ეშველება ბნელ ,ბებერ მთვარეს,
მარტოობისგან ჯვარისწერია.
აღსარებათა კიდობანია,
გაჭირვებულთა ტკივილებს ისმენს,
მზის სხივთან სარკით მოთამაშენი,
მთვარესთან ღამე იცლიან ნისლებს.
მწვანე სუნთქვაა,თეთრი იღბალი,
წითელს დავარქმევ ბედნიერებას,
წუხილის ფერი აღარ გითხარით,
მთვარისფერია, ბინდი ერევა.ნ.გ.



მამუკა ოჩიაური

. . . .დავაგვიანე. . . .

ის ღამეები ფიქრით ავკინძე,
ძილიც დავკარგე სიზმრის დობილი
ნეტავ, ვინ ჩახსნა შენი საკინძე
და ვინ შეავსო შენი ლოგინი.

იმ განათევარ ღამეთა კვალში,
ძველ მოგონებებს კვლავ ვეურჩები
ვინ გაეხვია ვნებების ალში,
ვინ დაგიკოცნა ნეტავ ტუჩები.

ვინ ჩაგიხუტა ნეტავი გულში,
შენში არია მწველი ფიქრები
და ჩაგჩურჩულა ლამაზო ყურში,
რომ საუკუნოდ შენი ვიქნები.

ღამემ მიიღო დილის იერი,
ბნელეთს სინათლის გასტეხს შურდული
ნეტავ ვინაა ის ბედნიერი,
ვინ გახსნა შენი გულის ურდული.

დაგვიანებული პასუხი

"სადამდე ვიარო უშენოდ შარახევს
ერთურთი შორიდან სადამდე ვახელოთ"

ვინიცის ნისლებმა ეგ მთები დალახეს,
ვინიცის, უჩემოდ რამდენჯერ გათოვდა
მე ვეღარ დავბრუნდი ბარიდან შარახევს,
არადა ეს გული მხოლოდ შენ გნატრობდა.

მთას დარჩა ბავშვური სითბო და ტკივილი,
სიობლე და შენი ნაწნავთა სურნელი
მე დღესაც ჩამესმის ქარების კივილი,
გულზე მაქვს იარა ჯერ განუკურნელი.

თუმცაღა დამრჩალა იმედის სინათლე,
ჩვენ შორის ლოდინი, გამხდარა საშარო
ვინიცის,ვინიცის რამდენჯერ მინატრე,
მე კი დამატყვევა ქალაქმა ქალშავა .

ის ღამეები ფიქრით ავკინძე,
წლებს გავატანე ძველი სიამე
მე ვერ ჩავხსენი შენი საკინძე,
სიტყვის გამხელა დავაგვიანე !

აქამდე ასეა...

მზექალი, მზეკარი
მზეო, მზევინარი
სხივები შეკარი,
ცით ჩამომდინარი.
ეს გული აანთე – გრძნობების გუხარი,
მომენდე, გალაღდი არ იყო მწუხარი.
ცისმარი,ცისნამი
ცირა და ციცინო,
იმ ბავშვურ დღეებზე ბევრი არ იცინო.
ხან ნინო, ხან ნანა და ხანაც ნანია
დრო ვითომ დიდია,არადა წამია.
ხანდახან წვიმაა,ხანდახან ფიფქია
ხანდახან ფიქროა,ხანდახან ფიქრია.
აქამდე ასეა,
დრომაც ვერ არია
კაცი გულსავსეა,
თუ მასთან ქალია!

ქალშავა

ქარმა ჩამოწნა არყის ტოტები,
მთებს ნისლი შვენის ვერცხლად, არშავად
მე უსასრულოდ დაგელოდები,
არ მემეტები სხვისთვის ქალშავა.

დაგელოდები ფიქრებით დამწველს,
მნათ ცისკრად მოსულს ცაზე აისად
თუ ვეღარ მოვალ შენამდე ამ წელს,
ჩემი გერქმევა ვიცი გაისად.

და თუ გამწირავს სიცოცხლის ძალი,
მოვევლინები ქარებად ველებს
მწამს სამზეოდან ის ტურფა ქალი,
გამატანს თავის უმანკო ცრემლებს.

ჩამოწნულია ხეთა ტოტები,
ნისლმა ეს მთები სრულად წაშალა
მე კვლავ გზას ვუმზერ და გელოდები,
რად აგვიანებ მოსვლას ქალშავა ?!

* * *

ვერ შეგელიეთ შენა და ქარაფს,
ბევრჯერ ვათენე ღამე ცქიოტი
გულით რამდენი სათქმელი დამაქვს
რამდენი მაწევს დარდების ლოდი.

ვერ გიერთგულე , ვერ ვგუობ მაგ ბარს
ცელქი ქარები დაჰქრიან ველზე,
ამ სიყვარულის ჩაუქრობ ამბავს
იქ მომავალში იტყვიან ჩვენზე !

* * *

გამებუტე და წერილებს არ მწერ,
ზარს არ პასუხობ მშორდები ქრები
ჩემს ფანჯარასთან ქარი ხეს არწევს,
ცდილობს დავარცხნოს მეჩხერი თმები

ისევ ასინათს

მთების გადაღმა მთვარე ჩადის ცქიოტად მნათი,
ისევ ლოდინი,გულს ეკალი დარდის მესობა
ჩემთვის გასულ წლებს მოუპარავთ ,ის ასინათი
ძილშიც და ცხადშიც არ მასვენებს,მე უმისობა.

არ მიინავლა გულში ტრფობის მწველი ალები,
და არ გახუნდა იმ ხალასის ურიცხვი ფერი
ეხ, ასინათო რად ვერ გხედავს ჩემი თვალები,
რად გამიხადე მზიანი დღე სულ ბინდისფერი

გავყურებ შარას რომელ გზითაც გაუჩინარდი,
რომელმაც ალბათ ტრამალებში უხმოდ გატარა
ვით მყინვარს ნისლი,შესჩვევია ამ გულსაც დარდი
იქნებ გათხოვდი და კალთაში გიზის პატარა.

ხალისი მტოვებს,დარდი მიპყრობს,მტანჯველი ავი,
სხეულს ეცლება მიცემული უფლისგან ძალა
ეხ, ასინათო იქნებ ვინმემ შენი ნაწნავი,
თქვენს სარეცელთან,ალერსის დროს ჩუმად ჩაშალა.

და თმებს ჩამოშლილს, კუპრის ტევრად ყელთან
და მხრებზე,
უხმოდ დავარცხნის შენი საქმროს ურცხვი თითები,
გწვავს კოცნის ალი ასინათო მაგ ბაგეებზე
და შენც ამ ვნების კოცონივით უხმოდ ინთები.

მე კი ამ მთებში ქარაფებთან დავეც კარავი,
და ასე ვცხოვრობ,დრომ მომტაცა შეყვარებული
ღამეს ვტეხთ ორნი,მე და ჩემი ძველი კალამი
ბარს ვუორგულე ,ახლა მთებს ვარ შეფარებული.

მთების გადაღმა მთვარე ჩადის, ცქიოტად მნათი
მე ღამეს ვტეხავ სტრიქონებით ლექსები ვქარგე
რად არ დაბრუნდა წარსულიდან ის ასინათი,
იქნებ არ მოვა,სამუდამოდ იქნებ დავკა

რაღა დავწერო . . . !

რაღა დავწერო დამზრალა სული
გულს მოლოდინის აძგერებს ძალა
დრო ვერ ახუნებს შეხვედრის სურვილს
წარსულმაც ჩემგან ვეღარ დაგმალა

რაღა დავწერო ან რა ფერებით
ეს ხომ გრძნობაა განა ჟინია
სიზმრად ყოველღამ რომ გეფერები
სიყვარულია, მოლოდინია

მე დაბრუნებას იმედით ვიცავ
შენსკენ მომაფრენს ფიქრის იაბო
ყოველღამ,ტანზე სიზმარეთს ვიცვამ
ეს ყველაფერი შენ რომ გიამბო

რაღა დავწერო დაუწერელი
რაღა დავწერო ჯერ არ ნახული
გრძნობას , სურვილი შერჩა მშველელი
გრძნობა, წლებისგან ვერ გალახული

რაღა დავწერო თქმით ბევრი ითქმის
ერთი ქალშავა მე რომ მაწამებს
ჩემს უნებურად გული კვლავ ითვლის
უშენოდ გასულ წუთებს და წამებს

რაღა დავწერო , დღე ფარატინა
საღამოს ჩრდილში გალეულია
გეტყვი რომ გული უშენოდ მტკივა
გეტყვი სხეულიც მთვარეულია

რაღა დავწერო, დამზრალა სული
ღამეს რიჟრაჟის გლეჯენ ეშვები
შენთან შეხვედრის გაუქრობ სურვილს,
ვერ დავეხსენი, ვერ შევეშვები !

შენი სახელი...!

შენ არასოდეს გერქმევა ლინდა,
მუდამ იქნები ცაზე მზის სწორი
ძალიან მინდა, ძალიან მინდა,
რომ სიკვდილამდე გზას გავყვეთ ორნი.

შენ არასოდეს გერქმევა თამო,
და არ იქნები გულგაყინული
მე გეტყვი წამო, ლაღ მთებში წამო,
იქ გველოდება ჩემი ბინული.

შენ არ იქნები ამპარტავანი,
შენ არ იქნები გულგაუხსნელი
ჩემთვის ესაა მხოლოდ მთავარი,
ჩემს გვერდით იყო ჩაგჭიდო ხელი.

მოხიბლულია შენით მნახველი,
რა საჭიროა ამის დაწერა
შენი სახელი, შენი სახელი,
ჩემთვის არაა მხოლოდ წარწერა.

* * *

ხო,
მაშინ წვიმდა,
არ ვცდები არა,
თითქოს დაიქცა ლურჯი ცის ჭერი
მაშინ უცნობი,
სულმდიდარ ქალად,
ჩემს ცხოვრებაში შემოიჭერი !

კვლავ გიცდი . . . . . !

კვლავ გიცდი როშკას დევისფერ კლდესთან,
მდუმარედ ვუმზერ სოფელს და ჭალას
ნისლებს მოუნდათ შეხვედრა მზესთან,
ყელზე ახვევენ ქათქათა დალალს.
სადახარ ნეტავ გიცდი და გელი,
ვუმზერ ბარიდან მომავალ გზაწვრილს,
როშკის ჭიუხის დამზრალი ხელი,
ბერი ხევსურის მტევანს გავს გაწვდილს.
სადახარ ლოდინს არ უჩანს ბოლო,
დახავსდა დარდი დანაძველები
სადახარ მუდამ მნათობის სწორო,
მოდი მოგხვიო წელზე ხელები.
ცივ მყინვარებთან ტბას ლოკავს ნისლი
და ამოჰყვება მთებს გაძარცვული,
ოცნების კოშკებს მინგრევ და მიშლი,
რად დამიზამთრე ეს გაზაფხული.
მოსვლა რატომღაც შეგაგვიანდა,
გულმა განგაშის ზარი დარეკა,
უღელტეხილის მდუმარე კართან
მოგვეგებება გულთბილად დეკა.
კვლავ გიცდი როშკას,
სავალ გზაწვრილებს
გაჰყურებს თვალი ვერ დაუღლელი,
დრო კი მოთმენის სიმებს აწვრილებს
და დაუსრულებ ნოტებზე მღერის .
სად ხარ ამ გულის თანაზიარო
ქარში ქანაობს ცირცელის ტოტი
მოდი, ეს მთები გადავიაროთ
იქ გვიმასპინძლებს ქალავ არხოტი !

სამას არაგველს

ვინიცის რამდენს დაემსხვრა ფარი,
ზვავად მივარდნილს დაუნდობ მტერზე
ჩემიც ხომ იყო იქ წინაპარი,
პატარა კახთან, კრწანისის ველზე.
ტიროდა ზეცა ცოდვისგან მაშინ,
შეხორცებოდა ვადას ხელები
გაწაფულები დუშმანთა მკაში,
მომხდურთ ჩეხავდნენ მხნედ მთიელები.
წინ მიუძღოდათ რწმენა და ჯვარი,
სხეულს ვერ ეგრძნო მძიმე ჭრილობა
არ გაიქცევა მთიელთა ჯარი,
ყველას ახსოვდა მტკიცე პირობა.
ერთს ათი უტევს, არ ცხრება მტერი,
მზემ დაივანა ღრუბელთა ყელზე
სისხლს შერევია ყვითელი მტვერი,
სიკვდილი დაძრწის კრწანისის ველზე.
უწყვეტ ტალღებად მოგორავს მტერი,
ჩვენს წასალეკად მოიწევს იგი
მიწამ სისხლისა მიიღო ფერი,
მთიელთა ლაშქრის შეთხელდა რიგი.
მებრძოლს ვერ შველის ჯაჭვის პერანგი,
ისრები ირგვლივ გველივით ქროდა
ვით ლომთა გრგვინვა, მთიელთა ჰანგი
არ დუმდებოდა კვლავაც ისმოდა.
ბოლოს არ დარჩა ძე ხორციელი,
ცეცხლმოდებული იწვოდა მიწა
სამასი გმირი – გმირი მთიელი,
მკერდშენგრეული კრწანისში იწვა.
უფალმა მათთვის ცის გახსნა კარი,
მზემ დაივანა ღრუბელთა ყელზე
ჩემიც ხომ იყო იქ წინაპარი,
პატარა კახთან, კრწანისის ველზე !



ხათუნა ჩიტაძე

შეჯამება

მორთულა კლასები,
თითებზე მაზოლი...
ღიმილა გავშვები,
ნაძვის ხეთა ზოლი,
ზამთარი,
ფიფქები,
ახალი წლის ფერი,
ფიქრები,
ფიქრები მზისფერი!
გული კვლავ ცაზეა,
მწუხრმა ვერ ჩააქრო!
ვერც ყინვამ წამართვა
სამზეო...
საყანო...
ჩემში გაზაფხული მომავალს ჩააქსოვს,
მამშვენებს ყვავილთა საყელო,
სამყარო!
მორთულა კლასები, –
ღიმილა გავშვები...
2014წ.

* * *

სოფლის მწვანე სურნელს ვერთვი,
წყაროს წიკ-წიკ მდინარებას,
ყველა მიყვარს,
ყველას ვეტრფი,
სულ ასეთი მცინარე ვარ!
2015წ.

ეთუნას

ჩემი სულის სარკმელი,
მზიანი დღით აივსო,
ჩემო ნუშისთვალებავ!
ჩემო სულის აისო.
და ამ სახლის კერია,
ახლა ისე იღიმის...
თვალხატულა შვილებით
ჩვენი გული კი ღვივის!
ეთუნია, ლამაზო,
მესტუმრე და ჩემთან ხარ,
ძილიც ისე მშვიდია,
შენც ხომ უკვე დედა ხარ!
მომავალი შენშია,
ღია არის კარები,
გლოცავს გული დედის და
გიმზერს დედის თვალები!
ჩემი სულის სარკმელი,
მზიანი დღით აივსო,
ჩემო ნუშისთვალებავ!
მაისო და აისო!
1025წ.

ზამთარმა იცის

ჩუმი ხმაურით სათქმელს ვაგუბებ,
ფიქრებში ფიქრი გზას ვეღარ იკვლევს,
შენი არ გესმის, – სხვას რას აგულებ!
ქარი ეზოში ბნელ ძალებს იკრებს...
თოვლი არ არის,
და ეს ზამთარი,
გადაკვანძულა აზრებით, მუქით,
გულს შემეღონა ქარი, ავ-ქარი,
გამოძერწილი ღამეულ შუქით!
შორს...

მზის წარსულის სინათლეებში,
გაზაფხულები მეფერებიან!
ლაბირინთები ჩამეწნა თმებში,
მოგონებები – მეფეებია!
ჩემეულ სევდით სათქმელს ვერ ვამბობ,
ეს ერთი წელიც უეცრად გაცვდა...
გაცრეცილ გრძნობებს გავატან ამბორს...
– ზამთარმა იცის ასეთი განცდა.....

2015წ.

ოდესღაც

ათასში ერთხელ ჩავივლი ქუჩას,
სადაც იები ენთო, ოდესღაც...
ჩანს,
-არ ჩანს,
თვალი მატყუებს ურჩად,
გაზაფხული და მზეა როდესაც!
რომ მოდიოდი იმედად, მახსოვს,
როგორ მაკლია იმ ქუჩის მტვერი.
ბედი, ორგული, დღესაც კი მასხრობს:
მეგობარია თუ შენი მტერი!
ფეხის ხმა მახსოვს...
საღამოები,
სულ ერთი ციდა ღიმილი, მშვიდი,
მოდიოდი და
მახსოვს, ერთხელც
ვეღარ მოხვედი...
მერე სულს ვშლიდი...
რომ არ მოხვედი,
იმ გზებსაც ვშლიდი.....
ათასში ერთხელ ჩავივლი ქუჩას,
სადაც იები ენთო, ოდესღაც!
დღეს მეჩვენება ის ქუჩა „ლურჯად“,
გაზაფხული და მზეა როდესაც....
2015წ.

ფიქრის ნართი

ფიქრი დართულა ღამეში,
დილას ღიმილად მზე შვენის,
სტუმრად მეწვია ღამე შინ,
შემომაკედლა დღე შენი!
თუ ოცნებები გაფრინდა,
ალბათ, საღამოს ბრალია,
მოგონებები გაცივდა,
ნისლის და ქარის ჟამია!
მზე ლახტს თამაშობს ზეწარზე,
კავკასიონი ცას ებრძვის,
შვილი დარს ხატავს ზეცაზე,
რა გამიმრუდებს ამ მერმისს!
დღე აღარ არის მწუხარი,
გამოქცევია გზა-ლოდინს,
სიმშვიდეა და უფალიც,
სწორედ სიმშვიდის ჟამს მოდის!
2015წ.



შორენა ჩხიკვიშვილი

უკვდავი მუსიკა

მსოფლიოს გენიალურ კომპოზიტორებს

დიდმა მოცარტმა შექმნა უკვდავი სიმფონია
და გატაცებით ააჟღერა საამო ჰანგი,
როდესაც ბრამსის მელოდიამ დაიგუგუნა,
ააწკრიალა ინსტრუმენტი, ვითარცა ჩანგი.
ბეთჰოვენმა კი სიზმარივით გაკვეთა წლები,
გაიელვა და დაარღვია სიჩუმე ღამის,
ღრმა შინაარსით ქმნიდა იგი უკვდავ აკორდებს
და ასე ლამაზად დაწერა „სონატა მთვარის“.
პოლიფონიას შეუერთდა ბახის ცხოვრება,
ტრიუმფალურმა დინამიკამ სივრცე გაკვეთა,
მან ვარსკვლავივით გაანათა შავბნელი ღამე,
მისმა კრეშენდომ განაცვიფრა მთელი პლანეტა.
შუბერტს უსმენდა ხალხი უიმედოდ მავალი,
მოწყენილი და ცხოვრებაზე დაფიქრებული,
სრულ აღტაცებაში მოვიდა მთელი მსოფლიო
ბიზეს „კარმენის“ ბრწყინვალებით გაკვირვებული.
მძაფრმა პიესამ განაცვიფრა მთელი ქვეყანა,
როცა შოპენმა როიალზე შემართა ხელი,
მან მუსიკალურ ჰარმონიას სული შთაბერა,
გზა გაიკაფა და დამკვიდრდა მაღალი რწმენით.
იოჰან შტრაუსი კეთილხმოვან ვალსებს რომ ქმნიდა,
იგი უსმენდა წვიმის შხაპუნს, ფოთლების შრიალს,
ჰაეროვანი სინარნარე თან სდევდა მუდამ,
მის მელოდიას უჩვეულო სახელი ჰქვია.
ქმნიდა ოპერებს, დაუვიწყარ არიებს წერდა,
მუსიკას დაუკავშირა მან თავისი გედი,
დაუვიწყარი მელოდიით გზას იკაფავდა
დიდებული კომპოზიტორი – ჯუზეპე ვერდი.
უკრავს შუმანი ცეცხლოვანი ტემპერამენტით,
შეძრა სამყარო ვირტუოზმა კიდიდან კიდით,
მისი პიესა თეთრ კლავიშებს ეალერსება
და მაჟორიდან მინორამდე წკრიალით მიდის.
გადის წლები და ვერაფერი მას ვერ ერევა,
ვოლფგანგ მოცარტი კვლავ მიარღვევს ბომბოქარ სივრცეს,
მოაქვს ხალხისთვის სანატრელი ბედნიერება,
მისი კლასიკა კვლავ იჭექებს ბოლომდე მტკიცედ.

20.02.2011

ნატვრა

სამშობლო მინდა ისეთი
მტრის შიშით არა კვდებოდეს,
დავითისა და თამარის
ეპოქას ემსგავსებოდეს!

მე შვილი მინდა ისეთი,
მტერსა მტრულად რომ ხვდებოდეს,
მისი გული და გონება
ქვეყნისთვის იხარჯებოდეს!

გოგონა ქართულ მანდილის
ტარებით არ იღლებოდეს,
ვაჟი კი სამშობლოსათვის
სიკვდილს არ უშინდებოდეს!

ეს გული მინდა ისეთი,
სხვის გულისტკივილს ხვდებოდეს,
ჩაგრული ადამიანის
გულის სიმებს ეხებოდეს!

გონება მინდა ისეთი,
მაღალ იდეებს წვდებოდეს,
ცრემლები მქონდეს ისეთი,
მამულისთვის იღვრებოდეს!

ნეტავი, ყველა ქართველი
ღვთის სიყვარულით თბებოდეს,
ბოროტებისგან შორს იყოს
და უფალს ებარებოდეს!

ძმათაშორის ერთგულება
და ერთობა აღდგებოდეს,
აფხაზეთი და ოსეთი
ნეტავი დაბრუნდებოდეს!

ჩემი სამშობლოს მთა-ბარი
აყვავდეს, იფურჩქნებოდეს,
ნიკოფსით დარუბანდამდე
ქვეყანა გაიშლებოდეს!

ქართველთ შორის სიყვარული
არასდროს არა ქრებოდეს,
ეს ჩემი ტურფა მამული
სულ მალე, აყვავდებოდეს!

2018 წ.

სისხლის წვიმები

9 აპრილს დაღუპულ ნატო გიორგაძეს

შენ, რუსთაველის პროსპექტზე მყოფს, ლოცვად აღვლენილს,
საქართველოსთვის მავედრებელს, მახვილი ჩაგცეს,
გარგაროსულად გაუსწორდნენ შენს თანამოძმეთ,
ორლესურ ნიჩბით აგკუწეს და გულაღმა დაგცეს.

ოცი ქალ-ვაჟი დაუჩეხეს 9 აპრილს თბილისს,
მამულმა იმ დღეს ოცი კუბო ერთად ასწია.
ერთი მათგანი შენც იყავი ძვირფასო ნატო,
ვინაც ქართული ღირსებისთვის თავი გასწირა.

შენი სიცოცხლე შეეწირა მშობლიურ მიწას,
რომლის მხრებზედაც ავბედით ჟამს ბევრჯერ გივლია,
ვინაც გაზარდა რუსთაველი, აკაკი, ვაჟა,
გარათაშვილი, სულხან-საბა, დიდი ილია.

ლურჯი აპრილი დაიტბორა სისხლის წვიმებით,
გაუტეხელი შენი სული ცამდე ამაღლდა,
და მამულისთვის თავგანწირულ წმინდანთა გვერდით,
შენც გერგო წილად ვალმოხდილი დადგე ამაყად.

გამზრდელი კუთხის საძვალეში დაიდე ბინა,
შენი გურია, დატანჯული დედა და მამა,
იამაყებენ, რადგან შენი საფლავი წმინდა,
მთლად საქართველომ ამაღლებულ ცრემლით დანამა.

მოგვიშუშებენ ეს ცრემლები ნაწამებ სხეულს,
მამული ჩვენი კვლავ დაიცავს თავის ღირსებას,
ისევ გამოზრდის ლომისა და ვეფხვის ბოკვერებს
და საქართველო პლანეტაზე კვლავ გაბრწყინდება.

1990 წელი





უშანგი მოსიაშვილი

ფიქრები

სიჭაბუკე გამეპარა უეცრედ,
ამედევნა უკვე ავი ფიქრები.
მე არ ვიცი რას მოვასწრებ ამ ქვეყნად,
ანდა კიდევ მე რამდან ხანს ვიქნები.
წუთისოფლის გზა სავლელად დიდია,
გასავლელი ბევრი ბეწვის ხიდია,
დაილოცოს ვინც რომ სწორად იარა,
ბევრ დავრდომილს მოუშუშა იარა.
იმათ რა ქნან ვინც რომ მრუდედ იარა,
ბევრ შემხვედრ კაცს გაუჩინა იარა,
ის სატანას მსახურია უიღბლო,
ქვეყნისათვის კარგი კაცი კიარა.

მონატრება

მუდამ ვნატრობ საქართველო,
იყოს ისევ დიდი,
მეზობლებთან მუდამ ქონდეს,
მისასვლელი ხიდი.
ძველებურად მეზობლობი
იყვნენ ჭირში ერთად...
მათ გასაჭირს ვიგებდი და..
თმებიც გამითეთრდა.
ქართველი ყველას ომში,
იყო მუდამ პირველი.
და მტრებისთვის მათი ქცევა,
იყოს გასაკვირველი.
მოწინავე იყო მუდამ,
საქართველოს ლაშქარი
მათ სარდლაბდა ვინმე გმირი,
თუ მუსლიმი ავშარი.
მათ გმირობით მოგვიტანეს,
ეს ლამაზი ქვეყანა,
მაგრამ ვერ შევინარჩუნეთ,
ჩვენ დიდება ვეღარა.
გევრდები ჩამოგვაცალა
თითქმის ყველა მხრიდანა,
აღარ დარჩა ჩვენი ხალხი,
სულ წავიდა მთიდანა.
მთა კი სულ ყოველთვის,
იყო გლეხის საშველი,
ომში მუდამ მოდიოდა,
მეომარი მაშველი.
რა დრო დადგა, რათ დავკარგეთ,
წინაპართა გენები,
ომში მუდამ იმარჯვებდნენ,
წინაპები ჩვენები.
ქვეყნის შიგნით ავირიეთ,
აღარა გვაქვს კაცის ბერი,
ჩვენი ასეთი ქმედებით,
არ დარჩება არვინ მთელი.
ჩვენ ერთმანეთს დავერიეთ,
ვიჯიჯგნებით როგორც მგელი,
და შემყურე ამ ამბისა
მე, სიკეთეს აღარ ველი.
ანდა დავდგეთ ყვლეა ერთად,
დავიბრუნოთ მიწა ძველი.
ძველებურად ავაყვავეთ,
გამრავლდება ჩვენი ერი.

რატომ აჩქარდა წუთისოფელი

რატომ აჩქარდა წუთისოფელი,
დღეები სწრაფად გადის,
ბევრი უჯიშო და უგნური
მაღალ კვარცხლბეკზე ადის.
მიხედ-მოხედვას რომ ვერ მოასწრებ,
კვირეები ისე გადის,
ბავშვიც ესწრაფვის წუთისოფელსა,
ცხრა თვისა უკვე დადის.
ეტყობა მიწაც ჩქარა ტრიალებს,
კაცი მთვარეზე ადის.
უნდა, რომ უფრო დიდხანს იცოცხლოს,
ამას იმიტომ ჩადის.
ეტყობა ღმერთსაც ვაწყინეთ რამე,
რომ თოვლი ხშირად გარდნის,
თუ დააკვირდით საქართველოდან,
ყველა მეორე გადის.
თუ არ მოვეგეთ მალე ჭკუაზე,
და არ ვიწამეთ ღმერთი,
ალბათ, დარჩება ამ ვეყანაში,
კაცი და მხოლოდ ერთი.

ბერი თევდორე

თევდორე, შე სულნათელო,
ჩვენთვის აიდგი ფეხიო,
შენ რომ არ გამოგვჩენოდი,
დაგვეცემოდ ამეხიო.
მტერს რომ ეგონა ქართველი,
მალე ღალატობს კერასო!!!
შენთან შეხვედრით დარწმუნდა,
რომ ვერ დაგაკლებს ვერასო.
ერსაც უშველე მეფესაც,
შენ კი დაგიჯდა ძვირიო,
მტერი დაჯაბნე დათრგუნე,
დარჩი მათ გასაკვირადო.
შენს ნაკვალევზე თევდორე,
ბევრი გაზრდილა შვილიო,
ბევრი შემბია მტრის ლაშქარს,
სისხლი უღვრია თბილიო.
შენი სახელი თევდორე,
ქართველთ გულებში დარჩება,
შთამომავლობას გადავცემთ,
გვეყოფა გამოსარჩლებათ.
დღესაც კი ათბობს მთადა ველს,
შენი გმირული სახელი, საუკუნეებს ეყოფ,
დიდების გამომსახველი.
თევდორე არ დაკარგულხარ,
არა ხარ ჩენთვის მკვდარიო!
ჩვენი ხალხისთვის მრავალჟამს,
იქნები ღმერთის დარიო.

დიდი წინაპრები

აბა მითხარით კიდევ ვის ყავდა,
ან გორგასალი ანდა დავითი,
განა არ არის ეს საკმარისი,
რომ ვიამაყოთ მარტო ამითი?
გორგასალი ხომ ძლიერი იყო,
მის დაძახილზე რეკდა ზარები,
დავითის დროშა ცას ნათელს ფენდა,
ნეტავ კვლავ გვყავდეს იმისთანები.
გზა გაკვალულით დღემდე მოვედით,
მამულს ატყვია ნაფეხურები,
ან მარტო რად ღირს მეფე თამარი,
რომლის ბადალი ქვეყნად არ არის.



მზია ელიაძე

ძირძველ ქართულ ანბანს

შენს ჩუმ, უცნაურ ლაბირინთებს
აეხილა ფარდა ძვირფასო
და ვეღარ ვმალავთ ამ საუნჯეს –
ღვთისაგან შექმნილ, სათუთ ჯილდოს.
ენას სიწმინდეს, ენას ლაზარეს
დამარხულს ღრმად და საიდუმლოდ
ღვთის დიდი მადლი და სიკეთე
ნაბოძები ო, უანგაროდ...
ჩვენი ვალია, გავუფრთხილდეთ!
მოვუაროთ! სული შთავბეროთ!...
... ჟამი დამდგარა შენს წინაშე
დავიჩოქოთ და გეთაყვანოთ.
თოთხმეტ ანბანში თავმომწონედ
ამაყო და გარმოჩეულო!
შენი დიდება აღიარეს,
იბერთ განძო, სამშუნოვანო
ოქროს ბწკარებავ, მზეს გადარებ
საოცარს, ლამაზს და უნაკლოს!

* * *

Ამღერებულა ბუნება
ბერწურით ღმერთს განადიდებს
გალობით, – საამო ჰანგით
დედა მშობელი გვიკრავს მკერდს.
ერთია წმინდა სამება,
ვით დედა ამ მიწის ქვეშეთს!
ზენა ნიავი ზეციდან
თბილ ლოცვებს მადლად დაგვაფენს!..
იდიდოს შენმა სახელმა
კაცთა იმედო, გამრიგე!
ლოცვას არ გვაკლებ, წყალობას,
მრავალჟამიერ, უფალ ღმერთს!!!
...ნამი მშვიდ სახეს გიფარავს
ოფლს ერწყმის სისხლი წვეთდაწვეთ
პილატეს უგულო ქცევით
ჟამი უდგებათ მღვდელთმავრებს!
რას გაუშვებდნენ ხელიდან
სისხლს სწოვენ ნეტარ შემომქმედს...
ტკივილი, ტანჯვა და გვემა
უჰ, რეალობად აქციეს!
...ფიქრი ვერ შველის ჩადენილს
ქვეყნიერება გლოვობს ღმერთს!!!
ღვთის მგმომ საბრალო კაცთ მოდგმამ
ყური დაუგდო ეშმას, – მკვლელს...
შვილებმა მამათ ცოდვები –
ჩამორეხონ, შეძლებენ?!
ცრემლი, გლოვა და წუხილი
ძე ღმრთისამ გააკრა ძელზე!
წარსულის ბნელი აჩრდილი
ჭაბუკ კაცს ექცა სიკვდილად?
...ხმა ღვთისა – უფლისა ჩვენის
ჯვრად გვესახება უგვან ხალხთ...
ჰოი, სამებავ, შეგვინდე!!!

სიყვარულის საძირკველი

სიყვარულია საძირკველი სიყვარულისა,
რომელიც მოდგმას აჯიდლოვებს
ახალი სულით.
მონაცვლეობა კანონია ცოცხალთ გენისა
უმტკივნეულოდ, ტკივილითაც წასვლა
შორს იქით!..
უსიყვარულოდ არ ამოვა ბალახი მიწად,
წყაროც არ მორთავს დედის
გულ-მკერდს ჩუმი რაკრაკით.
ცელქი პეპელა არ იცეკვებს
ტყე-მინდორ-ჭალად,
არ მოაწონებს თავს მეწყვილეს
ფარფატა კაბით!..
ვარდს არ გაუშვებს მოიქარგოს,
თუ არა გრძნობა
ეკალთა რიგში ჩამდგარი
ჩარიგებული.
და თუ ყვავილთაც არ იგემეს
გრძნობათ აღრევა,
ისე მომავალს ვერ დატოვებს,
შვილებს გაიზრდის!..
სიყვარულია საძირკველი
სიყვარულისა,
რომელიც მოდგმას ალამაზებს
ახალ თაობით.
მშვენიერება ღვთის მადლია
დამცვრეული თავს
ბედნიერებით სიყვარულზე დაფუძნებლი!..

ფიქრი

ფიქრი ძლიერ ამიჯანყდა, ამიწეწა გონება
მერე, ურცხვად მოკალათდა და შორიდან
მიმზერდა.
– ფიქრო, მითხარ, რა არ მოგწონს?
ფიქრო, გონჯავ, ტიალო...
ბოროტებამ არა გარგოს, ვერას
გახდე ბეჩავო!..

დატყვევებულა მზე

დატყვევებულა მზე ღრუბელთ ჯოგით
და ცის ტატნობზე გზას უკეტავენ...
ეფარებიან უსახურ ფთილით
ჰგონიათ, მწველ სხივს მზეს წაართმევენ.
მზე კი საკინძეს, ოქროს ღილიანს
შუბლშეკრულ ზეცას ცრემლებს დააღენს;
ვის შეუძლია უფლის წინ დგომა?
თვალით შეხედვა მის სიკაშკაშეს!..

იუდა

როგორ გაბედა, იკადრა, ამბორით
გასცა ღმერთი!
საბრალო, რამ აიძულა, მადლი
გაცვალა ვერცხლში?
კაცთა უდიდეს გენიას – აროდეს,
არვის დარი
იყო? არის! და იქნება ნეტარი
ღმერთი ცაში!!!
მაგრამ საბრალო იუდას ვიბრალებ,
როგორც კაცი...
... ეჰ, ცოდვა დიდი დატოვა
და წარუშლელი კვალი.





ლალი გონგლიაშვილი

სამშობლო

მშვიდობის მტრედის გული მაქვს,
ფრთები ანგელოზს ვესესხე,
ზეთის ხილის რტო მიჭირავს,
სამშობლოს მტრებს დავეძგერე.
მინდა, რომ მკერდით დავიცვა
ჩემი ლამაზი ქვეყანა,
ცაფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი
ვაჟკაც ქართველთა ენა და
ტრადიციები ძირძველი.
ნარნარი ცეკვა ქალების,
ვაჟების თითის წვერებზე
ტრიალი, ცაში გზრიალი
კოსმოსის ჰანგად ქცეული
ჩაკრულო მრავალ ხმიანი.
სტუმარ მასპინძლის ადათი
ქართული სუფრის გარაქა,
ჩვენი მთაბარის სიტურფე
მსგავს წალკოტს ვერსად ვერ ნახავ!
არასდროს არ გადაშენდე
ოქროში მზირო ბადახშო
ქართველო ერო გამრავლდი
სამშობლო გაქვთ საამაყო!

რუსთავი. 13.10.2019

სიზმარი

წუხელ ძილში დამეკარგა შვილი,
შეწუხებულს ვერვინ მცემდა პასუხს,
ხალხო, ჩემი გოგლა არ გინახავთ?
ნუთუ ვერვინ მოკრა თვალი წასულს?
ნათესავებს, მეგობრებს, უცნობებს,
სათითაოდ თვალს ვუყრიდი თვალში,
იქნებ ვინმეს ჩემგან დაფარულად
გაგიმხილათ საიდუმლო დიდი.
ჩემი შვილი გულს
არასდროს მტკენდა,
კაცურ კაცის ყველას ჰქონდა რიდი,
ჩემო ტკბილო, დარჩენილო ერთავ,
სიბნელეში გეძებ დიდი რიდით
უცებ სულში ჩამეღვარა სითბო,
ლამაზს, ტანადს, თავგაპარსულს ვხედავ,
კუთხეში დგას და თავისკენ მიხმობს,
„მოდი, გულში ჩამიკარი დედა“.
ვეხუტები და ვუკოცნი სახეს,
ჩემ ვაჟკაცის უტკბეს სურნელს ვსუნთქავ,
სად იყავი, ჩემო ერთადერთო,
გული ლამის შუაზე გამეხსნა.
და უეცრად გავახილე თვალი,
მოჩვენება ფიქრთან ერთად გაქრა,
დამრჩა მხოლოდ ცრემლის ნიაღვარი,
უბედობის, უძლურების განცდა.

ფიქრები რუსთავის ციხეზე

ქართველებო, გამოფხიზლდით, გაახილეთ თვალი,
სამშობლო ფეხქვეშ გვეცლება, ჩვენი ნატვრისთვალი,
ჩვენი კოხტა, მშვენიერი, ტურფა, საამაყო,
გარს გველეშაპი არტყია, ადგას ათი თავი.
ერთს მოჰკვეთ, სამი ამოდის, მშობელ მიწას გვიჭამს,
ხაპავს, ყლაპავს, გულზე ადგას, ვერ იოკებს მადას.
ამ მიწაზე დაუბერტყავს უფალს მადლის კალთა,
ლურჯი მთების თეთრ მწვერვალებს ნისლი ფიქრად ადგას.
ფიროსმანმა თუ მოხატა წალკოტები მთების,
ზურმუხტ მინდვრებს შეჰპარვია ფერი პეპლის ფრთების.
ქართველ გლეხის ოფლი მიწას დაჰღვენთია წამლად,
თითო წვეთი ღვთის განგებით ამოსულა ვაზად.
რქაწითელი, ოჯალეში, ციცქა, ხარისთვალა,
ხვანჭკარა და საფერავი, დირბულა და ჩხარა!
ვინ ჩამოთვლის ქართულ მიწის უკვდავების ნაჟურს,
ძველი ციხე-სიმაგრენი გვახსენებენ წარსულს,
წინაპრების სისხლით, უხვად გაჯერებულ მიწას
იმ გმირების აჩრდილები დღესაც ხმლებით იცავს
ციხე-კოშკთა ნანგრევები, გალავნები ძველი,
ეკლესია და ტაძრები ენა ძველთაძველი,
გვახსენებენ გმირულ წარსულს, განგაშის ზარს რეკენ,
ერთობისკენ მოგვიხმობენ და მხარდამხარ დგომას,
სიძულვილის დავიწყებას, სამშობლოსთვის კვდომას
სანამ ერთ მუშტად ვიქნებით, ვერას გვავნებს მტერი,
გონს მოეგეთ ქართველებო, რომ არ გაქრეს ერი!

რუსთავის პარკი. 15.10.2019



ლალი ლაზაშვილილ

კუკარაჩა

იცი, შენ, კუკარაჩა, რა არის სიყვარული,
თითქოს მეჩვენება, მიმზერ სინანულით.

ქალბატონო ანიკო, არ გვინდაო ამაზე დავა,
უბედურია კაცი, ვინც ამ ნიჭის გარეშე წავა.

უცებ ჩუმდება კუკარაჩა და ხმას არ იღებს,
ოღონდაც, რამე სთხოვეთ, სიცოცხლეს გაიღებს.

კარგი ბიჭი იყო,უბანი ამბობდაო,
ვინმეს თუ ჩაგრავდნენ, მისკენ გარბოდაო.

ქალბატონ ანიკოს ხშირად სტუმრობდაო,
თამაზის დასდევდა, ასე რომ ურჩობდაო.

ინგა შეუყვარდა თავდავიწყებითო,
მასზე საუბარს თავს ვარიდებდითო.

ბოლოს, შეიწირა ერთმა ავაზაკმა,
ერთმა უთვისტომო, მურტალო-არაკაცმა.

...არ დამღუპოვო, ყვიროდა ინგა და
არავის ესმოდა ტკივილი მის გარდა.

მერე, შვიდი ტყვია... ესროლა... ააცილა...
ბედმა უნდობარმა ყველას დააცილა.

...ამბობენ,დღესაც ახსოვთ ქობულეთის აღმართიო,
აღმართზე მუდამ გდია ერთი ბარათიო.

მეარღნეები და პოეტები
(პასუხი ტიციანს)

მე ალიონზე თეთრ დუქანთან
არ ჩამივლია,
არც ის მინახავს, როგორ ტირის
მტკვარზე არღანი,
მაგრამ მე ვიცი ბევრი ნინა
არ გათხოვილა,
სიყვარულით კი... მოწამლულა
ბევრი თამარი.

არავის პირას გახელებით
დაქრის ნიავი
და კალმახები მდინარეზე
დავლურს უვლიან,
როცა პოეტი ლექსის წერას
თავს დაანებებს,
თვითმკვლელობაში, ალბათ, ამას
თუ ჩაუთვლიან.

საქართველოში თუ ფეტვივით
თესავენ ვარდებს,
ა, ის პოეტიც, ვარდით ხელში,
ალბათ, მთვრალია,
მაშ, რად უმღერის თავის ნინას
ან თავის თამროს,
ხედავ, რომ მუზა პოეტისთვის
მაინც ქალია...

ჰეი, მეარღნევ, ყურს ნუ უგდებ
ათასგვარ ჭორებს,
სჯობს ქალის გულში ჩაიხედო,
სანამ ადრეა,
ის ხასიათებს შეიძლება
ათასჯერ იცვლის,
მაგრამ გახსოვდეს, იმ ერთისთვის
სავსე მთვარეა!

დ ე დ ა ს

მე შენს სახელზე მოვქარგავ იებს,
თან მივახატავ უამრავ კოცნას,
ქარს გამოვატან სითბოს და ალერსს
და სანთლის ალზე ერთ გამთბარ ლოცვას.

შეახე ხელი,შენი ფიქრია,
ერთი უბრალო დარდი და სევდა,
ბავშობაში რომ ხელს მაშველებდი,
ნუგეშს მაძლევდი,"მოგიკვდეს დედა".

ახლაც თუ ზოგჯერ უმწეო ვხდები,
შენ უხილავად ჩემს გვერდით გხედავ,
მე მაპატიე,თუ ისევ გიხმობ,
ჩემო სუსტო და ძლიერო დედა.

...მე შენს სახელზე მოვქარგავ იებს,
თან მივახატავ უამრავ კოცნას,
ქარი გადმოგცემს სითბოს და ალერსს,
გამოატანე მას დედის ლოცვა!

ნუ მიუხურავთ ჩემს ლექსს დარაბებს

ჩუმად გავცქერი ღამის წყვდიადში
ცად მოციმციმე ლამაზ ღადარებს,
იცის,გრძნობების მესაიდუმლემ,
რომ ჩემი ლექსის სიზმრებს ვადარებ.

წავალ,მოვივლი ზეცის სამეფოს,
გამინათებენ გზას კენტავრები
და მათთან ერთად შევკრავ კამარას,
არ დამჭირდება დითირამბები.

მე დიონისეს ვჩუქნი ჩემს ლექსებს,
გულს დავაბნიო მინდა ჰანგებად
თან ამ ჰანგებში ჩემს სულს ჩავტოვებ,
ვიცი, ლექსებსაც გაუხარდებათ!

შემოიგლიჯავს ღამე შავ ზეწარს,
აეშვებიან ცისკრის აფრები,
გამომყვებიან გზად მზის სხივები,
თეთრი მუზები, როგორც ამქრები.

ვიცი,სიკვდილი მაშინ მეწვევა,
როცა ჯერ კიდევ არ ველოდები,
აცრემლდებიან ჩემი ლექსები
და ჩემი მუზის ანგელოზები.

მე სამუდამოდ ცას შევერწყმები,
ფეხით დავივლი ზეცის ქარაფებს,
გთხოვთ, უჩემობას ნუ აგრძნობინებთ,
ნუ მიუხურავთ ჩემს ლექსს დარაბებს!

ჭიამაია

შენ ვინ დაგარქვა ჭიამაია,
ნაზო მშვენებავ, ასულო მზისა,
საიდან გაჩნდი,საიდან მოხველ,
მიწისა ხარ, თუ ლურჯთვალა ცისა.

მაჩუქე შენი ლამაზი ფრთები,
შემოვუფრინო ვარდებს, შროშანებს,
ტანზე მოვირგო წითელი კაბა,
მივუალერსო ფერად სოსანებს.

ვინ მოგიხატა მხრებზე ხალები,
შავი ხალები,როგორც გარხატი,
ნეტავ,ვინ იყო შენი მხატვარი,
ასე რომ ფასობს მისი ნახატი.

შენ ვინ დაგარქვა ჭიამაია,
ნაზო მშვენებავ,ასულო მზისა,
საიდან გაჩნდი,საიდან მოხველ,
მიწისა ხარ თუ ლურჯთვალა ცისა.

სიზმრად ვნახე საქართველო

სიზმრად ვნახე ერთი ქალი, თმებგაშლილი, საოცარი,
თეთრად იყო შემოსილი, იდგა, როგორც სალოცავი!

ის ისეთი ნაზი იყო, ისე თბილი, როგორც დედა,
მითხრა, უნდა მაპატიო, თუ შორს ვარ და ვერა გხედავ.
გაოცება ვერ დავფარე, მაპატიე, ვერ გიცანი,
შვილო, არა, შენ არ ტყუი, დედად თუ ვერ შემიცანი...

მოდი, უფრო ახლოს მოდი, ხელებს შლიდა საფერებლად,
მე რომ შენ დღეს არ მენახე, მოვდიოდი საძებნელად.
მერე, უცებ აღიღინდა, თან ტიროდა, თან მღეროდა,
გავბედე და ახლოს მიველ, მეც ცრემლები მომრეოდა.

ფიქრმა სადღაც გამიტაცა, არაფერი არ მესმოდა,
თვალები რომ გავახილე,იავნანა ჩამესმოდა...
...და თანდათან ავლუღლუღდი, ქართველი ვარ, ემიგრანტი,
სამშობლოში დამაბრუნე, იქ გავლიო ჩემი მარტი!..

უფრო ახლოს მიმიზიდა, უფრო ახლოს მიმიყვანა,
მე დღეს შენთან რომ მოვედი, სიყვარულმა მომიყვანა.
...მერე, უცებ მომიბრუნდა, შვილო, ჩემო სადარდელო,
შენს წინაშე, ვინ დგას, იცი, შენი დედასაქართველო!..

ვიდექი და ვკანკალებდი, შევიღებე მიტკლის ფერად,
მხრებზე ხელი შემომხვია, დამშვიდდიო, გთხოვ, ამჯერად.
ჩემს კალთაში გამოგზარდე, მე გასწავლე ანა-ბანა,
მითხარ, დედა თავის შვილებს დაივიწყებს ოდეს განა?!

...უცაბედათ შევტორტმანდი, ჩამორეკეს თითქოს ზარი,
მომეხვია, ჩამეკონა და მეც გულში ჩავეკარი...
თან ბავშვივით ავზლუქუნდი, არ წახვიდე, არ დამტოვო,
გინდა ისევ დამივიწყო, გინდა, ისევ მიმატოვო?!

კიდევ ერთხელ, გთხოვ მიმღერო, გამაგონო ეგ ნანინა,
წამიყვანე სამშობლოში, სხვის მიწაზე მე რა მინდა!..
ცრემლი ღვარად მოსდიოდა, თან მლოცავდა გამუდმებით,
შვილო, ცოტაც მაცალე და ყველა ჩემთან დაბრუნდებით!!!

...სიზმრად ვნახე საქართველო, ლამაზი და საოცარი,
თეთრად იყო შემოსილი, იდგა, როგორც სალოცავი!

მარტის არია

დღეს გაზაფხულმა კარი გააღო
და მარტის სუნთქვა შენში არია,
მე სიყვარულით რომ გეფერები,
ლამაზო ქალო შენი ბრალია!

ეგ სილამაზე ღმერთმა გიბოძა,
ევას გრძნობები შენში გარია,
სულ ღიმილები დაგბედებოდეს,
შენთვის უკრავდეს საზანდარია!

შენ სიყვარულის ნაზი სუნთქვა ხარ,
ხარ გაზაფხული კვირტად შობილი,
ამწვანებული პურის ყანა ხარ,
ცის ნამი არი შენი დობილი!

შენ თბილ კერიას სანთლად უნთიხარ,
მხრებზე გასხია ტრფობის წადილი,
შენ მამაკაცის თბილი სუნთქვა ხარ,
ხელშეუხები თეთრი მანდილი!

ეგ სილამაზე ღმერთმა გიბოძა,
ევას გრძნობები შენში გარია,
მე შენ მოგიძღვენ დღეს ჩემი გული,
შენთვის ვიმღერე მარტის არია!

მეჩვენება მიკაკუნებ კარებზე

შემოდგომის სუსხი უკვე კართან მოდგა,
ჩვენს ნაკვალევს,სულ წაშლიან წვიმები,
შენზე ფიქრი,ვიცი მარტოს არ დამტოვებს,
სადაც წავალ, კუდში ამედევნები.

დრო თანდათან სიზმარივით გაიპარა,
ხმები მესმის ძველებური დარების,
სიძულვილი სიყვარულში გადავცვალე
და გავშვივით მჯერა ისევ ზღაპრების.

ახლა სახლში მარტო ვზივარ, ჰო, მარტო
და ცრემლები მოგორავენ თვალებზე,
ფეხის ხმაზე რამდენჯერ წმოვდექი,
მეჩვენება,მიკაკუნებ კარებზე...

აქ ფოთლები შარიშურით დადიან
და ქარები ირწევიან კარებში,
ფანჯარასთან უცაბედათ შეგნიშნე,
მდარაჯობდი, ალბათ, ამ ბნელ ღამეში.

მე კი ისევ მარტო ვრჩები, ჰო, მარტო
და ცრემლები მოგორავენ თვალებზე,
ფეხის ხმაზე რამდენჯერ წამოვდექი,
მეჩვენება მიკაკუნებ კარებზე.


მე უშენობა გადამდებია

შენ შემოდგომის ფერებს დაითვლი,
როცა დარჩები საკუთარ თავთან,
მე ფოთოლცვენას დაველოდები,
იქნებ შემომხვდე იმ ჩვეულ გზასთან...

გამოფენილან სევდის ფერები,
მოწყენილობა თანამდევია,
ნეტავ შემომხვდე გზის გასაყართან,
მე უშენობა გადამდებია.

* * *

იქნებ გავასწრო, იქნებ წავიდე
და ვინავარდო იალაღებზე, გავცდე,
გავექცე
ამ საწუთროს ნისლში დაფარულს,
რაღაც სხვა მინდა უცნაური, სუფთა, კრიალა
ვერ გამიგია ჩემი გული
ამ ცოდვილ სულში რად აგრიალდა,
მართალს ვადიდებ, მაგრამ ქრისტეს
ვკლავ წუთში სამოცჯერ
და ვინ მოსთვლის წლებში რამდენჯერ,
ცოდვის მორევში გამოსასვლელ გზად
მხოლოდ შენ ხარ
მხოლოდ შენ გძალგიძს რომ ჩამკიდო
ხელზე ხელები
ქრისტეს სიკვდილში გავიწაფე
და ალბათ მალე იუდასთან დავმეგობრდები,
იქნებ გავასწრო, იქნებ გავფრინდე თორემ
ცოდვას ცოდვაზე ვალაგებ აგურივით
და სულ მალე ერთ დიდ სასახლედ გადაიქცევა
რომლის დანგრევა თვით უფალსაც გაუჭირდება,
ჩემი ყოველი გაფიქრება, ბილწი აზრები,
ვიცი, გულს გიკლავს ჩემზე ლოცვით
ხარ გადაღლილი
ვიცი სასთუმალს თუ დავადე თავი ამაღამ
სიზმარში გნახავ, უფალო, ჩემო, არ გამიბრაზდე,
წუთში სამოცჯერ ქრისტეს სიკვდილს მე ვაღიარებ
და უნდა ვზიდო მძიმე ჯვარი სოფლის ბოლომდე,
გზა ხორკლიანი, გზა ეკლიანი მე არ მაშინებს
და ღვთის სიყვარულს მისთვის
სიკვდილი თუ მაზიარებს!



გიგი თეთრაძე

* * *

ის, რაც მქონდა, უკვე დავკარგე,
ტყის ფოთოლივით ქარმა წაიღო,
ის, რაც მინდოდა, წლებში ჩავქარგე,
გულმა გრძნობისთვის ბევრი გაიღო.

სიმარტოვეა თავშესაფარი,
თავისუფლება ამგვარი არ მსურს,
ვიცი, დადგება დრო შესაფერი,
სული სუფთაა, არავინ არ სძულს.

მერე გაივლის ათასი თოვლი,
ათასი ფიქრით მოგწვდები ღამით,
ვფიქრობ, არაა შენამდე შორი,
თუ შეგაწუხე, ბოდიში ამით.

ვიცი ვერასდროს აგიხდენ
ცხოვრებას გაყვები ტკვილად,
წასულ წლებს ვალად ავიღებ
და გულში დაგრგავ ტირიფად.

გააქრეთ შავთეთრი სამყარო,
წავალ და ჩემსას დავხატავ,
აქ ცივა, ყინვა და სუსხი მაციებს,
იქ ყველაფერს თბილად დავქარგავ.

ალიონს ელიან დაღლილი თვალები
ცრემლი შეაშრა მარტოსულ სასთუალს,
გაყინულ ქუჩებში ყეფენ ძაღლები,
სიყვარულს მაჩუქებს, ვიღაცა ამ დილას.


24.03.2020

* * *

და ჰა, გავიდა წლები უმზეოდ,
შენს ლამაზ თვალებს მიწა აყრია,
დგას თებერვალი ყავარჯნით ხელში
ლურჯი თვალები ცრემლით ავსია.
შორს ჰორიზონტზე მოსჩანს სისხლები,
აქაც სისხლი და მკვდართა ჯარია,
არ გაგეყინოს თბილი თითები,
თბილად ჩაიცვი, ცივი ქარია.
მოწყალების და სიკეთის მტრედო,
თავისუფლების წყურვილი გკლავდა,
ბოლო წვეთამდე, ბოლო სუნთქვამდე,
შენი თვალები ლომისას გავდა.
მარადისობის ცივ სამარეში
შენი დიდების ცეცხლი ანთია,
შენს დაღვრილ სისხლზე მიდგას ფესვები
სისხლი, რომელიც ამ გულს ატყვია.
და ჰა, გავიდა წლები უმზეოდ,
შენს ლამაზ თვალებს მიწა აყრია,
დგას თებერვალი ყავარჯნით ხელში,
ლურჯი თვალები ცრემლით ავსია.
მარო მაყაშვილის ხსოვნას
2020

* * *

წასვლას ინატრებდა კაცი,
მაგრამ სიყვარული რჩება,
ალბათ, ცხოვრებაა მკაცრი,
რადგან ყველაფერი ქრება.
რადგან ყველაფერი მიდის,
უკან მოსახედი რა მაქვს,
მირბის, ეს ცხოვრება მირბის,
აქ ყოფნასაც აზრი არ აქვს.
წავალ თითქოს არც ვიყავი,
თითქოს მოლანდებად დავალ,
კარგად მხოლოდ შენ იყავი,
მე კი არაფერი არ ვარ.
გული რომ მატკინა ქარმა,
ყინვამ რომ იმატა ჩემში,
მაინც დამიძახა ქალმა,
მაინც ჩამიხუტა მკერდში.
როცა ღმერთად აქცევ გრნობას,
როცა სიწმინდეებს ეტრფი,
მაშინ აქვს აზრი ყოფნას,
შენ რომ სიყვარულზე მეტყვი.
თითქოს ლანდად დავალ ქვეყნად,
გული გაგიჟებით ფეთქავს,
ნეტა ახლა ვიყოთ ერთად,
გარეთ გაწვიმდა და ელავს.
გარეთ საშინელი დროა,
წვიმა ეხეთქება მინას,
მალე ოთხიც მოვა,
მე კი, საერთოდ არ მძინავს.
ფიქრით მთელ სამყაროს ვუვლი,
ჩემი ოცნებები კვდება,
ქარო, რა შორიდან მივლი,
ხედავ, ყველაფერი ქრება.
ახლა ღამის არის ხუთი,
ნეტავ, სად გამიქრა შვება,
ყელში მეჩხირება გურთი,
ფიქრი თავისას შვრება.
ვიცი, რომ ვიქეცი მონად,
წლებმა და ფიქრებმა დამცეს,
ღმერთო, დამიფარე ყოვლად,
ღმერთო, ქრისტესავით გამცეს.
როცა განვადიდე გრძნობა,
მაშინ მე ვიწამე ღმერთი,
გულმა მაშინ იწყო დნობა,
გულმა მაშინ მითხრა ერთი.
თუკი სიცოცხლეა წყნარი,
თუკი გიხარია რამე,
მხოლოდ სიყვარულით არი,
გინდ მზე და გინდა მთვარე.
2017



თემურ გოგსაძე

* * *

... მიზიდავს, მხიბლავს, რაც
სამყაროში –
ცოტა, მარტივი და უბრალოა?!
წუთისოფელში,
დროის მადლს – დროში,
არ ვფლანგავ, რადგან სავალალოა!

არ მინდა- გევრი,
ცოტას-ვჯერდები!
რადგან ამ ქვეყნად,
კარგი- ცოტაა?!
გოროტთან, ვიცი, ვერ შევჯერდები!
გევრში კი, რადგან, გევრი – ცოდვაა!

აღტაცებულის
ცრემლით მასველებს –
გარშემო, რაც კი, გუნებრივია!
მარტივი, რადგან,
სიბრძნით მეტყველებს!
უბრალო, რადგან,
ღვთაებრივია!

და ღმერთიც,
მერე, მარტივად, მოვა?!
უბრალო, იმ დროს,
ცოტა-ვიქნებით?!
ანტიქრისტესგან –
მოვლენილ გლოვას,
განვეშორებით,
უფლის მიგნებით!

„რაგბი ჩვენი თამაშია!“

კავკასიის მთები გვზრდის და,
ჩვენი ძალაც, ამაშია!...
როგორც იქნა, ხმა აზვირთდა –
„რაგბი ჩვენი თამაშია“!..

საქართველოს სიყვარული,
საქართველოს ერთგულება! –
საიდუმლო, ამაშია!....
დე, იქუხოს, ტრიბუნებმა-
,,რაგბი ჩვენი თამაშია“!!!

მსოფლიოს და ერთა თასი,
ხვალვე, მაღლა, რომ ავწიოთ,
ვერ ექნება, სრული ფასი –
მტერი, პაპის ყანაშია?!
- - - - - - - - - - - - - - -- - - --
ეს საზღვრები, გადავწიოთ,
ქვეყნის დახსნა – ამაშია!!!
მაშინ ვიტყვით, ვალმოხდილნი –
„რაგბი, ჩვენი, თამაშია!!!

ნაბიჯ - ნაბიჯ, ჩვენს სამშობლოს,
დავუბრუნოთ ძველი რწმენა! –
მისიაც, ხომ ამაშია?!!!
რწმენის ძალის აღსადგენად –
,,რაგბი ჩვენი თამაშია!!!“

მოედანზე – გულით, ცხელით –
სიყვარული – ამაშია! –
დაივიწყეთ, გვარ – სახელი,
საქართველოს თამაშია!...

საქართველოს გამარჯვება-
ერთად დგომის, ძალაშია!...
თავისუფალ ერს ემღეროს –
„რაგბი, ჩვენი თამაშია!!!“
- - - - - - - - - - - - - - -- - - - -
თავისუფალ ერს ემღეროს-
„რაგბი ჩვენი თამაშია!!!“

სიყვარულის ხატი

* * *

ხელისგულზე ვაზავებდი ფერებს...
გიხატავდი სიყვარულის ტაძარს!..
ჩემი თავი, თითქმის დავაჯერე-
ჩავაქრობდი განშორების ხანძარს?!..

გუშინ, ზეცას ვუგალობდით, ერთხმად....
ხვალ კი, უკვე, მოგონება-ვხდებით ?!..
სიყვარულის მზე, გვაჩუქა ღმერთმა...
თუმცა ამას, ძალზე გვიან, ვხვდებით !...

დრო, წამების, ბოლო წამებს მითვლის...
ფერებში ვდებ, ყოველდღიურ კოცნას...
ჩვენი, ნაზი, სიყვარულის მითი,
პლანეტებზე, ვიცი, გაიტყორცნა!!!

ემოცია, გონმა გადაფარა...
ძველმა სიბრძნემ, სევდაც მომიქარგა...
არაფერიც, არ მთავრდება, არა-
იმას ვიძენთ, თურმე რასაც ვკარგავთ !!!

გაიხსნება გზა, იქ, სადაც, არ ჩანს-
უსაზღვროა, რწმენის ანდამატი!...
მთავარია-სიყვარული დარჩა
და ნახატი- სიყვარულის ხატი!!!

სიყვარულის ანარეკლები

* * *

კოცნით დაგიშანთავ-
ნანატრ, ლამაზ სხეულს!...
სულზე მოგიხატავ,
მარტის ყოჩივარდებს..,
რომ ამ სიყვარულით,
სავსე- გადარეულს,
ქვეყნად სხვა არავინ,
აღარ შეგიყვარდეს !!!

მერე ამ წამებსაც,
ტილოდ გარდავსახავ-
სულში შემოვარდნილ,
გრძნობის, პირველ მეკვლეს !..
მარადისობისთვის
ასე, შევინახავ-
ჩვენი სიყვარულის,
ლამაზ ანარეკლებს!!!

\- -

მარადისობისთვის,
კრძალვით შევინახავ
ჩვენი სიყვარულის,
ლამაზ ანარეკლებს!!!





თამარ ჯაჭვაძე

ხვალ აღდგომაა

შენ ახლა ჩვენთვის ჯვარზე ევნები,
სიკვდილის შიშით ბოდავს სამყარო...
დგანან მდუმარედ ფარისევლები,
და გცდის ცოდვილი; ღმერთს შეაყვარო!
ვის წვავს სისხლიან შუბლის ტკივილი,
ვის ესმის დედის წამება - გლოვა...
უკვე მიწყნარდა მამლის ყივილი...
უფალი სუფევს, უფალი მოვა!
იმედი უკვე ჯვარზე ჰკიდია,
ვიდგეთ, ველოდოთ, ვზვეროთ შორიდან...
სხვა მნათობები ციდან მიდიან...
და დღის ნათელი ნელა მოვიდა.
და... სიყვარული ღმერთივით არ ჩანს...
ისევ სველია ღია ჭრილობა...
კიდევ რამდენი გამოცდა დაგრჩა,
რომ დაამწიფო კაცობრიობა?!
რომ არ ხიბლავდეს ჩხრიალი ვერცხლის,
რომ არ ჩაწიხლოს მოყვასის რწმენა...
საკუთარ ცოდვებს სამყარო ვერ ცვლის
სიტყვების ტყვიებს ვერ ტოვებს ენა.
განგრევს დუმილი და სიძულვილი...
ქვების სროლა არ დააგვიანო!
ზეგ კვლავ გაჩნდება, ჯვარცმის სურვილი,
ხვალ აღდგომაა, საქრისტიანო!!!

აღსარება

სიცოცხლის ბილიკებს ტკივილით ქარგავენ,
ძალუძს მედიცინას რჩენა იარების?!
გაძლების ნიჭი მაქვს ჯერ დაუკარგავი,
ზეთი გაბრიელის, ღვინო ზიარების.
როგორ დაცრეცილან ეკვდერის ხატები,
ჟამთა გარდასულთა შუქ-ნაამბორალი,
ცოდვილ სულს სატანჯველს ისევ ამატებენ;
ჯვარცმულის შუბლი და იუდას მორალი.
ბედი ჯოჯოხეთის კარებს მიჭრიალებს,
მომელის სიშმაგე მის შავი თვალების...
და აღმსარებელთა აყუჩებს იარებს;
ზეთი გაბრიელის, ღვინო ზიარების.
თავს ნუ მოიტყუებ, ნუ დაიტანჯები
და ჩემს დაშინებას ნუ ცდილობ სატანავ,
ყელსაც შემიმკობენ თვითმკვლელი ქანჩები,
შევძელ ჯოჯოხეთის ამქვეყნად ატანა.
ქრისტე, მამაღმერთზე უფრო ლმობიერი,
იცოდა შენდობა ვინაც ჩემდარების,
მოვა, მოიტანოს რწმენაზე ძლიერი;
ზეთი გაბრიელის, ღვინო ზიარების.
კანდელში კანკალებს იმედი აჩრდილად,
სამყარო ტაძართან დამჯდარა მათხოვრად...
და რწმენის შერყევა ვინც გამიადვილა,
ბორგავს, ფარისეველ სექტანტების ხროვა.
ბინძური მგონია მე ჩემი ტუჩები,
ღვთისმშობლის ხატებო, ვერ გეამბორებით,
ვინ იცის, რამდენი გლოშნით ლაყუჩები,
სხეულში უჩინარ ცოდვათა გორებით...
და ვიდრე საფლავზე მარტოხეს დარგავენ,
სულში შრიალია სველი იარების,
ღვთისმშობლის იმედი გვაქვს დაუკარგავი,
ზეთი გაბრიელის, ღვინო ზიარების.

* * *

ცივი დუმილი მანგრევს გულგრილთა,
შენც ტკივილივით არ დამიამდი...
რა ვუპასუხო, ღრუბელმა მკითხა;
რითი ფასდება ადამიანი?

დედავ, ქართველად აღზარდე შვილი!

მდუმარე შუბლზე მეხს გადაივლებს
კავკასიონი, ფიქრებაშლილი...
დედავ, გაძლება ასწავლე შვილებს,
დედავ, მებრძოლად გაზარდე შვილი!

დღე გვედგა უფრო ცივი და მკაცრი,
დუღდა მდინარე მოკვეთილ თავთა...
თავს არ იკლავდა ქართველი კაცი,
ქართველი კაცი თვით სიკვდილს კლავდა!

არ ჩაიმუხლო, სულს ნუ გაიშრობ,
ცრემლით ჩარეცხე დარდი ფარული...
დედავ, ქართულად გაზარდე პირმშო,
უფლის მოშიში და მოყვარული.

სად მიდის ნუკრისთვალება გიჭი?
სიმართლეს უყვარს განდეგილობა.
თვითმკვლელობაა გაბედვის ნიჭი,
თვით სიცოცხლეა დიდი გმირობა!

პოპულარობის მკვლელი გაცილა;
კრივი, შეჯიბრი, ლექსად თარეში...
ერისკაცთაგან ერი დაცლილა,
მზე აღარ მზეობს მზიან მხარეში!

ვიდრე ზამთარი ფოთლებს ჩაგვილევს
ნერგი მიხარე, ვარდად გაშლილი...
დედავ, გაძლება ასწავლე შვილებს,
დედავ, ქართველად აღზარდე შვილი!

ორი ქალი

“14 წლისა მონაზვნად აღმკვეცეს
74 აქ შემისრულდა. რა ლამაზი იყავი გიჭო!”
ვანის ქვაბების წარწერა.
“გაღმა სოფელში ასკილი ყვავის.”
**ეპიდემია მოდებულ სოფელში ჩაკეტილი
დედის მიერ კედელზე მიწერილი.**

დაგიცოტავდათ გიჭის აკვნები,
განდეგილ ქალს და მომაკვდავ დედას.
ვით დაიტევდა ბნელი საკნები
სიკვდილის სარძლო ქალების სევდას?!

ვანის ქვაბიდან გაზაფხულს გაჰყვა
მონაზვნადქცეულ გოგოს გოდება...
უკვე სამოცდათოთხმეტის გახდა,
ისევ ის გიჭი რად აგონდება?!

მთას საკუთარი კანონი იცავს,
ქალი კი არა, ქარიც არ ურჩობს...
კვდება, ახუტებს ტიტველა მიწას
რძიან ძუძუებს, უჩვილისტუჩოს.

იმ გაზაფხულზე სულ პირველ ყვავილს
ქალის ოცნება დახვდება ღრიჭოდ...
“გაღმა სოფელში ასკილი ყვავის.”
და... ”რა ლამაზი იყავი გიჭო!”

ჯარისკაცი მწვერვალები

ირყევიან მეხის პირველ შეძახილზე!
როცა მიწას გაზაფხული ეძალება,
ბორიალობს კავკასიის მთაგრეხილზე
თოვლიანი მწვერვალების ელვარება.

მეწყერივით მტერი თუნდა მტერს მოებას
აშინებენ ხმალთა თეთრად ელვარებით...
დარაჯობენ საქართველოს მყუდროებას,
თეთრჯავშანა ჯარისკაცი მწვერვალები.

მე მარტო შენ გეძახოდი

სად დაგეწიო, სად წახველ,
ფიქრებით ნაალერსები...
დავჯექი და სიყვარულზე
ტირილით ვწერე ლექსები.
ჩამოვახიე ცის კაბას
გულისპირს სველი ღრუბელს,
არ ვიცი სად გაინაბა
ეგ ცრემლებგადაუღები.
საით გამიქრი, რა იყო,
ბილიკ-ბილიკ თუ ახოთი...
რამდენმა კაცმა გაიგო,
მე მარტო შენ გეძახოდი.



მარი მიბილური

*****

სხვის მიწაზე გადაღლილი
რწმენით ვუმზერ ღვთიურ ზეცას,
გულში სიყვარულის თესლი
ბავშვობიდან ჩამეთესა.
არავინ ვარ უსამშობლოდ
ვერც ვერავის ვერას ვარგებ,
ის ნერგიც კი ამიჩეხეს
ჩემს მამულში მე რომ დავრგე.
უფლის მადლის იმედი მაქვს
რწმენით ვავლებ რითმთა ხნულებს,
სხვის მიწაზე გადაღლილი
ვკოცნი უფლის ნაფეხურებს.
არაფერი არ მსურს ქვეყნად
გლეხი მინდა გლეხად დავრჩე,
არც დიდება,არც წოდება
ამ გულს ვეღარ გადაარჩენს.
მხოლოდ ჩემი მთები მინდა
დარიალში ჩქეფდეს თერგი,
ქალამნებით ვივლი ისევ
ღმერთო დამილოცე „თერძი".
ვისაც გინდათ ჩემი გული
თუნდაც რამით გაახაროთ,
გევედრებით ამ გულივით
საქართველო შეიყვაროთ.
– გევედრებით არასოდეს
დაივიწყოთ წინაპრები....
არასოდეს დაივიწყოთ,
ყველა იქ ვართ მიმავლები.
მე არ მინდა ლექსებისთვის
რომ დამიდგან გმირის ძეგლი,
ეს კალამი უფლისაა,
სამშობლოსაც მისით ვეტრფი.
სამადლობელს ვეტყვი უფალს
რომ ქართველად დავიბადე,
სხვის მიწიდან ,ჩემი ქვეყნის
გული-გულში ჩავიხატე.
მხოლოდ ერთს ვთხოვ,
– არ მიმტყუნოს
აქ არ დამიბნელდეს ზეცა,
ჩემი მიწის ჩახუტება,
სანატრელად გადამექცა.

18.06.2019

* * *

ლამაზად მოველ,ლამაზად წავალ
გლეხის გაზრდილი,გლეხად მოვკვდები,
თუ უფალს უნდა გოლგოთას ავალ
და ცხოვრებასაც მაშინ მოვრჩები.

– აბა რად მოველ,
თუ არ ვიგემე,
ის ტკივილები რაც უფალს ვარგე,
გული ტკივილით თუ არ ვიჯერე
ჩემი ცოდვები მე თუ არ დავგმე.
წავიღებ ჩემს ჯვარს,
უფლისგან ნაკურთხს,
და უფალს ჩემი ცრემლით
ფეხს დავბან,
უფალთან დავცლი ცოდვისგან ამ გულს
უცხო მიწაზე ნაგვემს და ნატანჯს.

მომბეზრდა უკვე ფუჭი ლაყბობა
წერა იქ სადაც არავინ გისმენს,
წავიღებ კალამს უფლისგან ნაკურთხს
და მოწიწებით უფალსვე მივცემ.

******

არ ვიცი რატომ მეშინია ოქტომბრის ქარის,
გული მიკვდება როცა ხეებს ფოთლები სცვივათ,
გულგატეხილი და ძლიერი, მზისგულა ქალი,
ძირს დაცვენილი ფოთლებივით ვკვნესი და ვგმინავ...
მაძინებს ზამთრის დაუნდობელ დღეთა სიმკაცრე,
ქარი,სიცივე,წვიმები და ქარტეხილები,
თუ გადავურჩი,ზაფხულამდე თუკი მივაღწევ,
აღარ მადარდებს ღამე შიშით გატეხილები....
გამოზაფხულზე ტყის ფოთოლთა შრიალი შემშლის,
ავჟღურტულდები ნაზამთრალი ვითარც ბეღურა,
ღვთიურ მდელოზე ამ
დანესტილ ლექსებსაც გავშლი,
წამოვუწვები ძველ ნაბადზე ისევ გლეხურად.
დაღლილ გულს ჩემი საქართველოს მზეს მივაფიცხებ,
გვირილებს მოვფენ წინაპართა ხავსმოსხმულ საფლავს,
ამ ყველა ტკივკლს და მონობას გადავივიწყებ,
აღარასოდეს დამიძახებენ უცხოელს – საწყალს.

19.10 .2020
მილანი.

ჰეი მამულო!

– ჰეი მამულო,კურთხეულო,
უფლის სავანე,
ლოცვად ქცეულო
ემიგრანტის
დარდო – იარა,
ჩვენ დავბრუნდებით და ჩაგიკრავთ გადაღლილ გულში,
რომ მოგიშუშოთ დაფლეთილი გული მთლიანად.

ჰეი მამულო,
შენ ილიას, ვაჟას აკაკის,
შენ, დიდი შოთას აღმზრდელო და მიწავ დიადო,
შენ გაგვიზარდე ბევრი ბრძენი, ბევრი პოეტი,
იქნებ ჩვენც შევძლოთ
სიყვარულით აგამზიანოთ.

ჰეი მამულო, უფლის მიწა,
უფლის სავანე,
იქნებ შევძლოთ და მოგიშუშოთ
მწველი იარა,
შენს თბილ გულშიაც არ გვეღირსოს მიწავ სამარე,
თუ არ დავსაჯოთ ვინც სამშობლო გაგვიტიალა.

არ შევარჩინოთ ორგულ მოძმეს,
ერის ღალატი,
ქართული მიწის გასხვისება არ ვაპატიოთ,
არ დავივიწყოთ წინაპართა დიდი ამაგი,
მტერი ოხერი გავაქციოთ და დავარბიოთ.

არ ვაპატიოთ ქრისტიანის ეცვას ფარაჯა,
სულში კი მხოლოდ
სიცრუე და ღალატი ედოს,
ჩვენ დაგიდგებით მიწავ ჩემო,
ერთგულ დარაჯად
ოღონდ შენი მზე ღვთიურ ცაზე მარადჟამს ენთოს.



ლალი მჭედლიძე

ისეც ჩუმად, ისევ ჩემთვის...

ისევ ჩუმად ისევ ჩემთვის,
ვეძებ სიტყვას, მე რომ მშველის...
ვაზის ფოთლით ნაფერები
რჩება სხვიხი აივნები
არის გზები, იქნებ- თქვენი,
მინდა იყოს ერთიც- ჩემი
ზოგჯერ ფიქრის, ზოგჯერ თმენის,
მაჯის ცემასავით ცელქი!
იყოს ნატვრა -პაუზებით,
ზოგჯერ ცრემლით, ზოგჯერ სევდით,
მაგრამ იყოს სიყვარული
ყველა ფერით, ყველა გგერით!
იყოს მუდამ მონატრება,
იყოს ცემგან, იყოს ჩემთვის...
გადამალეთ პაიკები,
მე დედოფლის გვირგვინს ველი!
მაინც ჩუმად, მაინც ჩემთვის...
მე მივაგნე ლოცვას სენთვის...
მოვიხდინე მაქმანები
ატმის ყვავილების ფერში.
შენ გიგრძვნია მზის ალერსი?
ან ჩურჩული-კედლის, ფრესკის?!
აზელილი- სისხლით, ქვიშით,
ნახე ანგელოზი ჩემი?
ხელისგულზე რწმენა მეწვის...
მე შენ შეგხვდი!

ეს საათიც გაჩერდა

ეს საათიც გაჩერდა,
ეს ხომ სხვიხი სახლია?!
კიდევ ერთხელ ღამდება,
თუ გათენდა კარგია!
ჩემს კოპწია თოჯინებს
ახლა ალბათ არც მოვრთავ,
უკვე წასვლა მომიწევს,
ვიდრე ისევ გათოვდა...
ფაბიანის, , მიყვარხარ'
ცრემლს და სევდას მაყოლებს,
მე ახლოს ვარ მიზანთან,
წარსულს თქვენთან დავტოვებ.
ყველაფერი რაც იყო
წლებმა უკვე წაიღო,
უცნაური ქალი ვარ,
თქვენ ვერასდროს გამიცნობთ!
როცა ყველა იცინით,
და არავის არ ინდობთ,
როცა სხვისი ტკივილით
უდარდელად კაიფობთ,
მაშინ ვიდუმალდები,
დარდმა რომ არ წამიღოს,
უცხო ვიზუალები,
დრომ თავისად გაიგო...
ეს საათიც გაჩერდა...
ეს ხომ სხვისი სახლია?!
ეს შენ დგახარ კარებთან
არა, არ მელანდება!



****

ვაჟო, შენ ჩემ გზაზე რად დადექი?
ასე დუმილიან-უბრიანი?!
ეს რა ხელსაკრავი გამოდექი,
იქნებ, ადრე იყავ ცოლიანი?!
თავი თუ არა გაქვს, რას დიდგულობ?
გული შეინახე საგულეში!
ღორემ...ყაყაჩოებს დავიწუნებ
და მე ვიდედოფლებ-სასურველი!

არ მომწონს, ფერი დაგიკარგავს, წლები
გაგიზომავს ჭაღარებით,
გრძნობები უშურველად დაგიფანტავს,
ეს რა უფხო კაცი გამოდექი?
თავი აწიე და ირაინდე!
ღონე მოიკრიფე, განს რად დგები?!
იცნება სურვილად დაიჟნე!
მერე შემეყარე, დაგიხვდები!

ანა იშხნელს

როცა ფიქრის ფანტელში გაეხვია ფერია,
როცა ჩიტიც კი მიხვდა, რომ ცხოვრება ძნელია,
როცა ცამ გადმოსძახა!, , ეს ტკივილი შენია!
'როცა მამის ძახილში!-, , ღმერთო შვილი ჩემია!'
ზღვის ტალღებოც გაშოლტდა, , ეს რა ჩაუდენიათ?!
თოლიები აკივლდნენ:, , ეს სირცხვილი ჩვენია!'
დააბრუნე უფალო, დააბრუნე ფერია!
მაგრამ...
მაღლა მიიწევს ანას ურჩი ტალღები...
მზეო, როგორ დაბნელდი?!
დღევ, რა დარდით შავდები?!
ანგელოზთა სადარი, სულ ღიმილით წავიდა,
დაამარცხა სიკვდილი, დაიბადა თავიდან.
ღრუბელს ფეხი დაადგა, და ნიმფებთან წავიდა...
დარჩა საქანელაზე ფერი მისი კაბიდან...

(იტალიაში გარდაცვლილ ქართველ ემიგრანტს)

უსხეულო სხეული ქვაფენილზე დაეცა...
აღარფრის ლოდიდნი... დრო იშლება წამებად
შვილის ცრემლებს, უგულო სიკვდილიც კი გაექცა,
რანაირად გათენდა, თუკი ისევ ღამდება?!
აწიოკდნენ სიზმრები, თეთრი აგებს შავებთან,
თითქოს შეშის დაფაზე გადაფორმდა წაგება,

ნაფერები სიცოცხლე ქსელში როგორ გაება?!
კანკალებენ ბგერები, სულში რწმენა წაექცა, , ,
მერე რა, რომ სხვა ცაა? მერე რა, რომ სხვა მიწა?!
აქაც, ჩასაფრებული კვლავ, , მემენტო მორე!'-ა,
უსხეულო სხეული, ქვაფენილზე დაეცა...
აღარფრის იმედი!... დრო აკივლდა წამებად!



მზიური დათიაშვილი-აფციაური

უიარაღოდ წამებული სიცოცხლის მიჯნა

უიარაღოდ წამებული სიცოცხლის მიჯნა,
გარდაცვალების უტყუარი საწინდარია...
გაუმართავი მეთოდებით, ვითომდა წინსვლამ,
ჩვენი ცხოვრება შეუმჩნევლად არივ-დარია.

ყველა ფენომენს საკუთარი არგუმენტი აქვს,
და მოაზროვნე დაღლილია მათთან ჭიდილში,
სად სიმართლეა, სივაგლახე, სად კვალიც არ ჩანს,
ზღვრული ყოველთვის გადაზრდილა სხვაგვარ ქილიკში.

თუ სიავკაცე ინიღბება რაღაც ჩრდილებით,
და ან სიმართლეს ეფარება „მზის დაბნელება".
მხოლოდ მამაცნი მოიმკიან რაღაც ცვლილებით,
დღის სიდიადეს „ღრუბლიანში" გზა გაძნელდება.

ო, რა ძვირია სივრცისა და დროის ჭოჭმანი,
რა ძლიერია ჭირთა როკვა ცივ სარეცელზე,
უმადურია ყოველდღიურ დარდთა მომთმენი –
ტანწაკვეთილი, გაწოლილი გაკვერილ ცელზე...

და უზუსტობა, საოცარი ნიჭის წარმკვეთი,
გაოგნებული; ლაბირინთის მუდმივი მონა,
თქვენს წინაშეა უტაქტობის სწორი აღმკვეთი, –
საღი გონება – ორჭოფობის არც პწკალის ქონა...

ჰგონიათ ყველას, რომ სჩადიან კეთილ-კაცობას,
ვიღაცის მიმართ, და ის – მათი მონაგარია.
მაგრამ ვაი, რომ ამტკიცებენ თავის ლაჩრობას
მოიმკი იმას? – რაც რეალურს მოუგვარია?

ათასწლეულნი სიკეთისთვის ომებს იხდიდნენ,
ოფლს იწურავდა გუთნისდედა მიწაზე ფიქრით,
ბოროტები კი ბრწყინვალებას იმით იძენდნენ,
როს მონაპოვრებს აქარწყლებდნენ შედგენილ ნიხრით.

რეალურ თვალს ათვლის რაღაც მომენტში,
მეექვსე გრძნობის დახმარებით იძენს სწორ იმპულსს,
სწორი ხედვაა – რეალობის განივ-გამკვეთი,
მოცემულ დროში, როს წარმოშობს სიკეთის ამ პულსს.

ორაზროვანი ცხოვრება ქმნის სიმბოროტის ალს,
ერთი მიზანი გასაოცრად კვლავ კეთილია,
ამ სამყაროში, თუ რაიმე ეწერება ქალს, –
საბედისწერო მომავალი? – მოკვეთილია...

გრძნული აზრია: საქმე შენი – შენი სახეა,
უეკალბარდო გზა არავის არ გაუვლია,
ამ გილიკებზე დაგებული დიდი მახეა,
მაგრამ გზას ფრთხილნი გასაოცრად კარგად უვლიან...

ყრმობა სიცოცხლეს უმღერის და ცრუა ყოველი,
სავსე სიცოცხლე არ დაგიდევთ ბოროტების ხმას,
მაშინ იწყება განურჩევლად უცხოდ მთოველი.
სიკეთის ველზე რომ გააჩენს, ნაუცბადევ ხრამს.

აღზრდა ძირია და ამ ძირის ფესვთა სიმაგრე,
მორყეულია, თუ გრძენს ვინმე ჩაეზიარა,
ნაყოფი ხისა კენწეროში მაშინ ივარგებს,
თუ ზომიერმა მდინარებამ ფესვის, იარა.

ძნელია სხვათა აზრით სჯიდე რეალურ საფრთხეს,
ხშირად ბორკილი შეუმჩნევლად გაცვეთილია,
ისე შეჯექი, უხედნავი კვიცი არ დაფრთხეს, –
ყრმათ აღსაზრდელად საოცარი გაკვეთილია...

უფრო ძნელია გახედნილი ცხენის ტარება,
უნდა ეფეროო და ეჭვები უნდა უფანტო,
ვაი, თუ სადღაც შეგამჩნია მან გაორება,
ძირს დაგანარცხებს, მოგექცევა, მრუმედ, უტაქტოდ...

ტორეადორად ყველა, მაინც, ვერ გამოდგება,
ნაგიუმაჟარი ხარის რქების ხდებიან მსხვერპლნი,
გრძენთ შეუძლიათ გმირებივით თავგამოდება,
მიზანთან ახლოს ისწრაფვიან მხოლოდღა კერპნი...

P.S.
თვალით გაზომე, გონებით გასჭერ,
ყველა ცხოვრების მონატრულია,
ბიჯი გადადგი ათჯერ, და ასჯერ,
თან შეამოწმე, გამართულია?..

1989 წლის 9 აპრილი

იმ ღამეს ფარდა ჩამოიხა ციდან,
იმ ღამეს ქარი გლეჯდა ხეებს,
იმ ღამეს წვიმა ნელა ცრიდა,
და ცაში აგზავნიდა მხევლებს...
იესოს ჩამოეშვა კიბე,
ემბაზში ნათლობა არ ჭირდა,
მიწას დაბჯენოდა კიდე...

ნათელ, საუცხოო ცაში,
ერთმანეთს მიჰყვებოდნენ ჩვილნი,
ეს ცხრა აპრილი გახლდათ,
ღმერთთან მიფრინავდნენ შვილნი...
სამოთხე ღია იყო მათთვის,
სამშობლოს შეეწირნენ გმირნი!
ეს, თავდადება იყო ქართლის –
მღეროდნენ განაწირნი:
რისხვა თავს დაატყდა მიწას
და ეს – მერამდენე მსხვერპლი,
შვილებს საქართველოჲსას
უხმობს ღვთისმშობელის ეტლი...
ტანჯვას, წამებას და გვემას,
სიცოცხლით თავგანწირვა შველის,
ეს გზა სიწმინდეა ღვთისკენ,
ირმის ნახტომია... შველის.!.
ყველა სულს ვარსკვლავი ანთებს
მით გაბრწყინებულა ფსკერი...
ცა არ ეპუება ლანდებს,
ცხვება დამაშვრალთა კვერი...
იმ ღამეს ფარდა ჩამოიხა ციდან...
და აიაზმა ადუღდა ცრემლის,
მთავრობის სასახლის წინ
ჯვარცმა აღიმართა,
რუსთაველს სისხლი განდა ცხელი!

1989 წ. 09/IV



ევლალია პერპერიდი

საჭამოს ავან ჩავანი

.....803.....

ჩემი საქმე გამსჯის სოფლად,
არა მოდგმა ანდა გვარი,
მსურს უფლის წინ ჩემი საქმით
წარვდგე სუფდად, ვითარც კრავი.
კეთილის ქმნა ამ სოფლად,
სულის საზრდო ჩემი არის,
სიამეს მგვრის კეთილის ქმნა,
ვითარ ტკბილად მჟღერი ქნარი.
არასოდეს გავყოყოჩდეთ
კეთილთ მქმნელნი, მით უქნარნი,
აქ მიწაზე არ დავფანტოთ
იქ უფალთან წარსატანი.

საჭამოს ავან ჩავანი

.....386.....

ვერ შეაფასებ შენ ამ ცხოვრებას,
თუ ჭირ-ვარამის არ ხარ მნახველი,
სცადე დათმენა, გახდი მომთმენი,
არასდროს გახდე ავის მზრახველი.
ირწმუნე ღმერთი რწმენით იარე,
არ გაიტეხო ცოდვით სახელი,
არ გაიკარო რას გარგებს სევდა,
დარდი, ვარამი, გულის დამთქმელი.

საჭამოს ავან ჩავანი

.....801.....

ღმრთის წინაშე ჩვენს ცოდვებზე
პასუხს ვინ აგებს?
ვგრძნობ მოდის ჟამი
და დაპურდა ცოდვის თავთავი.
ვერსად ვერავინ გაიქცევა დასამალავად,
როცა დადგება დაიწყება უფლის სამკალი

სანამ დრო არის უფალს მივცეთ უფალის სარგო,
კეისარს კიდევ კეისრის და მისი სადარი,
არ მოვიხიბლოთ მიწიერი სიამეებით
არ გადავყაროთ დასათესად კლდეზე მარცვალი

ღმერთი ფარავდეს,
ამ ყოველის ამღმთქმელს და გამგებს,
ვისაც ყური აქვს მოუსმინოს
თუ ყრუ არ არის
და ვინც ცხვარია მწყემსს მიზდიოს
ნუ ეურჩება
რადგან ახლოა გადარჩევა ცრუ და მართალის.

საჭამოს ავან ჩავანი

.....376.....

უცოდინარმაც კარგად იცის
და ყოველს ხვდება,
გარდაუვალი ვერ ავიცდენთ,
მაინც მოხდება.

უაზროდ არა ცხოვრება უნდა სწორად გავლიოთ,
სანამ ვარსობთ ღირსეულთან ვჭამოთ დავლიოთ.

ჩემი ცხოვრება ღვთის მსახურებაში
მინდა გავლიო,
ბოლო ჟამსაც რომ შევეგებო როგორც ალიონს.

საჭამოს ავან ჩავანი

.....804.....

ვფიქრობ ცხოვრება შახმატი არის
მის ხელში ყველა ვგავართ პაიკებს,
თამაშობს ვიღაც ქიში და მატი
მერე დაფაზე კოჭებს არიგებს
ასე გრძელდება მთელი ცხოვრება
შავი და თეთრი უნდა ვარჩიოთ
რომ მივაღწიოთ მიზანს და შედეგს
უნდა რაღაცა მისთვის გავწიროთ.
არის ცხოვრება როცა ქიშსს ამბობს,
ან გვეუბნება, ვიღაც გვამუქრებს,
ამიტომ გვმართებს კარგად ვიფიქროთ,
სანამ დაფასთან გვსურს რომ დავუჯდეთ.

საჭამოს ავან ჩავანი

.....383.....

რაგინდ ეცადო სოფლის კანონი,
არაფრის დიდებით არ შეიცვლება,
მასში მცხოვრები ყოველი მკვიდრი
ჟამი მოვა და გარდაიცვლება.
მიწისგან იქმნა მძერწველის ხელით,
კეთილ საქმნელად ადამიანი
და სინანული მის დაცემაზე,
აზრი არა აქვს არის გვიანი.
გარდაიცვლება მიწად იქცევა,
სული დატოვებს ხორცს გაეყრება,
ვინ უნდა მიხვდეს ან ვინ შეიცნოს,
რისთვის რა მიზნით ქმნიდა განგება.

* * *

გზაზად მიმავალს გლახაკი შემომხვდა,
ტიროდა და მოთქვამდა,მისი ტკივლი,
ცრემლები,არვის ადარდებდა,
ცრემლები რომელიც ჩემ გულში გაწვიმდა,
მისმა ცრემლებმა ჩემი არსება
მორწყა და ყვავილები აღმოაცენა,
დაამშვენა გარემო იმ გრძნობამ,
მადლმა, რომელიც მისით ჩაიღვარა ჩემ გულში,
წუხილმა რომელმაც, ბევრის მიწიერი გული
ვერ გაათბო და ადამიანურობა ვერ გააღვივა.
ვინ იცის ვინ არის ის მათხოვარი..
ან ჩვენ ვინ ვართ? ანდა რანი ვიქნებით?
ვინ იცის ჩვენ სად აღმოვჩდებით,
ან რა მოგველის.

საჭამოს ავან ჩავანი

.....802.....

ჩემო "კალამო"უფალის ძალით
საყრდენს, ფუძეს, ვერ გამოგაცლიან,
ჩამსაფრებია ვხედავ მავანი
და "კალმოსნობას"აღარ მაცლიან.
ამ უსამართლო ყოფაზე ვწერ და
გული შემტკივა მიტირს ძალიან,
სულმდაბლობა და სიხარბე ჩვენი
რა ამაზრზენი, შესაზარია.
უსამართლობით ლანძღვა ძაგებით
ცოდვილიაო და ქვეგს მაყრიან
უმადურობა, გაუტანლობა,
ვგრძნობ რომ მიწაზე ბოლო ჟამია

ჩავსაჭამოს ავანანი

.....800.....

ნუ დამიბნელებ მზეს და მთვარესა,
უფლის ნებით რომ ცაზე ჰკიდია,
არსით მიველტვი ჭეშმარიტ ძალას
რომელის მადლი დიდზე დიდია.
ჩემი სამშობლო გულს დარდად მაწევს
მისი ვარამი დარდი მაწუხებს,
მახარებს მისი ყოველი კარგი
უიმისობა მიჭერს მარწუხებს.
ვით მშობელს ვიცი შვილი გახსოვარ
უცხო მიწისთვის არ გემეტები,
ვიცი დრო მოვა დაგიბრუნდები
და შენ თბილ უბეს დავეკონები.

შემიწყალე ზეციერო მე ცოდვილი მიწიერი

.....40.....

მოფარფატე პეპელა ვარ მე ყვავილზე მჯდარი,
მიხალისებს გულს საამოდ მშვენიერი დარი,
სიამეს გვრის ყვავილთ სურნელს აფრქვევს ირგვლივ ქარი,
რა საოცრად საამური იყო გარემო წყნარი.
თვალწარმტაცი არის მინდვრად ყაყაჩოს ნარნაირი,
ქარი უფრიალებს წითელ კაბას მშვენიერი არი,
აღვფრთოვანდი ელდა მეცა რაღაც უეცარი,
თითქოს ამჟამად გამეფებული სოფლად ბედნიერება არი.
ახლა ყოველი ერთურთს რომ ყვარობდა სასიხარულო არი,
სადღაც სივრცეს გაისმოდა ჟღერდა ტკბილად ქნარი,
დღე იყო რაღაცნაირად საამური საოცარი წყნარი,
შევიგრძენი სულთსიმშვიდე გრძნობა საოცარი.

**********!**********

ვნახე ქუჩაში კაცი ხელგაწვდილი,
სრულად ფერმიხდილი სამოსგანძარცვული,
სივრცეს აშტერდება თვალებ ცრემლიანი
გროშებს დასცქეროდა მზერით დარდიანით..
გამვლელ გამომვლელმა გვერდი აუარა,
არვინ შეისმინა მისი სათხოვარი,
წყვილმა ჩაიარა სიცილ-კისკისით და
გოგო ბიჭს ეკვრება, ვაი მათხოვარი..
დიდხანს ვუყურებდი გული ამიტირდა..
გამვლელთ სიყრუე და ბრმობა გავიაზრე,
თავი ვინ გვგონია ან რას წამოვადგენთ?
ან ხვალ რა მოგველის ამას არ ვიაზრებთ..
სიკეთე სოფლად ვერ გვიქმნია
იმიერს სულის საცხოვარი.
ღმერთო, მიუტევე გთხოვ, უგნურებთ, ეგ არის ჩემი სათხოვარი,
ღმერთმა შუამავლები მოგვივლინა იესო სულის მაცხოვარი.
ჩვენ კი მცირე მადლი ვერ გვიქმნია, აი ეს არის გასაოცარი,
ღმერთი მოწყალეა მოგვიტევებს, მადლის მომცემი საოცარი.
ვინც ისმენს მის სიტყვას, გადარჩება, წარმავალი დროის მათხოვარი,
ხელი არავინ კრათ გაჭირვებულთ, შეისმინეთ მისი სათხოვარი.
ვინ იცის ვინ არის ის მათხოვარი? იქნებ ღმრთისგან გამოცდაა,
არ უთხრა უარი, მით მადლი მოიპოვე, ყურს იგდე სათხოვარი.
ყოველმან ჩვენი თავი უნდა დავინახოთ იმ მათხოვარში, დრო ნათხოვარში,
რომელიც ქუჩაში ხელგაწვდილია ავდარში ქარში.
ჩვენ კი უდარდელად თბილ კერასთან მიმჯდარვართ სახლში,
ჩვენი უვარგის ქმედებებით ვერ ვხვდებით რომ ღმერთს ვრჩებით უღირსნი ვალში.
დროს ნათხოვარს სიკეთის კეთებაში თუ არ გავლევთ, მას ვხარჯავთ რაში?
ეჰ, სამარცხვინო ვიქმნებით მით უფალის თვალში.
უგრძნობლობით ვბრმავდებით და
ვერ ვხედავთ, ვერ ვგრძნობთ, ჩაგვსაფრებია ეშმაკი კვალში,
და უგულობით ჩვენი რამ გარჯა გვეყრება წყალში.
იქნებ ჩვენ ავღმოვჩდეთ ხვალ გიფიქრიათ? წვიმაში ქარში,
ან ჩვენი ცოდვებით ვერ დავბრუნდეთ მშვიდობით სახლში.
ამიტომ სიკეთე უნდა თესო შენ წარმავალო,
სიკეთესა და ბოროტებაში პარალელი მაინც უნდა გაავლო.
უნდა დაფიქრდე შენი ცხოვრება რომ სწორად განვლო,
ცუდი არვის ჰყო გულს მდუღარე არ გადაავლო
წაქცეულს ნახავ, უნდა გაიქცე ხელი ჩაავლო.
ანუგეშე თუნდ მცირედი მიეცი იმედი
სიკეთის სანაცვლოდ შენ სიკეთით მოგაგებს ღმერთი,
ჩვენი დამხსნელი ჯოჯოხეთიდან
ყოვლის მფარველი და ერთადერთი.

მე რელიგიით ვარსებობ

****

მე სიყვარულით ვარსებობ
ამ სოფლად ძალზედ მჭირდება,
ირგვლივ დამაშვრალთ შემყურე
ჩემი არსი სწუხს ტირდება,
მსურს ვანუგეშო მწუხარი,
გულში ჩავიკრა მინდება,
გავცემ არ ველი საზღაურს
არც ველი არც რა მჭირდება.


უფალმა გვითხრა გაეცით!
მათ დახმარება სჭირდებათ,
გვერდით იხილავთ იცოდეთ
ოდეს თქვენც გაგიჭირდებათ,
რასაც დატოვებთ თქვენს უკან
ის მუდმივ თქვენს წინ იქნება,
რასაც მეტს გასცემთ მეტს იძენთ
თქვენს ირგვლივ მადლი იქნება.

თუ ირგვლივ მოყვასს მოიკრებთ,
აროდეს გაგიჭირდებათ,
თუ არვინ თბება ის შეშაც
ისევ უაზროდ იწვება,
ასევე არის ქონებაც
თუ კეთილს არ ეწირება,
იწვის და სითბოს ვერ გასცემს
ინაცრება და იყრება..

არავინ იცის ხვალ თუ ზეგ
ვის როგორ გაგვიჭირდება,
ვის კარზე მოვა ჭირი და
მარტო მყოფთ აგვიტირდება,
მერე მივხვდებით ყოველი
კარგადაც დაუფიქრდება,
არა ფული და ქონება,
ჩვენ თანადგომა გვჭირდება.

ეს საწუთროა ამაო,
დაუნდობელი,ფლიდია,
მის ხაფანგისგან დაგვიხსნის,
სიკეთის საქმე დიდია,
სულს დაივანებს სიმშვიდე,
გადაიყრება ბინდია,
ეშმაც კი ვერას დააკლებს
რადგან ნათელის შიში აქვს .

სიმშვიდეს ვპოვებთ მის ძალით,
იქ წარგვადგება გვაცხონებს,
ჭეშმარიტებას თუ მივდევთ,
ვპურდებით,სხვათაც ვაპურებთ,
გზად წარვიმძღვაროთ სიკეთე,
ჩვენი გზამკვლევი გიდია,
ბნელი იქ ვერას დაგვაკლებს
სადაც ნათელი გვინთია.
სიკეთით სოფელს ედაროს,
გადაეყაროს ბინდია,
ემრავლოს მადლს და სიკეთეს!
კიდით კიდემდე,კიდიდან!
ყველას გისურვებთ მოკეთეს!
მსურველთ და კეთილთ მყოფელებს!
ღმერთი ლოცავდეს მარადის,
შემსმენელთ,ამის გამგონეს!



დავით არახამია

მადას უსინჯავს

ოცნების თქეში გრძნობის გარშემო,
მიუწვდომლობის ზღვართან შედგება.
დაბინდულია სხივი საჩემოდ,
წარმოსახვათა ჩაცხრა შეგრძნება.
ფესვგადგმულია მელანქოლია,
უსუსურობის მიჭირს მხილება.
რა დამიკარგავს, ან რა მქონია,
აზრს გრძნობა აღარ ესატყვისება.
უმსგავსოების მიწევს ატანა,
სამყარო მადლით ვეღარ ივსება.
მადას უსინჯავს მოკვდავს სატანა,
დაწნეხილია სულის ღირსება.

ბუღი გასცვივდა

ვერ შევიმეცნე კვდომის ვაება,
შემცბარი ოხვრით ბაგე გამეპო.
მშთანთქავს უდროო შემოღამება,
ურჩხული ხედნის პირქუშ გარემოს
ვერ ვუმკლავდები სულის სიამეს,
გაიშვიათდა საცდურის გმობა.
სიკეთე გაცვდა ყოფის სიამედ,
დრო აცუნდრუკებს ადამის მოდგმას.
ვერ ვპოვე შვება მწველი იარის,
ზეშთაგონების დაღლილ არსიდან.
ამ გაშიშვლებულ სულის წიაღში,
არ ხილულ სივრცეს ბუღი გასცვივდა.

მცრის

საამო ჰანგი ჟღერს აივანთან,
გულგული განა თავისთვის გალობს.
ზღვის დასალიერს მზემ დაივანა,
მწყურვალს უცინის რაკრაკა წყარო.
როს სივრცეს გინდის დაედო ფერი,
თვითმყოფადობის წნეხი იზრდება.
მცრის სისასტიკე ამ გედისწერით...
და ავინთები მჟრუოლავ ფიქრებად.

ვუსაყდრისო

გავუსასტიკდი ჟამთა დინებას,
აზრთა ქარიშხლის დამადგა რისხვა.
სამყარო ნისლით გადაფითრდება
და განსხივება მოთხოვნად იქცა.
აზრის ნაყოფი ვერ დავამწიფე,
გულს ვერ შევასხი ფრთამალი ფრთები;
რადგან იმსხვრევა სტრიქონი მყიფე,
მონუსხულივით ვბორგავ და ვკრთები.
ამიხმაურა ფიქრების თავსხმამ,
ყრუდ მოხმიანე წარსულის ექო.
უნდა შევესწრო ცის ახლად გახსნას
და ვუსაყდრისო სულიერ ბექობს.

როს ზენაარის

თეთრ ღრუბლებიდან ამღერდა წვიმა
და გადაფითრდა ზეცის სინაზე.
ექოს გამოსცემს შხეფების გმინვა,
ვერხვის ფოთლების შრიალის ხმაზე.
სივრცეს სერავენ ელვის ისრები,
ორომტრიალებს ქარი თავნება.
მიმოფანტულან გინდში ნისლები,
გაც ჰემისფეროს დასაამებლად.
ამილაპლაპდა მზერის ფიტილი,
მონატრებია სულეთს სინათლე.
ამიფრიალდა გული ჩიტივით,
როს ზენაარის ხილვა ვინატრე.

ეჰ მოჩვენებავ

შავ აკორდებად დადუმდა ქარი,
ძილში დაგეძებ ვერ დაგივიწყე.
დაოსებული ღუღუნებს ქნარი,
შემომათენდა სულის ყივილზე.
მივყვები ბილიკს მერევა ფეხი,
ცეცხლად მედები ძლივსღა ვლასლასებ.
რადგან გულის წყლულს მინამავს ცრემლი,
უნდა წარგსტაცო ვნება წასვლამდე.
ცხოვრება ასე მიდის ტაატით,
ზარს აგუგუნებს მაღალი მთები.
ეჰ, მოჩვენებავ გსდიო სადამდი,
ეჰ, მონატრების სამსალით ვთვრები.

მოლანდებაა

როს ცას სერავენ ელვის ისრები,
ჩუმად ვდგევარ და შორს ვიმზირები.
გადავსებულან ფიქრის ტივები,
მოლანდებაა სერაფიმების.
თქეშმა ფოთლებში გაიშრიალა,
წიწვებს შეერწყა წვიმის სურნელი.
ქუხილმა ისე შემაჟრიალა,
თითქოს დამაცხრა თავზე ღრუბელი.
ზმანებამ ხილულს დაუგო მახე,
ქარბუქს აღვირი ამოსდო ეშმამ
და ამ უბადრუკ სამყაროს სახე,
წარმოისახა შიშად და შეშად.

როს გამრთელდება

ოცნებამ სადღაც შორს გადამალა,
სევდის სარკეში ცრემლის ჭავლები.
დრომ ხოდაბუნი გაატრამალა,
ღვარცოფის თქეშში ამონავლები.
მოგონებების ღვივდება ალი,
ჩამონაღვენთი ფიქრის ქედებთან.
ვეღარ გობოქრობს სვლის არეალი,
გარდასულ ჟამის პირქუშ კედლებთან.
თუ გამიქარვა ხილულმა წყენა
და აკიაფდა რწმენის ლამპარი.
შევუერთდები იმ აღმაფრენას,
როს გამრთელდება სულის ნაპრალი.

ხილულის სიშორე

ღივღავებს სიტვები ნაწალდი,
წუთიერ განცხრომას ვით მივყვე;
მეტადრე გაცოფდა... დაღმართი
და დამჰკრა სიფითრემ.
წარსაწყმედ მიმიკას ვიშორებ,
წყვდიადის წკავ-წკავი გაისმა.
განსაცდელ, ხილულის სიშორე,
განასკვა აისმა.
მზის სხვმა დაიპყრო ლაჟვარდი,
განთიადს შეჰყივლა მამალმა.
შეწყვიტა უბელო ნავარდი,
აურის კანკალმა.
საწადელს როგორღა მივსწვდები,
ფერების ურთულეს ჭიდილში?
ყვავილობს ხასხასა შინდები
ნაყოფის ფინიშით.
დავძარი ფიქრების ლაშქარი,
მამხედრებს ცდუნების ნაღარა...
ო, ისე განათდა ცარგვალი,
იფეთქა ჭაღარამ.

წარმოსახვა

თავს უხრის სიტკბო, სიმწარეს
და უსიერ უშვერს სახეს...
ბოროტება კი ცისმარე,
მიგებს მახეს.
განმკითხავი ვერვინ ვპოვე,
უკუღმართი დრო და ჟამის.
დღენიადაგ დასჯილს მტოვებს,
შიშის ზარი.
ვხედავ ერწყმის, ცხადს სიზმარი,
ჯამბაზის როლს ვინაწილებ.
ძლივს ლუღლუღებს შფოთის გზარი,
სინამდვილეს.
ღმერთი თუ არ მესარჩლება,
ვით დავადო ნაფიქრს ყადრი.
წარმოსახვა გიძგად რჩება,
ცოდვა-მადლის.



ლალი ჩხეიძე

* * *

ფიქრებმა იცოდე, გზა შენსკენ, აიღეს...
თავ-ბევით ძალა,ნამდვილად არა მაქვს...
ფიქრების მონობას, გეტყვი: ვეღარ უძლებ...
რა ვქნა, თუ ფიქრების, ჩემი გზა, შენახარ...
ფიქრები... ფიქრები...დღედაღამ ფიქრები...
მე, შენზე ფიქრებმა დამღალა, დამქანცა...
ვფიქრობდი, დავხურე წარსულის კარები...
გრძნობები... გრძნობები, კვლავ ჩემში, გაცოცხლდა...
აბობოქრებულ ზღვის, ტალღებს მაგონებს...
ტალღები, წასულის, კარებს ეხეთქება,
მოგლიჯეს, წაიღეს, დამტოვეს, დამტოვეს...
წარსული, დღეს,ჩემთან, აწმყოში, იჭრება...
წარსული... წარსული... დრო ბევრი გასულა...
დღეს უკვე აღარვარ პატარა გოგონა,
უყვარდი რომელსაც... გიყვარდა, ძალიან...
დრომ, არ დაგვინდო,სიყვარულს გაგვყარა...
ერთი გზა არ გვქონდა, ცალ-ცალკე ვიარეთ...
ცხოვრების გზა კი, რა რთული აღმოჩნდა...
ტკივილით, დღეს სული, სალამურს აკვნესებს...
ტკივილი...ტკივილი...ცხოვრების გზად დამრჩა...
ფიქრები...ფიქრები... დღედაღამ ფიქრები...
ფიქრების, ჩემი გზა,შენახარ, შენახარ...

13/05-2017წ.

* * *

გიყურებ, თვალებს მარიდებ,
ცეცხლოვან გრძნობებს ძლივს თოკავ.
სადავეს თუ არ გაუშვებ,
გრძნობებით, დავიფერფლები ...
შეცდომა შიშად ქცეული ...
გული, გონების მორჩილი ...
გრძნობები, სიცოცხლის ხიდი...
ვნება, წყურვილი გრძნეული...
გიყურებ, ცეცხლი მედება.
თვალებში ტკივილს ვკითხულობ...
გული, გონების მორჩილი,
გაუსაძლისი ტკივილი...
მიზიდავ ანდამატივით,
არ დავიღლები ლოდინით...

13.04.2020წ.

* * *

პოეზიაზე შეყვარებული,
და სიყვარულის მეხოტბე ქალი,
სიყვარულისთვის დაბადებული,
ანგელოზების ენაზე გალობს...
დრო-ჟამის მწუხრმა,
რუხ ფერებში გახვია ქალი.
სასოწარკვეთას არ მიეცა
მებრძოლი სული
და ძველებურად, მისი თვალები,
სიყვარულით სავსე თვალები,
უძირო ზღვაა...
ფიქრებში ხატავს ედემის ბაღს,
სულის სიმშვიდეს...
ნათელ მომავლის აკვანს
არწევს ნატიფ ხელებით...

2.04.2020წ.

* * *

მახსოვს, ვტიროდი ბავშვივით თუ რატომ, დღეს ვეღარ ვიხსენებ...
მომიახლოვდი და მითხარი: - ძვირფასო ცრემლები გიხდება ...
შემოგხედე და ღიმილი ჩემს სახეს შეეხო მზის სხივად.
ზღვისფერი შენი თვალები, ზღვასავით აღელდა რატომღაც.
სინაზით შეეხე ჩემს სახეს ცრემლებს მიმშრალებდი ჩურჩულით...
მესმოდა, ფერიას მაგონებ, ჩემი ბავშვობის წიგნიდან.
გეტყვი: - მიყვარხარ ლამაზო, უარს ნუ მეტყვი გეთაყვა.
შემომხედე და გიცანი, იცი? ონებაში გხატავდი.
სიზმარში ერთად ვართ ყოველთვის,
დღეს კი, რეალურად გიხილე ხელს არ გაგიშვებ,
არ გჯერა? ჩემი ხარ ლამაზო, ჩემი ხარ...
თუ როგორ მიყვარხარ ძვირფასო, შენ ამას სულ მალე მიხვდები.
მე ლამაზ სიყვარულს გპირდები, მხოლოდ სიხარულის ცრემლებით...
ღიმილი კვლავ სახეს შეეხო, გითხარი: გეძებდი, გეძებდი...

17.04.2019წ.

* * *

შენ, ჩემი სულის ყვავილო,
ამწვანებულო მდელო,
ახლშობილი ბავშვივით
ნაზო და მშვენიერო.
მიზიდავს უმანკოება,
სიწმინდე შენი სულის.
ამ საუკუნის შვილი ხარ,
მიკვირს საიდან? როგორ?
არა მიწიერს მაგონებ,
სითბოს, სიყვარულს აფრქვევ.
შენ, ერთადერთი ქალი ხარ
ჩემს სულში ცეცხლს,რომ ანთებ...
უსიყვარულოდ გავლიე
ჩემი სიცოცხლის წლები
დაგინახე და გიცანი,
გაგიკვირდება ალბათ,
სხვა ცხოვრებაში, ლამაზო,
სატრფო იყავი ჩემი.
დღეს, სასწაული ვიხილე,
ვიცი რომ დამიბრუნდი...
ვიტანჯებდი, გნატრობდი,
სურვილი მკლავდა შენი...
მე ჯოჯოხეთში ვცხოვრობდი,
მზის სხივიად მომევლინე...
მარადიულ ჩვენს სიყვარულს ვიცი,
რომ გაიხსენებ.. ..
შენ ჩემი სულის ყვავილო,
ედემის ბაღი გველის...

20.05.2019წ.



თინათინ ხაბურზანია

ბოლო ფურცელი

„სირცხვილი იმ გუთნის დედას
თავის მამის საფლავს ხნავდეს“.
იეთიმ-გურჯი

ცარიელია ბოლო ფურცელი,
იქნებდა ლექსს მაზიაროს სულმა.
ის ერთი დარდი ამოუთქმელი,
რა ხანია ატუზულა გულთან.
თავისუფლების დროშის სანაცვლოდ,
თავისუფალი ხელთ სექსი შეგვრჩა.
მაშ! ყველა ცრემლი იყო სადაო,
დაღვრილი მის სადიდებლად ჩვენგან.
მამა-პაპებმა ალალი სისხლი
თუ მიიტანეს ზვარაკად ღმერთთან,
რით დავუფასეთ? ზნეობა სხვისი,
რომ ვანაცვალეთ ზნეობას ჩვენსას.
დაიტევს განა ერთი ფურცელი,
ყველა ტკივილს, რაც მომაწვა ერთად,
გავცვითეთ ყველა სიტყვა უცვეთი
და შევიგინეთ მშობელი დედაც.
დრო თითქოს არც წინ, არც უკან მიდის,
ისეთნაირი ქარებიც ქრიან,
რომ ლამისაა დღეს ქვეყნის იმიჯს
„კალგოტკიანი“ ბიჭები ქმნიან.
გულში არ წყდება დღეს ჩვენი ბედი,
რწმენა, ღირსება საქართველოსი,
რადგან გონება დახარბდა მტრების,
მიერ ცდუნებებს გასამრჯელოთი.
ცარიელია ბოლო ფურცელი,
მინდოდა, რაღაც ლამაზი მეთქვა...
გაყიდულ მომავალს თუ ვეღარ ვშველით,
რა პირით წარვსდგეთ წინაპრის ძვლებთან.

მინდა მახსოვდეს

შენი ღიმილის მახსოვს ფერებიც,
გემო სიცოცხლის ნავარდის ტკბილად,
მთაწმინდის თავზე ცისარტყელებით
ამოყვანილი შვიდფერი დილაც.
მახსოვს, ქუჩებში ჭადრების ჩრდილქვეშ,
მოხეტიაე ქალ-ვაჟნი წყვილად
და უდარდელად შენს ნათელ ცის ქვეშ,
სინაზე, სიტკბო, რომ ერთურთს ცვლიდა.
მე მახსოვს მშვიდი ღუღუნი მტკვრისა
და დაკვნესებაც მეტეხის ჩრდილთან.
როგორ მიყვარდა ცქერა მის პირას,
ღამე თუ როგორ იცვმევდა რიყრაჟს.
დამათენებდა მემაწვნე ნამდვილ
მაწვნის ქილებით მოტანილ დილას,
წყნეთის მიწაზე მოკრეფილ მწვანილს
შემთავაზებდა ალერსით, ტკბილად.
სადღაც ფანჯრიდან ისმოდა როგორ
უკრავდა ლაღიძის „თბილისოს“ ვიღაც,
სიკეთე სძლევდა ავსა და ბოროტს,
შენს ცის ქვეშ სიცოცხლე მართლაც რომ ღირდა.
დღეს იმ მემაწვის ტკბილ ხმას დავეძებ,
დამეხმარეო! შემჩივლებს ვიღაც.
მშიერ-მწყურვალი უფალს ავედრებს
სასოწარკვეთილ სიცოცხლეს თვისას.
ცივი სახით და მძიმე ნაბიჯით
სად მიდის, სად მიიჩქარის ნეტავ?
და სიყვარულთან ძმობა-ნაფიცი
ქალაქის მაკრთომს დღეს გამოხედვაც.
ვერ ვხედავ ვერც მის ჯადოსნურ ღიმილს,
პირქუშმა დრომ ჩამოწერა წვიმად,
მე ვეღარ ვუძლებ ღრუბლიან თბილისს,
მუდამ მზიანი მახსოვდეს მინდა.



მანანა ზაზიკაშვილი

ჩანთა

ერთ ჩემს მეგობარს
წაართვეს ჩანთა,
ჩანთა თითქოსდა
მდიდრული ჩანდა.
წაიღეს ხურდა
და გასაღები,
არც არა ჰქონდა
სხვა წასაღები.
მას შემდეგ ვეღარ
ყიდულობს ახალს,
ასე ჰგონია
იმ ჩანთას
ნახავს.

ცა ლურჯია

ცა ლურჯია,
ეგ თვალებიც ლურჯები,
მიყვარხარ და აბა,
რად დავმუნჯდები?!
შენი შუქი გზად მინთია
კელაპტრად,
ჩემო კარგო, სხვა
რა უნდა მენატრა?!
გულში სითბო
ჩამიღვარე მაშინვე,
სხვა წამართმეს შენ თავს,
მე ეს მაშინებს.
გარათაშვილს დაემსგავსე
ლექსებით,
გვაკავშირებს პოეზიის ფესვები.
შენთან ვნატრობ
ქუჩა-ქუჩა ხეტიალს,
ეს ხომ იცი სიყვარულზეც
მეტია!!!

ძველი პალტო

დამიზამთრდა,
ძველი პალტო
მოვირგე,
ცხოვრებაში ბევრი რამე
მოვიგე,
ზამთრის სუსხი,
როცა მაგრად მაშინებს,
თავდაცვაზე გადავდივარ
მაშინვე.
ჩემი ნავი დამაქროლებს
ნიადაგ და
ცხოვრება
უკვდავებას მიაგავს.

ჩემი სამშობლო ჰქვია

ზვარი ჩაშაქრულ მტევნებს,
სანთლისფრად ქცეულ ბიას,
მზით განათებულ ოდებს,
ჩემი სამშობლო ჰქვია.
ჩემი სამშობლო ჰქვია
ცაში მტრედების ღუღუნს,
ლილეოსა და ლალეს
და გუგულების გუ-გუს!!!

ჩემი ხატი

შენ ხატი ხარ,
ჩემი ხატი,
ჩემს ოჯახში
შემოსული,
გხატე სულით,
გხატე გული,
ავისრულე ნატვრა
სრული.
ახლა თუნდაც
ვინმემ გხატოს,
გხატოს, ასე
ვერ დაგხატოს!
სიცოცხლეში
სანთელს გინთებ,
გადავყევი
შენზე ფიქრებს.



დავით იოსებაშვილი

დავიბადე ქუთასში პოეზიის ქალაქში. წითელ დიპლომზე დავამთავრე აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ათი წელი ვიმუშავე ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსად. სტაჟირება გავიარე ბუდაპეშტის ევროპის უნივერსიტეტში და ინგლისის პარლამენტში. ამჟამად ვხელმძღვანელობ საერთაშორისო ორგანიზაცია YMCA-ქუთაის და მასთან არსებულ მრავალდარგოვან სტუდია „თამარიონს“. 2017 წელს მომენიჭა საქართველოს ხელოვნების ამაგდარის ორდენი. მყავს მეუღლე მაკა გიორგაძე და პატარა ქალიშვილო ნინო.

მაისი ქუთაისში

შენს მოფრენას,
ქუთაისში – თრთოლვით ელის – ვარდები..
ცვრით ნაფერი დედოფლები, შენი დანაბადები.
თეთრ – ბაგრატზე გიდგას ტახტი –
ცისარტყელით შემკული,
კაბას გირთავს – ოქრომკერდი,
მზით ნაფერი – ქართული....
შენს ფეხის ხმას გაიგებენ –
თბილ ბუდეში მერცხლები....

გაბაშვილის ზურმუხტ-პარკში...
იმღერებენ გედები. კვლავ აგვავსებ,
ოცნებებით – გაზაფხულის – გვირგვინო..
გებერ – უქიმერიონზე –
სულ მტრედებმა იფრინონ...
ტრფობასა და მშვენებაში,
გხვდებით, მაისს – მღელვარეს,
ხარობს შენი მობრძანებით,
ქუთაისი – ელვარე.

ქუთაისს

ქუთაისო, ჩემო დედავ...
მინდა გულში ჩაგიკრა,
ფეხქვეშ ატმის ყვავილები,
ფარდაგივით გაგიკრა...
დავედევნო ჯაჭვის-ხიდზე,
გვირილიან -გოგონებს...
მოვეფერო მოწიწებით,
პოეტ-ძმათა აჩრდილებს.
მსურს ქალაქო საფიცარო,

შენს ძველ გაღებს ვუმღერო
ვარდის რტოზე ბულბულების
სონეტები ვაღმერთო...
მწადს ვუცქირო ქუთაისო,
ფაზის უფრო მჩქეფარეს,
მედეას – ოქროს საწმის,
დაბრუნებულ მზის-ნატეხს..
მხარზე მინდა დავიჯინო,
მტრედი წითელფეხება,

მოვიტანი თეთრი – ლოდი
შენი ციხის კედლებთან...
ქუთაისო-ჩემო დედა,
მინდა გულში ჩაგიკრა,
ფეხქვეშ ატმის ყვავილები –
ფარდაგივით გაგიკრა.

2მაისი 2017 იმერული ოდა.

ნოსტალგია

სადღაც გამეპარა,
ძველი ქუთაისი.
დავედევნე უკან,
უძახოდი „სად ხარ???“..
ვინ მათხოვა ყური . .
აიღო და გაქრა...
თან წაიღო ჩუმად –
ბავშვობა და დედა..

ბაღისკიდეს აწევს
ნისლისფერი სევდა..
მხოლოდ სიზმრად
ვხედავ – ფერებს სამაისოს...
ნაცნობ სილუეტებს ...
ფრესკებს გამურულებს..
მესმის მელოდია,
ხიდზე ანცი ქარის..

დამეკარგა გოგო,
ბაფთიანი ლაღი.
ბაგრატს დახვევია
ჩუქურთმები ვაზის,
მტრედებს გავატანე
ბარათები ტრფობის..
ღმერთო მაპოვნინე
ის ქალაქი – ნატვრის.
30 ივლის 2017 წელ

გაზაფხული

გაზაფხული ამეტუზა – კარებთან.....
თეთრი კაბით, იასამნის სურნელით...
მიღიმოდა იდუმალი – ღიმილით...
თავს ეხურა, გვირილების გვირგვინი...
ლურჯ თვალებში, დაუხტოდენ ჭინკები...
სიყვარულის უფეთქავდა – კვირტები...
სევდა უცებ შემოცვალა იმედით...
ბახუსივით ამიფეთქა გრძნობები...
გაზაფხული ამეტუზა კარებთან...
თეთრი კაბით, იასამნის სურნელით.

* * *

არც მზისა არც მთვარისა...
არც დედის და არც მამისა...
არც ცისა და არც მიწისა...
არც წვიმის და ცისარტყლისა..
არც დღისა და არც ღამისა..
სილამაზე – მოდიოდა...
დაკარგული – სამოთხისა.

ლაზარე...

ჩემო საყვარელო ქვეყანავ,
გულო გაბზარულო სევდით
ჭიგოს მოწყვეტილო ვენახო,
დაუნდობელი სეტყვით..
ცეცხლით გამურული სამრეკლო,
ხავსმოდებული ქვებით..
ჩემო იმერო და ამერო,
ჯვარზე ვნებულო დღემდის...
გასიანის და დიდგორის,
დიდი გმირობის ექო...
ღვთის ეკლიანი გვირგვინი,
დაბადებიდან გვერგო...
მკვდრეთით აღდგენილო ლაზარევ,
კვართო იმედის მზეო...
წინაპართ ლოცვით ნაფერო
ხანძდა, ოპიზა, გრემო...
წაგლეჯილს არვინ შეგარჩენთ,
კარგად გახსოვდეს მტერო...
ნიკოფსიიდან დარუბანდს,
ერქმევა საქართველო

შენ გაგიმარჯოს

შენ გაგიმარჯოს,
ქართველო – ქალო!...
გაზაფხულივით,
ლამაზი ხარო..
დაუცხრომელო
და მოელვარე
დაუშრობელო,
სიცოცხლის წყარო..
საქართველოის
სვეტო- ცხოველო,
მისთვის ათსჯერ –
მსხვერპლო-ტარიგო..

იდუმალება შენი გულისა,
ვერცერთმა მტერმა,
რომ ვერ გაიგო...
ჯადოსნურ ფერთა გალობავ,
ატმის ყვავილში აფეთქებულო...
შენ გაგიმარჯოს –
ქართველო ქალო!
სიყვარულის და მუზების ქარო..
ყველა ყვავილი –
მინდა მოგიძღვნა.
შენ საფიცარო –
ქართველო ქალო.

მდიდრებს

ქარები ხევენ – აფრებს იმედის..
სადღაც ნისლებში – ფრენენ გედები..
არეულია გონი – სამყაროს...
ოქრო ვერ აძღებს თვალებს. ადამის..
გავშვების სევდა, ტანჯვა მოხუცთა..

მათ მევახშე გულს.. არცკი ანაღვლებს...
არ ახსოვთ მდიდარ – მეფუკა კაცებს..
მაგალითი თავდამშლობის და სათნოების.
დიდი მესია – იესო ქრისტე,
ერთი პერანგით ავიდა ჯვარზე.

12-5-2020



მაგული კუჭაშვილი-კურტანიძე

და მაინც ვიფრენ

ჩემი ჭუპრიდან გამოვედი, გარეთ ნელ-ნელა,
მინდა დავლაშქრო დედამიწა ზეცა და წყალი,
მსუბუქი ფრთებით დავფარფატებ, როგორც პეპელა,
მცირე საგზალი მადევს მხრებზე, დღეის და ხვალის.
მაგრამ სურვილი მამაოძრავებს ძალიან დიდი,
მაცდურ ხილვებად გამიტაცებს, ხან ერთ და ხან ის,
მზიან დარშიც თუ გამოკრთება ქუში ამიდი,
ფიქრის უმალვე ავიფარებთ, ნიღაბს მასხარის,
და არა იმ დროს რომ შევყავავარ, ტანგოს აზარტში,
ან მიცვალებულს თავს რომ ვაკლავ, უცნობ სამარის,
შენ მცირდავი ხარ,ნაკლს დაეძებ ახალ ფაზაში,
ეფერემებში პატივს არ ცემ სიცოცხლის ხარისხსს.
და მაინც ვიფრენ, ვერ შებორკავ, დახვეწილ ზადით,
რომ თავად გზები სხვადასხვაა, ჩემი და შენი,
რაც გაგაჩნია მიიტანე ბოლო სხლამდის,
შენ მქირდავი ხარ, სხვა ხელობა, არც კი შეგშვენის.

* * *

მე ჩემთვის ჩუმად ვღიღინებ,
ვის ფეხაკრეფით ქუჩმაჩობს,
შენთვის ჩუმად კრეფ გვირილებს,
თუმცა რა მაქვს საჩუმათო,?
თურმე არც ისე ჩუმად ვარ.
თურმე მთელი ხმით გავყვირი,
ვიღაც მანიშნებს ჩუმადო.
ყურს მიხეთქს შენი საყვირი.
ამ შენიშვნებით შენამდე,
სულ ფეხაკრებით ვიარე.

დრომ გადამასწრო უმალვე,
და მოსვლა დავაგვიანე.
მაინც ვერ მოგიბოდიშებ,
ახალ სიმღერის ლოდინში,
საბოდიშო ძალას კარგავს,
გამუდმებული ბოდიშით,
ძვირფასო, ეს ხომ შენც იცი,
ნუ გაიფუჭებ ხასიათს,
ეს უბოდიშო სიტყვები,
იქნებ ბოდიშით სავსეა.

*

დროის გასვლას ვჩქარობთ,
ვეღარ ვითმენთ ლოდინს,
დაწამს მისდევს წამი,
თვაფლითა და შხამით.
რას გვძენს და რა მოაქვს,
გვეფიქრება როდის.,
გაფრენილი წამი,
მიგვაქროლებს საით.
და ჩვენი ზღვა შფოთავს,
ებრძვის ტალღა-ტალღას,
კბოდეს გამოარღვევს,
ლურჯი ზედაპირი.
შფოთარე ძღვის ძვირთებს,

ვისმენთ აალ- მაყალს,
სულ სხვა შეძახილით,
სულ სხვა დანაპირით.
ზოგჯერ ოცნებათა,
დამსხვრეული ფრთებით,
კვლავ იმედებს ვძერწვავთ,
ველოდებით ახალს.
სად ვინ როგორ შეძლო,
გაშლა იალქნების,
ამსახაო ამიდს
ნეტავ ამ დროს სად ხარ?
თქვენთან მოსვლამდე

*

თქვენთან მოსვლამდე მაგიური, გზნებით ვიარე,
და ჩემი მოსვლა ინებ თქვენთვის რამედ არ ღირდა.
გზები მომბეზრდა, მივატოვე ვით ბნელი მხარე,
და მაღალ რისკით ჟამბაზივივით თოკძე დავდივარ.
და არ მანაღვლებს გამოვლილი, დრო და მანძილი,
ეს, ახირება სად წამიყვანს, ან სად შეწყდება,
თუ მივნავლდები, აქ დარჩება სულის ნაწილი,
ძღვაურ ტალღებად მივარდნილი, ლექსების წყება,
რადგან მოვედი, იქნებ ჩემგან ძალზე ბევრს ითხოვთ,
მანამ თქვენ ხილვას უფალს ვთხოვდი, აღვსილი ნდობით,
მთრალი ლექსები მოვიტანე,სულიერ სითბოთ,
ვით გაზაფხულისსურნელება ტყით და მინდორით.



ირაკლი გოცირიძე

* * *

სათავისოთ მოიზომა – ზღვა და მინდორ ველი,
არ მიგვიშვებს სიახლოვეს, მისგან სხვას არც ველი.
ნაცად ხერხს კარგად იყენებს, არ გვეშვება „დათვი“,
სულყოველთვის მოინდომებს – დაგვაბიჯოს „თათი“.
ჩვენთვითონვე უნდა შევძლოთ, აღვადგინოთ ნდობა,
დავამთავროთ დამღუპველი ქიშპობა და მტრობა.
კარგად ვხედავთ, რომ ერთი გვყავს ჩვენ საერთო მტერი,
„დათვს“ გენში აქვს მტაცებლობა, მადა შერჩა ძველი.
პატივი ვცეთ დაღუპულებს, ერთმანეთის ხელით,
ოცდაშვიდი წელიწადი სამძიმარებს ველით...
გავიხსენოთ წინაპართა ომში ერთად გრძოლა,
მეზობლობა, მეგობრობა, ჭირში ერთად დგომა.
ღმერთო, შეგთხოვ მოგვაშორე, ყველა ბილწი-ფლიდი,
რომ შევცოდეთ შენთან ყველამ ვიცით – კარგად მივხვდით.
დაგვაბრუნე აფხაზეთში, მტრობა მოსპე დიდი,
ერთობით აღგვადგენინე ჩატეხილი ხიდი.

* * *

ხან ლექსად ვცადე სათქმელი,
ხანდახან ვწერდი „არაკებს“
სამშობლოს გედი მაღონებს,
ტკივილი მალაპარაკებს...

* * *

გული ლამის საგულედან ამოვარდეს,
იწვის! – ღვთისგან კურთხეული ტყე, მთა-მიწა
რასა ფიქრობთ, უგუნურნო, რას სჩადიხართ.
საქართველოს უმოწყალოდ რატომ გვიწვავთ?!
ღმერთო, შენ გთხოვ, წვიმა მაინც მოგვაშველე.
ხომ ხედავ, რომ ალი ასდის დედა მიწას
შენც ხომ გესმის ტყე საბრალოდ როგორ კვნესის
ცეცხლმაგული ლამის ყველას ამოგვიწვას...

* * *

ისევ იმძლავრა ბოროტმა,
ისევ გაჩაღდა „ომი“
ისევ დასჭირდით სამშობლოს.
კვლავ მამულისთვის სწორდით,
ღმერთმა დაგლოცოთ გმირებო,
ისევ ცეცხლს აქრობთ გრძოლით.
ერთად დალოცვას ძალა აქვს.
ერთად დავლოცოთ – მოდით.

* * *

წმინდა ნინოს ჯვარს ვატარებთ,
სანთლებს ვანთებთ ბერი-ერი,
მის შეწევნით ფეხზე დადგეს
ავადმყოფი და მშიერი...
სამტროდ ისევ წავეკიდეთ,
ხარობს მტერი-დღეს ცბიერი,
გაბნეულ ცხვარს დავემსგავსეთ,
დავივიწყეთ ყველაფერი...
უფლის სიტყვა შეგვასმინოს,
სავედრებელი გვაქვს ერთი,
სამშობლო არ დაგვეღუპოს
დედასავით ერთადერთი...
დაგვიფაროს, დაგვამშვიდოს,
გაძლიერდეს ჩვენი ერი,
მრავალჟამიერ გვამყოფოს
მისმა მადლმა მედნიერი.

ლიკა
(ლიკა ქავჟარაძეს)

რამდენი დარდი გქონია,
რა აღარ გამოგიცდია,
სევდას ნახატზე ატევდი.
მხოლოდ იქ გადმოგიშლია,
იქაც კი, ანგელოზივით
სიკეთე არ დაგიკლია.
მარადიული სიცოცხლე
პეპლისთვის გადაგიცია (მიგიცია)
ყვავილთა ფერით გულისთქმა
ლამაზად გადმოგიშლია...

ალბათ გაჰყევი იმ პეპლებს,
ვერ შეგელიენ, გიცდიან,
შენს სიყვარულში გვაჯობეს.
ჩვენ შენთვის ვერ მოგვიცლია.
გულის დარდების მოსმენა
ჩვენ კარგად არც კი გვიცდია.
მშვიდობით, ლიკა – „მარიტა“.
ანგელოზები გიცდიან.
ალბათ დაგვხედავ ღიმილით
ცის კარებს რომ გაგიხსნიან...

10 მაისი, 2019·

დიდი მადლია სუყველგან,
საითაც უნდა გავხედოთ,
მეტად გვიყვარდეს მამული,
უფალს! მადლობით ავხედოთ...
გულწრფელად უნდა ვილოცოთ,
მოყვასს, თვალებში ჩავხედოთ,
დაქსაქსულობას რომ გვატყობს,
ხომ ვხედავთ ყველა თავხედობს?!..
თუ გვინდა ღირსება შეგვრჩეს,
ყველა არ გავათავხედოთ,
ერთი მიზნისკენ შევიკრათ,
საით მივდივართ? გავხედოთ!..
.....
ხომ გვიყვარს ჩენი სამშობლო:
მთა-ბარით, ზღვით და კლდიანად?!
ოცნება ყველას ერთი გვაქვს,
რომ ისევ ვნახოთ მთლიანად!...
„ბილწს არ შევეკრათ“ არაფრით!..
დაგვღუპავს ვერცხლი ჩხრიალა,
ღრმა მორევივით ჩაგვითრევს,
რამდენი გაატილა...

ხომ გვიყვარს ჩვენ საქართველო?
მდინარით, ზღვით და ტყიანად,
გულწრფელად მასზე ვიზრუნოთ,
რომ ისევ ვნახოთ მთლიანად!..
.....
ს ი ტ ყ ვ ა, უფლისა გავიგოთ,
რომ დავამარცხოთ – სატანა,
გავმრავლდეთ და გავძლიერდეთ,
ხომ გვინდა „ლელოს გატანა?!“
კვლავ ამღერდება ქართველი,
ამაყად, ლაღად, ხმიანად!...
გფარავდეთ ღმერთი სუყველას
და ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს...
მ თ ლ ი ა ნ ა დ!!
.....
სულ გვმოძღვრავს მამა-ილია,
ბრძენკაცი-გამოცდილია,
თუ ერი – გახლეჩილია,
გამარჯვება-ტყუილია...



მარი ბერუაშვილი

***

სულში ვიტოვებ იმედს საყდრიანს.
დილის ცვარი ვარ, ვარდზე ნაფენი,
არტერიებში დამიდის სითბო. ვინიცობაა,
გადავსხვაფერდი, ნუ დამივიწყებთ,
არ ვიყავ ვითომ!....
მე ჩემი წილი დამაქვს ოცნება,
ხშირად ვერ ვხედავ საკუთარ ლიბერთს...
საღამო დილის ტანზე ცოცდება
და ვუკავივარ ხელებში სივრცეს.
მგზავრი ვარ ერთი, მიუსაფარი,
ვეღარ ვიგემე ცხოვრების ყუა,
წუთისოფელის ცრუ სამართალით,
ვეღარ ვხედავ და თან ვითომ ყრუც ვარ.
ცა გატოტილა, როგორც ნატვრის ხე,
მიწიდან ვაბამ სურვილებს ახალს.
სრიალებს ღამით, მთვარე, ნაწვიმზე,
დილით ჩემი მზის სიმშრალით ავალ...
იხსენებს აწმყო არმაზის მსხვრევას,
თავს ეფარება ცოდვას ოლარი,
ვით არსაკიძე, უფალო, დღესაც
ამრავლე ჩვენში ხუროთმოძღვარი!
თეთრ სურვილებით ვავსებ ყულაბას,
ვხედავ, არ ტყდება რწმენის ნიჟარა.
ღმერთო, მიცოცხლე, ვისაც ვუყვარვარ,
და ნურც მას განსჯი, ვინც შემიჯავრა.
ცვარი ვარ დილის, ვარდზე ნაფენი და,
სალოცავად ვდგები განთიადს,
ვიწყები მაშინ,როცა ვმთავრდები,
სულში ვიტოვებ იმედს საყდრიანს!

ახლა ღამეა...

ორიოდე ლექსი დავწერე, ლექსი,
რომელიც ფლამინგოსფერ ფურცელზე გაცვდა.
შენ რაც წახვედი ზამთარია, ყინავს მას მერე,
მინაზე ვხატავ თებერვალის თოვლიან წამწამს.
შავი ღამეა. არა, უფრო ეთქმის მულატი,
წელან ზეფირმა გაუწეწა თმები ლამაზი.
როგორ უნდა თქვას სიყვარულზე კაცმა უარი,
ან თეთრი სვეტი დაუმსხვრიოს გრძნობის კათარზისს?!..
სტროფებს სახეზე ეხატებათ მშვიდი აურა,
ჩუმი სურვილით განცდები მკლავს რადიკალური...
კვლავ ზამთარია ყველა ქუჩის ნაცნობ სადგურთან,
მთელ დედამიწას სიყვარულის ასდის ალმური.
არ მომეწონა დღევანდელი დილის ციაგი,
რიჟრაჟის სიზმრებს ყავარჯნიან ლექსებს მივუძღვნი!
უკუნ ღამეზე წითელ ატლასს გადამიკრავდი,
მეგონა ჩემი არსებით და მთელი სისრულით.
თუ დაიჯერებ, ყოველ წამში სასწაულს ნახავ
და არ გადადგამ არც ერთ ნაბიჯს, თუ არ ილოცე...
სასწაულივით დავიჯერე, შენ იყავ მართლაც,
გზა, სადაც ღირდა დარჩენა და ქვეყნად სიცოცხლე....

* * *

წვიმაა ტკბილი სოუსი, ელოდები,
პურივით ამოიწო იმედები.
სიცარიელეა რეალობის თანდებული.
წარსული გალამაზებს, როგორც გაზაფხულს –
მერცხლის მოფრენა. აწმყოს ხედვაა გვალვიანი,
ნიჰილიზმს მოუცავს საყვავილეთი.
ეფერები ქრიზანთემას – შემოდგომის ასულს,
– სატრფოსთვისააო, გითხრა ვენერამ,
ვარსკვლავიც ჩამოგიხსნა მოტეხილი მკლავით.
წვეთი მოგონებების ჰამაკში, ფურცლავ ნაცნობ წიგნს,
სურნელით ხვდები, ის პანტა, წარსულიდან მწიფს.
ფანტაზია უგროვებია მიწის ზედაპირს,
სიხარულივით ატკრიაცდა წამი –
თეატრალიზებური დადგმა.
დაიმსხვრია ემოციამ თვალები შუშის,
გაიპოხა მისი პერსონალური წინსაფარი,
ლეღვისა და წიწაკის წვენიც შეიწოვა.
მიბაძა, ცხოვრებამაც გაიკეთა საფარი
– დრო შემოიკრა ტანზე. ყველაფერში
აღმოაჩენ ფანტაზიის ანაბეჭდს,
ქარსაც ფანტაზია დააქროლებს...
სიომ მომიტანა გრილი წარსული,
ცამ ღრუბელი მოიმარაგა. მოუსწრებს,
ჭკნობაში შესულ გვირილებს, წვიმა, მიწის სოუსი.

***

მადლობა, მეც რომ აქა მაქვს,
სამშობლოვ ჩემი ადგილი!
აჰა, განმგმირე მახვილით,
პოროტო ავსულიანო!
ჩემი სამშობლოს ტარიგი,
მტირალ ვარ და ვსევდიანობ.
ნისლებაყრილი მთები დგას,
მართვეებს ზრდიან არწივნი...
მადლობა, მეც რომ აქა მაქვს,
სამშობლოვ, ჩემი ადგილი!
ჩემი წინაპართ საძვალე
აქ მეგულება, მიწაში...
მამულო, შენი მახარებს
ჰაერი, ცა და წიაღი.
ზრდიან არწივნი მართვეებს
და სისხლი უჩქებთ გმირული,
მე ცოტნეს ძალა მამხნევებს,
ზვარაკად თავშეწირულის.
სავსე ვარ შენი ტრფიალით,
მზევდება შენი მერმისი,
ვაზი ხარ,ლოცვით მტირალი,
გამორჩეული ღმერთისთვის.
მამულო,ფეხი ვიშიშვლე,
ცვრიან ბალახზე გამოვალ...
შენა ხარ ტაძრის სიმშვიდე
და ანგელოზთა გალობა!..

შემომიერთდი!

შემომიერთდი, სადღეგრძელო უნდა დავლიო,
უნდა ვაქციო ბალახებზე ღვინო წითელი,
რომ მირონივით ჩაეღვაროს ცისფერ ალიონს
და ღვინისფერში აციმციმდეს სხივი მზისფერი.
ეს, ქართულ მთებში მონავარდე, ჯიხვის ყანწია,
ესეც ღვინოა-ქართულ ვაზის წმინდა ნაჟური..
შემომიერთდი!სადღეგრძელო ვუთხრათ მადლიანს
ცას და მიწა-წყალს, ქართული და მამა-პაპური.
ბაღში ვარდები ისველებენ წვიმისგან კოკორს
და მაისიდან იასამნის მოდის სურნელი,
კამკამა ზეცას მე შხაპუნას გულიდან მოვთხოვ,
ქართულ მიწაზე ჩამოვაფენ ფთილებს ღრუბლების.
ანანთეულის სუნი ასდით ნივთებს სახლისას,
გადაპენტილა ეზო-კარი თეთრი ყვავილით,
აყვავდებიან ალუბლები კვლავაც გაისად
და მომავალი- არწივებთა მძლავრ ფრთას გაიშლის!..
შემომიერთდი, სადღეგრძელო შევსვათ ყანების,
ყვითელ მინდვრებში გავირბინოთ შიშველი ფეხით,
უნდა დავლოცოთ ეს ქართული,ჩვენი მთა-ველი,
კვლავაც ქართულად განვადიდოთ მაღალი ღმერთი!
ხავსიან ლოდებს ვეთაყვანოთ ჩვენი ტაძრების,
წმინდა გიორგის კვერთხი არის ერის გზამკვლევი...
დამილოცნია ყველა ლექსი,ყველა ნამღერი,
ყველა ნაბიჯი დაგველოცოს მადლით კანდელის!
შემომიერთდი, სადღეგრძელო უნდა დავლიო,
ქართული მიწა დავლოცო და ჩვენი ფესვები..
ყოველ საღამოს,შუადღით თუ მზიან ალიონს--
უნდა აღსრულდეს მამა-პაპის წმინდა წესები!



გურამ ჭავჭანიძე

ვისაც არა სწამს მართალი სიტყვის
თავი ახალოს ქვას
მე თუ არ ვიტყვი, ის თუ არ იტყვის
ამა, ვინ უნდა თქვას?!

საქართველო ხომ შენი ხატია

ყოველ ცისმარე დილის საარზე
შენს უნებურად თუ ამღერდები,
თუ სიყვარულით გული გაქვს სავსე,
მაშინ არასდროს არ დაბერდები.
თუ ოცნებებით მოგიხატია,
ყინწვისები და ალავერდები,
თუ საქართველო შენი ხატია,
მაშინ არასდროს არ დაბერდები.
საქართველო ხომ შენი ხატია!
* * *
,,რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე?
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს"
დღეს კი არავის აღარ აწვალებს!
აღარც ცოტნეა, აღარც თევდორე,
აღარც ერეკლე, აღარც ილია,
ქართულო გენო იმძლავრე თორემ
ლამის იმედი სულ დაიკლია!

ღმერთმა მომასწროს

ჩემი სამშობლო, ჩემი უფალი,
ღმერთმა მომასწროს თავისუფალი,
მაგრამ არა თუ პატივაყრილი,
შერცხვენილი და ნაცარწაყრილი
უილაჯო და დაღონებული,
დაჩოქილი და დამონებული,
არამედ მტკიცე და შემართული,
ცერზე შემდგარი ნაღდი, ქართული,
ღმერთმა მომასწროს ჩემი მამული,
თუნდაც სისხლით და ცრემლით ნამული,
მაგრამ ნამდვილად თავისუფალი,
და სულნათელი როგორც უფალი,
მჯერა სამშობლო კვლავ იდიადებს,
კვლავ დაიბრუნებს ძველ სიდიადეს,
რომ გათავდება ცრემლი და გლოვა,
და ჩვენს ქუჩაზეც ზეიმი მოვა!

,,ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე"

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
არ გაიმეტო სხვისთვის,
უსაქართველოდ სიცოცხლე,
რა საჭიროა, რისთვის?
სამშობლოვ, ჩემო სიცოცხლევ,
ვფიცავ გელათს და ყინწვისს.
ჩემი პატარა სიცოცხლე,
შენს სამსხვერპლოზე იწვის!

პოეზია

,,პოეზიამ იცის უეცარი სიხარული"
ტერენტი გრანელი

პოეზია სულის ამოძახილია,
თუ სული გაქვს,,უსპეტაკეს თოვლისა"
პოეზია სიყვარულის ძახილია,
„ოეზია უპირველეს ყოვლისა!"

საქართველოში

თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვეგებადება?
ვაჟა-ფშაველა

საქართველოში დღესაც ბევრია,
ვინც არ არიან ხსენების ღირსი,
მაგრამ ის ერი რაღა ერია,
თუ ვერ იგუა გენია თვისი.
ამდენი ბოღმა, ამდენი ღვარძლი,
ნუთუ ქართველთა საკადრისია?
ვინც ვერ იგუა სტალინის ღვაწლი,
,,ფურთხის კი არა მეტის ღირსია!"

გულისტკივილით

გულისტკივილით გყვედრი, ქართველო,
რომ არც შენა ხარ ცამდე მართალი,
მაშ რად ისჯება დღეს საქართველო,
რატომ დადუმდა ღვთის სამართალი?
ჩვენიც ბრალია ხალხო, ქართველო –
ვერ გავარჩიეთ მტყუან – მართალი,
მიტომ ცოდვილობს დღეს საქართველო,
ცხინვალ –აფხაზეთჩამონათალი.

* * *

ყოველდღე ვისმენ საშინელ ამბებს,
მკვლელობებს რამდენს, სისხლისღვრას რამდენს,
ნუთუ ეს არის თავისუფლება,
როცა სიცოცხლის არ გაქვს უფლება?
შემირცხვენია ქართველი ხალხი,
თუ ვერ გაახელს ბოლომდე თვალებს,
ამდენი სისხლი ამდენი თალხი,
თუ შეარჩინა ჩვენს კრიმინალებს!

ვინ იცის

უსტალინოდ რა ელოდა
ამ სამყაროს ვინ იცის,
არც მოსკოვი იქნებოდა
და არც დედა თბილისი.
რა ელოდათ ახლებს, ძველებს,
ჩვენს ბნელებს თუ ნათელებს,
გაღმელებს თუ გამოღმელებს
და მათ შორის ქართველებს
ვინ იცის?

სიცოცხლისათვის

სიცოცხლისათვის ცოდვილ მიწაზე,.
ბევრი არ ზრუნავს,
მაგრამ ღვთის მადლით,,,ის მაინც ბრუნავს
ის მაინც ბრუნავს!"

***

მე მიყვარს მზე და ზეცა ქართული,
და ის ქართველი მხნე, შემართული,
რომელსაც სწამს და სჯერა მისია,
რომ საქართველო მარადისია.!
P.S. ორ ზღვას შუა ერთ დროს ჩვენში,
,,საომარი იყო ლელო"
ჭკუით, ძმებო, იმ შავ დღეში
არ აღმოჩნდეს საქართველო!

* * *

(გახსოვდეთ, რუსთან თუ მტრად დავრჩებით,
უბედურებას ვერ გადავრჩებით!)

22.07.2020



ეკატერინე ციცქიშვილი

შემცბარი

ძლივსღა რომ შემომათენდა
ეს ღამე ნაცარტუტალი,
ტატნობის ღია სარკმელთან
ლანდად მეზმანა უფალი...
მემცნო, თუ საით მიმიხმობს
სამარადისო ზარები...
ეჟვანშეგმულმა მიმინომ
დააბრიალა თვალები.

თან უახლოეს ღრანტეში
მეწყერმა დაიგრიალა,
შემცბარი თავქვე დავეშვი,
ძონძები მოსავს იალაღს.
დაქანცულ ჩამოვიმუხლე
ნამეხარ მუხის მახლობლად,
ეს სატიალე სიმუხთლე –
უღრანებშიც კი სახლობდა!

სუნთქვამ იმარხულა

ციურ სისპეტაკის ხიბლი
ფიფქად მოეფინა სივრცეს...
ნაბიჯს საწინსვლაოდ ვითვლი,
რწმენას სიანკარით ვივსებ.

როცა განშტოება ერწყმის
ამგვარ აღტკინების დვრიტას,
იმედს ვაგვირისტებ შენთვის,
ღრუბელს გაფითრება ფილტრავს.

სუნთქვამ იმარხულა წამით –
ყინვის სამოსელის მიღმა...
იქნებ ამეხილოს თვალი,
იქნებ ჩავუსაფრდე იღბალს!

სიჩლუნგის კასტა

ნასხეპ სამყაროს ჭრილობა მეწვის,
მომძლავრებულა ყლორტების ფეთქვა...
ცვდება სტიქია განსჯის და ხვეწნის,
ხორკლი დაფარავს თავკერძა მერქანს.
ძლივს გადაწონა ტრამალის ფლორამ
ნაბობოქრები ქარის ქომაგი...
კრუნჩხვის სიშმაგე ხოდაბუნს ტორავს,
წუხს სიალალე, ჩალპა ხორაგი.
ყარიბს დაზაფრავს საყვირის სპაზმი,
ვუფრთხი ჩანგრეულ კიბეთა ნაზავს...
მბორგავ ბლანტ მასებს სიობლე აწვიმთ,
წინსვლის ლაბირინთს სიმხდალე კაწრავს.
მცონარ პანსიონთ გულძმარვა ჩაცხრა –
თავდავიწყების მოწყენის ფონზე,
ცალკერძ ბობოქრობს სიჩლუნგის კასტა,
ჩამოასკინტა ფასკუნჯმა კორტებს.

მიუწვდომელი

სულში მარტოობის უფსკრულია,
ცალყბად ღაღადებენ ნარცისები...
უხმო რიტორიკა უძლურია –
თუკი სინანულით არ ვივსებით.
სხეულს განცდები თუ არ გაეყო
აღარ დაგვინდობს მუხთალი ბედი,
ყოფიერების მბორგავ ფაეტონს
მაყრიონივით შეუსხამს წლები.
ცნობიერების დამტვერილ ფარდაგს
ააბრიალებს ბრმა ქარაშოტი,
გაჭვალულია სარკმელის დამღა,
მიმოიფანტა მზის დანაზოგი
მიუწვდომელი გრაალის ხილვამ
მიმოაშფოთა გრძნობის ფიასკო...
კოდალამ მერქნის შეწყვიტა ხირხნა,
ცდილობს გუმბული გააპიაროს!

რწმენის კედელი

ვერ იჯეჯილა ნუგეშის სითბომ
ჩამოეღვინთათ გორმახებს ცრემლი;
ნაგვემი სული შენდობას ითხოვს,
მწუხრი ქარაგმულ მოგუდულს მღერის.
ბერმუხამ ღრუბელს დაუცაცხანა,
ფრთებს აგოგმანებს ქროლვა ქარების...
მიჟანგებულა სხვენში შაშხანა,
შეუვალია მზის ნაკრძალები.
აქ ხომ სიკეთე ფესვს ვერ გაიდგამს,
ყამირის მოხვნა ჯერ ვერ შევძელით,
მაგრამ რატომღაც ვამბობ ყასიდად –
არ გაიბზაროს რწმენის კედელი!



პაპუნა ქვარიანი



ეკატერინე ციცქიშვილი

პაპუნა ქვარიანი – სხვა რომ არარა გეთქვა – ეს გაბრდღვნის დროის წნეხვას!.....
ეკატერინე ციცქიშვილი – თუკი დროულად არ წვიმს – დაჩამიჩდება ქაცვი...
პაპუნა ქვარიანი – მიმოირკალა ფირი, უკუნს მიარღვევს გზირი!.....
ეკატერინე ციცქიშვილი – თუ დაამკვიდრეს ვაქცინა შინაგანობამ დაგვცინა....
პაპუნა ქვარიანი – მოშინაურდა სახადი, ფინიშის ბოლოს ჩავფლავდით!.....
ეკატერინე ციცქიშვილი – არ ავერიდოთ ზენა ქარს, მივენდოთ ციურ კელაპტარს!...
პაპუნა ქვარიანი – ამ ვარსკვლავების სიმუნჯე – ძველ-ძველ იარებს გვიყუჩებს!.....
ეკატერინე ციცქიშვილი – ამ ბეგრუხუნა კოდალამ ნისკარტი ძლივს არ მოხარა!....
პაპუნა ქვარიანი – ო, ეს როგორ შანსს იძლევა – ქერქში მუხლუხო მიძვრება!.....
ეკატერინე ციცქიშვილი – გაღიმებულმა ბერმუხამ ნახშირორჟანგი შემუსრა!...
პაპუნა ქვარიანი – ოჰო, ეს შრიალ-შრიალი გასათუთების შრე არი.....
ეკატერინე ციცქიშვილი – ტრაფარეტული ზმანება იქნებ მახეში გაება?!.....
პაპუნა ქვარიანი – ფიცხობს ოდითგან ნაღვაწი, განკაცებასთან დავზავდი!.....
ეკატერინე ციცქიშვილი – ამ მოთარეშე ფაუნამ სიმხდალე გააცნაურა!
პაპუნა ქვარიანი – მთავარი ფლორას ეშხია, ნიმფები იებს გესვრიან!.....
ეკატერინე ციცქიშვილი – მაინც ღრუბელმა იმძლავრა, ათრთოლა ცრემლი იმ წამმა.....
პაპუნა ქვარიანი – ეს მარადმწვანე ფიჭვები დახუნძლულია იჭვებით!.....
ეკატერინე ციცქიშვილი – ოფოფმა ფრთები გაშალა, გაიპწკიალა გზა-შარამ!...
პაპუნა ქვარიანი – ჭილოფი გეზად მეხურა, არ დააყოვნა ფერხულმა!.....
ეკატერინე ციცქიშვილი – ჰოდა, ამ გეხრეკ იაგოს კოშმარი ფრენით მიაქვსო!..



გერმანე საზანოელი

ათოვს

იისფერი ზეცა,
სუსხიანი შუქი,
ნაფეხურიც მკრთალა
თან იმედიც მუქი.
არეული ყოფა
ბოლო სიტკბოს მართმევს,
გამაყოლეთ მზისსხივს,
მასთან უნდა დავთვრე.
შორს ხარ მაგრამ სულით,
ჩემს ფრთებ ქვეშ თვლემ ალბათ,
ჰგევხარ პირმცინარი
გუგულიან რაბათს.
მინდა დავაარსო
სიყვარულის დაბა.
ტრფობილს ვენატრები
როგორც წყნეთელსკაბა.
უნებურად მსტუმრობს
გაფრენილი სითბო,
ურცხვად პროტესტანტობს
ქარიშხლობას ითხოვს.
ჩემს შავგვრემან ტკივილს
ვერაფერი კურნავს,
თითქოს შეაჩერა
დედამიწამ ბრუნვა.
მკთალა მოგონება
იპყრობს ჩემსნიჭს, ფართოს,
აცრემლებულ ფიქრებს
ათოვს, ათოვს, ათოვს.

****

ღამის ლაღ ცაზე
ბრდღვიალებს მთვარე,
ოცნების გზაზე
ლაჟვარდის კარებს?
გაგვიხსნის! გვლოცავს,
მოგვაფრქვევს დარსაც,
და შემოამსხვრევს
ამ სტროფებს გარსსაც!
ვიცი რომ მეძებ
მიხმობ და მეტრფი,
მე კი მიყვარხარს
არასდროს გეტყვი.
სამყაროსავით კი არ
შევშლილვარ,
მე ის მაფიქრებს
რადგან შენში ვარ.
ეხლა ეს რაა
დარდია ვით ბრბო,
სულ ასე მებრძვის
ზეცაც და სითბოც.
საჭიროება
ზოგჯერ ცვლის ნებას,
ყოფას მიჰყვება
დღეს ეს მიგნება.
ღამის ლაღ ცაზე
ბრდღვიალებს მთვარე,
ოცნების გზაზე ლაჟვარდის კარებს?
გაგვიხსნის! გვლოცავს,
მოგვაფრქვევს დარსაც,
და შემოამსხვრევს
ამ სტროფებს გარსსაც!

მოდი ჩემთან ძვირფასო
ერთი კოცნა დამითმე
მონატრებაც ძვირს ფასობს
სამზეური გამითმე.
დღეც არ დღეობს ჩემს გულში
ვერც ვიძინებ ღამით მე,
განაწამებ სხეულში
წამი ნამობს წამითვე.
გულის ცემას გაჩუქებ
ღარიბული არით მე
ვკვდები ისე აშუქებ
სიყვარული დამითმე.

ადამიანო! მშვიდობა შენ და....

შენ დაიფარე ღმერთო ძლიერო,
ყველა სულდგმული,გულისხმიერო,
სიამე მიეც დღეს რთულ სამყაროს,
და არასოდეს მზეს, არ გაგვყარო.
ფილტვებში ჩავწვდით, გავიგეთ თუ რა,
თავისუფლების ფასია რთულად.
გული დაიპყრო დარდმა და შიშმა
ვაისთან ერთად იმძლავრა ვიშმა
ზეცის დატალღულ ზვავივით ღარებს.
როგორც დეკემბრის სუსხიან ღამეს,
შემომეგება თითქოს სხვა ერა,
რადგან ღამის ცა გლოვამ დასერა,
ადრე ცხოვრება ჩემი მეგონა,
ეხლა ვითვლები ბნედის მე მონად?
ირგვლივ ვარღვიეთ რწმენა და წესი,
ვწყვიტეთ ავრიეთ სამყაროს? მყესი,
მუდამ ვიწყობდით ჩვენ შვებულებებს,
მიწის გასაძარცვ ვალდებულებებს,
ლაჟვარდი ლურჯი, ზეცის წიაღში,
სადღაც შორს ქრება, თითქოს მთლიანს შლის.
ცის და მიწისას ვითვისებთ მაჭიკს,
ვუშვებთ და ვპარავთ მის სულთა ჭანჭიკს.
და ვერ ინელებს ამდენ იარას,
ვერც მივუხვდით და არც აღიარა.
აქ ფულის გამო რა ვქმენთ ორბებმა,
ჩვენ უნდა ვძერწოთ გამოსწორება,
წამი ლაჟვარდში უქმის, ა, შენ და,
უსაქმურობის კოშკიც აშენდა
ადამიანო და შენ რა?
წყალიც და მიწაც, ჩვენი გენიდან
გაუცხოელდა კაცის ხელიდან,
ბუნების სულში ხელს ვუფათურებთ;
ეხლა ალბათ გვსჯის ჩვენ უმადურებს.
დღეს ტუსაღივით ფიქრთა გაჩენა,
ლოცვა, დღეთა თვლა და გადარჩენა.

ადამიანო დამშვიდობა შენდა!
მშვიდობა შენდა !

„მალე გაივლის"

ხილვა მქონდა მოდიოდა
დამპყრობელი აბჯარში,
მსოფლიო კი ნათლდებოდა
სიბნელეთის ტანჯვაში.
საკმარისად ჯიუტია
ზმანებაც და ესენიც,
სიტყვებიც კი ვერ მოვძებნე
ამეღწერა ეს სენი.
მოგვივლინა განსაცდელი
ჭეშმარიტმა ბუნებამ,
ღმერთო რატომ ვისისხლხორცებთ
ბევრ მდუღარე ცდუნებას.
დაბნეული შევცქერივართ
ამდენ დავიდარაბას,
შიშის ცეცხლი განიცადა
ფრანგმაც თურქმაც არაბმაც..
თოფიც რომ არ გასროლილა
ის ისე ცვლის სამყაროს,
თითქოს გაზაფხულის მოსვლა
წრთობით უნდა გვახაროს.
უცნაურზე უცნაური
შეზღუდვებით ვიღლებით,
ხელზე ხელთათმანებით და
პირზე კიდევ ნიღაბებით.
სივრცე თითქოს გადაკარგულს,
ძირძველს, სიბრძნეს აფუძნებს,
ამ ტალღებით შეგვასწავლის
ღმერთთან ქცევის საფუძვლებს.
დღეს მტერს ვხედავ მტრების გვერდით
თუმცა ტრფობა ძვირდება,
ღმერთო, კაცს რომ დავემსგავსოთ
ჭირი რატომ გვჭირდება



ელგუჯა ადეიშვილი

მსოფლიო კორონავირუსს (COVID-19) ებრძვის

ეპიდემიის მიზეზით,
მთელი მსოფლიო აშლილა,
უფსკრულში მიდის, სიკვეთე,
რაც რომ კაცისგან შექმნილა.

არ ჩანს იმედი – შეჩერებისა,
არც ოქრო – ვერცხლი შველის „ხაზინის",
ნათლად გამოჩნდა ჭირის გაქრობას,
სჭირდება ცოდნა უფლის ხარისხის.
ეკონომიკა დაღმართში მიდის,
კრიზისი შთანთქავს ყველა ქმნილებას.

წამყვან ქვეყნებში ვერ გაუმკლავდნენ,
ეპიდემიას ხალხის წამლეკავს,
პანიკის დიდი გამოძახილით,
წყდება სიცოცხლე ქუჩები არ გვაქვს.

იზრდება მსხვერპლი ადამის მოდგმის,
ზომის მიღება დროზე ვერ შედგა,
პრეპარატები, რაც ამ ჭირს შველის,
ქართულმა გენმა გამოიყენა.

მძიმე გასაჭირს ჩვენი ქვეყანა,
შეხვდა, გმირულად და შემართებით,
დედამიწაზე ყველა დარწმუნდა
გვყავს მედიკოსთა რაზმი შედეგით.

ამ ელიტას, განათლება
მიუღიათ ჩვენს მხარეში,
რამაც საფიქრალი მისცა
მთელ მსოფლიოს სწავლის წესში.

შედეგები გვაქვს სიკეთის,
ვინემ სხვა ქვეყნების გვესმის,
მცირე გვყავს დაღუპულები,
სახე ჩანს გამოსწორების.

ექიმთა რჩევით – კონსულტაციით,
ხელისუფლება ატარებს ზომებს,
შეწუხებულა დიდი – პატარა
დღედაღამ ელის ბრძოლის შედეგებს.

მადლიერებით უყურებს ხალხი,
ჭკვიან პრემიერს **(გიორგი გახარია)** და
მრავალ მებრძოლს,
ექიმთა მხრიდან, შეუპოვრები
**(ამირან გამყრელიძე, პაატა იმნაძე,
თენგიზ ცერცვაძე, მარიკა ეზუგბაია,
მარინა ენდელაძე, ლევან რატიანი, ეკა
ნაფეტვარიძე, რეზი მექურჭლიშვილი...)**
შედეგს აღწევენ – ჭირის მოსვლიდან.

იმედს გვაძლევენ, რწმენას თესავენ,
რომ გადავრჩებით მძიმე სენისგან,
მედიკოსების უზადო შრომით,
მალე გამოვალთ ბრძოლის ველიდან.

ეპიდემიის მოსპობით
მსოფლიო რომ დამშვიდდება,
ყველა გაიგებს ჭირის გაქრობას
ბრძნული ქართული გარჯა სჭირდება.

2020 წლის აპრილი.

ეგრეთი!! – წმინასიტყვაობის მაგიერ – სოფელი ბევრეთის წმინდა თეკლას სახელობის დედათა მონასტერი (პირო-ითი სახელი "კალამონი" – მთა ანტიოქიაში, სადაც მოღვაწეობდა წმინდა თეკლა) თბილისიდან 35კმ-ში, მცხეთა, ოფელი ბევრეთი, მდინარე დიდმისწყლის სათავე, თრიალეთის ძედის აღმოსავლეთის დაბლობი, ტყის შერეული ნაძვი) მასივით დაფარული ხეობა, ზღვის დონიდან 1100 მეტრი {1995 წლიდან მონასტრისათვის აღბილის შერჩევის, იწის ნაკვეთის პირადი სახსრებით შეძენის და მონასტრის მშენებლობის მოთავე – მამა თეიმურაზ ჩაჩიბაია}. წმინდა თეკლას დედათა მონასტრის წინამძღვარი – იღუმენია თეკლა {კუჭუხიძე}, მოძღვარი და წმინდა იოვანე ათლისმცემლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი – †იღუმენი იოვანე {ჩაჩიბაია}.

მასალა სოციალური ქსელიდან მოიძიეს - თამარ ფოფხაძემ და სოფიკო ბოლქვაძემ.

ბევრეთის (კალამონი) წმ.თეკლას დედათა მონასტერი



თბილისთან ახლოს, მცხეთის სანახში,
დიღმისწყლის ხევში არსებულ მხარეს,
უფლის სახლისთვის არჩეულ ადგილს,
მე ვუწოდებდი სამოთხის კარებს.
ცად აზიდული მთების – საწყისში,
შეირჩა მართლაც წმინდა ადგილი,
ქალაქთან ახლოს, ტაძარში შესვლა
წესით, ყოველთვის არა ადვილი.
მარადისობის ხე ხარობს – ნაძვი,
როცა უყურებ გიქრება დარდი,
გიპყრობს გუნება – ულამაზესი,
იმედი ჩნდება ძალზე უღრმესი.



საოცარი რაღაც ვნახე,
უფლის სახლი დავინახე,
სამყარო სიწმინდის მარგი,
გუნება ღმერთის ნაქარგი.
ტაძარი დიდმოწამეთა,
სავანე წმინდა – მიზნითა,
იქვე არსებულ შირიმით,
ნაგები ძველი სტილითა,
მსახურთ მოიწვევს კომპლექსი –
რჩეულებს დიდი რიდითა.

ღმერთი ადიდებს დიდ წმინდანს – თეკლას,
მადლს გადმოაფრქვევს მონასტრის ამგებთ,
და აამაღლებს მსახურთა დიდ შტოს,
უკლებლივ ყველას, უკლებლივ ყველას...
ვერ დაივიწყებ ამ ძვირფას ადგილს...
სადაც ულევი მადლი ირევა
და ამიტომაც ნიადაგ მრევლი
ამ „სამოთხისკენ" მიედინება.
თბილისთან ახლოს, მცხეთის სანახში,
დიღმისწყლის ხევში არსებულ მხარეს,
უფლის სახლისთვის არჩეულ ადგილს,
მე ვუწოდებდი სამოთხის კარებს.

2020 წლის 10 მაისი.





ლეილა ვადაჭკორია

* * *

რამდენი წელი გავიდა
წუხელ გიხილე სიზმრად,
იმდენად ვერ დავიჯერე
სიზმარშიც გამიკვირდა.

მე ფორიაქმა შემიპყრო
შენ კი გეძინა მშვიდად,
გათენდა, ბაღში კოკორი
გვირგვინის ფურცლებს შლიდა

მარტოსული

მორჩა წყლის ნაყვა,
ქარმა გაფანტა ის დღეები
არაფრის მქმნელი,
თან გაიყოლა ყველა ყალბი
ყველა ცბიერი,
იებს ელოდი, ქრიზანთემებს
და ფურისულებს,
გზის პირს ეულად ამოსულა
ერთი იელი.
შენც იელივით მარტოსული
შერჩი სამყაროს,
თავს რომ შესძახებ დაივიწყე,
მორჩი გოდებას,
გადაჭრილ ხეზე ამოსული
ყლორტი ხარ ახლა,
სულს რომ ითქვამს და ნელა-ნელა
რომ იფოთლება.

* * *

ორსახოვანი არ მიყვარს
ღმერთიც,
და შენი გრნობის
არ მჯერა დღესაც,
რადგან ყოველი
მეხის გავარდნას,
დაუყონებლივ მოყვება
ელვა.

* * *

ან როგორ წამოიდგინე
არ არსებულ,
არ ყოფილი,
მიჭირს გულის განკურნება
შენი ენით დაკოდილის

ჩემი წილი კალო

აღარ დაილია
ჭექა - ქუხილი და
მეხი, ქარიშხალი, თოვა,
იქნებ შემაწიოთ
ცოტა გაზაფხული
ვიდრე აღსასრული მოვა.
ჩემი წილი კალო
მოვრჩე გასალეწი,
აღარ გავიყოლო დარდი
თორემ გენაცვალე
დღენი შემომაცვთა,
ნახე, წლები როგორ გარბის.
მუჭში გამომწყვდეულ
ცოტა სიხარულებს
შენც ნუ გამომტაცებ ქარო,
სიმწრით ნაგროვები
ცოტა მარგალიტი
იქნებ საიქიოს ვთვალო.

ნუთუ მართლა?

ქარი ისე დაერია ფოთლებს
გეგონება რომ დუელში იწვევს,
დღე დღეს მისდევს,
ემატება წარსულს
და ზაფხულიც დაღვინებას იწყებს.
შემოდგომაც დაგვიმოკლდა თითქოს,
დრო კი ხელებს
ჩვენს ნერვებზე ითბობს,
სეტყვას და ქარს წყალდიდობაც ერთვის
ნუთუ მართლა შემოგვიწყრა ღმერთი.

* * *

ხან უნიათო და უსახური
მივდევ მორჩილად დროის დინებას,
მერე მეწვევა ზღვა სიხარული
ოცნების წყარო მოედინება.

ხან უსასოოს მაფრთხობს მირაჟი
ვნატრობ იების თვალის ახელას,
ხან დედამიწაც მეცოტავება
ცაში ღუბლებთან ვლამობ გაფრენას.

ხან ბეჩავი ვარ, ვხოხავ მიწაზე,
დამიწყევლია ჩემი გაჩენა,
ხან კი მგონია რომ შემწევს ძალა
კაცობრიობის გადასარჩენად.

არ გაგიკვირდეს.

არ ვიცი ახლა საით მივალ
ანდა რა მინდა,
მძევლად ქცეულმა გრძნობებმა ხომ
აიშვეს თავი,
მონატრებულო, ჩემო კარგო
ადამიანო,
ახლოს მოდი და გამისწორო
იქნება თვალი.
თორემ ხომ იცი განშორებამ
ლამის შეგვშალა,
უხილავ მტერმა გაგვიმძაფრა
სურვილი ნახვის,
არ გაგიკვირდეს ატმის ხეო
გულში ჩაგიკრა,
იქნებ კენჭებიც გავისროლო
გადაღმა ნაპირს.

ქარტეხილს გამოვექეცი

ქარტეხილს გამოვექეცი
ნისლო შენ როგორ დამამცროშ,
შენგან ცრემლების დენას სჯობს
ისევ მზის სხივმა დამნაცროს.
წავალ, ვაზს ცრემლი შევუშრო,
ყანას დავუწნა ფოჩები,
თორემ შენ ქარო მუქარას
ხომ არასოდეს მორჩები.



ნელი სანებლიძე

* * *

დროს მოუსხია წლების, ფიქრები..
კოსმოსს რი-ალში, დავესესხები..
რად ვიარებით, რაა?
მიგნების, რომ ვერ გავმხდარვართ სათნო, ღირსებით..
მივალ, ვაოცებ სევდას,კითხვებით,
სიყვარულისფერ,რომ ვიხედები..
მოვსულვართ ზეცით დანადინები,
წვიმის და ცრემლის შენაკადები..
.ვერშეგუებულ აწმყო ხედვებით,
ცის-ფერ ღრუბლებში გავიხედები,
ვარიდებ მზერას,
ელვას და ჭექვას,
შენაშფოთები, ამოხეთქებით..
რამდენ აზრებად, უფრო საგნებად,
ყოვლისმომცველი საოცრებებით-
გავხედავ ზეცას და ვიწერ პირჯვარს,
სულიერებით განაკვირვები..
და ღმუის ქარი- სულში გრიგალი,
სამყაროში ვარ, ერთი წერტილი..
მივყვები დღეებს,დროის მარწუხებს,
მოჰქრის პასუხის პასუხთ,კითხვები..
რა ვრცელი არის, სამყარო ქმნილი..
ჩვენ კი იმ სივრ-ცით მომა-რთულები,
ვებრძვით ყოველ დღეს, ყოველ ცის-მარეს,
დროში სივრ-ცეებს ველაციცებით..
....
ო როგორ მიყვარს მე
ეს ფიქრები.. თქვენი
მსგავსი და „სხვანაირები“

ჩვენი ❤ჩვენი ტკივილი🙏

როგორ გამეშალა გული,
როგორ შეიმოსა სული..
ჩემი სიხარულის წყარო
ჩემად ოცნებებად თქმული.
ჩემი ფესვებია ასე,ასე რომ
მინათებს, გზებს..
ასე რომ მაოცებს მუდამ,
მუდამ აამაყებს,მთებს..
ჩემო სილამაზევ ჩემო,
ვუმზერ,სიხასხასეს შენსას..
ვუმღერ ჩემი ხალხის სითბოს,
ირგვლივ მომდებია,სიტკბო
სიტკბოდ დახატულა,ზეცა..
მისად დანავარდობს,ჩიტი..
ისე უგალობებს, სევდას..
სევდა მომდებია დიდი..
ბევრი ჩარაზული, სახლი..
ფიქრი ვეღარ სწვდება,
თითქმის..
ღმერთო მოაბრუნე,მის
სახლს
ღმერთო მოაბრუნე,ხალხი..
ძველი დიდება და რიდი,
რაჭას დაუბრუნე, ხიბლი..
ამინ!!! ⛪

ნ ე ნ ო
რაჭა..ივლისი..

წითელი სხივი

წითელ ოთახში..
წითელ ჭერში..
წითელ დივანზე..
წითელ სამოსში
წითლად მნათებ
სანთლის ჩრდილში,
ხატთა შუქი --
გაბრწყინებულა..

რიდით და კრძალვით..
მოწიწებით..
თხოვნით..
ჩურჩულით.
ცრემლით ნამულ თვალთა
სხივთა არეკვლით
შეძრულა წიგნი..

ის სახელი
სახარების სიტყვებად მტკივა..
ზეცამდე მივა ჩემი ვედრება..
მიტევება რომ შეირხევა--
გააშიშვლებს,

გამთენიისას,
ფიქრებისთვის
თუ ვინმეს სჯიან -
ეს მე ვიქნები..
გამთენიისას თუ
მეტკინა სევდით
სული -
ეს მე ვიქნები..
განთენიისას
ძილი ფრთხილად
თუ მომეპარა
ეს მე ვიქნები,
ხილვა წამოვა და
ნისლივით გავიპარები..
გავყვები მერე..

რასაც სულის
ტკივილი ჰქვია..

რასაც სიმშვიდე
ვერ ერქმევა
ვერც ვერასოდეს,
თუ არ დამკვიდრდა
იგივ სულის
სიწმინდე მიღმა..
ყოფილა მირქმა--
ღვთისმშობელო..

შემინდო მინდა,
დედათა სულის
სიყვარული და
წმინდათ წმინდა..
ტირილი მინდა
ისევ ისე,
ტირილი მინდა..
რომ დამეწმინდოს
ამღვრეული
ცრემლები წმიდათ..



გადავივლი მწვანე
ველ მინდვრებს,
რომ არვინ სახლობს
იმ კარავში შევიპარები..
გავაღებ სარკმელს
გაუღებელს..
დავთვლი ვარსკვლავებს
და პირმცინარე საცე
მთვარეს ჩავეხუტები..

მერე ავდგები
უღრან ტყეში
წავიყვან მთვარეს
და მასთან ერთად

სიმშვიდემ
მართლა დააწყნაროს
ტანჯული სული,
დედას რომ უნდა
ერთგულებით
შვილთა იმედათ..
არ მჯერა არვის
შენი მჯერა
დედაო ღვთისა..

ღვთისმშობელო
ნათელო დედა..
წითელ ოთახში..
წითელ ფერში..
შემონათდა
ხატების ჩრდილი,
სანთლის ჩრდილში
გაღვივებული..



მადლია თქვენგან..
დედათა დედა...
შემომათენდა...
ამინ!!! +++

ჰორიზონტზე
ჩუმად გავქრები..
თან წავიყოლებ
უამრავ დარდს..
უამრავ სევდას..
კარიბჭეს ზეცის
ცოდვილ შვილად
მივებარები..
...
მივებარები..იმ
იმედით მივებარები,
რომ შესანდობად
შეეგებოს –
უფლის თვალები..



ლაიზი ონიანი

ფერთა მისტერია

როცა მწუხრის ჟამია,
კალიების გნიასი,
გაცრეცილი ფოთლებით,
დგანან ტოტებდახრილი,
როგორ აღმაფრთოვანებს
ტირიფები სინაზით.
გრძნობის აპოთეოზი...
ლელქაშებით მოფენილ,
დაშრეტილი ჭაობის,
ამღვრეული ფერები...
აქ წვიმების მეფეა,
გადარეულ სისწრაფით
მოვარდნილი სტიქია...
გადაიქცა ცრემლებად
ტკივილების სერია,
აუხდენელ ოცნებებს,
ფერთა ამ მისტერიას,
ალბათ რეალობაში
ახდენა უწერია...
თითქოს ლაბირინთებით,
ანტიკური მითებით,
მოცულია გონება...
შლეგი მუზის მონებად,
იქცნენ ახლა ფიქრები,
ვნების ქარტეხილებით,
მელოდიურ ბგერებად...
მოვლენ ამ შთაგონებად...
ემოციის სიმძაფრით,
მსურდა განმარტოება...

ქალი და წვიმა

ნაზი ხელები,თითები თლილი,
მუქი თმის ტალღებს,
ნერვულად არხევს,
ამ სილამაზეს,იდუმალ მზერას,
თვალებს ალმასებს,
ნაქანდაკ სხეულს და
ნატიფ ნაკვთებს,
ასე სასურველს და
თავბრუდამხვევს,
აპრილის წვიმის,
წვეთები თბილი,
თითქოს უკოცნის ვნებიან
ბაგეს,
ლამაზი ქალი,ნელი ნაბიჯით
მიჰყვება ქუჩებს,
მიდის და წვიმა გაზაფხულის
ბურუსში ახვევს.

დღეთა კრიალოსანი

მზე მარცვლის დღეთა კრიალოსანს ოქროსფერ თითზე,
წელიწადების ჰარმონია ქრება ზმანებად,
განვლილი დროის მირაჟები
გვიჭრელებს თვალებს და ნაზი სევდა,
ლამაზ გრძნობებს აამღელვარებს,
ჩუმი სიცივე შეგვახსენებს
ცხოვრების ზამთარს დასტირის მოგონება
გათელილ ყვავილებს,
ფეხარეული გავუყვებით
მხცოვან ბილიკებს,
ვნებისგან დაცლილს
ამ საწუთროს გავაქილიკებთ.

ჩემს მეუღლეს რ.შანავას

ფარატინა ნისლზე,ლალისფერის ლაციცს,
წააგავდა ტილოს,სურათი მზის ჩასვლის,
რომელიღაც მხატვრის,გენიალურ მხატვრის...
ღმერთი ჰელიოსის,
დიადემა ზღვაზე,
მზე კი ბრწყინვალეა,
ზღვა მშვიდია ახლა
და თან მდუმარეა...
ფირუზისფერ შხეფად,
თითქოს ლაჟვარდებად,
მოციმციმე წვეთად,
ქვიშის ნაპირს ერთვის.
მსურს რომ უსასრულოდ
ამ თავნება ტალღებს,
ვესაუბრო შენზე,
თბილებს ასე ლაღებს,
ვუკითხავდე ლექსებს,
წვიმასა და ქარზე,
მხურვალე ზაფხულზე,
თავისუფალ სულზე,
ნამდვილ სიყვარულზე.

ჩემს დას ნატალიას

შენი სამოსი უბრალოება,
სათნო სახეზე, ღიმილი თბილი,
ღრმა და მეტყველი შენი თვალები,
თითქოს დაღლილი
და ამ მზერაში სხივი სიკეთის,
უნაზეს სულის ამოძახილი.
სული ნაწრთობი ათას ტკივილით,
შენში ძალების არის მთესველი,
მოყვასისათვის,სიყვარულისთვის,
უფლის სახელით.
შენ ყოველ ჯერზე,
სძლიე ბოროტი,
ზღვა საწყაული მუდამ თან გაქვს ერთგულებისთვის,
ხარ დიდებული უცხო მშვენებით და მითიური
როგორც ფენიქსი.



ფერონია თურქაძე

* * *

მე რომ გაფრენა არ მიწერია,
ეს სიცივე ნეტავ ვისი ბრალია?
ფიქრები მიდიან, სიტყვები წარსულის მოგონებას ემსგავსებიან...
ქუჩაში თოვს, გაცრეცილი ნისლია, ქალაქი დუმს...
ფიქრებში გახვეული მივდივარ.
სიჩუმე ქუხს!არეული დროის ბრალია, ხალხი რომ წუხს...
გამოვამჟღავნე გრძნობები და ასე მგონია, განვეშვი დროს ,
დასამტკიცებლად ცხელა და ძალიან თოვს!

* * *

სანთლად ქცეულა ეს სიყვარული,
თანდათან იწვის,თანდათან ქვრება,
მე კი ცეცხლი ვარ ამ სიყვარულში,
ტანჯულმა თავი ვასტუმრე ზეცას...

ო... სიყვარულო, სანთლად რომ დნები,
შენ ჩემ ხელებში რატომ არ ტკბები ?...
ო...გრნობავ ჩემო დაღლილო, მთებში,
თავს გიმშვენებენ ქუჩაშიც სხვები...

აღარ დავეძებ, ლერწამი ვხდები,
გაშლილ ტოტებში წვიმაღა მერწყმის,
აქაურობას შესძულდა ღელვა ...
აქაურობამ ინატრა შვება!

არ მკადრულობდა ჩიტი მე მზეში!
არ მკადრულობდა მიმინოს ფრთები!
არ მკადრულობდა ქარი...მე ქარშიც ,
უკადრისობამ იმძლავრა ჩემშიც!

* * *

სიმშვიდე დარჩა, სიმშვიდის შემდეგ,
აირევიან ღმერთები ისევ,
ჰერესს დაჰკრავენ ძვლებს და მახვილებს,
იუდას მხოლოდ სატრფო აღვიძებს.
შენში ისევ ჩანს მძინარე ბავშვი,
ვენერა ხდება სამეფოს კარი.
სიყვარულს ვერ ავსებს სითბო...
სითბო,რომელიც გაცივდა თითქოს.
ზეციდან ხმა ისმის კედლების ნგრევის,

სამოთხის თაღებს დაედოთ ფერი თეთრი...
ჩუმი, ნაზი და სველი,
სურნელი დგება ედემის ბაღში
გიუნგაპადად მაქცია ბედმა,
წოდებული ვარ ქარიშხლის ღმერთად...
სად წაგიყვანო? ცეცხლია ყველგან!...
მუსლიჰაიმში იშლებიან გზები,
იქ მხოლოდ ცეცხლია, ერთი ფერის!

* * *

ვარ შექსპირი და პოემას გიძღვნი შენ!
ვარ პიკასო და ფურცლად გხატავ შენ!
ვარ დავინჩი და ყველგან ცად გძერწავ მე!
ვარ ნილოსი და ეგვიპტეს გჩუქნი შენ!

* * *

ლურჯი ცა და მწვანე მინდვრები,
უსიყვარულო შენი სიტყვები,
ხმამაღალი და მდუმარე სახე
თავს მანატრებენ თვალები სავსე...

შემომეხვია ტკივილი შენი
და სამუდამოდ განვეშვი ფიქრებს,
აღარ მახსოვდა დღეების სიგრძე...
ყველა მუზეუმს ეწერა თავზე –
„დაკეტილია, გვესტუმრეთ მარსზე“.

ირონია და გამხდარი სევდა,
გაურკვეველი ფიქრების ცქერა...
არეული და მტვრიანი სახლი,
უსიყვარულოდ დამტკბარი ხალხი,
თავს იმშვიდებენ წარსულის მადლით.

შენ ზევსის ცოლის წოდება მიბოძე
და როგორც ზევსს, გული ისე გატკინე,
ოლიმპოს მთაზე ცეცხლი მაჩუქე
და მე იმ ცეცხლით ყველა განვკიცხე.

* * *

ცაზე თითქოს მართლა ღამე აღმოხდა.
ყველა ფიქრი სიმშვიდეში გამეფდა,
ეს საღამო დაწყებული არც იყო,
როცა სულით ჩემი ლოცვა წამოგცდა...

სიმშვიდეში იშლებიან ფერები,
ცას ფარავენ მიწიერი ვნებები...
ცაზე თითქოს ვარსკვლავებიც გამოჩნდა,
ღამემ თითქოს ჩემი სევდა დამალა.
მზეზე ძლიერ შევიყვარე ნათება,
უხილავი, თითქოს გარდაცვალება.



* * *

თოვლის ფანტელები ეკიდებიან გაზაფხულის ხეებს,
რა საოცარი სურნელია და ლურჯი ზეცა,
არა, უფრო თეთრი და ღრუბლებში ცივი სევდა.
თოვლია და თოლიები მღერიან,
რომ ვერ ვიგებ, მათი ენის ბრალია...
რომ ვერ ვიგებ, ხომ არ ნიშნავს, არ მესმის...
მე მესმის და მთელი დღეა, აქ ვდგავარ!



შორენა მამალაშვილი

*** * ***

დიდი ხანია აღარ ვაწერ ლექსებს თარიღებს
და თეთრ თაბახებს ქარებს ვატან დასალიერში,
აღარ მანაღვლებს ეს მტარვალი დრო სად წაიღებს,
სად გადამალავს -- სარდაფსა თუ ბნელ ვოლიერში.

აღარ მანაღვლებს ვინ დალეწავს ქარის წისქვილებს,
საკუთარ თავთან, ვით ცარიელ სახლში ვბრუნდები,
ვეღარ ვერევი საკუთარი სულის სიმძიმეს,
და შემოდგომის ფოთოლივით უხმოდ ვხუნდები...

მიიზლაზნება დრო უდაბნოს ქარავანივით,
და დასიცხული ბაგეებით გოდებს სამყარო,
მთელი ცხოვრება, გაფრენილი ერთი წამივით,
ბოლო სტრიქონის დასრულებას მინდა ვაკმარო.

სული დაღლილი ათასგვარი მისტერიებით,
იავარქმნილი ბაბილონის კედლებს აწყდება...
ჩვეული სენის ქრონიკული ისტერიებით,
კაცობრიობა ებრძვის ღმერთს და ისევ მარცხდება.

დაე, დასრულდეს სამყაროსთან ჩემი ჭიდილიც,
დაე, დაეშვას მეწამული ზესკნელის ფარდა,
და ისეთივე დიდებული იყოს სიკვდილიც,
ვით უკვდავების ღვთაებრივი წუთების განცდა!

***

,,ერთხელ შობილი
ორჯერ არ კვდება“...
და გულიც მხოლოდ
ჩერდება ერთხელ,
ავი სიზმარიც
ერთხელ ახდება,
ერთხელ მოსწყდება
ბერმუხა ფესვებს...

ერთ წასვლას ჰქვია
 არდაბრუნება,
ვინ დარჩენილა
სამზეოს ჭერქვეშ?
ცისკარი ერთხელ
გადაბრუნდება,
ერთხელ გეცლება
სამყარო ფეხქვეშ.

მოსვლა რად ღირდა,
 რა იყო წასვლა,
ვინ დაიბევა
სამოთხე კაცთა?
რად ღირდა
ოქროს კვარცხლბეგზე ასვლა,
თუ მონა იყავ
ცრუთა და ფარსთა...

,,ერთხელ შობილი
ორჯერ არ კვდება“...
ორი სიცოცხლეც
ცოტაა იქნებ,
რომ გამოიცნო
რა გელოდება,
რა ცოდვა-მადლის
საპალნეს ირჩევ.

გახსოვს?

გახსოვს, ღობეზე გადმოწვდილი ლეღვის ტოტები
და ორღობეში დასუსხული სველი კანჭები?
გახსოვს კოცონთან აკრეფილი მთვარის ნოტები
და ღამის ცაზე ვარსკვლავები, როგორც სანთლები?
გახსოვს, თიბათვის ლორთქო სუნი თივის ზვინებში
და ცვრიან მოლზე შებნეული გულყვითელები?
გახსოვს ოთახი, შემინული, თავსხმა წვიმებში
და ხეივანზე გალუმპული მწიფე მტევნები?
გახსოვს, ვუცქერდით ყოველ დილით მზის დაბადებას
და კავკასიონს მშობიარე ქალს ვადარებდით?
ღამეს ვარქმევდით მზის უეცარ გარდაცვალებას
და სიბნელეში მთვარის კიაფს თავს ვაფარებდით.
გახსოვს, ბუხართან მოქსოვილი ზღაპრების გადე,
გრძელი ზამთრები, უსპეტაკესს თოვლის საბანში,
მიძინებული დედამიწა და ზამთრის ცაზე
ფიფქების ჩუმი, უხმაურო ცეკვა-თამაში.
გახსოვს, ბაყაყთა გუნდი, მთვარით სავსე გუბეში,
რა მონდომებით ასრულებდა ღამის არიას?
და იმ შურდულმა, შენ რომ მუდამ გედო უბეში,
ის გაბერილი მომღერლები როგორ არია?
გახსოვს კიბის ქვეშ, საბუდარში, გუგულის ბარტყი,
გაოცებული ბებიის და კრუხის თვალები?
ყველაზე უფრო პაწია და ყველაზე მარდი,
ერთ დილას როგორ დაგვეკარგა პურის ყანებში...
გახსოვს, უბანში გაწოლილი კაკლის ჩრდილები
და ამ ჩრდილებქვეშ ათასობით ჩავლილი ლანდი?...
და ჩვენ -- ბავშვები, უცოდველი ცოდვის შვილები,
მათ ვეკუთვნოდით, თუმცა, მაინც არაფრით ვგავდით,
რადგან ტკივილი, მაშინ მხოლოდ ვიცოდით კბილის,
ანდა, ეკლებით დაკაწრული ხელისგულების.
რა უშურველად ვარიგებდით კამკამა ღიმილს
და როგორ ძლიერ გვეშინოდა ავი სულების...
მერე დღეებმა შეუმჩნევლად იცვალეს ფერი,
სხვა საფიქრალით დაგვიმძიმდა გაზრდილებს მხრები...
და უცაბედად გაფრენილი ბავშვობის წლები,
ტკივილად გვექცა, როგორც ძილში დაჭრილი ფრთები.



ნანა ჩარკვიანი

ლურჯი აპრილი

სუნთქვა უჭირს დედამიწას
და, ჟანგბადი არ ჰყოფნის,
ყველაფერი არის ალბათ
ჩვენი ცოდვის ნაყოფი,
კაცის გული არის ხარბი,
არასდროს არს სამყოფი,
უკვდავების წყაროს წყალი,
ნეტავ რად არ გადმოსდის,
ნეტავ როგორ ვიქნებოდით,
მზის და მთვარის ნაშობნი,
ევას რომ არ გაესინჯა,
სამოთხის ხის ნაყოფი.
გული სტკივა დედამიწას
რა ფერმკრთალი გამხდარა,
ხალხი უფრო გულჩვილი და
მგრძნობიარე გამხდარა.
ჩაკეტილი კარანტინში,
ოჯახებში დამსხდარან.
ლოცულობენ,უღმერთონიც
მორწმუნენი გამხდარან.
დედამიწას პულსი ისევ
ესინჯება, მინორზე,
გადავცვალოთ სიძულვილი,
სიყვარულზე, სიტკბოზე
მის ძარღვებში,ისევ ისე
ჟრიამული ისმოდეს,
და ახალი შემართებით,
გული უფრო უცემდეს,
რომ რელსებზე, საოცარი
მოძრაობით მიჰქროდეს.
ამას აღარ უნდა ბევრი
მოთქმა, ფსიქოლოგია,
თავი უნდა დააღწიოს
რეამინოლოგიას.
დატრიალდეს ისე ძლიერ
პირვანდელზე მჯობნია.
თორემ სახლში დაგვემართა
ჩვენ კლავუსოსტროფია.
ცას და დედამიწას შორის
სულ იქნება მანძილი,
კიდევ ბევრჯერ დაამშვენებს
ხეებს ლურჯი აპრილი.

მზე ისევ ამოვა

უკუნეთიდან
ამობრძანდა
მეფურ მშვენებით,
მზეს მოსდებია,
ცეცხლის ალი
სიყვარულისა.
წლებმა ცალცალკე
ჩაგვიქროლეს,
დროს ვერვინ შეცვლის
სულს დასტყობია
იარები სინანულისა.
სხივებს გაჰფანტავს
დედამიწას გულს
დაუამებს,
მზე კვლავ იმზევებს
მზის სხივებით
მოქარგულითა
და,შენს ფიქრებში
მონატრებით
ნათენებ ღამეს,
დააფრთხობს
დილა,ვარდისფერი
გაზაფხულისა.

გაწყენინეთ?! მომიტევეთ...

გაზაფხულის დილა არის
მოწყენილი ამინდია,
მზე ღრუბლებში მიმალულა,
გულსაკლავად სტვენს ნიბლია.
არსად კაცის ჭაჭანება,
სხვანაირი სიმშვიდეა.
ამოქროლდა,ცელქი სიო
და ფიქრები ამირია,
ამიბურდა ნაწნავები,
გვირილები დამიბნია.
ყველაფერი მომაგონდა,
არაფერი დამვიწყნია,
რა გზაც განვლე ცხოვრებაში,
ოცნებებში დამივლია.
ასჯერ ვზომე ეს ცხოვრება,
ასმეერთეთ გამიჭრია.
შური, მტრობა და ღალატი
გულშიაც არ გამივლია.
სიკეთე კი,ქვაზე დავდე,
თუმცა, არც ის დამითვლია,
უფლის რწმენა,ლოცვა თმენა,
უკვე წესად დამიცვია,
საიდუმლო მეგობრისა
არასოდეს გამიცია.
მეგობრისთვის სიყვარული
გზად და ხიდად გამიდია.
ღვთის საძრახი საქციელი,
არასოდეს არ მიქნია.
მაგრამ მაინც შენდობას ვთხოვ
ღმერთი ყველაზე დიდია,
უნებლიე შეცდომები,
თუ მომსვლია,თუ მიქნია.
პატიება აღსარების
ღმერთო შენთვის მომინდვია.
მაწყენინეთ?!
გაპატიეთ...
მე მეწყინა?!
შემინდია...
რანაირი სიწყნარეა,
რანაირი ამინდია,
წინ კვლავაც მაქვს
გზა სავალი
დღეები არ დამითვლია,
განვლილი გზა ოცნებებში
მერამდენედ გამივლია.
და დღეიდან რასაც ვივლი
არის გულის წადილია.
არც ის იყოს სიყალბე და
ნაღდი იყოს ნამდვილია,
სუფთა სულით სამოთხისკენ
მქონდეს ხელი გაწვდილია,
სიყვარულით მოქარგული
მიწიდან ცის მანძილია.
გაწყენინეთ ?!
მომიტევეთ...
მაწყენინეთ?!
შემინდია....

გაიაპრილებს



ვნებადაცლილი
დედოფალივით,
გადაუხსნიათ
კვირტებს საკინძე,
ცელქი სიო კი,
ჭორებს უამბობს,
შეყვარებული
ატმის
ყვავილებს,
დგას გაზაფხული,
სიმშვენიერით,
მაგრამ სიჩუმე,
მაინც მაფიქრებს,
სამოთხის ბაღის
იდუმალებას,
მარტო ჩიტების
სტვენა, აღვიძებს.
გამოკეტილებს
სახლის კედლებში,
ადამიანებს,
სენი აშინებს.
კორონას ებრძვის
ისევ სამყარო,
გარემოება, ბევრს
დააფიქრებს,
ალმოდებული
ყაყაჩოები,
ეჩურჩულება
ნაწვიმარ ტიტებს,
უფლის აღდგომით
და უფლის რწმენით,
გაზაფხული კვლავ,
გაიაპრილებს,
წყვილები ისევ,
დაუყვებიან,
ახმაურებულ
ქუჩის ნაპირებს.
შეაფარებენ
თავს მტირალ
ტირიფს,
შხაპუნა წვიმა
თუ დააპირებს.
გამოიდარებს,
და ცისარტყალა,
მოხატავს ცას და
ფერებს აგვირევს,
აღსდგება ისევ,
იესო მკვდრეთით
აუცილებლად
გაიაპრილებს.

ჟამი

ჟამი კარს მომდგარი
უხმოდ ჩაგაფიქრებს,
სიცოცხლე ფასდება,
გადაშლილ ედემად.
თუმც ბევრჯერ გადინა
ცხოვრებამ ცრემლი და,
გულსაც კი უჩხვლიტეს,
დარდისგან ეკლებმა.
სამყაროს მაინც ვერ
დავთმობთ და
სიცოცხლე, იბრძვის
მთელი ძალით,
სიკვდილს არ ნებდება.
ჟამი კარს მომდგარი
ეკლიან ხაფანგში,
მინდა გამოვკეტო,
ნაზამთრალ
თაგვივით.
სიცოცხლის მეჯლისზე
სიყვარულს ვუცეკვო,
ნამიან ბალახზე
შემშრალი წამივით.
მინდა დავუკოცნო
კალთები სამშობლოს,
წვიმიან ამინდში,
აშლილი ქარივით.
მინდა გადაგრიო
კვლავ ჩემი სურვილით,
წყურვილი მოგიკლა,
მთის წყაროს წყალივით.
წამი წუთისოფლის,
როგორ სწრაფად გადის,
ჩვენი ცხოვრებაა,
წამის გაელვება
და შენ,თუ გინახავს
ატმისყვავილივით,
გრძნობაარეული
სულის აფეთქება.
ჟამი კარს მომდგარი
უხმოდ ჩაგაფიქრებს....

რა სიჩუმეა...

რა სიჩუმეა...
არადა,ამ დროს
გადაჭედილი
ხალხის დინებით,
ქრისტეაღსდგაო
სასაფლაოდან,
ისმოდა,
მუდამ შეძახილები.
სასაფლაოზე,
აღდგომის დილას
ქართველი თავის
ადათით, წესით,
ქრისტესაღდგომას,
ძვირფას საფლავებს
ჩამოივლიდა
პასკით და კვერცხით.
იყო საფლავთა
ყვავილით მორთვა



და ჭიქა ღვინით
შესანდობარი,
სანთლებს უნთებნენ
მიცვალებულებს,
საფლავზე
თავის დანატოვარი.
სადღაც ისმოდა
არღნის ტირილი,
მწყურვალ საფლავზე,
ღვინის პკურება,

გავშვების ლაღი
სიცილ-კისკისი,
წითელი კვერცხის
დაჭახუნება.
რა სიჩუმეა...
მიცველებულთა
სულს დასტყობია
ნოსტალგიები.
დღეს ვერ მოვედი მე
შენს საფლავზე,
ვერ მოგიტანე
ორქიდიები.
ისევე ისე
აყვავებულან,
სასაფლაოზე
მაგნოლიები.
რა სიჩუმეა....

ღამის შემდეგ გვითენდება

გათენდა და ჩემს ფანჯარას
მზემ სხივები დააყარა,
უძილობით ნათევ თვალებს,
ციდან ნამი მოუტანა.
მერე კოცნით მომეფერა
გულის გულში გადამმალა,
ღამის დარდი და ნაღველი
ცხრა მთას იქეთ გადაკარგა,
დეპრესიის მაქმანები
ახლოს აღარ მომაკარა.
რაც ღამემ გული მატკინა,
დღემ სულ ყველა გამიქარვა,
და ცხოვრება ულმობელი,
ცისარტყელით მომიქარგა.

გაზაფხულის ტკბილმა დილამ
ტკივილები დამიამა.
ჩიტების ხმა სულის ძირში
სიმებივით ახმიანდა.
კიდევ ერთი გათენებით
დედამიწა დატრიალდა.
ღამე მაინც ვერაგია
გადმოგიშლის
გულის დარდებს.
და ცხოვრების
განვლილ დღეებს,
ხელისგულზე
დაგილაგებს.
ფიქრები იქ

გადაგისვრის
სად იყავი,სად რა ნახე,
სად ცხოვრებამ გაგიღიმა
ან და,სად დაგიგო მახე.
კიდევ კარგი,ღამის შემდეგ
ისევ დილა გვითენდება,
რაც ღამეში მუქად ჩანდა,
ის დღე, უფრო გვიმშვენდება.
კიდევ ერთი გათენებით
სიხარული გვიბევრდება,
ჩვენი ბედი და იღბალი
მაღლა ცაში იგეგმება,
გარბის წლები ულმებელი,
გული კი არ გვიბერდება.



ეთერ ლობჟანიძე

უმწეო ვარ უფალო

უმწეო ვარ უფალო,
უფსკრულს ჩავცქერ მაღლიდან,
ბევრჯერ დამჭრა ცხოვრებამ
ცრემლიც ბევრჯერ მადინა....
ვერ ვიშუშებ უშენოდ- მტკივან
კვალებს წყლულების,
შენს ხატებთან ვემხობი
მხსნელად შენ მეგულები...
ვიცი ცოდვის შვილი ვარ -
ისე როგორც მრავალი,
მომიტევე, გამიხსენ,
გზა, შენამდე სავალი...
თვალი ცრემლით მევსება –
ფერფლს მიჰყვება ფიქრები,
ვიცი ვერვინ დამძალავს
თუკი შენში ვიქნები...
მე ხომ შენი პატარა-
ნაწილი ვარ უბრალო,
ხელი მაგრად ჩამჭიდე
არ გამიშვა უფალო!

ჩემო საქართველო

ვაზის ადგილი ხარ –
ღმერთი, რომ ეძებდა,
„ღვინის აკვანი“ ხარ
ჩემო საქართველო,
ფეხზე დაგიდგები
ფიალით ხელში და,
შენს ჯიშს და გენს ვლოცავ
ჩემო სასახელო...
შემივსეთ ფიალა –
უნდა ვეზიარო,
ეს ქრისტეს სისხლია
თან ტკბილი ბადაგი,
ოდითგან კურთხეულს
მუდამ უგალობდნენ,
ქალწულის თმებით აქვს
მას ლერწი გამთბარი ....
დამისხით ღვინო და
უნდა ვადღეგრძელო,
დღეს ჩემი სამშობლო
ასე დაკარგული,
გმირული წარსული,
წმინდა ადათები...
ლხინი და მოლხენა
მის ფესვში გადგმული...
დამისხით, დღეს მტრებთან
გადავალ ალავერდს,
ერთობას დავლოცავ მე,
ვაზის ნაჟურით, ნატავ ვის,
რად უნდა ისეთი დიდება,
თუ ხინჯად იქნება მისივე მამულის...
მინდა ვადღეგრძელო
მე ყველა ქართველი,
ვინც მხოლოდ მამულის
ფიქრებით ივსება,
ტაძრის კედლებზეც ხომ
ვაზები ხატია, და
სალაგალობელიც აქ ვაზით იწყება...

ნუ წახვალთ!

ნუ წახვალთ, ამ მთაში გაზრდილებს,
მუხლი არ შეგრჩებათ მგლისანი
და მერე, თუნდაც რომ დაბრუნდეთ,
მაქნისი იქნებით, რისანი?
მიდიხართ, გული არ მიგყვებათ,
გული – მთის ფესვებზე შეზრდილი,
თუმც ნახოთ იოლი ცხოვრება,
ვერ ლაღობთ, სული ცას შესტირის.
მიდიხართ, ეჩვევით დახლებს და,
რჩება ხარ-გუთანი დაყრილი,
ცრემლებად ჩამოსდის კლდეებზე
ქვიშები ხევებში ჩაყრილი.
უთქვენოდ კვდებიან ეს მთები,
ჰეი, სად წასულხართ მთიელნო?
დაბრუნდით, სანამდე დრო არის,
ფარ-ხმალი შეიბით ძლიერნო.
უჭირდა თქვენს მამა-პაპასაც,
გზაც კარგად იცოდა მაშველი,
არსად მიდიოდა მიტომ,
რომ ამ მთების მას ერქვა სახელი.
სწირავდა, სიცოცხლეს სწირავდა,
წრიაპით ვიდოდა კლდეებზე
და მერე ღმერთამდე ასული
ქედს ხრიდა მამულის ველებზე.
დაბრუნდით, აცოცხლეთ ეს მთები,
ამრავლეთ ნიშა და ნიკორა,
თორემ ეს ცხოვრებაც გაივლის,
ისე ვით არა და იყო რა...
ჯერ კიდევ სუნთქავენ ეს მთები,
მხცოვანნი გასცქერენ სამყაროს,
ფესვებზე შერჩენილ სიცოცხლეს,
დაბრუნდით, სული არ გაჰყაროთ...
ძნელია ჭიდილი ამ მთებთან,
ამ მთების გარეშეც ძნელია,
ვალია შვილებო ეს თქვენი,
დაბრუნდით იქ, სადაც გელიან!

* * *

მე ჩემს ლამაზ ოცნებებს საიდუმლოდ ვიტოვებ,
ლამაზ სევდას სიცოცხლის წამითაც არ ვიშორებ
და ჩემს სევდის ჩიტებთან ვისმენ წვიმის არიებს,
მერე რა, თუ ღრუბლებმა ამინდები არიეს...
სიხარულს და ცრემლს შორის, ან რა არის მანძილი,
ვერაფერი გადაშლის თუ გრძნობაა ნამდვილი...
მზის ათინათს ვდარაჯობ, ვუთვალთვალებ დილიდან,
სულზე გაშლილ გვირილებს ლოცვით ღმერთთან მივიტან

* * *

მე პოეტობას არ ვიჩემებ – ასე შემოვლით,
მაინც ვწერ სიტყვებს, რაც მაწუხებს რაც მეხერხება....
არ ვიბრალებ და არც არავინ არ დამაბრალოს,
არ ვჩემობ არა პოეტობას, არც მეჩემება...
თუმც მიხარია... სიტყვას იმდენს მაინც ვახერხებ,
მამულს სულ ცოტა მოვეფერო, სული გავუთბო...
ვინც და რაც მიყვარს მინდა ყველას დარდი გავუქრო...
ლხენაა ჩემთვის, ჰო.. დამიჯერეთ
როცა ჩემს სათქმელს ვამბობ თამამად, და მიხარია ...
რომ თქვენთან ერთად, მე მაქვს სამშობლო,
მაქვს მისი რწმენა... ეს არის ჩემი დარდი და ლხენა...
მე მიხარია, " ქართლი ენით" სიტყვების წერა!



ნუკრი ლობჟანიძე

* * *

მერამდენედ ვშვრებით ასე,
აღმა ხნული, დაღმა ვფარცხეთ,
რა გვჭირს ნეტავ რად ვერ ვხვდებით,
ქვეყნის ჭირი არ გვადარდებს!
ვერც სინდისი, ვერც ნამუსი,
ქართულ ფასად შევინახეთ,
გამყიდველი ბევრი გვყავდა,
ამიტომაც ვერ ვივარგეთ.
ვამჯობინეთ ბარაბას გზა,
ისევ ვერცხლის ჩხრიალს ვეტრფით,
დავამგვანეთ ეს სამოთხე,
ყვავებისგან ნაკორტნ ხეხილს,
გული არ გვაქვს ის ქართული,
ჩვენს წინაპარს ჰქონდა უწინ,
ვერვინ ვნახეთ წინამძღოლი,
წაგვიყვანოს გზაზე უფლის!!!
იქეთ გარეჯს გვართმევს უცხო,
აქეთ ლიახვს ფერი არ აქვს,
ეხ, რა ხდება ნეტავ ჩვენში,
ფსოუს წყალზე როდის გავალთ!!!
არ გვადარდებს ქართველობა,
გაიყინა ძარღვში სისხლი,
ეროვნული მოვიცილეთ,
რასაც ვთესავთ, იმას ვიმკით!
ვაზი ვაზად შევიძულეთ,
ძეძვი ვთესეთ, ეკალს ვუვლით,
ღვინის მადლი დავივიწყეთ,
დროშა კიდევ თამარისი!
გამოფხიზლდი ერო ჩემო,
გზა ერთობის გადაგვარჩენს,
თორემ რაც გვაქვს იხედებით?
მასაც ვიღაც უცხო გვართმევს!!!

16.09.2020

* * *

ეხ სანამ ვიაროთ უდაბნოში,
ნათელი როდის გამოჩნდება,
ასე უმიზნოდ სიარულში,
თამარის დროშაც დაგვეხევა.
ველარ ვიდავითეთ,
ოცნებებით თავებს
ვიტყუებთ და გვიხარია,
გუშინ სასიკვდილოდ გავიმეტეთ,
ტყვია მივაჭედეთ ზვიადისისაც!
ვაი, უპატრონო ერო ჩვენო,
თავი თავისთვის და ეს რა ხდება,
აღარ ამოვიდა ის ვარსკვლავი,
გზას რომ გვასწავლის და განათდება!
აღარც ბერი ბერობს, აღარც ერი ერობს,
ყველა დღეის დღისთვის ნატრობს ლუკმას,
ღმერთო გადმოგვხედე, ღმერთო გვიწინამძღვრე,
შენ თუ მოგვაშორებ სულთამხუთავს!
სხვა გზა ყველა უკვე ბნელში მიდის,
ისევ მოგვივლინე ცხრა ძმა,
ცოტნე თორემ სადაცაა ჩამოიქცა,
თუ რამ ქართული გვაქვს აქობამდე!

15.07.2020.

* * *

უსასრულობის ფიქრებში,
ისევ მოვიდა წვიმა,
ეს მერამდენე ზაფხული,
ისევ ისეთად მტკივა.
ისევ ცრემლი და ტკივილი,
გლოვას არა აქვს ბოლო,
რამდენჯერ უნდა გათენდეს,
ისევ ტკივილად ვცხოვრობთ!

* * *

ფუძის ანგელოზო, სულის ანგელოზო,
იქნებ დაგვიფარო გვედრი,
ყველა განსაცდელი აგვარიდე,
ფეხზე დაგვაყენე ერი!
ისე არ გაგვწირო თვალით ვერ ვხედავდეთ,
ბრმად არ გაგვატარო გზები,
თორემ ჩამოგვექცა, თორემ გაგვებზარა
თავზე რომ გვახურავს ჭერი...
ბერი აღარ ბერობს, ერი აღარ ერობს,
ეს რა გვემართება ნეტავ,
ჩვენი გასახედნი ურა კვიცი,
ვიღაც უჩინარმა ხედნა!
თვალი აგვიხილე, გული გაგვიმაგრე,
მტერს არ შეგვატავო მარტოდ,
ეს რა გვემართება, რატომ ვერ შევძელით,
ჩვენ ჩვენი ქვეყანა ვმართოთ.
ისევ გვათქმევინე სიტყვა ვაჟკაცური,
ისევ წაგვიყვანე გარეჯს,
თორემ ყველა მხრიდან მტერი არ ისვენებს,
მტკაველ მტკაველ მიწას გვართმევს!
ფუძის ანგელოზო იქნებ შეგვიწყალო,
ერი ძირძველი და სათნო,
თორემ დავიღალეთ ყველას ფერებაში,
იქნებ მიგვიხედო წალკოტს!!!

08. 06. 2020.

ახალ-ახალი სიცოცხლე,
აკლდება ქართულ მიწას,
ღმერთო ნათელი მათ სულებს,
შატილს დაედო ნისლად!
კმარა ამდენი ტკივილი,
აღარ გაგვწირო შეგთხოვ,
ყველა ცოდვისგან გვიხსენი,
და გვიერთგულე ღმერთო!!!

27. 08 2020.

* * *

მე მაქვს პანიკური შიში,
ვგრძნობ თუ რა იქნება აწი,
ჯერ ხომ კოვიდი გვაქვს ქვეყნად,
კოვიდს სხვა ვირუსი წაშლის...
გვინდა ღვთის შიში და რიდი,
თორემ დავმარცხდებით მალე,
უნდა მოვითოკოთ გრძნობა,
უნდა მომავალი გვწამდეს!
მასონს არ ანაღვლებს ერი,
და არც ავალია რამე,
გარდა იმისა რომ ჩვენში,
ეშმაკს მიუჩინოს საქმე.
ეშმას მსახურება ყველგან -
მათი მიზანი და სწრაფვა,
დროზე უნდა დავდგეთ ერთად,
თორემ უფსკრულისკენ წავალთ.
უნდა განვადიდოთ ღმერთი,
უნდა საქართველო გვწამდეს,
თორემ ჩვენს გასალეწ კალოს,
სულ სხვა რწმენის ხალხი გალეწს!!!

08.05.2020



მანანა კორძახია

სახსოვარი

ფიქრიან ბილიკზე ცრემლი სცრის
ჯერ მოსჩანს ბურუსით სავალი,
ნაგროვებ ტკივილებს გზად ვფანტავ
მივდუვარ არ ვნანობ არაფრით.
რაა სევდა თუ მაწვიმს
დარებიც ხომ მოსდევს ამ ავდრებს,
ღირსეულ ნაბიჯებს შევხარი
თუნდ სისხლი ვანთხიო ამ გზაზე.
გრძნობები ფიფქებად გარდნიან
მაინც ვერ აღნობენ სიყვარულს
გავრბივარ რატომღაც სადღაც შორს,
როგორ მსურს ახლა სხვა სამყარო
თოლიებს კამარა შეუკრავთ
და თითქოს ყიჟინით მიხმობენ.
მგზავრი ვარ ცხოვრებით დაღლილი,
მივყვები გაუვალ ბილიკებს.
ისევ წვიმს, ისევ წვიმს ხანგრძლივად,
ცა თითქოს სულ ცრემლად იღვრება,
გპატიობ, გპატიობთ ყველაფერს,
ლექსები მიმყვება იმედად.
სევდიან რითმებად დაღვრილნი
ცეკვავენ წვეთები მდუმარედ;
და შლიან თითეულ ნაკვალევს,
რაც მოხდა ჩვენში და ჩვენამდეც.
მივდივარ, მშვიდობით, მივდივარ,
სიტყვები სწყდებიან ბაგეებს,
ანდერძად ღიმილებს გიტოვებთ,
მიყვარხართ, მიყვარხართ, იცოდეთ...

მწარე სასმისი

იებით ხელში მარტოდ მარტო გზააბნეული
გამომყვებიან უკან შენზე მოგონებები,
და ახლა ვიცი დამამშვიდებს ყველაზე მეტად,
ეს განშორება და ტკივილი შენ რომ მომეცი.
ქარებს გავატან ჩემს ოცნებებს ფრთებდალეწილებს,
თვალთაგან ცრემლი გადმომსკდება ვით ნიაღვარი,
და ამ ტკივილებს როგორც სირჩას ისე გადმოგცემ,
შემდეგ კი, ვიცი, აღარასდროს დაგიბრუნდები....

და თუ ერთხელაც გამოიდარებს.

უკვე დაზამთრდა სულშიც აცივდა
და თუ ერთხელაც გამოიდარებს,
მე გავუყვები ჩემს ნაცნობ ქუჩას,
სადაც მე ერთხელ დამრჩა სინათლე,
დღეების სუსხი გაბმულან ყველგან,
აისი ბრწყინავს ჩემგან ძლიერ შორს
და თითქოს ახლა სერაფიტების
ცრემლები აწვიმს ქალაქს და მიხმობს.
უკვე დაბინდდა, სულშიც აცივდა
და თუ ერთხელაც გამოიდარებს,
მე გავუყვები ისევ იმ ქუჩას;
სადაც ოდესღაც გავიზაფხულე...

სადა ხარ?!

სადა ხარ, რიგორ ხარ, არ მოხვალ?
გაწვიმდა ჩემს გზაზე ძლიერად,
მე ფიქრი მასველებს ყოველდღე,
ვიცი დრო ყველაფერს გაიტანს,
სადა ხარ, როგორ ხარ, გახსოვარ?
და მაინც ნაწვალებს ფიქრები,
არ მოვალ მე შენსკენ არასდროს
ზეცისკენ მივილტვი მშვიდობით.
ღრუბლებზე დავფრინავ მე ახლა
ყოველდღე იქიდან გიყურებ,
ვნებები არ მაკრთობს არასდროს
სული მაქვს სპეტაკი იცოდე.
სადა ხარ, ნუ მოხვალ, ასე სჯობს,
მანძილი ჩემამდე შორია...
გადაგღლის შენ ჩემში სიშორე,
მშვიდობით სულ ჯვარი გწერია.

გვირილებს ვკითხავ...

არა მაქვს ამ წუთას სათქმელი
მდუმარედ შევყურებ აწმყოს,
გვირილებს, შენს მიერ მორთმეულს,
ვუცქერი და თითქოს მათბობს...
დრო დგება, როდესაც სიტყვები
კარგავენ ძალას და ვერ აწყობ,
სადღაც შორს აზრები გარბიან,
გაჰკივის სიჩუმე მარტოდ...
რატომღაც ვერ ვხვდები როგორ ვარ,
რა მინდა, ან საით წავალ,
ნაჩუქარ გვირილებს მდუმარედ
მეტყვიან შენს ამბავს, ალბათ..

აღსარება..

დამლოცეთ მამაო, ვერ ვაღწევ, მოვილტვი
სავალი თქვენამდის ძალიან ძნელია,
ეკლების ხლართები გაბმულან ჩემ გზაზე
და მე ძლიერად სულამდე მწვდებიან.
დამლოცეთ მამაო ხიბლში ვარ ყელამდის,
საწუთროს ვარამი რამდენი ჰქონია,
უფლისკენ მავალი ვერაგზით დაბრკოლდეს,
ხომ ვიცი და მაინც მოსვლა რა ძნელია....
დამლოცეთ მამაო, ევას ვარ ნაშობი
ვნებები მომყვება ცოდვამ რომ დადაღა,
ქრისტემ კი გამომხსნა ნათლობის ბეჭედით;
მე მაინც გავყურებ დღემდე კვლავ სატანას.
დამლოცეთ მამაო, ჩამოვრჩი ჩემს ფარას,
ხიბლიან საწუთრომ მომტაცა აზრები,
ბნელში ხომ ძნელია ამ გზების გაკვალვა,
რომელიც თავადვე მე თავად შევქმენი...
დამლოცეთ მამაო, ქრისტეს ვარ მხედარი,
ამ სოფლის სიჭრელემ გონება არია,
რას მარგებს ყოველი თუნდ ქვეყნის სიმდიდრე,
მე ჯვარი მაცხონებს და არა დიდება...

ხელოვნების სამყარო...

პლანეტებზე დავქრივარ
არ მწყინდება არასდროს
და მუზებიც გიჟ-მაჟი
დამყვებიან მუდამ დროს.
ვმოგზაურობ ღამესთან,
მასთან ვიყოფ სარეცელს,
მთვარე მარხევს სათუთად
და მიჟღერებს მის სონეტს.
ღამე ვსტუმრობ ვარსკლავეთს,
სტუმარი ვარ ზეცისა,
მე სხვა გალაქტიკის ვარ,
მიწის მხოლოდ მტვერი ვარ.
ვერიდები ბომონდებს
ელიტარულ მაქციებს,
ნამდვილად არ მაღელვებს
და სხვა უფრო მამშვიდებს.
წავიკითხავ მრავალჯერ,
ბაირონს ან ტიციანს,
და შექსპირის სონატებს
გზად მოვფანტავ მადლიანს.
შემდევ ვნახავ შედევრებს
ჯადოსნური ფუნჯისა,
მათი ცქერა ვერ მომღლის,
შვებას მომცემს სულისას.
მერამდენედ მოვუსმენ
ბრამსს, ვივალდს და სალიერს,
და ჯოკონდას ღიმილი,
გზაზე გამომაცილებს.
ხელოვნების სამყარო
რჩება ჩემთვის ერთგული
და ჰანგები შოპენის
დამაქროლებს მოლბერტით.
მე სხვა გალაქტიკის ვარ,
გგონიათ რომ კარგი ვარ?
მხოლოდ მიწას ვერ ვგუობ,
სულ ზეცისკენ გავრბივარ....



გულნაზ ხარაიშვილი

ფრთები

ფრინველის
ფრთებით კი არ დავფრინავ,
ლექსის ფრთები მაქვს,
ღვთის ნაჩუქარი,
ამ ფრთებს ძირს ხშირად,
მოლზე დავფინავ,
რადგან ჩემია, სულ საკუთარი.
ეს, სიმდირეა, ხელშეუხები,
მიუკარები არვის სადაო,
ხან მდინარეა, ტალღის შხეფები,
ისე ტკბილია, როგორც დედაო.
ხშირად არწივობს,
ცაშიც ნავარდობს,
ხანაც უშიშრად მზესთან სეირნობს,
მერე მოვა და ფიქრებს გამანდოს,
ცდილობს ლექსები დამაწერინოს.

ქ ა რ ი

ქარი გაყურსულა, აღარ ავობს,
თითქოც სმენად იქცა დედამიწაც...
უკვე ძველ წარსულზე აღარ ვდაობ,
დღევანდელობამაც დამივიწყა.
ქარი, ქარია და არ ვენდობი,
ერთ დღეს კორიანტელს დააყენებს,
მე კი ყველას ტკივილს დავედნობი,
ბედით წაქცეულსაც ავაყენებ.
ყველას საამებლად გავაკეთებ,
თუნდაც ჯაფამ წელში გადამტეხოს.
ქარი ვერასოდეს დამაფეთებს,
რაც გულს მომაგლიჯა ისიც ეყოს.
არვის არ ადარდებს ხვალის საქმე,
რატომ დავიღალე რა მეტკინა.
მე კი არ შესაქებს მაინც ვაქებ,
ისევ მერცხლებთან რომ მეტიტინა.
გული ფოლადად მსურს გამოვადნო,
კვლავ რომ სიკეთისთვის დავიხარჯო...
ქარმა ტკივილი არ მითანაგრძნო,
ვბრძოლობ, ბედთან უნდა გავიმარჯო.!!!

მგზავრი

მგზავრი ვარ მაგრამ, აქ არა ვცხოვრობ,
ცაში ვარ, ბინა იქ, არის ჩემი...
მხიბლავს სინაზე, არადროს ვქორობ,
მთვარე დედაა, მზე მამაჩემი.
იქნებ სხვისია, რასაც ჩემად ვთლი,
მე მეჩვენება რადგან მიყვარან,
მათ ნაფეხურებს, ისევ არ წავშლი,
ფიქრს უსასრულოს, სადღაც მივყავარ.
ჩამოვისვენებ, ხის ბებერ ჯირკვზე,
თვალით შევხედავ, მზის ჩასვენებას...
სევდა კავკავებს, კვლავაც ზღვის პირზე,
ხდება დარდების გამოსვენება.
პოეტის ფრთები სად არ დაფრინავს,
დაეხეტება , ცის საზღრებს ცდება,
პოეტი ფიქრებს, მზის კლავზე ფინავს,
ფიქრით მთვარეს, და
ხან მზესაც ხვდება.

წუთი



წუთისოფელს, წვეთ--წუთობით,
გამოალღობს, დილის სხივი...
წუთით ყინავს კვლავ ურჩობით,
ამას ვდარდობ, ამას ვჩივი!
წუთი წყვეტავს იმ დღის საქმეს,
რასაც წლობით ჯინჯგლაობენ,
შესაქები თუ შეაქეს,
თუ კი ერთად იგალობეს.
წუთით წავა, წუთით მოვა,
წუთით დავა ილაგმება,
წვიმს და წუთში თუ მოთოვა,
წუთით საქმეც დალაგდება!
წუთში შენ, რომ დაიბადე,
ბედნიერი, გახდა წუთი,
წუთში ისე დავიდარდე,
ბედით გავხდი განათუთქი!

დამლოცე მამავ

მამაო, უფლის იმედებით
ვათენ-- ვაღამებ,
შენ, როცა მლოცავ,
მზის სხივები მაშინ ბრწყინდება.
ცოცხალი ვარო,
წამწაბებიც კრძალვით ხამხამებს,
რწმენით ამ გულსაც,
ბრძოლის ველი, აღარ წყინდება!
დამლოცე მამავ,
რომ გაუძლო, დროთა ქარტეხილს,
წლები სიცოცხლის,
შევალიო ტომთა კრებულებს...
რომ კვლავ ვუშველო,
გულსა ჩემსას, ორად გაკვეთილს,
რომ დავაღწიო, ურწმუნოთა
გამოქვაბულებს!
დამლოცე მამავ,
მოვიმარჯო, გულის საცერი,
ავაცისკროვნო,
დასევდილი დილის აისი,
იქნებ გავფანტო,
გადავფერთხო, თოვლის ნამქერი,
ისევ შევიგრძნო,
სურნელება ნაზი მაისის!
დამლოცე მამავ,
კიბე მიცდის, ცისკენ მავალი...
მოღრუბლულია,
პირსავსეა, სევდის მარანი,
მამავ შენა ხარ,
დიდი ღმერთის შუამავალი,
ღრუბლებს მივსერავ,
გამიშუქე, სულის ფარანით!

ამ ჩიტს დავაბარებ



ამ ჩიტს დავაბარებ
შენს მოკითხვას,
გული საგულეში
აღარ გულობს,
წერილს, ცრემლით ნაწერს,
მად მოგიტანს,
იქმებ ჩიტმა მაინც გიერთგულოს...
ვცდილობ ლექსი ბევრი
დაგიწერო,
რადგან გიყვარდა და
კითხულობდი,
ლექსი გულში უნდა ჩაიწერო,
ლექსი დაწერილი
ერთგულებით.
დედას ენატრები
უსაშველოდ,
დარდით
სხვა არ მინდა დავამძიმო,
იქნებ ლოგინი მად გამიშალო,
რადგან შენთან მინდა დავიძინო!

დაფიქრდი ქართველო

მესროლეთ!
ეს უკვე მრავალჯერ გითხარით,
მომკალით!
ეს გული ისედაც მკდარია,
რად სდუმხართ,
გაბედეთ, სჯობს პირში მითხარით,
ჩემს ერში ყოველდღე,
ჩხუბი და შარია!
გიყუროთ? სადამდე,
შიმშილობს ქვეყანა,
წლობით და თვეებით,
დედა შვილს შორდება...
უჯობდათ,
გულმკერდში ნემსები ეყარათ,
მათ თვალზე ცრემლები,
ხომ სიმწრით გორდება.
წამალის ბრალია,
ჩხუბი და კამათი,
არ ინდობთ ერთმანეთს
სისხლიც კი დალიეთ...
ქართველი არასდროს
არ იყო ჯალათი,
ქართველებს სულ ძულდათ
ძუნწ, დღემეხვალიე.
და მაინც ვიცი რომ
ქართველი გონს მოვა,
ქალი ვარ, მტკივა და
ჰა, ლექსით ავყვირდი,
ჯეჯილი მიწაში ხელახლა ამოვა,
დაფიქრდი
ქართველო, სანამ სულს გაყიდი!

ახლა

ახლა თვალებს დავასვენებ,
ღამეს უნდა ჩავეხუტო.
წარსულს აღარ გავიხსენებ,
სულაც უნდა გავებუტო.
დავიძინო, ერთხელ მშვიდად,
რომ ხვალ ისევ ფეხზე შევდგე,
ჩემს იმედებს თუ მოშივდათ,
რა ვაკეთო იმის შემდეგ.?...



გეჟან ხარაიშვილის გიუსტი.

მოქანდაკე **გიორგი ლარიაშვილი**

ვერ დავაბრუნე საბუდარში პოეტის სული,
ვის აღარ ვთხოვე, ფეხით გზები გავაცამტვერე,
ბეჟან, ხომ იცი, შვილით რომ ვარ
დარდწამოსხმული,
უიმედობას მაინც ჩემში ვერ ვაბატონებ....

წუთიერი ყოფა

მაშ რად გინდა, წუთიერი ყოფა,
სულიერად თუ ისევე გშივა.
თუ სირცხვილით დაიღვარე ოფლად,
თუ შენ სახლში მტერი ისევ მივა...
მე არ ძალმიძს, მივეახლო იმას,
ვინც ფასეულს,
მხოლოდ ფულით საზღვრავს,
სჯობს, რომ თავი შეუშვირო წვიმას,
ვიდრე ავყვე დუდუკსა და არღანს...
ვერ გავხდები ვერასოდეს ფლიდი,
წმინდა სული მინდა ჩემში იყოს,
მგზავრად მახლავს,
მე ლექსების შვილდი,
ოქრომ რატომ უნდა გამაბრიყოს!

ჩემი ბედი ეს არის

ერის გულის საკვებად,
მე ბევრს ვითხოვ უფალო,
ზოგმა სიტყვა გაბედა,
ზოგიც ჩრდილში სულთანობს...
ცოტა შერჩა ქვეყანას,
ერის ჭირისუფალი,
გაგზავნიო ზეყანას,
ვისაც სიტყვა ვუთხარი...
ადრე თუ ვკურნალობდით,
სამკურნალო ტალახით,
ყველა ერთად ვწვალობდით,
გვიხდებოდა ბალახიც.
საამაყო რაღა გვაქვს,
აიწეწა ოჯახი,
სხვის მიწებში ვაზსა ვრგავთ,
ჩვენსას ვჩეხავთ ნაჯახით...
სიმდიდრეა ბანკებში,
ვალუტები....დოლარი,
ზოგი ცხოვრობს ვაკეში,
ვის სჭირდება მორალი...
ამ პროცენტმა შეჭამა,
სიყვარულის არილი,
ჯობდა მოხუცს ეჭამა,
სახლში თბილი სადილი...

გაქრა დედაშვილური,
სითბო, დედის ალერსი,
გაქრა, ის მშობლიური,
ტკბილი არემარესი...
დაიხურა, სახლები,
ხავსი მოკიდებია,
დაყმუიან ძაღლები,
პატრონს ელოდებიან...
მე, არ გავტყდი მადლს ვთესავ,
დარდიც უნდა მოვთოკო,
დავისახე წესად და...
სული არვინ მომთხოვოს...
საქმის ასე მარმაშით,
ყველა მიდის ცაშია,
ვაცხე პურის ლავაში,
მაძღარს ლექსი არ შია...
იქით შემომედავენ,
თვალებს ბევრი აცეცებს,
ის მაძღრები ბედავენ,
მათ სურს ძირს რომ დავეცე...
ყველფერს აქვს საზღვარი,
საქმოსნები ელფერობს,
ცრემლი მომდის ღვარღვარით,
მაინც ჯვარი ეწოროთ!

შვილი

თუ შვული გყავს, ითვლი
ოქროს წუთებს,
შეციცინებ თვალებში და ნატრობ,
ბევრჯერ ღამეს სიყვარულით უთევ,
ძილშიც შფოთავ,
შვილს ძილშიაც არ თმობ.
გაიზრდება, შენც იზრდები მასთან,
როგორც დედა, და ხარ შვილის ფარი,
უჩიჩინებ, ტკბილად იყოს სხვასთან,
რომ სიცოცხლე, სიყვარულით არის!
გძინავს მაშინ, როცა გესმის სუნთქვა,
აყურადებ, ხომ არ წვალობს ძილში,
სიმართლეა, რაც შვილებზე უთქვამთ,
სილამაზეს, მხოლოდ ხედავ შვილში.
არაფერი შეედრება ტკივილს,
თუ ბედისწრით წავა უფლის ნებით,

რა ფასი აქვს, უღიმღამო ღიმილს,
რა ფასი აქვს, ცრემლებში რომ ლპები.
აგერ ათი წელი, მ ი ი ლ ი ა,
არ მინახვს შვილი ტკბილზე- ტკბილი,
ეს, იმხელა დიდი ტკივილია,
გათენება რომ მრცხვენია დილით.
მაგრამ ვიტან, მწარე სიმწრის ყოფას,
რადგან ქარი არ წყნარდება, კივის,
გახანჯლული გული კვლავ იყოფა,
ვარვარა მზეც, ხდება ჩემთვის ცივი.
ეჰ, რას ვიზამ, ცას შევცქერი ხშირად,
თეთრ ღრუბლებთან,
ვხედავ შვილის სახეს,
მადლის თესვა,
მხრებს მოვისხი შირმად,
ვიტან ბედით გადანარტყამ სახრეს!

რა დამავიწყებს

რა დამავიწყებს, ჩიტების ჟღურტულს,
რომ ჭიკჭიკებდნენ, გულის საამოდ...
ანდა ძირულის, მდინარის ბუტბუტს,
ტკბილს და სილაღის
ლამაზ საღამოს!
რა დამავიწყებს, ქაქიჩოს წყალთან,
ბავშობის წლებთან, ჩამოსვენებას...
მერე გზის ახლოს, გოგოტას სახლთან,
ღამის ვარსკვლავის გადმოსვენებას!
ცას შევცქეროდით, ბავშური თვალით,
ვწყვიტავდით მნათობს,
ფიქრის ხელებით,
თმებს გვიწეწავდა, სიცელქის ქარი,
ღამის წყვდიადის განახელები!
ციცინათელა გზას გვინათებდა,
ვერას გვაკლებდა გადამთიელი.
ღამეც კი ჩვემთან, ღამეს ათევდა,
სურნელს გვაფრქვევდა, ტყეთა იელი!
ჩვენში არ იყო, შუღლი საერთოდ,
არც ბილწი სიტყვა, არცა მრუშობა...
ყველა ცდილობდა,
სიტყვა დაეთმო,
არ ეტყობოდა, არცერთს ურჩობა!
სად გაქრა ღამე, მე რომ მიყვარდა,
ან ვარსკლავები, ცას რომ წყდებოდა...
მოხუცებული ხელით მიგყვავდა,
რჩევა უფროსით გადაწყდებოდა!
მე მენატრება ის დრო,
ის ღამე,
ახლა ქუჩაში დარბის ჩინელი...
დრო მიდი-მოდის, მირჩიეთ რამე,
ჩვენ რას გვიშველის გადამთიელი!

ვედრება

ისეთი დილა გათენედეს,
მტერმა, რომ მითხრას სალამი.
გუშინ, რომ გული გათელეს,
ვეძებ ისინი სად არის ...
დავეძებ ჩემს მტრებს სამოყვროდ,
ვეტყვი, სადაო რა არის.
ანდა იმ ბილიკს გამოყვნონ,
სადაც სიკეთის ზღვა არის.
დავჯდეთ და აზრი გამოვთქვათ,
ავწონ--დავწონოთ სიტყვები,
ერთად ხორბალი გამოვფქათ,
ტყეშიც დავკრიფოთ ნიყვები.
შევწვათ, შევბრაწოთ ტაფაზე,
სუფრაზე სხვაც მოვიწვიოთ,
მტრედი ზის ფანჯრის რაფაზე,
ხის ტოტიც ჩამოვიწიოთ.
მერე მოვმართოთ ფანდური,
დაუკრათ ჩავიღიღინოთ,
ბაღშიც დავკრიფოთ დანდური,
ქეიფი ვინთქვა უღვინოთ.
თითო-ორ ჭიქა გადავკრათ,
წასულებს სული უხსენოთ,
საყვედურები აღარ ვთქვათ,
გულის ხმაურსაც ვუსმინოთ...
მერე მოვიდნონ საზღვართან,
მოგვთხოვონ მიწის ნაკვეთი,
შემოვიტყუოთ მარანთან,
იქ ჩაუტარებთ გაკვეთილს!

იმედი

იმედი არ მოკლა, იმედი ღვთისაა,
არა გაქვს უფლება, დღეები დათვალო,
სიცოცხლე კაცისთვის სულ ასი წლისაა,
სატანა ისედაც იბრძვის და ავთვალობს.
იმედით ადექი, იშრომე, იღვაწე,
საღამოს ხატებთან თქვი ყველა სათქმელი,
იცოცხლებ, ბოლომდე ას წელსაც მიაღწევ...
თუ, რწმენით აანთე უფალთან სანთელი.
გჯეროდეს, შეძახილს, ცუდი აქვს აურა,
ყოველთვის იმედით უყურე სამყაროს.
წუწუნი იმ შენს მტერს, არ უღირს შაურად,
ამიტომ ფარხმალი არ უნდა დაყარო...
ტირიხარ?... იტირე, თუ გინდა იყვირე,
რას შეცვლი ასეა, დღეს ღამე მოყვება.
დილით კი ეზოში მამალი იყივლებს,
ქარიც კი მზის სხივთან ხანდახან მოყვრდება.
მდინარის დინებას მიყევი უშიშრად
ხან მიიზლაზნება, ხან ჩქარი ტალღაა,
ნაპირთან სულელმა ხმალი თუ იშიშვლა,
ჩათვალე ნაპირი ჯერ შენთვის გაღმაა.
იმედი არ მოკლა, იცოცხლე, იმედით,
რომ ას წელს მიაღწევ, ირწმუნე, გჯეროდეს,
უფალი იქ, იყო ბილიკს რომ მისდევდი,
რა იცი ხვალისთვის „ჩაკრულოს“ მღეროდე?

ვინ იცის

ჩვენ რომ დილის ცვარს
ვუწოდებთ,
იქნებ ისიც ცრემლებია.
გადმოსცვივდათ
წასულ დედებს...
ოჯახს,
რომ ვერ ელევიან???

დროს ვსადილობ

დროს ვსადილობ დარდის ლუკმით,
სასმელად კი ცრემლს ვიყენებ...
ვიცი ტირის შველის ნუკრიც,
ირმის ჯოგი მიაჭენებს.
საით მიდის ის ტრამალი,
საქართველოს ფერდობს გაცდა,
არ იყივლებს იქ, მამალი,
ღრუბელია, სხივი არ ჩანს...
იმ გზას მიდევს ბრმად სუყველა,
არ იციან სად მიდიან...
საქართველო ვინ დაწყევლა,
ამ ჩვენს ცაზე სულ ბინდია.
შეიცვალა აქ, როლები,
აქ, სხვა რჯული დაჯლაგუნობს,
არ ჭირდებად გასტროლები,
ლამის გული გამომგულონ.
დროც ვივახშმე... ახლა უკვე,
დაძინებას შევეცდები,
დარდის ფიქრებს გავაუქმებ,
რადგან დარდით გარდვიცვლები.
უპატრონოდ დამირჩება,
წიგნები და ჟურნალები...
არც ერთი არ გადარჩება,
ჩემი სულის ცრემლნავლები.
ჯერ ბევრი მაქვს მოსასწრები,
მერე დაისს ჩავბარდები,
თუმც გული მაქვს ნაკაწრები,
ცაში არ გადავბარგდები...
წიგნს ვერაფრით ავატირებ,
რაც არ უნდა გული მთალონ,
შორს წასულებს ვაპატიებ,
გინდათ ცუდად ჩამითვალონ...
შვილი დედას ვეღარ იცნობს,
კაცს მეუღლე ენატრება.
შვილებს ლავაშს უცხო უცხობს,
დარდით გული მეფატრება.
დრო გათენდა, სულის მარხვით,
ჭიკჭიკობენ მერცხლის გუნდი,
კი, გავყვები ცათა მარხილს,
შვილებს დედა ჩამოუდის!

ბედის წისქვილო

სახლში ჩამკეტე ბედის წისქვილო,
გადამითვალე, წლების ასაკი,
ეს, დრო ისედაც, იწილ-ბიწილობს,
მაისს ველოდი კბილის კაწკაწით...
ჩემ წლებს ნუ ითვლი უკვე ქვაა და...
ჩემთვის სიკდილიც არაფერია,
სიდინჯე ჩემი, სიბრძნის რქაა და..
რწმენა მზის სხივით შენაკერია.
ვცოცხლობ ცის სივრცით, ჟინის ქარცეცხლით,
ცალუღელა ვარ, სევდის უდაბნო,
სინდისს არ გავცვლი ოქრო-ვერცხლებით,
სახეც არ მინდა ცრემლით დავბანო.
ამორძალი ვარ, დედა ქართველი,
მიყვარს ქართული ადათ-წესები,
სხვისი სიკეთით მე ვარ ჯამრთელი,
არ გამიხმია, მუხის ფესვები.
მტკივა გულს მიწვამს, ბავშვის ცრემლები,
წელს, რომ მიათრევს მოხუცებული,
წლები ისეც მაქვს ანაცრემლები,
თოვლით და ქარით ანაცრელები.
სახლში დარჩენით ვის მივეფერო,
ვიცი მელიან, სულის შვილები,
მათთვის მუდამ ვარ, გულის ჩერო და...
არავინ არ მყავს განაშვილები.
რას გამომკეტე ბედის წისქვილო,
როგორ ველოდი...მაისის ვარდებს,
ქარო, შეჩერდი! დროის სირცხვილო!
ივლისში ჩემთვის გამოიდარებს!

წყლიდან გამოცურეს წურბელებმა

წყლიდან გამოცურეს წურბელებმა,
განზე გავიწიე, შემეშინდა,
ვარდო, არ დაკარგო სურნელება,
შენ მე გელოდები შარშანდლიდან.

სიტყვებს იმეორებს თუთიყუშიც,
რაქნას ოთახში ვართ, დაკეტილი.
ფრთხილად... ჩავჩურჩულე ჩუმად ყურში,
გევრჯერ, ჩაუტარე გაკვეთილი.

აირ -დაირია, ყველაფერი,
ვცდილობ, მტერ- მოყვარე გამერჩია.
სიტყვა ვერ მოვძებნე შესაფერი,
რას არ საუბრობენ ეთერშია.

გედმა თუთიყუშთან დამამწყვდია,
უკვე სამი თვეა დავძმობილდით,
რამდენ დაბრკოლებას წავაწყდი და..
დავრჩი დარდის ფიქრით დაძონძილი.

ჰოდა, დაძვრებიან წურბელები,
ყველგან, სადაც უნდათ იქით ზიან...
ქარიც ნაწრთობი და ნახელები,
აღარ გამეცალა ჩემი გზიდან.

ვშიშობ, აზროვნება არ ჩავკეტო,
ვამბობ, იმეორებს თუთიყუშიც,
სახლშიც მწირი საქმე გავაკეთეთ,
ერთად მოვადუღეთ ფელამუში.

ჩვენ კი გაგვიგრძელდა მეგობრობა,
ნეტავ, წურბელები სად დახტიან,
ვწუხარ, ზაფხულიც არ შემერგება,
ეს, დრო, ხელოვნურად ნახატია.

ძირულავ

რამდენი წლის ხარ ჩემო, ძირულავ,
ვინ იცის ნეტავ შენი წარსული.
რამდენის დარდი ფსკერს ჩაძირულა,
მდინარევ შენ ხარ, უკვე ზრდასრული.
შენ გახსოვს, ჩემი პაპის პაპანი,
მომსწრე ხარ, ბევრჯერ გულის ნიაღვრის...
ჩემს ხალხთან ერთად წიე ჭაპანი,
შენ იყავ დარდის თანაზიარი.
ძირულავ, ჩემი ბავშობის ყრმობავ,
მესაიდუმლევ, გულის ჩურჩულის...
რამდენს გაზრდი და უკეთესს შობავ,
რომ არ გტორავდეს ბედის ურჩხული.
ერთს გეტყვი, ჩემო გულის ხმაურო,
ბედნიერების წუთებს ვიხსენებ...
ახლა ეს წლები აურზაურობს
დარდით ძირულავ, ვეღარ ვისვენებ.
თურმე მდიდარი მაშინ ვიყავი,
შიშველ ფეხებს რომ ქვები მისერდა,
არ ვიყავ ბედით გაურიყავი,
ვცელქობდი, მაგრამ დედა მითმენდა.
ვაცხობდი ქვიშის ქადა ნაზუქებს,
და ვბანაობდი, შენს ლურჯ ტალღებში,
ჭალვანის გზებზე, თოვლის ქარბუქებს,
როს ვიზილავდი ჯანსაღ ძარღვებში.
ახლა მოვედი, ტირი ჩემსავით,
დაეძებ შვილებს, შენ რომ გაზარდე...
შენც გახსოვს ვიცი გუშინ დღესავით,
რამდენი დარდი გამოვიზამთრე.
გავჩუმდეთ ახლა ჩემო ძირულავ,
ისევ წარსულში, ჯობია ვიყოთ...
სურვილი დარჩეს, ისევ სურვილად,
რადგანაც ბედი ორივეს გვბრიყობს!

პოეტი ქალი

პოეტი ქალები, სიცოცხლის გულია,
ალალი, მებრძოლნი,
ხან მზე და მთვარეა,
წარსულშიც ქართველ ქალს,
სწორ გზაზე უვლია,
პოეტი ქალები, ნეტარნი არიან.
თუ უყვარს, სიყვარულს
არავის დაუთმობს,
პოეტის ფიქრია, გული რას განიცდის...
პოეტი ღამის ძილს,
არავის დაუფრთხობს,
რადგანაც ღვთის
შვილმა ღალატი არ იცის.
თუ ტკივა, პოეტ ქალს
სიყვარულს ქვითინებს,
თავის დარდს არ გახვევთ,
თვითონვე შეფუთვნის...
სიმართლეს ამბობს და...
რად უნდა ითბინოს,
არ დათმობს, არ მოგცემს,
რაც თვითონ ეკუთვნის.
ნუ ცდილობთ, რომ მოკლათ,
პოეტი არ კვდება...
თუ რამე წამოცდა, შეუნდეთ ამ ლექსით,
დარდიან ცრემლებით,
სიცოცხლე აკლდება,
პოეტ ქალს ჭირდება, ციური ალერსი!!!

დედინაცვალი

ამ ღამის ფუსფუსში დაიწერა,
სიტყვები ლექსის მაგვარი
და ღამეც ისე დაიწურა,
თვითონ აერია თავზარი.
ეგონა, მას რომ დამათრობდა,
დილას შევხვდებოდი ბარბაცით,
ანდა დარდებით გამაქრობდა,
თქვენც იცით ღამე რაც არის.
შევერკინე და შემერკინა,
ჰოჰო, რა მწარედ მირტყავდა,
ცდილობდა, გულში რომ ეკბინა,
გემი თვითონვე მიყავდა.
შევატყვე, ღამე დაიღალა,
სადღაც გაიძურწა ბანცალით,
მაჯობა...ზეციდან დაიბღავლა,
რას მერჩის დედინაცვალი?

ჩამოზამთრდება

ჩამოზამთრდება,
გაილევა დღეთა სამყარო,
ამწვერვალებაც
თავისთავად მილულავს თვალებს.
მე ჩემს მომავალს,
მინდა შრომა, რომ შევაყვარი,
რასაც ვაკეთებ,
მადლის წყალში ყოველთვის ვავლებ.
გაინაწილეთ,
თითითოდ, ნაწილ-- ნაწილად.
არ იკამოთოთ,
არ დაჯიჯგნოთ, ერთურთს თვალები,
მადლით ვიცხოვრე
და ცხოვრება გამიადვილდა,
გთხოვ არ იხარბოთ,
არ ინდომოთ, ფირუზ-ლალები.
თუ კი მოხვედით,
გევალებათ, ისე იცხოვროთ,
განლილი გზები
იყოს სუფთა, გადასარკული,
არ მოიპაროთ,
სხვისი ლუკმა არ მოინდომოთ,
ერთად იმღერეთ,
ოროველა, ტკბილი მაყრული.

ბრმა

ბრმა ვერ ხედავს ცისარტყელას,
ვერც სხივების ლიცლიცს ცაში,
ვარდის ყვავილს, ხედავს ტყემლად,
ხელს თუ წაკრავ, ყვირის მაშინ.
უხერულად შენ ხარ მუდამ,
ჯიკაობას, არ კადრულობ,
ტკივილს შენთვის გულში გუდავ,
ცრემლი თვალში ნაკადულობს.
ბრმა კი დადის აბდაუბდა,
ბრმის სტატუსი მოიხდინა,
როცა უნდა ხედავს ხურდას,
ყაჩაღობაც ჩაიდინა.
ასეთები გაირამობს,
შენ კი ნამუსს დაფოფინებ.
შენ რომ სადმე შეიღამო,
მილიციას ატყობინებს.
ის ბრმაა და შენ გიჭერენ,
ბრმა კი დადის მუდამ მთვრალი.
ბრმა იმ სტატუსს სულ იყენებს,
ბრმისკენაა სამართალი ...

ბორბალა

ბორბალა, მწვანე კაბა გაცვია,
ზამთრის სითეთრეს როგორ უხდები.
იქნებ კანკალებ, ვინ იცის გცივა,
თვალს გადევნებ და ძალზე ვწუხდები.
თხმელა შიშვლდება მთელი სხეულით,
შენ კი ერთ ფოთელს ძირს არ დააგდებ,
იქნებ ყინვას ხარ შენც შეჩვეული,
გამძლეობაზე ღმერთან ქადაგებ.
ამტანი რომ ხარ ცხადზე, ცხადია,
არ შეგადარებ ნეკერჩხლის ფოთლებს,
შემოდგომითვე ფეხით დადიან,
ეს, უგულობა ძლიერ მაშფოთებს.
შენ რა ამაყად, დგახარ დიდ მთებში,
შენთან ბინადრობს, ჭყორი და ძმერხლი,
მწვანე შუქივით ანათებ კლდეში,
ყურს ჩაგჩურჩულებს ხმაური მეხრის.
როგორ მინდა რომ მომიყვე ბევრი,
წარსულ მითებზე და ლეგენდებზე,
მე ჩემი მიყვარს, კენჭი და კევრი,
მინდა ვიცოდე, ბებერ კლდეებზე.
ვერ შევეგუე, ხეთა სიშიშვლეს,
არანაირად არ მესმის მათი,
შენ კი ბორბალავ, მაძლევ სიმშვიდეს,
ვკანკალებდი და--- უკვე... გავთბი!

სულის უკვდავება

ნიკო ხერკელაძე



მოგზაური ბატონი ჯუმბერ ლაჟავა

ჩვენ, ქართველებს საამაყოდ ყოველთვის გვექნება ის განცდა, რომ მსოფლიო მოგზაურთა სიაში ჩვენმა თანამემამულემ ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ, ღირსეულად დაიკავა სათანადო ადგილი.

მოგზაურობისა და მსოფლიოს ნახვის სურვილი, ერთობ მოჭარბებულიც ძალიან ბევრს აქვს, გაეცნოს სხვადასხვა ქვეყნის არსებობის წესს, მათი ტრადიციების შინაარსს, იოლად, შესაძლოა ფინანსური მხარეც მოაგვაროს, მაგრამ უმთავრესი მაინც ფიზიკური მზადყოფნაა, რაც ბატონ ჯუმბერს მოჭარბებულადაც ჰქონდა. მოგზაურობა ხომ არ არის მარტო უცხო ქვეყნების ეგზოტიკური ადგილ-სანახების ნახვა და ტკბობა.

მოგზაურის ბედი მრავალ სახიფათო რისკებთან არის დაკავშირებული. ასეთი მიზნის მიღწევა უდიდეს ნებისყოფას ითხოვს.



მოგზაური, როგორც სპორტული სახეობა, ეს არის ისეთი მოვლენა, გულშემატკივარი, მაყურებელი ხან რომ ჰყავს და ხან რომ არა ჰყავს. მოგზაურს, შესაძლოა ისეთ ადგილებზე მოუწიოს სიარული, ხან ფეხით და ხან ველოსიპედით, სადაც ადამიანებს ფეხიც არ დაუდგამთ, სადაც მხოლოდ ცალკეული ცხოველებია და ისინი იჩენენ მოგზაურის მიმართ ცნობისმოყვარეობას. არა დროულად საჭმელის მიღება, არა დროულად ჰიგიენური მოწესრიგება, ყველაფერი ასეთი ხომ ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენას?! საქმეც ამაშია, რა ინტერესი, მიზანსწრაფვა უნდა ამოძრავებდეს კაცს, ასეთი, რომ უკან არასოდეს არ იხევდეს. ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, თავისი გენეტიკური მრწამსით, აზროვნებით, სუფთა ქართული იდეალების მატარებელი იყო. როგორც საფუძველი პატრიოტული სულისკვეთებისა, მეორე მხრივ კი კოსმოპოლიტი, დედამიწაზე მვხოვრებ მსოფლიო ხალხთა მიმართ მოსიყვარულე გული და სული ჰქონდა. მისთვის სამშობლო საქართველოდან იწყებოდა და მთელ დედამიწაზე

ვრცელდებოდა. მას რომ საშუალება ჰქონებოდა, მთვარეზეც და მთელ სხვა პლანეტებზეც იმოგზაურებდა.

მოგზაურობას დიდი ხიბლი და მაგნიტური მიზიდულობაც აქვს, თითოეული საათი, დღე, კვირა, თვე ახალ ახალი სიურპრიზებით გეპატიჟებათ. უნახავი არ დამტოვოთო. მეორეს მხრივ, მოგზაურის ხვედრი ესოდენ სარისკოა და მისი ოჯახის წევრების მოლოდინი; როდის დაუბრუნდება მოგზაური ოჯახს.

ბატონი ჯუმბერ ლაჟავას სამოგზაურო საუბრები ბევრჯერ მომისმენია. იგი ცდილობდა, მისი ყველა თავგადასავალი, მსმენელისათვის, საინტერესო და მიმზიდველი გაეხადა. არ გამოტოვებდა არცერთ სიტყვას, წვრილმან მოვლენასაც კი, რომ ის უყურადღებოდ დაეტოვა. იგი სხვადასხვა ქვეყნების მოახლეობის ზნე ჩვეულებებზე, ტრადიციებზე ისეთი სიყვარულთ, განცდებით საუბრობდა, თითქოს თავის სამშობლოზე გელაპარაკებოდა. ბიოლოგიურად ყველა ქვეყნის ადამიანები ხომ ერთნაირები ვართ, სარწმუნოებით და ტრადიციებით ჩვენ განვსხვსვდებით. იგი ამბობდა; დედამიწა ძალზედ ლამაზია, ნუთუ არ დადგება ისეთი დრო, ადამიანებმა ურთიერთგასანადგურებელი იარაღი აღარ გამოუშვან-ო.

აქვე მინდა ბატონი ჯუმბერ ლაჟავას შესახებ, როგორც თავმდაბალი კაცი, ერთი შემთხვევა გავიხსენო. მე მას სუფრაზე ოთხჯერ შევხვედრივარ, ერთ-ერთი კასპში იყო, ბატონ უშანგი მოსიაშვილთან. როცა აღნიშნულ დროზე სტუმრებმა თავი მოვიყარეთ ბატონ უშანგისთან, ბატონი ჯუმბერი და ბატონი კარლო ნადირაშვილი მოგვიანებით მოვიდნენ. დარბაზის ბოლოში სათადარიგო მაგიდა იდგა, სადაც სამი კაცი იჯდა, მხოლოდ. ბატონი ჯუმბერი და ბატონი კარლო იმ მაგიდისაკენ გაემართნენ, იქ მსხდომთ მიესალმნენ და დარბაისლურად დაბრძანდნენ. იმ საზეიმო სუფრაზე იყო ხალხი, რომელნიც ბატონ ჯუმბერს არ იცნობდნენ, ჩვენ იუბილართან, ბატონ უშანგისთან ვისხედით. ეს მაგიდა მთლიანად შევსებული იყო. ბატონ უშანგი მოსიაშვილს ეუხერხულა, ბატონი ჯუმბერის და კარლოს ბოლო მაგიდაზე ყოფნა. მისი მითითებით, სწრაფად მოადგეს ჩვენს მაგიდას სხვა მაგიდა და შეავსეს სანოვაგით. ბატონმა უშანგიმ მიკროფონი მოიმარჯვა, ბოდიში მოუხადა ბოლო მაგიდაზე მსხდომ ადამიანებს, და ბატონი ჯუმბერი და ბატონი კარლო ჩვენთან გადმოიპატიჟა. ბატონმა ჯუმბერმა უარი განაცხადა; სადაც ვართ, კარგად ვართ-ო! აი, აქ გამოჩნდა მისი თავმდაბლობა, ეს ორივე პიროვნება ჩვენს მაგიდასთან გადმოვიდნენ. ბატონმა უშანგი მოსიაშვილმა იქ მყოფ საზოგადოებას გააცნო ბატონი ჯუმბერ ლაჟავა და სთხოვა მოეყოლა რამდენიმე ეპიზოდი მისი მოგზაურობის შესახებ.

ბატონი ჯუმბერი ფეხზე ადგა, მორიდებული ადამიანის იერი ჰქონდა, დინჯად დაიწყო თავისი თავგადასავალის თხრობა. დარბაზში სიჩუმე იდგა, ისეთი სიჩუმე, რომ ბუზის ფრენის ხმასაც გაიგონებდით.

სულის ბიბლია
(ჯუმბერ ლეჟავას)

ყველაზე მდიდარი, ყველაზე ამაყი
მე ვარ ამ ქვეყნად, ასე მგონია,
კბილს არ გაუდის შიშით კაწკაწი,
თუმც რაც წახვედი მუდამ ომია.
მომავლისათვის, მაგალითი ხარ,
ტაიგა, ტუნდრა, ფეხით გივლია,
უძალდებოდი ქვიშიან ქარს და...
ხარ უკვდავების სულის გიბლია.
ცხრა წელიწადი უფლის კვალს მიჰყევ,
ხელში გეჭირა, წიგნი ქართული,
ჰგონხარ მკვდარი, ზოგიერთ ბრიყვებს,
შენა ხარ, ჯუმბერ, უფლის ნათლული.
აკადემიას, ციდან მფარველობ,
ჟურნალ „ათინათს“ ხომ ამაყობდი,
ახლაც ეს, საქმე მწიფს და მთაველობს,
იმედს გმატებდა ტომს რომ ვაწყობდი.
კვლავ ვეჭიდები ქარის წისქვილებს,
მარტოდ სულ მარტოდ, როგორც ეული...
ზოგი მოცლილი, როგორ ქილიკობს,
ზოგიც მომრავლდნენ გადარეულნი.
შენ და უფალი ხედავთ სიწმინდეს,
ღმერთი მიცავს და კვლავ სული შენი...
რწმენაც ჩემშივე გადავიწიდნე,
უფალმა იცის სხვა დანარჩენი.
შენს უკვდავებას, იმ ფიცს რაცა ვთქვი,
ეჟვანს შევაბავ, კვლავაც სიწმინდის,
ბევრი საგზალი მარტომ გამოვფქვი...
მახსოვს ყოველ წამს, რაა სინდისი.

გულნაზ ხარაიშვილი



Mirza Gelovanis Memorialuri Saxl-muzeumi თიანეთის მუზეუმების გაერთიანება

მირზა გელოვანის მემორიალური სახლ-მუზეუმი გილოცავთ ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავს!

ცეცხლში ნაწრთობი პოეზია

მირზა გელოვანი

„მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი...“ წერდა ომიდან ქართველი პოეტი მირზა გელოვანი, რომელმაც მხოლოდ 27 წელი იცოცხლა. მირზა (რევაზ) გელოვანი 1917 წელს დაიბადა. თიანეთის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იყო თბილისის უნივერსიტეტი. მისი ლექსები იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალებში და დიდ მოწონებას იმსახურებდა. ცხოვრება თითქოს, ლამაზ პოეტურ

გზას უმზადებდა... მაგრამ 1939 წელს, 19 წლის ბიჭი ჯარში გაიწვიეს და ისიც უყოყმანოდ ჩადგა თავისი ქვეყნის დაცვის სამსახურში, მალე ომი დაიწყო... მირზა გელოვანი, (რომლის თანამებრძოლთაგან არავინ იცოდა, რომ მათი კაპიტანი დიდი პოეტი იყო), რომელიც დედას მადლობას სწირავდა იარაღის, სიმართლისა და ვაჟკაცობის სიყვარულისთვის, მდინარე დვინის გადალახვის დროს დაიღუპა. დედა ევა მაჩურიშვილი, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ელოდა შვილის დაბრუნებას. იგი მირზას წერილებსა და ლექსებს, ომის ქარ-ცეცხლში ნაწრთობს, აურზაურში მიმოფანტულთ, იღებდა ფრაგმენტულად, რაც ასაზრდოებდა, იმედს უნერგავდა ...

პოეტი-კაპიტანი, მირზა გელოვანი დაკრძალულია ბელორუსიაში ვიტებსკის ოლქში, ბეშენკოვიჩის რაიონში სანიკის ძმათა სასაფლაოზე.

ვაჟიკა ფხოველი

ახალგაზრდა პოეტი ვაჟიკა ფხოველი – მიტო ცალხელიშვილი 1922 წელს თიანეთის რაიონის სოფელი საყდრიონში დაიბადა. სკოლა თბილისში წარჩინებით დაამთავრა. ლექსებს ჟურნალ "ჩვენი თაობა"-ში აქვეყნებდა. სრულიად ახალგაზრდა 1941 წელს წავიდა ომში. ბრძოლებით გაიარა უკრაინა, ბალტიისპირეთი. მონაწილეობდა ლანდსბერგის მეზერიტის, შვიბუსისა და ცილხაუს აღებაში. დაჯილდოებული იყო "წითელი დროშის" ორდენით და მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის". მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა მისი სიცოცხლე, ომის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე დაიღუპა. დაკრძალულია ფრანკფურტში. სამწუხაროდ მისი ბევრი ლექსი დაიკარგა. ვაჟიკა ფხოველი ერთ ლექსში წერდა:

არ იქნება გმირთა საქმე
საუკუნოდ არ გვახსოვდეს,
ვინც დაეცა სამშობლოსთვის,
არ მოკვდება არასოდეს!



ლია პეტრიაშვილი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი (საბერძნეთი)




ჩვენს გვერდით

(ლია პეტრიაშვილს,)

ეს, ქალბატონი, საბღვარგარეთ წავიდა იმისთვის, რომ დის მკურნალობისათვის დიდი თანხა ჭირდებოდა. დატოვა სამსახური და ახალგაზრდობა საქართველოში. მისმა თავგანწირვამ შედეგი გამოიღო. და გადარჩა. ესაა, გმირობა. არ მეთანხმებით?)

რამდენი გმირი დადის ჩვენს გვერდით
და ვერა ვხვდებით რაა გმირობა,
ქართვლის ვაზივით ლერწს შეაბერდი,
და დედმამიშვილს მიეც პირობა...
უნდა იცოცხლო, არ გაგიმეტებ,
თუნდ რომ დავკრძალო ახალგაზრდობა,
უფალი ძალას გამომიმეტებს,
რწმენის ფიქრს გული უკვე ენდობა.
და შენ წახვედი, დაგმე, დატოვე,
სამსახური და ყველა მიზანი...
უფალი გიცავს, მარტო არ გტოვებს,
მე კი პოეტო, გმირად გიცანი.
გაფრინდნენ წლები, შემოგათოვა,
შემოგათოვა, დარდის საწუთრომ,
და გრძნობამ შენმა, ფიფქით ნათოვლმა,
სულში ტკივილად არ იფათუროს.
შენ ხარ სპეტაკი სულის პოეტი,
ლექსით და ყველა შენი ღირსებით...
არ ფრენ სხვასავით ვით კაპოეტი,
არავის ხოცავ სიტყვის ისრებით.
თავდაბალი ხარ, თუმცა ძლიერი,
კეთილი, სათნო, უსაყვარლესი.
ღვთისმშობელს გავხარ, სახის იერით,
დამცველი შენი არემარესი.
თუმცა ბოქლომებს ჟანგი დაედო,
აწვიმს და გნატრობს შენი ვარდები...
რაც უნდა მანდეთ შრომით გაერთო,
აქ ხელმეორედ დაიბადები.



იბადებიან

(ლია პეტრიაშვილს)

საქართველოში ასეთები, იბადებიან,
რომ სულის სარკმელს
გააღებს და ჭრილობებს გიხვევს...
მერე სიკეთის,
ღვთის მარცვლებად, იბარდნებიან,
შენს დასაცავად ბრძოლაშიაც უკან არ იხევს.
და თუ დაგჭირდა
თვით სიცოცხლეს შენთვის გაწირავს,
წავა ზეცაში, ფრთებგაშლილი, მარადიულად...
არ გაატარებს, წლებს უაზრო დროის კეცვაში,
წავა სახელით, ქალობით და წავა გმირულად.

ნათელა ღაჭავა



ჩემი აკადემიის შვილს

(ნათელა ღაჭავას)

სანთლის ალზე მოჩურჩულეს
ქალს კოლხსა და ქალს მადლიანს,
წყაროსავით მოჩუხჩუხეს
სიტყვით ყველგან გავლენიანს,
მსურს გავუთბო ლექსით გული,
კოლხ მედიას შთამომავალს...
ფიქრითაა გადმორთული,
მზეს აქ ხედავს ამომავალს.
იმერეთში მთას სანთელას
ნისლი ტანზე მოხვევია...
მად როგორ გრძნობ თავს ნათელა,
დარდი გულს რომ გახვევია.???



ნონა გაგნიძე

თეთრი აპრილი



(ნონა გაგნიძეს)

რამდენჯერ ფიქრით, სულის სამყაროს,
ღამის სიზმრებსაც ცრემლით დანამავ,
ღმერთმა შენს,
შვილებს აღარ გაგყაროს,
არ დაიდარდოს, გულის სამანმა.
ოჯახისათვის, შორს რომ წახვედი,
შვილებისათვის სისხლიც გაიღე,
საქართველოში, დროა თავხედი,
ამიტომ დიდი ტვირთი აიღე.
უფალს ვთხოვ, შვილო, შენი ამაგი,
დაგფასებოდეს პოეტს, ხვალიდან,
დედის ფიქრია სწრაფი არაგვი,
დედა ირჩევა ყველა ქალისგან.
ნატვრის ცრემლები მოგწყდება ნონა,
მიეფერები შვილებს ფიქრებით,
მწამს რომ შორს
წასვლამ დაგაღონა და ..
ბევრჯერაც დარდით გადაფითრდები.
გლოცავ, უფალმა გადაგაფაროს,
საშვილიშვილოდ, მადლის მანდილი,
ოჯახმა შენმა ინაყაროს და...
მხრებს დაგებარდნოთ თეთრი აპრილი.



როცა მღერიხარ

(მანანა რაზმაძეს)

განა ყოველთვის, როცა მღერიხარ,
ბაგე სიცოცხლის ჰანგით ხმაურობს,
ბევრჯერ დარდების, გულის მწყემსი ხარ,
ბედმა წაიღო, სანაზღაურო.
ცად აიჭრები ზოგჯერ ფიქრებით,
სულს დაგიმშვიდებს, თვითონ უფალი...
თუ გულზე გათოვს, ცივი ფიფქები,
სიმწრით მღერიხარ, ჭირისუფალი.
სიმღერა ხდება გულის წამალი,
მაშინ ტირილს გავს მინამღერები...
ცრემლს მოიწმიდავ, ჩუმად, დამალვით,
შენს გულს სიმღერით მოეფერები.
და თუკი მართლაც, რაღაც გახარებს,
ღამის წყვდიადი სხივმა გაფანტა...
გული თავისით აგამღერებს და...
მზეს სამუდამოდ შენში ჩახატავ.
ნონა სინაზის, გრძნობის მპყრობელო,
როგორ უხდები, დედა-სამყაროს.
მომღერალო და დედავ, მშობელო,
მიბედნიერებ, სულის სამყაროს.

მანანა რაზმაძე





ანიკო ლილუაშვილი



სამადლობელი

(ემიგრანტ ქალბატონს ანამარიას)

სამადლობელი, ცოტაა შენთვის,
სამადლობელის სიტყვა ქარია...
ზოგი გუზღუნებს, უაზროდ ხვნეშის,
გულს თავაზობ და მაინც შარია.
შენ ქალბატნო, ანამარია,
ვის შეგადარო, ასე კეთილი...
სიმშვიდე შენი ღამის მთვარეა,
ლოცვა მაქვს, შენთვის მე შეკვეთილი.
დაგლოცოს ღმერთმა, გქონდეს გარაქა,
სულიერების ზარდახშა მოგცეს...
წინ თუ ქვა შეგხვდეს, იქცეს კარაქად,
დღეს მე ხატებთან,
გლოცე და გლოცე.



ევლალია პერპერიდი



ყოველ დილით

(ევლალიას)
:.=:.+:.+:.+:.+:.+:.+:.+:.+:.+:.+:.
ყოველ დილით,
მტრედს, რომ ატან ბარათებს...
ყოველ დილით ,
შვილო, მეალერსები,
შენით მივდევ,
ბედისწერის აღმართებს,
ღრმად გაიდგი
გულის გულში ფესვები.
დავაღამებ,
იმედებით ამ დღესაც,
საღამოზე კვლავ
ანგელოზს მოველი...
სიყვარული,
დაფუძნდა და დაწესდა,
სულ გამიშრა,
თვალი დარდით სოველი!

სიყვარულის საგალობელი

(ლალი სურგულაძეს)

ნოსტალგია, სიყვარული, ტრფობის ალი,
წვიმის ცრემლი,
არ გკითხავდა, სად და როგორ,
საქრთველოს
ნატრულობდი, გრძნობის ქალი...
უცხოეთში,
რომ სწავლობდი, ნაზი გოგო.
შეგიყვარდა,
ო, რა ძლიერ შეგიყვარდა,
გიორგი და
გვარით იყო პერპერიდი,
ვაჟმაც შენს გულს,
თავის გული შეუფარდა,
პერპერიდი,
გახდა შენთვის, გრძნობის გმირი.
აი, ასე, სილამაზე, ალამაზდა,
ჯვარის წერას
ესწრებოდა ელიოზი, და ნაჯვარი,
შვილიც კარგი გაიზარდა,
ალბათ ვაჟი გეყოლებათ გენიოსი.
ლექსის წერა,
ნოსტალგიამ გაიძულა,
მონატრებამ გაგზავნინა ბარათები...
დარდმა ბევრჯერ შენი გული გამოგულა,
ცრემლით ღამეს
ვიცი ბევრჯერ გაათევდი.
ღვთის ჯილდოა,
ერთგულებით დავადება
სიყვარული, არის ტრფობის იდილია...
ტკივილები
ამ დროს წარსულს ჩაბარდება,
და ოქრო, კი...თქვენი ბაგის ღიმილია.



დრო წავა
(ლელა კობერიძე-ჭიაურელს)

ომლომბის აღმართს როცა აივლი,
და უღრან ტყის პირს ჩამოისვენებ...
ჩაფიქრებული ფიქრში დაღლილი,
წარსულს კვლავ, ფიქრით გამოასვენებ.
დრო წავა იქით სად ბედი უცდის,
ბედი უიღბლო ზოგჯერ კი, კარგი,
ღმერთმა აშოროს ომოლს ის ცუდი,
ომოლს გზად შეხვდეს , ია და ვარდი.
შენ ქალბატონო, ცრემლების შემდეგ,
შენთვის მზეს კალთა გადაუფარავს,
შეხედე ახლა, ხომ იმკი შედეგს,
შრომით გაქვს,
რაც გაქვს, არავის პარავ.
კვლავაც შეაღე სიმშვიდის კარი,
სადაც უთქმელად ალერსს აფრქვევენ.
არ დაგჭირდება ხმალი და ფარი.
აქ ყველა სიტყვას იმედს არქმევენ.
მე გლოცავ პოეტს,
როგორც უფლის შვილს,
დედა მშობელს
და მებრძოლ ამორძალს,
გულში დაგიბნევ, ვითარც კაბის ღილს,
ტკბილად მიგიღებ სულის პატარძალს.

ლელა კობერიძე-ჭიაურელი



იზოლდა ლეჟავა



გამოჩნდი

(ჯუმბერ ლეჟავას დას, იზოლდას)

უფალმა იცის სად, როგორ, როდის,
ვის შეგახვედროს, გზების აღმართზე,
გული ვერ უძლებს, ახლობლის ლოდინს,
გადისწარა წერს, წერილს გარათზე.
დადგა ეს დრო და გედად გამოჩნდი,
ათი წელია ველოდი ამ დროს,
თუ, გედი ჩემს წლებს, კვლავ არ გამორჩნის,
ცრემლებს ცოტახნით, ხათრით გავაშრობ
და მოგიკითხავ, კეთილ მეგობარს,
სიხარულის წლებს, თუ კი გაგაჩნდა,
დრო ქსელებს ხლართავს, როგორც ობობა,
გედი კი ჩემთვის, ცრემლში აღმოჩნდა.
იცი, რომ კეთილს, ცა უპატრონებს,
მარადულობა მჯერა ცაშია,
მე შენს ძამიკოს, აქ თუ ვპატრონობ,
ველი, ჯუმბერი ისევ გზაშია.
დამოგზაურობს, უვლის მსოფლიოს,
ხელში უჭირავს, ქართული დროშა,
დედა მშობელი, ციდან ფოფინობს...
რადგან იცის რომ, ლეგენდა შობა.



საბავშვო განყოფილება



ლელა კობერიძე-ჭიაურელი

საყმაწვილო ანაბანა

საქართველოს უძველესი ისტორია ბავშვებისათვის

შემეცნებით-გასართობი საკითხავი

ათენი 2018

არჩვი,
მკვირცხლად
მოხტუნავე,
ამაყად დგას
კლდეზე,
მწვერვალები
დაუპყრია
და მზე ადგას
რქებზე.



ბუხარში
ცეცხლი ანთია,
შეშა ტკაცუნობს,
იწვის,
ოთახში თბილა,
ბაბუა
ძილის წინ
ზღაპარს იტყვის.



გაიხსენე და შჯრაში ჩაწერე გარეშელი ფრინველი ა-ზე ☼ ☼ ☼ ☼ ☼ ☼

გუ-გუ, გუ-გუ! – გაიძახის
ხის ტოტიდან გუგული,
ქარმა ისე დაუბერა,
გააცალა ბუმბული.



დევი მოდის ბაყბაყა,
იყურება ამაყად,
თავი გმირი ჰგონია,
არვის აგდებს
არაფრად.



აბა, გამოიცანი!

ბუჩქებშია მიმალული, ერთი ციდა კია,
გაზაფხულის ყვავილია ლურჯთვალება

ენძელები ამოსულან
თეთრ თოვლიდან ისევ,
მორცხვად თავი
დაუხრიათ,
უნდათ –
გამოფხიზლდნენ.




ვარდის ტოტზე
შემომჯდარა
მგალობელი ბულბული,
შორიახლოს
ბანს აძლევენ
შოშია და გუგული.





გაიხსენე და ჯვრაში ჩაწერე
გარეული ცხოველი ე-ზე

ზვიგენია
ოკეანის
მტაცებელი დიდი
თევზი, –
გიგანტურიც,
კატისებრიც,
ცოცხლადმშობიც, კვერცხმდებელიც.



თაგუნია,
შე სულელო,
ყველს არ მისწვდე
სარდაფში,
თორემ დედა ვერ გიშველის,
თათებს წაჰყოფ
ხაფანგში.




გაიხსენე და უ%რაში ჩაწერე
გარეული ცხოველი **ზ-**ზე



ინდაური
გაიფხორა,
გადაშალა კუდი,
მისი ფრთები
მარაოდ
არ იქნება ცუდი.



კურდღელია
პაწია,
სხვის ბოსტნისკენ
გასწია,
ჩასაფრებულმა მურიამ
ყურით მაღლა ასწია.




აბა, გამოიცანი!

„კაკკუკა, კაკკუკა!“ კაკუნით ნისკარტი რომ მოდალა,
ფუღუროში ჭია-მატლებს ვინ პოულობს?

ლომის შვილია
ბოკვერი,
მასაც სამეფოდ
ზრდისა,
პატარა მართლაც
კარგია,
დიდში კი მხეცი
ზისა.



მაიმუნს აქვს
დიდი კუდი,
თუ დასჭირდა –
არის ქურდიც,
გალიასთან მისულ
სტუმარს
ააცალა თავზე
ქუდი...



გაიხსენე და უჯრებში ჩაწერე მცენარე **ლ**-ზე





„ნაძვის ხეო,
ნაძვის ხეო“...
„რაო, ჩემო ალვის
ხეო?..“
„შენ ჟანგბადით
გვამარაგებ,
მე ვარ ქარსაცავის
ხეო.“

ოფოფია
გრძელნისკარტა,
აქვს ჭრელ-ჭრელი
ბუმბული,
უღრან ტყიდან
გამოფრინდა
ულამაზეს გვირგვინით.





გაიხსენე და უჯრებში ჩაწერე ცხოველი **ნ**-ზე





Პინგვინებს
ანტარქტიდაში
ნეტავ მართლა
არ სცივათ?





ყინულზე
რომ
ტყაპუნობენ,
ყელი რატომ
არ სტკივათ?.

Ქასმინია
თეთრი ფერის,
სურნელს
აფრქვევს ძლიერს,
სილამაზით
კი ატყვევებს
ყმაწვილსა
თუ ხნიერს.




აბა, გამოიცანი!

სამყაროში ასე ხდება:
ღამეს მოსდევს დღე,
ციდან სხივებს რომ გვიგზავნის,
რა ჰქვია? – ☼☼☼




Რკო არის
მუხის ნაყოფი,
თავზე ახურავს ქუდი,
ამ ნუგბარისთვის გოჭუნებს
ტყისკენ მიუწევთ გული.

Სპლიყვი
ორმოში ჩავარდა,
გაიჭედა ხორთუმით,
იქიდან რომ ამოვიდა,
ლაფით იყო
მორთული.








Ტრაქტორია
რკინისა,
სამუშაოდ მიდისა,
ბავშვებს მოსწონთ
ძალიან,
ხმაზე მისკენ
გარბიან.






Ურთხელი დგას
გორაკზე,
ცადაწვდილი
ტოტებით,
მუხას, მასთან
ჩახუტებულს,
დაუფარავს
ფოთლებით.

აბა, გამოიცანი!

ყოჩაღი არის სხვის ხელში,
თვითონ არც ივლის ხოხვით,
ხშირად ვაყენებთ კუთხეში,
ფიჩხისაც გვხვდება



Ფოთოლი ვარ,
მოფარფატე,
ქარისაგან მოვწყდი
ტოტს,
ვიფრიალე აქეთ-იქით,
დავიკარგე
სადღაც
შორს.







Ქარი ზუზუნებს, ისე ქრის,
უცებ დაზამთრდა თითქოს,
ეული მუხა საშველად
ისევ გაზაფხულს უხმობს.

ღიღილო ვარ
ლურჯთვალება,
ნაზი, კოხტა, ლამაზი,
თქვენ გიღიმით, პატარებო
გიო, თამარ, რამაზი...




უყაჩოს გამორევია
კაბაზე შავი კოპლები,
ბუნებას შეურჩევია
მისთვის წითელი
ლოყები.




აბა, გამოიცანი!

ჭაობიდან ამომხტარი
გუბეშია ამაყი!
დღე და ღამე რომ ყიყინებს,
მას რა ჰქვია?



შაშვი გალობს დილით,
პატარების ჯიბრით,
– გარიჟრაჟზე რომ
გვაღვიძებს,
დაგვაცადე ძილი!..

ჩოჩორია პაწია,
წინ კუნტრუშით
გასწია,
დედასთან
ჩახუტებულმა,
თავი კრძალვით
დასწია.



გაიხსენე და უჯრებში ჩაწერე ქართული
ნუბბარი ჩ-ზე

ცხვარი ისეთი
ბრიყვია,
ვერ არჩევს თავის
მტერსა,
სიბრიყვით
მოტყუვდება და
თვითონ გაჰყვება
მგელსა.



ძერა, ძერა, ძერაო,
რას მიაპყარ მზერაო?
ჩემს წიწილებს ვერ
წაიყვან,
ქურდო, გაიძვერაო!..



გაიხსენე და უჯრებში ჩაწერე
მცენარე ც-ზე






წვიმა მოდის
საოცარი –
ჟუჟუნა და შხაპუნა,
ნახე, როგორ
ასუფთავებს
ჩვენი სახლის
სახურავს.




ჭიანჭველა მარდია,
ხეზე მწკრივად
დადიან,
ზამთრის სარჩოს
აგროვებენ,
შინისაკენ გარბიან.


ხარი შეება
გუთანში,
ტვირთი გასწია მძიმე,
მიწა ღრმად
გადააბრუნა,
არსად დატოვა დირე.





ჯეჯილია პურის ყანა,
შემკობილი თავთავით,
მისმა მადლმა მოიყვანა
ეს ქვეყანა აქამდის.





ვამაკში, პატარებო,
ინებივრეთ დიდხანს,
მერე კი დაიძინეთ
დედიკოსთან მშვიდად.

 ბეჭემოთი, ანუ 

სწორი პასუხები

გვ.4 - არწივი; გვ.5 - ია; გვ.6 - ენოტი; გვ.7 - ზებრა; გვ.8 - კოდალა;
გვ.9 - ლიმონი; გვ.10 - ნიამორი; გვ11 - მზე; გვ.12 - მელაკუდა;
გვ.13. - ცოცხი; გვ. 15. - ბაყაყი; ყვავილი; გვ.16 - ჩურჩხელა;
გვ.17 - ცაცხვი; გვ.19 - ჰიპოპოტამი.

საბავშვო ლექსები



მიყვარს, როცა...

მიყვარს, როცა სითბოსგან
დედამიწა იღვიძებს,
ხის ტოტები კვირტებს გაშლის,
მწყერო მწვანედ ბიბინებს.

მიყვარს, როცა მზე ამოდის,
გაბრწყინდება სამყარო,
როცა ქვეყნად მშვიდობა და
სიხარული ნავარდობს.

მიყვარს, როცა სიკეთე და
სათნოება თამადობს,
მაშინ ქვეყნად ღვთის წყალობა
მთელ მსოფლიოს გაათბობს.

18.03.2018 წ.

აკვანი

აკვანი – ჩვილის საწოლი,
ხისაგან გამოთლილია,
წინა თაობის შვილები
აკვანში გამოზრდილია.
დედა არწევდა აკვანსა,
ტკბილად მღეროდა „ნანასა“,
ჩვილი კი, „აღუს“ ტიტინით
დედას უხდიდა ამაგსა.

„დედაენა“

ენა როცა წარმოიშვა,
ლექსიც გაჩნდა ქართული,
იაკობის „დედაენა“
წიგნი გახლავთ განთქმული.
ანბანი გვაქვს ჩვენ ღვთიური,
ოცდაცამეტ ასო-ბგერად,
ეს წლებს ნიშნავს იესოსი,
ძე ჯვარცმულის მისაღებად.
იაკობის „დედაენა“ –
სანუკვარი ძალზე,
სამარადისოდ მიგვყვება
ცოდნის ნათელ გზაზე.

საქართველო

მიყვარს ჩემი საქართველო,
უძველესი ფესვებით
და ქართული ხელოვნება
ცეკვებით და ლექსებით.
მიყვარს ჩემი საქართველო
მისი მთებით, გორებით,
პურის ყანას შესეული
ხოხბებით და გნოლებით;
ლურჯი ზღვით და ლურჯი ზეცით,
თვალუწვდენელ კორდებით,
ხვავ-ბარაქით ავსებული
ყურძნის დიდი გოდრებით.
მიყვარს ჩემი საქართველო
ქალაქებით, სოფლებით,
მის დათოვლილ მწვერვალებთან
თუ ოდესმე მოხვდები,
თვალს მოგჭრის და დაგატყვევებს
საქართველოს ბუნება,
საოცარი სილამაზე
დაგიმშვიდებს გუნებას.
ასეთია საქართველო –
დიდებული მხარე,
ჩემთვის საყვარელი არის
მისი მზე და მთვარე.

გაზაფხული

(სიმღერა)

მოჩუხჩუხებს წყაროს წყალი,
მზემაც გაახილა თვალი,
ტყეში ყვავის ყოჩივარდები.

გაზაფხულის სურნელია,
ბუჩქის ძირას ყვავის ია,
შრომშანებო, სად იმალებით?..

სიყვარულზე მღერის ყველა,
ბულბული თუ ჭიანჭველა,
ქრიზანთემებს ვეამბორები.

მოწყვეტილი ვარდის რტო ხარ,
მაგნოლია, თეთრი რომ ხარ,
სილამაზით მითამამდები.

მოჩუხჩუხებს წყაროს წყალი,
მზემაც გაახილა თვალი,
ვარდისფერად ყვავის ატმები.

სიყვარულზე მღერის ყველა,
არ ბერდება ეს სიმღერა,
ღვთიურ ძალას ვეთაყვანები.

მარტი

ნახეთ, მზეში ცელქი წვიმა
რა საოცრად მოდის ციდან,
სხივში მოცქრიალე წვეთი,
მიწას ოქროსფერად ერწყმის.

მზემ ჩაგვიკრა თითქოს თვალი,
წვიმამ მოგვცა ცივი წყალი,
თოვლმა, ქარმა სუფთა დილა
სულ ჟანგბადით გაგვიმდიდრა.


ეს ამინდი მარტის თვეში
კაბას ცხრაჯერ იცვლის დღე
წუთს რომ მზეა, წუთში ქარი,
ამ წუთს წვიმა, იმ წუთს დარი.

რომ შეხედოთ ერთი თვალით,
მარტის თვეა, როგორც ქალი, –
პრანჭია და ცვალებადი,
ხან ცივგულა, ხან შაქარი.

დედას



კვლავ დავუკრეფ დედას ლამაზ ყვავილებს,
მივულოცავ გაზაფხულის დღეს,
სიყვარულით დავუკოცნი თვალებს და
შევეხები მის უნაზეს თმებს.
ჩამიხუტებს დედა გულში მხურვალედ,
შეისუნთქავს შვილის სურნელს ჯერ,
მერე ისეთ სიყვარულით გამათბობს,
როგორც ათბობს დედამიწას მზე.




გაზაფხული

თეთრ თოვლიდან ამოძვრა პაწაწინა ენძელა,
გაზაფხული გვახარა, ნეტავ, ხომ არ ეძნელა?
ტყეში ყოჩივარდები გაფეთქილა გვიან,
მოფენილა ფერდობზე ლურჯთვალება იაც.
ხან რომ მოიღრუბლება და იჭექებს ზეცა,
წვიმის თქეში წამოვა, თან გამოვა მზეცა.
მოფრენილან მერცხლები
თბილ ქვეყნიდან გუნდად,
აი, ასე იწყება გაზაფხული მუდამ.
დავუკრიფოთ დედიკოს ენძელა და ია,
ამ ყველაფერს ერთად გაზაფხული ჰქვია.

შემოდგომა

აჰა, გავიდა ზაფხული მწველი,
ბუნებამ ყვითლად იცვალა ფერი,
საქართველოში დაიწყო რთველი,
შემოდგომას ხომ ბარაქას ველით.
კახეთში გლეხმა გარეცხა ქვევრი
და შიგ ჩაწურა რქაწითლის წვენი,
დამკრახულ მტევნებს აკიდო შვენის,
პაპამ ჭედილას შეავლო ხელი.
ბებომ აანთო სამფეხზე ცეცხლი,
ქვაბით შემოდგა ბადაგის წვენი,

ჩურჩხელებს
ავლებს
ბავშვების გვერდით,
ჟივილ-ხივილი
მათი ცას ერთვის.
კახური შოთის
სურნელი ერწყმის
ოხშივარს წალმის
მწვადების ცხელის,
გაშლილ სუფრაზე
ხაშლამა ბევრი,
„მრავალჟამიერს“
ყოველი მღერის.



ზამთარი

შემოდგომა მიიწურა,
დაუბერა ქარმა,
ხის ფოთლები მოხვეტა და
გააქროლა სადღაც.

ქარის შემდეგ ისე დათბა,
გასკდა თეთრი ღრუბელი,
მთებს მხრებზე ჩამოათოვა,
გავახურეთ ღუმელი.

პაწაწინა ჩიტუნები
სიცივისგან კრთიან.
ბავშვები კი სასრიალოდ
ამზადებენ ციგას.

ყიჟინებენ ყმაწვილები,
გუნდაობენ დიდხანს,
თოვლის მოსვლა უხარია
პატარას თუ დიდსა.


ჩხიკვი და მელია

ჩხიკვი ხეზე შემოჯდა და
გადასძახა მელიას:
„ერთ საქათმეს მიგასწავლი,
მოსაპარი ბევრია“...

ჭკუამოკლე მელაკუდას
ბედი ერგო ძნელია, –
საქათმეში შეპარულსა,
თავს წაადგა ბებია.

ქურდბაცაცა დაიჭირეს,
ნერწყვი პირს მორევია,
ქათმის ნაცვლად, საბრალო,
ხაფანგს წამოგებია.

ჩხიკვი მაშინვე გაფრინდა,
მიატოვა მელია,
ასეთი მეგობრები
არსად გამოდგებიან.



პეპელა

ატმის ყვავილს პეპელა
დასტრიალებს თავზე,
ცელქი ბიჭი საჭერით
გადმომდგარა ბანზე.
პეპელა რომ აფრინდა,
დამტვერილი ძალზე,
ყმაწვილს თვალი მოსტაცა
მისმა სილამაზემ.
დაიჭირა პეპელა
და დაისვა მხარზე,
პეპელამ კი მას ყურში
წასჩურჩულა ასე:
„გთხოვ, გამიშვი, ნუ მომკლავ,
ცოტა დრო მაქვს ძალზე,
სხვა ყვავილებს მოვივლი,
ამ სამი დღის კვალზე“.
მან პეპელა გაუშვა,
დაფრინდა ის ბალზე,
ყვავილების დამტვერვა
ხდება აი ასე.




კრუხ-წიწილა და მამალი

ქორმა შენიშნა მაღლიდან
კრუხ-წიწილა და მამალი,
მათ თავზე ჩამოუქროლა
ატეხა მთელი ამბავი.

უცებ მამალი აყივლდა,
კრუხმა დაიწყო კრიახი,
შვილები ფრთებქვეშ შეისხა,
არ მიაკაროს ნიავი.

ამ დროს უეცრად ახლოდან
გავარდა თოფით წამალი,
ჰაერში ქორის ტრიალით
თავს იწონებდა მამალი.



დათუნია


– დათუნია, ბაჯბაჯა,
გაგიბერავს მუცელი,
სკიდან თაფლი რომ ჭამე,
დაგესივნენ ფუტკრები?...
– არა ვტყუი, ვფიცავარ,
ტკბილი მიყვარს ძლიერ,
თაფლის ფიჭას მივაგენ,
არ მეჭამა მშიერს?.
დამესივნენ ფუტკრები,
არ მაცალეს ჭამა,
რა საშიში ყოფილა
ფუტკრის სკასთან გავლა.

გოჭი

– ტყის გოჭიჭა-გოჭუნა,
რომ ჭყვიტინებ ამდენს,
მონადირემ არ გნახოს,
დაიმალე სადმე!..

– ღრუტ-ღრუტ, ნეტავ რა მოხდა?
გამოვედი წაბლზე,
ჩემს დედიკოს ჩამოვრჩი,
არ გინახავთ სადმე?..

და ღრუტუნით მოკურცხლა,
დატრიალდა ცხრაჯერ,
დედიკოსთან მიასწრო
და გადარჩა სასჯელს.





„არწივი“



ზევით ბინადრობს სალ კლდეზე
ვით ქარიშხალის ნაწილი,
მაღლიდან ზვერავს სამყაროს
კავკასიონის არწივი.

ის ძლიერია უდავოდ,
უშიშარია ნამდვილი,
ჩამოუქროლებს ჭიუხვებს
დილით აჰყაროს ნადირნი.

ციდან დაჰყურებს მდინარეს
დიდ თევზებს არჩევს გამიზვნით,
კლანჭებს რომ გაჰკრავს ააგდებს
რომ შეუცვალოს ადგილი.

არჩვსაც კი ისე წაიღებს
როგორც ბუმბული, თან წივის,
გარტყებთან მიაქვს ნადავლი
ეს მისთვის არის ადვილი.

რადგან მშიერი არ მოკლას
თავის სხეულის ნაწილნი,
ვაი მას, თუ გაეკარა!
გამხეცებული ნადირი.

ან მოკლავს ან შეაკვდება
მტერს რისხვით მამა არწივი.

6.09.18 წ.




გიორგი და შმაგი

ერთხელ შმაგი და გიორგი
შეიპარნენ ბოსტანში,
პაპას თოხის დანახვაზე
ჩხუბი მოხდა ორ წამში.
ვერ გაიყვეს ერთი თოხი
არა მე და არა მეო!
გაწიეს და გამოწიეს
მიწა ყარეს თავამდეო.
იჩხუბეს და იკამათეს
თოხის გამო ბიჭებმა
ორთა ბრძოლა მოახდინეს
პაწაწინა გიჟებმა.
დაღლილებმა გადაწყვიტეს
დაუბრუნონ პაპას თოხი
რადგან აღარ მოეწონათ
ორ ძმას შორის დიდი ომი.

ლ.ჭ. 18.10.18 წ.



ნათია დაშნიანი



დათოს ყურშა



დილით ადრე ადგა დათო,
მამას გაჰყვა ტყეში,
მერე რა რომ სოფელს ათოვს,
ბრუნდებიან შეშით.
მამამ უთხრა: მოიცადე
შვილო ერთი წუთით,
შეშა მოგვაქვს, მაგრამ ტყეში
დაგრჩენია ქუდი.
- ვაი, მამი, შინ რომ მივალთ
არ ეწყინოს დედას,
ქუდი ადრეც დამეკარგა,
თქმას ვერ გავუბედავ.
უცებ ყეფა შემოესმათ,
ძლიერ გაუკვირდათ,
ბედნიერი ყურშა ყეფით
გამორბოდა ტყიდან.
თითქოს პატრონს გაუჯავრდა,
გააქნია კუდი
და ჩვენს დათოს მოუტანა
დაკარგული ქუდი.

გულყვითელა წიწილა

გულყვითელა წიწილამ
მთელი ღამე იწივლა,
კრუხმა ვერ დაიძინა,
მამალმა კი იწყინა:
– რატომ წივის წიწილა?-
გულმოსულმა იკითხა.
– თუ მოშივდა აჭამეთ,
თუ შესცივდა – გაათბეთ,
ოღონდ გააჩუმეთ და
რითაც გინდათ გაართეთ!
– წიწილა სულ წიოდა,
აჭამეს – არ შიოდა,
გაათბეს – არ სციოდა,
ვერ მიუხვდნენ ვერაფრით
მუცელი რომ სტკიოდა.
მოუყვანეს ექიმი,
ეცვა თეთრი ხალათი,
გასინჯა და დატოვა
რეცეპტების ბარათი.
იმ ბარათში ექიმის
დიაგნოზი ამბობდა:
დიდი ჭია ჩაყლაპა
მინდორში რომ დარბოდა.
ყველამ მშვიდად იძინეთ,
წიწილა არ იწივლებს.


ზღარბები



ქარი ქრის და ხეებიდან
წითელ ვაშლებს აგორებს,
სხვა რა უნდა ზღარბუნიას,
ზამთრის სარჩოს აგროვებს.
იქით მსხალი, აქ ატამი,
არც არავის რიდი აქვს,
დაიხმარა მეზობლები,
აკრიფეს და მიდიან.
თავში იცემს ბებო ხელებს:
- რა ვაჭამო პატარებს,
რაც ხილია მსუნაგ ზღარბებს
სახლში თუ გავატანე?!.

ლოკოკინა

ნიჟარაზე უკაკუნებს
გაზაფხულის თბილი წვიმა,
გამოდიო, მზეს წვეთები
აუკინძავს ბროლის მძივად.
ხან ღობეზე აცოცდება,



ხან გადაჭრილ მორზე სძინავს,
ბევრს შრომობს და არ იღლება,
ყველგან ზურგით დააქვს ბინა.
საფრთხეს თუ გრძნობს ნიჟარიდან
თავს არ გაყოფს ლოკოკინა

სასამართლო



ლომი იყო მოსამართლე,
მომჩივანი დათუნია:
იოლია თაფლის ჭამა,
მოპარვა კი რა რთულია!
ორი სკა აქვს დედა ფუტკარს,
ის ყველაზე მშრომელია,
ერთი ქილა თაფლი
ვთხოვე,
დამკბინა და მომერია.
განა მარტო ჩემთვის მინდა?!
გუშინ ბელი გამიცივდა,
არ მეგონა ტყის ყვავილებს
თაფლში თუ არ გამიცვლიდა!
ფუტკრების სკა აზუზუნდა:
ჩვენ გრამ თაფლსაც აღარ
დავთმობთ!
ნეტავ რომელს გაამართლებს,
მეფე ლომის სასამართლო?!.



ყიყინა ბაყაყი



გაზაფხული მოვიდა,
ცა საწვიმრად იხსნება,
სოფლის ბოლოს ჭაობი
ბაყაყებით ივსება.
ერთი მწვანე გომბეშო
გამუდმებით ყიყინებს,
დღისით ყველას აწუხებს
და არც ღამით იძინებს.
ფეხებს იქნევს რვაფეხა, –
გეტყვით ახალ ამბავსო,
წუხელ წერო მოფრინდა,
ყველას გადაგვყლაპავსო!
– მე ვერაფერს მიზამსო!
– ყურს არ უგდებს ბაყაყი,
ქვებზე დახტის ყიყინით
ტრაბახა და ამაყი.
ბრაზი ახრჩობს რვაფეხას:
– თავზე რატომ მახტები?!
მე კი წავალ, მაგრამ შენ
წეროს ლუკმა გახდები!

ხელოვნება

გულნაზ ხარაიშვილი



ნანა მომცელიძე

ნაპოვარაა ეს გოგო

ნაპოვარაა ეს გოგო, გაიღო აკადემიის კარი და შემოვიდა, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი.ნანა მომცელიძე დაიბადა ქ.თბილისში.პროფესიით გახლავთ ფილოლოგი და იურისტი.კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ხატავს თექაზე ქარგავს, ქსოვს და ამ სფეროში ჰქონდა კიდეც პერსონალური გამოფენა. მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია სიმღერა. არის, აგრეთვე, 1000-მდე ლექსის, მოთხრობების და პიესების ავტორი.ამჟამად მუშაობს წიგნზე, რომელსაც მალე იხილავს მკითხველი.მოხარული ვარ, რომ ნანა მომცელიძე ჩვენი აკადემიის,ჩვენი თბილი ოჯახის სრულუფლებიანი წევრია. მინდა დავულოცო შემოქმედებითი გზა ქალბატონ ნანას და ვუსურვო უდიდესი წარმატება.

აკადემიის პრეზიდენტი,
ჟურნალი „ათინათის“ მთავარი რედაქტორი

















გულიადა სანოძე



არ დავიწყება ქართველი ხელოვანისა

ერთი წელიც არ არის გასული ხონის თეატრის სცენას კიდევ ერთი ვარსკვლავი მოწყდა, ზურაბ აბზიანიძე.

მსახიობი, რომელმაც უამრავი როლი შეასრულა ხონის სცენაზე, მსახიობი, რომელიც არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

ზურაბმა შექმნა მთელი თეატრალური ეპოქა ხონის თეატრის ისტორიაში. 65 წელი იყო თეატრის მსახიობი.

13 წლის ასაკში ითამაშა პირველი ეპიზოდური როლი „უდუ მიქავაში“. ამას მოჰყვა უამრავი სპექტაკლები, სადაც მან 160-ზე მეტ პიესაში მიიღო მონაწილეობა.

აქედან 80-მდე მთავარი როლი იყო. ის იყო კომედიის, ასევე დრამის მსახიობი. მრავალმხრივ გამორჩეული ადამიანი თავისი პროფესიონალიზმით, ბრწყინვალე მოცეკვავე და მომღერალი.

ჩვენ სცენაზე ხშირად პარტნიორები ვიყავით მასთან თამაში დიდი დღესასწაული იყო.



ზურაბის გამოჩენას სცენაზე მაყურებელი ჯადოსნურ სამყაროში გადაყავდა, თამაშობდა **დიდი** განცდით, ოსტატობით გარდასახვის საოცარი უნარი ჰქონდა.

ზურაბმა მართლადაც დაუვიწყარი სახეთა გალერეა შექმნა ხონის სახ. თეატრში.

1970-71 წლებში ხონის თეატრში რეჟისორი სიკო ვაჩნაძე იქნა მოწვეული. მან დადგა შალვა რადიანის პიესა „იდეა – გაიმარჯვებს“. სპექტაკლი ეხებოდა რევოლუციონერებს.

ახალგაზრდა კობა ჯუღელის (სტალინის) როლს თამასობდა ზურაბ აბზიანიძე.

საშა წულუკიძის როლს თამაშობდა დიდებული მსახიობი რევაზ შამათავა.

ამ პიესაში თავმოყრილი იყო ხონის მაშინდელი ნამდვილი ვარსკვლავები: ციცინო ტაბიძე, მარიამ ჩაჩანიძე, ვერა ქვათელაძე, გურამ უგულავა დურმიშხან მენაბდე, გურამ ჯანელიძე, ანატოლ ჯიშკარიანი, მიხეილ არლოვი, გიორგი კაკაბაძე.

გრიმიორი თბილისიდან რუსთაველის თეატრიდან იყო მოწვეული, თუ არ ვცდები გვარად ათაბეგოვი.

სპექტაკლმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, განსაკუთრებით სტალინის როლის შემსრულებელმა. მაშინ არა მარტო ხონის ადგილობრივი გაზეთი, თბილისის გაზეთებიც წერდნენ ამ სპექტაკლის შესახებ.

„სპექტაკლი ხონის სახელობის თეატრის გამარჯვება გახდა. განსაკუთრებით მოიხსენიებდნენ ბატ. ზურაბს.

ის ნამდვილი ხელოვანი, ნამდვილი არტისტი იყო. მართლაც გამორჩეული თავისი იუმორით ყველა როლს ბრწყინვალედ ასრულებდა. ეს იყო იმერელი, აჭარელი, კახელი, ქართლელი, გურული საოცარი ოსტატობით ირგებდა ყველა როლს.

არასოდეს დამავიწყდება 80-იან წლები თეატრის გასტროლები მოსკოვში, მაშინ ხონის თეატრმა დიდი გამარჯვება მოიპოვა. ბატ. ზურაბი კი განსაკუთრებით ოქროს მედალით დაჯილდოვდა.

განსაკუთრებით ვიხსენებ მისი სახასიათო როლებს გამოვყოფდი „მაია წყნეთელში“, (ჯემალაის) და „ყვარყვარე თუთაბერში“, (ყვარყვარეს), რომელიც ხონის სცენაზე საქართველოს სახალხო არტისტმა, გამოჩენილმა რეჟისორმა გიორგი რატიანმა დადგა.

ზურაბ აბზიანიძის შესრულების მანერა, სტილი, მიხვრა-მოხვრა და ჟესტიკულაცია შერწყმული იყო მსახიობების თამაშთან. ზურაბს სენის გარეშე ცხოვრება, ვერ წარმოედგინა.

მძიმე ავადმოფი სცენაზე დაბრუნებაზე ოცნებობდა, სამწუხაროდ ვერ შეძლო!


იგი მართლაც დაჯილდოვებული იყო ბუნებრივი ნიჭით.

კინოშიც სცადა ბედი. სამ კინოფილმში მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია რეჟისორ ნანა მჭედლიძის ფილმი „იმერული ესკიზები“, სადაც დაუვიწყარი სახასიათო სახე შექმნა.

მან, როგორც მსახიობმა დიდი სიხარული მოუტანა მაყურებელს.

ზურაბმა არა ერთხელ დაამტკიცა, რომ ბრწყინვალედ ეხერხება, როგორც დრამის ასევე კომედიის, როლის შესრულება.

ის უნაკლოდ ხსნიდა ყველა გმირის სახეს, ის ბუნებრივი იყო, მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა.





მსახიობმა, როგორც ვთქვი უამრავი როლი შეასრულა, ჩემთვის დაუვიწყარია.

„საბრადებლო დასკვნა“ – შოშია.

„მილიონერი დეიდა“ – ჩარლი.

„ლალი სიყვარული და სხვები“ – გამომძიებელი.

„მკვლელობა სადგურზე“ – შოთა შურღაია.

„მე, ცოლი და სიდედრი“ – მერაბი.

„მაია წყნეთელი“ – ჯემალა.

მისი თეატრაული გვირგვინი კი „ყვარყვარე თუთაბერი“.

მის ყვარყვარეს დიდი შეფასება მისცა გიგა ლორთქიფანიძემ.

ეს სპექტაკლი დიდმა ხელოვანმა ხონის სცენაზე ნახა და აგრეთვე მარჯანიშვილის თეატრში, როცა ხონის თეატრი მიწვეული იყო.

მე კარგად მახსოვს გიგა ლორთქიფანიძის სიტყვა, რომ ეს იყო არაჩვეულებრივი „ყვარყვარე“ და იგი მოიაზრება „ყვარყვაეს“ საუკეთესო შემსრულებელთა ხუთეულში.

მას არაჩვეულებრივი შვილები დარჩა: ქალიშვილი ირმა, ვაჟი ბესიკი, რძალი ნინო და შვილიშვილები, რომლებსაც არასოდეს დაავიწყდებათ, თუ ვინ იყო მათი წინაპარი.

ასევე სანამ იარსებებს ხონის სახ. თეატრი არ მიეცემა დავიწყებას.

ხონის სახალხო თეატრის ყოფილი დირექტორი, ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი, ბრწყინვალე მსახიობი, ქორეოგრაფი, მომღერალი ზურაბ აბზიანიძე.

პოემები



გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ერთი ლამაზი, ქართული ოჯახის ისტორია

ვუძღვნი ივერი ჭელიძეს და
ნელი გელაშვილს

როცა ზეცა იისფერებს აქუჩებს,
დილის ნამიც ბრწყინავს ოქროს ფერებად...
ცინცხალ ამბავს პოემაში ვაშუქებ,
გულის ძგერა გრძნობით დაიწერება...

სვანურ კოშკებს ნისლი ჭარბობს ყოველთვის,
რადგან მთებში ღელეები რაკრაკებს...
ღრუბლებს ვხედავ ქარიშხალით
დაფლეთილს,
სევდის ამბავს მიტომ ვილაპარაკებ!

თუმცა მთებში, მზეც ისეთად ელვარებს,
როგორც მხატვრის დახატული ბალადა,
ახალს არ ვქმნი მე, მკითხველო, არაფერს,
გრძნობის გულებს ლექსის ბწკარით
დავლანდავ...

მთის არწივი, ქორბუდა და ჯიხვები,
ტყის სურნელმა გადაათრო მიდამო,
თავისთავად იბადება კითხვები,
დიდი ღმერთი რატომ უნდა ვიწამოთ.

დაიბადა იმ დიდ მთებში ჭაბუკი,
სახელად კი დაანათლეს ივერი,
ბევრჯერ შეხვდა ცხელ ზაფხულში ქარბუქი,
მაინც იყო ყველას დიდი იმედი.

ვაჟკაც სულში, ღვთის სიკეთე ბუდობდა,
განიერ მხრებს უმშვენებდა კუნთები,
გულკეთილი ღარიბს მუდამ პურობდა,
ის დრო იყო მისთვის ოქროს წუთები.

არ ჩაგრავდა უპოვარს და პატარას,
თავის ტკივილს გულში ჩუმად მალავდა,
ბედისწერამ დაჭრა, სად არ ატარა,
სხვის უჩუმრად ცრემლებს თვალში
კრძალავდა...

მთა იფერებს განვლილ დღეთა ლეგენდებს,
მთის არწივი მთის წყალს ეტანებოდა,
სანახავად მას მზის სახლში ეძებდნენ,
რადგან თვით მზე საბნად ეფინებოდა...

ვინც უყვარდა, ის უყვარდა ძლიერად,
არვის გრძნობის, იყო არ მომპარავი,
გული როცა გრძნობით გაბედნიერდა,
მზე და მთვარეც იყო, მისთვის არავინ...

ჩურჩულებდა ლურჯთვალება იები,
გვირილებით ირთვებოდა ფერდობი...
გოგო შეხვდა, როგორც ნაზი მთიები,
გაიფიქრა სიკვდილამდე ვენდობი...
მიეახლა, შეეკითხა სახელი,
მთელი გრძნობთ შეაჩერდა თვალებში,
მზეს ხედავდა მისით თვალებ ახელილს,
ირჩეოდა ნელი ლამაზმანრბში,

არ დაჭირდათ მაჭანკალის გაასი,
ასეთია-ს, ისეთია-ს ძახილი,
ნელი იყო ლამაზი და ხალასი,
მისთვის გახდა გულის ამოძახილი.

წმინდა გრძნობას, სპეტაკს, ღვთიურს, მისაბაძს,
თან დაყვება ქარიშხალის თარეში.
მე გიამბობთ მოკრძალებით მის ამბავს,
რა ხდებოდა, გრძნობის არემარეში.

ნელის მხრიდან ფიქრის კორიანტელი
იყო წმინდა გულის ცეცხლში ჩაფლული,
არ უნდოდა ოქრო ბრილიანტები,
არც სასახლე მაღალ-მაღალ სართულით.

დღე და ღამე სიყვარულით იწვოდა,
მოსვენება დაკარგა და ფიქრობდა,
გავამხილო? – არა, ისევ იტყოდა,
დაუშლიდნენ და ამიტომ შიშობდა...

ღამით ნელის დაესიზმრა კოშმარი –
ვიღაც თითქოს ივერს ეკამათება,
სხვა შენიშნა მის ზურგს უკან მიპარვით,
სიავკაცით მისკენ მიემართება.

გაეღვიძა, არ ეამა სიზმარი,
ათრთოლდა და მოსვენება დაკარგა,
ივერია მისი აზრი, მიზანი,
თავისთავთან ჩუმად ალაპარაკდა!

გრძნობის ქარცეცხლს ამშვიდებდა ნიავი
სინაზის და სიფაქიზის ნარნარით...
ამ სიმდიდრეს ფლობდა ადამიანი,
გრძნობას არ აქვს, არასოდეს საზღვარი.

გულის სუნთქვას სხვა ჟანგბადი ერევა,
ვინც გაცოცხლებს, არ დაგიმსხვრევს ოცნებას,
გრძნობას, როცა ეშმა შემოერევა,
აღარა ღირს მასთან დროის მოცდენა.

სულით ძლიერს, ვერაფერი გატეხავს,
ცაში ფრენით არ იღლება არწივი,

კლდეკარია სიტყვის გრიგალს ატეხავს,
გრძნობას შვენის, თოვლიც, ბევრჯერ ნაწვიმიც.

ნელი სიზმარს აყურადებს ყოველდღე,
ზოგჯერ აკრთობს შაშვის გაფაჩუნებაც,
იქნებოდა ალაბათ ასე შუადღე,
დრო დასჭირდა სიტყვის შენარჩუნებას.

ნელის მამამ უთხრა მტკიცე უარი,
არ გაგატან, თუნდაც ცრემლი დაღვარო,
სვანის მთები იცი, შვილო, სად არის?
ჩემო გოგოვ, ჩემო ფუტკრის ნაყარო!

ჩემი აზრს შვილო, არასოდეს შევიცვლი,
და მიიღე ჩემგან მტკიცე უარი,

მე მამა ვარ, შენ ბედს მიტომ განვიცდი,
ჩემი აზრი, ივერისაც უთხარი...

მამაჩემი ალბათ შორს იხედება,
ეშინია, მშობელია, ბევრს ფიქრობს,
მე კი გრძნობით, სისხლში შემიდედდება,
მერე დარდი მთელ სიცოცხლეს გამიქრობს.

დღე-დღეს მისდევს, სევდის ფიქრი თარეშობს,
სევდა გახდა ნელის თავშესაფარი,
თვალზე ცრემლი ან როგორღა გაეშრო?
დაიწიწკნა, მოთმინების საზღვარი.

დარდის წვიმა აზრთა სხვადასხვაობა,
ამღვრეულ წყალს გაჰყვა ყველა იმედი,
ამ დროს ეშმა, ხარხარობდა, ხაროდა,
უკვე სხვა გზას დააღგება ივერი.

სინდისის ძაფს მაშინ წყვეტენ სვანები
ვაჟკაცს გულზე როცა გადაუვლიან,
აჯობებს, რომ გაეცალეთ, დანებდით,
სვანის შიშით მტერს გზად ვერ გაუვლია.

მთის მწვერვალებს ის მიწვდება ვინც იბრძვის,
ვისაც გრძნობა მთელ სხეულში დაუვლის,
და თუ ქორი გულის კუნთებს დაძიძგნის
უპასუხოდ ვაჟი როგორ ჩაუვლის.

ნელიმ უკვე მოსვენება დაკარგა,
მოსწონს, უყვარს, ღამემ ვეღარ გაათბო,
დიდმა გრძნობამ, უფლის ხელით ნაქარგმა,
ქალის გულში ვარსკვლავები დაანთო.

მამის სიტყვამ ნელი, წელში გატეხა,
მთლად უარმა დაამუნჯა, დადუმდა...
სხვა ვაჟები გულზე არ ეხატება,
მამის წყენა, უჭირს, რა ქნას არ უნდა...

აწრიალდა, ფიქრის ზღვაში შეცურდა,
ოცნებები სულ მთლიანად დაეფშვნა,
ღრუბელია, ამინდები გაცუდდა,
გრძნობის ქალი, დაბლა ფრთებით დაეშვა.

ნელის მამაც წუხდა, შვილის განსაცდელს,
თავის სიტყვას მაინც არ ღალატობდა,
– არ გავატან, სვანის ვაჟკაცს, შავარდენს,
იტყოდა და შვილზე მაინც დარდობდა.

გაიფიქრა, რა კაცია გამოვცდი,
ანდა იქნებ შვილი, მასთან მესიჯობს?
ფიქრის შემდეგ უნებურად წამოსცდა,
აბა ერთი, მოტაცება, მოსინჯოს?!

შეუთვალა ვაჟკაცობით გაქებენ,
მოიტაცე თუ ხარ ასე ძლიერი,
თავიდან რომ მთათა კოშკებს აგებენ,
შენი ძალა დამანახე, ივერი!

ფრთები არ გაქვს, სახლში რომ შემოფრინდე,
არც სხივი ხარ, ფანჯრიდან, რომ შემოძვრე,
არ, გაბედო, სახლში ჩემთან მოხვიდე,
მე მამა ვარ და კაცურად დაგმოძღვრე.

სხვასთან ერთად გააგრძელე ცხოვრება,
მთაში გოგოს, აბა, როგორ გაგატან,
ვფიქრობ, მსჯელობ, დარდი აღარ მშორდება,
ისე ვჯავრობ, ამ წელს ვეღარ გავატან.

ნელი სახლში ჩაიკეტა დარდებთან,
გარეთ გასვლა, თუმც არ ეკრძალებოდა,
მდუმარებით ჩურჩულებდა ჭადრებთან,
ნელის დარდებს თვით მზეც ემალებოდა.

შეადგინა, ვაჟმა იმ წამს გეგმები,
მოტყუებით წაეყვანა გოგონა,
თქვა რომ, ალბათ, გამომივა შედეგი,
ჰოდა, ხერხი უნდა გამოეგონა...

და მეგობრებს გაუმხილა ეს, ხერხი,
მოიტაცოს საყვარელი გოგონა,
გაფიცხდება, გაავდება, მთის ვეფხვი,
ბევრს მშვიდი და უთქმელი რომ ეგონა...

მოიტაცა, მოტყუებით, ლამაზი,
სათნოებით, ნიჭით გამორჩეული,
გრძნობა იყო დამნაშავე ამაში,
მოღალატის სიტყვას შეუჩვეველი...

ასე შექმნეს დიდი ტკბილი ოჯახი,
სიყვარულით გააგრძელეს ცხოვრება,
გრძნობით მორთეს საკუთარი ოთახი
წლების შემდეგ სხვებსაც ემახსოვრებათ..

ძველ დროს როცა იყო სიტყვის მსჯელობა,
საკითხს წყვეტდა, სახლში მუდამ უფროსი
თუნდაც სახლში მომხდარიყო მკვლელობა,
უფროსს მუდამ უჯერებდა, უმცროსი.

ნელის, იას ამგვანებენ სინაზით,
შეიყვარა სვანთა ადათ-წესები,
დაისახეს ერთად წყვილმა მიზანი
გაძლიერდნენ ფუძე, მძლავრი ფესვებით.

მერე გაჩნდა ფუძის მტკიცე იმედი,
გოჩას მოყვა, ნაზი, თბილი მაიკო,
ვწერ პოემას, ცრემლი ვღვარე რამდენი
(ნელი უკვე სააქაოს არ იყო)...

სიზმრად ვნახე, ნელი ცისკრის ვარსკვლავთან
ისვენებდა, სადღაც შორეთს მნათობთან.
მზე წვდებოდა, მიღმის იქით, სარკმელთან,
სული იყო, მაგრამ მაინც მათბობდა.

ვისაუბრეთ, მან მიამბო წარსულზე,
გაიხსენა, ადრე ტკბილი რაც იყო,
თქვა, რომ ცხოვრობს სადღაც მეცხრე
სართულზე,
ცდილობს დარდი უსასრულოდ გარიყოს.

სიყვარული დაამტკიცა ივერიმ,
არ ჩააქრო, ჩემ საფლავზე სანთელი,
მაშფოთებდა მისი სახის იერი,
მეც ვუმზერდი დარდისაგან გათელილს...

ო, მწყუროდა მისი ხელის შეხება,
მკლავდა მისი ნატანჯ სახის ყურება,
სული სხეულს როცა აღარ ეხება,
მაშინ მოვა, როცა მოესურვება.
ჰოდა, მსურდა უხილავად მეცქირა,
სანთლის ალთან, იქვე ვიდექ ახლოში,
მინდოდა რომ მოვხვეოდი, მეყვირა,
მაგრამ, ვიწექ, კუთვნილ სამოსახლოში.

სიყვარული ცაში წამყვა მეუღლის,
დავიწყებას გულში როგორ გავივლებ,
მას ზეციდან კვლავ მოკითხვას შეუთვლი
რადგან იგი კვლავ ჩემს გულში ყვავილობს.

როგორ მინდა გულმა მისმა აჯობოს
ყველა ტკივილს, ბედისწერით რაც ერგო,
სიცოცხლე მსურს, მან შვილებთან განაგრძოს
იმედები გულში უნდა დანერგოს.

კიდევ ბევრი საფიქრალი გაუჩნდა
ოჯახის ბურჯს, ვაჟკაცს, ბეჭებგანიერს,
ღმერთმა, მთაკაცს თბილი გული ჩაუდგა
რომ გაცილდა გრძნობის ყველა ბარიერს.

ასეთი რამ არსად არ წამიკითხავს,
კაცს რომ ცოლი, ასე მძიმედ ეგლოვა,
მე სული ვარ, აბა ვის განვიკითხავ,
არ იდარდოს ნეტავ ყველას გეთხოვათ,

წელიწადი სანთლის ალი მათბობდა,
მე ვხედავდი, ის კი წყვდიადს შეეპყრო,
სული ვარ და მაინც გრძნობა მათრობდა,
როგორ მინდა, მის მკლავებზე დავეყრდნო.

ყვავილების მოდიოდა სურნელი,
ოთხი წელი, საფლავზე რომ მოჰქონდა,
გედი არის მართლაც ბევრჯერ სულელი,
ივერი-სთან გასაყოფი რა მქონდა?!

გრძელდებოდა, დღე, თვეები და წლები,
უპოვრებსაც, სულსა და გულს ჩუქნიდა,
შეუმჩნევლად ქვითინებდნენ განცდები,
სანამ გედი, კვლავ წარმს გამოუქნიდა...

გედი, დიდ დარდს, დარდით გადაგავიწყებს,
მწარედ აგცრის სიმწუხარის ლანცეტით,
მძიმე ამბავს, ცრემლით ასე დავიწყებ,
სიცოცხლის დღე არ გრძელდება დაკვეთით.

გაძარცული იდგა გედის ვარსკვლავთან,
ივერი და... ცრემლში იფუფქებოდა,

დრო კი წუხდა, მის წინ ნაავადარი,
გედი ივერს ისევ ემუქრებოდა...

დარდის სამოსს შემოჩვევა სცოდნია,
კვლავ იცეკვებს, თვალზე მწარე ცრემლები,
ერიდები, მაინც შენსკენ მოდიან,
გედისწერის წლები განახელები...

ჰოდა ოჯახს ისევ რისხვა დაატყდა,
აღდგომის დღეს შეიღება კვერცხები...
ნედლი ტოტი შუა წელში გადატყდა,
ვერ გაფრინდნენ ივი ჭელოს მერცხლები.

კვიცი იყო უღელ-გაუხედნავი,
ასეთები, ღვთით, უფალთან ხვდებიან,
უფლის წყრომას მაინც ვერ გავბედავდი,
მართვეები არასოდეს კვდებიან...

ვაჟკაცია, ის, მზესავით თბილია,
ვარსკვლავია, ღამით ცაზე ბრიალებს,
შვილიშვილი, შვილზე უფრო ტკბილია,
მაგრამ გედი, მწარედ აგაღრიალებს...

მიკვირს ღრუბლებს, ქართან რა ააქვთ საერთო,
ღრუბლის ფთილა იქცა სეტყვის ნატეხად,
დედამიწა ცრემლს, ვით ბანგი დაეთრო,
არ ეცალა გვარს და ჯილაგს სალხენად.

გოლგოთაა, სიცოცხლის გზა ეკლების,
დედამიწა ტკივილების გულია,
ყინვით ჭკნება გაზაფხულის ტყემლები,
ღმერთმა იცის, ვის რა გზა გაუვლია!..

შენ პოეტო, ერთგულებას აფასებ
მეუღლემ რომ გარდაცვლილიც მიწამა,
დარდის ყანწებს ცრემლით ბევრჯერ აავსებ,
შენმა ლექსმა ჩემ ტკივილსაც უწამლა.

ერთგულება სიცოცხლეში ფასდება
და ისეთი, ჩვენ რომ გვქონდა ოჯახში.
თუკი გედით თოვლის გორა დადგება,
სჯობს დაკეტო რკინის ლასტით ოთახი.

წმინდა გრძნობას უფლის მადლი დარაჯობს,
ისეთს, როგორც ჩვენ გულებში სახლობდა,
ციდან მინდა ოჯახს რომ ვუდარაჯო,
რომ ჩემს ქმარ-შვილს ჰქონდეს უფლის
წყალობა.

ჩემს ივიკოს არაფერი არ უჭირს,
ცის მნათობებს ჩუმად ეჩურჩულება.
ანგელოზად მოევლინა საწუთროს
უფალს სურდა რადგან მისი შვილობა.

მოვისმინე სიზმრად გულის ძახილი,
ისევ კალამს მივუბრუნდი საწერად...
არვინ გაჰყვეს დარდით სავსე მარხილს და...
არც ცრემლებით შექმნილიყოს ფერწერა.

ერთგულება უნდა იყოს ქართული,
გედს და ქარბუქს ყველამ უნდა აჯობოს.
ერს სჭირდება ვაჟკაცები ჯანმრთელი,
დარდი, რწმენით, ყველამ უნდა ჩაღობოს...

არვინ იცის, სხვას ხვალ რა ელოდება,
თოთო კვირტი ქარით წყდება დიდ ხეებს,
მწუხრის ცრემლი თვალებიდან მგორდება
და წარსული, დარდიანი მახელებს.

გინესის წიგნს დაამშვენებს ივერი
ერთგულებით, სხვათა ხელის შეწყობით,
გედ-ნატორი, მაინც გულისხმიერი,
ვაჟკაცობით, ღვთის რწმენით და შენდობით.

დავასრულე სიყვარულის ამბავი,
სურნელება ჩემს ნაწერსაც შერჩება,
წარსულია ცრემლით ჩამონაბანი
ჰოდა, ცრემლი, სხვისიც ნუღარ შემხვდება...

გაძარცული იდგა გედის ჭადარი,
ცოდვის ცეცხლში ვინ არ იფუფქებოდა,
გული თრთოდა სევდით ნაავადარი,
ქორფა კვირტი ცაში იფურჩქნებოდა...

რადგან ცაში წყდება გედის საკითხი,
აქ კი ცრემლი ადიდდება ზვირთებად.
ეს პოემა სიყვარულის საწმისი
იქნებ დარჩეს ლეგენდად და მითებად!





სერგი ლომიძე

გულნაზ ხარაიშვილის ახალი პოემის შესახებ

„ერთი ლამაზი, ქართული ოჯახის ისტორია“, – ასე ჰქვია პოემას, რომლის შესახებაც მინდა დავწერო სტატია-რეცენზია. პოემის ავტორია ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი.

ქალბატონ გულნაზს ყველა იცნობს, როგორც საზოგადო მოღვაწესა და პოეტს. მისი ლირიკა უფროა აღიარებული, ვიდრე მისივე ეპიკა, და მე ვთვლი, რომ ქალ პოეტთა შორის იგი მართლაც არის ერთ-ერთი გამორჩეული, თავისი განსხვავებული პოეტური ხმით, წერის იმ სტილით, რომელიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი. გულნაზ ხარაიშვილის ნაწერები არავის ნაშრომებს ჰგავს. ესაა მართლაც ორიგინალური, აბსოლუტურად გულნაზისეული. მეტსაც ვიტყვი, – თვით ბეჟან ხარაიშვილმაც კი, რომელიც საოცარი პოეტი და ქალბატონი გულნაზის ძმა იყო, თითქმის სრულიად ვერ დაიმსგავსა საკუთარი და წერის სტილის მიხედვით. ეს ალბათ იმიტომ, რომ ბეჟანი არ გახლდათ უფროსი ძმა (თუმცა ოჯახში, ყველაზე ადრე, ნამდვილ პოეტად ქცევა მან გადაწყვიტა, – ჯერ კიდევ ბავშვობიდან გადაწყვიტა ეს).

დიახ, ქალბატონი გულნაზის ხელწერა სრულიად ორიგინალურია, და თუნდაც ამიტომ, არ მიკვირს, რომ მან, თავისი ლექსების გარკვეულ ნაწილში, დიდ შედეგებს მიაღწია.

მაგრამ ეს ლირიკაა.

საერთოდ, ადამიანებს უკვირთ ხოლმე, როცა ქალი ლირიკაში აღწევს წარმატებას (არადა, ასეთი წარმატების მაგალითები არაა ცოტა), ხოლო ეპიკაში ქალის წარმატებისა ფაქტობრივად არც სჯერათ. (უნდა ვაღიარო, რომ ეპოსში ქალთა წარმატებული მუშაობა მართლაც იშვიათია).

გულნაზ ხარაიშვილმა გაბედა და რამდენჯერმე შეაბიჯა ეპოსის დიდ სამყაროში, ანუ იქ, სადაც პოემები ბატონობენ, – ყველაზე უფრო რთულად დასაწერი ქმნილებანი.

უნდა ითქვას, რომ ქალბატონი გულნაზის პოემათაგან რამოდენიმემ ძალიან დამაინტერესა, და ერთ-ერთია, სწორედ, „ერთი ლამაზი, ქართული ოჯახის ისტორია“.

პოემა რეალურ ამბავს დაეფუძნა, – ივერი ჭელძისა და ნელი გელაშვილის სიყვარულის ისტორია პოეტურად გაიაზრა ავტორმა. ნაწარმოები რამდენიმე ათეულ კუპლეტს მოიცავს. ალბათ, უფრო, საშუალო სიდიდის პოემებს განეკუთვნება. ქმნილება, ძირითადად, ჯვარედინადაა გარითმული (ABAB). ჯვარედინი არაა მარტივი გარითმვა, მეტიც – რთულიცაა, ალბათ – ყველაზე უფრო ლამაზიც. სახელიც შთამბეჭდავი აქვს, მისტიკურ-სიმბოლურიც.

საერთოდ, მე ყოველნარი პოეზია მიყვარს, თუ იგი კარგადაა დაწერილი, დიახ, მიყვარს, ვთქვათ, ვერლიბრიც და ვერბლანიც, მაგრამ პოეტი, რომ კონვენციურ პოეზიას დიდებულად ფლობს, ეს ძალიან მსიამოვნებს, მითუმეტეს, – ქართული ენა ძალზედ მუსიკალურია, რითმიან-

რიტმიანი (თუ რიტმიან-რითმიანი. ასე, რომ, ტრადიციული ქართული ლექსი, ახალ დროში ახლებურად წარმოჩენილი, ძალიან ანათებს.

მოკლედ, პოემაში პოეზია და მუსიკა ერთადაა წარმოდგენილი. აქვე აღვნიშნავ, – გადავაწყდი არაერთ ახალ რითმასაც.

შინაარსის თვალსაზრისით ესაა რომანტიკული, სასიყვარულო (სატრფიალო) პოემა. თუ მისი ფორმა მკაცრია და რთული, კარგად შესულებული, შინაარსი შეიძლება მარტივი გეჩვენოთ, მაგრამ ასე არაა საქმე. არის, აქ, რამდენიმე ეპიზოდი, რომელიც ფაბულას, მთელს შინაარსს ართულებს, სულ სხვა ასპექტში გადაჰყავს ნაწარმოები.

ნაწარმოების მოკლე შინაარსი ასეთია: ივერისა და ნელის ერთმანეთი უყვართ. ქალის მამა წინააღმდეგია ამ ურთიერთობისა, მაგრამ ვაჟი მოიტაცებს ქალს, ხოლო როცა წყვილის გრძნობის სიძლიერეს, სიწმინდეს შეიცნობენ, აღარავინ მიდის მათი თანაცხოვრების წინააღმდეგ, ასე, რომ, ქალ-ვაჟი ქმნის ოჯახს. ისინი ბედნიერნი არიან წლების მანძილზე (პოემაში დასახელებულია მათი შვილებიც, – გოჩა, ნაზი და მაიკო). თითქოს ყველაფერი კარგი, ბედნიერი ფინალისაკენ მიდის ნაწარმოებში, მაგრამ... ნელი ნაადრევად იღუპება. ხოლო ქართული ტრადიციების, ქართული ოჯახის ძლიერება, სიწმინდე, დასტურდება სიყვარულის უკვდავებაში, – ივერი ბოლომდე შეინახავს, გულში, მეუღლისადმი თავის გაუხუნარ გრძნობას. ასე ამაღლდა ოჯახი, ასე ამაღლდა, ზოგადად, მორალი, ასე გაიმარჯვა სიყვარულმა სიკვდილზე, ასე გამეფდა უკვდავება.

ხოლო შინაარსის გართულება, საერთოდ, აზრის, აზროვნების სხვა საფეხურზე აყვანა, ყველაზე მეტად, უკავშირდება იმ ეპიზოდს, როცა ქალბატონი გულნაზი გადმოგვცემს, რომ არა მარტო ივერი ინარჩუნებს სიყვარულს ნაადრევად წასულ მეუღლისადმი, არამედ, – ნელის გულშიც ისევ ღვივის, ცოცხლადაც ანთია სიყვარული მეუღლისადმი. დიახ, – სიკვდილი არ აღმოჩნდა დასასრული... სიყვარულისათვის არ არსებობს სასრულები, არ არსებობს გადაულახავი ბარიერები, სადაც ის არის, ის, – გრძნობა რუსთველური, იქ, უბრალოდ, იმსხვრევა ყოველგვარ ჯებირი, და ზღვარი იქცევა უსაზღვროებად...

ხშირად ხდება ასე, – სადაც არის ძმები – პოეზია და მუსიკა, იქაა მათი კიდევ ეთი ძმა – ფილოსოფიაც. ხოდა, ავტორმა, პოემა, თავისებური ფილოსოფით აღბეჭდა. მე ბოლომდე არ ჩავყვები ამ ხაზს, არ გავაანალიზებ, მას, მთელი პოემის მასშტაბით, ვიტყვი კი, რომ ეს ფილოსოფია არაა ახალი. (საეთოდ, არაფერია ახალი). მაგრამ ესაა ის ძველი, რომელიც ახლებურადაა, მშვენივრადაა ნათქვამი. რა თქმა უნდა, უამრავი სატრფიალო ლექსი და პოემა დაწერილა, უამრავში ჩაუდევთ ფილოსოფიური გაგებანიც, მაგრამ წარმატებულ ავტორებს მაინც ახლებურად, ორიგინალურად უთქვამთ სათქმელნი. ქალბატონმა გულნაზიმაც შეძლო ეს – არ დაკარგა თავისი ხაზი, მთელი თავისი სტილი, და შექმნა სრულიად ორიგინალური პოემა.

ჩემი ძირითადი სათქმელი ეს გახლავთ. რა თქმა უნდა, შემეძლო კიდევ უფრო გამეშალა თემა, ძალიან ღრმად, ძალიან პროფესონალურად ჩავღრმავებოდი საკითხს, მაგრამ ასეთი რამ გამოიწვევდა მეტისმეტ დაფრაგმენტებას ნაწარმოებისას, მის მეტისმეტ დაშლას, შემდეგ ამ პატარ-პატარა, თუმცა ბევრ ფრაგმენტში, წავიდოდა ძიება სხვადასხვა პოეტური საშუალებისა, რასაც მიმართა ავტორმა და... ვშიშობ, რომ ეგებ სრულიად დაგვეკარგა განცდა მთლიანობისა, ერთიანობის ჰარმონიისა. ამიტომაც მგონია, რომ ერთი სტატის კვალობაზე, კარგად განვიხილე თემა. აქ შეიძლებოდა, ვთქვათ, პოეტურ სახეებზე (სახისმეტყველებაზე) მაინც მელაპარაკა, ანუ იმ სფეროზე, სადაც ქალბატონი გულნაზი ყოველთვის დებს მკვეთრ შედეგს, მაგრამ ამჯერად ისე გამიტაცა პოემის ფილოსოფიურმა კონცეფციამ, რომ მას უფრო მივაქციე ყურადღება. მე არაერთხელ მითქვამს, რომ პოეზია ყველასა და ყველაფერზე უფრო მეტია, მათ შორის – მუსიკაზეც, ფილოსოფიაზეც, მხატვრობაზეც, პროზაზეც, დრამატურგიაზეც...

ამიტომაც არაა გასაკვირი, – როცა პოეტი ქმნადობის პროცესშია, იგი კიდეც წერს, კიდეც მუსკოსობს, კიდეც მხატვრობს, კიდეც ფილოსოფოსობს... სწორედ პოემებში ჩანს, ეს, საუკეთესოდ...

რაც შეეხება ჩემს სტატიას, მას შემდეგი სიტყვებით დავასრულებ: ქალბატონმა გულნაზიმ აღნიშნული (განხილული) პოემით, კიდევ ერთ გამარჯვებას მიაღწია შემოქმედებით ასპარეზზე. საერთოდ, ამ ადამიანს დაუშრეტელი პიროვნული ენერგია აქვს. ხომ ბევრი წიგნის ავტორია, მაინც ვფიქრობ, რომ კიდევ და კიდევ შექმნის ახალ პოეტურ-პროზაულ წიგნებს. რასაც მიაღწია, მშვენიერია, მაგრამ ქალბატონ გულნაზს ჯერაც მიუღწეველი მწვერვალები უფრო ხიბლავს, მათკენ მიიწევს გული ხელოვანისა.

თბილისი.
2020 წელი.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)



ნამჯვილი ამბავი

პოემა

ხვანის მთების უსასრულო ჩურჩულმა
და ძირულის ტალღის სიღრმის შენებამ,
დააწყვილა ორი გული უჩუმრად,
ორნივ იყვნენ სილამაზის მშვენება.
გოგოს ერქვა “ნანი” ფსევდო სახელად,
ამ ლექსში კი ვაჟს დავარქვათ გურამი,
სიყვარულის არცერთს სურდა გამხელა,
ივსებოდა ჩუმი გრძნობის ჟურნალი.
“ნანი” იყო ქარაშოტად ქცეული,
ლექსს ამბობდა, მღეროდა და ცეკვავდა,
ხელოვნების ცეცხლად გადაქცეული,
მთაგრეხილებს ფიქრის ლექსად კეცავდა.
გურამს სწავლა, მხოლოდ კითხვა უყვარდა,
ზრდილობითაც მუდამ გაირჩებოდა,
დიდ რუსთაველს სახე-პირი უგავდა,
ჩუმ გრძნობებთან მარტო-მარტოდ რჩებოდა.
ცეცხლის ალი ღვივდებოდა თანდათან,
წყვილი თრთოდა და შორიშორ იწვოდა,
გროვდებოდა ფიქრის გორა კარავთან,
საიდუმლო მხოლოდ ღმერთმა იცოდა.
ეშმამ თასში ჩააწვეთა წამალი,
მას ეწადა განშორება წყვილების...
შეიპარა გურამისთან დამალვით,
დააცალა ხალათს თეთრი ღილები,
მერე ძმურად გადახვია ხელები,
და შეჰფიცა ერთგულება ულევი,
მას თან ახლდნენ სიმაცდურის სულები,
ბოროტებით, საქმით გაწაფულები.
ეშმამ გურამს თასი ხელში მიართვა;
დალიე და „ნანი“ შენად დალოცე,

სიტყვა თქვა და ძილმა თავი წაართვა,
ძილში ქალთან ლტოლვა ძლიერ აოცებს.
ჩემო „ნანი“, ჩემო ფიქრის სამყაროვ,
არ დამტოვო, ჩემგან არსად წახვიდე,
გზის სავალზე გედმა აღარ გაგვყაროს,
ბოროტებით აღარავინ დაგვიხვდეს.
მოიოხა გული ნანის ალერსით,
კრძალვით, რიდით, მაინც თავდავიწყებით.
გაიღვიძა და ქალს ხედავს ალესილს...
მე ლია ვარ, აღარ დაგავიწყდები.
ალერსის დროს სხვის სახელს რომ გოდავდი,
მაპატიე, მაინც მოგეალერსე,
შეცდი, რადგან შენც ხარ ერთი მოკვდავი,
არ დამტოვო, თორემ დანა ავლესე.
ჰა, ხალათი სულმთლად დაგიხევია,
ჩემიცა და შენიც ხელით მოსრისე,
გადააგდე, სადაც დიდი ხევია,
თორემ დღის შუქს არასოდეს გაღირსებ.
გურამს ელდა ტანზე შემოესია,
გაიფიქრა; საწამლავით დამათვრეს...
თავზე მადგას გედისწერის მესია,
ალბათ მორჩა, სიყვარული წამართვეს.
შეამჩნია ლიამ გურამს ჭოჭმანი,
ვაჟკაცურ მკერდს ხელი მოუცაცუნა,
სადღაც ჩხავის უბედობის ყორანი
და გურამი შეაშინა მაცდურმა.
ან რაღა ჰქნას, ჯერ ისევე ბავშვია,
დევს უსულოდ, ლია ქალი ფლირტაობს,
წამს გურამმა ხელი იცა თავშია...
ლიამ უთხრა; მუშტს ტყუილად ირტყამო,
შენ ჩემი ხარ, თორემ წავალ, გიჩივლებ,
გამოგკეტავ ციხის ცხრაკლიტულებში,
ან კედლებში იყვირებ და იწივლებ,
ანდა ჩემთან შეებმები უღელში.
მაცდურებმა კრება ერთად გამართეს,
ითათბირეს ქორწინების შესახებ,
სიხარული გურამს ძალით წაართვეს,
მის ალალ გულს დანის წვერი შეახეს...
მოთქვამს ვაჟი, ფიქრობს „ნანის“ რა უთხრას,
რითი ახსნას მწუხრის მწარე საღამო,
გახსენებაც იმ დღე-ღამის გულს თუთქავს,
ცდილობს სისხლი მაცდურების დაღვაროს.
ფიქრობს, დარდობს, და ღმერთს უნდა მოუხმოს,
გზა მიჩვენე, უფალო გთხოვ, მომხედე,
ვიბრძოლო თუ ისევ მაცდურს დავუთმო,
ესა ვთქვი და ლიას თვალში შევხედე.
უნამუსოვ, წუთიერად გჭირდები,
სიყვარული შენთან ძალზე შორს არის.
ლიამ უთხრა: არც არასდროს გპირდები,
მე ვარ მხოლოდ ერთი ღამის ვაჭარი.
რა გაქვს მიზნად, ის მაინც გთხოვ, მითხარი,
ის, რომ ნანის ვერ ვიტანდი თავიდან,
დაცილება არის ჩემი მიზანი,
სიყვარულის მზე იმისი ჩავიდა.
რატომ, რატომ, ის ძვირფასი გოგოა,
კარგად სწავლობს, უყვარს ცეკვა-თამაში,
ცეკვა არა, ტანით სუფთა ლოტოა,
არა ჰყოფნის პურის ერთი ლავაში.
რაო-რაო „ნანი“ სხვაში გეშლება,
ფაფუკია მისი ნაზი სხეული,
ნაწნავები მას მუხლამდე ეშვება,
ვაჟებია მასზე გადარეული.
მძულდა მუდამ იგი ასე ძალიან,
სხვებს რომ ჯობნის მეზიზღება ამიტომ,
აქ მომხედე, მისთვის არა მცალია,
მოდი ეს დღე სიყვარულით დაგიტკბო.
სიყვარული? არასოდეს ელოდო,
მე ვინც მიყვარს ვიტყვი, არ მეშინია,
მეყვარება სიკვდილამდე, ბოლომდე
სხვისი არა, „ნანი“ მუდამ ჩემია.

ნუ ქადაგებ მორჩი, იმის ხსენებას
ვიმეორებ – ციხე არა გშორდება,
რძლად მიმიღონ, გიჯობს, უკვე შენებმა,
ხედავ? ცრემლი თვალებიდან მგორდება.
მოიწირპლა ლია, ვითომ ტიროდა
და ოთახი უცებ მიაწყვ-მოაწყო,
გურამ სჯობს შენ დღეს დამიდო პირობა,
რომ ცოტახნით აქ ოჯახი ავაწყო.
მერე წავალ, უთხრა: ცოტა მადროვე,
შენს ფერიას გულში დანა ჩავეცი,
პლანს ვეწევი და ვარ თანამედროვე,
მოდას მივდევ, თუმცა ბევრჯერ დავეცი.
მძულს ყველანი, ვინაც წესიერია,
შენი ნანიც, პატარებიც, დიდებიც,
ისინი რომ დიდ სცენაზე მღერიან,
მათ დიდებას მე ვერ შევურიგდები.
მოდი, დავდოთ ერთმანეთში პირობა,
ფული მომეც, პლანი სხვასაც გავუყო.
ერთხელ შენც გთხოვ, ჩაიდინო გმირობა,
რომ მე ისევ მწვერვალები დავიპყრო.
ლია ამ დროს ნანის შეატყობინებს,
გიღალატა შენმა ტურფამ ნანიკო,
რა ჰქნას კარგო, ჩემს თავს ამჯობინებს და
სჯობს მოძებნო ახლა სულს სხვა ვანიკო.
„ნანიმ“ იმ წამს ეს წერილი დახია
და ღვარღვარით ჩამოყარა ცრემლები,
ვხვდები, სადაც ძაღლის თავი მარხია,
ირგვლივ ბევრი არის გულის მკვლელები.
ჩუმად დარდობს და არ იმჩნევს არაფერს,
ღმერთს მიენდო და სანთელი აანთო,
ლოცვის სიტყვებს ცის კარებთან გააფენს
დარდი მხოლოდ ჩუმად უფალს გაანდო.
ლია უცდის „ნანის“ განადგურებას,
მაგრამ მისგან არაფერი არ ისმის
ვეღარ უძლებს თვით გურამის ყურებას,
მის ტანსაცმელს აივნიდან მოისვრის.
ახლა წადი და საცვალიც გააძრო,
წაეთრიე თვალით არ დამენახო,
მიწვდა უჯრას და სასროლი დააძრო,
მსურს ასეთი შენს ნანიკოს ენახო.
გურამს იმ წამს დაუბნელდა თვალში და...
ცას აღაპყრო ხელი ღონემიხდილმა...
ღმერთო, მათთან არ დამტოვო ვალში და...
ქვები დაფქვა უბედობის წისქვილმა.
რაღად მინდა მე ასეთი სიცოცხლე,
ან მეგობრებს თვალში როგორ შევხედო,
მე ხარივით სული ამოვიცოხნე
ნარკოტიკით ლია როგორ თავხედობს.
ნატანჯ ვაჟმა ნაგვის ბუნკერს მიაგნო,
ჩახტა შიგ და ლუკმას ძებნა დაუწყო...
გაახსენდა მეგობარი იაგო,
სჯობს იაგოს ეს ამბავი ვაუწყო.
იქნებ ისევ ბრძოლით – ბრძოლა მოვიგო,
ღმერთი ალალს არასოდეს გაწირავს,
ეს შემთხვევა ფეხქვეშ უნდა დავიგო,
შევასხიპო ტოტი ნაწილ-ნაწილად.
ბუნკერებში ნახა ძველი შარვალი,
ფეხსაცმელიც სამოწყალოდ დაეგდოთ.
დამშვიდება არის ახლა მთავარი,
ეს ამბავი სხვას არავის გაეგო.
შემობრუნდა, მთვარეს ფიქრი გაანდო,
იქნებ მთვარევ, მითხრა როგორ მოვიქცე,
დედა არ მსურს დარდით მოვკლა, დავაღნო,
აქ დავრჩე თუ ისევ სახლში გავიქცე.
ამ წრიალში გაქრა ღამის წყვდიადი,
ვარსკვლავებმაც მოუმატეს ნათება...
როგორ მშია მჭადი, ანდა ხმიადი,
ცოტა ძალა კვებით შემემატება.
ტოტებისგან გააკეთა საწოლი,
წამოწვა და იქვე ჩამოიძინა...

დილით ტანზე ემჩენოდა ნაწოლი,
თავს დააადგა მეზობელი ბიძინა.
გაუკვირდა ბრძენ კაცს მისი დანახვა,
გურამ, შვილო, ტანზე რად არ გაცვია?..
დედაშენი რა დღეშია განახა,
ქალს საბრალოს, სევდის კაბა აცვია.
ადექი და სახლში ერთად წავიდეთ,
იქ მოყევი, თავზე რაც კი გადაგხდა.
დედაშენის მზე არ ჩაქრეს, ჩავიდეს,
თავს იკლავდა, აივნიდან გადახტა.
გურამს სულ მთლად დაავიწყდა სათქმელი,
თავის სხეულს ზიზღით თვალი შეავლო...
უცხო ძალამ გულს დაუნთო სანთელი,
რაღაც ძალამ თვალში ცრემლი გაუშრო.
ძია კაცო, ძალა გამომეცალა,
სად წავიდე, უკვე ისიც არ ვიცი...
ჯგროში მოვხვდი, ერთი ქალი ეცადა,
ჩემს შეცდენას და ძალიან განვიცდი.
არ იჯავრო, მთავარია, გიპოვნე,
ყველაფერი ისევ კარგად იქნება.
გადავრეკე, ტანსაცმელი გიშოვნე,
მიხვალ სახლში, ტკბილად დაგეძინება.
ბიძაჩემო, ის საშიში ხალხია,
ნარკოტიკით გადამთრალი ლეშები,
ირგვლივმყოფნი ყველა ერთნი არიან,
დღე და ღამე მიჰყავთ აზარფეშობით.
კარგი, კარგი, მოვრჩეთ მათზე საუბარს,
პოლიცია მათ კვალს ჩქარა იპოვნის,
ბინძურ ხელებს რკინის ლასტით დავუბამთ,
დამთავრდება, მათი ქორონიკონი.
ტაქსი არ გსურთ? ტაქსი მათ წინ გაჩერდა,
მოდით, მოდით! მაინც ამ გზით მივდივარ,
გურამს შიში, ჯერ ისედაც დასჩემდა,
შეუყვირა, მოსაკლავად გინდივარ?..
და, არც შეცდა, ლიას ოინებია,
ნარკოტიკით მთვრალი ქალის ხრიკები.
ორი ქალი ათ მამრს დანებებია,
დაძვრებიან როგორც მწვანე ხვლიკები.
ტაქსის მძღოლმა ლიას მისცა ნიშანი,
დაგიჭერენ, ეშმაკს უკვე არ სძინავს...
არ გიშველის ბანდის რბო და ხიზანი,
მანდ მოდიან გურამი და ბიძინა.
აიკრიფა ლიამ გუდა-ნაბადი,
გზას დაადგა, სად წავიდეს, არ იცის...
ვეღარ სუნთქავს, არ აქვს სულის ჟანგბადი
დამარცხებას ლია ძლიერ განიცდის.
გურამი კი სახლში დედას ეწვია,
სიცილი და ცრემლი ერთად შეერწყა...
ეხ! სიცოცხლე მართლაც ერთი ბეწვია,
ჯანმრთელობა გურამს შიშით შეერყა.
გაიმართა სახლში დიდი ტრაპეზი,
მნახველები არ ილევა ოჯახში...
სიხარული სულ არ მოდის დაკვეთით,
როცა გული არის დარდით ნახარში.
ნარკოტიკის მიმდევართა არმია,
სამეგობრო ამ მთისა და იმ მთისა,
სამწუხაროდ ყველგან ბევრი არიან,
საქართველო სენმა, რომ მიითვისა.
ლია თუმცა საზღვრებს გასცდა, გაცილდა,
მისი მსგავსი აქეთ ძალზე ბევრია,
გზაშიც სწევენ, ცუდი სენით აცრილან...
„პლანი“ მინდა... სიზმარშიაც მღერიან.
ძმა-ძმასა მტრობს, მეგობარი – მეგობარს,
აქ ქართული ადათ-წესი გამქრალა...
იშვიათად ნახავთ სულის მეომარს,
უღვინოთაც ყველა ერთად დამთვრალა.
გადაწყვიტა ნანიმ ნახოს გურამი,
მხლებლად გაჰყვნენ ლევანი და არსენა,
ნანი არის კარგი სიტყვით მკურნალი
გზას გაუდგა, ღმერთი რწმენით ახსენა.

მიდის, ფიქრობს, ბოროტებას რა მოაქვს,
სიძულვილი ბადებს ისევ სიძულვილს...
ყინვით ნასუსხს ხეს რომ კვირტი არ მოაქვს...
რატომა აქვს ამ ხალხს სული ბინძური...
ლიამ ბიჭებს დაურეკა, მშვიდად ვარ,
მხოლოდ დარდი ნანის აქაც გამომყვა,
ცეცხლში ვიწვი, დავემგვანე ჯადოქარს,
თავს მოვიკლავ, სასროლს თითებს გამოვკრავ.
რითი მჯობნის ის წუპაკი გომბიო,
ტანი მეც მაქვს, თვალები და ფეხები,
მოხერხებით? ის ხომ არის ლობიო,
ვნებიანად ათ კაცს ერთად ვეხვევი.
შეაპარეთ ნარკოტიკი იმ წუკნას,
დაათვრეთ და დანარჩენი თქვენ იცით,
ეს, საქმე კი ჩააბარეთ ჩემს ლუკას,
დაუმტკიცოს სიყვარული ღვთის ფიცით.
დატრიალდნენ ძმაკაცები ლიასი,
და გეგმები ბრძნულად შეიმუშავეს...
წამლის დოზა გაურიეს წვნიანში,
ამ საკვებით დიდ ძაღლს პირს უშუშხავენ.
ათლაფუნებს მურა წვნიანს ხარბად და...
გამოძღება, ასფალტს ჩაეხუტება,
წვნიანს ლოკავს მეზობელის წარბაც და
არ ეყო და მურას გაებუტება.
დღე დამთავრდა, წარმატების, ცდების და...
მურამ, წარბამ გაიღვიძეს მთქნარებით.
დამეგობრდნენ, როგორც ტყუპი დები და...
ქუჩაშია მეცრი იმისთანები.
ახლა რა ვქნათ? – მიშამ უთხრა თამაზის, –
შეფის სიტყვა მასხამს მე თავზარსაო.
ლუკა არის აქ ყველაზე ლამაზი
ნანის ლუკა შეაყვარებს თავსაო.
ახლა „ნანის“ მოვიკითხოთ ამბავი,
გრძნობის გოგო გურამს სახლში ეწვია.
მოიკითხა ჰქონდა ამის საბაბი,
მივიდა და გულზე შემოეხვია.
იმედის მზემ სხვა ელფერი შემატა,
სიხარულმა გულში შემოანათა,
ღვთის სიკეთემ, ღვთის ოჯახი მონათლა,
გურამის ბედს მეგობრებმა შენატრა.
მეორე დღეს როცა ზარმა დარეკა,
ყველა ერთად შეიკრიბა სკოლაში,
სიხარულმა დარდის კარი ჩაკეტა,
დღე დამთავრდა კვლავ გრძნობების თრთოლვაში.
საღამოთი გაიმართა შეჯიბრი,
და სპორტული პაექრობა დაიწყო,
გურამია ყველაფერში ბეჯითი,
მან ჭადრაკში მწვერვალები დაიპყრო.
გახალისდა, გამოცოცხლდა ყველანი,
თბილი გახდა საზეიმო განწყობა,
ლექსს ჰყვებოდა ბიძინა და ჯემალი,
ლია ამ დროს სულ სხვა გეგმებს აწყობდა.
გადიწვინეს მზის სხივები მკლავებზე
და ტყეებმა იწყეს ჩუმად ჩურჩული,
სეირნობდნენ მწვანე სიოს თარეშზე,
ჩაესმოდათ ტკბილად გლეხის ურმული.
როს დაბრუნდნენ ჯგუფი სულით ძლიერი,
ტაშს უკრავდა ქარი ტოტის ხელებით,
აცილებდა, ახალგაზრდა, ხნიერიც,
აცილებდათ ტყე, ბუჩქი და ხევები!...
გზად მიმავალთ ავარია მოუხდათ,
გადავარდა ხრამში ავტომობილი,
რა მწარეა, ვისაც შვილი მოუკვდა,
მისთვის არის ცა, ცით ჩამომხობილი!
შეიკრიბა ხალხი ახალდაბასთან
და სასწრაფოც მოდის კივილ- კივილით...
დარბის ხალხი, არის დავიდარაბა,
დაეკარგათ ყველას სახის ღიმილი.
აიყვანეს ზევით გულწასულები...
სისხლიანი ქვა-ღორღებით დაჭრილი,

არ არჩევდნენ მართალს, მტყუანს, სრულებით,
მათ საშველად, გულით გამოსულები.
ცოცხალ მკვდარში ერთი ლუკაც ერია,
ბოროტების ერთი დიდი ნაწილი,
სამწუხაროდ მისახედად ბევრია,
მათი გმინვა ცაში იყო აჭრილი.
და ეს უკვე საუკუნის ჯვარცმაა,
ნარკოტიკებს ეწირება მრავალი,
სულ უაზროდ სუფთა სულის ძარცვაა,
წამალია შვების გამოსავალი.
მიმდევარნი, ჩაიძირნონ ზღვაში და..
შინაური, გარეული ერთია,
აუღიათ მათ სიკვდილის საშვი და...
ეწირება ოთარი და ბერდია.
ლია კლდეზე ჩახუტვია ფერდობებს
ტანსაცელი ტანზე შემოხევია,
ცოდვიანი დაავიწყდათ მეგობრებს,
მოტეხოდა ცბიერს ერთი ხელია..
ლუკა სუნთქავს, ღმერთო, იქნებ გადარჩეს,
ხეიბარიც დარჩეს, ოღონდ იცოცხლოს,
ბედი თვითონ გამოუტანს განაჩენს,
სიკეთისკენ იქნებ გადმოინაცვლოს.
ლია კლდეზე მიჯაჭვია დიდ მუხას,
მოდის სისხლი, ხელი კანს უკავია,
ამ დიდ ტკივილს კალამი რას აღნუსხავს,
ლიას სახე ყორანივით შავია.
მზე გამოჩნდა, ყველაფერი დალაგდა,
ექიმებმა ლიას ხელი მოკვეთეს,
ლუკას ყველა მიეშველა ალალად,
სიცოცხლისკენ ისიც გამოაკეთეს!
„ნანი“ მართლაც სასწაულად გადარჩა,
განაკაწრიც არსად არ ემჩნეოდა,
სიკეთეა მისი სულის ზარდახშა,
სიმდიდრეა, მისთვის მარტოდ ზნეობა.
არავინ ხარ! როცა ცდილობ დაჩაგრო,
„ნანი“ მუდამ მტერშიც ხედავს მოკეთეს,
გული უნდა მზის სხივებით მოქარგოს,
გზას ამცდარნი ცდილობს გამოაკეთოს!
ასე შერჩა „ნანის“ ფსევდო სახელი,
ღვთის სიკეთის მარცვლად გადაქცეული,
მძიმე, როგორც სავსე პურის მთა-ველი,
მეგობრებში მუდამ გამორჩეული.
– ლიამ გურამს დაურეკა საღამოს,
გურამ, ახლა ვინანიებ ჩემს ცოდვებს,
ხელი არ მაქვს, ვტანჯობ, აღარ მაწამოთ,
ვერ ვისვენებ, ღამე ძილშიც მაბოდებს.
ეს ამბავი ვაჟმა „ნანის“ აუწყა,
ლია ითხოვს პატიებას ცოდვების,
შენ ხომ გახსოვს, მე რა დღეში ჩამაგდო,
რად ვიწამო მისი მონაბოდები.
გურამ, ცდები, აპატიე, შეუნდე,
სიკეთის გზა მაინც უნდა არჩიო,
ტყის ჩურჩულსაც ბევრჯერ ყური მიუგდე,
უხმო ძალამ იქნებ რამე გირჩიოს.
მე კი ვფიქრობ, ლიას ახლა ვჭირდებით,
ბოროტება ჩვენს სულში არ დავანდეს,
მას თბილ სიტყვებს რომ შევაწევ, გპირდები,
იქნებ ლია კვლავ სწორ გზაზე დააღგეს!
გურამი და „ნანი“ ლიას ეწვია,
„ნანიმ“ ლიას ტკბილეული მიართვა,
ლია არის სულით ალი წეწია,
თუმც საუბარს თავი კარგად გაართვა.
უცებ ცრემლი გადმოყარა თვალიდან,
შეიფერა მან თვისება კეთილის,
ერთი თვეა, უკვე თითქმის გავიდა,
ლუკას იმედს არ იძლევა ექიმი.
„ნანიმ“ გურამს მიანიშნა წავიდეთ,
სიკეთის გზით, ახლა ლუკას ვეწვიოთ,
უფალს ვთხოვოთ, რომ ჯანმრთელი გავიდეს,
იქნებ წამალს ისიც გადაეჩვიოს...

ლუკას სახე ჰქონდა ნაიარევი,
ერთი ფეხი ნამსხვრევებად ქცეული,
ეს აშარი ბიჭი დროსნატარები,
ბევრი ფულით იყო გადარეული.
ჩააფიქრა ლუკა ნანის იქ მისვლამ,
შინაგანად გულმა ღელვა დაუწყო,
ჭკუას ვკარგავ, სისულელეს ვიზამ და...
კვლავ თავის თავს დამშვიდება დაუწყო.
აწრიალდა, აიშმუშნა საწოლზე
და გალიში ხელით მისრის-მოსრისა,
თუმც სიცოცხლე ისევ ჰქონდა სასწორზე,
კომპლიმეტი უნებურად წამოცდა.
რად შეწუხდით, რატომ მომინახულეთ,
თქვენი ცოდვა უნდა ვზიდო გზადაგზა,
მაპატიეთ, მწარედ გაგიზაფხულეთ,
მე სასჯელის მოსახდელად მზადა ვარ.
არ გიჩივლებთ და შენ თვითონ განსაჯე,
ნარკოტიკმა აგირია თავზარი,
შენნაირი ვინაც ციხით დასაჯეს,
სული შერჩათ საწამლავით ნაზავი.
არ გაკლია სილამაზე, ზრდილობა,
წამლავ სხვას და თავიც არ გეცოდება,
მოიწვიეთ მეგობრული ყრილობა,
რომ არ იქცეთ საუკუნის ცოდვებად.
ქართულ ადათს ბევრმა ზურგი აქცია,
პლანს არა სჯობს ღვინო სუფთა კახური,
ქართლის დედას სევდის კაბა აცვია,
დედის რძეს ჰგავს ღვინო ალადასტური.
ან რად გვინდა თქვენთვის ვიღაც მსაჯული,
თქვენნაირი სიკვდილს უნდა ნატრობდეს,
სული რომ გაქვთ საწამლავით ნარუჯი.
ნარკოტიკი სიზმარშიაც გაბოდებთ.
მოვედით, რომ გაგინათდეთ გონება,
ერის სენი გწვავდეთ, კიდეც გტკიოდეთ,
რომ არ ვიქცეთ საწამლავის მონებად,
დედებს ცრემლი აღარ ჩამოდიოდეს.
ტკივილები ლუკას გადაავიწყდა,
ანგელოზი ჩამჩურჩულებს, მარიგებს,
ფიქრით ლუკა თავის თავსაც გაუწყრა,
დავუჯერებ ახლა აზრთა გამრიგეს.
„ნანის“ ხმაში უცხო ხმაა ჩართული,
გოგო გახდა ჩემი სულის ხატება,
სიცოცხლე ხომ არის უფლის ნათლული,
ჩემში დარჩა გრძნობის ანდამატებად.
ლუკა „ნანის“ ჩუმად გულში იფიცებს,
რა ნაზია, მებრძოლი და კეთილი,
ნარკოტიკზე არასოდეს ვიფიქრებ,
გულიდან მაქვს უკვე ამოკვეთილი.
ფიქრით მიწვდა ამერსა და იმერსაც,
„ნანის“ სახე ანგელოზად აღწერა.
საწოლშივე შემოძახა სიმღერა,
და წარსულმა ძალზე გაანაწყენა.
ჩემს ხელშია,სიცოცხლეც და სიკვდილიც,
მზე ჩავა თუ მზე კვლავ გამოანათებს,
რომ დამჭირდეს შორ-შორ გზებზე სირბილი,
გადავებზავნი სიყვარულის ბარათებს.
აღარ მინდა აღარც ავტომობილი,
აღარც ჩემი მოწამლული სხეული,
ახლა არის ბედიც ჩამომხობილი,
აღარ ვივლი წამლით გადარეული.
წავალ სოფლად, მოვხნავ კიდეც დავთესავ,
მოვიშენებ ცხვრებს,ფრინველებს ,კამეჩებს,
შევირიგებ, ჩემს დაკარგულ ნათესავს,
სათითაოდ ახლა ყველას დავეძებ.
აქვითინდა ლუკა თოთო ბავშვივით,
და გიჟივით მოუმატა ღრიალსაც,
მოეჩვენა ვიღაც გარბის მანქანით,
მოეჩვენა ხრამში გადატრიალდა.
რეალობა, მოჩვენება, ყვირილი,
მიეშველეთ, მოუხმობდა სუყველას,

მედდამ უთხრა; რას გიშველის ტირილი,
ნარკოტიკმა სულ მთლად გაგასულელა.
იმკურნალე, აღსარება გაანდე,
დაფიქრდი და რამე გამოიგონე,
ბოროტება ფიქრიდანაც გააგდე,
მაგ ლაყბობით ყველა ნუ დაგვაღონე.
ლუკამ ისევ გადაწყვიტა, ვაჯობებ...
და მზის სხივებს ტანზე წამოვიფარებ,
ახლა ვჩხუბობ, სიზმრად კიდეც ვაბოდებ,
სიგარეტსაც, პირში არ გავიკარებ.
განკურნება არ აღმოჩნდა იოლი,
მაგრამ გრძნობამ ცხვრის ბატკანად აქცია,
ექიმი ჰყავს მეგობარი სიმონი,
მეგობარმა წამალს გადააჩვია.
გადაწყვიტა, სწავლით წინ წაიწიოს,
მეგობრად კი ისევ გურამს აირჩევს,
გრძნობის ტოტი უნდა ჩამოვიწიო,
შევეცდები, არავისთან ჩავიჭრე.
დრო გავიდა, განიკურნა სენისგან,
ლუკამ ყველა გააოცა, წინსვლებით,
გალამაზდა, ბედმა ვეღარ შენისლა,...
მოიცილა, თავზე ღრუბლის ნისლები!
წიგნი გახდა, მისი არიალი და...
გააოცა, ლია, ნანი, ნათელა,
მოიარა ფეხით დარიალი და...
მოწამლული სული გაინათელა.
გურამი და „ნანი“ ამით ხარობდნენ,
ყოველ დილით ღმერთს სწირავდნენ მადლობას...
ლიაც გატყდა, ჩაცხრა, აღარ დაობდა
და გურამი ითენებდა აღდომას.
ადრე ლუკას სულ სხვა გოგო უყვარდა,
თაკო იყო მისთვის გულის წამალი,
ახლა სულ სხვა გრძნობის ცეცხლში ჩავარდა,
ეტრფის ახლა გრძნობას, ჩუმად, დამალვით...
შეადარა წარსული და „ნანიკო“,
ის წარსულიც ძალზე მწარედ ახსოვდა,
შეეცილა, თბილისელი ვალიკო,
გაახსენდა, ვალიკოს რომ ახრჩობდა.
ახლა ბომბი, ბომბი, გულში ჩავარდა,
უცხო გრძნობამ ნაწილ-ნაწილ დაშალა,
აწრიალდა, ღამით კარში გავარდა,
დიდი გრძნობა, ცის ვარსკვლავებს ახარა!
ლიაც უკვე შეეგუა თავის ბედს,
ცალი ხელით ან რა უნდა აკეთოს,
ყველაფერი წარსულს უნდა ჩაბარდეს,
ცდილობს ლია, სხვებიც გამოაკეთოს.
ნანიმ იგრძნო, ლუკას თვალთა მზერიდან,
არ მალავდა თვალით გრძნობის გამხელას,
სხვა ვიქნები ლუკა ამიერიდან,
მომიმატე მე ტკივილი რამხელა.
ჩანაფიქრი საყვარელ ვაჟს გაანდო,
გურამ, ლუკა გრძნობის თვალით მიყურებს,
ჯობია, რომ სამუდამოდ გავაგდო,
ტკბილი სიტყვით მას მე ვერ დავაპურებ.
ვიმოქმედოთ, ანდა სულაც არ მივალ,
ვეწირებით, მათ უაზრო ცხოვრებას,
არ თენდება, სხვა ახალი დილა და...
ჩვენ მოგვიწევს მასთან გამოშორება.
შეწუხდება ვაჟი ძალზე კეთილი,
თავში გაჩნდა ფიქრის კორიანტელი,
სიკეთის გზა არის გადაკეტილი,
თუნდ ვაჩუქოთ ლუკას ბრილიანტები.
დავქორწინდეთ, ხსნა მე მგონი აქ არის,,
და გავწყვიტოთ მათთან ურთიერთობა,
არ გველევა წვიმები და ავდარი,
ჩემი გული აღარავის ენდობა..
ვსწავლობთ, ლუკა, ალბათ გაგვიჭირდება,
მოვიფიქროთ, აბა იქნებ სხვა რამე,
დახმარებას მე არავინ მპირდება,
მოდი, ჩემთან გავათიოთ ეს ღამე.

ნანი ცოტას მართლაც შეჭოჭმანდება,
გურამ დედა მოვატყუო? რა უთხრა?
შიშით ღამე ალბათ ათჯერ ადგება,
ოი, ბედიც ისევ -ისევ გამუქდა.
იქნებ მზია მივიყვანოთ ლუკასთან,
შესახედად ლუკა მართლაც კარგია,
სჯობს, რომ გახდეს, მზია, ლუკას ლუკმადა...
გურამ მზია, მართლაც დილის ვარდია.
სიყვარულმა მასაც გული ატკინა,
იქნებ გახდნენ ერთმანეთის წამალი,
ვალი არ აქვს არანაირ ბანკიდან,
გავხდეთ მართლაც მათი შუამავალი.
დაღამდა და ღამემ თვალი დახუჭა,
მთვარეც არ ჩანს, უჭირთ ფეხის გადადგმა,
სიბნელეა, ღამე ქალ-ვაჟს გაუწყრა,
გამოჟონა გრძნობის – ღელვის ბადაგმა.
არ დაეცე, ხელი, ხელზე მომკიდე,
გზა განვაგრძოთ, იქნებ მთვარეც გამოჩნდეს,
ცაო, მთვარე ფარანივით დაკიდე,
ვსაუბრობთ და არაფერი გამოგვრჩეს.
არ ისურვა ღამემ შუქის მოფენა,
ნანი შიშმა, სულ მთლად ააკანკალა,
ღრმა ღამეა, აღარაფრით მოთენდა,
გრძნობის ბედმა სხვა სასმისი დაცალა.
დავისვენოთ, თორემ უკვე ვიქცევი,
თქვა ნანიმ და გურამს გულში ჩაეკვრა,
აღარ ვნაღლობ, თუკი ვინმე გვიცქერის,
ვაჟის სხეულს საბანივით დაეკრა.
გურამ კარგი, უკვე მორჩა, გეყოფა,
შეშინდა და ცოტა გვერდით მოცილდა...
სანამ ნანი ისევ სიტყვას ეტყოდა,
გაშმაგებით ვაჟი გრძნობით კოცნიდა.
ერთი გახდა მათი ქორფა სხეული,
მთელი ღამე ჰქონდათ თავდავიწყება,
თითქოს ღამეც მუნჯად გადაქცეული,
გრძნობის წუთი კვლავ თავიდან იწყება.
მოთენთილებს,ძილმაც შემოაკითხა,
დაეძინათ ერთად ჩახუტებული.
აღარც სურდათ ქალ-ვაჟს სხვისი განკითხვა,
ტუჩები აქვთ კოცნით გაბუტებული.
გაეღვიძათ,კვლავ ალერსი განაგრძეს,
მოწმე გახდა მზე თავისი სხივებით,
კვლავ ერთმანეთს სამოსელი გააძვრეს,
გადაებნენ ერთად როგორც მძივები.
თაფლობის დღე, ისევ-ისევ გაგრძელდა,
არ ახსოვდათ ქალ-ვაჟს უკვე არავინ.
ერთმანეთის დაშორება გაძნელდა,
გიზგიზებდა გრძნობის ცეცხლის კარავი.
ეს ამბავი ასე ტკბილად დამთავრდა,
მათმა შექმნეს დიდი ტკბილი ოჯახი
შთამომავალს უწმინდესი ნათლავს და...
გაამრავლეს, თამარი და ოთარი.
გზას ამცდარნი, ზოგი სწორ გზას დაადგა,
ზოგიც ზეცას ახალგაზრდად ეწვია,
ლია სულ მთლად გაცოფდა და გაავდა,
მას სიკვდილიც დროზე წამოეწია.
ასე არის, სიკეთის გზა იმარჯვებს,
სიყვარული მარადისი განძია.
მზე აბრწყინებს მორწმუნეთა მირაჟებს
ერთგულება მუდამ მისაბაძია.

სერგი ლომაძე



სიტყვა

(ჩემს ამ პოემასა და ჩემსავე „უსათაურო პოემას “შორის შეიძლება პარალელების გავლება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ორი ქმნილება მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან).

.....ველი.
ველზე – გზა.
გზას ტბას ჩაუვლის.
ზათხულია.
შუადღის ხვატი.
სანაპირო.
ფერადი ქვიშა.
კაცები, ქალები, ბავშვები,
ბევრნი არიან,
ნაპირზეც, წყალშიც.
მზე და წყალი
ახალისებს ადამის მოდგმას,
სიცოცხლით ავსებს.
ტბაში – ნავები, მოშავონი.
ცოტაა ნავი.
თითო მათგანში
თითო კაცია.
ანკესები. თევზაობა...
მზე დნება და –
იღვრება და
სხივთა ჩანჩქერი მუხტავს
ჰაერს.
გზა – უსასრულო.
ტბა. ნაპირი.
ნაპირზე ხე დგას.
მწვანედ ღვივის.
მოყვითალო-მოწითალო
ფერებშიც ღვივის –
მზის სხივებისგან.
ხის ქვეშ ჩრდილია.
ჩრდილში ზის კაცი,
სივრცეს გასცქერს იგი
(უფრო, მაინც,– ზეცასა და
მთებს).
მეორე კაცი მივიდა ხესთან.
ეტყობა, ბევრი იარა და
დაღლილია,
არის გასავათებული.
მგზავრმა რომ ნახა ჩრდილი,
ისიც ჩრდილში დაჯდა
გამარჯობა-გაგიმარჯოს
გაიცვალა
ერთმანეთისათვის უცნობ
ადამიანებს შორის.
მერე, მგზავრმა, მის ჩანთიდან,
მათარა ამოიღო და
წყალს დაეწაფა.
წყურვილი მოკვდა.
შემდეგ გაიბა საუბარი.
მალე გაირკვა,
რომ ის კაცი,
ვინც ჩრდილში დახვდა,
თურმე პოეტი ყოფილა.
_ „მე კი უბრალო კაცი ვარ“. –
ამბობს მგზავრი. –
„უსწავლელიც ვარ.
წიგნებს თითქმის არა
ვკითხულობ.
მართალი გითხრა,
ზუსტად ისიც კი არ ვიცი,
თუ რასა ნიშნავს პოეტობა.
მითხარ: რას ნიშნავს
პოეტობა?“ –
და თავისივე კითხვაზე
გულუბრყვილოდ გაეცინა.
– „ვიცი, მარტივი კითხვა არის,
მაგრამ...
– „მაგრამ შეიძლება, რომ
არ აღმოჩნდეს მარტივი...
მომწონს ეგ კითხვა,“–
ეუბნება, მგზავრს, პოეტი,
ხოლო შემდეგ ამას ეტყვის,–
„მოხეტიალე მებრძოლს
ვიცნობდი,
მეომარს ვისმენ,
ბოროტების ბევრჯერ
დამთრგუნველს.
ალგეთელი – ასე ეძახდნენ.

(ბევრისმცოდნე პიროვნება
იყო ეს კაცი).
ერთხელ, თურმე,
ერთ ქალაქში ჩავიდა სტუმრად.

ხმალსა და კრივში, იქ,
დაამარცხა მეტოქენი, –
ადგილობრივებიც, სტუმრებიც.
ვით გამარჯვებულს,
შეხვდა ქალაქის ელიტა.
ელიტაში პოეტებიც
გამოერივნენ.
– „თქვენთან კითხვა მაქვს," –
ეუბნება, მათ, ალგეთელი,-
„მითხარით:
ვინ არის პოეტი,
– „პოეტები ჩვენა ვართ, ჩვენა!" –
იყო მჭექარე პასუხი.
– „თქვენ ვინ ხართო,
არ მიკითხავს.
პოეტი ვინ არისო,
მე ეს ვიკითხე," –
ასე თქვა, მაშინ, ალგეთელმა...
საკმაოდ კარგად ვიცნობდი მას.
არაერთხელ
და ხანგრძლივად გვისაუბრია.
(გვიკამათია კიდეც ცხარედ,
თუმცა მაშინაც
ვაფასებდით, ჩვენ, ერთმანეთს).
ვადასტურებ, –
იგი ბრწყინვალედ აზროვნებდა,
მან უამრავი რამ იცოდა...
რას მოვაყოლე მისი ამბავი?
ვიცი რასაც მოვაყოლე,
მაგრამ... შევეშვათ...
სხვა რამეს გეტყვი:
ახლა, რატომღაც, მგონია, რომ
აი, მე და შენ,
პერსონაჟნი ვართ პოემისა,
არაუბრალო პერსონაჟნი".
– „სხვებზე რას იტყვი?" –
ჰკითხავს მგზავრი. – „სხვებიც
არიან, ნეტა,
მთავარი პერსონაჟები?"
– „არ არსებობს არამთავარი
ადამიანი."
ამბობს პოეტი,
მერე ისევ გახედავს სივრცეს.
იგი ფიქრობს.
პოეტებს უყვართ ჩაფიქრება,
ძლიან უყვართ...
და ფიქრობს კაცი...
და დრო მიდის.
სულ მოქმედებს.
გაჩერება არ შეუძლია.
რომ გაჩერდეს,
კიდეც მოკვდება....
– „რაზე ფიქრობ?" –
ჩაჰკითხავს, მგზავრი,
ჩაფიქრებულს.–
„თითქოს მოწყდი აქაურობას".
– „გეტყვი: ხილვა მქონდა
ადრე,
რომელიც, მერე, არაერთხელ
მომგონებია.
ხილვა, ზმანება,სიზმარ-ცხადი...
წარმოსახვად ჩათვალე თუნდაც...
ჰოდა,ახლაც მაგონდება"...
– „ეგებ მომიყვე".
– „კარგი, კარგი,–
ეტყვის პოეტი,–
„აბა მისმინე...
მაშინაც ზუსტად აქ ვიყავი.
ამ ჩრდილში ვიჯექ,
და სივრცეებს გავცქეროდი.
კი, ასე იყო, როცა, მერე...
როცა, მერე,
თვალებმა ცა მყარად მონახა.
ჩემი სული ცით აივსო.
საოცარია
ცის და კაცის ურთიერთობა.
კაცი იქცა
ცის ნატეხად დედამიწაზე.
ამ ნატეხისათვის
მიღწევადია გასხივოსნება...
აი – ის დრო.
აი – ის კაცი.
იგი მე ვარ...
და ხედავს იგი:
მაღლა გამოჩნდა წერტილები,
შემდეგ, ისინი,
ფიფქდებიან, ფიფქდებიან,
და მოდის თოვლი.
ბარდნის. ბარდნის.
თოვლი – ზაფხულში.
(ჰო, მაშინაც ზაფხული იყო).
ზამთარ-ზაფხულის ერთად
ხილვა.
(მინდა ვახსენო, აქ,
გაზაფხულიც
და – შემოდგომაც)...
თოვს.
თეთრი ფერით ივსება სივრცე,
ლურჯითაც,
იასამნისფრითაც,
სხვა ფერებითაც...
უფრო, მაინც, თეთრია
სივრცე...
და ლბილი შუქი,
მკრთალი შუქი ავსებს
გარემოს.
ესაა ფანტელების სინათლე.
მათი ნათელი მოიმატებს.
ფანტელები

სიტყვები აღმოჩნდებიან და
მნათი სიტყვები იპყრობენ
სივრცეს.
მოდის,
მოდის სიტყვათა თოვლი.
სიტყვებით ლექსები შენდება,
შენდება მთელი პოემები...
ასე აშენდა ქალაქი,
მერე– ქალაქები,
სიტყვის დიდი ქალაქები...
ყოვლისშემძლეა პოეზია“...
– „ რა არის პოეზია?
ვინ არის პოეზია?“ –
იკითხავს მგზავრი,
თუმცა, იქვე, მსწრაფლ
დაამატებს„–
„ნასწავლო კაცო,
მაპატიე, მე უსწავლელს,
ასე მარტივი კითხვები“...
– “შენ ფიქრობ, რომ
ეგ კითხვები მარტივია?“ –
ახლა პოეტი ჩაეკითხება,
და დუმილი ჩადგა სივრცეში...
– „ის ამბავი...
გთხოვ, ის ამბავი დაასრულე.“ –
გამოარკვევს, მგზავრი, ფიქრის
კაცს.
– „ახ, ის ამბავი,
პოეტზე რომ გიყვებოდი!“–
გაეღიმება პოეტს,
მერე განაგრძობს თხრობას:
„ხედავს, კაცი, უთვალავ
სიტყვას,
თუმცა იცის, რომ
სიტყვა ერთია.
იგი სამყაროს ნაწილია,
მაგრამ...
არ არის, იგი, სამყაროს ნაწილი...
(აღემატება, ღმერთი, სამყაროს)...
ფიქრობს პოეტი:
– „აი, დღევანდელობაში,
ნეტა თუა შესაძლებელი,
რომ კაცი სიტყვად გადაიქცეს?
ხომ იყო ერთხელ,
ადამიანად შობილი
სიტყვად რომ იქცა.
მითოსისა და რეალობის
გზაჯვარედინზე,
ირეალობა-რეალობის ჯვარი
ხომ იყო,
და გზა – ჯვარცმამდეც,
იმის მერეც...
ხომ მოხდა ერთხელ,
აი, კაცი სიტყვად რომ იქცა,
და თუმცა იგი, –
იგი კაცი,
თავიდანვე სიტყვა იყო,
ხოლო სიტყვა
სულ იყო,
არის
და იქნება...
მაინცკი მოხდა, –
კაცი სიტყვად რომ გადაიქცა...
არა, ხომ იყო ეს ამბავი,
თუნდაც – ერთხელ,
მაინც ხომ იყო!..“
თოვს,
და თოვლისაგან იკვეთება
თეთრი იესო.
მერე, ნელ-ნელა,
ქრება თოვა,
და – თოვლის ხატიც...
მივჩერებოდი სივრცეებს.
მზე კვლავ აცხუნებდა,
აი, როგორც
ზაფხულს შეჰფერის.
ადამიანთა ხმაურში იკარგებოდა
ზმანება თუ –
წარმოსახვა...
ასე სრულდება ეს ისტორია“,–
ამბობს პოეტი.
– „იმან, რაც ახლა მოყევი,
ძალიან დამაინტერესა, –
ეტყვის მას მგზავრი, –
„ეგებ ისევ მომიყვე რამე...“
თუმცა, ამ დროს,
სხვა მგზავრები ჩაივლიან
შორიახლოს,
(კაცებიცა და ქალებიც),
და გასძახებენ
პოეტის ნაცნობს:
– „ასე ძალიან, მაინც,
როგორ გამოგვასწარი?!“
– „სწრაფად დადიხარ,
ზედმეტად ჩქარობ!“
– „იმიტომ ხარ ეგრე
დაღლილი!“
„წავიდეთ ახლა,
მთელ ჯგუფს ნუღა
ჩამოგვარჩენ!“
– „ხედავ? – ვინც გარბის,
ბოლოს, იგი,
სუყველაზე უკან რჩება!..“
– „ხალხო,
ეს კაცი პოეტია!
მოდით, რა, ერთად
მოვუსმინოთ!“ –
გასძახებს, მგზავრი, მის
ამხანაგებს.
ისინი შეყოყმანდებიან,
კი შეჩერდნენ ერთიხანობა,
მაგრამ,მერე, გზას
განაგრძობენ.
აგე, ბილიკს მიუყვებიან,

აგურისფერს.
ემშვიდობება, პოეტს, მგზავრი,
ბოლოს კი ჰკითხავს, –
– „აი, ამ ტბასთან
ხშირადა ხარ?“
– „ძალიან ხშირად.
(განსაკუთრებით მიყვარს აქ
ფიქრი).“
– „ხოდა, მაშინ, ისევე გნახავ...
ქვევით, დაბაში გავჩერდები
ამ დღეებში.
იქ რაღაცა საქმეები გვაქვს.
ერთხელ მაინც ამოვალ,
ამხანაგებთან ერთად,
რომ მოგისმინოთ“...
მერე მიდის...
პოეტი, ერთხანს, ხის ჩრდილში
რჩება.
მერე კი ჩრდილს მიატოვებს.
მზეს ეფიცხება.
იგი ივსება მზის, ცის ძალით.
მერე გახედავს დიდ გზას,
აი, უსაწყისოს, უსასრულოს.
გზა მაღლდება.
იგი გადადის მთებზეც, ზეცაზეც...
ხოლო პოეტი,
გონების თვალით ხედავს
სრულს სივრცეს.
აი სივრცე – მარადისობა:
მთელი მსოფლიო,
უფრო მეტი, –
მთელი სამყარო,
ადგილი შემოქმედებისა
(ქმნადობისა).
(მსურდა, რომ გზისთვის, მე,
სახელი დამერქმია,
ვთქვათ, იგივე
„შემოქმედება,“ „ქმნადობა“...
ვფიქრობდი სხვა სახელებზეც...
მოკლედ, ბოლოს, ეს საკითხი,
ღიად დავტოვე).
ადამიანი ქმნისო,
ამაში ჰპოვებს აზრს და,
ემსგავსება, ქმნით,
შემოქმედსო,–
ასე ამბობენ...
საფიქრალს ბევრ რამეს
ამბობენ,
მაგრამ მე კი...
აი, მე კი
ვერ ვასრულებ
ჩემსა ქმნილებას,
ვერა ვსვამ წერტილს...
ახლა ვფიქრობ, თუმცა ადრეც
მიიქრია, რომ
პოემები არა სრულდება,
და არ ვსვამ კითხვას, –
ჩემამდე, ასე, თუ რამდენმა
გაიაზრა ისინი...
დასასრული არ არსებობს...
მაინცკი, ბოლოს, პოემაში,
ხომ რაიმე უნდა დავწერო.
ხოდა
მე ვწერ,–
პოეზია...

P.S.

1. პოემის ფრაზა – „საფიქრალს ბევრ
რამეს ამბობენ“, თავიდან მეწერა
ასე – „ბევრ დიდებულ რამეს ამბობენ“.
ორივე ვარიანტი მისაღებია...
2. თუ ვიტყვით –
„სიტყვა – წიგნი“, უნდა ვიფიქროთ,
ალბათ, რომ ის უავტოროა....

3. ჩემს ყველა ქმნილებას, ერთად,
საერთო სათაურად, „ვუწოდებ
ხან – „ფერთა წიგნს,“ ხან -
„თეთრ წიგნს, „ხან - მწვერვალს“,
ხან – „ სიტყვა - წიგნს,“ და ასე
შემდეგ. თანაც, სათაურების ზუსტი
განმარტება შეუძლებელი მგონია...
მოკლედ, საერთო სათაური, სინამდვილეში,
ვერ დავარქვი ჩემს შემოქმედებას...

4. ჩემს მიერ მოფიქრებული
სათაურების ნაწილი მერყევია
და არამყარი. მაგალითად, –
ზღვარელების მთელ შემოქმედებასაც
ვერ დავარქვი ერთი საერთო
სახელი, ხან „უსაზღვროეთს“ ვარქმევ,

ხან „უსაზღვროებას“
ხან – სხვა სათაურებსაც
ვამბობ ხოლმე...

5. ყოველი ფერი მიყვარს. არაერთხელ
მითქვამს, – „თეთრი იმპერატორი“,
„ლურჯი იმპერატორი“ და სხვა
ამდაგვარი. ლურჯი და თეთრი იგივდება,
თუნდაც იმიტომ, რომ ესენია ძირითადი
ფერები ცისა(ზეცისა), ხოლო ცა
არის სახლი იდეალების.
ცა არის ლურჯი, ღია ლურჯი (ცისფერი),
თეთრი, მზისფერი... ზეცა დარბაზია,
რომელშიც
თვით ღმერთი მბრძანებლობს...
რაც შეეხება, ისევე, ფერებს, ვიტყვი, რომ,
საერთოდ, ფერები იგივდება.
ყველა მათგანი დიდებულია,
ლურჯი და თეთრი კი –
მითუმეტეს, უფრო ხომ
ესენი არიან პოეზიის
ფერები...
კიდევ გევრი რამის თქმა
მსურს, მაგრამ



არდავიწყება მოღვაწეთა

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე



გარდაცვლილთა სამეტყველო ენა

ბრძნული ნათქვამის მოტივი: „არც კაცი ვარგა ცოცხალ იყოს მკვდარსა ემსგავსოს“, გასაგებია, მაგრამ სავალალოდ, ისიცაა გასაგები, როცა ბევრი ცოცხალი იმ მკვდარს ვერასდროს დაემს გავსება, რომელმაც კაცობრიობას მემკვიდრეობად ისეთი ბრძნულ-ფილოსოფიური სამეტყველო ენა დაუტოვა, რომლითაც იგი სამარადჟამოდ ებასება მას...

ვინ არიან ისეთი გარდაცვლილნი, ვინც ადამიანის გულ-გონებას ასე ძალუმ, მარადიულ დოკუმენტურად რომ ესაუბრებიან? თანაც უხმო ხმით და მეტიც, საუკუნეების გარდაცვლილნი ცხოვრების სიბრძნის ავ-კარგს დეტალურ-აფორიზმულად, დღეინიადაგ, სიკვდილამდე ლეგიტიმურად რომ ასწავლიან?

ვინ და ვინც თქვეს: „სწავლა სიკვდილამდე შენიაო“, „რასაცა გასცემ შენიაო“, „სწავლის ძირი მწარე არისო“, „მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამსო“, „მე ამიტირდა მუხრანი... ანა... მე რომ გავყიდო, იყიდი განა?“ (ბეჟან ხარაიშვილი), „მეგობრობა გზად და ხიდადო“, „ხერხი სჯობიაო“, „წინა კაცი უკანას ხიდიაო“, „სჯობს სიცოცლესა ნაძრახსაო“, „სჯობს სახელისა მოხვეჭაო“, „ისმინე სწავლის მძებნელოო“ და განა ასე იოლია, გარდაცვლილ მეტყველთა ხატოვან-ქარაგმულ ენით საკონტაქტოდ, მილიარდობით ნათქვამ ჭეშმარიტ სმენად სასიტყვეთის სიბრძნე, სამარადო მესიჯ-შეგონებათა ჩამოთვლა? რითაც, მართლაც ცხოვრების ბოლომდე რომ უნერგავენ და უჩიჩინებენ ადამინებს? ხოლო ის კი, მეცნიერების სხვა უტოპიაა, ამ სიბრძნის წვდომა-შემეცნება ვის შეუძლია და ვის არა...

არც ისაა იოლი, ამგვარ ბრძენ, გარდაცვლილ მეტყველთა იმ ჭეშმარიტების ხილულ-ფილოსოფიური დოქტრინის ფაქტობრივ ვერსიად მტკიცება, რომ ისინი, მარად ზეციურ ცოცხალ-მემუსაიფენი არიან და მათი სიკვდილი რომ არ არსებობს. ამის მასაბუთებლად, თანმხვედრ, ზუსტ მონათესავე აზრთა მოშველიება და მასზე მყისიერი დაყრდნობა თუ შეიძლება მხოლოდ. მაგალითად, ასეთ გონებრივ, მგრძნობელურ, სიცოცხლეზე მეტყველებს პოეტ გულნაზ ხარაიშვილის ალალ-მართალ, პრაგმატული ლექსის „მეუფევ შენით ვიწამეს“, ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური სტრიქონები, რომელშიც ქვეყნის წარმტაც კუთხის, ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტ – მეუფე თადეოზ (იორამ იორამაშვილზე) აპოდიქტურად ამბობს:


არ არსებულა სიკვდილი
მეუფევ შენით ვიწამე.

– მეუფე, რომელმაც ხალხს სწორედ მემკვიდრეობად ბრძნულ-ალიტრაციული მეტყველებანი დაუტოვა აზრ-საწვდომ და არა კოსმიურ სივრცეში, რის გამოც ქალბატონ გულნაზის იგივე ლექსში მეუფე ზეცამდის აჰყავს და წრფელ-პოეტურ ჟესტით, გულჯვარმკობილს ლაკონურად განუკითხავს შემოქმედებით საერო ღვაწლს, რამეთუ საქვეყნოდ, უანგაროდ, ღვთიური სიტყვის მესაჭედ რაცხავს მას:

მე კრძალვით გულს ჯვარს გიკოცნი
ღვთური სიტყვის მესაჭევ.

– მეუფე, რომელიც განისვენებს ქრისტიან ქართველთა პატივსაცემ წმინდა ადგილზე, სიონის ეკლესიის ღვთის ნაკურთხ, სანუკვარ ეზოში, იქ სადაც საქართველოს გულსაც უწო-

დებენ და საიდანაც გზა ქართველთ, მსოფლიოსაშურ, საგანძურ მიწის ყველა კუთხე-კუნჭულისაკენ რომ მიემართება. საუკუნოვან, მცირე, მაგრამ სასწაულმომქმედ ადგილზე, სადაც მხოლოდ ერთეულთა ნეშტები ასვენია, რაც მნახველთა ჩაფიქრებას, გარინდებას, კრძალვასა და მუხლდრეკით უფლისგან მფარველობის, მამშვიდებელ, მდუმარ ლოცვა-ვედრების აღვლენის სამორჩილო გრძნობას რომ იწვევს.....



ერეტისტი, ქართულ საქრისტიანოს თაყვანმცემი, მეუფე იორამ იორამაშვილის სურვილიცაა და თან წინასწარმეტყველებაც, საკუთარ ერზე ლექსში, ,,ერი ჟამთა ხსოვნაში“, მის მარადისობაზე ასე რომ მსჯელობს:

გელოდება ნათლის ცა
და მზეს მარადისობის.

აგრეთვე, მშობლიურ, მიწის წრფელი სიყვარულიცაა და მაღალ-პოეტური ხედვაც გამოხატული, მეუფის კავკასიონივით ამაღლებულ ლექსში „სონეტი ქართულ მიწას“, ასე პითოგრაფიულ-ხატოვნად რომ ლოცავს მის ზეცის ფერს:

შენ კი ამაღლდი და ცას შესწვდი
კავკასიონით
მარად და მარად ლურჯი იყოს შენს
თავზე ზეცა.

ტკბილმოუბარი, ქრისტიანი მელექსე, მეუფე თადეოზი, უსათაურო პოემის ერთ-ერთ სტროფში ასე დიდ-პატრიოტულად ნატრობს:

გამოგვიშუქე მაღლიდან
მარადი სინამდვილეო,
გვიცოცხლე „ მრავალჟამიერ“
ტკბილი „ნანა“ და „ლილეო“

კვალიფიციურ მორწმუნისთვის ქვეყნად ლოცვაზე და ხატზე მეტი რა უნდა იყოს, ამადაა მეუფე ლექსში „მთები“, თავის კრედოს, სალოცავად აღქმულ მამულზე, ფაქიზ-სიწრფელით ასე რომ გამოხატავს;

ჩემო წმინდა ხატო, რწმენავ, სიყვარულო,
ტკბილო სალოცავო, მამულო ჩემო.

ვფიქრობ. კურთხეულ მეუფეს უკვდავმეტყველად წოდებისთვის ეს ერთსტროფიანი ლექსიც ეყოფოდა, რომელშიც მისგან ქართული ისტორიული ეპოპეის უდაო, სრული ცოდნაც გამოსჭვივის:

მზით სავსე ზეცაც ხშირად გვქონია
თუმც ისტორის გზაზე ბნელოდა,
„ვეფხის და მოყმის“ ლექსიც გვეყოფა
უკვდავებად და სადღეგრძელოდა.

თუმცა, თავად მეუფეს უკვდავებად მორწმუნეობა ანუ ღმერთის შვილობაც ყოფნის, როცა ასე მსჯელობს ერთ-ერთ სტროფში.

ვინც ღმერთის შვილია
ყველა გამოდგება,
სიცოცხლის მსახური
არასდროს მოკვდება.

ღვთის და სიცოცხლის მსახურ, ამაღლებულ თეოლოგი მეუფის შემოქმედებაში მთლიანი გლობალური მოტივი სამშობლოს სიყვარული და მისი გადარჩენის სურვილია, ლექსში „პატარა ანგელოზის ნატვრაში“ ასე რომ ნატრობს:

მახსოვს ღარიბს უსაჩუქრე ოქროს ქისა

და უდაბნოს სურნელს აფრქვევ ყვავილებს...

კვლავ ინებე სასწაულთა გამოჩენა
ღმერთს შეჰვედრე საქართველოს
გადარჩენა!... ამინ!...

მრავალი გენიალური ფრაზა და ციტატა დაგვიტოვა თევდორე მღვდელივით სამშობლოზე შეყვარებულმა მეუფემ ჩასაფიქრებლად, თუნდაც ლექსის ,,მთების'' შესავალში ნათქვამი მთის და წინაპრის სიმაღლე-სიძლიერის გამაიგივებელი შედარება:

მე ჩემი პაპის
პაპის პაპების,
პაპის პაპები
მგონია მთები.

რომელი ნათქვამის აზრის ფილოსოფიურობის გრამატიკული დედააზრის დასკვნაც თავად მკითხველისთვის მიმინდვია, სიტყვებისა, რომელიც მის წიგნშია ,,იცნოს სოფელმან'' შეტანილი, ხოლო ლექსში „სამშობლოსადმი“ ნათქვამ ერთ-ერთ მგრძნობიარ წინადადებაზე;

„ვარ შენი მიწის ერთი სანთელი“,

აზრთქმა ასე შეიძლება გადმოიცეს: ავტორი ნამდვილად ერთი, მაგრამ ქართული სასიტყვეთის კარიბჭესთან ვარსკვლავივით უქრობი ციმციმა სანთელია.

ამდაგვარ მრავალ, დღემდის საკონტაქტო მეტყველ ნათქვამის გამო, მეუფემ ბომონდის დიდი აპრობაცია დაიმსახურა. ამიტომ მჭევრმეტყველი, ვირტუოზი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი მას საჯარო ვერდიქტად უფლის რჩეულს უწოდებს და ხალხისგან სიყვარულს, უსათაურო პოემის ერთ-ერთ სტროფში, ასე წარმოუჩენს:

შენს საფლავთან ჰყვავის ია-ია
გაზაფხულდა და აღდგომაც მოვა,
უფლის რჩეულს გულზე დაგაყრიან
სიყვარულით ყვავილების თოვას.

თუმცა. ბრძენმთქმელი მეუფე თავისას თუ თანამოაზრის ზოგ ფილოსოფიურ მოსაზრებას, (იქნებ თავმდაბლობის მიზნითაც), ორჭოფულად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, რადგან ლექსში „ნუ მოგვიშალოს“, ასე მსჯელობს:

და თუ ჩვენი ხმა ხალხს დარჩა ფარად.

– მაშინ როცა ეს აქსიომასავით ჯიუტი ფაქტია, რომ გარდაცვლილი მეუფის მრავალმხრივი სამეტყველო უკვდავი ხმა, ნამდვილად დარჩა ხალხს ფარად და უფრო მეტიც, მისი უკვდავი სახელი გონიერ, მორწმუნე წინაპართა ისტორიაში და ზეცის წიგნშიცაა ჩაწერილი, რასაც მისივე ლექსის „სად ყვავილი ყვავილობს“, ერთ-ერთი სტროფი აღწერს;

სად ყვავილი ყვავილობს
ლამაზ თვალებს ახელს
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.

პოეზიისა და უფლის გზანარჩევი, ნიჭიერი, მიტროპოლიტი – მეუფე, იორამ იორამაშვილის უბიწო სახელი, რომელმაც მემკვიდრეობად პოეტურ-ფილოსოფიური სამეტყველო ენა დატოვა, ხალხის გულებშია დავანებული. მისდამი მიძღვნილ ამ მცირე სტროფს კი სასიტყვეთის მატიანეში, ალბათ თავისი კრძალული კრედო აკისრია:

საფლავშიც გულჯვარმკობილო,
ერს ახსოვხარ მარადწამს,
ბრძენმეტყველო მეუფევ!
უკვდავი ხარ მარადჟამს.

ლუარა სორდია



ქართული სულით მეოცნებე პოეტის ქნარი

ბეჟან ხარაიშვილის ქრესტომათიული, კლასიკური შედევრები

კლასიკური ლიტერატურის უპირველესი კრიტერიუმებია რელიგიურობა, დინების წინააღმდეგ სვლა, ობიექტური განსჯა წარსულისა და აწმყოსი, მომავალში მოსახდენი მოვლენების უტყუარი განჭვრეტა, მხატვრული ინდივიდუალობა, არა დეკლარაციების ღაღადი, არამედ სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნება.

მხოლოდ მორწმუნეს მიემადლება საღვთო, მარადიული სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ნიჭი, რაც მარადისობაში დამკვიდრების საწინდარია.

ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედება ზედმიწევნით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, მის შემოქმედებაში, როგორც პოეტების მეფე გალაკტიონი ბრძანებდა, „ხელიხელგადახვეულია წარსული, აწმყო და მომავალი“.

დიდი ხელოვნება ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების შორს გაწევაა, რაც ჯვარცმაა, სისხლის, სულის, სიცოცხლის გაღებას, მსხვერპლს მოითხოვს. „ჯერ უნდა მომჭრან მარჯვენა და სული მომთხოვონ“, ასეთი სიმაღლიდან განჭვრეტს ბეჟან ხარაიშვილი ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მსახურის მისიას.

მის პოეზიაში მრავალი ქრესტომათიული შედევრი იქცევს ყურადღებას. აქ არის ეროვნული ფენომენის სრულყოფილი წვდომა, სამშობლოსთვის თავშეწირვის იდეა, ქვეყნის ტრაგიკული ისტორიის, მისი აქტუალური პრობლემების გონივრული განჭვრეტა, მომავლის ორიენტირების ძიება, სისხლისა და მიწის ყივილი, ნეგატიური მოვლენების გაბედული მხილება, ეროვნული ნოსტალგია, ფილოსოფურ პრობლემების სიღრმისეული წარმოჩენა.

ძალზე ხშირად პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალობა ვლინდება სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით, უმნიშვნელოვანესი ქვეტექსტებით.

ბეჟან ხარაიშვილის „გულის ძარღვები მამულის სუნთქვას იწერენ (სხვაობა), მუხის, ხმელი წიფლის, ჭადრების სახეში ნაგულისხმევი სამშობლოს ფესვების ფეთქვას, მის გულისძგერას შეიგძნობს, ერის სულს ხედავს.

ეროვნული შემოგარენის ჭადრები, მტკვრის მკერდზე გაშენებული თბილისი იყო პოეტისთვის „ოცნების ნატვრის თვალი“, აუწონავი განძი და მისი შემყურე ნატრობდა არა მატერიალურ სარგებელ-ღირებულებას, არამედ მამულის მარადიულობას.

ედგარ პო ელდორადოსა და კოლორადაში ეძებდა ოქროს, გალაკტიონი – კლონდაიკში, ორივენი არა ოქროს მადანს, არამედ სიტყვის ოქროს მოპოვებისკენ მიმართავდნენ მთელ ძალისხმევას.

„არ მინდა ოქროს პოვნა, რაც მსოფლიოში არის, ჟღერს სამშობლოს ხსოვნად ძვირფასი ოქროს ქნარი“, აცხადებდა გალაკტიონი.

ბეჟან ხარაიშვილი „არა ფულს და ოქროს, არა სახლს და დახლს“, არამედ საქართველოს უკუნისამდე დღეგრძელობას, მისი ღირსეული მსახურების უნარს შესთხოვდა უფალს (მტკვარი გველივით შეცურდა კადრებში).

ქართული პატრიოტული კლასიკის შედევრებში დამკვიდრდა პოეტის „ჩემი მამულია“, „არაგვს“.

წინაპართა კვალობაზე, სამშობლოს სიმბოლოდ მოიაზრებდა მუხას, ჭადრებს, შინდის რტოს, ხარს.

საოცარი სიზმარ-ხილვები შთააგონებდა საკუთარ მაღალ მისიას.

თითქოს თამარის ხელი ესათუთებოდა შუბლზე, რათა მეხივით ეჭექა მის სიტყვას, უკვდავთა საუფლიდან მოვლენილი შოთა რუსთაველი აწვდიდა კალამს...

პოეტის თვალთახედვის არეში ექცეოდა არგონავტების მიერ ადრე მოპარული ოქროს საწმისი, იგივე გრაალი, ფილოსოფიური ქვა, რომელიც გაიგივებულია „კოსმიურ სიბრძნესთან, სულიწმინდასთან, მარიამ ღვთისმშობელთან“ (ზვიად გამსახურდა, საქართველოს სულიერი მისია).

საწმისის დაკარგვა მომავლის ფიქრებს ასევდიანებს, რადგან მზის შვილის – აიეტის სამეფოში მომრავლებულან ღვთის გლახები, „გაქართველებულებულან, გადიდებულან ჭრელსისხლიანები“ (ოქროს საწმისი ადრე მოიპარეს).


პოეტს აღაშფოთებს ნასახლარები, სულიერების დაკარგვა, ხორცის, ნივთის გაფეტიშება, გადაგვარება, „სისხლის გათეთრება“, რწმენის, ტრადიციების ღალატი (წახდა საქართველო). მისი იდეალია არა „ხორცის ქვეყანა“, არამედ სულის ნავთსაყუდელი.

უცხო მიწა, უცხო სული, უცხო სისხლი მუდამ იყო ქართველი კაცის უპირველესი სატკივარი, როგორც ბიბლიაში, როგორც ქართველ კლასიკოსებთან.

პოეტის გაუნელებელი დარდი იყო მესხეთ-ჯავახეთში ქართველთა დაკარგული ტაოკლარჯეთი, დიდი თურქობა (მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში).

„დაცლილი ქართული სოფლების სიცარიელე“, ეროვნული ნოსტალგია ტანჯავდა ბეჟან ხარაიშვილს (ფერეიდნელის ნათქვამი, ხდის ხეობიდან). როცა ამ პრობლემებს ეხებოდა, იერემიას გოდება თუ აგონდებოდა: „ჩვენი სამკვიდრო უცხომ დაიმკვიდრა, ჩვენი სახლები – გადამთიელმა“ (5,2).

და ასევე არ შეიძლება არ მოგაგონდეს დავით წინასწარმეტყველი: „როგორ ვიმღეროთ სიმღერა უფლისა უცხო მიწაზე?” (ფს. 136,4).



უბედურების მომტან უცხოს ებრძოდნენ სიტყვით და საქმით ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ოთარ ჭილაძე, რევაზ მიშველაძე, ბეჟან ხარაიშვილი.

პოეტის მიერ „საქართველოს გულზე“ საუბარი გვახსენებს გიორგი ლეონიძის ტევად ფრაზას: „ახლოს მოიწი, სამშობლოს გულო“.

ბეჟან ხარაიშვილს უვლია დიდი ვაჟას, ანა კალანდაძის ნავალ გზებზე, ფოლკლორულ ექსპედიციებზე სვანეთში, ხევსურეთში, ფშავში, მთიულეთში.

ლაშარგორის კაი ყმათა უსიტყვო საუბარი ესმოდა, იახსარზე საქართველოსთვის ჯვარცმული ჭაღარა ვეფხვის-ვაჟას ნაკვალევს ხედავდა, „საქართველოს ეშხით“ ბარბაცებდა (არაგვს).

ხატობაზე დაკლული უმანკო კრავის სისხლის დაღვრა არ მოსწონდა, მისთვის მთავარი იყო ჭეშმარიტი რწმენა, რაც წმინდა წერილის

სიბრძნის ასოციაციას იწვევს: „...აღარ მსურს მოზვრების, კრავებისა და ვაცების სისხლი!“

„...ხელები სისხლითა გაქვთ სავსე!“

„განიბანეთ, განიწმინდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა!“ (ესაია წინასწარმეტყველი, 1,11,15,16).

პოეტი კიცხავს ეროვნულ ბედოვლათობას, რასაც მასპინძლის ფუნქციის დავიწყება, სტუმრის უზომო გალაღება, ძირძველი მოსახლეობის უფლებების შელახვა, უცხოთა თავხედური მოძალება მოსდევს (ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი).

ეს პრობლემა ქართული მწერლობის რჩეულთა ერთ-ერთი თავსატეხი იყო (გრიგოლ რობაქიძე, შოთა ნიშნიანიძე საქართველოს ბაბილონს ადარებდნენ).

ამასთან, ბეჟან ხარაიშვილი ისევ ერთგულია ქართველთა ტოლერანტული ბუნების (გპატიჟობთ ყველას).

პოეტი ვერ ურიგდებოდა საქართველოს კარების, საზღვრების მოშლას საბჭოთა პერიოდში, რაც დღესაც გრძელდება.

გრიგოლ რობაქიძე ქვეყნის ბედს არწივისა და ხოხბის, მდევარ-დევნილის ჭრილში გაიაზრებდა (მცველნი გრაალისა).

გალაკტიონ ტაბიძე აჯამებდა სამშობლოს ტრაგედიებს და ალვის ხის, მუხის, ბაღის გადარჩენით მიგვანიშნებდა ერის მარადიულობაზე.

პოეტების მეფე აფრთხილებდა ერს: „შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე, ...უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად“ (მშვიდობის წიგნი).

კონსტანტინე გამსახურდიას, „დავით აღმაშენებელში” ძლევამოსილ, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე გადაჭიმული საქართველოს ძლევამოსილ მეფეს სიკვდილის წინაც არ ასვენებდა საქვეყნო საფიქრალ-საზრუნავი და ტაოს კარს მომდგარი თურქთა ლაშქარი ელანდებოდა. ეს იყო მომავალში გენიოსური გადახედვა, გაფრთხილება, რომ მიღწეულით ტკბობა კი არა, გამუდმებული სიფხიზლე-შემართებაა მარადიულობის გარანტი.

აფხაზეთის ტრაგედიის წინასწარმეტყველება მიუტანია ერს გულთან, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ტაბუს“ გაფრთხილების ზარები დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

ვერც მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ სათქმელი გაიგეს თავის დროზე...

ბეჟან ხარაიშვილს ყაყაჩოს წითელ ფურცლებზე დასმული შავი წერტილის სახეში ამოუკითხავს ქართველი კაცის სიცოცხლის განსაცდელები და მარადიულობა: „ყაყაჩოს წითელ და თხელ ფურცლებზე შავად ნაფერი შავი წერტილი, არა არის რა, თუ არა ტყვიით ქართველი კაცის სისხლში, დასმული მისი სიცოცხლის მრავალწერტილი“...

პოეტი მზად იყო, მარჯვენა მოეჭრა, სული მიეცა მამულისთვის (გაზაფხული).

გამოსავალს რწმენაში, ღვთიური გზისკენ მიბრუნებაში ხედავდა, იზიარებდა მესიანისტურ იდეას, რომ ჩვენ ვართ უძველესი მართლმადიდებელი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი, ქრისტეს კვართის შემნახველი ერი და ეზრა წინასწარმეტყველის სიტყვით აფრთხლებდა თანამემამულეებს, უარი ეთქვათ მკრეხელობაზე, უკეთურებაზე და სიმართლის მსახურები ყოფილიყვნენ.

პოეტი დიდი ხნით ადრე გრძნობდა სამშობლოს მომავალ კატაკლიზმებს.

ბეჟან ხარაიშვილი იყო ერთგული მსახური ეროვნული ტრიადის – „ენა, მამული, სარწმუნოება“. პოეტი სულის ეკრანზე ხედავდა ყველაფერს, რასაც ფიქრობდა მისი დიდი წინამორბედი წიწამურთან (ხსოვნის ეკრანი გაფატრა ელვამ).

ბეჟან ხარაიშვილს სიზმარ-ცხადში დაემგზავრებოდა ლოკალური თუ გლობალური სატკივრები, ვერ შერიგდებოდა ახლომხედთა უგუნურებას, გადაგვარება-გადაშენების მაუწყებელ სიმპტომებს და ქვეყნის ავ-კარგის შემცნობი, გაფრთხილების ზარებს რეკავდა, სამეუფო გზას უჩვენებდა უფსკრულში მობორიალეთ.

ბიბლიის კვალობაზე, პოეტისთვის სამ-

შობლოს პარადიგმა იყო ბაღი, ვენახი.

აქტუალურ ეროვნულ და მსოფლიო სატკივრებში გვახედებს ბეჟან ხარაიშვლის ლექსი „სიზმარი“.

სიზმარს, ინტუიციას, წინათგრძნობას, არაცნობიერ, ტელეპატიურ ფენომენებს უკავშირებდნენ ზიგმუნდ ფროიდი, კარლ გუსტავ იუნგი, ანრი ბერგსონი.

„სიზმარში“ მუხის ცრემლები მიგვანიშნებს ერის განსაცდელზე, მრავლისმთქმელია სურნელებადაკარგული ვარდი, ნარცისი, ია, ნამის შენაცვლება არაყ-ნარკოტიკებით. მუხა ერის სიმბოლოა, ვარდი-უზენაესის, ია-ღვთისმშობლის, ნამი, ცვარი-უზენაესის.

ლექსის ავტორი კეთილმოსურნე გულისწყრომას ვერ ფარავს, ამხელს ბაღის (ხალხის) გადაგვარების ნიშნებს...

ჭეშმარიტ მამულიშვილს ძილს უფრთხობდა სხვისი ტერიტორიებით გაუმაძღარი იმპერიული მონსტრის პოლიტიკა, მის მიერ ჩვენი ეროვნული, სახის წაშლის მცდელობა.

ლექსში „შეციებიათ მთაში ღელეებს“ პოეტმა გაუმაძღარი მგლისა და ხარის პარადიგმებით გააკეთა აქცენტი სამშობლოს განსაცდელზე.

ამა ქვეყნის ძლიერთა მგლურ ინსტიქტებზე მიგვანიშნებენ წმინდა წერილში ესაია წინასწარმეტყველი (25, 27), სოფონია წინასწარმეტყველი (3, 1-3).

მგლის სახისადმი ინტერესი ვლინდება მითოლოგიაში, კლასიკურ მწერალობაში, ვაჟა-ფშაველა (ჰერმან ჰესე, კონსტანტინე გამსახურდია, გოდერძი ჩოხელი, შოთა ნიშნიანიძე, რევაზ მიშველაძე).

ბეჟან ხარაიშვილს ლექსში ღვინიას (სამშობლოს მეტაფარაა) ჩასაფრებული მგლები ჩვენი ჩრდილოელი მონსტრის მადაზე მიუთითებს.

წიგნში „ხვედრი პოეტთა“ თოვლის, ყინვის, ქარის სახეთა ქვეტექსტებით გვამცნობს მეზობელი თოვლიან-ყინულიანი იმპერიის ავბედით ზრახვებს, უბედურების მაუწყებელია მისი მზაკვრული სულის გამომხატველი „თოვლის ბარათები“.

მგლები არა მხოლოდ ერთ ნასახლარს, ან ერთ სოფელს შემოსჯავრიან, არამედ მთელი ქვეყნის გაქრობა-გადაშენების მცდელობებს ავლენენ და თუ პატრონობა არ გაუწიეს და არ გამოფხიზლდნენ მიზანში ამოღებულნი, ამ სამოთხეს სხვა ჩაიგდებს ხელში, ჩვენი თანამოძმეების, სამშობლოს ნაშიერთა სისხლისღვრაც გარდუვალია...

ეს იყო ჩვენი მამულის საფრთხეების უტყუარი განჭვრეტა გაცილებით ადრე, ვიდრე სამაჩაბლოს და აფხაზეთს აგვაცლიდა სისხლით გაუმაძღარი „გაიძვერა მოყვარე“.

ბეჟან ხარაიშვილი უტყუარად ჭვრეტდა არა მხოლოდ ხილული სამყაროს საგნების და მოვლენების გულისგულს, არამედ ჰადესის მოხილვის უნარიც მომადლებოდა. მისი ფილოსოფიური ლირიკა და პროზა გვიჩვენებს სიკვდილისათვის მზადებას, გარდაუვალთან შეხვედრას, საკუთარი სიკვდილის დასიზმრებას, დამარხვას, საიქიოში გამგზავრებას, პოეტი თვით ესწრება საკუთარ გასვენებას. მიუხედავად ბრძანებისა, ის სიკვდილზე არ ლოცულობს, წარმავლობას არ ეპუება, სჯერა სულის უკვდავება.

ეგვიპტური და ტიბეტურ მკვდართა წიგნებში, როგორც გარდაცვალების სახელმძღვანელებში, საუბარია ფიზიკური სიკვდილის შემდეგ სულის უზენაეს სამსჯავროზე წარდგომის შესახებ, როცა ჰადესში გამოცხადებულმა ცოდვების უარყოფის ტექსტი უნდა წარმოთქვას.

მიცვალებულთა სამეფოზე არსებული წარმოდგენები ეფუძნება კლინიკური სიკვდილის გადამტანთა გამოცდილებას და ადამიანს შთააგონებს ამქვეყნიური ცხოვრების მცირე დროის გონივრულ გამოყენებას.

რუდოლფ შტაინერის მიხედვით, „შავ და თეთრ გზებს“ შორის ადამიანის არჩევანს განაპირობებს სულის სიწმინდე და ზნეობის სისპეტაკე. (როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება, თბ.1993).

ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედებაში საყუ-

რადღებოა ორეულებთან შეხვედრა.

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანი შედგება შვიდი საწყისისგან. ესენია: ფიზიკური სხეული, ასტრალური სხეული, პრანი ანუ სასიცოცხლო ძალა, ინსტინქტური ჭკუა, ინტელექტი, გონება, განსჯა, სულიერი ჭკუა, განჭვრეტის უნარი, ინტუიციური ჭკუა, მეშვიდე არის სული.

ხუთი ფიზიკური გრძნობის პარალელურად, ადამიანს აქვს ხუთი ასტრალური გრძნობა, რომლებიც არიან ფიზიკური გრძნობის ორიგინალები. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მეექვსე გრძნობაც, რომელიც იძლევა ტელეპატიურ უნარს. ფიზიკური გრძნობის შესატყვისია ასტრალური ორეულები, რომელსაც შეუძლია გადაადგილება ნებისმიერ სიმაღლეზე. ეს ხელეწიფებათ ოკულტისტებს.

დანტედან დაწყებული, ორეულებით დაინტერესებას ავლენდნენ რომანტიკოსები, სიმბოლისტები, გოეთე.

ხშირად სიკვდილის მაუწყებელია ორეულის ნახვა.

რ. შუმანი აცხადებდა, რომ გარდაცვალებამდე ევლინებოდნენ შუბერტის და მენდელსონის სულები.

ასტრალური გამოსახულება იყო ჰამლეტის მამის აჩრდილი.

ილია ჭავჭავაძეს აჩრდილის სახით გამოეცხადა „საქართველოს თანამდევი უკვდავი სული“.

ბეჟან ხარაიშვილის „უსახელო მკვდრებში მამხილებელი ორეული ააშკარავებს ადამიანის სულში ჩაბუდებულ გველს, ბოროტებას, შურს, შუღლს, დაცინვას, მიჩქმალვის ნიჭს, ნიღაბს, რასაც ადამიანი მიწაში ჩაჰყავს.”

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ მიწიერი, მდაბალი პრაგმატული ინტერესებით მცხოვრებთ მისჯილი აქვთ მიწისთვის ცქერა.

„ჩვენ პირდაპირ მიწაში ვართ ჩათხრილი. სრულიად მოვწყდით ზემიწიერ ძალებს“, წუხდა რუდოლფ შტაინერი და შეგვაგონებდა: „ადამიანი არ უნდა შეეზარდოს მიწას, არ უნდა დაიძიროს მასში“ (ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თბ. 1994. გვ 269, 270, 243).

წმინდა წერილი სწორედ ადამიანის სულის ამ უკეთური მხარეების მხილებაა, ხოლო მათგან განრიდების საშუალებაა „რწმენის მახვილი“ (წმ. ეპისკოპოსი ეგნატე).

ჭეშმარიტი პოეზიის მთავარ პოსტულატებს – ცას და მიწას ერთდროულად ვიპოვით ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაში: „...რომ გამოვცადო ცის სიახლოვე, მიწაზე ბოლო სუნთქვას ვიმეტებ“ (და ვტოვებ, ვტოვებ).

ზეციური, ღვთიური, სულიწმინდის იმპულსების გარეშე შეუძლებელია მიწაზე უმაღლესი იდეალების სრულყოფილი მსახურება.

მიწიერ-ზეცური იყო აკაკი წერეთელი, „მიწას მიწურად და ცას ციურად მივეთავაზო“, წერდა ვაჟა-ფშაველა.

გალაკტიონისთვის მთავარი იყო „ცის და მიწის შეზავება“, „ზეცა მწყურია და მიწა მშია“, ამბობდა ტერენტი გრანელი. „რაა ციური, თუ მიწისაც არ ექნა ძალი“, ეხმაურებოდა დიდ წინამორბედებს ანა კალანდაძე.

წინაპართა ამ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებდა ბეჟან ხარაიშვილი.

ოცდაცხრა წლის ასაკში აღსრულებული პოეტის შემოქმედება ყურადღებას იქცევს ვაჟა-ფშაველას რემინისცენცირებით, მის სახეიდეათა ახლებური გათავისებით. ასეთი პრობლემებია სულისა და ხორცის დაპირისპირებაში სულის პრიმატის აღიარება ორივე პოეტთან.

ბეჟან ხარაიშვილს ორგანულად ჰქონდა შესისხლხორცებული ვაჟას „კაი ყმის“ იდეალი, ლუხუმისა და კვირიას გმირული სული, ბუნებაში, სამყაროში ჰარმონიის ძიება, ბუნების პერსონიფიკაცია, ხმელი წიფლის სახე, ბებერი მუხების დაკოჟრილი ფესვების იმედი, ვაჟას ესმოდა „მთების გულისძგერა“ (არაგვს). ბეჟან ხარაიშვილთან „სუნთქავენ მთები”, „არ ჩანს ვარსკვლავი“).

ეროვნულ ჭრილში მოიაზრა ვაჟასეული სახეები – დევის ხახა და დაკარგული ბილიკი (დინჯად ალოკეს).

ვაჟა „ნაიალაღარი ხარის“ სახით გვეცნაურება, ბეჟან ხარაიშვილი ღვინია ხარის სახეში

მოიაზრებს სამშობლოს.

მთის ტრუბადურს მთის მწვერვალზე ევლინებოდა შთაგონება.

მთაზე ასაფრენი არწივის სახით დამკვიდრდა ბეჟან ხარაიშვილი მკითხველის ცნობიერებაში (გახსენება).

„ვიცანი, ღმერთო სამყარო“, აცხადებდა ვაჟა. „ხომ გაიცანი, ვინ რა ფერია“, ეპასუხებოდა დიდ წინაპარს ახალბედა პოეტი.

ბეჟან ხარაიშვილის პოეზია ყურადღებას იქცევს წინასწარმეტყველური ხილვებით. მორწმუნე პოეტი კარგად არჩევდა წარმავალს და მარადიულს, „ხორციელ სიბრძნეს“ და „ღვთის მადლს“ (პავლე მოციქული, კორინთელთა მიმართ, 1, 12).

წმინდა წერილის მიხედვით, მხოლოდ უმანკო სულებს ხელეწიფებათ განჭვრიტონ მომავალი, გავიდნენ დედამიწის საინფორმაციო ველზე, რომელშიც კოდივით ჩადებულია სრული ინფორმაცია ცოცხალ არსებათა შესახებ.

ანრი ბერგსონი განარჩევდა ცოდნის ორ სახეს – რაციონალურს და ინტუიციურს და აღნიშნავდა, რომ ინტუიცია წარმატებით წყვეტს იმ ამოცანებს, რომელთა გადაჭრაც არ შეუძლია გონებას. ამასთან, არ არსებობს უფსკრულ ინტუიციასა და გონებას შორის (ცნობიერების უშუალო მონაცემები, თბ. 1955, გვ 24, 85).

კარლ გუსტავ იუნგის ნააზრევში დიდი ადგილი ეთმობა ინტუიციით მიღებული წინათგრძნობის უნარს (ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ. 1955. გვ 24).

შტაინერი საუბრობდა „სულიერი თვალის“ შესახებ: „მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ადამიანის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო ახორციელებს ლოგიკურ აზროვნებას, მარჯვენა კი – ინტუიციურს.

„გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო, ეპიფიზი, რომელიც წარმოადგენს ნათელხედვის ორგანოს და ადამიანის ტვინის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული“, იმოწმებდა ანთროპოსოფიის ფუძემდებელს მერაბ კოსტავა.

როგორც ჩანს, ეს ორგანო ჰქონდა მომადლებული ბეჟან ხარაიშვილს.

ათეული წლების წინ იწინასწარმეტყველა პოეტმა ჩვენი ნასახლარების ბედი, მოისმინა ჩვენი ხარების ცხელ სისხლზე, ღვინოზე დახარბებული მგლების ყმუილი, მშობლიურ შემოგარენში, უცდომლად წაიკითხა თოვლის სამყაროდან გამოგზავნილი „თოვლის ბარათების“ შინაარსი. ამიტომ მოუწოდებდა სოფელს, ქვეყნის შვილებს, ღირსეულად დაპატრონებოდნენ სამშობლოს (შეციებიათ მთაში ღელეებს).

ეროვნულ ტრაგედიაზე მინიშნებაა დევის ხახა და დაკარგული ბილიკი ლექსში „დინჯად ალოკეს”.

ავის მაცნეა „სისხლისფერი ნიჩაბი,“ „ბაბაძგნარი“ (მდინარეზე).

საკუთარი ტრაგეკული აღსასრულის მოლანდებაა ლექსი „ნება-ნება“.

თითქოს ჰადესის აჩრდილები ევლინებოდნენ და კარნახობდნენ უზენაესის განაჩენს (ისევ გინატრე).

წინასწარმეტყველურია „წინაგრძნობა“.

ლექსი „და ვტოვებ, ვტოვებ” გამოტირებაა უდროო აღსასრულის, დაუწერელი სტრიქონების...

საქვეყნო ინტერესებისათვის მებრძოლი პოეტი გრძნობდა ღალატს. მის მიერ აგებული სულიერი ტაძრის უგულებელყოფას, ესმოდა უკეთურთა გინება, ხედავდა დანის ალესვას (მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა).

მაგრამ „თავთან დაკლული სიკვდილი“ ედო (ნატვრა).

ვაჟასავით, პოეტის ოცნება იყო ხმელი წიფლიდან ამოსული ფესვის გახარება, ეროვნულ დამოუკიდებლობაზე ფიქრით ათენ-აღამებდა, დიდი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას უღალატო, დაუცხრომელი თანამებრძოლი. ეს უპირველესი მიზანი აუხდა კიდეც, თუმცა მსხვერპლის, ეროვნული ხელისუფლების განდევნის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაკარგვის ფასად....

მისი დიდი გვარის ფესვები ვერ დააზრო

ყინვამ, ღირსეულ არსებობას აგრძელებს მისი შთამომავლობა... ეროვნული ტრიადის ერთგული ბეჟან ხარაიშვილის გვარს ამშვენებს შესანიშნავი პოეტი, კულტურის და ხელოვნების დაუცხრომელი მოღვაწე გულნაზ ხარაიშვილი, ათი პოეტური კრებულის ავტორი, გალაქტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი, რამდენიმე პრემიის ლაურეატი, იაკობ გოგებაშვილის მედლის მფლობელი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, რომელსაც ძალზე საყურადღებო წიგნი უძღვნა ჩვენმა უნიჭიერესმა პოეტმა და მწერალმა სერგი ლომაძემ სახელწოდებით – „გზა მწვერვალისკენ“, ასევე ძალზე საინტერესო ეპიზოდების შემცველი ბეჟან ხარაიშვილის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან. შემთხვევითი სრულიადაც არ არის, რომ გულნაზი მამა გაბრიელის მადლშემოსილია... მაგრამ ამ გვარის პოეტთა გასამების მაუწყებელია ბეჟანის და გულნაზის ძმისშვილი – ახალგაზრდა გვანცა ხარაიშვილი, რომლის მხატვრულ სიტყვასაც სულიწმინდის მადლი ატყვია და რომელსაც ქართული (და არა მხოლოდ ქართული) ნიჭის, ჩვენი პოეტური კულტურის მესაჭეები – კახა ბაციკაძე და სერგი ლომაძე პოეზიის ჩემპიონს უწოდებენ. ხარაიშვილების ამ შტოს კიდევ მრავალი, ასაფრენად გამზადებული ახალი თაობა ეზრდება საბედნიეროდ...

და კიდევ: როცა ბეჟანის კრებულს – „ხვედრი პოეტთა“ – გავეცანი, მაშინვე ჩვენი დიდი მეცნიერის, უპირველესი ნოველისტის – რუსთაველის პრემიის ლაურეატის რეზო მიშველაძის ნოველები და პუბლიცისტიკის შედევრი გამახსენდა (რომელიც ამშვენებს არა მხოლოდ მის მრავალტომეულს და ქართულ აზროვნებას, არამედ საკაცობრიოა თავისი იდეურ-ესთეტიკური ასპექტებით, გლობალური პრობლემების წარმოჩენით), რომლის მრავლისმთქმელი სახელწოდებაა „რა გადაარჩენს საქართველოს“. ავტორები მომავლის ორიენტირებს გვიჩვენებენ, ეს წიგნები, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ჩვენი ერის მომავალი განვითარების უტყუარი პროგრამებია.

სწორედ გადარჩენა – ფიზიკური, დამოუკიდებლობის, შემოქმედებითი, ინტელექტუალური, ზნეობრივი უნდა ეწეროს ყოველ ჭეშმარიტ ქართველს გულის ფიცარზე და ამის მაგალითად უნდა ესახებოდეს ჩვენი კლასიკური მწერლობა, ამჯერად დასახელებული წიგნები, გზამკვლევად რომ გამოადგება ყოველ მამულიშვილს.

დიდება ასეთ მოაზროვნეებს, ეროვნული და საკაცობრიო პრობლემებისთვის დამაშვრალ მხატვრული სიტყვის დიდოსტატებს.

და კიდევ: რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟების – ტარიელის და ავთანდილის მეგობრობას გვაგონებს ლევან ბაბუხადიას და ბეჟან ხარაიშვილის ურთიერთობა. ლევანმა საკუთარი ხარჯებით გამოსცა ბეჟანის I წიგნი – „სადღეგრძელო” და ჰონორარი მის ობლებს გადასცა. პირველმა მან მოიძია მეგობრის ნაწერები, პირველი გამოეხმაურა მის შემოქმედებას. ეს ახალი კრებულიც მისი უანგარობის, დიდბუნებოვნების ჭეშმარიტი მამულიშვილობის დასტურია, ხოლო მეორე წიგნიც მრავალჟამიერ ლევან ბაბუხადიას რედაქტორობით გამოვიდა, რომლის ხარჯებიც ბესო ხარაიშვილმა გაიღო.



გეჟან ხარაიშვილი

***

ყურძენს მიჩვეულმა გავშვმა
ერთხელ შემთხვევით
შეჭამა ძახველი,
და მტრისას იყოს, სისხლი
მოეწამლა;
ნუკრები უკოცნიდნენ თვალებს
გახელილს...
დედის აჩრდილივით
აფრთხობდა წყურვილს
და
ტუჩებზე მიედო რძისფერი
სახელო,
ღმერთმა დაგწყევლოს...
ღმერთმა დაგწყევლოს!
გათათრებული ქართველის
სისხლზე
ხომ არ ამოდიხარ ძახველო?!

რომელი ჯობნის

გამოზაფხულზე, მოგიხმობს როცა,
სხვა მაისობის თეთრი ლანდები,
ლეღვივით მწიფე ნაკვთების რხევით
დიდი სარკის წინ შეტრიალდები.
გარეთ კი სიო ალუბლის რტოზე
ღამეულ ცვლათა ცვლილებებს არკვევს,
– რა ლამაზი ვარ – ფიქრობ სარკის წინ,
– რა ლამაზი ხარ! – გიღიმის სარკე.
ოთახში უხმოდ შემოდის ლანდი
და წარმოდგენით ცოცხლდება წამსვე,
რომელი ჯობნის? – გაიფიქრებ და –
შენი მწიფობა იწყება ასე.
ფიქრი კი შორეთს მიჰყვება ისე,
როგორც მწევარი წვიმიან ნაკვლევს,
– რა თვალები მაქვს? – იფიქრებ ისევ,
– რა თვალები აქვს? – იფიქრებს სარკეც!
ვეღარ შენიშნავ რა ხდება გარეთ,
სიზმრისეული სიამე გავსებს,
გადაირეკავს გული სადარდელს
როგორც მთის ჩქერი ნაპრალთა ხავსებს.
ოთახში უხმოდ შემოდის იგი
და ორეულთან მესამე ჩნდება,
– როგორ მიხდები! –დახედავ კაბას,
– შენ კი გამიქრი! – გპასუხობს დედა!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
„პლანი“, „პლანიო“, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის გიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

* * *

მომიახლოვდი, როგორც არასდროს,
მომიახლოვდი!
– ვყიდი ვარძიას,
– ვყიდი ხერთვისს,
– ვყიდი არხოტს და
– ვყიდი ხოშარას...
მე აღარ მინდა თქვენი ლიბანი,
ისრაელი და მთელი კამბოჯა,
მე საკუთარი დარდი გამბოჭავს,
მე საკუთარი ბოღმა მომშხამავს,
შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ,
მე ამიტირდა მუხრანი...ანა...
მე რომ გავყიდო, იყიდი განა?
მე რომ გავგიჟდე მომკლავდი განა?
მე თვალებდათხრილ დიდ ფრესკებს გიცვლი,
მხარჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი
იმ პირველადქმნილ საოცრებაზე.

ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,
ხან დამაგდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია –
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი –
მე და იმედს.

* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, –
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაფნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, –
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის გედზე ვის უნდა უთხრას?!



გურა-ანგურა
გურამ გედევანიშვილი

გაზაფხულის ხმაძლიერი შეხება

ხმა ხმიანობს ხანგამძლე და ხნიერი,
ხელეურიც ხელდახელად იკვრის,
ეს, ცხოვრება მსრბოლი, წამიერი
ხანმოკლეა და ეს მეტად მიკვირს.

ხე იზრდება, ხვიარები გვეხვევა,
ხელისგულზე ფეთქავს ხვითოს გული,
გაზაფხულის ხმაძლიერი შეხება,
არსობაა წრფელად შენასკული.

ხიბლნაყური ჩქერალები ხვივიან,
თეთრ ჩაფხუტებს ჩამოეხათ კალთა,
ჭიუხები მეცხრე ცაზე ჰკიდია,
არა, ძმაო! უფრო, უფრო მაღლა.

რა მხარგძელი ხეობები გვქონია,
ხელთუქმნელი, ხუროთმოძღვრის ძალით,
ცად ლივლივებს ვნება, თუ ძელქორია,
აპა, რავა! ჰყეფს დროების ქარი.

ხეკორძულას ხელადები ივსება,
სვეტიხცოველს წვეთს მირონი წმინდა,
ხმა დაირის ბროლის ცვარად იმსხვრევა
და სიცოცხლე ამისათვის გვინდა.

ხეივნების დახვავებას ვუმზერთ,
ფერხისებიტ ხვიხვინებენ დრონი,
დავიძახოთ; კაცი-კაცი ქუდზე,
სიკეთისთვის, სიკეთისთვის ბრძოლნი.

ეხის ჭალას ხითხითებენ დევნი,
მაჭახელას ჭახჭახებენ შაშვნი,
სალაღობოდ დაუკარი ერთი...
და მომგვარეთ ცეცხლოვანი რაში.

ხელთ მომეცით ქნარი, ქნარის სიმზე
დავახვავო სიმღერების წყება,
ვინმე მესხი სიმღერებით გვიმზერს,
ჯვარს ევედრა დაიჩოქა მცხეთას.

საქართველოვ! – ღაღადებდა ბერი,
ცრემლი-ცრემლი ნიაღვრებად სჩქეფდა,
აღმიდგინე ჯიში-ერი, ერი!
კვლავ ერთობით მარადისში ღმერთთან

სადაც სამყაროს სხვა სივრცეა გადასახედი

მე თქვენ გეკუთვნით სულით და გულით,
მე, თქვენ გეკუთვნით,
როგორც ამ კუთხით და ცით ნაკურთხი
გამოვლინება,
კოსმიურ გზებით, ნისლეულით
შემონაბერი,
დე, ეს იცოდნენ წვიმის ღვარად წამოშლილებმა
დე, ეს იცოდნენ სასწაულის მაუწყებლებმა,
როგორც ენება ღვთაებრივსა, ისე დამაწყო,

წრფელ მელოდიად გადმომფანტა, ათას ფერებად.
და მოწყალების შემოქმედი ხელი დამადო.
არც რას ვიგონებ, არცა რას ვთხზავ,
არც რას ვარაკობ,
მხოლოდ დამათრო გრძნეულებამ
მრავალსახეთი,
ვიცი, იმ გორით გამიტყვილებს,
სადაც დამათოვს,
სადაც სამყაროს სხვა სივრცეა გადასახედი.

ასე ვსაუბრობდი სამყაროსთან

როგორ ჩამოშლილა დალალებად
დრონი გაფიქრებით მაცქერალნი,
სივრცემ უსრულობით დამანელა,
ფშანმა განმაცვიფრა საფირონით.

ჩიტმა გაზაფხული მიგალობა,
მიწამ ენძელების იავნანა,
იამ სული წმინდა დამაფიცა
და სთქვა სიმღერები სევდისთანა.

ქვები ზეცისაკენ გამიფრინდნენ,
ლოდთა საფლავები მიატოვედს,
ცანო, თქვენი ცრემლით განმაბანეთ,
კვამლო, ბუხრის ზღაპარს მიამბობდე.

კლდენო, ბროლის მკერდი გამიხსენით,
მფეთქავ გლის მტრედთან ჩამახუტეთ,
ქვესკნელს დაგმანული კარიბჭენი
ფარავს გოლიათებს დანაყუდებს.

მინდა გვერდს მომისხდნენ მეგობრები,
ორბნი, სულღუნმი და ფასკუნჯები,
სულთა მოცაურნი შემომფრენნი
აზრთა შორსგამჭვრეტი დაუნჯებით.

მითხრან რა ვუშველოთ დედამიწას,
მზის სვლას გარინდების საუფლოში,
შობას, აკვანებში რომ გადაირწა,
ნანა ფერადოვან მარაოში.

ასე ვსაუბრობდი სამყაროსთან,
მწუხრი ამშვიდებდა შენივთებას,
სულთა ღვთაებასთან გარდამოსვლას
ნისლთა მორევები ადინჯებდა.

ატლანტები ვიდოდნენ ციკლოპური ლოდებით

აქ, ფაფრების შრიალით
ურა კვიცნი დარბოდნენ,
ზეცა დანაბზრიალი
სთავაზობდა ტატნობებს,

მიღმიერი სამყაროს
უხილავი ლანდებით
ეხებოდნენ მთები ქორს,
ქართა შემოძახებით.

ვარდებოდნენ ხევები
კანიონთა ღრმულებში,
ტყენი ანახევები,
ველნი გაყურსულები.

რა ხდებოდა, ვინ იცის,
ოდეს მრუმე ხარებით
შენისლული ცისკიდით
სტვენდნენ იხტოზავრები

ატლანტები ვიდოდნენ
ციკლოპური ლოდებით
და ფიქრობდნენ იმ დროზე
ქრობის და დაღონების;

ალბათ, ურა კვიცებზე,
ალბათ, არყის ხეებზე,
ლურჯ ფერებს როს მინებდნენ,
ქვების სიმარტოვეზე,

იმ ნიავთა ქროლვაზე,
ხევს მოარულ დევებზე,
აწმყოს წარმავლობაზე,
ჩიტთა გადაფრენებზე.

ლავის ნაკადმა მთა-ბარს მდოვრედ გადაუარა

შლიდა საშლელი შორეულში ფიქრით ნაწერებს,
ქაელბს ტანწერწეთთ, ვაჟთა მხარებეჭს,
ვაჟებს ტანბრგეებს
და მორევები მორევული-ორომტრიალით
აშანდაკებდნენ დედამიწის კლდოვან ნაპრალებს;

შლიდნენ ქვიშებად, ქვარგვალება და მოლანდებად,
დროთ მოვარნებად, სივრცეებად, ქართა ტრიალად,
უკანასკნელად ლომმა სადღაც დაიღრიალა;
უკანასკნელად, უკანასკნელად, უკანასკნელად.

ლავის ნაკადმა მთა-ბარს მდოვრედ გადაუარა,
ვულკანის ფერფლმა ამოავსო ნაპრალთ მღვიმენი,
მარსს და ვენერას ყოველივე ესმათ, თუ,...არა???
ჩვენ ხომ, ძმებივით ერთურთს ვიყავთ შენაფიცები.

თვალნი დახუჭა მზემ ამჯერად და გაინაბა,
ო, სხვისა ჭირი, ღობეს ჩხირი უდარდელობის,
არა რაი სთქვა მორბენალმა ცელქმა ნიავმაც,
ზეობს სატანა, დრო-ჟამია ქაოსთ-გველობის.

უკვე დადუღდა ცოლიკაური

აჭრეს, აჩალეს სიმინდის ყანა,
დააჩენგელეს კინკილ-კინკილად,
ცივმა ამინდმა გადიქანქარა
და ჟამ-დროებამ გადაირბინა.
უკვე დადუღდა ცოლიკაური,
ჰა... შემოდგომაც გადფერადდა,

მთვარე შემოჯდა თავის კანტურით
და ჩამოიცვა ღამე პერანად.
გადაძახილი – გადმოძახილი,
ბუს მოწყენილად ჭოტმა გასძახა,
ლელქაში, წყლისკენ თავებდახრილი,
იხვებს ალერსით შეელაქლაქა.

მხიბლავდა ქარის სეირნობა ღამის ქალაქში

მე, ვაჰანგებდი ჰანგიერი ჰანგების ჟღერას,
მბჟუტავ ვარსკვლავთა ჩუმიერად გადაძახილებს,
კომეტათ ქროლვას, ნაწილაკთა უეცარ ცვენას,
გედთა სიმღერას და წეროთა ცაში ნაკივლებს.
მხიბლავდა ქარის სეირნობა ღამის ქალაქში,
მისი წიოკი, იმპულსური შემოყივნებით,
გაბრწყინებული პროსპექტები შუქზე მხარგაშლით,
ველთა დუმილი და მდინარის ტბორთა ბინდები.
მესმოდა ცრემლის დაბადება, წუხილის შემდეგ,
თვალთა თვალებთან ბაასები, გულთა გუგუნი,
მწველი ვნებების, საოცარი ნდობით როს ჟრერდნენ;
ტყეთ მშფოთვარება მძვირვან ცეცხლით გადაბუგულის.
დამშვიდობება, სამუდამოდ, შვილის დედასთან,
მარადიული შეხვედრები, გაყრის წუხილი,
უფლის ლოცვანი, გულმხურვალედ, დაბადებასთან
და გალობანი სუმბულისთვის, კვდომა ბულბულის.

ერთსა გთხოვ, ცრემლი მაპკურე...!

წყეულო, რა ლამაზი ხარ,
ქალავ, ლელწივით, ღვთიანო,
მთრთოლვარ აშოლტილ ვერხვს ჰგავხარ,
ჩრდილს მაფენ, სხვისთვის მზიანობ.
ცისფერ გიშუქან თვალები,
ცანი შიგ იყურებიან,
კლდეები ნაღვლიანები
პირთეთრით შემოგვხვდებიან,
დილის ცვარს შემოგაფრქვევენ
ყვავილთ მცინარა ბაგენი,
ხანდისხან მენაც დამხედე,
ლოდი ვარ გრძნობით ნაგები.
ერთ დროს ხარლალი ვიყავი,
რქებით მიწასა ვჩხვერავდი,
მესმოდა გაღმა მზვრის წყალთა
ჩქერალთ რუკრუკა მღერანი.
ბუერათ ნელი დუდუნი,
წნორთა საამო შრიალი,
ტყე მწვანედ გადაბურული
ზღაპარას მეტოდა ტიალი.
ჩამიქროლებდა ქედანი,
ჩამომიფრენდა ალალი,
შველი, მგლით დანაფეთარი
გადამირბენდა ქარაფით.
ნაზ ხელებს შემომახვევდა
რბილი ნიავი მთებისა,
ერთსა გთხოვ; ცრემლი მაპკურე,
შამწყალევ, დანანებისა.

ცივ ზამთარში მოტირალი ნიავქარი

უარმყავი, ნუ მიცინი ნაკადულო,
უარმყავი, უარმყავი, უარმყავი,
დამივიწყე, დადაფნულო გაზაფხულო,
ცივ ზამთარში მოტირალი ნიავქარი.
ვიცი, დამშლი, როგორც შლიან თიხის კოშკებს,
ვიცი, ვნების ჩანჩქერებად დავეშვები,
შენი წასვლა, ვიცი, ერთხელაც დამაობლებს
და შხეფებით ქვიშა-ქვიშა გავიშლები.
მეშინია გრძნობის ძალუმ მოზღვავების,
ვით ზღვაურებს, თოლიათა გაწივლების,
მირჩევნია, მარადულად მონატრების
შენ ცა იყო, ჩემი სულის გაგიჟების,
ფიქრი იყოს, წვიმა იყოს, თოვლი იყოს,
ბინდის-ბინდი და წარსულის მოგონება,
ტყე იყოს და ტყეში ჩიტი მომკვდარიყოს
და მეხილოს ჩიტის მწარედ დატირება.
ასე ხდება, უსაზღვრელო მელოდიავ,
ყოვლიერის ჰანგის სუნთქვით ვიჰანგებით,
თუ, კი ძილი ერთხელ მართლაც მოგვერია,
მდუმარ ლოდებს მკერდში ჩავეხვიარებით

უარმყავი, ნუ მიცინი ნაკადულო.

მამუკა გოგიტიძე
საქართველოს სამხედრო ისტორიის
საზოგაოების თავმჯდომარე,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი,
პოლკოვნიკი

მამია გოგოლაძე,
სამხედრო ისტორიის საზოგადოების
თავმჯდომარის მოადგილე, ჯუმბერ ლეჟავას სახ.
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის
აკადემიკოსი, ვიცე-პოლკოვნიკი

გიორგი ბეჟიტაშვილის ნათელ ხსოვნას

ხსოვნის ნავსაყუდელი.....

2007 წლიდან ვიცნობდით ერთმანეთს, რადგან ერთად მოგვიწია სამხედრო სამსახური თავდაცვის სამინისტროში. შემდეგ ჩვენი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა და გრძელდებოდა დღევანდელ დღემდე.



53 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან სამხედრო ისტორიის მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, ერთგული მეგობარი და მოძმე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი **გიორგი ალექსანდრეს-ძე ბეჟიტაშვილი.**

პირადად ჩვენთვის ძალზე ძნელია შეუძლებელიც კი, გიორგიზე წარსულ დროში საუბარი. სიჭაბუკის საოცარი მძლავრი მუხტი ჰქონდა მას და სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, საოცარ სითბოსა და ხალისს, ოპტიმიზმსა და სიკეთეს ასხივებდა, ძმობისა და სიყვარულის მაგნიტურ ველში მოაქცევდა ყველას, ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონდა მასთან. ამიტომ ძალზე მიჭირს მისი არყოფნის დაჯერება.

სხვანაირი არც შეიძლება ყოფილიყო ქალბატონ მარიამის და ბატონ ალექსანდრეს შვილი, არ ჰქონდა მას მორალური უფლება სხვანაირად ეცხოვრა და წარემართა თავისი მოღვაწეობა....

გიორგი დაიბადა 1966 წლის 28 ნოემბერს, ქ. გურჯაანში. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1985-87 წლებში იმყოფებოდა ნამდვილ სამხედრო სამსახურში (მონღოლეთში).

პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშეც. 1992-93 წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში აფხაზეთში, ძმასთან, ნოდართან (1963-1993) ერთად, რომელიც დაიღუპა სოფელ ლაბრასთან მოწინააღმეგესთან შეტაკებისას.

1994-2000 წ.წ. და 2007-2008 წწ. მსახურობდა ქართულ ჯარში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, მინიჭებული ჰქონდა უფროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდება, იყო ომის ვეტერანი.

...ჩვენი მეგობარი მრავალმხრივ გამორჩეული პიროვნება გახლდათ. არსთაგამრიგესგან უხვად ჰქონდა მიმადლებული ნიჭი და უნარი, ძალა და შემძლეობა. შესანიშნავი მეცნიერი-მკვლევარი, სტუდენტთა საყვარელი ლექტორი, სამეცნიერო და საზოგადო საქმის უბადლო ორგანიზატორი, მოსიყვარულე შვილი, მამა და პაპა, სასურველი მოყვარე, უნაკლო მეგობარი, სასიამოვნო თანამეინახე და თამადა....მისი კაცობის გვირგვინი და ჭეშმარიტად საფიცარი კი -

სამშობლო იყო. მის სამხედრო წარსულსა და აწმყოს, ეროვნულ სამხედრო ტრადიციებს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და ელოლიავებოდა, ცდილობდა დაეცვა ყოველგვარი მწიკვლისაგან...

პატრიოტიზმი მისთვის არც ლიტონი სიტყვა იყო და არც ოდენ სადღეგრძელოს აუცილებელი სამკაული, იგი პატრიოტი იყო გულითაც და გონებითაც, საქმიანობითაც და მოქალაქეობრივი პოზიციითაც. ყოველი საქმე, რომელიც კი ქვეყნის ინტერესებს ეხებოდა, საკუთარ საქმედ მიაჩნდა, სამშობლოს ყოველ გასაჭირს საკუთარ გასაჭირად თვლიდა, მოძმეთა სიხარულით ხარობდა, მათი წარმატებებით ამაყობდა, ამიტომაც იყო, რომ თავის თანამოაზრეებთან ერთად გახდა საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თანადამფუძნებელი.

არა გვგონია ჩვენს შორის ბევრი იყოს ისეთი, ვისაც სხვათა ღვაწლისა და ამაგის საქვეყნოდ წარმოსაჩენად, სხვათა დამსახურების ნათელსაყოფად იმდენი შრომა გაეღოს, რამდენიც ჩემს მეგობარს – გიორგი ბეჟიტაშვილს აქვს გაღებული. ამიტომაც იყო იგი ასე გულრწფელი სიყვარულით გარემოსილი....

გიორგიმ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, განსაკუთრებით ჩვენი სამხედრო ისტორიის კვლევის საქმეში. მის კალამს ეკუთვნის 16 მონოგრაფია (მათ შორის 6 დამხმარე სახელმძღვანელო), 100-მდე სამეცნიერო სტატია დაბეჭდილი სამამულო და საზღვარგარეთის სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებსაც მომავალში გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი....

... აქტიური ცხოვრებით იცხოვრა ჩვენმა მეგობარმა. სიკვდილი მას შემოქმედებითი ენერგიით აღსავსეს და ახალი გეგმების და პროექტების აღსასრულებლად შემართულს წამოეწია....

უამრავი რეგალიის მფლობელი იყო....

2011 წლიდან იყო ჯ.ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის აკადემიკოსი და სწავლული მდივანი, ასევე საერო აკადემია – „ფაზისის“ აკადემიკოსი. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. თავისი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის იმავე წელს მიენიჭა დავით აღმაშენებლის პრემია (პროფესორ ე.მამუკელაშვილთან ერთად).

2018 წელს ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა მიანიჭა მას –,,კულტურის ამაგდარის,, წოდება და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია.

2018 წლის ოქტომბერში ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიენიჭა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია.

2018 წლის 29 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II გადასცა მას საპატიო სიგელი – „საზოგადოების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის და ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის“.

2018 წლის 3 დეკემბერს გადაეცა იაკობ გოგებაშვილის სახელობის ვერცხლის მედალი და დიპლომი პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

მისი გვარი შესულია,,ქართულ ბიოგრაფიულ ლექსიკონში,,....

.....გიორგი გეჟიტაშვილი დაკარგა მისმა დიდმა ოჯახმა - დედამ, შვილმა, შვილიშვილებმა, ნათესავებმა, მეგობრებმა, უბანმა, ქალაქმა, მთელმა ქვეყანამ, რადგან იგი ჭეშმარიტად საქვეყნო კაცი იყო.

....ყოველ ადამიანს ერთი სიცოცხლე ეძლევა ამქვეყნად. ზოგისთვის გრძელი აღმოჩნდება წუთისოფელი, ზოგისთვის ხანმოკლე. მაგრამ მთავარია, კაცმა ისე იცხოვრო, რომ ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ახლობლებისა და მეგობრების გულებში დატოვო თუნდაც პატარა სიცარიელე, რომელსაც სხვა ვერავინ შეავსებს.

ჩვენ ყველას გვტკივა მისი ნაადრევად წასვლით დარჩენილი ეს სიცარიელე. ეს კი ნიშნავს, რომ სიცოცხლე გრძელდება!

მამუკა გოგიტიძე



ხსოვნის ნავსაყუდელი.....

ჩვენმა საძმო-სამეგობრომ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ,2020 წლის 6 აგვისტოს, 53 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან სამხედრო ისტორიის მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, ერთგული მეგობარი და მოძმე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი გიორგი ალექსანდრეს-ძე გეჟიტაშვილი.

ჩვენთვის ძნელია, შეუძლებელიც კი, გიორგიზე წარსულ დროში საუბარი. სიჭაბუკის საოცარი მძლავრი მუხტი ჰქონდა მას და სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, საოცარ სითბოსა და ხალისს, ოპტიმიზმსა და სიკეთეს ასხივებდა, ძმობისა და სიყვარულის მაგნიტურ ველში მოაქცევდა ყველას, ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონდა მასთან. ამიტომ ძალზე გვიჭირს მისი არყოფნის დაჯერება.

ბატონი გიორგი დაიბადა 1966 წლის 28 ნოემბერს, ქ. გურჯაანში. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1985-87 წლებში იმყოფებოდა ნამდვილ სამხედრო სამსახურში (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში).

პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშეც. 1992-93 წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში აფხაზეთში, ძმასთან, ნოდართან (1963-1993) ერთად, რომელიც დაიღუპა ბრძოლის ველზე გმირის სიკვდილით.. 1994-2000 წწ. და 2007-2008 წწ. მსახურობდა ქართულ ჯარში ჯერ ზემდეგად,სემდეგ ოფიცრად, მინიჭებული ჰქონდა უფროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდება, იყო ომის ვეტერანი.

...ჩვენი მეგობარი მრავალმხრივ გამორჩეული პიროვნება გახლდათ. არსთაგამრიგესგან უხვად ჰქონდა მიმადლებული ნიჭი და უნარი, ძალა და შემძლეობა. შესანიშნავი მეცნიერი-მკვლევარი, სტუდენტთა საყვარელი ლექტორი, სამეცნიერო და საზოგადო საქმის უბადლო

ორგანიზატორი, მოსიყვარულე შვილი, მამა და პაპა, სასურველი მოყვარე, უნაკლო მეგობარი, სასიამოვნო თანამეინახე და თამადა.... მისი კაცობის გვირგვინი და ჭეშმარიტად საფიცარი კი – სამშობლო იყო. მის სამხედრო წარსულსა და აწმყოს, ეროვნულ სამხედრო ტრადიციებს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და ელოლიავებოდა, ცდილობდა დაეცვა ყოველგვარი მწიკვლისაგან...

პატრიოტიზმი მისთვის არც ლიტონი სიტყვა იყო და არც ოდენ სადღეგრძელოს აუცილებელი სამკაული, იგი პატრიოტი იყო გულითაც და გონებითაც, საქმიანობითაც და მოქალაქეობრივი პოზიციითაც. ყოველი საქმე, რომელიც კი ქვეყნის ინტერესებს ეხებოდა, საკუთარ საქმედ მიაჩნდა, სამშობლოს ყოველ გასაჭირს საკუთარ გასაჭირად თვლიდა, მოძმეთა სიხარულით ხარობდა, მათი წარმატებებით ამაყობდა, ამიტომაც იყო, რომ თავის თანამოაზრეებთან ერთად გახდა საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თანადამფუძნებელი.

არა გვგონია ჩვენს შორის ბევრი იყოს ისეთი, ვისაც სხვათა ღვაწლისა და ამაგის საქვეყნოდ წარმოსაჩენად, სხვათა დამსახურების ნათელსაყოფად იმდენი შრომა გაეღოს, რამდენიც ჩვენს მეგობარს – გიორგი ბეჟიტაშვილს აქვს გაღებული. ამიტომაც იყო იგი ასე გულრწფელი სიყვარულით გარემოსილი....

გიორგი ბეჟიტაშვილმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, განსაკუთრებით ჩვენი სამხედრო ისტორიის კვლევის საქმეში. მის კალამს ეკუთვნის 16 მონოგრაფია (მათ შორის 6 დამხმარე სახელმძღვანელო), 100-მდე სამეცნიერო სტატია დაბეჭდილი სამამულო და საზღვარგარეთის სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებსაც მომავალში გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი....

... სიკვდილი მას შემოქმედებითი ენერგიით აღსავსეს და ახალი გეგმების აღსასრულებლად შემართულს წამოეწია....

თავის ხანმოკლე სიცოცხლეში უამრავი რეგალიით იყო შემკული და დაფასებული ბატონი გიორგი.

2011 წლიდან იყო ჯ. ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის აკადემიკოსი და სწავლული მდივანი, ასევე საერო აკადემია –,,ფაზისის“ აკადემიკოსი. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. იმავე წელს მიენიჭა დავით აღმაშენებლის პრემია (პროფ.ე.მამუკელაშვილთან ერთად).

2018 წელს ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა მიანიჭა მას – „კულტურის ამაგდარის“ წოდება და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია.

2018 წლის ოქტომბერში ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიენიჭა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია..

2018 წლის 29 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II გადასცა მას საპატიო სიგელი – „საზოგადოების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის და ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის“.

2018 წლის დეკემბერში გადაეცა იაკობ გოგებაშვილის სახელობის ვერცხლის მედალი და დიპლომი პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

მისი გვარი შესულია,,ქართულ ბიოგრაფიულ ლექსიკონში“.

.....გიორგი ბეჟიტაშვილი დაკარგა მისმა დიდმა ოჯახმა – დედამ, შვილმა, შვილიშვილებმა, ნათესავებმა, მეგობრებმა, უბანმა, ქალაქმა, მთელმა ქვეყანამ, რადგან იგი ჭეშმარიტად საქვეყნო კაცი იყო.

უკანასკნელ გზაზე გიორგის მისი უამრავი დამფასებლის ცრემლი და მწუხარება მიაცილებდა. ამიერიდან ვეღარ ვიხილავთ მის გულრწფელ ღიმილს, რომელიც ჭეშმარიტად გარიჟრაჟს ჰგავდა. იგი ზეციურ საქართველოში გადასახლდა, მაგრამ ჩვენს გულებში სამუდამოდ დაიმკვიდრა ხსოვნის ნავსაყუდელი...

ნიკოლა ბაღაშვილი

ბრწყინვალე რაინდი გარდაიცვალა, გიორგი ბეჟიტაშვილი, – ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის სწავლული მდივანი, მწერალი - – ღრმა მოაზროვნე და ერუდირებული კაცი, – გული დამწყდა არა მარტო მე, ეხ! ჩემო გიორგი დედა, დე გულნაზი რა დღეში იქნება ახლა, ვუსამძიმრებ შემს მონაგარს, ჩემო გიორგი, შენი წასვლით მეუღლეს, შვილებს შვილიშვილებს, დაე,იცოდნენნ რომ მაღალი სულის ადამიანი იყავი, მაგრამ, ვაი, რომ აღარ ხარ, მაგრამ შენ იქნები სამარადჟამოდ ჩვენო გიორგი, ვიდრე შენები ცოცხლები იქნებიან და შენი დაწერილი წიგნებით ხვალინდელი თაობაც გაიზრდება –ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ბოლო შეხვედრა ჩვენი კი, იმ კაცობით იყო ნასათუთევი, როცა ხალისიანები დავბრუნდით საჩხერედან როცა დე-გულნაზი ხარაიშვილი მიწვეული იყო, თავის იუბილეზე, პოეტირი სილამაზის ეიფორია საჩხერის კულტურის სახლში, ბატონები -მწერალ რეზო მიშველაძის ფრთიანი სიტყვა და მხატვარ რეზო ადამიას გამოსვლა და მოფერება დესადმი, შენ და ჩვენი ლამზირასი{შეყილაძე}, ლეილასი {გაფრინდაშვილი}ლექსის სტრიქონებით, თემურ გოქსაძის შთამბეჭდავი გამოსვლა და მასპინძლების სითბო და ბავშვების ლამაზი კონცერტი – მერ მე და თქვენ, ერთად, მეტროში უკვე რა გეგმებს ვაწყობდით სიკეთისა და სილამაზისას, ვაი, რომ მიღალატე და ნაადრევად წახვედი, არ ვიცი გული დამწყდა და ამ გულის მოშუშებას ისევ შენი თბილი ღიმილის მოგონება და სულის სისადავე თუ უშველის, შენიი წასვლა მეტკინა.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)



დღეს შვილივით საყვარელი, გიორგი ბეჟიტაშვილი, ცათა სასუფეველშია, ის, სხირტლაძეების სიძე იყო. აფხაზეთის მოუშუშებელი ტკივილებით დადიოდა, ერთადერთი ძმა, ტერიტორიულ მთლიანობას შეეწირა, თვითონაც სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მონაწილე, იყო. სრული პროფესორი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის სწავლულმა მდივანმა, არა ერთი სტუდენტის აღმზრდელმა, დაგვტოვა და შეუერთდა მარადისობას. რამხელა ტკივილია რომ, მის ოთხმოც წელ გადაცილებულ დედას, ორივე შვილი, ზეცაში ყავს. გიორგი ბეჟიტაშვილი იყო, მწერალთა კავშირის წევრი, რამოდენიმე აკადემიის აკადემიკოსი. მომსწრე გავხდი იმისი, როგორ ტიროდნენ მისი მეგობრები, გენერლები, მამუკა გოგიტიძე და მამუკა გოგოლაძე. გიორგი, ჩემო მოწესრიგებულო, შვილივით ერთგულო, ახლა ზეცაში ხარ, ჩემს შვილთან გელა სხირტლაძესთან და ჩემს ძმისშვილიშვილთან, დათა შუბითიძესთან ერთად. ილოცეთ საქართველოსთვის, ილოცეთ, თქვენი მეგობრობისა და ოჯახის წევრებისათვის. რამდენი რამ მაქვს მოსაგონარი, შენ ერთგულების მძლავრო საყრდენო, ახლა ეგ, გული ძალზე შორს არი, აქედან უნდა თვალი გადევნო.

წახვედი
(გიორგი ბეჟიტაშვილს)

წახვედი, დარდის პირამიდებით...
აკადემიის შვილო, გიორგი,
მითხარ, ზეციდან რას დამპირდები,
იმედად ჩემთვის რომ დადიოდი?
სილამაზის და ნიჭის რაინდო,
მწერალო, მამავ და ტკბილო, ბაბუ...
შენ ბედისწერამ, რად არ დაგინდო,
გარდაცვალების რომ გთხოვდა საბუთს.
მოწყდი, ვით ისე, როგორც ყვავილი,
ორმოცდაათი წელი ათვალე...
უღალატო და გულით ალალი,
გენდე, საკუთარ შვილად ჩაგთვალე.
შენ ჩემს ტკივილებს იზიარებდი,
მადლის სათესად დაბადებული...
დაფუსფუსებდი, აქ, ტრიალებდი,
სიკეთის თესვით დავადებული.
აფხაზეთიში და სამაჩაბლოში,
კვნესიან შენი სისხლის წვეთები...
შენ ჩემი გულის სამოსახლოში,
ჩენს შვილს ზეცაში შეეფეთები.

ნათელა გეგუჩაძე

გულით მსურდა, ასეთი მეუღლე გყოლოდა



ბატონო **ირაკლი ანდრიაძე** ჩვენი სიძე გახლავთ, მისნაირ სიძეს კი ყველა ოჯახი ინატრებს. საზოგადოება მათ იცნობს და ახალს, ალბათ, ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ პირადად, როგორც ოჯახის ახლობელი, მედნიერი ვარ იმით, რომ მათ შესანიშნავი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები გაზარდეს, ძალიან მიყვარს მშვენიერი, გონიერი და თბილი შეხვედრის მქონე თეიმურაზის მეუღლე – ქალბატონი ნატა.

მე და ციალა თითქმის თანატოლები ვიყავით და ერთად ვიზრდებოდით ხშირად ერთადაც გვეძინა. ამდენად, ციალა ჩვენს ოჯახში მეშვიდე შვილად ითვლებოდა.

ჩვენ სხვადასხვა ჯგუფში, მაგრამ ბაღშიც კი ერთად დავდიოდით. ერთი და იგივე სკოლა დავამთავრეთ. ამხელა სოფელში სახლში დასაბრუნებლადაც გზა ერთ მხარეს გვქონდა, სკოლაშიც წარჩინებული მოსწავლეები ვიყავით. წითელი დიპლომით დავამთავრეთ უმაღლესი სასწავლებელიც. ციალა ირაკლის გაჰყვა ცოლად, მეც შევქმენი ოჯახი და ვეწეოდი ცხოვრების ჭაპანს. აქვე უნდა ვთქვა: ნათქვამია „გემოვნებაზე არ დაობენო“ – ციალა ჩემს თვალში იყო ულამაზესი გოგო, უამრავ მის დადებით ღირსებაზე შეყვარებული ვიყავი და მისი მეუღლე, ჩემი აზრით, უნდა ყოფილიყო ყოველმხრივ გამორჩეული და საუკეთესო.



ციალა სტუდენტობისას (მარცხნიდან პირველი)

... ერთ დღეს ირაკლიმ მე და ციალა ჩაგვიყვანა მშენებარე სამების საკათედრო ტაძრის დასათვალიერებლად. გადავირიე, რადგან ასეთი გრანდიოზული მშენებლობა არც არასდროს მქონდა ნანახი, რკინა-ბეტონით ამოშენებული, დიდი ქვაბული იყო ამოღებული ამ გიგანტური ტაძრის ასაგებად. ვნახე სიცხეში მზით გარუჯული ადამიანები, რამდენ ოფლს აწურავდნენ სამების ტაძრის საძირკველში. როგორ შრომობდნენ... მაშინ ირაკლიმ მითხრა, რომ ტაძრის მშენებლობაზე დასაქმებული მუშები მხოლოდ ადგილობრივები არიან და ყოველი კაპიკი, ხელფასის სხით გაცემული, ამ გაჭირვების ჟამს ჩვენი ხალხის გამოკვებაში იხარჯებაო...

ირაკლის შემხედვარემ მაშინვე ვიფიქრე, დღევანდელი საქართველოს მკვიდრნი რა ბედნიერები ვართ, ამ ტაძრის მშენებლობის თვითმხილველები და აღმშენებლები რომ გავხდებით-მეთქი!

უკან დაბრუნებულები ირაკლიმ მისი მეროზისას აშენებულ და აღდგენილ უამრავ შენობასთან შეგვაჩერა, მაგრამ მე უკვე აღარაფერი მესმოდა, რადგან ისევ სამების დიდებულ ტაძარზე ვფიქრობდი...

***

გავიდა დრო, სამების ტაძრის მშენებლობა დამთავრდა. ალაგებდნენ იქაურობას. ტაძრის გახსნა 2004 წლის გიორგობას, არა მარტო საქართველოს, მთელი მსოფლიოს მართმადიდებელ საზოგადოებას უნდა ეზეიმა. მართალი გითხრათ, ამ ზეიმზე მოხვედრა მეც გულით მინდოდა... და ამ დროს გავიგე, რომ ჩემი ირაკლი დააპატიმრეს. გადავირიე... მივყავდი ციალასთან სახლში (იმ დროს ყიფშიძის ქუჩაზე ცხოვრობდნენ). რას ვხედავ... ციალა ტირის გულდათუთქული. სახლში კი იმდენი ხალხია, რომ ფეხზე დასადგომი ადგილი არ არის. ეხვევიან ციალას, ამშვიდებენ, ეფერებიან არსაკიძის მოკვეთილ მარჯვენას იხსენებენ. მე კი, მიმჯდარი ვიყავი ჩემთვის კუთხეში და ვფიქრობდი „ყოჩაღ, ოჯახიც ამას ჰქვია, – მარტო მე კი არა, რამდენი გულშემატკივარი ჰყავთ ამ ადამიანებს-მეთქი“. იმ ღამეს ციალასთან დავრჩი, მერეც ხშირად მივდიოდი მასთან. სახლში ყოველთვის უამრავი ადამიანი იყო, ტელეფონის ზარის ხმა გამუდმებით ისმოდა. ყველა მომსვლელმა და დამრეკავმა იცოდა, რომ მათ აღრიცხვაზე აიყვანდნენ, მაგრამ მაინც მოდიოდნენ...



ირაკლი ანდრიაძე და ციალა ხაჟალია შვილთაშვილებთან — კონსტანტინე და ცოტნე ჩიქოვანებთან ერთად

ირაკლი გაათავისუფლეს თუ არა, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მაშინვე სამებაში დააბრუნა სამუშაოდ.

***


... ერთ დღეს ციალასთან ერთად ირაკლიმ აშენებული ტაძარი კვლავ დამათვალიერებინა. გავგონდი, ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ სამების ტაძარი ჩემთვის რაღაც განუმეორებელი საოცრება აღმოჩნდა – აღტაცებული შევყურებდი ყველაფერს.

დამთავრდა საეკლესიო რიტუალი. მლოცველები ეკლესიიდან გარეთ გამოვიდნენ და შემოეხვივნენ ირაკლის, ცდილობდნენ მასთან მიახლოებას, უკოცნიდნენ ხელებს და ზეცისკენ თვალაპყრობლნი ლოცულობდნენ მის მარჯვენას და უფალს შესთხოვდნენ მის ჯანმრთელობას.

ვერ ვიხსენებ ამ სიბრძნის ავტორს, არც იმაში ვარ დარწმუნებული, ზუსტად გადმოგცემთ თუ არა მისგან პირველთქმულს, მაგრამ მიახლოებულ შინაარსს მაინც ვიტყვი: **„ჩემო ძვირფასო, მე შენ მიყვარხარ არა იმიტომ, ვინ ხარ შენ, არამედ იმიტომ, თუ როგორ გამოვიყურები მე შენს გვერდით“**.

კარგა ხანს უხმოდ ვიდექი ირაკლის და ციალას გვერდით. მერე კი ციალას გადავულაპარაკე: – ჩემო ციალა, მთელი ცხოვრება გაატარე ისეთი ვაჟკაცის გვერდით, რომლის მსგავსი მეუღლე, სწორედაც გულით მინდოდა, რომ გყოლოდა-მეთქი!..

დიდი სიყვარულით და პატივისცემით.
12 ივნისი, 2011 წ.



ალექსანდრე მგელაძე
1914-1989 წწ

ალექსანდრე (ალეკა) დიმიტრის ძე მგელაძე დაიბადა 1914 წლის 1 ნოემბერს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზომლეთში, იმ დროისათვის უაღრესად განათლებული, მსახიობური და პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ, მომავალ თაობათა აღმზრდელი პედაგოგის, დიმიტრი (ტიტიკო) ალექსანდრეს-ძე მგელაძის (1988-1964წ.წ.) ოჯახში.

დიმიტრი მგელაძე უაღრესად განსწავლული და მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება გახლდათ.

პირველდაწყებითი განათლება ალექსანდრე მგელაძემ ოჯახში, მშობლიურ სოფელში მიიღო. იგი მცირე ხნით, ოჯახის საცხოვრებლად ქ. სამტრედიაში გადასვლასთან დაკავშირებით, სწავლობდა სამტრედიის რკინიგზის საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის კავშირგაბმულობის ინსტიტუტში ენერგეტიკის განხრით. ამ უკანასკნელის წარმატებით დამთავრების შემდეგ სრულიად ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყო ოზურგეთის რაიონის მაღალი ეწერის ჩაის ფაბრიკაში უფროსი ელექტრიკოსის თანამდებობაზე.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ალექსანდრე მგელაძე არმიაში გაიწვიეს. იბრძოდა ყირიმში, უკრაინაში, ბელორუსიაში, პოლონეთში, გერმანიაში. გამორჩეული საზრიანობისა და მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო ორი ორდენითა და მრავალი მედლით.

ომის დამთავრების შემდეგ იგი მშობლიურ სოფელს და მამისეულ კერას დაუბრუნდა. დაქორწინდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთის მკვიდრ ქსენია ღლონტზე. შრომისმოყვარე ცოლ-ქმარმა მალე აღადგინა და ფეხზე დააყენა დაკნინებული ოჯახი.

1947 წელს ალექსანდრე მგელაძე დაინიშნა ჩოხატაურის რაიონის ელექტროქსელების უფროსად. თავის საქმიანობაში განსაკუთრებული უნარის გამომჟღავნების შემდგომ იგი დაწინაურებულ იქნა ჩოხატაურისა და ლანჩხუთის გაერთიანებული ელექტროქსელების უფროსად. სწორედ ამ წლებში მოხდა ამ რაიონების სოფლებისა და დასახლებული პუნქტების

ძირითადი ნაწილის ელექტროფიცირება, რაშიც უდიდესი წვლილი ალექსანდრე მგელაძემაც შეიტანა. ენაკვიმატი გურულები ე. წ. ,,ილიჩის ნათურის" მაგივრად უმეტესწილად სიტყვა ,,ალესდენს" (იგივე ალექსანდრეს დენს) ხმარობდნენ.

1964 წლიდან პენსიაზე გასვლამდე ალექსანდრე მგელაძე მუშაობდა მახარაძის (ახლანდელი ოზურგეთის) რაიონის სოფელ ნაგომარის ჩაის ფაბრიკაში ელექტრო ინჟინრის თანამდებობაზე.

სადაც კი უმუშავია, ალექსანდრე მგელაძეს, ყველგან იცნობდნენ როგორც კეთილშობილ, თავაზიან, საქმისათვის თავდადებულ, თანამშრომლებთან ტაქტიან ადამიანს... მას,,ოქროს ხელებიან" მუშაკს უწოდებდნენ.

პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი სოფელს დაუბრუნდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოფლის საჭირბოროტო საქმეებში. იყო სოფელ ზომლეთის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ზრუნავდა სოფლის კეთილდღეობისათვის.

ალექსანდრე მგელაძე გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი მჭევრმეტყველებით. იგი ყველა, გარდაცვლილ ნათესავ-მეგობარსა თუ მეზობელს უთუოდ ეტყოდა გამოსათხოვარ სიტყვას, უმეტესად ლექსად გარითმულს და ისე გააცილებდა სამუდამო სასუფევლისაკენ. იგი ლხინის სუფრაზეც თითქმის შეუცვლელი თამადა იყო და ხშირ შემთხვევაში საკუთარი ლექსებით ალამაზებდა სადღეგრძელოებს.

თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ ალექსანდრე მგელაძეს მონაწილეობა არ მიეღო ჩოხატაურის რაიონში ჩატარებულ ფოლკლორულ საღამოებში. მის მიერ განსაკუთრებული სითბო და სიყვარული იგრძნობოდა ბებიის, ბაბუის, მამის, დებისა და ცოლ-შვილის მიმართ. თავს ევლებოდა შვილებს, ხარობდა მათი წარმატებებით. მისი აღზრდის მეთოდი ყოველთვის დამრიგებლური გახლდათ.


სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა და მისი ოთხივე შვილი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, კაცთმოყვარეობით, სინდის-ნამუსითა და კაიკაცობით. ყოველივე ამას მათი დიდი შინაგანი სიკეთე განაპირობებს, რომელიც მათში მამამ ჩანერგა.

ალექსანდრე მგელაძეს პოეტური ნიჭი ალბათ მამისა და განსაკუთრებით ბაბუისგან დაჰყვა მემკვიდრეობით. მიუხედავად ოჯახური საქმიანობის დიდად გადატვირთვისა, იგი უთუოდ გამონახავდა დროს, რომ თავისი ნაფიქრალი ქაღალდზე გადაეტანა.

2014 წლის ნოემბერში ალექსანდრე მგელაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მისმა უფროსმა ვაჟიშვილმა, მწერალმა ელგუჯა მგელაძემ შეაგროვა და ცალკე წიგნად გამოსცა მისი ლექსები და ნოველები, რომელსაც „ნაჯახირევი" უწოდა.

შემონახულია ალექსანდრე მგელაძის პირველი ხელნაწერი ლექსი, რომელიც ფრონტზე წასვლამდე ქუთაისში მყოფს დაუწერია, 1943 წლის 10 აგვისტოს. ლექსი ეხება ძაღლის უპატრონოდ დარჩენილ ძუძუთა ლეკვებს, რომლებიც უპოვია, შეცოდებია და იმ დროს მის სანახავად ჩასული მეგობრისთვის გამოუტანებია თავის დებთან – ნუცა და ციალა მგელაძეებთან აღსაზრდელად.

გურამ კუპატაძე



სამგლივიარო განცხადება
გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქმული დაკრძალვაზე 2020 წლის 9 მაისს

სერგო ილარიონის ძე წურწუმია

აფხაზეთის ა. რ. უმაღლესი საბჭო და მთავრობა, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი, ერთიანულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემია „საქართველო“, სახალხო მოძრაობა „მესამე გზა“, ჯამბულ წურწუმიას სახელობის №94-ე საჯარო სკოლა, საქართველოსა და აფხაზეთის ა.რ. კაზაკთა კავშირები, ჟიული შარტავას ფონდი, მამულიშვილთა გახსენების ფონდი, მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის ეკლესია, ქართველთა და აფხაზთა შერიგების კავშირი „დიოსკურია-2005“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს „დიდი მოურავი აფხაზეთიდან“, აკადემია „ქალდეას“ თანადამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი, ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, აკადემია „საქართველოსა“ და კავშირი „დიოსკურია-2005“-ის პრეზიდენტი, აფხაზეთის ა. რ. კაზაკთა კავშირის ატამანი, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი, აკადემიკოსი სერგო ილარიონის-ძე წურწუმია და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, საძმო-სამეგობროს და სრულიად საქართველოს.

ბატონმა სერგო ილარიონის ძე წურწუმიამ ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მძიმე და რთული, მაგრამ ჭეშმარიტად სახელოვანი გზა განვლო, ძირითადად მუშაობა მოუწია სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოღვაწემ, დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობით. ის ძალიან მომთხოვნი იყო, როგორც საკუთარი თავისადმი, ასევე ხელქვეითებისა და თანამშრომლებისადმი, რითაც საზოგადოების დიდი სიყვარული და მაღალი ავტორიტეტი დაიმსახურა. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მაღალი სახელმწიფო და პოლიტიკური იერარქიის მოღვაწეებთან და არც თუ ისე იშვიათად უხდებოდა მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოსაგანგებო დავალებების შესრულება, რასაც ის პირნათლად, მაღალი პროფესიონალიზმით, ჩეკისტებისათვის დამახასიათებელი ალღოთი და ინტუიციით, წარმატებით ართმევდა თავს. საკმარისია გავიხსენოთ 1973-74 წლებში, მაშინდელი გიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, დღევანდელი ჩვენი ქვეყნის კათალიკოს-პატრიარქის, ილია-მეორის სალიკვიდაციოდ მოწყობილი ტერაქტის აღკვეთისა და ტერორისტების გაუვნებელყოფის, საიდუმლო ოპერაცია კოდური სახელწო-



დებით „ოპერაცია გრიფონი“, რომელიც ჩატარდა უშუალოდ ბატონი სერგო წურწუმიას ხელმძღვანელობით, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურისა და აჟიოტაჟის გარეშე. ოპერაცია გრძელდებოდა 7 თვის განმავლობაში და მასში ტერორისტთა საკმაოდ შენიღბული, გასაიდულოებული 12 კაციანი ჯგუფი მონაწილეობდა.

1992-93 წლებში ბატონი სერგო წურწუმია იყო აფხაზეთის ა.რ. თავდაცვისა და უშიშროების სამმართველოს უფროსი და სამთავრობო აგარაკების კომენდატი, იცავდა გაეროს (ბრუნერი), ეუთოს (ვიდეგარი), რუსეთის (კოზირევი, პასტუხოვი, შოიგუ) და საქართველოს პრეზიდენტის შევარდნაძის უსაფრთხოებას.

ბატონი სერგო, როგორც ხალხური გამოთქმა არსებობს, არის ორ ცეცხლს შუა გამოვლილი მამულიშვილი, ცეცხლის ერთი მხარე არის, ის რომ მისი მამა ილარიონ პავლეს-ძე წურწუმია, მეორე მსოფლიო ომის დროს, 1943 წლის 15 ოქტომბერს გმირულად დაიღუპა ბელორუსიის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში და დაკრძალულია იქვე, გომელის ოლქის, ვეტკის რაიონის, დაბა ბესიდიში. იგი იყო ბელორუსიის ფრონტზე გენერალ პოდოლსკის ადიუტანტი. ხოლო ცეცხლის მეორე მხარეა ბატონი სერგოს უფროსი ვაჟიშვილის, ახალგაზრდა მწერლისა და ჯარისკაცის ჯამბულ წურწუმიასა და მისი, 23-ე ბრიგადის, მე-5 ბატალიონის 106 თანამებრძოლის, 1992-93 წლების აფხაზეთის ომში, კოდორის ხიდთან, გმირულად ბრძოლისა და თავდადების ამბავი.

ამ ამბის გამო ბატონი სერგო ჩაეწერა საქართველოს ჭეშმარიტ, სამშობლოსათვის შვილშეწირულ მშობელთა კოჰორტაში და ასეთები სამწუხაროდაც და საამაყოდაც ძალიან ბევრია, ასეთებია-გიორგი სააკაძე, მემედ აბაშიძე, იოსებ სტალინი, ჭაბუა ამირეჯიბი, რევაზ მიშველაძე,ლევან თედიაშვილი,თამაზ ჭელიძე და სხვა.

ბატონმა სერგომ შექმნა და გამოსცა ძალზედ საინტერესო და ღრმა ფილოსოფიური აზროვნების წიგნები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია, დეტექტიური ჟანრის თითქმის 500 გვერდიანი წიგნი დასახელებით „ოპერაცია გრიფონი“.

2018 წლის 5 იანვარს, მან ამ წიგნის ერთი ეგზემპლიარი, თავისივე ავტოგრაფით, საჩუქრად მიართვა, დაბადების დღესთან დაკავშირებით, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია-მეორეს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ბატონ სერგოს ამ წიგნისა, საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოს წინაშე გაწეული ამაგისა და ღვაწლისათვის და მას „საქართველოს მემატიანე“ უწოდა.

ელგუჯა მგელაძე

მილოცვა



ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ნუგზარ ნადარაიას ახლახანს დაბადებიდან 75 და საზოგადო მოღვაწეობიდან 50 წელი შეუსრულდა.

იგი დაიბადა 1945 წლის 26 თებერვალს ქალაქ ფოთში. მისი მამა ოთარ ნადარაია იყო ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე.

დედა, რუსუდან გველესიანი სახალხო ექიმი. იგი წარმატებით მონაწილეობდა კოლხეთში მალარიის დაავადების სალიკვიდაციო პროფილაქტიკურ სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში.

ნუგზარ ნადარაიას დამთავრებული აქვს საქართველოს აგრალური უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ასპირანტურა, აგრარულ უნივერსიტეტში იყო სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე.



სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილებების ქიმიზაციის სამმართველოს უფროსად, საგეგმო-ეკონომიკური მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად; ინსპექტორად; პარტიის ხობის რაიკომის პირველ მდივნად (1975-1986), პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად (1986-1991), საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი იყო ქალაქ ხობიდან (1992-1995); პარლამენტში ფრაქცია ,,ნეიტრალებისა" და პოლიტიკურ კავშირ ,,თანადგომის" შემქმნელი და თავმჯდომარე; პარლამენტის კოლეგიის წევრი; ფოთის მერი; საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული (1995-1997); საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე (1997-2000); ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცეპრეზიდენტი 2001 წლიდან, თანაპრეზიდენტი 2009 წლიდან; პრეზიდენტი 2012 წლიდან. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი. დაიცვა დისერტაცია თემაზე: ,,საქართველოს საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხები", არჩეულია მეცნიერებათა მრავალი აკადემიის ნამდვილ წევრად. ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და ბიოგრაფიული წიგ-

ნებისა. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით; ცოტნე დადიანისა (1999) და გიორგი ჭყონდიდელის (2005), ქვეყნის, ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის. წმინდანებად კანონზომიერების სახალხო მოძრაობის ინიციატორი და თავმჯდომარე, ფოთში აღდგენილ სამეგრელოს ისტორიულ მოედანზე 1996 წელს საქართველოს ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმის ინიციატორ-ორგანიზატორი, პარლამენტართა დარბაზის პრეზიდიუმის წევრი, ფაზისის ეპარქიის საეკლესიო საბჭოს წევრი, საპატრიარქოს წარმომადგენელი სამეგრელოში და მხარის გეოგრაფიული ატლასის სამეცნიერო საბჭოს, გაზეთების „ფაზისი", „დიოსკურია", „ნიკოლაძის გზით", „აფხაზეთის ხმა" სარედაქციო საბჭოების წევრი, საზოგადოებრივი მოძრაობა ,,ჭყონდიდელ-ცოტნეიდელის" დამაარსებელი და თავმჯდომარე. არჩეულია საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის, სპორტსმენთა ლიგის საპატიო წევრად. არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მიღებული აქვს საფრანგეთის ქალაქ აგდეს, ბულგარეთის ქალაქ ვარნასა, ფოთსა და ხობს შორის დამეგობრებისათვის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საპატიო დიპლომები.

არჩეულია საფრანგეთის ქალაქ აგდეს, ბულგარეთის ქალაქ ვარნას, უკრაინის ქალაქ გოროხოვოს, ლიტვის ქალაქ კრეტინგას, ხობის, იყალთოს, ჩარგლის, მარტვილისა და ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქედ.

ნუგზარ ნადარაიას 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II მას სპეციალური მილოცვა გამოუგზავნა.

საქართველოს ჯუმბერ ლეჟავას მრავალფუნქციური საერთაშორისო აკადემია და ჟურნალ „ათინათის" რედაქცია მის ერთგულ მკითხველებთან ერთად ულოცავს ბატონ ნუგზარ ნადარაიას დაბადების 75 და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავს. უსურვებს ჯანმრთელობას, გედნიერებას და ახალ ახალ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სამწუხაროდ, იუბილარი ნუგზარ ნადარაია ახლა ზეცაშია და გვლოცავს.



ლადო ასათიანი – ქართველი პოეტი. დაიბადა 1917 წლის 14 იანვარს ცაგერის რაიონის სოფ. ბარდნალაში. ტუბერკულოზით გარდაიცვალა 26 წლის ასაკში. სიცოცხლეში თავისი წიგნის გამოცემით მონიჭებული სიხარული არ უგრძვნია. (1917 – 1943)
ქვემოთ წაიკითხავთ მის ლექსებს.

* * *

მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ
და მგაგებებს სიმინდი ლახვარს.
მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ
და დილის ნამით გაილუმპები…
თუ ეს ერთხელაც არ განგიცდია,
სიტყვის უთქმელად დაიღუპები.
ან როცა იწყებ სიმინდის მოროდს
და ფეხზე სველი მიწა გეყრება…
თუ ეს იგრძენი, ცხოვრების ბოლოს
ცვრიანი სიტყვა არ გაგეყრება.
მე ქალის თმების სურნელის მსგავსად
ვეტრფი მოხნული მიწის ოხშივარს,
ამიჩქარდება სისხლი ველური
და ვაჟკაური ლექსი მომშივა.
მე ქალის თმების სურნელის მსგავსად
მათრობს სიმინდის ულვაშის სუნი…
ლექსის სათქმელად რომ ვემზადები,
ვარ ოჯალეშით გულდასისხლული.
მე მხოლოდ მისი სახელი მიყვარს,
ვისაც სიცოცხლე ამგვარად მიჰყავს,
და მხოლოდ მისი ცეცხლი მედება,
ვისაც ასე სწამს შემოქმედება.

საქართველოში

საქართველოში იბადებოდნენ
და შემდეგ მუდამ სწუხდნენ ამაზე:
„ეხ… წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!„
თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს,
ერთი იმედით სიცოცხლე მარად
გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს
საქართველოში როცა კვდებოდნენ,
უფრო და უფრო წუხდნენ ამაზე:
„ეხ, წუთით მაინ დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!„
ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს!
რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!

თარგმანები



პოემა

მარ ბაჯიევი

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის მე-3-9 ტომსება და
ჟურნალი „ათინათის“ მე-18-38 ნომრებში

მაყვალა გონაშვილი

„დიდება და დღეგრძელობა
ჩვენს ხანთა ხანს, ჩვენს წინამძღოლს!“
იძახოდნენ მეომრები,
„მანასს, მანასს გაუმარჯოს!“
მეომართა შეძახილებს
დიდმა მთებმა მისცა ბანი,
მშობლიური თალასისკენ
გაემართა ქარავანი.
მანასის მამას ერ-ჟაკიპს
სიხარულით უცემს გული,
აუვსია ხურჯინები
ოქრო-ვერცხლით, აბრეშუმით.
სამშობლოში ბრუნდებიან
ხან ბაკაი და აკბალტა
გმირულ ბრძოლით განადიდეს
მათ სახელი წინაპართა.
მოენატრათ მშვიდი ძილი,
სამშობლოსკენ გზაა შორი,
სიხარულის ცრემლი თვალზე
მოსდგომია ხან კოშოის.
შინ ზოგს დედა ელოდება,
ზოგს მეუღლე და ზოგს შვილი,
ეხ, რა იცის ერ-მანასმა,
ხაფანგია ბეიჟინი,
რომ არა ღირს ლაღად ცეკვა,
როცა დგახარ ხრამის პირას,
მტერი თავის დროს რომ ელის,
დამარცხებულს რომ არ სძინავს.
ეხ, რა იცის გმირთა-გმირმა,
რომ მტრის ნდობა არ იქნება,

* * *

რომ არ უნდა აჰყვეს კაცი
მლიქვნელების სიტყვას, ქებას.
ვით ნაცარში ნაღვერდალი,
წყენა გულში რომ არ ქრება,
რომ ცბიერი კონურბაი
საბრძოლველად ემზადება.
რა შეიტყო, რომ მანასმა
ჯარი ტალას გაამგზავრა,
ჩინელები დაიბარა
და კონურმა ასე ბრძანა:
მანასს სისხლი ვაზღვევინოთ,
ახლა არის ჩვენი ჯერი,
გამოვჭედოთ იარაღი,
დადგა ჟამი სანატრელი,
სასიკვდილო საწამლავი
მომიძებნეთ ისრებისთვის,
გმირობისკენ მოგვიწოდებს
წინაპართა წმინდა სისხლი.
ერ-მანასის მზარეული
მოისყიდეს შიიკუჩუ,
დაავალეს ყური უგდოს
სასახლეში ხანის ჩურჩულს,
მანჟუმ კიკინა მოიჭრა[1],
თავზე ჩალმა დაიკოსა[2],
ხელში კაკვი დაიჭირა,
ღატაკივით შეიმოსა.

---

[1] კიკინის მოჭრა ყირგიზთათვის დამცირებას ნიშნავდა.
[2] ჩალმა ეხურა მოხეტიალე მუსულმანებს.

და ბეიჟინის სასახლეს
მიადგა, ვით მათხოვარი,
მოღალატე შიიკუჩუმ
ყალმუხელს გაუღო კარი.
ღალატით და ორპირობით
საუკუნო იდო ცოდვა,
შეიბრალა ვითომ გლახა,
თეთრი პური გაუწოდა,
გაეშურა მანჟუ ხანთან,
გაუხარა გული დიდად,
კონურმა პური გატეხა
და წერილი წაიკითხა.
„ერ-მანასი ყოველ დილით
ნამაზის დროს მარტო რჩება,
სჯობს, ლოცვის დროს მოკლათ ბაღში,
ასეთია ჩემი რჩევა“.
ხან-სარაის მცველად იდგნენ
აკაიარ და ყირგილი,
მთელი ღამე იფხიზლეს და
მოერიათ დილით ძილი.
ვერც შენიშნეს კონურბაი
მოელვარე შუბით ხელში,
როგორც დილის სხივი, ფრთხილად
შეიპარა სასახლეში.
ჰა, მიადგა უკვე ბაღსაც
სისხლისმსმელი კონურბაი,
შუბი მიწაში ჩაერჭო,
ტკბილად თვლემდა აჟიბაი.
მდინარისკენ მიდის გმირი,
წაიკითხავს დილის ნამაზს,
ახლოვდება ავი ჟამი,
ვინ დაიცავს ნეტა მანასს.
აღუპყრია ხელი ცისკენ,
უფალს ჩუმად ევედრება,
ერთადერთი ვაჟის ხილვას,
შინ მშვიდობით დაბრუნებას.

მანასის ლოცვა

შენს წინ დავმდგარვარ მუხლმოდრეკილი
უფალო ჩემო, უზენაესო,
შენი მნათობი გვინათებს გზაწვრილს,
შენ გვიმსუბუქებ სიმწუხარესო.
ზეცას ვარსკვლავთა ხომლით აშუქებ,
წყვდიადმა რომ არ შეგვაკრთოს ღამით
და თან დაგვყვება ჭირშიც და ლხინშიც
უფალო, შენი მოწყალე თვალი.
შენ ხარ ყოველის თავი და ბოლო,
ზოგს სიბრძნეს ჩუქნი, ზოგს ბედს, ზოგს
ძალას,
ზოგს გმირის მახვილს, ზოგს მონის ძონძებს,
ზოგს ხანთა ხანის ბრწყინვალე ხალათს.
შენი მადლია მშვიდობა ქვეყნად,
როცა მრისხანებ, იწყება ომი
და იბადება დედამიწაზე
მტერი, მოსისხლე, სიკვდილის მდომი.
შენ უწყი მხოლოდ, რაც დავიბადე
არ მახსოვს ძილი და მოსვენება,
ომში მრავალი მოძმე დავკარგე,
მარადჟამს იყოს მათი ხსენება.
შენ უწყი მხოლოდ, რაც დავიბადე
მხრებზე მამულის უღელი მედო,
მტრის სისხლითა მაქვს ხელები სველი,
შემინდე ცოდვა, გთხოვ, შემოქმედო.
გვედრი, უფალო, გადაარჩინე
გზააბნელი შვილები შენი
და ჩემმა ხალხმა მშვიდობიანად
დაე, იცოცხლოს ათასი წელი.
გთხოვ, გაუმრავლე რემა და ფარა,
და მოსავალი მიეცი უხვად,
იცხოვრონ მშვიდად მშობლიურ მხარეს
და დაივიწყონ დარდი და ურვა.
დე, ყველა ხანმა, ბედის რჩეულმა,
ვისაც ერგება ბრწყინვალე ტახტი,
მტრისგან დაიცვას მშობელი მხარე,
ჩემსავით გულით უყვარდეს ხალხი.
მიეც მოხუცებს სიბრძნე, ღირსება,
შვილთა სიცოცხლე აჩუქე დედებს,
ვაჟებს მიეცი ძალა, სინდისი,
ნუ გაუცრუებ ქალებს იმედებს.
დე, სიხარულის მომტანი იყოს
დედამიწაზე ყოველი წამი,
გთხოვ, დაიფარე ჩემი სამშობლო,
უფალო, გვედრი!
უფალო, ამინ!

. . .

მდინარესთან მლოცველ მანასს
შუბი დაჰკრა კონურბაიმ,

ხანმა მწარედ დაიღმუვლა,
გაიღვიძა აჟიბაიმ.
არსად ჩანდა ხან კონური,
თითქოს მიწამ უყო პირი,
დღემდე არვის არ ენახა
წაქცეული გმირთა გმირი.
ბეჭებიდან ბასრი შუბის
ამოღებას ცდილობს მცველი,
სისხლისფერად შეიღება
ხანის თეთრი სამოსელი.
და ყვირილის ხმაზე იქვე
ალმანბეტიც უცებ გაჩნდა,
ხანს თუმც სისხლი შეუჩერა
ბეჭში შუბის წვერი დარჩა.

გოლიათების დაღუპვა

ქვეყანაში ხმა გავრცელდა
დაჭრილია მძიმედ ხანი,
აღარა აქვთ ყანგაელებს
სავიშვიშო, საწუხარი.
ნესკარმა და კონურბაიმ
გულით გაიხარეს დიდად,
გადაწყვიტეს ბერუტები
გააძევონ ჩინეთიდან.
დაიწყება მალე ბუნტი,
ჩოჩქოლია ბეიჟინში,
გადიდგულდნენ ჩინელები,
აღარ თრთიან ხანის შიშით.
ჯარს გაუძღვა ალმანბეტი,
აფრიალებს წითელ ალამს,
იძახიან ყირგიზები: –
ვაშა დევგმირს, ვაშა მანასს!
ყირგიზების ფარ-შუბები
ირეკლავენ მბრწყინავ სხივებს,
აიჟანჟუმ და კუნჟანჟუმ
მალე უკან დაიხიეს.
მაგრამ ამ დროს თავის ჯარით
კონურბაი გამოვიდა
და მანასის სრა-სასახლეს
შეუტიეს ყველა მხრიდან.
და გაჩაღდა დიდი ბრძოლა,
ისმის ჭახა-ჭუხი ხმლების,
აირია ერთმანეთში
ყვირილის და კვნესის ხმები.
დაერივნენ ერთურთს მტრები
თავგანწირვით, ბრძოლის ჟინით,
ცეცხლის ალში გაეხვია
საარაკო ბეიჟინა.
თავის ზღაპრულ რაშთან ერთად
დაიღუპა ბოკმურუნი,
სისხლისმსმელმა კუნჟანჟუნმა
ისრით გაუგმირა გული.
მტერს ებრძოდა მარტოდ-მარტო
ალმანბეტი, ვით აფთარი,
მას სერეკი მოეშველა,
და მოკვეთა ჟანჟუს თავი.
სურდათ ბადით დაეჭირათ,
სირგაკს შემოარტყეს ალყა,
ყალყზე შედგა კოკჩებიჩი,
ჩინელს ცხვირი დაუნაყა.
სად იყო და სად არ იიყო,
მუზბურჩაკი გაჩნდა წამში,
სამშვიდობოს გამოვიდა
ერ-სირგაკი თავის რაშით,
აი, ჩორო ერ-მანასის,
სულ რჩეული მხედრებია,
მათ ნახვაზე ჩინელები
შიშისაგან ხევდებიან.
თითქოს ლხინში მიდიოდნენ
ისე ლაღად მამაცობენ,
თავს დასდებენ მანასისთვის,
ჩეტ-ბეიჟინს არ დასთმობენ.
ნეტავი რა ჩოჩქოლია?
რა ახარებთ ყანგაელებს,
გამარჯვების ნიშნად ნეტა
რატომ სწევენ ცისკენ ხელებს?
კოზგო ატარი[3] მოსულა
მამაცი შოპშაიდარი,
უბადლო ისრის მსროლელი,
ჩინელების ალამდარი.
მისებრ ბრძოლა, ნადირობა
არვის ძალუძს ქვეყნად სხვასო,
თუ ისურვა, გაფრენილ ქორს
თვალში გაურჭობს ისარსო.

---

[3]კოზგო ატარი – ისრის მსროლელი.

სწორედ მის ისრებს ემსხვერპლნენ
ერ-კოკჩე და მუზბურჩაკი,
შეებრძოლა კონურბაის
უშიშარი ერ-სირგაკი.
გადმოაგდო ცხენიდან და
კონურს დაუმიზნა შუბი,
მაგრამ ამ დროს შიპშაიდამ
ისრით გაუხვრიტა შუბლი.
ჩინელებმა მამაც მებრძოლს
ჩუბაკს ალყა შემოარტყეს,
სურდათ ცოცხლად აეყვანათ
და ესროლეს დიდი ბადე.
ერ-ჩუბაკმა დაიყვირა:
„ყველას გაწყევლინებთ თავბედს,
მძვინვარებდა, როგორც ლომი,
შიშველ ხელით გლეჯდა ბადეს.
ბოლოს მაინც დაჭრეს გმირი
ძირს დაეცა დაისრული,
მამაცმა და უშიშარმა
უფალს მიაბარა სული.
დაიღუპა სერეკი და
მხიარული აიდარი,
რაღა ბევრი გავაგრძელო
თითქმის განახევრდა ჯარი.
მარტო დარჩა ალმანბეტი
გრძნობს, სიკვდილის დადგა ჟამი,
შეღებილა მოძმის სისხლით
მშობლიური ბეიჟინი.
მონობა და დამცირება
არ ისურვა ჩვენმა გმირმა,
გადაწყვიტა, ჩინურ წესით,
ხანჯლით მკერდი გაეგმირა.
სიცოცხლეში მუდამ ტანჯულს
სიკვდილშიც არ ჰქონდა ბედი,
ისარი კისერში მოხვდა,
შებარბაცდა ალმანბეტი.
გამოუდგნენ დაჭრილ მხედარს,
სარალამ იგრძნო ხიფათი,
ისარივით გაიჭრა და
გაიტაცა გოლიათი.
ირჩი-უულმა უთხრა ხანს:
„გლოვა გვმართებს ერ-მანასო,
ბევრი გმირი დაგვეღუპა,
მიტომ წარმეკვეთა სასო,
ტირის დაჭრილი მანასი,
ღმერთო, ასე რად დამსაჯე,
აღარა მყავს მეგობრები
სულ ამაოდ გავისარჯე,
სულ ამაოდ ვღვარე სისხლი
ჩემს გმირობას აქვს რა ფასი,
რად დამტოვე ნეტავ ცოცხლად
უბედური ერ-მანასი.
არად ჩააგდო ტკივილი,
„აკ-კულა შეკაზმეთ!“ - ბრძანა
და სასიკვდილო ბრძოლაში
მეომრები წაიყვანა.
ერთი ას მეომარს ებრძვის
და სიკვდილი უჩანს ჩირად,
ათასობით ისრისაგან
ჯავშანმა გადაარჩინა.
ვერაფერი ვერ დააკლო
მანასს ჩინელების ჯარმა,
ცხენის მოკვლა გადაწყვიტა
ვერაგმა შიტშაიდარმა.
აკ-კულას მოხვდა ისარი,
ცხენი მუხლებზე დაეცა,
დაიყვირა ერ-მანასმა,
თითქოს ჩამოიქცა ზეცა

(გაგრძელება იქნება)

Ratiani Lali **Luara Sordia**



AUS DEM SAMEBAS GLOCKENTURM
Fortsetzung



Dies kann durch die Tatsache gerechtfertigt werden, dass Bejans Schwester Frau Charaischwili Gulnasi und sein Freund Babuchadia Lewan aber damit es nicht eilig hatten, das Buch zu veröffentlichen. Es war nötig die Schriften wenn möglich zu finden.Vieles, aber nicht alles , wie z. B. der Roman: :"Wo der Hundeskopf fastet" wurde es entdeckt worden.

Es ist aber nicht fremd und auch seltsam oder überraschend für die georgische Wirklichkeit und Traditionen, dass sie sich um ihren vorzeitig verstorbenen berühmten Bruder kümmert, aber Gulnasis Verdienst ist in dieser Hinsicht besonders bemerkenswert. Seit Jahren versucht sie Tag und Nacht der Seele eines bereits verstorbenen Bruders zu gefallen und herauszufinden, wie sie seinen Namen verewigen kann.

Sie ist selbst eine vorbildliche Dichterin und Autorin von mehr als einem Dutzend Gedichten oder Prosabüchern. Sie ist Mitglied des georgischen Schriftstellerrates und auch seines Vorstandes. Sie wurde mit Preisen ausgezeichnet, die nach Galaktion Tabidze, Marika Barataschwili und Bejan Charaischvili benannt sind, ausgezeichnet mit der Jakob Gogebaschwili Medaille, hat den Creator Merit Award, Dank vom Haus der Hoffnung erhalten, ausgezeichnet mit dem Stern des Friedens und der Flagge. Unter ihrer Leitung wurde die Multidisziplinäre Internationale Akademie der Wissenschaften Jumber Lejawa auch gegründet, deren Präsidentin, Gründer und Chefredakteur der Zeitschrift "Ahtinati" dieser Akademie ist. Sie ist auch Verfasser und Herausgeber der jährlichen, soliden, dicken Anthologie" derselben Akademie.

Bejans Buch "Schiksal der Poeten" wurde durch Gulnasis engagierte Arbeit zur Veröffentlichung vorbereitet, das im Jahre 2014 gedruckt wurde. Frau Gulnasi ist natürlich Autor des Projekts und auch Buchverfasser, aber Babuchadia Levan –der Redakteur. Diese solide Sammlung enthält Bejans Gedichte und mehrere Kurzgeschichten. Warme Worte, die dem Dichter gewidmet sind, sind dem Buch beigefügt: das ist ein Brief an einen Freund von Babuchadia Lewan, Erinnerung an Bejan von Kobiaschwili Gulo, der Brief von Chunaschwili Anna/ aus Bodbe/ , Thamar Jachvadzes Beispielartikel- "Liebe begann so". Hier sind auch die Gedichte der Autoren, wie Jachvadze Thamari, Schekiladze Lamsira, Nosadze Sauri, Schubithidze Leila, Zanawa Mimosa, Jajanidze Petre, Charaischwili Naili, Chabursania Thinathin, Osiaschwili-Melikadze Liana, Charaischwili Gulnasi, Mirotadze Vaja. Am Ende des Buches lernen wir die Briefe und

Erinnerungen von Lomadze Sergi, Charaischwili Nathela, Tiginaschwili David, Charaischwili Gwanza, Charaischwili Gulnasi, Nosadze Saur kennen.

Interessieten Lesern steht, kurz gesagt, der Roman : "Das Schiksal der Poeten"aus dem Jahr 2014 zur Verfügung, der uns eine vollständige Vorstellung von seiner reflektierenden Lebensweise und seiner philosophischen Poesie gibt.


Das Interesse an der Poesie der Geschwister-Bejan und Gulnasi- ist seit der Jahrzent des laufenden Jahrhunderts von Bedeutug. Es werden über die Geschwister-Bejan und Gulnasi - nicht nur Briefe und Rezensionen, sondern auch separate Monographien geschrieben. In diesem Zusammenhang machen die Bücher, wie "Dankbar"-als Gesang der Seele von Charaischwili Gulnasi, (Tbilissi., 2015"Bejan Charaischwili – **"** Sperber der georgischen Poesie" (Tbilissi 2016) von Luara Sordia, Professorin für Philologie an der Sokhumi State University, auf sich aufmerksam. Beide Bücher wurden von einem wirklich professionellen Philologen geschrieben, basierend auf der tiefen Liebe zur Poesie beider Schöpfer, mit dem Durst nach perfektem Zugang zu ihren eigenen kreativen Geheimnissen…Die ist Luara Sordia, ohne deren Monographien es unmöglich ist, Galaktion Tabidze, Terenti Graneli, Grigol Robakidze, Anna Kalandadze, Rewas Mischweliani, Merab Kortawa, Goderdzi Chocheli.. zu studieren, problematische Fragen ihrer Schöpfung aus einer weltanschauenden, quellenwissenschaftlichen Perspektive zu forschen.

Vor einiger Zeit haben wir schriftlich auf ein Buch von Luara Sordia über Gulnasi Kharaishvili geantwortet. Der Brief "Nischatni Sachangdfeni" wurde in der Zeitschrift "Athinathi veröffentlicht. Er ist in meinem eigenen Buch "Literarische und andere " eingetragen , das 2017 ausgegeben wurde. Wir haben uns bereits mit Sordias bemerkenswerte Monigraphie:"Bejan Charaischwili – "Sperber der georgischen Poesie " bekannt gemacht. Bevor ich an der Monographie arbeitete, habe ich mich gründlich mit dem beispielhaften Buch" Das Geschick der Poeten"bekannt gemacht, auf das sich Sordias Buch erneut bezog. Dieses Buch des Wissenschaftlers hat die Tür zum Geist weit geöffnet. Dieses Buch befasst sich mit der künstlerischen und philosophischen Welt des Dichters. Vor allem gab er mir keine Gelegenheit, meine Ansichten in wenigen Worten auszudrücken. Die ist das Ergebnis der Faszination für diese Monographie. Ich bin der festen Überzegung, dass es die poetische Tätigkeit von Bejan Charaischwili wirklich verdient, solch ein Buch zu erstellen.

Das Buch hat acht Kapitel und diejenigen, die es nicht wissen, werden sich warscheinlich für die Titel interessiert sein : Der Lebensweg von Bezhan Kharaishvili, Schicksal der Poeten, Es lebe Georgien für immer, philosophische Probleme, Vazha Pschavelas Erinnerumngen in der Tätigkeit von Bezhan, Prophetische Visionen, was wird man, was wird man über mich sagen, Einige Fragen kreativer Besonderheiten. Ich habe dies von Anfang an angesprochen, weil von Anfang an klar war, mit welchen Problemen der Autor konfrontiert war.Und wie er damit fertig wurde, wie sich das Buch herausstellte, wird sich der Leser am Ende der Monographie fühlen.

პ რ ო ზ ა

რეზო ადამია



პაემანი სიკვდილთან
ტერენტი გრანელი

ქვეყნის, ერის და პლანეტის სიმდიდრე, შემოქმედებითი გენიის ღვთიურ-პირადული უკეთილშობილესი „მე“ მის მარადიულ შედევრ ქმნილებებში უსაზღვროდ აღიბეჭდება, ხოლო უბრალო ადმაიანისა სივრცეში ბუნებრივად განიბნევა. ჩვეულებრივ-გაურკვევლობით...

მართლაცდა საკვირველი გრანელის ზეციური სიმივით დაჭიმული სული კოსმოგენურ დროთა ჟამში უახლოესი პლანეტათა თუ ვარსკვლავთა უსასრულობაში თავისი კუთვნილი ადგილი ჰპოვა; უთუოდ აქ, რასაც აღელვებით ვწერ, არაა პირადი ფანტაზია გამოგონილი, ყოველივე, ჩვენთვის უკვე შორეული და უცნაური წარსულის მართალი მოვლენებია, რითაც თავის დროს მგოსნის განსხვავებულმა ნიჭიერებამ და მისტიკურმა სამყარომ წარმოშვა. ყოველ გენიათა ხვედრიც ხომ მაგ სახისაა სხვადასხვა ფორმით და თვისება-განწყობილებით ქმნილი. ამ შემთხვევაში მოხდა მიწიერ კოსმოსური მარადისობის კავშირთა უმნიშვნელოვანესი მოვლენა, მაგრამ ძალიან რთული ფორმით. რათა სივრცობრივი გზათა ზეციური შინდისფერი ფრინველი, მგოსანს ვარსკვლავეთური განწყობილებით სავსე მუზის აღმძვრელად ეახლებოდა ხშირად.

ამავ დროს უცნაური ხელოვანის სხეული უკეთურთა დაკვეთით მოვარდნილმა გამეხებულმა სიკვდილმა დაუზოგავად და უდროოდ შეავიწროვა, დაწურა, თითქმის საბოლოოდ დაწრიტა, მოუსვენარი უმდიდრესი სული უხეშად და გამეტებით ამოსტყორცნა სხეულიდან და წრიული ტეხილი ხაზებით განწირულად ირიალა უსიცოცხლო სხეულის ირგვლივ თითქოსდა უკვდავმა შვება იგრძნოო, მაგრამ ზედმეტი თავაშვებულობით გამოუცდელი განმარტოება იგრძნო და უხილავ სევდად დაიღვარა გაქვავებული სხეულის ირგვლივ. მერმე განცვიფრებულმა მოინდომა უკანვე შებრუნება, მაგრამ ცივ ლოდად ქცეულმა არ მიიღო და ისევ გამწარებული ეული სული სივრცის უსასრულობაში ნერვიულად გაიჭრა.

„სული ღმერთია, ადამიანის სხეულში რომ უპოვნია თავშესაფარი“. სენეკა. ყოველივე ეს ნათლად ხილული სუფთა კოსმოსური დრამა, წარმოუდგენელ ტრაგედიამდე განწირულის მისვლაცაა. მაგრამ მგოსანთაგან გამორჩეულს შორეული კოსმოსი ამ სახის გზით მიელოდა. შემდგომ, პოეტის სულის მუდმივი სამყოფელი მხოლოდ ვარსკვლავეთმა თუ იცის და იშვიათ სამყაროთ მგრძნობელმა პიროვნებებმა... ზემიწიერი უმძიმესი ფუნქცია დამთავრებული იყო, პირველი და შავბნელი დროისა. დანარჩენი შემდეგი უხილავი მოვლენები ჩვენთვის მიუწვდომელია. შემოგვრჩა მგოსნის მხოლოდ ნათელ ლექსად გოდება უნიჭიერესი აღიარება ზეციურ და მიწიერ ჭეშმარიტებაზე. ირგვლივ კი შორეული ბნელეთი და ვარსკვლავთ მისუსტებული ციმციმი ჩანდა. აქვე საფლავებთან ახლოს სიკვდილთან არასოდეს არმომხდარი და პირველი ტრაგიკული პაემანი დამთავრებულიყო. მიუწვდომლობის და მარადიულობის უზარმაზარ მომავალს მუქი ცისფერი თვალი

ფართოდ გაეხილა, საიდანაც სამყაროს უკიდეგანობა ანათებდა.

ქალაქში ცოტა ვინმეს თუ შეუმჩნევია ტერენტის იმ ქვეყნად გამცილებელ უცნაურად შემფუთველი იდუმალი ზეწარი, რომელიც სურამის ფსიქიატრიული ცენტრიდან წამოეღო, მოყვითალო-ცისფერ-ვარდისფერებში რომ იყო ფერგადაკრულ-შეფარული; მოვლენათა ყველაფრის შემდგომ შავხელთათმანიანმა, საავადმყოფოს დამლაგებელმა ქალმა ზიზღით სანაგვეში რომ გადააგდო. მერმე შუაღამეს ვიღაცას შეუმჩნევია უდიერად დაჭმუჭნული, კუთხეში მინაგავებული თეთრი მოფერადო მატერია ცისფერყვითლებით ფოსფორივით ანათებდაო...

„მოწამეებმა უფრო მეტი რწმენა შექმნეს, ვიდრე რწმენამ მოწამენი“. მიგელ დე უნამუნო.

გრანელი თითქოს ვიღაცას, გამოკვეთილად განსხვავებულ უხილაობას შეხვდა უმოკლეს დროში მკვახედ და მელანქოლიურ-წყვეტილად ელაპარაკა, თან მარტო იდგა ტანგაშეშებული. ბნელ უხილაობას აგრე დაძაბული ესაუბრებოდა, მაგრამ მისი პასუხი, ჩურჩულიც არ ისმოდა. ამჟამად ფიზიკურად თითქოსდა სრულიად მარტო იყო ტერენტი ცისქვეშეთში და მძაფრი იმედ-განცდები ეუფლებოდა იქაურობას.

სურამის საგიჟეთიდან უკანასკნელად გამოიწვია ბნელეთურმა ზეძალამ, ტერენტი გრანელი აღელვებული თითქმის ნერვიულად უფრო გახელებული მოიჩქარის თბილისისაკენ და ქვეცნობიერად გრძნობს, რომ უნდა შეხვდეს სიკვდილს, რათა გაექცეს აქაურობას და უკანასკნელად გაიჭრას ნანატრ ვარსკვლავეთში.

„არც ერთ დიდ გონებას არ უარსებია საგიჟეთთან შეხების გარეშე“. გოეთე.

მდუმარედ ვიტყვით როგორც ყველა მოკვდავი, გრანელის გარდაუვალი მიწვევა იდუმალებებით სავსე იყო, იმ ღამეს პოეტი უკანასკნელად შეიმოსა თეთრი ზეწრით და მოციქულივით გამოეცხადა პლანეტარიუმს და მის იდუმალება დაუნდობლობას გულნაღვლიანი დაელოდა დროის და სივრცის უძლიერეს თანამგზავრს. შესრულდა გრანელის დიდი ხნის ფიქრ-ოცნებაც. მოხდა მიწიერ-კოსმიური მარადიულობის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, მაგრამ ძალიან მტკივნეული ფორმით, შეწირული ბოლომდე ვერ გრძნობდა ყველაფრისგან გაღიზიანებული რომ უმთავრესს კარგავდა, კოსმოსი ხომ თავისი იდუმალებებით სრულ ალბათობაშია მოქცეული და...

შორეულ მიუწვდომლობითი სირთულეებიდან გამომდინარე, ხოლო მიწიერი სიცოცხლე და მისი თითქმის ხილული დიდება თუ დაცემა, უსასრულო სივრცისთვისაც ბოლომდე გაურკვეველია, ორმაგად ცეცხლის კორიანტელში მოქცეული ტერენტი იძულებული იყო, სიკვდილთან პაემანს გონიერი თანხმობით უნდა შეხვედროდა

დაღლილ-დაქანცული პოეტი მთელი დღე სიზმარეულივით ქუჩებში დაბორიალობდა და თუ სადმე ყვავილები იყიდებოდა, თავდაღუნული, მეყვავილეებს მორიდებით ეკითხებოდა შავი ვარდი ხომ არა გაქვთო! ან სად შეიძლება შევიძინოო? ამ დილას ალიონზე სასაფლაოზე რომ გაიარა სივრცის იდუმალმა დამსჯელმა ძალამ შავი ვარდი მოთხოვა, წალენჯიხელი მწირი მორჩილად ასრულებდა ამ ბრძანებას და ვერსად ქალაქში მაგდაგვარი ვარდის ნასახსაც ვერ მიაკვლია. ზეწარშემოხვეული გაცვეთილი ფოსტლებით დაიარებოდა, შემხვედრი ხალხი გაკვირვებული შეჰყურებდა. ყველა გრძნობდა მათხოვარი არ იყო. გიჟი? მაგ დასკვნამდეც ვერ მიდიოდნენ. ბავშვები ახლოს არ ეკარებოდნენ. ნამდვილმა სულით ავადმყოფმა, წვერებგაბურძგვნილმა შუახნის კაცმა სახემოღრეცილმა ჩაუარა და ისიც ემოციააყრილი ნერვიულ მზერას არ აშორებდა. ტერენტის გამოჩენის მერმე, რუსთაველზე მომრავლდა ყორნები და ბეღურები, უკვირდა პოეტს, ალბათ სურამიდან გამომყვნენო.

სოლოლაკში, ძველ უბანში, სადაც მდიდარი სომხები ცხოვრობენ, მორიდებით ეზოების დათვალიერება დაიწყო, ეგებ შავი ვარდი სადმე, შემთხვევით შევნიშნოო. ქვისა და ქვითკირისგალავნიან კოხტად მოვლილ ეზოში რკინის დეკორატიული კარი გააღო, შეიხედა და დაი-

ნახა, ყვავილნარი იყო გამართული ულამაზესი, მრავალსახეობა ვარდებისა ჯგუფ-ჯგუფად რომ კეკლუცობდნენ. ამ დროს, მათში განაპირას შენიშნა საოცრება ახლად კოკორგაშლილი შავი ვარდი. გახელებულივით კინაღამ დაუკითხავად მივარდა, მაგრამ სადარბაზოდან თეთრბერეტიანი შუა ხნის ულამაზესი შავგვრემანი ქალის გამოჩენამ შეაჩერა, და გაისმა მკაცრი ხმა: აქ რას აკეთებ, კაცო! ვინ გინდა, ეზოში რაზე შემოხვედი? მაშინ უნებლიეთ წამოსცდა გრანელს: მე პოეტი ვარ. ემანდ შავი ვარდი რომაა, თუ შეიძლება, ერთი ცალი მაჩუქეთო! გაკვირვებულმა ქალბატონმა იფიქრა, ამ ფორმის და ასეთი შეხედულების უცნაური ადამიანი პირველად იხილა და ვარდს ითხოვს, თანაც მხოლოდ შავს. მერმე უთუოდ დიასახლისმა მოსამსახურეს თუ მეზობელს შესძახა: სურენ, ემანდ შავი ვარდი, ამ კაცს აკურატნად მოუწყვიტე და მიეცი!

ტერენტიმ ნანატრი ვარდი სათუთად უმალ გულის უბეში ჩაიდო, ქალბატონებს მადლობა გადაუხადა, მერმე ღიმილით ეუბნება მათ, მე ამ სილამაზეზე ლექსი შემიძლია მოგართვათ. არა! არ გვინდა, კარგად იყავი, მიუგეს! ეზოდან დუმილით გამოვიდა და ვიწრო ქვაფენილიან ქუჩას დაუყვა. სიხარული არ იყო, რაღაც უფერული განწყობილება შეეპარა გრანელს და მძიმედ დაინისლა მგოსნის სულგული, გაურკვეველი სევდა და ძლიერი დეპრესია დაეწყო. მიდიოდა არეული ნაბიჯებით და ირგვლივ ვერაფერს ვერ ამჩნევდა.

„როცა უკან იხევ, სიკვდილი შენს უკანაა, ასე რომ, თქვენი შეხვედრა გარდაუვალია“. იბნ ანბუ თალიბი. ნეტავ მალე დაღამდებოდეს, დროზე მივიდე და ყოველგვარ სიცოცხლე პოეზიაზე განსხვავებულ შემზარავ უხილაობასთან უნდა გამოვცხადდე, შავი ვარდი უკვე მაქვს. ვიღაცამ შორიდან გახარებულმა, ტერენტიო! დაუძახა, – არა, მე ტერენტი არა ვარო და სიარულს აუჩქარა, ამაღამ უფრო გაირკვევა, მე ვინცა ვარ და სად წავალ, კი არ გავიქცევი აქედან ისე: ზეკანონები ხომ ყველაფერს მოაგვარებენ და ცივი ცრემლით გაევსო თვალები.

სამწუხაროდ პოეტისგან ლექსის წერა და ფიქრი შეწყდება სარწმუნოებაზე, სამშობლოზე, საფლავებზე-ვარსკვლავეთზე და დებზეც, იქ! არ ვიცი ვის ჩავბარდები, მაცხოვარი და ღვთისმშობელი რომელ მხარეს გამამგზავრებს, ხო! როგორი ზღვა – ოკეანე თუ უსასრულო გარემო სივრცე მრავალთვისებიანი ვარსკვლავებით მელოდება ჯერ გაურკვეველია; ისე ამ ჯოჯოხეთად ქცეული ქვეყნის დატოვებაც მენანება. დიდი ხნის მერე თუ მეორედ მოვალ?! როგორ არ მინდა ამ ქვეყნად მეორედ მოსვლა, ალბათ მე კი არა, მაცხოვარსაც გაუჭირდებოდა ამათგან მეორედ წამება-ჯვარცმა, მაგრამ უკიდეგანო სამყაროს მიუწვდომელ ნებას რა ან ვინ უდგას წინ, განმარტოებისას ხშირად ამდაგვარ აზრს ბუტბუტებდა მრავალ დარდშეჭმული გრანელი. მერმე, ვაიმე დედა!, უცებ წამოცდა გრანელს, რატომ გამიქრა აგრე უძიროდ სევდა, დარდი, სულიერი ფორიაქი და დამერთო ნერვიული უკმარისობა და არაა ჟინი: მათ უმისოდ ხომ პოეტი არავარ, ეს უკვე გამოფიტვას ნიშნავს. არ მოველოდი ასეთ, დღის უკანასკნელ განაჩენს, ღმერთო ჩემო დამაბრუნე თუ არა, უკვე მათ დავემსგავსე, ყოველიე ეს უკვე, როგორც პოეტისა სიცოცხლე-შივე სიკვდილია; თუმცა... უბნის უპატრონო ძაღლები ისევ აედევნა, საიდანღაც ხის კენწეროდან ყვავის ხმა – ჩახლეჩილ-გაგულისებული ღნავილი ისმოდა და მათი ხიდან-ხეზე უთავბოლო გადაფრენაც შეინიშნებოდა...

უმთვარო ღამე იყო ვარსკვლავებმრავალი, მშვიდი. სამხრეთ-დასავლეთით სადღაც დიდმა კუდიანმა ვარსკვლავმა გაანათა, ზე-ვარსკვლავიანი ბნელეთი ხანჯალივით გაჭრა; უფრო, სამხრეთით გაქანდა და ცის შორეულმა სივრცემ შთანთქა. უაზროდ გაეღიმა გრანელს და უსახელო საფლავის ქვას მოეფერა, შენ რაღა გიჭირს, მუდამ დადუმებულო! დიდი ხანია ეს ყველაფერი მოისტუმრე, მაგრამ მჯერა, მე თანამიგრძნობ. ირგვლივ სრულიად უცხო რაღაცის და ბოლომდე გაურკვეველის მოლოდინი საუკუნედ გაიწელა, მხოლოდ წინიდან ელოდა მოულოდნე-

ლობას, ხოლო მგოსნის უკან მცხოვრები მოფუსფუსე უახლოესი თუ შორეული ადამიანები თითქოს ასობით კილომეტრობით მოშორებით, მისთვის იმედმხსნელად არ ჩანდა და მათგან მრავალ განწყობილებითი სივრცის ხელოვნური უფსკრულს გაღმა უმწეოდ იდგა... მთაწმინდის კოფოს თავზე თვალისმომჭრელად კაკაფონობდა უღვთო შხამიანი წითელი ფერის საბჭოური ვარსკვლავი. ჯერ არმომხდარი, შავიფონ-მოსასხამიანი უხილავსიბრტყობრივი ბნელეთური პაემანი კი იწყებოდა და ყოველმხრივ გაშიშვლებული გრანელი მხოლოდ ამდუღრებულ სულად ბარდებოდა იმქვეყნიურ ჯადოასხმულ გაუთავებელი სიხარბით სულ-აძიგძიგებულ ყოველთა გამანაწილებელს...

ნაცნობი საფლავის ჩაყვითლებული ქვის განაპირას ამოსული თითქმის ლურჯი-მომწვანო მარტო ბალახი, რომელიც ირგვლივ ყველასგან განსხვავებული ფერისა იყო, ტერენტიმ მოწყვიტა, მოეფერა და ისიც უბეში დააბინავა, სადაც უკვე დამძიმებულ შავ ვარდს ინახავდა...

მერმე: შენ რა გაქვს აქაურზე საფიქრალი შორეულო, თავად მიწავ, სულგაქცეული და შეუცნობად კოსმოსური ხარ მარადიული ფუნქციით – მიმართავს ნაცნობ საფლავს; მე ამ ღამეს ვისაც უნდა შევხვდე, შენთვის უკვე დავიწყებული წარსულია და მიუწვდომელი ფორმაა ზეციური მაღალი თვისებებიდან გამომდინარე.

გაივლის ასეულობით წლები და ურთულეს-სახე სიკვდილის მთლიან არს-ბუნებას ადამიანები ალბათ ბოლომდე ვერ ჩასწვდებიან. ამიტომაც სიძულვილი და შიში მისდამი ჯერ-ჯერობით უწყვეტია, მაგრამ მოვა ის ზეაზრი, როდესაც მისი მნიშვნელობა მიახლოებით მაინც გაეგებოდეთ.

მოღალატეთა განაჩენამდე თავად გადავწყვეტ ჩემსა და ვარსკვლავეთურ ალალ სიმართლეს... და როგორც ამ თხრობის ავტორმა, გრანელის მარადიულ სულს და თქვენც მინდა შემოგთავაზოთ „ყოველთა მკვლელის“ მიახლოებითი ლიტერატურულ-ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური პორტრეტი.

სიკვდილი! თავისი გაურკვევლად დეფორმირებული ფორმათა წყობით მუდმივად და უცვლელად ატარებს ქვეყნიერების მიუწვდომლობის ამაზრზენ ხმებს, ბგერებს თუ უბედურების მომასწავებელ დუმილს; და სულთა მხუთავ ცვალებად უცხო ტემპერატურას: განურჩევლად ავრცელებს საშინელ სიბნელეს და ამკვიდრებს უკუნეთურ უხილაობის უფსკრულს. იშვიათად, მაგრამ სისხლის გამყინავ ცივ მიუღებელსინათლესაც და, რომელიღაც მისეული, ჭაობისფერი უჯრედით უხვად გამოყოფს ტკივილს, წამებას, ტანჯვას, ვაებას და სადიზმს: როდესაც თავისი უსაშინლესი ფორმის სხეულით ძალიან ამყრალდება მისგან გაუბედურებულ ცოცხალთა სიმწრის ცრემლის აუზში ბანაობს. სისხლს ვერ იტანს, ურთიერთობს მხოლოდ მკვლელებთან და შხამიან არსებებთან, რომლებსაც მაინც კლავს. სულს ახლოსაც არ იკარებს და დევნის. აზრი და გონება თითქმის არ სჭირდება, მუსიკა ბუნდოვნად უყვარს უფრო სამგლოვიარო და ზოგჯერ სიზმარივით ეტანება უმძიმეს რექვიემებს, რადგანაც მხედველობა და სმენა ნაკლულია, ვერ ხედავს სილამაზეს, მშვენიერებას და სიყვარულს: საერთოდ სიკეთეს, ბოროტებისაგან ვერ არჩევს: შედარებისთვის მზისა არ იყოს, მზე-ღმერთი, ყველაფერს ერთნაირად რომ ასხივოსნებს, ანათებს, ათბობს და კვებავს; სიკვდილიც განურჩევლად ყველას კლავს და ანადგურებს. უცნაური პარალელია ამ დიდ ბოროტსა და სიკეთეს შორის.

აზრობრივად ულტრა სიურეალიზმია, ლუციუს ანეუს სენეკას გამონათქვამი „სიცოცხლის ერთი დანიშნულებაა სიკვდილი“. აქედან გამომდინარე უნდა ვირწმუნოთ, რომ სიკვდილს, მთავარ-მაცოცხლებელი მაინც ეზიზღება. თუმცა ქვეყნიერების სიკვდილ-სიცოცხლის მოსვლა-წასვლაში მყარად ჩარეულია, მაგრამ საფლავებს, სარკოფაგებ, აკლდამებს, პირამიდებ, მუმიებს და წმინდანთა ძვლებს ახლოსაც არ ეახლება. მიცვალებულები? უკვდავებასავით ეჯავრება, სასტიკად ვერ იტანს მზეს და შუქ-სითბოს, ვარსკვლავებს, ცეცხლს, ჰაერს, წყალსა და მიწას. გამუდმებით ებრძვის ღმერთებს,

მაცხოვარს, ღვთისმშობელს, საოცრებაა და ანგელოზებს ვერ ეკარება და არც რასა აკლებს. უსწორდება მოციქულებს, წმიდანებს, ნიჭს, გენიათ, ხელოვნების ქმნილებებ-ცივილიზაციებს, ენებს და კულტურას, მოგონებებ-ისტორიას, წარსულთ და აწმყოს. მომავლისაკენ არცკი იხედება, ეს უკვე სამყაროების საქმეაო. ხშირად თავისი უჯილაგო თავიც ეჯავრება, რათა ბრმა მსახურ-შემსრულებელია ქვეყნიერების კანონის და ზეძალა მას საერთო მიზნებისთვის დაუსრულებლად იყენებს. თვითონაც რომ მოკვდეს, თავის თავს არ შეიბრალებს და არც იტირებს. სიკვდილს სუნი აქვს საშინელი, გულის ამრევ სულთამხუთავი და შემტევ გონების დამბინდველი, წარმოდგენით ისეთი, როგორც ღრმა, ვიწრო, ნესტიან, მილიონობით წლოვან მღვიმეში, დახოცილი ასობით ღამურების ლეში რომ ეყაროს, მერმე აყროლებულ-აქოთებული გველკობრების გახრწნილი გვამები შიგ შეათრიო, მერმე იქ, დატრიალებული სუნთქვის შემკვრელი სუნი, სიკვდილის მოსვლამდე რომ არ დაგავიწყდება; აი მაგდაგვარია...

უსქესოა, უსისხლ-უხორცო-უძვალ-უსულო, უგულო და უჯიშოა, სასტიკი: თითქმის ბრმა და ყრუ. მან არ იცის სიცილი, ღიმილი, გაკვირვება, აღშფოთება, ტირილი, სევდა და გულნაღველი, ფიქრი, დარდი, გაბრაზება, ტკივილი, სიამოვნება; საერთოდ დამახსოვრება უკიდურესად ინდიფერენტულია: და ხარობს თავის შედეგ-ბნელეთით... სიცოცხლის წინაშე? თვით ყოველმხრივ სრულყოფილი მკვდარია. აი, ვისი მსხვერპლი ვხდებით საბოლოოდ... შურს კუბოში ჩასვენებული მკვდრის, პატარა ბავშვიც რომ იყოს; ძალიან ღეზიანდება ჭირისუფალთა მოთქმაზე და ირგვლივ დადუმებას მოითხოვს. მუდამ ბნელეთური უფსკრულის ბინადარია, თუმცა ღმერთივით ყველგანაა. გაივლის უსასრულო დრო ამ ქვეყნიერებისა ხილულ-უხილაობით და ის, თავის ქმედებით მარად უცვლელი დარჩება და არც დაიღლება არასოდეს.

თავისებურად, მისივე სიძულვილ-ბოროტი ბუნებით წამებულია. მას არასოდეს არ სძინავს და ისვენებს. სამყაროს და სივრცის მსგავსად ყევლგან მოძრაობს უსასრულობის მარადიულობით. პოეტები მასზე ლექსებს იშვიათად წერენ. უფრო პროზაში შეაღწევს ხოლმე და ტრაგიკული ნაწარმოებების გმირთა უმძიმესი დასასრულის შემქმნელია. როგორც გითხარით, ის ყველგანაა – რელიგიაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში. შეიძლება კითხვაც დაისვას: რა და ვინ ებრძვის მას, მხოლოდ სამყაროსეული უსასრულობის მთლიანი მარადიული სიცოცხლე, მათგან სული, მზე და ვარსკვლავებიც, მაგრამ... კოსმიური ურთიერთბალანსი, უფრო თანაბარია. გამარჯვებული რომელიაო, იტყვიან, ურთულესი კითხვაა, პასუხი, თითქმის არცერთი: სიცოცხლეს ხომ სიყვარული, სიკეთე, სიამოვნება, გამარჯვებები, დიდება, გენია, ნიჭი, შემოქმედება და ხშირად წვალებაც კი მოაქვს... სიკვდილს? გლოვა, უიმედობა, არსებათ ჩონჩხებად გარდაქმნა ახარებს, რექვიემი და მარადიული განშორებაა, მასთან უსაზღვრო დანაკარგები? მხოლოდ ჩვენშია. სრული გაგებით, ცხოვრებიდან გამომდინარე და სამყაროს წესრიგისათვის? აქ უკვე ჩვენ არა ვართ და ზეძალა – კანონ-საჭიროებანი განაგებენ.

უხილავი-უძლიერესი და მრავალთვისობრივ-ფუნქციონერი, ყველასთვის საძულველგარდუვალობა, ებრალებოდა მხოლოდ მისტიკოს მგოსანს, ტერენტი გრანელს და პოეტის გავლენის მქონე ამ ესსე-ნაწარმოების ავტორს..

მხატვარ-მწერალი რეზო ადამია
2018-2019 წ.წ.
ძველი სენაკი-თბილისი

გარი ჩაფიძე



სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელ ება, დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №№28-37-ში)

ეს ხომ ლეგენდა არ არის, დღეს ჩვენ დედამიწაზე უხვად ვპოულობთ წარღვნის შედეგად დარჩენილ მასალებს, ამ საკითხზე წერენ და გვესაბურებიან ძველი ფილოსოფოსები, მსოფლიო წარღვნის შედეგებს მოგვითხრობს ბიბლია და სხვა. როგორც ავღნიშნე ჩვენი პლანეტა ორი ათასი წლის შემდეგ „სატურნის“ კოსმოსური მფარველობიდან „ურანის“ მფარველობის ქვეშ გადავა და ძნელი სათქმელია თუ როგორ ევოლუციას განიცდის ჩვენი პლანეტა...

– ბატონო მინდია – ლაპარაკში შეეცილა გამომძიებელი – ტკბილია თქვენთან საუბარი, მაგრამ იმდენად ფანტასტიკური, რომ ყოველი საუკუნისათვის დაუჯერებელი და დაუმტკიცებელი თეორემაა. აბა თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, როდესაც მზე დედამიწიდან საშულაოდ 150 მილიონი კილომეტრითაა დაშორებული და „სატურნი”, რომელიც – თქვენი მსჯელობის თანახმად ჩვენი პლანეტის მფარველია, მზიდან დაახლოებით ერთ ნახევარი მილიარდი კილომეტრითაა დაშორებული. ჩვენ ვიცით, სინათლის სიჩქარე სამასი ათასი კილომეტრია წამში, ესე იგი, თავისთავად იბადება კითხვა: – რამდენი წელიწადი მოუნდება „სატურნიდან“ წამოსული სხივი დედამიწამდე მოსვლას? – ჩვენ დღეს შეუიარაღებელი თვალით შეგვიძლია დავინახოთ „სატურნი”, მაგრამ ჩვენ ვხედავთ რამოდენიმე წლის წინანდელ ცდომილს და ვინ იცის დღეს შესაძლებელია პლანეტა „სატურნი” აღარც არსებობს, თქვენ კი მიმტკიცებთ „დედამიწაზეო ახდენს გავლენას”...

– ბატონო ზვიად, საბურის დასაწყისშივე გითხათრით: – „თუ ათეიზმით ხართ შეპყრობილი, ძნელი დასაჯერებელია ყოველგვარი ზებუნებრივი მოვლენების ზეგავლენის მტკიცება თქვენთან”. მაგრამ ჩვენ როგორი ურწმუნონიც არ უნდა ვიყოთ კოსმოსური ცდომილებები მაინც მოახდენენ დედამიწაზე ზეგავლენას და არა მარტო დედამიწაზედ, არამედ ადამიანთა თითოეულ პიროვნებაზედაც და ასე გასინჯეთ ცოცხალ არსებათა ფსიქოსექსუალურ მდგომარეობაზედაც კი. იმ პერიოდის განმავლობაში, რასაც „სატურნი” მზიური ნიშნის გავლას უნდება, თითოეული ადამიანის პიროვნებაში მოსალოდნელია ფსიქოსექსუალური დარღვევები, არეულობანი, ხშირად ადამიანი სინამდვილისაგან მოწყვეტილად გრძნობს თავს და დიდ სექსუალურ სწრაფვას განიცდის სხვის მიმართ, ხშირად იმყოფებიან დეპრესიაში, რასაც ჯანმრთელობის მოშლა, შრომის სიძულვილი და სხვა უარყოფითი მოვლენები მოსდევს.

მართალია არამარტო „სატურნი”, არამედ კოსმოსური ყველა ცდომილი ძალზედ შორს არიან დედამიწიდან და თავიანთი ორბიტებით მზის ირგვლივ უფრო ნელა მოძრაობენ, ვიდრე დედამიწა, მაგრამ ისინი მეტი ძალით და უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმალვობაში ახდენენ ჩვენზე ზეგავლენას. მაგალითად, „სატურნი” თავისი ორბიტის გავლას 29,5 წელიწადს უნდება, ხოლო ზოდიაქოს ყველა ნიშნისას – 2,5 წელიწადს. ამასთან ერთად ცდომილები დედამიწიდან, რაც მეტი მანძილითაც არის დაშორეუბლი და არც ნელა მოძრაობენ მზის ირგვლივ მით მეტ გავლენას ახდენენ როგორც ჩვენს პლანეტაზედ, ასევე სულიერ არსებაზედაც.

– ბატონო მინდია, თქვენი საუბრიდან გამომდინარე, დედამიწას დაღუპვა არ უწერია, სანამ ყველა კოსმოსური პლანეტის ზეგავლენას არ გაივლის? – ცოტა ირონიულადაც კი შეეკითხა გამომძიებელი ყოფილ მასწავლებელს, რომელსაც არ გამოპარვია მოსაუბრის დამქირდავი შეკითხვა, მაგრამ არ შეიმჩნია და უწინდელი გულუბრყვილობით უპასუხა:

– ვინ იცის, ადამიანები ვერ ჩაწვდებიან კოსმოსურ ძალთა საიდუმლოებას, იქნებ დედამიწამ წარმოშობიდან ყველა კოსმოსური პლანეტის ზეგავლენა განიცადა და ახლა დადგა გადამწყვეტი ხანა, მაგრამ მე დედამიწას დაღუპულს ვერ ვხედავ, ის ოდნავ ჩქარა ბრუნავს თავისი ღერძისა და მზის ირგვლივ.

– ბატონო მინდია, ეგზომ სასიამოვნოა თქვენთან საუბარი, მაგრამ რატომღაც ბებიაჩემის მონაყოლ ზღაპრებს მაგონებს, რომელიც ბავშვობაში სასიამოვნო მოსასმენი იყო და მოზრდილთათვის სასაცილო. ვერცერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ დარწმუნდება იმ ამბავში, რომ ჩვენს პლანეტაზე და პირადად ადამიანთა არსებობაზე რომელიმე ციური სხეულის ახდენდეს გავლენას, რადგან მეცნიერების მიერ სულ სხვაგვარად არის წარმოდგენილი „ასტროლოგია”.

ასტროლოგიის მეცნიერული განმარტება გვასწავლის: – „ასტროლოგია ვარსკვლავთმისნობა, ცრუ მოძღვრება, რომლის თანახმად ვითომდა შესაძლებელია ცაზე მნათობთა განლაგების მიხედვით ადამიანის ან მთელი სახელმწიფოს ბედი სწინასწარმეტყველება”. მეცნიერების აზრით, ნებისმიერი ადამიანი ექვემდებარება ნებისყოფის, დისციპლინისა და შემოქმედების ზეგავლენას; ამ სამი ატრიბუტის გამომუშავებით ადამიანები შეიძენენ ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობებს, სწავლითა და ნებისყოფის დაძაბვით ყოველი ადამიანის გამოიმუშავებს რისკს, სითამამეს, გამბედაობას, მოთმინებას, დიდ ამტანიანობას და შემოქმედება ადამიანს ჩამოაყალიბებს სიკეთისაკენ დამოუკიდებლად, და გვასწავლის მიზნების წინასწარდასახულობას. ყოველივე აქედან გამომდინარე კი მიიღება ადამიანის ნამდვილი სახე, რომელსაც განიხილავს ადამიანის ცხოვრების მაღალი პროგრამა. მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ნებისყოფის, დისციპლინისა და შემოქმედების გამომუშავებას ვერ ახერხებენ თავიანთი თანდაყოლილი სუსტი ნიჭის წყალობით. აქ კი თანამდეროვე მეცნიერების თვალსაზრისით, რომელთა აზრსაც მეც ღრმად ვეყრდნობი, არაფერ შუაშია კოსმოსური ცდომილები...

გამომძიებელმა სამყაროზე თავისი შეხედულების ფილოსოფია ვერ დაამთავრა მასწავლებელთან საუბრის დროს, რადგან წყლიდან აკვალანგისტების ჯგუფი ამოვიდა და თან ქერათმიანი ქალის გვამი ამოაცურეს, ერთ—ერთი აკვალანგისტი გაიქცა და ავტომანქანიდან საკაცე გამოიტანა, მიცვალებული ქალი სგვამი საკაცეზე დაასვენეს. კარგად შეენახა ტბის ფსკერს მიცვალებული. ასე გასინჯეთ გვამის სურათით ამოცნობაც კი შეიძლებოდა, მაგარმ სულ მალე მზის სხივებმა და ჟანგბადმა ისე სასწაულად იმოქმედა მიცვალებულზე, რომ წუთის წინანდელი მსგავსებაც კი გაქრა იმის სახეზე. მიცვალებული აკვალანგისტების ავტომანქანაში დაასვენეს. გამომძიებელი მინდიას გამოემშვიდობა და ორივე ავტომანქანამ დედაქალაქისაკენ აიღო კურსი.

დედაქალაქში დაბრუნებისთანავე ზვიადაურმა ქალის გვამი საექიმო ექსპერტიზას გადაუგზავნა და თვითონ რესპუბლიკის პროკურორთან შევიდა კაბინეტში ძიების შედეგის მოსახსენებლად. პროკურორმა ძიების ასე ენერგიულად წარმართვა მოუწონა ახალგაზრდა კვალმაძიებელს და გაკვირვებაც ვერ დაფარა, მეორე გვამის აღმოჩენით.

– საიდან იწინასწარმეტყველეთ, რო მტბაში მეორე გვამი იქნებოდა? – შეეკითხა პროკურორი ზვიადაურს.

– მანუჩარ წიკლაურის მეუღლის საუბრიდან დავასკვენი, რომ ტბაში ორი გვამი იქნებოდა ჩაძირული, რადგან მან დაინახა თუ როგორ საუბრობდა მისი მეუღლე და მაზლი ორ ქალიშვილთან, ეჭვი დამებადა, რომ მკვლელი მოწმეს

ცოცხალს არ დატოვებდა და მეორე გვამსაც დავუწყე ძებნა. ჩემი ეჭვი გამართლდა...

– მე სანქციას გავცემ წიკლაურების დაპატიმრების შესახებ. – თქვა პროკურორმა და ზვიადაურს ლმობიერი თვალით გადახედა, რომლისგანაც უყოყმანოდ მოელოდა თანხმობას, მაგრამ შეცდა, კვალმაძიებელმა უარის ნიშნად მძიმედ გააქნია თავი და პროკურორს თავისი წინადადება წაუყენა:

– ნუ ავჩქარდებით ბატონო კაკო, ჩვენ რომ წიკლაურების დაპატიმრება განვიზრახოთ, მანუჩარ წიკლაური მიმალვას შესძლებს, რომელიც თითქოსდა სამუშაოდ რესპუბლიკის გარეთ იმყოფება. იროდი კი ყველაფერს ძმას გადააბრალებს თავის დასაძვრენად და ძიებაც საგრძნობლად გაგვიჭიანურდება, ამიტომ პირველ რიგში, მანუჩარზედ საკავშირო ძაბნა გამოვაცხადოთ, როდესაც იმის დაპატიმრებას შევიტყობთ, იროდიც იმ დღესვე დავაპატიმროთ და ერთდროულად ვაწარმოოთ დაკითხვა.

პროკურორს გამომძიებლის გეგმა მოეწონა და კმაყოფილების ღიმილმა ბაგეზე პეპელა აუთამაშა.

ზვიადაური თავის კაბინეტში შევიდა და სავარძელში ღრმად ჩაჯდა. დაღლა იგრძნო, სავარძლის საზურგეს გადააწვა და თვალები მილულა, მაგრამ დიდხანს როდი აცალეს განცხრომით მოსვენება. მდივანმა გოგონამ დაუკითხავად შეაღო კაბინეტის კარები და კეკლუცური ტანის რხევით მაგიდაზე ფოსტა დაუწყო. კვალმაძიებელი წამოიმართა და უხვ მასალათა შორის ერთ—ერთი ამოარჩია: „საექიმო ექსპერტიზის დასკვნა”.

საექიმო ექსპერტიზა იტყობინებოდა, რომ დუშეთის სასაფლაოზე ამოღებული გვამის საექიმო ექსპერტიზის შედეგად ვადგენთ:

– „უცნობი ქალი წყალში ჩაძირვამდის არის მომხრჩვალი, რაც დასტურდება საექიმო ექსპერტიზის შემოწმებით.

ქალი დაავადებული ყოფილა ქრონიკული ვენერიულიდაავადებით, ათაშანგით, იგივე სიფლისი ანუ ლუესით. ორგანიზმში აღინიშნება მკრთალი ტრეპონემა. გვამს დაავადება აქვს შეძენილი სქესობრივი გზით მამაკაცთან უშუალო კონტაქტით...”

გამომძიებელს ბოლომდის არც კი წაუკითხავს საექიმო ექსპერტიზის დასკვნა და ხმამაღლა წამოიძახა – „ასეც ვიცოდით“ – თავისივე აღმოჩენამ ისეთი სიამოვნება მოჰგვარა, რომ მხრებიდან დაღლაც კი მოეხსნა და დანარჩენ ფოსტას ენერგიულად დაუწყო გადარჩევა.

* * *

– შვილო! – უთხრა დიმიტრიმ შმაგის, როდესაც ამ უკანასკნელმა მორიგი გასეირნებით ტყიდან მორი მოიტანა და ზღართანით დააგდო მამის ფეხებთან. – მე გლეხი კაცი ვარ, მაგრამ ცხოვრების გამოცდილება როდი მაკლია, რაღაცას მიმალავ შვილო. გამიღე გულის კარი, აბა ჩემზედ უკეთეს მესაიდმულეს ვის ნახავ ქვეყნად? როდესაც შვილის საიდუმლოება მამამ იცის, შვილს გულზე კაეშანი მოეხსნება და მამაც თავისუფლად ამოისუნთქებს. ვინ იცის, იქნებ კიდეც რაიმეში, ხომ იცი შენი გულისათვის სანთლად დავიწვები, რომ გზა გაგინათო!

– რას მეუბნები მამა, მე ხომ გიჟი ვარ, აბა სად შემიძლია საღად აზროვნება და რაიმე სერიოზული საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა? – უთხრა შმაგიმ მამას და ოფლი ქუდით მოიწმინდა სახეზე.

– არა შვილო, შენ გიჟი არა ხარ, გიჟის თვალები სხვაგვარად მეტყველებს, სახეც არეული აქვს და მოქცევაც სხვაგვარი.

– მართალია მამა, მაგარმ მე მაინც გიჟი ვარ და ასე მინდა კიდევ ცოტახანს ვიყო.

– რას ნახულობ ამ მოგონილ სიგიჟეში, ნუთუ გესახელება ან გეამაყება ასეი ცხოვრება? შენ ხომ შთამომავლობა უნდა დამიტოვო, გვარი და ერი მომიმარავლო, გიჟსა და ნაგიჟარს რომელი ჭკუათმყოფელი ქალი გამოგყვება ცოლად?

– მოიძებნება ვინმე ჩემსავით გიჟი ან ნაგიჟარი და იმას შევირთავ ვინც გამიგებს და შემიყვარებს.

– კიდევ დიდხანს აპირებ ასეთ ცხოვრებას? მე მგონია დრო არის დაუბრუნდე საზოგადოებას და მოუხმო კეთილგონიერებას.

– ერთი კვირის სამუშაო დამრჩა და ერთი კვირის შემდეგ მე ჩემი სპეციალობით დავიწყებ სამსახურს!

– მაინც რას აკეთებ, რატომ არ მეტყვი?

– ადრე ხომ გითხარი: – „გამოსაფხიზლებელს ვაშენებ ბედნიერებით მთვრალებისათვის— მეთქი?!

– თუ შეიძლება მშენებლობაში დაგეხმარო?

– არა, უკვე ვამთავრებ და არც მინდა იცოდეს ვინმემ იმისი არსებობა და ადგილმდებარეობა.

ამ მამაშვილური საუბრიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ შმაგიმ თავაზიანად შეაღო თეატრის დირექტორის კაბინეტის კარები, ზრდილობიანად მიესალმა და მაგიდაზე განცხადება დაუდვა, სადაც ითხოვდა მსახიობად სამსახურის დაწყებას.

– შმაგი მგლობლიშვილი – წყნარად წაიკითხა განცხადების დასათაურება თეატრის დირექტორმა და სათვალის ზემოდან გადახედა მთხოვნელს. შემდეგ თითქოს რაღაცას იხსენებსო, მაგიდაზე თითები აათამაშა, გაიხსენა და თავისი მეხსიერების უნაკლოების სახე გაებადრა.

– აჰა, თქვენ ის მგალობლიშვილი არა ხართ მკვლელობისათვის რომ გაგასამართლეს?

– დიახ, მაგარმ ძიებაში დაშვებული შეცდომის შედეგად.

– ყველას შეცდომის შედეგად იჭერენ!

– მაგრამ მე ხომ გამამართლეს და გამანთავისუფლეს?

– განთავისუფლების შემდეგ ყველას ამართლებენ!

– ამით რისი თქმა გინდათ, ვერ მიმიღებთ მსახიობად?

– არა გენაცვალე. აბა თვითონ წარმოიდგინეთ ვინ დაესწრება ჩვენს წარმოდგენებს, როდესაც მაყურებელი გაიგებს ამა თუ იმ როლს ყოფილი ბოროტმოქმედი თამაშობს?

– მე ხომ ბოროტმოქმედი არა ვარ, მე გამამართლეს!

– მაგრამ მაინც ნაციხარი გეთქმის!

– ეს თქვენი ნებაა!

– მე ხომ საარსებო წყარო მესაჭიროება?

– არის ისეთი სამუშაოები, სადაც თქვენი ნაავკაცარი არ გამოჩნდება და იქ იმუშავეთ!

– მე ხომ თეატრალური განათლება მაქვს, თქვენს გარდა ვის ვთხოვო დახმარება?

– ამ შემთხვევაში დიპლომის გაჩოენა ხეირს არ დაგაყრის, თქვენთვის უმჯობესი იქნება შავ მუშად მოეწყოთ სადმე მშენებლობაზე!

– კარგი, თქვენთან მიმიღეთ რაიმე სამუშაოზე „შავ მუშად”, თუ გინდა დამლაგებლადაც, არ ვითაკილებ.

– არა გენაცვალე, აქ თეატრია. „წმიდა სავანე“!...

– თეატრია? მოდი მაშინ მე და შენ სპექტაკლი გავითამაშოთ. ისეთი კი არა სცენაზე რომ თამაშობენ, ნამდვილი, ცხოვრებისეული, სადაც მართლა ახრჩობენ და კლავენ!

დირექტორმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ შმაგი ჰალსტუხში სწვდა, თავისკენ დაითრია და ყელზე სალათის საყელო გადაუგრიხა. სავარძელი დირექტორთან ერთად ამოტრიალდა, მაგრამ ამას მგალობლიშვილისათვის ხელი არ შეუშლია, მკერდზე მუხლი დააჭირა და ხალათის საყელო კიდევ გადაუგრიხა, დირექტორს სახეზე სისხლი მოაწვა, თვალები გაუფართოვდა დ ა ხროტინი დაიწყო. რამდენიმე წამიც და დირექტორი წინაპართა სულებს მიესალმებოდა, მაგრამ შმაგიმ მოულოდნელად ხალათის საყელო შეუშვა და მსხვერპლს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. შემდეგ სავარძლიანად წამოაყენა და საწყის მდგომარეობაში დააბრუნა.

როდესაც დირექტორმა სული მოითქვა, შმაგიმ იატაკიდან სათვალე აიღო, თვალებზე მოარგო და ნაძალადევი ღიმილით უთხრა:

– ხომ არ გავიმეოროთ პატივცემულო, ახლა უფრო მკაცრად და გამომშვიდობების სახით? იცოდეთ ციხის პრაქტიკამ ისეთი ძალმომრეობის თეორია შემძინა, რომ თუ მზაკვრობას გულში გაივლებთ და ჩემს დაპატიმრებას ეც-

დებით, მე თქვენ უწინარესად გაგანადგურებთ, ახლა კი კეთილი ინებეთ და განცხადებაზე ხელი მომიწერეთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ თქვენი შუამდგომლობით ყველა პიესაში მთავარ როლს ვითამაშებ. რა თქმა უნდა შეკითხვა არ გექნებათ.

დირექტორმა მგალობლიშვილის განცხადება ახლოს მოსწია, სათვალე შეისწორა, ბურთულიან კალამს მისწვდა და განცხედებას ხელი მოაწერა.

– დღის ბოლოს შემოიარე! – უთხრა შმაგის და ხელმოწერილი განცხადება მიაწოდა.

დღის ბოლოს თეატრის დირექტორის კაბინეტში დირექტორის გარდა კიდევ სამი მამაკაცი იჯდა. შმაგი კაბინეტში შევიდა და კარებში გაჩერდა.

– დაბრძანდით! – თავზიანი ღიმილით უთხრა დირექტორმა.

– ხომ გითხარით მზაკვრობას გულში ნუ გაივლებთ—მეთქი! – უთხრა შმაგიმ და ადგილიდან არ განძრეულა.

– არა, თქვენ ბრწყინვალედ შეგიძლიათ ბოროტმოქმედის როლის განსახიერება, მე თქვენ გამომადგებით, დაბრძანდით, აქ ყველა ჩვენი კოლეგებია, ვისაუბროთ.

შმაგი სავარძელში იმ კაცის გამომეტყველებით ჩაჯდა, რომლისთვისაც სულ ერთია სავარძელში იჯდებოდა თუ ცივი ქვის ლოდზე. ყველაფრისათვის მზად იყო ყოფილი „ბოროტმოქმედი”, რომლისთვისაც დაღიც დაესვა და ბევრი რამეც ესწავლებინა ციხეს. კაბინეტში სიწყნარე სუფევდა, ხუთი ადამიანი იყო, მაგრამ ხმის ამოღებას ვერც ერთი ვერ ახერხებდა, თითქოს ყველას ეშინოდა ეს მყუდროება არ დარღვეულიყო და ქაოსში არ აღმოჩენილიყვნენ. ბოლოს ისევ დირექტორმა იმარჯვა, ყელზე ხელი მოისვა, გაიღიმა, ხალათის საყელო შეისწორა და თითქოს ყველას ეშინოდა და ეს მყუდროება არ დარღვეულიყო ქაოსში არ აღმოჩენილიყვნენ. ჩაილაპარაკა – ყველა უფლება რომ წავართვათ ადამიანს საკუთარი თავის გასამართლების უფლება მაინც დარჩება, ჰო და მე ჩავუფიქრდი ჩემს საქციელს, სინდისის სასწორზედ დავაყენე საკუთარი თავი და გავასამართლე, უღირს დირექტორად შემიცნო ჩემმა სინდისმა ადამიანი დახმარებას მთხოვს, მე მაქვს დახმარების საშუალება და კიდევ ჰაერივით მესაჭიროება მთხოვნელი, მაგრამ მე ბოროტად ვიყენებ ჩემს ძალაუფლებას და უარს ვეუბნები დახმარებაზედ. „წადი სხვაგან“ ვეუბნები მას, სად სხვაგან წავიდეს? – ვეკითხები ჩემს თავს მარტოდ დარჩენილი სამშობლოდან გავაძევოთ? მე რა უფლება მაქვს, ეს ხომ მართლმსაჯულების საქმეა? აბა „სხვაგან წადი და იმუშავეო” რომ ვეუბნები, სამშობლო ხომ ერთია? სხვას რად უნდა უვარგისი ადამიანი? ან სხვა ობიექტზე ჩადენილი დანაშაული ყველა ჩვენგანის დანაშაულად არ ითვლება? გამახსენდა ბრძენის ნათქვამი – „არასოდეს, არავის, არაფერი არ თხოვოთ განსაკუთრებით იმათ, ვინც თქვენზე უფრო შეძლებული და ძლიერია”. გამახსენდა და ჩემი მოქმედების შემრცხვა, რომ ვერ გავაქარწყლე ბრძენის ნაწინასწარმეტყველებანი და საკუთარი თავი იმ გაბღენძილ ძლიერსა და შეძლებულში დავინახე, რომელსაც სიბრალული არ გააჩნია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ელგუჯა სხირტლაძე



როდესაც შენს კალთას მოვსწყდები სანუკველს,
ბედის თამაში, შენს საზღვრებს გამაცელს,
მხოლოდ და მხოლოდ, ერთ რამეს ვშიშობ,
უცილო სიკვდილი, სხვაგან არ დამხვდეს,
არ ჩამიბაროს სხვა ქვეყნის მიწამ,
ამ ქვეყნად, სიკვდილიც ოცნებად არ გამხდეს.

საიდან უნდა დაიწყო კაცმა, თუ დაემშვიდობე შენს უწინდელ მყარ არსებობას. ზოგჯერ უცნაურ სიტუაციებში მოხვდები ან თავადაც მოახდენ უცნაურ რამეებს ნებსით თუ უნებლიეთ.

ხან, ვერ გაიგებ, საით მივყავართ წუთისოფლის ზვირთებს, ვერ გაუგებ ადამიანებს, რომელთაც, სოფოკლეს თქმით, სხვადასხვა დემონი უზით სულში, ხანდახან ზოგიერთი მათგანის ფეხქვეშ გათელვაც კი გინდება კაცს.

არის გრძნობები, რომელსაც ვერც გაიგებ და ვერც ახსნი, მაგრამ მადლობა უფალს, რომ ჩემში კიდევ არის რაღაც ბუნდოვანი, ჯუნგლების პატარა ნაგლეჯი და თითქოს დავიარები, ამ უნაპირო ქვეყანაზე დიოგენეს ფარნით ხელში.

ხანდახან, მარტო ყოფნა მინდა ხოლმე, თითქოს, რაც ოდესმე ადამიანებთან მაკავშირებდა, დარღვეულია და ვცვივდები, როგორც გაწყვეტილი ძაფიდან მძივები და აღარაფერია მყარი.

ხოლო, რადგან გამოსწორება არაფრის არ შეიძლება ან უკიდურეს შემთხვევაში ძალიან ძვირად გვიჯდება, ვცდილობ გავექცე სინანულის უსარგებლო გრძნობას, რადგან, სამწუხაროდ, წყეული დრო გარბის და კვდება, ადამიანები კი ვცოცხლობთ, ასობით გაგვიფრინდება ზამთარი და ზაფხული, დღეებს ვიგებთ და წლებს ვკარგავთ, წამის სიამეში ვპოულობთ მარადულობას, ხოლო ვარსკვლავთა მტვერი მოარღვევს უსასრულობას, მწარე ქარიშხალად ქცეულს.

ზოგჯერ ჩინებულიცაა სინანულის გარეშე ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში, იცი, რაც ხდება ქვეყანაზე... როგორც წესი, ართმევენ უფრო მეტს, ვიდრე აძლევენ, მაგრამ, როგორც ყველაფერი დედამიწაზე, ჩვენი დუმილიც დროებითია და როგორც მიგელ დე უნამუნო ამბობს **„...შენს გარშემო ჩამოწოლილ დუმილს, თუ უჩივი, ეს უკვე საზეიმო დუმილია, მალე შენი სიტყვები უფრო მკაფიოდ ამაღლდება ამ დუმილზე.“** ხოლო დადუმებულნი და ჩაფიქრებულნი, ყველანი ვეძებთ ბედნერებისაკენ მიმავალ გზას და ვცდილობთ გავერკვეთ მის არსში. ბედნიერება, ხომ ადამიანის ყველანაირი სურვილის ასრულებაშია, ხოდა, თუ ასეა, დედამიწაზე ბედნიერების არსებობაც გამორიცხულია. მაგრამ, მეორე მხრივ, მადლობა უფალს, რომ სრულყოფილი ბედნიერება არ მოგვანიჭა. ადამიანის ცხოვრების მიზანი, ხომ გამუდმებით ბედნიერებისაკენ სწრაფვაშია. სწორედ ამ ბედნიერების ძებნაშია

იღბალიცა და უიღბლობაც,
დარდიცა და სიხარულიც,
ბედიცა და უბედობაც,

ბედი, უმოწყალო რამაა...

სხვისი უბედურების შემხედავს, თითქოს გრცხვენია საკუთარი ბედნიერებისა და მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მისკენ მივისწრაფვით, წამის მარადიულობაში გადის მთელი სიცოცხლე და ამ დროის მანძილზე ბედნიერების ძიებაში, სად არ გატარებს კაცს ამ უკიდეგანო ქვეყანაზე ბედი. სადაც ყოველ მხრივ ათასნაირი საფრთხეებია ჩასაფრებული, მათ შორის სიკვდილიც, რომელიც ელის ადამიანს თავისი სიბნელით და არის კიდევ უფრო საშიში, საზარელი და მომაკვდინებელი, ვიდრე სიკვდილი,

რომელიც ათასგზის სისასტიკით კლავს ადამიანს, სიკვდილის ორეული – სირცხვილი.

„...თავი ნუ მოგწონს სიკვდილო,
სირცხვილზე მეტი არცა შენ ხარ“...

ლამაზად უთქვამს ბესიკ ხარანაულს. სირცხვილის გამო კვდება ადამიანი. სწორედ ამ გრძნობის გარეშე შექმნა ღმერთმა ადამი და ევა, და უკვდავყო სამოთხის ბაღში, რომელთაც განარისხეს უფალი, როდესაც შეცოდებულები მის წინაშე და დარცხვენილები, ფოთოლაფარებულნი გამოეცხადნენ მამა ზეციერს, რომელმაც განდევნა სამუდამო საცხოვრებლიდან.

მას შემდეგ დაიწყო ყველაფერი მიწიერი, მათ შორის, სიკვდილი.

სიკვდილი ერთხელ მოდის, თუმცა ყოველ წამს ველით. სიბერის გვეშინია, თუმცა დაბერება გვწადია.

რადგან სიკვდილი ჩვენ უკითხავად დაბადებიდან თან გვდევს და ვერც ვერავინ აღუდგება წინ, თითქოს შეგუებული ხვდები მის მოულოდნელ გამოჩენას.

მაგრამ სულ სხვაა სირცხვილი – აფთარივით უსაფრდება და სულმოუთქმელად ელის ადამიანის მცირე შეცდომასაც კი, რომელსაც საზოგადოება მხოლოდ თავისი თვალით უყურებს და განსჯის.

„მგელს მგლობას დაარქმევენ და ტურა კი ქვეყანას აქცევს“-ო.

ტურებითაა სავსე ეს ქვეყანა და უნამუსოდ ჯიჯგნიან ადამიანის სულს. არ ფიქრობენ, რამდენად დასაშვებია, ადამიანზე შეიქმნან აზრი მისი ერთადერთი შეცდომის მიხედვით, რაც შეიძლება გამოიწვია უკიდურესმა გაჭირვებამ, უსაზღვრო გატაცებამ ან დაუფიქრებლობამ.

ამიტომ მინდება, ალბათ, მარტოობა და მგლური კანონით ცხოვრება, სადმე ადამიანებისაგან შორს, მთის ველურ ბუნებაში, რომელიც მგელივით მკაცრი, მაგრამ სამართლიანია და ადამიანზე უფრო გონიერი, სადაც გონსმოგებული ცხოვრებას იწყებ ახლებური გაგებითა და შეხედულებებით.

სადაც იბადება ბუნდოვანი ოცნებები...

სადაც ხანმოკლეა ბინდის სილამაზე და ისეთივე ცივია და გამჭირვალე, როგორც მთვარიდან გამოდღვრილი სხივები სიბნელეში.

სადაც, არც დავიწყებისთვის და არც გახსენებისთვის იმეტებ დროს, და მხოლოდ ადამანებისადმი უნდობლობის შიშის ძაფები გადახლართული გრძნობებით, მკერდქვეშ ტკივილით გაჰყურებ სამყაროს და მიწაზე დაღვრილ სიჩუმეში ვერ ხვდები სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე...

რას მოელი ამ ქვეყნისაგან, ან რას სთავაზობ თავად.

გაჰყურებ მას და ხვდები, რა დაუნდობელია წუთისოფლის მარჯვენა, სადაც არცერთი ჩვენგანი ჩვენი ნებით არ მოვსულვართ და ბედისწერით განსაზღვრული კანონი, ნაცარივით შემოგვაყრის ფიქრსა და ტკივილს. რისგანაც ხანდახან უძლურების გამო, ბედთან შეგუების ზანტი გრძნობა დაგეუფლება და მხოლოდ განმარტოების მშვენიერება გივსებს სულის სიამეს. სადაც ამოვსებული წარსულის როგოდან, ამოტივტივდებიან ტკბილი და უსიამოვნო ფიქრი და გვიჭირს სიყვარული დიდი სიძულვილით მოწამლულებს და შენიღბულნი ვიტყუებთ თავებს და საკუთარ სიბეჩავეს სხვებს ვაბრალით. ხოლო, საკუთარ თავთან ყოფნა და სიმარტოვე აგვაფორიაქებს და აღგვიძრავს უმიზეზო შეშფოთებას.

მაგრამ, რადგანაც ეს ქვეყანა დროებითი სამოსახლოა და გვეჩვენება, ვუმზერთ უკანასკნელად, ვერ ვთმობთ ბედნერების წვეთსაც კი და გონსმოგებულნი გავცქერით ახალ, უცნობ გზებს, რომელზედაც მიდიოდნენ ჩვენამდე სხვები.

გზებს, სადაც იცი განმეორდება იგივე: ღალატი, სიცრუე, სიბილწე, ყოველდღიური ცდუნებები, ქედმაღლობა, მოჩვენებითი ერთგულება, უსამართლობა და უამრავი საფრთხე.

გზებს, სადაც გდევენ დღეები თავისი უძლეველი ჯარით.

დღეები, რომელთა შეკრება ჩვენს ცხოვრებად იქცევა და მასში, თავად თუ არ მოინდომე გამოჩენა და მოკრძალებით განზე გადექი, ბედის უკუღმართობით შეიძლება მთელი შენი მომავალი საფრთხს წინაშე დააყენო.

მართალია, ძნელია, გიყვარდეს და არ ამ-

ჟღავნებდე, ფარავდე გულის თრთოლვას, გებრალებოდეს და დუმდე, გასაჭირში შველას არ ითხოვდე, მაგრამ უძლურნი ვართ ცხოვრების უსამართლო კანონის წინ და ამიტომაც თავადაც მკაცრი შეხედულებებით გიწევს ცხოვრება ნებნით, თუ უნებლიეთ.

ათასნაირი ჯურის ადამიანებთან გიწევს „დაჯახება“ და თავის გატანა. ზოგიერთ მათგანს კი ღირსებაც არ გააჩნია, მხოლოდ არარაობაა და მეტი არაფერი, რომელთა ხელშიც ბედის უსამართლობით, შემთხვევით მოხვდა იმ ადამიანებზე გავლენა, რომლებზედაც წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მათ, საშუალება რომ მიეცათ. ძნელია ამ ცხოვრებაში კაცისთვის, რომელსაც წარმოსაჩენად საკუთარი ღირსების გარდა არა აბადია რა, სარბიელზე გამოვიდეს და ბედით განებივრებულ უგუნურს გაუტოლდეს. უგუნურებს, რომლებიც იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ სახელი იმ ადამიანებმა უნდა შეუქმნან, რომლებსაც ანგარიშს არ უწევენ, და ვერც იმას ხვდებიან, რაოდენ სასაცილოები და უბადრუკნი არიან, როცა გონება არ ჰყოფნით, რომ ლამაზად ილაპარაკონ და არც მოსაზრება, რომ გაჩუმდნენ.

ვერ ხვდებიან, რომ სხვისი ჭკუა-გონება მათ ვერაფერს არგებს, ისევე, როგორც ბრმას სხვისი მხედველობა.

და მაინც, ბედის უმოწყალობით, მათი გავლენით ვიცვლით ზნესა და ვხდებით პირქუშნი, ღვარძლიანი, სრულიად სხვა გვარი განწყობლების და ისე ვიცვლებით, ბოლოს თავადაც გვიკვირს როგორ და როდის აქეთ გავხდით აგრე გულცივები.

ჩვენგან დამოუკიდებლად, მრავალმა გარემოებამ დაგვიმახინჯა სული, შეგვიცვალა მორალური სახე და აღარც ისეთები ვართ, როგორებიც ჭეშმარიტად მოვევლინეთ ამ სამყაროს და აღარც ისეთები როგორიცა ვჩანვართ.

სამწუხაროდ, ხანდახან ცხოვრება გვაიძულებს, რომ მიამიტობა და გულწრფელობა დახვეწილ ეშმაკობად გამოვიყენოთ, რადგან ბედი უმოწყალო რამაა! და, თუ სხვისგან არ მოველით ფეხქვეშ გაგებას, თავადაც ვერ გავეგებით ფეხქვეშ!..

* * *

ამ ქვეყნად ყველას თავისი ზარი და ჯვარი აქვს, ვის დიდება და ვის – ტანჯვა და ხანმოკლე სიცოცხლე.

ზოგიერთს კი ამ ყველაფრის მონაცვლეობით უწევს წუთისოფლის გავლა.

არავინ იცის როდის და რითი შეიცვლება ჩვენი სიცოცხლე, მაგრამ ერთი კი ჭეშმარიტებაა. მთელი სიცოცხლის გავლა შეიძლება ტანჯულ საუკუნეშიც ვერ შეძლო და შესაძლებელია ბედნიერ ერთ წელშიც მოასწრო.

ამიტომ, არ უნდა დათმო, ამ ისედაც ხანმოკლე წუთისოფელში, შენი წილი ბედნიერების ერთი წვეთიც კი, რადგან არავინ უწყის, როდის წაშლის ჩვენს ბედნიერ ყოფას უმოწყალო ბედი, როგორც შემოდგომის წვიმა ნაკვალევს.

* * *

ზოგჯერ, ვფიქრობ, ჩემში ორი არსება ზის ერთდროულად. თითქოს თავად ვუცქერ, როგორ ძალაგამოცლილი დღე და ღამესავით გამუდმებით ებრძვიან ბოროტი და კეთილი ანგელოზი ერთმანეთს. მე კი უნდობლობის გამო, მკაცრად შევცქერი და ველი სულმოუთქმელად, გადაღლილი გულით ველი, ვის შერჩება საბოლოოდ ჩემი სული, რომელიც მხოლოდ მე ვიცი, რომ აღარც ისეთია, როგორიც მოევლინა ამ ქვეყანას და აღარც ისეთია, როგორიცა ჩანს. თითქოს გაორებულია: ერთი, რომელიც მკაცრი, ცივი და დაუნდობელია, და უნდობლობის თვალით უყურებს წუთისოფლის მკვიდრთ, ხოლო მეორე, ფაქიზი და მიმტევებელი, რომელსაც სიყვარულიც შეუძლია და ერთგულებაც, და თითქოს, მხოლოდ ამ ორთაბრძოლის შედეგად დარჩება ერთერთი...

ლია პეტრიაშვილი



1-ყმუილი
(მოთხრობა)

„უეცრად ჩამოთოვა. ისეთი თოვლი მოვიდა, კარგად „მოსულ" ვაჟკაცს გულმკერდამდე მისწვდებოდა.

სახლი ისედაც ძველი იყო, სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა და შეშაც ერთი დღის სამყოფი დარჩენილიყო. კაცმა ტყიდან ორი გზობა შეშის ჩამოტანა კი მოასწრო, მაგრამ ეგ რას ეყოფოდათ. ცოტაოდენი ფქვილი ჰქონდათ და ბავშვებს პურს ღუმელზე უცხობდა ქალი.ის შეშაც იქ გამოიწვა.

ჯერ ადრე იყო სათოვლედ.კაცი ფიქრობდა: სანამ ჩამოთოვს, მოვასწრებ ჩამოტანასო, მაგრამ ორდღიანი ქარის შემდეგ, ისეთი ლეგა ღრუბლები მოგროვდნენ,საღამოხანს ჩადგა თუარა ქარი, ჩამოიქუფრა რაღაც მუქნაცრისფრად და წამოვიდა ციდან თეთრი პეპლებივით ფიფქები. თავდაპირველად, წვრილი ხოშკაკალა წამოუშინა სწრაფი ტემპით, შემდეგ ქარი სრულიად ჩადგა და ძალიან დინჯად, მაგრამ მონდომებით წამოვიდა უზარმაზარი ფანტელები. მთელი ღამე არ გაჩერებულა, მთელი ღამე კაცის გულშიც თოვდა.

სისხამ დილით, უთენია ქრომის ძველი ჩექმები მოიძია. ცოლის მოქსოვილი მატყლის მაღალყელიანი წინდები ჩაიცვა. შარვლის ტოტები საგულდაგულოდ ჩაიტანა წინდის ყელში და ფეხები ისე გაუყარა ჩექმაში. ოთახის კარების გვერდით კედელზე მირჭმული ლურსმნიდან დაბამბული კიტელი ჩამოხსნა და შინნაქსოვ მატყლის თბილ ჯემპრზე შემოიცვა. სანამ კარებს გამოაღებდა და გავიდოდა, ცოლის ხმა შემოესმა:

– მოდი, დღეს ნუ წახვალ, იქნებ ცოტა გამოიდაროს, თოვა შეწყდეს და ხვალ ან ზეგ წადი.რა ვიცი კაცო,ამ უამინდობაში რამე ხიფათს არ გადაეყარო.

– როგორ მოვიცადო, ბალღებს რა ვუყო, სიცივით ხომ არ დავხოცავ, ობლები ხომ არ არიან?! სანამ მამა ჰყავთ, სითბოც უნდა ჰქონდეთ და პურიც. როცა აღარ ეყოლებათ, მაშინაც ეყოფათ სიცივე და შიმშილი.

– რა ვიცი კაცოო, თავს გაუფრთხილდი, რაღაცა ავი წინათგრძნობა მაქვს, გზაზე იფრთხილე ძალიან„.

– ეგ წინათგრძნობები შენთვის შეინახე დედაკაცო, წამოდი მარხილის აპეურები დამიჭირე, ცხენი შევაბა და სანამ კარგად გათენებულა, გზას გავუყვე, თორემ დამიღამდება და ის სატიალე მგლები მომრავლებულან, სადმე მართლა არ გადავეყარო, დროზე უნდა ჩამოვბრუნდე ტყიდან.

თავლაში გავიდნენ. ოჯახის ერთგული და მარჩენალი ცხენი თივას იღეჭებოდა. პატრონის დანახვაზე შეიხვიხვინა, ანიშნა აქა ვარო.

თავლის კუთხეში დიდი მარხილი იდგა. კედელზე აყუდებული აპეურები დაამაგრა მარხილს და მერე ცხენი მიუყენა შესაბმელად. პირში ლაგამი ამოსდო,სადავე ცხენის ზურგზე შემოდო და კისერზე ნახევარრკალი „ქედი" დაადგა. სწორედ იმ ქედზე მაგრდებოდა აპეურები. ცხენის მარჯვენა მხრიდან ცოლი ებღაუჭებოდა აპეურს, მეორე მხრიდან კი ქმარი. დაამაგრა. პირბასრი ცული და წალდი ქამარში გაირჭო უკან,წელის მხარეს,ხელზე ნაქსოვი და ხელისგულებზე

ტყავგამოკერებული ხელთათმანები ჩაიცვა.თავზეც ცოლის მოქსოვილი თბილი ქუდი ჩამოიფხატა ყურებამდე და მზად იყო წასასვლელად.

ცოლმა წნელით მოწნული ყურიანი კალათი გამოუცუხცუხა სამზადიდან.ყველი,მჭადი, თითო ბოთლი ღვინო და წყალი იდო. ერთიც, ბავშვებს გადარჩენილი ვაშლი ჩაედო. კაცმა თვალი მოჰკრა ვაშლს და გაეღიმა.

„– აჰააა! ესე იგი ისევ ისე ვუყვარვარ" – გაიფიქრა ღიმილიანმა.ვაშლი იმის მომასწავლებელი იყო,რომ შვილებს მოაკლო და ქმარს უწილადა,თანაც ისეთმა დედამ, შვილებისთვის რომ კვდებოდა და ცოცხლდებოდა ყოველ ცისმარე დღეს.

გულში ეთბილა კაცს.

– დედაკაცო, მოდი აქა – გასძახა.ქალიც მორჩილად ეახლა. კაცმა ხელი მოხვია და მიიზიდა, გულში ჩაიკრა და გემრიელად ჩაკოცნა.

– უი, სირცხვილო! – ლოყაზე შემოირტყა ხელი, აშკარად გახარებულმა და ნასიამოვნებმა ქალმა – ვინმემ თვალი არ მოგვკრას კაცო და შარაზე არ დაგვდოს.ამ შუა ეზოში რა კოცნა და პროშნა აგიტყდა?

კაცი მიხვდა, რომ ქალს ძალიან ესიამოვნა მოფერება.გაეღიმა.

– კარგი ვახშამი მომიმზადე დედაკაცო, დაღლილი ჩამოვალ ტყიდან და კოცნა– პროშნას მერე განახებ შენ, როგორი უნდა – ეშმაკურად მოწკურა თვალები.ქალმა ქოქოლა მიაყარა.

– უი ქაა, შენი გამოსწორება არ შეიძლება,არა! როგორიც ახალგაზრდობაში იყავი,ისევ ისეთი დარჩი ბოლომდე,არაფერიც არ შეიცვალა შენში – უთხრა და ლოყებაწითლებულმა ეშხიანად შეაბრიალა თვალები ქმარს.

ჭიშკრის კარი ჭრიალით გამოაღო,თვითონ მარხილზე ჩამოჯდა და ცხენს შეუძახა.ცხენიც მორჩილად დაიძრა და თოვლში ზარმაცად გადადგა ნაბიჯი. მარხილი მსუბუქად გასრიალდა თოვლზე.

ზურგს უკან ქალმა პირჯვარი გადასახა ქმარს და ეზოს კარი ისევ ჭრიალით დაკეტა.

რაღაც მანძილის გავლის შემდეგ კაცმა თავი მოაბრუნა და თვალი მოჰკრა სახლისაკენ მიმავალ მეუღლეს. სანამ თვალს არ მიეფარა,უყურებდა. თითქოს გულში რაღაც ჩასწყდა. მიბრუნდა და ცხენს შეუძახა.

თოვდა„ მხრებზე თეთრად დაეფინა ფანტელები. სოფლის განაპირას, ვიღაც შენიშნა, ფრთხილად მოდიოდა. ცდილობდა ფეხი არ ასცურებოდა მოყინულ გზაზე.

მიუახლოვდა, იცნო და მიესალმა.

– საით გაგიწევია ამ ავდარში, სოფლის ბოლოში გზა გაუკვალავია და გაგიჭირდება წასვლა.

– ეჰ,რა ვქნა, შეშა შემოგვაკლდა და როგორმე უნდა ჩამოვიტანო.

– ღმერთმა გიშველოს ძმაო, ფრთხილად იარე, სიკეთე გქონდეს.

კეთილი სიტყვით გაშორდნენ და გზა განაგრძო. ფიქრებმა წამოუქროლეს. ცოლზე ფიქრობდა: რა გოგო იყო. შვლის ნუკრივით თვალებს რომ შემომაფეთებდა, ფეხზე ძლივსღა ვიდექი, მუხლები ისე მიკანკალებდა. სურვილი მკლავდა და ვერ ვუბედავდი. მაშინ რა ვიცოდი, თუ ისიც ჩემსავით იგივე ცეცხლში იწვებოდა და იდაგებოდა. მაინც რა არის ეს სიყვარული კაცოო,

რა დღეში გვაგდებს, სანამ საწადელს არ ავისრულებთ. ჰაი დედასა, რა კარგია ახალგაზრდობა.ახლაც მიყვარს და უფრო მეტადაც, მაგრამ უკვე ჩემია, ჩემი საკუთრებაა და ისეთი განცდა აღარ მაქვს,როგორც მაშინ, სანამ გავუმხელდი სიყვარულს.კი მომკლა და აღარ დავრჩი განცდებისაგან – ისევ გაეღიმა და ცხენს მათრახი რბილად გადაჰკრა.

სოფლის ბოლოს, მართლა აუხდა თანასოფლელის ნათქვამი. გზა გაუკვალავი იყო და ცხენს ძალიან გაუჭირდებოდა გადაადგილება. მარხილიდან ჩამოხტა და ცალი ხელით აღვირში სწვდა ცხენს და მეორე ხელით და მთელი სხეულით გაებრძოლა თოვლს, რომ გაეკვალა, რასაც შესძლებდა. დანარჩენს კი თვითონ ცხენი მოერეოდა.

დიდი წვალება და ჯახირი გადახდა თავს, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა.მიზანი დასახული ჰქონდა და აასრულებდა კიდეც.

თვითონაც დაიღალა და ცხენიც ორთქმავალივით ქშინავდა. ნესტოებიდან ისეთ ორთქლს უშვებდა,რაც მის დაღლაზე მეტყველებდა. შუადღემდე მიაღწიეს ტყის ნაპირს. ხეების მოჭრის დრო აღარ იყო.ერთ ადგილას ეგულებოდა მოჭრილი ხის ტოტები, რომლებიც საკმაოდ დიდები იყო და იმას გამოაბამდა მარხილს. თოვლში არ გაჭირდებოდა გამოთრევა. შეიძლება წაქცეულ ხეს გადააწყდეს და მთლად უკეთესი, ცოტა ხანს ეყოფოდათ. მერე ალბათ გამოიდარებს,უფრო ადვილი გახდება ტყეში წასვლა. ოღონდ ახლა მოასწროს და წაიღოს რამე.ბავშვები არ დაცივდნენ, სხვა არაფერიც არ უნდა.

როგორც იქნა მიაღწია იმ ადგილს,სადაც ეგულებოდა მოჭრილი ხეები. ისევ იქ ეწყო, არავის წაუღიაო – გაუხარდა. მარხილის სახელურზე დახვეული თოკები გამოხსნა და გაამზადა. თვითონ წავიდა და თითო-თითოდ დაიწყო ხის ტოტების გამოთრევა. ტოტები ერქვა უზარმაზარი მოჭრილი ხის ტოტებს, თორემ თითოეული საშუალო ზომის ხის ტოლი მაინც იქნებოდა.

შუადღე გადავიდა და საკმაოდ ბევრი შეშა მოაგროვა.ახლა თოკების ჩაბმა დაიწყო,რომ მარხილზე მიემაგრებინა და გაათრევდნენ როგორმე. თოვლზე ადვილი იყო, სრიალიათ წაიღებდა სახლამდე. ძალიან დაიღალა, მოშივდა. ისე ზეზეულად წასახემსებლად წაიტეხა ცივი მჭადი და ყველი. მადიანად ილუკმებოდა. ბოთლიდან ღვინოც მოსვა. ასეთ ცივ მჭადს რა აჭმევდა სახლში შეუფიცხებელს, მაგრამ ტყეში რა გემრიელია ყველაფერი. მაინც რა ლამაზია თეთრად შეფეთქილი ხეები.

ტყეში მალე ღამდება, მაგრამ თოვლის სითეთრე რაღაცნაირად ანათებდა და ღამის სიშავეც ფერმკრთალდებოდა. ისედაც ჯერ კარგად არ იყო მოსაღამოვებული.

ჩქარა-ჩქარა გადაყლაპა დარჩენილი მჭადის ნატეხი, თავის ყველიანად. ღვინოც დააყოლა და ცოტა ხანში, მლაშე ყველმა წყალიც მოაწყურა. ვაშლი? – არა, არა, ვაშლს უკან წაიღებს და ბალღებს გაახარებს. მოატყუებს, ვითომ ტყეში იპოვა და მათ წამოუღო. ჯერ კიდევ პატარები არიან და ყველაფერი უხარიათ.

ფეხებზე თბილი წინდები კი აცვია, მაგრამ თოვლი რომ გაკვალა, ეტყობა ჩექმაში ჩაუცვივდა, გადნა და სისველეს გრძნობდა. რა კარგი იქნება, მივა თუ არა სახლში, თბილ წყალში ჩააწყობს ფეხებს. ცოლი არ დაანებებს, მაინც ჩაუყოფს ხელს ტაშტში და ფეხზე ხელს აუსმევს და დაუსმევს. მერე და რა სასიამოვნო შეგრძნებაა... მადლობა ღმერთო, რომ ჩემთვის დაბადე, მადლობა, რომ ჩემს ბედისწერად მარგუნე„ კარგი ქალია, პატიოსანი, მეოჯახე. ქმრისა და შვილების მოყვარული, ერთგული ცოლი და კარგი დიასახლისი. სხვა რაღა უნდა იყოს

ბედნიერება, თუ არა ორი მოსიყვარულე ადამიანის ერთად ცხოვრება და ყოფნა? მე სხვა სიმდიდრე არც მინდა. ჩემი სიმდიდრე ჩემი ცოლშვილია.

ამ ფიქრებში თითქმის ყველა ხე მიაბა მარხილს. საქმეს მორჩა, საბოლოოდ გადაამოწმა, რომ გზაში არ დასცვენოდა ხეები.

ის იყო მარხილზე უნდა დამჯდარიყო, რაღაც ფაჩუნის ხმა გაიგო. გაიხედა და ათიოდე წყვილი, საზარელი თვალი ანათებდა სიბნელეში. იმ წუთას გულში ისეთი სინანული იგრძნო, თოფი რომ დაავიწყდა სახლში და არ წამოიღო, მაგრამ უკვე გვიან იყო თითზე კბენანი.

უკვე ღრენაც ისე ახლოდან მოესმა, შეეშინდა. გამოსავალი მხოლოდ ერთი რჩებოდა, ხეზე უნდა ასულიყო. იქვე ორ ნაბიჯზე ხე იყო, გაიქცა და ასვლა დაიწყო. გაუჭირდა, მაგრამ შიშს დიდი თვალები აქვსო და მაინც ავიდა. ერთი ტოტი მოძებნა ფართო, სადაც კარგად მოიკალათებდა და ასეც მოიქცა. დაჯდა ხელები სხვა ტოტებს მოკიდა და საიმედოთ მოიკალათა.

ცხენმა მოახლოებული საფრთხე იგრძნო. ფლოქვების ცემას და ხვიხვინს უმატა. გაქცევა უნდოდა, მაგრამ დახმარება სჭირდებოდა. მიწოლა, რომ მობმული ხეები გაეთრია. არ იყო ადვილი დახმარების გარეშე გადაადგილება. გინდაც აშვებული და თავისუფალი ყოფილიყო, მაინც განწირული იყო იყო, რადგან მთელი ხროვა უახლოვდებოდა და ვერანაირად ვერ დააღწევდა მათგან თავს.

მგლები ვერაგულად, ჩოჩვა-ჩოჩვით მოიწევდნენ წინ. ცხენმა უკვე გააფთრებული ჭიხვინი ატეხა.კაცს გული შეეკუმშა. თავის უღალატო და ერთგულ მეგობარს თვითონ უღალატა: გაავებულ მგლებს მიუტოვა საჯიჯგნად.

მაღლიდან ყველაფერს საკუთარი თვალით ხედავდა. ატეხა ყვირილი,ეგონა ასე დააფრთხობდა მგლებს, მაგრამ მისი ყვირილი ამაო იყო;

აქამდე ჩუმათ და ფორთხვით მცოცავი მგლები წამოდგნენ და სწრაფი სირბილით თავს დაესხნენ გააფთრებულ, დამფრთხალ ცხენს. ისეთი საშინელი ხმები გაისმა,კაცმა ვერ გაუძლო. ისღა მოახერხა თვალები დაეხუჭა, მაგრამ დიდხანს ვერც ეს ვერ შეძლო. რაღაც აიძულებდა ეყურებინა, როგორ გლეჯდნენ მის ცოცხალ მეგობარს ლუკმა-ლუკმად. აღშფოთება, შიში და სასოწარკვეთა იმზირებოდა მისი თვალებიდან და საკუთარი თავი ეზიზღებოდა, რომ ვერანაირად ვერ შველოდა, უკანასკნელ არამზადად თვლიდა, იდანაშაულებდა საკუთარ თავს.

ცხენმა უკანასკნელად ამოიხრიალა. ერთ საათში, ცხენისგან მხოლოდ ძვლებიღა დარჩა. ზემოდან დასცქეროდა დუჟმორეული, ხარბი მგლები როგორ თქვლეფდნენ ცხენის ნაწლავებს.

პირსისხლიანი, მუცელამოყორილი და დანაყრებული მგლები არსად წავიდნენ.იქვე დაწვნენ და ყმუოდნენ რიგრიგობით, რაც კაცს შიშის ზარს სცემდა.

ამინდი გაუარესდა.თოვამ მოუხშირა. კუნაპეტი ღამე იდგა და ყინვამ ძალიან შეამცივნა. ჩექმაში ჩასულმა და გამდნარმა თოვლმა ფეხები დაუზრო და ეყინებოდა. ხეზე მოჭიდებული ხელები დაუბუჟდა, თითქოს ვეღარც გრძნობდა, მაგრამ ჩამოვარდნის შიშით ხელს როგორ გაუშვებდა. ღმერთს ეხვეწებოდა,ეს ღამე როგორმე გაეთენებინა მისთვის და იმედს იტოვებდა, დღის სინათლეზე იქნებ წასულიყვნენ მგლები და თვითონ როგორმე გაიკვლევდა გზას.

წარმოიდგინა, როგორ ნერვიულობდნენ სახლში. ცხადში დაინახა თავისი ცოლის ამოღამებული, ლოდინად ქცეული თვალები: შეშინებული და ნამტირალები. აკი სთხოვა, დღეს ნუ წახვალო. არ დაუჯერა... ზოგჯერ ცოლის სიტყვაც უნდა დაიჯეროს კაცმა. არ დაუჯერა და ზის

ახლა ხეზე და ქვეშ მგლები ელოდებიან.სინანულით გადაიქნია თავი.გულში რაღაცას ნანობდა ძლიერ.

შუაღამე გადავიდა. ისეთი ყინვა დაიჭირა, გრძნობდა ძვლები როგორ ეყინებოდა. განძრევას ვერ ბედავდა. ვეღარც ფეხის თითებს გრძნობდა და ვეღარც ხელის თითებს. სიჩუმემ, განცდამ, შიშმა და ყინვამ რაღაცნაირი თვლემა მოჰგვარა, ეძინებოდა. არა!!! არ უნდა დაეძინა. არ შეიძლება, არ უნდა დაუშვას ძილი, ეს სახიფათო და საბედისწეროა!!! ებრძოდა კაცი საკუთარ თავს.

მთელი ღამე ელოდა თვალებამოღამებული ცოლი ქმარს. თვალი ვერ მოხუჭა.ან კი რა დააძინებდა!მთელი ღამე მგლების ყმუილი მოისმოდა ტყიდან და გულში შიშს უმძაფრებდა. დილით ადრე, მეზობლის კაცს დაუძახა და შესჩივლა თავისი გასაჭირი. კაცმა თავი გადააქნია: ეგ როგორ გაბედა,ამ თოვლში და ასეთ უამინდობაში ტყეში რამ წაიყვანაო.შენ ნუ გეშინია,უგზოობა და დიდთოვლობაა და ეტყობა ნელა-ნელა მოდის გზას გაკვალვა სჭირდებაო – თავის მხრივ ვითომ დაამშვიდა ქალი, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა,თავისი სიტყვების თვითონაც არ სჯეროდა, რადგან მასაც ესმოდა მთელი ღამე ყმუილის ხმა.პირობა მისცა,გავალ სოფელში,შევკრებ კაცებს და წავალთ მოსაძებნადო.თქვა და აასრულა კიდეც. ოციოდე კაცი შეიარაღდა თოფებით,დანა–ხანჯლებით და დაადგნენ გზას ტყისკენ.

თოვლი ისევ შეუწყვეტლად მოდიოდა და ყოველ ნაფეხურს შლიდა.გაკვალული გზა და ნაფეხურები აღარსად ჩანდა. მთელი დღე ეძებეს უშედეგოდ. არ იცოდნენ რომელ მხარეს წავიდა შეშისთვის. საღამოს უკან ჩამობრუნდნენ, ხვალ უთენია გავალთ ისევ მოსაძებნადო. ქალს იმედი სულ გადაეწურა.მეორე ღამე გავიდა და ისევ არ გამოჩნდა მისი ქმარი. მოთქმით ტიროდა, ცოცხლებში აღარ მოიხსენიებდა.

კაცი კი მეორე დღე და ღამე იჯდა ხეზე.უკვე დამშეული მგლები ფეხს არ იცვლიდნენ ადგილიდან და ხის გარშემო დაყუნცულები შაზარლად შეჰყმუოდნენ მორიგ მსხვერპლს. კაცს მუცელი ასტკივდა.ცალკე ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება აწუხებდა, ცალკე შიმშილი და წყურვილი. იმედს მაინც არ კარგავდა, მოსაძებნად წამოვიდოდნენ. „იქნებ დროულად მოაღწიონ და მიშველონო" – იმედიღა ასულდგმულებდა. შიოდა, წყალი სყუროდა. სხეულს საერთოდ ვეღარ გრძნობდა. ადვილი შესაძლებელი იყო ერთი არასწორი განძრევა და ძირს ჩამოვარდნილიყო. როგორღაც ინარჩუნებდა წონასწორობას, მაგრამ ეს რა ძილქუში დაატყდა? ისე ეძინებოდა,თვალღია იპარებოდა ძილში.

აუტანელი გაუხდა სიცოცხლე.სიკვდილს ნატრობდა, მაგრამ არც ისეთი სიკვდილი უნდოდა, ძირს რაც ელოდებოდა... საერთოდ დაკარგა შეგრძნების უნარი. საერთოდ დაკარგა სხეულის შეგრძნების კონტროლი.უკვე შიმშილსაც ვეღარ გრძნობდა, მხოლოდ ძილი ართმევდა თავს. როგორმე უნდა გაეძლო. ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა, მოჩვენებები დაეწყო. ცხადლივ ხედავდა ადამიანებს, დაეძებდნენ. ეს ოცნების მირაჟი იყო. უნდოდა ხმა მიეწვდინა მათთვის: აქ ვარ, აქ ვიმყოფებიო, მაგრამ ისე მონდომებით ყმუოდნენ მგლები,ვის რას გააგონებდა. არც ხმა არ ამოსდიოდა ყელიდან.... ისე წაიღო ძილმა, ვერ მიხვდა...

ერთხანს გაშეშებული იჯდა, მერე ერთი თავი გადაიქნია და ისე მოსწყდა ხის ტოტს, ხელის წავლება ვეღარ მოასწრო. უკანასკნელი რაც დაინახა... უამრავი უშველებელი ეშვები და ჩასისხლიანებული თვალები იყო.

ერთ წამში ტყეში საზარელი,არაადამიანური ყვირილი გაისმა,სულ ცოტა ხანში კი ხრიალი...

მთელი სოფლის კაცები დარაზმულები ეძებდნენ ოთხი დღის განმავლობაში და მის გზასა და კვალს ვერ მიაკვლიეს. მეხუთე დღეს, რაღაც საეჭვო თოვლის ბორცვი დაინახეს და იუცნაურეს.ახლოს მივიდნენ, თოვლი გადახვეტეს და მარხილი გამოჩნდა ხეებმიბმული.გარშემო გადაუხვეტეს თოვლი და ცხენის თავის ქალა და გამოხრული ნეკნები აღმოაჩინეს. უკვე ყველასათვის ნათელი და გასაგები გახდა, რაც მოხდა.ამიტომაც არ შეწყვეტილა ეს დღეები ყმუილის ხმა, ამიტომაც სცემდა შიშის ზარს მთელ სოფელს. იმედი მაინც არ გადაიწურეს. იქნებ ხეს შეაფარა თავი, იქნებ სადმეა და ცოცხალიაო. აქედან შორს ვერ წავიდოდა, სადმე იქნებაო და მორთეს ყვირილი. სათითაოდ ყვიროდნენ, უხმობდნენ, მაგრამ ამაოდ.

უცებ ვიღაცამ ისტერიულად იკივლა: ვიპოვე, ვიპოვეო. ყველა მონუსხულივით ერთდროულად გაჩუმდა. მპოვნელი ხის ძირში იდგა, თოვლს ქექავდა. დაბამბული კიტელის და ნაქსოვი ჯემპრის ნაფლეთები გადმოსწია, გადმოყარა... კიდევ გადმოქექა თოვლი და თეთრი საფარის ქვეშ ყაყაჩოსფერი თოვლი გამოჩნდა. მივიდნენ ახლოს... ქუდები მოიხადეს, სიმწრით კბილები გაახრჭიალეს ნახევრად გამოხრული თავის ქალის დანახვაზე. ეს ხომ სიკვდილთა შორის,ყველაზე სასტიკი და უსაშინლესი სიკვდილი იყო...

ტომარა მოიმარჯვეს და უფრო გულადებმა მოკრიფეს ძვლები,სხეულის ნარჩენები,ჩააწყვეს ტომარაში და თავჩაქინდრულები, უსიტყვოდ,უხმოდ გაემართნენ სოფლისკენ. სიკვდილი – სიკვდილია, მაგრამ ასეთი სიკვდილი ?!.. ადამიანი შეიძლება საწოლში მოკვდეს,წლობით იტანჯებოდეს რაიმე სნეულებით, ავიაკატასტროფაში, ავტოავარიით, შეიძლება ვიღაცამ ვიღაცას თოფი ესროლოს ან თუნდაც ყელი გამოსჭრას ვერაგულად, წამიერია სიკვდილი და შეიძლება ტკივილი ვერც კი გააცნობიეროს, შეგრძნება ვერც მოასწროს, მაგრამ ცოცხალი ადამიანის შეჭმა, როდესაც გრძნობს,როგორ აგლეჯენ ხორცებს, სანამდე სული უდგია, ყველანაირ ჯოჯოხეთს გაივლის. სწორედ ამ ტკივილმა დაამუნჯა სოფლელები, ამ ტკივილმა დაუმდუღრათ გულები. ან სახლში,ქმრის მომლოდინე ცოლს რა მიუტანონ ცხედარის ნაცვლად – მგლისგან დახრული ძვლები?..

ეზოს კარები ფართოდ გააღეს და მთელი სოფლის მოსახლეობა მდუმარედ გაჩერდნენ ქუდმოხდილები და თავჩაღუნულნი.სამარისებულ სიჩუმეში იდგნენ ასე,ვერავინ გაბედა ხმის ამოღება.

ქალმა ფანჯრიდან დაინახა ეზოში შემოსული ხალხი.მიხვდა, მის თავს კარგი არაფერი იყო და სახლის კარი კიარ გამოაღო,გამოგლიჯა და გადაფრინდა წამიერად მათ წინ. შეშლილი თვალებით შეჰბღავლათ – სად არის!!!

მის წინ ტომარა დადეს„. ფრთხილად დადეს, მაგრამ შიგნით ძვლებმა მაინც დაიჩხრიალა და ეგრევე გადავარდა გულწასული ქალი გულაღმა თოვლში...

დაკრძალვის შემდეგ, ამ ამბავს ტაბუ დაადეს და არასოდეს არავინ სიტყვას არ ამბობდა ერთმანეთთანაც კი.თავისთავად აკრძალეს,უსიტყვოდ და ერთმანეთთან შეუთანხმებლად.ოღონდ ეგ იყო,სადაც სუფრა იშლებოდა,ღვინო ისმებოდა – ერთ ჭიქა ღვინოს სულ უხმოდ,უსიტყვოდ, სადღეგრძელოს თუ სამძიმრის სიტყვის გარეშე სვამდნენ და იცოდნენ,ვისი შესანდობარიც იყო.

ძალიან ეტკინა სოფელს,ძალიან დიდი კოშმარი გადაიტანეს და მერე გაჩუმდნენ. გაჩუმდნენ,რომ მომავალ თაობას არ გაეგო და ამბავი არ გაგრძელებულიყო სალაყბოდ და

სათქმელად.გულში ჩაიკვეტეს და ჩაიმარხეს, თუმცა ქვეყნიერებაზედ ჯერ არცერთი საიდუმლო– საიდუმლოდ არ შენახულა„.

17 ნოემბერი. ლია პეტრიაშვილი 2018 წ.

2– ძველი სახლის სევდა

მაისის გოლოს, სკოლის გოლო ზარს სულმოუთქმელად ველოდი,რომ ზაფხულის არდადეგები გებოსთან გამეტარებინა დედულეთში. პაპაჩემი ზაფხულობით რუსეთში მიდიოდა სამუშაოდ. ჩემი გებო კი უტკბილესი, უთბილესი და მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო გებო – ჩვენ გველოდა. მასთან მიყვარდა ყოფნა, მის კალთაში მოკალათება.მეფერებოდა და სიამოვნებით ფისოსავით ვინაბებოდი. ყველა სურვილს დაუზარებლად გვისრულებდა შვილიშვილებს. რაჭველი ქალი იყო ჭელიაღელედან.გაიცნო პაპაჩემი და კახეთში გამოჰყვა„. ვერაფრით შეელია სიცოცხლის გოლომდე „გოშოს" და „ქვე შენი ჭირიმეს" ძახილს. დღემდე მახსოვს მისი ლობიანის, ნეშოიანი მჭადის და ლორჩახარშული ამოლესილი ლობიოს გემო. მთელი ზაფხულის განმავლობაში დაგვდევდა ძახილით: სად ხართ გოშო,არ მოგშივდათ? მოდით დანაყრდით და წადით ისევ სათამაშოდო...

საღამოს,მთელი დღის ნარბენ-ნათამაშევი, დაღლილები შემოვუსხდებოდით გებოს გარშემო და გვიყვებოდა თავისი რაჭული სიდინჯით და თბილი ხმით ნაირნაირ ამბებს, არაკებს. სახლი ივსებოდა სიხარულით.ისიც ერთობოდა და მხიარულობდა ჩვენთან ერთად... გავიდა დრო. ჯერ გებია წავიდა და დაგვტოვა, რამოდენიმე წლის შემდეგ – პაპა და გოლოს პაპაჩემის გაუთხოვარი და, რომელსაც პაპიდას ვეძახდით.

დაცარიელდა სახლი. დააღეს გოქლომი და დიდი ხნის განმავლობაში,წლობით იდგა მარტოდმარტო,მარტოსული მოწყენილი და ადამიანის მომლოდინე.

თბილისის სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მამა შეუძლოდ შეიქნა, ფილტვის სიმსივნე დაუდგინეს და სუნთქვა უჭირდა. საცხოვრებლად დედულეთში გადავიდნენ, რადგან იმ სოფელს ტყიანი მასივი აკრავს გარშემო და ჰაერი ჟანგბადით სავსეა. ზედგამოჭრილი იყო მამასთვის.დაიწყეს ცხოვრება იქ. მამამ გამოიხედა ისევ თვალებში.

მოწყენილმა სახლმა ისევ გამოიღვიძა და გამოცოცხლდა. შვილებმა და შვილიშვილებმა დავიწყეთ ისევ იმ სახლში ჩასვლა და გაიხარა სახლმა, აჟრიამულდა,გახალისდა ბავშვების ყიჟინით.

სამიოდე წელიწადში მამამ დაგვტოვა. დედა ვერ გავიმეტე მარტოობისთვის, თბილისიდან წავედი მასთან ერთად საცხოვრებლად.

მერე... მე და ის სახლი ერთად ვკეკლუცობდით, ვერთობოდით, მე ვმღეროდი და ის განს მაძლევდა. საწოლი ოთახის ფანჯრიდან ცივგომბორის მთა მოჩანდა მთელი თავისი დიდებულებით და შევხაროდი. მიხაროდა ყოველი ფოთლის შრიალი, წვიმის ყურება თუ თოვლის ფარფატა ფიფქების ცვენა. ეზოში აყვავებული ვარდების და ნაირნაირი ყვავილების მოვლა-მოფერება.

მე და ძველი სახლი ერთად ვხმაურობდით, სტუმრებსაც ერთად ვღებულობდით, დაბადების დღეებს ავღნიშნავდით, ზოგჯერ სამდღიანი გადაბმული ქეიფი გამოგვდიოდა და იყო აურზაური.

შემიყვარდა ის სახლი და მასაც ძალიან ვუყვარდი. მერე ანდერძი დაიწერა და მე მარგუნეს.უფრო შემიყვარდა დედულეთი.

გავიდა ათი წელი და არჩევანის წინაშე დამაყენა ცხოვრებისეულმა პირობებმა: – უნდა წავსულიყავი!

ის დღეც დადგა, წავედი„. დარჩა დედა მარტო იმ სახლში და ჩემი საყვარელი ძაღლი– მიმი, რომელსაც მზე და მთვარე ამოსდიოდა ჩემთვის.

უჩემობა იდარდეს დედამ, მიმიმ და სახლმა. დედა ძალიან დარდობდა და გულით დაავადდა. მიმიმ ვერ გადაიტანა. სულ ტიროდაო – დედამ მითხრა კარგა ხნის შემდეგ,ჯერ საჭმელი აუკრძალია და მერე დარდით მომკვდარა. კარგა ხანს მიმალავდნენ. სულ ვკითხულობდი მეც და მერე მითხრეს რომ მიმი აღარ გვყავსო. ის ღამე სულ ტირილში გავათენე...

სახლი კი შეშინებული იყო,ისევ ბოქლომები არ დამადონო. მალე გამართლდა მისი შიში. მეშინოდა დედა ავად არ გამხდარიყო და ჩემს დებს აღარ გავაჩერებინე იმ სახლში მარტოდ და წაიყვანეს თბილისში...

ისევ მარტო და ისევ მარტოსული გახდა ძველი სახლი. ისევ დაადეს ბოქლომები. ზაფხულობით ერთი თვით ჩადიოდნენ. აახმაურებდნენ, ააჟრიამულებდნენ სახლს და მერე სევდით სავსე მთელი ზამთარი გაყინული და გათოშილი ელოდებოდა მომდევნო ზაფხულის დადგომას.

რამოდენიმე წლის მერე დედა მოულოდნელად ავად გახდა.სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა და ნარკოზიდან ვეღარ გაიღვიძა, გულმა უმტყუნა.

იგლოვა სახლმა დედა. იგლოვა უჩემოდ და უჩემცრემლოდ... ეტკინა,იდარდა! როგორი იმედი ჰქონდა, რომ თავისი პატრონი ასეთ დროს გამოჩნდებოდა, მაგრამ... ვერ ჩავედი. ვერ ჩავუსწრებდი დაკრძალვას... აზრი აღარ ჰქონდა ბევრი მიზეზების გამო ტყუილად ხლაფორთს... უჩემოდ, ჩემს უნახავად და ჩემს დაუტირებლად წავიდა დედა...

სახლი კი როგორ მელოდა მოუთმენლად. იმედი გადაიწურა და გაყუჩდა დარდით სავსე, შემკრთალი და შეფიქრიანებული: ახლა ზაფხულობითაც აღარავინ ჩამომაკითხავსო... ტირილი დაიწყო ჩუმი მოთქმით. დაადეს ისევ ბოქლომები და დარჩა უზარმაზარ სევდასთან ერთად მიტოვებული და გარიყული.

დაბერდა, ნირი იცვალა, მაგრამ იმედის ნაპერწკალს არ კარგავს – მელოდება! ხო, მელოდება დიდი მოთმინებით. იცის, რომ მიყვარს, იცის, რომ აუცილებლად დადგება ის დრო, როდესაც დავბრუნდები და ავხსნი ბოქლომებს.შევაღებ კარებს და კედელზე ვაკოცებ. ვეტყვი: – გამარჯობა ჩემო სახლო, გამარჯობა ჩემო კარგო მეგობარო, იცი როგორ მიყვარხარ და რამდენს ვფიქრობდი შენზე? მე და შენ ხომ ძველი მეგობრები ვართ, ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნით და ერთმანეთს ვუპატრონებთ. გეგონა რომ სამუდამოდ მიგატოვე? ეგ როგორ იფიქრე მეგობარო, ხომ იცი როგორი მოსიყვარულე გული მაქვს,ეჭვი როგორ შეიტანე, რომ გაგიმეტებდი გასაწირად და გიღალატებდი? მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ. ჩვენ ერთად დავბერდებით...

ხო,იცის ამას რომ ვეტყვი და ეს ერთადერთი იმედი ასულდგმულებს. მელოდება სიცივეშეპარული კედლებით,ორი ცალი შავ ჩარჩოში ჩასმული სურათით და დიდი მოთმინებით. გგონიათ, რომ სევდა მარტო ადამიანებს გააჩნიათ? ყველაზე მეტად სევდიანები ხომ

მიტოვებული და გადარაზული სახლებია, რომელთა ფარდაჩამოკიდებული სარკმლის მიღმა დარდის ფთილების გროვა დგას...

– დამელოდე!!! ვიცი, ჩემი ყველაზე ერთგული და საიმედო მეგობარი ხარ ჩემო სახლო, მე გპირდები რომ აუცილებლად დაგიბრუნდები!

(ნაწყვეტი ჩემი დაუმთავრებელი თხზულებიდან „ემიგრანტი ქალის დღიური")

23 აგვისტო 2018 წ. ლია პეტრიაშვილი.

3– ბერიკაცი

—

სოფლის ორღობეში, ქვაღორღიან ბილიკზე, ხანშიშესული კაცი მიდიოდა. მიდიოდა და ღიღინებდა თავისთვის ფიქრებში გართული. მოსახლეობას გასცდა და ბილიკის აქეთ-იქით, ვენახის ზვრებს ათვალიერებდა.

ბერიკაცი კმაყოფილი იყო. წელს ყურძენი თვალშისაცემად ბევრი ესხა ვაზს. გეგმებს ადგენდა გულში: – ერთი-ორ ტონას სახლში დაწურავდა, დანარჩენს ჩააბარებდა. გულიც არხეინად ექნებოდა მომავალ შემოდგომამდე. აგერ ბიჭი უკვე საცოლე შეიქნა. ყური მოჰკრა,შეყვარებული ჰყავდა და რაღას ელოდოს? დაღვინდება თუ არა მაჭარი, ქორწილსაც გადაუხდის. წლისთავზე კი, შვილიშვილსაც დაიჭერს ხელში.

შვილიშვილზე გაფიქრებამ ღიღინი შეაწყვეტინა და ტკბილად გააღიმა. ვაჰ, რა საამო იქნება ბავშვის ღუღუნი სახლში... რაღაცნაირად სასიამოვნო ტალღამ დაუარა სხეულში. ამასობაში მიაღწია თავის ვენახს.

ხის ფიცრებისგან შეკრულ პატარა კარზე შემოხვეული და გადანასკვული მავთული გამოხსნა, კარი შეაღო და ისევე ღიღინით გასწია სახელდახელოდ შეკოწიწებული, ჩალით გადახურული ქოხისკენ. ამ ქოხში ისვენებდა მუშაობით დაღლილი და ეფარებოდა, ხან მზის სიმხურვალეს და ხან უეცრად მოსულ წვიმას.

ერთი ხის ფიცრებისგან შეკრული პატარა სკამი ჰქონდა, ერთიც გადაჭრილი ხის კუნძი, ერთი გასაშლელი „ლეჟანკა". სულ ეს იყო იმ ქოხის ავეჯი და ავლადიდება. ქოხის შიდა გასამაგრებელ ხის ძელზე, შიგნიდან მიმაგრებულ წნელისგან დაწნულ ნახევარგოდრულაში ვაზის მაკრატლები,დანები,ხელის პატარა ხერხი, ჩაქუჩი და რაღაც სხვადასხვა ხელსაწყოები ეწყო, რაც ვენახში მუშაობისთვის სჭირდებოდა და გამოადგებოდა.

ქოხის კუთხეში შეყუჟული ცელი გამოაძვრინა, გოდრულიდან სალესავი ამოიღო, ხის ჯირკვზე ჩამოჯდა და ცელს გულიანად გაუსვა და გამოუსვა სალესავი. ცერად გახედა ვენახს. ქარვისფრად დახუნძლულ მტევნებს სიყვარულით შეავლო თვალი. ორი კვირაც და რთველს გააჩაღებდა. ღირსია, წელს ციკანი წამოაგოროს და რთველში დამხმარე მუშახელს ცვრიანი მწვადები დააგემოვნოს.

– შე დალოცვილო შენა, რა ბარაქა გამოიღე, გენაცვალე ძირში – მიეხმატკბილა ვაზებს. ცელს ისევ გაუსვ-გამოუსვა სალესავი. ბალახი წამოზრდილიყო მწკრივებს შორის.ახლა გამოთიბავს,რომ ყურძნის მკრეფავებმა თავისუფლად იმოძრაონ და მოკრიფონ ეს დალოცვილი და მირონცხებული ყურძენი.

მზისგან დამკვრახული რქაწითელი ქარვისფრად ღუღუნებდა, თვალს ახარებდა.

– შე მადლიანო შენა. ზამთრის სამყოფ შეშას ვიყიდი, საქორწილოდ ერთ დეკეულსაც მოვარბენინებო და ბერიკაცს გულიდან აღმოხდა ღიღინი. „ურმულს" მღეროდა ხმადაბლა.ცოტა ხნის შემდეგ ჩაილაპარაკა:

– ეეჰ, ღმერთმა გაანათლოს შენი სული ჰამლეტ გონაშვილო, რა ღვთის ნაჩუქარი ხმა გქონდა კაცოო,შენი ხმის ჭირიმე. შენი ნამღერი „ურმული" არამიწიერი იყო და რა ოთარაანთ ქვრივის გიორგივით წახვედი ბიჭოო... რა გული დაგვწყვიტე ამოდენა ხალხსა...ეეჰ,რა არის ცხოვრება, რა ვიცით, ვის რა გვიწერია...

ლესვას მორჩა, ფეხზე წამოდგა. მუხლებზე გაცვეთილ და საკერავ გამოკერებულ სამუშაო შარვალზე ხელი გადაჰკრა და გადაიფერთხა.

პირველ მწკრივში შევიდა. ცელი ფრთხილად მოიქნია, რომ მტევნები არ დაეზიანებინა. ნელ-ნელა, შხუილ-შხუილით მიიწევდა წინ და მის ფეხებთან ცალ მხარეს მწყობრად წვებოდა მოცელილი ბალახი. მზიანი დღე იყო. ცოტა ნიავიც უბერავდა, კარგი სამუშაო დღე იყო და ისიც ხალისით მუშაობდა.

შუადღემდე ნახევარზე მეტი გათიბა. თუ ასე გულიანად იშრომებდა, საღამომდე შეიძლება საქმე ყუაზე გაეყვანა და მოელია.

ცოტა ხანში ნიავი ქარში გადაიზარდა. არსაიდან, მუქი ლეგა ღრუბლები მორეკა და მზეც მათ მიღმა მიიმალა. თიქოს ჩამობნელდა. კაცი მიხვდა, წვიმა გარდაუვალი იყო, მაგრამ ნირი არ გაიტეხა და ხელს აუჩქარა. არც პირველ წვეთებს არ მიაქცია ყურადღება, მაგრამ როცა ელვამ გაჰკრა-გაანათა თვალისმომჭრელად და ცამ საშინლად დაიგრუხუნა, შეწყვიტა მუშაობა და უკვე თქეშად წამოსულ წვიმას გამოექცა. ქოხში შევიდა,ჯირკვზე ჩამოჯდა და აბუზღუნდა. ჭექა-ქუხილმა უმატა.საბარლად ჩამოიქუფრა,ჩამობნელდა და ჯერ წვრილად წამოუშინა ხოშკაკალამ, შემდეგ კი დაუნდობლად წამოაყარა კაკლის სიმსხო სეტყვა, რომელიც თითქმის ათი წუთი გაგრძელდა. ოქროსფერი მტევნებით გაივსო დედამიწა. გაანადგურა და გაავერანა მოსავალი.

ნანახმა, თავში შემოარტყმევინა ხელები და მწარედ აატირა კაცი.გულზე იტაცა ხელი, შეუძლოდ შეიქნა. მიხვდა ცუდათ ჰქონდა საქმე:

– ჰაი დედასა, რა უპატრონოდ ვკვდები!.. – ჩაილუღლუღა და ბოძს მიეყუდა ზურგით – კაცი გჭობდა და ღმერთი იცინოდაო... შე დალოცვილო ღმერთო, რაღას გვაწვალებ, თუ ჩვენი დახოცვა გინდა, უწვალებლად დაგვხოცე და წაგვიყვანე...

გულში გაუსაძლისი ტკივილი იგრძნო, თვალები დახუჭა. ხელი ჩაიქნია და სიკვდილს დაელოდა ფარხმალდაყრილი...

მანქანის ხმა შემოესმა. თავსხმა წვიმაში ნაცნობი ხმა შეიცნო, იმედი მოეცა.მისი ვაჟი იყო,რომელიც გულგახეთქილი შემოიჭრა ქოხში და ბოძზე მისვენებული მამის ხილვაზე დაიყვირა:

– მამა, მამაა!! რა მოგივიდა კაცოო! – მივარდა და თითქმის გულშეღონებული კაცი მძლავრად შეანჯღრია. ბერიკაცმა თვალი ძლივს გაახილა და იმედგადაწურული მზერა მიაპყრო შვილს:

– ამის პატრონის დედაც... დაგვღუპა და დაგვაქცია... ამის იმედზე ვიყავით და ახლა რაღა ვქნათ და როგორ ვიარსებოთ შვილოო – თვალზე მდუღარე ცრემლი ჩამოუგორდა.
– მამი, შენ კარგად იყავი და რამე გამოჩნდება. ღმერთი მაღალია! მოსავალი თუ წაგვართვა,

სხვა რამეს გამოგვიჩენს საარსებოდ. არ იდარდო, ოღონდ შენ არ ინერვიულო, სადმე საშოვარზე წავალ და რამეს მოვიქონიებ. ნუ გეშინია, ამ წელს როგორმე თავს გავიტანთ და მერე კი ვნახოთ მომავალში რა იქნებაო. არ ინერვიულო მამი,სასიხარულო ამბავი მოგიტანე და უნდა გახარო– ცოლი მოვიყვანე, წამოდი სახლში პატარძალი გელოდება, ვუყვარდი და თავისი ფეხით გამომყვა. რასაც აღარ ეშველება,აღარც უნდა იდარდო. მეგობარმა შემატყობინა,რაღაც საქმე წამოვიწყეთ და კარგი პირი უჩანს, შემოსავალი გაგვიჩნდება და ამოვისუნთქებთ ცოტას.წამოდი ახლა, გოჭი დავკლათ,საღამოს გოგოს მშობლები მოგვაკითხავენ და დაგვლოცეთო. ბერიკაცს მიმქრალი თვალები გამოუცოცხლდა. სიხარულმა უცებ მიავიწყა სეტყვა, ვენახი, სიკვდილი და გული. ხელები გაშალა, შვილი გულში ჩაიკრა და გაბედნიერება მიულოცა. – წამოდი შვილო, წამოდი მამა გენაცვალოს შენა, მოყვრებს კაცურად დავხვდეთ!– მოულოდნელი ბედნიერებით გაბრუებულმა ხელი გადახვია მხარზე შვილს და ისევ ღიღინის ხასიათზე დადგა... გული აუმღერდა

2 ოქტომბერი 2018 წ. ლია პეტრიაშვილი.

Ყ– გაზაფხულის ეტიუდი.

მიხვდა, თუ როგორმე თავს არ გაინთავისუფლებდა, ძალას არ დაატანდა და ჭერს არ გაანგრევდა, სიცოცხლეს ვეღარ შეძლებდა. სუნთქვა უჭირდა, მზის ნახვა ენატრებოდა და თავისუფლად ამოსუნთქვა...

ორიოდე წუთით შეყოვნდა. თითქოს ძალები მოიკრიბა. რამდენის ჩასუნთქებაც შეიძლებოდა ამ უჰაერობაში, შეისუნთქა და თავით მიაწვა. ისეთი ძნელი აღმოჩნდა, ისე ძნელი, რომ...– ნეტავ რატომ დავიბადეო – გაიფიქრა.

– გაზრდა მაინც უნდა შევძლო და ვიცოცხლო, ისე რა ფასი აქვს დაიბადო, გაზრდა დაიწყო და მერე ვეღარ შეძლო სიცოცხლე, ვერ იხილო მზის სინათლე და ვერც სიბერე. თუ ვერ შეასრულებ შენს მისიას, აბა რა აზრი ჰქონდა დაბადებას?! – გული მოუვიდა თავისივე ფიქრებზე.

ისევ მოიკრიბა ძალ-ღონე, ისევ მიაწვა თავით სველ მიწას. ცოტა ეტკინა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. რაღაც მძიმეს განზე გაწევა შეძლო, ალბათ ქვა იყო და ძლიერმა სინათლემ თვალი მოსჭრა. ისეთი დიდი სხივი შემოიჭრა უკუნეთში, ვერ გაუძლო და თვალი ისევ დახუჭა.

ცოტა შეისვენა.იფიქრა, ერთხელ კიდევ გავიბრძოლებ, თუ რამეს მივაღწევ და როგორმე თავი მაინც გავყავი ზემოთ, ესე იგი გადარჩენილი ვარ, თუ არა, ამ მიწიერ ჯურღმულში მომიწევს სიცოცხლის უდროოდ დასრულებაო...

ხუთიოდე წუთში ისევ გაიბრძოლა და ღმერთო!!! – შეძლო, გაუმართლა! – ეტყობა რაღაც უზარმაზარი ლოდი ედო თავს ზემოთ და გასწია, დაძრა ადგილიდან. რაღაცეები მისწი-მოსწია აქეთ-იქით და როგორც იქნა ამოყო თავი ზემოთ.

დღეისთვის ესეც საკმარისი იყო.მხრებს ხვალაც ამოაცურებს როგორმე. მთავარია მიწით ამოვსებული თვალების გახელა შეძლოს. სცადა. ოდნავ გაახილა თვალი და აღტაცების შეძახილი აღმოხდა. მზე ისეთი ყვითელი იყო, ისე საყვარელიიი... იგრძნო, როგორ გამოუგზავნა ერთი ცელქი სხივი და სითბო, სიყვარული შემოახვია გარშემო. ისეთი სასიამოვნო იყო, თვალები მინაბა და სახე მიუშვირა. იგრძნო, როგორ გაებერა ლოყები გასკდომამდე.

მზის ალერსს შეეჩვია და ახლა სხვა ინტერესი გაუჩნდა: – მარტო მზის სხივები არ იქნებიან აქ, ვნახავ კიდევ რა ხდება მიწის ზედა სამყაროში – ნელა-ნელა გაახილა თვალი. მზეს აღარ შეხედა, იმიტომ რომ ისევ მოსჭრიდა თვალს და ოქროსფერი სხივების მეტს ვერაფერს ვერ დაინახავდა. ახლა სხვა რამეების ნახვა ეწადა.

გარშემო უზარმაზარი, ძალიან მაღალი გაფართოებული და უშნოდ აწოწილი არსებები იდგნენ. ძალიან ბევრნი იყვნენ და ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ყველა მას ეხვეოდა გარშემო.

თავიდან ცოტა შეეშინდა. მერე მიხვდა, არა კი არ მიხვდა, გაიხსენა: – დედის მუცელში როცა იჯდა, დედა უყვებოდა: – როდესაც მიწისზედა სამყაროში ახვალ, იქ ხეები დგას. გაზაფხულზე პატარძლობენ და თეთრ ან ვარდისფერ კაბებს იცმევენ, ზაფხულში მწვანე ტანსაცმით იმოსებიან. შემოდგომაზე– ბერდებიან და მელოტდებიან, ხოლო ზამთარში,იმ სიცივეში ტანსაცმელს სულ იხდიან და დედიშობილები კანკალებენ გაზაფხულის დადგომამდეო. რა აღარ ხდება ამ სამყაროში და რას არ მოისმენ.მართლაც რა უცნაურია არა? – როდესაც ასე ცივა და სუსხიანი ქარი ქრის, ტანსაცმელი გაიხადო და ისე იდგე გაზაფხულამდე! ვაიმე! – რა სიგიჟეა! რა უცნაურობაა. ალბათ ესენი არიან ის ხეები. კი, მაგრამ ახლა ხომ გაზაფხულია, რატომ არ აცვიათ საპატარძლო კაბები?“. ააა, გამახსენდა, ჯერ მე უნდა დავიბადო, გავიზარდო და და ცოტა დრო რომ გავა, ცოტა მოგვიანებით დაიწყებენ პატარძლობას – დიახ, ასე მითხრა დედამ.

კარგად და დაკვირვებით შეათვალიერა ხეები. დაინახა, მათი ტოტები დახორკლილიყვნენ, რაღაც პატარ-პატარა მრგვალი მოთეთრო ბურთულებივით გამოზრდოდათ და გასასკდომად მზად იყვნენ.

ხეებიდან მზერა უფრო ძირს გადმოიტანა. აქ სულ სხვა ვითარება იყო.მისთვის კარგად ნაცნობ მიწის ზედაპირს მწვანე ხალიჩასავით გადაჰფენოდა ახლად ამოწვერილი ბალახი და ხავსი...

უი! ესენი ვინ არიან?– თვალები აუციმციმდა, რადგან ამ სიმწვანეში,ძალიან ლამაზი არსებები შენიშნა. ზოგი მელნისფერი,ზოგი მოწითალო მელნისფერი, ცისფერიც,თეთრი, ვარდისფერი და ისეთი ლამაზები იყვნენ,ისეთი საოცარი მიზიდულობა ჰქონდათ, სურვილი გაუჩნდა გაქცეულიყო და ეცეკვა მათთან.

წამოიწია და ვერ გაინძრა. გაახსენდა,,რომ მიწაში იყო ჩამარხული და და სულ ცოტა ხნის წინ, ძლივს ამოჰყო თავი და ამოისუნთქა. ისევ დედამიწის ტუსაღი იყო. მიხვდა, საშველი არ იყო და ამოიოხრა. ცეკვა გადაიფიქრა.

უცებ ხმა მოესმა: ვიღაცამ საყვარლად ჩაიკისკისა. კისერი მოაბრუნა დარჩა ასე პირღია და გაშტერებული. მის წინ ახლოს, ისეთი მიმზიდველი არსება იდგა, ეგონა გული გაუჩერდა. გოგო იყო...მზისფერი კაბით მოსილი და თვითონაც მზის სხივს ჰგავდა. დაინახა და მაშინვე შეუყვარდა.მორჩა! ეს იყო მისი საბედო!

გოგონამ კეკლუცად შეისწორა მზისფერი კაბა, თვალები ნაზად აათვახულა და ისეთი სხვანაირი მზერა შეანათა, რომ გაიბრძოლა და მიწიდან მხრებიც გაინთავისუფლა. ახლა ოქროსკაბიან გოგოს ზემოდან დაჰყურებდა, თითქმის მთელი თავით მაღალი იყო მასზე.

– გამარჯობა, თქვენ ახალი მეზობელი ხართ? დაგინახეთ როგორ ამოძვერით მიწიდან– ჰკითხა გოგომ და თვალები კეკლუცად შეანათა.

– დიახ, ახალი ვარ.

– რა გქვია?– გოგო უფრო თამამი აღმოჩნდა.

– ენძელა– დაიმორცხვა სახელის წარმოთქმისას.

– ვაიმე, გოგო ხარ? მე ენძელები სულ გოგოები მგონია – საყვარლად გადაიკისკისა.

– არა! ბიჭი ვარ, ბიჭი ენძელა– გული მოუვიდა ოქროსფერ გოგოზე, მაგრამ იმდენად მომხიბლავი იყო, რომ მაშინვე აპატია გულში.

– შენ თვითონ ვინ ხარ და რა გქვია? – კითხვა შეუბრუნა.

– მე მზისგულა მქვია, ზოგი მზისთვალას მეძახის.

– მართლა მზესავით გოგო ხარ, ძალიან საყვარელი. ცოლად გამომყვები?

– აბა როგორ გამოგყვე, ვერ დავდივართ, თორემ მართლა გამოგყვებოდი– გადაიკისკისა მზისფერმა.

– ვიოცნებოთ. ოცნებებით შემოვიაროთ ქვეყნიერება.სანამ ცოცხლები ვართ,ერთმანეთს ვუყუროთ და ვეალერსოთ. სიყვარული მეტი კი არაფერია! ერთმანეთს გავუფრთხილდეთ, ვუპატრონოთ და დავიცვათ.გული არ ვატკინოთ – სხვა არაფერი არ გვჭირდება.

– რა კარგია, მომეწონა ეგ იდეა. მიყვარს ოცნებები – გამხიარულდა ყვითელკაბა – მარტო რატომ ხარ, და-ძმანი არ გყავს?

– არა, დედისერთა ვარ. შენ?

– მე მყავს, მაგრამ ჯერ ვერ მოვიდნენ აქამდე, გზაში არიან. ალბათ მალე ამოვლენ მიწიდან ისინიც. მე უფროსი ვარ და ცნობისმოყვარეც.პირველობა მიყვარს და პირველი მოვედი. მინდოდა მათზე წინ მენახა ქვეყნიერება.

ენძელას ჩუმად ჩაეღიმილა: – რა საყვარელი ცნობისმოყვარეაო – გულში გაიფიქრა.

– მაკოცნინებ? – ხმამაღლა კი ეს უთხრა საპასუხოდ. შეკითხვა მოურიდებელი და პირდაპირი იყო.

გოგონამ გაკვირვებით შეხედა.ისეთი გულწრფელი თვალები დაინახა, არ გაუბრაზდა. არა, გაუბრაზდა კი არა, თვითონაც მოესურვა მისთვის ეკოცნა და უსიტყვოდ გადაიხარა მისკენ. ენძელაც დაიხარა და მხოლოდ შუბლით შეეხო შუბლზე, საკოცნელად ვერ მისწვდა. ეცადა, გაიბრძოლა, მაგრამ დედამიწა უძლეველი იყო, ვერ აჯობა.

ერთხანს ასე იდგნენ ერთმანეთთან თავმიდებულები. ჩურჩულებდნენ სიყვარულზე, სითბოზე, ამქვეყნიურ მშვენიერებებზე. თვალები უჟუჟუნებდათ აღტაცებით.

ასეთ სიამტკბილობაში, თანამოძმეთა წიოკობა შემოესმათ. წელში გასწორდნენ და გაიხედეს იქით. რაღაც გოლიათი არსებები დადიოდნენ და წყვეტდნენ წელში. „პატარა კალათებში აგროვებდნენ წელში გადაწყვეტილ თანამოძმეთ“.

– ღმერთო ჩემო, ესენი ადამიანები იქნებიან, რომლებიც უმოწყალოდ გვანადგურებენ. დედამ რაც მითხრა, ყველაფერი დიდი სიზუსტით ხდება – გულში ძლიერ შეეშინდა, ვაითუ ჩემი ოქროსფერი გოგო მოწყვიტონ და წაიყვანონ, მერე მე სიცოცხლე რაღად მიღირსო... ადამიანები უახლოვდებოდნენ. შეშინებული მიუბრუნდა საყვარელ არსებას:

– ჩემო მზისფერო, მოდი ძალიან ჩამეხუტე, ვინ იცის უკანასკნელად გხედავ – და მთელი ძალით გადაიხარა მისკენ.ისიც გადმოიხარა და ყელით გადაეჭდნენ ერთმანეთს. თვალები დახუჭეს და მიენდნენ ბედისწერას.

ძალიან ახლოს გაისმა ფეხის ხმა.საუბარიც კი ესმოდათ, რას ამბობდნენ. მათ წინ ვიღაც შეჩერდა და შიშით სუნთქვა შეეკრათ, მან კი სხვებს დაუძახა:– მოდით აქ, რა გაჩვენოთო! მოგროვდნენ მათ გარშემო და იღიმებოდნენ.

– რა საყვარლად არიან ეს ყვავილები ერთმანეთს ჩახვეულნი, თითქოს შეყვარებულნი არიან. – აღტაცებით თქვა ერთმა. სხვებიც დაეთანხმნენ– იყვნენ, ისე ლამაზები არიან, არ მოვწყვიტოთ– თქვეს და გარშემო ხმელი ბალახი და თოთლები შემოაცალეს, მოზრდილი კენჭიც გადააგდეს, ენძელას რომ ეგონა ლოდი მადევს თავზეო ამოსვლისას და კარგად გამოაჩინეს.მიესიყვარულნენ და წავიდნენ.

– მგონი გადავრჩით! – თავისუფლად ამოისუნთქა ენძელამ და ბაგით შეეხო სატრფოს. – კი, წავიდნენ. ჩვენ არ მოგვწყვიტეს – ნელა-ნელა ფერი დაუბრუნდა მზისგულას.

– არ მეგონა სიყვარული თუ იცოდნენ ადამიანებმა. არც ისე ცუდები უნდა იყვნენ. მიხვდნენ რომ ერთმანეთი გვიყვარს“. ალბათ სიყვარულს სცეს პატივი და არ შეგვეხნენ.

– სანამ კიდევ მობრუნდებიან, ჩვენ უკვე ბებრები ვიქნებით, არავის აღარ ვენდომებით და გადავრჩებით. სამაგიეროდ ახალ თაობას მივცემთ საშუალებას და აღმოცენდებიან. ისევ გავმრავლდებით“ მაშ გაუმარჯოს სიყვარულს! სიყვარული გადაგვარჩენსო – მართალი ყოფილა თურმე!!! – ოქროსფერი წამწამები ააფახულა და ვაჟ-ენძელას მკერდზე მიაყრდნო თავი. ორივემ შვებით და ბედნიერად ამოისუნთქეს.

მზე ჯერ კიდევ ანათებდა, თუმცა დაისი ახლოვდებოდა...

სერგი ლომაძე



2019 წლის ბოლო (შემაჯამებელი) საღამო აკადემიაში

2019-2020 წლების სეზონის პირველი ნახევარი (სექტემბერ-დეკემბერი) დაიხურა. ცოტა უცნაურია, რომ სწორედ ბოლოს – დეკემბერში იყო ყველაზე უფრო აქტიური ჩვენი აკადემია მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აკადემიური ანთოლოგიისა და ჟურნალ „ათინათის“ ახალი ნომრები სწორედ დეკემბერში გამოვიდა, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნება.

სხვათა შორის, დეკემბერში მე დავიბადე. ამიტომ არაერთხელ მითქვამს, რომ მე ვარ დეკემბერი, მაგრამ ამავე დროს, ყველა თვე მიყვარს, ისევე, როგორც მიყვარს ყველა – ოთხივე დრო წელიწადისა.

დეკემბრის მთავარი ღონისძიებები ანთოლოგიასა და ჟურნალს მიეძღვნა. სწორედ ეს ორი რამაა აკადემიის გვირგვინი, და თუმცა ანთოლოგია მაინც უპირატესია, რადგანაც, ამჯერად, ჟურნალისადმი მიძღვნილმა ღონისძიებამ ავჯობა (ჩემი აზრით), ამიტომაც „ათინათისადმი“ მიძღვნილ ღონისძიებას აღვწერ. თანაც, სწორედ ეს საღამო აღმოჩნდა ბოლო, ამ წელიწადში.



გულნაზ ხარაიშვილი, გელა ლარიაშვლი, ნინო უძილაური, ალექსანდრე ციხელაშვილი, ტიტე მოსია

მაშ ასე – დეკემბრის ბოლო დეკადა.

სავსე დარბაზი ქეთი ნიკურაძის ბიბლიოთეკისა.

პრეზიდიუმში, ტრადიციულად, ოთხეული: ქალბატონი გულნაზი, მამა ამირანი, მე და კახა ბაციკაძე.

დამსწრეებში ვამჩნევ უამრავ საინტერესო პიროვნებას. მაგალითად – პირველივე მაგიდასთან ზის ფაზისის აკადემიის ლიდერი – ნუგზარ ნადარაია, ხოლო მას გვერდს უმშვენებს დიდი ნიკო ხერკელაძე.



გულნაზ ხარაიშვილი, მაყვალა გონაშვილი



ქეთევან ნიკურაძე, გულნაზ ხარაიშვილი

საღამოზე განსაკუთრებით ძლიერადაა წარმოდგენილი პოეტური ფრთა, – „ზღვარის“ პოეტების გარდა, აქ არიან, ასევე, თემურ გოგსაძე, ჯუბა ღებელი, დათო არახამია, ედუარდ უგულავა და სხვები. მეამაყება, რომ ყველა მათგანს პირადად მე გადავეცი აკადემიის დიპლომები მას შემდეგ, რაც მათი მიღება გადავწყვიტეთ აკადემიაში. სხვათა შორის, ამათგან ორი (ჯუბა და დათო) ამ ღონისძიებაზე გახდა ჩვენი აკადემიის წევრები.

დიპლომი ამავე დღეს, მე გადავეცი ეთო მდინარაძესაც. ეს არ იყო მხოლოდ დიპლომი, – ეთო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტების მოკლე სიაში ჩაიწერა. ვიცე-პრეზიდენტებს, ლიდერთა ოთხეულის შემდეგ, გამორჩეული ფუნქციები აკისრიათ.

საღამო მამა ამირანმა გახსნა, ხოლო წამყვანობა მე ავიღე საკუთარ თავზე, და ღონისძიება, ძირითადად, პოეზიის კურსით წარიმართა. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, ხშირი იყო პოეზიიდან გადახვევებიც. სიტყვით გამომსვლელები უამრავ თემას შეეხნენ.

ულექსოდ და უსიმღეროდ რომ არ ჩაივლიდა ღონისძიება, ეს ფაქტია, და თემურის და ედუარდის ლექსებმა ძალიან დამამახსოვრა თავი (მინდა აღვნიშო, რომ ედუარდი მეუღლესთან ერთად იყო მოსული, ორივე ამ აკადემიის წევრები არიან).

დამამახსოვრდა ლამზირა შეყილაძის გამოსვლაც, ხოლო ციცი გურიელის გამოსვლას საგანგებოდ აღვნიშნავ, რადგანაც იგი პირველად (ან ერთ-ერთ პირველად) იყო ჩვენს აკადემიაში. ის ჩვენი იშვიათი სტუმარია...

ლეილა ჭიოკაძე და მისი საბავშვო ანსამბლი – „ლილე“ იმ დღეს საუკეთესოდ წარსდგნენ მსმენელთა წინაშე. ეს ბავშვები, ანსამბლი „ლალეა“ ბავშვებს, რომ ვეძახით ხოლმე არცთუ იშვიათად, ბევრს მიაღწევენ. დიდი ნიჭი აქვთ, და რომ გაიზრდებიან, ბევრი მათგანი იტყვის თავის სიტყვას ცხოვრებისეულ სარბიელზე. დიდ ასპარეზზე იპოვნის ნიჭი თავის ადგილას, იტყვის თავის სიტყვას, დაიმკვიდრებს თავის პიროვნებას.

სულ თავიდან, აკადემიაზე, მეუფე თადეოზს ჰქონდა უდიდესი გავლენა. თვით ჯუმბერ ლეჟავაც და თვით გულნაზ ხარაიშვილიც განსაკუთრებული რიდით, მოკრძალებით იყვნენ განწყობილნი წმინდა ადამიანისადმი. მერე მე და კახა შევემატეთ სამეულს. ასე ჩამოყალიბდა აკადემიის ლიდერთა პირველი ხუთეული. მეუფე თადეოზისა და ბატონი ჯუმბერის ზეცაში გადასვლის შემდეგ დავრჩით აკადემიური ტრიუმვირატი. მოგვიანებით პრეზიდიუმს მამა ამირანი დაემატა. ჩვენ,

იგი, ძალიან თბილად მივიღეთ. დღეს გულნაზ ხარაიშვლი და მამა ამირანი აკადემიის პირველებს (პირველ-მეორეს) წარმოადგენენ. მესამე-მეოთხე პოზიციაზე მე და კახა ვართ. თუმცა აკადემიის გულისხმიერი პრეზიდენტი ყველას გვათამამაებს და ოთხეულიდან დანარჩენ სამსაც პირველობას გვანიჭებს, ხშირად ისე წარგვადგენს ხოლმე საზოგადოების წინაშე, როგორც თანალიდერებს, თანაპრეზიდენტებს. ასეთი პატივით არაერთხელ წარუდგენია, მას, ლუარა სორდიაც. თუმცა ქალბატონი ლუარა იმდენადაა დაკავებული თავისი სამეცნიერო მუშაობით, რომ იგი ხშირად ვერ იცლის შემოქმედებითი საღამოებისათვის.

ტრადიციასავით დამკვიდრდა, – აკადემიის (დიპლომები) ჯერ ქალბატონ გულნაზისა და მამა ამირანის ხელს გაივლის, ხოლო შემდეგ უკვე ჩემს ხელში მოხვედრილი, გადაეცემა მფლობელს. ასე ხდება არა ყოველთვის, თუმცა – ხშირად.

საღამოზე მამა ამირანის სიტყვები – ორი ძირითადი გამოსვლა, იყო საუკეთესო. ის, ყველაფერთან ერთად, დიდებული ორატორიც არის. მკვეთრად დამამახსოვრდა ტიტე მოსიას გამოსვლაც.

მოწონება დაიმსახურა ჩემი და კახას სიტყვებმაც.

კახა სიხარულია ხელოვნებისა. ის სახე-სიმბოლოა ხელოვანისა და ხელოვნებისა. მან ძალიან ახალგაზრდულ ასაკში მოიპოვა აღაირება და მერე წლების განმავლობაში გაამყარა თავისი სახელი. საოცრად წერს, საოცრად მღერის და უკრავს... მისი მაძიებელი გონება დაეხეტება პოეტურ-მუსიკალურ-ფილოსოფიურ სივრცეში... ამ კაცში არის ცეცხლი. პიროვნება იწვის, ხოლო ეს წვა, ფერფლად გარდაქცევა, წარმოქმნის შედევრებს.

საერთოდ, „ზღვარის“ წევრებში არის ცეცხლი. ჩვენში გაერთიანდა აღმოსავლურ-დასავლური სისხლი. ჩვენშია საქართველო.

თუმცა ყველა სხვა ქართველშიც არის საქართველო.

თითოეულ ქართველშია საქართველო.

ხოლო ყველანი ერთად, ერთი დიდი საქართველო ვართ, სამყარო ვართ.

რაც შეეხება ქალბატონ გულნაზს, მას იმ დღეს დიდად არ უაქტიურია. მან ხომ ზუსტად იცის, როდის იყოს ჩრდილში და როდის გამოვიდეს ჩრდილიდან. ის არაა ერთფეროვანი. საკუთარ პოზიციებსაც ხშირად ცვლის. მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის იყო, არის და იქნება ცენტრალური ფიგურა ჩვენი აკადემიის, სიმბოლო აკადემიის. მისი ნიშნის (ლოგოს) ქვეშ მიმდინარეობს აკადემიურ პროცესთა უდიდესი ნაწილი, და იგი, ვითარცა დედოფალი, თუნდაც – ვითარცა თვით მეფე, ისე მართავს ამ პროცესებს. ხოლო სანამდის მე და კახა ვიქნებით აკადემიაში, სულ ცოტა, იქამდის მაინც იქნება ხელშეუხებელი გულნაზ ხარაიშვილის ეს განუსაზღვრელად დიდი ძალაუფლება...

მთლიანობაში ძალიან წარმატებული აღმოჩნდა სეზონის ნახევარიც და შემაჯამებელი საღამოც, რომელიც თითქოს ჟურნალ „ათინათს“ ეძღვნებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ ჟურნალისადმი კი არა, მთელი პირველი სემესტრისადმი, სწორედაც რომ ამ სემესტრის შეჯამებისადმი მიძღვნილი ღონისძიება იყო.

თუმცა წინ მეორე სემესტრია. არ შეიძლება მოდუნება. წინ დიდი სამუშაოა. ახალ მწვერვალებზე უნდა ავიდეთ. ისიც ვიცით, რომ არასდროს დასრულდება სვლა, რამეთუ არ დასრულდება მწვერვალები.

დიახ, მარადიული მოგზაურობა არასოდეს სრულდება.

თბილისი. 2019 წელი.

წლის რიგით პირველი შემოქმედებითი საღამო

(ლეგენდა – ბეჟან ხარაიშვილი)

ახლახან დაიწყო წელიწადი, იანვარია ჯერაც, და უკვე ბევრი რამ მოხდა წელს, ჩემს ცხოვრებაში. მაგალითად: ნუგზარ ნადარაიასა და გულნაზ ხარაიშვილის შეთანხმებით, მე და კახა მოვხვდით იმ ადამიანების ჯგუფში, რომელნიც პატრიარქს უნდა შეხვედროდნენ. ორ იანვარს შედგა ეს შეხვედრა საპატრიარქოში.

მაშ ასე, – ილია მეორე კიდევ ერთი უდიდესი სასულიერო პირია, რომელმაც უშუალოდ ჩვენგან მოისმინა ჩვენივე ლექსები. მოგესხენებათ, რომ ადრე, მეუფე თადეოზს და ზოგ სხვა რჩეულ სასულიერო მოღვაწეს ვუკითხავდით ხოლმე ნაწერებს. საპატრიარქოში არაერთ საინტერესო ადამიანს შევხვდით. მოკლედ, მთლიანობასი, იქიდან დიდი შთაბეჭდილებებით დავუბრუდით.

ხოლო პირევლი აკადემიური საღამო თხუთმეტ იანვარს შედგა მირზასეული ბიბლიოთეკის გადაჭედილ დარბაზში. ბევრი ცნობილი პიროვნება დაესწრო რონისძიებას, მათ შორის – რეზო მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი, ნიკო ხერკელაძე, გელა ლარიაშვილი, ტიტე მოსია, ალექსანდრე ციხელაშვილი, მანანა გორგიშვილი, ლამზირა შეყილაძე, ლეილა გაფრინდაშვილი (რომელმაც, ამ დღეებში, მშვენიერი ლექსი მომიძღვნა) ედუარდ უგულავა, დავით არახამია, ანზორ ჯაფარიძე და სხვანი და სხვანი. არავინ მინდა გამომრჩეს, არადა, ეს შეუძლებელია. შორენა მამალაშვილი, ნინო უძილაური, ეკა მარშანია, მალხაზ ჩხიტუნიძე, ნაირა მარშანია... მოკლედ, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ცნობილთა გარდა, ნაკლებად ცნობილიც ბევრი იყო დარბაზში, და რთულია ყველას დამახსოვრება. თუმცა არაფრით შეიძლება გვანცა ხარაიშვილის სახელის არგაჟღერება, რადგანაც ის რიგით მესამე პიეტია იმ გვარში, რომლის რიგით პირველ აღიარებულ პოეტსაც ეძღვნებოდა ეს საღამო.



საქმე იმაში გახლავთ, რომ ლევან ბაბუხადიამ გამოსცა თავისი ადრეწარსული მეგობრის – ლეგენდად ქცეული ბეჟან ხარაიშვილის მესამე წიგნი. ესაა ლექსების კრებული, სახელწოდებით –

„მრავალჟამიერ“. უნდა იქთვას, რომ ქალბატონ გულნაზისთან ერთად, რომელიც დაა დიდი პოეტისა, სწორედ ლევან ბაბუხადია გახლავთ ბეჟანის სახელის, მისი შემოქმედების მთავარი პოპულიარიზატორი.

ბეჟანი და ლევანი, თბილისში, პროვინციიდან ჩამოსული ახალგაზრდები (იმერეთიდან ჩამოსულნი), სტუდენტობისას დამეგობრდნენ უნივერსიტეტში. ბეჟანი იყო ახოვანი, სიმპათიური პოეტი, უყვარდა თავისი ლექსებით ცეცხლის დანთება. ჰყავდა თაყვანისმცემელნიც, თუმცა დავისი ლექსების დაბეჭდვა არ უყვარდა. მერე ეროვნულ მოძრაობაში ჩაერთო და სწორედ ამ საქმეს შეეწირა... პროვოკაცია მოაწყვესო და მძიმედ დაჭრესო, ამბობენ; გამომჯობინება თითქოს მაინც შეძლო, თუმცა მერე მალევე გადარიცვალა, 1987 წლის პირველ იანვარს – მისსავე დაბადების დღეს... მოკლედ, დაიღუპა იგი 29-30 წლის ასაკში, თუმცა ამ მცირე დროშიც კი მოასწრო უკვდავების შექმნა, და იქცა სამოცი-სამოცდაათიანი წლების თაობის დიდებულ წარმომადგენლად.

მაშ ასე, – დიდი ბეჟანის მესამე წიგნი „მრავალჟამიერი“, ლევანის რედაქტორობითა და ბესო ხარაიშვილის სპონსორობით გამოცემული წიგნის პრეზენტაცია გავმართეთ.

პრეზიდიუმში, ტრადიციულად, ქალბატონი გულნაზი, მამა ამირან ამირანაშვილი, მე და კახა ბაციკაძე ვართ. მე იანვარს კარგ ფორმაში შევხვდი. პოემა და ლექსები უკვე დავწერე, წლის პირველსავე თვეს. ამან თავდაჯერება შემმატა და როცა ასეთი საპასუხისმგებლო საღამოს წაყვანაც მე დამითმო ქალბატონმა გულნაზიმ, არ დავბნეულვარ, პირიქით, კიდევ უფრო ავინთე. (სხვათა შორის, მეორე პოემაც კი დავწერე ინვარშივე, ოღონდ ეს უკვე საღამოს შემდეგ იყო).

მაგრამ მანამდე იყო ნიკო ბაღაშვილის მცირე ფილმი (მამა ამირანის სიტყვა-დალოცვის მერე). ამის შემდეგ უკვე მე გადმომეცა, როგორც წამყვანს, საღამოს სადავეები...

იმ დღეს ბევრი რამ ითქვა ბეჟანის შესახებ. რეზო მიშველაძე, ტიტე მოსია, მაყვალა გონაშვილი, ნიკო ხერკელაძე და კიდევ ვინ აღარ დაიხარჯა, რომ ჩაწვდომოდნენ, ადამიანები, ოცდაათი წლის პოეტის – ქართული პოეზიის ადრეგაფრენილი მიმინოს საოცარ სტრიქონებს. დიახ, რჩეული სახეები ლაპარაკობდნენ ბეჟანის შესახებ (პოეზიის მიმინო, მას ლუარა სორდიამ უწოდა).

მათ თქვეს, დაადასტურეს, დიდი სიმაღლე ამ პოეტისა, რომელსაც ბავშვობაში, თურმე, პატარა აკაკის ეძეხდნენ (ის ბავშვობიდანვე წერდა)... პირადად ჩემი სიტყვა კარგი იყო, თუმცა მაინც მომივიდა რამდენიმე შეცდომა მოკლედ, პოეზიის შესახებ ზუსტი საუბარი შეუძლებელია...

ქალბატონმა მაყვალამ ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემიები დაურიგა გურამ გედევანიშვილს, ნიკო ხერკელაძეს და ბატონ ტიტე მოსიას.

დიახ, გარდაცვალების შემდეგ ნელ-ნელა აღზევდა სახელი ბეჟანისა, და დღეს გამოდის მისი წიგნები, თვით მასზეც დაიწერა წიგნი, მიენიჭა პოეტის სახელი ჭალვანის (ჭალოვანის) იმ სკოლას, სადაც ის სწავლობდა, შეიქმნა ძეგლი პოეტისა (გელა ლარიაშვილის მიერ), ბეჟანის პორტრეტი შექმნა ალექსანდრე ციხელაშვილმა...

მოკლედ, რომელი ერთი ჩამოვთვალო.

და დიდებულია ყოველივე ეს.

და მილიარდჯერ უფრო დიდებული იქნებოდა, სიცოცხლეშივე რომ დაფასებულიყო რჩეული პოეტი, მაგრამ...

მოკლედ, ისიც კარგია, რომ სამართალმა გვიან, მაგრამ მაინც ჭამა პური...

საკმაოდ ხანგრძლივი იყო ლევანის გამოსვლა. იგი დიდხანს ებრძოდა ცრემლებს, თუმცა ბოლოს მაინც ვერ დამალა ცრემლები. მისი გამოსვლა, ბოლოსკენ, იქცა ადრეწასული მეგობრის დატირებაც. არ ვიცი, რა ხდებოდა ამ დროს ქალბატონი გულნაზის გულში. დარბაზი კი მონუსხულივით უყურებდა გამომსვლელს... საოცარი წამები იყო...

კახა როცა გამოვიდა, საღამო უკვე სრულდებოდა, მაგრამ ის ძალიან პოეტური, ძალიან ქარიზმატული ფიგურაა, და ხელახლა დამუხტა ირგვლივეთი. პოეტმა ჯერ სიტყვა თქვა, შემდეგ კი თავისი შავი გიტარის თანხლებით, სიმღერა შეასრულა. ცნობილია კახას ელექტროგიტარებიც და მისივე აკუსტიკური გიტარებიც. აკუსტიკურთაგან ორს გამოარჩევენ, – შავს და ოქროსფერს, ანუ – მუქსა და ღიას (ნათელს). იმ დღეს, კახა, მუქი გიტარით ასრულებდა ჯგუფ „ზღვარის“ ნათელ სიმღერას, სევდიანს, მაგრამ დამუხტულ, სინათლის დამტევ სიმღერას...

მე ვთქვი, რომ საღამო მამა ამირანის სიტყვითა და ნიკო ბაღაშვილის ფილმით დაიწყო. ამ დროს სანთლები ციმციმებდა დარბაზში. შემდეგ ქალბატონმა გულნაზიმ მე გადმომცა წამყვანის ამპლუა, თუმცა თვითონ, ფაქტიურად, თანაწამყვანად მაინც დარჩა. ნელ-ნელა ასე აიგო დიდებული ღონისძიება, რომელიც ბოლოს ისევ დეკანოზის სიტყვებით დასრულდა...

იდგა თეთრი იანვარი, ჯერაც უთოვლო, მაგრამ მაინც თეთრი იანვარი. ზამთარში ხომ ადრე ღამდება, და უკვე ღამე იყო, ღონისძიებიდან რომ ვბრუნდებოდით მე და კახა. მოვდიოდით ათასი ფიქრით მოცულნი. სხვადასხვაგვარად გაენათებინათ საახალწლოდ მორთული ქალაქი. დეკემბერ-იანვარი ხომ ქრისტეს თეთრი თვეებია და დიახაც ულამაზესნი უნდა იყონ. მიყვარს თებერვალიც. მიყვარს თეთრი თვეები...

ახლაც იანვარია, ოღონდაც გასულია შობა-ახალწლების დღეები. იანვრის ბოლოა. ბევრ რამეზე ვფიქრობ ახლა (მათ შორის – ჩემს ბოლო ორ პოემაზეც. ხანდახან, ამ პოემებს, ჩემი მეხუთე ტრილოგიის გაგრძელებადაც მივიჩნევ, მაგრამ, ალბათ, არაა ასე)...

დრო გადის.

ბეჟან ხარაიშვილისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამოდან უკვე არაერთი დღე გვაშორებს.

მაინც აღსავსე ვარ შთაბეჭდილებებით.

მიდიან ზამთრის თეთრი დღეები. შეუჩერებლად გადის დრო...

თბილისი, 2020 წელი. იანვარი.

პოეზიის დრო აკადემიის პრეზიდენტის კაბინეტში

მარტის რომელიღაც რიცხვიდან მოყოლებული, ივნისის რომელიღაც რიცხვამდე, საერთაშორისო პანდემიის გამო, მოკვდა აქტიურობა, ან – თითქმის მოკვდა და მხოლოდ სამი თვის შემდეგ გახდა შესაძლებელი საღამოების გამართვა. ცამეტ-თოთხმეტ და ჩვიდმეტ ივნისს სამ ღონისძიებაში მივიღეთ მონაწილეობა ჯდგუ „ზღვარის“ წევრებმა, რომელთაგან პირველი და მესამე შეკრება ლეჟავა-ხარაიშვილის სახელობის აკადემიის ჩვიდმეტი ივნისის ღონისძიება პირდაპირ აკადემიის პრეზიდენტის კაბინეტში გაიმართა, და, ორგანიზაციის ლიდერთა ოთხეულის გარდა, მას ესწრებოდნენ – ლამზირა შეყილაძე, ეთერ კორძაია, ნიკო ბაღაშვილი, ასევე ის ადამიანები, რომელთა ირგვლივაც აიგო ჩვენი იმდღევანდელი შეკრება: თურქძეებისა და მელაძწეების ოჯახების შესანიშნავი წარმომადგენლები. საქმე იმაშია, რომ იმ დღეს აკადემიის შემადგენლობაში

უნდა მიგვერო ნუგზარ მელაძე – წარმატებული ახალგაზრდა კაცი, მოღვაწე ადამიანი, განათლებული პიროვნება, რომელიც თავისუფლად ფლობს რამდენიმე ენას. იგი ენერგიულია, შემართებით სავსე, და მიუხედავად იმისა, რომ უკვე საშუალო ასაკს არის მიღწეული, ახალგაზრდა უფრო ეთქმის, თუ მისი შემართებითა და იდეათა მრავალფეროვნებით ვიმსჯელებთ. ნუგზარის იდეა იყო, რომ თავისი დღე მისივე დიშვილის – ჩვიდმეტი წლის სიმპათიური პოეტის – ფერონია თურქაძის დღედ ექცია, გოგონას წააკითხა უამრავი ლექსი, ხოლო ჩვიდმეტი ივნისის შეკრება დარჩა, როგორც ფერონიას პოეზიის საღამო. ძალზე იშვიათია, რომ ასეთ ახალგაზრდულ ასაკში უკვე თვით აკადემიაში ატარებდეს პოეზიის საღამოს ადამიანი! ღონისძიებას ესწრებოდა ფერონიას დედაც – ნინა მელაძეც, მეგობარიც – დალი თურქაძეც. სხვათა შორის, დალიმ საოცარი ამბები მოგვიყვა. ჩვენ, მისგან არაერთი საინტერესო რამ გავიგეთ ფერონიას შესახებაც. თურმე ეს სახელიც კი (ფერონია) ძალიან იშვიათია და ამჟამად, საქართველოში, შესაძლოა მხოლოდ ამ ახალგაზრდა პოეტს აქვიოდეს, რომელსაც სამეფო სისხლიც ჰქონია ძარღვებში – ბაგრატიონთა სისხლი. ფერონია, იტალიაში (არა მარტო იტალიაში), წმინდანის სახელი ყოფილა, ხოლო იქ მისი სახელობის ტაძარიც არის....

ნუგზარის და ხათუნას იდეა აღმოჩნდა ის, რომ ჩვიდმეტი ივნისი ჩვიდმეტი წლის პოეტის (პოეტესას) შემოქმედებით საღამოდ გადაქცეულ იყო. მათ ქალბატონ გულნაზს სთხოვეს ეს ამბავი, ხოლო აკადემიის პრეზიდენტმა კურირება გაუწია ამას, ღონისძიების გაძღოლაც ითავა და ოთხეულის დანარჩენი წევრებიც (მამა ამირანი, მე, კახა ბაციკაძე) ჩაგვაყენა სქმსი ვითარებაში. ასე ჩატარდა შესანიშნავი ღონისძიება...

საერთოდ, ბევრს ვწერ, და არ ვიცი, ჩემი წინა ნაწერებია უფრო დიდებული, თუ შემდეგი (უფრო ახალი) ნაწერები. ვცდილობ წინსვლას სულ, ხშირად ვახერხებ ამას, მაგარმ ყოველთვის – ვერა. ყველა ნაწერი საყურადღებოა. აზრი, იდეა, შედევრი, და ასე შემდეგ, ყოველთვის ვერ იხვეწება, ყოველთვის ვერ უმჯობესდება, თუმცა წინსვლის მცდელობა კი სულ „ბედი ქართლისა“ სხვა რამეს უფრო ამბობს ერთ-ერთ საკითხზე, ვიდრე მისივე ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“, მაგრამ მე ვერ ვიტყვი რომ ბარათაშვილმა აზრი შეიცვალა. ამ ამბის ახსნა უფრო რთული მგონია. და ვერც იმას ვიტყვი, რომ, ვთქვათ, გალაკტიონი ყოველთვის აუმჯობესებდა ლექსს მისი დახვეწის პროცესში. კი, ზოგი ლექსი გააუმობესა მან, თუმცა გვაქვს ზოგი საპირისპირო შემთხვევაც...

საერთოდ კი,კ როი ან მეტი სხვადასხვა აზრი ყოველთვის როდი გამორიცხავს ერთმანეთს. პირიქით, ეგებ ყოველ მათგანს აქვს არსებობის უფლება!..

ასეა ფერონიას პოეზიაც, სადაც მრავალი, აზრი, პოეტური სახე, განცდა, არეულია და იხატება ლამაზი სურათი, დიდებული სამყარო ახალგაზრდა ქალისა. ზოგი რამ დასახვეწია მის პოეტურ ხელოვნებაში, მაგრამ, მთლიანობაში, კლასიკურ ლექსსაც და ვერლიბრსაც წარმატებით წერს. მის ვერლიბრებს, მგონი, ჩანაწერებად უფრო აღიქვამს. საერთოდ, არ გამიკვირდება, რომ ეს გოგო დიდი პოეტი გახდეს. არ ვიცი, ცხოვრებაში ეს რამდენად გამოადგება, რადგანაც პოეტზე უფრო დიდი, მაგრამ პოეტზე უფრო უიღბლო, შეჭირვებული, არავინაა საქართველოში, მაგრამ ფერონი რომ სულით, გულით პოეტადაა დაბადებული, ეს ვიცი. იმ დღეს ვარდისფერი (მოწითა-

ლო, მოალისფერო) კაბა ემოსა და თბილი ნათელით ავსებდა ოთახს ეს ახალი ყვავილი, ყვავილი მეტად პოეტური.



ყველამ ვთქვით სიტყვა. ყველამ შევაფასეთ ფერონია. მივეცით რჩევანიც. ყველანი კმაყოფილნი ვიყავით ღონისძიებით. პოეზიით იყო სავსე ოთახი, და მეტანიობდნენ სულნი ჩვენნი წინაშე პოეზიისა. პირველად ხომ იყო სიტყვა, რომელიც შეუცნობელი დარჩა ბოლომდე, და განა ზუსტად ვიცით, თუ რა არის, თუ ვინ არის იგი?

განა ვინ იცის, რა არის, ვინ არის პოეზია?..

ის, რომ ნუგზარი მივიღეთ აკადემიაში, უკვე გამართლებულია, რამეთუ იმ უამრავი საქმის გარდა, რომელსაც აკეთებს, ჯერ-ჯერობით სწორედ ის კურირებს ფერონიას წინსვლას. გოგონაზე, რა თქმა უნდა, ბევრს ზრუნავს დედაც და ბებიაც. საერთოდ, დედის როლი განუზომელია ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამროცა ბებიამ – ქალბატონმა დალიმ ამაყად განაცხადა, რომ ფერონია მე გავზარდეო, მას არავინ შეწინააღმდეგებია. ეტყობა, ამ ოჯახში, დიდა ბებიას ავტორიტეტი. საღამოზე ასევე აღინიშნა გოგონას მასწავლებელთა (სკოლის პედაგოგებზეა საუბარი) დიდი როლი...

ღონისძიებაზე, როგორც ყოველთვის, ისევ გაიბრწყინა ქალბატონი გულნაზისა და მამა ამირანის სეფე-სიტყვებმა. არანაკლებ მომეწონა ზოგ სხვათა ნააზრევი. საღამოს შემდეგ დაზუსტე-

ბით გავიგე კიდევ ერთი რამ: დები ჭელიძეები, აკადემიასთან, ლამზირას დაუახლოებია. ეთერ ჭელიძე, თავისი პოეზიით, აქტივობით, ისეთი შენაძენია, რომ ლამზირას როლი უფრო გაიზარდა ჩემს თვალში. ხომ ისედაც პატივს ვცემდი, თუმცა ახლა კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რამდენ საქმეს აკეთებს იგი.

ღონისძიება დასრულდა. ნუგზარ მელაძემ დიდადამიანობა იმ, დღეს იმით უფრო დაადასტურა, რომ გენეფისი რომ მისსავე ახალგაზრდა ნათესავს დაუთმო და, ამ ფორმით დაუვიწყარი დღე აჩუქა უნიჭიერეს ფერრონიას.

ხოლო ქალბატონმა გულნაზიმ კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა ღონისძიებათა ათასეულებში.

წინ ახალი გეგმებია.

2020 წლის ზაფხული

ოცდაშვიდი აგვისტოს შემოქმედებითი საღამო



იმის გამო, რომ პანდემიამ რამდენიმე თვე ფაქტიურად გამოგვატოვებინა, აკადემიამ უარი თქვა ზაფხულის არდადეგებზე. დიახ, ზაფხულის სამივე თვე მუშაობაში გავატარეთ. მაშ ასე, – ოცდაშვიდ აგვისტოს გენიალური აკაკის ძეგლთან არსებულ აკადემიის შენობაში შედგა ემიგრანტი პოეტისა და პროზაიკოსის – ლია პეტრიაშვილის შემოქმედებითი საღამო. აკაკი არაერთხელ დამისახელებია დიდი ქართული პოეზიის ათეულის წევრად, შვიდეულის წევრადაც, იყო ისეთი დღეებიც, ხუთეულშიც რომ დავასახელე... თოთხმეტ-თხუთმეტ და ოც პოეტში ხომ იგი თავისუფლად ხვდება ყოველთვის... და მეამაყება, რომ ასეთი კაცის ძეგლის ახლოა ის შენობა, რომელშიაც განთავსებულია აკადემია ლეჟავა-ხარაიშვილისა, აკადემია, რომელშიაც აგერ რვა წელიწადია ვმუშაობ. პო-

ეტური (მრავალპროფილიანი) აკადემია პოეზიის ტიტანის გვერდით მდებარეობს, აკაკისა და მისთა მოძმეთა სულების მფარველობის ქვეშ არის.

საღამოს დაწყებამდე, წინა დღეები, ქალბატონმა გულნაზიმ (აკადემიის პრეზიდენტმა) მათხოვა ლია პეტრიაშვილის წიგნები, რომ გავცნობოდი ამ ხელოვანის შემოქმედებას უფრო კარგად. მე დამაინტერესა ლიას პოეზიამ. პოეზია ყველაზე რთული ხელოვნებაა. ქალებს, ხშირად, პროზა უფრო ემარჯვებათ, და ამიტომ პროზაც აუცილებლად წავიკითხე. არც მინანია. გამიტაცა ხელოვანის პროზამ. საერთოდ, ლია, როგორც პოეტი-პროზაიკოსი, ძალიან საინტერესო პიროვნებაა. ყველას ვურჩევ მისი წიგნების წაკითხვას. სამწუხარო კი ეს არის, – თვითონ ვერ დაესწრო მისსავე აკადემიურ საღამოს (იგი ხომ სამშობლოში არ იმყოფება). სამაგიეროდ, ღონისძიებას დაესწრნენ მისი დები – მარინა და ირმა, რომლებმაც ჯერ კიდვ საღამომდე გვითხრეს, რომ მათ წინაშე უზარმაზარი ამაგი აქვს ლიას, და არა მარტო მათ წინაშე, – ლია პეტრიაშვილი განთქმულია იმით, რომ გამუდმებით ეხმარება სხვა ადამიანებს, გვერდით უდგას, ამხნევებს, ხელს უწყობს, რომ წელში გაიმართონ. გართულდა ცხოვრება. ამიტომაც, დაიხ, დღეს უფრო და უფრო მეტად გვჭირდება სიყვარული მოყვასისა, ერთმანეთის გატანა, გვერდით დგომა, მხარში დგომა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ პეტრიაშვილების გვარი ცნობილია თავისი ნიჭიერებითა და კაცთმოყვარეობით (ადამიანთმოყვარეობით). მიხარია, რომ ლია პეტრიაშვილის პერსონაც შეემატა ამ გვარის ცნობილ პიროვნებებს.

ღონისძიების პრეზიდიუმში ქალბატონი გულნაზი, მამა ამირანი და მე ვიყავით წარმოდგენილნი. ოთხეულის მეოთხე წევრი გვაკლდა (კახა გონიოშია წასული რამდენიმე დღით. იქაური მთებისა და ზღვის ფონზე ქმნის ლექსების ციკლს. საერთოდ, ახლა იგი დასავლეთის ბუნებითაა შთაგონებული, დასავლეთის გარემოთი. ვნახოთ, რას ჩამოიტანს იქიდან).

საღამოს ესწრებოდნენ – ჯემალ დავლიანიძე, ზურა მამულაშვილი, ლამზირა შეყილაძე, შორენა მამალაშვილი, მალხაზ კვიჟინაძე, ჟურნალისტი მანანა კორძახია, პოეტი ლია შენგელი-



ძე და სხვები. მოგვიანებით შემოგვიერთდა ანა ყურშავიშვილი – ლიას წიგნების რედაქტორი.

ყველა მათგანს მიეცა სიტყვით გამოსვლის საშუალება. ძირითადად სწორედ ლია პეტრიაშვილის შესახებ ისაუბრეს.

მე ყურადღებით ვუსმენდი ყოველ მათგანს, რომ უფრო შემეცნო ქალბატონ ლიას პიროვნება. საბოლოოდ, ჩემს წინაშე, დიდებული ადამიანის პორტრეტი დაიხატა, თავიდანვე რომ გამოირჩეოდა წერის, სიმღერის (მუსიკის), მხატვრობის ნიჭით, აქტიური, თუმცა თავმდაბალი ადამიანი, ქველმოქმედი. ხოდა არ გამკვირვებია, რომ იგი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად დასახელდა.

აქვე გეტყვით ჩვენი აკადემიის სტრუქტურას, – ყველა წევრი იყოფა აკადემიკოსებად და რიგით წევრებად (ასე ვთქვათ, წევრ-კორესპონდენტებად), თუმცა რიგითი წევრიც, თუკი იგი თავს გამოიჩენს, ნამდვილი აკადემიკოსის ტოლ-სწორი ხდება. ასე რომ, ამ მხრივ დიდი განსხვავება არაა. ხელმძღვანელი, მმართველი პირამიდა ასე გამოიყურება: პრეზიდენტი, საპატიო პრეზიდენტები, იგივე თანაპრეზიდენტები, ვიცე-პრეზიდენტები. პირამიდის თავში უცვლელად არის გულნაზ ხარაიშვილის ძლიერი პიროვნება. მას, მამა ამირანმა, მოხდენილად უწოდა ჩვენი ორგანიზაციის დედაფუტკარი, ზოგჯერ დიდ დედასაც უწოდებენ ხოლმე. შეიძლება ყოველივე ეს ჩამითვალონ ამ ადამიანის გაკერპება-გაფეტიშებაში და გამაკრიტიკონ, მაგრამ ვინც იცნობს ქალბატონი გულნაზის ხელმძღვანელობის სტილს, მისთვის ნათელია, – ეს ადამიანი სრულიადაც არაა დიქტატორი, პირიქით – იგი, ბუნებით, დემოკრატია, უყვარს სხვათა აზრების გაზიარება. აგერ, მაგალითი, – აკადემიაში, სასულიერო საკითხები, ძირითადად, მამა ამირანს აქვს ჩაბარებული, ხოლო სახელოვნებო საკითხები, ძირითადად, – მე და კახას. კახას აქვს საუკეთესო ხელოვანის სტატუსი... საღამოები ხან ქალბატონ გულნაზის მიჰყავს, ხან – მე, ხანაც – ერთობლივად ვუძღვებით ღონისძიებებს...

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ იმ დღეს, აკადემიას, კიდევ ორი წევრი დაემატა, – ლია შენგელიძე და ნათელა ღაჭავა. რადგანაც ნათელა ვერ დაესწრო საღამოს, საუბარი ლიაზე მომიწევს.

ლია შენგელიძე ერთ-ერთი სკოლის ხელმძღვანელი გახლავთ. იგი რძალთან ერთად იყო მოსული. ლიამ თავისი ლექსები წაიკითხა და აღაფრთოვანა მსმენელები. სასიხარულოა, როცა პოეტები ხელმძღვანელ პოსტებზე არიან წარმოდგენილნი, რამეთუ პოეტური სული იბუდებს იმ სივრცეებში, რომელთაც ისინი განაგებენ, ხოლო ვინც, რაც კარგია, პოეტურია ის. წარმოდგენილი მაქვს, თუ როგორი პოეტური გარემო იქნება შექმნილი ლია შენგელიძის სკოლაში!..

საღამოზე ბევრი დასამახსოვრებელი გამოსვლა იყო, ამიტომაც მათ შესახებ აქ ვერ ვისაუბრებ, – ძალიან შორს გამექცევა სიტყვა. ეს ყოველივე, ალბათ, რეჟისორ ნიკო ბაღაშვილის კამერით იქნება დაფიქსირებული (ის არის ნიკალა-სტუდიოს დამაარსებელი). რამდენიმე გამოსვლა განსაკუთრებით ძლიერი იყო, და მე მოვერიდები საუკეთესოს გამორჩევას. თუმცა რადგანაც კონკრეტულად ლია პეტრიაშვილსა და მის შემოქმედებაზე შორენას ჰქონდა დავალებული სიტყვის თქმა, ეს გამოსვლა თავისთავად უნდა გამოირჩეს სხვათაგან. რა თქმა უნდა, ჯემალის, გერმანესა და სხვათა სიტყვები დიდებული იყო, რა თქმა უნდა, ლამზირა აკადემიის მშვენებაა (მოიაზრება აკადემიის წამყვან ათეულში, ხანდახან – ხუთეულშიც კი), მაგრამ შორენა მამალაშვილს ჰქონდა დავალებული კონკრეტული თემა, და მან ბრწყინვალედ გაართვა თავი საქმეს. არც რეგლამენტი დაურღვევია, და, ამავე დროს, მცირე ნათქვამში დიდი აზრი ჩადო. შორენა რუსთავიდან არის, თუმცა მისი თბილისური საქმენი მგონი უფრო ცნობილია (დიდი გულნაზისა და ლამზირას მსგავსად, რომელნიც ასევე აქ – თბილისში უფრო აქტიურობენ).



ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი პრინციპი ისაა, რომ როგორც დიდ, ასევე საშუალო და პატარა საღამოებსაც ერთნაირად გულისყურით ვუდგებით. ყოველთვის არის მუხტი. ყველაფერს პირველხარისხოვნად ვაკეთებთ, ან – ვცდილობთ, რომ ასე გავაკეთოთ...

ქართული პოეზია მსოფლიოს (სამყაროს) საოცრებაა. მისი, ვთქვათ, პირველი ოცდაათეული, ორმოცდაათეული, ასეული რომ ჩამოვთვალოთ ჩვენს წინ წარმოსდგება სუპერპოეტთა, სუპერდიდოსტატთა მთელი გალერეა: პიროვნებები, შემოქმედება, – ზეცაში ატყორცნილი კავკასიონის თუ ჰიმალაის მთებივით. ამ სახელებს დროისა და სივრცის არ ეშინიათ, მარადისობის არ ეშინიათ.

ხოდა, როცა ასეთ ტიტანთა, ასეთ ღმერთკაცთა გვერდით, შენც პოეტი გქვია, თან შიში გიპყრობს, თან კი ივსები სიამაყით, ცას, ზეცას სწვდები შენაც – სიხარულით. სულაც რომ არაფერი იყო, გაძლიერებს უზარმაზარი ენერგეტიკა, ზღვასავით მოვარდნილი წარსულის სუპეროსტატთაგან (სუპერდიდოსტატთაგან)...

ოცდაშვიდ აგვისტოს ლია პეტრიაშვილისა და ლია შენგელიძის დღე იყო აკადემიაში. დიახ, წარმატებით თქვა სათქმელი მათმა ხელოვნებამ. მაგრამ გაჩერება არ შეიძლება, – ადამიანი ხომ მუდამ უნდა ვითარდებოდეს... და ორივე ლიამ უნდა გააგრძელოს წინსვლა ახალი შემოქმედებითი წარმატებებისაკენ.

თბილისი, 2020 წლის აგვისტო.

P.S. ალბათ შეუძლებელია შექმნა უდიადესთა ზუსტი უცვლელი სიისა. თუმცა ზუსტია, რომ უდიადესებში უნდა დასახელდეს ღმერთკაცი იესო, ჩვენი რუსთველი, დანტე, გოეთე, ბეთჰოვენი და ზოგნი სხვანი, ურჩეულესნი. ზუსტია ისიც, რომ სიაში, უმეტესობა, პოეტი იქნება. მოკლედ, გამგები გიაგებს, თუ რისი თქმა მსურს ამით...

სერგი ლომაძე

ეთერ ჭელიძის ლიტერატურული გამარჯვება



ეთერ ჭელიძის წლევანდელი შემოქმედებითი საღამო, ცენტრალური ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის სააქტო დარბაზში, ლამის მოვლენად იქცა. წამყვანი გახლდათ მშვენიერი ქალბატონი შორენა მამალაშვილი, ხოლო საღამო ჩვენი აკადემიის ეგიდით ტარდებოდა. პირდაპირ ვიტყვი, რომ ღონისძიება ძალიან წარმატებული აღმოჩნდა.

ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემიის უცვლელმა ლიდერმა და პრეზიდენტმა – ქალბატონმა გულნაზიმ, თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობით მოკიდა ხელი ამ საღამოს შექმნას, და მისი ორგნიზირებული ნიჭი ყველაფერს ეტყობოდა. მაგალითად: მე და კახა ბაციკაძე, იმ დღეს, ორ მარტს, სხვა საღამოზე ვიყავით მიწვეულნი, ასე ვთქვათ, ელიტარულ შეკრებაზე, რომელიც ერთ-ერთ თეატრში იმართებოდა, მაგრამ ქალბატონმა გულნაზიმ დაჟინებით მოგვთხოვა, რომ სწორედ ეთერის ღონისძიებას დავსწრებოდით – „ეთერი დიდებულად წერს“, – გვითხრა მან, – „ამ ადამიანმა ჩვენს აკადემიას ანდო თავისი საღამო. თქვენ კი სერგი და კახა, მე ცაში ამყავხართ, რას არ გიწოდებთ, მათ შორის – აკადემიის საპატიო პრეზიდენტებსაც კი... ხოდა, ორ მარტს თქვენ რომ სხვაგან იყოთ, ეს გამორიცხულია!“ ამ სიტყვებმა ყველაფერი გადაწყვიტა. რა თქმა უნდა, კიდევ ერთი საპატიო პრეზიდენტი – მამა ამირან ამირანაშვილიც ვერ დააკლდებოდა საღამოს.

ღორისძიებას ბევრი ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის, – ერეკლე საღლიანი, ლამზირა შეყილაძე, სოფო ზაალიშვილი, გულნაზ ჭელიძე (ჩვენი აკადემიის პრეზიდენტის სეხნია), მარინა უგულავა, ნანა ყალიჩავა, ლია მარტაშვილი, ბექა ჟღენტი, გუჯა ქარჩავა, ჩვენი (ზღვარელების) დიდი ხნის ნაცნობ-მეგობარი ლევან ჟვანია და სხვები.



წელს გამოვიდა ეთერ ჭელიძის წიგნი – „დღეს უნდა გითხრა“, რომლის რედაქტორია ქალბატონ თინათინ სიყმაშვილი. თინათინს, ისევე, როგორც ბევრ სხვას, საღამოზე, მიეცა სიტყვით გამოსვლის საშუალება. ქაბატონმა თინათინმა ღრმა ანალიზი გაუკეთა ეთერ ჭელიძის პოეზიას, მისი საუბარმა მოხიბლა დარბაზი.

ყველაზე მეტხანს შორენამ ისაუბრა, მან მიმოიხილა ეთერ ჭელიძის ცხოვრება-შემოქმედება, წაიკითხა პოეტის ლექსები, და კიდევ ერთხელ დაადასტურა ის აზრი, რომ ეთერი უნიჭიერესი პოეტია, ნამდვილი ხელოვანი, რომელშიც სწორედ შეარჩია თავისი ცხოვრების საქმე. ესაა მოღვაწე-ადამიანი თავიდანვე წარმატებული, არაერთი წიგნის ავტორი, რუსთავის საპატიო მოქალაქე, რომელმაც წელს ერთბაშად მოიპოვა რამდენიმე აღიარება, და უნდა ითქვას, რომ ყველა თბილისურ დაწესებულებაში უწევს რეკომენდასციას თავის უნიჭიერეს თანამოქალაქეს სასიხარულოა, რომ ქალბატონი ეთერისათვის გაიღო არაერთი აკადემიის კარი (მათ შორის – ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის კარი), და გადაეცა მწერალთა კავშირის მოწმობა.

საღამო ძალიან თბილ გარემოში წარიმართა. დამსწრენიც, გამომსვლელნიც, უაღრესად დადებითად იყვნენ განწყობილნი პოეტისადმი, მე არაერთხელ გამოვედი სიტყვით, ხოლო კახამ, თავისი გიტარით, თავისი ცეცხლოვანი გამოსვლით, კიდევ ერთხელ აანთო დარბაზი. საბოლოო ჯამში, იმ დღეს, ქალბატონ გულნაზს და შორენა მამალაშვილს წამითაც კი არ გაქცევია ხელიდან ღონისძიების სადავეები. ორივემ გასაოცარი წარმატებით მართეს ღონისძიება, როგორც ხომალდი, და მშვიდობიანად მიიყვანეს იგი გამარჯვების ნაპირზე.

რაც შეეხება ეთერ ჭელიძეს, ესაა თავმდაბალი ადამიანი, კარგად გაწაფული ლიტერატურაში, ნიჭიერი მშრომელი, რომელმაც იცის სიტყვის ძალის ფასი. ესაა მისი კულტურული ძლიერების საფუძველი. სიტყვაა პოეტების უმთავრესი საყრდენი...

პირველად იყო სიტყვაო – წერია ღვთიურ წიგნში.

და მაინც, რა არის (ვინ არის) სიტყვა? ამის ზუსტი თქმა შეუძლებელია. სხვადასხვა საუბარში სიტყვაში მიგულისხმია ძეღმერთიც, მამაღმერთიც, სამაებაც, პოეზიაც და ასე შემდეგ. სიტყვაა უმაღლესი, ხოლო მთელს ჩემს შემოქმედებას, ერთად აღებულს, სხვადასხვა სათაურებს ვუწოდებ ხოლმე, მათ შორის – „ფერთა წიგნს“, „თეთრ წიგნს“, „მწვერვალს“, „სიტყვა-წიგნს“ („წიგნ-სიტყვას“) და ასე შემდეგ... მოკლედ, ჯერაც ვერ შევარჩიე სათაური, მაგრამ...



მაგრამ ჩემი აზრი, ისე, როგორც ზოგადად, პოეტთა აზრი, ძირითადად სწორედ სიტყვის გარშემო ტრიალებს, წიგნის (წიგნების) გარშემო ტრიალებს...

ეთერ ჭელიძე არის სიტყვათა ლაბირინთში დაკარგული მგზავრი, რომელიც ამ ლაბირინთში დიდებულ ლიტერატურულ ქმნილებებში ძერწავს. საერთოდ, ყველა პოეტის მასალა სიტყვებია, უთვალავი სიტყვა. მაგრამ, ამავე დროს, სიტყვა ერთია, ერთადერთი. არ ვიცი, სადამდე მიიყვანს, ბოლოს, ქალბატონ ეთერს, თავისი მშვენიერი ხელოვნება.

ხოლო ვიცი კი ის, რომ გენიალური პოეტები გრძნობენ: სიტყვა თვით არის პოეტი. სიტყვა თვით არის პოეზია. ესეც – პოეტისა და პოეზიის იგივეობა...

წარმატებული საღამოს შემდეგ რესტორან „უშბაში“ რომ გადავინაცვლეთ განწყობილებამ კიდევ უფრო მოიმატა. სხვათა შორის, ის გამაცნო ეთერიმ თავის და. როგორც ჩანს, ღონისძიებას პოეტის ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ.. საღამო მეორე მიყავდა, ქალბატონი ეთერის ნათესავს, საკმაოდ ცნობილ პიროვნებას, ბატონ ემზარ ჭელიძეს. ასე ლამაზად, უშეცდომოდ მეორე საღამო, ანუ უშბაში ჩატარებული შემოქმედებითი საღამო, დროსაც გაუძლებს და პოეტი ქალბატონი ეთერ ჭელიძის უკვდავებაზეც ისაუბრებს. მამა ამირანის ლოცვა კურთხევით ჩატარებული საღამოები ისედაც ღვთით კურთხეულია.

შეღამდა. სრულდებოდა კიდევ ერთი დაუვიწყარი დღე ჩემს ცხოვრებაში. რესტორნიდან ვბრუნდებოდით, მანქანით, მე, კახა და დარია.მე ვფიქრობი ამ დღეზე, – ორი მარტის ამ დღეზე.

ვფიქრობდი იმაზე, რომ ესაა მამაჩემის – ფილოსოფოს ამირან ლომიძის დაბადების დღე, და როგორ დაემთხვა ამ ზეიმს!

ვფიქრობდი ლიტერატურულ ზეიმზე, რომელიც მოაწყვეს ეთერ ჭელიძემ, შორენა მამალაშვილმა, სხვებმა და სხვებმა, და რომელსაც ასე ლამაზად, თუმცა საკმად ფარულად წარმართავდა ქალბატონ გულნაზის ხელი...

და ვფიქრობდი უმთავრესზე, უდიადესთა შორის უდიადესზე – პოეზიაზე.

ბატონო პოეზიავ, მადლობა შენ, რომ არსებობ, და ამ უფერულ დროს ასე საოცარად რომ აფერადებ!..

ქალაქ რუსთავის მოღვაწეთა სტუმრობა აკადემიაში

ორ მარტს, რომ დიდი საღამო გამართა აკადემიამ, სამი მარტის სამშაბათობა მაინც არ ჩაგდო და მირზასეულ ბიბლიოთეკაში კიდევ ერთი საღამო მოაწყო.

ქალბატონი გულნაზის გეგმა ასეთი იყო, – სამშაბათს, სამ მარტს, სამი ქალბატონი უნდა გვყოლოდა სტუმრად. თბილისქალაქელებს რუსთავქალაქიდან. ამ ორ ქალაქს აერთიანებს, სწორედ, ჩვენი აკადემიის პრეზიდენტი.

რუსთავიდან უნდა გვწვეოდნენ ბელა ჯანგაძე, ლია ბეჟანიშვილი და თეა ჟვანია, თუმცა მხოლოდ პირველმა ორმა შეძლო ჩამოსვლა, რიგ მიზეზთა გამო.

მარტის ორივე საწყის საღამოს, ისევე, როგორც ჩვენს ღონისძიებათა უმეტესობას, ნიკო გაღაშვილი იღებდა ვიდეოკამერით. ორივე საღამოს ბევრი გამომსვლელი ჰყავდა.

ქალბატონი ბელა ჯანგიძე გახლავთ საზოგადო მოღვაწე რუსთავის მზეკაბანის საშუალო სკოლის დირექტორი, იგი ამჟამადაც სკოლას ხელმძღვანელობს. ამის გარდა უამრავ საქმეს დაატყო ხელი. იგი რუსთავში ცნობილი პერსონაა, თაობათა აღმზრდელ-მოძღვარი. სასიხარულოა, ასეთ ადამიანს რომ წარუდგენ მთავარქალაქს.

რაც შეეხება ლია ბეჟუაშვილს, ესაა უაღრესად სასიამოვნო ქალბატონი, საბავშვო პოეტი, რომელიც არასაბავშვო ლექსებსაც წარმატებით წერს. თავისი დადებითი, მხიარული ბუნებით, ოპტიმისტურობით, შემართებით, პოეზიისადმი უსაზღვრო სიყვარულით, ძალიან გაგვილამაზა ის დღე.

ეს იყო ხალისიანი შეხვედრა-საუბარი, სადაც სტუმრებიც და მასპინძლებიც თანაბრად იყვნენ წარმართულნი. დამსწრეთაგან ყველას მიეცა გამოსვლის საშუალება. ასეთ შემთხვევაში უბადლოა გურამ ჭავჭანიძე, ეს მარადჭაბუკობაში დარჩენილი ბაბუა, გრიშაშვილისეულად რომ მოხდეს თავისი სტრიქონების ქამანს სივრცეს, რომ აძლიერებდა ლექსებით, და მერე შეჩერება უჭირს, ისე აიტანს ხოლმე გრძნობა. იმას კიდევ უფრო უჭირს გაჩერება და აღარ სრულდება

სტროფები მის ლექსებისა. სხვა პოეტებზე იგივეს ვერ ვიტყვი. მაგალითად, ლეილა გაფრინდაშვილი, სხვებიც, ყოველთვის ბევრად უფრო მოზომილნი არიან.

იმ დღეს სტუმრებს ვრცელი პროგრამით დახვდა ანსამბლი „ლალე“ (ხელმძღვანელი – ლეილა ჭიოკაძე). ძალიან კარგად იყვნენ მომზადებულნი ბავშვები, და თუმცა პროგრამა ზედმეტად ვრცელიც კი მეჩვენა, მაინც გრწყინვალედ გაართვეს თავი საქმეს ხელოვნებას. უკრავენ სხვადასხვა ინსტრუმენტზე, მღერიან სხვადასხვა ხმაში, უარყოფენ ფონოგრამას და მათი შესრულება, ძირითადად, სულ ცოცხალია. ცოცხალი შესრულება კი სული და გულია სცენის.

დიახ, სიტყვით ბევრი გამოვიდა, მათ შორის – მეც, ხოლო კახა ბაციკაძემ წაიკითხა თავისი უბერებელი „ქარიშხლიანი უღელტეხილი“ და ჯერ გააოგნა და მერე აპლოდისმენტებით ააფეთქა დარბაზი, ოთხმოცდაათიანი წლები, ორიათასიანებშიც ათიანები, და აგერ, ოციან წლებშიც ასეთი წარმატება აქვს ამ ლექსს, ისევე, როგორც ზღვარელების ხელოვნებას – საერთოდ.

მთავარი მომხსენებელი ლიანა ოისაშვილი იყო. ბელა ჯანგიძის, ლია ბეჟანიშვილისა და თეა ჟვანიას პიროვნებები მან წარმოაჩინა თავის შესანიშნავ სტატიაში. ლიანა, როგორც ფილოლოგი, ჟურნალისტი, გამორჩეულია. მისი ყველა სტატია მომწონს.



საღამოს წამყვანი ჩვენი გულნაზი გახლდათ – აკადემიურობის დედა თანამედროვე საქართველოში. როგორც წამყვანი, რა თქმა უნდა, იგი აქტიურობდა, ხოლო მას, იმ დღეს, აქტიურობაში არ ჩამოუვარდა ჩვენი თეთრი დეკანოზი. მამა ამირანი ძალიან გამოირჩეოდა. დამამახსოვრდა, მაგალითად, „ლილეს“ სიმღერის ფონზე რომ გამოვიდა მონოლოგით და ფაქტიურად, პატარა პიესა დადგა, იქვე, სახელდახელოდ...

მთლიანობაში, იმ დღეს, ძალიან ლამაზი მეჩვენა სამყარო.

სამყარო (სამყაროები) შეიძლება სიტყვა-წიგნად გავიაზროთ. სიტყვა-წიგნი მეტიც არის. არ ვამბობ, თუ ვინ შექმნა იგი. არ ვამბობ, ხოლო...

ხოლო ვამბობ, დიახ, რომ სამყარო ქმნილია ღმერთის მიერ, და ღმერთი (უზენაესი) სულ იყო, არის, იქნება. უზენაესმა თვით შექმნა საკუთარი თავი, რადგანაც სულ არის, რადგანაც შემქმენლი, მას, არა ჰყავს. ღმერთი შემოქმედია. მას, შემოქმედება (ქმნადობა) არის მთავარი, ხელოვნებაა მთავარი...

ჩვენ, უმეტესად სწორედ ხელოვანნი, ვიყავით შეკრებილნი თბილისში, რათა ღირსეულად დავხვედროდით თბილისის ერთ-ერთი მეგობარი ქალაქის სტუმრებს (თბილისი-მცხეთა-რუსთავი, – ესენი ხომ ქართლის გულია).

საღამო ბოლოსკენ რომ მიდიოდა, მაშინ გამოვიდნენ სტუმრები, და თქვეს თავიანთი სათქმელი. ბელა ინტელიგენტი ქალბატონია, მცოდნე ორგანიზატორი, ლიდერი, მაგრამ უბრალოებას, თავდაბლობას არაა მოკლებული ყველას მოეწონა მისი გამოსვლა. ამ ყოველივეს, ლიამ, თავისი ლექსები დაუმატა. ლია ბეჟუაშვილის ლექსებმა გაახალისა, აანთო დამსწრენი. შიო მღვიმელის (საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი მეფის) პრემიის ლაურეატი ეს ქალბატონი სიხარულით ავსებდა სივრცეს. მისმა ქმნილებებმა გენიოსი აკაკის „პეპელაც“ კი მომაგონა – ერთი მწვერვალთაგანი საბავშვო ლიტერატურის....

საერთოდ, წიგნი (წიგნები) უდიდესი საოცრებაა და – უდიდესი საოცრებაა ავტორი (ავტორები). ქმნის უზენაესიც და ქმნიან სხვადასხვა შესაძლებლობის ადამიანებიც. ყველა ადამიანი, მეტნაკლებად, პოეტია (შემქმნელია)...

ვთქვათ ასე: ბელა ჯანგიძე პოეტია საზოგადო მოღვაწეობაში, ხოლო ლია ბეჟანიშვილი უშუალოდ, პირდაპირ პოეტი, ნამდვილი პოეტი. ისინი ალამაზებენ რუსთავს, თავიანთი ღვაწლით, ხოლო იმ დღეს, სამი მარტის იმ დიდებულ დღეს, მართლაც რომ მხარი დაუმშვენეს ჩვენი აკადემიის პრეზიდენტს ჩვენთან, თბილისში, მირზასეულ ბიბლიოთეკაში.

მოკლედ, ქალბატონმა გულნაზიმ და ქეთი ნიკურაძემ (ბიბლიოთეკის დირექტორმა) მართლაც რომ კულტურის ერთ-ერთ ძირითად ცენტრად აქციეს მირზასეული ბიბლიოთეკა. საერთოდ, აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ სწორედ აკადემიები და ბიბლიოთეკები აქტიურობენ ყველაზე მეტად. ეს ასეც უნდა იყოს, – სადაც წიგნიერი ხალხია, სწორედ იქაა დიდი კულტურა, იქაა აზრის დიდი განვითარება...

თბილისი. 2020 წელი. გაზაფხული.

P. S. სიტყვა ყველა და ყველაფერია. აქედან გამომდინარე, სიტყვა არის, ვთქვათ, ბგერა, ის არის, ვთქვათ, ფერი... სიტყვებით შეგვიძლია შევქმნათ წიგნი, მუსიკა, ნახატი... იმ დღეს, იქ, მირზასეულ ბიბლიოთეკაში, სიტყვებით, თითქოს, ერთ დიდ, ულამაზეს ნახატს ვქმნიით, და ამ ნახატს ადამიანთა ურთიერთობა ერქვა, წიგნიერ ადამიანთა დიდებული ურთიერთობა. ისევ გაგრძელდება ასეთი შეხვედრები, აკადემიური საღამოები ამის საუკეთესო საშუალებაც არის...

ევლალია პერპერიდი



სამოთხის და ჯოჯოხეთის კარიბჭე

.....ცნება1.....

****

ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, ვისაც ცხოვრებისეული განცდები არ ჰქონოდა. შეუძლებელია ადამიანმა იმ წვნიანის გემოზე იმსჯელოს, რაც თავად არ გაუსინჯავს. ამასთანავე უშედეგოა იმ ადამიანთან მსჯელობა ცოდვა მადლზე, ვისი გულიც გაქვავებულია და შეპყრობილია ამაოების ამაოებით წარმავალო! თუ ისევ ემოციები და განცდებია თქვენში, მინდა მოგილოცოთ, რადგან ზუსტად მათით არის, რომ კიდევ ვინარჩუნებთ ადამიანები ადამიანობას. მიწიერი ვერ შეიგრძნობს ამ გრძნობების გარეშე მოყვასის განცდას, ვერ შეიგრძნობს იმ ტკივილს, სანამ უგრძნობია, იქამდე სანამ თავად არ იწვნევს ამ ყოველივეს.

ჩვენ საღმრთო წიგნებიდან ვიცით რომ, ეს დროებითი სამყოფელი შემოქმედმა შექმნა მისი ძალით და ნებით, ასევე მასში მყოფი სულიერი თუ უსულო. ვიცით, რომ ადამიანის შექმნისთანავე ეშმამ განიზრახა მისი დაღუპვა, უამრავი საცდურით მას წინ ეღობება და ხელს უშლის ადამიანს თავის მისიის აღსრულებაში, რომ ღირსეულად გავიდეს ამ საწუთროდან. ამ სამყაროში ღმერთის ნება დაშვებულობა განგებულობის გარეშე არაფერი არ ხდება. ყოველ ადამიანს მოგვანიჭა თავისუფლება და არჩევანის უფლება, მან მოწყალება მოიღო მიწიერზე და მოუვლინა ანგელოზნი მფარელად, რომელსაც დაევალა დაცვა მათი ბოროტების საცდურისაგან, ყოველმა ჩვენგანმა, ჩვენ წარმავალმა, ვიცით რომ, ეშმა თავის სიამაყით განდევნილ იქნა სამოთხიდან და იქნა ჭეშმარიტად დაცემული, მან უზენაესისგან ითხოვა ვადა, როცა აღდგენილ იქმნებიან. მან ითხოვა მეორედ მოსვლამდე დრო,რათა მათ ჩასაფრებოდა ჭეშმარიტ გზაზე. ჩვენ ვიცით რომ ვინც ეშმას ცდუნებას ვერ გაუძლებს და გაჰყვება, მათით აივსება ჯოჯოხეთი, ო წარმავალნო! ვიცხოვროთ სწორად,რელიგიურად,რათა გავხდეთ სამოთხის კარის ღირსნი.

ადამიანის შვილნო! ნუ გვაცდუნებს ეშმა, როგორც ადამს და ევას, რომელნიც ცდუნდნენ ეშმაკისგან მიიღეს აკრძალული ხის ნაყოფი და უზენაესმა სამოთხისგან გამოაძევა. ვინც საღმრთო წიგნს არ შეიმეცნებს, არ ირწმუნებს, მათი მეგობარი ეშმაა და მათი სამფლობლო კი გეენაა.

გვახსოვდეს, რომ ჩვენი ცოდვა, მადლი გვიწევს მეგზურობას, ჯოჯოხეთსა თუ სულეთის სალხინეთში.

* * *

დღე რაღაც საოცრად და საამურად დაიწყო. რაღაცით სხვა დღეებისგან გამოირჩეოდა. მზე საამურად ანათებდა ცის კამარაზე. მისი სხივები დედამიწის მხურვალე გულს ელამუნებოდა. რაღაცნაირად გამორჩეული და საამური დღე იყო, სიცოცხლე ჩქეფდა, პატარა მარგალიტები სკოლისკენ მიიჩქაროდნენ. ერთმანეთს ასწრებდნენ ეჯახებოდნდნ და მხიარულად ჟრიამულობდნენ,

ყოველივე ამით ვტკბებოდი და წამით თითქოსდა დამავიწყდა ამაოების ამაოება, შევიგრძენი სიცოცხლე ისე როგორც არასდროს, ისე თითქოს ჩემს უკანასკნელ წამებს და წუთებს ვემშვიდობებოდი. ვეთხოვებოდი ყოფითს და ვემზადებოდი ყოფიერებისთვის... არ ვიცი რამდენი ხანი დავრჩებოდი ასე ფიქრებით გარინდული, რომ არა სიო რომელმაც საამურად დაჰქროლა და შვება მოჰგვარა მზით დასიცხულ არემარეს, შემოუქროლა და ყვავილთ სურნელი მოჰფინა ქუჩას. გზას გავუყევი, დავინახე ქუჩის ძაღლი პატარა გოგონას რომ ასდევნებოდა შორიახლოს ფრთხილად, გვერდით, მისდევდა რომ არ შეეშინებინა. კუდს უქიცინებდა დასტურად და როცა გოგონა შეხედავდა მხიარულადაც ერთი ორს წაუყეფებდა მეგობრულად, თვალი მოვკარი ბულვარის სიღრმეში შეყვარებულ წყვილს მხრებით ერთმანეთს რომ ეხებოდნენ და ხელჩაკიდებულნი მიუყვებოდნენ ბილიკს, მაინც რა არის ცხოვრება ვფიქრობდი, როგორ ტკბილია სიცოცხლე და ჩვენ წარმავალი კი არ ვაფასებთ მას, დრო ხშირად ამაოებაში გაგვყავს, უქმად ყოფნაში, რომელიც ნელნელა გძარცვავს სისცოცხლეს და ყოველდღე გვაკლებს, წამებს, წუთებს, თვეებს... სულ სხვანაირი იქნებოდა ალბათ ცხოვრების ჩქამი, უფრო მრავალფეროვანი რომ ცოტათი მაინც გაგვეაზრებინა ის, რომ ეს მიწიერი ყოფა დროებითია და ღირსეულად უნდა შევძლოთ გასვლა, ღმერთისგან აკი გვიბოძა თვალნი ხედვისთვის, ყურნი სასმენად და გონი კი რაც ვნახეთ, მოვისმინეთ, მის აღსაქმელად გასაანალიზებლად და განსასჯელად, ალბათ დიდი ხანი ვიბორიალებდი ფიქრებში... სკოლის ზარი რეკდა... და სასწავლო წლის დაწყებას ამცნობდა მოსწავლეთ, ბავშვები ჟრიამულით გაიქცენ საკლასო ოთახებისაკენ, ამ ყოველივეს შემყურეს სითბო ჩამეღვარა სხეულში და ვიგრძენი გულმა როგორ ძალუმად იწყო ფეთქვა, ამ შინაგანმა ღელვამ იმატა და და უცებ ყველაფერი გაჩერდა, გაირინდა, წამში მარადიული სიჩუმე გამეფდა. გულის ცემის ხმა მესმოდა, პულსი ამ გამალებით მიცემდა, უცებ ხმაური შემოიჭრა გაბრაზებული მძღოლი მანქანას მისიგნალებდა მთხოვდა სავალი გზა განმეთავისუფლებინა და თან ხელს იქნევდა გამოვერკვიე და გავუყევი გზას შინისაკენ, გზად მეზობლის ძაღლი შემხვდა ყეფით თითქოს ყურადღებას ითხოვდა ჩემგან და ყურადღება რომ არ მივაქციე, მოვიდა, წინ ამეტუზა და საყვედურით შემომყეფა, გავჩერდი დავიცუცქე და ხელი გავიწოდე, რომ მოვფერებოდი, მიხვდა და მანაც თათი გამომიწოდა, მის ალალ თვალებს ჩავხედე, საიდანაც უსაზღვრო სითბო იღვრებოდა, ის სითბო რომელიც, სამწუხაროდ, ბევრი ადამიანის თვალებიდან არ იმზირება, გულში გავიფიქრე, ეჰ ცუგა ცუგა, შენებრ ერთგული გული და მოსიყვარულე თვალები რომ ჰქონდეს მრავალ წარმავალს, ცხოვრება რაოდენ საამური იქნებოდა, უცებ მონასტრის ეზოდან ყურს მომწვდა გალობის ხმა, გალობდნენ მგალობელნი და მომესმა მოძღვრის ასამაღლებელი „ღმერთო შენ ჰქმენ ქვეყანასა ზედა მშვიდობა და დაამკვიდრე კაცთა შორის სიყვარული და სათნოება სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისა თანა ამიინ! ამინ! ამინ!“ მე გულში ვიმეორებდი: „ღმერთო ჩვენო, ერთად ერთო, ცისა და ქვეყნის შემქმნელო, დიდება შენდა, შენ გსასოებს და გმორჩილებს ჩემი არსი მოწყალე და მწყალობელო“ და მით სიხარული მეუფლებოდა, მივდიოდი და უკან მომყვებოდა მგალობელთა ხმა. ოსანა მაღალთა შინაა!

ელგუჯა მგელაძე

ჯონჯოლით ნაყიდი გაზქურა



ერთი ადიგენელი მეგობარი მყავს, ალეკო სუხიაშვილი, მან ჩემთან და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლეგენდარული მეცხრამეტე ჯგუფის წევრებთან ერთად დაამთავრა ეს უმაღლესი სასწავლებელი, შემდეგ კი მშობლიურ რაიონში გააგრძელა შრომითი საქმიანობა.

იგი წლების განმავლობაში იყო რაიონის საგზაო სამმართველოს უფროსი, შემდეგ კი რაიონის გამგებელი.

ერთხელაც ჩვენმა ალეკომ ოჯახებით ადიგენში სტუმრად მიგვიწვია მთელი მეცხრამეტე ჯგუფი, დაახლოებით ოცდაათი კაცი.

გადავწყვიტეთ მიკროავტობუსები გვექირავა და ისე წავსულიყავით, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ ოცამდე კაცმა მოვიყარეთ თავი და ერთი კომფორტული ,,სპრინტერით" გავუდექით გზას.

როგორც ეს ხშირად ხდება, უფრო აზარტული მეგობრები უკანა სავარძლებზე მოვკალათდით და ,,სეკის" თამაშით გადავწყვიტეთ მგზავრობის დროის მოკვლა.

პირველ რიგში უნდა გამოვყო შალვა დევიძე, სოსო შიმშილაშვილი, ზურაბ ბურჭულაძე, გურამ მიქაძე, გივი თეგეთაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. შალვა და სოსო კარტს მუდამ ჯიბით ატარებდნენ. მათვე წვრილად ჰქონდათ გადახურდავებული ფულის ბანკნოტები. ასე რომ, ხელს არაფერი გვიშლიდა.

ხაშურს ახლადგაცილებული ვიყავით, რომ ჩვენმა ერთ-ერთმა უსაყვარლესმა მეგობარმა ალბერტ ზანგურაშვილმა დაჟინებით მოითხოვა თამაშში ჩართვა, რაც გაგვიკვირდა კიდეც, ვინაიდან იგი სხვა დროს არ იღებდა მონაწილეობას აზარტულ თამაშებში. გურამ მიქაძემ გულწრფელად ურჩია, არ ჩაბმულიყო ჯგუფის ,,კიტებთან" თამაშში, ვინაიდან იქ მისი მოსაგები ფული არ იყო.

მაგრამ იგი მაინც ჩაერთო თამაშში და თავდაპირველად დროებით წარმატებასაც მიაღწია... თუმც შემდგომში, რაღაც მომენტში, მას სამი ,,კაროლი" მიუვიდა და როგორც არიფი, რაც კი ჯიბეში თანხა ჰქონდა, სულ ერთდროულად ჩამოვიდა. სწორედ იმ დროს მე სამი ტუზი აღმომაჩნდა და, რა თქმა უნდა, მისმა მთლიანმა თანხამ ჩემს ჯიბეში გადმოინაცვლა. კიდევ კარგი მგზავრობის ღირებულების თანხა თავიდანვე გვქონდა აკრეფილი. ჩვენთან ასეთი წესი გვქონდა, ვისაც ფული გაუთავდებოდა, თამაშიდან ავტომატურად გადიოდა. ასე გავიდა თამაშიდან ჩვენი ალბერტიც.

ბოლოს მხოლოდ ოთხნი, მე, გურამ მიქაძე, სოსო შიმშილაშვილი და შალვა დევიძე ვაგრძელებდით თამაშს, როცა ადიგენში შევედით.

შევატყვე ალბერტი ძალზე უგუნებოდ შეიქმნა და მიზეზი ვკითხე. მან არაფერი მიპასუხა, მაგრამ შემდეგ ყურში ჩამჩურჩულა: ელგუჯ, რაღაც უნდა გითხრა, იმედია, გამიგებ და ამ უხერხულობიდანაც გამომიყვანო. მე ყურადღება არ მივაქციე, ნეტავ ასეთი რა უნდა მითხრას-მეთქი.

ამასობაში ჩვენი მეგობრის სახლსაც მივაღწიეთ, მიკროავტობუსიდან ჩამოვედით, მასპინძლები მოვიკითხეთ, ცოტა დავისვენეთ, მოვწესრიგდით და დიდებულ სუფრას მივუსხედით. ალბერტი ძლიერ დანაღვლიანებული იყო, თუმცა იმდენი მოახერხა სუფრასთან ჩემს გვერდით მოკალათდა.

ის ღამე გათენებამდე ქეიფში გავატარეთ. ალბერტმა თავი გამოიდო და ჩემი ჭიქის დაცლისთანავე სასმისებს პირადად მივსებდა, თანაც ცოტ-ცოტას თვითონაც მიირთმევდა. ბოლოს, როცა ვაზის ნაჟურმა თავისი საქმე გააკეთა, ალბერტი გამომიტყდა, რომ ის თანხა, რომელიც მან ჩემთან ერთიანად წააგო, თურმე მისი სიდედრის ყოფილა.

ჩვენი ალბერტის მეუღლე ქალბატონი ლალი სოფელ ლამისყანიდან არის, მის დედას, ანუ ალბერტის სიდედრს, ქალბატონ გალინას, რომელსაც ალბერტი მოფერებით ლიცინას ეძახდა, თურმე ჯონჯოლის მწნილის გაყიდვით შეგროვებული ფულით გაზქურის ყიდვა გადაუწყვეტია, ამ საქმეში დახმარება კი ალბერტისთვის უთხოვია და ფულიც მისთვის გადაუცია. აი სწორედ ეს თანხა წააგო ალბერტმა ჩემთან.

ჩემთვის ნათელი გახდა ალბერტის წუხილი და დარდი, ამიტომ მას შევპირდი, რომ ხვალ შენს ფულს უკანვე დაგიბრუნებ-მეთქი. ამის მიუხედავად მან გადაჭრით მომთხოვა, ეს კარგია, მაგრამ ახლავე დამიბრუნე, თორემ შეიძლება ხვალამდე გადაიფიქროო, თან ამაღამ კარგად დამეძინებაო.

მეტი გზა არ იყო, მოგებული ფული მას მაშინვე მთლიანად უკანვე დავუბრუნე, რის შემდეგაც მანაც დიდებულად მოილხინა სხვებთან ერთად, ამასთან რამდენჯერმე იცეკვა კიდეც.

მეორე დღეს დავაზუსტე, რომ ალბერტისთვის თანხის უკან დაბრუნებით მე თვითონ დავრჩენილვარ წაგებული, ვინაიდან იმდენი თანხა საერთოდ არ აღმომაჩნდა მოგებული, რამდენიც ალბერტს დავუბრუნე...

როგორც შემდგომ გავიგეთ, ალბერტმა კეთილსინდისიერად შეასრულა სიდედრის დავალება და მას ოთხსანათურიანი გაზქურა შეუძინა, ადგილზე მიტანით და დამონტაჟებით.

იმ დღიდან ქალბატონი გალინა ალბერტზე საუბრისას ყოველთვის ასეთ სიტყვებს წარმოსთქვამდა ხოლმე: სიძე მყავს ნამდვილი თვალის სინათლეო...

საოცნებო თოჯინა

ოჯახში სამი ულამაზესი ,,პრინცესა" გვყავს. აქედან უფროსი მია-მია მგელაძე ამჟამად 9 წლისაა, ხოლო მისი უმცროსი ტყუპი დაიკოები თათია და თეონა კი რვა წლისანი არიან.

ერთხელაც, მაშინ როცა სულ ნაბოლარა თეონა ალბათ ოთხი წლისაც არ იქნებოდა, დილით, სამსახურში წამოსვლამდე რაღაც თოჯინის ყიდვა დამიბარა. მე ისე, როგორც იტყვიან ,,ცალ ყურში შევუშვი" მისი თხოვნა და ვითომ კარგად ვერ გავიგე მისი დანაბარები, ასე მივმართე მას. ვერ გავიგე რას ჩლიფვინებ, საღეჭი რეზინი გამოიღე პირიდან და თუ რამე გინდა ისე მითხარი-მეთქი. პატარა ,,პრინცესამ" მართლაც გამოიღო პირიდან საღეჭი რეზინი და ხელმეორედ გამიმეორა, როგორი თოჯინაც უნდა მეყიდა...

საღამოს სახლში მისვლისას ბავშვი კარებთან შემომეგება და ჩემს მიერ მიტანილ სხვადასხვა პროდუქტებს დაუწყო თვალიერება და ქექვა. ვინაიდან იმ დღეს თოჯინა არ მიყიდია, ისიც რას იპოვნიდა?



თათია, მარიამ (მია) და თეონა მგელაძეები

პატარა თეონა თვალებზე ცრემლებმორეული მიყურებდა და მეკითხებოდა, ჩემი დაბარებული თოჯინა სად არისო. მე რამდენჯერმე სიტყვა ბანზე ავუგდე, როცა მაინც არ მომეშვა, ავდექი და მივახალე: რაღაც არ მახსენდება შენ რომ ჩემთვის თოჯინა დაგებარებინოს მეთქი. აი მაშინ კი იფეთქა თეონამ და რა იფეთქა: აბა კარგად გაიხსენე, ასე რომ მითხარი პირიდან საღეჭი რეზინი გამოიღე და ისე მითხარი რაც გინდაო. მერე მე რომ მართლაც გამოვიღე პირიდან საღეჭი რეზინა ისე გაგიმეორე ჩემი თხოვნა. ამასთან თან მარჯვენა ხელის თითების მოძრაობით, ენის მოჩლექვით და თვალების მოჭუთვით შემომიტია: ,,გაგასხენდა ახლა, გაგასხენდაო". მე და იქ მყოფმა ჩემმა ოჯახის წევრებმა სიცილი ვერ შევიკავეთ ბავშვის ენამოსწრებულ პასუხზე და მისი ენის მოჩლექვით ლაპარაკზე, მაგრამ იმ დღეს თეონა მაინც უსაჩუქროდ დამრჩა...

მეორე დღესვე რა თქმა უნდა გამოვასწორე ჩემი ,,დანაშაული".

სასტვენები

გომბორი ის ადგილია, სადაც ყოველთვის მიხარია ჩასვლა. იქ დასვენებას რა სჯობს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩემი აგარაკი ჩემი საუკეთესო მეგობრების კარ-მიდამოების შორის დგას, ერთ მხარეს იგი ესაზღვრება ჯუმბერ ჭყონიას, ხოლო მეორე მხარეს კი, - შოთა მაისურაძის აგარაკებს.

როცა ჯუმბერის და შოთას მამები, გიორგი (მამია) და ჟორა პენსიაში გავიდნენ, გომბორში დამკვიდრება გადაწყვიტეს. მათთვის ალბათ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა ერთმანეთის გვერდით ეცხოვრათ, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მე და ჩემი აგარკი მათ შორის მურმანის ეკალივით ვიყავით გაჩხერილი. ჟორასთან სამეზობლო ჭიშკარი მქონდა, თუმცა მამია ბიძიასთან ამის გაკეთება ვერ ხერხდებოდა ციცაბო დაღმართის გამო.

დღისით ორივე თავის ნაკვეთში ფუსფუსებდა, საღამოს კი ერთად სხდებოდნენ და მუსაიფობდნენ, თანაც ზომიერად ღვინოსაც წრუპავდნენ.

იმჟამად სოფელ გომბორის ცენტრში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი სამხედრო ბაზა იყო განთავსებული. ერთხელ ბაზის პირადი შემადგენლობის თითქმის 80 პროცენტი თავისი შეიარაღებით დროებით ჩეხოსლოვაკიაში გადაისროლეს, თუმცა ოფიცრების ცოლ-შვილი ისევ გომბორში იყვნენ დარჩენილნი.

იმ წლის სააგარაკო სეზონი კარგა ხნის დამთავრებული იყო, მოაგარაკეები უკვე თბილისში ვიყავით. ჩვენს აგარაკებზე კი მხოლოდ მამია, ჟორა და დარაჯი იყვნენ დარჩენილები.

ერთ დღეს შოთამ შემომთავაზა, საღამოს აგარაკზე ჩავიდეთ, მოხუცებს დავხედოთ და საჭმელ-სასმელიც ჩავუტანოთო. მე სიამოვნებით დავთანხმდი და საღამოს სურსათ-სანოვაგით დატვირთულნი აგარაკზე ჩავედით. მივიხედ-მოვიხედეთ, მაგრამ მოხუცები იქ არ დაგვხვდნენ.

დარაჯმაც არაფერი იცოდა, გვითხრა, რომ შუადღის შემდეგ არც ერთი არ მინახავსო. დაახლოებით სამი საათი იქნებოდა, წვერგაპარსულები და ლამაზად ჩაცმულები ჟორას ავტომანქანით სადღაც მიიჩქაროდნენო.

ორივეს სახლებიც დაკეტილი დაგვხვდა და შინ ვერ შევედით.

შოთას წინადადებით, სოფელ სასადილოში მდებარე შალიკოს და იოსების დუქანში გავემგზავრეთ, რომელიც სულ რაღაც 4 კილომეტრში მდებარეობს.

მისვლისთანავე დავინახეთ ჟორა ბიძიას წითელი ჟიგული, რამაც მიგვახვედრა, რომ მოხუცები იქ უნდა ყოფილიყვნენ.

დუქანს ერთადერთი ე.წ „კუპე” ჰქონდა, რომელსაც კარის მაგივრობას, მოძველებული მუქი ფერის მაუდის ფარდა უწევდა. ჩვენ თავდაპირველად საერთო დარბაზში

შევედით და იქ დავიწყეთ მოხუცების ძებნა, მაგრამ, რადგან არ აღმოჩნდნენ, გადავწყვიტეთ „კუპეშიც” შეგვეხედა, თუმცა იქ არ შეგვიშვეს, დაკავებულიაო.

მივაყურადეთ და, ჰოი, საოცრებავ! აშკარად გავარჩიეთ ჟორა ბიძიას რუსულ ენაზე დიდებულად წარმოთქმული სადღეგრძელო სიყვარულზე და სიყვარულის აღთქმის უნარზე. ამას თან დაერთო რუსულად მოლაპარაკე ქალბატონების სიცილ-კისკისი და ჩვენთვის უცნობი რაღაც შეძახილები.

ამასობაში, ის მიმტანი ქალიც მოცილდა იქაურობას, რომელიც შიგ არ გვიშვებდა და ჩვენც თვალის დახამხამებაში გადავწიეთ ფარდა. კუპეში შევცვივდით და რას ვხედავთ: ერთი უფრო მოზრდილმკერდიანი რუსის, დაახლობეთ 40 წლამდე ქალბატონი ჟორას მუხლებზე უზის და მოზრდილი ჭიქით ღვინოს სვამს, ხოლო მეორე, დაახლოებით იმავე ასაკის, უფრო გრძელფეხება, მოკლეკაბიანი და გამჭვირვალე მაისურიანი რუსის ქალბატონი მამიას გვერდით მოუსვამს და დახუჭობანას და „კოცნა-პროშნობანას” ეთამაშებოდა.

მოხუცებმა თავდაპირველად ვერ აღიქვეს ჩვენი გამოჩენა, ჟორამ თვალები მოიფშვნიტა, შემდეგ პირჯვარი გადაიწერა და ქართულად ჩაილაპარაკა; ფუი, ეშმაკს! ფუი, ეშმაკსო! მამიამაც შეწყვიტა გართობა, ფეხზე წამოდგა, თავი ჩაღუნა და დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით თავის მართლებას მოჰყვა.

ქალბატონები ვერ გარკვეულიყვნენ ვინ ვიყავით, ან რა გვინდოდა მოხუცებთან.

შოთამ მამამისს „დიადია ჟორათი” მიმართა და უთხრა: მე და ჩემი მეგობარი ელგუჯა აქეთ მოვდიოდით და ქალაქიდან რაღაცეები წამოგიღეთო. ჟორას ავტომანქანის გასაღები გამოართვა და იქ ჩატანილი სურსათ-სანოვაგე საბარგულში ჩაუწყო.

დიდი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, სასადილოში აღარ შევბრუნებულვართ და თბილისში გამოვემგზავრეთ. მეორე ჩასვლაზე დავაზუსტეთ, რომ გომბორის სამხედრო ნაწილის ოფიცრები ძველი დისლოკაციის ადგილზე ექვსი თვის შემდეგ, მხოლოდ მომდევნო წლის გაზაფხულზე დაბრუნდებოდნენ. ამასთანავე დავადგინეთ, რომ დამღამობით ორივე მოხუცი სანადირო თოფის ერთჯერადი გასროლით ერთმანეთს ატყობინებდა, რომ ყველაფერი წესრიგშია და შეიძლება მშვიდად დავიძინოთო.

ეს რომ გავიგე, მავნე აზრი დამებადა და ორივეს კარგი ჟღერადობის სასტვენი ვუყიდე, რამაც სანადირო თოფს დაუბრუნა ძველი ფუნქცია. პირობა იგივე ჰქონდათ; ერთჯერ ჩასტვენა ნიშნავდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო და შეეძლოთ დაეძინათ. მაგრამ თუ რომელიმე მათგანი ერთზე მეტჯერ დაუსტვენდა, თანაც გაბმულად, ეს იმას ნიშნავდა, რომ მას რაღაც უჭირდა და მეორე სასწრაფოდ უნდა მიშველებოდა.

არცერთმა არ იცოდა, რომ მესამე, ანალოგიური სასტვენი ჩემთვისაც მქონდა შენახული და მის გამოსაყენებლად შესაფერის დროს ველოდი.

ეს დროც მალე დადგა.

ნოემბრის ერთ ბურუსიან საღამოს კვლავ აგარაკზე ავედი. მოხუცებთან ცოტა დავლიე, მეორე დღეს დილით სამსახურში ადრე წასვლა მოვიმიზეზე და ვითომდა დასაძინებლად შინ წავედი.

დაახლოებით ღამის 10 საათისთვის ჯერ ჭყონიების მხრიდან გაისმა სასტვენის ერთჯერადი ხმა, რასაც მალე მაისურაძეების მხრიდან მოჰყვა ანალოგიური პასუხი. ეს იმას მოასწავებდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო.

მალე ორივე ოჯახში შუქები ჩაქრა და მოხუცებმაც ალბათ ტკბილად დაიძინეს.

დაახლოებით ღამის პირველ საათზე აივანზე გავედი და ისეთი სტვენა ავტეხე, სადღაც შორს მგლების ყმუილიც დავადუმე, ტყის იდილიაც დავარღვიე და ჩვენს მოხუცებთან ერთად ვინ იცის რამდენ სულდგმულს გავუტეხე ძილი.

სასწრაფოდ ოთახში შევედი და ჩაბნელებული ფანჯრიდან სეირის მოლოდინში გავიტრუნე. ვხედავ პირველი ჟორამ მოირბინა ჩემი ჭიშკრის წინ, მას არც მამია ჩამორჩა. ნახევრად საღამურებში გამოწყობილები რაღაცას ლაპარაკობდნენ და ერთმანეთს ამშვიდებდნენ.

მე, რა თქმა უნდა, სიტყვები კარგად ვერ გავარჩიე, მაგრამ იმას კი მივხვდი, რომ ერთმანეთს ედავებოდნენ რაღაცას. მათი ქოთქოთი დაახლოებით 10 წუთს გაგრძელდა. შემდეგ დაიშალნენ და სახლებში წავიდნენ. მალე მათი ე.წ. „პაროლი" განმეორდა: ჯერ მამიამ დაუსტვინა ერთჯერ, რასაც ჟორას მხრიდან ანალოგიური სტვენა მოჰყვა. შემდეგ შუქები კვლავ ჩააქრეს და დაიძინეს. მე, მართალია, კარგა ხანს ვფიქრობდი ჩემს ნამოქმედარზე, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რატომღაც სულ არ ვნანობდი.

ალბათ დილის ხუთი საათი იქნებოდა, როცა ჩემი ეშმაკი კვლავ დამაჯდა მხარზე და ხმადაბლა, თითქოს ჩურჩულით მითხრა: გაიღვიძე! უკვე დროა!, აბა, შენ იციო!

კვლავ გავედი აივანზე და პირვანდელზე მაგარი სტვენა ავტეხე. შემდეგ ოთახში შევედი და ფანჯარასთან გავიტრუნე. ვხედავ, მამია ბიძია ისე ენერგიულად მიიჩქარის ჟორა ბიძიას სახლისკენ, გეგონებოდათ მდევარი მოსდევსო. მალე ჟორაც გამოჩნდა და კვლავ ჩემი ეზოს წინ, მაგრამ ამჯერად 20 მეტრით უფრო ახლოს ჟორას სახლისკენ, ისინი კვლავ შეხვდნენ ანთებული ფანრებით ერთმანეთს და რაღაცას ხელების შლით ლაპარაკობდნენ.

ლამის სიცილით ჩავბუირდი.

იმ ღამით მოხუცები მეტი აღარ შემიწუხებია, ვინაიდან მეც ჩამეძინა და როცა გავიღვიძე, უკვე ცხრა საათი სრულდებოდა. ვინაიდან სამსახურში მართლა მაგვიანდებოდა, მანქანა დავქოქე, ეზოდან გავიყვანე, რამდენჯერმე სიგნალი მივეცი და როცა ჩემი მეზობლები გამოსამშვიდობებლად გამოემართნენ, ჩემივე სასტვენით გულისგამაწყალებელი სტვენა ავტეხე, რითაც, რა თქმა უნდა, ყველაფერს ფარდა აეხადა.

ორივეს ხელის აწევით დავემშვიდობე და დაღმართში ავტომანქანა სწრაფად დავძარი თბილისისაკენ.

ავტომანქანის სარკეში კარგად დავინახე, როგორ დაიხარა ჟორა, აიღო მოზრდილი ჯოხი და ჩემს ავტომანქანას დაედევნა, მაგრამ როგორ დამეწეოდა, ჩემს „ჟიგულს" ხომ საკმაოდ მძლავრი ძრავა ჰქონდა.

ტყუილების გუდა

ერთ მშვენიერ ზაფხულს, როცა მთელი ოჯახით გომბორში აგარაკზე ვისვენებდი, საკმაოდ იშვიათი და ამავე დროს ძალზე სასიხარულო მოვლენა მოხდა: აგარაკზე ერთდროულად მესტუმრნენ მამაჩემი ალექსანდრე მგელაძე და ჩემი სიმამრი გივი ქავჟარაძე. მათმა სტუმრობამ, ცხადია უფრო მეტი ხიბლი შემატა ჩვენს ოჯახში ლხინსა და ქეიფს.

სადაც მამაჩემი და ჩემი სიმამრი იქნებოდნენ, იქ უთუოდ უნდა ყოფილიყო ჟორა მაისურაძეც. სამივენი თითქმის ერთი ასაკისანი იყვნენ და შესანიშნავად უგებდნენ ერთმანეთს.

ერთ საღამოს, როცა ჩემს ოჯახში სუფრის სამზადისი იყო, ზემოხსენებული ,,ტრიო", ეზოში იჯდა და თითოეულს ზურგზე ტყუილებისგან გაბერილი გუდა ეკიდა, რომლებსაც თავები მოხსნეს თუ არა ტყუილების ისეთი კორიანტელი დააყენეს, რომ ჯანმრთელ ადამიანს ყურთასმენა უთუოდ დაუქვეითდებოდა. მეც იქვე მოშორებით ვიყავი და ,,შემთხვევით შემომესმა" მათი ბაქიბუქი.

ტყუილების გუდას პირველმა ჩემმა სიმამრმა გივი ქავჟარაძემ მოხსნა თავი და სერიოზული სახითა და დარბაისლური, დამაჯერებელი მეტყველებით დაიწყო ასეთი ამბის მოყოლა:

– კაცო! საოცარია, გურიაში ჩემს ლიხაურელ ნათესავს ნეზვი გოჭი უყიდია, თურმე ისეთი ღორი დამდგარა, ხან 20 და ხანაც 22 ერთმანეთზე უკეთეს გოჭებს ყრისო, რომელი მხარიდან აღარ ჩამოდიან ამ გოჭების საყიდლად, პატრონსაც თითო გოჭზე იმხელა ფასი დაუდია, რომ მალე დედა ღორს ოქროს საღორესაც აუშენებს, რა თქმა უნდა, თავისას რომ დაამთავრებს მერეო?!.

ჩემი სიმამრის ნაამბობს თავის ქნევითა და აბა! აბას! ძახილით, მშვიდად უსმენდა მამაჩემი. მერე კი, ასევე აუღელვებლად და დამაჯერებლად თითქოს გააგრძელა:

– მაგი რა არის, ჩემო გივი, რაღა შორს მიდიხარ, აგერ ჩემს სოფელში, მეზობელს, რაღაც უცხოური, ე.წ. ,,ფირმენი" დედა ღორი ჰყავს, რომელმაც წელს პირველ მაკეობაზე 28 გოჭი დაყარა, სუყველა საღ-სალამათი... შენ წარმოიდგინე, გივი, თუ პირველ მაკეობაზე 28 გოჭი დაყარა ახალგაზრდა გამოუცდელმა დედა-ღორმა, მომავალში რაღას იზამს?!

ამ დროს ჟორა დიდი ყურადღებით უსმენდა ალექსანდრესა და გივის საუბარს. თბილისში ასფალტზე დაბადებულ-გაზრდილი კაცი მთლად ვერ გარკვეულიყო ტყუილმართალში, მაგრამ რა ექნა მისი ჯერი დგებოდა და რაღაც ამბით მასაც უნდა გამოეჩინა თავი.

ერთი წუთითო მოიბოდიშა, დატოვა დისლოკაციის ადგილი და ორ წუთში დიდი, მწიფე ლეღვით სავსე კალათით დაბრუნდა:

– აბა ბიჭებო! ამ მშვენიერ ნაყოფს შეხედეთ, უბრალო ლეღვი არ გეგონოთ, ქვემო სოფლიდან მოგვართვეს, განსაკუთრებული ჯიშის, სამ მოსავლიანი ლეღვის ხის მეორე მოსავალიაო.

შეთავაზებული, "უნიკალური" ლეღვის ხის ნაყოფი დააგემოვნა ჩემმა სიმამრმა და ზედმეტად დამაჯერებლად შეაფასა:

– მართლაც გემრიელია, ჟორა, მაგრამ უცნაური რა არის, ლეღვი მართლაც გემრიელი ხილია. მე რომ ვაკეში, ქობულეთის ქუჩაზე ვცხოვრობდი, ეზოში ოთხ მოსავლიანი ლეღვის ხე მედგა, კრეფასა და მურაბების კეთებას ვერ აუდიოდა ოჯახი, მთელ სამეზობლო-სანათესაოსთან ერთად...

ამ დროს მისთვის სიტყვის ჩამორთმევა სცადა ალექსანდრემ, ჩანდა ხუთმოსავლიან ლეღვზე აპირებდა ამბის მოყოლას, მე, სიცილისგან ჩაბჟირებულმა, მეტის მოთმენა ვეღარ შევძელი, მივუახლოვდი და სამივეს მივმართე:

– ხალხნო, გეყოფათ. ალბათ მეტად ,,მნიშვნელოვან" და ,,ღირებულ" საკითხებზე მსჯელობდით, მაგრამ დროა სუფრას მივუსხდეთ-მეთქი და წინ წავუძეხი.

მოკლედ, ასე დელიკატურად მცირე ხნით მაინც მოვუკარი თავი სამივე მათგანის ,,ტყუილებით სავსე გუდას"...

გულნაზ ხარაიშვილი



საიდან დავიწყო?

მზეს ახლად ახელილი ჰქონდა თვალები, ძილის საბნიდან გამომძვრალიყო და ვერ გაერკვია ისევ ძილთან და ლამაზ სიზმრებში დატრიალლებულიყო თუ დილა მშვიდობისა ეთქვა დედამიწელებისათვის. ფრინველების ჟრიამულმა გამოაფხიზლა და დღესთან დარჩენა ამჯობინა. მზის ერთი სხივი ჩემს ფანჯარას აეტორღიალა, ახლა მე დამეუფლა ასეთი განწყობა, ცოტა ხანს თვალები ისევ დამესვენებინა თუ ჩემს სულის ჟურნალ „ათინათთან“ ერთად მეტრიალა აქეთ-იქით, ნაბიჯ-ნაბიჯ, აღმა-დაღმა, სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ, მერე საზღვარგარეთაც მომეკითხა ჩემი ქართველები, ჩემი სანათესაო, საყვარელი ადამიანები. საქმემ დამძლია და სასწრაფოდ მობილურის ეკრანში ჩავიხედე, გადავათვალიერ-გადმოვათვალიერე. ეს, ის დრო იყო, თებერვლის ჟინჟღლიანი ამინდებით, რომ გაწკუმპლულია დედამიწა. ტელეფონმაც თავი შემახსენა, ლამზირა, მირეკავდა, გულნაზი საუბარი ნაზად და მორიდებით გააგრძელა ლამზირამ, არის ასეთი პოეტი ეთერ ჭელიძე, წიგნი მაჩუქა, მინდა რომ გადახედო, თუ ჩათვლი საჭიროდ ჟურნალ „ათინათში“ დაბეჭდე, ტელეფონსაც მოქცემ, ჯერ ლექსები წაიკითხე და მერე, ხო, იცი? არ მიყვარს ხოლმე მაინც და მაინც სხვის საქმეში ჩარევა, მაგრამ... და აღარ გავაგრძელებინე,



იმერელ მოკრძალებულ პოეტს, იმერულად მობოდიშება და სიტყვა შევუბრუნე, ეს, ჟურნალი ყველა აკადემიის წევრისაა, უბრალოდ მე ვარ ამ „ათინათის“ დედა და თქვენ ხართ შვილები. ლამზირას ფეისბუქის საშუალებით, ლექსები გადმოვაგზავნინე, გული მკარნახობდა, ლექსებთან ერთად ისეთი ადამიანი „ქალბატონი“ უნდა შემოსახლებულიყო ჩემს გულში, მთელი სიცოცხლე, გულს რომ გამითბობდა. ეს, წინათგრძნობა უკავშირდებოდა, დედაო იოანა ონიანს. ჩვენ მე და დარიკო ონიანი, ერთად ვმუშაობდით, თბლისში, ბატონ გარი ჩაფიძესთან, ეს, ნიჭიერი ახალგაზრდა შვილივით გვიყვარდა ორივეს, დარიკო ონიანი იურისტი იყო და ლექციებს კითხულობდა, მე კულტურის ცენტრის დირექტორი ვიყავი. მახსოვს ერთხელ საკმაოდ ცნობილ მეცნიერს, ღონისძიებას ვუტარებდი, აწ გარდაცვლილ ბატონ გიზო ჭელიძეს, ბატონ გიზოს ღონისძიბაზე მოწვეული ყავდა, ზინაიდა კვერენჩხილაძე. მსახიობს, ბატონი გიზოს ლექსი უნდა წაეკითხა, წაიკითხა კიდეც... ღონისძიება, მართლაც საინტერესოდ მიმდინარეობდა, არ ცხრებოდა ტაში და ოვაციები. საღამო მე მიმყავდა, დამსწრე საზოგადოება, ყველა ცნობილი პოეტები, მეცნიერები და ელიტარული პიროვნებები იყვნენ...ბატონმა გიზომ ითხოვა ქალბატონ ლია ნაროუშვილთან ლიტერატორული დუეტი. მიმდინარეობს ღონისძიება, იმ დღის გმირი მართლაც საინტერესოდ შეეჭიდა ლექსით ქალბატონს, პოეზიის გრძნობის ქარცეცხლში ჩაძირულ წყვილს, მაყურებელი დაავიწყდა და... ჟინანთილნი ერთმანეთის ალერსში გადაიზარდნენ. თვალი თავისდაუნებურად ბატონი გიზოს მეუღლისკენ გამექცა, ქალბატონ ნათელას სახეზე ეჭვის, ტკივილის, თითქოს და მეუღლის სიყვარულში ეცილებოდნენ, ისეთი განწყობა იკითხებოდა, არა და ასე არ იყო, ეს, იყო ლიტერატორული დუეტი. წამში გადაწყვეტილება მივიღე, სცენის შუა გულში ისედაც ვტრიალებდი, წამყვანი ვიყავი და... მიუბრუნდი ბატონ გიზოს, წარმოვთქვი თავის და უნებურად, ყოველგვარი გეგმიურის გარეშე ეს სიტყვები: იმერთშია ერთი მთა, სახელად ჰქვია სანთელა, სხვის ლამაზმანებს რას დადევ, აგერ არ გიზის ნათელა?

დარბაზში სიცილი ატყდა, კარგი ფინალია, იყვირა მეორემ. თემას იმიტომ გადავუხვიე აქედან დაიწყო მე და დარიკო ონიანის მეგობრობა. საბოლოდ ასეთი რწმენა დამეუფლა სვანი ხალხი, ერთგულები, გამტანები არიან, უაღრესად პატივს მცემს ახლა უკვე წარსულში დარიკო ონიანი ამჟამად დედა იოანა. ჩემდამი პატივისცემა (ის ასე იხსენებს, ამ ღონისძიებას) მიაჩნია, რომ თანაგრძნობა გამოვხატე ვითომდა დაჩაგრულ მდგომარეობაში პოეტის ცოლის მიმართ. სინამდვილეში ვიმეორებ ეს, იყო ზეაღმატებული ღონისძიება. ჩემში დაუნახავს, როგორც თითონ ამბობს, უსამართლობის არ მოთმენა ნებისმიერ სიტუაციაში. დაუბრუნდეთ, ქალბატონ ეთერის. ქალბატონი ეთერი არის სრულყოფილი პოეტი. მან, ერთდროულად, რამოდენიმე გვირგვინი დამსახურებულად შეისისხლორცა. ჟურნალ „ათინათში“ ლექსების გამომზიურება, მწერალთა კავშირის წევრობა, ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსობა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის ნამდვილი წევრობა. ყველაზე მთავარი ნამდვილი სვანი ქალბატონის დიდი ტიტული, ყველგან და ყველაფერში გამარჯვებაა.

პოეტი გულნაზ ხარაიშვილი, ჩემი დე: –



„ნიკო ბაღაშვილს კიდევ არ ვიცნობ. არ ვიცი, ვფიქრდები რა გაუკეთე განსხვავებული, არც არფერი. მერე ფიქრის შემდეგ თვითონვე ავხსენი ერთი რამ. ტკიოდა? მოუსმინე... ეწყინა? დავამშვიდე... შევპირდი? არ მოვატყუე. განა თითეული ადამიანისთვის ასე არ გამიკეთებია? პასუხი ერთია, ყველა არ დაინახავს. ნიკო ბაღაშვილი ერთი ალალი, ნიჭიერი ხელოვანია, რომელიც თუ იკადრე, ისე დაატრიალებ, როგორც პატარა ბავშვი. ჩემგან მიიღო დედაშვილური დარიგება, და დღეს ის საკმაოდ დაფასებული და სახელგანთქმული პიროვნებაა. მადლობა შვილო, ნიკო ყველაფრისათვის, შენ გელასნაირი სითბო შემოგაქვს და სიცოცხლეს მაყვარებ“. და აი, რას წერს თითონ ნიკო ჩემზე: – არ ვიცი, არც არაფერია იმაზე გედნიერი და სანუკვარი, როცა დედის ეს სიტყვები, სულს აგიფორიაქებს და თამამად ამოისუნთქებ და დარწმუნდები რომ ტყუილად არ გიცხოვრია, მადლობთ დე, მე თქვენ, ცხოვრებას მილამაზებთ და მაგრძნობინებთ, რომ ადამიანები ერთმანეთისთვის მოფერებით და სიკეთისთვის უნდა ვიყოთ გაცისკროვნებულები!

ჩემი გულის ნაწილია, დათა შუბითიძე

იმერეთში საჩხერის რაიონის სოფლები, ხვანი, ჭალვანი, ლიჩი, წმანი, ღოდორა, არის ბუნების წალკოტი. აქ, არის სულის სავანე. აქ, იზრდებიან ზრდილობით და ვაჟკაცობით გამორჩეული მომავალი თაობა. აქ, სიყვარულია, ერთგულებაა, მეგობრობაა. ძირულის გაღმა-გამოღმა დასახლებულ ოჯახებში სუფთა მთის ჰაერით გაზრდილი დიდი და პატარა, ერთმანეთის ტკივილსა და სიხარულს იზიარებენ.

ახლა? სიკვდილი ძალიან გაახალგაზრდავდა. ახალგაზრდა ტკივილი ეს, დათა შუბითიძეა. პატარა დათა, დაიბადა, რაღაც ზეაღმატებული სილამაზის, როცა წლები ემატებოდა, სილამაზე ვაჟკაცობასთან ერთად იზრდებოდა. დათა, ჩემი ძმის თამაზ ხარაიშვილის პირველი შვილიშვილი იყო.

თამაზის ოჯახში დათა იყო, ბებია-ბაბუის დამხმარე და სიცოცხლის წყარო. ერთხელ ახალ წელს რუსთავში ჩამოვიდა, თვალმახარა მზეჭაბუკი, გამვლელ-გამომვლელის ყურადღებას იპყრობდა. გავეხუმრე კიდეც, ჩქარე შევიდეთ სახლში შენი თავი გოგოებმა არ მომტაცოს დათათქო. გაიცინა და მითხრა: გულნაზი ბებო, მათმა არ იციან რომ სიყვარულით უნდა მოვიყვანო ცოლიო. გამიკვირდა, დათა, არ იყო იმ, ასაკში, რომ ეს სიტყვები ეთქვა. ჩემს წინ იდგა, ასაკით პატარა და გონებრივად დიდი ბავშვი. საახალწლო ნაძვისხეთან, მთვარის შუქზე, დათას ვაჟკაცური იერი თითქოს მნათობსაც ეტოლობოდა. მხრებგანიერი, ბავშობიდანვე კუნთძლიერი დათა თავისი მამის მამას(ბაბუის) სახელს სიამაყით ატარებდა. ეს, ოჯახი გამორჩეული იყო კულტურითა და განათლებით. ასეთ კულტურულ ოჯახში მოუწია ჩემს ძმიშვილს, ხათუნა ხარაიშვილს ცხოვრება. უმაღლესი

განათლებით ხვიჩა შუბითიძემ სიყვარულით შეირთო ჩემი ძმიშვილი. ტკბილმა ოჯახმა, ტკბილად გააგრძელა ცხოვრება. ხათუნა სტუდენტი იყო, როცა ეს, ნაბიჯი მშობლების ნებართვის გარეშე გადადგა. სიყვარულს წინ ვინ აღუდგებოდა. ხათუნას ყავდა, ბრწყინვალე დედამთილი, ქალბატონი დუნია. ეს, ქალბატონი ღმერთქალი იყო თავისი ბუნებით. ხათუნას ხელი არც სწავლაში შეშლია და არც შვილების გაზრდაში. ბედნიერები იყვნენ, დათას გარდაცვალებამდე, ახლა? ახლა კი, ზეცის ტოლია ტკივილის განცდა. ერთი დღის ისტორიაც მინდა გავიხსენო. ამ ზამთარს, ბეჟან ხარაიშვილის სახელობის ჭალვანის საშუალო სკოლას ვეწვიეთ. ამ, სკოლაში დათას დედა ასწავლის, პედაგოგია. წიგნები ჩავიტანეთ და დირექტორს შევხდით.

ღამე ხვიჩასა და ხათუნას ოჯახში მოგვიწია დარჩენამ, რადგან ზამთრის პატარა დღე იყო და გზა აღარ გავაგრძელეთ. დათა, სანადიროდ წავიდა, მეგობრებთან ერთად, ჩვენ დაგვიბარა მე და ჩემს მეგობარ პოეტ ლამზირა შეყილაძეს. თქვენ თუ არ დამელოდებით, ჩემი საძინებელი ოთახი დამითმიაო. ლევან გაბუხადიას, ბეჟანის თანაკურსელს მიმართა: თქვენი ნებაა ლევან გატონო, თუ გარეული ქათმების მწვადაობა გინდათ, დამელოდეთ. ვიმწვადაოთ, ვილექსაოთ. მე და ლამზირამ ვთხოვეთ, ჩიტის რძე არ აკლია, სუფრას არ წახვიდეთქო. ქვეშ-ქვეშ ჩაიცინა, ლამაზი თეთრი ქათქათა კბილები ოდნავ გამოაჩინა და შემოგვძახა, დილით ნედლი თევზი იქნებაო. ჩვენ მართლაც და დავიძინეთ, მის ოთახს ისეთი სასიამოვნო სურნელება ქონდა, თითქოსდა უფლის მოსასვენებელ საძინებელში მოვხვდით. დილით, გარეული შემწვარი ქათმები დაგვხვდა. თხუთმეტი ქათამი მოეკლა, ღამით, ბიჭებს გაეკეთებინათ და თან პოეზიის საღამოთი დამტკბარიყვნენ. წამოსვლისას ძირულის პირზე, სურათებს ვიღებდით და თან ვუბარებდი, შენი



სტუდენტობით გამახარე და დანარჩენი ჩემზე იყოსთქო. ვინ არ გაუღებდა სახლის კარს არაჩვეულებრივად აღზრდილ დათა შუბითიძეს. აქაც ბედმა ცინიკურად ჩაიქირქილა, როგორც რვა წლის წინ. მეც დავზარდე ბიჭები, დავაქორწილე, რომ ვიფიქრე, ცოტას დავისვენებ-თქო, ომის ქარცეცხლი გამოვიარე, მეუღლე ადრე გარდამეცვალა, ინსულტს გადავურჩი და ცა მოწმენდილზე, ორმოცი წლის შვილი ჩემს თვალწინ გარდამეცვალა გაურკვეველი მიზეზით. ახლა რწმენით ვცოცხლობ. ჰოდა, რწმენით წავედი ამაღლების ეკლესიაში, სადაც დაბრძანებულია ხარაიშვილების საგვარეულო ლომისის წმინდა გიორგის ხატი. მამა ამირანის პატივისცემით და უწმიდესის ლოცვა კურთხევით. ეკლესიაში ბევრი სანთელი ავანთე, დავლოცე ხარაიშვილები, დავლოცე საქართველო, ერთი საათის მოსული ვიყავი სახლში, დათას არ, დასაჯერებელი, არ გაუგონარი ამბავი გამაგებინეს. აი, ბედის ირონია, ცინიზმი... ბედი ცუდი და... გულის მკვლელი. იმ, წამში მზე გამობრწყინდა, და თითქოს უკვირდა წუწუნი ხალხთა, დედის

კივილისიც არა გაეგებოდა რა. ღიმილობდა მზე სხივის ხელებს კიდებდა დათას და გულში იკრავდა. თითქოს ეუბნებოდა, გეყოს დედამიწელებთან ყოფნა, შენ მზეჭაბუკი იყავი, ანუ ჩემი შვილი. მითქმა-მოთქმას თავი დაანებონ, შენ ცის ვარსვლავი ხარ. ახლა მარადიულად იკაშკაშებო. დათას, დედის კივილი აცილებდა და ხალხის ცრემლი, მამის ზმუილი, დის სიტყვები არ დამტოვო ძამიკოვო, ნათესავების ღმუილი. მზე წუხდა, მაგრამ რა ექნა, მზეჭაბუკი თავის შვილი იყო და... მიყავდა. დაბლიდან პატარა გოგონა დაიკო ხელგაშლი, ევედრებოდა მზეს, დათა დამიტოვეო. მზე კი მარადიულ გზაზე მიდიოდა და მიყავდა დათა შუბითიძე. უხილავი ხმა ჩურჩულებდა, იმედი არ მოკლათ და დათას სიახლოვეს ყოველთვის იგრძნობთო.





დილით პოეტმა ლამზირა შეყილაძემ დამირეკა და ცრემლიანი სიტყვებით მიკითხავს ლექსს, თითქოსდა დათა საუბრობდა პოეტის ენით, რომელსაც გთავაზობთ:

მზე ყვავილობდა, აღსავლის კართან,
თვრამეტ გაზაფხულს მივაცილებდი,
უფალმა მთხოვა, მჭირდები დათა,
და უფალს ხომ არ გავაწბილებდი.
გამწარებული დავტოვე ყველა,
ვერ მოურიგდი ჩემს საჭეთმპყრობელს,
უდროოდ ჩაქრა, სიცოცხლის კერა,
სიცოცხლის ძალა წავართვი მშობლებს.
ვებოდიშები ჩემს სულის ნაწილს,
ჩემს დიანას და ჩემს სამეგობროს,
ვებოდიშები ყველა ნათესავს,
საყვედურები არ გამაგონოთ.
ვებოდიშები ჩემს ძმადნაფიცებს,
ყველას ვინც ჩემზე ცრემლი დაღვარა,
გაფიცებთ ძმობას, მომისაკლისეთ,.
როცა გექნებათ, თმებში ჭაღარა.
ახლა მე ვწევარ ძირულის პირას,
ჩემს ირგვლივ ხეთა უხვი ჯარია,
დედის ცრემლები მაწვიმს და მათოვს,
მამა ჯავრს უკვე შეუჭამია.
მე დავესწარი თვრამეტ გაზაფხულს,
და გაზაფხულში ფერი ვიცვალე,
მე კი არ მოვკვდი, მშობლებო, ჩემო,
ციურ მნათობად გარდავიცვალე.

აღარ გამკვირებია, ჩემი დათოს მეუღლის(ლალის) გაოცებული შეძახილი, დაინახეთ ანგელოზი გამოისახა, ნახეთ, ნახეთ ჯვრები აქვს შუბლზე, ეს მწუხარება, წამიერად შეშფოთებულ-გაკვირვებულ-გაოცებულ სცენად გადაიქცა, შემოდიოდნენ და დაჩერებოდნენ ჯვრებგამოსახულ დათას. დიდება შენდა ღმერთო, დიდება შენდა.









რით მოვიოხო გული აღარ ვიცი, ვფორიაქობ და განვიცდი და ცრემლები ლექსებად იბადება:

არ მოგაკლებ

არ მოგაკლებ ლექსით ალერსს,
ჩემო ტკბილო, დათა,
სად გეძებო, რომელ მხარეს,
ნეტავ ახლა სად ხარ.
კვლავ ეწვიე, იქნებ თბილისს,
გზების შესასწავლად,
ჩემთან ვიცი გამოივლი,
ბებო, დაგეწამლა.
გენაცვალე დათუჩელა,
გაამაგრე დედა,
იქნებ სიზმრად გეჩურჩულა,
რა დღეშია ხედავ.
როგორ შეგხვდნენ ბაბუები,
თამაზი და ზურა.
ანდა როგორ ეგუები,
ბიჭო, გულზაზუნა.
გენაცვალე ვიცი გიჭირს,
სულს ჭირდება ლოცვა,
ისევ აქ ხარ მარჯვე ბიჭი,
ჯვრებმა გაგვაოცა.

აფრინდი როგორც არწივი

დათიკო, ცის ანგელოზო,
შველივით ბიჭო, მარდო...
დედიკო არ გააბრაზო,
ტირის დათა და გდარდობს.
სიცოცხლის აზრო, მზე ბიჭო,
რაც უფრო ვტირით გვშორდები,
ხვალინდელი დღის ნაბიჯო,
მჯერა, კვლავ განმეორდები.
ახლა აქ, დარდი ტრიალებს,
გულს დარჩა დიდი იარა...
მამა სიმწარით, ღრიალებს,
ნეტავი მოგატრიალა.
აფრინდი, როგორც არწივი,
გაფრინდი, როგორც ჩიტუნა...
შენ იყავ მათი ნაწილი,
ბრგე და ლამაზი ბიჭუნა.
მარადისობის მგზავრი ხარ,
გულში ტკივილად დარჩები,
მე კი ეზოში იმედს ვრგავ...
ბევრჯერ ოცნებას ნაჩვევი!

რა ჩუმად გაზრდილხარ დათა

რა ჩუმად გაზრდილხარ დათა,
ბრძენ კაცს ჩამოგავხარ სიტყვით.
ისევ დარდის ძაფებს ვართავ,
ბედისგან განაბრიყვი.
ნავარჯიშები კუნთი
ზეცას გაიყოლე დათა,
დედაა გულნათუთქი,
სურათი დაუდია თავთან.
დაიკოს ცრემლის ლიცლიცს,
კითხავს მზის ერთი სხივი,
მზემ თვითონ კარგად იცის,
ბედია, გულქვა და ცივი.
გაზაფხულივით თოთქო,
დაიკო ძამიკოს ტირის,
სევდამ შავებით მორთო,
გოგონა სევდის გმირი.
მზემ მზის სასახლე მისცა,
მზეჭაბუკ დათას ცაში,
მცველად ვარსკლავნი იცავს,
ანგელოზი ყავს სახლში.
არ იდარდოვო დედა..
აღარ იტირო მამა.
დათას ცას ღმერთი ხვდება,,
მიღეებს, შვილს თავის მამა.
ნუ ჩამოგტირით სახე,
ბედი ფეხდაფეხ მოგდევთ...
ღმერთი სხვა სახელს არქმევს,
დარდით სული არ მოკვდეს!

ისევ მინდა მოგეფერო

ისევ მინდა მოგეფერო,
გესაუბრო ლექსით...
სიახლოვეს იგრნობ უფრო,
ვიცი დათა გესმის.
გეძებ, ჩემო ტკბილო, დათი,
გეძებ წინ არ მხვდები...
ბედს არ ჰქონდა შენი ხათრი,
ისე კვლავ აღდექი.
დათას ვეძებ, ცის ღრუბელო,
ბედმა დამიმალა,
ხარი არის ჯერ უბელო,
დარდმა გადამღალა.
ლურჯ ცას თვალი გადავავლე,
ცისარტყელას სახეს,
მზე კი თვალებს, აბარბალებს,
დათა, ღმერთთან ვნახე.

მთვარე გთხოვ, სული იშვილო

წუხელი როგორ, გეძინა?
ჩემო, ანგელოზო დათა.
მიწამ ლურჯ ზეცას შეძინა,
დედის ანგელოზი ხატად.
ღმუოდა, ხალხი , კიოდა,
ტიროდა, მოთქვამდა, ერთად,
ოი, მე, როგორ მტკიოდა,
გაფრინდი დედის ერთავ...
წახვედი, ღიმილა ბიჭი,
ოჯახის ფესვო და ბურჯო....
ლექსის დაწერა მით მიჭირს,
გული, არ ამომგლიჯო..
მთელი სოფელი ცრემლს ღვრიდა,
სახეს იკაწრავდა დედა,
სული მზის სხივად გაბრწყინდა,
დაიკო დატოვე კენტად.
წახვედი, ზეცაში გაფრინდი,
სევდას დამიმატე სევდა,
დათუნი შენ არ გაფრთხილდი თუ...
ეგ, ბედმა დაგიბედა.
ნეტავ გეცოცხლა ბიჭო და...
სული შეგრჩენოდა მარტო,
ეზოში შემოჯლაგუნდე და...
დუმილით ვფიქრობ და ვნატრობ .
გიყვარდა, სიცოცხლე წახვედი,
შავით შემოსე ბიჭები,
ამ, ტკივილს, ვერ გაუძლებ და...
ფიქრით ცას ამოვიჭრები.
მიყვარდი ძმიშვილიშვილო,
ვტირი და ცრემლებს ვმალავ...
მთვარე გთხოვ, სული იშვილო,.
მიწა კი, სხეულს კრძალავს.

დღეს სულობაა

დღეს სულობაა, სული ზეიმობს,
ნაცნობ- უცნობი, ერთმანეთს ხვდება,
უფალო, იქნებ კიდევ შემინდო,
ვამბობ, რომ შვილი არასდროს კვდება.
შვილის სასახლე, დედის მკერდია,
აქ არის, მისი მყუდრო ადგილი.
გარდაცვლილებიც არა კვდებიან.
შვილის სულს იცავს, დედის მანდილი.
დედის ორგანიზმს ისე ეკრობა,
ვით თაფლს ფუსფუსით დედა ფუტკარი,
დედაც შვილს ნაზად ეფერ- ეპყრობა,
დედა-- შვილობა არის უფალი.
თუ გარდიცვლება შვილი ბედისწრით,
სული ცას მიაქვს, ხორცი დატოვა,
არ მოცილდება დედას თმის ბეწვი,
ურწმუნო ფიქრმა თუ არ დათოვა...
ასე გრძელდება ცაში სიცოცხლე,
ღმერთს თუ ენდეთ და კიდეც იწამეთ...
გარდაცვლილები ყველა იცოცხლებს,
მხოლოდ დაჭრილ გულს რწმენით უწამლეთ

გულნაზ ხარაიშვილი



დათა შუბითიძის გულშემატკივრებო!

მინდა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალ-პროფილიანი საერთაშორისო აკადემიის სახელით, მადლობა გადაუხადო, დათას მეგობრებს, ჭალვანის გამგეობას, საჩხერის რაიონის, გეჟან ხარაიშვილის სახელობის, ჭალვანის საჯარო სკოლის თითეულ პედაგოგს, მოსწავლეებს, სოფლის მოსახლეობას, ფეისბუქის მეგობრებს. განსაკუთრებული მადლობა გადაუხადო იმ, ახალზრდებს, ვისი იდიაც იყო, რომ დათას საფლავის სურათზე დაწერილიყო, პოეტ ლამზირა შეყილაძის ლექსი. პოეტი უფალმა აალაპარაკა დათას ენით. დიახ, ეს ასეა, დათა უფალს დაჭირდა და ის იმდენად კარგი დედის (პედაგოგ ხათუნა ხარაიშვილის) გაზრდილი იყო, უფალს ხომ არ უღალატებდა? მე, არ ვიცი დათა ლექსებს წერდა თუ არა, მაგრამ უყვარდა მუხრან მაჭავარიანის ლექსები და საერთოდ დათა პოეზია იყო, თავისი ბუნებით, ვაჟკაცობით, შეუპოვრობით, შინაარსით. უცნობ დათას პოეტები ლექსებს უძღვნიან. უცნობ დათას კინორეჟისორმა გატონმა ნიკო გაღაშვილმა ჩანახატები გაუკეთა ფილმის სახით, რომელსაც ათასობით მნახველი და გულშემატკივარი ყავს, და თვით ნიკო გაღაშვილმა ხატი გაუგზავნა ეს, დათასიაო.

პოეტმა ხათუნა ელიაშვილმა კონვერტი მომიტანა, შიგ ასი ლარი იყო, ეს დათასო. დათა უყვარს, ძალიან გევრ ემიგრანტს. დათა, საქართველოსი და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველების გულში დარჩა. ვფიქრობ და დიდი სურვილი მაქვს, ჩემი შვილის (გელა სხირტლაძის) და ჩემი ძმიშვილიშვილის (დათა შუბითიძის) წიგნი წლის ბოლოს გამოუშვა. წიგში შევა, ყველაფერი დათაზე მიძღვნილი, პროზაულიც და ლექსებიც ავტორების სახელებით, არც ერთ სიტყვას არ დავტოვებ ავტორების გარეშე. არ ვიცი როგორ და რანაირად, მაგრამ უფალი მომეხმარება. რაც შეეხება გეჟან ხარაიშვილს ის, უკვდავია თავისი პოეზიით, ახლახანს თბილისის ტრუბადურს, პოეტ გურამ ჭავჭანიძეს, მწერალთა კავშირის თავჯდარემ, ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა და გატონმა რეზო მიშველაძემ გადაცა გეჟან ხარაიშვილის პრემია, ასე, რომ გეჟანს არა, ახლა დათასა და გელას ვჭირდები ვნახოთ რას გავაკეთებ. ხოლო ჩემს ახალ პოეტურ წიგნს, რომელსაც მკითხველი ელოდება, დათას იდეითაა ყდა გაკეთებული, წიგნის სათაურია, „რაა სიცოცხლე„ წიგნის ყდაზე დათას დის დიანას სურათია, დიანას ტანის სისხარტე, ჩემს გავშობას მაგონებს და ასე მინდოდა, რომ დიანას სახით ჩემი გავშობა დამენახა. დათას დაურეკე და ვთხოვე, ჩაიყვანე დიანა, ძირულის პირზე, მდინარე უნდა ჩანდეს, ხიდიც აუცილებლად, ტყის ბორბალებიც. დიანა



უნდა მიჩერებოდეს, მდინარე ძირულას, რომელსაც ძალიან ბევრი ტკივილი მიაქვს, უხმაიროდ... დათამ ეს გააკეთა და გადმომიგზავნა, ახლა როდესაც ფიქრში ვანსახიერებ დათასა და გელას წიგნის ერთად გამოშვებას, კვლავ ჩემი ბიჭების სულებს მოუხმობ, რომლებიც უსათუოდ დამეხმარებიან.

შენ დათა???

სტუდენტობაა,
მოწეული ცის მზეთა სხივი,
სხივი რომელიც,
გზას გინათებს,აზრს გილამაზებს..
ეს, ხანა არის,
ბრილიანტის ლამაზი მძივი,
აქ, ყალიბდებით,
იფურჩქნებით,თან კონავთ აზრებს.
შენ დათა ბიჭო,
აბარებდი ცაში გამოცდებს,
აბა, გვიამბე,
შენ რა ქენი სად ჩაირიცხე,
არ გამიბრაზდე,
რომ აუგი ბედზე წამიმცდეს...
ქარიშხალივით,
ვიბობოქრო, ანდა გავფიცხდე.

ცრემლი კი დათა,
თავისთავად მომდის ღვარღვარით,
არ მეკითხება,
გაჯიუტდა, ვეღარ ვერევი.
ცისა და მიწის,
ბარიერი, დიდი საზღვარი,
არის ზეცაში
გადარგული ქორფა ნერგები.
ჰოდა გილოცავთ,
მად გილოცავთ, ერთად დათიკო,
ჩვენ, ჩვენი გვტკივა,
სხვასაც ხომ აქვს სადარდებელი,
რამდენი არის
წამოსული მზია, შოთიკო,
ძირულა არის,
დედის ცრემლით ადიდებული!

დათა

ცოტა ხანს თვალს გარიდებდი,
აღარ ვხმაურობდი დათა,
ჩემნაირ დედას ვარიგებდი,
ჩემნაირს ათს და ათასს...
ვარსკვლავებს ვითვლიდი ხშირად,
შვილებს დედისგან წასულს...
შენ გძინავს ძირულის პირას,
და არსად წასვლა არ გსურს.
ვერ აგაწიწკნეს ნაპირს,
ვერ მოგაცილეს თევზებს,

მთები ილეწენ თავპირს,
დედა საწოლში გეძებს.
ბოლოს დანებდი ბედს და...
თუმცა მოდიხარ ხშირად...
მოყვები დილის მზეს და...
მგონია მზემ გიშვილა.
გიტირო, როგორ გიტირო,
უნდა შევთხოვო უფალს...
თუ ვცოცხლობ არ გაიკვირვო,
ფიქრით შენ გიშლი სუფრას.



თეთრი ხილვები, სულთა კავშირი, ერთეულების ღვედრია, ეს, არ არის იოლი მისია, ეს ისეთი ტვირთია, თოვლის ფიფქივით სუფთა უნდა იყო, ტყუილი, მხატრულად რამის ფანტაზიის შექმნა, აქ, გამორიცხულია. როცა, ეს, ტკივილი მოხვდება, გულს, მაშინ ხდება გაორება, აქეთ- იქით თვალების ცეცება, ზოგით შვილის ხმას შეიგრძნობ, ზოგს ხასიათით მიამგვანებ, რაღაცათი, ან ვიღაცისთვის ცოცხლობ.ნიკო ბაღაშვილი, უდავოდ ნიჭიერი და თბილი პიროვნებაა, ნიჭიერი იყო ჩემი გელა ძალიან თბილი და დედის მოსყვარულე. ჩემგანაც არ აკლდა ჩემ შვილს, სითბო და ყურადღება. თბილისში იყო ასეთი სასწაბლებელი, ლესელიძის სახელობის სამხედრო სკოლა. რვაკლასის შემდეგ იქ, გააგრძელა სწავლა, რომელიც დაამთავრა, ისეთ დროს, როცა უკვე საქართველოში ომი იყო, გაანაწილეს რეაზანში, ავტოსაინჟინროს სპეციალობით. მე, თან გავყევი, ჩემი შვილი სად დარჩება თვალით უნდა დავინახოთქო, ჩემი ძმაც წამყვა ამირან ხარაიშვილი. უკან დაბრუნების ორი ბილეთი ავიღეთ, ჩასვლის კი სამი. არცერთი ქართველი არ მიიღეს წადით თქვენ დამოუკიდებელ საქართველოშიო. რაღას ვიზამდით ჩემი ძმა დაბრუნდა,მე ჩემი ბილეთი ჩავაბარე და დავრჩი ჩემს გელასთან ერთად ცხრა დღე რეაზანში, სანამ ბილეთი არ ვიშოვეთ.საქართველოში უმაღლესში ჩასაბარებელი ყველა კარი დახურული იყო, გარდა მეტალურგიისა. ჩააბარა დაუსწრებლად მეტალურგიულზე და თან მუშაობა დაიწყო. გახდა საგლინავი საამქროს ფროსი ოპერატორი. ამას იმიტომ ავღნიშნავ დეტალურად, რომ ჩემი შვილის გზა წუთი და დრო ვიცოდი,ახლა ზეცას, შევჩერებივარ, დიდს და პატარას შვილის თვალით ვუყურებ. ნიკო ბაღაშვილისთვის განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. თვითონ არის ნიჭიერი და პატარა ყურადღებასაც დიდად მიიჩნევს. ალალია, კეთილია და უბოროტო. როცა, ასე შვილივით მოგენდობა, როცა შვილის თითქოსდა დაუმთავრებელ სიცოცხლეს აგრძელებს. მისთვის თბილი დედაშვილური ურთიერთობები სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდება. გაიხარე ნიკო, შვილო, სულებთან კავშირი ერთეულების ხვედრია, სიცოცხლეშივე, მარადიულობას მიაღწევ!

ნიკო ბაღაშვილი სპეციალობით კინორეჟისორია, გარდა ამისა მას უფლის წყალობაც მოჭარბებული აქვს. ის ბუნებრივ ნიჭს ფლობს, ეს, არის კალამი, რომლის საშუალებითაც გადმოსცემს: ხილვებს, რეალობას, ტკივილს თუ სიხარულს. ნიკო ბაღაშვილს არაჩვეულებრივი შვილები ყავს. მის შვილებს საქართველო და საზღვარგარეთაც იცნობენ, როგორც მწერალს და ხელოვან ახალგაზრდებს. პირადული ანუ როგორც ეს, ხშირად ბედისწერითაც ხდება. მეუღლესთან გაშორებულია. აქ, მართლაც როგორც სულიერი დედა წამოვეშველე. დავარიგე, ხან გავკიცხე, და გავიმარჯვე. ჩამოყალიბდა როგორც ინტელიგენტი, თბილი პიროვნება. აჟამად ექიმ ქალბატონს შეუყვარდა, მალე იქორწინებენ. მას ხილვები აქვს, ჩემს შვილს და ჩემი მეგობრის შვილს, ალიკას, ჯუმბერ ხარაიშვილს, ლეჟავას ნახულობს. ნიკო ბაღაშვილი შუამავალია გარდაცვლილებისა და ცოცხალ პიროვნებებს შორის. ასე ჩამოყალიბდა ჩემ სულიერ შვილად. მას უკვე მთელი საქართველო იცნობს და აფასებს.



ნიკო ბაღაშვილი და გულნაზ ხარაიშვილი

მინდა გაერთდეთ

ვერ დავიტრაბახებ იმას, რომ ლექსს ბავშობიდანვე ვწერ და რატომ. პოეტად დაბადება უფალით ხდება. მე პირადად არსოდეს ლექსი არ დამიწეია, სანამ მამა გაბრიელის საფლაზე არ მოვხვდი. მამა გაბრილის საფლაზე იმიტომ არ წავსულვარ, არიქა, მეთხოვა, ლექსების წერა დამაწყებინე. არა, რასაკვირველია. ომის დროს დავიფანტეთ აქეთ- იქით.

მამა გაბრიელის საფლავზე როცა მოვხვდი, რათქმაუნდა, სიცოცხლის არსებობას ვევედრებოდი და მშვიდობას. მეორე დღეს, სამსახურში ვარ, გამახსენდა, დატოვილი სახლი, ჩიტის ბუდედ წარმოვიდგინე ჩემი ხელით ნაკოწიწები სახლი და დავიწყე წერა. ჩიტის ბუდე იქავე ჩანს, ჩიტი გუნდად გაფრენილა, ამ საშინელ ტკივილებით გული ბერჯერო დასევდილა. – ეს იყო,პირველი პწკარები. მას შემდეგ მშვიდად იწერება, ლექსები პოემები, ზღაპრები, ჩვიდმეტი წელიწადია, კალმი გახდა მესაიდუმლე. ამაზე მეტი მე რა მენატრა, ჩემთან არს ლექსი მრავალწეტილი, ანდა დარდები, რაღად მენახა, რაღატომ მევლო გულდაწყვეილი. სუყველაფერი ფურცელს მივანდე, კალამი გახდა მესაიდუმლე, მასში გაგცვალეთ, ნუ დამენდურეთ, ლექსზე ძალიან როგორ მიყვარდეთ? – ამას, იმიტომ ვწერ, რომ რწმენა დაუბრუნო, ურწმუნოს, ლექსი უფლისაა, ეს ღვთისმადლი, ისევ ხალხის მოსაფერბლად უნდა გამოვიყენოთ. ჩემ აზრს თავზე არ გახვევთ. უბრალოდ მე მეორედ დავიბადე, მამა გაბრიელის მადლმოსილი ვარ, ეს არის და ეს!



(მამა გაბრიელს)

მადლი მაფრქვიე, ლექსებად ვიშვი,
არ მოველოდი, მეორედ მოსვლას,
მამავ, მტკივა და გულს გადაგიშლი,
მწამს როცა გეტვი, საშველად მოხვალ...
დაჭრილ გულს ვიცი შემომიშუშებ,
არ დამტოვ მარტო, საჯიჯგნად ქართან,
ჩემს გასათბობად მზეს ჩამოუშვებ,
რომ არ დავიხრჩო, ცრემლების ზღვასთან.
იმ, უხილავი ლაჟვარდებიდან.
ერწყმის ,,ათინათს,, სიმშვიდის ქნარი,
ლექსს ვქმნი მეორედ დაბადებიდან,
და კალმით თბება, ბალახის ცვარი!



ობობას ქსელი

ობობას ქსელში გაბმული დედა ფუტკარი საცოდავად წრიალებდა, აბლაბუდებისაგან თავის დაღწევას ცდილობდა, მაგრამ ყველა ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა.

ფუტკარი იძულებული გახდა ბედს მინებებოდა, შრომას მიჩვეული მტრის ბანაკშიც არ ჩერდებოდა უქმად... დილიდან საღამომდე ყვავილების სურნელით გაჟღენთილ თაფლს აგროვებდა, მიმსვლელს მასპინძლობდა და რაც გადარჩებოდა, სახლში ატანდა ობობას მეგობრებს...

ზაფხულის პაპანაქება სიცხე იყო, ყვავილებს თავი ჩაექინდრათ, ნიავი არ იძვროდა. ცას ლურჯი სამოსელი ეცვა, მცირე ღრუბელიც არსად ჩანდა, უეცრად გრიგალი ამოვარდა, ქარი ქვიშის გორგალს ბურთივით ათამაშებდა ჰაერში, ნაძვის გირჩები დაკოტრიალობდნენ მიწაზე, ხრამში გადაჩეხილი ვირის ლეშის სუნმა ჰაერი გააბინძურა, არასასიამოვნო ჰაერმა დედა ფუტკარს თავბრუ დაახვია, საცოდავ ფუტკარს ესღა აკლდა, ის ისედაც დამცირებული იყო ობობასაგან, ქსელში მოსული ქარიყლაპია თევზებისათვის უნდა მიერთმია სურსათ-სანოვაგე. ობობა რაინდობას მაშინ იჩენდა, როცა მდედრ ქარიყლაპია თევზებს მოუყრიდა თავს. ამ დროს ფუტკარს საშინელ დღეში აგდებდა: – შემომხედეთ, ეს მე ვარ, ობობა, ყველას მბრძანებელი! გაიძახოდა და ისინიც ქირქილებდნენ ფუტკარზე. ასეთი გართობები ხშირად ტარდებოდა, ამ დროს ფუტკარს გულისტკენის მეტი არაფერი ხვდებოდა.

ტყვეობაში ჩავარდნილ დედა ფუტკარს ცუდი ჰაერი სულს უხუთავდა, გზაზე მანეკენივით გათხუპნული ქალი გამოჩნდა, მკვდარი ვირი რომ დაინახა, სიხარულით ტაში შემოჰკრა, მშველებიაო, გაიფიქრა და სასწრაფოდ სახლში გაიქცა, პარკსა და დანას ხელი დასტაცა, ორ წუთში ვირის ლეშთან გაჩნდა, თავის ქალა დანით გაუხსნა, ვირს ტვინი ამოაცალა, სახლში წაიღო და მაცივარში შეინახა.

ლილიპუტა მანეკენი, რომელსაც სულში ბოროტების მეტი არაფერი ჰქონდა, ნადირობდა ისეთ მამრებზე, რომლებსაც თანამდებობები ეკავათ. შეეძლო ისე გაეტარებინა მათთან ღამე, ვითომდა მათ მეტი არავინ ენახა.

ერთ-ერთ წვეულებაზე ჩვენმა ნაცნობმა ლილიპუტამ ობობას ბუდესაც მიაგნო, თავი აიკეკლუცა, მიითხიპნ-მოიითხიპნა სახე და ობობას ვირისტვინგადარეული კრემიანი ნამცხვარი მიართვა. ობობამ ნამცხვარი თვალისდახამხამებაში გადაყლაპა, ისედაც ქალების მსუნაგს ესღა აკლდა საცდუნებლად. იმ დღიდან ობობას მბრძანებელი გახდა ლილიპუტა, ამაყი ობობა კი ლილიპუტას ხელქვეითი. თავის ბოთე ქმარს კი ერთგულების ფიცით ასულელებდა. ლილიპუტამ დაიმეგობრა თავისი თანამოზიარენი: ხალიანი ელენე, ჯოხიანი ლილი, ბუშტივით გაბერილი კესარია, მაგრამ ლილიპუტას ვინ შეედრებოდა?! მას ამ საქმეში პროფესორის კვალიფიკაცია ჰქონდა მინიჭებული და ზედმეტ სახელად "პროფესორას" ეძახდნენ.

ასე გადიოდა დრო, თვე თვეს მისდევდა. ლილიპუტა მიირთმევდა ფუტკრისაგან შექმნილ თაფლს. არა და ფუტკარს სიცოცხლის ფასად უჯდებოდა მისი შეგროვება. ახლო-მახლო ყვავილები

არსად იყო, შორ მანძილზე უხდებოდა წასვლა. ერთხელ, როდესაც ნექტრით დატვირთული ბრუნდებოდა ობობას ბუდეში, წინ ხარირემი შემოხვდა.

- კეთილო ფუტკარო, საით გაგიწევია?

- ობობას ტყვეობაში მოვხვდი და იქ მივდივარ.

- ობობასთან რა უნდა შენნაირ ერთგულ და დოვლათიან ფუტკარს?

- აბა რა გითხრა, გრძელი ისტორიაა...

ხარირემმა ფუტკარი აათვალ-ჩაათვალიერა, შეეცოდა, მაგრამ უკვე ვეღარაფერს უშველიდა, გედს უნდა მინდობოდა, სხვა გზა არა აქვს ეტყობა კეთილ მოყვარე ფუტკარს. ბევრი ფიქრის შემდეგ ერთი ღრმად ამოისუნთქა და ფუტკარს მიმართა:

- წაიღე ჩემი რქა, როცა გაგიჭირდეს მასში წყალი ჩაასხი, დალიე და მაშინვე შევიგრძნობ შენს გასაჭირს, იმ წამსვე შენთან გავჩნდები. ისე ობობას წარსული რომ იცოდე შენც შეგეცოდებოდა...

- რა წარსული ჰქონდა?... ჩაეძია ფუტკარი.

- ის, თავდაპირველად, თმახუჭუჭა ხვიჩა ბიჭად მოავლინა უფალმა, ახლა მას ეშმაკი აზის გეჭებზე და აქეთ-იქით დაატარებს... ბოლოს იმასაც მიაღწია ეშმაკმა ობობად გადააქცია. დაიმახსოვრე: მე ბოროტების წინააღმდეგ ვიბრძვი, მაგრამ მარტო მიხდება ამხელა ტვირთის ტარება, ამიტომ დროის მიხედვით ვაგვარებ დაძაბულ ვითარებებს. შენ კეთილი ფუტკარი ხარ, შენ სიკეთისა და დოვლათის წყარო ხარ, ამიტომ უკანასკნელ მოთმინებამდე უნდა იბრძოლო, ეგებ სასწაული მოახდინო და ობობას თავისი სახე დაუბრუნო.

- არა, ამას ვეღარ შევძლებ, ლილიპუტამ სულ გადარია. კარგი წადი, დრო გვიჩვენებს ყველაფერს, მიგულე ერთგულ მეგობრად.

ფუტკარმა ამოიოხრა, გულდამძიმებული გაფრინდა ობობას ბუდისკენ.

აგვისტოს ცხელი ზაფხულის სიცხეში გაეხვია ირგვლივ მყოფნი, ობობას კარი გამოეღო და შესასვლელი საერთო კარები საგანგებოდ ჩაეკეტა. ოთახიდან ხმა გამოდიოდა, ფუტკარმა ლილიპუტას ბრძანების ხმა გაიგონა. მომაშორე თავიდან ეგ საზიზღარი ფუტკარი, ვეღარ ვიტან შენს ქსელებში რომ დაბორიალობს, თაფლი მე ვარ გენაცვალე, მაგის შექმნილი რაში გჭირდება?!

ობობას ოღონდაც ლილიპუტა გვერდით ჰყოლოდა, ფუტკარს კი არა მთელ ბუდეს დაშლიდა. ბოლოს ასე შეთანხმდნენ: ფუტკარი უნდა გამხდარიყო ლილიპუტას ხელქვეითი. ობობა ცეცხლის პარში ატარებდა ფუტკარს, მის თვალწინ სჯიდა, აბუჩად იგდებდა. აბა რა ექნა, ლილიპუტას ასე სურდა. დედა ფუტკარი გულში იკლავდა შეურაცყოფას და ცდილობდა როგორმე ტყვეობისათვის თავი დაეღწია. თუმცა იმასაც ფიქრობდა, ობობას ქსელში მომსახურეს სხვა ფუტკრები კარგი თვალით აღარ შეხედავდნენ. ყველაზე მეტად ის ადარდებდა, რომ ობობას ადრინდელი სახის დაბრუნება უკვე შეუძლებელი ხდებოდა, რადგან "პროფესორასთან" ჰქონდა საქმე, რომელიც ხუთს ერთად ისე ატყუებდა, რომ ყველასთან მართალი ის გამოდიოდა. სიმართლის დასადასტურებლად ცრემლების პირადობა ჰქონდა გამოყენებული. მაინც რა ოსტატურად იფრქვეოდა ლილიპუტას თვალებიდან ცბიერებით გაჟღენთილი ცრემლები! ჰოდა კეთილი ფრინველი ლილიპუტასთან რას გახდებოდა? ის ხომ "პროფესორი" იყო, სიყალბის.

ობობას ქსელის რაფაზე შემომჯდარი ფუტკარი ითხოვდა კარების გაღებას, მაგრამ თხოვნას ლილიპუტა და ობობა არაფრად აგდებდნენ, სიბინძურის განცხრომაში იყვნენ. "მანიკინა" კვლავ ახალ ბრძანებებს იძლეოდა: ჩაკეტე კარები და ფუტკარი თავისი ბარაქით მოისროლე აქედან... ათას

ცხოველთან ნამყოფ ლილიპუტას ისე ლოშნიდა ობობა, გეგონებოდათ ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი იყო მის გვერდით.

შეურაცხყოფილი ფუტკარი იდგა დაკეტილი კარების ახლოს, დამცირებული, გულნატკენი... ან რად ენანებოდა, რაღად ცდილობდა ქსელში შესვლას?! საბრალოს გაეშალა ფრთები და ეფრინა თავისუფლად! ვინ არ მიიღებდა, ერთგულსა და მშრომელს?! ნუ გაამტყუნებთ, მთელი წლის ნაამაგარი სკიდან, უკვე თაფლის უხვი მისავალი უნდა მიერთმია ობობასათვის.

ობობას ისე ასულელებდა ლილიპუტა, დაავიწყა: ხალიანი ელენე, ჯოხიანი ლილი და ყველა მდედრი ქარიყლაპიები, "პროფესორა" ჩამოჯდებოდა ფუტკრის მიერ შექმნილი დოვლათის ახლოს, ეგღა აკლდა ხელი გაეინძრია და ეშრომა! შეითხიპნებოდა ათასნაირი საღებავებით, ამოითხლიშავდა თვალებს ტუშით, ობობა თავს დასტრიალებდა, შეღებილ თმებზე თავისი ხელით ასხამდა ლაკს, ითხიპნებოდა სარკე და ყველაფერი... ანდა რა ენაღვლებოდათ, ის სიბინძურე ხომ ფუტკარს უნდა გაეწმინდა! ძალიან ნუ გაამტყუნებთ ობობას ის ხომ სიყვარულის ცეცხლში იწვოდა, ამ საქმეში გამოცდილმა ლილიპუტამ კარგად იცოდა, როგორ უნდა დაენთო ობობას გულში გრძნობის ალი. მის საცდუნებლად თავისი შვილიც ჰყავდა ობობასთან მიყვანილი. მათ საუბრის ახალი ხერხი ჰქონდათ შემუშავებული, ობობა და "მანიკინას" ქალიშვილი თვალებით საუბრობდნენ ერთმანეთში. ლილიპუტა ობობას საცდუნებლად იმეტებდა ყველას და ყველაფერს, ოღონდაც ობობასათვის დაეტყუებინა ისეთი საბუთი, რისთვისაც წლები... შრომა და ნიჭი იყო საჭირო.

დაღონებული ფუტკარი გაფრინდა გაურკვეველი მიმართულებით. ბოლოს ძალიან დაიღალა და ერთი ხის ტოტზე ჩამოისვენა, საცოდავად ბზუოდა, გაახსენდა ხარირემის ნაჩუქარი რქა. იქვე ნაკადული მოჩუხჩუხებდა, ააცსო ირმის რქა და დალია. ხარირემი იმწამსვე მასთან გაჩნდა:

- რა გაგჭირვებია, ჩემო კეთილო ფუტკარო?

- ვერაფერი ვუშველე ობობას, გული ისე მატკინეს თვითონ მჭირდება შველა...

- მიენდე ღმერთს, რწმენით ილოცე, მეც შენს გვერდით ვიქნები, არაფერი გაგიჭირდება. შენ როცა ობობასთან მეგულებოდი, არ ვჯავრობდი, ახლა მე უნდა მივხედო, ეშმაკმა როგორ უნდა გვაჯობოს ამდენ კეთილებს!

იმ ხესთან, სადაც ხარირემი და ფუტკარი საუბრობდნენ, მტრედი იჯდა და უსმენდა, გაიგონა საუბარი და მათთან მიფრინდა. ნუ დარდობთ, მეც დაგეხმარებით, ერთად ვიბრძოლოთ, იქნებ შედეგი გამოიღოს ჩვენმა შრომამ.

ხარირემმა დაამშვიდა ფუტკარი, ნუ დარდობ ყველაფერი გაირკვევა. ჩემი მიზანი ეს არის, რომ ყველაფერი მოვაწესრიგო, ახლა შევეცდები მივხედო ამ საქმეს. ობობა ლილიპუტას ახლა არ დათმობს, დრო დასჭირდება. მე კი ეშმაკებთან და უთავმოყვარეო არსებებთან მომიხდება შერკინება, მაგრამ ვიცი, რომ შევძლებ, მივაღწევ კეთილ მიზანს.

მტრედი სასწრაფოდ გაფრინდა ობობასთან. ობობა მხართეძოზე წამოწოლილი დახვდა, გვერდით არყის ბოთლი და გამხმარი პური, მაგიდას არასასიამოვნო ელფერს აძლევდა. სარკის მინები "მანიკინას" თმის ლაკით იყო შეთხუპნული, აქ სად მოვხვდიო – გაიფიქრა და უკან გამობრუნება არჩია. ობობამ თვალი მოჰკრა მტრედს და სასმელით გაბრუებულმა ამაყად შესძახა:

- რაზე შეწუხებულხარ, მითხარი ჩქარა, თორემ ჩემი მზეთუნახავი უნდა მოვიდეს და მოსაწესრიგებელი მაქვს ოთახები.

კარები გაიღო, ოთახში დაუკითხავად ლილიპუტა შემოძვრა მტრედმა იკითხა:

- ეს ვინ არის?

- ეს არის ჩემი მზეთუნახავი, რომელსაც ვანაცვალე ყველა და ყველაფერი.

მტრედმა საჭიროდ აღარ ჩათვალა იქ გაჩერებულიყო, უხმოდ დატოვა ობობა და მისი "მზეთუნახავი ლილიპუტა".

ამ ამბავმა ერთ-ერთ კეთილ ადამიანამდე მიაღწია, რომელსაც ფინანსური მდგომარეობა მოჭარბებული ჰქონდა, სასწრაფოდ გასცა ბრძანება:

- ისეთი თავგანწირვა სულიერი არსებისთვის, რასაც დედა ფუტკარი, მტრედი და ხარირემი აკეთებენ, პირველად დავინახე. გამოიყოს ჩემი ანგარიშიდან თანხა და გადაირიცხოს მათ ანგარიშზე, რათა დაარსდეს სკოლა, სადაც ასეთი კეთილშობილები აღზრდიან თაობებს.

ბრძანება ერთ თვეში შესრულდა, ხარირემი, დედა ფუტკარი და მტრედი სათავეში ჩაუდგნენ ამ წმინდა საქმეს და შედეგიც სულ მალე ამზიანდა მიწიერ სამყაროში.

ლილიპუტას მობეზრდა უთაფლოდ დარჩენილი ობობა, სასურველი საბუთი ხელში ჩაიგდო და ახლა სხვასთან მოსინჯა ნაცადი ხერხი.

გაძვალტყავებულმა ობობამ ბუდე შეიცვალა და სხვა ადგილზე გადაინაცვლა. მოაწესრიგა თავის ქსელი, ლილიპუტას ადგილზე სხვა უნდა მოეძებნა, ისე ვერ გაძლებდა.

ზამთრის სუსხიანი დღე იყო. დაბინდულ ფანჯრებს ყინვამ ათასნაირი ფიგურები დაახატა. ფრინველები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ. ერთი ფრთამოტეხილი ჩიტი, რომელსაც ზედმეტსახელად "ჯღარჯა" ერქვა, აქეთ-იქით დაფარფატებდა, ბოლოს, როცა სიმშილმა შეაწუხა, ერთ-ერთ შენობას მიაგნო და შიგ შეფრინდა. ეს სამფლობელო გახლდათ ობობას ბუდე.

ობობამ ჯღარჯა ჩიტს უხვად დაუყარა სურსათ-სანოვაგე, რაც კი მოეპოვებოდა ქსელში მის პირში ნავლებ საჭმელს თვითონ ივლებდა პირში, ეს მისი ნაცადი ხერხი იყო. ამით უმტკიცებდა სიყვარულს ყველას, ვინც მის ბადეში მოხვდებოდა. სიტყვები დაზეპირებული ჰქონდა, ერთი და იგივეს იმეორებდა ყველასთან. უმართლებდა კიდეც და თავს ბედნიერად გრძნობდა. ჯღარჯა ჩიტიც შეეჩვია ობობას.

ერთ-ერთ შეხვედრაზე ობობამ და ჯღარჯამ დიდი რაოდენობით სასმელი დალიეს. ბოლოს სიყვარულის ქარცეცხლმა ისინი ერთ მასად აქცია. გამოფხიზლებულ ჩიტს უკვე სიკვდილი უნდოდა, რაღას იზამდა, ობობას ნაშიერს მის ორგანიზმში დაედო ბინა.

ლილიპუტას ისევ დასჭირდა ობობა. თავისი საქმეები რომ მოიკეთა, ახლა სხვებისთვის დაიწყო ზრუნვა. ლილიპუტამ თავისი ნაცადი ხერხით ობობას მოთვინიერება ისევ შეძლო და საცოდავი ჯღარჯაც მოაშორებინა იქაურობას.

შეთხიპნულ-შეპუდრული ლილიპუტა კი დადის ერთი სუფრიდან მეორე სუფრაზე, შეზარხოშებული საღამოთი გარბაცით მიათრევს მაკარონივით ფეხებს, სახლში მოსულ ქმარს ერთგულებას ეფიცება, თავს აცოდებს და დაღლის მიზეზად ოჯახურ საქმეებს ასახელებს. რა ქნას საცოდავმა, იმასაც შეხვდა ვირის ტვინის ნაწილი, სჯერა მაცდური მეუღლის. თუ რამე ცრემლი არსებობს ქვეყანაზე, ლილიპუტას თვალში ჩაგროვილა, ამ ცრემლებს ლილიპუტა "სიმართლის" დასამტკიცებლად იყენებს.

დედა ფუტკარი და მტრედი შორიდან ადევნებდნენ თვალს ობობას და ცდილობდნენ, რომ მისთვის ადამიანური თვისებები დაებრუნებინათ...

დედა ფუტკარი და მტრედი ცის ანგელოზთან გაფრინდნენ. ზეცაში დიდი რიგი დახვდათ. მცველს უამბეს თავისი ვინაობა, მცველმა კეთილი ფრინველები ურიგოდ შეუშვა ანგელოზთან.

ანგელოზმა დაინახა თუ არა დედა ფუტკარი და მტრედი, გაუღიმა და საპატიო ადგილზე მიიწვია. თქვენ მე თვალს გადევნებთ, იმაზე მეტ მადლს თესავთ სხვებისათვის, ვიდრე მე დამითესია ქვეყანაზე.

- კეთილო ანგელოზო, დაიწყო მტრედმა, შენ ხომ იცი ხვიჩა ბიჭი, დედამიწაზე რომ ცხოვრობს?

- ვიცი, ვიცი, სიბრძნის ტომები შექმნა. დიახ, მან მიწიერნი გააოცა, მასზე მონოგრაფიები შეიქმნა, სიცოცხლეშივე დაიდგა უკვდავების ძეგლი. ეშმაკმა ვერ აიტანა მისი წარმატებები, ამან მე როგორ უნდა მაჯობოსო და... ერთ-ერთ ლილიპუტა ქალს თავისი ხერხები ასწავლა. ის გამორჩეული არ იყო, არც ნიჭით, არც ფიზიკურობით, ეშმაკის სული არხეინად მოირგო. ლილიპუტამ ხვიჩა ბიჭს სულ აუბნია გზები. ის ისეთ შეცდომებს ჩაადენინებს, მიწაზევე დარჩება, დაიწვება ის წიგნები, რაც მასზე შექმნეს მეცნიერებმა. ცაშიც მის სულს აღარ მიიღებენ, უნდა უშველოთ რამე.

- ამიტომ მოვედით შენთან.

- კარგი, რადგან თქვენში ასეთი მეგობრობა დავინახე, აუცილებლად დაგეხმარებით, გაფრინდით დედამიწაზე, თქვენი თვალით დაინახავთ ყველაფერს.

დედა ფუტკარმა და მტრედმა ზღვას გადაუფრინეს, მათ დაინახეს, რომ წყალი სავსე იყო ვირებით, დამხრჩვალ ვირებს თვალები გადმოეკარკლათ... ლილიპუტას და მის ქალიშვილსაც ვირეგის გედი სწვეოდათ. დამხრჩვალ სხეულებს ზღვის ტალღა ხან ერთ კლდეს ახეთქებდა, ხან მეორეს.

წვიმდა...

კოკისპირულმა წვიმამ ჩამორეცხა მთის ფერდობები. ბალახები მოცელილი თავთავებივით გაეკრნენ მიწის ზედაპირს. ქარბორბალა დატრიალდა და ნიაღვრით შეთხუპნული თოთო ღეროები კვლავ აფოფრილი ცხენის ფაფარივით წამოიშალა, ქვიშის მარცვლები აქეთ-იქით მიმოფანტა. ტყის ნედლი ნეშოს ფოთლები აწეწილი თმებივით ერთმანეთში აიხლართნენ...

ატალახებულ ბილიკზე მოხუცი მგზავრი ფეხებს ძლივს მიათრევდა, სული კბილით ეკავა, ბევრჯერ წაბარბაცდა კიდეც. ღმერთო მიშველე, არაადამიანური ხმით დაიღრიალა და ჩაიკეცა.

მზის სხივებმა გაკვეთეს ღრუბლების ფენა და მოალერსე სხივებით ააშრეს ნაწვიმი მინდვრები, აჭიკჭიკდნენ მერცხლები, ლამაზი პეპლებით გაივსო დედამიწა. ხარირემი, დედა ფუტკარი და მტრედი გონებაწართმეულ მგზავრს თავს დასტრიალებდნენ. მგზავრმა თვალები გაახილა, თითქმის აღარაფერი სტკიოდა... ეს ის ხვიჩა ბიჭი გახლდათ, ეშმაკს ობობად რომ ჰყავდა გადაქცეული.

სიკეთემ გაიმარჯვა, ამას დიდი დრო დასჭირდა, აქ ხარირმის დამსახურება მეტი გახლდათ, რადგან სუსტი ფრინველები აბა მარტო რას გახდებოდნენ!

ხალიანი ელენე და ჯოხიანი ლილი დედამიწაზე ხალხმა შეიძულა, მათთვის სიკვდილი ბედნიერება გახდა, მაგრამ ისინი სიკვდილმაც დაივიწყა.

ხვიჩა ბიჭმა კვლავ დაიწყო სიბრძნის ტომებზე მუშაობა. ის უკვე ასაკით დიდი იყო, მაგრამ ოცი წლის ახალგაზრდის ენერგია დაუბრუნდა, ის მადლიერებით წერდა, სიკეთეზე, ფილოსოფიაზე, რასაც ერთგული მეგობრობა ჰქვია. მეგობარი სწორედ მაშინ უნდა გინდოდეს, როდესაც ის სწორ გზას ასცდება... ლხინის სუფრაზე ყველა სიმშვიდით გრძნობს თავს.

უფალი ამ ამბით გახარებული იყო, რადგან დედამიწაზე კვლავ სიკეთე იმარჯვებდა.

გულნაზ ხარაიშვილი



ხევისბერი

ალექსანდრე შუბითიძე იმერეთის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში გაიზარდა. იგი ფიზიკურად მაღალი პიროვნება იყო და ერეკლე მეფესავით, უჭრიდა ჭკუა-გონება. ალექსანდრე საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანის ხეობის გამგებელი იყო. სიკეთის მთესველ ბატონ ალექსანდრეს, ჩემგან თბილი მოგონება იავარდად მოეფუნოს. მჯერა, რომ ხეობიდან წასულ სულებს თავისებურ ყურადღებას მიაქცევს და ღიმილის ბიჭებს უპატრონებს.

* * *

სიამაყით ვიტყვი, რომ ბატონ ალექსანდრეს ვიცნობდი, ის ჩემს ქორწილში თამადა იყო:

ვიგონებ ხშირად, ძალიან ხშირად, ვიგონებ, ისე ვით ჩემი მამა.
სიტყვას იტყოდა ძალიან ძვირად, მისი სიბრძნე კი ბევრმა იწამა.
ჩემი ქორწილის თამადა იყო, ეს ბუმბერაზი ნაღდი ქართველი,
მან მშობელივით ლუკმა გამიყო, ცას ია-ვარდად ადგეს ნათელი.

მახსოვხარ
(ალექსანდრე შუბითიძეს)

წარსული წლების მემატიანევ,
ბერმუხასავით, ედექ ქვეყანას...
მე ლექსის მოძღვნა დაგიგვიანე,
კარგახანია, ცხოვრობ ზეყანას.
გიხსენებ კრძალვით,
კვლავ მორიდებით,
ომახიანო, დიდო თავკაცო...
აქ, არასოდეს არ დაბერდები,
უკვდავება მსურს გაგიასკაცო.

ვარდენ მეკალმიშვილი



ჩვენ ამერიკაში

ვარდენიუსი
რეალური ისტორიები
„ზღაპარი სიყვარულისა„.“

ეძღვნება ჩემი ბავშვობის მეგობარს,
ულამაზეს და უმშვენიერეს
პატარა გოგონას.

იმ დღის შემდეგ 60-მა გრძელმა წელმა გაიარა. და თანაც, თითქოს ყველაფერი გუშინ მოხდა. თითქოს, როგორც იქნა მოგაგენი. ფეისბუკზე ერთერთ უცხო, სავარაუდოდ შენს გვერდზე შევედი. მხოლოდ სახელი იყო შენი, გვარი კი არა. უცებ ეკრანზე, მაყურებლის მიერ შორი რაკურსით გადაღებული ვიდეო გაიხსნა. სცენიდან საოცრად საყვარელი, ბავშვობის დროინდელი ჰანგები შემომესმა. „ირული, ირული, ირული ჩქიმდა, ხუტოლი, ხუტოლი, გურს ქუმახუტოლი“(გამოიქეცი ჩემთან, გულში ჩამეხუტე)„. თავდავიწყებით მღეროდა შორს, სცენაზე მდგარი უცნობი ქალის ხმა უძველეს მეგრულ სიმღერას. მომღერლის სახეს ვერ ვარჩევდი. ის სიყვარულს უმღეროდა. მაგრამ რაღაც განსაკუთრებულს, თითქოს შორეულს და მიუწვდომელს. ასეთი კი მხოლოდ ერთია. ისეთი, რომ ვერ დაიბრუნებ, რომელიც წარსულში დარჩა და გაგიზღაპრდა. გონება მყისიერად გამინათდა. სცენიდან წამოსულ ულამაზეს გოგონებს შორის შენი ხმა შევიცანი, ერთადერთი და განუმეორებელი. და ეჭვიც უცებ განმიმტკიცდა. ეს შენ იყავი ჩემო პატარავ! შენ, ჩემი ბავშვობის ლამაზი მოგონება და პირველი სიყვარული. ჰოდა, ამიტაცა ცაში საოცრად მიმზიდველმა მონატრებამ და ჩვენს სამშობლოში ჩამიყვანა წამიერად, ჩვენს ბავშვობაში. და კადრებივით გამიელვა თვალწინ ჩვენი ცხოვრების ზღაპრულმა დღეებმა, ჩემო ფერიავ!

ჩვენ სამეგრელოში დავიბადეთ. ტოლები ვიყავით. ლამაზი იყო ჩვენი ბავშვობის სოფელი, ჩვენი ბანძა. სამეგრელოში ხომ ყველა სოფელი განსაკუთრებულია. ჰოდა, ჩვენიც არ იყო გამონაკლისი. სწორედ ჩვენს სოფელში სთქვა დიდმა ილია ჭავჭავაძემ, ვიმყოფები სამეგრელოში და ვხედავ საქართველოსო. დიდი იყო ბანძა, მრავალი უბნისაგან შედგებოდა. სოფლის ცენტრში ვცხოვრობდით, ერთ უბანში. ეს უბანი, ჩვენი მეზობელი ულამაზესი სოფლების, ვედიტკარისა და ონოღიის გზების შესაყარიდან იწყებოდა და ბანძის ულამაზეს ეკლესიამდე გრძელდებოდა. მას ოდითგან ურიაკარს ეძახოდნენ. ერთი ჭირი და ერთი ლხინი ჰქონდათ მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველებსა და ებრაელებს. მათ ერთ მუშტად შეკრული სიყვარული აერთიანებდა. ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობდა მთელი უბანი: ფანცულაიები და ხუხაშვილები, ჯიქიები და შალელაშვილები, დამენიები და აჯიაშვილები, კაციები და ბარდანაშვილები, ოდიშარიები და მეგრელიშვილები, დანელიები და შამელაშვილები, გაბუნიები და ლევიაშვილები, გახოკიძეები, კეკელიები და მიხელაშვილები, ვახანიები, ფაღავები და ჯანაშვილები, წირქვაძეები, ურიდიები და მაღალაშვილები, ლომიები, პატარაიები და

სეფიაშვილები და ერთმანეთის დიდი დაფასება და პატივისცემა სუფევდა ირგვლივ. ალბათ, ამიტომაც ვერ ვიხსენებ ვერცერთ ღარიბ ადამიანს. აქ, არც არავინ აქცევდა დიდ ყურადღებას მატერიალურს. სოფელში, ყველა მის მკვიდრს სული და გული ერთნაირად უმღეროდა მოჭარბებული გედნიერებისაგან. და ამიტომაც ყველანი მდიდრები იყვნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი ბანძა დიდი და გამორჩეული სიყვარულის სოფელი იყო.

ერთად ვიზრდებოდით, საბავშვო ბაღშიც ერთად დავდიოდით. მერე სკოლაშიც ერთად წავედით. ერთ კლასში ვისხედით. ჩემო პატარავ, გახსოვს ჩვენი პირველი და უსაყვარლესი ლუბა მასწავლებელიი? რა სათნო იყო, როგორ ვუყვარდით, თავს გვევლებოდა. არავის გვინახავს მისი მოწყენილი, ანაც დაღვრემილი სახე. მუდამ სიყვარულით სავსე თვალებით შემოგვციცინებდა. აი ისე, თითქოს ის პატარა ყოფილიყო და ჩვენ კიდევ დიდები. იცი, მისი მზერის გახსენებისას, უცნაური გრძნობა მეუფლებოდა ხოლმე. ეს ალბათ ერთადერთი შემთხვევა იყო ჩემს ცხოვრებაში, როცა ადამიანის უდიდესი სიყვარულით სავსე, მნათობივით მწველ მზერას თვალს ვერ ვუსწორებდი. არ შეიძლება ამ მზერის დავიწყება. არც შეიძლება და თანაც შეუძლებელია. განა ლუბა მასწავლებელს არ სტკიოდაა? განა არ ჰქონდა საფიქრალი და სადარდებელი გაუთხოვარ, მარტოხელა, უშვილძირო ქაალს? მაგრამ ის სიცოცხლის ბოლომდე ასეთად დარჩა. უამრავი შვილების დედად და მათ საუკეთესო გულშემატკივრად. მახსოვს პირველ კლასში, რომ პირველი ლექსი მოგვცა მან სასწავლად. ვიცოდი და ვერ ვთქვი, შემრცხვა. მოვიდა, გულში ჩამიკრა, მაკოცა და დამამშვიდა. ასეთ დიდებულ, სიყვარულით მოცისარტყელებულ გარემოში ვიზრდებოდით მე და შენ, ჩემო პატარავ! და უზომოდ ბედნიერები ვიყავით.

არ მახსოვს როდის ან რატომ შემიყვარდი. მაგრამ, ნუთუ შეიძლებოდა ასეთ ქვეყანაში, ასეთი სოფლის ასეთ უბანში, ასეთი ადამიანებისა და მასწავლებლის ხელში გამოზრდილი, ულამაზესი გოგო არ შემყვარებოდაა? რა დამავიწყებს, როგორი ნაზი იყავი და საოცრად მსუბუქი, გუმბულივით ცაში მოფარფატეე? რა დამავიწყებს შენს განსაკუთრებულ ხმას, რომელიც სადღაც ტყის სიღრმეში, ქვებზე ლამაზად მოხტუნავე ნაკადულის უნაზეს რაკრაკს მაგონებდაა? როგორ დავივიწყო შენი ანგელოზივით სახე, რომელსაც განსაკუთრებულად მშვენიერი ღიმილი, ლამაზი ღაწვები და არაბუნებრივად გრძელი, საოცრად ფახულა წამწამები ამშვენებდაა? როგორ უნდა დავივიწყო შენი, შტილიდან ღელვაში ახლადშესულ ზღვასავით დატალღული, შავად მბზინავი თმებიი? დიდი, ფრთებგაშლილ პეპელასავით ლამაზი გაფთები გეკეთა ხოლმე ჩემო პატარავ, შენს ლამაზ ნაწნავებზე. ჰოდა, მიყვარდა ეს ნაწნავები. და, არა მარტო. მათი მოქაჩვაც მიყვარდა. მაპატიე ჩემო პატარავ, რომ უნებურად გტკენდი. მე ხომ ჯერ კიდევ ასეთი სულელი ვიყავი, ჩემს ბავშვურ გრძნობებში ბოლომდე ვერ გაცნობიერებული პატარა და ცელქი სოფლელი ბიჭი.

ზუსტად არ მახსოვს. ათიოდე წლისანი თუ ვიქნებოდით. კლასელი გვყავდა, ზურაბი. თუმცა, ზურაბი მხოლოდ სასკოლო ჟურნალში ეწერა, დიდ-პატარა ჯინამის ვეძახოდით. ვმეგობრობდით მე და ჯინამი. გაკვეთილების შემდეგ ხან მასთან დავდიოდით სახლში, ხანაც ჩემთან. მივირთმევდით ჩვენი დედების მიერ მომზადებულ, უგემრიელეს მეგრულ კერძებს, ვმეცადინეობდით, ვთამაშობდით. ძალიან გულიანი ბიჭი იყო, მეგობრული და მხიარული. თანაც ჩვენზე უფროსი. მაშინ მოსწავლის კლასში დატოვება დადგენილი წესი იყო და ჩვენც წამოვეწიეთ ჯინამის. ეს ალბათ მესამე კლასში მოხდა. ჩემი ახალი ძმაკაცი დედასთან და ბებია-ბაბუასთან ერთად იზრდებოდა, უმამოდ. ძალიან განიცდიდა თავის მდგომარეობას. განიცდიდა და სწავლას

გულს ვერ უდებდა. მახსოვს, ერთხელ მას მამამ მოაკითხა სკოლაში. კლასში ახალგაზრდა, სოფლელი ბავშვებისათვის გამორჩეულად ჩაცმულ-დახურული, წარმოსადეგი მამაკაცი შემოვიდა. ის ახალშექმნილ ოჯახთან ერთად ქუთაისში ცხოვრობდა. ჯერ კიდევ ასე პატარა ბიჭი, სულიერად შემძრა ჯინამის მაშინდელმა პროტესტმა. ჩემი ძმაკაცი ფეხზე წამოხტა, კლასიდან ჯიქურ გავარდა და იმ დღეს საერთოდ არ გამოჩენილა.

სკოლაში მომხდარმა შემთხვევამ ჩვენ უფრო დაგვაახლოვა. ჰოდა, ჩემი მესაიდუმლე იყო ჯინამი. იცოდა შენს მიმართ ჩემი გრძნობის შესახებ. მითანაგრძნობდა. ერთხელაც, შეიმუშავა მან სამოქმედო გეგმა და დამიყოლია კიდეც.

იმ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, შეუმჩნევლად აგედევნეთ სკოლიდან სახლისაკენ მიმავალს. ადრეული ზამთრისპირი დამდგარიყო ბანძაში. საავდრო ცა შავად მოექუფრათ გვიანი შემოდგომის მომაბეზრებელი წვიმის ისევ მოსაყვანად თითქოსდა სპეციალურად თავშეყრილ ღრუბლებს. სოფლის ოდნავ ატალახებულ და ალაგ-ალაგ გუბეებ ჩამდგარ შარაგზაზე, უთავბოლოდ მიმოფანტულიყვნენ მოხეტიალე, ქარაფშუტა ქარის მიერ ხეებიდან უმოწყალოდ მოწყვეტილი და სიბერეს დამორჩილებული, უკანასკნელი გადახუნებული ფოთლები.

ამასობაში, შენ უკვე გაიარე სოფლის ცენტრი და ჩვენს საყვარელ, გულოს სათამაშოებისა და წიგნების მაღაზიას უწიე. ჩვენ, თავჩაქინდრულები შორიახლოს მოგყვებოდით და უჩუმრად გადევნებდით თვალს. ძალიან ვნერვიულობდი. პატარა და შეყვარებულ გულს ბაგა– ბუგი გაჰქონდა. ცუდი წინათგრძნობა ამკვიატებოდა. ნეტავი შემძლებოდა ამ ავანტიურის ჩაშლაა? მაგრამ სამწუხაროდ, უკვე გვიანი იყო. შენ, სიმონია მექუდის სახლს გვერდი ჩაუარე და იქვე, ჩაის ფაბრიკის კლუბთან მარცხნივ, ტაბაკურისაკენ მიმავალ შუკაში ჩაუხვიე.

რამოდენიმე წამში, ჩვენც დავადექით შენს კვალს. შეგვამჩნიე და ფეხს აუჩქარე. ჯინამი გამოგიდგა, თან მე მიყურებდა და ხელის ქნევით მაჩქარებდა.

შენი სახლისა და ჩაის ფაბრიკის გამყოფი გზის გადაკვეთასთან, ხის სახერხი ქარხნის კუთხეში წამოგეწია ჩემი ძმაკაცი. ჯინამი წინ გადაგიდგა და სახლისაკენ მიმავალს გზა გადაგიკეტა. ის ცდილობდა, როგორმე მოგესმინა ჩემთვის „. სურდა, რომ შენთვის სიყვარული ამეხსნა. ჩემო პატარავ, მაპატიე. ძალიან შეგაშინეთ იმ დღეს. მაგრამ ჩვენ ხომ ბავშვური, უბოროტო განზრახვა გვამოძრავებდა მხოლოდ და არც კი გვიფიქრია შენთვის ტკივილის მოყენება. ამასობაში დავინახე, თუ როგორ მოადგა შენს ლამაზ თვალებს ცრემლები. გული დამეწვა. შორიახლოს ვიდექი თავჩაქინდრული და თავბედს ვიწყევლიდი. ბოლო-ბოლო, როგორც იქნა დაუსხლტი ხელიდან ჯინამის და იქვე ახლოს მდებარე შენი სახლისკენ გაიქეცი.

იმ მოჟამული დღიდან 60-ცი წელი გავიდა, ჩემო პატარავ. შენ და შენი ოჯახი მალევე გადახვედით საცხოვრებლად სოხუმში. იქიდან კი, ისტორიულ სამშობლოს, ისრაელს დაუბრუნდით. მინავლდა ჩემი სათუთი, დაუვიწყარი ბავშვური გრძნობა. მაგრამ, მთელი ცხოვრება სასიამოვნო სიზმარივით დამყვებოდა პირველი სიყვარულის ზღაპრული მოგონებები. ისინი საოცრად მიჩქროლებდნენ ხოლმე გულს, მილამაზებდნენ მძიმე დღეებს და მაბრუნებდნენ სანუკვარ ბავშვობაში. და დარჩი სამუდამოდ ჩემს გულში. დარჩი მარადიულ პატარა ფერიად ჩემს მოგონებებში, ჩემო პირველო სიყვარულო.

ერთი კია მხოლოდ. ყოველთვის ვნანობდი ჩემს ბავშვურ გაუბედავობას. ვნანობდი, რომ ვერ შევძელი შენთვის სიყვარულის ახსნა.

და აი, ეს დღეც დადგა. მინდა შური ვიძიო ჩემს იმდროინდელ გაუბედავობაზე, დავბრუნდე წარსულში და საქვეყნოდ, მთელი ხმით წარმოვთქვა ის ბავშვური, უმანკო სიტყვები, რომლებიც ჯერ კიდევ მაშინ, 60-ცი წლის წინ უნდა მეთქვა შენთვის :

მ ე შ ე ნ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ

პ ა ტ ა რ ა ვ !

მეკალმე ვარდენი
პარიზი
08.03.2020.

გივი სიხარულიძე



ყომარბაზი მიქელ-გაბრიელთან ერთხელ ვერაზე

ეძღვნება ვერელი მიჭების ხსოვნას

ღამის 2 საათია. ირგვლივ სამარისებული სიჩუმე სუფევს. ქიაჩელის ქუჩაზე აქა-იქ, კაცის ფეხის ხმა ისმის. სისხლიანი ცხრა აპრილის შემდგომი პერიოდია. თბილისი წყვდიადს მოუცავს. ამავე ქუჩის №14 სახლის კარის ჭრიალის ხმა გაისმის. ბელეტაჟის კიბის საფეხურზე მომცრო ტანის კაცი გამოჩნდა, ავადმყოფობისგან დასუსტებულ ფეხებს ძლივს მოათრევდა და კიბეზე დაშვებას ცდილობდა. თითქოს მუხთალ ბედთან ერთად, რომელსაც კაცი უკურნებელი სენით „დაეჯილდოებინა“, ფეხმაც უმუხთლა, ერთი წაიფორხილა და ეზოში, კიბესთან გაიშხლართა. ამ დროს მიწაზე გაფანტული კამათლები და ასდოლარიანის კუპიურები გამოჩნდა. სიმწრისაგან ერთი დაიგმინა, ჩემი ბედის დედა მო...ო, თქვა და ნელ-ნელა კამათლებს დაწვდა, ცრემლიანი თვალებით გულში ჩაიხუტა, კოცნა დაუწყო, თითქოს სამარადისოდ ემშვიდობებაო. შემდეგ კი, გაფანტულ ფულს ზიზღით დაუწყო შეგროვება, ფულს, რომლის ყომარხანაში მოგების, ან წაგების შემთხვევაში არც არასდროს გაუხარებია და არც გული დაუწყვიტავს ოდესმე. თამაში უყვარდა, მორჩა და გათავდა!

მთელი ქალაქის ყომარბაზები მასზე ერთ საარაკო ამბავს ჰყვებოდნენ:

შუაღამისას, როცა 500 000 დოლარში იყო წაგებული, უცბად მაგრად გაიზმორა და ყველას გასაგონად წარმოსთქვა, იუზგრებო, მაგრად მეძინება, „გავკარი“ ამ ფულს, ამის გულისთვის მე ახლა ძილი არ გავიტეხოო. შეტრიალდა, კარი გამოიჯახუნა, ვითომცდა, არაფერიო, მანქანაში ჩაჯდა, მძღოლს ხელი მხარზე დაადო და უთხრა, აშოტ-ჯან, წავიდეთ, ერთი ხოშიანად გამოვიძინოთო. მძღოლმა მორიდებით შეაპარა, ბიჭი-ჯან, რა დროს ძილია, 500 000 თავანი ჩასაბარებელი ვაქვსო.

- ე, აშოტ-ჯან, ფული ზღვის ტალღას წააგავს, ხან მოვა და ხან წავა. მოთამაშეები კი ის უიღბლო „რიბაკები“ ვართ, რომლებსაც გვგონია, რომ თევზი ყოველთვის ანკესზე უნდა გვყავდეს გამობმული. რას იზამ, დღეს ჩემს ანკესს იმისამ აჯობაო.

ის, რომ წაგებულ ყომარბაზს ძილის გამო თამაში მიეტოვებინოს, მსგავსი შემთხვევა არავის ახსოვს.

ჰოდა, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბიჭიკომ შეგროვებული ფული რის ვაივაგლახით პალტოს ჯიბეში ჩაიწყო, ეზოს კარი გამოიხურა, მანქანაში ჩაჯდა, მძღოლს სევდიანი თვალებით შეხედა და მწარედ წარმოსთქვა: - ნელ-ნელა დავდნი, არა, ჯიგარო?!

- არა, არა, რა დადნი, „აგურჩიკივითა“ ხარ!

- ეჰ, „აგურჩიკს“ კი არა, დამპალ „აგურეცსა“ ვგავარო, - სინანულით უპასუხა მძღოლს ბიჭიკომ და ფურცელი გადასცა, სადაც იმ ყომარბაზების მისამართები ეწერა, ვისთვისაც წაგებული ფული ჰქონდა ჩასაბარებელი.

თითქმის დილის ხუთ საათამდე ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში დადიოდნენ. იმის გამო, რომ მევალეებთან თვითონ ასვლა არ შეეძლო, მძღოლი ადიოდა და ნახევრად მძინარე ყომარბაზები ბიჭიკოსთან ჩამოჰყავდა. ყველა ერთი და იმავეს ეუბნებოდა: - რა იყო, ბიჭიკო, ამ შუაღამისას მოსწრებაა? მაიტანდი, რა, როცა იქნებოდაო. ბიჭიკოს კი ამ სიტყვებზე მწარედ ეღიმებოდა და თითქმის ყველას ერთნაირად პასუხობდა: - ალბათ, ფიქრობთ, მიქელ-გაბრიელს გამოვატანდიო, არა?

ასე მივიდნენ ავლაბრამდე, ხოჯევანქის უბანში. მძღოლმა სახლიდან ერთ-ერთი ტიპი ჩამოიყვანა.

- ბუთხუზ-ჯან, - მორიდებით უთხრა ბიჭიკომ, - მართალია, ვალის გადახდა ცოტა შემაგვიანდა, მაგრამ რას იზამ, ცხოვრება ასეაო და ფულ ის შეკვრა გაუწოდა. ბუთხუზამ ერთი ალმაცერად შეხედა, გამოწვდილ ხელზე ხელი აუკრა: - ბიჭი-ჯან, მე შენ ყომარხანაში დედიკოს ბიჭები რომ ყომარობენ, იმათში ხომ არ გეშლები?! მაპატიე, ჯიგარო, ყოველდღე შენთან მოსვლას ვაპირებდი, რომ ეს შენთვის გადმომე- ცაო. ბუთხუზამ ჯიბიდან 10 000 დოლარი გააძრო, ეს ფული წამლებში მოიხმარე, სანამ გამოჯანმრთელდებიო. ბიჭიკოს თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით სცვიოდა. – ბიჭო, იქ, სადაც მე მივდივარ, ის მიმაქვს, რაც საჭიროაო, - თქვა ბიჭიკომ და ჯიბიდან კამათლების დასტა ამოიღო, - კამათლებს არ ვიცილებ, იქნებ, მიქელ-გაბრიელმა ჩემთან ყომარი გააგოროს და სიკვდილ-სიცოცხლეზე მეთამაშოს. მოვიგებ – სიცოცხლეს მჩუქნის, წავაგებ და... მაინც ვკვდები, რა მენაღვლებაო.

მერე, ალალად თავი თავზე მიადო: - ბუთხუზ- ჯან, ყოველთვის ვიცოდი, რომ კაცი იყავი და შენი კაცობა სამარეშიც თან მიმყვებაო. მერე, ბუთხუზას ნაჩუქარი ფულიც და თავისიც აშოტას გადაულოცა:

– აშოტ-ჯან, ვიცი, შენი ცოლი ფეხმძიმედაა, ჰოდა, ორი ქართველისაგან ერთი სომხის გაზრდაში მაიხმარეო.

მერე ბუთხუზას ძმაკაცურად გადაეხვია. მძღოლს კი უთხრა, მანქანა დაძარიო და უკანმოუხედავად გეზი სახლისკენ აიღო. დილის ექვსის ნახევარი იქნებოდა, ისევ ბნელოდა. ბიჭიკომ, აშოტას დახმარებით, კიბე აიარა, ისე, რომ დედამისს არ გაეგო, სახლში ჩუმად შევიდა და ავადმყოფობისგან გაცვეთილი სხეული სასთუმალს მიანდო.

ბიჭიკოს თითქმის მთელი თბილისი იცნობდა. მაგარი თავმოყვარე იყო. ავადმყოფობის გამო, სარკეშიც აღარ იხედებოდა, თავისი ნაცრისფერი სახის დანახვა აღარ უნდოდა. დედას მნახველთა

ოთახში შეყვანა აუკრძალა, არ უნდოდა, ვინმეს ამ მდგომარეობაში დაემახსოვრებინა. ის კი არა, დაიბარა, შეურაცხყოფა არ მომაყენოთ, კუბოს თავი ღია არ დატოვოთ, თორემ თავიდან გარდავიცვლებიო.

დღის სამი საათი იქნებოდა, როცა რის ვაი-ვაგლახით, დაუძლურებული ხელებით ტელეფონს დასწვდა, ორ უახლოეს მეგობარს დაურეკა, მოდით, ბიჭებო, სალაპარაკო მაქვსო. ბიჭები უმალვე მის სასთუმალთან გაჩნდნენ.

- ზინტილ, ბიჭოო, - უთხრა ერთ-ერთს, - ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, მთელი ცხოვრება შენ და ალეკოს თვალდახუჭული გენდობოდით... ამ ღამით მივდივარ...

- სად მიდიხარ, ბიჭი-ჯან? – ჰკითხა ალეკომ.

- იქ, სადაც ჩვენი წასული ბიჭები მელოდებიან... და სახელები ჩამოთვალა.

- მაიცა, თუ ძმა ხარ, სისულელეებს შეეშვი, რის მიდიხარ, რა მიდიხარ, ხომ არ გაგიჟებულხარო?!

- „მიქაილსაიუზებში“ საგზური უკვე გამოწერილიაო, - თქვა ბიჭიკომ და მიმქრალი მზერით ორივეს თვალებში ჩახედა, - იცოდეთ, ჩემი „კასტის“ ხალხი ყველაფრის მკადრებელია, ვინმე რომ მოვიდეს ყომარბაზებიდან და გითხრათ, წაგებული ჩასაბარებელი ჰქონდაო, ბლეფი იქნება. დღეს, დილის ექვსის ნახევრისთვის მე და აშოტამ ყველას ვალი გავისტუმრეთ, ბუთხუზას გარდა. მივდივარ და თან ერთადერთი კაცის სიყვარულის ვალი მიმყვება, რომლის გასტუმრებაც თქვენთვის მომინდვია, იცოდეთ, ბუთხუზა ჯერ კაცია და შემდეგ – მოთამაშე. მერე, ძმაკაცებს, შეხვედრამდეო, უთხრა და თავისი სული, ეტყობა, ყომარში მოგებულ მიქელ-გაბრიელს მიაბარა.

გასვენების დღეს, მთელი საქართველოს ძველბიჭური სამყაროდან დაწყებული, ყომარბაზებისა და კაცებადწოდებული ბიჭებით დამთავრებული, გამოსათხოვებლად მოსულიყვნენ. ვერის სასაფლაოსკენ ხელით მიასვენებდნენ კაცობის, ქალაქელობის, თბილისური ჯიგრის მატარებელ, სიკეთისათვის დაბადებულ მომცრო ტანის ბიჭიკოს ნეშტს. ვის არ ნახავდით აქ – პროფესორიდან დაწყებული, როსკიპი ქალბატონებით დამთავრებული.

- გოგო, - გადაულაპარაკა ერთმა ლამაზმა შესახედაობის ქალმა მეორეს, - რაც მაგას ჩვენთვის ფული უჩუქნია, ჭკუა რომ გვქონოდა, ბოზობა აღარ დაგვჭირდებოდა, კარგ ბიზნესს ავაწყობდითო...

- ჯიგარი იყოო, - უპასუხა მეორემ, - ქალის ფასი იცოდა, მაყუთის – არა, ეგ მოთამაშე კი არა, სულის მესაიდუმლე იყოო. - გოგო, - ჩაერია ლაპარაკში მესამე, - გახსოვს, საწყალ ზესტაფონელ ცისანიას ვორონცოვზე ოროთახიანი ბინა რომ უყიდა?

- მახსოვს, მა რა, ცისანამ იფიქრა, ავშენდი, ბიჭიკოს ვყვარებივარო. როცა კეკლუცობა დაუწყო, ბიჭიკომ ერთი კარგად გადაიხარხარა, ციცო-ჯან, ეს ქალაქური საჩუქარი ცისანა ზესტაფონის ასულ იმერეტინსკაიასო. ცისანა დაბნეული უყურებდა და ვერ გაერკვია, საჩუქრის სანაცვლოდ მისგან რას ითხოვდნენ.

- ციცო-ჯანო, - უთხრა, - ყომარბაზებში ერთი სიტყვა არსებობს, „რასხოდი“, ჯიგარო. ჰოდა, შენც „რასხოდში“ ხარ, დღეიდან ჩემი ვალი არა გაქვსო.

- კაცი იყო, კაციო, - გაიძახოდნენ ქალები და თვალებიდან ცრემლი ღაპა-ღუპით სდიოდათ.

როცა კუბოს სახურავი ლურსმნებით დააჭედეს, მისმა უახლოესმა მეგობრებმა და ყომარ-ბაზებმა სასახლეს წრე დაარტყეს. – დავიწყოთო, - თქვა ვაჟა ნუცუბიძემ და კუბოს თავზე კამათელი გააგორა. შემდეგ, წავაგე, ბიჭი-ჯანო, თქვა და იქვე ათასი დოლარი დადო. ეგ იყო და ეგ... კუბოს

თავზე კამათლების წვიმა წამოვიდა. – წავაგეთ, წავაგეთო, - იძახდნენ და აქეთ-იქიდან ასდოლარიანების კუპიურები მოფრინავდა. მერე, ზინტილამ ყომარბაზებს ცრემლიანი თვალებით გადახედა, არწაგებულებისაგანო, თქვა და საძმოს სახელით ასდოლარიანების შეკვრა დიდი მოწიწებით დადო. შემდეგ, შესძახა, ლამარა, სადა ხარო?

ვერელი ძველი „ბარდელში“ ლამარა თავისი ფუმფულა ტრაკით შემობაჯბაჯდა. ისეთი სევდიანი სახე ჰქონდა, თითქოს საკუთარი შვილის დასაფლავებას ესწრებაო. ზინტილამ ლამარა გულში ჩაიკრა, - ლამარ-ჯან, ვიცი, ჩვენგან მოცემული „მაყუთი“ გოგოებისთვის არასოდეს „გადაგიღუნია“, ბიჭიკოს მაგრად უყვარდი, სულ გვეუბნებოდა, ლამარას არ აწყენინოთო.

ბიჭიკო მართალია, ტაძარსა თუ მონასტერში არასოდეს დადიოდა, მაგრამ ლამაზი ქალების სავანის ხშირი სტუმარი გახლდათ. სწორედ ამიტომაც, სიკვდილის წინ დაიბარა, ჩემს გოგოებს მიმიხედეთო... ზინტილამ შეგროვილ ფულს თავი მოუყარა და ლამარას უკვე დაბერებულ მოცახცახე ხელებში ჩაუყარა... ქალების ისეთი ვაი-ვიში და მოთქმა-გოდება გაისმა, დაქირავებულ მეგრელ მომტირლებსაც რომ შეშურდებოდათ, - ჩვენო ბიჭიკო, სიცოცხლეშიც და სიკვდილ- შიც ჩვენზე მაფიქრალოო. ლამარა კი, ბიჭების დახმარებით, სასახლესთან მუხლებზე დადგა, ბიჭიკოს კუბოს ეამბორა, გმადლობთ, ბიჭი-ჯან ამ საჩუქრისთვისო. მერე, ოთხ მესაფლავეს მოუხმო, ეს მთლიანი თანხა მათ გადასცა და უთხრა: - ეს თქვენ, ბიჭიკოს სულის მოსახსენიებლად, ბიჭიკოსაგან და, როგორც თვითონ იტყოდა, მისი ბოზანდარებისაგანო. ლამარას ამ საქციელმა ყველა გააოცა. შემდეგ, ნელ-ნელა წელში გასწორდა, ბიჭებს ცრემლიანი თვალებით გადახედა და დასძინა, რა ბედნიერი ვიქნები, თუ ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ჩემი ბოზანდარები ამის მეოთხედი პატივით გამაცილებენო. მერე შესძახა, გოგოებოო და წრეში ლამაზმანები შემოიჭრნენ. ახლა კი, ცოტა ხანს დაგვტოვეთო, თქვა ლამარამ. კაცებიც გვერდზე გადგნენ... იდგა ცხედართან ოცი უწმინდური მშვენიერება და ცხედარს ჩანთიდან ამოღებულ გაქათქათებულ ტრუსიკებს ყვავილებივით აყრიდნენ შეძახილით: შეგერგოს, შეგერგოს ბიჭი-ჯანო. როცა ლამარას საქციელით მადლიერმა მესაფლავეებმა ბიჭიკოს ცხედარი კრძალვით ჩაუშვეს სამარეში, ირგვლივ ისეთი ჩხრიალის ხმა გაისმა, თითქოს კამათლების წვიმა წამოვიდაო...

ერთმანეთთან იდილიაში შესულიყვნენ სევდიანი ცრემლები და კამათლები. არ ვიცი, იმ წუთას რა რას სჯობდა – სევდის ცრემლის წვეთები თუ კამათლის ჩხარა-ჩხური, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ერთმანეთს შეერთებოდნენ განუყრელი მეგზურები... ხან სევდის, ხან სიხარულის კამათლები და ხან კი სევდის და სიხარულის ცრემლები...

მიდიოდა ბიჭიკო გზაზე, საიდანაც უკან არ ბრუნდებიან და თან მიჰქონდა კაცურ-კაცობით აღსავსე მადლიანი გუდა...

რითმიდან ამოვარდნილები

ნინო რეხვიაშვილი



წიგნი, რომელსაც ღვთიური

სურნელი ასდის რეზო ადამიას წიგნის რეცენზია

“ღვთიური, სამყაროსეული გონება ნებისმიერ ადამიანურ, გონებრივ და ცივილიზაცია კულტურაზე დიადურია, რაც მარადის წინამძღოლი იქნება ნებისმიერი მეცნიერული მიღწევისა”, – ეს ერთ-ერთი ამონარიდია გატონი რეზო ადამიას პროზაულ-ფილოსოფიური, თეოლოგიური, ასტროლოგიური, მხატვრული ნაწარმოებიდან, რომელსაც შემოქმედმა “წმიდა ნინო” დაარქვა.

ნაწარმოები მთელი სისავსით მოიცავს ყველა იმ ჟანრს, რაც უკვე მოგახსენეთ. მხატვარი კაცი კალამს ფუნჯისებრ იმარჯვებს და თეთრ ფურცელზე ერთფეროვან მელანს ათასფერ ტონალობას სძენს. ძერწავს თითოეულ სიტყვას, ფრაზას, სიუჟეტს. “ბნელშიც ანათებდა წმიდანის რძისფრად შემორკალური, მუქი ყავისფერი თვალები, ბრძნულად და მრავლისმეტყველად მზირალი... შვენოდა ოდნავ მოგრძო პირისახე, ღიმილგახსნილი მოვარდისფრო ტუჩები, ხორბლისფრად მკვირვად გარდამავალი სხივმომდინარე სახე სანდომიანობით გარემოზე მზრუნველისა... შვენოდა გრძელი მკლავები უმშვენიერესი მტევნებით და უზენაეს შემქმნელისაგან საგანგებოდ თლილი თითები მარად დასაქმებული ქალწულის მოთეთრო ფრჩხილებით, მათ საწყისზე ნახევარმთვარეები რომ ისახება”.

მწერალმა სრულად გადმოსცა ისტორიული ფაქტი წმიდანის ღვთისმშობლის მიერ იბერიაში წარგზავნისა, რომლის დროსაც კოსმიური სიბნელე მზის ამოსვლით შეიცვალა. მზის სხივივით მომავალი მოციქულთა სწორი “ია-იების ფერთა რიალსა და მისტიკური ფიქრებით სავსე იდუმალი ნიავის” ალერსით მოემართებოდა სრულიად იბერიისაკენ. ხელთ ამქვეყნიური და იმქვეყნიური დედოფლის ნაბოძები ვაზის ჯვარი უპყრია და ხშირად დათქმული შეპირებისამებრ ფეხშიშველია...

ავტორი გზადაგზა ხაზგასმით გადმოგვცემს ციურ სხეულთა განწყობილებას წმიდანის მიმართ და იმდენად ხატოვნად და ენაბულბულიანად შლის კაძრების გამას, რომ გული გიჩქროლდება და სისხლი ძარღვებში მოჭარბებული დოზით გიჩქეფს: “მწიფე, ბროწეულის ბუჩქის ძირას, ლურჯი ქვის სასთუმალზე მიძინებულ წმიდა ქალწულს სავსე, ვერცხლისფრად მოკიაფე მთვარე ზეციური სიფაქიზით თავს ევლებოდა, ცელქი ვარსკვლავები კრთოდნენ და შორიშორს ციმციმებდნენ”...

მთვარემ და ვარსკვლავებმა ოქროს სარეცელი გაუმზადეს წმიდანს, ამ დროს ძილში მაცხოვარი გამოეცხადა: კეთილო ასულო, ჩემი, მამის და სულიწმიდის სხივმოსილებით თამამად შეხვალ შენთვის უცხო ქვეყანაში და იქადაგებ... უდიდესი მიზნებით მოივლი იბერიას... დედაჩემის წილხვედრ ქვეყანას, ნდობით მოაქცევ მამის, სულიწმიდისა და ძე ღვთისას რჯულზე და მარადიულ შორეულ სივრცეებში გამავალი ზეფუნქციაც დაგევალება”. ამ ზეფუნქციის

შესრულებაც და აღსრულებაც რეზო ადამიამ წმიდა ნინოს ცხოვრების აღწერით შესაშური მხატვრულობითა და ლოგიკური მსჯელობის განსაკუთრებულობით წარმოგვიდგინა.

რატომღაც ავტორმა საჭიროდ ჩათვალა ხაზგასმით აღენიშნა წმიდანის ცხოვრების ერთ-ერთი დეტალი სხვა დანარჩენთა შორის, რაც ითვალისწინებს მოციქულთასწორისა და ძაღლე-ბის მეგობრობას, თუ როგორ იცავენ ძაღლები ავყია და ავისქმნელი წარმართი ადამიანებისაგან წმიდანს.

არც წმიდანის გულისხმიერება რჩება ავტორის ყურადღების მიღმა: "-დებო, სიდონია და გარგარე, ძაღლებს პური თუ აჭამეთ? – თიხის ქვაბში წყლის ჩასხმა არ დაგავიწყდეთ... " ხშირად გაიგებდით წმიდანის თხოვნას.

წიგნში უხვად არის განფენილი სასწაულებრივი სიუჟეტები, სულისშემძვრელი ფაქტები წმიდანის ცხოვრებისა, რომელიც ცოდვილი დედამიწიდან ტერფს გიწყვეტს და შორს ზეციური სიწმინდეებისაკენ მიგაქანებს.

თხრობის დასასრულს ავტორს წმიდანის საფლავის დიდებულებაზე გადააქვს ყურადღება.

"ხომ არ აჯობებდა ღია ცის ქვეშ ყოფილიყო წმიდა ასულის საფლავი, თავისუფლებაში, თუნდაც წმ. მატათას, წმიდა დავით აღმაშენებლის, წმიდა თამარ მეფის, რომლის ადგილმდება-რეობის საიდუმლოება მხოლოდ უფალმა, ზეცამ და მიწამ იცის".

მწერალი წმიდანის ზეციურ მისიას ვარსკვლავეთთან პირდაპირი ზეციური კავშირით ხსნის და ამბობს, რა სჯობია, როცა "ღამღამობით ფერადი ციური სხეულები რომ დაათოვს, დღისით მზე მცხუნვარე სხივებით რომ მოინახულებენ მის საფლავს..." საოცარი ჰარმონიაა, ეს მუსიკაა, ფრაზებად აჟღერებული, გამორჩეული, ზებუნებრივი ნიჭითა და მადლით ცხებული სიტყვათა შეხამება, ზე ღვთიური განცდის მხატვრისეული გადმოცემის ორიგინალური მანერა, ისეთი, მხოლოდ მხატვარსა და დიდ შემოქმედს რომ ძალუძს მხოლოდ: ისეთი, როგორიც რეზო ადამიასეულია, ტილოზე აღბეჭდლი წმიდანის ცხოვრება ფურცლებზე ასომთავრულით გამთავ-რულებული, გასხივოსნებული და გაბრწყინებული. ავტორის მიერ მთელი სიგრძე-სიგანით შესისხლხორცებული და სულის ნაწილად ქცეული.

აღსანიშნავია მწერლისა თუ მხატვრის ორიგინალური თხრობის სტილი, მხატვრულ-პროზაული გადმოცემების უნარი და ჯერ კიდევ სველი აკვარელისა თუ ზეთის საღებავის სუნი, რომლითაც ხელი ავტორთან ერთად გესვრება. ნაწარმოები გვირგვინია მხატვრული შედარებებისა და ეპითეტების, რომლებიც ამავდროულად მეტაფორაცაა:

"ლურჯი ღრუბელივით მოსასხამი, ღიმილგახსნილი, მოვარდისფრო ტუჩები, სანთელივით ასხმული სხეული" და უამრავი სხვა, რომლებიც ზედსართავ სახელსაც მოიხმარენ და მიმღე-ობასაც.

ბატონმა რეზომ წმიდა ნინოს ცხოვრება რომანის ჟანრისთვის განაწყო. აი, სად არის მწერლის განსაკუთრებული ზომიერება, – რომ წმიდანი წმიდანის ამპლუაში დაეტოვებინა და კალამს მისდაუნებურად რომანული ჟანრისათვის განკუთვნილი შტრიხებისაკენ არ წარეტაცა. ბატონმა რეზომ წმიდანის ცხოვრება განსხვავებული ჟანრით წარმოგვიდგინა და კიდევ ერთხელ უკვდავებად აქცია.

ავტორი კარგად ერკვევა ლიტერატურის თეორიაში, მან კარგად იცის ფაბულის არსი, წმიდა ნინო ამ შემთხვევაში ფაბულაა, ხოლო ბატონი რეზოსგან ხორცშესხმული ნაწარმოები მისი

ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, უკვე სიუჟეტურია მწერალ-მხატვრის მიერ მხოლოდ მისეული ხერხით მდიდრულად გაშლილი და გაბრწყინებული. მკითხველის თვალწინ იშლება ფართო სპექტრი ფაბულისა, სადაც მწერალი მეტაფორის, გაპიროვნების, შედარებების და სიტყვათა კონის ორიგინალური მიქარგვ-მოქარგვით გვიქმნის ტილოს, "ძველი და ახალი აღთქმის მიმზიდველი, ღვთიური სურნელისას.

გატონი რეზოს განვითარების არეალი უკიდეგანოა. მას შეუძლია ერთნაირი სიძლიერით ისაუბროს ისტორიაზე, მწერლობაზე, მხატვრობასა და თეოლოგიაზე. სიტყვა თეოლოგია პირველად პლატონმა ღმერთზე საუბრისას გამოიყენა. ღვთისმშობლის მიერ ხელდასმულ წმიდანზე საუბრობს გატონი რეზო, რომლისთვისაც ქრისტიანობა ღვთიური სიმშვიდისა და სულის ნეტარების სალბუნია. ავტორს კარგად ესმის ასტროლოგიური წიაღსვლა, რაც რელიგიური მრწამსით გაჟღენთილი სიუჟეტების ნათლით მოფენაში უწყობს ხელს.

მას ერთდროულად უპყრია ხელთ ფუნჯი და კალამი. მხატვრულად ფიქრობს და მწერლურად აზროვნებს: "არამიწიერ სევდას გადმოსცემდა ქვედა ქუთუთოების მკრთალი მონაცისფრო ჩრდილოვანება, ზომიერად ჩაზნექილი ლოყა, იდუმალებას მატებდა მათ ქედზე მიმალული ყვრიმალები და ურყევი ხასიათის გამომხატველი ოდნავ ნათელი მრგვალი ნიკაპი. გრძელი, მოთეთრო ყელი, თითქოსდა სამყაროს სიღრმეებიდან ეს-ესაა ამომზეურდაო", აი მეგობრებო, ეს უკვე მხატვრული ტილოა, სადაც "გული, გრძნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია".

ეს შედევრია მწერლურ-მხატვრული ჟანრის ნაწარმოებისა, თავის ორიგინალური თხრობის სტილითა და ესპანსიით, ნაწარმოები ერთი ამოსუნთქვით იკითხება, იგი გარდა მხატვრულობისა, ფსიქოლოგიურ ოქროს ძაფებს აბამს მწერლისა და მკითხველის შინაგან სამყაროს შორის და სურვილი გაქვს კითხვა ანთებული სანთლის ფონზე პირჯვრის წერით განაგრძო.

მწერალმა შესანიშნავად იცის თუ როგორ გაშალოს სიუჟეტი, შექმნას კულმინაცია და გახსნას კვანძი, ის ვიდრე წერას დაიწყებდა, პროფესიონალი მკითხველი იყო, ამიტომ მკითხველის სადავეთ მპყრობელი გატონი რეზო ორიგინალური მესაჭეა.

წმინდა ნინოს მადლი ფარავდეს მას, მის შემოქმედებას, მკითხველსა თუ თაყვანისმცემელს.

დუმილი სოფლის ბატონ-პატრონი!

როდესაც ვფიქრობ, რა არის გმირობა, როგორი ხასიათის მატარებელი უნდა იყოს ადამიანი, რომ ხალხმა გმირად შეგრაცხოს, ცოტა შიში მიპყრობს... მინდა გაგაცნოთ კაცი, რომელიც რაჭის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში ცხოვრობს. აქ მთელი წლის მანძილზე ერთადერთი ოჯახი ბინადრობს. ზამთრის სეზონი ოქტომბრის ბოლოდან იწყება და აპრილამდე გასტანს. საავტომობილო გზა თოვლით იფარება. მიმოსვლა მხოლოდ მარხილის საშუალებით შეიძლება. რაიონიდან სოფელი 30-კმ-ითაა დაშორებული. ოჯახის უფროსი შემოდგომაზე ზამთრის სამყოფ სარჩო-საბადებელს რომ მოიმარაგებს, მთელი ზამთარი გასცქერის თოვლიან მიდამოს და ფიქრობს: – შვილიშვილები ეზრდება... რა უნდა ქნას... არც ექიმი, არც სკოლა, არც არანაირი ცხოვრების პირობები, თუმცა იმაზე ფიქრი, რომ უკანასკნელმა მოჰიკანმა სოფელი უნდა დატოვოს, ტანში ზარავს, – არა, არა! – წამოიყვირებს ხმამაღლა და გარეთ გავარდება, დაკეტილ სახლებს გადახედავს, იდუმალი სიჩუმეა ირგვლივ... ბოქლომებს ეფერება, ყვირის და თავისივე

ექო ეხმიანება... ვანო ბაბუ, ბაბუ, რა გაყვირებს, გამოვარდნენ გარეთ ყინვისაგან ლოყებაწითლებული 4-6 წლის გოგო-ბიჭები, – ამას თქვენ ვერ გაიგებთ, შვილო, ჩაიხუტა გულში აცრემლებულმა ბაბუამ. მე სოფელს ვერასდროს დავტოვებ, აქ საფლავებიც და სახლებიც ჩემი მოსავლელია. სოფელს არ მოვკლავ, სოფელს კაცი სჭირდება, სანამ ცოცხალი ვარ, მე აქედან ვერავინ წამიყვანს, როცა აღარ ვიქნები, ნუ დამივიწყებთ, წელიწადში ერთხელ ეწვიეთ თქვენს ეზო-კარ-მიდამოს, თითოეულ ჩემ მიერ დანამყენებულ ვაზს ხელი მიადეთ და ჩემს გულის ფეთქვას იგრძნობთ. თითოეულ ხეს მოეფერეთ და ჩემი სითბო გადმოვა თქვენში. სოფელს მიხედეთ, ბაბუ. ნუ დააქცევთ აქაურობას, ევედრებოდა შვილიშვილებს ბაბუა ათრთოლებული ხმით და მუჭით აღებულ მიწას კოცნიდა. ვანო ბაბუს სახლის შორიახლოს ერთი ლამაზი, ორსართულიანი სახლი დგას. ოდესღაც ამ კერაზე ჟრიამული არ წყდებოდა, დღეს სამუდამოდ დუმს ყველაფერი, მაშო ბებო და გიგო ბაბუ დიდი ხანია გარდაიცვალნენ და ოჯახის შთამომავალთ ერთხელაც არ ჰქონიათ სურვილი მშობლიურ კერაზე სტუმრობისა. მათი მეტიჩარა შვილები და შვილიშვილები, ცხოვრებისაგან განებივრებულნი არაერთხელ აღნიშნავენ, ეგღა გვაკლია, იმ მიყრუებულ სოფელში დავისვენოთ, ჩვენ დასვენება კომფორტში გვინდაო, არც სააღდგომოდ ახსენდებათ მშობლების საფლავები, რომელიც ეკალ-ბარდითაა დაფარული, ეზოში კი მწვანე, ხასხასა ხავსია ფეხმოკიდებული. ბოქლომი ჟანგს შეუჭამია, აქაურობის ბატონ-პატრონი მხოლოდ დუმილია. ვანო პაპა კი დუმილის დაუძინებელი მტერი. სოფელი ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ვანო პაპა კი ამ განვითარების გმირი, ხოლო გიგო პაპას შვილიშვილები, ქვეყნის ტკივილი და უბედურება.

ციალა ხაჟალია-ანდრიაძე



* * *

...თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზეც ცხოვრობენ ჩვენი ნათესავები. ირაკლი მეგობრობდა რეზო და ვახტანგ ბოლქვაძეებთან. მათ სამეგობროში უფროსი რძალი ვიყავი და ამ ადამიანებისგან ბევრი სიკეთე მახსოვს... განსაკუთრებით ახლოს ვიყავით ჯენეტი და გოგი ქარაზანაშვილებთან. უზომოდ გვიყვარს მათი ღირსეული შვილები – გურამ და ლევან ქარაზანაშვილები ოჯახებით... ჯენეტი დღემდე ჩვენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელია. ჩემთვის, ასევე, დედმამიშვილებივით არიან ქალბატონები: ჟუჟუნა ნიჟარაძე, ლილი მგელაძე, შვილივით საყვარელი და ლიკა დგებუაძე-ზამბახიძისა, ჩემი დიანა ასათიანი, იზო ძულიაშვილი. უზომოდ მიყვარს ჩემი ნანა გაგუნაშვილი, ლილი და ჟუჟუნა ბოჭორიშვილები, ლამარა ქავთარაძე, თამარ ზამთარაძე, ნათელა ბობოხიძე, მანანა ფანჩულიძე, ნუნუ და ნანა ყიფიანები. ჩემი გულერი ჩხეიძე და დამანა მდივნიშვილი, ქალბატონი მიმოზა ცანავა, თამარ ცინცაძე, ლია კობახიძე, ლია ღადუა, ცაცა და ლერი დევდარიანები, ნელი ნადირაძე, ნუნუ მუმლაძე, ნატა სიდატაშვილი, ნათელა ისრაელაშვილი, ზაირა ჩანტლაძე, ნათელა ლოლუა, კლარა და ვალერიან ნატმელაძეები...

ჩვენი ოჯახისათვის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი ადამიანები არიან და იყვნენ დავით (ჯემალ) გაგუნაშვილი, გივი კვიჭიძე, ვილი გაბაშვილი, რეზო ტყემალაძე, ვახტანგ ცუხიშვილი, გივი, მერცია კაპანაძეები, გივი, დალი ანდღულაძეები, ჯუმბერ, ნათელა გოცირიძეები, ბუჭუ, გლები, ნოდარ და გურამ კოხრეიძეები, შოთა და ლეილა კრავეიშვილები, თამარ, ჟუჟუ, ლონდა, ლია ლეჟავები, სერგო ბალავაძე, ოთარ, ცისანა, ნათელა გეგუჩაძეები, ვახტანგ ბართაია, რეზო ლორთქიფანიძე, ჭიჭიკო, ცისანა (ვაშაკიძე-ლეჟავა), კოლია, იასონ, ჭოლა, თემურ, ბათუ, სოსო, მიშა, დემურ, ლია, გივი, დოდო ვაშაკიძეები, გივი, ირაკლი, თემურ, მირიან, შოთა, რუსიკო, დარეჯან, ბონდო, ვენერა, ხახუტა ანდრიაძეები, ნუნუ, რეზო კალანდარიშვილები, რაფიელ ნინიძე, კორნელი რამიშვილი, გაბრიელ ქართველიშვილი და სხვები...

გავიდა დრო. საცხოვრებლად ყიფშიძის ქუჩაზე გადავედით. კარგი მეზობლები იქაც გვყავდა. ნათქვამია: „ცუდი მეზობელი თვალის ჩინია და კარგი – რაღა იქნებაო“. დროთა ვითარებაში ბევრ ოჯახთან დავმეგობრდით. რა დამავიწყებს ბატონ გივი და დინა აბდუშელიშვილების უძვირფასეს ოჯახს (ან რა წაშლის ჩემს გულში იმ უსაშველო ტკივილს, რომელიც ჩემი დინიკოს გარდაცვალებით მივიღე), მანანა და ჯემალ ბერიძეების დიდ ოჯახს, მის შვილებსა და შვილიშვილებს. ლია და ჟიული შარტავების დარბაისელ და საყვარელ ოჯახს, ცისანა ჩიხლაძეს და ოთარ კიკნაძეს და მათ ონავარ ვასიკოს, საყვარელ ტატა და ნუგზარ ენდელაძეებს, თინა და ჯუმბერ პატიაშვილებს, ეთერ და ვიქტორ შარაშენიძეებს, ომარ სიამაშ-

ვილის, მურთაზ ქოიავას, ალეკო კოპაიძის და ჩემი ეთერ ღაჭავას და გურამ მებუკის ოჯახებს...

გარდა ამისა, ყიფშიძის ქუჩაზე უამრავი კარგი მეზობელი და ნათესავი გვყავს, ასე რომ, ძვირფასო ყიფშიძელებო, მაგ ქუჩაზე კენჭის ნატეხი რომ კენჭის ნატეხია, ისიც კი გვიყვარს!

საქართველოს კათჩლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II თავის ეპისტოლეებში ხშირად მიგვითითებს, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე ამ ქვეყნად ადამიანია. ღმერთი ადამიანს იმაზე მეტ ტვირთს არ აჰკიდებს, რისი ზიდვაც მას არ ძალუძს. იმასაც ხშირად გვახსენებს, ვინც ისწავლა მოთმინება, მან ყველაფერი ისწავლაო... უწმიდესი ასეთი შეგონებით გვეუბნება, რომ ღმერთი ჩვენთანაა, გაუხსენი გული და შენც მასთან მიდიო და დღენიადაგ შეგვაგონებს, რომ თავად ღმერთია სიყვარული!..

სამწუხაროდ, საზოგადოებაში არიან ადამიანები, რომლებიც საპირისპიროდ მოქმედებენ და დიდი ზიანი მოაქვთ ქვეყნისა და ხალხისთვისაც.

ალბათ, ამიტომაცაა, რომ ჩვენი საამაყო, ცოცხალი კლასიკოსი ჭაბუა ამირეჯიბი გვეუბნება „ქართველებო, იყავით ფხიზლად!“...

ხშირად ვერ ვხვდებით, ირგვლივ რამდენი ბედნიერებაა... რამდენი სიკეთეა ამდენ გაჭირვებასთან ერთად.

ძნელია უდედმამიშვილობა. ამაში დამერწმუნება ყველა, ვინც ჩემსავით დედისერთაა. თუმცა, ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემს ირაკლის ძმა, რძალი და ძმისშვილები ჰყავს (თავიანთი ოჯახებითურთ). ეს მეტად მნიშვნელოვანი შევსებაა ჩვენი ოჯახისათვის.

მათთან ერთად უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებიც გვერდით მედგნენ და მიდგანან დღესაც და არ მაგრძნობინებენ ამ დანაკლისს.

ღმერთო, გევედრები, კარგად ამყოფე ჩვენი ახლობლები და მათი შთამომავლობა, რომელთა შესახებაც ორიოდ სიტყვა მოგახსენეთ. ზოგი კი, მოკრძალების გამო ამ წერილში საერთოდ არ მიხსენებია, მაგრამ ჩვენს სულს ავსებენ და სიხარულს გვანიჭებენ.

წერილი ხომ მათდამი მადლიერების გრძნობით დაიწერა. მადლი კი, თავისთავად, რამდენადაც ვიცი, არ იზომება...

დედაჩემი

დედაჩემს ელენე ერქვა. იგი სიტყვაძვირი და დარბაისელი ქალი იყო.

ირაკლისა და მისი ურთიერთდამოკიდებულება ყოველთვის მაგონებს ბიზანტიელი მგოსანი ქალის, კასიას სიტყვებს „გიყვარს შექება? – იყავი ღირსი!“ ჩემს დედიკოს თავისი სიძე ძალიან უყვარდა და ყოველთვის დიდი მოკრძალებით გამოხატავდა მისდამი პატივისცემას.

მადლიერებით უნდა აღვნიშნო, რომ მას არც ირაკლი რჩებოდა ვალში.

არის ცხოვრებაში რაღაც ისეთი, რაც არასოდეს წაიშლება მეხსიერებიდან.

...დედა ცუდად გამიხდა. დავაწვინეთ ვანში, საავადმყოფოში (ნოდარი, ჩემი მაზლი, მაშინ ვანის რაიკომის პირველი მდივანი იყო). ვანელი ექიმების ყურადღების ქვეშ ორი თვე დავ-

რჩით. რა დამავიწყებს ნოდარის, ლამარას და პატარების – ქეთინოს და თამრიკოს საოცარ თანადგომას.

ასევე ფასდაუდებელია ჩვენი ოჯახისთვის ცნობილი ექიმი-ნევროპათოლოგის, პროფესორ ცოტნე ჩხიკვიშვილის ვანში ჩამობრძანება, რომელმაც მაშინ თავისი პროფესიონალიზმით დედას სიცოცხლე შეუნარჩუნა.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, ძვირფასო ადამიანებო, სიკეთისათვის!

...1989 წლის 21 იანვარს, დედაჩემი, ელენე გეგუჩაძე მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ აღესრულა.

იმ დღეს ირაკლის დიდი თათბირი ჰქონდა.

ბატონმა ჟიული შარტავამ დარეკა აღმასკომში ირაკლისთან და შემხვედრს უთხრა, რომ დედა გარდაიცვალა... სათქმელი თავმჯდომარემდე მიიტანეს.

შემდეგ მიამბეს, რომ ირაკლის ხელი უნებურად მაგიდაზე დაუჭერია. ჩემთვის უზომოდ პატივსაცემი, კაცური ცრემლი მოსდგომია თვალზე და შეწუხებულს, თათბირი დასრულებულად გამოუცხადებია.

დედის სიკვდილი, რა ასაკისაც არ უნდა იყოს მშობელი, ყოველთვის მწარეა შვილისთვის, მით უფრო, როცა ის დედისერთაა. ამიტომ არასდროს გავიწყდება ადამიანს ის პიროვნებები, რომლებიც ასეთ გასაჭირში მხარში ამოგიდგებიან და ტკივილს გიმსუბუქებენ.

თათბირზე მყოფთაგან ყველამ გაითავისა ჩვენი ოჯახის გულისტკივილი.

იმ უმძიმეს დღეებში გვერდიდან არ მოგვშორებიან ჩვენი ოჯახის უახლოესი პიროვნებები, ბატონები – **ნუგზარ ენდელაძე, ვიქტორ შარაშენიძე, ჟული შარტავა, გივი აბდუშელიშვილი,** ქალბატონები – **ირინა მიქაბერიძე, ლილი მგელაძე** და სხვები...

რა თქმა უნდა, მაშინაც დიდი მადლობა გადავუხადე და ახლაც ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ გამოვხატავ მადლიერებას მათ მიმართ...



ლევან ბაბუხადია



წერილი მეგობარს

ალბათ, არ გასულა არცერთი დღე, კვირა მაინც, რომ შენზე არ ვფიქრობდე, გონებაში არ გესაუბრებოდე, ბევრჯერ მინდოდა დამეწერა შენზე, ბოლოს წერილის მოწერა გადავწყვიტე.

და აი, როგორც იქნა, ვწერ. ვწერ შენთვის, ჩემთვის (ალბათ, სხვისთვისაც)...

მე უკვე სიბერეში შევედი, შენ ისევ ახალგაზრდა დარჩი. შენ ახლა ერთგვარ გზაგასაყარზე ხარ – რაც აქეთ იცოცხლე, ზუსტად იმდენი მანდ არსებობ (უკეთესი სიტყვა ვერ მოვძებნე ამ აზრის გამოსახატავად).

მწამს, რომ ეს იყო შენი ბედისწერა, ასე დაგიწერა შენი წერა მწერალმა, მაგრამ არ გაბრაზდე და პირდაპირ გეტყვი: შენვე შეუწყვე ამაში ხელი! არ ვიცი, შენთვის შეიძლება ასე ჯობდა, მაგრამ არა! შენ კიდევ უნდა გეცოცხლა, უნდა გეცხოვრა შენი დედისთვის, ცოლ-შვილისათვის, მეგობრებისათვის, სამშობლოსათვის. სწორედ ეს იყო შენი ტკივილი. შენ სხვანაირად, შენებურად გრძნობდი და განიცდიდი ყველაფერს, თითქოს თავს არ პატიობდი, რომ განსაკუთრებულს ვერაფერს ქმნიდი შენი საფიცარი ხალხისათვის. არადა, რა უნდა გექნა, შენც ჩვეულებრივი მოკვდავი იყავი. სწორედ ეს არ გინდოდა, კი არ გინდოდა, მართლა არ იყავი ჩვეულებრივი. შენ მეტი იყავი და სწორედ ამიტომ მეტად ასკდებოდი საკუთარ გულს, ირონიით დასცქეროდი შენს ზორბა სხულს და ავბედითი ბედის მწერალს იქით ეხმარებოდი.

იმ დღეს სამსახურში რომ მივედი, გაბმულად რეკავდა ტელეფონი. მართლა თავზარდამცემი ამბავი მითხრეს ყურმილში.

მორგში მივვარდი. აი, სწორედ სამარისებული სიწყნარე იქ იდგა. ვერაფერი გავარკვიე. ცივ კედელს ვაჭერდი გახურებულ შუბლს. მერე მე გამოგასვენე მორგიდან. სველი თმები, შენ რომ გიყვარდა ხოლმე. ისე გქონდა ლამაზად გადავარცხნილი. სანთელივით ფერმკრთალ სახეზე ჩუმი ღიმილი შეგრჩენოდა. ხომ იცი ჩემი „სუსტი გულის“ ამბავი, თვალთ დამიბნელდა და კინაღამ დამივარდა საკაცე ხელიდან.

თბილისში თოვლი იდო. დასავლეთით გზები იყო ჩაკეტილი, შენებს დააგვიანდათ ჩამოსვლა. აქაურებმა ქალაქში დასაფლავება გადაწყვიტეს. იმ დღეს დედაჩემი ჩამოვიდა ჩვენს მოსანახულებლად. სანამ საკუთარი დედა დაგიტირებდა, დედაჩემმა დაგიტირა გულწრფელი მოთქმით.

საღამო ჟამს შენი უმცროსი ძმა, ამირანი და შენ სიძეები ვახტანგი და ზურაბი მოცვივდნენ. ამირანმა, რომ გაიგო შენი აქ დასაფლავების შესახებ, ხეს ურტყა თავი. მახსოვს, როგორ ზანზარებდა ამხელა ხე ამხელა ვაჟკაცის შუბლის ხეთქებით.

ვინ ამოიღებდა ხმას, დაგტაცეს ხელი და ეზოში ჩამოგიტანეს. რამდენიმე წუთი ძლივს მოვაცდევინეთ და სასახლეც მოიტანეს. იქვე გადაგასვენეთ შენს საბოლოო სამყოფელში. ჩემი ძმა, გივი შეხტა მანქანაში და გამოყვა...

შუაღამისას, საახალწლოდ, შენს ოცდამეათე დაბადების დღეს დიდი ვაი-ვაგლახით, ზარით, ტირილით, გმინვით მიგასვენეს შენს მშობლიურ, ლამაზ სოფელში, ძირულის პირას მდგარ მამისეულ სახლში. ძნელია წარმოიდგინო დედაშენსა და შენი და-ძმების მაშინდელი მდგომარეობა.

გასვენების დღეს შენ ხუთსოდე წლის ბიჭი მე მივიყვანე შენს ცხედართან. განწირულად ღრიალებდა პატარა და მჭიდროდ მეფსკვნებოდა კისერზე.

ორმოცის სუფრაზე, ჩემდა მოულოდნელად, თამადად დამაყენეს. ალბათ, ეს იყო ერთადერთი სუფრა, სადაც თამადამ ყველა სადღეგრძელო ტირილით თქვა. ტირილით – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ხალხი რომ აიშალა, ჩუმად გამოვედი. შენს ნაკურთხ ლოგინთან მივედი და შენს ღიმილიან სურათთან დავდე შენი საფლავის საეპიტაფიო ლექსი. არ ვიცი, ნახა და წაიკითხა თუ არა ვინმემ იგი, თუ ასევე უჩუმრად დაიკარგა ამდენ რია-რიაში.

მერე იმ ლექსის მოკლე ვარიანტი წიგნშიც შევიტანე და ახლაც მოგწერ.

ეპიტაფია
ბეჟან ხარაიშვილის საფლავზე

მე დავიღალე ცხოვრების როკვით
და ბევრნაირად გარდავიცვალე,
მერე ყველასთვის ერთბაშად მოვკვდი,
თქვენ ჩემთვის ვერვინ ვერ მოიცალეთ.
რა უსაშველო ბედი მრგებია,
ბევრი სათქმელის თან გამყვა ცეცხლობა...
„პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და
პოეტები ყველაზე დიდი ხნით ცოცხლობენ“

ნამდვილად ასე იყო: ჩვენ შენთვის ვერავინ ვერ მოვიცალეთ. ეს გამოუსწორებელი არმოცლა, შეცდომა თუ დანაშაული დღესაც შავი ჯანღივით მაწევს გულზე.

ახლა ჩვენს საერთო ყოფაზე და ვითარებაზე ვიტყვი მოკლედ. თუმცა, რაც ამ 20-30 წლის განმავლობაში მოხდა, ამის აღწერასა და შეფასებას მომავლის ტომები დასჭირდება.

ერთი თვალის შევლებით, თითქოს ყველაფერი ძველებურადაა. ეგ არის, ცხოვრება, გაუმჯობესების ნაცვლად, უფრო გაჭირდა და გაუარესდა.

მოხდა დიდი პოლიტიკური კატაკლიზმა – დაინგრა საბჭოთა კავშირი. ამ ნანგრევებში ყველაზე პირველები ქართველები მოვყევით, მაგრამ სხვათა შორის საქართველოც გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. თუმცა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობის ქვეყანა არც ახლა გვაქვს და ალბათ, კიდევ დიდხანს არ გვექნება ქართველებს.

აღსდგა და აღზევდა ეროვნული სულისკვეთება. გაცისკროვნებული სახეებით გადაიჭედა თბილისის ქუჩები. მაგრამ ესეც დროიებითი გამოდგა. ისევ პესიმიზმმა დაისადგურა უმრავლესობაში.

გადავიტანეთ რამდენიმე სამარცხვინო ბრძოლა და ომი ე.წ. აფხაზეთსა და ოსეთში და თბილისშიც კი. თბილისში ვიღას ეომებოდითო? – მკითხავ და გიპასუხებ: ერთმანეთს... ერთმანეთს დავერიეთ და დავანგრიეთ ჩვენი სათაყვანებელი რუსთაველის პროსპექტი.

აშენდა ბევრი ეკლესია-მონასტერი. ხალხმა უმატა ეკლესიაში სიარულს, მაგრამ ღმერთმა მაპატიოს და ჩემი გადმოსახედიდან თვითონ რწმენას და სარწმუნოებას ბევრი არაფერი შემატებია.

აი, ამდენი რამ მოხდა და ძირეულად არაფერი შეცვლილა. ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა ჩვენს გარდასაქმნელად, მოსანანიებლად და ყველაფრის გასააზრებლად. საუკუნეობით დალექილ ცოდვას რამდენიმე წელიწადში ვერ გადაარჩევ.

ახლა მთავარია სწორ გზაზე დავდგეთ და ვიაროთ მხნედ.

მაგრამ იმედი ჩაისახა და ოცნება ხელმისაწვდომი გახდა.

ისე არ გამოვა, ცოტაოდენი ცოცხალთა შესახებაც თუ არ მოგწერე.

კარგი კაცი დადგა შენი ბიჭი, ეს გენის გარდა, ნელის დამსახურებაა. რა გასაკვირია, რთული გზა განვლო, მაგრამ კარგი ცოლ-შვილი ჰყავს, აფასებს წარსულს და რწმენით უყურებს მომავალს.

მრავლდება შენი მშობლების ნაშიერი და სხვებთან ერთად ისინიც აგრძელებენ ტკბილ-მწარე ცხოვრებას.

ყველას ახსოვხარ და ეამაყები.

ახლო მეგობები: ლექსო დაგვეკარგა თვალსაწიერიდან, ათიოდე წლის წინ მოვძებნე, ერთხელ ვნახე და სულ ეს იყო. ადრეც ხომ რთული ყოფა ჰქონდა, მერე სულ არევია დავთარი. ციცო და ვახო პროფესორები გახდნენ, ანა მორწმუნე ლიტერატორი, თინიკო დეკანი. ნუგზარი და მე ნამეტანი დავძმაკაცდით და ხშირად ვამბობთ შენს შესანდობარს. გივი სოფელში გადასახლდა.

მე ისევ ვწერ, ძირითადად პროზაზე გადავედი და ერთი-ორი წიგნიც გამოვეცი. წიგნი ვახსენე და ეს რომ არ ვთქვა, ალბათ „სვა რამეში“ ჩამეთვლება – პირველი შესაძლებლობისთანავე გამოვეცი შენი ლექსების პატარა კრებული „სადღეგრძელო“. ვალდებულად ჩავთვალე თავი და ამაში თავმოსაწონი არაფერია, პირიქით, მრცხვენია, რომ სათანადოდ ვერ მივხედე შენს შემოქმედებას და შენს ოჯახს.

თავს ვიკავებ და მანდ წამოსულებზე არაფერს ვამბობ, მათ შესახებ, ალბათ შენ უკეთ უწყი!

ჩვენი ერთობლივი მოგონებებიდან მხოლოდ ერთს გავიხსენებ ამჯერად. ერთხელ, შუაღამისას, მთაწმინდის პანთეონში ვართ ასულნი. კმაყოფილი იყავი, შენი რომ გაიტანე და მაინც ამოგვიყვანე. აკაკის „განთიადი“ წაიკითხე... ფოთოლივით თრთოდა შენი ჩახლეჩილი ხმა ამ მიწიერ სიმყუდროვეში. ილიას საფლავის წინ, ძელსკამზე ვისხედით და მოწიწებით ვსაუბრობდით. ღამენათევსა და ნაღვინევს შეუმჩნეველად ჩაგეძინა და მალე ფშვინვა ამოუშვი. თავიდან გავბრაზდი, ამ წმიდა საუფლოში ხვრინვა როგორ შეიძლება-მეთქი. მერე პატარა ეშმაკი მეც შემიჩნდა, წამოვდექი, დარაჯის ქოხში ბარნიჩაფი მოვძებნე და იქვე, იმ ძელსკამთან მიწის თხრა დავიწყე – თავის დროზე ამას აქ არავინ ამოიტანს და ბარემ აქვე დავმარხოთ-მეთქი. ამ კომუნსტის გვერდით დასამარხად როგორ გამიმეტეო! – შარი მომდე შენ. მაგ კომუნსტს მალე აქედან მიაბრძანებენ და მშვენიერი ადგილი დაგრჩება-მეთქი! – დაგაიმედე.

რომ ვკამათობდით, მთაწმინდაზე ახალი ადგილები აღარ არის-თქო, ბევრი ადგილიც გამოჩნდა და ბევრმა ღირსეულმაც დაიდო აქ ბინა.

მთაწმინდაზე დაკრძალეს მერაბ კოსტავა და მოგვიანებით ზვიად გამსახურდია, პარიზიდან გადმოასვენეს ქაქუცა ჩოლოყაშვლი, მზიურიდან ამოასვენეს ნოდარ დუმბაძე, აქვე ჰპოვეს სამუდამო განსასვენებელი შენმა საყვარელმა მწერლებმა ანამ და მუხრანმა და ბოლოს ჭაბუა ამირეჯიბმა.

აქ უნდა შევწყვიტო წერილი! ფიქრი და საუბარი კი ძალაუნებურად გაგრძელდება. რომ გითხრა ახლა, მალე მოვალთქვა! – გული ამიჩუყდება. ჯერ აქაური მეგობრები მყავს დასაბინავებელი. ამ შემთხვევაში დროს მნიშვნელობა არ აქვს, მოვალ, აბა სად წავალ!


ჯონი შავლაყაძე
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი



იცით თუ არა

რომ ისტორიამ იცის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ცნობილი მეცნიერი იმავდროულად ცნობილი ხელოვანიც იყო?

რომ თბილისში ცხოვრობს, მოღვაწეობს და დღეგრძელობს ქართველი პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი, ხუთი პოეტური კრებულის ავტორი, მთარგმნელი, მსახიობი, კომპოზიტორი, მომღერალი, მუსიკოს-შემსრულებელი, მხატვრული კითხვის დიდოსტატი, გურამ საღარაძის სახელობის კონკურსის „მხატვრული კითხვის დიდოსტატების“ გამორჩეული დიპლომანტი, ანუ ხელოვანი, რომელიც პროფესიით სამთო ინჟინერი შახტმშენებელია, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მეცნიერ-გამომგონებელი. იგი მოსკოვის 1975 წლის შახტმშენებელთა საკავშირო კონკურსის ერთადერთი მონაწილეა ამიერკავკასიიდან დამოუკიდებელი მეცნიერული ნაშრომით და ამ კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებულიც (ჟურნალი „Шахтное Строительство», Август 1976 г. Москва)?



მზია მარიამიძე, გურამ ჭავჭანიძე
და
შვილიშვილი ვერიკო ჭავჭანიძე



ნიკა შავლაყაძე,
ჯონი შავლაყაძის შვილიშვილი. იქნებ და დაებედოს 88 წლის თბილისის ტრუბადურისაგან პატარა ნიკას ოპერის მომღერლობა, ისე, როგორც დაებედა ზურა სოტკილავას.

რომ ცნობილმა ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ, გიორგიანელთა გალერეის დამფუძნებელმა გვანჯა მანიამ, შექმნა ამ პიროვნების, გიორგიანელთა გალერეის ერთ-ერთი გმირის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ბანერი, რომელიც თარგმნილია უცხო ენებზე და ექვემდებარება საერთაშორისო აღიარებას?

რომ ეს პიროვნება „თბილისის ტრუბადური“, მწერალთა კავშირის მიერ „ღვაწლმოსილის“ წოდება მინიჭებული, იოსებ გრიშაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, საზოგადოება „ხონელის“ საპატიო წევრი, ღირსებული პიროვნება და მოქალაქე, ბატონი გურამ გრიგოლის ძე ჭავჭანიძე 2020 წლის 30 იანვარს 88 წლის შესრულდა. მას ჰყავს არაჩვეულებრივი ქალ-ვაჟი.

ბორის მიშველაძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ლიტერატურული მოზაიკა



„ათინათისა“ და „ანთოლოგიის“ საახალწლო ელვარება

ამ დიდებული წიგნით (ჟურნალს ვერ ვუწოდებ) დიდი ხანია მოხიბლული ვარ. რატომ? ამ კითხვაზე პასუხი – უფრო ქვემოთ. არათუ ჩემი, არამედ მრავალათასიანი მკითხველის აზრით **„ათინათთან“** ერთად ამ **„ანთოლოგიის“** ბადალი დღეს არაფერი მეგულება. არ ვაჭარბებ, ბევრჯერ შემიფასებია იგი და გზადაგზა ზოგი რამის გამეორება მომიწევს.

„ანთოლოგიის“ მთავარი მახასიათებელია მისი **ენციკლოპედიურობა**. ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროა მაღალპროფესიულ დონეზე წარმოდგენილი, გარდა პოლიტიკისა. დიდი გაქანების ორგანიზატორ-რედაქტორმა, თავად ჩინებულმა პოეტმა, **გულნაზ ხარაიშვილმა** ავტორებად აკადემიკოსების, მწერლების, ხელოვნების მუშაკთა ბრწყინვალე ელიტა შემოიკრიბა. აი, თუნდაც თემატიკურ რუბრიკას გავეცნოთ: **პოეზია, პროზა, ხელოვნება, საბავშვო განყოფილება, თარგმანები, ბიბლიოთეკა, მეცნიერება, შემეცნებითი სამყარო, განათლება, ამგდართა არდავიწყება, მედიცინა და სხვა.**

ახლა **„ანთოლოგიის“** მხატვრულ-ესთეტიკური მხარე, მისი პოლიგრაფიული დონე? – „რა გიამბოთ ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა.“ მარტო ის რად ღირს, რომ დღეს უსიცოცხლო რობოტიზაცია-კომპიუტერიზაციამ **„ანთოლოგიას“** მკითხველები ვერ დაუფრთხო, პირიქით, მოუმრავლა.

„ანთოლოგიის“ დანიშნულება უპირატესად მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების, კერძოდ, მწერლობის წარმოჩენაა. ბუნებრივია, აქ მწერლობის ხვედრითი წილი დიდია. როგორ მინდა სახელგანთქმული მწერლები ყოველ ჟანრში ჩამოვთვალო. იმდენია, ვერ ვბედავ, ერთს დავასახელებ, მეორე გამინაწყენდება. და მაინც: **მუხრან მაჭავარიანი, რეზო მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი, ერეკლე საღლიანი, გურამ გედევანიშვილი, ნაირა ნიჟარაძე...** აი, ვისი სახელები ამშვენებენ „ან-

თოლოგიას“. მკითხელს ვთხოვ, ერთი გამონაკლისი დავუშვა. ამის ნებას მაძლევს შემდეგი: ჯერ ერთი, ქალია, მეორე – საოცარი ბიოგრაფია აქვს, მესამე – კარგი პოეტია. მკითხველი მიხვდა, რომ იგი გახლავთ გულანთებული პატრიოტი და დიდი რედაქტორი **გულნაზ ხარაიშვილი.**

აი, მხოლოდ ორიოდე ნიმუშს მოვიტან მისი შემოქმედებიდან:

ლექსი ეძღვნება კაც-ლეგენდას, **ჯუმბერ ლეჟავას.**

აკადემიის წევრების ფიცი

რამდენი ლექსი გიძღვენით, მაგრამ
სიტყვა ვერა ვთქვით შენი საფერი.
ვეფერებოდი შენს ჯიშს და ნაგრამს,
კვლავ ბევრი დაგვრჩა ისევ სათქმელი.

შენი სახელის უკვდავებისთვის,
სიცოცხლის ბოლო წუთსაც განაცვალებთ...
კვლავაც ვიბრძოლებთ იდეებისთვის,
არ მოვდუნდებით, წუთს არ გავაცდენთ.

თაობებს შევკრებთ დარუბანდამდე,
ნაბიჯს ავაწყობთ ნიკოფსიიდან,
ვიბრძოლებთ ცაში წასვლის ვადამდ
და არ ამოგშლით ჩვენი სიიდან.

მეორე ლექსი:

წერტილი დავსვი

სიკეთეს ვთესავ, არა ვარ მგელი, წამწამებში მაქვს ცრემლი მოჩრილი,
ჩემი გულია ხასხასა ველი, რწმენით ვარ მუდამ უფლის მორჩილი.
ჩემი გულია სიკეთის ხიდი და მოლივლივე ზღვის ტალღის მსგავსი.
ჩემი გულია წყნარი და მშვიდი, ქედმაღლობასთან წერტილი დასვი.

აი, ქალბატონ გულნაზის სულიერ-ზნეობრივი კრედო და პორტრეტი. არც საბავშვო პოეზიაში ჩამოუვარდება იგი ვინმეს.

„ანთოლოგია“ „მზრდელია ყრმათა“ იაკობის „დედაენის“ დარად, დამკვალიანებელია ნორჩ **„ათინათელთა“** ნიჭისა. „ათინათსა“ და „ანთოლოგიაში“ ამ სფეროს ნაყოფიერად უძღვება თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბი **„მთიები“** დამსახურებული პედაგოგის **ლამარა გერგედავას** ხელმძღვანელობით. მოვუწოდებ ყველა სკოლას, ჩამოაყალიბოს კლუბი „ნორჩი ათინათელები“. **„ათინათთან“** ერთად **„ანთოლოგია“** გახლავთ განათლების მუშაკთა, მასწავლებელთა თანამდგომი და სახელმძღვანელო.

კიდევ რა ვთქვათ? სათქმელის მეტი რა არის, მაგრამ სიბრძნის ოკეანეში დაკარგვის მეშინია. არც ჩვენი გაზეთის ფორმატი მაძლევს ამის საშუალებას.

აი, „ანთოლოგიის“ დიდი ღირებულება და ელვარება. ელვარება და ნათება საახალწლოა, რომელიც მთელ წელიწადს შუქურად გაჰყვება.

შარშან ანთოლოგიის VIII ტომის მიმოხილვისას სათაურად მივეცი: „ათინათის“ შენაკადთა კრებული მზესხივოსანი“. IX ტომიც ასეთია: „ათინათის გაზრდილია, მისი ძუძუ უწოვია“, „მას „ათინათში“ უდგას ფესვები, როგორც წყალში დგას წნორის ძირები.“

„ათინათის“ ბოლო, მე-4 ნომერიც ბრწყინვალეა, ბარაქიანი, ძარღვიანი. მაღალ დონეზე განიხილეს იგი მწერალთა კავშირში. ამჯერად გაზეთის ფორმატის გამო არ გვეძლევა საშუალება მასზე ვრცლად მსჯელობისა. მაინც შევეცდებით ორიოდე სიტყვით.

ერთმა კოლეგამ მისაყვედურა, სულ აქებ, კრიტიკა არა ჩანსო. ეჰ, ჩემო იმანო, საქმის კეთებაა რთულზე რთული, თორემ შენიშვების მიმცემი კვახჭირიდანაც მოვა.


„ათინათი“ და „ანთოლოგია“ იმხელა დიდ საქმეს აკეთებს, ზოგიერთი ხარვეზი რა მოსატანია. ილიას სამების – „ენა, მამული, სარწმუნოების“ დაცვა-გაძლიერებას არის შეჭიდებული. ნიჭიერთა აღმოჩენა-ხელის შეშველებას ცდილობს, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების... აყვავებაზე ზრუნავს, რომ საქართველოს სახელი შორს „გასტყორცნოს, გააჯირითოს.“

მოდით, მკითხველის მოტივაცია-დაინტერესება-მოზიდვის მიზნით ასეთი სათამაშო შემოვიღოთ: „მოგზაურობა „ათინათ-ანთოლოგიის“ სამყაროში.“ ამჯერად „ათინათის მე-4 ნომრის მაგალითზე ვცადოთ: ეძიეთ, ვის კალამს ეკუთვნის შემდეგი სათაურები და ფრაზები, მოგეწონათ? დაიზეპირეთ! პოეზია – „მენატრება სტრიქონები, შენი ნაკარნახევი“, „მოწკრიალე ფანდურებო“, „მტკვარი სევდას აქარვებდა დუდუკით“, „ჰიმნი სამშობლოს“, „დავით გარეჯი საქართველოა“, „გონიოსკენ“, „მცირეს ამწევი მირჩევნის, ალალმართალი ვინც არის“, „თუ სამშობლოს დავკარგავთ“, არ დავიწყება მოყვარეთა: „ეს ცხოვრება“, პროზა: „ბეღურა გემის ანძაზე“, „პაემანი სიკვდილთან“, სულის უკვდავება: „სიკვდილო, არ მოკიდო ხელი!“ ოჯახური ურთიერთობები: „მასწავლებსაც ჰყავთ მასწავლებელი“, ხელოვნება: „დიეგო ველასკესის ფერწერა“, ისტორია: „მარაბდა“...

როგორც მკითხველი, დიდ მადლობას მოვახსენებთ რედაქციის ყველა თანამშრომელს, პასუხისმგებელ მდივანს, განყოფილებათა რედაქტორებს, რედკოლეგიის წევრებს, ყველას – „დიადი საქმის ასაშენებლად პატარა კენჭი ვინც მიიტანა“.

ამ წერილს ჟურნალისტი ასე დაამთავრებდა: „ათინათი“ № 4 და„ანთოლოგიის“ IX ტომი შობა-ახალი წლის კვირაძალზე უძვირფასესი საუნჯე და საჩუქარია მადლიერი მკითხველისათვის. დიდ დღესასწაულებს ვულოცავთ „ათინათისა“ და „ანთოლოგიის“ ყველა მუშაკს!

ნიკოლოზ გაღაშვილი



5 სთ.
სულის უკვდავება –
ეძღვნება დე-გულნაზ ხარაიშვილს და დას – ნინო უძილაურს...
არ დამაძინა უხილავმა დარდების მეფემ, და გავეშურე სულის ხილვის, დიად სავანეში, და ვფორიაქობდი რა მემართება – არადა, ცხადივ ვხედავდი,
დეს, არ უთხრა რომ აქ ვარ – ჩამისიყვარულა გელამ, არაფრის დიდებით არ გამთქვა, ცოდვაა, დაეწვება გული – სული ეტკინება...
;– არა, ძმაო არც გამიფიქრებია, რომ ვუთხრა...
;– ეგ ვინ არის, შენთან ერთად რომ მოვიდა..
– ეს ნინოა – პოეტია – მართლა ისე მოხდა რომ და-ძმობა შევფიცეთ..
;– ჩემზე ხო არაფერი იცის!
;-არა, არაფერი, მართლა არ გჯერა თუ რა – ისედაც ვერვის ვაჯერებ ჩემ სიმართლეებს, შენი და ალიკას გამოცხადება, მარტო ჩვენ სამმა ვიცით,

:– კარგი დროზე წავიდეთ, რამე არ იგრძნონ, თან ხომ იცი ალიკა გველოდება, თუ გინდა მე წავალ...

:– არა, დარჩი, მოვუსმინოთ კარგი განცხრომაა, თან რა კარგად მღერის და უკრავს გიტარაზე მამა მერაბი, რეზო მიშველაძის საუბარი კი მართლაც რომ დიდი უნივერსიტეტია, აქ გელამ შემაჩერა და ჩამჩურჩულა – ეგ ხომ არჩილის მამაა, ჩვენთან რომ მოდის ხოლმე .. :ხო, რაღაც იგრძნეს, გაჩერდი ნუ მესაუბრები – მერე გაიგებენ აქ რომ ხარ და მე დამბრალებენ... ერთი ამოხვრით ამოვისუნთქე..:



:- რა იყო დე, ცუდად ხომ არ ხარ – მომაჩერდა დე – გულნაზი..

:- არა დე, ღვინოს დავლევ მეთქი, ესღა მოვახერხე და დავეწაფე ღვინის სავსე ჭიქას...

გელამ: – ბევრი არ დალიო, ხო, იცი საღამოს ერთად უნდა ჩავსხდეთ..

მამა მერაბის სიმღერაზე,ნინომ სიმღერა დაიწყო და უეცრად დე-გულნაზი მისკენ წავიდა და გულში ჩაიხუტა .. ხო ნინომ თავისდაუნებურად წარმოსთქვა: – კი 27 აპრილსა ვარ დაბადებული, დედა გენაცვალოს შვილო, ჩემი გელაც 27 აპრილსაა დაბადებული ...

მე და გელა გაოგნებულები ვიდექით,

ლამზირა, დე – გულნაზი და ჩემო ახლად გაცნობილი და ნინო კი ერთმანეთს ცრემლმორეული სითბოთი ესათუთებოდნენ –

:– წავედი, მე სახლში დაგელოდები გამომძახა გელამ და ოთახში ერეკლე საღლიანის შემოსვლის დროს, გელა წავიდა – მე ცრემლი გამიშრა სახეზე და მათ, რო არ გაეგოთ ჩემი უნებური დაბნეულობა, ღვინის ჭიქა ავიღე, ამოვილუღლუღე და ღვინის ჭიქა დავდგი... სანთელი ქრებოდა და სულის უკვდავების საიდუმლოს ერთი ფიქრით ვინახავდი, როცა მარტო დავრჩებოდი და ცრემლებად დავიღვრებოდი,

არაფერზე აღარ ვფიქრობდი და ღამეც აღ მეძინებოდა .. გელა და ალიკა იგვიანებდნენ -- დილა თენდებოდა. წმინდა ნინოს ნათელი სახე, ჩემ სულს და რაღაც ამოუცნობ სიხარულით

ათრთოლებდა... თითქოს მესმოდა გელას ძახილი რომ ის მალე დაბრუნდებოდა და არჩილი, მე, ალიკა და გელა ისევ ერთად ვიქნებოდით –
ამ ღვთით მომადლებულ ნიჭს კი მე ყოველთვის გავუფრთხილდებოდი და ცივ ნიავსაც არ გავაკარებდი... –

არ დამძინებია

– არ დამაძინა ამ უთაცბოლო ცხოვრების საზრუნავმა და შუა ღამით კარებზე კაკუნი, ალბათ ეს ქარია მეთქი მაგრამ მომესმა ხმა – სად ხარ, გძინავს – კარები გავაღე და აფორიაქებული გელა შემოვიდა, ცოტა გაბრაზების ხმით დამიწყო საუბარი..



მარცხნიდან მეორე **გელა სხირტლაძე** ლესელიძის სამხედრო სასწავლებელში ყოფნის პერიოდში

:– რა არის, ერთხელაც რომ არ რეკავ დედასთან, ხო, იცი ისევ ის გადმოგირეკავს, მოგიკითხავს, შვებას მოგვრის და დაგლოცავს. თავი დავხარე, მართალი იყო გელა, მან კი გააგრძელა საუბარი, ნუთუ ვერ ხვდები როცა სულიერ სიმარტოვეს და მოგეძალება რომ სიცოცხლე დაასრულო, მაშინ გირეკავს დედა, ან რატომ არ უფიქრდები მისი დიდი გულის წყალობითაა, რომ შენ ნაგვის ბუნკერში არ იქექები -აქ კი ყელში ბურთი გამეჩხირა და ცრემლები მომერია, ნუთუ ვერ ხვდები შენ, ხარ წრფელი გამტარი დედას და ჩემს შორის, მიწასა და ზეცას შორის. – მომიახლოვდა და "ხო ცოტა გადავაჭარბე და შუბლზე მაკოცა, ეს კოცნა დედას გადაეცი, და უთხარი რომ მან 10, 20, და მრავალი წელი უნდა იცხოვროს, თუ სურს რომ მე ბედნიერი ვიყო – ალიკაც შემოვიდა – ორი კაცის სტუმრობამ და რაღაც უეცარი ისტერიით, თავი ვერ შევიკავე და საწოლზე ჩამოვჯექი...
გელამ, რა იყო ცუდად ხომ არა ხარ, ალიკამ კი ჭიქით წყალი მომიტანა და სულმნოუთქმელად დავლიე, ამოვიოხრე – გელა წამოდგა, თენდება და ჩვენი წასვლის დროააო ალიკას გადახედა,

ხო წავიდეთ, დანანებით თქვა ალიკამაც და ერთი ეს მითხრა, დედაჩემი მომიკითხე, დაამშვიდე, იცოდეს რომ მე არაფერი არ მიჭირს, თავს გაუფრთხილდეს, ნუ ტირის ...
დარჩით, ცოტახანს – გელამ წამომაყენა და გადამეხვია – ეჰ, ძმაო ჩვენი ნება, რომ იყოს დავრჩებოდით მაგრამ ....



მარცხნიდან პირველი **გელა სხირტლაძე**
თავისივე სახლის აივანზე გადაღებული სურათი

თვალები გამიშტერდა. მზის სხივი ოთახში აირეკლა და ცრემლი მომერია, ხო, მეც ხომ უნდა მეტირა კაცური ცრემლით და იმ უნებლიე შეცდომების გაიმისობით, რაც ჩემი ცხოვრების ლაზღანდარობასა და ბავშვურ სიანცით დამემართა..



მივიჩქაროდი დედასთან და დასთან, რათა ჩემი ძმების სურვილი გადამეცა, ის საურვილი, რომ ადამიანური ყოფის ბედნიერება – ნაცრისფერ სამყაროს კედლებში მხოლოდ და მხოლოდ იყო საკუთარი თავის სისპეტაკის აღმოჩენა და სხვისი ტკივილის გასათუთება და დე, გულნაზიც ხომ ამით მამხნევებდა.

* * *


გუშინ მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში მიძღვნილი დიდი ამაღლებული პოეტის და პიროვნების ბეჟან ხარაიშვილის აკადემიური საღამო ჩატარდა. გაიმართა 29 წლის გარდაცვლილი პოეტის წიგნის: მრავალჟამიერი"-ს წარდგენა. ამ საღამოს ხელმძღვანელობდა დეგულნაზ ხარაიშვილი {რომელიც ასევე პოეტი და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადენიის პრეზიდენტი და ჟურნალ "ათინათი"-ს რედაქტორი გახლავთ}. საღამო გავიდა სულთა ფერებაში, იანვრის დასევდიანებულ დღის ღონისძიებას ნაღველით და სევდით და პოეტ-ადამიანის ბეჟან ხარაიშვილის დაწერილ-აჟღერებულ ლექსების ფონზე, მეგობრობის, ძმობის გახსენებაში – პოეტ ლევან ბაბუხადიას და ფილოლოგის ტიტე მოსიას მოხსენებაში და რეზო მიშველაძის მოგონებებში, რომლის სტუდენტიც გახლდათ პოეტი ბეჟან ხარაიშვილი. მე მარადიულ კითხვებს ვეძიებ და ვპოულობ, იმ სიამაყეს და უკვდავებას, თუ როგორი მრწამსით, კაცობით უნდა იცხოვრო და იღვაწო ამ წუთისოფლის ოღრო-ჩოღრო გზაზე. პოეტი დე-გულნაზ ხარაიშვილი ყველა მოწვეულ სტუმარს, რომლის კრედო – ადამიანების მოფერებისა და უფლის მომადლებული ნიჭით ათინათებს თითოეულ შემოქმედს, მის სულთა ფერებაში, ცრემლიანი გულდაწყვეტილობის მიუხედავად ღიმილი და გახარება ესათუთებოდა და მინდა დე, ასეთი ღიმილები დიდხანს გქონდეთ, ჩვენ კი შენი დიდი – პატარა სულიერი შვილები, ბევრჯერ გასახელებთ და გაგანებივრებთ ჩვენი ნიჭით და ზრდილობით...



ბეჟან ხარიშვილის პორტრეტი შექმნა მხატვარმა ალექსანდრე ციხელაშვილმა.

* * *

დღეს ამაღლებაა – მისი მადლით გავკადნიერდი და ამაღლების ეკლესიის მამა ამირან ამირანაშვილის შესახებ მინდა მოგიყვეთ, წლების წინ, ერთ-ერთ წვეულებაზე გავიცანი და რამხელა შთაგონება წამოვიდა მისგან, როცა თავისი სიმღერით წარსდგა პუბლიკის წინაშე, გავოცდი, მერე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიან მეცნიერებათა აკადემიაში, უკვე ლიტერატორულ ღონისძიებებზე, მისი მეოხებით მიმდინარეობდა ლოცვები და უფრო ახლოს გავეცანი, მე, მორიდება, და ნამეტანი თავაზიანობა მქონდა, მან შემომხედა, ამოიხრა და მეტი სითამამე მომცა, მერე მეც მეტი რა მინდოდა და ერთ ჩემს ფილმზე მივიწვიე, სხვათაშორის დალოცა, ახალგედა მსახიობი, ალექსანდრე ზაზარაშვილი, რომელმაც უკრაინის სიმღერის კონკურსი და სხვა ქვეყანაშიც წარმატებას მიაღწია, ვუცქერდი მამაოს და წარმოვიდგენ-დი ჩემ სულის ნაცოდვარ ფილმებში, მეფედ, თუმცა მეფე ერეკლე ჰქონდა ნათამაშევი თეატრის სცენაზე, მის პოეზიას გავეცანი, უშუალო და ჭეშმარიტი ლირიკით, ლექსთა სტრიქონებში ნაცნობ ადამიანურ სითბოს და სისადავეს ვგრძნობდი.. და იმ სითბოს, ტელეფობის ზარით თუ პირად შეხვედრებში, რომ "ნიკოც" და სხვაც გედნიერები ვყოფილიყავით და ვგრძნობდი რომ ის ლოცულობდა ჩვენთვის, ხოდა, ამ ამაღლების დილას გავკადნიერდი და ჩემი მამაო ამირან ამირანაშვილის დალოცვა მომინდა, მითუმეტეს მისი პოეზიის წიგნის გარეკანის, მისი სურათი, რომ მხვდებოდა ყოველ გაღვიძებისას, ჩემს ოთახში და თუ გამიჭირდებოდა მისი მოკითხვა ტელეფონით, გულს რომ ამიძგერებდა სიხარულით და ყოველგვარ გაბრაზების გაცილაც რომ მშორდებოდა ---





მამაო, დიდხანს გვყავდე ჩვენი სულის სალბუნად და მზეგრძელი, ხო, აღსარებასაც ჩაგაბარებთ, როცა მე კი არა სხვაც რომ შემოგხედავთ, ისეთი ადამიანური ენერგიას გვიბოძებთ, რომ მართლაც სული ყივის, ნავარდობს და ირგვლივ სამყარო საამური და მშვენიერია, გაიხარეთ, გეღურები აჟღურტულდნენ მამაო, თენდება ამაღლების ბრწყინვალე დღემ ირიჟრაჟა, გილოცავთ, მრავალს დაგასწროთ და გახარებული ყოფილიყავით თქვენს მეუღლესთან ქალბატონ თამართან, შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად, ხო, დედა მეუბნებოდა მამაო, ადამიანს შუბლზე აწერია ვინააო, დიახ, თქვენს სახეზეც, რაინდულ გამოხედვაზეც, ომახია ხმათა გალობაშიც, ნაღდი ადამიანური სულისკვეთება და სიფაქიზის სიწმინდეა, რომელსაც დიდბუნოვნება და მამა ამირან ამირანაშვილი ჰქვია სახელად, ვამაყობ, რომ თქვენი სულიერი შვილი და უმცროსი ძმა ვხდები, გაიხარეთ!

ნოველები–

"სითეთრე "

– როდის ხდება ადამიანი ავად? როცა ირგვლივ არავინ იმეტებს სითბოს და გადავწყვიტე თეთრ ზეწარში გადავხვეულიყავი და სიცხემაც მიმატა, ძმრიანი წინდებიც კი ჩავიცვი, ზეცას ვხედავდი მხოლოდ, თეთრ ღრუბლებს და მომენატრა თოვლი, როცა მიდიხარ გზაზე და ფიფქები სახეზე გეთამაშებოდნენ, ეს ხომ წარსული იყო, არადა, ცხადივ ვხედავდი, თითქოს მარტო მე და რამოდენიმე ადამიანი, და რათქმაუნდა ექიმები დადიოდნენ თეთრი ტანსაცმლით და განკურნების ვაცებად ქცეულ სამყაროში, მათი ბრდღვიალა თვალების ამეტყველება, მხოლოდ და მხოლოდ მტკნარი სიცრუე იყო და მეტი არაფერი, ვის სურდა „მსოფლიო პიპოკრატეს ფიცის“ ასრულება, ვის უნდოდა რომ ქალაქი გამოჯამრთელებულიყო?!, ვის სურდა ბრტყელი სიტყვების რახა-რუხში ბედნიერება და სილამაზე გამეფებულიყო?!

ძველი სახეები და ნაცნობი ისტორიის აჟღარუნება, დეზებზე შემდგარი, მამლაყინწობით მოპოვებული სილაჩრე, ხალხის სახელით, ეს მერამდენედ აბუქებული, სატუსაღო ყროყინი, არადა სითეთრე იყო ირგვლივ და წყალი მწყუროდა, დაპირების აკლდამაში მოჟონავდა ნელი მთის ნაკადული, ჰო, როდის ხდება ავად, ადამიანი და დედამიწა? ამ კითხვების ამოუხსნელობაში მთელი ცხოვრება გავიდა, უფრო სწორედ მე გავდიოდი ცხოვრებიდან, იქ სადაც სითეთრე იყო და თეთრი ცხვრის ფარა და საკუთარ ჩრდილში, თეთრი ბედაურის ფრუტუნი, კომუნისტებიც ამას ჩაგვჩიჩინებდნენ, დემოკრატებიც ამას მღერიან: პირადი ინტერესების მაღლა საზოგადოებრივი აქტივობა და საუკუნე დამსხვრეული, დალეწილი თავისი ბოღმით და ცინიზმით, თოვლი მომენატრა, ტყემლების ყვავილობა, თეთრი ყვავილობით, ნიავსაამური გასეირნება, თოვლში კოტრიალი და თეთრ ზეწარში გადახვეული მუმიას სამუდამო ხმა: წყალი მწყურია... არადა წყალიც საუბედუროდ იყიდებოდა, ოჰ, როგორ მომინდა ათასფერად წიგნებიდან ცისკარას ზღაპარი გადამეკითხა და ლალად, აყვავებულ სიცოცხლისთვის წყლის წყურვილი მომეკლა.

თეთრი ბედაური, სითეთრეში მიჭიხვინებდა...

"ცხვირი"

– რა გედისა ვარ, კურტუმიც კი მჯობნია,აღარაფერს ვამბობ გულზე, თვალებზე, ყურებზე, სახეზე, ხელებზე და ფეხებზე, ჩემი პატრონი ყველას დაფოფინებს, არიქა და არაფერი გეტკინოთო, წნევამ არ აგიწიოთო,ყოველდღე ცხელი წყლის აბაზანები,ცივ ნიავს არ აკარებს და მე გრძელი ცხვირი მიგდებული ვარ ჩემთვის, რაც ერთხელ ბავშვობაში, ცინგლიანოვო, მაკადრეს და მის მერე ვისრუტები, ის კი არ იციან, რომ მე რომ არ ვყავდე ჩემებს, ვერ ისუნთქებდნენ, ჟანგბადს, ფილტვებს ვინ მიაწვდის! და ჩემს გამო, ჩემს პატრონს, ხშირად ცხვირ-პირი ჩამოსტირის, არადა დედას გეფიცებით, თუმცა კეხიანი ცხვირი ვარ... ჩემი მეპატრონემ ბევრჯერ

სამედიცინო კლინიკაში წამიყვანა,დედა ნუღარ გამახსენებთ, რომ მომდგებოდა ექიმი, თავის ჩაქუჩით და მირტყავდა და მირტყავდა, მტრისას, მაინც ვერ დამაპატარავეს და ასე გრძელცხვირა სულაც არ ვაუშნოებ ჩემს სხეულს, და შეიძლება არც დამიჯეროთ და მე მესმის, ვიყურები, ვფიქრობ, ვაზროვნებ და მეამაყება რომ მწერალ ყაზბეგივით გრძელი ცხვირი მაქვს, ხო ეს მწერალი გამახსენდა, თურმე ნუ იტყვით და მწყემსობაში ყოფნის დროს, ეს ჩვენი მწერალი, განთქმული თავისი სიბეჯითით – ორ ფრანგს ჩამოუვლია და დაუცინია, ფრანგულად, ამ გზაზე როგორ გავივლით, მისი ცხვირი არ გაგვიშვებსო, ალექსანდრეს კი ხელით, ცხვირის მიმართულება შეუცვლია და, ფრანგულად უთქვამს: – გაიარეთო, გადარეულან ფრანცუზები, ეს რა ქვეყანაა, მწყემსებმაც კი ფრანგულად საუბრობენო, ხო ასე ძამია, ცხვირის საშუალებით განისაზღვრება, ადამიანი რამდენადაა მცონარა და ზარმაცი, ან ქვეყნის მანათობელი პიროვნება, თუმცა ასეთების არსებობა იშვიათობაა და ადამიანობის წითელ წიგნში შესატანიც, ცოტაღა მოიძებნება, იმიტომ რომ დრომ და ქაოსმა, გადააშენა ამ ჯიშის სახეობის პიროვნებები. დრომ და ქაოსმა კი, და ამიტომაც ჩამობერდა ჩემი მეპატრონის სხეული,ყურები ჩამოყარა, თვალები დაუწირპლიანდა, გული დაუპატარავდა და გაუცივდა, გონება გაითოშა,სახე დაუჭკნა, კბილები დასძვრა, თმები გასცვივდა,ფეხები დაუჩაჩანაკდა,ხელები აუკანკალდა და მარტო ცხვირი შერჩა ამაყი და გრძელი ცხვირი, რომელმაც დააცემინა, დაიბერა ნესტოები და მსოფლიოს კანონის თანახმად აეკრძალა სუნთქვა საზოგადოებრივ ტრანსპორტში და ახლა პირ-ცხვირ ბადით შეკრული ელოდება არჩევნებს, იქნებ ღირსეული აირჩიოს ხალხმა და პირველივე საპარლამენტო სხდომაზე, გადაწყდეს გრძელი ცხვირის და სხვათა პირ-ცხვირთა თავისუფლების ამინისტია...

შეჩერდი წამო!

ეძღვნება დათა შუბითიძის ნათელ სიცოცხლეს...

– ის იყო, დღის სიცხისგან გათანგული დაძინებას ვაპირებდი, რომ აივნის კარები, ქარმა შემომიხსნა და ზღურბლზე გელა გამოჩნდა, მარტო არა ვარ, სტუმარი მყავს,

მაგას რა სჯობია, მობრძანდით ვთქვი მე, გელამ ღიმილიანი კაცი შემოიყვანა და დივანზე ჩამოსხდნენ,

დათა!, სიხარულით ვთქვი,

– საიდან მიცნობთ, მე არ მახსოვხართ...

– გებია გულნაზიმ გამაცნო შენი თავი...

– მოშიებულები იქნებით, რაღაც მოიძებნება ამ ოჯახშიც, თქვენ არ მოიწყინოთ და ის იყო ვაპირებდი სამზარეულოში გასვლას რომ, გელამ შემაჩერა, არა, არა გვშია, აი წყალს კი ნამდვილად დავლევ და სამზარეულოში გავიდა, ონკანის ხმამ, წამიერად ამომასუნთქა და მიხაროდა რომ ჩემი ძმა გელა მასპინძლის მოვალეობას ასრულებდა.დათამ და მე ერთმანეთს შევხედეთ,



– გებია გულნაზიმ გაგაცნოთ ჩემი თავი, ხო, რა დამავიწყებს გავშვობაში ხშირად ვსტუმრობდი, სულ ამოშაქრული სითბოთი მხვდებოდა და მიღიმოდა.

– დიახ, დე-გულნაზი საბედნიეროდ ყველას ასე ხვდება, მაგრამ ბევრი ვერ ხედავს, მას კი დადარდიანებული, პირმომცინარე ფიქრებით ყველას ოხვრას და ტკივილის ათინათებას ანდომებს და სულაც დავიწყებული აქვს თავისი საკუთარი თავი.

– დათა, კარგი სახელი დაურქმევით შენთვის, არ შეიძლება, ასეთ მომღიმარ კაცს ადგილი რომ დავუთმო და გელას მე წავყვე.

– ეხ ნიკო ბიძია, ასე მხოლოდ წიგნებში და სიზმრებში ხდება, მეც კი მედარდებია ჩემები, დედა, მამა, და, კლასელები, მასწავლებლები, მთელი სოფელი, ტკივილი მივაყენე და დავამწუხრე, მაგრამ ეს ხომ ჩემზე არ იყო დამოკიდებული, ბედისწერა და დათამ კიდევ გამიღიმა, მომინდა ყველა ადამიანების სიკვდილთან, ჩემი სუსტი სხეულით შერკინება მაგრამ, ბედისწერა და მხოლოდ ცრემლებით ამენთო თვალები...

ერთს გთხოვ ბებია გულნაზის გადაეცით რომ მე და გელას არაფერი გვიჭირს, და კიდევ გამიღიმა.

ონკანის ხმა მიწყდა, სამზარეულოში გამოვედი, გელა არსად ჩანდა, შემდეგ ოთახში შევედი, ქარი აფრიალებდა აბრეშუმის ფარდებს, მზის სხივი შემოკოპწიალდა და ცრემლგამშრალი, ფარდის გამჭირვალე ფიქრში, ღიმილიანი კაცისი სახე, დათას ღიმილი, სიკეთის საოცრებად მთელ სამყაროში გაფანტულიყო, ცრემლებს ვერ ვიკავებდი, რადგან ბევრ ჩვენთაგანდ დათასნაირი ღიმილები გვაკლია და ესაც გვეყოფა ცხოვრების საგზლად, რომ მისნაირი ღიმილით ვიაროთ!

ხათუნა კილაძე

4 თებერვალი 13:49-ზე·



ელენე მეკითხება რატომ ჩამოვედით საერთოდ იტალიაში საქართველოში გვეცხოვრა უფრო ბედნიერება არ იქნებოდაო? და მეც სულ აღარ მომენატრებოდა საქრთველო უფრო "felice" ბედნიერი ვიქნებოდიო(ელენე- იტალიაში დიბადა 8 წლისაა, ყოველ წელს სტუმრობს საქართველოს თუმცა სულ ენატრება) ცოტა დავიბენი როგორ მეპასუხა აზრი უნდა მომეკრიბა სწორად მიმეტანა სათქმელი ურთულესი კითხვისთვის, თუმცა პირდაპირ შელამაზების გარეშე ვუთხარი პასუხი, თუ როგორ აღმოვჩნდით უსახლკაროდ, როგორ რთული იყო მამიკოს და დედიკოსთვის მარიამის და ლუკას გარეშე ცხოვრება 2 წელი, როგორ დაიბადა ურთულეს პერიოდში ემიგრაციაში, რამდენ სურთულეს გავდივართ მე და მამიკო რომ ერთად ვიყოთ ოჯახი, როგორ სირთულეებთან არის დაკავშირებული სამივეს გაშვება ყოველ ზაფხულს საქართველოში რომ მშობლიურ ფესვებთან ჭიდილი ჰქონდეთ, ხოდა თვალცრემლიანი ელენე რომ ჩამეკონა დიდხანს არ ამოგვიღია ხმა, ეს დუმილი ბევრის მთქმელი იყო, პასუხიც შესაბამისად გაცემული, ხოდა მშობლებო ჩვენს შვილებს სათქმელი ბოლომდე ვუთხრათ, მადლიერების გრძნობა რომ გამოუმუშავდეთ, ეს ხომ ყველაზე დიდი გრძნობაა საყაროში, უფალმა დაგლოცოთ თქვენც და ჩემი ოჯახიც! 🖤🖤

ლელა ონიანი



„ჩემი სულის ნაწილი"

უფალი იესო ქრისტეს მადლი,ღვთის სიყვარული და სულიწმინდის ზიარება ყველა იმ მესვეურთ ვინაც გაიზიარა და გაიზიაროს ჩვენი სულის ის ტკივილი რომელიც გამოიწვია ია (იამზე) ქარდავას მეორე ცხოვრებაში გადასახლებამ.

ამქვეყნიური შეგონებით თითქოსდა 2020 წლის 20 იანვარი უნდა ყოფილიყო ბედნიერების, სიყვარულის, სიხარულის მომტანი მაგრამ ეს თარიღი ჩვენთვის ყველაზე უმძიმესი შეიქმნა. სწორედ ამ დღეს 20 საათზე მხევალი ია დამძიმებულ მდგომარეობაში შეყვანილი იქნა ავერსის კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციაში (მეორედ) ამის თქმა მიმძიმს და მიჭირს მაგრამ უდავოა რომ მთელი რიგი ექიმთა დაუდევრობამ-უყურადღებობამ თუ ღვთის ნებამ ხელიდან გამოგვაცალა სრულიად მოულოდნელად ექიმი-თერაპევტი იამზე ქარდავა რომელიც თავისი სიცოცხლის განმავლობაში სხვის ჯანმრთელობას და სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ზრუნავდა. მეტად სავალალო და შეიძლება მიუღებელი იყოს მითუმეტეს ჩემთვის მონაზვნისათვის ასეთი განკითხვა, მაგრამ სიმართლეს ხომ ვერ გავექცევით. მისი ქალიშვილი შორენა ონიანი ათეული წლებია ამ კლინიკაში მუშაობს დღე-ღამე თავს დასტრიალებდა დედამისს. როცა მე ვუთხარი იქნებ აზიაროთ მიპასუხა ნუ გეშინია მამიდა მას სასიკვდილო არაფერი არ სჭირს და არც ისე ცუდადაა მალე გამოჯანმრთელდება და თავად მივა მოძღვართან საზიარებლად. ვაი რომ ეს მხოლოდ ნუგეში აღმოჩნდა.



21 იანვრის 1.15 წუთზე შემოვიდა ზარი ელსმენზე, შორენა იხვეწებოდა დედაო გააძლიერეთ ლოცვა, დედა დამძიმდა (ირინა, ხატია) და მე მთელი ღამე უფალს ვევედრებოდით იას ჯამრთელობისთვის. 5 საათზე ხელმეორედ შემოვიდა ისევ ზარი, რომ დედა უკვე აღარ არის. მე როგორც მონაზონი გაგებით შევხვდი ამ მდგომარეობას, მაგრამ შორენა მაინც გაიძახოდა ექიმების დაუდევრობამ დამღუპა, მე ექიმი ვარ საკუთარ დედას ვერ ვუშველე. მე ვანუგეშებდი,

რომ ყველაფერი ღვთის ნებაა, მის გარეშე თმაც კი არ ჩამოგვივარდება თავიდან. ჩემი შორენა დღემდე ჩაფლულია ლოცვებში. შეადგინა ფსალმუნთა კანონების მკი თ ხ ვ ე ლ თ ა ჯგუფი, რომელსაც თავად ხელმძღვანელობს და ყოველდღიურად შეახსენებს მკითხველთა ჯგუფს რომ არ დაავიწყდეთ მისი კითხვა.

ჩემთვის კი ია რძალი კი არა სულის ნაწილი იყო. ყველაფერი იყო მშობელი, და, ძმა, ერთგული მეგობარი და მესაიდუმლე. თითქმის ერთდროულად გავიზარდეთ. მეორე კურსის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო როცა ჩემმა ძმამ ცოლად შეირთო. იმ დღიდან მოყოლებული დღემდე უსიამოვნება არასოდეს გვქონია ,პირიქით თუ რამე დამჭირდებოდა ან გამიჭირდებოდა მას ვეუბნებოდი და არა ჩემს ძმას. ძალიან თავმდაბალი, თბილი, მოსიყვარულე და ერთგული იყო ყველას მიმართ. პირველად მაშინ როდესაც ჩემ ძმამ ,ჯამბულიმ (გიორგიმ) მოიყვანა მაშინ ერთ ოთახში ცხოვრობდით. იამ არა თუ მოინდომა ცალკე გასვლა, არამედ თავიანთი საძინებელი ფარდით გამოყო, რომ ყველას ერთად გვეცხოვრა და არ გვეგრძნო რაიმე უხერხულობა. ჩვენი ერთად ცხოვრება ორ წელიწადს გაგრძელდა, მერე ჩემმა ძმამ ბინა მიიღო წერეთელზე, სადაც დღემდე ცხოვრობდნენ. ორი წლის უკან ჩემმა ძმამ გიორგიმ (ჯამბულიმ) სამუდამოდ დაგვტოვა. ახლა კი სამარადჟამოდ გადასახლდა თავისი მეუღლე ია.

ია იმდენად თბილი და მოსიყვარულე იყო, რომ ჩვენ დიდ ოჯახში ცხოვრობენ არა მარტო მშობლები, დედმამიშვილები, შვილიშვილები (სვანეთში). ზაფხულობით როცა მივდიოდით დასასვენებლად მიუხედევად იმისა რომ სტუდენტი იყო, თავისი ხელით უკერავდა მაზლსა და მულის შვილებს ტანსაცმელებს, სხვადასხვა ჩასაცმელებსა და სათამაშოებს ამზადებდა საჩუქრად. სოფელში გვხვდებოდნენ 11 მოზარდი ოჯახში. როგორც კი მანქანით მისულებს დაგვინახავდნენ ყველა იასკენ გარბოდნენ, ჩვენი ბიცოლა მოვიდაო. ეხვეოდნენ და სიყვარულით ეფერებოდნენ ერთმანეთს.

ასევე დიდი სიყვარული მოფერება და გულისტკივილი განიცადეს ყველა მათგანმა .21 იანვრიდან 25 იანვრამდე ერთმანეთს ეცილებოდნენ შენი ცხედრის მოფერებაში. ყველას, შენს სალამთილოს და არამარტო მათ, სამეგრელოს, კურსელებს, მეგობრებს, მეზობლებს დასწყვიტე გული. განსაკუთრებით კი შენი შვილები გიორგი და შორენა, რომლებიც ორივე ფრთებმოტეხილები დატოვეთ, ერთდროულად გაუფრინდით. შენ კი განსაკუთრებით გიორგი გედარდებოდა. სულ იმას გაიძახოდი მენატრება ჯამბულისთან წასვლა, ჩემისთანა ქმარი თურმე არავის არ ყოლია. ამას მის სიცოცხლეშივე ვერ ვგრძნობდი თურმე და ეხლა რომ ვაკვირდები სხვის ქმრებს, მაშინ უფრო მეტად ვგრძნობ .მინდა შენთან ვიყო მაგრამ ჩემი შვილი გიორგი მედარდება ,უჩემოდ რა ეშველება. ასევე განიცდიდი ანდრიას და პატარა გიორგის, საბას მდგომარეობას, გასაზრდელები მრჩებიანო.



მინდა ერთ-ერთი პატარა ეპიზოდი გავიხსენო ჩემი საერო ცხოვრებიდან: ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჩემი პროფესორის წოდების მინიჭებისადმი მიძღვნილი ვახშამი იმართებოდა ჩემმა მეგობარმა აკადემიკოსმა მაია ხეცურიანმა სუფრის თამადას პროფესორ ამირან მექვაბიშვილს მოსთხოვა ერთი სადღეგრძელოს წარმოთქმა. მაიამ წარმოთქვა: მინდა იმ ქალბატონის სადღეგრძელო ვთქვა რომელიც გამოირჩევა თავისი თავმდაბლობით, სიყვარულით, თავისი

პროფესიისადმი გულისხმიერებით, მონდომებით. ქალი რომელიც მისი მულისთვის, რომელიც დღეს იშვიათობაა, წარმოადგენს მეგობარს, მესაიდუმლეს, დედას, დას,თითქმის ყველაფერს რასაც მან მიაღწია ეს მისი რძლის ია ქარდავას დამსახურებაა. ამ სადღეგრძელოს თქმას ნამდვილად არ ველოდით მან ფეხზე წამოაყენა ია, გაწითლდა, დაიმორცხვა ,ეს მართლა ჩემზეა ნათქვამი? როგორც ყოველთვის თავმდაბლობა გამოიჩინა და თქვა რომ ამ სიტყვებს მე არ ვიმსახურებ. პირიქით მაიამ უფრო მეტის თქმა შემიძლია თქვენზე ვინაიდან დარიკო სულ თქვენს ქებასა და თავმდაბლობაზე ლაპარაკობს. მართლაც ასეა ჩემი გასაჭირის ტალკვესი მუდამ შენ იყავი, დაწყებული ასპირანტურიდან მოყოლებული დღემდე.

განსაკუთრებით კი მაშინ როდესაც 2008 წელს დამიდგინეს მკერდის სიმსივნე იმხელა იმედი მომეცი, რომ არ დაგიტოვებია არც ექიმები და სახალხო მკურნალები ,ისეთი მალამო მომიტანე რომ ორ კვირაში სიმსივნე დაპატარავდა.მეხვეწებოდი რომ ოპერაცია არ გამეკეთებინა ეს წამალი მიშველიდა. ასეც მოხდა 2012 წლის თებერვალში კვლავ მძიმე შეიქმნა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა შენ და ჩემი ძმა ისევ განსაცდელში ჩავარდით. კვლავ უიმედობა, ჩემი ძმა ჩემს სარეცელთან ახლოს ვერ მოდიოდა შენ კი თავს დამტრიალებდი წუთითაც არ მშორდებოდი .4 წელი სიკვდილ-სიცოცხლეს ვებრძოდი

2015 წლის 2 აპრილს პატრიარქის კურთხევით და მეუფე შიოს (მუჯირის) ნებართვით და იღუმენი იოანე (კალანდიას) მიერ აღმკვეცეს მონაზვნად.(შინ აღკვეცილი). ამ პერიოდში ვიყავი საწოლს მიჯაჭვული, უძრაობაში, მხოლოდ შემეძლო აზროვნება და მეტყველება. როდესაც მოხვედით შენ და ჯამბული ჩემს სანახავად და მე მონაზვნის ფორმაში ვიწექი ჯამბულიმ ასეთი სიტყვები წარმოთქვა: რა მონაზვნად აღიკვეცა, ჩქვენ შავების ჩაცმა გვაკლია? შენ უპასუხე: მადლისა მონაზვნობა ეღირსა და არ გიხარია?... იმ დღიდან მოყოლებული ჩემი მდგომარეობა უფრო და უფრო უმჯობესდებოდა შენ კი ეუბნებოდი ჯამბულის აი რა შეუძლია უფალს. ნელ-ნელა მოძრაობაში მოდიოდა ყველა ჩემი სხეულის ნაწილი. ბოლოს კი ფეხზე დავდექი რაც თქვენ ძალიან გიხაროდათ. ღმერთს მადლობას უხდიდით ჩემს გამო. მე კი მომხედეთ, მაგრამ თქვენ ასე ნაადრევად წახვედით ჩემგან და დამიტოვეთ ორივემ მოუშუშებელი ტკივილი. ჩემი სულის ნაწილი, ჩემი იმედი თქვენ იყავით და თქვენ კი დამტოვეთ. ყველაფერი ღვთის ნებაა თქვენ ორივემ იმდენი სითბო და სიყვარული, სიკეთე დათესეთ ყველა ჩვენგანში, რომ უფალი ცათა სასუფეველში დაგამკვიდრებთ თქვენი სისპეტაკით, ერთგულებით, თავმდაბლობით, სულგრძელობით, მოთმინებით, მოყვასის დაფასებით, სამშობლოსადმი თავდადებით, ქველმოქმედებით.

ყველა თქვენი დანატოვარი დიდი ტკივილით განიცდის თქვენს ამ ქვეყნიდან გადასახლებას. წუხან და ყოველდღიურად გიხსენიებენ ლოცვებში, რათა ცათა სასუფეველი დაიმკვიდროს თქვენმა სპეტაკმა სულმა. ბუმბულივით მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულზე დაყრილი ქართული მიწა

ჩემო საყვარელო ია ამაზე მეტი უბედურება რა უნდა იყოს როცა 93 წლის დედა შურა ტორუა თავის ოთხ ვაჟკაცთან აბესალომი, თანდილა, გივი, ზურაბი ქარდავებთან ერთად დასტირის თავის ერთადერთ ქალიშვილს. მისი ცრემლები და გოდება ზღვას უერთდება. წარამარა გაიძახის ჩემი ერთადერთი გოგო რომლისგანაც მოველოდი ჩემს გაპატიოსნებას და მეორე ცხოვრებაში გადაყვანას ასე გამწარებული გაუბედურებული დამტოვა. მართალია

შვილები, შვილიშვილები და რძლები არაფერს მაკლებენ, მაგრამ უშენობა მაინც სხვაა. უფალს ვთხოვ, რომ არცერთი დედა არ გამწარდეს შვილის გარდაცვალებით, მითუმეტეს ჩემს ასაკში რაოდენ მძიმეა შვილის ცხედართან ჯდომა. ყველას, ყველას ბოდიშს მოვუხდი და მადლობას ვწირავ იმისათვის ,რომ ჩემი შვილი ია დააფასეთ, გაიხსენეთ და პატივი დასდეთ. მის სულს კი უფალს ვაბარებ. მიემგზავრება თავის უსაყვარლეს ქმართან ჯამბული ონიანთან. მათმა სულმა დაიმკვიდროს სასუფეველი, ხოლო მათი დანატოვარი ამრავლოს და აძლიეროს უფალმა მათი სულის მოსახსენებლად.

საუბრის დასასრული

დაწერეთ შეტყობინება...

2020 წლის 20 იანვარი

ქალბატონი გულნაზი

მადლი და მშვიდობა გაგიმრავლდეთ ღვთისა და ჩვენი უფლის იესოს შემეცნებით, უსაყვარლეს ქალბატონს გულნაზ ხარაიშვილს, მის კოლექტივსა და სრულიად საქართველოს. რათა გაგიმრავლდეთ ჩვენი ღვთისა და მაცხოვრის რწმენა და გატაროთ იესო ქრისტეს სიმართლით.უფლის მადლითა და შემეცნებით მივიღე კურთხევა მოგილოცოთ 12 საუფლო დღესასწაულთა შორის მირქმის-მიგებების ხსენების დღე.ეს დღე და სხვა უამრავი დღესასწაული ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნის გამთლიანების, გაერთიანების, მართლმადიდებლური ზეიმის და სიყვარულის გამტკიცების.

ქალბატონო გულნაზი ეს დღესასწაული სწორედ რომ თქვენ კეთილგონიერებას, სიყვარულსა და იმ მიგებებს შეესატყვისება, რომელიც თქვენს სულში არის ჩაბუდებული ,რაც გამოიხატება თქვენი როგორც აკადემიის წევრების, ასევე ყველა იმ რესპოდენტის მიმართ და არა მარტო, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები თუ შუკა-შუკა შემხვედრ პიროვნებებთან მიმართებაში თქვენი მიგებება მათ მიმართ სიყვარულის, სითბოს გამოხატვაა, სწორედ რომ უფლის მიერაა თქვენდამი მინიჭებული და შესადარია მართალ სვიმეონის მიერ მირქმა-მიგებება უფლისადმი რომელმაც მოგვანიჭა ყოველ ჩვენგანს დიდი წყალობა.

ჩემო სულიერო მეგობარო მინდა გისურვო ჯანმრთელობა და იმ შემართების ათეული წლით გაგრძელება რა ჭაპანსაც ეწევით აკადემიის აღმშენებლობაში თითოეული აკადემიის წევრებისა და მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების, პოეტების, მწერლების, ჩვენი ქვეყნის ხანდაზმული ადამიანების, ახალგაზრდა თაობებისა და მოზარდი პატარა ათინათების მიმართ .მინდა გავიხსენო ბატონ ჯუმბერ ლეჟავას სიტყვები: "ქალბატონო გულნაზი არამარტო აკადემიის და დამაარსებელია, იგი არის საუკეთესოთა საუკეთესო მენეჯერი, რომელიც თვეში ერთხელ უყრის თავს პენსიაზე გასულ სხვადასხვა პროფესიის მეცნიერებებს და ა.შ. ახვედრებს ერთმანეთს, ახდენენ აზრთა გაცვლას, რომელზეც ასე მოწყურებულნი არიან." მეც სრულიად ვეთანხმები ჯუმბერის გამონათქვამს და პირადად ვარ მოწმე თუ რა სითბოს, სიყვარულს, თანაგრძნობას, სულიერებას, სულგრძელობას, მოთმინებას და თავმდაბლობას ამჟღავნებთ ყველა იმ რესპოდენტის მიმართ რომელიც მონაწილეობას ღებულობენ ჟურნალი ათინათისა და მრავალტომიან ანთოლოგიას გამოცემებში. მიუხედავად იმისა რომ დღევანდელი სიდუხჭირის გამო გაძნელებულია ასეთი ჟურნალ-ტომეულების გამოცემა ყველა ეკონომიურ მხარის

გათვალისწინებით იღებთ თქვენს თავზე და მაინც ახერხებს სამ თვეში ერთხელ 300-350 გვერდიან ჟურნალისა და წელიწადში ერთხელ 1000 გვერდიანი ტომეულის გამოცემას.

ღმერთმა ეს შემართება, ენერგია და დაუზოგავი შრომა საზოგადოებისადმი თბილის შეხვედრა-მიგებება არ მოგაკლოთ. სწორედ თქვენზეა ნათქვამი რომ უფალმა და სალოსმა და აღმსარებელმა ბერმა გაბრიელმა დაგაბერტყათ ყველასადმი სიყვარული, გვერდით დგომა და მზრუნველობა.



დედა იოანას მეგობრები მანანა და გულნაზი

უფალო არა ვუწყი რაი ვითხოვო შენგან! შენ მხოლომან უწყი რაი არს ჩემდა სახმარ გაქვს შენ სიყვარული ჩემი უფროის, ვიდრეღა ძალმიძს მე სიყვარული თავისა თვისისა. არა თავს ვიდებ კადნიერებასა თხოვა ჯვარისა, გინა ნუგეშინისცემისა. მხოლოდღა წარდგომილ ვარ წინაშე შენსა და გული ჩემი განხმულ არს. ხედავ შენ საჭიროებასა ჩემსა რომელსაც მე ვერ ვხედავ! (წმ.ფილარეტ მოსკოველი).

უფალმა დალოცოს და გააძლიეროს თქვენი საქმიანობა და შეგძლებოდეთ ღვთის მადლითა და წყალობით სიკეთის კეთება. უფალი იყოს თქვენი შემწე ყველგან ყოველთვის და ყველაფერში.

თქვენზე მლოცველი მონაზონი იოანა ონიანი
15.02.20.

ინგა გოგიბერიძე



წერილები სიჩუმის ქალაქიდან

(პანდემია-2020)

..... ო, რანაირი ჩუმია მარტი, როცა გავშვები აღარ ჰყავს ქუჩას და რანაირი სევდისფერი მოჩანს ტყემლის ხე, აფეთქებული მზის ყვავილებით. ო, რანაირია ჩუმია მარტი, როცა ქუჩაზე სამარე გიდევს, ფეხაკრეფით გასავლელი, უხმოდ მოსავლელი და სახლში მშვიდობით დამბრუნებელი. ჰო, რანაირია ჩუმია მარტი, ელდანაკრავი გულის ფეთქვის მომლოდინე და მაინც ხარბი,რომ სიცოცხლის დაბადებას ხელი უშნოდ წამოკრას და დაასამაროს. მზე, მთვარე და ვარსკვლავებიც კი გადაყლაპოს. ჰო,რანაირია ჩუმია მარტი, როცა შიში ზრდის ამ ყვავილებს და თვალებში გაყრის მტვერს, ნაცარს და სასიკვდილოდ გამზადებულ წყლის უცნობ წვეთებს. რანაირი ჩუმია მარტი, როცა გავშვები აღარ ჰყავს ქუჩას და რანაირი სევდისფერი მოჩანს ტყემლის ხე, აფეთქებული მზის ყვავილებით.

ჰეი შენ მარტო, მე გიბრძანებ- გამოაცოცხლე არემარე, მზით შემოსე ყველა ყვავილი, ააჯეჯილე ველ-მინდვრები, აურიამულე ქუჩა, ეზო და ყველა კართან მიიტანე შენი მზის სითბო,დატოვე და გამოიქეცი, ჩემთან მოდი,გულში ჩაგიკრა, რომ ნაზად, ნაზად გეამბორო მაგ ფერად სულში.

რანაირი ჩუმია მარტი, როცა გავშვები აღარ ჰყავს ქუჩას და რანაირი სევდისფერი მოჩანს ტყემლის ხე, აფეთქებული მზის ყვავილებით.

პირველი წერილი

ეჰ, მართლა საუკუნე გასულა,რაც წერილი არ მომიწერია .....

ასე მეგონა აღარ კითხულობდი, რადგან შენს უჯრასთან გაუხსნელი კონვერტები შევნიშნე.

მე რა ვიცოდი, რომ ასე სხვისი თვალისგან იფარავდი ჩვენს სიყვარულს.....

როცა დროზე ადრე შემოვედი შენს ოთახში დავინახე, აკანკალებული ხელით, როგორ აწებებდი ისევ კონვერტებს და უკან აწყობდი,როგორც გაუხსნელს, ხელმიუკარებელს, უბიწოს და შეურყვნელს.

როგორ გავიმეტე საკუთარი თავი ამ დიდი ტანჯვისთვის არ ვიცი.

გრძელ წერილს დღეს ვერ მოგწერ,რადგან გარეთ არ გვიშვებენ, რომ გაზაფხულის ყვავილები ვიხილო, რომელიც ასე ჰგავს ჩვენს სიყვარულს.

როცა გარეთ გავალთ, გპირდები,ძაძებს გავიხდი, შავი ფერის კაბას აღარასოდეს ვატარებ, რომ ეს სიყვარული მხოლოდ ფერადი იყოს, როგორც სამყარო.

მე დავბრუნდები თქვენთან, რომ ისევ მოვიდე ბოლონიის საჯარო სკოლაში და გავშვებს ზღაპრები წავუკითხო ,როგორც მაშინ 2017-ში.

მე დავბრუნდები თქვენთან, რომ იმ პატარებში აღფრთოვანებული თვალები ამოვიცნო, სიყვარულით სავსე, როგორც მაშინ 2017 -ში.

მეორე წერილი.

მე ისევ შენთან მოვედი და ჩემი წერილის სურნელი მოგიტანე, ცოტა უცნაური და განსხვავებული. მახსოვს ახალგაზრდობაში, გაზაფხულის დადგომისთანავე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მზეს ძალები აკლდა, გავვარდებოდი გარეთ შილიფად ჩაცმული და მზეს სიმღერებს ვუმღეროდი -ამოდი მზეო გაგვათბე, შენი სურნელით დაგვატკბე, შენს ლამაზ სხივებს გვადარე, გაგვათბე,გაგვათბეე და აქ ბედნიერი სახით ხელებს მაღლა ვწევდი და მისგან უდიდეს ძალას ვგრძნობდი,თითქოს ესმოდა და მპასუხობდა კიდეც.მზის ძალამ მასწავლა სიყვარული, რომელიც ცხვრებაში ხან თბილია, ხან ტკბილი და ხანაც კი თოვლის ფიფქივით სპეტაკი და გაყინული. ვფიქრობ ახლა ის დრო დგას, როცა თოვლივით თეთრი სიყვარული შინ უნდა შევინახოთ, რათა მზის სხივმაც კი არ დახედოს, არ მოეწონოს და არ წაგვართვას!

მესამე წერილი.

2020 წლის 24 მარტის დილაა. მზის ამოსვლას ველოდი, ვიფიქრე წერილს შემდეგ დავწერ და მზის სხივებით გავუგზავნი მეთქი, მაგრამ არა, რაღაც მოჟამული ამინდია ფრიად. ჩვენი მანათობელიც არ ჩქარობს ღრუბლებიდან გამობრწყინებას. ამიტომაც, წერილს რომ გახსნი, შიგ ქაღალდისგან გამოჭრილი პატარა გული იქნება (ბავშვებმა რომ იციან ჩემთვის უანგაროდ ჩუქება, აი, ისეთი) და ოქროსფერი მზე. ეს გულები და მზე ვარსკვლავებივით უამრავი დამიგროვდა ჩემი პატარებისგან, მეგობრებისგან და ახლობლებისგან მოძღვნილი....ჩემთან სტუმრად რომ ვერ მოდიან ისინიც მიგზავნიან ფოსტით, რომ მეც გავიხარო და მზიანი დღე მქონდეს.ყოველთვის ვამბობდი, წერილია მთავარი გულში პატარა გრძნობის გასაღვივებლად მეთქი.მოკლედ არ იდარდო,მე წერილებს არ მოგაკლებ ,შენ კი იკითხე და სხვასაც გაუგზავნე, რომ ყველამ იცოდეს- ქვეყანზე არიან ადამიანები ვისაც ძალიან,ძალიან უყვარხარ!!!!!!!!!!

რა უმწეოა სამყარო მზის და ადამიანების გარეშე.

მეოთხე წრილი.

2020 წლის 25 მარტის დილაა და კვლავ ვერ მოვდივარ შენთან, არადა

როგორ მინდა დაგინახო. ალბათ შენც- ჩართე სევდიანი მუსიკა და ჰანგებს გამოჰყევი ჩემთან. ოღონდაც მაგრად დაჭიმულმა სიმებმა ფეხები არ გატკინოს. შენ კარგად არ იცი, რომ ეს

სიმები ზოგ ადგილას ძალიან სქელია და ადვილად გადიხარ, ზოგ ადგილას კი ძაფებივითაა დაჭიმული ..... შეიძლება უცებ გაწყდეს! ფრთხილად იარე,ფრთხილად,რომ არ ჩავარდე .

არა,უფრო ფრთხილად გამოიარე, ფეხისწვერებზე აიწიე და გადმოხედე ზევიდან ქვეყნიერებას, სადაც მე ვარ მოკალათებული და გელოდები. ერთი სული მაქვს როდის დაგინახავ. როგორ მინდა დაგინახო. ეხლა შეიძლება ერთი აკორდიც კი მეყოს შენს შესაცნობად. მაგრამ გუშინ? გუშინ, მთელი სიმფონიაც არ მეყოფოდა შენს დასანახავად, შენს კვალსაც კი ვერ იპოვიდი ჩემს სულში... სიმებს შავი ჩრდილები ახლდა, ჩრდილები კი ბორილობდნენ, იფანტებოდნენ და ბურუსით ფარავდნენ პაწაწინა ადგილს ჩემს გულში.

სადა ხარ? ისევ იმალები? როგორ მინდა დაგინახო. ახლა მე ავიწევი ფეხისწვერებზე და შენთვის გამოვიმზირები ჩემი გულის ჰანგებიდან: ჯერ ცას ავხედავ, შემდეგ მზეს, შემდეგ კი ნაცნობ მუსიკის ჰანგებს შენსკენ გამოვყვები..... მაგრამ ამაოდ. ახლა მთელი ცხოვრება მინდა დავხატო. იქნებ იქ, სანოტო ხაზებსა და მუსიკის ჰანგებს შორის შენ გიპოვო. სოფლის შარაგზა გამოჩნდა. აქ მუსიკის ჰანგები პატარა ბოჭოლებისა და ბეკეკების ხმებს ემსგავსება. მერცხლების ჭიკჭიკი ქალაქისკენ მიხმობს, სადაც ფაბრიკა -ქარხნების გამონაბოლქვებიც კი დაიკარგა, მათი ნისლიანი მუსიკა ბურუსად მოედო ქალაქის ქუჩებს.. სევდამ აქაც დაისადგურა.

.....შენ კი მაინც გამოჰყევი სიმებს.

..... როგორ მინდა დაგინახო.

.....არა, აღარ მახსოვს, მე გეძებდი თუ შენ!!!!

.....როგორ მინდა რომ დაგინახო...

.....მხედავ?

მეხუთე წერილი.

2020 წლის 26 მარტი დადგა. დღეს ცოტათი დამიგვიანდა წერილის მოწერა. უკვე შუადღეა და ჟინჟულავს. მზე არ ჩანს. ბავშისთვის რძე და ჩვენთვის მარილი არ მქონდა. გამიხარდა გარეთ გავიდოდი და ქუჩას გავხედავდი, რომელიც აივნიდან, უადამიანოდ, ისეთი გრძელი, პირქუში და შავი ჩანს, რომ ვერც კი წარმოდგენ,ოდესმე ცივ ასფალტს მაქანის ცხელი საბურავები თუ უთბობს გულს. მერე რა, რომ პირბადე და ხელთათმანი მჭირდება. გამახსენდა კლდეში, ციცაბო კიბეებად აღმართულ მარილის საბადოებში რამდენი ადამიანი შრომობს პირბადეებითა და ხელთათმანებით, რომ ჩვენ მარილი გვქონდეს. მათ ხელებს მარილის ნატყვიარები და პატარ-პატარა კრისტალები ატყვია. დედამ მითხრა, რომ დაბადებისთანავე თურმე ჩემს ვარდისფერ ტუჩებს ნაოჭებად მარილის თეთრი კრისტალები აჩნდა. ისიც მითხრა, რომ მარილი ძვირად ფასობდა დედამიწაზე, რადგან მარილი აკრისტალებს დროს.

მარილი აჩერებს სიცოცხლეს.

მარილი ინახავს უცვლელად ყველაფერს.

..... ხომ გითხარით,დღეს, 2020 წლის 26 მარტია და ჩემს ხელზე მარილის ნატყვიარი და პატარ-პატარა კრისტალები კვლავ მოსჩანს. ამ მარილის კრისტალებით დრო უნდა გავაჩერო, ხელუხლებლად შევინახო წარსული, დღევანდელობა და როცა მომავალი დადგება, მზით გავათბო დროებით გაჩერებული სიცოცხლე.

ჰო, რძე და მარილი ვიყიდე.

მეექვსე წერილი

2020 წლის ოცდაშვიდმა მარტმაც შემოიჭყიტა ჩვენს ფანჯრებში და უხვად შემოაფრქვია მზე და სითბო. ვიღაცის ნათქვამი გამახსენდა-"როდესაც ქალზე ლაპარაკი გსურთ, კალამი ცისარტყელაში ამოავლეთ და პეპელას ფრთებზე დააბერტყეთო". ჰოდა, დღეს მე უნდა ამოვავლო კალამი ცისარტყელაში, რადგან საკუთარ ფიქრებზე უნდა გელაპარაკო, ჩემს გრძნობებზე უნდა გიამბო...არა, შენს მიმართ არა! ჩემი ქალაქის ქუჩებზე, ჩემი პატარა ქალაქის სახლებზე, მიტოვებულ აივნებზე, მაგნოლიებზე და კამელიებზე, ზღვაზე, დელფინებზე, თოლიებზე -ამ დიდ სიყვარულზე უნდა გესაუბრო....ეს კორონა რომ გაივლის თავზე ულამაზეს გვირგვინს "КАРОНА"-ს დავიდგამ, ფოტოაპარატს გადავიკიდებ და ვივლი გათუმის ქუჩებში, ფოტოებს გადავიღებ, ადამიანებს დავაკვირდები, მათ სევდას და სიხარულს შევინახავ ხვალინდელი დღისათვის და ამ სილამაზეს პეპელას ფრთებით მოგართმევთ, რომ სიყვარულმა არასოდეს მიგატოვოთ.

არ იდარდოთ. ესეც მალე გაივლის!

მეშვიდე წერილი

2020 წლის 29 მარტია და და კარის ჭუჭრუტანიდან ვიმზირები. იმ ჭუჭრუტანიდან, რომლისთვისაც არასოსდეს მიმიქცევია ყურადღება ჩვეულებრივ ცხოვრებაში. დიახ, დღეს ეს ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმი ნამდვილად დაირღვა. ზოგიერთები ჯერჯერობთ ისევ ცდილობენ შეინარჩინონ სულგრძელობა, თუმცა იკლო ტელეფონის ზარებმა, მესიჯებში მხოლოდ ლოცვა კურთხევის ფოტოები მოდის, არავის აინტერესებს როგორ ხარ, რა გინდა, რას აკეთებ ოთხ კედელში, გაგქვს თუ არა ახალი გეგმები და იდეები. სასოწარკვეთილება ჩუმ-ჩუმად იხედება ამ კარის ჭუჭრუტანებში და იმ სახლებში, რომელთა მცხოვრებელთა გულები იკეტება და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს არასოდეს გაიღება ისევ.

ყველას გაქცევა უნდა ამ სამყაროდან, ალბათ მეც, მაგრამ შენთვის წერილები მაქვს დასაწერი, ამიტომ ეს სამყარო ჯერჯერობით ჩემი და შენი სიყვარულით სულდგმულობს:

გაქცევა მინდა ამ სამყაროდან,
შენთვის ნამღერი სიმღერის მერე,
შენთვის ნაწერი სიტყვების მერე,

შენთვის ართქმული ცრემლების მერე
ზღვაში ჩამხრჩვალა მზე.
ვერ მოვბრუნდები,
ცასთან ახლოა ცეცხლის ენების ტყე.
დახურულია სარკმელი გულის,
ხელის, სიტყვის და ხსნის,
გაქცევა მინდა ამ სამყაროდან
ზღვაში ჩამხრჩვალა მზე.
ტალღის სიმძიმეს თუ ვერ გაუძლებ
შევევედრები მე ჩემს მაცხოვარს
გულში ჩამისვას მზე.
ამ წერილს ჯერ-ჯერობით ჩემთან დავტოვებ.
ჯერჯერობით სამყაროში სიჩუმეა, მაგრამ გარწმუნებ
ყველაფერი კარგად იქნება!

წერილი მერვე

შენი სახლი შენი ციხესიმაგრეა!❤ ❤ ❤

.....ახლა ის განცდა უნდა გავიხსენო, შვილი, რომ პირველად ხდება ავად და გული ისე გიცემს, გიბაგუნებს, გეგონება არასოდეს დაწყნარდებაო-ეს შიში სიყვარულისაა.

.....ახლა ის განცდა უნდა გავიხსენო, პირველად ხელს რომ დაიწვავს შენი პაწაწა და ის ადგილი შენც ისე გეწვის, როგორც მას-ეს შიში შენი მოდგმის დღეგრძელობისაა.

.....ახლა ის დღე მინდა გავიხსენო, პირველად რომ შეიგრძნობ შენს სიახლოვეს რეალურად ახლობლის სიკვდილს, გგონია სამყარო თავზე დაგეექცა და ვერასოდეს გამოიხედავ თვალებში- ეს მარადიული კანონის, სიკვდილ-სიცოცხლის შიშია.

....ახლა ის წუთი მინდა გავიხსენო ბედნიერებას,რომ ელოდები და ზეცას შესცქერი ფართოდგახელილი თვალებით- ეს შიში ბედნიერების მოლოდინისაა.

.....ახლა ის წუთი მინდა გავიხსენო, როცა გულიანდ კისკისებ და გულში მაინც ჩურჩულებ-უფალო მშვიდობა მომეცი, ამდენი რომ ვიცინეო-ეს შიში სადღაც შორიდან მოდის და მალევე იფანტება შენივე ბედნიერებით.

დღევანდელი შიში კი მსოფლიო შიშია- ჩვენი ცოდვების, უსიყვარულობის, უღმერთობის, შურისა და ბოღმის-ამიტომაც ჩემო ძვირფასებო, გულში შიშს ნუ მიუჩენთ ბინას! შენი ოჯახი, ხომ შენი ციხესიმაგრეა, ამიტომ სიყვარულით დარჩი სახლში!

წერილი მეცხრე

2020 წლის 1 აპრილია და მზემ სასიამოვნოდ მოჰფინა სხივები მთელ დედამიწას. ჩემი დედამიწა კი ჩემი ოჯახია და შენ, რომელსაც უსასრულოდ გწერ წერილებს და გიგზავნი მზის სხივში ამოვლებულ ლუკმას, სულის საზრდოდ. ქალაქის სიჩუმე გუშინ სიცარიელეში გადაიზარდა, შენობებს მთვარის სხივი რაღაც უცნაურად ანათებდა, თუ მომეჩვენა არ ვიცი, თეთრი ღამე გეგონებოდა ისეთი ნათელი იყო ბნელი ღამის, ბნელი ქუჩა. გამიხარდა ეს სითეთრე. ხომ იცი, არ მიყვარს სიბნელე, ოთახში დღისითაც კი შუქს ვანთებ, რომ კარგად ვხედავდე ჩემს გრძნობებს. იცი როგორი ღამე იყო? აი ასეთი-" ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი! /მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი/ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!." ასე ჩუმი მე დედამიწაც არ მახსოვს, თითქოს მდინარეებმა ჩუხჩუხის ხმა შეანელეს, ჩანჩქერები დადუმდნენ, წიწვოვანმა ხეებმა თავისებური ტკაცუნის ხმა შეწყვიტეს, წვიმის ხმა არ ისმის.

ხმა დაიკარგა, ის ხმა, რომლითაც ერთმანეთს სიტყვას ვაწვდენდით,ამიტომ აღარ ინთება კოცონი არც ტყეში და არც გულში.

მხოლოდ შენ იცი, რომ ჩემს გულში მუდმივად გიზგიზებს სიყვარულის კოცონი, რადგან ჩიტუნიებს ჭიკჭიკი არ შეუწვეტიათ და ისეთი მაღალი ხმით მღერიან, რომ ვიცი


ყველაფერი კარგად იქნება და მალე ჩაგეხუტები.

წერილი მეათე

....თითქოს ხელის კანკალით მოვდივარ წერილის საწერად, რაღაც მაჩერებს, რომ კვლავ შეგეხმიანო. სიჩუმე და შიში თუ ერთნაიარად მომაკვდინებელი იყო ადამიანებისათვის არც ვიცოდი. 2020 წლის 6 აპრილის საღამო კი სწორედ შიშს და ნისლს თითქოს ერთად იტევს და ცრემლით დაწერილ წერილს ნამავს. წერილი შენთვისაა განკუთვნილი..... მაშინ როცა ქალაქი,ზღვა, სახლი, ქუჩა და ეზო მზეს ელოდება..... ხელი, გული და თვალი სითბოს....მიწა, სოფელი, ხიდი, წისქვილი მშრომელ კაცს.... მდინარე თევზს, ოკეანე ზვიგენს, ჯუნგლები ჯირაფს -მხოლოდ მე ველოდები წერილის პასუხს, რომელშიც მომიყვები უკდეგანო სიყვარულზე, რომლითაც გაათბობ სივრცეს და გააცოცხლებ მკვდარ დედამიწას.

2020 წელი

ბეჟან ხარაიშვილი



უსახელო მკვდრები

თიბათვე რომ დადგა, ქალაქს გამოვექეცი. მომწყინდა ქალაქში უთავბოლო სმა და ერთფეროვანი დღეები.

ახლა ხევსურეთში ვარ, ძია ანიელთან ვზივართ ხევსურულ ქოხში და თუთუნს ვაბოლებთ. გარეთ გრილა. საღამო ახლოვდება. სხეულში სიმსუბუქეს ვგრძნობ. ახლო, სულ ახლოა ზეცა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს ქოხი ზეცაში იდგეს და ღია ფანჯრიდან არაგვის ხეობას დავყურებდე.

ძია ანიელს პატარა ხელადით ჟიპიტაური შემოაქვს. სუფრას აწყობს. იღიმება.

ანიელი ნამდვილი ხევსურია, ამიტომაც შემაყვარა თავი. სუსტი წაბლისფერი სახე და განიერი მხრები აქვს. ყვრიმალთან ნახმლევი ემჩნევა, ყმაწვილობისას დაუჭრიათ ხატობაში.

მას შემდეგ კარგ დროს გაუვლია. ანიელს კი ყველაფერი გუშინდელ დღესავით ახსოვს.

ღუმელთან ახლოს საუფროსო გრძელი სკამი დგას. წინათ ამ სკამზე ოჯახის უფროსი ან საპატიო სტუმარი ჯდებოდა. ახლა მე ვზივარ... ანიელმა პატარა სკამი ირჩია. სუფრას წინ მიდგამს. ვილოცებით.

პატარა ყანწებს მალ-მალე მაცლევინებს. ვგრძნობ, ვთვრები, მაგრამ უარის თქმა არ გამოდის.

ხვალ ან ზეგ ხევსურები სათიბში გავლენ.

ქალაქიდან სწორედ ამიტომ ამოვედი. არასოდეს არ მინახავს, სად, ან როგორ თიბავენ ხევსურები. ანიელი შემპირდა, რომ წამიყვანს. ბევრს ვერაფერს მოვეხმარები, მაგრამ თვალს მაინც გავახელ, ვნახავ ქვეყანაზე რა ხდება... აქაურ დილა-საღამოს გავაცილებ. მეც ხომ ამ დილა-საღამომ უნდა გამაცილოს, როცა იქნება. იქნებ ხვალ, ზეგ, ან ახლა, ამ წუთში... ო, არა, სიკვდილი საშინელებაა! ეს სენტიმენტალური განცდა ქალაქიდან გამომყვა და აქედან რომელიმე ლამაზ ღელეს გავატან, ისევ ქალაქისკენ. არა, არც ქალაქში, სადმე შორს, სულეთში ან სულეთს იქით.

მე უნდა ვიცოცხლო და ვნახო ხევსურები თიბვის დროს. მე ბევრი რამე უნდა ვნახო, მოვისმინო მთიბლური და ყური მივუგდო ხევსურების გულების გუგუნს, – საქართველოს ისტორიის ცოცხალ მატიანიანებს.

– თითოც დავლიოთ, – მეუბნება ანიელი. – წინათ ყანწების ერთმანეთზე მიხლა არ იცოდნენ ჩვენთან, ყანწების მიხლით შუღლი იწყებოდა. ახლა ყანწებსაც ახლიან ერთმანეთს, თავებსაც და – აღარ დაამთავრა.

ჩაფიქრდა. სახე ნერვიულად დაეძაბა. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ტუჩთან მიიტანა. თვალები დახარა. ნახმლევ საფეთქელთან ამობერილი ძარღვი შეუტოკდა. ამ ძარღვში სისხლზე უფრო მეტი საქართველოს სიყვარული მოძრაობს, ცქმუტავს, ტოკავს და ზედ ნახმლევთან საფეთქლის სიღრმეში ეშვება.

უხერხულობა მიმორჩილებს. ხან შებოლილ ჭერს შევცქერი, ხან ძია ანიელს. ვიცი, რაღაც აწუხებს და არ მეუბნება.

– ვაჟო, – როგორც იქნა ხმა ამოიღო, – მითხარი, რატომ ვართ ქართველები ასეთები...

– როგორები, ძია ანიელ?

– დავთრებით, ყველაფერი მაშინ გვახსენდება; სამშობლო, სიყვარული, შუღლი, სიკეთე...

– სამშობლო ყოველთვის გვახსოვს, – ვეუბნები, – პირიქით, როცა ვთრებით, ყველაფერს ვივიწყებთ.

ჯეელი ხარ და ეგრე გეჩვენება, ჩემხნად რომ მოიყრები, სხვანაირად იფიქრებ. კაცს რომ ქალი უღალტებს ან ცხოვრებაში ხელი მოეცარება, სმას იწყებს. რას აკეთებს ამით, ივიწყებს? – არა, არა მგონია. გრძნობები უფრო მეტად აეშლება, ბოდმა სხეულის ყველა ნაწილს დაივლის, თავი გაუბრუვდება, გული გაუსივდება, საკუთარ თავში ეცემა უღონო და არაქათგამოცლილი. მიიხედ-მოიხედავს, დარდის მოსაკლავად ისევ დალევს, ივლის, ვიღაცას გადაეყრება, შეაგინებს, ცემს, ან ცემენ, ფეხქვეშ გაიგებენ, ათრევენ და მერე, როცა გონს მოვა, ცოტახანს ჩაფიქრდება...

გახელებულმა ტარიელმა ვეფხვი ხელით დაახრჩო. ახლა სადღაა ვეფხვი ან ვეფხვის დამხრჩობი. ჩვეულებრივი ცოდვილები ვართ და ხან სიმთვრალეში, ხან სიფხიზლეში ერთმანეთს ვაღრჩობთ და ამით ვიკლავთ წყურვილს.. რის წყურვილს ვიკლავთ ეს ღმერთმა იცის და ღმერთმა არაფერი არ იცის...

ისევ ჩაფიქრდა.

მე, ანიელის დაუკითხავად, ყანწს ვავსებ.

– ყველა კაცი ხომ კაცი არ არის, ძია ანიელ, რა გული გაგიტეხია?! ჩვენ ვებრძვით ლოთებს, უქნარებს და ჩხუბისთავებს...

– ყური მიგდე, – მეუბნება და ცალ ყანწს მართმევს, – ყველა არც კაცია, არც დალევა შეუძლია და არც ჩხუბი, მაგრამ იმან რა ჰქნას, ვისი გონებაც სადავეს არ ემორჩილება, ვისთვისაც მამულის სიყვარული ყანწივით არ იცლება, გროშებზე არ იყიდება, ვისაც ძმისთვის მოქნეული მარჯვენა საკუთარ სახეში მოხვდება... ვინ გაგიმართავს ხელს ყველამხრივ, ვინ? ხომ რჩება გულის ფსკერზე ისეთი სევდა, რომელიც კაცს სამარეში მიაქვს და რომელსაც მიწის მეტი ვერავინ გაიგებს. მთაში ვცხოვრობ, მართალია, მაგრამ წიგნები და გაზეთები აქაც მოაქვთ ხანდახან. იქ... იქ ყველაფერი ლამაზად წერია. ყველაფერი ლამაზი არ არის. უდარდელი კაცი არარაობაა. არარაობა არსებობს, უდარდელი კაცი – არა. როცა გიხარია, კიდეც უნდა გწყინდეს. სიხარულში აუცილებლად იმალება სინანული და ეს სინანული თავს გვიან იჩენს.

ენა მებმება. ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებ.

– ა, იმ მთას ხედავ? – თითით მაჩვენებს. – თითს თვალს ვაყოლებ და სარკმლიდან მთის ხედს ვხედავ.

– ტრაქტორი შეუყენეს მაგ მთას... გზა გაიყვანეს... იქ ერთი კომლი ცხოვრობს, დაბლა იშვიათად ჩამოდის. რადათ უნდათ ეს გზა, გეკითხები.

– ალბათ მადანი აღმოჩნდა მთის წვერზე...

– ეჰ, – ოხრავს, – მადანი ხევსურეთში ბევრია, მაგრამ მიგნება უნდა, მიგნება.. მე მაინც ის ბილიკი მერჩია, მოქნეული შოლტივით რომ იყო მაგ მთაზე დაკრული.

ყველაფერს მივხვდი.

თითოც დავლიეთ და ჩემი თხოვნით სმა დავამთავრეთ. მთის წვერიდან ნისლებმა მთვარე ამოაბურთავეს და არაგვის ჭალაზე ისროლეს. კამკამა, ლურჯი ზეცა ხევსურული ჩოხასავით დაწინწკლეს ვარსკვლავებმა. ანიელმა ლამპა აანთო. ქოხი მკრთალმა შუქმა გაანათა. გული სივრცეში აღარ მქონდა, მინდოდა მალე დამეძინა და მალე გათენებულიყო.

* * *

იმედი გამიცრუვდა. მეორე დღეს თიბვა არ დაწყებულა. მე და ანიელი მაინც წავედით მთაში. თან თოფი და არაყი გავიყოლეთ. როგორც ანიელმა მითხრა, იმ ღამეს სადმე, ქოხ-

ში გავათევდით. ამას, რა თქმა უნდა, ჩემი სიამოვნებისთვის აკეთებდა.

მთის ფერდობს ნელ-ნელა შევუყევით.

დაცვარულ ბალახებს ოხშივარი ასდიოდა. არაგვს გაღმა ცამდე აღმართულ მთებს ნისლები წამოეპარენ და თვალებზე ხელი დააფარეს.

რაც უფრო ზევით მივიწევდით, მით უფრო იზრდებოდა სწრაფვა სიმაღლისკენ. ჰორიზონტზე მზე გამოჩნდა. ნისლები ნელ-ნელა გაიფანტა, არაგვს გაღმა ცხვარს ფერდობი გადაეთოვლა.

შევისვენეთ.

თითო სიგარეტი გავაბოლეთ. მომწყურდა. ანიელმა წყაროზე გადამიყვანა.

წყარო!!!

აი, ეს იყო წყარო. მივხვდი, ჩემ სიცოცხლეში ამაზე უკეთესს ვერაფერს დავლევდი. მთის ფერდიდან წყლის დიდი ნაკადი გამორბოდა და მთის გულზე ობოლი სიმივით ჟღერდა. ვიდრე ანიელი ზურგჩანთიდან საგზალს ამოალაგებდა, წყაროს ისე დავეწაფე, როგორც მომაკვდავი უეცრად მინიჭებულ სიცოცხლეს. წყარო, რა თქმა უნდა, ცივი იყო. ცივი, როგორც ყინული და საამური, როგორც სიცოცხლე. იქვე, გვერდით, სულ ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, დუღდა ხევსურეთის გული–ვეძა.

ახლა იქით გადავედი. ვეძას ხევსურეთში მინერალურ მჟავე წყალს ეძახიან. დავლიე. ისეთ სიამოვნებას ვგრძნობდი, თითქოს ათასი წლის მერე ამ წყლებთან დავბრუნებულიყავი საპყრობილედან.

ანიელმა დამიძახა.

ვისაუზმეთ. ჩვენს ირგვლივ ყვავილების სურნელი იფრქვეოდა. მიწა ისეთი თბილი მეჩვენა, მეგონა მისი თოვლივით დაგუნდავება შემეძლო.

მიწის სამ გუნდას ავიღებდი.ერთს სიკვდილს ვესროდი, მეორეს – ბოროტ ადამიანს. მესამეს – ისე, უბრალოდ და უმისამართოდ გავუშვებდი. გავუშვებდი შორს ან ახლოს. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ უმისამართოდ გასროლილი გუნდა ისევ მიწას დაუბრუნდებოდა. დაგორდებოდა, ორიოდე ყვავილს გადათელავდა და მიწა მიწად გახდებოდა.

გუშინ ანიელმა მითხრა. გზისპირას აგებულ წყაროებს მიცვალებულთა სახელებს ვარქმევთო. ეს წყლები სულეთში ჩადიან და ჩვენი მკვდრები სვამენო.

სვამენ? – რა ვიცი. ამ ბოლო დროს საიქიოს ამბები ძლიან მაწუხებს. მეშინია, რამე ცუდი არ მომივიდეს. მე მინდა მოვკვდე, ვნახო საიქიო, მაგრამ იქ ვერ დავრჩები. უბრალოდ ვნახავ და დავბრუნდები.

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ეს აზრი ამეკვიატა. ამეკვიატა და არ ვიცოდი როდის დამშორდებოდა.

აქეთ რომ წამოვედით, თან უბის წიგნაკი წამოვიღე. ანიელმა არ იცოდა ჩემი პოეტობის შესახებ. კარგი ლექსები არ გამომდიოდა, მაინც ვწერდი. მტკიოდა და ვწერდი. ამაზე უკეთეს ადგილს სად ვნახავდი. ბალახზე გაშლილი ფურცელი რომ დაგედო, მწვანე წერტილებით ლექსი დაიწერებოდა. დაიწერებოდა, მაგრამ ამ ლექსს ბევრი ვერ ამოიკითხავდა...

ანიელმა არაყი დამისხა.

სამ-სამი დავლიეთ. წამოდგა, ჭურჭელს თავი დაახურა.

– ვაჟო, შენ აქ დარჩი, უცქირე აქაურობას. მე ჩავალ, სათიბს გადავხედავ. და თავქვე მძიმე-მძიმედ დაეშვა.

უბის წიგნაკი და ავტოკალამი მოვიმარჯვე. გადავწყვიტე ხევსურეთზე ლექსი დამეწერა. რის დაკვირვებაც შემეძლო, დავაკვირდი. რომელიღაც მთა ვეებერთელა ჩონგურს მივამსგავსე, მთაზე ჩამოჭიმული თეთრი ჩანჩქერები – ჩონგურის სიმებს. მუსიკოსად სიო მოვნათლე, რომელიც ამ სიმებზე მამულის ჰანგებს ამღერებდა.

საჭირო იყო ყველაფერი ეს ლექსში ჩამეტია და მხატვრული სახე მიმეცა. ვცადე. არაფერი გამომივიდა.

ახლა სხვა მთებს გავხედე.

ეს მთები კაცებად წარმოვიდგინე. მათ თავზე დადგმული ნისლები ხონჩებად. მზე თავის ადგილზე რჩებოდა. ესე იგი: მთებს ნისლის ხონჩები შეუდგამთ თავზე და მზის მისართმევად მიაქვთ.

ისევ უბის წიგნაკს ვეცი.

სიგარეტი ზედიზედ მოვწიე. სასმელი მომინდა. დავასხი. დავლიე. ცოტათი გავბრუვდი. თავზე ხელები მოვიჭირე. ისევ სიგარეტი... ისევ მთები... ფურცლები... ტვინში აზრების რიარია... რითმა... რითმაა საჭირო...

„მთები ვთბები“... არ ვარგა, ძველია.

„გზები გზნებით“... არც ეს ვარგა.

ჯანდაბას ურითმო იყოს... თეთრი, სულ თეთრი...

ოღონდ ეს შეკოწიწებული სახეები არ დამეშალოს და ლექსის ფორმას არ დავეძებ...

თანდათან თბილ ბურანში ვეშვები... თვალები მეხუჭება. ლექსს ვწერ და ვერ ვწერ. ყველაფერი ერთნაირი ხდება ან არაფრის ნაირი. ბურანში უფრო ღრმად ვეშვები და...

ჩამეძინა.

ჩამეძინა და სიზმარი ვნახე:

ზღვის პირას ვიდექი. ჩემი უბის წიგნაკი და ავტო-კალამი თან მქონდა. ზღვა ღელავდა, ბობოქრობდა, ბრდღვინავდა. უშველებელ ენას ნაპირზე ისროდა თავისი სათქმელ-უთქმელობით. ამ ენით თავის ხაოიან ნაპირს ისე ლოკავდა, როგორც პირუტყვი ქვამარილს.

მახსოვდა, რომ ქართველი ვიყავი და არ მახსოვდა სადაური. ზღვა კი ნამდვილად ქართული იყო, ჩემი შავი ზღვა, ჩემთვის ნაცნობი და საყვარელი.

უცებ ზღვის ენა ტალღებად იქცა.

მერე ჩემს მზერაში ზღვა მთლიანად გაიყინა. შევამჩნიე: ზღვის დასალიერზე უამრავი მზე ენთო. ზოგი მზე ჩადიოდა, ზოგი ამოდიოდა... გაყინულ ტალღებზე მიმწუხრის ფერი დასრიალებდა. ასეთი სამყარო არასოდეს მენახა და შიშით ტანში მაჟრჟოლებდა. ვიცოდი, მალე არსებობას შევწყვეტდი. მესმოდა ჩემი ძვლების ღრჭიალი, მტკიოდა ძარღვებში სისხლის უწყვეტი მოძრაობა. მე ჩემს სხეულში, უფრო სწორად, ჩემს გულში ჩავჯექი და სისხლთან ერთად დავიწყე მოძრაობა. როგორც მეზობელი-მეზობელთან, ისე მივდიოდი ჩემს ფილტვებთან, ტვინის უჯრედებთან, თირკმელებთან, მუხლებთან, მკლავებთან... ხან მარტო ტვინი ვიყავი, ხან გული, ხან ფილტვები, ხან ყველაფერი, ხან არაფერი. მე ვიყავი მთლიანი და საზიზღარი, ვიყავი ნაწილი და საყვარელი.

ყველაფერი ეს ხდებოდა და არც ხდებოდა.

ზღვა მზერაში გამდნარიყო.

„მოგზაურობიდან“ რომ დავბრუნდი, ჩვეულებრივი ბიჭი დავრჩი უბის წიგნაკით და ავტოკალმით.

ზღვის დასალიერზე ერთი მზედა ჩანდა... ისიც ტალღებში ჩასულიყო ნახევრამდე. შემეშინდა. მზესთან ერთად თითქოს მეც დაბლა ვიწევდი, მიწაში, მიწაზე უფრო ქვემოთ...

ჩემი ორეული ქვიშაზე წამოწვა და დაცინვა დამიწყო:

– მიდიხარ? – მეკითხება,

– ჰო, მივდივარ... მივდივარ მიწაში... მიწის ქვემოთ.

– ლექსები მაინც დატოვე... შედევრი დაიკარგება.

– მიშველე რამე, თუ შეგიძლია...

– გიშველი. გიშველი, ოღონდ შენი სხეულიდან გამოუშვი: გველი, ბოროტება, შური, შულღი, დაცინვა, მიჩქმალვის ნიჭი, ყველაფერი, ყველაფერი, რასაც დაბლა ჩაყავხარ... მოიხსენი ნიღაბი... გიმეორებ, მოიხსენი.

– მერე... მერე რაღა დავრჩები?! მე მგონია, რომ გველი, ბოროტება, შური, შულღი, დაცინვა და მიჩქმალვის ნიჭი არ გამაჩნია და რომც გამაჩნდეს მაინც ვერ გამოვუშვებდი, მე ადამიანი ვარ...

– სცდები, შენ ჩემგან ჩამოთვლილი ყველა თვისება გაგაჩნია, იგი დაბადებიდანვე დაყვება მოკვდავს. – მეუბნება ჩემი ორეული, – შენ პატარა ხარ, პატარა. პატარა და მსუბუქი.

– ვიდრე ბოლომდე ჩავიძირები, შენი სურვილის ასრულება არ შემიძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში მე გამსრესენ, გადამთელავენ და გაივლიან.

– გაიარონ, სხვას რატომ უღობავ გზას...

– გაიარონ, – ვეუბნები მეც, – მაგრამ იმათაც ხომ მიაქვთ შულღი, ბოროტება, მტრობა...

– მათ სხვა გაადაუვლის, სხვას კიდევ სხვა და ბოლოს ყველანი რიგ-რიგობით ჩაიძირებიან...

ეს რა გავიგონე.

მინდა ჩემს ორეულს მივწვდე, ფეხი დავადგა, გავსრისო და ხმა გავაკმენდინო.

– გრძნობათა უხილაობის მიღმა რომ ჩაწვდე, ეს სიკვდილია. – იღმიჯება ლანდში მოძრავი ჩემი თავი, – მე შენ ჩაგწვდი და გკლავ. მე ღმერთი ვარ შენი...

შენთვის სხვა ღმერთის არსებობა ჩემი მოგონილია. დაბლა საკუთარი თავის ჯოჯოხეთი გეზიდება...

შენი სხეული ნიღაბში მიგატოვებს და ყველაფერი თავის გზით წავა. ხორცით მიწა გაძღება, სული კი აქვე დარჩება ყვავილებში, ხეებში, დილის ნამში და ფოთოლში. შეიძლება რომელიმე კაცში, რომელიც მოვა ან არ მოვა...

ორეული გაჰქრა.

მე ისევ მე დავრჩი. ზღვაში ჩამავალი მზე ხარის ნალის ოდენა ჩანდა. შემოვბრუნდი. ზღვას ზურგი შევაქციე. თვალთაგან ცრემლი წამსკდა. ვტიროდი ისე, არაფრის გამო, ჩემგან დამოუკიდებლად. ვგრძნობდი, თუ ჩემი ცრემლი ზღვას შეერთვოდა, მაშინ მზე უფრო მალე ჩაიძირებოდა...

თვალების ნაჟურს პეშვი შევუშვირე.

პეშვი გაივსო... თვალები დავხუჭე და ცრემლები წყალივით დავლიე. გამოვცოცხლდი, საკუთარი არსებობა ვიგრძენი. ჩვეულებრივი მოკვდავი გავხდი.

ირგვლივ რაღაცამ იხუვლა. არ მახსოვს, ქარიშხალი იყო თუ ჰაერში გაყინული თოლიების ფრთებით წარმოშობილი გრიგალი მიბიძგებდა ზღვისკენ... პალმები, ევკალიპტები, კიპაროსები, ბალახები, ყვავილები და ყველაფერი, რაც ირგვლივ იყო, მე მეჭიდებოდა, მე – მათ.

* * *

საიდანღაც ნაპირს უამრავი ხალხი მოაწყდა. შევკრთი, ამდენი ხალხი ერთად შეკრებილი არასდროს მენახა.

ჩემს გვერდით ჩემი თანატოლები ჩამწკრივდნენ. მათაც, როგორც მე, ხელში უბის წიგნაკები და ავტოკალმები ეჭირათ. ზოგი იცინოდა, ზოგი ტიროდა, ზოგიც ღრმად ჩაფიქრებული, უბის წიგნაკს ჩაჰკირკიტებდა. ჩვენს წინ მოხუცი კაცები იდგნენ. მოხუცთაგან ხმას არავინ იღებდა. გრიგალი ჩადგა. სამაგიეროდ ზღვა აღელდა, აბობოქრდა და შუაში მთასავით აიზნიქა. ხალხს სუნთქვა შეეკრა. სასწაულის მოლოდინში თოლიები ნაპირზე დაეშვნენ და ჩვენ მოგვაჩერდნენ.

ზღვის ამოზნექილი ნაწილი დაეშვა.

ტალღებზე კაცი გამოჩნდა. ხალხმა ისე ღრმად ამოისუნთქა, გეგონებოდათ გულები თან ამოაყოლესო. ზღვის კაცი თითქოს ტალღა-ტალღა მოდიოდა. მოდიოდა ზღვათა და საუკუნეთა მიღმიერთიდან. კაცი კი არა, ღმერთკაცი იყო. თავზე ლამაზი ბოხოხი ეხურა. ბოხოხში ბატის ფრთა ქონდა ჩარჭობილი.

მალე ღმერთკაცი მოგვიახლოვდა.

მიგებება ვერავინ გაბედა. ყველა მონუსხულივით იდგა.

– ვინ ხართ, ან აქ რამ მოგიყვანათ? – მოსვლისთანავე გვკითხა ღმერთკაცმა.

– ქართველები! – პასუხობს წინ მდგონი წვეროსანი.

– ოჰ, ო... ოჰ... – კვნესის ღმერთკაცი, – ქართველები ასე ცოტანი დარჩით? რამ დაგაბეჩავათ, რამ დაგაკნინათ...

ოი, საქართველოვ, ჩემო საქართველოვ!..

ღმერთკაცი დაიხარა და მიწას აკოცა. ახლაღა ვიცანი, რუსთაველი იყო.

წინ მდგომთაგან ოთხი უხუცესი მისაგებებლად დაიძრა. დაუჩოქეს. თავები დახარეს. რუსთაველმა ყველა წამოაყენა და მათ შუაში ჩადგა. მე, ჩემი აზრით, თანატოლებზე მეტი გამბედაობა მქონდა.

– მივალ, – ვფიქრობდი, – თავის ბიოგრაფიას ვკითხავ, ვკითხავ და მეტყვის. მეტყვის და გავლექსავ. გავლექსავ ან ისე ჩავიწერ. ჩავიწერ და მსოფლიოს ნათელს მოვფენ.

რუსთაველი დაიბადა ამა და ამ წელს, – ასე დავიწყებდი, – გარდაიცვალა ამა და ამ წელს, – ასე დავამთავრებდი, – გარდაიცვალა? – არა, არ გარდაცვლილა, ის ხომ ჩემს თვალწინაა, ის ცოცხალია და მის გარდაცვალებას არავინ დამიჯერებს. მივიხედე. ჩემი თანატოლები ავტო-კალმებს ერთმანეთის უკან მალავდნენ და შიშისგან ცახცახებდნენ.

რუსთაველმა შუბლზე ხელი მიიჩრდილა და წინ მდგომ ოთხეულს პირდაპირ შეხედა.

ერთმანეთი გაიცნეს.

– აკაკი!

– ილია!

– ვაჟა!

– გალაკტიონი!

მე მივხვდი, რომ რუსთაველს მხოლოდ ესენი წაუკითხავდნენ ლექსებს. მათ ერთმანეთს გაუღიმეს და ხელი ჩამოართვეს. გონი მოვიკრიბე და ისევ წინ გავიხედე.

სიხარულით კინაღამ შევყვირე, მაგრამ წამსვე გამახსენდა, რომ აქ ჩემი ხმის ამოღება არ შეიძლებოდა.

ლექსს გალაკტიონი კითხულობდა!

ზღვა უფრო აღელდა, აღუღდა, ნაპირს დაემუქრა. გალაკტიონი ხან გრიგალებდა, ხან ტიროდა, ხან საოცრად ალერსიანი იყო. ტიროდა რუსთაველი. ვტიროდით ჩვენც.

„ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე“...

დაამთავრა. ზღვაც დაცხრა.

ახლა ჩვენი ჯერი დადგა.

– ეს ბავშვები ვინ არიან, ერისკაცნო, აქ რას აკეთებენ.

– ესენი პატარა პოეტები არიან, დიდო მგოსანო, – უპასუხა ყველას მაგივრად აკაკიმ, – ლექსებზე ნადირობენ, კალმები დააქვთ, მხატვრულ სახეებს (თავის ჭკუით) ინიშნავენ, ეძებენ და ისევ ინიშნავენ. მერე დაჯდებიან და ღამეებს სიტყვების შერჩევაში ატყემლის-ფერებენ. ლექსზე იმდენს წვალობენ, იმდენს აშალაშინებენ, რომ გათენებისას თეთრი ლექსი რჩებათ.

– თეთრი ლექსი როგორია? – გაუკვირდა რუსთაველს, – ასეთი რამ არ გამიგია.

– ურითმო ლექსია, – უთხრა აკაკიმ – ვერლიბრს ეძახიან. ბევრი მიმდევარი ყავს.

რუსთაველმა გაიღიმა.

მიგვიხმო. ერთმანეთის გასწრებით მივეახლეთ.

– წამიკითხეთ, რას წერთო! – გვითხრა.

წავუკითხეთ.

ყველა ლექსი ზეციდანდ იწყებოდა და ზეცით თავდებოდა.

მშრალი სიტყვების რახარუხმა ზეცა შეანჯღრია, სანაპიროზე მტვერი დადგა.

რუსთაველმა შეჩერება ბრძანა.

ამოიოხრა.

– დიდთა ვერ მოჰკლავთ ნადირთა... – თქვა სინანულით.

უბის წიგნაკები და საწერ კალმები ყველას წაგვართვა და მიწით დაგვითხუპნა... უბის წიგნაკები ზღვაში გადაყარა. მე შემეშინდა, პოეზიას ასე ადვილად ვერ დავთმობდი...

– ვისაც კალამს დავუბრუნებ, წერა იმან გააგრძელოს, ვინც ისე დარჩება, თავისუფალია ამ ხელობისგან. ლექსი ვერც ყანას მომკის, ვერც გაგაძღებს და ლექსმა შეიძლება ყანაც მომკას და კიდეც გააუკვდავოს პოეტი. ლექსმა შეიძლება სამყარო ააფეთქოს ან დაამშვიდოს. მაშ ასე, ვიწყებ კალმების დარიგებას.

ჩვენ ფერი წაგვივიდა.

ყველას პოეტობა გვინდოდა. პოეტობაც არის და პოეტობაც, სახელოვანი პოეტები გვინდოდა ვყოფილიყავით. ჩვენ უნდა გვტკენოდა სამყარო და სიცოცხლე. ბევრი გვეცინა და ცოტა გვეტირა. ტირილშიც იქნებოდა სიცილი. სიცილი კი არა ხარხარი. ხარხარი ცრემლისა და სინანულისა, განშორებისა და ახლოს ყოფნისა...

– გამოდით რიგიდან, – უბრძანა ოთხ ჩემნაირს და კალმები გადაუყარა. – წადით, მოთოხნეთ, მომკეთ. ისიც ლექსია, სიმღერაა, სიხარულია.

შემდეგ ოთხეულს იგივე გაუმეორა.

ჩემი ჯერიც დადგა. თვალები გამიფართოვდა. რატომღაც მჯეროდა, რომ კალამი აუცილებლად მერგებოდა. მჯეროდა და მერგებოდა, მერგებოდა და მჯეროდა...

– ეს კალამი ვისია? – იკითხა სხვათა შორის.

– ჩემია! – ვთქვი მე და ხელი გავიწოდე. ვგრძნობდი, რომ ავტოკალამს მაძლევდა.

* * *

– წამოდექი, წამოდექი, – ჩამძახა ანიელმა და გამომაღვიძა. – ადრე დაგიძინია, ბალღო. მოიცა, ეს რა ფერი გადევს?.. ცუდად ხომ არა ხარ... მთისჰაერმა დაცდა იცის, მიდი, პირი დაიბანე, გამოცოცხლდები.

ზლაზვნით წამოვდექი.

პირი დავიბანე, გამოვცოცხლდი. ამნაირ გამოცოცხლებას სიკვდილი მერჩია...

მოსვენება დავკარგე. რაც მესიზმრა, ყველაფერი ხელახლა გავიაზრე. გული მიგრძნობდა, რაღაც უნდა მომხდარიყო იმაზე უარესი, რაც ზღვის პირას ვნახე.

ტყის პირას კურდღელი დავლანდე.

ანიელს ხელი წავკარი, მივახედე. არ განძრეულა, თითქოს კურდღელი ვერც შენიშნა.

– ესროლე ანიელ, რაღას უცდი, – ვეჩურჩულები.

– არ ვესვრი...

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ ტყეების დაცვა მე მავალია, ასეც რომ არ იყოს, კურდღელს მაინც არ მოვკლავდი...

– თოფი რაღად გინდოდა რომ წამოიღე, თუ არ ვინადირებდით და არაფერს მოვკლავდით.

– ღამით, თუ მგელი ან დათვი დაგვესხმება, იმას ვესვრი, კურდღლის მოკვლა რა ვაჟკაცობაა.

დავუსტვინე.

კურდღელი ელდანაცემივით გაიქცა... გული დამწყდა, რომ ცოცხალი გადარჩა. კურდღელი, რა თქმა უნდა, არაფერს მიშავებდა, მაგრამ მე მასზე ძლიერი ვიყავი და უნდა მომეკლა. მერე ცეცხლს დავანთებდი. კურდღელს გავატყავებდი და ხორცს მადიანად შევექცეოდი.

ხევხუვებზე ბინდი დაეშვა.

საიდანღაც გრილმა სიომ დაბერა. ბალახებმა მოიწყინეს, ყურები ოდნავ ძირს დაუშვეს, გაინაბნენ. შორს, ძალიან შორს, ჭიუხთა წვერი გამოჩნდა. ზოგან ბინდისფერი შედგომოდა, ამ უკარებელ მასპინძელს.

ანიელი ქოხისკენ წამიძღვა.

ვივახშმეთ. ვისაუბრეთ. ცეცხლი არ დაგვინთია, რადგან შესაწვავი არაფერი გვქონდა და არც სიცივე გვაწუხებდა. ანიელმა ზურგჩანთა თავით ამოიდო და ძილინებისა მისურვა. მე დაძინების მეშინოდა. ქოხიდან გამოვედი, ბალახები მოვგლიჯე, როგორც ანიელმა მირჩია და თავით დავიდე.

როგორც იქნა, ჩამეძინა.

ჩამეძინა და... მოკვდი. კუბოში ჩამაწვინეს. გამაპატიოსნეს.

ჩემი დასაფლავების დღე კვირა იყო...

ჩემსავით უბრალო და სახელდახელო კუბო გაეკეთებინათ. თავთან ყვავილები მეწყო. ყვავილები სიცოცხლეშიც ძალიან მიყვარდა და ალბათ ეს გაითვალისწინეს. მთელი სოფელი ჩვენთან იყო შეკრებილი. ნათესავები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ.

თავთან სანთლები მენთო.

გამთენიისას ჩემს უმცროს ძამიკოს ახალი ყვავილები მოქონდა. თავთან მიწყობდა, დამყურებდა, ტუჩები და ხელები უცახცახებდა, გული უთრთოდა.

მერე ჩამეკონებოდა.

ჩემი განშორება უმძიმდა. ხელებს სახეზე მხვევდა, ცრემლს მაღვრიდა. ასე ვიყავით მანამ, სანამ ოთახში ვინმე არ შემოვიდოდა და ჩემს ძმას გარეთ გაიყვანდა.

ჩემი ძამიკო გადიოდა, ეზოში ვაშლის ძირში ჯდებოდა. ეს ვაშლი ერთად დავრგეთ ორივემ. ვენახიც გავაშენეთ.

იგი ვაშლსა და ვენახს შეჰყურებდა. შეჰყურებდა და ტიროდა. ტიროდა და შეჰყურებდა. სოფელში ხმა დაერხიათ, ლექსების წერამ გადარია საწყალი და უდროოდ ამოხადა სულიო.

ბავშვებს საწერ-კალმები დაუმალეს, გარეთ არ უშვებდნენ – დაწერილ ფურცლებს უხევდნენ, თქვენც გაგიჟდებითო.

შაბათ საღამოს, ჩემი დასაფლავების წინა დღეს, ჩვენს ეზოში თეთრი ცხენი შემოჯირითდა. ცხენზე გოგონა იჯდა. გოგონას შავი კაბა ეცვა. მხრებზე ყორნისფერი თმები დაჰფენოდა. ზღვისფერი თვალებიდან ცრემლი დაპაღუპით ჩამოსდიოდა. ცხენი კიბესთან შედგა. გოგონამ ზე აიწია, დამხვდურთ ნაღვლიანი მზერა მოავლო და ცხენიდან მსუბუქად დაეშვა.წამოდგომა ვცადე. მინდოდა მეყვირა, ცა და ქვეყანა შემეძრა, მზეს და მთვარეს მივწვდომოდი... მივწვდომოდი და მეთქვა, რომ ის დაბრუნდა... დაბრუნდა მაშინ, როცა მე აღარ ველოდებოდი, მან გაიგო ჩემი სიკვდილი...

გაიგო და მოვიდა...

მოვიდა და გაიგო... წამოდგომა მომინდა. თითქოს მხრები წამოვიწიე, თითქოს ნაბიჯის გადადგმა მოვინდომე, მაგრამ მე მკვდარი ვიყავი და ეს ცდა ჩემში ან სხვაში დარჩა.

ეს გოგონა მკვდარსაც მიყვარდა და ცოცხალსაც. მშობლები ყავდა გულღრძო. ჩემთან შეხვედრას უშლიდნენ. უკეთესი სასიძო უნდოდათ: ლამაზი, თანამდებობის მქონე და სასიქადულო.

გოგონას ჩემსავით უყვარდა ყვავილები, მიწა, ზეცა, სიცოცხლე...

გული, ერთავად, სულ ბუნებისაკენ მიუწევდა. ხსნას და სიმშვიდეს ბუნებაში პოულობდა. იგი ჩემი იყო. (ამას მე ვფიქრობდი) ის იყო ჩემი და არავისი. მისი სული ვერავის დაიტევდა და ის არავის სულში არ დაეტეოდა...

ჩემზე გავრცელებული ჭორების არ სჯეროდა. უფრო სწორად, არ უნდოდა დაეჯერებინა.

დაუპატიჟებელი სტუმარი არავის მისალმებია.

მომიახლოვდა. მოვიდა. მინდვრის ყვავილები მომიტანა. სველი, ცვრიანი ყვაიველები ჩემსავით მოეკლა. მოეკლა და მოეტანა. მოეტანა მკვდარი მკვდრისათვის. გაუცივებელი სიცოცხლე გაუცივებელი სიცოცხლისათვის.

დაიხარა.

– ბეჟან! ჩამჩურჩულა, სიცოცხლეში ვერ გავბედე... ვერ გავბედე მეკოცნა შენთვის... ახლა კი... ახლა გაკოცებ... გახსოვს? – ერთმანეთის მაგივრად ყვავილებს ვკოცნიდით ხოლმე... მშობლებს ახლაც გამოვეპარე... შენი სიკვდილი რომ გაიგეს, გაუხარდათ.

– წამომყვები? – ვეკითხები უხმოდ.

– ვერა... ვერ წამოგყვები!!!

– რატომ მოხვედი ჩემთან, მკვდარს მაინც დამეხსენი...

– ვერ დაგეხსნები...

– მითხარი, სიკვდილის გეშინია? – ვეკითხები უკითხავად.

ხმა არ გამცა.

ყვავილები გულზე დამაწყო. თბილი, ჩემთვის შორეული თითები სახეზე მომისვა, მომიალერსა.

– სიკვდილის არ მეშინია, – მითხრა უხმოდ, – სიკვდილი არაა საშიში. სიკვდილი ლმობიერებაა... სიკვდილი მოგკლავს და მოგასვენებს. სიცოცხლე გაწვალებს, გაშინებს, გაიმედებს და ბოლოს მაინც სიკვდილს ჩაგაბარებს...

ოთახში, სადაც მე ვესვენე, ჩემი ძმა შემოვდა. გოგონა ლანდივით გაქრა. გაქრა ცხენიც, ძმაც, ხალხიც და ყველაფერი, რაც კი ოდესმე მენახა. დები არ მტოვებდნენ, ტიროდნენ, თმებს იწეწავდნენ, მერე დედას ამხნევებდნენ, შენი შვილი არ მომკდარაო, აჯერებდნენ... გულწასულ დედას ჩემთან უნდოდა, მოიწევდა, არ უშვებდნენ.

ბოლოს მარტო დავრჩი.

მარტო საკუთარ თავთან და საკუთავი თავის გარეშე... კვირას, ვახშმობის დრომ რომ მოატანა, ჩვენი სოფლის აღმართზე გამომეღვიძა. მიმასვენებდნენ. ჩემი სამგლოვიარო პროცესია ხუთიოდე კაცისგან შედგებოდა.

აღმართი რომ აათავეს, ეკლესია გამოჩნდა. ეკლესიის ერთ განაპირა კუთხეში ჩემი საფლავი გაეთხრათ. საფლავთან დამასვენეს.

თვითონაც დაისვენეს.

ცოტა ხნის შემდეგ მესაფლავემ ბაწრები მოიტანა. თეთრი ზეწარი, რომელიც სახეზე მეფარა, გადამხადეს.სანთლისფერი მედო. საცოდავი დასანახავი ვიყავი.

დაიწყეს ბჭობა.

ზოგი ყვავილებს არ მატანდა მიწაში, ზოგი სასმელს, ზოგი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ მალე დავემარხე.

მაჯაზე ახალთ-ახალი საათი მეკეთა.

წიკწიკებდა. ისევ დროს ითვლიდა. ერთი ნატვრა მქონდა, ეს საათი შეეხსნა ვინმეს და მისი წიკწიკისგან განვთავისუფლებულიყავი.

სიკვდილის წუთებს რაღა დათვლა უნდოდა?!

ისევ ჩემი გოგონა გაჩნდა.

გაყინულ შუბლზე მაკოცა, თვალებზე თითები გადამისვა. საათი ისე უცრად შემხსნა, არც გამიგია. საფლავში მძიმე-მიძმედ ჩამიშვეს. ცარიელი თოკები უკან ამოზიდეს. ორიოდე წუთის შემდეგ ქვა-ღორღი დამაყარეს.

თვალები გავახილე.

ვიცოდი მკვდარი არ ვიყავი და ცოცხლად მმარხავდნენ რა მექნა?.. რადგან თქვეს მოკვდაო, მოვკვდი, ხალხის ნებას წინ ვინ დაუდგება?!

მოვკვდი და დამმარხეს.

დამმარხეს და მოვკვდი.

მინდოდა მეთქვა რამე, მაგრამ კბილებს ერთმანეთს ვერ ვაცილებდი, რომ ენას თავისუფლად ემოძრავა. რომ მეთქვა, მაინც არავინ დამიჯერებდა, მკვდარი ვიყავი და ცოცხლებთან რაღა საერთო მქონდა?!

კუბოს ზემოთ ქვების რაოდენობამ იმატა. ქვებთან ერთად მიწასაც მაყრიდნენ. მაყრიდნენ და მტკიოდა. მტკიოდა და მაყრიდნენ. მტკიოდა გულთან ახლოს, გულს შიგნით, ქვემოთ, ზემოთ, ყველაფერი მტკიოდა, ყველაფრის ტკივილს ვგრძნობდი.

იმ მიწას მაყრიდნენ, რომელსაც მე ვბარავდი, ვთოხნიდი, ვაბრუნდებდი. ახლა მე გადამაბრუნა ამ მიწამ და დამბარავს, დამთოხნის, გაივლის ჩემში და იზეიმებს, იზეიმებს და თავის ღმერთთან კიდევ ერთ უმისამართო ბარათს გაგზავნის.

– შვილოო... შვილოო... – მესმის დაგვიანებული დედაჩემის ხმა.

– ძამიკოო... – ჩამომქვითინებენ ძმები და მიწას ხელით მაყრიან.

– ბეჟან მე... მე სიცოცხლეშივე მინდოდა მეთქვა, რომ...

და უკვე აღარაფერი მესმის.

ხმაზე ვიცანი ჩემი გოგონა იყო. ღმერთმა იცის, რა უნდოდა ეთქვა. ალბათ, მეტყოდა, მებრალებიო.

შებრალებით სიყვარული რაღა სიყვარულია?!

ვებრალებოდე, მერე რა მოხდა. ყველა ცოცხალ არსებას ებრალება ერთმანეთი. ებრალება და მიწას აყრის, ან ისე, უბრალოდ, დაუმარხავად ტოვებს.

ჩვეულებრივი ძილით ჩამეძინა.

მალე გამეღვიძა. ბნელოდა. ჰაერი არ მყოფნიდა. ხელები გავანძრიე. ყვავილები მოვსინჯე. დამჭკნარიყვნენ. ყველაზე უფრო მეტად ახლა შემეშინდა.

ვიცი, მკვდარი ვარ, ზემოდან მიწა მაყრია, არავინ მშველელი არ არის და არავის ვჭირდები. მიწას ვინ ჩივის, გულზე მარმარილოს ლოდი მექნება დადებული. ჩემი წილი მიწა შემოღობილი იქნება. ამ მიწის სიმძიმეც მეყოფა, ლოდი რაღად დამაწოლეთ?!

სუნთქვა მიჭირს.

ზუსტად არ ვიცი, ვსუნთქავ, თუ სუნთქვის მაგვარ პროცესს ვასრულებ... მგონია ვსუნთქავ... ისედაც დაბინდული თვალები კიდევ უფრო მებინდება. ყურში რაღაცები თუ ვიღაცები ხმაურობენ.

მესმის საშინელი ხარხარი, სტვენა, სიცილი, ვბორგავ. თავს წამოვწევ თუ არა, კუბოს თავს ვარტყამ. მთელი ხმით ვყვირივარ, ვყვირივარ, მაგრამ ხმა არ მაქვს. ტანზე ხელს ვისვამ. ხორცი მაქვს და ვერ ვგრძნობ. საშინელი სუნი ამდის, ვგრძნობ და ვერ ვგრძნობ, ვიხრწნები.

ჭიაღუებმა აქაც ჩამოაღწიეს. რა უნდათ, რას მემართლებიან?

უეცრად კუბოს ძირი ეხსნება.

შვებას ვგრძნობ. თავისუფლად ვსუნთქავ. ვეშვები. ვეშვები სადღაც, უსასრულობაში ან დასასრულში... ძალა მემატება. არსებობას ვგრძნობ. დამჭკნარი ყვავილები ჩემთან ერთად ეშვებიან.. ძარღვებში სისხლი მოძრაობს. გული ფეთქავს. ტვინის რომელიღაც უჯრედებში ქაოსია, რაღაც ახალი იწყება.

– ო, ნეტავ ისევ მიწაზე დამაბრუნა!

დამაბრუნა თუნდაც ერთი დღე, ერთი წუთით, ერთი წამით...

ვიღაც ხელს მავლებს და მექაჩება. ხმას არ მცემს. ჩემზე ძლიერია, მკლავი ვერ მოვუხარე. ბნელა. ვეცემი. არაფერი მტკივა.

ვეცემი და ყველაფერი ნათდება. ჩვეულებრივად დავდივარ. წინ გზა მიდის. უკან არაფერია. გზა თითქოს აქედან იწყება. იქით-აქეთ კედლებია. ორივე მხარეს ერთნაირი მდინარეები მოჰქუხან. ორივე უცხოა და ორივე მტკვარს მაგონებს. გზას მივყვები. გზადაგზა ყვავილებს ვხედავ.

მახსოვს: მკვდარი ვარ. დამმარხეს. დამიტირეს. საყვარელმა გოგონამ გამომაცილა, საათი შემხსნა...

– ო, რა კარგი ქნა, საათი რომ შემხსნა!

აქ ცა არ არის. ძირს და ზემოთ მიწაა. მიწა გაცისკროვნებულია უცისკროდ და ცის გარეშე. მდინარეები მოდიდებულან. საიდან მოდიან, მაინტერესებს. უკან არაფერი ჩანს, წინ ყველაფერი ნათელია. გზას ალაყაფის კარები მიღობავს.

ვუყურებ. ჩვეულებრივი რკინის ალაყაფია, არაფრით არ განსხვავდება სიცოცხლეში ნანახისაგან. მიკვირს და ვერ გამირჩევია: ესაა საიქიო, თუ ის, სადაც დავიბადე და გავიზარდე. აქ ხალხი იქნება. ალაყაფის იქით დიდი სახლები ჩანს. ყველაფერს გავიგებ.

ალაყაფზე დიდი ასოებით აწერია:

ს ა ა ქ ა ო

მოვსულვარ. ალბათ ამათი საიქიო იქ არის, საიდანაც მოვიდნენ. ალაყაფის კუნჭულში პატარა კარია. ამ კარში შევდივარ. ათიოდე ნაბიჯს ვადგამ და წინ ჯუჯა კაცი მეღობება. სახემოსვრილი, წვერგაუპარასავი. დიდი, დატოტვილი თითები აქვს.

– საით? – მეკითხება.

– საიქიოში, – ვეუბნები.

– ჰიჰი, ჰი, ჰიჰი, – იცინის, – საიქიოდან მოხვედი. ახლა სააქაოში ხარ. მე ჩამოგათრიე მაღლიდან. მატლები გჭამდნენ. იქ, ზემოთ, შენისთანები ბევრი რჩებიან. აქ ჩამოყვანას ვერ ელირსებიან. სადაც დამარხავენ, იქ დალპებიან. შენი ჩამოყვანა ჩვენმა უფალმა მიბრძანა.

– ბოდიში, უკაცრავად, – ენა ამერია, – ვინ არის თქვენი უფალი?

– ამიერიდან ჩვენი, – შემისწორა ჯუჯამ, – ამიერიდან ჩვენი უფალი სიკვდილია, ილოცე მისთვის.

ახლა მე გამეცინა.

ჯუჯას გაუკვირდა, ასე თავხედურად რომ გავიცინე. მე კი ვიფიქრე: სიცოცხლეზე არასდროს მილოცია, სიკვდილზე როგორ ვილოცო – მეთქი.

– წამოდი! – მითხრა ჯუჯამ და წინ გამიძღვა.

წავყევი. ისევ ალაყაფთან მიმიყვანა. ჯუჯა კაცისთვის განკუთვნილ ოთახს რომ მივუახლოვდით, დავეცი. დავეცი და ვეღარ წამოვდექი. საშინელი კრუნჩხვები დამეწყო. ჯუჯა შეშლილივით ახარხარდა. მერე ფეხი დამადგა, გადამიარ-გადმომიარა. მუშტები დამცხო, გამჩენი შემიგინა...

– ილოცე ჩვენს ღმერთზე. – მითხრა და და წიხლი შემინაცვლა. ახლა უფრო ღონივრად, შეუბრალებლად.

– მე ღმერთი არ მწამს.

– რწმენა გაქვს?

– მაქვს.

– მაშინ შენს რწმენაზე ილოცე, შენი რწმენა – შენი ღმერთია. მე სიკვდილი მწამს და სიკვდილი ჩემი ღმერთია, შენი ენით რომ ვთქვათ.

რაღას ვიზამდი.

უაზრო სიტყვები ჩავიბუტბუტე, სიკვდილზე მაინც არ მილოცია.

კრუნჩხვებმა გამიარა.

წამოვდექი. ჯუჯა თავის ოთახში შემიძღვა.

– შენი გვარი? – შემეკითხა.

დავიბენი.

ჩემი გვარი ისევ მახსოვდა, მაგრამ გამხელა არ მინდოდა.

– შენი გვარი? – გამიმეორა.

– არ მახსოვს, ბატონო.

– მე ბატონი არ ვარ.

– აბა, ვინ ბრძანდებით? – ვეკითხები შიშით.

– ამას მერე გაიგებ.

თვალი თვალში ისარივით გამიყარა. აღარ ხუმრობდა.

– გვარი მითხარი!

– არ მახსოვს-მეთქი.

– სტყუი, გახსოვს, ჩვენ ყველაფერი ვიცით. (ეს შესაშინებლად მითხრა) შენ, სულ ერთია, იქ მაინც ვერ მოხვდები... უმჯობესია თქვა. ან იტყვი, ან ეწამები...

– როგორ, – გამიკვირდა მე, – სამოთხე და ჯოჯოხეთი მართლა არსებობს?

– არა!

– აბა სად მაწამებთ?

– აქვე, ჩემს ოთახში. შენ გინდა უსახელო მკვდრებში მოხვდე, მოისვენო, ფეხი ფეხზე შემოიდო, დამშვიდდე. შენ გინდა მოისვენო და თოხი აგცდეს...

დავინტერესდი.

– უსახელო მკვდრები ვინ არიან?

– გაიგებ, – ჩაილუღლუღა და გაიმეორა.

– შენი გვარი??

– ხარაიშვილი.

– სახელი?

– ბეჟანი.

მოზრდილი სია გადმოიღო. ჩამწერა. მერე წამოდგა, სიამოვნებით დაამთქნარა და ოთახიდან გამომიძღვა.

ცოტა ხნის მერე მთელი ქალაქი მომატარა. სახნავ სათესები მაჩვენა. არაფერი გამკვირვებია, ჩვეულებრივი ცხოვრება იყო, ჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობდა.

ტყის ნაპირზე მივედით.

აქ მწვანე სიმინდის ყანა იყო. ჯუჯა კაცმა სადღაც თოხი მოძებნა. ყანის თავში დამაყენა. ქვემოდან, პაპანაქება სიცხეში ყანას ჩემი ტოლი ბიჭები თოხნიდნენ.

– დაიწყე! – მითხრა ჯუჯამ.

გამიკვირდა. ყანა ზემოდან ქვემოთ არასდროს მეთოხნა.

– დაიწყე! – გამიმეორა და თავში ხელი წამცხო.

დავიწყე, მეტი რა გზა მქონდა.

ჯუჯა არ მომშორებია. ფეხდაფეხ მომდევდა.

დავიღალე. არ შემასვენა. იქ, იმ ყანაში და იმ ქვეყანაში, დღე და ღამე არ არსებობდა, შეუსვენებლად ვთოხნიდი.

სიცხე თანდათან მატულობდა.

ბიჭები შემიერთდნენ. ყანა ზემოდან გათოხნილი მქონდა, მაგრამ ბიჭები მაინც არ შეჩერებულან

თოხნა გააგრძელეს.

მეც გავაგრძელე. ჯუჯა დამშორდა. თავისუფლად ამოვისუნთქე. დავრწმუნდი: კაცი ვერც მკვდარი მოისვენებდა, ვერც ცოცხალი. სახე ოფლმა დამისველა, ამეწვა.

სულ მალე ყანის ბუღში აღმოვჩნდი.

თოხი დავაგდე. წელში გავიმართე.

სული რომ მოვითქვი, თვალი ყანის თავისკენ გავაპარე. ბიჭებს აღმა თოხნა დაემთავრებინათ და ახლა დაღმა მოჰყვებოდნენ.

ჯუჯა დაბარებულივით მოვიდა. იქვე, ყანის ბოლოს, ბალახებში ჩაჯდა. მიმიხმო. მივედი.

– მიიხედ-მოიხედე! – მითხრა.

მივიხედ-მოვიხედე. ჩვენგან მარჯვნივ, გამწვანებული პალმების ქვეშ შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი ისხდნენ.

რაღა თქმა უნდა, ვიცანი.

ისვენებდნენ. გალაკტიონი თუთუნს აბოლებდა. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. მგოსნები აუჩქარებლად საუბრობდნენ. ხანდახან თვალს ჩემკენ აპარებდნენ. ეს მე მეგონა ასე.

– მკითხე, რაც გინდა! – ჯუჯამ ნება დამრთო, – დასაწყისისთვის შენი მუშაობა კმარა, მალე იმ ბიჭებს შეუერთდები, ხელი ზემოთ გაიშვირა, პალმის ჩრდილისკენ გავიხედე.

– ყური მიგდე, – მითხრა ჯუჯამ, – შენ რომ სიკვდილზე გელოცა, აქაურობას საერთოდ ვერ ნახავდი. წაგიყვანდი მეორე ადგილზე, სადაც სახლებს აშენებენ... აშენებენ და ანგრევენ... ცოტას ჭამენ და ბევრს მუშაობენ. ყველას სახლებს უშენებენ, თვითონ უსახ-

ლკაროონი არიან. სახლის ეზოშიც ვერ შედიან თუ ჩემი ნებართვა არ ექნათ.

– სიკვდილს ჯიუტი ხალხი უყვარს, – ამბობს და უშნოდ იღრიჯება, – სიამოვნებს, როცა მას ეჯიბრებიან, ედავებიან, სახელს უტეხენ. იცის, ბოლოს თვითონ რომ გაიმარჯვებს და დამმარცხებელს დაამარცხებს. სიკვდილს საბოლოოდ ვერავინ მორევია, თუ მოინდომა სიკვდილი თქვენს ღმერთსაც მოკლავს.

– როგორ? – მიკვირს მე და ისევ პალმებისკენ ვიყურები.

– სიკვდილს უფლება აქვს მთელი სამყარო არარაობად აქციოს, მას შუძლია კაცობრიობა მოსპოს... მოსპოს და არ დატოვოს ძეხორციელი... ამით თქვენი ღმერთი მოკვდება, შემქნელი და თაყვანისმცემელი აღარ ეყოლება. სამყარო დარჩება, მაგრამ შემმეცნებელი აღარავინ იარსებებს, შემეცნების გარეშე კი სამყარო და მის ირგვლივ არსებული მოვლენები არარაობაა. არარაობა და სიკვდილი ძმები არიან...

– სცდებით, ბატონო! – ჯუჯას თვალს ვუსწორებ, – ღმერთი ადამიანის შექმნილი არ არის, პირიქით, ღმერთმა შექმნა ადამიანი.

ჯუჯა ისევ დაიღრიჯა.

– ადამიანის ფანტაზიამ შექმნა ღმერთი, – მეუბნება და ისტერიულად ხარხარებს, – შენ რომ მაგდენი იცოდე, ახლა იქ, იმ ხალხთან იქნები. – ხელი პალმებისკენ გაიშვირა.

მივიხედე. პოეტები ისევ დინჯად საუბრობდნენ.

– ეგენი ვინ არიან? – ვკითხე ჯუჯას გამოსაცდელად, – რა ხელობის ხალხია?

– არ ვიცი.

– იცი და მალავ, ალბათ, ჯერ საკმარისი ნდობა ვერ დავიმსახურე თქვენთან.

– მე კი არა, მაგათი ვინაობა ჩვენმა ღმერთმა ანუ სიკვდილმაც ვერ დაადგინა. ეგენი უსახელო მკვდრები არიან.

– რატომ არიან უსახელო მკვდრები, მათი სახელები მე... – კინაღამ წამომცდა ვიცი მეთქი, მაგრამ სწორედ ამ დროს რაღაც უხილავმა ძალამ ენა დამიბა.

– გაიმეორე ეგ წინადადება!

გავიმეორე. „მეს“ შემდეგ ენა ისევ დამება.

– სწორი ხარ, – მეუბნება, – შენ გინდა თქვა: მაგათი ვინაობა ყველასი ვიციო, მაგრამ ენა სწორედ ვინაობაზე გებმება. შენ მაბეზღარა ხარ. სხვაც ბევრი ჩამოვიდა შენნაირი, როცა ეს ტბა გაჩნდა და ეს ხალხი აქ მოვიდა, სიკვდილმა ვერაფერი გაიგო. მის მერე აღარ აინტერესებს მაგათი ვინაობის გაგება.

მაგ ხალხს თავისი სახელები იქ დაუტოვებიათ. სადაც ცხოვრობდნენ. აქ საკუთარი სხეულის გარდა არაფერი ჩამოუტანიათ. ღვაწლი და ამაგი მოკვდავთათვის დაუტოვებიათ. მაგათი სხეულიც აღარაფრად ვარგა. ნატანჯი, ნაგვემი, ნაწამები სხეული და დაღლილი ტვინები აქვთ. უსახელო მკვდრებს სიკვდილი სახელებს არ არქმევს. ტბის პირას, პალმების ძირში აჯენს და ანებივრებს. ეს ტბა უსახელო მკვდრებისაა და მასთან ახლოს სახელიანი მკვდარი, თქვენ ენაზე რომ ვთქვათ, ვერ მივა. შენ კი, ასე პატარა ბავშვს, პალმის ჩრდილში ჯდომა მოგიწევს.

– სამოთხე ყოფილა! – ვამბობ ჩემთვის.

ჯუჯამ წამოიწია, წასასვლელად მოემზადა.

– სამოთხე აქ არ არსებობს, არც ჯოჯოხეთი, – როგორც ხედავ ისინი, ვინც თავის სახელს ზემოთ, მიწაზე დატოვებენ, ამ ტბასთან დასხდებიან, ვისაც სახელი ჩამოჰყვება, ყველა შენ დღეში ვარდება.

– უკუღმა რატომ მათოხნინებ, კაცი არა ხარ? – ვეკითხები.

– არა ვარ. მე კაცზე დიდი ვარ და კაცზე პატარა... ასე უფრო ეფექტურია თოხნა,

ჩვენმა უფალმა ასე გვიბრძანა.

ვის უნახავს ამნაირი თოხნის ეფექტიანობა?

აშკარად მატყუებდა... ზეზე შეშლილივით წამოვვარდი. მივწვდი, მუშტები დავუშინე.

ყელში ვეცი, ჯუჯას გახრჩობა მოვიწადინე.

სამაგიერო სილა მივიღე...

ეს ჯუჯა კი არა ანიელი იყო. კიდევ გამარტყა. როცა დავრწმუნდი, რომ ცოცხალი ვიყავი, მთელი ხმით ვიღრიალე, ანიელს გულში ჩავეკარი. ავტირდი, ცრემლი ნიაღვარივით ჩამომდიოდა.

ჩემი თავი ისევ საიქიოში მეგონა.

ანიელს სიზმარი თავიდან ბოლომდე მოვუყევი. არაფერი მითხრა. ხელი უიმედოდ ჩაიქნია...

ინათა. მთები გამოჩნდნენ. ნისლებში ჭიუხი აილანდა. არაგვის ჭალაზე სიცოცხლემ იფეთქა. დაბურული ტყიდან ცვრიან ბალახზე სიცოცხლით სავსე შვლის ნუკრი გამოკუნტრუშდა...

ანიელს დილის ძილით ჩასძინებოდა. ფეხაკრეფით მივუახლოვდი. თოფი მოვპარე... შველს გავხედე. ისევ კუნტრუშობდა. თოფიდან ვაზნები ამოვიღე, მერე თვალები დავხუჭე და ვაზნები გარეთ გავყარე. არასოდეს ისე არ შემშინებია, როგორც ახლა, ამ წუთში...

– მე თოფის გასროლის შემეშინდა...

ლამარა გერგედავა



დაბრუნება

(რევაზ მიშველაძის „ჩხიკვი“) ესე

სიბერე ჩვენი ცხოვრების საფეხურიაო, ბრძანა ჰერმან ჰესემ: „იყო მოხუცი – ისეთივე შესანიშნავი და აუცილებელი ამოცანაა, როგორც იყო ახალგაზრდა...“ გერმანელი მწერალი ესეში „სიბერის შესახებ“ ამბობს: „გზა, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ შენთვის პატარა გასეირნება იყო, გრძელი და რთული ხდება და ერთ მშვენიერ დღეს ვეღარც შევძლებთ მის გავლას...“ თითქოს, ერთი შეხედვით, ეს სამწუხაროა...

ბატონი რეზოს ნოველაში „ჩხიკვი“ სიბერეს სულიერი დაძაბულობა ჰქვია, მწერლის თქმით, ის მოწყენის ავადმყოფობაა, ესაა მდგომარეობა, როცა შეიძლება ადრე მოწონებულ კლასიკოსთა ნამუშევრებზეც შეგეცვალოს შეხედულება, მხოლოდ იმის გამო, რომ მოწყენილობამ დაგრია ხელი, ანდა იმიტომ, რომ წლებმა შეგმატეს გამოცდილება და სამყარო უკვე სხვაგვარი გეჩვენება...

ნოველა მოგვითხრობს, თუ როგორ შემოიჭრება მარტომყოფი ცოლ-ქმრის ცხოვრებაში სიხარულის სხივი. მოხუცების ოთახში, ერთხელ, ჩხიკვი, ბუნების მოულოდნელი შიკრიკი, შემოფრინდება და მაგიდიდან პურის ნამცეცებს აკენკავს... მერე ის მათი ხშირი სტუმარი ხდება და მოწყენილი ადამიანების ყოფაში სასწაულებრივად ფანტავს მარტოობისა და ნაღვლის შეგრძნებას. ლამაზფრთება, დაუპატიჟებელ სტუმარს თან იმედისა და სიცოცხლის ხალისი მოაქვს მათს სამყაროში, პატარა, თავისუფალი და მომხიბლავი მხრებით... მერე, თერთმეტი დღით გაუჩინარებულმა, თან წაიყოლა მოხუცთა იმედი. ისინიც

დარდობდნენ. ერთ დღეს, ისევ მოევლინა იგი მათს უფერულ ყოფას, მოიტანა დიდი სიხარული და ოდასახლის ბინადართ ისიც კი მოასურვა, ფოტოზე აღებეჭდათ მისი ხელახალი მოვლენა.

ცხოვრების ბედნიერი წუთები, თუნდაც დროებითი, იმედებიცა და ახდენილი ოცნებებიც, შეჩერებულ კადრებსა და დასამახსოვრებელი ფრაზას ემსგავსება ზოგჯერ, აი, ისეთს, გოეთემ რომ თქვა: „შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!“

გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი ნოველის, „ბედისწერის თეატრის“, პერსონაჟ მომაკვდავ ქალს, მართას, თავის სახლში შემთხვევით მოხვედრილი, შექსპირის დროინდელი ფუშფუშა კაბით მოვლენილი ოფელია, სულეთის ანგელოზად მოეჩვენა. უცხო სტუმარმაც იცრუა, დაუდასტურა, სწორედ ისა ვარ, მაგრამ შენს წასაყვანად არ მოვსულვარო. ავადმყოფმა ღმერთს მადლობა შესწირა, მალე წამოდგა, გაიარა და ამით ყველა გააკვირვა...

ო'ჰენრის პერსონაჟი („უკანასკნელი ფოთოლი“), ავადმყოფი გოგონა, ფანჯარას შეჰყურებს და ფიქრობს, უსურვაზის ხეს რომ უკანასკნელი ფოთოლი მოსწყდება, მეც გარდავიცვლებიო. მოხუცმა მხატვარმა, ბერმანმა, საშინელ, ქარიშხლიან, წვიმიან ღამეს, მსგავსი ფოთოლი შექმნა, ხეზე ჩამოკიდა და გოგონას, დილით, სიმშვიდე მოჰგვარა „უკანასკნელმა“ ფოთოლმა, ის გადარჩა, კეთილშობილი ბერმანი კი, რომელმაც იმედი ჩაუსახა, გარდაიცვალა.

... ჩხიკვი იმედთან ერთად შემოფრინდა მოხუცებთან, რეზო მიშველაძის ნოველაში. როცა მას კითხულობ, თითქოს, ერთბაშად, სამყაროს ათასგვარი ხმა გესმის. ვფიქრობ, თემა ზოგადია... სიბერე ხომ ყველას ხვედრია. მოწყენილობა ადამიანებს, ალბათ, მაშინ იპყრობთ უფრო მეტად, როცა ცხოვრება ერთფეროვანი ეჩვენებათ, პირმშო არ ან ვერ ეხმიანება შორეთიდან მშობლებს, ან როცა მარტოობაში მყოფთა ბედი არავის აინტერესებს...

ნოველაში უამრავი ქვეტექსტია... მასში არც კი ჩანს, აშკარად, ადამიანთა ბედით დაინტერესებული საზოგადოება, ის უნდა შეიგრძნო, მიხვდე, რომ კულისებიდან მაყურებელთა დარბაზისკენ ფარულად მომზირალი მსახიობივითაა. გაზეთი „ენაჭარტალაა“, ტელევიზორიდან პათეტიური, ყალბარტისტული ტონი მოისმის...

„ჩხიკვი“ ნოველაა მარტოობაზე, გულცივ საზოგადოებაზე, იმედზე, მშობლებისა და შვილების დაშორიშორებაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, დუმილსა და მოწყენილობაზე...

... და ისევ მახსენდება ჰერმან ჰესე: „აქ, მოხუცთა ამ ბაღში, ყვავის უამრავი ყვავილი, რომელთა მოვლენაც კი არ გვიფიქრია. აქ ყვავის ყვავილი მოთმინებისა, მარცვალი, კეთილშობილი, ჩვენ ვხვდებით უფრო მშვიდნი, შემწყნარებელნი და რაც უფრო ნაკლები მოთხოვნილება გვაქვს ჩავერიოთ და ვიმოქმედოთ, მით მეტი უნარი გვეძლევა, დავაკვირდეთ და ყური მივუგდოთ ბუნების სიცოცხლესა და ჩვენს თანამოძმეთა ცხოვრებას...“

ამ ნოველას დაბრუნებას ვუწოდებდი, დაბრუნებას სულიერი დაძაბულობიდან, მოწყენილობიდან, სიცარიელიდან, უფერული ყოფიდან.

დიახ, თქვენ მე მიმიხვდით, ნოველის პერსონაჟი მოხუცები დაუბრუნდნენ სიცოცხლეს... ეს ღვთის სასწაულია, ასეთ გენიალურ წუთებს უფალი გვჩუქნის, მწერალი კი ფოტოგრაფიული სიზუსტით, უბრალოდ, შეულამაზებლად, მაგრამ სიმართლით გადმოგვცემს. სანამ ამ სტრიქონებს დავწერდი, უნებლიეთ, თავდაპირველად, მომეჩვენა, რომ მთელი ნოველა მეტაფორაა, ჩხიკვი შემოქმედთან მიფრენილ შთაგონებას მივამსგავსე, სწორედ ისეთს, დიდი სიხარულის, იმედის მოტანა რომ შეუძლია და რომელიც თავისუფალი და ლაღი, ერთმანეთთან მთელ ქვეყნიერებას, ცასა და ხმელეთს რომ უკავშირებს...

ცოცა რამ ჯუმბერ ლეჟავას დღიურებიდან

დიდი მოგზაურობა

ჯუმბერ ლეჟავა



სკაკლობრიო მნიშვნელობის ღვთიური მისია შესრულებულია

ერკვადორის უმაღლეს მწვერვალ ჩიმბურასოზე, ჩვენმა მოგზაურმა პერუელ და ინგლისელ მეგობრებთან ერთად საქართველოს დროშა აიფრიალა.

აშშ-ის შტატ ფლორიდაში დაბრუნების შემდეგ მოვინახულე ზღაპრული კუნძული კიუ-ვესტი, ქალაქი ორლანდო, სპეის ცენტრი, კანავერალი და სხვა. მეტად თავისებური შთაბეჭდილება დატოვა ქალაქებმა მაიამიმ და მაიამი ბიჩმა. კლასიკური ფლორიდის სტუმრობის ჟამს ბევრი ვნახე და ბევრიც დავწერე.

მკითხველო, თქვენ გელით ამ მოგონებების წაკითხვით მოგვრილი დიდი სიამოვნება. დამიჯერეთ!

ამ საოცარი შტატის სტუმრობის შემდეგ არანაკლებ საოცარ მექსიკის გაერთიანებულ შტატებს ვეწვიე. მეხიკოში ჩემი მასპინძელი ქართველი ექიმი – ირაკლი გვახარია გახლდათ, რომელმაც ჩემს მოგზაურობას გარკვეული ამაგი დასდო. მქონდა ასევე შეხვედრები ტელევიზიებში, პრეს-კონფერენციები.

ვინ არის მის ბენოტო?..

ამ შესანიშნავ ქვეყანაში 41 დღე ვიმოგზაურე და, შეიძლება ითქვას, რომ უნახავი, თითქმის არაფერი დამრჩენია. ეს არის ქალაქები აკაპულკოდან – კანკუნამდე, მისი შესანიშნავი ბუნება, ხალხი, ტრადიციები, ისტორია, ეკლესიები, პირამიდები, მუზეუმები, კორიდები, მარიაჩების მოედნები, პარლამენტისა და პრეზიდენტის სასახლეები, მაღალმთიანი და ზღვისპირა კურორტები, ხიდები, სპორტული კომპლექსები, სამზარეულო, გადამხდა მრავალი კურიოზი და ა. შ. და ა. შ.

ვფიქრობ, წიგნი ჩემი მექსიკაში მოგზაურობის შესახებ ჩემს წიგნთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

ცენტრალური ამერიკის გზებზე ურთულესი და შარიანი სვლაგეზი მქონდა. ბელიზე, რესპუბლიკები გვატემალა, ელ-სალვადორი, ჰონდურასი, ნიკორაგუა, კოსტარიკა და პანამა მეტად საინტერესო ისტორიით, ბუნებით და ხალხით გამოირჩევიან. ამ ქვეყნებში მცხოვრებთა უმრავლესობა კათოლიკური აღმსარებლობისაა.

მხოლოდ ბელიზეს მოსახლეობის 6 პროცენტი არის პროტესტანტი. კრიმინალური სიტუაციის მხრივ რეგიონი ერთ-ერთი პირველია მთელ კონტინენტზე. ამიტომაც აქ ძალზე სახიფათო გზები და შეხვედრები მქონდა. საინტერესოა ჯუნგლის ხუთასკილომეტრიანი მონაკვეთის დაძლევა ბელიზესა და გვატემალას რესპუბლიკას შორის. ღმერთის წყალობაა იმ უსიერში გადარჩენა... მოუთმენლად ელოდეთ ინფორმაციას ამ ქვეყნებზე.

პანამის რესპუბლიკიდან ლამაზი ქალების ქვეყანაში, ბოლივარის ვენესუელის რესპუბლიკაში მივფრინავ, რატომ მივფრინავ ამ ქვეყანაში და არ გადავდივარ ველოსიპედით კოლუმბიაში?..

უდავოდ დაგაინტერესებთ სამხედროებთან კონფლიქტის შემდეგ კარაკასში ჩემი საინტერესო შესვლა.

ვენესუელა სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ეგზოტიკური სახელმწიფოა. თვით სიტყვა ვენესუელა ხომ „პატარა ვენეციას" ნიშნავს?! იგი ტროპიკული ქვეყანაა. კონკისტადორ დიეგო დე ლოსადოს მიერ დაარსებულ კარაკასში ისტორიული მნიშვნელობითა და არქიტექტურით ბოლივარის მოედანი და მაგისტრალია გამორჩეული. ამ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს პოლიტიკური პარტია „მოძრაობა სოციალიზმისაკენ". სამწუხაროდ ვენესუელა რეგიონის ერთ-ერთი დიდი ვალების მქონე ქვეყანაა. საინტერესოა, თუ როგორ მოვხვდი სილამაზის კონკურსზე სახელმწიფო ცენტრალურ უნივერსიტეტში. კარაკასში ჩემი ყურადღება მიიქციეს მუზეუმებმა, XVII საუკუნის კათოლიკურმა ტაძარმა, პანთეონმა, კაპიტოლიუმმა და თაღებმა. ვენესუელის ვალენსიაში სამხრეთ ამერიკის მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესი ხარების საბრძოლო არენაა, სადაც ყოველწლიურად რამდენიმედღიანი ფიესტა იმართება.

საყურადღებოა კიურასაოსა და არუბას კუნძულები. მაინც რითაა გამორჩეული და ცნობილი ეს კუნძულები? ამის შესახებ თქვენ წაიკითხავთ ჩემს წიგნში „ვენესუელური დღიურები".

ვენესუელადან კოლუმბიის რესპუბლიკაში გადასვლისას, ვენესუელის მხარეს 75 კმ გზის გავლა ჭაობში მომიწია. გზის ორივე მხარე 3-4 მეტრი სიმაღლის ლერწმით იყო დაფარული. მთელ ამ გზაზე კი ფორდის მარკის მანქანით 2-2 რევოლვერით შეიარაღებული ორი კოლუმბიელი თავდამსხმელი მომყვებოდა. რას ითხოვდნენ ჩემგან? საინტერესო ისაა, რომ კოლუმბიაში ისინი დამიმეგობრდნენ და სასტუმროში მეწვივნენ...

მართლაც საინტერესოა კოლუმბიელთა ტრადიციები!.. რისთვის მოკლეს ორი ველომოგზაური?... ვინ იყვნენ ისინი?... როგორ გავიარე შესანიშნავი ქალაქები – სანტამარტა, ბარანკილია, კართაგენა, კარმენ-დე-ბოლივარი, ბოსკონია, ჰონდა, სანტა-ფე-დე-ბოგოტა, იბაგე, კალი, პოპაიანი, პასტო?

კოლუმბიის ერთ-ერთი ტოპოგრაფიული მახასიათებლებია ანდების მთები. ქვეყნის ტერიტორიაზე უმაღლესი მწვერვალია „პიკო კრისტობალკოლონი", ორი მოქმედი ვულკანით. ისინი ზღვის დონიდან ხუთი ათას მეტრზე ბევრად მაღლა მდებარეობენ. მწვერვალები თოვლითაა დაფარული, რაც, ველოსიპედით გადაადგილებისას, ხშირად, კავკასიონის მთებს მახსენებდა.

დედაქალაქის სახელწოდება სანტა-ფე-დე-ბოგოტა, ვარსკვლავებთან უახლოესს ნიშნავს. იგი 1538 წელს დააარსა გონსალო ხიმენეს კვესადამ. თვითონ ქალაქი ზღვის დონიდან 2700 მეტრის სიმაღლის ზეგანზეა აშენებული (ამართლებს სახელწოდების მნიშვნელობას). გარშემო ბუმბერაზი მთები აკრავს. მთა მონსერატზე აგებულია მონასტერი და ეკლესია, რაც ქალაქს თავის დადებით აურას ჰფენს. ასევე ულამაზესია ფუნიკულიორი...

მოულოდნელი იყო რუსი დიპლომატების გაცნობა, რომელმაც ახალი მოულოდნელობა წარმოშვა, მათ ისეთი ქართველი ქალბატონი გამაცნეს, რომლისგანაც საოცარი ისტორია მოვისმინე, კერძოდ...

ჩემთვის არა მარტო ბოგოტაა საყურადღებო, არამედ მთლიანად კოლუმბია – ერთ-ერთი საუკეთესო ეროვნული სახელმწიფო ყველა სახელმწიფოებრივი მახასიათებლით. მთელ კოლუმბიაში გზა ურთულესი გამოდგა. თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ლამაზ ქვეყანას და ლამაზ ხალხს წიგნიც ლამაზი მიუძღვნა. დაველოდოთ ამ საინტერესო წიგნის დაბადებას.

კოლუმბიიდან ეკვადორის რესპუბლიკას ვესტუმრე. ჩემგან ამ ქვეყნის აღიარებისთვის მისი გეოგრაფიული მნიშვნელობაც იკმარებდა... მაგრამ წიგნი, რომელსაც მივუძღვნი ეკვადორში ჩემს მოგზაურობას საინტერესო, დაუვიწყარი ინფორმაციით იქნება გაჯერებული, თუ როგორ ავედი ველოსიპედით ჩიმბურასოს მთის 4 850 მეტრის ნიშნულამდე, ანდა როგორ ავაფრიალე საქართველოს დროშა 5 250 მეტრის სიმაღლეზე და ბევრი ამგვარი რამ წიგნში უხვად და ფართოდ იქნება წარმოდგენილი აქ გადამხდარი თავგადასავლები, ამ ქვეყნის საინტერესო ისტორია, დაკვირვებანი მის ხალხზე, ტრადიციებზე; აგრეთვე, სახელმწიფოს როლზე მსოფლიოს ინტეგრაციაში და ა.შ.

პერუს რესპუბლიკის სანაპირო ქარიშხლებსა და ძლიერ წვიმებში გავიარე. ასეთივე პირობებში მომიწია სეჩურას, ნასკას და ატაკამას (მცირე ნაწილის) უდაბნოების გავლაც. ნასკის უჩვეულო, იდუმალი „ნახატების" შესახებ დაწვრილებით ვისაუბრებთ ჩემი „ოდესეის" ამსახველი წიგნების შესაბამის ტომში. კიტოში მორბენალ ქურდთან ჩხუბი მომივიდა. ვიმედოვნებ, მას ჩემთან შეხვედრის ისტორია სამუდამოდ დაამახსოვრდება. ამ ფაქტს ვერტმფრენების გამომცდელი ლენინგრადელი პროფესორი შეესწრო, რომელმაც შემდეგ წერილიც კი მომწერა. ვფიქრობ, ამ წერილის შინაარსი უინტერესო არ იქნება. დღიურების ინფორმაციაც ძალზე საინტერესოა, რადგან უდაბნოების, ქარიშხლებსა და თავსხმებში სიარულის გარდა, გზაც – არეკიპადან პუნომდე ურთულესი მქონდა ... პუნო – კუსკო – მაჩუ – პიკჩუ – პუნოს გზას და ნანახს კი ძალზე საინტერესოდ ვთვლი. უინტერესო არც ტიტიკაკას ტბის სანაპიროთი სიარული ყოფილა (კუსკოს, მაჩუ-პიკჩუს, ტიტიკაკას შესახებ საინტერესო ისტორიულ ცნობებს იხილავთ შესაბამის წიგნში). ტიტიკაკას ტბის სანაპიროთი 120კმ-იანი მონაკვეთის გავლის შესახებ ინფორმაციაც დიდ სიამოვნებას მოგგვრით, რადგანაც მისი ბუნება გამორჩეულია ყველასგან. ალბათ, დაგაინტერესებთ, რით!..

ბოლივიის რესპუბლიკა 4200 მ-ის სიმაღლის ზეგანზეა გადაჭიმული. საინტერესოა მისი დედაქალაქები – შუკრე და ლა-პასი, რომელთა მსგავსი სხვა დედაქალაქები მსოფლიოში არც არსებობენ. სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ ქვეყანაში დავინახე, მისი როგორც დადებითი, ასევე უარყო-


ფითი მხარეებიც. შევიძინე მეგობრებიც. ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, თაღლითებსაც რომ გადავეყარე. საინტერესოა, რით დასრულდა მათთან ჩხუბი და, ალბათ, ისიც, თუ რისთვის გამომიცხადა ლა-პასის პოლიციის უფროსმა მადლობა.

რამდენი დედაქალაქი აქვს ბოლივიას? ყოველივე ამის შესახებ თქვენ მომავალში წაიკითხავთ.

სახამას უღელტეხილის სიმაღლე ზღვის დონიდან 4 880 მ-ის სიმაღლეზეა. იგი არა მარტო სიმაღლით, არამედ იმითაც გამოირჩევა, რომ მასზე გადის საზღვარი ბოლივიასა და ჩილეს შორის. ამ უღელტეხილზე ღამის თევამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა, რატომ? ...

ჩილეს რესპუბლიკაში 1997 წლის 12 სექტემბერს შევდივარ, ქ. არიკამდე 237 კმ-იან გზას უძლიერეს ქარში გავდივარ. ამ ურთულეს გზაზე, ექსტრემალურ ბუნებრივ პირობებში, კიდევ ერთი საინტერესო გამოცდა მოვუწყვე საკუთარ თავს, გამოცდაც და შედეგიც ძალზედ საინტერესოა...

თვეგადასვლებით ღასვლე გზა მქონდა სანტიაგო-დე-ჩილედან არგენტინის საზღვრამდე. ძლიან ბევრი მაქვს მოსაყოლი ამ ბრწყინვალე სახელმწიფოსა და ხალხზე.



ადრე არიკა თავისუფალი პორტი იყო, რომელიც ბოლივიას ემსახურებოდა. ახლა კი, ნურას უკაცრავად...

იგი მხოლოდ ჩილეს ექვემდებარება და ატაკამას უდაბნოს დიდებულ ოაზისს წარმოადგენს. აქვს სპორტული ისტორიაც, იგი ჩილეში გამართული მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძელი იყო. სამწუხაროდ, ამ ჩემპიონატის მემორიალურ დაფაზე საბჭოთა კავშირის გუნდი მოხსენიებული იყო, როგორც რუსეთის გუნდი. ეს მაშინ, როცა ნაკრებში თამაშობდნენ მსოფლიო ფეხბურთის ისეთი ქართველი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გივი ჩოხელი, სერგო კოტრიკაძე. დასანანია, რომ მსოფლიო კლასის ფეხბურთელებს, როგორც ქართველებს, არავინ იცნობდა. ამ ულამაზეს, საინტერესო ისტორიის მქონე ქალაქში ჩემი მასპინძელი ქ. არიკას უნივერსიტეტის პროფესორი, გერმანელი ვ. კლაუსი იყო. იგი შესანიშნავი მასპინძელი აღმოჩნდა. უღრმესი მადლობა მას...

შემდეგ იყო ქალაქები: იკიკე, ტოკოვილია, ანტოფაგასტა, კოპიაპო, ლა-სესუნა, კოკიმბო, ვალპარაისო, ვინია-დელ-მარი და დედაქალაქი – შანტიაგო – დე – ჩილე.

სანტიაგო – დე – ჩილეში ჩემი მასპინძელი მთის ველოსიპედით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონი – პაბლო სეპულვედა გახლდათ. ორი კვირა ერთად ვვარჯიშობდით მთებში. შემდეგ მე იერიში მივიტანე მსოფლიო რეკორდზე მთის ველოსიპედით 12 საათიან უწყვეტ რბოლაში. მეტოქედ თვით პაბლო მყავდა. თუ როგორ დამთავრდა ჩვენი სპორტული პაექრობა, ამას შემდეგში გამოცემულ წიგნში წაიკითხავთ, რა თქმა უნდა, დიდი ინფორმაცია მაქვს თვითონ ქალაქზეც, სახელ-

მწიფოსა და ხალხის მდგომარეობაზეც, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს სათავეში „დიქტატორი" გუსტავო პინოჩეტე ჩაუდგა. მე ვნახე აშენებული სახელმწიფო, ქვეყანა ვალების გარეშე და ბედნიერი ხალხი. ვნახე თვით „დიქტატორის" საცხოვრებელი „სასახლეც"...

ქ. ბრაზილიაში ბრაზილიის მთავრობის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში მოვხვდი, ღმერთმანი, კარგი თავგადასავალია!

ეს იყო ტიპიური ორსართულიანი სადა შენობა, განურჩეველი სხვა სახლთაგან, რომლის ტროტუარზეც ხალხი ჩვეულებრივად მიდი-მოდიოდა. ჭიშკრის გარეთ დაცვა არც ჰყავდა...

ვინ იყო სალვადორ ალიენდე, ან გენერალი პინოჩეტი? იყო თუ არა 1973 წლის გადატრიალება სამხედრო-ფაშისტური?

სანტიაგო-დე-ჩილედან არგენტინის საზღვრამდე თავგადასავლებით აღსავსე გზა მქონდა. ბევრი, ძალიან ბევრი მაქვს მოსაყოლი ამ ბრწყინვალე სახელმწიფოზე და მის ხალხზე...

არგენტინაში გადასვლა ზღვის დონიდან 4 400 მ. სიმაღლის მენდოსას უღელტეხილზე მომიწია. იგი ანდებისა და მთელი სამხრეთ ამერიკის უმაღლესი მწვერვალის – აკუნკაგუას ძირში გადის. აკუნკაგუას სიმაღლე ზღვის დონიდან 6 960 მეტრია. მისი ყინულოვანი საფარველი 6კმ-მდე აღწევს.

არგენტინა ერთ-ერთი კარგად დასამახსოვრებელი სახელმწიფოა. იგი ფეხბურთით და მარადონათი, მოგზაურებთან შეხვედრებითა და ახალი ველოსიპედის გადმოცემით დამამახსოვრდა. ამასთან, შესანიშნავი არგენტინელებით – კაპიტან ფარიათი და კაპიტან ბერტოტოთი, რომლებმაც ანტარქტიდაზე ორჯერ გადამიყვანეს. მახსოვს ცეცხლოვანი მიწა და მისი დედაქალაქი უშუაია, შესანიშნავი ბუენოს-აირესი, მარ-დელ-პლატა, ლა-პლატა, კორდობა, მენდოზა, ფოზ-დე-იგუასუ, ჩემთან დამეგობრებული დიდებული ხალხი, დამგზავრებული მოგზაური და... დაუვიწყარი შეხვედრა მარადონასთან!..

საინტერესოა, როგორ გავატარე 1998 წლის ახალი წლის დღეები მარ-დელ-პლატაში... რა თქმა უნდა, აქაც არ დამკლებია თავგადასავლები და კურიოზები. ვფიქრობ, წიგნი არგენტინის შესახებ საინტერესო გამომივა. მასში განსაკუთრებულად მინდა გამოვყო ამ შესანიშნავი ხალხის სამოსელი, ჩაცმის სტილი, ტრადიციები და, საერთოდ, ეთნოკულტურა.

საინტერესო ბიოგრაფიისაა „ფოლკლენდის კუნძულები". იგი 1982 წლის შემდეგ ინგლისელთა მფლობელობაშია. ყოველ ნაბიჯზე ვკითხულობთ: „მალვინი ჩვენი ტკივილია". ყურადსაღებია კუნძულებზე დაფიქსირებული ფაქტების საიდუმლოებანი. თავის დროზე მოგიყვებით იმაზე, თუ როგორ ვეწვიე სტუმრად ფოლკლენდის გუბერნატორს, ან რატომ მოვხვდი საპატიო წიგნში; რისთვის მომიწია ზამთარში ოკეანეში გადახტომა; როგორ დავუმეგობრდი ფოლკლენდელებს და ... ოკეანის თეთრპერანგიან, შავფრაკიან გრაფებს – სამეფო პინგვინებს...

ანტარქტიდა! – ჩემთვის ოცნებად ქცეული ყინულის კონტინენტი! ორჯერ დავიპყარი „მარადიული ზამთრის" ეს იდუმალი, ზღაპრული ქვეყანა. საინტერესოა, თუ როგორ მოვხვდი აქ... მისი დატოვების შემდეგ, ახალი ამოცანის შესრულება დავისახე მიზნად: მოგაწოდოთ ინფორმაცია სამხრეთის, სიცივისა და მაგნიტური პოლუსების დაპყრობის პროექტზე, რომელიც „ესპრო 2006"-ის გამოფენაზე წარვადგინეთ და ოქროს დიპლომებიც დავიმსახურეთ მე და უკრაინელმა მოგზაურმა ლეონიდ მიკულამ. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, გამოსაცემად მოვამზადე წიგნი „ანტარქტიდული დღიურები".

... ბევრს მოგითხრობთ ურუგვაის რესპუბლიკაზე. ამ ულამაზესმა ხალხმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ ქვეყანას განათლების მაღალი დონით ვაფასებ.

მაკლდა კვება. ღამეებს ღია ცის ქვეშ, ბუნებაში ვათევდი. უამრავი კოლო, ქვეწარმავალი, ნიანგი!... წამებით მივაღწიე სურინამის რესპუბლიკის საზღვარს. . . ეს იყო ჩემი VIA DOLOROSA, ჩემი VIA CRUCIS (ლათ.) – ტანჯვის გზა, ჯვარცმის გზა. რამდენჯერ გადავრჩი!!!

აქ მდებარეობს მსოფლიოში უძველესი „გეოგრაფიისა და ისტორიის“ ინსტიტუტი, მაღალ-პრესტიჟული ურუგვაის უნივერსიტეტი და სხვა კულტურული თუ არქიტექტურული ღირსშესანიშნაობანი.

ურუგვაი ცნობილია მაღალგანვითარებადი სოფლის მეურნეობით, უძველესი კულტურით, ტრადიციებით... თუნდაც ის რად ღირს, ურუგვაელები მსოფლიოს პირველი ჩემპიონები რომ გახდნენ ფეხბურთში, საინტერესოა ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობაც და სახელმწიფოებრივი მმართველობაც. დედაქალაქ მონტევიდეოში მსოფლიოში საუკეთესო კაპიტოლიუმია. მაინც რითაა გამორჩეული ეს კაპიტოლიუმი? – მოსაყოლი, მართლაც, რომ ძალიან ბევრი მაქვს!..

ურუგვაიდან, ისევ არგენტინის გავლით, პარაგვაის რესპუბლიკაში გავემგზავრე. იგი ორჯერ დიდია ურუგვაიზე ფართობითაც და მოსახლეობითაც.

ატლანტაში სიურპრიზი მომიწყვეს: საქართველოს იმდროინდელი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბატონი კახი ასათიანისა და ამავე დეპარტამენტის სპორტის მთავარი სამართველოს უფროსის, ჩემი მეგობრის ბატონი ამირან აბესაძის დახმარებით ჩემი უმცროსი ქალიშვილი ხათუნა მესტუმრა.

მომეწონა პარაგვაელების სტუმართმოყვარეობა. მათ მოკლე, მაგრამ საინტერესო ისტორია აქვთ – მრავალმხრივი ტრადიციებითა და კულტურით... წარმატებულნი არიან სპორტშიც. დედაქალაქი ასუნსიონიც მშვენიერია, თუმცა ქვეყანას არანაკლებ ამშვენებს სამი სახელმწიფოს ჩანჩქერი – საოცარი ფოზ-დე-იგუასუ.

ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკას 1998 წლის 2 თებერვალს ვესტუმრე. დედაქალაქი ბრაზილია (1960 წლიდან). ამ ზღაპრულ ქვეყანაში 3 თვე ვიმოგზაურე. და მთლიანად გავიარე სამხრეთიდან ჩრდილოეთ საზღვრამდე. ფანტასტიკურ ფოზ-დე-იგუასუზე კანტალა ენოტებმა მშიერი დამტოვეს... მოვინახულე სამხრეთ ამერიკის ევროპული ქალაქი კურიტიბა, შემდეგ ქალაქი სან-პაულო, რომელიც მსოფლიოში მეორეა მოსახლეობის რაოდენობით და ბრზილიის უმსხვილესი ეკონომიკური ცენტრია. შესანიშნავია სან-პაულოს შტატის მთავრობის სასახლე. ამ ქალაქს, ხშირად, ლათინური ამერიკის „ჩიკაგოთიც“ მოიხსენიებენ. მკითხველს დააინტერესებს, თუ რისთვის დაერქვა ამ ქალაქს ლათინური ამერიკის ლოკომოტივი...

შემდეგ... რიო-დე-ჟანეირო! ეს ქალაქი პორტუგალიელი კონკისტადორების მიერ 1502 წელს დაარსებულა და ბრაზილიის 1960 წლამდე დედაქალაქი იყო. ამჟამად თავისივე სახელწოდების შტატის ადმინისტრაციული ცენტრია. იგი მსოფლიოს საუკეთესო ქალაქებში შედის. აქ, ბრაზილიის ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობის მფლობელის სპონსორობით, რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიოში ცნობილ კარნავალის ოფიციალური სტუმარიც გავხდი. საინტერესოდ გავატარე დღეები კოპაკაბანას და ფლამენგოს პლაჟებზე... №1 თავდამსხმელი გავხდი ჟურნალისტ ფეხბურთელთა გუნდში.

რიო-დე-ჟანეიროში, კორკოვადუს მთაზე, რომელზეც ველსიპედით შეუსვენებლად ავედი, ძალზედ ეფექტურია ხელებგაშლილი ქრისტეს ქანდაკება... ჩემი იქ ყოფნის პერიოდიც მეტად საინტერესოა...

რისთვის ვცვლი მარშრუტს და მივდივარ ბრაზილიის დედაქალაქში ფანტასტიკური ქალაქის, ბელუ ორიზონტეს გავლით? ეს გზა მოგზაურობის ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთია. ქ. ბრაზილიაში ბრაზილიის მთავრობის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში მოვხვდი! ღმერთმანი, კარგი თავგადასავალია! აირტონ სენას ავტოდრომზე ფორმულა ერთისა და ფორმულა სამის პილოტებთან რამდენიმე დღის განმავლობაში ვვარჯიშობდი. ქალაქების – ბრაზილია – ბელემის 2 500 კმ-იანი მონაკვეთი ამაზონის ჯუნგლში გადის. საგულისხმოა, რომ ამ გზის პირველგამკვლევი მე ვარ! ქ. ბელემში ცნობილ ბრაზილიელ ველომოგზაურს – დეივ კრუზს შევხვდი. მან ჩემსმ მოგზაურობას მაღალი შეფასება მისცა.

საინტერესოა თბილისიდან ჩამოსული ჩემი მოგზაურობის უღირს ორგანიზატორთან შეხვედრები. მან აქაც, მისთვის დამახასიათებელ სტილში სპონსორობის რამდენიმე ამერიკელი და სანტ-მარტინელი კანდიდატი ჩამომაშორა...

მოგზაურობის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაწილს მდინარე ამაზონით ამაზონის ჯუნგლის დედაქალაქ მანაუსში ჩასვლა და უკან დაბრუნება წარმოადგენს. ურთულესი გზებით მოვხვდი ქ. მაკაპში. თუ რით არის ეს ქალაქი მსოფლიოში ერთადერთი და ცნობილი, ჩემი თავგადასავლების წიგნების შესაბამის ტომში წაიკითხავთ...

ერთ-ერთი ურთულესი გზა ბრაზილიის ქალაქ მაკაპადან საფრანგეთის გვიანამდე (ექვსას კილომეტრამდე დაუსახლებელი ტერიტორია) ამაზონის დელტის ჭაობიანი ჯუნგლით გავიარე. ამ საფათერაკო მარშრუტის გავლისას, უფალსა და საკუთარ თავს მინდობილი, არა ერთ განსაცდელს გადავურჩი.

გვიანას დედაქალაქ ჯორჯთაუნში ფრნაგმა ჟანდარმებმა შესანიშნავად მიმიღეს. ღამეც გამათევინეს. ეს ქვეყანა 1946 წლიდან ამ დეპარტამენტს საფრანგეთის მიერ დანიშნული პრეფექტი მართავს. ტერიტორია მეტწილად დაბლობია და მთლიანად ჯუნგლითაა დაფარული. ამ ქვეყნის საოკეანო ოცკილომეტრიანი ზოლი, თითქმის, მთლიანად დაჭაობებულია, რასაც საშინელი სიცხეები ერთვის. ყოველივე ეს სერიოზულ ექსტრემალურ პირობებს სისტემატურად მიქმნიდა.

სურინამში იგივე გადამხდა, რაც საფრანგეთის გვიანაში, მაგრამ ყველაფერს აქ ისიც დაემატა, რომ პარამარიბოში არც ერთმა ბანკმა არ გადამიხურდავა დოლარი, რამაც ჩემი ისედაც დამძიმებული მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. როგორ გამოვედი ამ მდომარეობიდან და როგორ ჩავედი გაიანას კოოპერატიულ რესპუბლიკაში, წაიკითხავთ წიგნში, რომელიც სურინამში ჩემს მოგზაურობას მიეძღვნება. იქ გაიგებთ, თუ რა უბედურებები გადამხდა ამ ქვეყანაში და როგორ დავძლიე სირთულეები...

გაიანას კოოპერატიულ რესპუბლიკას ეს სახელი 1970 წელს დაერქვა. ქვეყანა პატარა, მაგრამ ეთნიკურად ჭრელია, იგი ბრიტანეთის თანამეგობრობაში შედის. აქვს საინტერესო ისტორია და, თითქმის საკუთარი, იშვიათი ბუნება. აქ ძალიან მოიკიდეს ფეხი ინდოელებმა, რომელთა ხელშია მთელი სოფლის მეურნეობა... ხშირად გაიანას ექვსი ხალხის ქვეყანასაც ეძახიან... აქვთ სათანადო კულტურა, ტრადიციები, ასევე თანამედროვეობა... მაგალითად, წელიწადში ერთხელ, დედაქალაქ ჯორჯთაუნის ცენტრალურ მოედანზე ინდოელები და აფროგაიანელები იკრიბებიან და რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩხუბობენ, რათა გაარკვიონ, თუ ვინ უნდა იყოს ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი...

ამის შემდენ 4 თვის განმავლობაში ვმოგზაურობდი კარიბის ზღვის აუზის კუნძულებზე. ადგილობრივი ფრანგების, ინგლისელების, ამერიკელებისა და ჰოლანდიელების დახმარებით ყველა კუნძულოვან სახელმწიფოს ვეწვიე. საყურადღებოა კარიბის ზღვის კუნძულებისა და რეგიონის სახელწოდების წარმოშობისა და კოლონიზაციის ისტორია.

პროცესი მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდამდე გრძელდებოდა...

ბევრი მაქვს მოსაყოლი კუნძულების გეოლოგიურ მდგომარეობაზე, რელიეფზე, ფლორასა და ფაუნაზე, კლიმატზე, ცხოველთა სამყაროზე, ეკონომიკაზე, ნაოსნობაზე, ტურიზმზე, კულტურაზე... ამას დიდ ხარისხს მატებს ამ კუნძულებზე ჩემი მოგზაურობის ამსახველი დღიურები, რადგან ოთხი თვის განმავლობაში არაერთი კურიოზი და თავგადასავალი გადამხდა თავს, რაშიც გამოვლინდა ჩემი თავდადებაც, ბედიც, ძალის გამძლეობის დემონსტრირებაც და სხვა უამრავი თვისება... გააქტიურებულ მონსერატის კრატერს, ამოფრქვევის დროს, ველოსიპედით დაახლოებით 150 მეტრზე მივუახლოვდი... კუნძულიდან თითქმის მთელი მოსახლეობა ინგლისში გახიზნული დამხვდა!მე რა მინდოდა?! ჰაიტიში ღმერთმა ორჯერ გადამარჩინა სიკვდილს; იამაიკაში – გაქურდვას... და მაინც,

ზღაპრულია ლიხტენშტეინის სამთავრო, საინტერესოა მისი კონსტიტუციური მმართველობის ფორმა... როგორც სახელმწიფო, ისე დედაქალაქი ვადუციც, მეტად ორიგინალურია. სანახაობებიდან მეფის სასახლეს და რესტორან გაგრას ავღნიშნავ...



ამ შესანიშნავ კუნძულებზე გავიჩინე მრავალი მეგობარი, რომელთა შორის გამოვყოფ ბატონ რიჩარდ გიბსონს...

იამაიკაზე და კუბაზე მოგზაურობა ჩემი ოდისეის უმშვენიერესი ნაწილია. ამ კუნძულებზე შევიძინე ახალი მეგობრები... გავეცანი ნაციონალურ ტრადიციებს... ისე, როგორც მთელ ამერიკაში, ამ ქვეყნებშიც ყოველწლიურად კარნავალების ჩატარების ტრადიცია დომინირებს... იამაიკასა და კუბაზე ჩემი მოგზაურობის დასრულების შემდეგ შეერთებულ შტატებში დავბრუნდი, რადგანაც კასაბლანკაში (მაროკო) ჰავანიდან გადაფრენა ძალიან ძვირი ჯდებოდა, რისი საშუალებაც არ მქონდა.

ატლანტაში სიურპრიზი მომიწყვეს: საქართველოს იმდროინდელი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბატონ კახი ასათიანისა და ამავე დეპარტამენტის სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსის, ჩემი მეგობრის, ბატონი ამირან აბესაძის დახმარებით ჩემი უმცროსი ქალიშვილი ხათუნა მესტუმრა. მასთან ერთად ამერიკაში გატარებული ერთი თვე ჩვენთვის დაუვიწყარია, რადგან იგი ხუთი წლის უნახავი მყავდა.

საინტერესოა თბილისიდან ჩამოსული ჩემი მოგზაურობის უღირს ორგანიზატორთან შეხვედრებიც, მან აქაც, მისთვის დამახასიათებელ სტილში, სპონსორების რამდენიმე ამერიკელი და სანტ-მარტინელი კანდიდატი ჩამომაშორა.

მე და ჩემმა ბარდღუნიამ (ასე ვეძახდი ჩემს უმცროს ქალიშვილს – ხათუნას ბავშვობაში) ვიმოგზაურეთ სხვადასხვა ქალაქში და ჩავედით ქ. ნიუ-იორკში, საიდანაც იგი საქართველოში, მე

კი ესპანეთის სამეფოში გადავფრინდი. წიგნის ამ ნაწილშიც ძალიან საინტერესო ინფორმაციას წაიკითხავ მკითხველო!...

ყურადღებით ვათვალიერებ მადრიდს – ესპანეთის დიდებულ დედაქალაქს. აქ არის თავმოყრილი დრამატული და მუსიკალური თეატრები, უამრავი მუზეუმი, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები. საინტერესო იყო ჩემი სატელეფონო საუბარი ბატონ გოჩა ჩოგოვაძესთან – საქართველოს ელჩთან საფრანგეთსა და ესპანეთში. ვთხოვდი, პრესასთან კონტაქტების დამყარებაში დამხმარებოდა, რადგან, ადგილობრივი წესებით, დასაბეჭდი მასალა რედაქციისათვის რეკომენდატორ ორგანიზაციას უნდა გადაეცა ფაქსით.სასტიკი უარი მივიღე: „მე ახლა ესპანეთში ვიმყოფები და როგორ დაგეხმაროთო!“ ელჩს ვერ ვკადრე, მესწავლებინა, თუ როგორ უნდა აღმოეჩინა დახმარება ჩემთვის ამ მარტივი საკითხის გადასაწყვეტად. მე და ბ-ნი ელჩი ერთ ფაკულტეტზე ვსწავლობდით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და მისგან ასეთი პასუხი, სიმართლე გითხრათ, არ გამკვირვებია – იგი თანატოლებს შორის ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ამბიციურობით... უადგილოდ გაწეული კეთილი სამსახური თუ ბოროტებად ეთვლება კაცს, მაშინ რაღა ერქმევა უადგილო ამბიციურობას? – ამპარტავნებაო! – იტყვით, ალბად, ვინმე. ბ-ნი ელჩის ამბიციურობას, ჩემი თვალთახედვით, ცნება „ამპარტავნების“ სულხან-საბასეული კლასიფიცირებით, ელჩთან მიმართებაში ცნება „ზესთა-მჩენობი”-თ ჩავანაცვლებდი, რამეთუ: „ზესთა-მჩენობაცა ვიეთთა ზეცა კაცსა, რომელსა ენებოს თავი თავსი სხვისა უმაღლესად და უკეთესად გამოჩენა...“ ვფიქრობ, ეს განსაზღვრება უფრო ესადაგება ბატონი ელჩის საქციელს, ვინემ ლათინური Ambitio, თუმცა... უმჯობესია მთავარ თემას მივუბრუნდეთ.

ესპანეთი! – სახელმწიფო, რომელსაც უჭირავს პირენეის ნახევარკუნძულის უდიდესი ნაწილი. ეს ქვეყანა ძალზე საინტერესოა თავისი ისტორიით. ამ ნახევარკუნძულზე უხსოვარი ხანიდან სახლობდნენ იბერები. დღესაც მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მთათა ერთ-ერთ სისტემას იცნობენ, როგორც იბერიის მთებს. იბერებზე, კავკასიის, პირენეისა და დიდი ბრიტანეთის იბერიათა შესახებ თქვენ თავის დროზე მიიღებთ საინტერესო ცნობებსა და ჰიპოთეზებს. მანამდე კი...

დიახ, ძირძველ იბერთა შემდეგ პირენეის ნახევარკუნძულზე ჩვ. წ. აღ-მდე V-III საკუნეთა შორის განსახლდნენ კელტური ტომები. ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნის მიწურულიდან ამ ტერიტორიის უდიდესი ნაწილი კართაგენის მფლობელობაში ექცევა, ჩვ. წ. აღ-მდე I საუკუნიდან კი რომის იმპერიამ დაიპყრო...

ესპანელმა ხალხმა ფრიად ორიგინალური კულტურა და არქიტექტურული ძეგლები მისცა მსოფლიოს, ფაქტობრივად, ეს კულტურა მავრიტანული და კათოლიკური კულტურის სინთეზმა წარმოქმნა...

ცნობილია, რომ ბერბერები ათასწლეულთა წინათ საქართველოდან დასავლეთით მიგრირებული დიდი ჯგუფის ნაწილია, რომელმაც ჩრდილოეთ ამერიკაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე დაიდო სამკვიდრებელი. მთებში რამდენიმე დღით ერთ-ერთი პედაგოგისა და ვაჭრის ოჯახში მომიწია ცხოვრება, რადგან უკეთ გამეცნო ამ ხალხის ისტორია, ცხოვრების წესი, თანამედროვეობა და ბევრი სხვა რამ...

XVIII-XIX საუკუნეთა მადრიდის არქიტექტურაში კლასიციზმი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი – მოდერნიზმი დამკვიდრდა. XX საუკუნის შუა პერიოდიდან, მადრიდის რეკონსტრუქციის დროს, მშენებლობაში აქცენტირებულია ბეტონისა და მინის გამოყენება. აგებენ ცათამბრჯენებს.

ყოველივე ამაზე პასუხს გაგცემთ ესპანეთის შესახებ გამოცემული ტომით. მადრიდი ცნობილია 100-ზე მეტი მუზეუმითა და გალერეით. თუმცა, მადრიდის სავიზიტო ბარათად მაინც პრადო ითვლება, სადაც ბოტიჩელის, რაფაელის, ტიციანის, ბოსხის, ბრეიგელის, გოიას, რემბრანდტის, ელ-გრეკოს, რუბენსის, დიურერის, ველასკესის, კარავაჯოსა თუ სხვათა ხელთუქმნელი ტილოები ინახება – შეუფასებელი ფერწერული შედევრები! მადრიდი ცნობილია თავისი უნივერსიტეტებითაც... ჩემი აზრით, პრადოსთან ერთად, ქალაქის სავიზიტო ბარათი მადრიდის „რეალიცაა“.

მადრიდი ერთი მთლიანი მუზეუმია!...

ერთობ დაძაბული გზა იყო პორტუგალიამდე.მდინარე ტახოს ხეობა ნებისმიერ მხილველს ისე მოხიბლავს, როგორც თავად ამ სტრიქონების ავტორი მოხიბლა.

პორტუგალიის რესპუბლიკასთან შეხვედრას განსაკუთრებულად ველოდი, რადგანაც ეს ქვეყანა დიდი მოგზაურებისა და ფეხბურთელების სამშობლოა. დიდი იმედით ვეწვიე დედაქალაქ ლისაბონს. ეს ქალაქი იბერიული ტომების – ლუზიტანების მთავარი განახლების ადგილია. ქალაქი ატლანტის ოკიანის სანაპიროზე მდ.ტეჟუს (ტახო) შესართავში მდებარეობს. სახელმწიფო დაპყრობილი ჰქონდათ რომაელებსაც და არაბებსაც. იგი ესპანეთის იმპერიაშიც შედიოდა. ლისაბონი 1755 წლის მიწისძვრამ მთლიანად დაანგრია. შემდეგ – ნაპოლეონი და ფრანგული ოკუპაციის ხანა. 1926-1947 წლებში პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმი მძვინვარებს. შემდეგ აქ თავისუფლების სიომ დაუბერა და პორტუგალია მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე, ევროპული დონის სახელმწიფოდ იქცა. პორტუგალიის ცნობილი მოგზაურები არიან ვასკო და გამა, რომელმაც XV საუკუნეში აღმოაჩინა ინდოეთი და ფ. მაგელანი, რომელმაც XVI საუკუნეში პირველმა შემოუარა დედამიწას. პორტუგალიის ცნობილი სახეა, აგრეთვე, ფეხბურთელი ეუსებიო. სწორედ აქ მქონდა ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა 50-იანი წლების საუკეთესო ფეხბურთელთან, მოზამბიკის პანტერად წოდებულ ეუსებიოსთან, რომელმაც ლისაბონის „ბენფიკას“ ვარჯიშზეც და თამაშზეც მიმიწვია. თუ როგორ გავატარე მასთან სტუმრობის სამი დღე, წაიკითხავთ წიგნში, რომელიც მიეძღვნება პირენეის ნახევარკუნძულზე ჩემს მოგზაურობას.

ლისაბონმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. აღმაფრთოვანებელია პორტუგალიელთა ტრადიციები...

პორტუგალიის ჩრდილოეთ საზღვრამდე რამდენიმე ქალაქი გავიარე. ჩრდილოეთით ესპანეთის საზღვართან, ავარიაში მოვყევი. გავიტეხე თავი და სამი ნეკნი, დამემტვრა ველოსიპედიც... მკითხველს, ალბად, აინტერესებს, თუ ვინ იყო დამნაშავე. ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია, როდესაც დაწვრილებით გაეცნობით ამ შემთხვევასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

შემდეგ ისევ ესპანეთი, მაგრამ, ამჯერად, მისი ჩრდილო ნაწილი. ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთისა და ბისკაის ყურის სანაპიროებით გავიარე ქალაქები: ვიგო, კომპოსტელა, ლა-კორუნია, ავილასი, ბარაკალდო, ბილბაო, სან-სებასტიანი და სხვა. განსაკუთრებულად მოვიარე ბასკეტ.დავესწარი ბასკურ დღესასწაულებსაც.

ბასკეთი!... – ესპანეთის „აქილევსის ქუსლი”!

ბასკები!... უნამუნო... ეტა...

ბასკეთი!... – ეს განსაკუთრებული და ფრიად სათუთი თემაა!... საფრანგეთის რესპუბლიკისაკენ მიმავალმა წარმოვიდგინე ამ ქვეყნის რთული ადმინისტრაციული დაყოფა... პირინეის მთების გადაკვეთით საფრანგეთის რესპუბლიკის მეღვინეობის დეპარტამენტის დედაქალაქ ბორდოში ჩავდივარ... აქედან ნანტში, შემდეგ ანჟესში, ლე-მანში, შარტრში და ვერსალის გავლით, – პარიზში... მოსაწონია ქალაქის მართვის სისტემა...

1999 წლის ახალი წელი პარიზში – დედამიწის ჭიპზე გავატარე...

საქართველოს საელჩომ პარიზში ოთახი გამომიყო, რითაც უხერხული მდგომარეობიდან გამომიყვანა... საინტერესო ისტორიით მოვხვდი საცხოვრებლად ალჟირელებთან... შემდეგ მონმარტრი, ელისეს მინდვრები, ლუვრი, ლუქსენბურგის ბაღები, ეიფელის კოშკი, ნოტრ დამ დე პარი... მოულოდნელი და უცნაური შეხვედრა ლევილში... ისევ ბატონი კახი ასათიანისა და ამირან აბესაძის დახმარებით ჩამოდის ჩემი უფროსი ქალიშვილი მაია და მისი მეუღლე – ვახტანგი. 15 დღე ერთად ვეცნობით პარიზს...

მინდა შევეხო „იუნესკო"-ში საქართველოს ყოფილი ელჩის, ქალბატონ ნათელა ლაღიძის ჩემს მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების ფაქტს, რამაც მოგზაურობის პროცესში არც თუ უმნიშვნელო როლი შეასრულა...

დაუვიწყარია „იუნესკოს" გენერალური დირექტორის, ფედერიკო მაიორის მიერ ჩემთვის მსოფლიო მოქალაქისა და სპორტსმენის დიპლომის გადმოცემის ცერემონია... მქონდა პრეს-კონფერენცია ჟურნალისტებთან... წავიკითხე ლექცია საქართველოს საელჩოში და შევხვდი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან.

საინტერესოა, თუ როგორ მიპოვნა ეგვიპტეში გაცნობილმა ფრანგმა ქალბატონმა. ოჯახში მიწვევისას კი მეუღლეს მოაყოლა, თუ როგორ ასრულებდა იგი ეგვიპტეში ჩემთან დადებულ პირობას...

დაუვიწყარია პარიზში ჩემს უფროს ქალიშვილთან, მაიასთან გატარებული დღეები!... მაიას თბილისში გაცილების შემდეგ გზა ლუქსენბურგის დიდი საჰერცოგოსაკენ გავაგრძელე... წარმოიდგინეთ ლუქსენბურგი, სამეცნიერო დაწესებულებები, განათლების სისტემა, მუზეუმები, თეატრები, არქიტექტურული ძეგლები, პარკები... ეს კოპწია ქალაქი-სახელმწიფო ჩართულია ევროკავშირის მმართველობის რგოლშიც... ისევ საფრანგეთი!... დიდებული ლიონი, გრენობლი და...

შვეიცარიის კონფედერაციაში მოგზაურობას ჟენევიდან ვიწყებ. იგი ულამაზეს ხეობაში, ჟენევის ტბის სანაპიროზე მდებარეობს. შვეიცარია 20 სრული და 6 არასრული ადმინისტრაციული ერთეულისაგან შედგება. აქედანაც ჩანს, რომ მას აქვს მმართველობის თავისებური წესი... კონფედერაცია საქართველოზე თითქმის ორჯერ ნაკლები ფართობისაა, რომლის 2/3 იურისა და ალპების მთებს, ხოლო 1/3 მდინარე რეინის დაბლობს და ზეგანს უკავია. საქართველოზე თითქმის ორჯერ ნაკლები ტერიტორიის მქონე კონფედერაცია მოსახლეობით დაახლოებით ორჯერ აღემატება საქართველოსას. მოსახლეობა შემადგენლობით საინტერესო და მრავალფეროვანია... მრავალფეროვანია რელიგიაც. კონფედერაციის მეტად ორგანიზებული, მაღალი დონის მმართველობა აქვს. სამაგალითოა მისი სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, ამიტომ იგი უმაღლეს დონემდე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. რაც შეეხება ქალაქ ჟენევას,... გარდა მისი კლასიკური და ისტორიული მნიშვნელობისა, მისი როლი უდიდესია მსოფლიოში ბირთვული ფიზიკის განვითარების საქმეში, ე. ი. მეცნიერებაში, უმაღლესი დონის მანქანათმშენებლობასა და ხელსაწყოთმშენებლობაში... შეიძლება მსოფლიოში მწერალთა გრანდების ერთ-ერთ უპირველეს ქალაქადაც ჩაითვალოს... ამ ქალაქში შესანიშნავი შეხვედრები და ექსკურსიები მქონდა.

ბევრი მაქვს მოსაყოლი ჟენევაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლების შესახებ, მათ მიერ ჩემდამი გამოხატულ გულისხმიერებაზე. მათ შორის გამოვყოფ ელჩს, ბატონ ამირან კავაძეს, ატაშეს – ბატონ ავთანდილ ბაქრაძეს და კონსულს – ქალბატონ ხათუნა ჯანჯალიას, რომლებმაც არა მარტო ძვირფასი დრო დამითმეს, არამედ მოგზაურობის სათანადო დონეზე გაგრძელების ბევრი საკითხის გადაწყვეტაშიც დამეხმარნენ...

დედაქალაქ კონაკრიზე, ხალხის ტრადიციებზე თუ ბევრ სხვა რამეზეც, თუმცა მოსაყოლს, თქვენის ნებართვით, სხვა დროისთვის გადავდებ.

ლიბერიის რესპუბლიკა! სიტყვა „ლიბერი” Liberi, orum, um

ლათინური სიტყვაა და „თავისუფლად დაბადებულს” ნიშნავს. სახელმწიფოში მოგზაურობით დარწმუნდებით, რომ ეს, მართლაც, „თავისუფლების” ქვეყანაა... ნუთუ რჩება ადგილი თავისუფლებას იქ, სადაც უწყვეტი სამოქალაქო ომებია? სადაც სუფევს ჟამი ძაღლის მგლისაგან ვერ გამორჩევისა და ძაღლისაგან პატრონის ვერ შეცნობისა?...

ალბათ, დაგაინტერესებთ იმ მოსახლეობის ეროვნული „ინგრედიენტი”. ვინც ეს თავისუფლების ქვეყანა გამოქნა... სწორედ ამ ქვეყანაში მომიწია მოგზაურობა ზუსტად ლიბერიის მეორე სამოქალაქო ომის მსვლელობის პერიოდში, რომელიც 1999-2003 წლებში წარიმართა.ამ ულამაზეს ქვეყანაში შესვლისას უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე ავიღე, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოში არ შემიშვებდნენ...

საომარი მოქმედებები არ წყდება. უამრავი ხალხი იხოცება. საინტერესოა როგორ გადავრჩი, როცა ყოველ 200-300 მეტრში, ხან ერთი მხარე შემათრევდა ბუნკერში, ხან მეორე, ხან მესამე და კიდევ ვინც გნებავთ ის... აქ, დიდსა თუ პატარას, ყველას ავტომატი და რევოლვერი უჭირავს. აბა, ბიჭი ხარ და ნუ დაემორჩილები...

რაც იმ დღეებში გადავიტანე და რამდენჯერაც გადავრჩი, ალბათ, ერთმა უფალმა უწყის მხოლოდ.მით უფრო როცა ბევრს ჯაშუში ვეგონე... გავუძელი პირდაპირ და ჯვარედინ დაკითხვებს: ხან სულელის, ხან გიჟის, ხან გენიოსის, ხან ძლიერის, ხანაც სუსტის ნიღაბს ამოფარებულმა ვინ უწყის, რამდენი როლი გავითამაშე. ასე წამებით ჩავედი დედაქალაქ მონროვიაში... მეათასედ ვეკითხები ჩემს თავს: რამ გადამარჩინა?!.. ახლა კიდევ დედაქალაქში წამება... ლიბერიის პოლიციის სამინისტროსთან ველოსიპედი ბარგიანად წამართვეს შეიარაღებულებმა, თუმცა კარგა ხანს ვეწინააღმდეგებოდი. ბოლოს, ნაცემ-ნაგვემი, ქვიშის ტომრებისაგან აშენებულ ბუნკერში შემაგდეს.რამდენიმე საათის შემდეგშემოდის შეიარაღებული კაცი და მეუბნება: „უფროსმა თქვა, თუ ველოსიპედს ბარგიანად დატოვებს, გავუშვებთო.” მაშინვე გავიფიქრე: აქ რომ ვიჯდე, საქმეს თავისით არა ეშველება რა და, თუ გავალ, იქნებ სცილასაც და ქარიბდასაც – ორივეს დავაღწიო თავი-თქო, ავდექი და დავთანხმდი...

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რასაც გადავიტანდი...

გავიცანი ბრიგადის გენერალი ქალბატონი...

როგორ და რანაირად გადავრჩი?

ველოსიპედისა და ბარგის ჩამორთმევის შემდეგ მოლაპარაკებები გავმართე სამხედროებთან. დავიბრუნე ჩემი ძვირფასი ავლა-დიდება. ღმერთი ჩემთან არს! დიდება მას!...

როგორ დასრულდა მოგზაურობა ლიბერიაში?... – პასუხი მომავალში გელით.

კოტ დ იუვარის რესპუბლიკა. განუყრელი ხიფათიანი გზები.

ხატპერიდან კოტ დ იუვარის მხარეს ქ. სან-პეტრაში გადავედი თუ არა, დაიწყო ჩემი წამება. გაუთავებელი წამებით, თითქოს, იმუნიტეტიც კი გამომიმუშავდა უამინდიობისადმი.ქ. პედრას გავლით, როგორც იქნა, ქ. აბიჯანში ჩავედი.იგი მნიშვნელობით მეორე ქალაქია რესპუბლიკაში და ერთ-ერთი უდიდესია მთელს აფრიკაში. 1986 წლამდე კოტ დ იუვარის დედაქალაქში აბიჯანი იყო, ხოლო შემდეგ დედაქალაქი იამუეკრო გახდა.ქალაქს საინტერესო ისტორია აქვს.მსოფლიოში ცნობილია ყველაზე დიდი კათოლიკური ტაძრით, რომელიც ვატიკანის წმინდა პეტრეს ტაძრის პროექტის მიხედვითაა აგებული.ქვეყანა განსხვავდება მეზობელი სახელმწიფოებისაგან, რომელიც რელიეფით, ასევე ფლორითა და ფაუნით, საერთოდ, ბუნებრივი პირობებით... აქ მასპინძლობას იუნესკო მიწევდა. საინტერესოა კოტ დ იუვარის ეთნიკური შემადგენლობა... განათლების დონე, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც საკმაოდ დაბალია...

აბიჯანიდან გზას განას დედაქალაქ აკრასაკზე ვაგრძელებ.პატარა სოფელთან გზაზე ორი ახალგაზრდა გადამიდგა.მთხოვეს გავსაუბრებოდი. თხოვნა შევუსრულე. ისინი მეზობელი პატარა ქალაქის სკოლის პედაგოგები აღმოჩნდნენ.მოსწავლეებთან შეხვედრა და ღამის გასათევად სკოლაში დარჩენა შემომთავაზეს.დავთანხმდი, რადგანაც რამდენიმე კილომეტრიც შემდეგ მაინც უნდა მეძებნა ღამის გასათევი ადგილი და ისიც ღია ცის ქვეშ... მოსწავლეების ნაცვლად ვითომცდა ქალაქის ხელმძღვანელობას შემახვედრეს.შესახედაობით რუსებს მივამსგავსე და რუსულად დავუწყე საუბარი.ინგლისურად მიპასუხეს, რუსები არა ვართო.კარგა ხნის საუბრის შემდეგ, თითქმის, დავრწმუნდი, ადგილობრივი სპეცსამსახურების წარმომადგენლები რომ იყვნენ.მათი წასვლიდან რამდენიმე წუთში ვიღაცამ დაფასოებული სადილი გამომიგზავნა.რატომღაც ეს ამბავი არ მეჭაშნიკა, მაგრამ ისე მშიოდა, მაინც მივირთვი, დილით თავი შეუძლოდ ვიგრძენი, მაგრამ ექვს საათზე მაინც გავუდექი გზას.მივდივარ უღრან ჯუნგლში.სიარული მიჭირს.თვალსაწიერზე არც უდაბნო ჩანს, არც ოაზისი.სხვა გზა არ მაქვს, როგორმე 60 კილომეტრზე ცოტათი მეტი უნდა გავიარო, რათა პატარა ქალაქში ჩავაღწიო.თავს იმით ვიმხნევებ, რომ უფრო უარესი მომენტებიც მქონია.ბრძოლას არ ვწყვეტ.ასეთ ვითარებაში ხშირად გამიმარჯვია.ახლაც ხომ ესე იქნება? – ვეკითხები ჩემს თავს და თავადვე ვადასტურებ... აბა, რა!

ასეთი ფიქრებით მივაღწიე პოლიციის შენობამდე. პოლიციელებმა სარეგისტრაციო წიგნში ჩანაწერები გააკეთეს.წასვლისას გავანდე, გუშინ ვახშმით მოვიწამლე და ძალიან ცუდად ვარმეთქი.შემდეგ სასტუმროში მოვხვდი.ერთი დღე და ღამე ტუალეტის იატაკზე უგონოდ ვეგდე, როგორ მოვხვდი ადგილობრივ საავადმყოფოში, არაფერი მახსოვს. ვინ დაიწყო ბრძოლა ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად? ვის უნდა ვუმადლოდე?

აბიჯანიდან სპეციალისტები გამოიძახეს... რამდენიმე ხანი აგონიაში ვიყავი.ბოლოს ისევ აბიჯანში მოვხვდი.რისთვის მმკურნალობდნენ მთელი თვის განმავლობაში ოთხვარსკვლავიან სასტუმროში და არა საავადმყოფოში? ორი ქალი განუწყვეტლივ დამტრიალებდა თავს.არ იშურებდნენ სახსრებს. ერთი თვის შემდეგ ქალი მომიგზავნეს, რომელიც ზანგების ანგელოზად შევრაცხე... რომ არა სიკეთე, სულს სადღაც გადასაკარგში, ყარიბობაში დავლევდი. არაფერს ვამბობ მრავალ წინა შემთხვევაზე, როდესაც სიკვდილისაგან სიკეთემ მიხსნა. ყოველი ასეთი შემთხვევის შემდეგ პირობებთან შესაბამისობაში ვგეგმავდი ჯანმრთელობისა და სპორტული ფორმის აღდგენის პროცესს...

განას რესპუბლიკის ორიგინალურ დედაქალაქ აკრაში საინტერესო გზებითა და ქალაქების გავლით ჩავედი. განაში სამხედრო დიქტატურაა. გზაზე გადატანილი რამდენიმე შემთხვევის თავის დროზე აღწერა, ვფიქრობ ინტერესს გამოიწვევს თქვენში...

ამ პატარა ქვეყანაში მრავალი წყალუხვი მდინარეა რომლის ენერგიას ოპტიმალურად იყენებენ განელები, რაც სავსებით აკმაყოფილებს სახელმწიფოს მოთხოვნებს ელექტროენერგიაზე.მიუხედავად იმისა, რომ 1000 სულ მოსახლეზე სიკვდილიანობა მაღალია, მოსახლეობის ზრდის თვალსაზრისით, ეს ქვეყანა მაინც ერთ-ერთი პირველია მთელ დასავლეთ აფრიკაში...

განას ტერიტორიაზე ადრე რამდენიმე სახელმწიფო არსებობდა... რის გამო დაერქვა თავდაპირველად განას „ოქროს ნაპირი”? ბევრ სახელმწიფოს თავისი საკუთარი პორტი აქვს განაში. ქვეყნის ტერიტორიის ორი მესამედი სავანეებს უკავია.დარჩენილი 1/3 კი უსიერი ჯუნგლია, თუმცა ეს სულაც არ არის ფლორითა და ფაუნით სიმდიდრის პირობა.ქვეყანაში ძლიერი სოფლის მეურნეობა და სწრაფად განვითარებადი მრეწველობაა.საინტერესოა მისი ისტორია, ეთნიკური შემადგენლობა, რელიგია, ეკონომიკა, პოლიტიკური სისტემა... მთელი 6 წლიანი მოგზაურობის პერიოდში პირველად აქ დავთვერი!... მერე რატომ, ვისთან და რისთვის? – ეს საინტერესო ისტორიაა...

განას რესპუბლიკა არ გამოირჩევა ისტორიული ძეგლებით, მაგრამ მისი ორი ისტორიული ძეგლი მაინცაა შესული იუნესკოს დასაცავ ძეგლთა კატალოგში...

რეზიუმეში ავღნიშნავ: განაში ჩემი ყოფნის ყოველი დღის ჩანაწერი საინტერესო ინფორმაციის შემცველი იქნება...

ვმოგზაურობ ტოგოსა და ბენინის რესპუბლიკაში.მათი დედაქალაქები – ლომეც და პორტო-ნოვაც ერთმანეთის მსგავსი ქალაქებია.მსგავს ქვეყნებში მსგავსი ისტორიებიც გადამხდა... ფაუნის თვალსაზრისით ორივე სახელმწიფო ერთნაირია და მდიდარი.სახელმწიფოების დიდი ნაწილი ტროპიკულ ჯუნგლებსა და სავანებს უჭირავთ.მდინარეები წყალუხვია, რაც წვიმიანი პერიოდების დიდი სიხშირითაა გამოწვეული.ამან, სხვა ფაქტორებთან შერწყმით, ამ ქვეყნების განსაკუთრებული კლიმატი შექმნა.ისტორიული ძეგლებით არცერთი სახელმწიფო არ გამოირჩევა, მაგრამ ორივე მათგანი საინტერესოა ნაციონალური შემადგენლობის თვალთახედვით. თითქოსდა, მარტივ ქვეყნებში მოგზაურობაც მარტივი უნდა ყოფილიყო!

წარმოიდგინეთ, ეს ასე არ აღმოჩნდა... ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის, ქალაქ ლაგოსში შესვლისთანავე მუზეუმში ვხვდები, სადაც მორიგი საინტერესო ისტორია მელის...

ნიგერია ყველაზე ხალხმრავალი სახელმწიფოა აფრიკაში... მისმა ბუნებრივმა პირობებმა იგი ფაუნით მდიდარ სახელმწიფოთა სიაშიც შეიყვანა... პარადოქსია – შესანიშნავი ბუნებრივი პირობებისა და მადნეულით მდიდარი ქვეყანა ერთ-ერთი უღარიბესია მთელ კონტინენტზე. ეს გასაკვირი ამბავია, თუმცა ფაქტია. მოსახლეობის გამრავლებით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს აფრიკაში... სამწუხაროდ, სიკვდილიანობითაც ერთ-ერთია.

მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის თვალსაზრისით ჩვეულებრივი აფრიკული დონისაა... გამოირჩევა ეთნიკური შემადგენლობის მრავალფეროვნებით. სპორტის სახეობებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში – უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთით და შემდეგ კრივით... ქვეყანას აქვს შესანისნავი უნივერსიტეტები და სტადიონები დედაქალაქ აბეჟასა და ქალაქ ლაგოსში. ლაგოსი ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია არამარტო აფრიკის კონტინენტზე, არამედ მთელს მსოფლიოშიც..

ნიგერიელებს საინტერესო ტრადიციები, და ნაციონალური მუზეუმები აქვთ ლაგოსსა და სხვა ქალაქებში. ბოლო წლებიში ნიგერიელები სახელმწიფოში აბრუნებენ მსოფლიოში მიმოფანტულ საგანძურს — ხელოვნების ნიმუშებს. სამწუხაროდ, აქაც არ ცხრება ომები და ხშირია სამხედრო გადატრიალებები, რაც ამუხრუჭებს ქვეყნის აღმასვლას. ყურადსაღებია, თუ სად ვცხოვრობდი ლაგოსსა და აბეჟაში და რა თავგადასავლები გადამხდა...



ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მალის რესპუბლიკაში ჩემი ჩასვლის ისტორიაც თავისებურად მიმზიდველია. მალიმი ჩემი თავგადასავალი ერთ მოგზაურობად ღირს... ამ ქვეყანაში გაცნობილი ფრანგების ერთ ჯგუფთან მეგობრობა დღესაც გრძელდება, მაგრამ მქონია ისეთი შეხვედრებიც, რომლებიც იქვე დასრულებლა. მალის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს... მალიში სიბრმავის პანდემიაა. აქ, მიზეზთა და მიზეზთა გამო, იოლად ბრმავდე-

ბა კაცი. როგორ გადავურჩი დაბრმავებას თავად?.. ოდენ აბუეტობისგან ჩემი გადარჩენის გამოც შეიძლება მალიში ჩემი „ექსპედიცია“ საინტერესოდ ჩაითვალოს, რადგან მკითხველს, რომელსაც მომავალში მოუწევს მბალიში მოგზაურობა, გასათვალისწინებელი ექნება ჩემი რჩევები.

ურთულესი გზით და უმძიმეს კლიმატურ პირობებში ჩავედი ბურკინა-ფასოს დედაქალაქ ვაგადუგუში. გზა გამირთულა იმანაც, რომ ველოსიპედის კბილანები გაცვდა და ჯაჭვი ხშირად სრიალებდა. ამ ქვეყანაში მთის ველოსიპედის არცერთი ნაწილი არ იყიდება. როგორ გამომიყვანა მდგომარეობიდან ფედამწვარმა ვირმა?..

ჯუნგლებში სხვადასხვა ტომები ცხოვრობენ. ერთ-ერთი ტომიდან ზანგმა ქალმა სასმელი წყალი მთხოვა, ორი წლის შვილისთვის მინდაო. ბოთლი მთლიანად მივეცი, მე კი უწყლოდ დავრჩი.

ბურკინა-ფასო გამოირჩევა ლოკალური კლიმატით, რადგანაც მის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებს ძალიან განსხვავებული გეოგრაფია აქვთ. ჩრდილოეთით უდაბნოა, სამხრეთით კი – სავანები. ასეთი ბუნების გამო განსხვავებულია ფლორაც და ფაუნაც...

ქალაქის დიდი მანძილებით დაშორებისა და აუტანელი ბუნებრივი პირობების გამო მოგზაურს ურთულესი ექსტრემალური პირობები ექმნება, ამიტომ ხშირად მრავალრუცნობიანი განტოლების ამოხსნა მიხდებოდა... უცნაური ქალაქია უაგადუგუ. წარმოიდგინეთ ასეთი რამ: ქვეყანა უღარიბესია, განათლების დონე — დაბალი, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — მოკლე! და... ასეთი ქვეყნის დედაქალაქში მეთხუთმეტე საუკუნეში დაარსებული უნივერსიტეტი! ხომ პარადოქსია?.. მინდა დავამატო, რომ ქვეყანაში განუვითარებელია სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, რაც მიუთითებს სახელმწიფოში მოსახლეობის დაბალ სოციალურ დონეზე. ამგვარი პირობებისა მიუხედავად, მოსახლეობის გამრავლების თვალსაზრისით, ბურკინა-ფასო ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ქვეყანაა აფრიკის ტერიტორიაზე... ეს სახელმწიფო ყურადღებას იქცევს მოსახლეობისა და რელიგიურ მიმართულებათა ნაირგვაროვნობით.


ბურკინა-ფასოდან ნიგერიის რესპუბლიკისაკენ, მაღალი ტემპერატურებისა და ტენიანობის გამო, ძნელი გზა მედო... ნიგერიის ტერიტორიაზე კი იგი უფრო გამირთულდა, რადგანაც კლიმატი აქ ტროპიკული და უდაბნოსეულია, ხოლო სამხრეთით — სუბეკვატორული. ქვეყანა რელიეფურად ერთ-ერთი ყველაზე უსწორმასწოროა... ამ ქვეყანაში ჩემი თავგადასავალი საინტერესო იმანაც გახადა, რომ ხშირად მიწევდა ველოსიპედის მხრებზე აკიდებული, ან მიწოლით ტარებაც. ამან ძალიან დამღალა... საინტერესო შეხვედრები მელოდა დედაქალაქ ნიამეიში, როგორც სახელმწიფო, ასევე დედაქალაქიც, რთულად ასათვისებელი და დასაძლევი აღმოჩნდა, ამიტომ, კითხვის ნიშნებით რომ არ გადაგღალოთ, სჯობს, ნიგერში ჩემი მოგზაურობის შესახებ სრულ დღიურებს დაელოდოთ.

ჩადის რესპუბლიკაში სიარული სულ ქვიშიანი გზებით მომიწია. გზების სირთულემ და საჰარის უდაბნოს სიცხეებმა უარყოფითად იმოქმედა ჩემს ენერგიულობასა და გამძლეობაზე. ვცდილობ, ამ პრობლემებზე არ ვიფიქრო და მთელი ყურადღება სხვა მთავარ პრობლემაზე — დედაქალაქ ნჯამენაში ჩაღწევაზე გადავიტანო. ქალაქი მომეწონა — რა თქმა უნდა, აფრიკის დონეზე. იქნებ სხვა რამის გამოც?.. ჩაი ვულკანური კრატერებითა და ცვალებადი ლანდშაფტის ზონებითაა ცნობილი. ქვეყანაში განვითარებულია სოფლის მეურნეობა, რასაც დიდად უწყობს ხელს მდინარეები — შარი და ლოგონე, ასევე ჩადის ტბაც. ეს ჰიდრორესურსები ერთიანობაში მძლავრ სარწყავ სისტემას ქმნიან. ისინი ნავიგაციისთვისაც გამოიყენება...

მოსაყოლი ჩემს შეხვედრებზე, განცდილისა გადატანილზე, ასევე ჩადის საინტერესო ისტორიაზე, ბუნებაზე, ხალხზე, კულტურაზე, განათლებასა და არქიტექტურაზე — მართლაც ბევრი მაქვს.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 1999 წლის 27 ოქტომბერს ჩავდივარ. ენჯამენადან ბანგიმდე 1200 კმ-იანი სიგრძის გზა რთული და საინტერესო თავგადასავლებით გავიარე... ამ ქვეყანაში ლომები ცოტანი არიან, მაგრამ გზაზე ხშირი ფირნიშები მძღოლებს აფრთხილებს: „ფრთხილად, გზაზე ლომებია!“

ბანგიში თითქმის ერთი თვე დავყავი, რადგანაც ზედიზედ ორჯერ მომწამლეს საჭმლით. ერთ შემთხვევაში — სომეხმა მფრინავებმა. ვინ იყვნენ ისინი და რატომ ჩაიდინეს ეს?.. იქნებ ეს მზარეულთა ნახელავი იყო?.. არა!.. რატომ არ წამიყვანეს საავადმყოფოში?.. რატომ დამაყენეს თავზე რუსეთის ფედერაციის საელჩოს ექიმი? რისთვის მომაკითხეს სასტუმროში სამჯერ, გინდა თუ არა, ერთად ვივახშმოთო? თითქოს ვგრძნობდი, რაღაცას მიპირებდნენ და სამივეჯერ უარით გავისტუმრე აბეზარი მთხოვნელები. მეორე დილით, გასვლას რომ ვაპირებდი, ისევ მომინდა ბრძოლა სიცოცხლის გადასარჩენად...



ყოველივე ამის შესახებ მინდა წაიკითხოთ ჩემი დღიურები და დასკვნაც ერთად გავაკეთოთ

ბანგიდან კამერუნის რესპუბლიკის დედაქალაქ იაუნდეში, შემდეგ ესეკში და დუალაში ჩავდივარ.

კამერუნი ეთნიკური ჯგუფების ნაირგავრობითა და სახელმწიფოში სასაუბრო ენათა სიჭრელით გამოირჩევა მსოფლიოში. ის მთელ კონტინენტზე ერთ-ერთი ყველაზე ნესტიანი და წვიმიანი ქვეყანაა. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1000მმ-მდეა. ქალაქი იაუნდე არამხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკური დედაქალაქია, არამედ ეკონომიკის, განათლებისა და კულტურის ცენტრსაც წარმოადგენს...

მრავალფეროვანია ქვეყნის რელიგიური შემადგენლობაც...

დუალაში მნიშვნელოვან შეხვედრებთან ერთად უჩვეულო თავგადასავლებიც მქონდა... აქ გავიცანი და დავუახლოვდი ერთ-ერთი გემის მფლობელს, რომელმაც გემზე ღამის გათევის უფლება მომცა, სანამ ღუზას არ აუშვებდა და გეზს ეკვატორული გვინეის დედაქალაქ მალაბოსკენ არ აიღებდა. იქ რამდენიმე დღით შეჩერდებოდა და სან-ტომე და პრინციპეს დემოკრატიულ რესპუბლიკისკენ გაცურავდა. ურია წყალს მიჰქონდა და გზაც იქით ჰქონდაო, — სწორედ ამ ქვეყანისკენ ვაპირებდი მოგზაურობას. შევთანხმდით, რომ სან-ტომე და პრინციპეში ერთიანად გადავუხდიდი მგზავრობის თანხას. დავიწყე მეზღვაურის ცხოვრებით დღეების გაყვანა... დაულაში გატარებულლი დღეებიც დასამახსოვრებელია...

პირობის თანახმად, დაულაში ოთხი დღის ყოფნის შემეგ, გემით კუნძულ ბიოკოზე, ქალაქ მალაბოში — ეკვატორული გვინეის დედაქალაქში გადავედი. გემზე გაცნობილი 18 წლის ზანგის გოგო შემდეგ სასტუმროში მეწვია... აქ რამდენიმე დღე დავყავი. მერე კონტინენტური ეკვატორული გვინეის ქალაქ ბატაში ჩავედი. აქ გავიარე ათდღიანი საგანგებო ვარჯიშების ციკლი, რაც შემდგომში გაბონისა და კონგო ბრაზავილის ურთულესი გზების დაძლევაში დამეხმარა... ამ ქვეყანაში არსებულ რეჟიმისა და რთული პოლიტიკური ვითარების გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი

ემიგრაციაშია წასული. ბატადან კუნძულ ბიოკოზე, ქ. მალაბოში ვბრუნდები, საიდანაც სან-ტომე და პრინციპეს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მივემგზავრები.

ეკვატორული გვინეის ქალაქ ბატაში ნორმალურად ჩავფრინდი. არ გაიკვირვოთ, თუ რისთვის ვიყენებ სიტყვას „ნორმალურად“... პასუხს ამის თაობაზე მომავალში მიიღებთ...

მანძილი ლიბრევილამდე არცთუ მცირეა და ადვილად დასაძლევი. ამიტომ, ყოველი დღის მარშრუტს, სერიოზული ანალიზი სჭირდება. ახალმა გეგმამ გაამართლა. ურთულესი ბუნებრივი პირობებისა და ძნელად დასაძლევი გზების მიუხედავად, უვნებლად ვაღწევ გაბონის რესპუბლიკის დედაქალაქ ლიბრევილს...

კუნძულოვან სახელმწიფო სან-ტომე და პრინციპეში ჩემი ოთხდღიანი მოგზაურობა საინტერესოდ წარიმართა. აფრიკის ქვეყნებს შორის იგი ყველაზე პატარა სახელმწიფოა. ამ ჯუჯა ქვეყანამ XV საუკუნიდან, – დღიდან მისი სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა, – მუდმივ განმათავისუფლებელ ბრძოლებში გაატარა ცხოვრება! მხოლოდ 1975 წელს მიაღწია საუკუნოვან საწადელს – მშვიდობიან ცხოვრებას. კუნძულ სან-ტომე და პრინციპეს მოსახლეობა განსაკუთრებით დაუმორჩილებელი იყო. ამ თვალწარმტაც კუნძულზე მომხიბვლელია თვით დედაქალაქი სან-ტომე და ბევრი სხვა რამ...

კარგა ხანს მომიწია გემზე ცხოვრება და მოგზაურობა. გემის მფლობელმა, როდესაც ანგარიშის გასასწორებლად მივედი, მითხრა: შენ ჩვეულებრივი ადამიანი არ ყოფილხარ, ფულს როგორ გამოგართმევო, თანაც დაუმატა: თუ რამეთი შემიძლია დახმარება, მითხარი და უკან არ დავიხევო. „არც თქვენ ყოფილხართ ჩვეულებრივი ადამიანი, რადგან სიკეთის დაფასებაც გცოდნიათ, რაც, სამწუხაროდ, იშვიათი თვისება გახლავთ! ყველაფრისათვის მადლობელი ვარ. ამაგს კი არასოდეს დავივიწყებ!“ – ვუთხარი და მხარზე ხელი მეგობრულად დავკარი. გემიდან ველოსიპედი ჩამოვიტანე, მაგრამ ფეხი არსად გამიდგამს. მხოლოდ მაშინ დავტოვე პორტი, როცა გემმა გასვლის ნიშანი მისცა. კაპიტანს ვეღარ ვხედავდი, მაგრამ დამშვიდობების ნიშნად მაინც ავუწიე ხელი და ჩუმად, გულში, ზურგის ქარი ვუსურვე ოკეანის უსასრულლობის მინდობის. ამის შემდეგ ავმხედრდი ჩემს „მერანზე“ და გადასაღამებლის საძებრად გავეშურე...

იცით, რა ძნელია შეჩვეული გარემოს, პირობების, წრის და სიტუაციის უეცრად გაქრობა? რა მძიმე წარმოსადგენია, სიცოხლეში ეს ყველაფერი აღარასოდეს რომ არ განმეორდება და ისე გაქრება, როგორც უდაბნოს ქვიშაზე დაცემული ბედუინის ჩრდილი აფრიკის უფსკერო, ღამეული ცისქვეშ. მერე მთელი გზა, მთელი სიცოცხლეც კი, ყოველივე ეს მოუშუშებელ ნოსტალგიად, სევდისა და მელანქოლიის უსალბუნო ტკივილად გაგვყვება და ყოველი გახსენებისას სახიერად გამოგვეხატება სადღაც, უმისამართო სიცარიელეს მიჩერებულ თვალთა მინებზე. სწორედ მაშინ გამჩნევენ ირგვლივ მოფუსფუსე ადამინაები კაეშანს და რატომღაც მთელ ამ ნაღველს უსაგნო სევდას დარქმევენ ხოლმე.



ხშირად ვამბობთ ქართველები: ფული ხელის ჭუჭყიაო. ეს რომ ბილ გეითსთან, კოისაკისთან, ან ვინმე დორანში ჩავარდნილ ადამიანთან ხმამაღლა განაცხადო, სამყაროდამსხვრეულად ჩაგთვალონ იქნებ... იქნებ, მართლაც ჰქონდეს ფულს უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა? მითუმეტეს, იმ მოგზაურისათვის, მარად უცხო ცის ქვეშ რომ უწევს გათენება. მხოლოდ ველოსიპედის ორ სატერფულს რომ დაყრდნობია და უპოვარის ფუთით უსაშველო გზებს რომ დადგომია ყარიბად? ... იქნებ, მაგრამ .... იმ მომენტში ჩემგან ფულის არ აღება ოდენ ეკონომიკური ხელის გამართვად არ ჩამითვლია. იგი სხვა იყო... სულ სხვა, სხვა შრეების ფასეულობა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონია მატერიალურობასთან. ვინ იცის, მავანი და მავანი როგორ შეაფასებს ამას, მაგრამ მე ამ ფაქტს ყოველგვარი პრაგმატულობის მიღმა ვაყენებ და წმინდა ეთიკის სფეროში გადამაქვს...

მოკლედ, ამ საკითხს კვლავ მივუბრუნდებით საჭირო ადგილას და საჭირო დროს. ახლა კი... გზა!


ვინაიდან საავადმყოფოში ჩემი მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა, ექიმმა მარტინმა ერთი კვირის შემდეგ საავადმყოფოდან სახლში გადამიყვანა და ერთი თვე შინ მკურნალობდა. აღვიდგინე ჯანმრთელობა... ვერ მკლავენ, რადგანაც ღმერთი ჩემთან არს!

ალბათ, იკითხავთ: რა გახდა ამ კაცის თავიდან მოშორებაო. იქნება ამაში ჩემი მართებული რეაგირებები უშლიდათ ხელს? მე ხომ ყოველი ასეთი შემთხვევის შემდეგ მომხდარზე საქმის კურსში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ვაყენებდი?!

ნამიბიის რესპუბლიკიდან სამხეთ აფრიკის რესპუბლიკაში გავემგზავრე. შესანიშნავი ტრანსაფრიკული გზა კალაჰარისა და ნამიბიის უდაბნოებზე გადის. პაპანაქება, ხენეში სიცხე, ხვატი, უკიდეგანო ბაითალმანობა – ალბათ, ამ დიდ მანძილზე დაუსახლებელ ადგილებში არასოდეს დაუდგამს ფეხი უფალს... ყოველწლიურად მიწევს გზის უგრძესი მონაკვეთების გავლა.

როგორ ვიტანდი?

მდინარე... ნარინჯისფერი ხიდით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გადავდივარ, ვინდჰუკიდან კეიპთაუნამდე დაახლოებით 1600 კმე-ზე მეტი გავიარე. მთელ ამ გზაზე 11-12 დღის განავლბაში თანხვედრი მიმართულებით მისწრებდნენ მსუბუქი მანქანები, რომლებზეც ორი-სამი ველოსიპედი დაემაგრებინათ, სად მიდიოდნენ?..



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა განსხვავებულია მსოფლიოს ყველა სხვა სახელმწიფოსაგან. ალბათ საინტერესოა – რით?.. ქვეყანა ძალიან თავისებური რელიეფისაა. უმდიდრესია ფლორითა და ფაუნით. ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაა უნივერსიტეტების პროფესიული და სტუდენტთა მომზადების მაღალი დონით... კდიევ სხვა რამეებითაც! ... მისმა მდებარეობამ განსაზღვრა ჩემი

არჩევანი – აქ გამემართა მოგზაურობების ორბიტული ცენტრი. ამ ე. წ. ცენტრიდან სამჯერ გავედი სხვადასხვა ქვეყანაში სამოგზაუროდ და დავბრუნდი უკან. თვით იოჰანესბურგში 45 დღე დავყავი უწყვეტად. თუ რისთვის, ამას ამ ქვეყნისადმი მიძღვნილ წიგნში წაიკითხავთ.

საინტერესოა, თუ რა პირობებში მომწამლეს ქართულ ოჯახში. ამას ასე დაზუსტებით შექმნილი სიტუაციის მრავალგზის ანალიზის საფუძველზე ვამბობ. უინტერესო როდია სამხრეთ აფრიკელის ფერმაში ცხოვრებაც. იოჰანესბურგში ჩემი ყოფნის დროს, თითქმის მთელი 45 დღის განმავლობაში, ფიტნეს კლუბში ევროპის ექვსგზის ჩემპიონთან, „მისტერ უნივერსუმის“ კონკურსში გამარჯვებულთან ერთად ვივარჯიშე.

ვინ დაინტერესდა ჩემი სპორტული ვარჯიშების ჩაშლით და როგორ მოახერხეს ეს?

საინტერესოა, როგორ მოვიპოვე ბრილიანტების შემცველი 3 ვედრო მადანი?..

მრავალი სახიფათო ადგილის გავლა მომიწია, მოვყევი ბუნებრივ კატაკლიზმებშიც... საყურადღებო, ზღვა ინფორმაცია დამიგროვდა, რასაც, იმედია, მკითხველი სიამოვნებით წაიკითხავს...

ლესოტოს სამეფო. ეს ციცქნა ქვეყანა ცნობილია მთიანი რელიეფით, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტორსადგურით და ... დიდებული უნივერსიტეტით, სადაც შეხვედრაც კი მომიწყეს. ამ სამეფოში ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური ძალა კომუნისტური პარტიაა, დედაქალაქი მასერე ბევრი რამითაა მიმზიდველი...

ურთულესი გზები ბოცვანის რესპუბლიკაში. იგი აფრიკის ტერიტორიაზე ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი სახელმწიფოა. ერთ სულ მოსახლეზე ამ ქვეყანაში საერთო ნაციონალური პროდუქტი უფრო მეტი მოდის, ვიდრე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში... თუ როგორ მიაღწიეს ასეთ წარმატებებს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ამას მომავალში გაიმბობთ.



გავიარე აპაჰარის უდაბნო და სავანები, სადაც 22000 სპილო, 2000-ზე მეტი ლომი და სხვა მრავალი მტაცებელი ბინადრობს. დავუახლოვდი ბევრ საინტერესო პიროვნებას.... დედაქალაქი გაბორონე არა მარტო ადმინისტრაციული არამედ ეკონომიური, კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრია.

ზიმბაბვეს რესპუბლიკა...

ბულავაიო-ლივინგსტონის გზაზე აფთრების თავდასხმის მცდელობა..

ფანტასტიკური ჩანჩქერი ვიქტორია...

შეხვედრა მუგაბეს მომხრეებთან...

სამწუხაროდ, შევესწარი აშენებული სახელმწიფოს იავარქმნას...

შესანიშნავი ხარარე და სხვა დასამახსოვრებელი შეხვედრები...

ლივინგსტონის ხიდით ზიმბაბვეს რესპუბლიკიდან ზამბიაში გადავდივარ. ვიქტორიას ჩანჩქერი აქეთა მხრიდანაც ფანტასტიკურია. მდინარე ზამბეზი... ურთულესი გზა ლუსაკასაკენ...

წარმოუდგენელი სიღარიბე. გადავურჩი დახრჩობას... ამ ქვყნის ერთ-ერთი ძირითადი პარტია „დღის უწყება ზიმბაბვესათვის“. ყურადღებას იპყრობს დედაქალაქი ლუსაკა... ზიმბაბველთა კულინარია არა მხოლოდ გურმანებს, არამედ ყველა მკითხველს დააინტერესებს.

მოზამბიკის რესპუბლიკაში, ქ. ბეირაში ჩავედი. სად მოვეწყვე, იცი? ალბათ, არა? შესაძლოა თქვათ; რაში გვაინტერესებს. არადა, უდავოდ საინტერესოა...

XVIII-XIX საუკუნეთა მადრიდის არქიტექტურაში კლასიციზმი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი – მოდერნიზმი დამკვიდრდდა.

XX საუკუნის შუა პერიოდიდან, მადრიდის რეკონსტრუქციის დროს, მშენებლობაში აქცენტირებულია ბეტონისა და მინის გამოყენება. აგებენ ცათამბჯენებს.

ყოველივე ამაზე პასუხს გაგცემთ ესპანეთის შესახებ გამოცემული ტომით. მადრიდი ცნობილია 100-ზე მეტი მუზეუმითა და გალერეით, თუმცა, მადრიდის სავიზიტო ბარათად მაინც პრადო ითვლება, სადაც ბოტიჩელის, რაფაელის, ტიციანის, ბოსხის, ბრეიგელის, გოიას, რემბრანდტის, ელ-გრეკოს, რუბენსის, დიურერის, ველასკების, კარავაჯოსა თუ სხვათა ხელთუქმნელი ტილოები ინახება – შეუფასებელი ფერწერული შედევრები! მადრიდი ცნობნილია თავისი უნივერსიტეტებითაც...

ჩემი აზრით, პრადოსთან ერთად, ქალაქის სავიზიტო ბარათი მადრიდის „რეალიცაა“.

მადრიდი ერთი მთლიანი მუზეუმია!..

ერთობ დაძაბული გზა იყო პორტუგალიამდე. მდინარე ტახოს ხეობა ნებისმიერ მხილველს ისე მოხიბლავს, როგროც თავად ამ სტრიქონები ავტორი მოხიბლა.

პორტუგალიის რესპუბლიკასთან შეხვედრას განსაკუთრებულად ველოდი, რადგანაც ეს ქვეყანა დიდი მოგზაურობისა და ფეხბურთელების სამშობლოა.

დიდი იმედით ვეწვიე დედაქალაქ ლისაბონს. ეს ქალაქი იბერიული ტომების – ლუზიტანების მთავარი განსახლების ადგილია. ქალაქი ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდ.ტეჟუს (ტახო) შესართავში მდებარეობს. სახელმწიფო დაპყრობილი ჰქონდათ რომაელებსაც და არაბებსაც. იგი ესპანეთის იმპერიაშიც შედიოდა. ლისაბონი 1755 წლის მიწისძვრამ მთლიანად დაანგრია. შემდეგ – ნაპოლეონი და ფრანგული ოკუპაციის ხანა. 1926-1947 წლებში პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმი მძვინვარებს. შემდეგ აქ თავისუფლების სიომ დაბერა და პორტუგალია მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე, ევროპული დონის სახელმწიფოდ იქცა. პორტუგალიის ცნობილი მოგზაურები არიან ვასკო და გამა, რომელმაც XV საუკუნეში პირველმა შემოუარა დედამიწას. პორტუგალიის ცნობილი სახეა, აგრეთვე, ფეხბურთელი ეუსებიო. სწორედ აქ მქონდა ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა 50-იანი წლების საუკეთესო ფეხბურთელთან, მოზამბიკის პანტერად წოდებულ ეუსებიოსთან, რომელმაც ლისაბონის „ბენფიკას“ ვარჯიშზეც და თამაშზეც მიმიწვია. თუ როგორ გავატარე მასთან სტუმრობის სამი დღე, წაიკითხავთ წიგნში, რომელიც მიეძღვნება პირენეს ნახევარკუნძულზე ჩემს მოგზაურობას.

ლისაბონმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. აღმაფრთოვანებელია პორტუგალიელთა ტრადიციები...

პორტულაგიის ჩრდილოეთ საზღვრამდე რამდენიმე ქალაქი გავიარე. ჩრდილოეთით, ესპანეთის საზღვართან, ავარიაში მოვყევი. გავიტეხე თავი და სამი ნეკნი, დამემტვრა ველოსიპედიც... მკითხველს, ალბათ, აინტერესებს, თუ ვინ იყო დამნაშავე. ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია, როდესაც დაწვრილებით გაეცნობით ამ შემთხვევასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

შემდეგ ისევ ესპანეთი, მაგრამ, ამჯერად, მისი ჩრდილო ნაწილი. ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთისა და ბისკაის ყურის სანაპიროებით გავიარე ქალაქები: ვიგო, კომპოსტელა, ლა-კორუ-

ნია, ავილასი, ბარაკალდო, ბილბაო, სან-სებასტიანი და სხვ. განსაკუთრებულად მოვიარე ბასკეთი. დავესწარი ბასკურ დღესასწაულებსაც.

ბასკეთი!.. – ესპანეთის „აქილევსის ქუსლი“!

ბასკები!.. – უნამუნო... ეტა...



ბასკეთი!.. – ეს განსაკუთრებული და ფრიად სათუთი თემაა!.. საფრანგეთის რესპუბლიკისკენ მიმავალმა წარმოვიდგინე ამ ქვეყნის რთული ადმინისტრაციული დაყოფა... პირინეის მთების გადაკვეთით საფრანგეთის რესპუბლიკის მეღვინეობის დეპარტამენტის დედაქალაქ ბორდოში ჩავდივარ... აქედან ნანტში, შემდეგ ანჟესში, ლე-მანში, შარტრში და ვერსალის გავლით, – პარიზში... მოსაწონია ქალაქის მართვის სისტემა...

1999 წლის ახალი წელი პარიზში – დედამიწის ჭიპზე გავატარე...

საქართველოს საელჩომ პარიზში ოთახი გამომიყო, რითაც უხერხული მდგომარეობიდან გამომიყვანა... საინტერესო ისტორიით მოვხვდი საცხოვრებლად ალჟირელებთან... შემდეგ მონმარტრი, ელისეს მინდვრები, ლუვრი, ლუქსემბურგის ბაღები, ეიფელის კოშკი, ნოტრ დამ დე პარი... მოულოდნელი და უცნაური შეხვედრა ლევილში... ისევ ბატონი კახი ასათიანისა და ამირან აბესაძის დახმარებით ჩამოდის ჩემი უფროსი ქალიშვილი მაია და მისი მეუღლე – ვახტანგი. 15 დღე ერთად ვეცნობით პარიზს...

მინდა შევეხო „იუნესკო“-ში საქართველოს ყოფილი ელჩის, ქალბატონ ნათელა ლაღიძის ჩემს მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების ფაქტს, რამაც მოგზაურობის პროცესში არც თუ უმნიშვნელო როლი შეასრულად...

დაუვიწყარია „იუნესკოს“ გენერალური დირექტორის, ფედერიკო მაიორის მიერ ჩემთვის მსოფლიო მოქალაქისა და სპორტსმენის დიპლომის გადმოცემის ცერემონია... მქონდა პრეს-კონფერენცია ჟურნალისტებთან... წავიკითხე ლექცია საქართველოს საელჩოში და შევხვდი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან.

საინტერესოა, თუ როგორ მიპოვნა ეგვიპტეში გაცნობილმა ფრანგმა ქალბატონმა. ოჯახში მიწვევისას კი მეუღლეს მოაყოლა, თუ როგორ ასრულებდა იგი ეგვიპტეში ჩემთან დადებულ პირობას...

დაუვიწყარია პარიზში ჩემს უფროს ქალიშვილთან, მაიასთან გატარებული დღეები!.. მაიას თბილისში გაცილების შემდეგ გზა ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოსაკენ გავაგრძელე... წარმოიდგინეთ ლუქსემბურგი, სამეცნიერო დაწესებულებები, განათლების სისტემა, მუზეუმები, თეატრები, არქიტექტურული ძეგლები, პარკები... ეს კოპწია ქალაქი-სახელმწიფო ჩართულია ევროკავშირის მმართველობით რგოლშიც... ისევ საფრანგეთი!.. დიდებული ლიონი, გრენობლი და...


შვეიცარიის კონფედერაციაში მოგზაურობას ჟენევიდან ვიწყებ. იგი ულამაზეს ხეობაში, ჟენევის ტბის სანაპიროზე მდებარეობს. შვეიცარია 20 სრული და 6 არასრული ადმინისტრაციული ერთეულისაგან შედგება. აქედანაც ჩანს, რომ მას აქვს მმართველობის თავისებური წესი... კონფედერაცია საქართველოზე თითქმის ორჯერ ნაკლები ფართობისაა, რომლის 2/3 იურისა და ალ-

პების მთებს, ხოლო 1/3 მდინარე რეინის დაბლობს და ზეგანს უკავია. საქართველოზე თითქმის ორჯერ ნაკლები ტერიტორიის მქონე კონფედერაცია მოსახლეობით დაახლოებით ორჯერ აღემატება საქართველოსას. მოსახლეობა შემადგენლობით საინტერესო და მრავალფეროვანია... მრავალფეროვანია რელიგიაც. კონფედერაციას მეტად ორგანიზებული, მაღალი დონის მმართველობა აქვს. სამაგალითოა მისი სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, ამიტომ იგი უმაღლეს დონემდე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. რაც შეეხება ქალაქ ჟენევას, ...გარდა მისი კლასიკური და ისტორიული მნიშვნელობისა, მისი როლი უდიდესია მსოფლიოში ბირთვული ფიზიკის განვითარების საქმეში, ე.ი. მეცნიერებაში, უმაღლესი დონის ზუსტ მანქანათმშენებლობასა და ხელსაწყოთმშენებლობაში... შეიძლება მსოფლიოში მწერალთა გრანდების ერთ-ერთ უპირველეს ქალაქადაც ჩაითვალოს... ამ ქალაქში შესანიშნავი შეხვედრები და ექსკურსიები მქონდა.

ბევრი მაქვს მოსაყოლი ჟენევაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლების შესახებ, მათ მიერ ჩემდსამი გამოხტულ გულისხმიერებაზე. მათ შორის გამოვყოფ ელჩს, ბატონ ამირან კავაძეს, ატაშეს – ბატონ ავთანდილ ბაქრაძეს და კონსულს – ქალბატონ ხათუნა ჯანჯალიას, რომლებმაც არამარტო ძვირფასი დრო დამითმეს, არამედ მოგზაურობის სათანადო დონეზე გაგრძელების ბევრი საკითხის გადაწყვეტაშიც დამეხმარნენ...

გაგრძელება იქნება

როგორ დავამარცხოთ ნაადრევი სიბერე



რამდენიმე სიტყვა ავტორზე

ჯუმბერ ლეჟავა დაიბადა 1939 წლის 23 ივლისს ქ. თბილისში, იურისტების, დავით (ალექსანდრე) ლეჟავასა და ეკატერინე კალანდაძის ოჯახში. 1942 წელს გარდაეცვალა მამა და ბავშვობა ომის მძიმე პირობებში გაატარა.

სწავლობდა თბილისის რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლაში. მისი დამთავრების შემდეგ დედა გარდაეცვალა.

სკოლა დაამთავრა ვერცხლის მედალზე და ჩაირიცხა მოსკოვის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში.

1962 წელს დაბრუნდა თბილისში. სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე.

1964 წელს დაქორწინდა ლიანა ალიბეგაშვილზე, რომელიც გარდაიცვალა 1990 წელს. ყავს ერთი ქალიშვილი (მეორე ქალიშვილი 2009 წელს გარდაეცვალა), ოთხი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

1964 წლიდან მოღვაწეობდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში. 1968 წლიდან მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. კურირებდა საქართველოში განათლების, მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობში კომპიუტერიზაციის და პროგრამირების განვითარებისა და მათი დანერგვის უზრუნველყოფას. სისტემატიურად კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. გამოქვეყნებული აქვს 24 სამეცნიერო ნაშრომი. 1987 წელს მიანიჭეს საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ბავშვობიდან ფიზიკურად სუსტი იყო, რამაც აიძულა ადრეულ ასაკშივე დაწაფებოდა სპორტს. უყვარდა ხალხური თამაშებიც, სპორტის კლასიკურ სახეობებშიც გამოუცდია თავი და მწვრთნელები დიდ პერსპექტივებს უსახავდნენ.

მიუხედავად სამსახურებრივ საქმიანობაში დიდი დატვირთვებისა, აგრძელებდა ვარჯიშს სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ბოლოს გაიტაცა კულტურიზმმა და მოგზაურობამ (ფეხით, მოტოციკლეტით, მანქანით, ველოსიპედით).

46 წლის ასაკში დაავადდა შინაგანი ორგანოების განგრენით და 1986-87 წლებში გადაიტანა ორი უმძიმესი ოპერაცია, რომლის დროსაც ამოკვეთეს 4 მეტრზე მეტი სიგრძის წვრილი ნაწლავი. ექიმებს მისი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ, მაგრამ არნახული რწმენით, ნებისყოფით, სიმტკიცით და შეუპოვრობით უამრავი წინააღმდეგობა გადალახა და ისეთ ფიზიკურ ფორმას მიაღწია. რომ წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებსა და მუცლის პრესის ვარჯიშებში 1990-92 წლებში, დროითი ნორმატივების მიხედვით, გინესის მრავალი რეკორდი დაამყარა, კერძოდ:

135 აზიდვა — ერთ წუთში (არაოფიციალური)
5 011 აზიდვა — ერთ საათში;

16 274 აზიდვა — ხუთ საათში;
19 378 აზიდვა — ექვს საათში;
34 955 აზიდვა — თორმეტი საათში;
44 141 აზიდვა — ოცდაოთხ საათში;

2 806 მუცლის პრესის ვარჯიში 1 საათში (უწყვეტ რეჟიმში);
100-დღიანი წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების მარათონული რეკორდი – 1 730 000 აზიდვა და ერთი წლის განმავლობაში 4 800 000 აზიდვა.

1993-2002 წლებში ველოსიპედით მარტოდმარტომ შემოიარა მსოფლიოს ყველა კონტინენტი, 238 ქვეყანა, მათ შორის გრენლანდია და ანტარქტიდა.

მოგზაურობის დროს ექსტრემალური სიტუაციების სიმრავლის გაზრდის მიზნით ჩრდილოეთ ქვეყნებს გადიოდა ზამთარში, ხოლო სამხრეთის ქვეყნებს – ზაფხულში, სამგზის ოფიციალურად სტუმრობდა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს (ატლანტის – 1996, ათენის – 2004, პეკინის – 2008).

მოგზაურობიდან ჩამოტანილი აქვს უნიკალური ინფორმაციული მასალა, დასამუშავებელია ასეულობით საათი ვიდეო ფირი. 60 000-მდე ფოტო სურათი. გამოსაცემად მზადაა 4000-მდე დღის დღიური (10.000-მდე თაბახი) და მოგზაურობის ამსახველი შთაბეჭდილებების მრავალტომეულიდან 8 ტომი.

მიუხედავად მისი ასაკისა იგი აგრძელებს მოგზაურებობებს. 2006 წელს მას ჰქონდა გეგმაში უკრაინელ ცნობილ მოგზაურთან ერთად, მათ მიერ შექმნილი სპეციალური ველომობილით, რომელსაც პინგვინი დაარქვეს და დევიზად დაისახეს „იბრძოლე და ეძებე, იპოვე და არ დანებდე“ დაელაშქრათ სამხრეთი პოლუსი, სიცივის პოლუსი და მაგნიტური პოლუსი. ამ პროექტმა გაიმარჯვა „ექსპო 2006“-ზე და მისმა მონაწილეებმა დაიმსახურეს მსოფლიო გამოფენის ოქროს დიპლომები. სამწუხაროდ, ფინანსების უქონლობის გამო ამ პროექტის შესრულება ვერ მოხერხდა და მისი განხორციელებისათვის დაინიშნა ვადა 2013 წელი. 2010 წელს ისევ დაუფინანსებულობის გამო ჩაიშალა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა პოლარული წრის გავლას. ამ პროექტის ჩაშლის გამო წელს გადაწყვეტილი აქვს დარჩენილი გასავლელი ექვსი ქვეყნიდან წავიდეს ორ ქვეყანაში სამოგზაუროდ. ესენია: საუდის არაბეთის სამეფო და ლივიის დიდი სოციალისტური სახალხო არაბული ჯამახირია. აქვს სხვა მეტად საინტერესო პროექტებიც, რომელთა განხორციელებასაც აპირებს 2020 წლამდე.

ჯუმბერ ლეჟავა არის საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს – ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის მფლობელი, სხვა მრავალი ჯილდოც მიუღია. მაგალითად, UNESCO-მ გადასცა მსოფლიო სპორტსმენისა და მოქალაქის დიპლომი„ არის „საქართველოს 2002 წლის“ და „მსოფლიოს 2009 წლის“ ადამიანი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ შეყვანილია მსოფლიოს 5000 ლიდერთა სიაში, კემბრიჯის უნივერსიტეტმა კი დაასახელა მსოფლიოს 400 წარჩინებულში. არის სრულიად უკრაინის გეოგრაფიული საზოგადოების და სრულიად უკრაინის ტურიზმის საზოგადოების წევრი, ევროპის ბიოგრაფიის ცენტრის გენერალური დირექტორის მო-

ადგილე, მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქის საპატიო მოქალაქე, მათ შორის 2009 წელს აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ, არის სპორტის დამსახურებული მუშაკი, მიღებული აქვს საქართველოს ოლიმპიური მედალი, დაჯილდოებულია ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ოქროს მედლით და მრავალი სხვა.

ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე

(რეცენზია)

2009 წლის ივლისში, მე შევთავაზე ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ჩაეტარებინა სამედიცინო ფუნქციონალური გამოკვლევა, სამედიცინო და ფიზიკური მაჩვენებლების შეფასებისათვის.

ჯანმრთელობა შეფასდა როგორც კარგი, ხოლო ფიზიკური მაჩვენებლები შეესაბამება 40-45 წლის ჯანმრთელი მამაკაცის მდგომარეობას.

უდავოა, ეს მაჩვენებლები მიღწეულია „ჯანმრთელი ცხოვრების წესით – „წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების“ სისტემატიური ვარჯიშის შედეგად.

წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვა – ეს არის იგივე სიმძიმეების აწევა „მწოლიარე“ გულაღმა მდგომარეობიდან, რომელშიც მონაწილეობს სხეულის მრავალი კუნთი, მაგრამ განსაკუთრებლად გამოვყოფ გულმკერდისა და ტრიცეფსების კუნთებს, ზუსტად ისე, როგორც დაწოლილი მდგომარეობიდან სიმძიმეების აწევის დროს, ირიბად კი ვარჯიშობს დელტის კუნთი, წინა მხარის, მტევნების წვრილი კუნთები, პრესი და კვადროცეპსები. ეს არის სუფთა ზედაპირული ანატომიური შეხედულებით.

სპორტული ფიზიოლოგის, სპორტული მედიცინის პროფესორის, აშშ ჩემპიონის „ბოდბილდინგში“ არაპროფესიონალთა შორის ბობი დელფის კვალიფიციური შეფასებით, „სინამდვილეში, წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის დროს, ვარჯიშში პრაქტიკულად მონაწილეობს სხეულის მთელი მუსკულატურა, ვარჯიშის დროს დინამიურ დატვირთვას იღებს სხეულის კუნთების ნაწილი, ხოლო დანარჩენი, მთელი ვარჯიშის პერიოდში არის სტატიკურად დაძაბული, სხეულის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დაჭერის გამო. წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს აქვს უდიდესი მეტაბოლური ეფექტი“.

მკერდის დიდი კუნთები არ ჰგავს არცერთ სხვა კუნთს, ყველა ბოჭკოსებური კუნთი ერთი მიმართულებისაა, ხოლო მკერდის კუნთები ლავიწის ძვლისაგან იშლებიან მარაოსებურად. ასე რომ ნებისმიერი ვარჯიში ძალუნებურად ტვირთავს მხოლოდ უჯრედების ნაწილს – მხოლოდ იმას, რომელიც ემთხვევა დატვირთვის ვექტორს.

შტანგითა და განტელებით ვარჯიშის დროს, არ არის მანევრირების საშუალება, ხოლო წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებისას ყველაფერი სხვანაირადაა, რადგანაც საკმარისია ხელები იატაკზე დადოთ, ან მხრებზე ოდნავ ვიწროდ, ან ოდნავ განივრად, ან კიდევ ოდნავ წინ, ან ოდნავ უკან და თქვენ აღწევთ გულმკერდის არის ყველა „მიძინებული“ კუნთის გაღვიძებას.

46 წლის ასაკში ჯუმბერ ლეჟავამ საოპერაციო მაგიდაზე ორჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი. სახლში დაბრუნებულმა მტკიცედ გადაწყვიტა არა მარტო ჯანმრთელობისათვის მიეღწია, არამედ დაბრუნებულიყო სპორტში.

„მე, დიდხანს ვფიქრობდი თუ რაზედ უნდა შემეჩერებინა ჩემი არჩევანი“. ამბობს იგი! „სირბილი არ შეიძლება, ხტომა არ შეიძლება, სიმძიმეების აწევაც არ შეიძლება, ნებისმიერი უეცარი მოძრაობებიც იძლევა უკუჩვენებებს, მაშინ შვილის კარნახით წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის გადაწყვეტილება მივიღე! რაც არის ფიზიკური ვარჯიშის ყველაზე მარტივი და სასარგებლო სახეობა; ფილტვები სწრაფად მდიდრდებოდა ჟანგბადით, შესაბამისად უმჯობესდებოდა სისხლის

მიმოქცევაც და შემდეგ, მტევნის თითების ბალიშებში ხომ არის ადამიანის ნერვული სისტემის ყველა დაბოლოება და წოლბჯენიდან აზიდვების დროს ხდება ამ დაბოლოებების ხელოვნური მასაჟი, რომელიც სტიმულს აძლევდა მუცლის ღრუს შინაგანი ორგანოების მუშაობას. მე, არ ვაჩქარებდი მოვლენებს, დატვირთვებს ვზრდიდი თანდათანობით, ნახევარი წლის შემდეგ ტკივილებიც შემიწყდა, სისხლის შემადგენლობა ნორმალური გახდა, რამაც გულის ნორმალური მუშაობის რიტმის აღდგენა გამოიწვია, შემდეგ ნახევარ წელიწადში ფეხზე დავდექი“.

„წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებს და მუცლის პრესის ვარჯიშებს მოგზაურობის დროს პროპაგანდას ვუწევდი მთელ მსოფლიოს“ – განაცხადა ჯუმბერ ლეჟავამ.

ჯუმბერ ლეჟავას წიგნი „ჯანმრთელობის ფორმულა“ – არის პირველ ყოვლისა ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა და მოწოდება, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა ადამიანმა თავის თავზე აიღოს.

ავტორმა დაამუშავა „ჯანმრთელი ცხოვრების წესი – წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების გამოყენებით“ მეთოდიკა და მოუწოდებს ყველას, იგი გადააქციოს ცხოვრების წესად. მეთოდიკა გასაგები და პოპულარული ენითაა დაწერილი, ფოტო მასალა გვიჩვენებს ამ ვარჯიშის ეტაპობრივ შესრულებას, რაც მეთოდიკას ხდის დამოუკიდებლად შესწავლისათვის ყველასათვის მისაწვდომს.

ვარჯიში არ ითხოვს სპეციალურ ინვენტარს და რეკომენდირებულია მამაკაცების, ქალების, ბავშვებისათვის და ასევე იმათთვის, ვისაც აქვს სხეულის ზედმეტი წონა.

ვარჯიში „წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვები“ გამოყენებული უნდა იქნას პრაქტიკულად ნებისმიერი დაავადებების რეაბილიტაციის პროცესებში. სპორტსმენებს შეუძლიათ ეს ვარჯიში აქტიურად ჩართონ ორგანიზმის საერთო გაჯანსაღების, ძალისა და გამძლეობის გამომუშავებისათვის, სპორტული ტრამვების შემთხვევაში ეს ვარჯიში სპორტსმენს საშუალებას მისცემს რეაბილიტაციის პროგრამის ადრეულ პერიოდში დაიწყოს საწვრთნელი ვარჯიშები.

საჭიროდ მიმაჩნია, რომ ჯუმბერ ლეჟავას ვარჯიშების მეთოდიკა სასწრაფოდ დაინერგოს არა მარტო სპორტის ყველა სახეობის საწვრთნელ მოღვაწეობაში, არამედ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, უმაღლეს სასწავლებლებში საშუალო სკოლებსა და მოსახლეობის ფართო ფენებში.

საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა
კონფედერაციიის ექიმ-რეაბოლიტოლოგი
ალექსანდრე მჭედლიშვილი

მეტად საჭირო ფორმულა აღმოჩენილია

(რეცენზია)

საქართველო უნიკალური ქვეყანაა თავისი გეოფიზიკური მდებარეობით, მისი მთა-ბარით, მდინარეებით, ტბებით და შავი ზღვის სანაპიროთი, იგი მსოფლიოში ცნობილია არა მხოლოდ მისი სილამაზით, არამედ ისტორიული შინაარსით, კულტურით, ხელოვნებით, მეცნიერებით, სპორტული მიღწევებით და სხვა.

საქართველოში მრავალი, მსოფლიოში ცნობილი ადამიანი ცხოვრობს და იღწვის მისი მომავლის კეთილდღეობისათვის, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას სახელი გაუთქვეს მის საზღვრებს გარეთ, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება მსოფლიო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, რომელიც არა მარტო მოგზაურობითაა ცნობილი, არამედ უფრო მეტიც – ის იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის, სიბერის დამარცხებისათვის.

ჯუმბერ ლეჟავას მიერ აღმოჩენილია მეტად საჭირო ფორმულა – მომზადებულია სახელმძღვანელო ადამიანის ჯანმრთელობის ხანგრძლივად შენარჩუნების მიზნით.

მეთოდური სახელმძღვანელო

„როგორ დავამარცხოთ ნაადრევი სიბერე“

ჯუმბერ ლეჟავას

„ჯანმრთელობის ფორმულა“

„მეთოდიკა“

რეკომენდირებულია როგორც ახალგაზრდობის, ასევე უფროსი ასაკის და ხანდაზმული ადამიანებისათვის.

ავტორის მეთოდურ სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად თვალსაჩინო ილუსტრაციებით, სურათებით მოცემული აქვს ვარჯიშების შესრულების ილეთები.

მეთოდური სახელმძღვანელო დაწერილია პროფესიონალურად გამართულ, ყველასათვის მისაწვდომ ქართული სპორტული ტერმინოლოგიით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ფართო მასების მიზიდვას, რათა იცხოვრონ ცხოვრების ჯანმრთელი წესით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტის ცენტრის
„სპორტის აკადემიის“, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მძლეოსნობაში
მამია ტულუში
28.04.2010.

ჯუმგერ ლეჭავას მიერ შემუშავებული ჯანმრთელი ცხოვრების წესი – წოლაჯენიდან მკლავებზე აზიდვების მეთოდიკა

ბოლო ხანებში მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა ჯანმრთელი ცხოვრების წესს. ძალიან ბევრი ფიქრობს, გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა, **მაგრამ ბევრს კიდეც ჰგონია, რომ იგი ამას ვერ შეძლებს, რადგან უჭირს ცხოვრებისეულ „სიკეთესთან" – სიგარეტთან, ნარკოტიკებთან, ლოთობასთან, სიზარმაცესთან განშორება.**

აქამდე გავრცელებული იყო აზრი, რომ თუ გინდა იყო ჯანმრთელი, უნდა ივარჯიშო აერობიკით, იარო ფიტნეს კლუბში, ირბინო ძუნძულით (ჯოგინგი), იცურაო, შეიძინო სპეციალური სავარჯიშო ტრენაჟორები და სხვ.

უპირველესად, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვაზე და მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღებისათვის უნდა იზრუნოს სახელმწიფომ. მან უნდა იფიქროს ნებისმიერი დასახლებული პუნქტის ჰიგიენურ მდგომარეობაზე, პარკების სიმრავლეზე, ჭარბი და მავნე გამონაბოლქვის აკრძალვაზე, ლოთებისა და ნარკომანების მკაცრ აღრიცხვაზე და მათ სათანადო მკურნალობაზე, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე თამბაქოს მწეველთა მიმართ.

ძალზე საშურია, რომ სახელმწიფომ ლოკალურ ტერიტორიებზე (დაბა, სოფელი, ქალაქი) შექმნას გზების ისეთი სისტემა, სადაც შესაძლებელი იქნება ველოსიპედების უსაფრთხო გადაადგილება, რაც, ხელს შეუწყობს მათ მასობრივ გამოყენებას და ჯანმრთელი ცხოვრების წესის ერთ-ერთი სახის – ველოსიპედის გამოყენების დანერგვას.

ვფიქრობ, საგზაო კანონში ველოსიპედით მოსიარულეთათვის აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს უსაფრთხო მოძრაობის შესაბამისი წესები.

ახლა შევეხოთ აერობიკის ფიტნესის, ჯოგინგისა და ცურვის კლუბებში ვარჯიშებს. რა თქმა უნდა, ამ კლუბებში ვარჯიში ადამიანს მოუტანს ჯანმრთელობას, მაგრამ ეს გარკვეულ პრობლემებსაც წარმოქმნის, კერძოდ, სატრანსპორტო, ადგილმდებარეობით, ფინანსურ, აღჭურვილობით უხრეხულობებს და ა. შ.

გარდა ზოგადად ჩამოთვლილ პრობლემებისა, ჩნდება სხვა, მთელი რიგი სიძნელეები, – კერძოდ, ზემოთ ჩამოთვლილი ვარჯიშები გათვლილია საკმაოდ გაწელილ დროზე და ყოველივე ქმნის ნერვიულ ატმოსფეროს, რადგან ბევრი ადამიანი, თავისი ბუნებით მაქსიმალისტია და მიაჩნია, რომ შედეგის მიღწევისათვის საკმარისია მცირე დრო. ამ შემთხვევაში მთავარია ფიზიკური მდგომარეობის არამოჩვენებითი გაუმჯობესება, არამედ რეალური შედეგის დაფიქსირება, რაც მხოლოდ ხალისიანი, ბიოლოგიურად გათვლილი ვარჯიშის დროს მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კლუბებში ვარჯიში, უმეტეს შემთხვევაში ხელმისაწვდომია მცირე რაოდენობის, მატერიალურად შეძლებული ოჯახებისათვის ან პირებისათვის, რომლებსაც თავისუფალი დროის დიდი მარაგიც აქვთ, რაც, ცხადია, გამორიცხავს „ჯანმრთელი ცხოვრების წესის" მასობრივ ხასიათს.

მითითებული მასობრივი ხასიათი თითქოს ტრენაჟორების ინდივიდუალურად შეძენის ხარჯზეც შეიძლება, მაგრამ ესეც, თქმა არ უნდა, კვლავაც და კვლავაც შესაბამის ხარჯებთან და სათანადო თავისუფალ ფართთანაცაა დაკავშირებული, რისი შესაძლებლობა ბევრს არ გააჩნია.

რაც შეეხება ჩამოთვლილ ვარჯიშთა ცალკეულ სახეობებს, მაგალითად ჯოგინგს (ძუნძულს), ესეც ყოველთვის არ მიგვაღწევინებს სასურველ შედეგს, რადგან ბევრს ძუნძულით ვარჯიშისას არა აქვს ბუნებრივი გარემო პირობები, ვგულისხმობთ ელემენტალურ სუფთა ჰაერს, რომელიც ნაკლებადაა ახორხლილ კორპუსთა გარემოცვაში. სპეციალურ სუფთა ჰაერიან გარემოში მოხვედრისათვის კი საჭიროა თავისუფალი დრო და სპეციალური ტრანსპორტი. ზემო ხსე-

ნებული და სხვა პრობლემები ახლავს აერობიკით ხალხის მასობრივ დასაქმებასაც, კერძოდ, სპეციალური სავარჯიშო ადგილის უქონლობა, მუსიკალური ცენტრების სიმცირე და ა. შ.

ჩემი მიზანი იყო, მომეხსნა ცხოვრებისეული ფაქტორებით წარმოქმნილი ყველა ზემოთ ნახსენები პრობლემები და მომეძებნა ისეთი ვარჯიში, რომლის გამოყენებასაც შეძლებდა ყველა მსურველი სქემისა და ასაკის მიუხედავად.

გააზრებული მეცადინეობის შედეგად, დარწმუნებული ვარ, მივაგენი ფიზიკური გაჯანსაღების უნივერსალურ საშუალებას, რაშიც მეთოდიკის წაკითხვისას დარწმუნდებით.

***

ჯანმრთელი ცხოვრების წესი გიცავთ თქვენ ექიმებთან ხშირი ვიზიტისაგან და გიგრძელებთ სიცოცხლის ხანგრძლივობას. რატომღაც ამაზე ბევრი გვიან იწყებს ფიქრს. ჩემი რჩევაა ჯანმრთელობის დაცვა მუდამ გახსოვდეთ. ჯანმრთელობა და ადამიანის სულიერი და ფიზიკური სილამაზე გარკვეულწილად ურთიერთკავშირშია. ცხოვრების ამგვარი წესის შემადგენელი ნაწილებია: **სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიშები, დროული ძილი, სუფთა წყალი და სუფთა ჰაერი.**

ფიზიკურ ვარჯიშად შევარჩიე წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვები რაც თქვენ დაგიცავთ ზედმეტი წონისაგან, გაგიმაგრებთ კუნთებს, გექნებათ მოხდენილი სხეული და შინაგანი ორგანოების გაჯანსაღებითა და ხშირ შემთხვევაში განკურნებით, გახდებით ჯანმრთელი.

წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის ჩემს მიერ შემუშავებული მეთოდიკა – უდაოა დაეხმარება ნებისმიერი სქესის, ასაკის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური კონდიციის მქონე ადამიანს ჯანმრთელობის განმტკიცებაში და სხეულის სრულყოფაში.


მკლავებზე აზიდვებში, პირადად, დამყარებული მაქვს მსოფლიო და გინესის 14 რეკორდი. ველოსიპედით მარტოდმარტომ ვიმოგზაურე მსოფლიოს 238 ქვეყანაში, ყველგან მქონდა საჩვენებელი გამოსვლები არამარტო მასობრივი თავშეყრის ადგილებში (პარკები, სკვერები, პორტები, აეროპორტები, სტადიონები და ა. შ.), არამედ, სხვადასხვა დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში, სკოლებში, სპორტულ ორგანიზაციებში და სხვა. ყველგან დიდი გამოხმაურება მქონდა. ამის შესახებ წერდა მსოფლიო პრესა და გადასცემდა თითქმის ყველა ქვეყნის ნაციონალური ტელევიზია.


ქალისა და მამაკაცის დატვირთვები განსხვავებულია, ორივე სქესი მიილტვის ჯანმრთელობისკენ, სხეულისა და მასის სრულყოფისაკენ. ჭარბწონიანმა დღეში ერთხელ მაინც უნდა **ივარჯიშოს გადაღლამდე.** ნორმალურმა მასისამ და გამხდარმა კი, დღეში ერთხელ მაინც, **დაღლამდე**. (ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს **„გადაღლამდე, დაღლამდე – ნიშნავს ორგანიზმის კარგად გახურებას)**. თითოეულმა მოვარჯიშემ ყოველდღიურად ყურადღება უნდა მიაქციოს გულის ნორმალურ მუშაობას, პულსის რაოდენობას და დააკვირდეს არტერიული და თავის ქალის შიდა წნევებს. ბავშვების ვარჯიში უნდა აკონტორლოს მშობელმა. მამრობითი და მდედრობითი სქესის ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის აზიდვების რაოდენობები ინდივიდუალურია.


ვარჯიშის დაწყების წინ უნდა ვხედავდეთ მიზანს. ეს არის **წონის დარეგულირება, სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა, სხეულის სრულყოფა,** ადამიანის შინაგანი ორგანოებისა და მეფური დაავადებების განკურნვა. უწყვეტი ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად მივიღებთ სამივე (ჯანმრთელობის შეძენა, სხეულის სრულყოფა, სხვადასხვა შინაგანი ორგანოების განკურნვა) შედეგს. ვინაიდან ადამიანს ბევრი ფაქტორი უშლის ხელს სისტემური ვარჯიებისათვის, მაინც გამოვყოფ მათში ერთს. **ეს არის სიზარმაცე.** ამიტომ თავდაპირველად ადამიანების ასეთმა ჯგუფმა სიზარმაცის დასაძლევად უნდა გამოიმუშაოს ნებისყოფა. ნებისყოფის გამომუშავებას სჭირდება ისეთივე ვარჯიში, როგორც აზიდვების ვარჯიშს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გონიერება და ნებისყო-


ფა არის მიზნის მიღწევის საფუძველი. გონიერებაში ვგულისხმობ მიღწეულის სწორ ანალიზს, რათა დატვირთვები ვცვალოთ ანალიზის შესაბამისად.


სამივე ჯგუფის ვარჯიშის შესრულებისათვის, როგორც აღვნიშნე, დიდი მნიშვნელობა აქვს **ნებისყოფის გამომუშავებას.** თუ ჩვენ ვისწავლით სურვილის მიღწევისათვის მოქმედების მართვას, ჩვენ მივაღწევთ ყველაფერს. ეს ნიშნავს წინააღმდეგობისაგან თავის დაღწევას, როცა კი არ უნდა წარმოიქმნას ის. ჩვენს შემთხვევაში ნებისყოფის გამომუშავებისათვის წინააღმდეგობას წარმოადგენს სისტემურად მკლავებზე აზიდვების ვარჯიშის შესრულება. ასეთი წინააღმდეგობა თავიდან უნდა დავძლიოთ დღეში n-რაოდენობაჯერ – ყოველდღე, ყოველ კვირა და შეიძლება ყოველ თვეც. ასეთი შრომით თქვენ დაიწყებთ ვარჯიშების სურვილით და არა იძულებით შესრულებას, რაც ნიშნავს, რომ **თქვენ იძულებითი შრომით გამოიმუშაოთ ნებისყოფა, სურვილით ვარჯიშების შესრულებისათვის**, რაც ვარჯიშს ბევრად ეფექტურს ხდის ჯანმრთელობისათვის და საერთოდ დასახული მიზნის მიღწევისათვის. ამის შემდეგ თქვენი ლექსიკონიდან საერთოდ შეგიძლიათ ამოიღოთ „მე ამის გაკეთება არ შემიძლია“, რაც არის საფუძველთა საფუძველი ნებისმიერ საქმეში წარმატების მიღწევისათვის. მკლავებზე აზიდვების ვარჯიშის ეფექტურობისათვის სამივე ჯგუფის სურვილისათვის **უნდა დავიცვათ რაოდენობრივი მცირედი მატების პრინციპი, ეს ნიშნავს, – დღეს ნუ აიზიდებით შესაძლებლობის მაქსიმუმით. დღეს აიზიდე საშუალო რაოდენობით და ყოველდღე აზიდვების რაოდენობას უმატეთ თითო-თითო აზიდვა. ასეთი პრინციპით მიდგომა მოგცემთ სასურველ ჯანმრთელობას და მიზნის სრულად მიღწევის საშუალებას. ე. ი. მასას, ფორმას და ჯანმრთელობას. გირჩევთ, ყოველთვის მკლავებზე აიზიდოთ იმდენჯერ, რომ ვარჯიშის დამთავრების შემდეგ თქვენ თქვათ: „ვგრძნობ თავს ძალიან კარგად, შემიძლია მეტჯერაც ავიზიდო, მზად ვარ უფრო რთული რეჟიმით აზიდვებისთვის“.** მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ გაზარდოთ სერიაში ერთჯერადი აზიდვების რიცხვი.


სურ. 3


სურ. 4


სურ. 5


სურ.1


სურ. 2

ვარჯიშის დროს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გარდა სხეულის სრულყოფისა, უნდა მივაღწიოთ ჯანმრთელობასაც, ამიტომ იგი უნდა შევასრულოთ ყოველთვის სურვილით და სწორად. კონტროლის გამძაფრება გამოწვეულია იმითაც, რომ გული მუშაობს დატვირთვის არაბუნებრივ რეჟიმში. ეს პროცესი მიმდინარეობს გარკვეული დროით, რის გამოც იგი განსაკუთრებულად იტვირთება. ამიტომ ყოველთვის უნდა ვიფიქროთ და ვაკონტროლოთ,


რომ არ გადავღალოთ იგი. გადაღლის შემთხვევაში შეიძლება ეს ვარჯიში გახდეს დაავადების მიზეზი, ამას კი იწვევს ვარჯიშის იძულებითი შესრულება, თუკი არ იჩქარებთ და არ მოინდომებთ მოკლე დროში რაოდენობრივად ბევრი აზიდვის შესრულებას და აზიდვებს შეასრულებთ მხოლოდ სიამოვნებამდე, მაშინ მიიღებთ სასურველ შედეგს.

სანამ ვარჯიშს დაიწყებდეთ ყურადღება უნდა მიაქციოთ სავარჯიშო ადგილს და გარემოს. ვარჯიშის დროს ადგილი უნდა იყოს მკვრივგრუნტიანი, ხოლო ჭარბი რაოდენობის სუფთაჰაერიან ოთახში რომ ვივარჯიშოთ, აუცილებელია გავაღოთ ფანჯარა ან კარები, ან სულაც, უნდა ვივარჯიშოთ ჰაერზე. საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ არ ვივარჯიშოთ ხალიჩით დაფარულ იატაკზე, რადგანაც იგი ყოველთვის შეიცავს მტვერს და მიმართული ღრმა ჩასუნთქვის დროს მტვერი ადვილად ხვდება ჩვენს ფილტვებში, რაც შეეხება მკვრივ გრუნტიან სვარჯიშო ადგილს, სასურველია იგი ვარჯიშის წინ მოვწმინდოთ სველი ტილოთი, კარგია თუკი სასუნთქ ზედაპირზე დავაგებთ პატარა ტილოს ან დავდებთ პატარა ფიცარს.

ვარჯიშისათვის მზადებას ვიწყებთ გაღვიძებისთანავე. ვიღვიძებთ ერთი და იგივე დროს. ეს უნდა დაარეგულიროთ დილის საქმიანობის დაწყების დროის მიხედვით. **გაღვიძების შემდეგ ვისვენებთ 5 წუთს და გავიაზრებთ დღის სამუშაო გეგმას.**


შემდეგ ვდგებით, ვიბანთ ხელპირს, რითაც ვეგუებით ფეხზე დგომის მდგომარეობას. ამ პროცესსაც უნდა დაუთმოთ ხუთი წუთი, რის შემდეგაც ვიწყებთ მოთელვის ვარჯიშებს. **ვდგებით გამართული, ფეხებს ვდგამთ ოდნავ განზე და ვასრულებთ მაჯების (სურ. 1. 2.) იდაყვების ზემოთ და ქვემოთ (სურ. 3. 4.) და მხრების (სურ. 5.) ბრუნვით მოძრაობებს ორივე მხარეს 10-10-ჯერ.**


გვახსოვდეს, რომ ვარჯიშის დროს უნდა ვისუნთქოთ პირით, მაჯების, იდაყვებისა და მხრების მოძრაობის ტემპის მიხედვით.


სურ. 6

ადგილზე სიარულში ვისვენებთ 2 წუთს. დასვენების შემდეგ ვასრულებთ კისრის ვარჯიშებს, თავის მაქსიმალურად მიტრიალებით მარჯვნივ (სურ. 6.)


და მარცხნივ (სურ. 7.) ვარჯიშს ვასრულებთ თითოეულ მხარეს 10-ჯერ ნელი მიტრიალებით, აღვნიშნავ – თავი უნდა მიატრიალოთ და არა დაატრიალოთ.


სურ. 7


სურ. 8


ასევე თავის მაქსიმალურად წინ ნელი დახრით (სურ. 8.)


და უკან მაქსიმალურად ნელი გადაწევით (სურ. 9.) ვარჯიშს ვასრულებთ 10-10-ჯერ.


სურ. 9

ამ ვარჯიშებს ვასრულებთ ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვით ე. ი. ნელი ჩასუნთქვისას შევწევთ მუცელს ხერხემლისკენ. შემდეგ სწრაფად ამოვისუნთქავთ და მუცელი სწრაფად უბრუნდება საწყის მდგომარეობას.

ეს ვარჯიშები ამავე დროს მუცლის ღრუს შესანიშნავი მასაჟია, მათ შორის გულის კუნთისაც. იგი სასარგებლოა იმ პირთათვის, ვისაც აწუხებს ხერხემალი, გული, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი და სხვ. აქამდე ჩატარებული ვარჯიშები არა მარტო სახსრებს ამზადებს ვარჯიშისათვის, არამედ მიმდებარე კუნთებსაც. ამ ვარჯიშების უპირატესობა არის ის რომ, რომგორც მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს, მასაც არ სჭირდება სპეციალური მოედნები, დარბაზები, ჩასაცმელი ფორმები და სხვა. ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკლავებზე აზიდვების ვარჯიშისათვის ვართ მზად.


სურ. 10


სურ. 11


დამატებით, სურვილის და შესაძლებლობის მიხედვით შეგვიძლია კოჭების, მუხლებისა და ბარძაყების სახსრების სავარჯიშოდ შევასრულოთ ფეხების გარეთ და შიგნით მოხრილ მდგომარეობაში ტრიალი 10-10-ჯერ (სურ. 10).


ასევე, ორივე მხარეს ერთი მიმართულებით მუხლების ტრიალი 10-10-ჯერ (სურ. 11).


სურ. 12


სურ. 13


ერთ წუთიანი შესვენების შემდეგ ვიწყებთ ფეხების ვარჯიშს რაც ამავე დროს ამზადებს მუცელს, მუცლის პრესის ვარჯიშისათვის. ზურგზე დაწოლილი მდგომარეობიდან 30°კუთხით მოხრილ ფეხებს (სურ. 12) ვშლით რიგრიგობით (სურ. 13, 14). ფეხის გაშლის რაოდენობას ზრდით თქვენი შესაძლებლობის მიხედვით.
მაქსიმუმი 20-ჯერ ერთ სერიაში, ერთ წუთიანი დასვენების შემდეგ გავიმეორებთ ამ ვარჯიშს 5-ჯერ.



სურ. 14



სურ. 15

ისევ ვისვენებთ ერთ წუთს და ვიწყებთ მუცლის პრესის ვარჯიშს არასრული წამოწევით (სურ. 15) ამ ვარჯიშს ვასრულებთ.

ყოველივე ამის შემდეგ ვიწყებთ მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს, სავარჯიშო პოზა არის: ხელის გულებს ვდებთ იატაკზე მხრების სიგანეზე, ფეხებს ვშლით ბოლომდე, მუხლებისა და ქუსლების შეერთებით ვდგებით ფეხის თითის წვერებზე. ვარჯიშს ვიწყებთ აზიდული მდგომარეობიდან (სურ. 16) ასეთი მდგომარეობიდან დავწევთ ტანს იატაკის ზედაპირამდე (სურ. 17) და ხელების ტანის გასწვრივ მოძრაობით ავიზიდებით მკლავების ბოლომდე გავშლით (სურ. 18) და ა. შ. 10-10-ჯერ დასვენებებით 5-ჯერ, ე. ი. სულ 50-ჯერ.


სურ. 16


სურ. 17


სურ. 18

გარდა ტანის სწორად დაჭერის, რაც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის, **ვარჯიშის დროს აუცილებელია სწორი სუნთქვა**. ვარჯიშის პროცესში ეს რთულად დასაუფლებელია, რადგანაც ურთულესი რეჟიმია. სუნთქვის რეჟიმის შერჩევას და შეჩვევას სჭირდება სპეციალური ვარჯიში, რადგანაც აუცილებელია მკლავებზე აზიდვებისა და სუნთქვის შეთავსება. ამიტომ თავიდან ნუ ვიჩქარებთ ბევრი აზიდვის გაკეთებას სუნთქვის სისტემატური დარღვევით. ჯობია გავაკეთოთ ორი-სამი აზიდვა სწორი სუნთქვით. **საერთოდ რეკომენდებულია დატვირთვის მდგორეობაში ჩასუნთქვა და შედარებით მცირე დატვირთვის დროს ამოსუნთქვა,** თუმცა ჩემი რეჟიმით იგი შეცვლილია, რამაც ჩემს არც ჯანმრთელობაზე უარყოფითად არ იმოქმედა. ე. ი. მთავარია შეგუების პროცესში ისუნთქოთ ღრმად. სუნთქავთ პირით, რადგანაც დატვირთვების დროს საჭიროა თავისუფლად დიდი რაოდენობით ჰაერის ჩასუნთქვა და ასევე თავისუფლად დიდი რაოდენობით ჰაერის ამოსუნთქვა.

აზიდვების სიჩქარე უნდა დაარეგულიროთ ძალისა და სუნთქვის შეთავსების მიხედვით. არ იფიქროთ, რომ ეს მარტივია. აზიდვებისა და სუნთქვის შეთავსებისათვის თქვენ უნდა ივარჯიშოთ მინიმუმ 3 თვე, რის შემდეგაც შეგიძლიათ აზიდვების რაოდენობების ზრდადი გრაფიკის შემუშავება. თუ თქვენ გეყოფათ ნებისყოფა და ყველა რეკომენდებული პირობების დაცვით შეძლებთ ამ ვარჯისის სისტემატურად და სწორად შესრულებას, დამერწმუნეთ თქვენ განიკურნებით ბევრი შინაგანი დაავადებებისაგან, იქნებით ჯანმრთელი და სხეული მიიღებს სრულყოფილ ჯანმრთელ სახეს. ე. ი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მე ამ ვარჯიშების მეთოდიკას ვწერ მათთვის ვისაც ცხოვრებაში აქვს მიზანი და შრომობს ამ მიზნის მიღწევისათვის. ახლა ბევრი თვლის რომ მისი ჰობი არის ჯანმრთელი ცხოვრების წესი. ეს კარგია, მაგრამ ვიბრძვით კი ამისთვის? ამ ვარჯიშის დაუფლებით თქვენ უნდა შეცვალოთ თქვენი ცხოვრება უკეთესობისაკენ, ხართ კი თქვენ ამისთვის მზად? თქვენ თუ მკლავებზე აზიდვებით ივარჯიშებთ სისტემატურად, მაშინ თქვენ შეხვალთ სიმშვენიერის, სიკეთის, ჯანმრთელი ცხოვრებისა და მუდმივობის სამყაროში.

თუ არქიტეტურას ეძახიან „გაქვავებულ მუსიკას“, სკულპტურას „გაქვავებულ ფანტაზიას“, მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს მე დავარქმევდი „ჯანმრთელობის, სულიერებისა და აღნაგობის არქიტექტორს“, რაც შემოქმედ პიროვნებას ლამაზი სიცოცხლის სტიმულს აძლევს.

კვლავაც ვიმეორებ – არ მოსწიოთ და ზომიერად მიიღეთ ალკოჰოლური სასმელი (1-2 ჭიქა), ასეთ შემთხვევაში თუ სისტემატურად ივარჯიშებთ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იგი მასას ჩამოგიყალიბებთ თქვენი სხეულის აგებულების სიმაღლის შესაბამისად, ე. ი. თუ ჭარბწონიანი ხართ თქვენი მასა კლებულობს და თქვენს სხეულს მიეცემა სპორტსმენის ტანადობის სახე და ჯანმრთელობა, ხოლო, თუ ხართ გამხდარი, გაგიზრდით კუნთებს და შესაბამისად მასას, რაც არა მარტო ჯანრმრთელობას, არამედ სილამაზესაც შემატებს თქვენს სხეულს. ამას ყველაფერს რომ მიაღწიოთ, უნდა გქონდეთ საფუძვლიანი არგუმენტები, რაც მასტიმულირებელი იქნება უფრო ინტენსიური დაუღალავი წვრთნისათვის. საფუძვლიან არგუმენტად კი შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩემი მაგალითი.

ამ ვარჯიშის შესრულებისათვის თქვენ არ დაგჭრიდებათ სხვადასხვა სავარჯიშო ირაღები, რადგანაც იარაღი ვარჯიშისა არის თქვენი სხეული.

ჩემი გამოსვლების დროს ხშირად მეკითხებიან, როგორ დავიწყოთ ვარჯიში, მე მათ ვპასუხობ შემდეგს, რომ ვარჯიში არ არის ამ შემთხვევაში მხოლოდ გულდაღმა მდგომარეობიდან მკლავებზე ეპიზოდური აზიდვები, ასე შეიძლება ადამიანმა ზიანიც კი მიაყენოს თავს, რადგანაც იგი ვერ შეინარჩუნებს ეპიზოდური ვარჯიშის დროს ვერც კუნთის ძალას, ვერც სუნთქვის დამუშავებულ სისტემას და ვერც მკლავებზე აზიდვებისა და სუნთქვის შეთავსებულ კომპლექსს. ასეთ შემთხვევაში ეს ყოველთვის იწვევს მოვარჯიშის გაღიზიანებას, რაც აიძულებს მას გაღიზიანებულმა აკეთოს ვარჯიში. დამერწმუნეთ, ეს მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებს თქვენს ჯანმრთელობაზე და დროთა განმავლობაში გამოიწვევს არტერიული და თავის ქალის წნევების ცვალებადობას და გულის ნევროზით დაავადებას, რაც შემდეგში გამოამჟღავნებს სხვა დაავადებებსაც; რა თქმა უნდა, ეს არ არის სასურველი, რადგანაც ჩვენ ვარჯიში დავიწყეთ სამკურნალოდ და გაჯანსაღებისათვის და არა დაავადებების გასამრავლებლად. ეს ვარჯიში საუკეთესო მასაჟია მუცლის ღრუს ორგანოებისათვის და სასუნთქი გზებისათვის. განსაკუთრებით უხდება კუჭის წყლულითა და გასტრიტით დაავადებულებს.

მკითხველს ალბათ დაებადა კითხვა: ვარჯიში მარტივია, მაგრამ რამდენი პირობაა შესასრულებელი?! **დიახ, მთავარი პირობა სისტემატიური ვარჯიშის სურვილია** რაც ძალზე ეფექტურს ხდის მას.

უმრავლესობა, დღის უმეტეს ნაწილს სამსახურში ან სასწავლებელში ატარებს, რის გამოც მათთვის ვარჯიშისათვის ხელსაყრელი დრო საღამოა. მე მაგალითად ვიძინებ 11 სთ-ზე და ვდგები 5 სთ-ზე, ჩემთვის 6 სთ ძილი საკმარისია, რომ მთელი დროის განმავლობაში თავს ვგრძნობდე მხნედ, თუ თქვენთვის 6 სთ ძილი არ არის საკმარისი, მეგიძლიათ იძინოთ 8 სთ და ადგეთ 7 სთ-ზე. ყოველ დილით ვვარჯიშობ 1-1,5 სთ. განმავლობაში. მავანს შეუძლია ივარჯიშოს ნახევარი საათი. დატვირთვებში განსხვავებამ ჩემსა და თქვენს შორის არ გაგაკვირვოთ, რადგან მე სხვა მიზნითაც ვვარჯიშობ, თქვენ კი ჯანმრთელობის შეძენისთვის, სხეულის სრულყოფისათვის, ნებისყოფის გამომუშავებისათვის და წინააღმდეგობების დაძლევის ფსიქოლოგიური მომზადებისათვის და სხვ.

დამატებით მინდა გირჩიოთ: ხანგრძლივი დროით არ ივარჯიშოთ უშუალოდ ჭამის წინ და ჭამის შემდეგ. იგი შეიძლება შესრულდეს მინიმუმ ნახევარი საათით ადრე ან გვიან. ასევე არ შეიძლება ვარჯიში შეასრულოთ ძილის წინ ან გაღვიძებისთანავე. ძილის მდგომარეობიდან გამოსვლის დრო 10-15 წუთია. ასევე 10-15 წუთით ადრე უნდა დაასრულოთ ვარჯიში დაძინებამდე.

ერთჯერადი საშუალო რაოდენობის აზიდვებით შეგიძლიათ ივარჯიშოთ ნებისმიერ დროს – ჭამის წინ და შემდეგ, ძილის წინ და შემდეგ. ყოველთვის შეგიძლიათ აკეთოთ 10-15 ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვით,

რაც ავარჯიშებს სასუნთქ გზებს, შიგა ორგანოებს, გულ-მკერდს, მკლავების კუნთებს და სხვ.

თუ ვარჯიშობთ ნახევარ საათსა და მეტს, უმჯობესია ჩაიცვათ სპორტული ფორმა სეზონისა და ამინდის მიხედვით. თუ ვარჯიშობთ ბინის პირობებში, უმჯობესია ივარჯიშოთ ფეხშიშველამ ტრუსებში, თუ ბინაში სიცივეა, უნდა ჩაიცვათ, მაგრამ მსუბუქად, ტანსაცმელი უნდა იყოს ისეთი, რომ არ გიჭერდეთ, შეიწოვდეს ოფლს. უმჯობესია ვარჯიშობისას ტანსაცმელი იყოს ბამბის.

დილის ვარჯიში ყველასათვის აუცილებელია დილით, რადგან საღამოთი შესაძლოა ადამიანს გაუჩნდეს რაიმე საქმე და დარჩეს ვარჯიშის გარეშე, რაც არასასურველია, საზოგადოდ ვარჯიშის იდეალური დრო არ არსებობს, იგი პრინციპულად ყველასათვის ინდივიდუალურია. ვისაც სურს ხსენებული ხერხით გაიუმჯობესოს ჯანრმრთელობა, თავდაპირველად ერთი თვის განმავლობაში ყოველდღიურად უნდა ჩაატაროთ ტანის სწორად დაჭერით ერთწუთიანი ვარჯიშის პოზაში დგომით ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვები. იგი უნდა გაიმეოროთ მინიმუმ ხუთჯერ მაინც, რათა ვარჯიშის დროს გაიადვილოთ სუნთქვა, მიაჩვიოთ გული ახალ რეჟიმში მუშაობას. ისუნთქეთ პირით ნელი ღრმა (სამი თვლა) ჩასუნთქვით ერთი უეცარი ამოსუნთქვით.

გაითავლისწინეთ ერთი რჩევაც: გულმა რომ კარგი დატვირთვა მიიღოს, ვარჯიშის დროს ტემპის ცვლაა საჭირო, ე. ი. მკლავებზე აზიდვები გააკეთეთ სწრაფი ან ნელი ტემპით, შესაბამისი სუნთქვითი პროცედურის დაცვით. თუ თქვენ სერიოზულად ვარჯშობთ, უნდა იკვებოთ კარგად და რეგულარულად, ბანაობის დროს კი მონაცვლეობით მივიღოთ ცივი და ცხელი შხაპი. ყურადღება უნდა მივაქციოთ სასმელ წყალსაც. იგი უნდა იყოს ოთახის ტემპერატურის, ძილის რეჟიმის დაცვა ინდივიდუალურია, მაგრამ უნდა იძინოთ არანაკლებ 6 საათისა. გარდა იმისა, თუ თქვენ დღის განმავლობაში გამონახავთ ერთ-ორ საათს ძილისათვის, ეს ძალიან წაადგება თქვენს მიერ ვარჯიშის მაქსიმალური ეფექტით ათვისებას და დახარჯული ენერგიის სრულ აღდგენას, ჯანმრთელობა, ძალა, მოხდენილი სხეული – აი რა შედეგებს იძლევა ჩვენი ვარჯიში.

მსოფლიოს ყველა დროისა და ქვეყნის ცნობილი მხატვრები თუ მოქანდაკეები ცდილობდნენ დაედგინათ მოხდენილი სხეულის განმსაზრღვრელ ნიშანთა არსი და კანონი. დროის სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთებში ჯანმრთელობის, ძალისა და მოხდენლი ადამიანის სხეულის დაკვირვებების საფუძველზე, დასკვნები რეალისტურად კეთდებოდა და პირიქით, თუ მოგონილია და რეალობას არის მოწყვეტილი, არის ყალბი და ძალზე აბსტრაქტული.

შევადაროთ ჰერაკლესა და აპოლონის ქანდაკებები: ერთიცა და მეორეც არის მამაკაცური ჯანმრთელობისა და მოხდენილი სხეულის განსახიერება. ჰერაკლეს ტანი გამოირჩევა მძლავრი კუნთებით, აპოლონისა კი ელეგანტურობითა და დრეკადი მოხაზულობის კუნთებითაა გალამაზებული. მაგალითი წარმოაჩენს ჯანმრთელობისა და მოხდენილი სხეულის ორ ტიპს. მკლავებზე აზიდვების ვარჯიშით თქვენ შეიძენთ ჯანმრთელობას და აპოლონის ტანის სილამაზეს. იყო დრო როცა მოხდენილი სხეულის მავნებლად ითვლებოდა მხოლოდ ბიცეფსებისა და ყელის გარშემოწერილობის პროპორციები და სხვ. ახლა კი, ა. ვოროზბიოვისა და ი, სოროკინის წიგნში მოყვანილია ერის მანის მოხდენილი სხეულის მაჩვენებელი. გულმკერდის გარშემოწერილობას (მშვიდ მდგომარეობაში) გამოკლებული სიმაღლის ნახევარი. სხეულის ჰარმონიული განვითარების შემთხვევაში გულმკერდის გარშემოწერილობა მეტია სიმაღლის ნახევარზე. ასეთი პროპორციების დაცვას უწყობს ხელს მკლავებზე აზიდვების ვარჯიში. გარდა ამისა, მისი მთავარი თვისებაა ადა-

მიანის შიდა ორგანოების დაავადებების მკურნალობა. სხეულის წონას დამატებული გულმკერდის გარშემოწერილობა. საუკეთესო შეფასებას იღებენ ისინი, ვისაც აქვს ნაკლები მაჩვენებელი: 10-15 – ძლიერი აღნაგობა, 16-20 – კარგი აღნაგობა, 21-25 – საშუალო აღნაგობა, 26-30 – სუსტი აღნაგობა. ეს მხოლოდ მამაკაცების მაჩვენებელია. ადგენენ აგრეთვე ატროპიმეტრიული მაჩვენებლების ცხრილებს, რასაც შეიძლება შევადაროთ თქვენი მონაცემები. მაგალითად, ცნობილი კულტურისტის ჯო უადერის ცხრილი.

სიმაღლე	წონა	გულმკერდი	მხრები	წელი	ბარძაყი	წვივი
152.5	58.5	101.5	38.0	67.5	53.5	37.0
157.0	63.7	104.5	39.5	70.0	55.5	38.0
162.5	70.5	111.0	40.5	76.0	57.0	39.0
167.0	79.0	116.0	42.5	78.5	58.5	40.0
172.0	83.5	118.0	43.0	80.0	59.5	40.5
177.0	90.0	121.5	44.0	82.5	62.0	41.5
183.0	95.0	124.0	44.5	84.0	63.5	42.5
188.0	99.0	127.0	46.0	85.0	65.0	43.0

ჩემი ანტროპოგენური მაჩვენებლები შემდეგია: წლოვანება – 70 წ, სიმაღლე – 171 სმ, წონა – 74 კგ, გულმკერდის გარშემოწერილობა – 112,5 სმ, მხრები – 47 სმ, ბიცეფსები – 43 სმ, წელის გარშემოწერლობა – 82 სმ, ბარძაყის გარშემოწერილობა – 58 სმ, წვივის გარშემოწერილობა – 41 სმ.

სხეულის სილამაზე მრავალმხრივია და იზომება უფრო მრავალი წვრილმანით, ვიდრე მისი ზომის მეტრული ლენტით, ჩვენი გრძნობების ინსტრუმენტით ესთეტიკური გემოვნებით ჰარმონიის შეგრძნებით. ისინი ვინც იცნობენ ატლეტებს, იციან, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორ მათგანს აქვს ერთიდაიგივე ანტროპოგენური მაჩვენებლები, ისინი გამოიყურებიან სხვადასხვანაირად. ე. ი. განვითარებისა და ჰარმონიის ხარისხის გაზომვის მცდელობა ზომის მეტრული ლენტით უნაყოფო იქნება. კუნთის ხარისხი, რელიეფი, ტანადობის თავისებურებანი, მოძრაობების პლასტიკა და მრავალი სხვა არ ექვემდებარება განზომილებას.

ისე რომ იმათ„ ვისაც სურს გაერკვეს, თუ რა არის ადამიანის მოხდენილი სხეული, არ მოვიყვანთ ფორმულებსა და ცხრილებს, ვურჩევთ უფრო მეტად ათვალიერონ ძველი სკულპტორებისა და მხატვრების უძვირფასესი ქმნილებები, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას აღვიქვათ ადამიანის სხეული გენიოსების თვალით. სხვადასხვა ტიპის ადამიანთა ფიგურები თანაბრად აცხადებენ პრეტენზიას იდეალურ პროპორციულობაზე. მათ გაუძლეს საუკუნეების კრიტიკას სილამაზისა და ჰარმონიის ჩარჩოებში. ყველა ტიპის აგებულებაში არის ჩადებული საწყისი სილამაზე. არასწორი ცხოვრების წესით – ფიზიკური დატვირთვების სიმცირით არათანაბარი კვებით, ვერ ვანვითარებთ, ვერ ვინარჩუნებთ ბუნებით ნაბოძებ ხარისხობრიობას.

თქვენი სხეულის რეალური შესაძლებლობების განსაზღვრა და მკლავებზე აზიდვების მეთოდების არსენალის ეფექტურად გამოყენება გარკვეულ ეტაპზე (მაგ. 6 თვის შემდეგ) დაგეხმარებათ განსაზღვროთ თქვენი სხეულის აგებულების ტიპოლოგია. ადამიანის ინდივიდუალობის მრავალნაირობის მიუხედავად, ანსხვავებენ 3 ძირითად კონსტიტუციურ ტიპს: ენდომორფულს, ევტომორფულს და მეზომორფულს. ენდომორფულ ტიპს ახასიათებს მძლავრი ძვლის სისტემის

ჩასკვნილობა, კანქვეშა ქონის დაგროვების მიმართ მიდრეკილება, რის გამოც ფორმა გვეჩვენება გასწორებული.

ევტომორფული ტიპი წვრილძვლიანია, როგორც წესი, ცხიმის ზედმეტობა არ ახასიათებს, გამხდარია და აქვს უფრო დაგრძელებული პროპორციები.

მეზომორფული ტიპი ათლეტურია, უფრო პროპორციული, კანქვეშა ცხიმს ინარჩუნებს ნორმასთან ახლოს, კუნთების სისტემა კარგად გამოიყურება და იტანს დატვირთვებს.

თითოეულ აღნაგობას აქვს თავისი უპირატესობები, მას სწორი გამოყენება უნდა. თუ თქვენ ყოველივე იმის გაკეთებას შეძლებთ, რასაც აღნიშნული მეთოდიკა გკარნახობთ, 6 თვის შემდეგ შეატყობთ თავს, რომ ის სისუსტენი, რაც თქვენ გქონდათ ორგანიზმში, თანდათან მცირდება, ხოლო კიდევ სამი თვის გასვლის შემდეგ – საერთოდ ქრება.

ზემოთ აღნიშნული მეთოდიკით თქვენ ყოველდღიურად მოგიწევთ დაახლოებით 30-45 წუთით ვარჯიში, სერიებს შორის 1 წუთიანი დასვენებით, საერთოდ კი პიროვნება ინდივიდუალურად არჩევს დასვენების დროს გულის დაღლილობის მიხედვით. ვინაიდან ეს ვარჯიში გულისათვის სხვა ვარჯიშებთან შედარებით რთულია. ყოველთვის უნდა დავიცვათ რეჟიმი, რომელიც გულს არ გადაღლის.

მკლავებზე აზიდვების სისტემატიური ვარჯიში იძლევა შემდეგ შედეგს:

– მთელი სხეულის პროპორციულად განვითარებას, მასის მატებას;

– გულმკერდის არის განვითარებას (ზრდას), კუნთების, მათ შორის მხრის კუნთების გაფართოებას;

– მხრის დელტის განვითარებას;

– ძალის ზრდას;

– ბიცებსების (მკლავის მომხრელი და გამმართველი კუნთები) ზრდას;

– თეძოს კუნთების განვითარებას;

– ბარძაყების განვითარებას;

– წვივის კუნთების განვითარებას;

– მუცლის პრესის კუნთების განვითარებას და სხვ.

ყველა შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას თქვენი სამუშაოს ხასიათი, პირადი გატაცება, თავისუფალი დრო და სხვ. წარმატებები ბევრად არის დამოკიდებული ნებისყოფაზე.

წოლაჯენიდან მკლავებზე აზიდვების ინტენსიური ვარჯიშების დაწყებამდე გირჩევთ გაიაროთ მომზადების 3 ეტაპი.

1. ფიზიკური მომზადება, რომელშიც შედის მსუბუქი დატვირთვა და სუნთქვითი ვარჯიშები, უნდა გაგრძელდეს 1-1,5 თვე;

2. აზიდვების მსუბუქი რეჟიმით ვარჯიშების პერიოდი 1-1,5 თვე; თითო სერიაში უნდა აიზიდოთ 3-5-ჯერ პირველი 15 დღე; სულ შეასრულეთ 10 სერია; 5-10-ჯერ – მესამე 15 დღე, აქაც 10 სერია. მეორე პერიოდში ხდება აზიდვებთან ერთად სუნთქვითი ვარჯიშების დამუშავება.

3. მესამე პერიოდში მოვარჯიშე თვითონ განსაზღვრავს სერიაში აზიდვების რაოდენობას შესაძლებლობის მიხედვით. პირველი 15 დღეს არ უნდა გადააჭარბოს. სერიათა რიცხვი უნდა გაზარდოთ 15-მდე, მესამეში – 20-მდე, ხოლო შემდეგ თქვენი შესაძლებლობებით ზრდით თითოეულ სერია-

ში უწყვეტი აზიდვების რაოდენობას.

თუ გვინდა, რომ ჯანმრთელობის შეძენასთან ერთად განვავითაროთ ჩვენი ტანის სილამაზეც, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: მათ ვინც წონას იმატებს ნელა და უჭირს კუნთების მოცულობის გაზრდა, საჭიროა თავიდანვე განვსაზღვროთ ხელისშემშლელი მიზეზები, კერძოდ:

1. კვების არასწორი რეჟიმი – სპორტსმენი ან პაციენტი არ იკვებება ერთი და იგივე დროს და არ იღებს კალორიულ საკვებს (ორგანიზმი არ იკვებება ხარისხიანი ცილოვანი საკვების საკმარისი რაოდენობით, არასაკმარისად მოიხმარს ნახშირწყლებს და ცხიმებს, ვიტამინებს და მინერალურ საშუალებებს);


2. ხანგრძლივი, გადამღლელი ვარჯიშები, დასვენებისა და ძილის ნაკლებობა ხელს უშლის კუნთების ზრდას;

3. სუსტი ნებისყოფა, ცუდი ფსიქოლოგიური მომზადება.

კუნთების ზრდისათვის აუცილებელია ცილები, რაც წარმოადგენს უჯრედების სამშენებლო მასალას: ცილები ორგანიზმში იშლებიან მონომჟავებად, რომლებიდანაც თავის მხრივ წარმოიქმნებიან ახალი მოლეკულები. არსებობს 22 სახის მონომჟავა, მათ შორის 10 დამოუკიდებელია, მათ ორგანიზმში არ შეუძლიათ ერთმანეთთან სინთეზი.

აზიდვებში ინტენსიურმა მოვარჯიშემ უნდა მიიღოს დაახლოებით ერთი გრამი ცილა 2,5 კგ წონაზე. ნახშირწყლები და ცხიმები ხელს უწყობენ ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას და წარმოადგენენ ენერგიის ძირითად წყაროს. არსებობს ენერგიის ცვლის ორი სახე: ანაბოლიკური რეაქციები – უჯრედების დაშლა ენერგიის გამოყოფისათვის. უნდა მივაღწიოთ ანაბოლიკური რეაქციის უპირატესობას, რისთვისაც საკვები უნდა მიიღოთ, რაც შეიძლება კალორიული და დახარჯულ ენერგიასთან შედარებით, რასაც თქვენ ხარჯავთ ვარჯიშის დროს...

მე ვარ ჯანმრთელი ცხოვრების წესის მომხრე
და მიმდევარი, შემომიერთდით!



წ ე რ ი ლ ე ბ ი


სოსო სიგუა



ტაძარი – უფლის ტახტი

ქრისტიანული რწმენის კრისტალიზება ხდებოდა ტაძარში, რომელიც უფლის სახლად და ტახტად მიიჩნეოდა. ტაძარი შენდებოდა ხომალდის, ჯვრის ან ვარსკვლავის სახედ, რომელსაც დაედგმოდა გუმბათი, გუმბათს – ჯვარი. იგი სამ ნაწილად განიყოფოდა – კარიბჭე, შუა ნაწილი და საკურთხეველი. საკურთხეველი შუა ნაწილიდან გამოცალკევებული იყო კანკელით. ქრისტიანული კულტურა ქმნიდა არტეფაქტების მთელ სისტემას, რომელთაც ენიჭებოდათ რიტუალურ-სიმბოლური მნიშვნელობა. მათი სათავე იყო ბიზანტია, როგორც არსის, ისე ფორმისა და სტილის თვალსაზრისით.

ეკლესია იყო სარძლო, ქრისტე-ზეციური სიძე, სხვა სიმბოლიკით – თავად ეკლესია არის ქრისტეს სხეული. ტაძარი აერთიანებდა, როგორც ჭეშმარიტების ნათლის სვეტი, ყოველ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკული მოქმედებით – მღვდელ-მსახურებით, წირვა-ლოცვით, ქადაგებით, გალობით, ფრესკებით, ინტერიერითა და ექსტერიერით, ჯვარ-გუმბათით, კანდელ-სანთელთა ციმციმით, სურნელთა კმევით გადასცემდა მრევლს, მრევლს აქცევდა საღვთო სიბრძნის ზიარად.



ტაძრის ბრწყინვალება, ადგილი, გარემო და უბადრუკი, ღატაკი ყოფა, მკვეთრი კონტრასტი უფლის სახლსა და საერო ყოფას შორის აძლიერებდა, ამკვიდრებდა შიშსა და კრძალვას, თაყვანსა და სიყვარულს, როგორც ზეციურისა და მიწიერის დიქოტომია.

ტაძარი არამხოლოდ გარეგნულად, არამხოლოდ საღვთო ჭეშმა-რიტებათა გადმოცემით, არამედ – სუგესტიურადაც მოქმედებდა მორწმუნეზე, არაცნობიერად იმორჩილებდა მის გულისყურს. რწმენასა და აზრთან ერთად მნიშვნელობა ეძლეოდა ესთეტიკურ განცდას, ოღონდ სულიერების, გონის, ნათლის ასპექტში, რაც მუდმივად ანედლებდა წმინდა სულს.

ეკლესია, მონასტერი, ტაძარი, როგორც ვთქვით, უცხო და გაქართულებული სიტყვებია. ქართულში მათ საერთო სახელად იქცა საყდარი, რაც ძველ ქართულში ნიშნავდა ტახტსა და ზეციურ ძალებს.

საყდარი ეტიმოლოგიურად არის სა-ყუდ-ებელი, მისაყრდნობი, დაყუდებული-განდგომილი, განდეგილი.

ამ სიტყვის ძირია ყუდ, რაც არის იგივე კოლხური ცუდ – სახლი (შდრ – სოფელი უდე), ისევე როგორც – არ სუფიქსი – ქართული – ელ (იხ. „საიქიო ცხოვრების მითი“).

მაგრამ ქართულია პრეფიქსი სა – (მეგრულად – ო).

ტაძარი იყო სულიერების ცივილიზაციური გაფორმება.

ქტიტორი და კირითხურო

ღვთისმსახურისათვის საყდრის აგება უმთავრესი საზრუნავი იყო. მხოლოდ მისი საშუალებით შეიძლებოდა ფუნქციონირება.

ეკლესია, წირვა-ლოცვა და წიგნი ერთმანეთისაგან განუყრელი იყო. ასკეტი ღვთისმსახური უფლის დიდებით ცოდნას ნერგავდა და ავრცელებდა. პირველი ეკლესია – გაზილიკები, ძირითადად – ძელისა, საქართველოს თანამედროვე და ისტორიულ ტერიტორიებზე ჩნდება IV საუკუნიდან.ეკლესიის პირველი მაშენებლები მირიან მეფემ კონსტანტინეპოლიდან მოიწვია. მშენებლობა ინტენსიური გახდა VI საუკუნიდან, როცა ძელი საბოლოოდ შეცვალა ქვამ. შემდეგ არაბობის პერიოდმა ეს პროცესი შეაფერხა. მაგრამ ახალი ძალით გაჩაღდა გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით, IX საუკუნიდან. ხოლო X-XI საუკუნეებში ყოველი კუთხე მოიცვა.

მართლაც საოცარია, როგორ აშენდა ამდენი ეკლესია-ტაძარი.

ძალმოცემული ქართველობა ჯვარითა და მახვილით, გუთნითა და კალმით იბრძოდა და შრომობდა. ეკლესია-ტაძრები ერის ეკონომიკურ და ინტელექტუალურ პო-ტენციალს ავლენდა, არა მხოლოდ რწმენას უფლისადმი.

ისინი კულტურის დიდი თუ მცირე საყრდენები იყვნენ. მაგრამ თავადაც წარმოადგენდნენ ხელოვნების ნიმუშებს, რომელთა აგებასა და მოხატვას სჭირდებოდა ნიჭი, ცოდნა, გემოვნება, ოსტატობა. სივრცეს ავსებდა წმინდა ლანდები, ჰანგები და ხმები, საცეცხლურთა ნათება და სანთელ-საკმევლის სურნელი.

ყველგან – ქალაქად, სოფლად თუ უდაბნოში კულტურის ცენტრი, როგორც ითქვა, იყო ეკლესია, მონასტერი, ზოგი – დიდი, ზოგი მცი-რე, შუამდგომი სიცოცხლესა და სიკვდილს, მიწასა და ზეცას, ყოველ-დღიურობასა და უკვდავებას შორის, რომელთა ზართა რეკვა ერთი წერტილისაკენ უხმობდა ადამიანებს. მაგრამ ეკლესია-მონასტრებს ჰქონდათ თავისთავადი არქიტექტურული ღირებულება, როგორც ხელოვნების ნიმუშებს. IV-XI საუკუნეებში აგებულ უამრავ ეკლესია-მონასტერთაგან ზო-გი გამოირჩევა ხუროთმოძღვრული ხელოვნებითა და კულტურული მნიშვნელობით.

სპეციალისტებს დეტალურად აქვთ შესწავლილი არქიტექტურის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტაძრები, მათი კონსტრუქცია, ჯვარის ტიპისა და ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობები, გარეგნული ფორმა და შიდა ინტერიერი, ნავების სისტემა, ფასადების, კონქებისა და აფსიდების სიმეტრია, თაღები, გუმბათის ყელი და გუმბათი, სარკმლები და კარიბჭე, სვეტები (პილონები), საკურთხეველი, ამბიონი, გალერეა, სადიაკვნო და სამკვეთლო, ფრესკები და წარწერები, რელიეფები და ჩუქურთმები, მხატვრობა და ხატწერა, მათი ესთეტიკური წესრიგი და ის სიახლე, რაც უჩინარ ოსტატებს შეუტანიათ მხატვრული აზრის განვითარებასა და კულტურის ფორმირებაში, კანონიზებულ სივრცეში (გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ვ. ბერიძე).

დავასახელოთ ზოგი მათგანი:

არმაზის წმ. გიორგის ეკლესია ქსანში (864 წ.), ატენის სიონი (VII ს.), ბანა (X ს.), ბედია (X-XI ს. ს.), ბიჭვინთის სამნავიანი გაზილიკა (IV ს.), ბოლნისის სიონი (V ს.), იშხანი (VII, IX, XI ს. ს.), კაცხის ტაძარი (1010-1014 წ. წ.), კუმურდო (X ს.), ლიხნი აფხაზეთში (X-XI ს. ს.), მარ□ტვილის ეკლესია (VII, X ს.), მოქვის საკათედრო ტაძარი (X ს.), ნიკორწმინდა (1010-1014 წ. წ.), ოთხთა ეკლესია ჭოროხის ხეობაში (IX ს.), ოპიზა (აღდგენილი IX ს-ში), ოშკის ტაძარი (X ს.), პარხალის გაზილიკა (X ს.), სამთავისი (1030 წ.), მცხეთის სამთავროს ტაძარი (XI ს.), საფარის მონასტერი (X ს.), წირქოლი (VIII ს.), წრომი (624-634

წ. წ.), ბაგრატის ტაძარი (1003 წ.), ალავერდი (XI ს.), სვეტიცხოველი (1010-1029 წ. წ.), ათონის ივერთა მონასტერი (X ს.), პეტრიწონი (XI ს.), იერუსალიმის ჯვარის მონასტერი (XI ს.), მცხეთის ჯვარი (585-605 წ. წ.), ნინოწმინდის კათედრალი (VI ს.), ტბეთის ტაძარი (X ს.), ჰუჯაბის ტაძარი (VIII-IX ს. ს.), გელათი (1106–1125)...

ყველა ტაძარს ჰყავდა დამკვეთი, რომელიც ხდებოდა წინაძღვარი ან იყო ეპარქიის თავი – ეპისკოპოსი. ზოგი ამისათვის თავად მოიპოვებოდა მიწას (მაგ., გრიგოლ ხანძთელი, საბა იშხნელი, სერაპიონ ზარზმელი) ან ასრულებდა ეკლესიის გადაწყვეტილებას (მაგ., მელი-ქისედეკ კათალიკოსი – სვეტიცხოვლის აგება).

ხშირად დამკვეთის სახელი ჩრდილავდა როგორც ქტიტორს, ისე არქიტექტორს (მაგ., ხანძთის აღმშენებლად იწოდება გრიგოლი, ხანძ-თის სამრეკლოსი – მარკოზი).

ეკლესიის ზარის (ძელის) ხმა აფხიზლებდა მოსახლეობას. იგი ან-ტიმუსულმანური სიგნალი იყო. ამიტომ კრძალავდნენ არაბები. ტფი-ლისში მხოლოდ ერთ ბაზილიკას ჰქონდა ზარის რეკვის ნება. მას „ზარის ტაძარს“ ეძახდნენ (დღევანდელი ანჩისხატი).

ზარისგან (სარეკელისაგან) მოდის შიში (შდრ – სა-ზარ-ელ-ი).

ბერ-მონაზვნები ქტიტორის (დღევანდელი სპონსორი) გარეშე სერაპიონის მსგავსად მხოლოდ ტალავერს თუ გამართავდნენ (მაგ., ბედიის მონასტრის კტიტორია ბაგრატ III, ათონის ივერთა სავანისა – იოანე თორნიკ-ყოფილი, ხანძთისა – გაბრიელ დაფანჩული, ზარზმისა – გიორგი ჩორჩანელი, მოქვის ტაძრისა – აფხაზთა მეფე ლეონ III, ლორე-ტაშირში ეკლესიისა – ოთხი ძმა ძნელაისძე).

ეკლესიის წინაშე განსაკუთრებით ღვაწლმოსილი პირები ტაძრის შიგნით იმარხებოდნენ (მაგ., ვახტანგ გორგასალი სვეტიცხოველში, ბაგრატ III – ბედიაში, აშოტ კუხი – ხანძთაში); იხსენიებდნენ და მათ სახელზე აღევლინებოდა ლოცვა.

შემდეგ გელათი გახდა მეფეთა საძვალე.

ასევე გამოსახავდნენ მათ პორტრეტს (მაგ., აშოტ კურაპალატი ოპიზაში ტაძრის მოდელით ხელში, ისევე როგორც ბაგრატ III ბე-დიაში და დავით აღმაშენებელი – გელათში; ბაგრატ III-ის დედა გურანდუხტი დაუხატავთ კუმურდოში). ტაძარს ამკობდნენ შესაბა-მისი საინფორმაციო წარწერებით.

ტაძრის და მონასტრის კონსტრუქციას, გეგმას, სიდიდეს – სიმაღ-ლეს, სიგრძე-სიგანეს, სენაკთა და სარკმელთა განლაგებას, გუმბათის სიმაღლეს, ლიტურგიის ადგილს და საგნებს დამკვეთთან შეთანხ-მებით ადგენდა ხუროთმოძღვარი (არქიტექტორი), რომლის სახელი თითქმის ყოველთვის უჩინარი იყო და მხოლოდ ზოგან გაკრთება.

უნდა ჰყოლოდათ გამოცდილი მშენებლები, ჰქონოდათ გამძლე მასალა, ჭეშმარიტი რწმენა, ეკონომიკური რესურსი.

აგებდნენ თლილი, ნატეხი თუ რიყის ქვით, აგურით, ტუფით, ში-ნიმით (ცარცის მსგავსი ქვა), ადუღაბებდნენ კირხსნარით.

გამწევი ძალა იყო ხარ-კამეჩი და ცხენი. ქვას ალბათ ახლო კარიე-რიდან მოიპოვებდნენ, მაგრამ უგზოობის გამო ხელით, ზურგით და მარხილებით თუ მიიტანდნენ ნაკურთხ ადგილზე (მაგ., ასე მიაქვს „ქვაჲ დიდი და მძიმე ფრიად“ ტბელ აბუსერისძის ბოლოკ-ბასილს).

აშოტ კუხის (X ს.) დახმარებით აშენდა ხანძთის ახალი ეკლესია. ქვა და კირი შორი გზიდან ზურგით ამოჰქონდათ მუშებს. შემდეგ წონიდნენ და ასე უხდიდნენ საფასურს (გიორგი მერჩულე).

მუშახელი ადგილობრივი მოსახლენი იქნებოდნენ.

ზოგ დამკვეთს ხუროობაც სცოდნია და შველოდა მშენებლებს (მაგ., სერაპიონ ზარზმელი).

სახურავად იყენებდნენ კრამიტს (მაგ., ალავერდი გადახურული ყოფილა ცისფრად მოჭიქული კრამიტით).

ოშკის ტაძრის „ზედამდგომი“ გრიგოლი წარწერაში ზუსტად ასა-ხელებს თუ მშენებლობაში რამდენი დრამა დაიხარჯა, ღვინო რამდენი ლიტრი იყო ან რკინა, ხორბალი – რამდენი გრივი.

ასევე ჩამოთვლილია კალატოზთა და მჭედელთა, მუშათა რიცხვი, ხართა და ჯორთა რაოდენობა.

მკაცრად ყოფილა განსაზღვრული შრომის ანაზღაურება, მოწეს-რიგებული ჰქონიათ მშენებლობის პროცესი.

სირთულეთა გამო მშენებლობა მრავალი წელი გრძელდებოდა (მაგ., ბოლნისის სიონის სამნავიანი ბაზილიკა აიგო 462-477 წლებში, მცხეთის ჯვრის საყდარი – 585-605 წლებში, ბანას ახალი ტაძარი – 888-923 წლებში).

მშენებლობას ასევე აფერხებდა მუდმივად ომის რეჟიმში ყოფნა.

მოჰყავდათ ის ოსტატები, რომლებიც კვეთდნენ რელიეფებს, წარწერებს, ჩუქურთმებს, გამოჰყავდათ სარკმელები, გუმბათი და გუმბა-თის ყელი, შეეძლოთ სტანდარტული, კანონიკური დეტალების ახლებური კომბინაცია.

ხუროთმოძღვარი იყო მშენებლობის კონსტრუქტორი, არა მხოლოდ გეგმის შემდგენი. მას უყურებდნენ როგორც დამკვეთის ნების ტექნიკურ შემსრულებელს.

მშენებლები იშველიებდნენ წარმართული დროის ორნამენტულ, სკულპტურულ და რელიეფურ ტრადიციებსაც (მაგ., ბოლნისის სიონის ხარისთავი, ცხოველები და ფრინველები). მაგრამ მთავარი იყო ჯვართა სიუხვე. ჯვარის ძალით მიემართებოდა ტაძარი ზეცისაკენ.

ხუროთმოძღვრები აგებდნენ მეფის, დიდებულთა, ერისთავთა, კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა სასახლეებს, ციხე-სიმაგრეებს, მათ კედლებსა და გოდოლებს.

მაგ., სვეტიცხოველის ეზოში იდგა კათალიკოსის სასახლე.

აშენებდნენ როგორც ძელის, ისე ქვიტკირის შენობებს.

მათი ნაკვალევი თითქმის არ შემორჩენილა.

გაქრა არქიტექტორთა და მხატვართა სახელებიც. დარჩა მხოლოდ ტრადიცია, რაც გადაეცა ახალ თაობებს.

პირველი ეკლესია-ბაზილიკები

თავდაპირველი ეკლესიები მცირე მოცულობისა იყო და მრევლი სივიწროვისა თუ შიშის გამო ღვთისმსახურების დროს გარეთ იდგა.

IV საუკუნით ათარიღებს გ. ჩუბინაშვილი ნეკრესის უძველეს და ჭერემის მცირე ეკლესიებს. ამავე დროს აუგიათ წილკანის ბაზილიკა, რომელიც V საუკუნეში სამნავიანად უქცევიათ, VII-ში კი გუმბათიც დაუდგამთ.

წმ. ნინოს რჩევით მირიანმა იმ ადგილზე, სადაც სიდონია დაიმარხა, ეკლესია ააშენა. შემდეგ იქ ბაზილიკა აღმართა ვახტანგ გორგა-სალმა.

მაშინდელია ბოდბის ეკლესიაც. ესენი უფრო განკუთვნილი ყოფილა არა ღვთისმსახურებისათვის, არამედ – წმინდანთა და სასულიერო პირთა სამარხად – მარტირიუმად (მაგ., ლეგენდის თანახმად ბოდბეში დაიკრძალა წმ. ნინო).

ასეთი ბაზილიკები (უგუმბათო ტაძრები) შენდებოდა V საუკუნეშიც.

ისინი აგრძელებდნენ წარმართულ ტრადიციებს. მაგრამ თანდათან შემოდიოდა ქრისტიანულ-ბიზანტიური არქიტექტურის ატრიბუტები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლნისის სიონი. იგი თლილი ქვით არის აშენებული, აქვს ნალისებრი საკურთხეველი, სატრაპეზო ადგილი, განიყოფა სამ ნავად. შენობა ეყრდნობა სწორკუთხოვან სვეტებს, ორმწკრივად განლაგებულ ხუთ-ხუთ პილონს.

ყურადღებას იპყრობს რელიეფური კომპოზიციები – ხეები, ჯიხ-ვი, ფრთოსანი ლომები, შველი და დათვი, ჯვარი ორ ფარშევანგს შო-რის, ხარის თავი, ვაზის ფოთლები და მტევნები.

მათ პარალელებს პოულობენ ირანულ მაზდეანურ ხელოვნებაში (შ. ამირანაშვილი). ერთ-ერთ წარწერაში იხსენიება დავით ეპისკოპოსი, რომელიც 506 წელს დვინის კრებას დასწრებია.

უფრო დიდი გაზილიკებია ურბნისის სიონი და წყაროსთავის ეკლესია, რომელიც შემდეგ გუმბათიან ტაძრად გადაკეთდა, ტფილისის ანჩისხატიც რამდენიმეჯერ არის რეკონსტრუირებული.

სამშვილდის გაზილიკა ააგო საგდუხტ დედოფალმა, ვახტანგ გორგასალის დედამ, ანჩისხატი – დაჩი უჯარმელმა, ვახტანგის ვაჟმა.

ასევე უძველესია ბიჭვინთის გაზილიკა (IV ს.), რომელსაც ჰქონია მარმარილოს მრგვალი სვეტები და გეომეტრიული კომპოზიციის მოზაიკური იატაკი. იგი ძლიერ დაზიანებულა VI საუკუნეში და აღუდგენიათ VIII საუკუნეში;

V საუკუნეს განეკუთვნება შუამთის გაზილიკა.

VI საუკუნიდან ყალიბდება სამეკლესიანი გაზილიკის ქართული ტიპი (გ. ჩუბინაშვილი). შემდეგ მას მოჰყვება ოთხკამარიანი (ტეტ-რაკონქი) ჯვარის ტიპის გუმბათოვანი ტაძრები.

ჯვარ-გუმბათოვანია (მცხეთის ჯვარი – 585-605 წ. წ., ძველ-გავა-ზის საყდარი – VI ს., ქაშუეთის პირველადი ტაძარი, აგებული დავით გარეჯელის მიერ – VI ს., მანგლისის ტაძარი – VII ს., ნინოწმინდის კათედრალი – VI ს., შუამთის მცირე ტაძარი, ატენის სიონი – VII ს.

ახლახანს მდ. დურუჯთან აღმოაჩინეს V საუკუნის ნატაძრალი. იგი სამნავიანი გაზილიკა ყოფილა – სიგრძე 44 მ, სიგანე – 29 მ, სიმაღლე – 15 მ.

აუგიათ ვახტანგ გორგასლის დროს.

იქვე აღმოჩნდა ნაკურთხი წყლით სავსე ერთტონიანი ქვევრი, რომელსაც V-VIII საუკუნეებს განაკუთვნებენ (არქეოლოგი ნოდარ ბახტაძე).

ასე დაინგრა მრავალი ეკლესია-ტაძარი. ზოგის ნანგრევებიც აღარ ჩანს, ალბათ დრომ მთლიანად დაშალა ან სხვა მშენებლობას მოხმარდა ქვები. ამიტომ შემოგვრჩა მხოლოდ სახელები – ნაქალაქარი, ნაციხვარი, ნატაძრალი, ნასოფლარი, ნასაყდრალი (მეგრ. ნოდოხორუ, ნო-ჯიხუ, ნოქადაქი, ნაოხვამუ).

გუმბათი იდგმებოდა შუა ნავის ცენტრში – კვადრატს ცვლიდა წრე, როგორც იყო მიღებული ბიზანტიურ არქიტექტურაში (შ. ამირანაშვილი).

შემდეგ ცენტრალურ ნაწილზე დადგმულ გუმბათს გაუჩნდა საყრდენი სვეტები (წრომის ტაძარი – 626-635 წ. წ. ქტიტორი სტეფანოზ მეორე).

სპეციალისტები პარალელს ავლებენ სომხურ და ბიზანტიურ ქრისტიანულ არქიტექტურასთან. მსგავსება გამოწვეული არის ერ-თიანი რელიგიური კონცეფციით, განსხვავება – ეროვნული და ინ-დივიდუალური ხედვით. ქართული არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს აძლევენ სათავეს მცხეთის ჯვრის, წრომისა და იშხანის ტაძრები (შ. ამირანაშვილი).

ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრები

თავდაპირველი ძელის ეკლესიები სწრაფად გაქრა. მათი ადგილი დაიჭირა ქვიტკირის შენობებმა. მათ კედლებს მოსავდნენ თლილი ქვით. ხურო (დურგალი) საეკლესიო მშენებლობაში შეცვალა კირით ხურომ (კალატოზმა/გალატოზმა). მშენებელ ხუროთმოძღვარს შეეძ-ლო თავისი ფანტაზიით განევრცო ტაძარი და დაეგეგმარებინა, თუ კი ეკონომიკური პოტენციალი საშუალებას მისცემდა, ოღონდ – დამკვეთთან შეთანხმებით.

ბაზილიკების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ჯვარ-გუმბათიანი ტაძრები, რაც ბიზანტიაში ვრცელდება VI საუკუნიდან. გუმ-ბათი კომპოზიციურად კრავდა ტაძრის კონსტრუქციას. იგი იყო რო-გორც კულმინაცია, როგორც ემოციური დაძაბულობის მწვერვალი ლიტერატურაში.

გუმბათს წრიული, კონუსური სახურავით ხურავდნენ, ხოლო გვერდითა ნავებს სწორფერდა სახურავი ჰქონდა (ძველქართულში გუმბათს გვირგვინი ერქვა).

გუმბათის ყელი, როგორც გედის ყელი, ისე იტაცებდა მრევლის მზერას. იგი ეყრდნობოდა სვეტებს, ჩვეულებრივ – ოთხ სვეტს შენობის ცენტრალურ ნაწილში, რაც ზრდიდა შიდა სივრცეს და აკუსტიკას.

ოთხი სვეტი ოთხი სახარების სიმბოლიკაა.

იყო ორსვეტიანი და უყელოც (მაგ., არმაზი ქსანში, 864 წ., ბედია – X-XI ს. ს.), როცა გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის კედლებს.

გუმბათის ყელს ჰქონდა სარკმლები. მათი რიცხვი იცვლებოდა (მაგ., სვეტიცხოველს აქვს 16 სარკმელი, ასევე – ალავერდს).

მაგრამ მეტწილად 12 სარკმლიანია, რაც არის 12 მოციქულის სიმბოლიკა და სინათლის წყარო.

გუმბათის ყელის სიმაღლეც იცვლებოდა (მაგ., ალავერდი – 50 მ., ბანა – 30 მ.), ისევე როგორც ტაძრის სიმაღლე, სიგრძე-სიგანე, შიდა სივრცის კონსტრუირება, აფსიდების განაწილება, ფასადების ფორმა, სამშენებლო მასალა, გუმბათის დიამეტრი (მაგ., სვეტიცხოველისა – 10 მ., შდრ – აია სოფიასი – 32,5 მ.).

გუმბათზე იდგა ჯვარი, ცისკენ მზირალი, როგორც ჯვარცმული ქრისტე, ქვეყნიერების 4 კუთხე და 4 მიმართულება.

ხუროთმოძღვრის აზროვნება სპეციფიკური დეტალების ქვის ხაზებად ამეტყველებაში ვლინდებოდა, რათა პათეტიკური სული შთაებერა მორწმუნისათვის, რათა მორწმუნეს ეგრძნო ღვთაების ტაძ-რად ყოფნა, ზეციური სამეფოს მიწად ჩამოსვლა.

ზოგ მათგანს შემოჰქონდა სიახლე, რასაც იზიარებდნენ შემდგომი დროის ოსტატები (მაგ., სამთავისში საკურთხევლის თავზე დიდი ჩუქურთმიანი ჯვარი, ოპიზაში კედლების მოპერანგება თლილი ქვის კვადრებით, წრომის ტაძარში ფასადების ფრონტონებით დასრულება, ოთხკამარიანი ჯვარის ტიპის გუმბათოვანი ტაძრები).

ხუროთმოძღვართა სახელები დროში იკარგებოდა. მხოლოდ ტაძრის წარწერები ინახავდა მათ ხსოვნას.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ სვეტიცხოველი აუგია არსუკისძეს. ამას გვაუწყებს ტაძრის წარწერა და მკლავის რელიეფი.

იშხანს საბოლოო სახე მისცა ივანე მორჩაძსძემ (1032 წ.). ატენის სიონი აუგია სომეხ თუ ბერძენ თოდოსაკს, ოშკი – გრიგოლს, რომელიც გამოუსახავთ ერთ-ერთ სვეტზე, კუმურდო – საკოცარს, ხანძთის ახალი ეკლესია – ამონას (X ს.), დოლისყანა – გაბრიელს (X ს.). მაგრამ სახელით იწყება და

მთავრდება მათი ბიოგრაფია.

ზოგ ტაძარს გალავანი ჰქონდა შემოვლებული, როგორც ციხე-სი-მაგრეს (მაგ., სვეტიცხოველს, თუმცა იგი გვიანდელია).

როგორც ხელნაწერ წიგნებს, ისე ტაძრებს ამკობდნენ ქტიტორთა, თაოსანთა და ამშენებელთა წარწერებით:

მაგ., ატენის სიონი ახსენებს არჩილ მეფეს, ბუღა თურქის მიერ ტფილისის დაწვასა და ამირა საჰაკის მოკვლას, კახაძსა და მისი ძის თარხუჯის შეპყრობას, სტეფანოზ მამფალისა და დედოფალ გუამავ-რის გარდაცვალებას, მამფალ სუმბატ აშოტის ძეს, მირიანის ძე გურ-განელს, ციხისთავს, რომელსაც ატენში აუგია სახლნი და ქულბაგი, ბაგრატ სევასტოსსა და მის ძეს გიორგი კურაპალატს (გ. აბრამი-შვილი).

სარკმლები და კარიბჭეები, სვეტები იყო მოჩუქურთმებული, რო-გორც ბაზისი, ისე სვეტისთავი (მაგ., ბაგრატის ტაძარი, ბანა, იშხანი, კაცხის ტაძარი, ნიკორწმინდა, ოშკი).

თაღები დეკორატიულია (მაგ., ოპიზა, ბაგრატის ტაძარი, ალავერ-დი). ზოგს აქვს მოზაიკა (მაგ., ბიჭვინთის ბაზილიკა, იშხანი, ბაგრა-ტის ტაძარი).

მიუხედავად იმისა, რომ ტაძრები მტკიცე ნიადაგზე შენდებოდა, შენდებოდა გულმოდგინედ და პროფესიულად, დრო, მიწისძვრა, დამპყრობელი, ხანძარი მაინც არღვევდა მათ მონოლითურ სხეულს და აუცილებელი ხდებოდა რესტავრაცია.

ღმერთის სახელი და დიდება ვერ აჩერებდა დროის მსახვრალ მოქმედებას.

ტაძრის ინტერიერი, ქტიტორთა დახმარება, თავად მოღვაწეთა ინტერესი იძლეოდა საშუალებას, რომ განვითარებულიყო კედლის მხატვრობა, რელიეფური ქანდაკება, ხატწერა, ლითონის პლასტიკა, ხოლო წიგნი და ხელნაწერი მინიატურის ხელოვნებას წამოსწევდა.

ამდენად – ქრისტიანულ ხელოვნებას, როგორც თეოლოგიური სისტემის ილუსტრირებას, ჰქონდა პრაქტიკულ-ღვთისმსახურებითი ფუნქცია (შდრ – სოციალისტური რეალიზმი ბოლშევიკურ სსრკ-ში).

ლუარა სორდია



სიზმრების მწველი ბურუსი

ნიკო სამადაშვილის შემოქმედება ყურადღებას იქცევს მრავალმნიშვნელოვანი სახე-ცნებებით. ასეთია სიზმარი, ზღაპარი, არაკი, ბალადა, თქმულება, ლანდი, ზმანება, რომელთა დიდი ნაწილი პოეტურ ფანტაზიას, ხილვებს, მხატვრულ გამონაგონს უკავშირდება.

ანალოგიური გაგებით მიმართავდნენ ამ ცნებებს მწერლობაში.

შარლ ბოდლერი ბრძენის სიზმრებისგან განასხვავებდა პოეტის სიზმრებს, სტეფან ცვაიგი დოსტოევსკის შემოქმედების უმთავრეს მახასიათებელად წინასწარმეტყველურ სიზმრებს მიიჩნევდა, ალექსანდრ ბლოკი მხატვრულ გამონაგონს არამიწიერ სიზმარს უწოდებდა. გრიგოლ რობაქიძის განსაზღვრებით, „ხელოვნური სინამდვილე ზღაპარია, მითი, ლეგენდა. ხელოვანი თვალღია სიზმარშია გახვეული“. კონსტანტინე გამსახურდია საუბრობდა „ზმანებისა და მითის ჯადოზე“, ურომლისოდაც იწყება მწერლის კრიზისი, უოტ უიტმენი პოეტის სიზმარს, ზმანებას უკეთებდა აქცენტს, ტერენტი გრანელი თავის შემოქმედებას „დედამიწის სიზმრად“ მოიხსენიებდა, გალაკტიონი „ოცნება სიზმრად“.

მიწიური ცხოვრების სიზმარეულობაზე, ილუზორულობაზე ამახვილებდა ყურადღებას აღმოსავლური (ჩინური,ინდური,კორეული) პოეზია (აღმოსავლური პოეზია, თარგმანი თამაზ ჩხენკელის, თბ,1981) .



ანალოგიური მოსაზრება გვხვდება ფრანგულ, რუსულ, ამერიკულ (ედგარ პოს) პოეზიაში.

ასეთი განცდა უცხო როდია კონსტანტინე გამსახურდიასთვის: „განა ჩვენი სინამდვილე სიზმარზე უსიზმარესი არ არის?“ („დიონისეს ღიმილი“) .

სიზმარში სიზმარზე საუბრობდნენ ედგარ პო, უოტ უიტმენი, გალაკტიონი.

„ის რაც წარსულში მოხდა, ფაქტიურად სიზმარში მოხდა . აი, რატომ ამბობენ, რომ მთელი ცხოვრება სიზმარია, მხოლოდ თქვენ არა ხართ სიზმარი, სიზმრის მაყურებელი შეუძლებელია სიზმარი იყოს. სხვა შემთხვევაში სიზმარი არ იარსებებდა, წერდა გჰაგვან შრი რაჯნეში (1,258).

ამ მოსაზრებას ეხმაურებოდა ტერენტი გრანელი: „და სიცოცხლე სიზმარია ღამის“ (სიჩუმეა და ქარიშხალს ვუცდი, ტ.I ,1991, გვ.144).

რუდოლფ შტაინერი „სულიერი კულტურის კარიბჭედ ფანტაზიას“ მიიჩნევდა.

„მე ვჭვრეტდი კაცობრიობის უძველეს სულიერ შემეცნებას, რომლის მახასიათებელია სიზმარეული მდგომარეობა... შუა საუკუნეებში ადამიანმა მიაღწია ცნობიერი სამშვინველის ფლობას. მას აღარ ჰქონდა მეტად შემეცნებითი სიზმრები“, წერდა შტაინერი (2, 412).

„სულის შემეცნების ამოცანაა მღვიძარე ცნობიერების, შემეცნებადი ნების საშუალებით იდეის განცდა მიიყვანოს რეალურ სამყაროსთან... ნახევრად მღვიძარე, ნახევრად სიზმარეული ძველი სულიერი შემეცნების საპირისპიროდ - ეს გახლავთ სრულიად ცნობიერი მისვლა სულიერ სამყაროში“, ასკვნიდა შტაინერი (2,413).

ანთროპოსოფიის ფუძემდებლის აზრით, „პირველდაწყებითვე არსებობდა ინსტინქტური ნათელმხილველობის ერთგვარი სახეობა, სიზმარეული ნათელმხილველობა“ (2,261).

„ხელოვნებაც სამ თავდაპირველი სიზმრისეულ-ხატებრივი სულის განცდიდან ამოიზარდა“ (2,423).

ამასთან, შტაინერის აზრით, „ფანტაზია... კულტურის შემოქმედია, ფანტაზია არის „სულიერი კარიბჭე კულტურისა“ (2,215).

„სიზმარი არის სიმბოლური... სიზმარში შეიძლება მთელი ისტორიების დანახვა“ (3,116).

„შინაგანი მდგომარეობაც ასევე პოულობენ სიმბოლურ ასახვას სიზმრებში... განსაკუთრებული შინაგანი სენსიტიურობის მქონე ადამიანებთან... სიზმარი მოქმედებს, როგორ წინასწარმეტყველება“ (3,117).

„საკუთარი სიზმრების მეშვეობით ადამიანი შემეცნებას იძენს. სიზმრებში ასევე, შეიძლება გადმოიცეს ზენა სამყაროთა ზეგავლენები. შთაბეჭდილებები ზენა სამყაროებიდან სიზმრებს ჰგავს“.

სიზმრის მნიშვნელობას, ცხოვრებასთან მის კავშირს ხაზს რომ უსვამს შტაინერი და იმოწმებს ედისონის სიზმარს: ერთხელ ედისონს ესიზმრა, როგორ გაეკეთებინა ვარვარა ნათურა. მან დაიმახსოვრა ეს სიზმარი და ნამდვილად გააკეთა ისეთი ნათურა, როგორიც მას ესიზმრა. მთავარი ისაა, აქვს თუ არა სიზმარს რამე მნიშვნელობა ცხოვრებისთვის“ (3,118).

ადამიანს „ძილში ეხსნება სინამდვილის არსი და მაშინ მას შეუძლია სიზმრები ამ სინამდვილზე შეამოწმოს“ (3,119).

რუდოლფ შტაინერი ახსენებს ფრანცისკო ასიზელის წინასწარმეტყველურ სიზმარს, რომელშიც ინიციაციის გზაზე შემდგარ ყმაწვილს ესიზმრა იარაღი, ფარი და მოესმა ვიღაცის ხმა: იარაღი, სიზმარში რომ იხილე, გულმოწყალების, თანაგრძნობისა და სიყვარულის მშვინვიერ-სულიერი იარაღია, ფარი კი ნიშნავს ცნობიერებას, რომელიც მოწყალების, თანაგრძნობისა და კაცთმოყვარეობისადმი მიძღვნილ შენს ცხოვრებას ამა სოფლის სიბნელეებისგან დაიცავს და დაიფარავს“ (4,33).

თალმუდის მიხედვით, სიზმარი წერილია და თუ არ გაშიფრე, ეს იგივეა, წერილი მიიღო და არ წაიკითხო.

„სიზმარი ფანტაზიის ნაირსახეობაა, ფანტაზია, რომელსაც უფრო ღრმა კავშირი აქვს პიროვნების ძირეულ არსთან ან მის ინტიმურ საიდუმლოსთან, ვიდრე ფხიზელი ცნობიერების დროს აღნიშნავს ადამიანი საკუთარი თავის შესახებ... ამდენად, სიზმარი, როგორც ლაკმუსის ქაღალდი, ამჟღავნებს პიროვნების რეალურ არსს“ (5,174).

მუდმივად შთაგონების ექსტაზში მყოფი ნიკო სამადაშვილი მშფოთვარე სიზმრებს ხედავდა, ლოცვას აღავლენდა, ლანდებს დასტრიალებდა, ზარები ჩაესმოდა, წარმავალი წუთისოფლის მიღმა იხედებოდა: „ყოველ ღამე სიზმრებში ვარ, გულს ლოცვებით აიტიალებ, საყდარი ჩანს, ზარებია და მეც ლანდებს დავტრიალებ. სადღაც მნათე ზეცის თაღს რეკს, წუთისოფლის კარგა გაღმით, ქაოსები გზებს კენკავენ, ასე ხდება ყოველ ღამით“ (მილულვა) (6,61).

პოეტის „სხეულის საგიჟეთში გამომწყვდეული“ ლექსები სიზმრებს (ფანტაზია-გამონაგონს) უკავშირდება: „ ორმოცი წელი დაფრენილი ლექსების გუნდი, ჩემი სხეულის საგიჟეთში გამომწყვდეული... მიყვარდა მაშინ... სიზმრების ცქერა“ (ძალო ეკატერინეს) (788-89).

არ ტოვებდა „ზმანება“, „ფიქრების ზვინი“ მისთვის ორმანული იყო „ლანდებთან გაასი“(ფერიცვალება) (6,362).

„შემოქმედების ურთულეს გზებზე გასული, მოწოდებით პოეტი, წმინდანივით ლოცულობდა, „მბჟუტავ სიზმრებთან“ ათენებდა, ამასთან აცნობიერებდა, რომ მხატვრული სიტყვის საზღაური გულის სისხლი უნდა ყოფილიყო(მანიას. მარიამ ამანათაშვილს, ნ.ს.მეუღლეს) (6,46).

„თალხი სიზმრების დაყრილი ბარათები“ სევდიანი განწყობილების უზუსტესი არეკვლაა (გიშერი) (6,45).

პოეტი – „,მგზავრის სულის ფარანი“ მიენათებოდა „წარმავლობის ოხერ მარანს“, „დარდების ჭილი“, „განცდების ზღვარი“ იქცეოდა ბალადად და „გულის ხურათმოძღვარი“ ხდებოდა: „...სიზმრების ნიშზე ანთებული მგზავრის ფარანი, წარმავლობის ოხერ მარანთან ნაირ ფიქრების მწველი ჭრიჭინი, დარდების ჭილი, განცდების ზვარი. ეს იყო, ესაა ჩემი ბალადა, ჩემი გულის ხურათმოძღვარი“ (სტრიქონების ქარაფი. ციალა თოფურიძეს) (6,64-66).

საგულისხმო ქვეტექსტის შემცველია ფრაზა: „მიყურებს ქარი... ჩიფჩიფებს რაღაც დაბურულ ზღაპარს“ (წავალ, მოვკვდები, ვინ მომიგონებს) (6,123).

წმინდა წერილის მიხედვით, შთაგონების მომნიჭებელია სულიწმინდა, ხოლო მუზის გამოცხადება საღვთო ნიავის, ქარის მოვლინებასთან ასოცირდებოდა როგორც შუა საუკუნეების ესთეტიკაში, ისე შემდგომ პერიოდებშიც.

ნიკო სამადაშვილის ფილოსოფიური ლირიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა წარმავლობის და მარადიულობის დაპირისპირებაა და სწორედ ამ საკითხის მახასიათებელია „წარმავლობის დიდი ზღაპარი“: „...და მწვანე შუქზე გიბუტბუტია წარმავალობის დიდი ზღაპარი“ (საით, ვინ იცის) (5,217/218).

„წარმავლობის ღრენას“ „ზმანება“ ანუ ხილვა ახლავს (5,257).

„სიოს არაკი“, „სიზმრების კოცნა“, „ცისფერ აისებში“, „სამხარზე დარგული სიზმრები“, „სიზმრების მწველი ბურუსი“, „სიზმრების ნაღვერდალი“, „შეხერაზადას სიზმრები“, „ჭორფლიანი

ქონგურების სიზმრები“, „ზმანება ზამთარში“, „სიზმარი და გოდვა მგოსნების“ ისევ და ისევ მის მხატვრულ გამონაგონზე, შთაგონების პროცესზე მიუთითებს (აგარაკი, გულთამხილავი, სახლი ნარიყალაზე, გახსენება, ნაფოტები).

ლექსში „გიის ავტოპორტრეტი“ (5,61) აქცენტირებულია „ქარიშხლების ჯილაგი“, ზღაპრების დისკო, სიგიჟე და აშკარააა, რომ ამ შემთხვევაშიც შემოქმედებითი პროცესის თავისებურებაა წინ წამოწეული: „...ხან ქარიშხალების ჯილაგი მოგდევს... სადღაც ელავს ზღაპრების დისკო. შენი სიჩუმე და გარინდება ზურგშექცეული გიჟის ხმა არის“.

ნიკო სამადაშვილი ხაზს უსვამდა სულიერი სიფხიზლის, ხილვის, სმენის აუცილებლობას, რაც პოეზიის გადარჩენის აუცილებელი პირობად ესახებოდა. „ნუ ჩათვლემ ძმაო. აქ არის ხილვა, ზარების სმენა და პოეზიის გადარჩენა“ (აქ არის ღამის მაჯისცემა) (6,231).

მართლაც, წარმოუდგენელია ჭეშმარიტი შემოქმედება ნათელხილვის, ნათელსმენის გარეშე.

ნიკო სამადაშვილი ხედავდა დაუსაბამოს, მთის კონცხის იქით მიმავალ მგზავრებს, მიღმურ სამყაროს, ხედავდა სულს, ესმოდა ღმერთის გაფრენის ხმა, ტბების ტირილი, ოკეანის სიფონია, გეთხოვენის ფრთხილი ნაბიჯი...

არ სცილდებოდა „სიზმრების მწველი ბურუსი“ (იტყვიან, კაცი რაზე ლოთობდა) (6,107), „სიზმრების ნაღვერდალი“ (ერეკლე ტატიშვილს) (7,102-103).

ერთგან ამბობს: „...გახსოვს, სამხარზე სიზმრებს რომ ვრგავდით, ძუძუს რომ ვწოვდით ცისფერ აისებს“ (6,206).

ლექსში - „მარიამს. მეუღლეს“ (5,163) „დედის ბალადას“ ბურტყუნებს ქარი.

თავისი პოეზიის რელიგიურობას გამონაგონზე, ზღაპარზე აქცენტირებით ასე წარმოაჩენს: „ვერხვები სწოვდნენ შენს ზღაპრებს ძუძუს“ (იცი, რა იყო ჩემი სიზმარი?) (6,159).

ვერხვი სიცოცხლის ხის სიმბოლოა, პოეტი ხაზს უსვამს, რომ მისი ზღაპარი, გამონაგონი რელიგიურ თემას უკავშირდება.

სიზმარში სიზმრის ნახვაზე ამახვილებდნენ ყურადღებას ედგარ პო, უოტ უიტმენი, გალაკტიონი.

ნიკო სამადაშვილის პოეზია ამ თავისებურებითაც იქცევს ყურადღებას: „წუხელის შენი სიზმარი ვნახე, ხშირი ბაღები, ბოდა მგოსნების, გადაბურული პალმებით ღამე და ოდნავ სველი კვიპაროსები. მე ვნახე შენი სიზმრების ღამე“ (ჩემი სიზმარი) (6,104).

პალმები, კვიპროსები სიცოცხლის ხის სიმბოლოებია, ხოლო მიწიერი ბაღი ხალხის, ქვეყნის, ზეციური ბაღი-სამოთხის.

პოეტს ცხოვრებისგან ზურგშექცეული, კაცობრიობასთან გაბუტული, „ბნელი ფიქრებით შემოკვართული“ ვაიშემოქმედი წარმოესახება, როგორც „ბოსლის ობობა“, „ხრიოკი ქედი“, „ცრემლებით მოქსოვილი ქარის თქმულება“, რომელიც ვერ ასრულებს ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის ფუნქციას და ეფემერულია (სიმართლე) (6,179).

მეცნიერები განასხვავებენ „განცდილის, მომასწავებელ, წინსწარმეტყველურ სიზმრებს“ (9,56).

განცდილზე მიმანიშნებელი სიზმარია ნიკო სამადაშვილის ლექსში „შეხვედრები დღის ბოლოს. ვასო მურვანიძეს“ (6,123): „...სიზმრებში ხვდები შენს სიყმაწვილეს“.

განცდილის მაუწყებელი სიზმარია ლექსში „ შენ რო მოკვდები, მაშინ შეირყევი“ 96,49) : დევნილ სიცოცხლეს ბნელ სიზმრების ჯანყი მალავდა“.

ლექსის ადრესატი მართლაც დევნილი ერეკლე ტატიშვილია და პოეტი უცდომელი ფსიქოლოგიური ალღოთი მიანიშნებს, რომ დევნილი, გარიყული ადამიანი ბუნებრივად ავლენს სიზმარში ჯანყის, დაუმორჩილებლობის გრძნობას.

კარლ გუსტოვ იუნგის მიხედვით, „სიზმრები შეიძლება წარმოადგენდეს სურვილების ან შიშების მანიფესტაციას, შეიძლება მოიცავდეს გარდუვალ ჭეშმარიტებას, ფილოსოფიურ დებულებას, ილუზიებს, ველურ ფანტაზიებს, გეგმებს, ანტიციპაციას, ირაციონალურ განცდებს, ტელეპატიურ ხილვებს“ (10,305).

ნიკო სამადაშვილის ლექსი „დასასრული“ (6,122) წინასწარმეტყველური სიზმრის ნიმუშია: „თითქმის ყოველღამ ჩემს სიზმრებში სიკვდილსა ვხედავ. პირქვე დაცემულს ქარიშხლებიც ვერ ამაყენებს“.

მართლაც, ქუჩაში უგონოდ დაეცა პოეტი და მერე არც ამდგარა, რაც ბუნებრივად იწვევს ასევე ქუჩაში დაცემული და სიცოცხლეს განშორებულ ედგარ პოს აღსასრულის ასოციაციას.

ქართველი პოეტის ლექსში „დამშვიდობება და სინანული“ (5,211-212) სხეული წარმოჩნდება, როგორც „ფუტურო“, გულის სიზმარი კი მოიხსენება გოლგოთასთან, აქვე „ქვესკნელის წყლები“ ფიგურირებს: „ფუტურო სხეულს გულის სიზმარი შერჩება, როგორც გოლგოთას თხრილი. თვალს შეგავლებენ ქვესკნელის წყლები“.

სხეულის ეპითეტი „ფუტურო“ (ეს ეპითეტი მრავალგზის გვხვდება მის პოეზიაში) ხაზს უსვამს სხეულის წარმავლობას, გულის სიზმართან გოლგოთის მოხსენებაც არ არის შემთხვევითი, რადგან პოეტს თავის ჯვარცმაზე, წამებაზე მრავალგზის გაუსვამს ხაზი და ის მართლაც იყო ლექსისთვის, არსებობისთვის ჯვარცმული.

ამ ლექსის ამოსავალია პოეტის მიერ ცხოვრებაში გადატანილი ჯოჯოხეთური ტანჯვა და, განცდილთან ერთად, წინასწარმეტყველური განჭვრეტაც არის მომავლის, რადგან ჯვარცმას ყოველთვის ენაცვლება აღდგომა, გოგლგოთას-გალილეა.

ზიგმუნდ ფროიდის მიხედვით, „სიზმარი ოკულტიზმს უკავშირდება“. ხშირად სიზმარი განიხილება, როგორც მისტიკური სამყაროს კარიბჭე... ბევრისთვის იგი ითვლება ოკულტურ ფენომენად... მას არაერთი ძაფი აკავშირებს ბნელით მოცულ საგნებთან.

„...ოკულტიზმის სამყაროში ყველა ნიშანი, სასწაული, წინასწარმეტყველება და სულის გავლენა ახლებურად წარმოჩნდებიან... რელიგიები... მასში ხედავენ, ზეადამიანური ძალების ზემოქმედებას და დასაბუთებას“.

„ტელეპატიის ფენომენი შეიძლება სიფხიზლეშიც ხდებოდეს... ძილის მდგომარეობა ტელეპატიური ცნობების მიღებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი ჩანს“, წერს ფროიდი (11,260).

ნიკო სამადაშვილი ძალზე მისტიკური პოეტია, მისთვის ორგანულია „მისტერიებით თრობა“, მისტერიების თანხლება, „ანთებულ სანთლების წინ მისნობა“, „სამყაროს გაღმა“ გასვლა და „მისანივით“ ჩაფიქრება (სად არის, სადა?) (5,55) (ასე მარად) (3,134).

ელენე გლავატსკაია განასხვავებდა წინასწარმეტყველურ, ალეგორიულ,ადეპტების მიერ გამოგზავნილ, რეტროსპექტულ, გამაფრთხილებელ და უწესრიგო, ქაოტურ სიზმრებს (საიდუმლო დოქტრინა) (12) .

პოეტი ყოველთვის „სამყაროს მიღმა“, ხილულის მიღმა არსებულ საიდუმლოებებს უღრმავდებოდა, ხედავდა სხვათათვის უხილავს, განგების ჩრდილს, ესმოდა დუმილის ხმა, აღწევდა ჩვეულებრივთათვის მიუღწეველს, ხედავდა მიცვალებულებს, ებაასეებოდა სულებს, ესმოდა „ქარის იდუმალი ზღაპარი“, ევლინებოდა წინასწარმეტყველური ხილვები.

დამოწმებანი

1. გჰაგვან შრი რაჯნეში, ტანტრა. უდიდესი შეცნობა. თარგმანი მერაბ ხერგიანის, „საუნჯე“, 1991წ.
2. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“ თბ.1994
3. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან, მთარგმნელები: ლ.ბაბლუანი, ა.კვარაცხელია, თბ.2014
4. რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, გიორგი ნიშნიანიძის საერო რედაქციით, წინასიტყვაობითა და კომენტარებით, თბ. „ხომლი“, 1994.
5. ნოდარ სარჯველაძე ფსიქოლოგიური საუბრები, თბ.1995
6. ნიკო სამადაშვილი, „ფერისცვალება“, თბ.2004
7. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, თბ.2010
8. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, თბ.2006
9. რევაზ ნათაძე, რა არის სიზმარი, თბ.1948
10. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები , თბ.1966
11. ზიგმუნდ ფროიდი, ფსიქოანალიზი, მთარგმნელი და რედაქტორი ვიტალი კაკაბაძე, თბ.2009
12. ელენე გლავატსკაია, საიდუმლო დოქტრინის, კომენტარები, გლავატსკაიას ლოჟის თეოსოფიური საზოგადოების შრომები, საიდუმლო დოქტრინის I ტომის სტანსების განხილვა. გამომცემელი და მთარგმნელი ვაჟა ნარიმანიძე თბ.2011

Ratiani Lali
Professor Doctor Staatlicher
Universit□t Sochumi



EIGENTÜMLICHKEITEN DER HAUPTSÄTZE IM SATZGEFÜGE

Es geht in dieser Arbeit um die strukturell-semantischen Eigentümlichkeiten der Hauptsätze in den Subjektsätzen und die Besonderheiten der Satzgefüge die, die Realisierung der syntaktischen Funktionen des **Subjekts** durch die Nebensätze bedingen, die als zahlreiche strukturell-semantische Modelle dargestellt werden können.

Satzmodelle:

I-HS-Korrelat [es] + Kopula Verb-sein, werden, bleiben, dünken, scheinen+Prädikativ: Subst.Adj. gewisse Einschätzung, Bewertung+dass-NS

z.B. Es ist ein Kummer, dass er seine Jugend nicht in vollen Zügen genießen kann.

II- HS- Prädikativ: *Subs.Adj.gewisse Einschätzung,Bewertung*+dass-NS

z.B. Ein Wunder, dass seine Worte meine Hoffnungen gestärkt haben.

III-**HS-Korrelat [es] + Prädikat Verb-Geschehen, Empfinden+ Objekt:Subst.Pron.Person, Ding, Erscheinung+dass-NS**

z.B.Es geschah, dass sie eines Tages ihr Schicksal in meine Hände legte.

IV-HS-Korrelat *[es]* + Prädikat *Verb,Passiv-sagen,Mitteilen, Indikativ,Konjunktiv*+dass-NS

z.B.Es wird behauptet, dass bei klarem Wetter der Turm auch von weitem sichtbar ist/sei.

V-**HS-Korrelat*[es]* + sein + zu + Infinitiv *Verb−Sagen, Mitteilen, Empfinden*+dass-NS**

z.B.Es ist zu spüren, dass sich sein Gesundhitszustand gebessert hat.

VI-**HS-Korrelat*[es]* + Prädikat *Verb-Passiv, Sagen,Mitteilen*+ NS-Subjekt *[Subst. Pron.]* + Prädikat *Verb-Ind. Konjunkt*+ Objekt *Subst. Pron***

z.B.Es wird mitgeteilt, die Polizei hetze die Hunde auf den Verbcrecher.

VII-**HS-Korrelat [es] + Kopula Verb-sein, werden, bleiben. dünken, scheinen+ Prädikativ Subst.Adj.-*ungewisse Einschätzung, Bewertung*+ob-NS**

z.B Es sind quälende Zweifel, ob ich richtig gehandelt habe.

VIII-**HS-Prädikativ Subst.Adj.-ungewisse Einschätzung, Bewertung+ob-NS**

z.B.Ein Problem, ob dieses Vorhaben technisch realisbar ist

IX-**HS-Korrelat[es] + Prädikat Verb.Passiv Fragen.,Ungewissheit+ob-NS**

z.B Es wird gefragt, ob diese Briefmarken an Wert verloren haben.

X-**HS-Korrelat *[es]* + sein + zu + Infinitiv *Verb-Fragen,Ungewissheit*+ob-NS**

z.B.Es ist zu prüfen, ob sein langjähriger Wunsch wirklich in Erfülling gegangen ist/sei.

XI-**HS-Korrelat+[es] + PrädikatVerb-PassivFragen, Ungewissheit/Sagen,Mitteilen+ Relativpron. Relativadv. *Indirekte Frage*-NS**

z.B.Es wird gründlich überlegt, wie diese Schwierigkeit zu lösen sei.

Fragen zur Selbstkontrolle: Welche syntaktische Funktion erfüllen die Subjektsätze?.Auf weiche Fragen antworten die Subjektsätze? Wie sind die Subjektsätze nach ihrer Stellung im Satzgefüge?Wie werden die Subjektsätze nach der Art ihrer Verbindung mit dem Hauptsatz eingeteilt? Durch welche

Konjunktionen, Relativpronomen und Relativadverbien werden die Subjektsätze eingeleitet? Was ist die semantische Funktion des nominalen Prädikats im Hauptsatz mit einem *Dass*-Subjektsatz? u. v.a.\

Ziel der vorliegenden Arbeit ist die charakteristische Züge der Subjektsätze sichtbar zu machen, ihre Spezifik festzustellen, durch die Beschreibung von eigentümlichen charakteristischen Merkmalen die Sätze dieser Art zu ergänzen, die Besonderheiten der Satzmodelle und-Strukturen, ihre bestimmte syntaktische Funktionen darzustellen, durch die den bekannten deutschen Schriftstellern entnommene Subjektsätze gefestigte Übungen kennenzulernen und die Notwendigkeit ihrer Erfüllung hervorzuheben, beim Erlernen der deutschen Sprache die für das georgische Auditorium geeignete Fehler zu berücksichtigen, Ausnahmsfälle an den Tag zu legen.

Der Subjektsatz erfüllt im Satzgefüge die Funktion des Subjekts und antwortet auf die Fragen wer? was? Der Stellung nach im Satzgefüge sind die Subjektsätze vorder oder Nachsätze.

z.B. Es ist allbekannt, dass gleiche Paare am besten tanzen. (Sprichwort).

Nach der Art der Verbindung mit dem Hauptsatz sind konjunktionale, relative ynd konjunktionslose Subjektsätze zu unterscheiden.Die konjunkdonalen Subjektsätze werden am häufigsten durch die Konjunktionen: **dass**, **ob**, seltener durch **wenn, als** eingeleitet.

z.B.Dem entronnenen Menschen genügt für erste schon das allein, **dass** er frei ist und atmet.

Das im Hauptsatz fungierende nominale Prädikat hat eine besondere semantische Funktion − durch den nominalen Teil des Prädikats wird die im Nebensatz geschilderte Handlung, der Vorgang bewertet. Dementsprechend treten als nominaler Teil des Prädikats die Substantive auf, in deren Bedeutungen der Begriff der Einschätzung vorhanden ist: **Freude, Glück, Segen, Schande, Blamage, Skandal, Schmach, Schimpf, Sieg, Sünde, Trost, Wunder** u.a.

z.B. Es ist doch ein **Skandal**, dass er sich sinnlos betrunken hat. (K. Bednar)

Die Substantive kommen im Hauptsatz ebenfalls als Komponenten der Wortverbindungen vor. **z.B. Die himmelschreiende Sünde** ist, wenn man seinen Nächsten verrät.

Die strukturell-semantischen Eigentümlichkeiten der Hauptsätze, von denen die **dass**-Subjektsätze abhängen, können folgenderweise dargestellt werden:

- der Hauptsatz wird durch das Demonstrativpronomen **es** eingeleitet, das als Korrelat im Satzgefüge fungiert. Als Kopula erscheint meistenfalls das Verb **sein**, relativ seltener werden die anderen kopulativen Verben **werden, bleiben, dünken, heißen, scheinen** gebraucht.

z.B.Es ist eine wahre Schande, dass du dich so dumm benimmst.

Die Adjektive, die im Hauptsatz als Prädikative vorkommen, werden in zwei eingeteilt: die, die eine sichere Einschätzung der Realität ausdrücken und die, die eine gefühlmäßige Bewertung des Ablaufs von Ereignissen bezeichnen. Zu der ersten Gruppe gehören die Adjektive: **bestimmt, wertlos, selbstverständlich, sicher, begreiflich, wichtig, zweifellos, klar, eisern, natürlich, freilich, bekannt, ersichtlich, echt, wahr** u.a.

z.B. Es bleibt **zweifellos**, dass er die tüchtigste Kraft unserer Universität ist.

Die zweite Gruppe umfasst die Adjektive: **lächerlich, wohltuend, angenehm, reizend, entzückend, traumhaft, schrecklich, wunderbar, gefällig, märchenhaft, erfreulich, unerwünscht, bedauerlich** u.a.z.B.Es war **lächerlich**, dass dieser kulturfeindliche Mensch zum Kulturminister ernannt wurde.

In der Funktion des Prädikativs erscheinen auch die substantivierten Adjektive in der Superlativen Form, wie: **das Schlimmste, das Schwerste, das Merkwürdigste, das Interessanteste, das Erstaunlichste, das Gefährlichste** u.a.

z.B.Das Erstaunlichste / **Gefährlichste** ist, dass er sich wie ein Elefant im Porzellanladen benimmt.

Als eine Abart dieser strukturell-semantischen Variante des Hauptsatzes ist ihre elliptische, unvollständige Form zu betrachten - das Korrelat und die Kopula werden weggelassen und die Struktur des Hauptsatzes wird nur durch das Substantiv oder das Adjektiv dargestellt.

z.B.Ein **Wunder** / **Schmach** / **eine Blamage** / **Sünde**, dass du dein Talent so verkümmern lässt.

Zum Wortbestand der Hauptsätze mit den **dass**-Nebehsätzen gehören: das durch das Pronominaladverb ausgedrückte Korrelat **es** und das Prädikat, das durch ein transitives Verb des Sagens und des Mitteilens im Passiv dargestellt wird: **feststellen, bestimmen, konstatieren, behaupten, versprechen, berichten, antworten, vortragen, schildern, äußern, verneinen, ablehnen, aussprechen, zugeben** u.a. z.B.Es wird behauptet, dass die Sache von größter Wichtigkeit ist.

Enthält der Nebensatz eine indirekte Rede, so wird das Verb oft im Konjunktiv gebraucht.

z.B. Es wird darüber berichtet, dass das Kabinett zurückgetreten sei.

Nicht selten bildet die Struktur des durch das unpersönliche Pronomen **es** eingeleiteten Hauptsatzes die Konstruktion **sein + zu + Infinitiv**. Die im Infinitiv stehenden Verben sind transitiv und semantisch nicht gleichartig. Meistens werden die Verben des Sprechens und des Sehens verwendet.z.B.Es ist zu erwähnen, dass Ostern und Pfingsten bewegliche Feste sind.

Zum Unterschied von den **dass**-Subjektsätzen drücken die durch **ob** eingeleiteten Subjektsätze eine unsichere, nicht festgestellte Bewertung der Information des Inhalts vom Hauptsatz aus. Auf die Bedeutung der Ungewissheit der im Hauptsatz angegebenen Tatsache weisen hin − die im Hauptsatz als Prädikativ fungierenden:

1. Substantive: **Frage, Unglaube, Bedenken, Zweifel, Unsicherheit, Verdacht** u.a.

z.B Es ist kein grundloser **Zweifel**, ob diese Lösung die einzig angemessene ist.

2. Adjektive: **fraglich, problematisch, bedenklich, zweifelhaft, interessant** u.a.

z.B.Es **ist fraglich**, ob der gesegnete Morgen einst kommt. (Duden).

Da die prädikativen Substantive lexikalisch begrenzt sind und keine zahlreichen Gruppen bilden, treten sie im Hauptsatz seltener als prädikative Adjektive auf. Zu den Adjektiven dieser Art gehören die Adjektive mit der Vorsilbe **un-** oder mit der Negation **nicht: unglaublich / nicht glaublich, unbestimmt / nicht bestimmt, unbekannt / nicht bekannt, unverständlich / nicht verständlich, unklar / nicht klar** u.a.z.B.Es **ist** immer **ungewiss** / nicht gewiss, ob er unser Angebot annimmt.

Die Wahl des Modus in den Subjektsätzen wird durch den Charakter der Aussage im Hauptsatz bedingt − wenn im Hauptsatz reale Vorgänge, Ereignisse als etwas Gegebenes dargestellt werden, werden die Zeitformen des Indikativs gebraucht. Wenn aber die Unwirklichkeit, nur irreale Wünsche, Möglichkeiten, Vorgänge genannt werden, werden die Zeitformen des Konjunktivs verwendet.z.B. Es erwies sich, dass die eine von dem ungehörigen Verhalten der anderen nichts **wusste**. (H. Mann).

Die **relativen Subjektsätze** werden eingeleitet: durch die Relativpronomen: **der, die, das, wer, was, welcher, welche, welches**; seltener durch die Relativadverbien: **wo, wohin, woher, wann, wie** u.a. Die Relativpronomen, die einen Subjektsatz einleiten, können in einem beliebigen Kasus mit oder ohne Präposition stehen.z.B.Wer lange droht, macht dich nicht tot. (Sprichwort).

Wenn der Subjektsatz ins Satzgefüge durch das Relativpronomen **wer** eingeordnet ist, so umschreibt er eine Person verallgemeinert. Der durch das **der**-Relativpronomen eingeleitete Subjektsatz bezieht sich auf eine Einzelperson.z.B.**Wer** sich an diesem Unternehmen beteiligt / Jeder, der sich an diesem Unternehmen beteiligt, muss eine schöne Summe bar bezahlen.

Bei dem relativen Subjektsatz kann im Hauptsatz das Korrelat **das** bzw. **der** stehen.

z.B.Was zuerst ins Fass kommt, **das** schmeckt man immer heraus. (Sprichwort)

Die Subjektsätze, die an den Hauptsatz ohne Konjunktion angeknüpft werden, werden konjunktionslose oder asyndetische Sätze genannt. Die Sätze dieser Art enthalten meist die indirekte Rede / Frage, stehen nach

dem Hauptsatz und haben die Wortfolge eines selbstständigen Aussagesatzes. Das Verb im Hauptsatz steht im Passiv. z.B.Es wird behauptet, der Versuch sei misslungen.

Im Hauptsatz treten außer den kopulativen Verben oft folgende Verben auf: **vorkommen, feststehen, sich herausstellen, sich zeigen, sich herauskommen, sich ergeben, sich erweisen** u.a. Die Verben im Nebensatz werden oft in der konjunktivischen Form verwendet.

z.B.Bei der Untersuchung ergab es sich, der Angeklagte hätte die Frau nicht gekannt.

Die Verben in den Nebensätzen dieser Art stehen im Konjunktiv.Der Subjektsatz hat einige funktionelle Synonyme. Als solche werden genannt: das substantivierte Adjektiv, das einen relativen Subjektsatz von geringem Umfang ersetzt: z.B.Wer krank ist, darf sich nicht überlasten. = Der Kranke darf sich nicht überlasten..

Für die Relativsätze von größerem Umfang ist derartige Transformation nicht üblich, das finite Verb des Subjektsatzes, das in der Form des substantivierten Partizips auftritt und als Subjekt fungiert:

z.B.Wer im Glashaus sitzt, soll nicht mit Steinen werfen. (Sprichwort) = Der im Glashaus Sitzende soll nicht mit Steinen werfen.

Das finite Verb des konjunktionalen Subjektsatzes in der Form des substantivierten Infinitivs, das das Subjekt des Satzes darstellt:z.B.Es ist erwünscht, dass er eigene Kandidatur durchsetzt. = Das Durchsetzen eigener Kandidatur von ihm ist erwünscht.

Das Substantiv, das aus dem Verb des Subjektsatzes gebildet wird:z.B.Mir ist längst bekannt, dass diese Ehe geschieden wurde. = Die Scheidung dieser Ehe ist mir längst bekannt.

Die Satzreihe, in die sich das Satzgefüge mit dem Hauptsatz folgenden Typs – es ist gut/schlecht/angenehm/interessant u.a. auflöst.

z.B.Es ist angenehm, dass er wieder hier ist.= Er ist wieder hier und das ist angenehm.

Die Arten der Übungen im Satzgefge mit dem Subjektsätzen::

1.Stellen Sie die Fragen zu den Nebensätzen /Wer geduldig ist, ist weise. (Sprichwort).

2.Im welchen von den unten angeführten zusammengesetzten Sätzen ist der Subjektsatz vorhanden?/Was die Rechte gibt, lass die Linke nicht wissen. (Sprichwort). **3. Charakterisieren Sie die Subjektsätze nach ihrer Stellung im Satzgefüge und der Art ihrer Verbindung mit dem Hauptsatz/.**/Dass die alte Königin nicht einfach „nein“ sagte, war das Gefährlichste/. (H. Mann).3 **Verbinden Sie die folgenden Satzpaare zu dem Satzgefüge mit einem konjunktionalen Subjektsatz.**/Muster: Dem Alten bereitet Freude. Sein Enkelkind hilft ihm. - Dem Alten bereitet Freude, dass sein Enkelkind ihm hilft./4. **Verbinden Sie die folgenden Satzpaare zu den Satzgefügen mit relativen Subjektsätzen.**/Muster: Wer gräbt anderen eine Grube. Er fällt selbst hinein. – Wer andern eine Grube gräbt, fällt selbst hinein. (Sprichwort).5.**Verbinden Sie die folgenden Satzpaare zu den Satzgefügen mit relativen Subjektsätzen.**/Muster: Wer gräbt anderen eine Grube. Er fällt selbst hinein. – Wer andern eine Grube gräbt, fällt selbst hinein. (Sprichwort).6.**Verwenden Sie die angegebenen Wendungen in den Satzgefügen mit konjunktionalen oder relativen Subjektsätzen.**/1. J-m Freude bereiten. 2. Gift und Galle sein. 3. Befriedigung gewähren..**7. Ersetzen Sie die Subjektsätze durch entsprechende Infinitivgruppen. /Muster: Es ist sein Traum, dass er in diesem Jahr nach Deutschland fährt. = Sein Traum ist in diesem Jahr nach Deutschland zu fahren.**

Das illustrierte Sprachmaterial gewährleistet nicht nur strukturelle Besonderheiten der deutschen Sätze kennenzulernen, sondern auch die Sprachfertigkeit der Studierenden zu verbessern und eventuelle Fehler zu vermeiden.

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე



89 წელი პოეზიის საჭესთან

„სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა", ამ ცნობილი სტრიქონების ტექსტიც და ქვეტექსტიც ისაა, რომ უფლის და სამშობლოს სიყვარული გაიგივებულია. ალგორითმი შემდეგსაც აიგივებს, რომ თუ საჭის მართვას სახელმწიფო, პოეზიის საჭის მართვას უფლის მოწმობა სჭირდება.

დღეს თითქმის ძალა დაკარგა თუმანიანის ერთ დროს გახმაურებულმა ნათქვამმა „ყველა ქართველი პოეტიაო". რადგან ამაზე დამატებითაც შეიძლება ითქვას, ყველა ქართველი გავშვობიდან პოეტიაო. რასაც ჩვენი აკადემიის მარტივი მაგალითიც ამტკიცებს, რომ გავშვობიდან მისი წევრია პოეტი ტატო ხარატიშვილი, ამდაგვარ ფონზე ათასმაგად საამაყოა იმის მტკიცება, რომ ლეჟავას სახელობის აკადემიის პოეზიის ჭაპანს გავშვიც და ჭარმაგიც თანაბრად ეწევა.



თუმცა, ასაკის მიუხედავად, სიტყვა ჭარმაგი არცკი შეეფერება პოეტ ბატონ გურამ ჭავჭანიძეს, იგი ისეთ ახალგაზრდულ ცეცხლს ანთებს სამშობლოს სასიყვარულო, თუ სამიჯნურო სატრფიალო სტრიქონებში. ერთი კია, როგორც ქალს წლები არ ეთვლება და რადგანაც პოეზიაში ორჯერ ორი ოთხი არაა, მაშინ არც მამაკაც პოეტს ეთვლება წლები, რადგანაც ბატონი გურამი სამშობლოს თუ საპირისპირო სქესის ისეთ სიყვარულს გამოხატავს სტრიქონში, იტყვი, მსოფლიო პოეტთა შორის ასეთი ძლიერი სიყვარულის გამოხატვა არავის შეუძლიაო.

ვიცნობთ პოეტებს, რომლებიც ზეპირსიტყვიერად ვერც წარმოგიჩენენ საკუთარი ლექსის მომწოდებლურ შინაარსს, მაშინ როცა ორატორული ნიჭითაც დაჯილდოებული ბატონი გურამი, სასცენო მისხალ დიქციას არ დააკლებს სტრიქონს და ისე გაამებს მისი კულმინაციური ელფერის შეგრძნებით, რომ იმასაც იტყვი: მისგან ლეჟავას პოეზიის სცენაზე სიყვარულის ცეცხლი ანთიაო.

და რადგან „ქებას ნახვა სჯობიაო", პირდაპირ მაგალითს მოვიყვან სამშობლოს და უფლის გამაიგივებელ სიყვარულზე მისი ლექსიდან „ჰიმნი სამშობლოს", თავის არსებობაზე ანუ სულზე მეტად როგორ უყვარს მას ორივე:

გმირულ ბრძოლებში სისხლდანამული
კიდით კიდემდე, იმერ-ამიერ,

სულზე უტკბესი, ჩემი მამული,
ღმერთო მიცოცხლე მრავალჟამიერ.

აღნიშნული ვრცელი ლექსი თავიდან ბოლომდე ბგერა, ბგერაში ჩამჯდარი ჯვარედინ რითმებითაა გადმოცემული.

ეს ლექსი კი „ღმერთო სამშობლო მიცოცხლე“, მართლაც საყურადღებოა მის პატრიოტულ ლექსებს შორის, რომლის პირველ სტროფში თავის სიცოცხლეს ასე მოიხსენიებს:

სამშობლო ჩემო სიცოცხლევ,
ვფიცავ გელათს და ყინწვისს,
ჩემი პატარა სიცოცხლე
შენს სამსხვერპლოზე იწვის.

ღვთის კურთხეული დიდი პოეტი გურამ ჭავჭანიძე თუ ყველა ლექსში პირდაპირ ამბობს სათქმელს, ამჯერად ლექსში: „გულის ტკივილით“, ითვალისწინებს რა ანდაზას, „ადამიანი თავისი თავის გედის მჭედელიაო“, ხალხის ბრალეულობაზე სერიოზულ დამაფიქრებლად ამგვარად მსჯელობს:

გულისტკივილით გყვედრი ქართველო
რომ არც შენა ხარ, ცამდე მართალი,
მაშ რად ისჯება დღეს საქართველო,
რატომ დადუმდა ღვთის სამართალი.

ჩვენიც ბრალია ხალხო ქართველო,
ვერ გავარჩიეთ მტყუან-მართალი,
მიტომ ცოდვილობს დღეს საქართველო,
ცხინვალ-აფხაზეთ ჩამონათალი.

ხოლო, თავის პოლიტიკურ მრწამსს, კვლავ გულს ტკივილით, მრავლისმთქმელად გად-მოსცემს დამრიგებლურ სულ ორ სტრიქონიან ლექსში:

(გახსოვდეთ, რუსთან თუ მტრად დავრჩებით,
უბედურებას ვერ გადავრჩებით).

პატრიოტულთა თემაზე მრავალი ლექსი აქვს გამოქვეყნებული ბატონ გურამ ჭავჭანიძეს, რომლებიც პოეზიის ისტორიაში თავს გაიტანენ..... მაგრამ იეთიმივით სამიჯნურო ლექსებიც ხომ მისი ჰობია და თუ შაჰს სამასი ქალი უყვარდა, ვფიქრობ ბატონ გურამის გული უფრო მეტმა ქალბატონმა ააჩქარა და როცა რომელიმე ცნობილი თუ საშუალო დონის პოეტზე გვერდულად ვიგებთ ან სულ ვერ ვიგებთ მისი მიჯნურის გვარ სახელს, ბატონი გურამი პირდაპირ მოიხსენიებს თავის ამაფორიაქებლების სახელებს თუ ვის თვალებიდან რა გრძნობას იღებს. მაგალითად ულამაზესს და უჭკვიანესს, ყველასათვის საყვარელ მაყვალა გონაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში მამაკაცურად ამბობს:

რომ არ გითხრა, არ გამოდის,
გამორჩეულს ქალებიდან,

რაღაც სულ სხვა სითბო მოდის
მაგ მაყვალა თვალებიდან.

საინტერესო ისიცაა, როცა რამდენიმე ქალი უყვარს თანადროულად პოეტს და ვინ იცის, ესაა მისი სიცოცხლის ელექსირი. ლექსში „შენ და ის" რომ ამბობს:

კარგად იცი რომ მიყვარხარ,
მაგრამ ისიც რა ნაზია,
შენ რომ ატმის ყვავილს გავხარ,
ის ვარდივით ლამაზია.

„თხას თხა ურჩევია ათას სულ ცხვარსაო", როდი ფიცავს პოეტი გურამ ჭავჭანიძე რომ უმრავლესობა პოეტი ქალბატონები მოსწონს და უყვარს. არ სჭირდება სხვისი ლექსის გამოყენება, „ასი ქალი მიყვარს ერთად, თუ სუყველას თვალს ვადევნებო", თავად უწერს მათ ლექსებს და თანაც ამბობს, რომ ცალ-ცალკე კი არა ყველა ერთად რომ უფორიაქებენ პოეტურ გულს და ასახელებს კიდეც მათ გვარ სახელებს: იზა ჭიკაიძე, მზიური დათიაშვილი-აფციაური, მანანა გორგიშვილი და ვინ აღარ და ვინ აღარ.

აღარ უნდა მარჩიელობა მისი ლექსები დარჩება თუ ვერა ისტორიაში, განსაკუთრებით კი ლამზირა შეყილაძისადმი მიძღვნილი ლექსი „აპრილი", გალაქტიონის „მერივით" ის უკვე დარჩა, რაოდენადაც ხალხმა ზეპირად იცის მისი რვა სტროფიანი ლექსი, რომელზეც რვავე სტროფი მიიღო პასუხად ყველასათვის უსაყვარლეს და ულამაზეს გონიერ პოეტ ლამზირა შეყილაძისგან რომელ ლექსსაც ასე იწყებს გატონი გურამი:

აფეთქებულა თეთრი აპრილი,
მკერდგაღეღილი აკვირტებულა,
მზემონატრული ზამთარს გაყრილი
ზღვა სიყვარულად აფეთქებულა,
როგორ გელოდი, როგორ მინდოდი,
და თუ გავწამდი უსიხარულოდ,
მაინც მჯეროდა, რომ მოხვიდოდი
რომ ვერ გაძლებდი უსიყვარულოდ.

თავის პასუხში ლამზირა ბოლოს ასე წერს:

თეთრმა აპრილმა შეგვყარა ერთურთს,
და სიშორისთვის არ მემეტები,
თილისმასავით მიგიბნევ მკერდზე,
თუ სიყვარულად დამებედები.

ეს კია, ლეჟავას სცენაზე მათ მიერ შესრულებულ ლიტერატურული დუეტის ინსცენირება, რომელიც საზოგადოების საამებლად ხშირად და ზოგჯერ მათი თხოვნითაც ხდებოდა, ლამზირას სახეზე წითელ ფერს მაინც გადაუკრია ხოლმე. ეს ლამაზი მოგონება კი ისტორიის კუთვნილებაა, რადგან ლამზირას აღარ ელექსება და ღმერთმა იცის მსგავს დუეტის შესრულებას ვისი თხოვნაც არ უნდა იყოს შეძლებს თუ ვეღარ.

პოეტ ბატონ გურამისთვის სულერთია თუნდაც სხვისი ქალი იყოს ოღონდ ტრფობადანახალი გულის ხვაშიადი აუფორიაქდეს. ამიტომ ლექსში „ყველა მიყვარს“ თამამად ამხელს:

დავალ ასე გულზე ტრფობადანახალი,
სიყვარულით სული გადამირჩენია,
მაინც ერთი თვალხატულა სხვისი ქალი
მთელ ქვეყანას მირჩევია.

მრავალი სამიჯნურო, სატრფიალო ლექსები აქვს გამოქვეყნებული ორენოვან პოეტს ბატონ გურამს ქართულ და რუსულ ენებზე. ესენია: „შენი ღიმილი“, „ერთი კოცნა, რა იყო“, „ნუ მიჯავრდები“, „რა მომასვენებს“, „პოეტის სიყვარული“ და სხვა.

ყოველი ახალი სიყვარული ახალ ლექსს აწერინებს ენაწყლიან პოეტს და ახალ კარავს ანატრებინებს. მაგალითად, „მინდა გიყვარდე“ ლექსში ამბობს:

არ მყვარებია შენებრ არავინ,
მავსებს და მხიბლავს შენი მშვენება,
ნეტავ კუნძულზე გვედგას კარავი,
უშენოდ ამ გულს არ ესვენება.

რა დალევს ლამაზებს და რა დალევს 2021 წლის პირველ იანვარს 90 წლის რომ ხდება პოეტ გურამ ჭავჭანიძის პოეტურ შესაძლებლობას. მის საშურ, უსასრულო სიყვარულზე კიდევ ერთ სტროფს მოვიყვან მაგალითად ვრცელი ლექსიდან „რა მეშველება“:

შენ წახვალ, ნისლებს შეეფარები,
ამ გულს კი არვინ შეეშველება,
ეს მე ვიკითხო რომ მეყვარები,
ეს მე ვიკითხო რა მეშველება.

გეშველებათ, გეშველებათ ტრუბადურად აღიარებულო ბატონო გურამ, ქვეყნად ლამაზებს რა დალევს ან რა დალევს თქვენს პოეტურ შესაძლებლობებს. ვიცი მრავალი ახალი ლექსით გაახარებთ თქვენს მკითხველს და ლეჟავას აკადემიას. სწორედ ასეთ სამშობლოს თუ სამიჯნურო სასიყვარულო და ხალხის სასიხარულო ლექსებისთვის მოგმადლათ უფალმა 90 წელი პოეზიის საჭის მართვა, და პოეტის ის უკვდავი წოდება, რომელიც რანგით ნებისმიერ იმპერატორის თუ ნებისმიერ სახელმწიფო მოხელის ტიტულზე ზე დგას:

უყვედურად დაგაფერთხა უფალმა,
პოეზიის საჭის მართვის გონება,
რადგან შენთვის მუდამ სიყვარულია,
მთელი შენი სიმდიდრე და ქონება.

მანანა კვატაია

გიორგი გეგელია – რეპრესირებული მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი

ცნობილი ფილოსოფოსი ჰანა არენდტი თავის ნაშრომში "ტოტალიტარიზმის საწყისები" ამ ანტიადამიანური სისტემის "რადიკალურ ბოროტებას" პიროვნების ზედმეტად ქცევის "პერვერსიულ ნებაში" ხედავს, რომლის წყალობით "ყველა ადამიანი თანაბრად ზედმეტი" ხდება. ტოტალიტარულ სახელმწიფოში ინდივიდს ადამიანურობის უფლებასაც კი ართმევენ, - ფიქრობს ფრანგი ფილოსოფოსი ალექსის დე ტორკვილი, რომელიც ამგვარი სახელმწიფო წყობის აპოლოგეტთა მთავარ ალტერნატივას უსვამს ხაზს: "მე გინარჩუნებ სიცოცხლეს, მაგრამ შენი არსებობა სიკვდილზე უარესი იქნება". ტოტალიტარიზმის არსის ამ შეფასებათა ჭეშმარიტება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული სისხლის სამართლის საქმეებითაც დასტურდება, რომელთა შორის შევარჩიეთ პუბლიცისტისა და მთარგმნელის, საფრანგეთის წინააღმდეგობის აქტიური მონაწილის გიორგი გეგელიას საქმე. გაცრეცილ საქაღალდეში დაცული დოკუმენტებიდან ამ დამსახურებული ადამიანის შესახებ ბევრი რამ ხდება ცნობილი.

ნიჭიერ და ერუდირებულ მოღვაწეს ცხოვრების მანძილზე მრავალი დაბრკოლების გადატანა მოუხდა. იგი 1904 წელს ფოთის რაიონის სოფელ ჭალადიდში დაიბადა, აქვე გიმნაზია დაამთავრა და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა. მეორე კურსიდან გიორგი გეგელია სასწავლებლად ევროპაში გაემგზავრა, ჯერ ბერლინში სწავლობდა, შემდეგ დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და იქვე არსებული კრიმინალისტიკის ინსტიტუტი. პარიზშივე ქართველმა ჭაბუკმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გიორგი გეგელია საფრანგეთის არმიაში, უცხოელთა ლეგიონში მოხალისედ შევიდა, როგორც ფრანგული, გერმანული, რუსული ენების მცოდნე. ის მალე დაწინაურდა, ვიცე-პოლკოვნიკის წოდება მიიღო და სამხრეთ საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მეთაურის მოადგილედ დაინიშნა.

1944 წელს გიორგი გეგელია მენშევიკური ხელისუფლების მიერ საფრანგეთში 1921 წელს გატანილი საქართველოს ეროვნული განძის უკან დაბრუნებაში აქტიურად ჩაება. 1948 წელს მან რამდენიმე ემიგრანტ მოღვაწესთან ერთად კვლავ სამშობლოს მოაშურა და ჯერ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში, შემდეგ – თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ისტიტუტში ფრანგული ენის კათედრის უფროს მასწავლებლად მუშაობდა.

გიორგი გეგელიამ ფრანგულად აამეტყველა კონსტანტინე გამსახურდიას "ხოგაის მინდია", ფრანგულიდან ქართულად კი გადმოთარგმნა რომენ როლანის "ბეთჰოვენის ცხოვრება", მისივე რომანი "კოლა ბრონიონი"და სხვ.

1951 წლის 17 ნოემბერს გიორგი გეგელია, ისევე, როგორც ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებული რამდენიმე ცნობილი მოღვაწე, დააპატიმრეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია მისი სისხლის სამართლის საქმე (ფონდი 6, საარქივო № 51260, ტ.

16/1, ყუთი 136), სადაც საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ნ. რუხაძის ხელმოწერით დაცემულია სანქცია გ. გეგელიას დაკავებაზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო განყოფილების უფროსის გამომძიებელს, უფროსს ლეიტენანტ თოფურიას 1951 წლის 16 ნოემბრის დადგენილებაში აღუნიშნავს, რომ გიორგი დიმიტრის ძე გეგელია მოსამსახურის ოჯახიდანაა, უპარტიო, უმაღლესი იურიდიული განათლებით, პროფესიით ჟურნალისტი, მუშაობს უცხო ენების ინსტიტუტის ლექტორად, წარსულში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ცხოვრობს ქ. თბილისში, საბჭოს ქ. 210-ში.

ამავე დოკუმენტში მითითებულია, რომ საფრანგეთში ყოფნის დროს გიორგი გეგელიას კავშირი ჰქონდა ქართულ ანტისაბჭოთა ნაციონალისტურ ფორმირებებთან, 1939 წლიდან იგი იყო ორგანიზაცია "მომავლის" წევრი, რომელიც იტალიელების მეშვეობით აქტიურად იღვწოდა სსრკ-ს წინააღმდეგ. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით გიორგი გეგელია დააპატიმრეს და მისი ბინა გაჩხრიკეს. პატიმრის რუსულენოვანი ანკეტის მიხედვით, ამ დროს გიორგის ჰყავს დედ-მამა და მეუღლე.

ბრალდების წარდგენის დოკუმენტი საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უფროსის გამომძიებელს, უფროსს ლეიტენანტ მაღრაძეს შეუდგენია. მასში აღნიშნულია, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას გიორგი გეგელია 1926-1947 წლებში იყო აქტიური წევრი ანტისაბჭოთა ფორმირებებისა საფრანგეთში, ასევე, კავშირი ჰქონდა სადაზვერვო ორგანოებთან, ხოლო სსრკ-ში რეპატრიაციის შემდეგ ის კვლავ მტრულ საქმიანობას ეწეოდა.

1952 წლის 12 იანვრის დაკითხვის ოქმში გამომძიებელი გეგელიას ეკითხება, რა კავშირი ჰქონდა მას გერმანული არმიის ქართულ ნაციონალურ ლეგიონთან. პასუხად ბრალდებული მიუგებს, რომ ამ ლეგიონების ორგანიზატორები იყვნენ მიხეილ კედია, გიორგი მაღალაშვილი და ტოგონიძე (კედიას ნათესავი), ხოლო საერთო ხელმძღვანელი – გივი გაბლიანი, რომელსაც პირადად არ იცნობდა.

1952 წლის 13 იანვრის დაკითხვის ოქმში ბრალდებულს ეკითხებიან ანტივლასოვურ კომიტეტზე, რომლის შემადგენლობაში გიორგი გეგელიაც შედიოდა. ამ უკანასკნელის პასუხის მიხედვით, ეს კომიტეტი ჩამოყალიბდა პარიზში, 1943 წლის სექტემბერსა თუ ოქტომბერში და მაშინ მას კოჩეტოვი, 1944 წლიდან კი თავად გეგელია ხელმძღვანელობდა. პატიმარს ეუბნებიან, რომ ეს კომიტეტი საბჭოთა მოღალატეების თავშესაფარი იყო, რაზეც ბრალდებული პასუხობს, რომ ადამიანები აქ დახმარებას ითხოვდნენ, რადგან ომის შემდეგ მათ საბჭოთა სახელმწიფოს შურისძიების ეშინოდათ. 1952 წლის 17 იანვრის დაკითხვის ოქმის მიხედვით, გიორგი გეგელიას განუცხადებია, რომ არცერთ უცხოურ დაზვერვასთან არ იყო დაკავშირებული.

საყურადღებო ინფორმაციას ინახავს 1952 წლის 1 მარტის დაკითხვის ოქმი, სადაც ბრალდებულს სთხოვენ, გაიხსენოს საფრანგეთში ქართულ სამუზეუმო ფასეულობებთან დაკავშირებული დეტალები. პასუხში გიორგი გეგელია აღნიშნავს, რომ გერმანელების მიერ პარიზის ოკუპაციამდე, 1940 წელს, საფრანგეთის მთავრობამ, რომელსაც ქართული საგანძური ებარა, განძი საფრანგეთის ბანკიდან ვერსალის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გადაიტანა, რათა ის გერმანელებისაგან დაემალა. გეგელიას თქმით, 1944 წლის აპრილამდე გერმანელებმა და ქართველმა ფაშისტებმა მისი ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოახერხეს. შემდეგ მათ თავიანთი აგენტის მეშვეობით მისი ადგილის შესახებ შეიტყვეს და დაიწყეს სამზადისი, რათა განძი გერმანიაში გაეტანათ. თუმცა

მათი მოლაპარაკება ფრანგულ მხარესთან ისე გაჭიანურდა, რომ ამასობაში გერმანელები პარიზიდან გაყარეს. გიორგი გეგელია შენიშნავს, რომ თვით მან ამ განძეულის შესახებ ვიქტორ კირკიტაძის, ირაკლი ზალდასტანიშვილისა და სხვა ემიგრანტებისაგან შეიტყო. პარიზის გათავისუფლების შემდეგ გეგელია ვერსალის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში წასულა და იქ ქართული განძის არსებობაზე პირადად მისი დირექტორისაგან დასტური მიუღია.

1944 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში გიორგი გეგელიას საგანძურის ადგილსამყოფელზე ინფორმაცია მიუწოდებია ყოფილი გენერალური კონსულის გუზოვსკისათვის და გამოუთქვამს აზრი, რომ იმჟამად კარგი მომენტი იყო შექმნილი, რათა საბჭოთა მთავრობას საფრანგეთის ხელისუფლების წინაშე დაესვა საკითხი 1921 წელს გატანილი განძის საქართველოში დაბრუნებაზე.

გიორგი გეგელიას იმავე, 1 მარტის ჩვენების მიხედვით, 1944 წლის ოქტომბრის ბოლოს პარიზში შექმნილა საგანძურის მიმღებ-ჩამბარებელი კომისია, რომელშიც შედიოდა 7 კაცი: 1. კომისიის თავმჯდომარე გუზოვსკი, სსრკ ყოფილი გენერალური კონსული პარიზში; 2. ჟოდონი – საფრანგეთის სახელმწიფო მრჩეველი, განძეულის სეკვესტრი; 3. პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი, პასუხისმგებელი ქართული საგანძურის შენახვაზე; 4. თავად გიორგი გეგელია და სხვები. აქვე აღნიშნულია, რომ გეგელია კომისიის მდივნის მოვალეობას ასრულებდა.

1 მარტის ჩვენებაში ასევე მითითებულია, რომ გუზოვსკი ინსტრუქციებს მოსკოვიდან ელოდა. 1945 წლის იანვრის ბოლოს თუ თებერვლის დასაწყისში ცნობილი გამხდარა, რომ ქართული საგანძურის მისაღებად პარიზში ოდიშარია (შემდეგ გაარკვიეს, რომ შარია – საქართველოს სსრ ცეკას მდივანი) და ამირანაშვილი ჩამოდიანო. გეგელია აღნიშნავს, რომ მან პეტრე შარია გუზოვსკისთან ჩამოსვლის დღესვე გაიცნო, შემდეგ კი სასტუმრო "ბრისტოლში" მასთან ყოველდღიურად დადიოდა. აქვე ბრალდებულს განუცხადებია, რომ ქართული ემიგრაცია შარიას ჭეშმარიტ ნაციონალისტად მიიჩნევდა. იგი ერთ-ერთ პარიზულ რესტორანში ევგენი გეგეჭკორს შეხვედრია. ამ შეხვედრის შემდეგ კი გეგეჭკორს მიხეილ კედიასათვის უთქვამს: "შარია სრულიად ღირსეული ქართველია და, ახალგაზრდობის მიუხედავად, ის ძალზე ჭკვიანია". თავად ევგენი გეგეჭკორის შესახებ გიორგი გეგელიას განუცხადებია, რომ მას საქართველოში დაბრუნება არ სურდა, მაგრამ ითხოვდა, რომ საბჭოთა მთავრობას უკან დაბრუნებული ემიგრანტებისათვის ღირსეული პირობები შეექმნა.

ემიგრაციის წლებში გიორგი გეგელია პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მას სტატიები დაუბეჭდავს 1946 წელს პარიზში დაარსებულ გაზეთ "ქართულ საქმეში", რომლის პირველივე ნომერში მოთავსებულია გეგელიას "ჩვენი მოვალეობა". წერილი იმდროინდელი ქართული ემიგრაციის უმთავრეს ამოცანებს ეხება და ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამშობლოდან გადახვეწილი ემიგრანტების ვალია, გააცნონიერონ ის სულიერი ტრანსფორმაცია, რომელიც იმჟამინდელ საქართველოში მოხდა. ამავე დროს, მათ უნდა შეისწავლონ და ახლოს გაიცნონ სამშობლო.

გაზეთ "ქართული საქმის" 1946 წლის მეორე ნომერში გვხვდება გიორგი გეგელიას წერილი სათაურით "ვეფხის ტყავზე უგუნური ჯირითი", სადაც ავტორი აკრიტიკებს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის ბალეტად გადმოცემის მცდელობას (ბალეტი "შოთა რუსთაველი" მონტეკარლოში დაუდგამთ და ამ ფაქტს ემიგრაციაში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყოლია). 1947 წლის იანვარში

“ქართულ საქმეში”(№7) დაბეჭდილია გ. გეგელიას “ღია წერილი ბატონ გობეჩიას”, სადაც ავტორი კამათობს “ეროვნული კომიტეტის” გარშემო და ა.შ.

გიორგი გეგელია, როგორც მთარგმნელი, დაინტერესებულა ფრანგი რომანისტისა და პუბლიცისტის, თავისი დროის დიდი ჰუმანისტის, “ევროპის სინდისად” აღიარებული რომან როლანის შემოქმედებით. როგორც ცნობილია, ფრანგმა შემოქმედმა გამოჩენილი ადამიანების შესანიშნავი მხატვრული ბიოგრაფიები შექმნა.

ქართულ ენაზე გიორგი გეგელიას ფრანგი კლასიკოსის ცნობილი თხზულებები უთარგმნია. ერთ-ერთი გახლავთ რომენ როლანის “ბეთჰოვენის ცხოვრება”, რომლის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: “ჩვენს ირგვლივ ჰაერი დამძიმებულია. მძიმე და გახრწნილ ატმოსფეროში იყინება მოუცი ევროპა. სიდიადეს მოკლებული მატერიალიზმი მძიმედ აწვება აზრს და ხელს უშლის მთავრობათა და პიროვნებათა საქმიანობას. მსოფლიო თავის მშიშარა და სულმდაბალ ეგოიზმში იხუთება. მსოფლიო სულს ღაფავს. მაშ, გავაღოთ ფანჯრები, შემოვუშვათ სუფთა ჰაერი, ვიგრძნოთ გმირების სუნთქვა” (როლანი 2009: 4. გ. გეგელიას თარგმანი). ვფიქრობთ, მოტანილი ფრაგმენტი ნათლად მეტყველებს, თუ რატომ დაინტერესდებოდა მთარგმნელი ამ ტექსტის გადმოქართულებით. ჩანს, გიორგი გეგელიას სულსაც ეხმიანებოდა რომანის პროტაგონისტის, ბეთჰოვენის სიტყვები: “მხოლოდ სიკეთეს მსახურებდე, სადაც კი ძალგიძს. ყველაზე მეტად შეიყვარე თავისუფლება და თვით მონარქის ტახტის წინაც არ მოიდრიკო, ჭეშმარიტებას არასოდეს არ უღალატო”.

გიორგი გეგელიას ასევე ფრანგულიდან უთარგმნია რომენ როლანის რომანი “კოლა ბრონიონი”, რომელსაც წინ უძღვის ავტორის “გაფრთხილება მკითხველს”: “ეს წიგნი მიიღონ ისე, როგორიც არის, გულღია, მოურიდებელი.. ეს არის უპოლიტიკო, უმეტაფიზიკო წიგნი, წიგნი “კარგ ფრანგულ ყაიდაზე”, რომელიც დასცინის ცხოვრებას”. “კოლა ბრონიონის” მთარგმნელის ოსტატობის საჩვენებლად მოვიხმობთ ფრაგმენტს რომენ როლანის რომანის პირველი თავიდან სათაურით “მირქმის ტოროლა”: “იკურთხოს წმინდა მარტინი! საქმეები ჩახლართულია, არადა, ღირს წელის წყვეტა.. ქვემოთ ცოლი ბუზღუნებს, გარეთ სუსხიანი ქარი ზუზუნებს და ომიც იმუქრება. დაე, იბობოქროს, ეჰ!” (როლანი 1967: 4).

რეპრესირებული მოღვაწე 1972 წლის 7 თებერვალს, 67 წლის ასაკში გარდაიცვალა. ვფიქრობთ, გიორგი გეგელიას არქივი ამ დამსახურებული პიროვნების სხვა, დღემდე გამოუქვეყნებელ ნაშრომებს თუ თარგმანებს უნდა ინახავდეს. მათი პუბლიკაცია მკითხველს ავტორის შემოქმედებით პორტრეტს უფრო სრულყოფილად წარმოუდგენს.

დამოწმებანი:

1. როლანი 2009: როლანი რომენ. მიქელანჯელოს ცხოვრება. ბეთჰოვენის ცხოვრება (მთარგმნელები: ნესტან იორდანიშვილი, გიორგი გეგელია). თბილისი: “ინტელექტი”, 2009.
2. როლანი 1973: როლანი რომენ. ბეთჰოვენის ცხოვრება.. მიქლანჯელოს ცხოვრება. კოლა ბრონიონი (თარგმნეს გიორგი გეგელიამ და ნესტან იორდანიშვილმა). თბილისი: “საბჭოთა საქართველო”, 1973.

ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე. თანაავტორი **თინა მაისურაძე.**





ციფრთა იონი – სხვა ალ – იონი,
სიტყვა იონი კავკას – იონი!

სივრცე რ - იონი,
გული ს - იონი,
დილის ალ - იონი,
ღმერთი პ - იონი,
ყველა რა - იონი
ჩვენი კან - იონი
ცაზე ორ - იონი
და კავკას - იონი,
ისევ ალბ - იონი,
ისევ ლამ - პ - იონი
გალაქტ - იონი
და საყდრ - იონი
მილი - არდია
ამბინ - იონი,
ჩემპ - იონია
იბერ - იონი,
დოდეკალ - იონი,
ენდეკალ - იონი,
დეკალ - იონი,
ნონალ - იონი.
ოქტალ --იონი,
სეპტილ - იონი,
სექტილ - იონი,
კვანტილ - იონი.
კვადრილ - იონი,
და ტრილ - იონი,
მილიარდია
აქ მილ - იონი.
აქ ყალ - იონი,
ბასტილ - იონი,
სიტყვა შპ - იონი
ერის - იონი!
ქამელ - იონი,
სკარპ - იონია
სიყვარულს მალავს აქ ბახ - ტრ - იონი
ქართლის გულია თამარ - იონი!
ამაღლებააა
გაღვიძებულა
ჩემპ - იონია
ჯვარი ნათება,
ცნობიერების
კან - იონი
საწყის წერტილთან
სიტყვა შპ - იონი,
ზეციურია ჩვენი
კვერცხუჯრედიდან
ლამ - პ - იონშია
მთათა გიგანტი
ფოსტალ - იონი
გალაქტ - იონი,
ილარ - იონი,
კავკას - იონი,
სიტყვა პ - იონი
ნონ - ალ - იონი.
უკვდავი ძარღვი,
და ქამელ - იონი,
დაბადებაა
ბაგრატ - იონი.
იონი
კვლავ ემბრ - იონი
დეკალ - იონი
კავკას - იონი!

იონები.
იონის მისტიკური დანიშნულება და მისი ძალა

მისტიკური ცოდნის შესწავლა დიდ დროს მოითხოვს და შესაძლებელია ბოლომდე ვერც კი ამოვწუროთ, ეს იმიტომ ხდება, რომ როგორც ყვავილი ნელ ნელა იშლება და ყვავდება.

ცოდნაც ასევეა, ნელ ნელა იხსნება და უსასრულოა, მას არ ააქვს ბოლო ანუ არ უჩანს.

მისი გაშლის პროცესი იმდენად მნიშვნელოვანია და იმდენად ღრმა შინაარსის, რომ მისი აღწერა დროთა განმავლობაში ახალ ახალ განზომილებას მოიცავს და სხვა და სხვა სიხშირეში გადადის.

აქ ხელმისაწვდომი იდეაა ჩადებული და სიცოცხლის მიზანს წარმოადგენს.

მას შესწავლა უნდა.

ყველაფერი ისეა მოწყობილი სამყაროში, რომ ადამიანი განვითარდეს და სიცოცხლის სრულყოფა შეიცნოს.

კვანტილ - იონი, სინათლის კვანტი, უმცირესი ოდენობის სხივური ენერგია, რომელსაც გამოყოფს ატომი ერთ ჯერზე, ერთი ატომი სრულყოფილი ხდება და ესაუბრება მთელ სხეულს, შემდეგ სხეული, როგორც მატერია იწყებს აზროვნებას.

მიზანი ატომში კი ყველაფერია, ანუ მისი ევოლუცია.

ყველა არსებული ენერგიის არსებობა განსხეულდება განსაკუთრებით.

ირწმუნო ღმერთი ეს იმას ნიშნავს, რომ გამოიყენო მისი უმაღლესი ხედვა.

ნებისმიერი ცოდნა მოიპოვება შინაგანი წყაროებიდან,

გარე სამყარო ცოდნისთვის განულებულია.

მოლეკულა კრებითი ცნებაა და შედგება ატომისაგან,

უჯრედიც მზესავით ნათებას ითხოვს, ყოველი მოლეკულა და ატომი გადის ევოლუციის გზას განვითარებაში, ამით ხდება კვანტური ნახტომი.

კანონის მიხედვით სხივური ენერგია იშლება და გულისა და ნუმერაციის ერთობლიობას წარმოადგენს.

იონი ზღვაა, ექვივალენტი, ცნობიერების ძალა, ემბრ -იონი, ფესვი სხეულის და არამარტო სხეულის, სივრცისაც.

იგი ავსებს და ამაღლებს ყველაფერს და უმაღლეს ფერებში გარდამავალი ხდება.

თურმე ფერებშია ისევ იონები, წიაღთსვლა, სივრცის ამაღლება, ფერთა საფერები, სულის სახელები და იონები გულის ყვავილები.

ემბრ -იონი, ნაყოფის გულისცემა რითმიით იწყებს განვითარებას, აქ გულის შენდება, სიცოცხლის საწყისი, განუმეორებელი უჯრედები, მასში კოდირებულია ადამიანის სქესი, ნიჭი, ხასიათი და ბევრი სხვა რამ კიდეც,

განაყოფიერებული კვერცხუჯრედი განსაკუთრებულია და ზეციურ სამებას წარმოადგენს, ქალის, კაცის და სულის ერთობლივობას, ცისა და მიწის კავშირი აქედან ხდება, სამყაროს თესლთა ჩანასახი, ნუმერაციის აკორდი, სახეცვლილი ემბრ -იონია!

კრიპტონი - ეს საიდუმლოა და ფარული, ატომის თვისებებს შეიცავს და ასევე ქიმიური დატვირთვაც ააქვს, იონებს ასხივებს და ალქიმიურ პროცესებს ქმნის.

პერიოდული სისტემის, მენდელეევის მერვე ჯგუფის, მთავარი ქვე ჯგუფის ქიმიური ელემენტია, ატომური ნომერი 36. ერთატომიანი ინერტული აირი, ფერის, გემოს და სუნის გარეშე.

კრიპტონი - არსებობს დედამიწის ქერქშიც და ატმოსფეროშიც, ასევე ხეთა კატეგორიაშიც გვხვდება, ის წიწოვან მცენარეს წარმოადგენს და პატარა გირჩებიც ააქვს.

იონები დამუხტული ატონი, მოსიარულე მოლეკულა ან რამდენიმე ელექტრონი, ნორმაზე მეტი ან ნაკლები.იონის გარეშე არ არსებობს გამტარობა ელექტროდიტებში.

მედიცინაში იონებით სამკურნალო ნივთიერებების შეყვანა ხდება.

ეს მნიშვნელოვანი იონი ბერძნულ ენასაც ააქვს და იონური დიალექტი - იონური ფილოსოფიით გვხვდება.

აღმოჩნდა რომ ქართულ სიტყვათა მარაგში იონი ძალიან დიდ დატვირთვას შეიცავს და მათემატიკურ ნუმერაციაშიც გვხვდება. ეს საიდუმლოებასთანაა კავშირში!

სიტყვა -იონი - მაღალი და დაბალი განზომილებისაა, მაგრამ მაღალი უკვე ფარდობის სიტყვაა. განზომილებაა და ღვთიურ ენერგიას შეიცავს.

ოქტეადრი რვა წახნაგა ფიგურაა და რვა ცენტრი ააქვს, ასევეა ქალიც რვა ცენტრი ააქვს, ხოლო მამაკაცს შვიდი.

სიტყვას ძალა აქვს და ცნობიერების ზრდაა!

როდესაც იღვიძებს ადამიანში ღმერთი, ამ დროს დაბადებული სხივი აღადგენს ალ - იონს!

ეს ბუნებაში მუდმივობის კანონია, მაგრამ ჩვენი ხედვა ჯერჯერობით შორსაა ამისგან.

გულის სიღრმეში მოხვედრილი იონი ეს გალაქტ -იონია და რვაფეხაა.

აქ იხსნება გალაქტ -იონის ფენომენი და იწყება გალაქტიკიდან იონის მეშვეობით ღმერთის ტოლი ალ -იონი.

იონები გადაკვეთის საზღვარიცაა, საზღვრის აქეთ, საზღვრის იქით.

სულიერ განზომილებაში იონი მაღალ საფეხურს იკავებს. ღმერთში შესული - იონი - ნონალ -იონია.

ყოველი ალ - იონი ბადებს - იონს.

სივრცეში ახლად დაბადებული მზე ქმნის პ - ი ო ნ ს. პ -იონის სახის მშვენება არ არსებობს სამყაროში, ის ღმერთის სახეშია ასახული და გაშიფრული, როგორც უეკლო ვარდი ისეთივეა, სუნით და ფერში განსხვავებული, უფრო ამაღლებული და მიმზიდველი.

ეკ- ალი მნიშვნელოვანი ნაწილი მცენარის ღეროზე, ალი მის ენერგეტიკულ ძალაზე მეტყველებს და ვარდში ეს ეკალი ქმნის და ავსებს ამ ძალას, მის უნიკალურ შესაძლებლობებს ანხორციელებს.

სკარ -პ -იონი. მეფე მორიელი, სიტყვა რასაც გულისხმობს, აღნიშნავს, მისი აზრის შინაარს მეტყველებს და ღირებულია, მისი დანიშნულება კი უნივერსალური.

პ - იონს უკვე აღარ სჭირდება ეკალი, უკვე საფსეა და სრულყოფილი სამყაროში. ის მეფეა, სკა -რ - პ - იონი. სკა- ანუ თაფლით საფსე.

კავკას -იონი- საიდუმლოებების მეფე, რომლის მოცულობაშიც დიდი საგანძური დევს, ეს საგანძური ყველაზე დიდი საგანძურია და მაღალ საფეხურს იკავებს.

ღვთიშობელმა ჩადო ყოველ ქართველთა გულში და ამას ინახავს კავკას - იონი, ეს ძალა მის ღრმა ფესვშია შესული.

ფესვები დიდი და ბევრი ააქვს კავკას -იონს.

კავკასია იდეაა, ცივილიზაცია აქედან მოდის, ის იზიდავს ფესვიდან იონს და გადასცემს საიდუმლოდ.

კავკასია განხორციელება, რაფინირებული ცოდნა, იაკობის კიბეზე ასვლა, ჩრდილოეთის ციალია.

კან -იონი, ფესვდაუდებელი სიმაგრე ააქვს, აქედან მოდის მთელი კაცობრიობა.

კან - კანთან ასოცირდება და იონის მოქმედების ძალას ანვითარებს. ამ ღრმულებიდან იწყება კაცობრიობა ანუ უჯრედიდან. თვითეული უჯრედი თვითეულ ადამიანს მიესადაგება.

კან -იონის ღრმული ზეცის ნაწილაკია, რომელმაც გამოიტანა სინამდვილე, ნამდვილი ცხოვრების ფასი კანში მყოფი იონია!

ალგ - იონი როგორც განათლება, ცოდნა, აზრის ძლევამოსილების ნიშანია, გადატანილი ხიდი.

ციფრებიც და სიტყვებიც გულის განგებაშია, თვითონ გულშია დაბადებული და განგებაა ის ცოდნა, რასაც ვფლობთ, მილ - იონის განგებით.

ილარ -იონი ღმერთების რჩეული სახელია.

გედის სიმღერის ამოუხსნელი პასუხია და იბადება ილარ - იონი.

ამგ - იონი სხვაა, ამგ - იონის სხივი ალ - იონზეა გულში შედის, მერე მოჰყვება მზე და მთვარის ნათებაა.

სწორედ აქაა ეს ალგ - იონი და ზედ დაედება ამგ - იონი.

სიტყვა ამგ- იონი გულს ამაგრებს და აღადგენს, აღარც წამალია საჭირო და აღარც კაპლი.

გასტილ - იონი დიდი ნათელია, გამარჯვებაა და ამ გამარჯვებიდან მოდის ეს სინათლე.

ეს მისტიკური სინათლეა, რომელსაც სხვა გული და სხვა თვალი ხედავს.

ზუსტად თვალში ზის ამ უნიკალური სხივის ნათელი და მისი შინაგანი სამყარო თვალის გუგიდან გამოედინება.

თვალში სინათლე ჩამიდგაო!

გასტილ - იონსა და შამპინ - იონს შორის შუა კვარცხლბეგი დგას და ეს უკვდავი გმირების სიმბოლო კი არ არის, არამედ ახალი დაბადების სიმბოლო.

თამარ - იონი გორგასლის ძეა ღმერთის - იონი !

თამარ - იონი ამოუცნობი სიმბოლოა, იმ ღმერთების, რომლებიც მისტიკურ დონეზე გატონობენ. ამაღლებული მეუფეები.

თამარ მეფე!

თამარ - იონი გულშიაა და გულიდან იწყებს აღდგენას, ეს ღვთიური ძალაა!

თვითეული სიტყვა, თვითეული აზრი რაც იონთან არის შერწყმული დამბადებელია ახალი ღვთიური ენერგიისა და მასაზრდოვებელია სულის!

სიტყვათა ვიბრაციული ველი ქმნის სხეულში უნიკალურ ძალას და ნათებას, რაც ადამიანის ღვთიურ ძალებთან კავშირს გადმოგვცემს.

ეს რა - იონი -ა, კვანტილ - იონი, შიგა დევს გევრი ის ალ - იონი.

გრძნობებში შეგრძნებებში შევიტანოთ ეს იონები, კვანტილ - იონმა მოიცვა ყველა და ყველაფერი, ნახტომია!

ყველაზე დიდია!

მათემატიკურ განზომილებაში იონთა შემადგენლობა ფულს არ ეხება!

აქ დამდაბლებულ მიდგომასთან გვაქვს საქმე, იონის მეორე მდგომარეობასთან, მდაბალთან!

არა და მათი შინაარსი უფრო მაღალი და აღმატებულია!

უმაღლეს მდგომარეობაში მნიშვნელოვან მინიშნებას გვაწოდებს და ერთობლივობაში მუშაობს სიტყვასთან ერთად.

ციფრები, რიცხვები ეს ღვთიური ძალაა, მათი შერწყმა სიტყვებთან კი საიდუმლოების მქონეა.

აქ განაყოფიერებაცაა, გამრავლებაც, მილი - არდის დონეზე, არდი - არიადნას ძაფი!

რა არის ეს - იონი, კვანტილ - იონი ?! შიგა დევს გევრი ის ალ - იონი, რაც ადამიანის გაღვიძებას უწყობს ხელს!

სიცოცხლის ხე - ეს წაბლია, განაყოფიერების შედეგად იბადება, ანუ რაშიც არის დაბუდებული ნაყოფი - წაბლი, ანუ ბუდეშია, ეს საშვილოსნოა და გარედან შემოსილია ეკ - ალით.

აქ დაუთვლელი ეკ - ალია, მილ - იონი, ტრილ - იონია!

ემბრ - იონი! ყველაზე მთავარი ძალა! სახეშეცვლილი ემბრ - იონი ნუმერაციის აკორდია! სამყაროს თესლის ჩანასახი.

ზეციური სამება, ქ -ალი, კა - ცი და სული! ცისა და მიწის კავშირის განსაზღვრა!

ეს ალგ - იონი, ეს ალ - იონი ერთი შეგრზნებით ის ყალ - იონი!

აქაც დიდ მინიშნებასთან გვაქვს საქმე.

არსებობის მოსვლა გარდაქმნით მოხდება ცაში,

უნდა გარდავიქმნათ!

ღმერთში შესული იონი ნონ - ილ - იონია!

როდესაც მოხდება იონის სრულყოფილი ახსნა და შეთვისება, მაშინ ვიღებთ სულის ჟანგბადს!

ეს ყველაფერი დალაგებულია, მხოლოდ ამ ცნობიერების წვდომაა საჭირო.

ეს ამაღლებაა და მზისა და მთვარის გამოსხივება! /სავსე მთვარის დღეები, როცა მთვარე დილის ცაზეა./

ციფრთა იონი, რომელიც განსაკუთრებულ ძალას წარმოადგენს და სხივურ ენერგიას წარმოშობს იწყება გ უ ლ ი დ ა ნ! ის აღმოცენდება და ი შლება უმაღლეს საფეხურამდე!

ეს მოსაფერებელი ყვავილივითაა, შეგრძნებებს კარნახობს და მისი სახელი ნუმერაციაა!

ნუმერაცია - ყველაზე ძვირფასია, ის ახლად აღმოცენებული კოსმიური ყვავილია, მკურნალი და მხსნელი, როგორც ადამიანის ასევე სამყაროსი!

მისი ფერი სხივთა კონაში იშლებაა, ცისარტყელის ფერთა მსგავსი და შემო- დგომით

ხდება მისი გაშლა სამყაროში მზის ს ხივი ში გაჯერებული, ღომელიც მცენარეში უხვადაა და დედამიწას ეფინება და დგება! შემო - დ გ ო მ ა!

ეს ფერები და ეს ნუმერაციის სხივთა ციკლი თაფლივით ტკბილია, მაგრამ უფრო ტკბილიც კიი.

ზუსტად თაფლში დევს ამ ყვავილის / ნუმერაციის/ გზინვარების ფერი, ანუ ყვავილთა ერთობლიობა, ბუნებაში არსებული მცენარეთა შინაგანი განზომილება, შემოდგომით კი გარეთ გამოტანილი სასწაული.

როდესაც ამ ყვავილის, / ნუმერაციის/ სხივები შევა თაფლში მაშინ ხდება თაფლი ტკბილი და სასარგებლო.

ადამიანში ეს გაშლილი სხივთა სივრცე თვალის გუგაშია. ზუსტად აქ ხდება ამ ენერგიათა ვიბრაციები, სხივთა უნივერსალურობა, ადამიანი ადის მაღლა და ღვთიურ საფეხურსს იკავებს.

აქ იონთა უსაზღვრო ნაკადია! ძალაა!

კოსმოსიც კი მძვინვარებს ამ სხივთა ფერის შენარჩუნებაში.

ნუმერაცია - ყვავილი, სამყაროს აზრია და შორსმჭვრეტელობა!

აქ უსასრულობაა, გაცნობიერების შედეგად შესღუდული გარემო აღარ არსებობს, ის იმ წამს მაღლდება რა დროსაც ცნობიერება წვდომას განახორციელებს.

აქ უმაღლესი კანონი მუშაობს, ერთხელ ჩასწვდები და უკვე შენია!

მთელი კოსმოსი გამსჭვალულია ნატიფი და ფაქიზი ენერგიებით, ყვავილებით, სხივებით, როგორც კი მიზანმიმართულ ენერგიებს შევქმნით ის მიემართება სამყაროში და მაშინვე ფანტასტიკურ ენერგიებს წარმოშობს. შენ, როგორც კი ხდები გამღები, ასევე ხდები მიმღებიც, ანუ უკან გიბრუნებს სამყარო ამ შემოქმედებას.

ღმერთის სუნთქვა ღვთის ოცნებების დაუფლებაა.

შაქარი, თაფლი, უზარმაზარი ენერგეტიკის წყაროა.

მუსიკა ჰარმონიაშია.

იონის სფერო ატმოსფეროს ზედა ნაწილია, 100 - 400 კმ. სიმაღლეზე, რომელიც შეიცავს საკმაო რაოდენობის იონებს.

ფიზიკაში იონიზაცია, იონების მიღების პროცესი წარმოიქმნება რაიმე გარემოთი, აირების, გაზების, იონიზაციის გამომწვევი არის იონიზატორი.

ღმერთში უმშვენიერესი კანონია! - ირწმუნო ქრისტე! - გამოიყენო მისი უმაღლესი ხედვა.

სიტყვას ძალა აქვს.

პირველად იყო სიტყვა და სიტყვა ქონდა უფალს.

ალმასებისა და ბრილიანტების ერთერთი თვისებაა მიიღონ სინათლე, რათა განავრცონ ირგვლივ.

აქაც მათემატიკაა მეტყველი, მათი დამუშავების შედეგად მათ ზედაპირზე უამრავი ფიგურა იქმნება სამკუთხედის, ხუთკუთხედის და .ასე შემდეგ.

როდესაც კრისტ -ალი გახდება ღვთიური, /ქრისტეს ალი/ ნოტებში გაჯერდება და უსასრულობას ვიღებთ სინათლის, სხივები ბრწყინვალებაში გადადის.

ხედვა უნდა გაიშალოს და ჩვენს სივრცეში შემოსული სიტყვები, რიცხვები უნდა იქნას გახსნილი, გაშიფრული, როგორც რთული მათემატიკური ამოცანები.

სწორედ დანახული მოვალეობა მის წიაღში ძლიერი მარგალიტის შესაძლებლობაა.

ამ ეტაპზე დაკარგული მარცვლის აღმოცენება იქნა.

ნუმერაციის გახსნა.

ანუ მარგალიტის პოვნა გახდა შესაძლებელი.

ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ადამიანი განვითარდეს, რიცხვები მეტყველებენ და ქმნიან წრეს, აქ სინათლის გამოვლინების უმაღლესი მხარეა, სივრცის კლასში შესვლა ხდება და ქრება სიბნელე.

ი ო ნ ი საწყისი წერტილია!

ყვავილთა სივრცეშიც უმაღლესი მათემატიკა ზის. ფიბონაჩოს რიცხვები, სამყაროს არქიტექტონიკა, მიუხედავად პროცესების მოჩვენებითი ქაოტურობისა, რომელიც ბუნებაში არსებობს, შესაძლებელია გამოვავლინოთ კანონზომიერებად..

მაგიური თანმიმდევრობის შედეგად ხდება ყვავილთა აყვავება და გაშლა, ასევე ფერთა მიმდევრობა, გარდამავლობა უმაღლესი ხედვით და წყობა ფერთა შევსებით.

გამოღვიძება მიმდინარეობს ყვავილთა აყვავების დროს, ზუსტად ამ უდიადესი ნუმერაციათ ა ციკლის გახსნა ხდება, რაც სამყაროს საიდუმლოების ნაწილს ეხება და მის უნივერსალურობას ხსნის.

ეს ერთი პაწაწინა, სუსტი მცენარე წარმოადგენს ბუნებაში მაღალ ძალას, ხეთქავს ქვას, ასფალტს, ბეტონს, ამას იმიტომ აკეთებს, რომ მისთვის სიცოცხლე მიზანია, თესლის განხორციელება და სამყაროში შესვლა, ურთიერთობა.

ცნობიერებით იზომება ყველაფერი და ასევე ფერიც, გრძნობაც.

ფერთა ვიბრაცია ჟღერადობას გადმოსცემს სამყაროში.

მცენარეთა ეს მოქმედება მზესთანაა და სხივებთან კავშირში, როგორმე მიიღოს ეს უნივერსალური ღვთიური ძალა, სინთეზი კი უდიდესი შედეგია ურთიერთობის უმაღლეს დონეზე ჩამოყალიბებისა.

სხივთა მარაგი გულში ხვდება და ფერთა სინათლეში გადადის, შიგ გულში აწარმოებს უმაღლეს ნივთიერებას, რასაც შემდეგ ფუტკარი იღებს და ქმნის ღვთის შემოქმედებას.- ეს თაფლია!

სამყარო იშლება და ახალ ახალი ყვავილი ადამიანია. უნდა ჩამოვყალიბდეთ და მივსწვდეთ ამ უხილავ მიზანს.

დოდეკალ -იონი, ენდეკალ - იონი, ჯვარია სივრცეში, უხილავი კვეთა ალ -იონია, აბსოლიტური წრე, რომელსაც ჯვარი წარმოშობს.

ასიმილირება, სინთეზის მოხდენა ხდება ყველაფრის, მაღალი ციური სხეულები ფოკუსია ჩვენთვის.

სამყაროში უსასრულობა, შემოქმედებით უსასრულობას ნიშნავს ჩვენთვის, ეს მასწავლებლისაგან გადმოგვეცემა ყველას, რომ არა მასწავლებელი ამ უსასრულობას ვერასოდეს ჩავწვდებოდი ასე სიღრმისეულად, მასწავლებელი ჩემთვის გზაა, ხედვაა, ცოდნაა, აზრია.

მასწავლებელი ! რომელმაც გზაზე დამაყენა, სწორი და თავისუფალი ნაბიჯებით უსასრულობისკენ მიბიძგა! - ეს თამაზ თავაძეა!

ის რაც ჩემს შინაგანში იყო და დაბადებიდან მომყვება, ის რასაც ვერავინ ვერ ახსნის ჩვეულებრივ სამყაროში, სადაც კაცობრიობა გზააბნეულ სინამდვილეში არსებობს, გარე მხედველობის გამო, ისე მიდიან და მოდიან კვალსაც ვერ ტოვებენ, ტანჯვაში და ბრძოლაში ჩაძირულ ცხოვრებას ეწევიან, თურმე სულაც არ ყოფილა ნამდვილი და საერთოდ არც არსებობს. ამას ჩვენი გონება ქმნის უცოდინრობით.

მიზანი ატომში კი ყველაფერია და მისი ევოლუცია, სამყაროში სხივმა, სინათლემ უნდა მოახდინოს განათება, განათლება, ეს ხდება ცოდნით . როცა იცი უკვე ვერაფერი გაბრკოლებს, დაძლევა ხდება იმ იმ მდაბალი ძალების და უპრობლემოდ იღებ და ადიხარ მაღალ საფეხურებზე.

იდეა კავკასიიდან წავიდა ეგვიპტეში, ანუ კავკასიადერეფანია, საიდანაც ცივილიზაცია მოდის.

ყვითელი ფერი გვირგვინოვანი სხივია.

ყვითელ ყვავილებშია სხივი, რომელიც იასამნის ფერსა და ოქროს ფერში ერთიანდება.

სამყაროში ყველაფერი მეტყველია.

სიცოცხლის ბუნება სიტყვასთანაა კავშირში.

უარყოფა ბუნების არ შეიძლება.

ნებისმიერი უარყოფა ღვთის გმობაა.

გავშალოთ ხედვა როგორც რთული მათემატიკური ამოცანის ამოხსნა.

სამყარო არ ცდება და შემთხვევით არ გვკარნახობს ამინდებს.

მზე მუდმივობის კანონია, მისი გამოყენება კი აუცილებელი.

ცეცხლი, ალი არ იღებს რაც არაა მისაღები, ის წმენდაა!

ყველა სიტყვაში რაც იონს შეეხება გალაქტ -იონია, გალაქტიკაა მწარმოებელი, ემბრ - იონია და სიყვარული.

შეცვლილი ოტეოლოგია, უსიყვარულო ადამიანის გარდაქმნა სიყვარულში.

ამბ -იონი, ენა, ამბის მთქმელი, ცოცხალი ორგანიზმია, მასში ბუნებრივი პროცესები მიმდინარეობს, ენის განვითარებას აფვართოვებს, ან ავიწროვებს, იმ შემთხვევაში თუ არ შევქმნით მისწრაფებას. ამიტომ გევრი ახალი სიტყვა იმკვიდრებს თავს.

ენა სიწმინდეა და მისი დამკვიდრება აუცილებელი. უნდა გადავიყვანოთ ჩვენი სიტყვები

მაღალ ვიბრაციულ ველში, ჩავუკვირდეთ, ჩავეძიოთ და ავამაღლოთ როგორც ი ო ნ ი.

პინგალა და ი დ ა აღმოცენდება, გულის მოსაფერებელი ყვავილი, რომელსაც კარნახობს შეგრძნება და ეს ყველაფერი ნუმერაციაა!

ნუმერაცია იხსნება გულში, ყვითელი ყვავილის გულში, შემდეგ გადადის ის თაფლში ფუტკრის მეშვეობით, თაფლისფერი თვალებიც ამ სხივის მატარებელია

ნუმერაცია ყველაზე ძვირფასი, მკურნალი, ახლად აღმოცენებული კოსმიური ძალა, რომელიც იხსნის სამყაროს ყველანაირი უარყოფითი ძალისაგან, წმენდავს კაცობრიობას და ამაღლებულ იონში ანვითარებს, აჯანსაღებს სხეულს.

ნუმერაცია იძლევა ყველაზე მაღალ ვიბრაციულ ველს, ეს ამაღლებაა სილამაზეში, სხივები კი სიყვარულში. რომ არა ეს ყვავილი არ იქნებოდა სამყარო.

ეს გზავნილია და ურთიერთობა ჩვენსა და სამყაროს შორის! გაშიფრული კოდი, რაც უამრავ საოცრებას იძლევა. ამ სხივთა ფერის კოდი კაცობრიობას ძალიან სჭირდება.

დეკალ -იონი ! - დეკა ყვავილია და იზრდება მთაში, ის ინფორმაციას გადასცემს სამყაროდან ადამიანს, დეკას ჩაი.

შემობრუნებული იონი - ი ნ ო ი, უმცირესი ნაწილაკი, რომლისაგანაც უნდა აღდგეს სამყარო.

ი ო ნ თ ა ჩამონათვალიდან, ილარ - იონი უდიდეს განზომილებას იკავებს, გედის სიმღერას უკავშირდება, რომელსაც მხოლოდ ერთხელ მღერის გედი სიცოცხლეში, შემდეგ კი სულიერებაში გარდასახვა ხდება, სული მაღლდება.

გახსნილი ალ - იონი დოდეკალ -იონისა და ენდეკალ - იონის შედევრია, ის ჯვარია სივრცეში!

გულის განგება ციფრებს იმონებს, თვითონ გულიც განგებაშია დაბადებული, განგება კი ცოდნა, რასაც გული ფლობს და შეუძლია მოგვცეს მილ -იონი ს გაგებით.

ნაპოვნი გული უკვე სასწაულია!

ოქტალ -იონი სეპტილ -იონი ესეც ჩვენშია და მუსიკალური ბგერების გამოხატულებაა, ის ქმნის მაღალ ოქტავას საფეხურებით.

ი ო ნ ი, ლამ- პ -იონი შეგრძნებაა, გამოსხივებაში გადადის მისი შესაბამისი ციფრი დოდეკალ -იონია, უმაღლესი.

სამყარო გახსნილი გულია და სიყვარულის მასაზრდოვებელი.

დროის ამოწურვა ხდება, წარსულში გადასვლა.

ჩვენთვის ყველაზე დიადი ხელთუქმნელია და ხელშეუხებელი ღ მ ე რ თ ი ა!

კვერცხუჯრედი ნაყოფიერდება, ნაყოფი გამოდის შიგნიდან, ნაჭუჭი უნდა მოვიცილოთ!

ცისკარი და ალიონი ორივე ერთად ყალ -იონია.

გაღვიძებული იდეა მზეში შესული სიბრძნეა. ხა - თხა მზე და მთვარეა, ის ცისკარია, რომელიც მზეში და მთვარეშია ერთად.

მთვარე ალიონში..

ღმერთი მათემატიკური განზომილებაა და მის რიცხვებში ჩატეული უსასრულობა, ფიგურებში კი ასახული ღვთიური ალი, კრისტალი, |ქრისტეს ალი|.

რადგან სიტყვა მეტყველია და მაინცა და მაინც ქართული ენა გვაძლევს სრულყოფილ გაშიფვრას, მითითებულია, რომ ეს იბერ -იონია ! და ეს ერი, ერი - ს - იონია -ო! ანუ ვინც უფრო სწრაფად მიხვდება, აქ მაღალი ი ო ნ ი ს მწარმოებელი ადგილიაო!

ქე (ი) მერ -იონი განუხორციელებელი ფანტასტიკა, საიდუმლოებაში ჩაძირული უსასრულობა!

ეს ჩვენ ვყოფილვართ და ჩვენი ერის ზე ზეციური ძალა, ყველას გვეძლევა შანსი ქიმ -ერ იონზე ასვლის. ქიმი. ალ - ქიმია, ანუ ალი ქიმზეაო, ა ლ ი ო ნ ზ ე ო .....

შეცვლილი ემბრ -იონი, ნუმერაციის აკორდია, რომელსაც ყვავილების ფორმა აქვს და არის ჰიმნის გეჭედი, სამყაროს საკუთრება და ადამიანის შენაძენი, რომელსაც ჩვენ ვფლობთ და კაცობრიობის გასაღებია, აქ ახლის ძიების საწყისი და სათავეა.

ადაპტირება - პიროვნული ზრდისა, გვეძლევა შანსი გავხდეთ ქიმ -ერ იონისა, შორს გადებული ხიდი, მოჩვენებითი მნიშვნელობ ისა ა ვითომ, მაგრამ ის ისე ახლოა, რომ წარმოდგენითაც უკვე შენშია და გულთან კავშირს გულისხმობს.

მისი გრწყინვალება ხალხთა შორის ურთიერთობას, ძალას და დიდებას სიყვარულში გულისხმობს.

ჩვენი ღვთიშობელია ზოგად საკაცობრიო სახელი, ახლის შენებით აყვავებული, ახალი სამყაროს საფეხური, ვარდის ჭრილში დარქმეული სახელი ალ - იონი!

თემა უსასრულოა და სასწაული, ჯერჯერობით ამ სიტყვების გახსნა ინება უფალმა.

მივაქციოთ ყურადღება და ჩავეძიოთ მის უსასრულობას სიღრმეში.

ეს ჩვენია და ჩვენს ძალებს ჭარმოადგენს, მივიღოთ და განვავრცოთ ირგვლივ.

ჩვენი ფესვი ღმერთის ფესვის შედევრია!

აქ ცოდნაა, რომელზეც აგებულია მთელი სამყარო.

იონები.

მისტიკური დანიშნულება და მისი ძალა.

ამ თემის გააზრება გვამცნობს, საკუთარი უნარების შეცნობას და დანახვას.

პიროვნული განვითარება მხოლოდ გულიდან ვლინდება და ნელნელა ავსებს სხეულს, ინფორმაციის მიწოდება ხსნის ადამიანს და ანვითარებს,

ეს ის მიმართულებაა, რომელსაც ვერანაირი დაბრკოლება ვეღარ შეეხება.

ჩვენ გვჭირდება ჩაღრმავება ჩვენივე შინაგანში, შევიცნოთ საკუთარი თავი, შიგნით არსებული სხეულის ნაწილები, ორგანოები და მათი მეშვეობით შევწვდეთ უმაღლესს, აღვადგინოთ ღვთიური ძალა, მხოლოთ სიყვარულით!

ამას მარტო გული აკეთებს!

გულიდან გამო -მდინარეა!

სურვილებისა და შესაძლებლობების დაბალანსება უკვე ოქროს მოპოვების ძალაა!

სამყაროს შენაძენია ის დიდი განძი, რომელსაც ჩვენ ვფლობთ და რომლის შესახებ მხოლოდ ერთეულებმა იციან.

ცოდნის სიღრმე ეფუძნება იდეას, ცნობიერების გარეშე პიროვნება ვერ განვითარდება, სამყაროს შენაძენი და განძია ცოდნა!

ის რაც ჩაითესა ამ გზავნილში ცოდნის შედეგად, ანუ აღორძინებით, აუცილებელ ნაყოფს მოიტანს!

ყველა ეს სიტყვები სიბრძნის ქადაგების ნიშნათ არის აღებული და გადმოცემული ჩვენთვის!

სულის სიღრმეში ჩაწვეთებული მარცვლებია,

კავკასიონი დაბადების საწყისი!

აბსოლიტური ცნობიერების შემობრუნება მოხდა და ერის ქიმ -ერ -იონზე გასვლას გვაუწყებს.

აქ სამყაროს უმაღლეს წერტილზე მიღწევის შედეგი დაბადებით ხდება, ანუ ახლიდან ვიბადებით როცა ამ ცოდნას ვეხებით და შევიგრძნობთ.

ალ - ქიმია ღმერთის ფორმაა სხეულში, რომელიც სხეულს აღვიძებს, ორგანიზმს ხსნის და წვავს უარყოფითს, ალ -ით ხდება წვა და ქრობა უარყოფითი ენერგიის, ბრუნდება ჯამრთელობა !

ჩემი პიროვნული ზრდისა და“ შეიცან თავის“ მეშვეობით შეცნობა მოხდა ამ უმაღლესი და უდიდესი იდეის მასწავლებლის დახმარებით, მისი მცდელობა თავდაუზოგავი ცოდნისა, მუდამდღე მაძლევდა საკვებს, რათა სიღრმეში შევსულიყავი და კარგად გამეაზრებინა სამყაროსი და კაცობრიობის არსი, ყურადღება გამემახვილებინა ქართული სიტყვის და ბგერის მიმართ, მის უდიდებულებას ჩავსწდომოდი.

მე აღმოვჩნდი უჩვეულო გარემოში იონთან შეხების დროს და საინტერესო და ნაყოფი - ერი სასწაული გადაიშალა ჩემს ირგვლივ, სიტყვებისა და ციფრების გაშიფრისას.

ჩემი შინაგანი მდგომარეობა ამ დროს არაჩვეულებრივ განზომილებაში აღმოჩნდა, რომ ჩვენ უფლის მაყურ -იონი ვყოფილვართ /გუდამაყარი/ და დაფიონიც ჩვენ გვეხება რაც იბერიის გაბრწყინების გზას გვაახლოვებს!

ზეციური ძალების პატრონობა ერისა და ქვეყნის განვითარებას იძლევა!

ქ. თინა მაისურაძის თანაავტორობა ჩემს შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობისა მას- წავლებელ თამაზ თავაზესთან ერთად, ჩვენი ერთობლივი ძალით მოხდა ამ უნიკალური ცოდნის გაშიფრა და თვენამდე მოტანა.

ეს ახალი ცნობიერებაა - ვარსკვლავი მზეთამზე!

ენა - თვითონ მეტყველებს დაყოფილა მარჯვ - ენა და მარცხ - ენა.

ანუ მიმართულება გააჩნია, ე.ი. ამით სამყაროსთან /სამყარო შენივე სხეულია/ და

უფალთან დამყარების კონტაქტი ან იზრდება ან მცირდება.

დიდი სიყვარულით გვეძლევა შანსი, რომ კიდევ ერთხელ ენისა და ქვეყნის სადიდებელი, სიტყვებით ავაღორძინოთ!

ჩვენი ენის განსაკუთრებული მიდგომა და მის წიაღში არსებული უნივერსალური ენერგეტიკა, რომელიც იონს ეხება და მის ღვთიურობას ამტკიცებს არის დიდებული და სასწაული!

ერის სადიდებელსა და ერის სიმტკიცეს ვახმოვანებთ და გადაჭრით ვამბობთ;-

იონი ღვთის ძალაა!

იონი ღმერთია ჩვენში!

ერი უნდა გადარჩეს და ჩვენში ღვთიური არსი უნდა იყოს წინ და მაღლა წამოწეული!

მზის ქვეშ იბადება იონები, ბრწყინავს და ანათებს, თვითეულ სხივს თავისი ბუდე აქვს, ანუ განვრცობის ადგილი.

როგორც სამყაროში მიმდინარეობს ეს პროცესი ასე ვე სხეულშიც ხდება მისი მოქმედების ძალა ენის განვითარებით, ანუ აზროვნებით.

უ - ქიმ - ერ იონი უკვე ციხესიმაგრეა და ამაღლებაა ერის! ჩვენ ვმაღლდებით, შინაგანი შეღწევის გზა ამ სულიერ განზოგადოებაში შესვლაა განსაკუთრებული ადამიანებისთვის.

სამყაროსთან კავშირის არსებობა გვაძლევს ღვთიურ ნიშანსაც და განსაცდელსაც, ანუ უნდა განვიცადოთ შინაგანად, განცდა შინაგან უნარებს განავითარებს.

სარდ - იონი შინაგანი განცდაა, ძვირფასი სამკაული, რომლის გადადნობით ივსება კალამი და წერ!

საყდრ - იონი კი უკვე შენივე სხეულში დაყრდნობილი იონია!

ცნობიერის განსჯის საფუძველია ამ თემასთან ყოველდღე კავშირი, მას უფრო აძლიერებს და ხვეწავს.სამყარო ამ საფუძველზეა აგებული, დოდეკ - ალ - იონი და ოქტ -ალ - იონი ერთად ილრ - იონის ფრთების შესხმაა. ამ ყველაფრის მიღმა კი მაღალი ცნობიერებაა, რომლის გარშემოც ღმერთია!

აქ დამშვიდებაცაა და დამშვენებაც, ყვავილების ფორმა, ჰიმნის გეჭედი, სამყაროს მისამღერი და ქრისტე ნაპოვნი სიტყვებში.

სარდ - იონი, მინერ - ალი, წითელი ან ნარინჯისფერი სამკაულისთვის, ანუ ეს სამკაულიაო! ადამიანს ამკობსო და ალამაზებსო!

დაფ - იონი, ცის კიდური, ალისფრად შეღებვა მზის ამოსვლის წინ, აისი, ალ -იონი, განთი - ადი, /ადით მაღლაო/, გარიჟრაჟზე გაღვიძებდეს მამლიო, ანუ მამრი ალიო.

იბერია, ივერია, - მთელი საქართველო, მეფეები და ერისთავები თავიაანთ ციხეკოშკებში /საკუთარ სხეულებზეა აქ საუბარი/ ისე ისხდნენ როგორც არწივები კლდის ბუდეში.

ბაგრატ -იონი!

მაყრ -იონი, მაყრობა, - მყარად ყოფნა, გამყარება ყოფილა და ესეც საკუთარი თავის გამყარებას გვამცნობს იონთან შეხების დროს.

ალ - ქიმია, - მისტიკური მოძღვრება, რომელიც ეძიებდა ე.წ. „ფილოსოფიურ ქვას“ უბრალო ლითონის, ძვირფას ლითონად გადაქცევის საშუალებას.

ალ - ქიმია, ალქიმიით მიიღება წმინდა ოქროს ზოდები, აქ გამორიცხება ყველაფერი და მარტო ნიჭს მიუთითებს, აქედან მიიღება ცხელსისხლიანთა „მე ვარ ა - ქიმი“ (შ. ნიშნიანიძე)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიგნება, ცხელსისხლიანი, უკვე სისხლის მიმოქცევის სწორ ფორმას გვაჩვენებს, ანუ ჯამრთელობას, სადაც არ ხდება სისხლის გასქელება, შესქელების პროცესი და ადამიანის სიცოცხლის მაჩვენებელია.

ალქიმიის მიმდევარი გაახალგაზრდავების ჯადოსნური საშუალებაა და აქ შექმნილია პოეტური სიმართლე, რომლის მსგავსი იშვიათია.

კავკას - იონი, - კავკასიის მაღალი ქედი, მთაგრეხილი, რომელიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული, ქართლის გულია, ანუ ქართული გული!

ფოსტ - ალ - იონი, - ფოსტის, წერილების დამტარებელი.

პ - იონი, პიონ - ერი, -რაიმე სფეროში ახალი გზამკვლევი, რაიმე ახლის წამომწყები, თან აქ ერ - თანაც გვაქვს საქმე, ანუ მიგვანიშნებენ, რომ პიონ- ერიაო!

ნონ - ალიონი, ნონაკორდი - მეცხრე საფეხურის აკორდი გამაში, სამხმოვანება, სეპტა-კორდი და ნონაკორდი პირველადი წარმოშობის მოვლენები არიან. (ლიტ. და ხელოვნ.).

გალაქტ -იონი -გალაქტიკური წელია, დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში დედამიწა ერთხელ შემოუვლის გალაქტიკის ცენტრს.

ადამიანის შემადგენელი ყოველი ატომი თავადაა უსასრულო სამყარო, რომელიც სავსეა გალაქტიკებითა და დასახლებული პლანეტებით, ჩვენს წინაშე თითქოს ფიქრისა და განცდის უჩვეულო გალაქტიკები იბადებიან.

გასტ - იონი ბურჯი საყრდენი, ციხესიმაგრის წინ გამოწეული ნაწილი ხუთკუთხედის სახის.

ემბრიონოლოგია - ჩანასახი და ლოგოს მოძღვრება, ბიოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ორგანიზმთა ჩანასახოვან განვითარებას.

ბაგრატ - იონი - გვარი ბაგრატოვანთა, რომელიც მოიცავდა ღვთიურ არსს, პრომეთეს!

ეს მათი ნიშანია, ამით იკვებებიან და ამიტომ არიან საქართველოს სიმბოლო, ყველა ჯაჭვი ბაგრატოვანთა გვირგვინის ნაწილია და ჯერჯერობით დარჩა გამოუყენებელი.

კავკას - იონი საწყისის დაბადებაა, პირველსაწყისი, პრომეთეს ჯაჭვები მზის სხივებით აკრე-ფილი მძივებია, ის განა დაბმული იყო, არამედ ეს ძალის სხივებია, ამ ჯაჭვებიდან უხილავი ენერგია გადმოედინება.

ჰერაკლე უკვე ჩამოყალიბებული ადამიანია, სრულყოფილი, რომელმაც ცოდნის შედეგად აიმაღლა თავი, ანუ გამოიწრთო და მიაღწია სამყაროს უმაღლეს წერტილს ანუ დაბადების შედეგი დადო.

პრომეთე წინდახედული და შორსმჭვრეტელი, წინასწარმეტყველი, დევკ - ალიონის მამა.

ცეცხლი ლერწამის ღეროში ჩადო, ოლიმ პოდან გამოიტანა და ადამიანებს გადასცა, ამის

გამო მიაჯაჭვა კავკასიონს ზევსმა.

ღვიძლს წიწკნიდა არწივი, - ღვიძლს აღდგენა შეუძლია!

დეკალ - იონი ფუძეა, ამყარებს ამ ყველაფერს, ფესვებიაა!

ეს ყველაფერი ზეციურ ძალთა თანაფარდობით დაიწერა.

ახლა როცა მაშველი სჭირდება მშველელს, ეგრე სჭირდება ლოცვა ჩვენ სამყაროს.

იონთა მეშვეობით ღმერთი იშვება, ანუ აღდგება ჩვენს სხეულში, /აღდგომა/ და ჩვენივე სიძლიერეს წარმოადგენს ღვთიურ არსში.

დაფ - იონი წინამძღოლის ნიშანი, დაფნის გვირგვინით შემკული თმები, ის ალაჟვარდებს სივრცეს, აბრწყინებს და ამკობს ყველაფერს, ვისაც ადგას ეს გვირგვინი ისაა თვით დაფიონი!

იონ - ჯა ბალახია!

იოვანე ღვთისმეტყველი.

აი კიდევ პავლ - იონი, - ეხლა შევხვდი პავლ -იონს და უნდა მოვავლინოთ ისიც, რადგან მისი მოვლენა ჩვენს გამოვლენას მეტყველებს.

გულის იონი პავლიონით უნდა ამუშავდეს, ანუ პავლიონი -შენობა, ფარდული, გამოყოფილი ადგილი ყოფილა.

ადამიანს კი გააჩნია, რომელს აირჩევს ან რას მიანიჭებს ამ ადგილს.

ერი! - ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმო-შობილი ენის, ტერიტორიის, ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა.

ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს მამული, თავის ერია!

გამოვლინების ფერი ახალ ტალღას რომ ელის, საფუძველია ბევრის და ახლა მას ელის ერი, ანუ ერზეა დამოკიდებული ღვთის არსი და მისით შევსება.იონების შეცნობა მის შევსებას გულისხმობს.

ეს ტალღა არის ღმერთი და ამას აცოცხლებს ე რ ი!

კვირა - გაკვირვება ა! ამ დროს ირწევა მთების სუბსტანციური ღელვა!

სუბსტანცია - ყველა საგნის და მოვლენის არსი, უცვლელი საფუძველი, მეტაფიზიკური მატერიალიზმი ასეთ არსად მიიჩნევდა მატერიას, სულს, იდეას, ღმერთს, დუალიზმი სულისა და მატერიას ერთდროულად.

ის აღიარებდა მხოლოდ მოძრავ, ცვალებად მატერიას, ღაიმე საფუძველს არსს!

თანაფარდობითობა, ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთობა!

ეს სულიერი განზომილებაა!

მეცნიერული ახსნაა საჭირო.

განიხილონ ეზოთერიკოსებმა და ფიზიკოსებმა.

აგვისტო. 2020 წელი.

სერგი ლომაძე.



იონთა პოეტური ფილოსოფია.

განხილვა იონის, ხათუნა ელიაშვილი - ჩიმაკაძის თემასთან დ აკავშირებით ჯუმბერ ლეჯავას მრავალპროფილიან მეცნიერებათა აკადემიაში. 22.10.2020.

ადრეც მითქვამს, არაერთხელ, რომ კაცობრიობა, ძირითადად ხუთი სფეროს ირგვლივ ტრიალებს.თუ ამათგან პირველებად დავასახელებთ ხელოვნებას (პოეზიის გამო) და რელიგიას, შედეგი იქნება მეცნიერება, (ფილოსოფიის გამო) პოლიტიკა, სპორტი.

პოეზია, რელიგია და ფილოსოფია, გარკვეულწილად დიფუზიაა, სინთეზია, შერწყმა-შეზავება ხელოვნება-მეცნიერების, ამიტომ ჰგვანან ერთმანეთს. ამათ ემატება მუსიკა, მხატვრობა, ზოგი სხვაც.

პოეზია ყოვლისმომცველი ხელოვნებაა, ზეხელოვნება, ძალიან პოეტურია ვთქვათ მუსიკაც და ფილოსოფიაც.

ამ წიაღსვლების შემდეგ, პირდაპირ ვიტყვი, რომ როცა წავიკითხე ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძის ნაშრომი იონთა შესახებ, დავასკვენი საბოლოოდ, რომ ეს ადამიანი ფილოსოფოსია, პოეტი ფილოსოფოსი.

პოეზია მეფეა ხელოვნებისა, ხოლო ფილოსოფია - მეცნიერებისა.

და სენსაციური მგონია ის ამბავი, რომ ქალს სურს ამ ორი ყველაზე უფრო რთული სივრცის ზიარება, დაპყრობაც კი, მაგრამ თუ მამაკაცი ღვთის სხივია, ხოლო ქალი სხივია მამაკაცის, მაშინ კაცის ნაწილაკსაც, მისი ნეკნიდან შექმნილსაც უნდა შეეძლოს უმაღლეს იდეებთან შეჭიდება. თუ კაცი ნაწილია ღმერთის, ხოლო ქალი ნაწილია კაცისა მაშინ ქალიც არაა მხოლოდ მიწისეული, ისიც ზეცისეულია, გარკვეული თვალსაზრისით მაინც. ასე რომ, მასაც შეუძლია იდეალიზმთან, ღვთაებრივთან ზიარება.

ქალი მიწასთან გვაჯაჭვავსო, მატერიას გვახსენებს მუდამო, რომ ამბობენ, არც თუ მართალია, დიახ ქალსაც შეუძლია იდეალისტი იყოს.

თუმცა იდეალიზმი მამაკაცთა სივრცეა.

და გამამცვიფრა ხატუნა ელიაშვილის ასე შორს წასვლამ ამ სივრცეში.

მისი სტატია „ იონები, იონის მისტიკური დანიშნულება და მისი ძალა, “

ფრენის სრულ შეგრძნებას იწვევს. ქალურმა გრძნობა - გონებამ აქ აჩვენა მისი პოეტურ-ფილოსოფიური ძალა, ხათუნა კი წარმოჩინდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ფილოსოფოსი ქალთა შორის, ერთ-ერთი ლიდერი-ფილოსოფოსი და მისტიკოსი.

ხათუნა ელიაშვილის ძიებანი ბევრ წელს ითვლის, ეს გზა ფილოსოფიური პოეზიით დაიწყო, შემთხვევით არაა, რომ თავის სუპერ სტატიასაც ლექსი წაუმძღვარა, უცნაური, ეზოთერული, ვულკანის კრატერივით ჩაუწვდომელი ლექსი - თეორია.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ იონთა ფილოსოფიის თანაავტორად ხათუნამ დაასახელა თინა მაისურაძე, რომლის მოუხსენლობა, ჩემს სტატიაში, მართებული არა მგონია,

ამიტომ მისი სახელი და გვარიც გავაჟღერე.

სხვათა შორის იონთა თორია არახალია, თუმცა ხათუნა ელიაშვილი ყველაზე მეტად ცდილობს, რომ მას სისტემატიური, ინტენსიური ხასიათი მისცეს.ლექსშიც, წერილშიც უკიდურესად გაამკვეთრა, გაამძაფრა ეს ხაზი, ეს თეორია.....

ამბობენ სამყარო ატომებისაგან შედგება, ატომები კი ნაწილაკებისაგან, ხოლო იონი არის ატომი, ოღონდაც- დამუხტული ატომი არისო.

საინტერესოა ფიზიკა -მათემატიკა, მაგრამ ესენი მშრალია ფილოსოფიასთან შედარებით, უფრო ნოტიო, ნოყიერი ნიადაგია საჭირო იდეათა ნათელი მარცვლების აღმოსაცენებლად, მანათობელ მზესუმზირათა აღმოსაცენებლად.

და აი, ხათუნამ მიმართა პოეტური ფილოსოფიის გზას.

„ციფრი იონი - სხვა ალ -იონი, სიტყვა იონი კავკას -იონი!“ და „იონები, იონის მისტიკური დანიშნულება და მისი ძალა“ ერთიდა იგივე ნაშრომი მგონია. დიახ, უბრალოდ, პირველი შესავალია მეორისა.

თუ ნაწილაკებითაა შექმნილი სამყარო, მაშინ იონი, როგორც ატომი ყველაფრის საფუძველი გამოდის, ის გამოდის ღვთიური თესლი, ღვთიური მარცვალი, რომელიც უზენაესმა დათესა ქაოსის ნიადაგში და ასე აღმოაცენა ყოველივე.

ხათუნა ჩაეჭიდა ამ აზრს, რომ იონი საწყისია, თანაც - მუხტის მქონე, ენერგიის, ზეენერგიის მქონე საწყისი, პოტენციური სამყარო, და ეს სიტყვა „იონი“ უამრავი სიმბოლოთი, უამრავი გააზრებით დატვირთა. ასე რომ, სიტყვამ დაკარგა მნიშვნელობა, შეიძინა მნიშვნელობები, მოხდა გაბევრება, სრული გასამყაროება, ყოვლისმომცველება.

შემდეგ ხათუნამ დაშალა ბევრი სხვა სიტყვა და აღმოაჩინა, რომ მათი დაბოლოება არის იონი. სწორედ ამით იწყება და მთავრდება ლექსი, რომელიც მისი სტატიის შესავლად იქცა. ეს თემა წარმოჩენილია სტატიაშიც.

ავტორისათვის განსაკუთრებით სასიხარულო აღმოჩნდა, რომ გალაქტიონიც სწორედ „იონით“ ბოლოვდება, თუმცა ავტორი წერს არა ‘’გალაკტიონს’’, არამედ „გალაქტიონს“ და ამით ხაზს უსვამს პოეზიის ჯადოქრის, ლირიკის ერთ-ერთი მეფის ზიარებას გალაქტიკებთან, უვრცელეს კოსმოსთან, მარადისობასთან. ეს ლიქოტომია, გაყოფა- ადამიანი და კოსმოსი, ერთიანდება, ხდება ერთსული, ერთარსი, თუკი პოეზიას სურს, რომ ორიც, მილიარდიც, უთვალავიც უდრის ერთს.

საბოლოო ჯამში ხათუნას კვლევების მიზანიც ისაა, რაც ჯერ კიდევ სოკრატემ დააყენა დღის წესრიგში ანტიკურ დროს, -აზროვნების განვითარება, გართულება. ეს მიზანი ყოველთვის უნდა არსებობდეს, სანამ კაცობრიობა იარსებებს, რადგანაც ერთ ადგილზე გაჩერებული აზროვნება წყვეტს განვითარებას, მარტივდება, ღარიბ -ღატაკი ხდება და სრულიად სცილდება იდეების უმაღლეს სივრცეს, ივიწყებს უზენაეს იდეას.

აზროვნებათაგან უმაღლესია ეპიკური აზროვნება. ის, ძირითადად, პოეტური გრძნობის მქონე მამაკაცებშია განვითარებული და მოიცავს ყოველ ივეს. ეპიკაა, თავის თავში, მკვეთრად მოიცავს ლირიკასაც. თუ პოეზიას ეპიკად და ლირიკად დავყოფთ, დავინახავთ, რომ პოეტი- ეპიკოსი

უნივერსალურია.რაც შეეხება ლირიკოსს, მხოლოდ- ლირიკოსი იშვიათადაა უნივერსალური. /იდეალური პოეტი - რუსთაველი- ეპიიკოსი იყო/

ხათუნა ელიაშვილი პოეზიით ხსნის ფილოსოფიას, მისი გასაღები უნაკლოა, - ყოველ კარს აღებს. ხათუნა ლირიკოსია, და ძალიან გამიხარდა, როცა მისი სტატიის წაკითხვის მერე, მასში ეპიკური აზროვნების ნიშნებიც დავინახე. იგი გრანდიოზულ თემას შეეჭიდა, მაგრამ შეძლო ამ თემის დამუშავება, იდეოლოგიის ჩამოყალიბება....

საერთოდ ყველას ჰყავდა მასწავლებელები, და ხათუნა ასახელებს მის ერთ-ერთ მასწავლებელს - თამაზ თავაძეს.

ბატონმა თამაზმა მართლაც რომ განსაკუთრებული მოაზროვნე შესძინა ჩვენს აკადემიას, სრულ საქართველოს.....

ჩემი სტატიის დასასრულს ვიტყვი იმას, რომ დიდი ინტერესით დაველოდები ხათუნა ელიაშვილის ახალ და ახალ წიგნებს, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება მისი პოეზია, პროზა, ფილოსოფია.....

ხათუნა დიდი ენერგიის მქონე ადამიანია, მას შეუძლია მრავალი ტომის შექმნა და უნდა იმუშაოს ძალიან ბევრი, რომ არ დაკარგოს მისი ნააზრევის უსაზღვრო სივრცენიი.....

საუკუნეების განმავლობაში მუშაობდა მამაკაცი იმისათვის, რომ ყოველმხრივად განვითარებულიყო, და ამას მიაღწია კიდეც. კაცთა საუკეთესო წარმომადგენლების მიღწევები, სულიერ- გონებრივი თვალსაზრისით განუზომელია. სული, გონება და გული მამაკაცმა, ერთ სამყაროდ აქცია, ხოლო ამათზე ამოაშენა ტაძარი ცოდნის.

თუმცა ამ ტაძრის კარი ღიაა როგორც კაცისთვის, ასევე ქალისთვის. და ქალსაც ააქვს უფლებაც, შესაძლებლობაც, რომ ეზიაროს პოეზია- ფილოსოფიის ღვთიურ საქმეს, ღვთიურ ცოდნას.

ხათუნა ელიაშვილმა გაბედა ცოდნის ტაძარში შესვლა და იქიდან იონთა პოეტური ფილოსოფიის საიდუმლოს გარკვეული ატომი გამოიტანა, რაც უწილადა კიდეც მკითხველს, მაგრამ ბევრი სხვა რამ დარჩა იმ უმაღლეს შენობაში და ხათუნას კიდევ ბევრჯელ მოუწევს იქ შესვლა, იქიდან ცოდნის ბრილიანტების გამოტანა და მათი დარიგრბა დაინტერესებულ მკითხველთა წრეებში.

სერგი ლომაძე.
თბილისი.2020 წელი. შემოდგომა.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი



სულიერ ფასეულობათა ანბანი

ნებაყოფილობითობის ჭეშმარიტად დაცვის გამოვლინების რაობა

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-9 ტომებსა და ჟურნალ „ათინათის“ №№22-37-ში

ეს თავი, როგორც ამ წიგნის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ძნელადგადმოსაცემ და, რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთ ყველაზე ძნელად აღქმად (იმიტომ, რომ მისი აღიარება არავის მოუნდება. ვგულისხმობ ადამიანის ინტელექტუალური ნაწილის იმპროვიზაციულ გამოვლინებას) ნაწილად მეჩვენება, რამეთუ იგი უამრავ ალტერნატიულ ვარიაციას, რომელიც ადამიანის არსებობის დროიდან შექმნილა, იქმნება და შეიქმნება (როგორც დამოუკიდებელი ოპოზიციური კანონების შექმნის სურვილი სამყაროს პირვანდელ, თავდაპირველ კანონშემომქმედთან და კანონმდებლობასთან მიმართებაში), სთავაზობს უარი თქვან ყოველგვარ ამბიციაზე, ურთიერთდაპირისპირებაზე, უთიერთგაუცხოვებაზე, საკუთარი ***აზრებით ვნების***, ზიანის მოტანაზე, ძალადობის, ზემოქმედების, თავზე რაიმეს მოხვევის ყოველგვარ გამოვლინებაზე.

ალტერნატიული ვარიანტების შექმნის ისტორია კი შემდგომში მდგომარეობს: ცოცხალი არსებები მიდრეკილნი არიან ყველაზე ძლიერისაკენ, ყველაზე გავლენიანი სხვა ცოცხალი არსებისაკენ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ისინი საკუთარ თავებს მხოლოდ საკუთარ მატერიალურ ნაწილთან აიგივებენ, მათი სათაყვანებელი არსებაც მატერიალური პარამეტრების მიხედვით შეირჩევა. მაგრამ, მოდით ვნახოთ, როგორ მოიპოვა ამ არსებამ ეს გავლენა, რატომღაც ხომ მიეცა მას ამის უფლება, როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ზესვლის პროცესში მისი ინტერესების დიდი ნაწილის დამთხვევა ხდება სამყაროს ევოლუციის იმ ეპოქალური მომენტის ინტერესებთან, როდესაც ფარდობითი დონის ზესვლა ხდება. ამ პროცესს აქვს თავისი პიკი, ანუ ის მომენტი, როდესაც ინტერესთა თანხვედრა მთავრდება (ან ევოლუციის ინტერესების შეცვლით ან გაცილებით უფრო ხშირ შემთხვევაში ზეასული ცოცხალი არსების ინტერესების შეცვლით), მაგრამ ინტელექტუალური ნაწილის იმპროვიზაციული გამოვლინება უკვე ერთ-ერთ კონკრეტულ ალტერნატივად ჩამოყალიბდება და მისი განდიდება და გაკერპება, სამწუხაროდ, სწორედ მაშინ იწყება, როდესაც მისი ფუნქციონალური მნიშვნელობა მთავრდება. ის უკვე მხოლოდ ჭკუის სპეკულაციურობის ნიმუშია და მეტი ვეღარაფერი, რამეთუ მხოლოდ აწ უკვე გავლილი ევოლუციის რომელიღაცა საფეხურისთვის არის გამოსაყენებელი. ზიანი კი მოაქვს იმიტომ, რომ ეს აშკარად ფრაგმენტალური ჭეშმარიტება მის თაყვანისმცემლებს აბსოლუტურ ჭეშმარიტებად უნდათ რომ გაასაღონ. რაოდენ სასარგებლო იქნებოდა, რომ ევოლუციის კვლევის მსურველებს იგი იმ ნაწილის ასახსნელად გამოეყენებინათ, რასაც მართლა მოიცავს და ასე მძივებივით ჩაელაგებინათ მთელი იმპროვიზაციული გამოვლინების ალტერნატიული შეხედულებები, ისე, რომ ერთმანეთისთვის არ ეჯახებინათ. ვგონებ, ეჭვსგარეშე თუ

არაა თქვენთვის, იმაში მაინც უნდა დამეთანხმოთ, რომ გაცილებით უფრო მომგებიანი და მიზნობრივად გამართლებული იქნებოდა.

მაგრამ... მაგრამ მოდით რეალობას დავუბრუნდეთ. ამ ყოველივეს დემონსტრირების საუკეთესოდ დანახვის საშუალება დღეისთვის არის ის, რასაც ეგრეთწოდებულ დიდ პოლიტიკას უწოდებენ. არც თუ ისე დიდი ხნის წინ იყო მონარქია, რომელიც შემდგომ შეცვალა „ქვემოდან ზემოთ“ (ბრჭყალებში რა თქმა უნდა) მართვის მცდელობამ სოციალიზმის სახით. შემდეგ აბსოლუტურად ყველასი და ყველაფრის გათანაბრების იდეა მოვიდა, ანუ კომუნიზმის დამყარების მცდელობის სახით, შემდგომ შემოვიდა იდეა ყველასთვის ყველანაირი უფლების მინიჭების სურვილი დემოკრატიის დამყარების მცდელობის სახით, რომელიც ჩემი ვარაუდით უახლოეს მომავალში სრულ კრახს განიცდის. მე ამ ცნებებისა თუ წყობების ახსნის და ანალიზის არც სურვილი მაქვს და არც ჩემი წიგნის ფურცლები მემეტება მათზე დასახარჯად და, რაღა თქმა უნდა, არც დრო. ისინი ყველანი უტოპიას და ილუზიას ემსახურებიან, განსაკუთრებით ბოლო ორი, მაგრამ არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა იმას, რომ ყველაზე ვანდალური იდეა და აბსურდული უტოპია არის სულ ბოლო ანუ ე. წ. დემოკრატია, რომელიც ცდილობს მთლიანად მოსპოს და გაანადგუროს ყველაფერი სულიერი, ყოველივე ღირებული. მაგრამ მიუხედავად ამ საშინელი მისიისა, რომელიც დაეკისრა დემოკრატიას, თავისი ფუნქციონალური დანიშნულებაც გააჩნია. კერძოდ, მისი მეშვეობით მოხდება დედამიწაზე არსებული ერთმანეთთან დაპირისპირებული ადამიანთა n რაოდენობების დაქსაქსული დაჯგუფებების გაერთიანება, რამეთუ კულტურები და რელიგიები თუ სხვადასხვა აქვთ, უზნეობები და ბილწი, ბიწიერი სურვილები ყველას ერთნაირი აქვს. ადამიანების მეხსიერების ის ნაწილი, სადაც რაღაც პოზიტიური და სასარგებლოა, ინფორმაციულად დაიკეტება და უსარგებლოსა და ნეგატიურის სარჩულით გამთლიანებული დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების გაჯანსაღება სულიერად გაცილებით უფრო პროდუქტული და მასშტაბური იქნება. დიდება მათ, ვინც შეძლებს ამ მძიმე პერიოდში სულიერების შენარჩუნებასა და გაზრდას. როგორც ხედავთ, მთავარია რამდენად სწორად მოინდომებს ნებისმიერი არსება ნებისმიერი რაღაცის გადანაწილება-დაჯგუფებას.

აი, მაგალითად, დღეს პრეზიდენტად აღიარებული ედუარდ შევარდნაძე. კერპთაყვანისმცემლობის უკეთესი ნიმუში ჩემთვის ალბათ ძნელად მოსაძებნი იქნება. ის ყოველთვის ეძებდა უძლიერესს, რაღა თქმა უნდა, მატერიალური თვალსაზრისით და შემდეგ ცდილობდა მისი მსახურება იმდენად კარგად მოეხერხებინა, რომ ყველა დანარჩენ მსახურებზე უფრო მაღლა დამდგარიყო და ყველაზე ახლოს ყოფილიყო კერპთან. კერპები კი ხშირად იცვლებოდნენ და ისიც იძულებული ხდებოდა ბატონები ეცვალა. ზნეობის მქონე ბატონი მოღალატე მსახურს, რომელმაც თუნდაც თავისივე მტრის სამსახურიდან იყოს გამოქცეული, უბრალოდ არ მიიღებს. მაგრამ უზნეო იყო მსახური და უზნეონი იყვნენ ბატონებიც. მონარქიას არ ვიცი, მაგრამ დანარჩენს ყველას ემსახურა ეს კონფორმიზმის ფორმულას დამსგავსებული ადამიანი და ვგონებ, ეს უკანასკნელი კერპიც მალე დაენგრევა თავზე.

აი, ეს არის ინტელექტუალური ნაწილის იმპროვიზაციული გამოვლინებების ალტერნატიული ვარიაციების მოკლე ანოტაცია.

მაშ ასე, თუ მართლა სერიოზულად განხილვის სურვილით მივუდგებით „ეგო“-ს რაობას, გაცილებით უფრო ღრმა, ნათელი და ზუსტი სურათი დაიხატება.

დღიდან კაცობრიობის ისტორიული არსებობისა და, თუ გნებავთ, დღიდან მატერიალური არსებობის აღმოცენებისა, არსებობდა ეს ცნება, რამეთუ, რომ არა მისი არსებობა, თვითონ მატერიალური სამყაროც ვერ ჰპოვებდა განსხვავებულ გამოვლინებას, სულიერი სამყაროს პარალელურად. ეს მატერიალური სამყარო არის ალტერნატიული ვარიანტი სულიერი სამყაროსი. რაში

მდგომარეობს განსხვავება? პასუხი ალბათ არც ისე ძნელი იქნება. სულიერ სამყაროში ყველაფერი, რაც გამოვლინებულია, ფაქტიურად, სარწმუნოებისა და სიყვარულის ოკეანეს წარმოადგენს, რამეთუ იქ არავინ ცდილობს რაიმე უცხოს ძიებას და ცხოვრობენ იმით, რაც უკვე მიღწეულია, ათვისებულია და არ არის ჭეშმარიტების დარღვევის მცდელობა. იქ მოქმედებს დაახლოებით ასეთი დევიზი: არ არსებობს ისეთი სიამოვნება, რომლისთვისაც ღირდეს ჭეშმარიტების დარღვევა. რაც შეეხება ევოლუციის პირველ კანონს, როგორც განვითარების, წინსვლის განუხრელ აუცილებლობას, ე. ი. „ეგო“-ს ენაზე რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ არ შეცნობილი ჭეშმარიტების ანუ „ეგო“-ს ტერიტორიების ათვისებას ახორციელებს ერთი, ყველაზე მაღალი, ღრმა ეთიკური დონის მქონე ცოცხალი არსება, რომელსაც ჰქვია უფალი ღმერთი და ამ განხორციელების პროცესში ყველას თავის ფუნქციასაც ის განუსაზღვრავს, რა თქმა უნდა, სრული არაძალადობისა და ნებაყოფილობითობის დაცვით. ეს არის „ეგო“-ს ათვისების უალტერნატივო, ყველაზე ჭეშმარიტი და ყველაზე სრულყოფილი გზა ყველა არსებულ გზას შორის.

აი, ამ პროცესში ნებისმიერი მოვლენის დაჩქარების ან, პირიქით, შენელების მსურველი ცოცხალი არსებები, ნებით თუ უნებლიეთ, სიტუაციის მმართველის ოპოზიციურნი, შეიძლება ითქვას, დაპირისპირებულნი ხდებიან, რის გამოც საჭიროა მათი გადაგზავნა მათი შეხედულებების შესაბამის პირობებში და რეალურად ხდება მატერიალური სამყაროს გამოვლინება. ამ სამყაროში ძირითად ვარიანტს უკვე აღარ უწევენ ანგარიშს, ანუ შეიძლება ითქვას, ღმერთის აზრს უკვე აღარ ითვალისწინებენ, ან იმ დონეზე ითვალისწინებენ, რა დონეზეც ეს აწყობთ, სამაგიეროდ ყველა თავისი ალტერნატიული ვარიანტით არის შეიარაღებული „ეგო“-ს ჭეშმარიტებად გარდაქმნის შესახებ, ყველას უკლებლივ თავისი თავი ჰგონია მართალი და ამ გიჟური კონკურენციის პირობებში, თუ ვის ვარიანტს აღიარებენ უზენაესად, წამყვანად, სახელმძღვანელოდ, რამეთუ რაღაცით უნდა იხელმძღვანელონ, როგორც კანონებით, რომლებსაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს, დაახლოებით ასეთი ტიპის დევიზი შემოდის: მიზანი ამართლებს საშუალებას.

ამგვარად, ათასგვარი გარიგებებით და საკუთარი პრინციპების არაერთხელ გადაკეთებით მიღწეული მმართველობის უფლების მიღების შემდეგ, ინდივიდუალური სული, რომელმაც ეს შეძლო, საკუთარი „შრომის“ და „მოღვაწეობის“ შემდეგ ცდილობს მაქსიმალურად მიიღოს სიამოვნება, დაიკმაყოფილოს თავისი სურვილები. და აქ უკვე ახალი დევიზი აქვს ამ ინდივიდუალურ სულს: არ არსებობს ისეთი ჭეშმარიტება, რომლისთვისაც ნებისმიერი სახის სიამოვნებაზე უარის თქმა ღირდეს (რა თქმა უნდა, რაც მისი სურვილებიდან გამომდინარეობს). „ეგო“-ს ენაზე რომ ვთქვათ, ინდივიდუალური სული „ეგო“-ს კონტროლის ქვეშ ექცევა.

ამიტომაც, უფალი ღმერთი ყოველთვის იჩენდა მართლაცდა უმიზეზო წყალობას და მატერიალურ სამყაროებში (ნაგულისხმევია სხვადასხვა გალაქტიკები და ამ გალაქტიკებში არსებული სხვადასხვა პლანეტები) თავად, პირადად ევლინებოდა, ბევრ რიგ შემთხვევაში თავის წარმომადგენლებსაც აგზავნიდა, რათა მატერიალურ სამყაროებში დამკვიდრებული გამრუდებული ზოგადი ცნობიერებებისთვის სწორი მიმართულება და არსი დაებრუნებინა. შემდეგ ეს შეხედულებები ნელ-ნელა მკვიდრდებოდა და იზრდებოდა, ვიდრე ჩამოტანილი ცოდნის ათვისება ბოლომდე არ მოხდებოდა და ა. შ. და ა. შ. ამისდა შესაბამისად იქმნებოდა რელიგიები, რომელთა მიხედვითაც ვითარდებოდა კულტურები, ცივილიზაციები, ხელოვნება, მეცნიერებები და ა. შ. ხოლო „ეგო“-ს ის ნაწილი, რომლის აღსაქმელადაც მატერიალიზებული ცოცხალი არსებები (მოაზროვნენი) ჯერ მზად არ იყვნენ, სინდისისა და სირცხვილის შეგრძნების მექანიზმით კონტროლირდებოდნენ. ეს არის ერთგვარი შინაგანი ცენზურა, რომელიც ინდივიდს არ აძლევს უფლებას შინაგანად აღქმულ „აკრძალულ ტერიატორიზე“ შევიდეს.

მაგრამ სხვადასხვა რელიგიების ურთიერთცვალებადობის შემდეგ, დროთა განმავლობაში ხდება ინდივიდუალურ სულთა დაჯგუფებების ურთიერთდაპირისპირება სწორედ ამ რელიგიური ფანატიზმის საბაბით, რამეთუ სათითაოდ ყველა მათგანის წარმომადგენელი იჩემებს თავისი რელიგიის უპირატესობას დანარჩენებზე, ნაცვლად იმისა, რომ ყველამ ყველა რელიგიის ჭეშმარიტება და თავ-თავისი დანიშნულება აღიარონ და აღიქვან. მატერიალიზებული ინდივიდუალური სულები აქაც მოუთმენლობასა და გაუტანლობას იჩენენ. ეს მაშინ ხდება, როდესაც ყველა რელიგია უკვე ზრდასრულია. მხოლოდ მაშინ ხდება ერთმანეთის ნახვის შესაძლებლობა. აი, სწორედ ამ ურთიერთდაპირისპირების დროს იწყებს აყვავებას ისეთი შეხედულებების დამკვიდრება, რომლებიც რადიკალურად არიან დაპირისპირებულნი ყველაზე სარწმუნო და ყველაზე სრულყოფილ გზასთან. რელიგიური შუღლის ფონზე ღვთიური ცნობიერება ადვილად სუსტდება და ეს ალტერნატიული, ოპოზიციური ცნობიერება ადვილად ძლიერდება, რამეთუ სარწმუნოში ეჭვის შეპარვის შემდეგ, რომელიც რელიგიურმა დაპირისპირებამ გამოიწვია, ნდობას ეს ახალი არაღვთიური იღებს. დგება „ეგო“-ს აყვავების, დამკვიდრების ხანა, რომელიც იპყრობს ყველასა და ყველაფერს, რომელიც ღვთიურ, ჭეშმარიტ ცნობიერებას უარყოფს. მიდის გამალებული მცდელობა სირცხვილისა და სინდისის შეგრძნებების ნელ-ნელა და მეთოდურად ამპუტირებისა და ცოცხალ არსებებში ხდება ღმერთის უარყოფა, სულიერი სამყაროს უარყოფა, სულის იგნორირება. ფაქტიურად, ეს არის „ეგო“-სთან გაშინაურების მცდელობა „მე“-სთან გაუცხოვების ხარჯზე. ეს არის ალბათ, ყველაზე მძიმე პერიოდები მატერიუალურ სამყაროებში, მაგრამ მასთან შინაგანად დაპირისპირების მცდლობაც არასწორი იქნებოდა. მე ვიტყოდი, რომ ეს არის ობიექტური რეალობა, ევოლუცირების ერთ-ერთი საფეხური, როდესაც საკუთარი ნებით მატერიალიზირებული ცოცხალი არსებები ველარ გაერთიანდებიან, როცა ლაპარაკია მაგალითად, პლანეტარულ დონეზე. „ეგო“ ხომ გაუცხოვებას, დაპირისპირებას, უნდობლობასა და სუბიექტურობას მოიცავს რეალურად. ამ პროცესით კი, ნებით თუ უნებლიეთ, ხდება ყველა ცოცხალი არსების გაერთიანება თავისი „ეგო“-ს ქვეშ. „მე“-ს აღქმა თუ ყველას სხვადასხვა აქვს, „ეგო“, პრინციპში, ყველას ერთი აქვს. მაგრამ ეს ერთგვარი შოკური თერაპიაც არის მათთვის, ვინც მოისურვებს თავისი დაუდგრომელი სურვილები აიხდინოს „ეგო“-ს ჭეშმარიტად შეცნობის საკითხებში ე.ი. „მე“-ს გამთლიანების საკითხებში. კარგით, მათზე არ შევჩერდები, ისინი ერთეულები არიან და ეს უკვე სხვა საკითხია. ასე და ამგვარად, უკვე გაეგოისტებული და გაუღმერთოებული დონის მიღწევის შემდეგ, მაგალითად, მთელს პლანეტაზე ხდება უკვე უფალი ღმერთის მოვლინება და ის მთელი პლანეტის მასშტაბით ამკვიდრებს სწორ მიმართულებას, რაც, ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, მართლაც უფრო ეფექტურია, ვიდრე ნაწილ-ნაწილ შემოტანა.

ეს არც არავისი ჭირვეულობაა და არც რაიმე დაგეგმარებული პროცესი. ეს არის ევოლუციის თანამიმდევრული ციკლი, რომელიც ისევე ცოცხალი სახით, ბუნებრივად ხდება, როგორც ბუნების ნებისმიერი ბუნებრივი გამოვლინება. თუ ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპებით ვიხელმძღვანელებთ, ისინი არასოდეს ირღვევა აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და აბსოლუტური სიყვარულის ანუ აბსოლუტური ჰარმონიულობის დონეზე. თუ ისინი სადმე ირღვევა, ეს ხდება მატერიალური სამყაროს სხვადასხვა ნაწილებში, სადაც ინდივიდუალური სულები მატერიალიზირდებიან. აბსურდული ბრალდებები მხოლოდ ბრალმდებლებს დააზიანებს.

ზოგადცნობიერულ დონეზე მოკლე და ლოგიკური დასკვნა შემდეგი სახის იქნება: როგორც სულიერ ისე მატერიალურ სამყაროში თავისდაუნებურად შეუცნობლად საკუთარი თავის მთავარ მიზანს განვითარება, სრულყოფილებისკენ სწრაფვა, ევოლუცირება, წინსვლა ანუ „ეგო“-ს (გაუცხოებულობის, უნდობლობის) მაქსიმალურად შემცირება წარმოადგენს. მაგრამ სულიერ სამყაროში არჩეული გზა არ ემთხვევა მატერიალურ სამყაროში არჩეულ გზას. სულიერ სამყაროში ხდება

ჯერ თეორიულად (წარმოსახვაში) ყველაფრის მაქსიმალურად აწონვა და გაზომვა და ამ თეორიულ დოქტრინამდე არსებული ყველა დამკვიდრებული და შესისხლხორცებული, ანუ წარსულში არსებული, მიღებული და ცხოვრებაში რეალიზებული შეხედულებების განუხრელი გათვალისწინებით (და არაფრის არ იგნორირებით), იწყება ამ თეორიული ცოდნის ზომიერი და თანამიმდევრული რეალიზაცია, რამეთუ ჩვევა „ეგო“-ს „მე“-დ აღქმული ფორმირებული გამოხატულებაა და მისი უცაბედი მკვეთრი მოცილების, მოშლის მცდელობა, აკრძალვით ან რაიმეს თავზე მოხვევით, იმ შედეგებს მოიტანდა, რაც ხდება მატერიალურ სამყაროში.

რაც შეეხება მატერიალურ სამყაროს, სულიერში თუ ერთი არსების მხრიდან მოდის სტრატეგიული ცვლილებების თეორიული ცოდნაც და მის რეალიზაციასაც თუ ის უძღვება სტრატეგიული პორციალური თვალსაზრისით, მატერიალურში ყველა (ძირითადად მამრი სქესის) ინდივიდუალური სული თავისი კონკრეტული სტრატეგიული თეორიის გატარების მცდელობითაა დაკავებული. ასე ვთქვათ, ყველას უნდა დირიჟორობა, ინსტრუმენტებზე დაკვრა კი — არავის, და რისთვისაც ეს კეთდება, ანუ მუსიკის შექმნა, უკვე მეორეხარისხოვანი ხდება. სადირიჟორო ადგილი კი თვითმიზნად გადაიქცევა და რა შეიძლება ამას დაერქვას, მე ნამდვილად არ ვიცი. ალბათ, მაინც მგონია, რომ აქედან უნდა ჩანდეს „ეგო“, შემცირებისა და ახსნის მაგივრად, რატომ იზრდება და მრავლდება „მე“-ს (არსებული სიყვარულის, ნდობის, ერთიანობის შეგრძნების) შემცირების ხარჯზე.

შეიძლება ვინმეს ეს სენტიმენტალურ ფანატიზმად მოეჩვენოს, მაგრამ არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი ციტატა, რომელიც ჩემი სუბიექტური შეხედულებით სამოთხის არსის რაობას აღწერს. „მეუღლე“ მიმართავს უფალ ღმერთს შემდეგი სიტყვებით:

„შენ ბრძანდები ღმერთების უზენაესი პიროვნება. ვერავინ დადგება შენზე მაღლა, ვერც შენი სწორი გახდება ვინმე. სოციალური სისტემა მაშინაა სრულყოფილი, როცა შენ დგახარ მის ცენტრში, როცა შენ გემსახურებიან როგორც უზენაესს და ყველა სხვა შენი მსახურებითაა დაკავებული. ასე სრულყოფილად ჩამოყალიბებულ საზოგადოებაში ყველას შეუძლია მარადიული ბედნიერებისა და ნეტარების განცდა“.

<u>სამოთხე არის იქ, სადაც არ არის „ეგო“.</u>

ამ ყოველივე ზემოთქმულის (რაც ამ თავში მთლიანად არის) ორი სიტყვის ცნობიერი აღქმით გამოხატვა შეიძლება და ახლა ამ სიტყვების შემოტანით ამ თავის მეორე, თვისობრივად ახალი ნაწილი იქნება დაწყებული და მოცული. ეს სიტყვებია:

შესაძლებლობები და მოთხოვნილებები

გაგრძელება იქნება

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)



ბრალის თეორია

ავტორისაგან

„ბრალის თეორიაში“ წარმოდგენილი ბრალი სრულიად განსხვავებულია იურისპრუდენციაში გათვალისწინებული და განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი ბრალისაგან. ზოგადად, ბრალმატარებლობა ადამიანში, მისი აღძვრის ტენდენცია, გამოვლენის მრავალი ფორმა და შინაარსები შეადგენს წინამდებარე ნაწარმოების ინტერესს. ავტორმა მოსაზრებები ამ მანკიერებაზე ერთ მთლიან იდეად – ბრალის თეორიად ჩამოაყალიბა, რათა ადამიანს წარმოდგენა ჰქონდეს, როგორც საკუთარ, ასევე – მის ირგვლივ მყოფი საზოგადოების წევრების მიერ ერთმანეთის მიმართ წარმოშობილ უამრავ ბრალზე. ადამიანმა უნდა შესძლოს გააზრება, რამდენად სამართლიანია და რამდენად სწორად აღიძვრის ბრალი, რომ შემდეგში წინააღმდეგობა გაუწიოს, დაარეგულიროს, აღმოფხვრას ბრალის ვნებითი განწყობილებები; გათავისუფლდეს ზედმეტი ბრალისაგან, რომელიც სინამდვილეში სტანჯავს მას და ხელს უშლის, იყოს მისაღები ახლობლების და საზოგადოების წევრების მიერ. ბრალის განხილვის ძირითადი მიზანი არის მისი გააზრება და არა გაქრობა ან მისგან განკურნება. ადამიანი უნდა ახდენდეს იმის გაშიფვრას, – რა ამოძრავებს მას ამა თუ იმ ურთიერთობაში, რა არის მისი მოქმედების მოტივი – ცნობიერ თუ ქვეცნობიერ დონეზე. მოტივში ყოველთვის მოიპოვება გაუცნობიერებელი ელემენტები, მათ შორის ბრალი, რომლის ამოქაჩვა და გაანალიზება უაღრესად ადამიანური ფაქტორია. ადამიანს შეუძლია ნებისყოფის გამომუშავებით დათრგუნოს ვნებები, მათ შორის – ბრალი; ეს გაცილებით მეტ სიამოვნებას მიანიჭებს მას, ვიდრე ბრალით დადანაშაულება ანდა რევანში.

გარკვეულწილად, ამ ნაწარმოების შექმნა განაპირობეს დღევანდელი საზოგადოების ცხოვრების წესმა და მოზღვავებულმა მანკიერებებმა. ბრალის თეორია – ბრალის გააზრებით და აღწერით, ავტორის მხრიდან, თავადაც ბრალია, მაგრამ, არამცდაარამც, დამცირება, დაკნინება ან სიძულვილი; პირიქით, ბრალის, როგორც მანკიერების მხილებით, იგი ცდილობს, უპირველესად, თავისი თავი და სხვა ადამიანები გაათავისუფლოს ზედმეტი ბრალისგან, დააბრუნოს გაწონასწორებულ მდგომარეობაში, რაც სავსებით შესაძლებლად და აუცილებლად მიაჩნია.

ავტორმა ბრალი გაიაზრა, როგორც საჭირბოროტო, ძნელად გასაცნობიერებელი, თუმცა დასაძლევი ვნებათაგანი. ის მიიჩნევს, რომ ადამიანი და ბრალი განუყოფელია ერთმანეთისაგან; რომ პიროვნული ბირთვი, თავისი „ბრალებით“, წარმოუდგენელია – დაირღვეს. ბრალის

„იზოლაცია“ ან „გამოყოფა“ პირობითადაც რომ მოხდეს, ეს გამოიწვევს ფსიქიკურ დარღვევებს. ბრალი, გაცნობიერებულიც და გაუცნობიერებელიც, არის პიროვნების მაფორმირებელი მისი მთლიანობის განმაპირობებელი. იგი თანმხლებია ადამიანის მოღვაწეობის და საზოგადოებასთან დამოკიდებულება-ურთიერთობის ნაზავია. ბრალი სამართლიანობა-უსამართლობის ჭიდილშია ნაშობი; აღიძვრის ცხოვრების ყველა ნიუანსში – შენიღბულ-შეუნიღბავ ფორმებში; პიროვნების მამოძრავებელი, მაიდენტიფიცირებელი, მადგინებელ-განმავითარებელ-მაცოცხლებელი, ურთიერთობათა განმსაზღვრელ-დამარეგულირებელი იმპულსია, რომელსაც ყოველთვის აქვს ვექტორი. ის რაღაცის ან ვიღაცის მიმართ არის გამიზნული; გამუდმებულად ცირკულირებს ადამიანის აზროვნებით ფორმებში: შემოქმედებაში, მხატვრობაში, პოეზიაში, მუსიკაში, ნებისმიერი აზრის გაელვებაში. ყოველგვარ ვნებათა სათავე ბრალის აღძვრაა. თუ ცხოველი სასიცოცხლოდ აუცილებელ აქტივობებს ცხოველურად ანხორციელებს, ადამიანი დახვეწილი, ფორსირებული, შენიღბულ-შეჯავშნული, ზოგჯერ წარმოუდგენელი – ამაზრზენი ფანტაზიებით ნაკვები ბრალით გამოდის არენაზე...

სადავო არ არის, რომ მტრის ხატის თანხლება და ბრალი მის მიმართ, ადამიანს აგულიანებს, გრძოლისუნარიანობას უყალიბებს, სტიმულატორის როლს თამაშობს...

ბრალი, თავისი ხასიათით, შეიძლება მერყეობდეს: თითქოს უწყინარ, ზომიერ, უსამართლო, ავთვისებიან და ა. შ. პათოლოგიურ ბრალამდე.

ბრალის ძებნა თავის თავში, მაგრამ სხვებში უფრო მეტად, ადამიანების თანდაყოლილი თვისებაა. ისინი იმდენად მიდრეკილნი არიან გადაბრალებისაკენ, ამ აბზაცების კითხვისასაც კი, დაიწყებენ სხვა ადამიანებში ბრალის ძიებას უფრო, ვიდრე თავის თავში...

როგორც სტალაგმიტები და სტალაქტიტები იზრდება ძალიან ნელა, ასევე ადამიანის ღვთისნიერი გონება იზრდება და მწიფდება ძალიან ნელა. მთავარია, ადამიანს ჰქონდეს მიდრეკილება და კეთილგანზრახულობა, ის უსათუოდ დაძლევს ყოველგვარ ვნებას, მათ შორის ზედმეტი ბრალის ვნებასაც, რაზედაც ამ წიგნში არის მსჯელობა.

ამგვარად, ავტორი მიზნად ისახავს ბრალის, როგორც მანკიერების გამოაშკარავებას; მის წარმოჩენას, არა მარტო, როგორც თანდაყოლილ, არამედ, როგორც ადამიანის ფანტაზიებში ნაკვებ, განსხეულებულ, განსახიერებულ, განხორციელებულ და აგრავირებულ ბრალად; ბრალის შინაარსების, მისი ფორმების აღწერას და ანალიზს; მის გააზრებას უმაღლეს ადამიანურ კატეგორიაში და მისიაში; სათანადო გააზრება-გაცნობიერების შედეგად ბრალის დარეგულირებას.

წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის – სხვადასხვა შეხედულებებისა და მენტალობის მქონე ადამიანებისათვის.

ზოგადი მიმოხილვა

ბრალის განსაზღვრება

რა არის ბრალი – ადამიანის ყოფაცხოვრებაში და ურთიერთობებში დაგროვილი ნეგატიური ენერგიების სხვა ადამიანებზე გადატანა და სასიამოვნო განმუხტვა; გადაბრალებისას საკუთარი უდანაშაულობის შეგრძნება და განცდა, თუ პირადი წარუმატებლობის, შეცდომის ან კრახის სხვაზე გადაბრალება და ამით დაკმაყოფილება?

ბრალი ადამიანური ვნებაა – ბიოლოგიური და საზოგადოებრივი კონსტრუქციებით დეტერმინირებული, რომელიც განაპირობებს ჩვენს მიმართებას ოჯახის წევრებთან, საზოგადოებასთან, გარემოსთან, სამყაროსთან; ბრალი ადამიანის მიერ სხვა ადამიანების, საზოგადოებრივი ჯგუფების, მოვლენების ან საგნების მიმართ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, გაშინაარსებით თუ გაუშინაარსებლად, ფორმირებული ან არაფორმირებული, სამართლიანი ან უსამართლო პრეტენზიის ქონა და ამ მიზეზით სხვადასხვა ფორმით და საშუალებით მათზე ზემოქმედების სურვილია; გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ბრალის აღძვრა, გადაბრალება – პირდაპირ თუ ირიბად, უსაფუძვლო ან საფუძვლიანი მოთხოვნა, შერისხვა-შურისგება, მტრობა, უსამართლო მიმართებები – ზოგჯერ საკუთარი თავის მიმართაც – აი ეს არის ბრალი. შეიძლება ვთქვათ, რომ ბრალი ენერგიის გადატანა-გატანაა, თავდაცვის არქეტიპული საშუალებაა, თავდასხმის ფორმაა, თვითგვემაა თვითბრალით შეპყრობილთათვის. ბრალი ის ენერგიაა, რომელსაც დათოკვა, დარეგულირება-გაუვნებელყოფა სჭირდება მოზღვავებისას. იგი განსაკუთრებული მნიშვნელობის (სახის) ენერგიაა, რომელიც გაანალიზებას საჭიროებს და გაცნობიერებას კარგად ექვემდებარება ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანებში, – სამართავ-სარეგულაციო ცნობიერების გაღვიძება-გაღვივების, განვითარება-მომწიფების ყველა ფაზაში. ბრალს განვიხილავთ, როგორც ადამიანურ ვნებას – სნეულებას, რომლისგანაც გათავისუფლება და თავის დაღწევა ადამიანს უძნელდება. იგი სხვა ვნებებთან ერთად, თანდაყოლილი, ადამიანური ფენომენისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი მანკია.

ბრალი, რეალიზებული და არარეალიზებულიც, ორივე ბრალია. ის ცირკულირებს მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებში, აღიძვრის შურთან, აგრესიასთან და სხვა ვნებებთან ერთად. ის ადამიანში გამუდმებულად არის და ცირკულირებს. გაცნობიერების შემთხვევაშიც კი, მედგარ წინააღმდეგობას საჭიროებს, რათა უსამართლობასა და განუკითხაობაში არ გადაიზარდოს. და მაინც! ბრალის სამართლიანმა თუ უსამართლო აღძვრამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კაცობრიობის კულტურისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ყოფიერების ძირითადი შინაარსების ფორმირებაში.

ბრალი, როგორც საბაზისო ვნება და მისი დაძლევა

ძალუძს კი, ადამიანს ბრალის გარეშე არსებობა? – იქნებ ეს მძლავრი სასიცოცხლო ტენდენციის ნაწილია და საბაზისო ვნებათაგანია, რომლითაც იგი გარესამყაროს უპირისპირდება და ერწყმის? ნაწილობრივ, შესაძლოა, ეს ასეც იყოს, მაგრამ თუ არსებობს ბრალითშეპყრობილის სიამოვნება ამ ვნებისაგან, ასევე არსებობს უდიდესი სიამოვნება ბრალის დატევებისა, დათრგუნვისა საკუთარ არსებაში, რომელსაც ვერანაირი ბიწიერი სიამოვნება ვერ შეედრება და ვერ შეცვლის. ზეადამიანური – ვნებათაგან დაცლილი დამოკიდებულება მოყვასისა და თვისტომთა მიმართ, ხომ ღვთაებრიობის დიდი გამოვლინებაა და ამისათვის, დიახაც, ღირს დაითრგუნოს ბრალისმიერი ვნებები.

ამ მსჯელობებში აუცილებლად დაისმის კითხვა: თუ ვნება არა, თუ შური არა, თუ ბრალი და აგრესია არა, ბოლოსდაბოლოს, რა ენერგიით დასძლიოს ადამიანმა ღალატი, ძალადობა და გამეფებული გაუტანლობა? ისინი ხომ დამცველი, წინააღმდეგობის გამწევი და ბრძოლის უნარის მქონე ენერგიებია. სხვაგვარად ადამიანი უსისტემო, უიარაღო, დაუცველი აღმოჩნდებოდა მგლურ, დაუნდობელ გარემოში. ბრალი ხომ თავის დაცვის, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის დახსნის, აგრესიის გადატანის და განხორციელების საშუალებად ფილოგენეზურად აღმოცენდა და ჩამოყალიბდა. მართალია, აგრესია და ბრალი ველურ გარემოში ადამიანის ფიზიკური გადარჩენის საშუალება იყო, მაგრამ თავისი მრავალსახოვანი ფორმით, დღევანდელობაშიც არ დაუკარგავს აქტუალობა. ადამიანურ საზოგადოებას, თავის განვითარებისდაკვალად, ჯერ ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ ვნების, როგორც მანკიერების დასაძლევად და გასანეიტრალებლად. მეცნიერების და ტექნიკის განვითარებამ, მხოლოდდამხოლოდ, გაზარდა დაპირისპირება, დაძაბა ადამიანური ურთიერთობები.

ადამიანის დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან განსაზღვრავს მისი ბიოლოგიური არსი (გენი), რომელიც ახდენს მისი განწყობილებების აწყობა-გადაწყობას დრო-ჟამ-გარემოების შესაბამისად. ბიოლოგიური არსის განხორციელებისათვის ბრძოლაში რა საშუალება არსებობს იმისა, რომ იმოქმედოს ამ არსის, ანუ თავისი ბუნების წინააღმდეგ? ადამიანის აზროვნებაში, წარმოსახვაში და მოქმედებაში მძლავრობს ცხოველური ბუნება, მაგრამ მის აზროვნებაში, აგრეთვე, იჭრება გენეტიკაში ჩადებული ღვთაებრივი ბუნებაც. ეს გარდაუვალი და დადასტურებული მოცემულობაა, რომელიც კანონზომიერ-ჩანაცვლებადია მის ცხოველურ ბუნებასთან, სხვადასხვა დროისა და მდგომარეობის მიხედვით და რომელიც ადამიანისათვის შეუცნობადი კანონზომიერებითაა მართული. ცხადია, ადამიანში არის უნარი, ეძიოს და მიაგნოს თავზევითა ძალას, რომლითაც იგი ცხოველურ ინსტინქტებს და ადამიანურ ვნებებს დაძლევს. კეთილგონიერ და კეთილგანწყობილ ადამიანში დაპირისპირებულობა-წინააღმდეგობა საკუთარ ვნებებთან ძლიერია, აზროვნება-განზოგადება უმაღლეს საფეხურზეა. დაძლევს რა დაპირისპირებულთა ბრძოლის კანონზომიერებებს, იგი უზენაეს ღვთაებრიობას უახლოვდება. ვნებებთან წინააღმდეგობის არმქონე ადამიანი ვერ ახერხებს მაღალი დონის განზოგადებებს და ვნებებში იხრჩობა. მას „თავს ზევითა“ ძალაზე წარმოდგენა არა აქვს. ზოგჯერ, ასეთი ადამიანიც კი, ღვთის დაშვებით,

გაიაზრებს ბრალის ვნებიანობას და მის მიმართ წინააღმდეგობას აძლიერებს; ადამიანის უმაღლესი აზროვნების კატეგორიიდან გმობს დამამცირებელ ეპიზოდებს თავის ცხოვრებაში.

აქვე დაგვაინტერესებს საკითხი, იცვლება თუ არა ბრალი და მისი ფორმები ბიოლოგიური არსის ცვლილებასთან ერთად. ხელოვნური კატაკლიზმებით ადამიანის გენის სწრაფი ცვლილება, დღესდღეობით, გვაყენებს დიდი დილემის წინაშე: არის ეს! – დასაბამი ადამიანის გადაგვარებისა და დაღუპვისა, თუ მისი გამრავლება-რეპროდუქციის ფორმა იცვლება? – რაც შეიძლება, საბოლოოდ, ახალი ადამიანის შექმნით დამთავრდეს, რომელშიც აგრესია და ბრალი ნაკლები იქნება. თუ ასეა, – ეს თანამედროვე ადამიანის „მიღწევად“ უნდა მივიჩნიოთ. იგი თან მოჰყვა მის ეგრეთ წოდებულ „განვითარებას“, მისი მოღვაწეობით ბუნების შეცვლის და გადაგვარების მცდელობას და გასაკვირი არაფერია, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ მივიღებთ საშუალოსქესიან ადამიანს დათრგუნული აგრესიით და ბრალით... მივიღებთ ნაკლებ ძალადობას ბუნებასთან და რომ ეს თავად ბუნებამ მოგვიწყო – დაარეგულირა მასთან დაპირისპირებულობისა და ჭიდილის გამო (ეს საკითხი განხილული მაქვს ასახვის თეორიაში).

ბრალი, როგორც დადანაშაულების ტენდენცია

ამ ნაწარმოებში ჩვენ განვიხილავთ, არა მარტო, წაყენებულ და განხორციელებულ ბრალს, არამედ ბრალს, როგორც, ზოგადად, ბრალმატარებლობას და დადანაშაულების ტენდენციას. არსებობისათვის ბრძოლაში ბრალი შეიძლება მივიჩნიოთ ენერგიის მთავარ იმპულსად, რომელიც ამოძრავებს ადამიანს წინააღმდეგობრივ სამყაროში; ის მთავარი იარაღია, რომლითაც ადამიანი სძლევს შიგა და გარე წინააღმდეგობებს, – მოძრაობს დროსა და სივრცეში. მეორეს მხრივ, ადამიანი, თავისი ბუნებით, ყველას და ყველაფრის წინააღმდეგ არის მიმართული – „...ბოროტისკენაა მიდრეკილი ადამიანის გულისთქმა მისი სიყრმიდანვე...“ (დაბ. 8:21). სწორედ, ამ მიდრეკილებაზეა მსჯელობა აქ. ეს არ არის მარტო ბრძოლა არსებობისათვის. ადამიანის არსობრივ-განწყობილებითი მდგომარეობა ბრალის აღძვრის ტენდენციითაა გამსჭვალულ-გაჟღენთილი (რაც არ შეინიშნება ცხოველებში). ეს არის ადამიანის განწყობილების, ზოგადად, ბრალით წარმოდგენადობა. ამას ადასტურებს ისტორიული ფაქტები, რომ თვით ყველაზე დაკმაყოფილებული ადამიანები, თავიანთ წარმოსახვებში, როგორ გენერირებენ ამაზრზენ ბრალს სხვა ადამიანების მიმართ. ეს ფაქტები აუცილებლად მიგვიყვანს დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობის სისრულის, სირთულის და, საერთოდ, მისი მასაზრდოებელი ენერგიების შევსების, ხარჯვის, გამოყოფა-გამოყვანის ფორმებისა და სახეების განხილვასთან, რაზედაც შემდგომში გვექნება მსჯელობა.

ბრალის სამართლიანობა

არის თუ არა ბრალი სამართლიანი? წარმოშობის, სიფართის, განხორციელების საშუალებების და გზების არჩევის, საბოლოო შედეგის მიღწევის ჩათვლით, თვით ყველაზე უწყინარი

ბრალი, მაინც ბრალის აღძვრაა, – ნეგატივის, აგრესიის მატარებელია. უკუბრალი (სამაგიეროს მიზღვა-რევანში), თუნდაც სამართლიანობის ნიადაგზე აღძრული, შეიცავს დამანგრეველ ენერგიებს; ზომა – სამართლიანობა-წონასწორობა ძნელი დასაცავია, რადგან ადამიანის ფანტაზიები ბრალში ფორმასახეცვალებადობს, იტოტება, იფურჩქნება, ფართოვდება, გზადაგზა მრავალ აგრესიასა და ნეგატივს იკრებს, – საზღვარი არ არსებობს მის შესაკავებლად და ცუდი შედეგებით მთავრდება...

როგორც ვთქვით, ბრალი დღესაც წარმოადგენს ადამიანთა დადანაშაულების, ჩაგვრის, მისი მიზანმიმართული გამოყენების, ფიზიკური განადგურების მთავარ მიზეზს და მოტივს. ბრალით გამსჭვალულობა ვნებაა. არავინ იცის, რა მოცულობის, მიმართულების, ტენდენციის მატარებელი გახდება ის დაურეგულირებლობის შემთხვევაში...

ბრალის ონტოგენეზური შინაარსები

ბრალს აქვს შინაარსები ადამიანის ასაკის, სქესის, ფიზიოლოგიური გადაწყობის, გენეტიკური განწყობილებების, ქრომოსომული აბერაციების, ორგანიზმის სხვადასხვა მდგომარეობის, სასიცოცხლო პირობების, სოციალური აზროვნების, საზოგადოებრივი ურთიერთობების და ა. შ. მიხედვით. ბრალის შინაარსები მის ფორმას განსაზღვრავენ. ბრალს მოთხოვნილებები, მათი დაკმაყოფილების სურვილები და ამ გზაზე წარმოშობილი დაბრკოლებები აყალიბებენ. ბრალი, ონტოგენეზური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, სრულიად განსხვავებული ფორმებით წარმოდგება და ხორციელდება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბრალის შინაარსებს ონტოგენეზური შინაარსები ავსებს.

ადამიანის ნაშიერი ტირილით და ბრალით ევლინება სამყაროს. ბავშვის ტირილი ხომ მარტო ტირილი არ არის; იგი, მთელი რიგი მოთხოვნილებების გამო, მრავალფეროვანი შინაარსების შემცველი – „ჩანასახოვანი ბრალია“, რომელიც მის ზრდასთან ერთად მრავალფეროვნდება და ნაწევრდება. ახალდაბადებული ბავშვის ტირილი (ამ შემთხვევაში ბრალი) დაკმაყოფილების საშუალებაა; მას სხვა საშუალება მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ გააჩნია. თუმცა, დაკმაყოფილების ფორმა და საშუალება დღითიდღე იცვლება... ბავშვმა გარშემომყოფთაგან ყველაზე კარგად „იცის“, როდის და რატომ უნდა იტიროს. ზოგი შეგვედავება, რა ბრალი, რის ბრალი, ბავშვი ტირის – საჭმელს, წყალს, გამოცვლას და მოვლას საჭიროებსო. საქმე ის არის, რომ ტირილი უმწეო არსებისა აუცილებელი მომსახურებით – შედეგით მთავრდება. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ არც ბავშვი იტირებდა. ეს ამდაგვარად „აისახა“ ადამიანში: უმწეობამ განსაზღვრა ბრალის შინაარსის ამდაგვარად ფორმირება, ხოლო უმწეობა ადამიანის ნაშიერისა ზოგადკანონზომიერებითია და მასზე მსჯელობა სხვა თემის ნაწილია. ცხოველების ნაშიერები ადამიანთან შედარებით უფრო „განვითარებული“ იბადებიან და არც ამდაგვარი ბრალი მოიპოვება მათში... ბავშვის ზრდასთან ერთად ჩნდება მოთხოვნილების დაკმაყოფილების ალტერნატიული გზები, – შემოდის ახალი მოთხოვნილებების ფორმა-შინაარსები. მოზრდილი ბავშვი, რომელიც წყურვილის გამო ტირის და მაგიდაზე წყლით სავსე ჭიქას დაინახავს, დამოუკიდებლად ეცდება ჭიქის აღებას და წყურვილის დაკმა-

ყოფილებას. ამ შემთხვევაში ტირილი და „ბრალი“ შეწყდება. ამით ის თვითასახვასაც ახდენს – რომ მან დამოუკიდებლად შეძლო წყურვილის დაკმაყოფილება. ბავშვის ბიოენერგეტიკული რითმის გადაწყობასთან ერთად, ვითარდება და იზრდება მისი მოთხოვნილებების შინაარსები. ადამიანის ცხოვრების ერთი ფაზიდან მეორეში გადასვლისას, რაც, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ ხდება, მისი ფიზიკური, ენერგეტიკული და სულიერი ცვლილებისდაკვალად იცვლება ბრალმი-მართებითი ფორმები, რაც გამოიხატება როგორც საკუთარი, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების და მოვლენებისადმი ბრალდამოკიდებულებაში. თუ ჰორმონული ქარიშხლის შემოჭრის შედეგად, მოზარდში პუბერტული პერიოდი გამოირჩევა ფსიქო-ემოციური არასტაბილურობით, ცხოვრებისეული საზრისის დაუოკებელი ძიებით, იდენტიფიკაციის კრიზისით, მაქსიმალიზმით, კატეგორიულობით, ზოგჯერ სისასტიკით, ასევე, სხვა მახასიათებლებით და შესაბამისი ბრალით მშობლების, სკოლის, საზოგადოებრივი ცხოვრების წესის, სოციალურად განსაზღვრულ ღირებულებათა და სხვათა გამო, ზრდასრულობის ასაკში უკვე დარეგულირებული ენერგიები, დასრულებული განზოგადებები და შეხედულებები აძლევს მას საშუალებას, ღირსეულად შეერ-თოს საზოგადო ცხოვრებას და მონაწილეობა მიიღოს მის აღმშენებლობაში – „შესაბამისი ბრალით“...

ადამიანის აქტიური ცხოვრების „რეალიზაციის“ პერიოდში, რაც შეიძლება 20 წლიდან 50 წლამდე გაგრძელდეს, ადამიანის ცხოვრებისეული „სახე და ხატი“ ყალიბდება. ადამიანი ამ პერიოდში თავისი მოღვაწეობის სფეროში, ასევე, ოჯახსა და საზოგადოებაში, სრულად რეალიზდება. უნდა ვთქვათ, რომ მისი ბრალდამოკიდებულებითი ფორმები განსაზღვრავენ მისი, როგორც ცალკე აღებული ადამიანის, ფენომენის სახე-ხატს. სიცოცხლის მეორე ნახევარში 50 წლის შემდეგ, ბიოლოგიური ინვოლუციის დაწყებიდან, ადამიანის ბიოენერგეტიკა სრულიად იცვლება; ადამიანის ფიზიკური სხეულის მასაზრდოებელი ენერგიის შემცირების ფონზე, მასში შემოდის სრულიად სხვა სახის, ვიტყოდი: „ღვთაებრივი ენერგიები“, თუკი, რა თქმა უნდა, ადამიანი თავად დაუშვებს ამ ენერგიებს თავის თავში. ეს ნებაყოფლობით შემოსული ენერგიები სრულიად არეგულირებენ ენერგეტიკულ კრიზისს, რაც, თითქოსდა, ფიზიკური სხეულის ნაკლულობას მოჰყვა. ინვოლუციის პერიოდში ფიზიკური სხეულის, ადამიანის სახე-ხატისა და სულიერი მდგომარეობის წონასწორობაში ყოფნა უაღრესად მნიშვნელოვანია. სწორედ, ადამიანის სახე-ხატი ფიზიკურ სხეულსა და სულიერ მდგომარეობას შორის წონასწორობას აღადგენს მასში შემოსული ღვთაებრივი ენერგიების წყალობით და, როგორც ვთქვით, ეს თავად მისი დაშვებით – ნებაყოფლობით ხორციელდება. წონასწორობა ყოველთვის დაცული არ არის და ინვოლუციის პერიოდი, ენერგეტიკული ბალანსის დარღვევის გამო, ზოგიერთი ადამიანისათვის შეიძლება მძიმე და დამღუპველიც კი აღმოჩნდეს, როგორც ფიზიკურად, ასევე, სულიერად. ინვოლუციის პერიოდს ახლავს მრავალი ბრალი და წინააღმდეგობა, როგორც საკუთარი თავის, ასევე საზოგადოების, ოჯახის წევრებისა და სხვათა მიმართ (ეს თემა განხილულია ბრალის ფორმებში).

გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი ბრალი

სნეულებას მოევლება მისი წარმომშობი მიზეზების ზედმიწევნით დადგენით და აქედან გამომდინარე, მკურნალობის სწორად წარმართვით. გაცნობიერება ბრალისა, წინგადადგმული ნაბიჯია მისი ბოროტად განხორციელებისათვის ხელშესაშლელად. გაუცნობიერებლობის შემთხვევაში კი, ბრალი საწყისი და სათავეა აგრესიის, კაცთმოძულეობისა და შეუწყნარებლობისა. სურს, ადამიანს იყოს გამუდმებული ბრალის მატარებელი, თუ, შეუძლია გააანალიზოს და აკონტროლოს ის, ეს მის პიროვნებაზე, გაცნობიერების ხარისხზე და უნარზეა დამოკიდებული. თუ ადამიანი გაიაზრებს ჩადენილ ცოდვებს, მათ შორის ბრალს: დაპირისპირებას ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, საზოგადოების წევრებთან, მაშინ ის უსათუოდ აღმოაჩენს თავის უსამართლო ბრალს და დამოკიდებულებას მათ მიმართ და იწყებს ბძოლას საკუთარი ვნებების წინააღმდეგ, □ იმსჭვალება თვითბრალით. ეს ადასტურებს იმას, რომ ადამიანში ღვთაებრივი მარცვალი ყოველთვისაა ჩადებული, საჭიროა მისი გაღვიძება-გაღვივება, ბრძოლა-დაპირისპირება საკუთარ უმართავ ვნებებთან – მათ შორის ბრალთან. გაცნობიერებული ბრალი შეიძლება იყოს დაურეგულირებელი და დარეგულირებული. დაურეგულირებელია, როდესაც ადამიანმა იცის თავისი ბრალის შესახებ, მაგრამ თავის ვნებას ვერ თოკავს, პირიქით, მას საბრძოლო იარაღად იყენებს. იგი ამ ვნებას ვერ ერევა ან ვერ ელევა. მისი ბრალით თავს ესხმის ახლო მდგომთ, ასევე საზოგადოების წევრებს. დარეგულირებულია ბრალი, როცა ადამიანი აკონტროლებს და ზომიერების ჩარჩოებში აქცევს მას.

ბრალი ხშირად სრულიად გაუცნობიერებელია და არანაკლები სიძლიერის იმპულსებს □ ბრალს და აგრესიას წარმოშობს, ვიდრე გაცხადებულ მდგომარეობაში მყოფი. ასეთ შემთხვევაში მის დარეგულირებაზე საუბარი ზედმეტია; ადამიანმა არ იცის, თუ უნდა ებრძოლოს ან რას ებრძოლოს. მოკლედ რომ ვთქვათ, მის ბრალს არა აქვს განაჩენი, □ ვერ ერკვევა, რატომ წარმოშობს ბრალს ახლობლების, მეგობრების, მეზობლების, ნათესავების და ა. შ. მიმართ, სრულიად უმიზეზოდ, ან სწორად არის ის მიმართული თუ არა; არ იცის მოტივები, რისთვის სძულს, შურს, ან სამტროდ ეკიდება ადამიანებს, □ სამაგიეროდ კომფორტში გრძნობს თავს გაუცნობიერებელ ბრალთან ერთად... ასეთი ადამიანების ინფორმირება ბრალითი ვნების შესახებ სავსებით დასაშვებად მიმაჩნია. იქნებ, ამათგან მცირედმა მაინც, გაიაზროს საკუთარი ბრალიანობა და წინ აღუდგნენ ბრალის სახით მოზღვავებულ ვნებებს.

ბრალის ფორმებად დახარისხება

არის თუ არა საჭირო ბრალის ფორმებად დახარისხება? იმისათვის, რომ წარმოდგენა გვქონდეს, რა სახეს იღებს ბრალი ადამიანურ ფანტაზიებში, აუცილებელია, განვიხილოთ მისი სხვადასხვა ფორმები, რომლებიც ადამიანის ფილოგენეზური განვითარების მიხედვით იცვლებოდნენ და ყალიბდებოდნენ. როგორც ცოცხალი სამყაროა განშტოებული და განსახიერებული ჯიშისა და გვაროვნობის მიხედვით, ბრალიც დანაწევრებული და

განსხეულებულია სხვადასხვა ზნეობისა და ხასიათის ადამიანებში სხვადასხვა გამოვლინებად, რის გამოც ადამიანები, ბრალის სხვადასხვა ფორმით გაჟღენთილ-გამსჭვალულები, წარდგებიან სხვა ადამიანების, ბუნებისა და საზოგადოების წინაშე; ასევე, უფლის დაშვებით, მათ სხვადასხვანაირად ძალუძთ დაბლოკონ, დათრგუნონ ბრალისმიერი ვნებები, როგორც ახლობლების, ასევე ზოგადად ადამიანების, ბუნების, კაცობრიობის წინაშე. იმისათვის, რომ წარმოდგენა გვქონდეს, რა სახეს იღებს ბრალი ადამიანურ ფანტაზიებში, აუცილებელია განვიხილოთ მისი სხვადასხვა ფორმები, რომლებიც კაცობრიობის ისტორიულ სახეში საზოგადოებების და ჯგუფების ჩამოყალიბების და განვითარებისდაკვალად იცვლებოდნენ.

ბრალის კლასიფიკაცია მისი ძირითადი შინაარსის, გაცნობიერებისა და გამოვლინების მიხედვით

1. **ბრალის მატარებლობა** – ტენდენცია – (დადანაშაულების ტენდენცია – მიზეზით თუ უმიზეზოდ).

2. **გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი ბრალი.**

3. **წაყენებული ბრალი** ბრალის წაყენება მოთხოვნის ან დადანაშაულების სახით

ა) **ყოფაცხოვრებითი**. ეს ბრალი შეიძლება იყოს სამართლიანი და უსამართლო. სამართლიანია, როცა ითხოვ კუთვნილს: ნივთს, მიწას, დაკარგულ თავისუფლებას, ადამიანურ უფლებებს და ა.შ. უსამართლოა, როცა მოითხოვ სხვის ნივთს, ქონებას, მიწას, მამულს, უსამართლო მომსახურებას და ა. შ.

ბ) **ვალდებულებითი ბრალი** – კანონით გამყარებული (ეს ბრალი შეიძლება იყოს კანონით გამყარებული, მაგრამ ამორალური). ასეთი ბრალის უამრავი მაგალითი მოიპოვება ცხოვრებისეულ ეპიზოდებში – ბრალი შვილებისა მშობლების მიმართ; მშობლებისა შვილების მიმართ; ახლობლებისა და ნათესავებისა ერთმანეთის მიმართ; ბრალი მოქალაქეებისა ერთმანეთის, სახელმწიფოს, მმართველობით-ადმინისტრაციული ორგანოების, ხელმძღვანელობის, თავდაცვითი, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, უფლებების დამცველი საზოგადოებების და სხვათა მიმართ, ასევე, პირიქით, სახელმწიფოს ან მისი სტრუქტურების და ორგანოების ბრალი თავად მოქალაქეების მიმართ.

4. **ბრალის გამოვლინება აგრესიის, შურის და სხვა ვნებათა სახით**

5. **ინტენსიურად ზრდადი ბრალი**

6. **კულტივირებული ბრალი.** (საინტერესოა, ეს ბრალი ახერხებს ენერგიების მოკრებას, მობილიზებას და კულტივირებას ბრალისას, ზოგჯერ უნიადაგო, ყოვლად აბსურდული მიზეზებითაც).

7. **თვითბრალი**

8. **პათოლოგიური თვითბრალი**

სიბრძნის სკივრი

თვალთახილვა
(აზრები)

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)



ადამიანი როგორც ფენომენი – ფსიქიკა, ცნობიერება, აზროვნება

* * *

ადამიანური ფენომენი გაურკვეველი, შეუსწავლელი და აუთვისებელი ყამირია.

* * *

მთელი არსი ადამიანურობისა - მისი „ბუნებრივი ფენომენი'' იყო... შიშველი სხეული დაიფარა, ცხოველური განდევნა... იმიტომ, რომ მას „ასეთად'' ქცევის მისწრაფება ბუნებრივად გააჩნდა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამას თავის თავში ცხოველურის წინაშე წინააღმდეგობით და ბრძოლით აღწევდა.

ცხოველისაგან ადამიანმა გადმოდგა ნაბიჯი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი არ მოქმედებს ჩვენში, არ არის და არ გვიპყრობს ბევრ მომენტში.

ადამიანი, დღეს, ბუნებრივი და ხელოვნური კატაკლიზმების - უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში - დგას და ფიქრობს, საით აიღოს გეზი. უკან ვერ დაბრუნდება. „ბუნებრივი ფენომენი'' ამას ასე არ განსაზღვრავს; მან უნდა გააგრძელოს ეს წინააღმდეგობა და თავის უნივერსალურ წიაღში იპოვოს სწორი გადაწყვეტილება.

* * *

უდიდესი სიზუსტით ასახულ ბიოლოგიურ სისტემებს შეუძლიათ, კიდევ, ურთიერთასახვის პროცესში მათი ცნობიერებითი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, მათგან განსხვავებით ადამიანს - ცნობიერების წარმართვა, - მისი ობიექტივიზაცია გარე სინამდვილესთან ერთად.

* * *

შინაგან გაურკვევლობაში გარკვეული ხატებისა და შინაარსების შემოსვლა ადამიანად ფორმირების მომასწავლებელი იყო.

* * *

არათუ ერთს, მრავალ ადამიანს ერთად არ შეუძლია, იხილოს მთლიანი არსი მოცემულობისა,

როგორიც არის სამყარო. ეს არის ადამიანური უძლურებაც და მთავარი განმაპირობებელიც მისი სიცოცხლისუნარიანობისა...

* * *

ხატოვნად და სიტყვიერად გაფორმებულ ჩვენს წარმოსახვებში კიდევ არის ცოდნა, რომლის წაკითხვა უნდა შევძლოთ.

* * *

მწვერვალი უნდა შევისწავლოთ, ძირი რომ გამოვიცნოთ. ნაყოფს კარგად დავაკვირდეთ და ნიმუშებადაც გამოვიყენოთ, რამეთუ ზოგჯერ ძირი ჩვენ ვართ...

* * *

ადამიანი იმდენად აცნობიერებს, რამდენი იცის და იმდენი იცის, რამდენად აცნობიერებს.

* * *

თუ აზროვნება აღიარებული მოვლენაა, სინდისი მასში აუცილებელი პირობაა - მიზეზთა მიზეზია, ძირითად სასიცოცხლე ტენდეციებს შეიცავს, გულისხმობს და განაპირობებს - სიცოცხლის გადარჩენის საშუალებაა...

* * *

ადამიანს არ შეუძლია ყველა განცდა, გრძნობა, ემოცია - ადამიანური ტკივილები თავის გონებაში ჩაატიოს და ატაროს. ამიტომ იქმნება მხატვრული ნაწარმოებები, ივსება ხელოვნების დიდი ტილოები, - დგება ტომები.

* * *

მრავალი ადამიანის წარმოსახვათა პრიზმაში გატარებული აზროვნებაა საკაცობრიო აზროვნება. ეს არის სივრცე, რომელიც დაუყოვნებლივ შევსებას ითხოვს. იგი თანდათან იზრდება, ფართოვდება, მრავალსახოვანი ხდება. ეს ის ადგილია, სადაც თითოეული ადამიანი თავის კენჭს აგდებს, რომელიც, არავინ იცის, რა ღირებულებისაა.

* * *

ფსიქიკა შეგუებადი, ასახვადი სისტემაა, რომელიც ცნობიერებას, ქვეცნობიერებას და ზეცნობიერებას აყალიბებს.

* * *

საინტერესოა, რომ ჩვენი სამყარო ახლა სხვა განზომილებაში გადადის. დედამიწაზე მომხდარი კატაკლიზმების გამო, ბიოლოგიური მასალა და ადამიანის აღქმა შეიცვალა. შესაბამისად, შეიცვალა ადამიანის აზროვნება.

საჭიროა თავისუფალი, ინტუიციური აზროვნება, მომავლის სწორი რეფლექსია და სწორი ქმედებები, რათა არ მოხდეს რეგრესია.

* * *

ჩვენი აზროვნება, ზოგჯერ, პლანეტების ორბიტაზე მიზიდულობითი კანონებით მოძრაობის მსგავსი აზროვნებაა, რომელსაც ვერც აღვიქვამთ და ვერც ვცვლით.

* * *

ფსიქიკა - ეს ქცევაა და ქცევა ფსიქიკაა. მათ შორის დიდი ლაბორატორია - დრო მუშაობს.

* * *

ქვეცნობიერება ორგანიზმის სასარგებლოდ შეფარული აზროვნებაა, მაშინ, როცა ცნობიერება საზოგადოებრივი ცნობიერებით განპირობებული აზროვნებაა..
„შეფარული“ ბევრჯერ პიროვნებისთვის უცნობია...
ძალიან ბევრია გაუცნობიერებელი ბრალით შეპყრობილი ადამიანი, რომელთაც არ იციან საით მიმართონ თავიანთი აგრესია. აგრესია - გაცხადებული ქვეცნობიერებაში, მაგრამ გაუცნობიერებელი ცნობიერებაში, რამეთუ ცნობიერებაში საზოგადოებრივი რეაქციებიც არის ფიქსირებული და ეს ხელს შეუშლიდა აგრესიის ფორმირებას. იგი კრისტალური ენერგიის სახით არის მოცემული, თუმცა მისი სუბლიმირება სავსებით შესაძლებელია, ამისათვის საჭირო მექანიზმებს კი ხშირად თავად პიროვნება ვერ ფლობს.

* * *

თავის დროზე, ზოგიერთ ადამიანს რომ ეფიქრა, მე ხომ არა ვარ ის ადამიანი, რომელსაც მსოფლიოს აზროვნების შეცვლა შეუძლიაო, ბევრი ომის და კატასტროფის თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი.

* * *

ჩვენი მოსაზრებები მარტო ჩვენი წარმოსახვის ნაყოფი რომ არ იყოს, სხვის ტვინშიც უნდა გადამუშავდეს. მრავალთა მხრიდან აღიარების და დასტურის შემთხვევაშიც კი, არ შეგვიძლია, დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ მასში რაიმე რაციონალური მოიპოვება...

* * *

ზომიერი პროტესტი ყველაფრის და ყველას მიმართ უნდა გაგაჩნდეთ ისე, რომ საკუთარი თავი არ დაიზიანოთ...
აზროვნების მხოლოდ მაღალ კატეგორიებში შეიძლება მიუახლოვდეთ და ჩასწვდეთ რეალურ არსს და საწყისს. სხვისი შეგონებები ყოველთვის ყალბად და მცდარად მოგეჩვენებათ თუ თავად არ მიხვალთ ჭეშმარიტ არსამდე და აზრამდე.

* * *

ადამიანი თავის აზრებს კი არ უნდა დაატარებდეს, არამედ აზრები უნდა დაატარებდეს მას.

* * *

აზროვნებითი შესაძლებლობა და უნარი გამოხატულებათა შესაძლებლობას ხშირად არ ემთხვევა, ზოგჯერ არ ეთანხმება...

* * *

აზრს ვერ წარმოშობ შეჭიდულობის გარეშე. არსებობს ცალმხრივი გამოვლენა, მაგრამ ის მხოლოდდამხოლოდ რაღაცასთან შედარების, მისადაგების შედეგად გამოვლინებული ცალმხრივობაა, რომელიც მეორეს - მის საპირისპიროს აუცილებლად გულისხმობს.

* * *

კაცობრიობის აზროვნება ძალიან ნელა იზრდება იმ ფონზე, როცა აზროვნებითი პროდუქტი ხვავდება (ვერ ვიტყვით, მათ შორის სრული შეუსაბამობა იყოს). აზროვნებითი პროდუქტი ხორაგივით იყიდება ბაზრებზე, მაშინ, როცა ჭეშმარიტი აზროვნება სანთლით საძებარია...

* * *

სიმბოლოთა სიმბოლო - ეს ადამიანური აზროვნებაა.

* * *

ინფორმაციის სივრცული გადაცემის და მიმღებლობის უნარი ტვინს აუცილებლად გააჩნია. მიღებული შეკუმშული ინფორმაცია (ენერგია) მასალაა ტვინისა და სამუშაოთა პროფესიული გაშლის საშუალებას აძლევს მას.

* * *

საგნები გვიზიდავს - ჩვენს აზროვნებას ირჩევს (კურტ ლევინის მიხედვით).

* * *

სუროგაცია აზროვნებაში: მე კი არ უნდა ვშობო, მან უნდა შობოს (სხვამ იაზროვნოს ჩემს მაგიერ) - კატასტროფაა, უფრო სწორად, აზროვნება არაა.

* * *

აზროვნებითი აქტი არის მთავარი შრომა - რაშიც ვქმნით, ვიქმნებით, ვახორციელებთ და ვადასტურებთ კიდევაც საკუთარ არსებობას.

* * *

ვიზრდები - როგორც შემიძლია, ვაზროვნებ - როგორც ძალმიძს.

* * *

აზროვნება არ არის მარტო ტვინის აზროვნება. ყოველგვარი მიზანშეწონილი მოძრაობა აზროვნებაა. მიზანშეწონილი მოძრაობა არის არსის შესაბამისი მოძრაობა, რომელიც სიცოცხლეს ან სიცოცხლისუნარიანობას გულისხმობს; თანაც იგი საწინააღმდეგო ტენდენციის - ამ არსის მოსპობის - განადგურების საპირისპირო მოძრაობაა, მასთან ჭიდილია. თუ ამ ჭიდილში არსის აზრი იმარჯვებს, ეს უკვე სასიცოცხლო ტენდენციაა - დადასტურებული მოძრაობაა; განცდადია, რომელიც ამავე არსში აისახება; გამეორებადია და მიმართულებაც აქვს - ესაა სიცოცხლის განხორციელების აუცილებლობა.

* * *

საზრისს გააჩნია გაზა - ველი, რომლის იქით ის არაა საზრისი. იგი უბრალოდ ქრება და იკარგება..

* * *

ადამიანის ნააზრევი ცალმხრივია, თუკი იგი სხვა ადამიანების ნააზრევით არ არის მხარდაჭერილი და განმტკიცებული.

* * *

კონკრეტულ დროს ახლავს კონკრეტული აზრი, რომელსაც წვდომა სჭირია...

* * *

ცხოვრების მანძილზე ადამიანის აზროვნებაში არის სამი მომენტი: გაღვიძება-გაღვივების, ცოდნის შეძენისა და გაფართოების და მესამე - ამოკრების, შეჯამების და ინტეგრირების. პირველი ორის ასაკი შედარებით განსაზღვრულია. ცოდნის შეძენის შემდეგ, არავინ იცის, ადამიანის აზროვნება როგორ გამოვლინდება - როდის რა ფორმას მიიღებს იგი...

* * *

ისეთ პატარა არსებას, როგორიც ადამიანია, არ უნდა ქონდეს პრეტენზია - ცოდნა სამყაროზე ან თავის თავზე დასრულებულად გამოაცხადოს ან დაბეჯითებით ამტკიცოს პარადიგმებად მიღებული მოსაზრებებიდან გამომდინარე გადახრა.

* * *

საყოველთაო ცოდნასა და მტკიცებულებებში ყოველთვის არის შავი ხვრელები, რომლებიც არ ვიცით, სად მიგვიყვანენ...

* * *

ქვეცნობიერება შეიძლება შევადაროთ მძინარე ვულკანს, რომელიც ქერქქვეშ მძვინვარებს და არ ჩანს, მაგრამ ის შეიძლება, ერთ დღეს, სავალალოდ, გამოჩნდეს.

აზროვნება მხოლოდ ცნობიერებითი არაა. აზროვნება არის ორგანიზმის სასიცოცხლო ტენდენციის განხორციელებისათვის საჭირო აზროვნება, რომელიც ხშირად არაცნობიერია.

* * *

ქვეცნობიერებამ გევრი უბედურება მოუტანა კაცობრიობას. მომავალშიც არავინ იცის, რას უქადის მას. არადა, ნეიროქირურგები ამტკიცებენ, რომ იგი არ არსებობს...

* * *

ყოველი აღმოჩენა ფსიქიკის შესწავლის გზაზე, ანტიკურ ხანაში ახსნილი ფსიქიკის რთული ბუნების დადასტურებას წარმოადგენს.

* * *

როგორც პატარა ბავშვი არ გაიშვება გარეთ სათამაშოდ მარტო, ასევე ფსიქიკა ვერ მოქმედებს ცნობიერების თანდართვის გარეშე (მოქმედებს თავისი ვიწრო კომპეტენციის ფარგლებში). ცნობიერება რაც უფრო განვითარებულია, მით უფრო ემორჩილება ფსიქიკა.

* * *

ცნობიერება განსაზღვრულია სუბიექტური და ობიექტური რეალობით; დადასტურებული პროდუქტია და გულისხმობს ორიენტაციას თავის თავში და გარემოში. მასში ხდება წარმატებულად განხორციელებული რეაქციების შერჩევა და ფიქსირება, როგორც ძირითადი სასიცოცხლო ინსტიქტებისა.

* * *

„ქვე“ და „ზე’ ცნობიერება გამუდმებულად თვით და ურთიერთასახვაშია და
ისეთივე რეალობაა, როგორც თავად ცნობიერება.

* * *

აზროვნება ადამიანში - ეს არის გონებრივი სამუშაო, თანმიმდევრული ფსიქიკური პროცესი, ადამიანური პროფილის შესაფერისი „ქარხანა“, სადაც ხდება აწყობა და დაშლა (კონსტრუქცია-დეკონსტრუქცია).

ისტორია

ნიკო ხერკელაძე



ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-33-ებში
და ანთოლოგიის მე-5,6,7 ტომებში)

მანუჩარ III ათაბაგი

დიდი სიმონ I მეფის დის, ელენეს, შვილი მანუჩარ III ათაბაგი თავისი დროის მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. ქართულ საქმეს არასოდეს დაჰკლებია, თავისი მესხებით იბრძოდა მარაბდასა და ქარჩოხში, ქსნის ომშიც.

ირან-ოსმალეთის 1603-1612 წლების ომის დროს ახალციხის მდგომარეობა ძალზე გამწვავდა; 1614 წელს მანუჩარ II-ის ქვრივმა, ელენემ, თხოვნით მიმართა შაჰს, ახალციხის გამგებლად მისი შვილი, მამის მოსახელე მანუჩარი დაენიშნა. შაჰმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ ირანი სამცხეში გაბატონებას ვერ ახერხებდა, ფარულად მოქმედებდა იმ იმედით, რომ მესხეთის მესვეურებზე და მოსახლეობაზე გავლენა მოეხდინა და ოსმალთა გასადევნად საფუძველი შეექმნა. მესხები კი ცდილობდნენ, ირან-ოსმალეთის დაპირისპირება თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ამიტომ 1615 წელს ირან-ოსმალეთის ომი კვლავ განახლდა, ახალციხის მიზეზით. მოგვიანებით, 1619 წელს, ახალციხე კვლავ ოსმალების ხელშია. ისინი თავგამოდმებით ცდილობენ თავიანთი შეფარული პოლიტიკით, მოჩვენებით, ხალხისადმი ვითომ უფრო ჰუმანური გზებით, მესხეთის შენარჩუნებას.

მამის სიკვდილის მერე დიდი სიმონ მეფის დისშვილი, მანუჩარი, ენერგიული შემართებით, ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას; მისთვის აუტანელი იყო ოსმალეთის ბატონობა. ის ყოველ ძალას გამოიხმობდა, რომ ოსმალეთს როგორმე ფეხი ღრმად არ მოეკიდა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში. მაგრამ ისინი მარტო ხარკის აკრეფით არ კმაყოფილდებოდნენ. ყველა აშკარა თუ ფარულ მოქმედებას მიმართავდნენ, რომ მესხეთი მეზობელი ირანის ხელშეუხებლად, მათი ინტერესების სფეროში დარჩენილიყო.

მიუხედავად მანუჩარ ათაბაგის თავდაუზოგავი მცდელობისა, მესხეთში ვითარება მაინც უარყოფითად იცვლება. ოსმალთა კანონებით ძალდატანებულ მოსახლეობის ნაწილი სარწმუნოებას იცვლის. საათაბაგოს ძალმოსილება სუსტდებოდა. აღშფოთებული მანუჩარი ყველა ღონეს ხმარობდა ოსმალთა წინააღმდეგ. იგი, როგორც პოლიტიკოსი, ჯეროვნად აფასებდა ქართლ-კახეთის ვითარებას, ირანთან დამოკიდებულებას, მით უმეტეს, მარტყოფის ომს, სააკაძისაგან ირანული დიდების რყევას. იგი, თავისი მესხებით, მონაწილეობდა მარაბდისა და ქსნის ომებში. სააკაძის შემართება და წარმატებები თავისი ქვეყნის კუთხის – მესხეთისთვის ღირსეული სამსახურისა და თავდადებისკენ უბიძგებდა. მან სამშობლოს სამსახურის მაგალითი სააკაძეში დაინახა. ალბათ, ბუნებრივადაც და ნაკარნახევი უზენაესისაგან, სააკაძის ეს ნათელი გზა გადამდები ხდებო-

და ქვეყნისთვის გულანთებულ პატრიოტ ქართველებში. ისეთ კაცს, როგორიც მანუჩარი იყო, არ შეშლია ვისთან და ვის გვერდით უნდა მდგარიყო, რომ ერთსულოვნებით განედევნათ მტერი მთელი საქართველოს მიწა-წყლიდან. სწორედ მაშინ გაუჩნდებოდა სურვილიც, მოკრძალებით ეთხოვნა ქალის ხელი სააკაძისთვის. ეს მათი შეკავშირების უფრო მტკიცე საფუძვლად იქცეოდა. მათთვის, ორივესთვის, მთავარი მთლიანი საქართველო და ამ მთლიანში თავშეფარებული მესხეთი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მესხეთს ძალზე უჭირდა, მანუჩარ ათაბაგს უმთავრესი არ დავიწყნია და თავის თანამოძმეთა გვერდით იდგა მარაბდისა და ქსნის ომებში, ყველაფერს აკეთებდა მთლიანი, მტკიცე, ქართული ფსიქოლოგიის შენარჩუნებისათვის.

მანუჩარ III ათაბაგი ღირსეული გაგრძელებაა მესხეთის თვითმყოფადობის სულის შესანარჩუნებლად მებრძოლი და მოფიქრალი შალვა და ივანე ახალციხელებისა.

გულს გული იცნობს! მანუჩარი ემსგავსება გიორგი სააკაძეს, რომელსაც ორივე მტერთან, ირანთან და ოსმალეთთან, დიპლომატიური ურთიერთობით, მხოლოდ მესხეთის გადარჩენა ეწადა.

სააკაძის დარად, მანუჩარ ათაბაგსაც არ აკლდა მტრები, უმეტესნი თავისი სისხლისა და ჯიშისაგან; ერთხელ სტამბოლიდან მობრუნებისას, საკუთარმა ბიძამ, საფარ-ფაშამ უმასპინძლა და საწამლავშერეული ღვინით მოკლა. გზიდან ჩამოიშორა მეტოქე ძმისწული, იგი სულ მალე კი ოსმალეთის სულთნის მიერ დანიშნული, ახალციხის, იგივე ჩილდირის, გამგებლად მოგვევლინა.

მესხეთისთვის გულშემატკივარ მანუჩარს, თავისი ალალი ბიძის, საფარ-ფაშასგან განსხვავებით, ქართული, კერძოდ, მესხეთის ტრადიციული ადათ-წესების შენარჩუნება უნდოდა, რის ნათელ სურათს სააკაძესთან დაახლოებაც მოწმობს. როგორც ჩანს, მისი მრწამსი შეუმჩნეველი არ დარჩენილა ოსმალებისთვის. მართალია, მას არ აკლდა დიპლომატიური ნიჭი და კავშირები ექნებოდა ხონთქრის კარზე, მაგრამ ქვეყნის პატრიოტსა და თავისი ეროვნული თვისებების შემნახავს, ოსმალეთი დიდ ანგარიშს არ გაუწევდა. მათთვის მისი ბიძა, საფარ-ფაშა უფრო მისაღები იქნებოდა, როგორც ოსმალური ინტერესების მეტად გამზიარებელი.

მანუჩარ III ათაბაგი, თავისი დროის მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, უფრო თანამოძმეთა მხარში დგომის იმედით, ბოლომდე ცდილობდა საქართველოსთვის ორივე მტერი – ირანიც და ოსმალეთიც მთლიანად მოეცილებინა..

ქსნის ბრძოლის შემდგომი გარდამტეხი მოვლენები, აღმოსავლეთ საქართველოში შაჰ-აბასის გეგმების რღვევის დასაწყისი

მარტყოფის ბრძოლამ ერთ სიბრტყეზე დააყენა შაჰ-აბასის უცვლელი გადაწყვეტილება აღმოსავლეთ საქართველოს ყოფნა-არყოფნისა და გიორგი სააკაძის თავგანწირული საპირისპირო პოზიცია ერთიანი საქართველოს სახელით. მისი შემართებით მტერი შეირყა, საქმე ისე აღარ იყო, როგორც შაჰს ეგონა, რომ ერთი დიდი შეტევით მთელი აღმოსავლეთ იბერია ირანის მორჩილი გახდებოდა; ქსნის ბრძოლამ რეალურად გამოკვეთა ირანელთა ძლევამოსილების რღვევა. ანდუყაფარ ამილახვარი ხოსრო-მირზამ ცოცხალი კი ჩააბარა ისა-ხან ყორჩიბაშს, მაგრამ ამ ოპერაციას 12 ათასი ირანელი ჯარისკაცი შეეწირა. ყიზილბაშებს საომარი შემართება დაჰკარგოდათ, ქსანზე გაცხადდა, რომ ქართლ-კახეთის აყრა-გადასახლებას ის ვეღარასოდეს შესძლებდა, ამიტომ მიმართა თავის მოკატუნების ტაქტიკას. ყოველ ღონეს ხმარობდა ქართლის დიდებულების გულის მოსაგებად, – იქნებ კიდევ დაუბნელოს გონება თავისი ცბიერებით, სახელგანთქმული ქართლის მეპატრონე თავადები თავის ნება-სურვილზე წაიყვანოს და ხელის შემწყობადაც გაიხადოს. – კახეთში ამგვარი ნაბიჯის გადადგმა, კახელი დიდებულების ფერება არ სჭირდებოდა,

როცა უნდოდა და მოისურვებდა, მაშინ ანგრევდა და მიწასთან ასწორებდა კახეთის მოსახლეობის ნაშრომ-ნაღვაწს... ახლა მისი ჯარი ქართლშია და მათ გარშემო გიორგი სააკაძე ცეცხლის ენებს ანთებს. აქ მოუხდა შაჰს ორიენტაცია შეეცვალა, შეტევითი პოზიციებიდან ლმობიერების გზაზე დამდგარიყო.

სწორედ ეს არის ქსნის ბრძოლის, გიორგი სააკაძისა და მის გარშემო შეკრებილ პატრიოტთა გონიერების შედეგი. მათ აიძულეს შაჰ-აბასი გადაესინჯა თავისი პოლიტიკა ქართლის სასარგებლოდ; ქართველი დიდებულების ნაწილი კი მარაბდისეული დაუდევრობის გზას დასდგომოდა, – რადგან შაჰი ლმობიერების გამოჩენით სისასტიკეს მალავდა, ქართველებმა გადაწყვიტეს, ეს მოვლენები სასიკეთოდ წაგვადგებაო და სიმონ-ხანმა ნდობით აღჭურვილი პირები, თბილელი ეპისკოპოსი დიონისე და მცხეთის სამთავროს მღვდელმთავარი ტრიფილე გიორგი სააკაძესთან მოსალაპარაკებლად მიაგზავნა: ქართლი გვინადგურდება, დავყვეთ შაჰის კეთილ შემოთავაზებასო.

კიდევ ერთი ავისმაუწყებელი გულგრილობა ქართველთა მხრიდან; რა მარაბდის ბრძოლისწინა პერიოდი და რა ეს მდგომარეობა, მაშინაც მტრის სასურველი პოზიცია ამჯობინეს და დამარცხდნენ, ახლა კიდევ მტერს ძალები შემოელია, სასო წაერთვა, დაზავებას ითხოვს, იმიტომ, რომ ამჯერად სხვა გზა აღარ დარჩენია. დღეს ასე სჭირდება, ხვალ მოძლიერდება და ისევ გაგვანადგურებს, როგორც ჩვევია.

გიორგი სააკაძემ იცოდა, რა შეიძლება მოჰყოლოდა შაჰ-აბასთან ქართველ დიდებულთა საზავო შეთანხმებას და აგრძელებდა საბრძოლო მოქმედებებს. სულ მცირე ხანში გორი გაათავისუფლა ირანელებისაგან.

ქვემო ქართლის ერთ-ერთი თავადი ქაიხოსრო ბარათაშვილი მიემხრო შაჰს და რამდენიმე ასეული ყიზილბაში ბირთვისის ციხეში შეიყვანა.

გიორგი სააკაძის მოწოდებაზე, მხარში ამოსდგომოდა სპარსელთა ასალაგმად, ქაიხოსრო ბარათაშვილმა უარი შეუთვალა. ეგრე არ უნდაო, ერთი ღამის შეუსვენებელი სვლის შემდეგ გიორგი თავის თანამოაზრეებთან ერთად მიადგა ბირთვისს, შეიპყრო ქაიხოსრო და აიძულა ციხის კარი გაეღო. ხუთასი ყიზილბაში გამოასალმა სიცოცხლეს.

ლორეს მმართველები მელიქ ათაბაგი და ზაქუმი ირანს ემორჩილებოდნენ; გიორგი სააკაძე რისხვად მიადგა ციხეს, ალყაში მოაქცია, მალევე გატეხა, აიღო სიმაგრეები, დიდძალი ტყვე და ქონება იგდო ხელთ.

ქვემო ქართლის ციხეებიდან და ქონგურებიდან აღარ ისმოდა მოლების ყივილი.

მტრისთვის მუდამ ალესილი სააკაძის ხმალი შამხალსა და დაღესტნის ფეოდალებსაც მისწვდა, – ისინი ყოველთვის მხარში ედგნენ შაჰს საქართველოს წინააღმდეგ, – სააკაძემ ალაგმა მათი ზღვარგადასულობა და შიშის ზარი ჩაუყენა თვალებში.

ისა-ხან ყორჩიბაში ქსანზე ირანული ჯარის დამარცხებამ ისე გააოგნა, შიშით ქართლში ვეღარ გაჩერდა; თავის ხელქვეითებს განუცხადა, შაჰის ჯარის შესავსებად ახალი ძალები გვჭირდებაო და ყარაბაღს შეაფარა თავი. ქართლში შემორჩენილი ყიზილბაშები ისე ძრწიან სააკაძის შიშით, ციხე-კოშკებიდან ვერ გამოდიან, ქართლის მოსახლეობის აყრა-გადასახლებას ხომ ვინღა გაბედავს ცოცხალი თავით. ქართლმა შვებით ამოისუნთქა და შეუდგა აღმშენებლობას.

„დიდათ შემძლე და ყოველთა უმამაცესის სახელი, ზავთიანი ხმით ქუხდა „დიდი მოურავი“ ევროპა-აზიის საზღვრებთან“ (პატრი კასტელი).

გ. ხაკაძისა და თეიმურაზ I-ის პირად მდგომარეობათა მსგავსება და განსხვავებული შეხედულებანი

სანამ მესხეთში სააკაძის გადასვლის მიზეზებს შევეხებოდეთ, ვფიქრობ, საჭიროა გავააანალიზოთ მსგავსება - განსხვავებანი თეიმურაზისა და სააკაძეს შორის.

1. თეიმურაზ I-მა სამშობლოს ინტერესებისათვის დათმო ორი შვილი და დედა, თუმცა, იგი თავდაპირველად არ ფიქრობდა, რომ შაჰ-აბასი მათ სასიკვდილოდ გაწირავდა.

2. გიორგი სააკაძემ ერთი შვილი გასწირა ქვეყნის გადასარჩენად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მან ეს შეგნებულად ჩაიდინა და უკვე გამოტირებულიც კი ჰყავდა, მეორე ვაჟი კი სულ მამის გვერდითაა ყველა ომში, რაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დგომასაც ნიშნავდა.

ამ ორ პიროვნებას, მათგან გაღებული მსხვერპლის გამო, ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობის განცდა უნდა ჰქონოდათ. საერთო ტრაგიკული მდგომარეობა ითხოვდა მეტი გულისხმირებით მოპყრობოდნენ ერთმანეთის ტკივილს, გარკვეულწილად, ისინი განსაზღვრავდენ იმ დროის პოლიტიკას, ქართლისა და კახეთის ბედს; თავიანთი მწარე ხვედრის გამო უფრო მეტად, ერთობლივად უნდა ეზრუნათ, შეთანხმებით უნდა ეძებნათ ქვეყნის გადარჩენის გზები...

ორივე დიდ სიმაღლეზე იდგა, მით უმეტეს, მეფე თეიმურაზი. მას ხომ მეტი უფლებამოსილება ჰქონდა. მას, მეფეს, უნდა გამოეყენებინა სააკაძის, მართლაც, ღირსეული სარდლის ნიჭი. სამწუხაროდ, სწორედ აქ შეიქმნა სააკაძისადმი მეფე უსმინარი, რამაც ბაზალეთამდე მიგვიყვანა. საკითხავია, რატომ ჰქონდათ განსხვავებული პოზიციები, როცა თეიმურაზი თანახმა იყო, მიეღო მისი ოჯახისა და ქვეყნის ამომგდები შაჰ-აბასისაგან შეთავაზებული ზავის პირობები, სააკაძე კი სასტიკ უარს ამბობდა ამაზე.

ცნობილია, რომ შაჰი თავიდანვე დაჟინებით თეიმურაზს იწვევდა თავისთან. თეიმურაზი სხვადასხვა მიზეზით ყოველთვის უარს ამბობდა, ფრთხილობდა, იცოდა, სარწმუნოების შეცვლას მოსთხოვდა, უარის შემთხვევაში კი შეიძლება სიკვდილითაც დაესაჯა. ხომ უნდა ეფიქრა, რომ შაჰი ქეთევან დედოფალსაც მოსთხოვდა სარწმუნოების შეცვლას, მით უფრო, პატარა უფლისწულებს. თეიმურაზი თავის თავს უფრთხილდება, იგი, მეფე, ვალდებული იყო ქვეყანც დაეცვა და თადარიგი დაეჭირა, კახეთზე შაჰის თავდასხმისათვის მზად ყოფილიყო, ძალა გამოეჩინა. მაშინ, შესაძლოა, აღარც გამხდარიყო საჭირო ქეთევან დედოფლისა და თავისი შვილების გაგზავნა ირანის კარზე. ამ დროს სხვა მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ: ქეთეევან დედოფალი გულმეცნიერიც იყო, იცოდა თავისი შვილის სუსტი მხარეები, შეიძლება ამიტომაც გადაწყვიტა თავად წასულიყო ირანში, თავის სულიერ ძლიერებაშიც მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ვერავითარი ძალა მასზე ზეგავლენას ვერ მოახდენდა, ვერ აიძულებდა ერთი ნაბიჯითაც კი გადეხვია მართლმადიდებლობისაგან; ამიტომ გასწირა თავი.

უდიდესი მოვლენა აღსანიშნავია, რომ ქეთევან დედოფალი და ლუარსაბ II ჯერ საქართველოში შემდეგ იქ, ირანში ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ორივემ ერთნაირად, სიკვდილით მოიპოვეს გვირგვინი სამარადისო ცხოვრებისა.

თეიმურაზი, სააკაძისგან ორჯერ მოწვეული ქართლ-კახეთის ტახტზე, უმადურობას ამჟღავნებს. სააკაძემ გაანადგურა ირანული ჯარები. ახლა შაჰი თეიმურაზს ზავს სთავაზობს და ისიც თანხმდება. თუ თეიმურაზი აღმოჩნდებოდა შაჰის ხელში, როცა იგი მას თავის კარზე იწვევდა და ქართლ-კახეთის ტახტზე დასმას შესთავაზებდა, საინტერესოა, შეინარჩუნებდა თეიმურაზი ქრისტიანულ სარწმუნოებას?

საჭიროდ მიმაჩნია, დაწვრილებით განვიხილოთ ისიც, რატომ, რა მიზეზით გადავიდა სააკაძე ჯერ მესხეთში და შემდეგ იმერეთში, როცა ყიზილბაშური ჯარები ჯერ კიდევ იდგნენ შუა და ქვემო ქართლის ტერიტორიებზე, და ნათლად წარმოვაჩინოთ მაშინდელი ხილული თუ უხილავი მოვლენები.

პარტიზანული ომებითა და უფრო ქსნის ომით ხერხემალში გაწყვეტილ ირანულ ჯარებს რწმენა შეერყათ იმისა, რომ შაჰ-აბასის გეგმები აღმოსავლეთ საქართველოში ვეღარასოდეს განხორციელდება. მათი ამ მდგომარეობის შემხედვარე ისა-ხან-ყორჩიბაში ყარაბაღში გაიქცა. შაჰს კი ისღა დარჩენოდა, დრომდე თავი მოეკატუნებინა, თითი მოეკაკვა და თეიმურაზისა და ქართველი დიდებულებისათვის შეეთავაზებინა მომხიბლავი საზავო პირობები, რომელშიც ხაზგასმით მითითებული იქნებოდა, თეიმურაზის განმტკიცება ქართლ-კახეთის ტახტზე. შაჰმა კარგად იცის თავისი აღზრდილის ფსიქოლოგია, რომ მისთვის ქართლ-კახეთის მეფობის გვირგვინს მაგნიტური მიზიდულობაც აქვს. ისიც იცის, ოთხჯერ კახეთზე ლაშქრობისას რა „წინააღმდეგობას უწევდა“ თეიმურაზი, გარდა წინამურის ომისა.

შევეცადოთ ფსიქოლოგიურად ავხსნათ თეიმურაზის მოქმედება: ის მშვენივრად ხედავს, რომ ქსნის ომის შემდეგ შაჰ-აბასის გეგმები – აღმოსავლეთ საქართველოს დამონება, დაპყრობა და შემდეგ ირანში გადახიზვნა – ჩაიფუშა სააკაძისა და მის გვერდში მდგომი მოუსვენარი ქართველებისგან.

მტრის ჯარის ნახევარზე მეტი განადგურდა. ერთი ძლიერი გაბრძოლება - ერთობლივი შეტევით, ყიზილბაშები სულ გადაქარდებოდნენ ქართული მიწიდან და ქვეყანაც შვებით ამოისუნთქავდა. მით უმეტეს, რომ საქართველოში დარჩენილი ირანული ლაშქრის კუდები შიშით სიმაგრეებიდან გარეთ გამოხედ-ვასაც ვერ ბედავდნენ – ამ დროს დიდებულთა ნაწილი და თეიმურაზი მოხიბლულნი არიან შაჰის წინადადებით, რომელიც დაუდ-ხან უნდილაძემ ჩამოიტანა. არადა, ხომ ჯობდა ქვეყნისთვის სააკაძეს გვერდით ამოსდგომოდა ჯერ თვითონ თეიმურაზი, მერე სხვა დიდებულთათვისაც მისაბაძი გახდებოდა მისი საქციელი და ერთიანი ძალით უკვე დამცრობილი ირანული ჯარები საქართველოდან მოეცილებინათ.

შენდობას ვითხოვ მაღალი ღმერთისგან, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას; სამწუხაროდ უფრო ის ჩანს, რომ თეიმურაზს თითქოს არ სურს ბოლომდე გათავისუფლდეს საქართველო ირანული ჯარებისგან იმიტომ, რომ ზავის პირობებით აღმოსავლეთ საქართველოში მათი ყოფნა თეიმურაზის მეფედ ყოფნასაც ნიშნავდა

ყიზილბაშები ქართლში ისევ არიან, განჯასა და ლორეში. სააკაძემ, მესხეთში წასვლის წინ, თადარიგი დაიჭირა და გაამაგრა კეხვის, კიკანათბერის, ალისა და სურამის ციხეები და შიგ ქართული ციხიონი ჩააყენა.

აქვე ვიტყვით, რომ სამხრეთ საქართველოში გადასვლა, ჩვენი აზრით, ობიექტური აუცილებლობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული; კერძოდ, სავარაუდოა, რომ სააკაძეს თავისმა მომხრეებმა, უფრო ხოსრო-მირზამ, ირანიდან აცნობა თბილისში დაუდ-ხან უნდილაძის თეიმურაზთან ჩამოსვლისა და ზავის პირობების ამბავი, რომელშიც თეიმურაზისა და მის მომხრეთა გულის მოსაგებად სააკაძის ლიკვიდაციაც შედიოდა. (გავიხსენოთ, როგორც კი საქართველოსა და სააკაძესთან დაკავშირებული რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა დაიგეგმებოდა ირანში, ერთგული თანამზრახველები ატყობინებდენ გ. სააკაძეს).

ვფიქრობ, ეს უნდა ყოფილიყო მესხეთში სააკაძის გადასვლის საფუძველი. იქედან კი ოსმალეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაც უფრო ადვილი იყო, რომ ერთობლივი ძალით განედევნათ ყიზილბაშები მესხეთიდან და შიდა და ქვემო ქართლის ციხეებიდანაც.

შაჰ-აბასის შემოთავზებული ზავის პირობებს თეიმურაზი და ზოგი დიდებული ხელსაყრელად მიიჩნევდნენ, მაგრამ თავიანთი გულგრილობითა და დაუკვირვებლობით უმთავრესი ავიწყდებოდათ – რომ მოსვენება აბასს დრომდე და ძალების მოკრეფამდე სჭირდებოდა. იგი საბოლოოდ არასოდეს აიღებდა ხელს საქართველოს განადგურებაზე. ამას დიდი მიხვედრა არ უნდოდა. ქვეყანაზე გული იმას შესტკივა, ვინც ყველაზე მეტი გაიღო მისთვის.

უკვე გამოვთქვით ჩვენი ვარაუდი – ასეთ ვითარებაში რატომ ეწადა შაჰს, შეენარჩუნებინა გავლენა აღმოსავლეთ საქართველოზე. ამისთვის სჭირდებოდა საზავო პირობები თეიმურაზისა და დიდებულების გულის მოგებაც. უნდა ვიგულისხმოთ, მესხეთში სააკაძის გადასვლაც უმთავრესი ამოცანის მისაღწევად – ოსმალეთის თანადგომით, ირანელთაგან მესხეთის გასათავისუფლებლად იყო საჭირო, რაც იმ ხანებში მეტად შემცირებული ქართული ჯარით ძალზე გაძნელდებოდა. მართალია, მესხეთის დიდებულები თავიანთი ჯარებით სააკაძეს თანადგომის იმედს აძლევენ, მაგრამ, როგორც ჩანს არ იქნებოდა საკმარისი ძალა მესხეთიდან და შემდეგ მთელი საქართველოდან ირანელთა განდევნისათვის ოსმალთა დაუხმარებლად. ქართლ-კახეთი სააკაძის გეგმით ერთი მეფის ხელში უნდა ყოფილიყო. დასავლეთ საქართველოში კი ჩვენ ამ მისიის განხორციელების თანმიმდევრულ მოქმედებებს დავინახავთ. ახალციხის, აწყურის და ფარავნის ციხეებიდან ირანელთა განდევნის შემდეგ სააკაძე იმერეთში გადავიდა და გიორგი მეფეს წარუდგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც მისი შვილი ალექსანდრე გახდებოდა ერთიანი საქართველოს მეფე.

*** მესხეთისაკენ მიმავალ სააკაძეს ყიზილბაშთა განდევნის საქმეში მხარში უდგანან გერმანოს ბარათაშვილი, გიორგი ბარათაშვილი და ხოსიტა გედევანიძე, თავიანთი რაზმებით.

მალე, 1625 წლის შემოდგომაზე, გიორგი სააკაძე გადავიდა სამცხეში, სადაც ციხეები 1624 წლიდან ირანელებს ეჭირათ. მოურავის მიზანი იყო სამხრეთ საქართველოს მესვეურთა შემოერთება ყიზილბაშთა წინააღმდეგ აჯანყებაში. გიორგი სააკაძეს მხარი დაუჭირეს დავით გოგორიშვილმა, თანუნა დიასამიძემ, როსტომ შალიკაშვილმა, ელიზბარ და ბეჟან თაქირიძეებმა.

სააკაძემ თავისი და სამცხის ჯარების ელვისებური შეტევით დაამარცხა ირანელი მეციხოვნეები და თანმიყოლებით გაათავისუფლა ხერთვისი, აწყური და ფარავანი. ახალციხეში მდგარ ირანულ ჯარს სელიმ-ხანი მეთაურობდა, მათ მიატოვეს გამაგრებული პოზიციები და ისა-ხან ყორჩიბაშთან ყარაბაღში გაიქცნენ.

სამცხის დიდებულთა რჩევით გიორგი სააკაძემ დახმარებისთვის ოსმალეთს მიმართა. მათ მიიღეს თანადგომა და განთავისუფლებულ ახალციხესა და სხვა ციხეებში თავიანთი ჯარები შეაყენეს.

გიორგი სააკაძის მიზანი ნათელია; მას სურდა, საქართველო-ირანის ომში ოსმალები მიემხრო და ქართლ-კახეთის ყველა დიდი თუ მცირე ციხიდან სპარსელები განედევნა ან გაენადგურებინა.

„ირანის ლომსაც“ არ დაუხანებია, ისა-ხან ყორჩიბაში შეუსია სამცხეს.

ბრძოლა ასპინძასთან მოხდა. სააკაძემ ყიზილბაშები ასპინძის მთა-გორიანი ვიწროებისკენ შეიტყუა. ოსმალთა მცირე რაზმები უკან დახევით, საბრძოლო მანევრირებით მოჩვენებით წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. ყორჩიბაშს ჯარის სიმრავლისა და უკეთესი შეიარაღების იმედი ჰქონდა, სპარსელებს ყიჟინით მიჰქონდათ იერიში ქართველ-ოსმალთა მოხერხებულად შერჩეულ საბრძოლო პოზიციებზე.

გიორგი სააკაძის ნიშანზე ზვავივით წამოვიდა ჩასაფრებული დასვენებული ძირითადი ქართული მხედრობა, ირანელები ალყაში მოექცნენ და სასტიკად დამარცხდნენ (უკვე მერამდენედ). ყორჩიბაშმა თავს უშველა და ისევ ყარაბაღს მიაშურა დამარცხებული ჯარის გადარჩენილ მცირერიცხოვან მებრძოლებთან ერთად.

გიორგი სააკაძე აგრძელებდა ოსმალეთთან სამეზობლო პოლიტიკურ თანადგომას ირანის წინააღმდეგ ომში და ელჩებიც გაგზავნა სულთანთან ახალი დახმარების მოთხოვნით, რომ უკვე მრავალჯერ დამარცხებული ირანული ჯარი საბოლოოდ გაენადგურებინათ და ფეხი ამოეკვეთინებინათ აღმოსავლეთ საქართველოდან და მესხეთიდან.

იმ პერიოდში ოსმალეთს ბაღდადთან ომი ჰქონდა და ნაკლებად ეფიქრებოდა საქართველოსთვის. ოსმალეთის სულთანი მურად IV სააკაძეს მოიხსენიებდა, როგორც ქართლის საჭეთმპყრობელს, „მოურავ-ხანს“ და ელჩებსაც მას უგზავნიდა, ატყობინებდა: მე უკვე შევუთვალე ბათუმის ბეგლარბეგსა და დასავლეთ საქართველოს მესვეურებს, ყიზილბაშთა სრულ განადგურებაში ჯარები მოგაშველონო.

მართალია, სულთანმა სააკაძის მოთხოვნით ოსმალური ჯარები ახალციხეში ჩააყენა და ასპინძის ბრძოლაშიც დაეხმარა, მაგრამ ეს არ იყო სააკაძისა და აღმოსავლეთ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი თანადგომა, გიორგი სააკაძე ისევ და ისევ თავისი რაზმელების იმედად რჩებოდა.

გიორგი სააკაძე დასავლეთ საქართველოს სამეფო კარზე

გიორგი სააკაძემ თავისი დიპლომატიის წყალობით მიიღო სულთნის თანხმობა (საიმერეთო ხომ ოსმალეთის ვასალად ითვლებოდა), რომ დასავლეთ საქართველოს მეფე-დიდებულების თანადგომით ქვეყანა ირანელებისაგან გაეწმინდათ. სააკაძეს მთელი იმერ-ამერის გაერთიანება-გაძლიერება ჰქონდა მიზნად, რომ შემდგომში ორივე მტრისთვის ქვეყანას თავისი ძალა ეჩვენებინა და თავდასხმა ვეღარ გაებედათ (თუმცა ამ იდეას ყველა არ იზიარებდა).

იმერეთის მეფე გიორგიმ აღტაცებით მიიღო დიდი მოურავი და მისი ამალა ქუთაისის სასახლეში. გიორგი სააკაძე დამეგობრება-დანათესავებით ცდილობდა თანამოაზრეების შემოკრებას, რათა ძმათაშორის ომი და დაქსაქსვა აეცილებინა.

იმერეთში სტუმრობა სააკაძისთვის შედეგიანი აღმოჩნდა, მოლაპარაკებაში მეფესთან ერთად კათოლიკოსი მალაქიაც მონაწილეობდა, შეთანხმდნენ, სრული თანადგომა აღმოეჩინათ ერთმანეთისთვის სპარს-ოსმალთაგან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გათავისუფლების საქმეში. გიორგი სამეგრელოშიც გადავიდა, მოინახულა მთავარი ლევან დადიანი, რომელიც სამეფო კარზე დიდი გავლენით სარგებლობდა და წარმატებით კმაყოფილი დაბრუნდა ქუთაისში.

სწორედ ამ ვიზიტის დროს უნდა მომხდარიყო გიორგის ვაჟის ავთანდილისა და იმერეთის მეფის ასულის ხვარამზეს ქორწინება, შეუდგენიათ სათანადო დოკუმენტი, ფიცის წიგნი:

„ესე ფიცი და პირი გიბოძე ჩვენ, მეფეთა-მეფემან პატრონმა გიორგიმ და ძემან ჩემმა ალექსანდრემ, მამუკამა და როსტომ თქვენ მოურავს, პატრონს გიორგის, ასრე რომე ჩემი ქალი ხვარამზე გულგაწმენდით თქვენის შვილის ავთანდილისთვის მომიცემია“...

„ეს აქტი უფრო პოლიტიკური მნიშვნელობისა იყო. ასეთ ვითარებაში შეიძლებოდა მომხდარიყო, რომელიც სააკაძის საქმისადმი კეთილგანწყობასაც და დახმარებას გულისხმობდა“ (გივი ჯამბურია).

აშკარაა, როგორ ამზადებს სააკაძე ნიადაგს დასავლეთ საქართველოში, რომ გაერთიანდეს ქვეყანა და სამუდამოდ დაესვას წერტილი მტერთა შემოსევებს.

მარი გიბილური



/ჩემი საქართველო არასოდეს დაეცემა/

ჩვენ არაფერი გვჭირს სხვისი სამადლო,საქართველო ღვთივკურთხეული დოოვლათით და ბარაქით სავსე მიწაა,რომ არა ხელისუფლებაში მოსული ზოგიერთი ვირთხები,რომლებმაც მალულად თუ თვალწინ გაგვისხვისეს და გაგვიყიდეს სამშობლო.

ყველას, ვისაც ეამაყება, რომ ქართველია!!!
წადით და სხვებსაც მოუყევით!!!

1. მსოფლიოში 5000-მდე ერია და 200-მდე სახელმწიფო. ჩვენ ერთ-ერთი უძველესი ისტორიის მქონე ერი ვართ და სახელმწიფოც გვაქვს.
2. საქართველოში ქრისტეს კვართია
3. მსოფლიოში 7000-ზე მეტი ენა არსებობს, დამწერლობა კი სულ 14-ია. აქედან, ერთ-ერთი ქართულია, მეხუთე - სიძველის მიხედვით.
4. ქართული მწერლობა 15 საუკუნეს ითვლის. შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი" მსოფლიოს კლასიკადაა აღიარებული.
5. საქართველო – უძველეს ევროპელთა სამშობლოა, – ზეზვას და მზიას შთამომავლები!
6. საქართველო – ძაფის უძველესი სამშობლოა!
   დადასტურებულია, რომ 34 ათასი წლის წინათ, დასავლეთ საქართველოში დაიწნა პირველი ძაფი!
7. საქართველო – ოქროს წარმოების უძველესი სამშობლოა!
8. საქართველოს მეტალურგიის სამშობლოდ მიიჩნევენ, აქ აღმოჩენილია უძველესი არტეფაქტები. ძველბერძნულ ენაში – პროტოქართველ ხალიბთა (ხალდეველ-ქალდეველთა) ტომის სახელი – „ხალიუფს" ითარგმნება, როგორც -,,რკინა"!
   ანუ სწორედ, პროტოქართული ცივილიზაციიდან გავრცელდა მეტალურგია და რკინის იარაღი ასირიაში, მესოპოტამიასა თუ ძველ საბერძნეთში…
9. შესაძლებელია, საქართველო თაფლის უძველეს სამშობლოდაც აღიარონ! არქეოლოგებმა ბორჯომის მახლობლად აღმოაჩინეს 5,5 ათასი წლის წინანდელი თაფლის ჭურჭელი!ეს კი, 2 ათასი წლით ძველი თაფლია, რომელიც ეგვიპტეში, თვით ტუტანხამონის სამარხშია აღმოჩენილი!
10. ქართული ხალხური სიმღერა 2001 წელს ,,იუნესკომ" კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრად აღიარა. 1977 წელს ილია ზაქაიძისა და როსტომ საგინაშვილის შესრულებული ,,ჩაკრულო" ნასაში გაიგზავნა.
11. ქართულ ხალხურ ცეკვას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ქართული ქორეოგრაფია მსოფლიოში საუკეთესოდაა მიჩნეული.

12. საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა. საქართველოში ექვსასამდე ყურძნის ჯიშია. საქართველოში აღმოჩენილია 8 ათასი წლის წინანდელი ქვევრი, ყურძნის წიპწებით! გაერო-მ (იუნესკო-მ) ქართული ქვევრი და ღვინის წარმოება კაცობრიობის არამატერიალურ მემკვიდრეობად აღიარა!
13. საქართველო ხორბლის ერთ-ერთი სამშობლოა, მსოფლიოში 27 სახეობის ხორბალია და აქედან 14 ქართული ჯიშისაა.
14. ქართული სამზარეულო აღიარებული და გამორჩეულია თავისი მრავალფეროვნებით.
15. საქართველოში 1000-ზე მეტი მინერალური წყალია.
16. საქართველოს გარდა, ძნელად დაასახელებთ ქვეყანას, სადაც უდაბნოც, ტროპიკული ტყეც, ზღვისპირეთიც და თოვლიანი მწვერვალებიც იქნება.
17. დედამიწაზე ნიადაგის 47 სახეობაა და აქედან საქართველოშია - 44
18. საქართველო მსოფლიოში გასტრონომიული ტურიზმის პირველ სამეულშია.



19. ცნობილმა ბრიტანულმა გამოცემამ "ზე ტელეგრაფმა" გამოაქვეყნა რეიტინგი -მსოფლიოს 10 არაჩვეულებრივი ადგილი, რომლის შესახებაც ჯერ არ გსმენიათ(იგი შეადგინეს ცნ. მოგზაურებმა სოფი იბოტსენმა და მაქსომ ლოუვერჰორმა) ქალაქ მეროე(სუდანი) ქ. მუშჰედი (ირანი)ვეფხვების ნაკრძალი კანხა(ინდოეთი), კუნძული სოკოტრა (იემენი) კახეთის რეგიონი(საქართველო).
20. ქართული ჩურჩხელა მსოფლიო ტკბილეულთა ათეულშია (მეშვიდე ადგილზე)
21. თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ერთ-ერთი ძველი, ქართული უნივერსიტეტია ევრაზიის კონტინენტზე.
22. საქართველო უძველეს ცივილიზაციათა სამეულში დასახელდა. ამის შესახებ ინფორმაციას სოვა.ნეწს თჰე თოპ თენს-ზე დაყრდნობით აქვეყნებს.
    პირველ და მეორე ადგილებს საბერძნეთი და ეგვიპტე იყოფენ. ეს რეიტინგი ძველი ცივილიზაციებისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმების მიხედვით შეადგინეს.
23. გასულ წელს, თჰე თოპ თენს-ის რეიტინგში საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო სამხედრო მეთაურების სიის სათავეში მოხვდა. ქართველმა მეფემ ალექსანდრე მაკედონელსაც გაუსწრო.
24. საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა მე-13 საუკუნით თარიღდება და ის მსოფლიოში სიძველით დანიის შემდეგ მეორეა, ეს მსოფლიო ჰერალდიკის საბჭომ დაამტკიცა.

25. საქართველოში, ფლორისმკვლევარების მიერ დადგენილია 4200 სახეობა, ეს ძალიან მაღალი ციფრია.აქედან 22% ენდემია ანუ ისეთი, მარტო აქ, ამ მიწაზე რომ ხარობს.!
ასეთია ჩემი მადლიანი საქართველო!!!!!!

* * *

ერთი ძალიან ცუდი ჩვევა გვაქვს ქართველებს, ჩვენზე საბრალოებს დავცინით და ჩვენზე უკეთესებს ძირს ვუთხრით და ვანადგურებთ.

სულ პირველობისთვის ვიბრძვით,საკუთარი თავები ყველაზე კეთილი და კდევამოსილები გვგონია.

ზოგი ტანსაცმლით და ფუფუნებით ცდილობს თავი წარმოაჩინოს,ზოგი უმნიშვნელო მადლს ამზიურებს,რომ ყველამ ტაში დაუკრას,

ზოგი თავისი დაკუნთული მხარბეჭით ეჭიდება პირველობას და ასე მოდის თაობიდან-თაობამდე ჩვენდა სამწუხაროდ.

არა და არავინ არ ფიქრობს რისთვის მოგვავლინა უფალმა ,ამა სოფლად.

ეს წუთისოფელი გამოცდაა, იმ ღვთისკურთხეულ მარადიული სასუფევლისა, სადაც ყველა გადავინაცვლებთ ერთ დროს, სადაც არც ცხრა დიპლომი ჭრის, არც ოქრო ვერცხლი,არც დაკუნთული მხარბეჭი და არც დიდებისათვის გაკეთებული ფორმალური მადლი,რამოდენიმე დღის წინ ერთ გადაცემას მოვუსმინე,პირველი ქართველი, რომელსაც გული გადაუნერგეს, რომელსაც უამრავი კეთილი ადამიანი დაეხმარა, მაგრამ გული მომილბო მისმა ერთმა სიტყვამ ,სადაც ამბობს რომ პირველი თანხა,რომელიც მის დასახმარებლად გადაირიცხა ერთი ლარი იყო.

--ვინ იცის,როგორ უჭირდა თვითონ,რომ მე ერთი ლარი გადმომირიცხა?!-ო.

მაგრამ იმედი მომეცა,რომ არსებობდნენ კეთილი ადამიანებიო.

ყველამ ვაკეთოთ სიკეთე ადამიანებო,შევაქოთ მოვეფეროთ ერთმანეთს და შევიყვაროთ ერთმანეთი ქრისტეში!

დავივიწყოთ ამქვეყნიური,უკუდო ამპარტავნობები და ერთად ერთიანი ძალისევით გადავარჩინოთ ერთმანეთის ცოდვიანი სულები,რადგან ამ ცხოვრებაში უცოდველი არავინ არა ვართ!

მოგვიტევოს,

შეგვინდოს და დაგვლოცოს უფალმა!!!!

პატივისცემით:მარი-მზევინარი ბიბილური.

ოჯახური ურთიერთობები

ირინა ბალავაძე



რა კარგია, ვიყოთ ერთად

გამარჯობა, ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

წინა საუბრებისას ჩვენ ძალიან დიდი სურვილი გვქონდა დავხმარებოდით ერთმანეთს, თუ როგორ შეგვექმნა იდეალური თუ არა, ნორმალური ურთიერთობები ოჯახის პირობებში, ოჯახის გარეთ და საერთოდ, საზოგადოებაში.

პირადად ყოველთვის ვამბობ და ვიტყვი, რომ კარგი ურთიერთობები ჯანმრთელობაა და საერთოდ, სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელ ადამიანს აქვს მოთხოვნილება გათანასწორებული ურთიერთობებისა, რომელიც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია.

ჩვენ ვცდილობთ დავეხმაროთ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილებით თუ ზოგადად, კაცობრიობის გამოცდილებით – აღმოსავლური თუ დასავლური ფილოსოფიით. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ადამიანის, ცალკეული ინდივიდის ჩარჩოებში ჩასმა შეუძლებელია და მადლობა ღმერთს, ეს ასე გახლავთ. მიუხედავად ამისა, საერთო ბევრი გაგვაჩნია. ზოგიერთი დიდი მოაზროვნის გამოცდილება თუ რჩევა ისე მოგვერგება-ხოლმე, გაოცებულებიც კი ვართ.

ჩვენ, თითქოს, თავისუფლები ვართ ყოველგვარი ძალაუფლებისგან, მთავრობისგან, საზოგადოებისგან, დროსაც, თითქოს, ჩვენ ვმართავთ, ადამიანი უფრო და უფრო თავკერძა ხდება და უფრო მატერიალურ სამყაროს ეთაყვანება და მიუხედავად ამისა მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გვეუფლება, რაც ჩემი აზრით, ცუდი ილუზია გახლავთ. ისიც ფაქტია, რომ ადამიანი ბედნიერ მოქმედებაშია, როცა საყვარელ საქმეს აკეთებს, ასეთ შემთხვევაში ის მარადისობაშიც კი გადადის.

მოვუწოდებთ ყველას, ვიყოთ მუდამ მადლიერების და სიყვარულის მდგომარეობაში. მერწმუნეთ, მადლიერებაც ჯანმრთელობაა. დღევანდელი საზოგადოების პორტრეტს თუ შევხედავთ, თანდათან შემოგვეყარა სულიერებისკენ სწრაფვა – სულიერება ჰაერივით გვჭირდება – ეს გასაგებიცაა. ჩვენ საკმაოდ დიდხანს ვიცხოვრეთ ფხიზელი გონების კარნახით (ფხიზელი გონება ყოველთვის აქტუალურია), მაგრამ ისიც ფაქტია და ნათელია მისი შეზღუდულობა, ოჰ, როგორ გვენატრება ფრთების გაშლა, რომელსაც მხოლოდ სულიერად გაწონასწორებულ ცხოვრებაში ვპოვებთ.

დასავლეთის თუ აღმოსავლეთის საზოგადოება ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დრო და სივრცე დავუთმოთ სულიერებას თავის მოუცლელ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დროის უკმარისობა და კიდევ სხვა ცხოვრებისეული დაუკმაყოფილებლობანი იწვევს დაძაბულობას, სწორედ ამ დაუკმაყოფილებლობის შევსება ხდება სულიერ სიმშვიდეში. ზოგიერთი ჩვენგანი უკვე დიდი ხანია მიხვდა და სულის სიმშვიდეს ბუნებასთან ურთიერთობაში პოულობს, მას სმოგით გაგუდულ ქალაქში, რა თქმა უნდა, ვერ ვიპოვით, ასე, რომ სამოთხე და ჯოჯოხეთი სადღაც შორს არ არის, ის ჩვენშია და რომელსაც გამოვამზეურებთ, იქაც ამოვყოფთ თავს.

აღმოსავლეთში არიან ხალხები – სუფიზმის მიმდევრები, მათ სამყაროს მისცეს ალგებრა და ზუსტი მეცნიერების მრავალი მიმართულება. მათ არა აქვთ რელიგია, არა აქვთ იერარქია და ეკლესიები. მათი ცხოვრების დევიზია: გული – ღმერთთან, ხელები – საქმეში! მათ გულებში არასოდეს ისადგურებს დამთრგუნველი შიში, მომავლის შფოთვა. ისინი განიცდიან და აფასებენ დღევანდელ დღეს და დღევანდელ წუთს, არ მიილტვიან და არ აწუხებთ ზეციური თუ ამქვეყნიური ჯილდოები. მათ უყვართ ცხოვრება, უბრალოდ უყვართ. ისინი ცნობენ ღმერთად შემოქმედს, მათ უყვართ შემოქმედისგან ბოძებული ცხოვრება, რომელსაც ეთაყვანებიან, უყვართ ყოველი ცისმარე დღე, ყოველი წუთი.

დიახ, უყვართ ღმერთი-შემოქმედი – სუფთა, მოუსყიდველი, უბრალო და ნათელი.

სიყვარული არის მათი მიზეზი და სიყვარული არის მათი მიზანი. მათი აზრით, სიყვარული ამოძრავებს სამყაროს და ეს ფაქტია!

და როცა შემოქმედი ასე გიყვარს და როცა ყველა მის შექმნილს სიყვარულს უცხადებ, თავისთავად გშორდება ყველაფერი ზედმეტი და ხელისშემშლელი და მხოლოდ სიყვარული ისადგურებს შენში. ეგოც კი მიმტევებელი და სიყვარულით სავსეა და შენს გარშემო მხოლოდ ვარდისფერების, ნაზი იისფერის და ყვითელი ფერების აურაა.




მე ამით იმის თქმა მინდა, რასაც ყოველთვის ვამბობ: გავიადვილოთ ცხოვრება. სუფისტების ცხოვრება კი ამის საოცარი მაგალითია. ისინი ცდილობენ, იყონ დიდი ბიოლოგიური სფეროს, ბიოსფეროს ნაწილი.

არ დაგვავიწყდეს ყველაზე მთავარი – გავიღიმოთ, უფრო მეტიც, მივეჩვიოთ და ვისწავლოთ სიცილის ხელოვნება. ჩვენ იმდენად მიჩვეულები ვართ სერიოზულ მდგომარეობაში ყოფნას, რომ ჩვენს სიცილშიც ტკივილია. ამიტომ, გავიცინოთ დაძაბულობის მოსახსნელად კი არა, უბრალოდ, უმიზეზოდ გავიცინოთ, სიცილი ისეთი მშვენიერია!.. სიცილი ღრმა სისუფთავეა, ცხოვრება მშვენიერია. გისურვებთ, თვითოეულ თქვენგანს ამ მშვენიერების სივრცეში იპოვოთ თქვენი ადგილი!

იყავით ბედნიერები, წარმატებულები და გზები გაუნათეთ სხვებსაც!

გმადლობთ ყურადღებისთვის!

სიმონ ზაქარაია



ოჯახი ზოგადად და ოჯახი ქართული

სიტყვა ოჯახი (ოჯაკ) თურქულია და ქართულად ნიშნავს „კერას“, „სახლს“ ხოლო მშობლიურ ენაზე კომლი, სახლობა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ძველ ქართულად ოჯახს ფანია ეწოდება, რომელიც დღესაც უცვლელად იხმარება სამეგრელოში.

ოჯახის ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა ის არის, რომ იგი წარმოადგენს ძირითად ობიექტს – წყაროს ადამიანთა უწყვეტი კვლავწარმოებისა და გვარის გაგრძელებისა. ამდენად ოჯახი ისტორიული კატეგორიაა. უკანასკნელ პერიოდში, რიგი მეცნიერები კვლევის საფუძველზე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ წყვილადი ოჯახები არსებობდა დასაბამითვე. აი რა წერია ბიბლიაში – ღმერთმა ჯერ კიდევ სამოთხეში დაადგინა ოჯახური ცხოვრების წესი, როცა ადამიანი მამაკაცად და დედაკაცად შექმნა და უთხრა – „ინაყოფიერეთ, გამრავლდით, აღავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას“.

ქალისა და მამაკაცის დაწყვილების საფუძველზე ოჯახის შექმნა პირადი ცხოვრების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ფორმაა.

ოჯახი, მისი დაფუძნებიდან იწყებს რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს, ხდება ბავშვების დაბადება, მშობელთა მიერ მათზე ზრუნვა. ხოლო შემდეგ მათ გვერდით დგას სახელმწიფო – საბავშვო ბაღებით, საშუალო, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლებით, მათი სამუშაო ადგილების უზრუნველყოფით. ასე, რომ ოჯახს სახელმწიფო იცავს, მათი ურთიერთობა კანონებითაა განმტკიცებული, ქვეყანაში ძლიერი ოჯახების სიმრავლე ძლიერ სახელმწიფოს შექმნის საფუძველია.

ეს რაც მოკლედ შეეხება ოჯახებს, ახლა ცოტა რამ ქართული ოჯახების შესახებ. ერთი შეხედვით ქართული ოჯახები მსოფლიოს სხვადასხვა ოჯახებისაგან გევრად არ განსხვავდება, მაგრამ ქართულ ოჯახებს ნამდვილად აქვს სპეციფიკური განსხვავება – მოვალეობა, რომელიც მსგვასებას ავლენს მცირე ერების ხალხებთან.

ოჯახი ქორწინებით იწყება და იკვრება. ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებამ საქართველოში კიდევ უფრო აამაღლა ქართული ოჯახების სიმტკიცე. „ქორწინება საღმრთო წერილის მიხედვით წარმოადგენს ეკლესიასთან ქრისტეს ერთობის ხატს (ეფეს. 5.22-33). ქრისტიანული ქორწინების მეშვეობით ხორციელდება მეუღლეთა განუწყვეტელი ურთიერთთანადგომა თავიანთი დანიშნულების აღსრულებისათვის და იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას „მსგავსება უფლის ხატისა“.

ოჯახის სიმტკიცის, მის გედნიერების საფუძველია სიყვარული. ცოლ-ქმრული სიყვარული – სიყვარულის უძლიერესი სახეობაა. იგი ზეციური წარმოშობისაა და როგორც ღმერთის თვისება – სიცოცხლის მინიჭებასთან ერთად ეძლევა უფლისგან ადამიანს. ყოველ წყვილთა კავშირი ადამიანთა ურიცხვ თაობებს აძლევს სიცოცხლეს. თითოეული წყვილი ახალი ადამიანური სამყაროს დასაბამთან დგას. განსაკუთრებული ყურადღება და პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენს რჩეულ-ღმრთისშობლის წილხვედრ საქართველოს, ტერიტორიულად და სულიერად ასაღორძინებელ მის მომავალს.

მრავალი რეალურად არსებული ლიტერატურული წყაროები გვაუწყებენ, რომ ამჟამად საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები ნამდვილად საგანგაშოა და მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელებისაგან გადამჭრელი და გადაუდებელი კომპლექსური ღონისძიებების ჩატარებას. უნდა აღვნიშნოთ ის საზარელი ფაქტი, რომ „არა ოფიციალური მონაცემებით ყოველწლიურად საქართველოში მილიონამდე აბორტი კეთდება.“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს საშობაო ეპისტოლე, 2014 წ.).

ქართველი ერის ისტორიაში ქართული ოჯახები, მათი მრავალშვილანობა ჭეშმარიტად იყო კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. თუმცა დღეს ჩვენი ქვეყანა ჭეშმარიტად იმყოფება სტაგნაციის პერიოდში, როცა ქართველი მოსახლეობის რიცხვი წლითი-წლობით დაბლა ეცემა. ამ სტატიაში, დემოგრაფიული და ტერიტორიული საფრთხეების შესახებ რთულ ანალიზს ვერ გავაკეთებ მიზეზთა გამო, მაგრამ თითქმის ყველა მეზობელს საკმაოდ დიდი ტერიტორიები აქვს მითვისებული და ოკუპირებული, ამასთან ერთად უბედურებაა ის ფაქტი, რომ ამჟამადაც საკმაოდ უზნეო პრეტენზიებს უცხადებენ საქართველოს ახალი ტერიტორიების გადასაცემად.



ქართველი დემოგრაფების მიერ გაკეთებული ანალიზისა და გაეროს გამოკვლევების საფუძველზე 2045-50 წწ. საქართველოში ქართული მოსახლეობა შემცირდება 1 მლნ. 170 ათასი კაცით, ხოლო ამ პერიოდში აზერბაიჯანული მოსახლეობა 1 მლნ-ს გადააჭარბებს, სომხები კი 700 ათასს. ამით

ქართული ენა და კულტურა დაკარგავს საზოგადოებრივ ფუნქციებს, ის აღარ იქნება სხვადასხვა ეთნოსისა და ხალხთა გამაერთიანებელი ენა, რაც მთავარია სახელმწიფო ენა.

საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის კატასტროფული ვარდნის მიზეზთა შორის, უმთავრესია დაქორწინებულთა მცირე რაოდენობა; მცირეშვილიანობა; ბავშვთა სიკვდილიანობა; აბორტის სიმრავლე. ზემოჩამოთვლილ მიზეთა შორის უმთავრესი მაინც მოსახლეობის ეკონომიური სიდუხჭირეა, რის მოგვარებასაც არავინ დარდობს.

ჩვენი წინაპრები ათასეული წლების განმავლობაში აწარმოებდა შემოსეული მტრების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომებს, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის და ოჯახების გადასარჩენად. ასე მტკიცდებოდა და ნარჩუნდებოდა ქართული ოჯახები წლიდან წლამდე, რაც სახელმწიფოსათვის ძირითადი სიმტკიცის საიმედო საძირკველს წარმოადგენს. მაგრამ მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში ქართულ ოჯახებს ემუქრება ახალი, უფრო დიდი საშიშროება, რომელიც მსოფლიო გლობალიზაციის ეგიდით შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, რომ გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი დიდი თუ მცირე კანონების შერწყმა და დანერგვა ქართული ოჯახების საამაყო ტრადიციაზე სრულიად მიუღებელია. ესაა ოჯახების შექმნა ერთსქესიანთა დაკანონებული ქორწინებით. ჭეშმარიტებაა, რომ ქართველი, ქრისტიანი ერისათვის, სადაც ქალისადმი მოკრძალება, მისი კულტი, ღვთის განგებითაა გამეფებული, კაცთან კაცის ქორწინება არასდროს დაკანონდება. იმ ქვეყანაში, სადაც ერის შვილი თავის ქმნილებაში იტყვის ქალის საქებარს – „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა“, ქალისადმი ასეთი სიყვარული და საქებარი სიტყვები არცერთ ეპოქაში, არცერთ ქვეყანაში აღარ თქმულა. ასე რომ ქართველი კაცის გუნებაში, მის გენში არ მოიპოვება კაცებს შორის ქორწილის სურვილი.

ისმის კითხვა: ვინ მოახვია თავს ერთსქესიანთა ქორწინებით ოჯახების შექმნის იდეა მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომელიც რიგმა ქვეყნებმა უკვე დააკანონეს.

ყოველივე ამ გაუკუღმართებული იდეის დამფუძნებელია ამერიკელი ბიზნესმენი ჰიუ ჰეფნერი, იგი 1953 წლიდან ხდება ჟურნალ „ფლეიბოის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. სწორედ იგი ხდება აშშ-ს საზოგადოებაში სექსუალური რევოლუციის ინიციატორი და შემომტანი. ამით იგი თითქოს ამტკიცებდა, რომ ქალებს „სექსუალურად ანთავისუფლებდა“, სინამდვილეში მას სძულდა ქალები. მან პორნოგრაფია და ქალების სხეულის გაყიდვა ლეგალურ ბიზნესად აქცია (გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“.

№ 35 და 36, ავტორი ია ხაზარაძე). ჰეფნერის მიერ შემოგდებულმა იდეამ ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ ქვეყანაში ათეული წლების განმავლობაში ინტენსიურად იმუშავა და ბევრი მომხრეებიც გამოუჩნდა. ამან ხელი შეუწყო ქვეყნებში სასამართლო-

ების მახინჯ გადაწყვეტას ისტორიულად აღიარებულ ქორწინებას მამაკაცსა და ქალს შორის. „აშშ-ის უზენაესმა სასამრთლომ ხუთი ხმით, ოთხის წინააღმდეგ მიიღო ყოველგვარ საფუძველს მოკლებული გადაწყვეტილება ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების შესახებ, მაშინ როდესაც 60 მილიონმა ამომრჩეველმა ხმა მისცა ქორწინების ტრადიციული განსაზღვრების დაცვას“ (ბრაიან ბრაუნი, აშშ-ს საზოგადო მოღვაწე, მსოფლიო საოჯახო კონგრესის პრეზიდენტი, ზემოთდასახელებული გაზეთი).

აღნიშნულმა კანონმა ევროპის ბევრი ქვეყანა მოიარა და დაკანონდა კიდეც, თუმცა არც საქართველო აღმოჩნდა დაცული ამერიკული კანონებისაგან, მას აქაც გამოუჩნდნენ მომხრეები, რომლებმაც საჯაროდ მოითხოვეს „უმცირესობის უფლებების“ დაცვის მიზნით ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება პარლამენტში, რაც საბედნიეროდ ჯერ-ჯერობით მუღწველია. საუბედუროდ მსოფლიოს ცნობილ ადამიანებშიც იყვნენ ჰომოსექსუალისტები – ფსიქოპატები, პარანოით დაავადებულები, მათ შორის იყო ალექსანდრე მაკედონელი, რუსეთის მეფე ივანე მრისხანე, იულიუს კეისარი, ნაპოლეონ ბონაპარტე, ჟან-ჟაკ რუსო, იმპერატორები: კალიგულა, ნერონი და სხვები.

თუ უმცირესობა ითხოვს გაუკუღმართებული უფლებების დაცვას, უბრალო არითმეტიკის ძალით უმრავლესობა, ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანები, არასდროს არ დათმობენ წყვილად ოჯახებს, რომელიც ღმერთის მიერ არის დაკანონებული, იგი იქნება ერთადერთი წყარო ჩვენი ერის გედნიერებისთვის.

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტი სეუ. პროფესორი



საბანკო სექტორის მდგრადობაზე მოქმედი ბიზნეს-მოდელების თანამედროვე მექანიზმები

ანოტაცია: საბანკო სისტემის სტაბილურობა ეროვნულ ეკონომიკაში გადანაწილების ფუნქციის რეალიზაციის ეფექტიანობას და აქედან გამომდინარე, მთლიანობაში ეკონომიკური განვითარების ეფექტიანობასაც განსაზღვრავს. ეკონომიკის დაჩქარებული ციკლურობა და ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისებისადმი მაღალი მიდრეკილება კომერციული ბანკებისაგან ბიზნეს-დაგეგმვისადმი და მიზანსაჭიროებისადმი უფრო პასუხისმგებელ მიდგომას საჭიროებს. განვითარების სტრატეგიისა და ბიზნეს-მოდელის დამუშავებადობისა და ადეკვატურობის ხარისხზე, რომელიც მისი რეალიზაციის მექანიზმს ემსახურება, საკრედიტო ორგანიზაციის მდგრადობაა დამოკიდებული. უკანასკნელ პერიოდში ნათელი გახდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მარეგულებელის პრუდენციალური ნორმატივების დაცვა საბანკო ბიზნესის ეფექტიანი არსებობისა და განვითარებისათვის საკმარის პირობას არ წარმოაგენს, და ისეთი მოდელის ფორმირებაა საჭირო, რომელიც შემოსავლიანობასა და მიღებად რისკს შორისოპტიმალური თანაფარდობის მოძიების შემძლე იქნება. ამასთან ბიზნეს-პროფილი სწრაფად ცვალებადი რეალიებისადმი მაღალი მოქნილობითა და ადაპტიურობით უნდა განსხვავდებოდეს. ის კომერციული ბანკები, რომლებიც ბიზნესის გაძღოლის ოპტიმალურ სტრუქტურას ფლობენ ან მის მოძიებას შეძლებენ დარჩებიან საბანკო ბაზარზე, დანარჩენები კი იძულებულებულები გახდებიან შეაჩერონ საქმიანობა.

მოცემულ სტატიაში საბანკო ბიზნეს-მოდელების სიცოცხლისუნარიანობის შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმებია განხილული, რომლებიც როგორც მარეგულირებლების, ასევე კერძო პროფესიონალური თანამეგობრობის მიერაც გამოიყენებიან. მოცემული მეთოდიკების ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ფინანსური კოეფიციენტების შეფასებაზე, როგორებიცაა: აქტივების ხარისხი, ლიკვიდობა, საკუთარი სახსრების საკმარისობა, ფინანსური შედეგი, ამასთან მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა: საკრედიტო, სავალუტო, საფონდო და ა.შ. საბანკო რისკების შეფასებას. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოსაზრებით, განხილვადი მიდგომები ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რომლებიც ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. შეთავაზებულია არსებული მეთოდიკები შვსებული იქნას არაფინანსური მაჩვენებლების შეფასებით, ისეთებით

როგორიცაა: საქმიანი რეპუტაციის, კორპორატიული მართვის ხარისხის, ინფორმაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარისხის და ა.შ. შეფასება.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს-მოდელი; კომერციული ბანკი; შეფასების კრიტერიები; სტრატეგია; მარეგულირებელი; ანალიზი; რეიტინგი; ფინანსური მაჩვენებლები; კორპორატიული მართვა.

Abstract:

Approaches and mechanisms to assessing the business models of commercial banks

Prof. G. Tsaava

The stability of the banking system determines the effectiveness of the redistribution function in the national economy, and, consequently, the effectiveness of economic development in general. The stability of the credit organization depends on the degree of elaboration and adequacy of the development strategy and the business model that serves as a mechanism for its implementation.

The main emphasis of these methods is made on the evaluation of financial indicator: asset quality, liquidity, capital adequacy, financial result, aslo much attention is paid to assessing banking risks: credit, currency, stock, etc. Nevertheless, in the authors opinion, the approaches considered pay little attention to the evaluation of qualitative indicators that are an integral part of the business model of any credit institution.

It is proposed to supplement existing methods with the evaluation of non-financial indicators, such as: assessment of business reputation, quality of corporate governance, quality of information and technical support, etc.

Key words: business model; commercial bank; elvaluation criteria; stratrgy; regulator; analysis; rating; financial indicators; corporate governance.


საბანკო სისტემის მდგრადობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ საკრედიტო ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელები რამდენად იქნება ეფექტურები და სიცოცხლისუნარიანები. კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასება განხორციელებული უნდა იქნეს, უპირველეს ყოვლისა, მათი მდგრადობის თვალსაზრისიდან როგორც ფინანსური მდგომარეობის ეფექტიანობისა და სტაბილურობის საკვანძო დახასიათებიდან, ანუ ფინანსური რესურსების ისეთი მდგომარეობიდან გამომდინარე, რომლის დროსაც ბანკი თავისუფალი ფულადი რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით, საკუთარი საქმიანობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეჩვენებლების გაუმჯობესებით, თავისი ფუნქციონირების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფას შეძლებს (2). აღნიშნულთან დაკავშირებით საბანკო საქმიანობის მოდელების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია, რომლებიც ბიზნეს-მოდელების ნაკლოვანებების გამოვლენისა და აღმოფხვრის შესაზლებლობას და ამით კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის დანაკარგების რისკის მინიმიზირების შესაძლებლობას იძლევა.


რაც შეეხება **საბანკო ბიზნეს-მოდელების შეფასების კრიტერიუმებს** უნდა აღინიშნოს, რომ **ბაზელის კომიტეტმა საბანკო ზედამხედველობასთან მიმართებაში** 2015 წლის ივლისში გამოუშვა განახლებული დოკუმენტი სახელწოდებით „სახელმძღვანელო პრინციპები სუსტი ბანკების გამოსავლენად და მათთან მუშაობის შესახებ“. საკვანძო ცვლილებები (აღნიშნული დოკუმენტის

2002 წლის საწყის ვერსიასთან შედარებით) საბანკო ზედამხედველობის სრულყოფის საკითხებს, კერძოდ ბიზნეს-მოდელების შეფასებას ეხებოდა. დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ძირითადი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით შეიძლება ბანკების არასიცოცხლისუნარიანი ბიზნეს-მოდელები იქნას გამოვლენილი, ასევე მითითებულია, რომ სწორედ მაღალრისკიან და/ან არაეფექტურ ბიზნეს-მოდელებს ბანკების ფინანსური მდგრადობის დაკარგვამდე და ლიცენზიების გამოთხოვამდე მივყავართ. ასე, მაგალითად, ბანკის ბიზნეს-მოდელი შეიძლება არაეფექტური იყოს, თუ იგი ხასიათდება (1):

- ამაღლებული დამოკიდებულებით ბიზნესის დაფინანსების სტრუქტურის შეუსაბამო მიზნებისა და ამოცანებისაგან;
- ზეზომიერი კონცენტრაციით დაფინანსების, შემოსავლისა და/ან რისკის განსაზღვრულ წყაროზე;
- შემოსავლების ასიმეტრიულობით და ვალატიულობით, რომლებიც მოკლე ვადის განმავლობაში მათ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებებით არის განპირობებული;
- არარექლისტური სტრატეგიული ორიენტირებით (მაგალითად, ზრდის შესაძლებლობების, საკვანძო ეკონომიკური მაჩვენებლების და ბაზრის ტენდენციების ცვლილებების ზედმეტი ოპტიმიზმით), რასაც ხშირად საკვანძო გადაწყვეტილებებში შეცდომებისაკენ მივყავართ;
- რთულ ტექნოლოგიებში მასშტაბური ინვესტიციებით კონტროლის, ზედამხედველობის ან აღნიშნული ბაზრის ბუნების გაგების გარეშე (Basel Committee on Banking Supervision Guidelines for identifying and dealing with weak banks, 2015, pp. 12-24).

ევროპულმა საბანკო ორგანიზაციამ (European Banking Authority) დოკუმენტში „სახელმძღვანელო პრინციპები კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და შეფასების საერთო პროცედურებისა და მეთოდოლოგიის შესახებ“ (2014) აქცენტი გააკეთა ბიზნეს-მოდელების სიცოცხლისუნარიანობაზე და მდგრადობაზე, ასევე მარეგულირებლებს რეკომენდაცია მისცა უპირატესობა არ მიანიჭონ ბიზნესის გაძღოლის რაიმე სახის კონკრეტულ მოდელებს (მაგალითად, უნოვერსალურ ბანკს საცალოების წინაშე). გარდა ამისა, მოცემულ დოკუმენტში საბანკო ბიზნეს-მოდელების ანალიზის დეტალური ალგორითმია აღწერილი (იხ. ნახაზი 1), რომლის თანახმად მარეგულირებელმა ორგანოებმა გონივრული მიდგომებით უნდა იხელმძღვანელონ, რომლებიც ბაზრის სეგმენტების ანალიზის შედეგებს ითვალისწინებენ, რომლებზეც სპეციალიზირდებიან ბანკები (Guidelines on common procedures and methodologies for the supervisory review and evaluation process (SREP)// European Banking Authority, 2014, pp. 34-41).





ნახაზი 1. კომერციული ბანკის ბიზნეს-მოდელების შეფასების ალგორითმი
(წყარო: შედგენილია ავტორის მიერ)

დროითი ჰორიზონტების სახით, რომლებზეც ბიზნეს-მოდელების სიცოცხლისუნარიანობა და სტრატეგიის ადეკვატურობა ფასდება, გამოიყენება 12 თვე და 3 წლის პერიოდები. ზემოთგანხილული ალგორითმის მიხედვით გაანგარიშებული შედეგების საფუძველზე საკრედიტო ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელი და სტრატეგია ოთხდონიან შკალაზეა დაფუძნებული, რომელიც ბანკის სიცოცხლისუნარიანობისათვის რისკის ხარისხს განსაზღვრავს.

ფინანსური სტაბილურობის საბჭო (Financial Stability Board) გვთავაზობს კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასების მოცემული მეთოდის სახით უკუ სტრეს-ტესტირების გამოყენებას. მოცემული მიდგომა დეტალურადაა აღწერილი დოკუმენტში „ფინანსური მდგრადობის აღდგენა სისტემურად-მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტების: სახელმძღვანელო აღდგენის კრიტერიუმებისა და სტრესის სცენარიების მიხედვით“(2013). უკუ სტრეს-ტესტის ძირითად განსხვავებას წარმოადგენს გარემოებებისა და რისკების განსაზღვრის შესაძლებლობა, რომელთა რეალიზაციამ შეიძლება ბანკის ბიზნეს-მოდელის სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის დაკარგვამდე მიგვიყვანოს, მაშინ როდესაც ტრადიციული მეთოდი ამა თუ იმ გარემოებების წარმოქმნისას სხვადასხვა ალბატობებთან შესაძლო შდეგებს სწავლობს (Recovery and Resolution Planning for Systemically Important Financial Institutions: Guidance on Recovery Tiggers and Stress Scenarions // Financial Stability Board, 2013, pp. 7-9).

კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასების ყველაზე უფრო პოპულარულ და ეფექტურ უცხოურ სხვა მეთოდებს შორის შეიძლება აღინიშნოს **ამერიკული სისტემა ჩ□□□□შ,**

რომლის რეიტინგული სისტემა თავისთავად წარმოადგენს მოდელს, რომელიც საკრედიტო ინსტიტუტების ფინანსური მდგრადობის შეფასებისათვის აშშ-ის სამი უწყების (ფედერალური სარეზერვო სისტემის - აშშ-ის ცენტრალური ბანკის, ფინანსთა სამინისტროსი და დეპოზიტების დაზღვევის კორპორაციის) მიერ გამოიყენება. დღეისათვის მისი აგებულების ძირითადი პრინციპები გამოიყენება მრავალ საზედამხედველო ორგანოების სისტემებში, ევროპიული და საქართველოს საზედამხედველო ორგანოების სისტემის ჩათვლით. მოცემული მეთოდიკა თავისთავად ანალიზირებადი კომპონენტების საწყისი ასოების შეხამებას წარმოადგენს (5):

1. **C – capital adequacy (კაპიტალის საკმარისობა) -**

კაპიტალის საკმარისობის შეფასების პროცესი CAMELS სისტემაში კაპიტალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების გაანგარიშებაში და შეფასებაში მდგომარეობს.

2. **A - asset quality (აქტივების ხარისხი) -**

ხარისხის ანალიზისას არა მარტო ბანკის აქტივების, არამედ გარესაბალანსო ანგარიშებზე ასახული გარიგებებისაც შეფასება ხორციელდება. აქცენტი ანალოზსას აქტივების გაუფასურების რისკებზე და ცალკეულ ობიექტებზე საკრედიტო რისკის კონცენტრაციის ხარისხზე კეთდება.

3. **M – management (მართვის ხარისხი) –**

ბანკის მენეჯმენტი ფასდება ბიზნეს-მოდელის მდგრადობის სხვა შემადგენელების შემდეგ, რამდენადაც ბანკის მართვის ხარისხის შესახებ შეიძლება - ბანკის ლიკვიდურობისა და შემოსავლიანობის, მისი აქტივების მდგომარეობის, კაპიტალის საკმარისობის მიხედვით ვიმსჯელოთ. ასე, მაგალითად, მენეჯმენტის წინასწარი რეიტინგული შეფასების გაანგარიშებისათვის ყველა ზემოთჩამოთვლილი კომპონენტების საშუალოშეწონილ რეიტინგულ შეფასებას განსაზღვრავენ.

4. **E – earnings (მოგებიანობა) –**

იმისათვის რომ ბანკის მოგებიანობის დონე იქნას შეფასებული გამოიყენება რიგი მაჩვენებლები, ასევე დინამიკაში ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის ანალიზი ხორციელდება.

5. **L – liquidity (ლიკვიდურობა) –**

საბანკო ბიზნეს-მოდელის მდგრადობის სხვა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ლიკვიდურობა, რომელიც ბანკის მიერ კრედიტორების წინაშე თავისი ვალდებულებების თავისდროულად და სრულად დაფარვისადმი შესაძლებლობაში გამოიხატება.

6. **S – sensitivity tu risk (მგრძნობიარობა რისკისადმი) –**

დასასრულს, ჩ□□□□შ სისტემის შფასებას დაქვემდებარებული ბოლო ელემენტი - მგრძნობიარობა რისკებისადმი - გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა, თუ როგორ ზემოქმედებენ საბაზრო რისკები ბანკის მოგებიანობაზე და კაპიტალზე. ამასთან არა მარტო საბაზრო რისკების (პროცენტულების, სავალუტოების, ფასობრივების და სხვა) დონე, არამედ მათ მიერ მართვის სისტემაც ფასდება.

საბანკო ბიზნეს-მოდელების შეფასების კიდევ ერთ ხერხს წარმოადგენს **ინგლისური სისტემა RATE,** რომლის განმასხვავებელ ნიშანთვისებას საბანკო საქმიანობას თანმხლები რისკების ანალიზზე და შესაბამის პირობებში საზედამხედველო ქმედებების ეფექტიანობაზე

ორიენტაცია წარმოადგენს. სტრუქტურულად მოცემული მოდელი შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული ბლოკებისაგან:

1.რისკის შეფასება ხორციელდება ცხრა ძირითადი მიმართულებების მიხედვით: კაპიტალი; აქტივების ხარისხი; საბაზრო რისკი; შემოსავლიანობა/რენტაბელობა; ლიკვიდობა; ბიზნესი; შიდა კონტროლი; ორგანიზაციული სტრუქტურა; მართვა (3).

რისკების შეფასების თითოეული მითითებულიმიმართულებებისამი გამოყენებით ჩამოყალიბებულია კრიტერიუმები და მაჩვენებლები, რომლებიც ზემოთაა აღწერილი. რისკების შეფასების თვით პროცედურაკიმოიცავსრამდენიმეეტაპს:

- საკვანძო ქვედანაყოფების განსაზღვრა, რომლებიც შეწონვასთან და შესაბამისი რისკების მართვასთან არის დაკავშირებული;
- ბანკზე ზემოქმედების ქვეშ არებული რისკების შესახებ წინასწარი ინფორმაციების მიღება;
- რისკების პროფილის წინასწარი ანალიზის განხორციელება;
- ინსპექციის განხორციელება ადგილზე;
- რისკების პორტფელის საბოლოო ანალიზის განხორციელება.

ბოლო ეტაპზე, ინგლისის ბანკის სპეციალისტის პროფესიული მსჯელობის გათვალისწინებით საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე, თითოეული ფაქტორის მიხედვით რიცხობრივი რეიტინგის მინიჭება და ჯამური რეიტინგის გამოყვანა ხორციელდება.

2.ზედამხედველობის ინსტრუმენტები, პროგრამები და მიდგომები, რომლებიც საზედამხედველო პერიოდის განმავლობაში საზედამხედველო ფუნქციების ყველაზე ეფექტიანად რეალიზაციის, ასევე მათ განხორციელებაზე კონტროლის მიზნებით, თითოეული საკრედიტო ორგანიზაციისათვის შემუშავდება.

3. ზედამხედველობის ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება თავისთავში მოიცავს დასკვნის მომზადებას - მთლიანად საზედამხედველო პერიოდში ბანკის მუშაობის შესახებ, ძვრების შესახებ, რომლებიც საკრედიტოორგანიზაციის საქმიანობაში აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა (4).

ასეთი სახით, რისკ-ორიენტირების მოდელი RATE კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასების ჩარჩოებში რისკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების ყოველმხრივი ანალიზის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს მარეგულირებელმა ეროვნული (ცენტრალური) ბანკის სახით პრევენტიული ზედამხედველობის რეალიზაციის ჩარჩოებში კომერციული ბანკების საქმიანობის შეფასებისას ბიზნეს-მოდელების მდგრადობაზე განსაკუთრებული დაჟინებული ყურადღების გამახვილება დაიწყო. აღნისნული მოდელი ნაწილობრივ არის დაფუძნებული ჩ□□□□ში სისტემაზე და იგი თავისთავში მოიცავს ანალიზს და შფასებას ყოველკვარტალურ საფუძველზე შემდეგი მაჩვენებლების: კაპიტალის; აქტივების; შემოსავლიანობის; ლიკვიდურობის; საპროცენტო რისკის; კონცენტრაციის რისკის; მართვის ხარისხის.

ამასთან მაჩვენებლებიდან თითოეული მრავალი კრიტერიუმების მიხედვით ფასდება. პარამეტრების ერთობლიობის ანალიზის შემდეგ ხორციელდება ჯამური მაჩვენებლის შეფასება,

რომელიც გაანგარიშებაში ჩართული თითოეული პარამეტრის ბალურ და წონით შეფასებას ითვალისწინებს.

მიუხედავად საქართველოს ეროვნული (ცენტრალური) ბანკის მიერ გამოყენებადი მიდგომის ყველა ღირსებებისა, ჩვენი მოსაზრებით, საბანკო ბიზნეს-მოდელების შეფასების მოცემული მოდელი შეიძლება ხარისხობრივი მაჩვენებლებისადმი უფრო დაჟინებული ყურადღების ნაწილში იქნას გაფართოებული. უპირველეს ყოვლისა, ცალკე შეფასებას იმსახურებს საქმიანი რეპუტაცია როგორც თვით ბანკის, ასევე მისი აქციონერებისაც, მენეჯმენტისაც.

გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას დათმობილი ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიების (იტ) შეფასებაზე, რომელიც ბიზნეს-მოდელების მდგრადობასთან არის დაკავშირებული.

ასევე ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასებისას რისკების მართვის შეფასების გაღრმავებაა საჭირო, რომელიც შესაძლებლობას იძლევა განსაზღვრული იქნას თუ რისკ-მენეჯმენტის მიმდინარე ინფრასტრუქტურა რამდენად შეესაბამება ბანკის მიერ გამოყენებადი რისკების პროფილს. კერძოდ, შეფასება უნდა იქნას განხორციელებული რისკის ცალკეული სახეობების მიხედვით, როგორიცაა: საკრედიტო, საბაზრო (სავალუტო, საფონდო, საპროცენტო), საოპერაციო და ლიკვიდურობის რისკები.

საკრედიტო რისკის შეფასების ჩარჩოებში გათვალისწინებული უნდა იქნეს საკრედიტო პორტფელის მიმდინარე ხარისხი, რომელიც რისკ-მენეჯმენტის მუშაობის შედეგიანობის და რისკების მართვის პოლიტიკის სიმკაცრის ხარისხის შესახებ მოწმობს (5). ასევე ღირს კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღება იქნას გამახვილებული რისკ-მენეჯმენტის რეგლამენტაციის დონეზე, საკრედიტო ისტორიის ბიუროსთან თანამშრომლობაზე, საკრედიტო კომიტეტების შემადგენლობაზე, საგირავნო პოლიტიკაზე (მათ შორის მათი დაზღვევის ნაწილში).

საბაზრო რისკებისა და ლიკვიდობის რისკის მართვის შეფასებისათვის რეკომენდირებულია შეფასებული იქნას ამა თუ იმ სახეობის რისკის მართვასთან მიმართებაში გამოყენებადი ინსტრუმენტარიების სიფართოვე (გაპ-ანალიზი, რისკის ღირებულებითი ზომიერება (ვარ), დიურაცია, სტრეს-ტესტირება და ა.შ.), ასევე რისკ-მენრჯმენტის შესაბამისობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებთან.

საოპერაციო რისკების შეფასების ნაწილში ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული საოპერაციო რისკების მიხედვით მონაცემთა ბაზის გაძღოლაზე (რეგლამენტაცია, მისი გაძღოლის ვადა, პასუხისმგებლობის განაწილება), კადრების დენადობის დონეზე (ტოპ-მენეჯმენტის დონეზე შეიძლება გუნდის შიგნით კონფლიქტის შესახებ მოწმობდეს), ლეგალიზაციის საპირისპიროდ გამოყენებად მეთოდებზე (ინტერნეტ-ბანკის გათიშვა, შემაკავებელი ტარიფების გამოყენება, მომსახურე კომპანიების ფაქტიური ადგილმდებარეობის სემოწმება), ძირითადი საშუალებებისა და სხვა მატერიალური აქტივების დაკარგვის რისკებზე (მოწყობილობის, სალაროსი და სხვების დაზღვევა), მოწყობილობებისა და სისტემების მწყობრიდან გამოსვლის რისკებზე (ინფორმაციების ყოველდღიური სარეზერვო კოპირების, სარეზერვო სერვერების, ელექტროენერგიის უწყვეტი წყაროს არსებობა).

კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასების ზემოთ განხილული მეთოდების გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. შეთავაზებულია კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასებისადმი მიდგომებისა და მექანიზმების სახით გამოყენებული იქნას როგორც რაოდენობრივი ინდიკატორები (ბალანსის, მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების მონაცემები, საკვანძო ფინანსური მაჩვენებლები), ასევე ხარისხობრივი პარამეტრები (სტრატეგიისა და კონკურენტული გარემოს ანალიზი, ბანკის სიცოცხლისუნარიანობისა და საიმედობის საფუძველში ჩადებული შედარებითი უპირატესობებისა და საკვანძო დამოკიდებულებების მდგრადობის გამოკვლევა).
2. მითითებულია, რომ საბანკო ბიზნესის ასეთი ყოველმხრივი შეფასება სტრატეგიული გეგმების არარეალობის, ბიზნრსის ზრდისა და რენტაბელობის ტემპების შესახებ მოლოდინის გაზრდილი ოპტიმალურობის, თვითგაჯანსაღების გეგმების ეფექტიანი რეალიზაციისათვის წინააღმდეგობების და ბიზნეს-მოდელის ცვლილების აუცილებლობის შესახებ დამადასტურებელი სხვა ფაქტორების ოპტიმალურად გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mosiashvili valeri, Chelidae Medea, Abutidze Gocha – Banking, Tbilisi, “Dani” 2020.
2. Tsaava George, Burdiashvili Rati, Mosiashvili Valeri. RISKOLOGY: Strategic management of financial risks, Tbilisi, “Dani” 2020.
3. Paul Hopkin, Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management. Printed and bround by GPI Groupe (UK) LTD, Croydon, CDRO 4YY https://lccn.loc.gov/2018000956 [Last seen 11.10.2020];
4. https://hbr.org/2012/06/managing-risks-a-new-framework [Last seen 12.10.2020];

თორნიკე სელუმაშვილი
ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი

საბანკო სისტემის ეკონომიკური უსაფრთხოების აქტუალური საკითხები

ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების პოსტკრიზისულ პერიოდში, ეკონომიკაში კრიზისული სიტუაციების გამეორებისა და გაღრმავების დაუშვებლობის და მიღებული დანაკარგების მინიმიზაციის მიზნით, ეკონომიკური უსაფრთხოების ყველა დონეზე დაცვის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ელემენტებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს, რომელთაც შეიძლება მივაკუთვნოთ - ინვესტიციური, სოციალური, ინფორმაციული, საბანკო, სავალუტო-ფინანსური, ინოვაციური და

ენერგეტიკული უსაფრთხოება. კერძოდ, საბანკო სისტემის ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს, რამდენადაც იგი - ფულადი ნაკადების მოძრეობას, ქვეყანაში ფულადი მასის შემცირებას ან გადიდებას, ფასების ინდექსის კონტროლს უზრუნველყოფს, სისტემის ფუნქციონირების მდგრადობის ამაღლების მიზნით სავალუტო ინტერვენციების პრეცედენტებს ქმნის, ქვეყნის ეროვნული ცენტრალური ბანკის სახით ფულადი ემისიის ექსკლუზიურ უფლებას ინარჩუნებს, ასევე სავალუტო-ფინანსურ რეგულირებას ახორციელებს.

„ეკონომიკური უსაფრთხოების“ დეფინიციის განსჯის ფართე თვალსაზრისით ჩამოყალიბება მრავალი მეცნიერის მიერ იყო შეთავაზებული. აკადემიკოს ლ.ა. აბალკინის თვალსაზრისით ეკონომიკური უსაფრთხოება - არის ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობის, მისი სტაბილურობისა და მდგრადობის, მუდმივი განახლებისაკენ და თვითსრულყოფისაკენ შესაძლებლობის უზრუნველმყოფელი პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა (6). ა. კოლოსოვის მოსაზრებით „უსაფრთხოება როგორც ეკონომიკური კატეგორია - სისტემის განვითარების იმ დონეზე მხარდაჭერას ითვალისწინებს, რომელიც მოსახლეობის ნორმალური სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველმყოფდა, კერძოდ, მისი დასაქმება, შემდგომი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები, მოსახლეობის ცხოვრების პირობების წარმატებული განვითარებისა და შექმნისათვის აუცილებელი ყველა სისტემების მუშ მდგომარეობაში მხარდაჭერა“.

უფრო ვიწრო თვალსაზრისით საბანკო სისტმის ეკონომიკური უსაფრთხოება - ბანკების მიერ მათი ძირითადი - ტრანსფორმაციული და საშუამავლო ფუნქციების შესრულებაში მდგომარეობს, რისკებისა და მუქარების მინიმიზაციის პირობებში, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანს კაპიტალის დაკარგვა წარმოადგენს. ამასთან საბანკო სისტემა უნდა ფლობდეს საჭირო პოტენციალს, რომ არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნებისა და ამოცანების მიღწევას უწყობდეს ხელს, არამედ, იდეალურადაც, მისთვის იმპულსებს ქმნიდეს და შიდა და საგარეო მუქარებს ეწინააღმდეგებოდეს.

საბანკო სისტემის ეკონომიკური უსაფრთხოების დონე საბანკო რისკების ერთობლიობაზე არის დამოკიდებული, რომელთა არასწორად მართვას ბანკის უსაფრთხოების მუქარის წარმოქმნისაკენ მივყავართ. თუ ბანკის ეკონომიკურ უსაფრთხიებას განვიხილავთ როგორც საბანკო სისტემის უსაფრთხოების ელემენტს, მასინ რისკები ბანკის მუშაობაში საბანკო სისტემის მუშაობაზე უშუალო ზეგავლენას ახდენენ. საბანკო რისკი, როგორც წესი, ბანკის ფულად და ფინანსურ დანაკარგებთან დიფერენცირდება. საბანკო რისკი - არის საკრედიტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებადი საბანკო ოპერაციების სპეციფიკიდან გამომდინარე დანაკარგების საშიშროება, რომელიც ქვყანაში ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების შედეგად მოგების დაკარგვის და ზარალის წარმოშობის, გაცემული კრედიტების მიხედვით არგადახდების, ფასიანი ქაღალდების კოტირებების, საპროცენტო განაკვეთების დინამიკის ცვლილების, სარესურსო ბაზის შემცირების, გარესაბალანსო ოპერაციების მიხედვით გადახდების განხორციელების განუსაზღვრელობით და ალბათობით გამოიხატება.

სხვა მხრიდან, საბანკო რისკები განიხილება როგორც განუსაზრვრელ სიტუაციაში ნეგატიური შედეგის შესაძლებლობა და აღნიშნულის შედეგად როგორც ფინანსური რისკების

(სავალუტო, საფონგო გაზარი) ვოლატიულობაზე დაფუძნებული შემოსავლის მიღების შესაძლებლობა. საბანკო რისკი - არის ბანკის საქმიანობის სიტუაციური მახასიათებელი, რომელიც მისი შედეგის განუსაზღვრელობის გამომხატველია და სინამდვილის მოსალოდნელისაგან ნეგატიური გადახრის ალბათობის მახასიათებელია.

საბანკო რისკების კლასიფიკაცია მეტად ფართეა. ფინანსური რისკების ჯგუფი მოიცავს: საკრედიტო რისკებს - რომლებიც კრედიტის მიმღები კლიენტის ფინანსური არამდგრადობის და მისი გადახდის შესაძლებლობის არ ქონის გამო, დანაკარგების შესაძლებლობის მახასიათებელია, ლიკვიდობის რისკი - ბანკის აქტივებსა და პასივებს შორის ბალანსის დაკარგვაში გამოიხატება, სავალუტო რისებკი - რომლებიც სავალუტო კურსის ცვლილების შედეგად დანაკარგების აღმნიშვნელია, საფონდო რისკი და საპროცენტო რისკი.

ფინანსურ რისკებთან ერთად ბანკს ფინანსური მდგრადობის დაკარგვა ემუქრება შემდეგი ფაქტორების შედეგად - კონკურენტუნარიანობის შემცირების (საბაზრო რისკი), ბანკის იმიჯის გაუარესების (მარკეტინგული რისკი), ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური ან დემოგრაფიული სიტუაციების ცვლილების (საგარეო რისკები), კლიენტების მომსახურების ხარისხის შემცირების ან პერსონალის დაბალი კვალიფიკაციის (შიდა რისკები), ბაზარზე უფრო წარმატებული საბანკო პროდუქტების წარმოჩენის (პროდუქტიული რისკი).

საბანკო რისკების ერთობლიობას ბანკებისა და საბანკო სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების მუქარების წარმოქმნისაკენ მივყავართ. ლიტერატუსაში დღვანდელი მომენტისათვის საბანკო სისტემის ფუნქციონირების მუქარების კლასიფიკაცია არ არსებობს. აღნიშნული საბანკო მენეჯმენტში რისკ-მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი მომენტია იმიტომ, რომ მუქარების ერთობლიობა საბანკოსისტემის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრუქტურის ფორმირების შესაზლებლობას იძლევა. სტრუქტურა ითვალისწინებს არსებული მუქარების დონეებად დაყოფას, რომელთაგან თითოეულზე რისკ-მენეჯმენტის სპეციფიკურიინსტრუმენტები უნდა იქნას გამოყენებული.

ქვეყნის საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ორდონიანს (ორიარუსიანს) წარმოადგენს და შედგება - ზედა დონისაგან (ეროვნული ცენტრალური ბანკი) და ქვედა დონისაგან (კომერციული ბანკები). საბანკო სისტემის მუქარების სისტემა მისი ზედა და ქვედა დონეებისათვის არაერთგვაროვანია. ასე, მაგალითად, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში წარმოქმნადი გარე მუქარები კომერციული ბანკების სისტემისათვის, შეიძლება ითქვას, უცვლელებს წარმოადგენენ, მაგრამ ეროვნული ცენტრალური ბანკის თვალსაზრისიდან გამომდინარე შესაძლოა მათ ქვეყნის ეკონომიკური სფეროს მხრიდან მზარდ მუქარებზე ზეგავლენა მოახდინონ. მთავრობასთან შეთანხმებით ეროვნული ცენტრალური ბანკი, ფულადი მასის, ემისიისა და სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვების, სავალუტო ინტერვენციების კონტროლის, საბანკო სფეროში კანონპროექტების მომზადების და ა.შ. მეშვეობით, სავალუტო-ფინანსურ რეგულირებას ახორციელებს, ამიტომ არარეგულირებადი რისკების ჯგუფი საბანკო სისტემის ზედა დონისათვის მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე მისი ქვედა დონისათვის.

ზემოთაღნიშნულების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ქვეყნის საბანკო სისტემის ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციონირებისა და განვითარების მუქარების კლასიფიკაცია ჩამოგვეყალიბებია (ცხრილი 2).

ცხრილი 1. საბანკო სისტემის ეკონომიკური უსაფრთხოების მუქარების კლასიფიკაცია

კლასიფიკა-ციური ნიშანთვისება:	**მუქარების ჯგუფები:**	**მუქარების სახეობები:**
ზემოქმედების სფეროს მიხევით:	საგარეო მუქარები	- მუქარები, გამოწვეული ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში ცვლილებებით; - მუქარები, გამოწვეული არასასურველი საბაზრო კონიუნქტურით; - მუქარები, დაკავშირებული საბანკო სექტორის კრიმინალიზაციასთან; - მუქარები, დაკავშირებული მსოფლიო ბაზრებზე მერყეობებთან.
	შიდა მუქარები	- მუქარები საბანკო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შემცირების; - მუქარები, დაკავშირებული ბანკების პერსონალის დაბალ კვალიფიკაციასთან; - მუქარები ლიკვიდობის, ფინანსური მდგრადობის დაკარგვის, ფინანსური რისკების ქმედების შედეგად; - მუქარები, დაკავშირებული ბანკის რისკიანი საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებასთან; - მუქარები, დაკავშირებული მენეჯმენტის დაბალ ხარისხთან; - მუქარები, დაკავშირებული საბანკოსფეროს კანონმდებლობის დარღვევასთან.
ფუნქცინალური ნიშანთვისების მიხედვით:	ინფორმა-ციული მუქარები	- გამხელა ბანკის კომერციული ინფორმაციის; - გამხელა კლიენტების კომერციული ინფორმაციის; - მუქარები ხაკერული შთევის; - მუქარები ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენების;
	მუქარები, დაკავშირე-ბული ბანკის მართვასთან (მენეჯმენ-ტთან)	- მუქარები მართვის დაბალი ხარისხის; - მუქარა დამოუკიდებლობის შთანთქმისა და დაკარგვის; - მუქარები საბაზრო გარემოს ცვლილების; - მუქარები დაკავშირებული შრომითი დისციპლინის დარღვევასთან ან დაკავშირებული პერსონალის კვალიფიკაციასთან
	მუქარები, დაკავშირე-ბული საბაზრო გარემოცვა-სთან	- მუქარები კონკურენტუნარიანობის დაკარგვის; - მუქარები საქმიანი რეპუტაციის გაუარესების კონკურენტების იგნორირების შედეგად; - მუქარები კლიენტებისა და კონტაქტური აუდიტორიის დაკარგვის;
	მუქარები, დაკავშირებუ-ლი ადამიანურ ფაქტორთან (კლიენტუ-რული რისკი)	- მუქარები, დაკავშირებული მენტალიტეტის თავისებურებებთან (სწრაფი სარგებლისაკენ მისწრაფება და მაღალპროცენტიანი კონკურენტისაკენ გადასვლა); - მუქარები სარესურსო ბაზის შემცირების (ფულის ბანკში დაბანდების შიში).

საბანკო სისტემის ეკონომიკური უსაფრთხოების მუქარების თითოეული ჯგუფისადმი მიმართებაში ადვილად არის შესაძლებელი განსაზღვრული იქნას მათი წარმოშობის სუბიექტი, საგარეო, მეზო ან შიდა გარემოს ზემოქმედების ფაქტორი.

საბანკო სისტემის რისკ-მენეჯმენტისა და დანაკარგების წარმოქმნის მუქარების აღმოფხვრის ძირითად მეთოდებს წარმოადგენენ:

- რისკის ნაწილის (ბანკის კაპიტალის ადეკვატურის) თავისთავზე მიღება;
- რისკის აღმოფხვრა;
- რისკის დელეგირება (ჰეჯირების (დაზღვევის), უფლებამოსილების დელეგირების მეშვეობით);
- მართვა (რისკების მართვის ტექნოლოგიური პროცედურების შემუშავება მისი პრინციპების შემდგომი მკაცრი დაცვით).


რისკების მართვის სისტემა, მუქრების წარმოქმნის სფეროთი და მათი დონით მკაფიოდ უნდა იქნას განსაზღვრული. საბანკო სისტემის ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის ინსტრუმენტის შემუშავებისათვის, ურთიერთდაკავშირებული მუქარების დინამიური დიაგრამის ფორმირებისათვის, შეთავაზებულია „მიზნების ხის“ გამოყენება. მუქარების კლასიფიცირებიდან (ცხრილი 2) ძნელი არ არის გავიგოთ, რომ მათი წარმოქმნის რამოდენიმე დონე არსებობს. დანაკარგების წარმოშობის აღმოფხვრა ქვედა დონეებიდან უდა დაიწყოს. საბანკო სისტემის ეკონომიკური უსაფრთხოების მუქარების ურთიერთკავსირების დიაგრამის მაგალითი ნახაზე 2-ზეა შეთავაზებული.

შეთავაზებული დიაგრამის მეშვეობით შეიძლება ქვედა დონეებზე წარმოქმნილ მუქარებზე დაკვირვება იქნას განხორციელებული ისე, რომ საბანკო სისტემის ეკონომიკური უსაფრთხოების აღმოფხვრასთან და შენარჩუნებასთან მიმართებაში შესაბამისი ღონისძიებები იქნას განხორციელებული. „მუქარების ხესთან“ მუშაობა რისკების შეფასების სისტემის შემუშავებას ითვალისწინებს, რომელიც უფრო საშიშების წარმოქმნის თავიდან აცუილებისათვის, მინიმალურ რისკებებზე დაკვირვების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. რისკების შეფასება შეიძლება რიგი ინსტრუმენტების: ექსპერტული შეფასებების მეთოდის, ტ. საატის მეთოდის, კენტი სიმრავლის თეორიის, ნეირონული ქსელების ან ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის აგების მეშვეობით იქნას განხორციელებული. როგორც წესი, რისკების შეფასება ეკონომიკური სისტემისადმი მიმართებაში, შესაძლო ზიანის შეფასებას ითვალისწინებს და გაანგარიშება ფულად ერთეულებში ხორციელდება. „მუქარების ხის“ გამოყენება, ერთდროულად რამდენიმე შესაძლო რისკების რეალიზაციის მახასიათებელი სხვა დანარჩენი ტოლი პირობებისას და სცენარებისას, საბანკო სისტემის განვითარების შესაძლო სცენარების განხილვას ნიშნავს.

მუქარების (რისკების) ურთიერთკავშირის შეფასება შეიძლება განხორციელებული იქნას ბალური სისტემის მეშვეობით: 0 ბალი - ურთიერთ კავშირი არ არსებობს (ერთი რისკის რეალიზაციისას, სხვა არ წარმოიქმნება, ანუ ბანკი დანაკარგებს მხოლოდ ერთი პოზიციის მიხედვით განიცდის); 1 ბალი - სუსტი კავშირი (ერთი რისკის რეალიზაციისას, დანაკარგები მეორეს მხრიდან 15% ალბათობით წარმოიქმნება); 2 ბალი - საშუალო კავშირი (ერთი რისკის რეალიზაციისას დანაკარგები მეორეს მიხედვით 20% ალბათობით წარმოიქმნება); 3 ბალი -

ძლიერი კავშირი - (ერთდროული დანაკარგების ალბათობა 30% შეადგენს). ასე მაგალითად, ინფორმაციული უსაფრთხოებისა მუქარის რისკი და კონკურენტუნარიანობის დაკარგვის რისკი, ასევე, ქვეყნის მოქალაქეების მიერ ანაბრების (დანაზოგების) უცხოეთში გატანის მუქარის რისკი და საომარი მოქმედებების მუქარის რისკი ურთიერთდაკავშირებულებია. მათი კავშირი, ექსპერტების შეფასებით, წარმოადგენს ძლიერ კავშირს და საერთო რისკი 30% უნდა გაიზარდოს.

აღნიშნული საკმაოდ საინტერესო მოსაზრებაა საბანკო ბიზნესზე ერთდროულად მოქმედი რისკების ერთმანეთზე ზემოქმედების 30% ნაზარდის ფაქტორის გათვალისწინებასთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს მიერ საბანკო ბიზნესზე ერთდროულად მოქმედი რისკების ურთიერთზემოქმედების ფენომენის რაოდენობრივ გაანგარიშებასთან მიმართებაში ავტორისეული ფორმულა გვაქვს ჩამოყალიბებული, რომელიც - თვიური ინფლაციის მონაცემების საფუძველზე წლიური ინფლაციისა და კრედიტზე თვიური საპროცენტო გადასახდის კვარტალურზე გადასაყვანი გაანგარიშების ფორმულების შესაბამისად, 30-35% ნაზარდს ითვალისწინებს, რაც საკმაოდ საყურადღებოა და საბანკო სისტემოს ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოების ნორმატიული კოეფიციენტების განმტკიცების საწინდრად გვესახება (8), რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული.



სოფლის მეურნეობა

ონერ ძაძუა



კაკლის კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში

კაკალი – უძვირფასესი კაკლოვანი კულტურაა, მისი ნაყოფი ანუ ნიგოზი ხასიათდება განსაკუთრებული მაღალი ყუათიანობით, მასზე მოთხოვნილობა პრაქტიკულად შეუზღუდავია. შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს, ცხიმებს, ცილებსა და ნახშირწყლებს. კვებითი ღირებულებით უფრო მაღლა დგას: ვიდრე-პური, ხორცი, რძე, უახლოვდება კარაქის ყუათიანობას. ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა კერძების, საკონდიტრო ნაწარმის მოსამზადებლად. რბილობისაგან იღებენ მაღალი კვებითი ღირებულების ზეთს, რომელიც წააგავს ზეთისხილის ზეთს, რომელიც გამოიყენება კულინარიასა და მედიცინაში.

კაკლის მერქანი მიეკუთვნება მაღალი სიმკვრივის მქონე მცენარეთა მერქნის ჯგუფს გამოკვეთილი ზოლოვანი ფერებით. გამოიყენება ძირითადად საეკლესიო ხატების და სხვა ნაკეთობების, ძვირად ღირებული ავეჯის, პარკეტის წარმოებაში. კაკალი სწრაფმზარდი მძლავრი ხეა, რომელიც საშუალოდ სიმაღლეში 25 მეტრამდე იზრდება. მისი შტამბი 50-60 წლის ასაკში 0,5-0,8 მეტრი დიამეტრისა, აქვს მსხვილი მომრგვალო ფორმის ფოთლები, რომლებსაც ფიტონციდების მაღალი შემცველობა ახასიათებს და მსგავსად ევკალიპტისა, გამოიყენება კოღოებისა და სხვა მავნე მწერების წინააღმდეგ. შემჭიდროებულ ნარგაობაში ივითარებს მაღლა აშოლტილ ტანს, ხოლო ცალკე მდგარი ხე – მომრგვალო ფორმის, მეტად ლამაზი და ხანგრძლივი სიცოცხლის უნარის მქონე, ამავე დროს გზისპირებზე, ქარსაცავი ზოლებისა და პარკებისათვის საუკეთესო სახეივნო მცენარეა. სხვადასხვა წყაროების ცნობით, კაკალი უფრო ყინვაგამძლეა, ვიდრე წაბლი. აქედან გამომდინარე შეიძლება წინასწარ დავასკვნათ, რომ მისი გავრცელება შეიძლება საქართველოს მთისწინა ზონაშიც, სადაც ამჟამად მისი გაშენების დიდი შესაძლებლობები არსებობს, ამ ღონისძიებებზე განსაკუთრებით დაბალი დანახარჯების გაღების პირობებშიც კი.

კაკალს ამრავლებენ თესლით და მყნობით, პირველ წლებში ახალგაზრდა ხეები ინვითარებენ მძლავრ მთავარღერძა ფესვს. ამიტომ 2-3 წლის თესლნერგები უნდა გადაირგას მთავარი ღერძის გადაჭრით, რომელიც ამოჭრილ ორმოში გადარგვის დროს ირგვება ბრტყელ ქვაზე ან შუშის ნაჭერზე, რათა მთავარი ღერძი არგანივითაროს და სტიმული მიეცეს გვერდითი ფესვების განვითარებას, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს ამ კულტურის პროდუქტიულობას. ასეთ შემთხვევაში ზრდასრული ხის ფესვები 4 მეტრამდე სიღრმეზე ვრცელდებიან და მათი განვითარება ნიადაგში ვარჯის სიგანეს აჭარბებს. თესლით გამრავლების შემთხვევაში მსხმიარობას კაკალი 7-8 წლის ასაკში იწყებს, ხოლო მყნობით მიღებული ნარგები 4-5 წლის ასაკში. მსხმოიარობს თითქმის ყოველწლიურიდ მაგრამ ძლიერ მსხმოიარობას ყოველთვის ცვლის შედარებით სუსტი მხმოიარობა. ზრდასრული მცენარიდან გარჩეული ნიგოზის მოსავალი 50-100 კგ-ია, ზოგჯერ კი ხელსაყრელ გარემო პირობებში 150 კგ-მდე.

კაკალი თესლით გამრავლებისას ითიშება და მიიღება დედა მცენარისაგან განსხვავებული თაობა. ამიტომ, ძვირფასი ჯიშების ნიშანთვისებების შესანარჩუნებლად კაკალს ამრავლებენ ვეგეტატიურად ან მყნობით, ძირითადად მყნობით.

კაკლის ნაყოფებს თესლისავთის ამზადებენ ჯანმრთელი და უხვმოსავლიანი ხეების სამხრეთი ექსპოზიციიდან. კაკალს თესავენ გვიან შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე. გაზაფხულზე თესვისას თესლს უტარებენ 10-12 დღიან სტრატიფიკაციას (უნდა მოვათავსოთ გამდინარე წყალში) სანერგესათვის განკუთვნილი ნიადაგი შემოდგომით ღრმად იხვნება (45-50 სმ), წინასწარ შეაქვთ 40-50 ტ/ჰა ორგანული, აგრეთვე მინერალური (ფოსფოროვანი და კალიუმიანი) სასუქები, ხოლო აღმოცენების შემდეგ აზოტოვანი სასუქები 80-100 კგ/ჰა მომზადებული ნიადაგის ფიზიოლოგიურად მომწიფების შემდეგ მის ზედაპირს თანაბრად ასწორებენ და 70 სმ-იან და 8-10 სმ სიღრმის კვალებად ხაზავენ. კვალში კაკლის თესლს აწყობენ ზურგზე დაწვენილს, კვალის მიმართულებით ერთმანეთისაგან 20 სმ დაშორებით, 1 ჰა-ზე თესავენ 1000-1500 კგ კაკლის გადარჩეულ კონდიციურ თესლს.

საძირეთა სკოლაში მოვლის ძირითადი ღონისძიება რწყვა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში პირველ წელს უნდა ჩატარდეს არანაკლებ 10-ჯერ. ყოველი მორწყვის შემდეგ ნიადაგის ზედაპირი უნდა გაფხვიერდეს და გაიწმინდოს სარეველებისაგან. დამატებითი გამოკვების სახით შეაქვთ მინერალური სასუქები: 100-120 კგ აზოტი და 50-60 კგ ფოსფორი. თესლნერგები კარგი მოვლის შემთხვევაში პირველსავე წელს 60-70 სმ სიმაღლეს აღწევენ და კარგ სამყნობ მასალას წარმოადგენენ.

მყნობის საუკეთესო დროა – ზაფხული, ივნისიდან აგვისტომდე, სანერგეში კაკალს ამყნობენ სპეციალური ოთხკუთხა დანით, რომლის გვერდების ზომებია 3X1,7 სმ. ან პარალელურპირიანი სამყნობი დანით, რომელთა შორის მანძილი 3 სმ. ასეთი დანით ფესვის ყელიდან 10-12 სმ სიმაღლეზე საძირის ჩრდილოეთ მხარეს კანს ამოჭრიან. ზუსტად ასეთივე ამონაჭერს, ოღონდ კვირტიანს (ყლორტიანს) იღებენ იგივე დანით სამყნობი მასალიდან და ათავსებენ ამოჭრილ საძირეზე.



შემდეგ მჭიდროდ ახვევენ პოლიქლორვინილის სპეციალური პერფორირებული აფსკით და ღიას უტოვებენ მხოლოდ ყლორტის თვალს.

მყნობიდან ორი კვირის შემდეგ ნამყენი ადგილიდან აფსკს ფრთხილად აცილებენ, რომ კალუსი არ გაიხსნას ან არ დაზიანდეს. ივნისში დამყნობილ საძირეს მყნობის წერტილიდან 10-15 სმ-ზე სეკატორით ჭრიან, რითაც აქტიურდება ნამყენი კვირტის ზრდა, 2 კვირის შემდეგ აცილებენ საძირიდან ამონაყარ კვირტებს. საძირეები, რომლებზეც მყნობა მოხდა ივნისში პირველსავე წელს ნამყენი 50-60 სმ-მდე იზრდება და ვეგეტაციის დასასრულს მთლიანად ყავისფერი ხდება. მეორე წლის გაზაფხულზე საძირის გადანაჭერი უნდა გადაიჭრას ნამყენი კვირტს ზემოთ, რომელიც დატოვებული იყო 10-15 სანტიმეტრი სიგრძის, მყნობიდან მეორე წელს ნამყენი აღწევს 2 მეტრის სიმაღლეს.

აგვისტოში დამყნობილ საძირეებზე კვირტს ზემოთ გადანაჭერს ვაკეთებთ შემდეგი წლის გაზაფხულზე, ამ დრომდე დამყნობილი თვალი რჩება მიძინებულ მდგომარეობაში, შესახვები აფსკი აუცილებლად უნდა მოეშვას. გაზაფხულზე გამოღვიძებული თვალიდან ვეგეტაციის დასასრულამდე ნაზარდი 1-1,5 მეტრს მიაღწევს.

ერთწლიანი (აგვისტოში დამყნობილი), ან ერთნახევარი წლის ნამყენებს (ივნისი, ივლისი მყნობა) იღებენ გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე და გადააქვთ სანერგიდან სამრეწველო ბაღების გასაშენებლად.

სანერგე მეურნეობის ორგანიზაციული მოწყობისა და სამრეწველო საწარმოო პლანტაციების გეშენების საკითხებზე მასალები დაიბეჭდება ეტაპობრივად შემდეგ ნომრებზე.

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

ფურიეს ინტეგრალი

ვთქვათ, R არის ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე, რომელზეც განსაზღვრულია ფუნქცია $f(x): R \to R$. შემოვიტანოთ რამოდენიმე განმარტება:

განმარტება 1. $f(x)$ ფუნქციას ეწოდება რიცხვით ღერძზე აბსოლიტურად ინტეგრებადი ფუნქცია, თუ უშუალოდ ინტეგრალი

$$\int_{-\infty}^{\infty} |f(x)|dx$$

კრებადია.

განმარტება 2. ვთქვათ $f(x)$ ფუნქცია რიცხვით ღერძზე აბსოლიტურად ინტეგრებადი ფუნქციაა. მაშინ ფ(ხ) ფუნქციის ფურიეს ინტეგრალი ეწოდება

$$\int_0^{+\infty}(a(\lambda)cos\lambda x + b(\lambda)sin\lambda x)d\lambda, \quad x\epsilon(-\infty; +\infty) \tag{1}$$

ინტეგრალს, სადაც

$$a(\lambda) = \frac{1}{\pi}\int_{-\infty}^{+\infty} f(t)cos\lambda t dt, \quad \lambda \geq 0 \tag{2}$$

$$b(\lambda) = \frac{1}{\pi}\int_{-\infty}^{+\infty} f(t)sin\lambda t dt, \quad \lambda \geq 0 \tag{3}$$

შევნიშნოთ, რომ რადგანაც $f(x)$ ფუნქცია რიცხვით ღერძზე აბსოლიტურად ინტეგრებადი ფუნქციაა, ამიტომ ორივე $a(\lambda)$ და $b(\lambda)$ ინტეგრალი კრებადია.

$f(x)$ ფუნქციის ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივს აქვს სახე:

$$f \sim \frac{a_0}{2} + \sum_{n=1}^{\infty}(a_n cos\lambda_n x + b_n sin\lambda_n x), \tag{4}$$

სადაც $\lambda_n = \frac{\pi n}{l}$, n=1,2,3,….

(1)გამოსახულებაში ჩავსვათ (2) და (3) თან გავითვალისწინოთ, რომ $\cos\lambda t\cos\lambda x + \sin\lambda t\sin\lambda x = \cos\lambda(t-x)$. მივიღებთ, რომ $f(x)$ ფუნქცია ემთხვევა ფურიეს ინტეგრალს

$$f(x)\sim\frac{1}{\pi}\int_0^{\infty}d\lambda\int_{-\infty}^{+\infty}f(t)cos\lambda(t-x)dt \tag{5}$$

თეორემა: თუ რიცხვით ღერძზე განსაზღვრული $f(x)$ ფუნქცია გლუვია ნებისმიერ სასრულ სეგმენტზე და აბსოლიტურად ინტეგრებადია მთელს ღერძე, მაშინ ყოველი $x\in(-\infty;+\infty)$ წერტილისთვის (5) ინტეგრალი კრებადია და ტოლია $\frac{1}{2}\big(f(x-)+f(x+)\big)$. კერძოდ, თუ $f(x)$ ფუნქციის უწყვეტობის წერტილში კი სამართლიანია ტოლობა

$$f(x)=\frac{1}{\pi}\int_0^{\infty}d\lambda\int_{-\infty}^{+\infty}f(t)cos\lambda(t-x)dt. \tag{6}$$

თუ ფუნქცია აკმაყოფილებს თეორემის პირობებს და წარმოადგენს ლუწ ფუნქციას, მაშინ

$$a(\lambda)=\frac{2}{\pi}\int_0^{+\infty}f(t)cos\lambda tdt,\quad \lambda\geq 0$$

და $f(x)$ ფუნქცია უწყვეტობის წერტილზე (6) ტოლობა მიიღებს სახეს

$$f(x)=\frac{2}{\pi}\int_0^{\infty}cos\lambda xd\lambda\int_{-\infty}^{+\infty}f(t)cos\lambda tdt, \tag{7}$$

ხოლო თუ $f(x)$ ფუნქცია კენტია, მაშინ

$$f(x)=\frac{2}{\pi}\int_0^{\infty}sin\lambda xd\lambda\int_{-\infty}^{+\infty}f(t)sin\lambda tdt.$$

ე.ი. თუ $f(x)$ ფუნქცია განსაზღვრულია $[0;+\infty[$ შუალედში და აბსოლუტურად ინტეგრებადია ამავე, გარდა ამისა ის წარმოადგენს გლუვ ფუნქციას ამავე შუალედში, მაშინ ის შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც (7) სახით, ასევა (8) ტოლობით, თუ ის შესაბამისად ლუწი ან კენტი ფუნქციაა.

ლიტერატურა

1. В.Ф. Бутузов, М.В. Бутузова РЯДЫ И ИНТЕГРАЛЫ ФУРЬЕ ОБОБЩЁННЫЕ ФУНКЦИИ МОСКОВСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ им. М.В. Ломоносова 2017 г.
2. П. Л. Ульянов А. Н. Колмогоров и расходящиеся ряд Фурье Успех матю наук. т.38 вып. 4(232) 1983 г.

მილოცვა

გულნაზ ხარაიშვილი – 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გულნაზ ნიკიფორეს ასული ხარაიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო გულნაზ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, ჩინებულ ლიტერატორსა და მოღვაწეს გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენი სამწერლო ღვწა 2004 წლიდან იწყება, როდესაც პოეტურ კრებულ „ფიქრებში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „იმერეთი“. დიახ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ თქვენი მშობლიური კუთხე - ულამაზესი, უმშვენიერესი იმერეთი გექცათ პოეტური შთაგონების უპირველეს წყაროდ და სწორედ აქედან - მოდინახეს სანახებიდან უმღერით სრულიად საქართველოს, უმღერით შთაგონებით, სიყვარულით და უკეთესი მერმისის რწმენით.

თქვენი პოეტური კრებულები („ფიქრები“, „შენ მენატრები“, „მზის ათინათი“, „პოემები“, „მდუღარე ცრემლი“, „სულის არეში“, „მზის მკლავებში“, „დარდის პირამიდები“, „ფიქრის ხეივანი“) სწორედ ასეთი რწმენითაა ნიშანდებული, სწორედ ასეთი რწმენითაა გასხივოსნებული.

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი ჩვენი თანამედროვეა, XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარზე შემდგარი პირგამეხებული მწირი, რომელსაც სიმწრის ოფლი სდის იმის შემხედვარეს, თუ როგორ ითელება მისი საესავი მამული ქვეგამხედვარე მოღალატეებისაგან, როგორ ცდილობენ ეროვნული გენის, ფესვების, ძირების, ყველაფერ იმის ამოძირკვას, რამაც დღევანდლამდე მოიყვანა ივერთა მიწა. და მაინც იმედი, სამშობლო ქვეყნის გადარჩენისა და გაბრწყინების იმედი არ სტოვებს და მხნეობას მატებს ამ ერთი შეხედვით სუსტსა და უნაზეს ქმნილებას. ამიტომაც მედგრად მიაპობს ეკალგარდებით დაბურდულ უღრანებს და არცერთ წინააღმდეგობას, არცერთ ბარიერს არ უშინდება...

თქვენს კალამს ეკუთვნის პროზაული კრებული „ღმერთკაცი და თოლია“.

ძალზე ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ხართ. დამაარსებელი ბრძანდებით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიისა, რომელმაც არაერთ მნიშვნელოვან წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი. წლების წინ დააარსეთ ჟურნალი „ათინათი“, რომელმაც ხელი შეუწყო ქართული სალიტერატურო ცხოვრების განახლების პროცესს. თქვენი რედაქტორობით გამოიცა ქართული პოეზიის ანთოლოგიის ცხრა ტომი, რომელმაც შემოქმედებითი სტიმულით დამუხტა ქართველი პოეტები...

სხვადასხვა დროს მუშაობდით სოფელ კოდის ბიბლიოთეკის დირექტორად, თბილისის კულტურის ცენტრის დირექტორად, რუსთავის ზვიად გამსახურდიას სახელობის სკოლა-კოლეჯის ბიბლიოთეკის გამგედ, იმავე კოლეჯის დირექტორად...

თქვენი მრავალწლიანი, უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, მარიკა ბარათაშვილის, ღვაწლმოსილის, ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა. დაჯილდოებული ხართ იაკონ გოგებაშვილის სახელობის მედლით.

ძვირფასო გულნაზი!

თქვენმა კოლეგებმა ბევრი რამ იციან თქვენი მოსიყვარულე გულის შესახებ, იციან ისიც, თუ როგორ ეფერებით თქვენი უდროოდ აღსრულებული ძმის, ნიჭიერებით გამორჩეული ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნას, როგორ ცდილობთ დავიწყების ბურუსს გამოსტაცოთ მისი მშვენიერი სტრიქონები.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს. ძვირფას კოლეგას დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ლამზირა შეყილაძე

უსამართლობას ვერ უზავდები

გულნაზ ხარაიშვილს

შენ დაიბადე მაისის თვეში,
ვარდი ისხარი, სულთა საამო...
გამოწრთობილი წარსულის ცეცხლში,
გწადს სიყვარული ერში დაანთო.
დაგაქვს მადლი და უფლის დიდება,
ვერ გიმორჩილებს ცივი ზამთარი.
ხარ გულმოწყალე და დიდი დედა...
ყველას ტკივილის თავშესაფარი.
როცა სამშობლო გასაჭირშია,
ყელს გეჭინება მწარე დარდები.
ვერ იტან ცრუთა ორპირობას და
უსამართლობას ვერ უზავდები.
პოეტს სხვაგვარად გტკივა სამშობლო,
ღვინოს კი არა, ლექსს ეძალები.
ხარ წუთისოფლის უმძიმეს ომში.
მხნე ვაჟკაცივით შეუდარებ.
და შენს მამულის კვარცხლბეკზე დგახარ,
მავთულხლართების ყურება გიწევს.
მუდმივ სიმართლის ძიებაში ხარ,
სევდით გაჰყურებ დაპყრობილ მიწებს.
გულდაკოდილი ხარ მრავალმხრივი,
გელას უდროოდ წასვლამ შეგცვალა...
მას შემდეგ გულში არ გიდგას დარი,
შენში მაისმა ფერი იცვალა.
გულთა სამზეოდ, სულის მეგზურად
შეკრიბე ნორჩი ათინათები...
არ დაემონე დარდ-მწუხარებას,
შვილებადა გყავს ახალგაზრდები...
ირგვლივ მყოფები დედად გიაზრებთ,
შენც დედასავით გვესაკმევლები...
ამ უსამართლო ჟამთა სრბოლაში
ლურჯ მწვერვალებზე აგვიგე მთები.
დაუდგრომელი სულისკვეთებით,
გულში წყვდიადი გაგვიმზიანე.
ღამენათევი და სულის თრთოლვით,
შენ გახდი ჩვენი მემატიანე.
ღმერთმა დაგლოცოს ქალო, სვიანო,
ქალი კი არა, მზე ხარ ნათელი.
ქორონიკონებს გაალამაზებს,
შენი ღვაწლი და შენი სახელი.

ევლალია პერპერიდი ასია



ქალმატონ გულნაზის დიდი
მოკრძალებით და პატივით


თქვენს სულით მშვენებას ამ საჟამოდ რა შეედრება,
ღმერთმა გაკურთხოთ შეისმინოს თქვენი ვედრება,
რასაც უფალს თქვენი გული შეევედრება.
როდეს თქვენნაირს ვხედავ
გულს სითბო მადლად მეღვრება,
სული სხეულში განისვენებს და არ მეღლება,
გედნიერებით ჩემი არსი ცრემლად იღვრება.
განსხვავებული ხართ ყოვლისაგან გამორჩეული,
ვინ შეგედაროს სათნოებავ თქვენ ხართვრჩეული,
გულს გეწვით გაჭირვებული მწირი ეული.
ადამიანად მოვლენილი ანგელოზი ხართ,
ღმრთისაგან კურთხეულო
მინდა გითხრათ ძალზედ მიყვარხართ,
შეუდარელო თვალწარმტაცო აღმათრენახართ.
თქვენნაირებით ეს სოფელი ძალზედ მშვენდება,
იმედიანად წარმავალის ღამე თენდება,
თქვენი ხმატკბილი ვითარ ლოცვა გულში მეღვრება.
ღმერთმა დაგლოცოს ამ საჟამოდ ჩემო მშვენება
თქვენს სიახლოვეს ყოთნა ახლა ძალზედ მენება,
როდეს თქვენნაირები არსობს არ უწერია ამ სამყაროს გადაშენება
იხარეთ, სოფლად სათნოებავ, აწ და მარადის,
თქვენნაირებით ეს არსობა სოფლად ამად ღირს,
ახლა მე ვგავარ მოხეტიალე ამა სოფლის მწირს
მზეებრ აფრქვევთ სითბოს, ანათებთ
რომელიც სოფლად ასე ძალზედ ჭირს.

ნანა მომცელიძე



გულნაზი ხარაიშვილს

გულში სიყვარულის მარაგი ულევი.
მეტი სიმდიდრე და განძი რად გინდა.
შენ ხომ გაალღვე და გაათბე გულები,
შენი შემხედვარე მეც მეტი რა მინდა.
შენთან მშვიდდებიან მშფოთვარე სულები.
შენთან პოულობენ სითბოს და ღიმილებს.
შენთან ჭრიალებენ ძირძველი ურმები,
ფესვმაგარ მუხებთან ტოვებენ ტკივილებს.
შენ ეროვნულობის კერას არ აციებ.
შენ სულიერების გრდემლი ხარ სამჭედლო.
გულში კი უსაზღვრო სიყვარულს აღვივებ
და ცდილობ სიმშვიდე სულებში ჩაჭედო.
შენს კერას მოვლა და სიმშვიდე ჭირდება.
შენს კერას სული აქვს ჩადგმული ქართული.
შენ ,ჩემო გულნაზი, ქება არ გჭირდება,
უფლის გზას ადგახარ მხნე და შემართული.



ამირან ამირანაშვილი

დე

გულნაზ ხარაიშვილს

სამოცდაათჯერ შემოუარა მზეს დედამიწამ,
სამოცდაათჯერ მოგეფერა ხუთი მაისი.
ყოველწლიურად იხუნძლებიან შენი ტოტები
შენი შვილების მოლოცვები ცამდე გაისმის.

დედას გეძახის ოთხმოც წლიანი ცელქი ბიჭები,
შენ თეთრი დროშით მკაცრი ნაბიჯით წინ მიგვიძვები.
ათინათს ქარგავ წმინდა ნინოთი, დედა ღვთისმშობლით,
ყველა ნატრულობს რომ იამაყონ შენი შვილობით.

დედა რომ იყო დიდი მადლი ღვთისმშობლის შემდეგ,
საქართველოში ყველაზე ძვირფასს ვუწოდებთ დედას.
დიდო ქართველო, დიდო დედავ, დიდო პოეტო,
დიდი ჯარი გყავს შენ შებრძოლებას ვერვინ გაბედავს.

წინ მიგვიძღვება ახალგაზრდული მებრძოლი „ზღვარი“,
მარცხენა ფლანგზე დარაზმულთა „ამორძალები.
მამაოს ლოცავს ამაღლებაში არ აქვს საზღვარი,
ჩვენ გავიმარჯვებთ, მტერს არასდროს დავემალებით.

ამაღლება 22.VII.2020 წ.

იყბილეს ეილოცავთ

გულნაზ ხარაიშვილი



და აი, 2020 წლის 5 მაისი ჯერ გამობრწყინდა, შემდეგ კი დაისის მზეს წაყვა და გაუჩინარდა. მილოც – მოლოცვებში დღე ისე დაღამდა, ვერ გავიგე. ვინც ჩემთვის თბილი სიტყვა დახარჯეთ და დრო დამითმეთ, გლოცავთ. გჯეროდეთ, დააკვირდით, მადლი კარგა ხანს გაგყვებათ. ღვთიური მადლი, ზეციური პოეტის დაფასებისათვის.



Avraham Paata Yosef



ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს!

პოეტს, ჯუმბერ ლეჟავას სახელoბის მრავალპროფილიან საერთაშორისო აკაფემიის პრეზიდენტს, ჟურნალ

"ათინათინის"

რედაქტორს, საოცარ ადამიანს, ტკბილენიანს და გულთბილიანს, ხალხის მოყვარულს და მათი სულის გამმზიანებელს, გილოცავთ

დაბადებისდღეს!

მსურს ახლო წარსულში მიმოწერის ეს მშვენიერი დიალოგი გავიხსენო

გატონოპაატა

ჟუენალი ,,ათინათი,, რომელიც წმინდა ნინოს ხატით გამოდის გამოვიდა, ამ მძიმე ჟამს მოვახერხე, სადაც თქვენდამი მოძღვნილი ქალბატონი მადონა დვალის წერილია დაბეჭდილი და პატარა მოსაფერებელი მწირი სიტყვა ჩემგანაც მიუთბუნე, რომ კარგად მყავდეს ჩემი აკადემიის შვილი აბრამ პაატა იოსებაშვილი!

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია მადლობას საჯაროდ უცხადებს მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, ქალბატონ

მაყვალაგონაშვილს

გატონო აბრამ პაატა, თქვენი კანდიდატურა, რომ წამოაყენა აკადემიაში და სიხარულით გადმოგეცით საერთაშორისო აკადემიის დიპლომი.

მიხარია, რომ სიტყვა მეთქმის ისეთ პიროვნებასთან, როგორიც თქვენ ბრძანდებით. მეიმედებით, მეამაყებით და გლოცავთ აკადემიის შვილო აბრამ პაატა იოსებაშვილო!

ეს საოცარი და მოულოდნელი წერილი ჩემ ერთ ერთ პოსტში მომწერა ძვირფასმა პოეტმა, აკადემიკოსმა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის დამაარსებლებმა და მისმა პრეზიდენტმა

გულნაზიხარაიშვილმა!

ქალბატონო გულნაზი, გავიმეორებ იმ სიტყვებს, რაც თვენ ბრწყინვალებას არა ერთხელ უთქვია, არ არის იმაზე მეტი ბედნიერება, როცა ხალხს უყვარხარ და აფასებს შენს გაწეულ ღვაწლს ხალხის საკეთილდღეოდ!

თქვენი სიტყვებით, თქვენი ჩემში ღრმა რწმენით, პრესტიჟულ სამეცნიერო საერთაშორისო მრავალპროფილიან აკადემიაში გაწევრიანებით და მისი დიპლომით დაჟილდიებით მომანიჭეთ, დიდი სიხარული და ბედნიერება, რაც ჩემთვის ყველანაირ ღირებულებაზე მაღლა დგას!

ასე მოგწერეთ პასუხი:

ქალბატონო გულნაზი, უკეთილშობილესო ადამიანო, შესაფერის სიტყვებს ვერ ვპოულობ, ბევრს, ძალიან ბევრს

აკეთებთ ჩემთვის, უღრმესი მადლობა!

მადლობას ვუხდი ძვირფას ქალბატონს, უსაყვარლეს მეგობარს, პოეტს, მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, სპეტაკ ქალბატონს, მაყვალა გონაშვილს, რომ ჩემში დაინახა ღირსეული ადამიანი, რომელიც შეეფერება იყოს თქვენი აკადემიის დიპლომირებული აკადემიკოსი, რისთვისაც მიგითითად ჩემ დაჯილდოებაზე!!

გმადლობთ ძვირფასო ქალბატონო!

გფარავდეთ უფალი!

ქ-ნო გულნაზი, გისურვებთ ურყევ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, მრავალ შემოქმედებით წარმატებებს და დასახული მიზნების განხორციელებას!

Madona Dvali

ვუერთდები მილოცვას,ურყევი ჯანმრთელობა ქალბატონ გულნაზის!

Natali Chelidze

გილოცავთ ქალბატონო🖤
იხარეთ, იდღეგრძელეთ 🖤
იბედნიერეთ ... ემრავლოს სამშობლოს ასეთი ადამიანებით🖤🖤....

იანელ კოჭლამაზაშვილი



მომავალ შეხვედრამდე!

თქვენდანი ღრმა პატივისცემით, უსაზღვრო სიყვარულით და თაყვანისცემით:

აბრამ პაატა იოსებაშვილი

საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე!

საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში!

დავით აღმაშენებლის აკადემიის პროფესორი და სრულუფლებიანი წევრი!

4 სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიების წევრი თქვენი აკადენიის ჩათვლით!

პროფესორი აკადემიკოსი!

არქიტექტორი!

Sazogadoeba Poezieli



Ugulava Naira



ადამიანების სულში მოლომდე ჩამწვდომო, სხვისი ტკივილების გამზიარებელო, საზოგადო საქმისათვის თავდადებულო, ერის ქომაგო და მოამაგევ, გონიერო, მრძენო და მისაბაძო ქალბატონო, გილოცავ იუბილეს! გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს – პირად და შემოქმედებით წარმატებებს 🖤

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

ქალბატონ გულნაზის

ვერ ვპოულობ იმ სიტყვებს
რომ შენ მოგესადაგოს,
მილოცვაზე პასუხი
თავად ამ ლექსმა აგოს.
მსგავსი მცირე სტროფებით
ივსები, არც იწყები,
მე ის ვიცი არასდროს
რომ არ დამავიწყდები.

Ramaz Abesadze
გილოცავთ, მრავალ დაბადების დღეს და გიორგობას დაესწარით!


Nino Qavtaradze
დიდი პატივისცემით, სიყვარულით და საუკეთესო სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს🖤 უფალი იყოს თქვენი მფარველი🖤



Iza Kvanchilashvili
გილოცავთ დაბადების დღეს საუკეთესო სურვილებით.სიკეთეს და გედნიერებსა ებარებოდთ თქვენს ძვირფას ადამიანებთან ერთად.



Nazibrola Qobalia



Tengiz Bezhashvili
🖤 მოგილოცავთ!


ციური ხუჭუა
ჩემს უსაყვარლეს ადამიანს,
მეგობარს, შესანიშნავ პოეტს, მწერალთა კავშირის გულს, მრავალი წიგნის ავტორს, თანამედროვე აკადემიის დედას – გულნაზ ხარაიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობასა და წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში. დაე, გედნიერებით და სიხარულით სავსე

წლები შეგმატოთ უფალმა მისი
წყალობით, შემწეობითა და
მფარველობით.
მიყვარხართ და მიხარია რომ არსებობთ



Eliso Jmuxadze
გილოცავთ ქალბატონო გულნაზი. უფალი შეგეწიოთ!
ანანო ხუჭუა
გილოცავთ ქალბათონო გულნაზ . ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ ცხოვრებაში . ძალიან მიყვარხართ 💙💙💙

Nikola Bagashvili
დე-პოეტ გულნაზ ხარაიშვილს ----დე,გილოცავ დაბადების დღეს -
ულევი სიხარულები და ბედნიერება ,
გაიხარე!
ვ ი დ ე ო — მ ი ლ ო ც ვ ა ----



Gulnazi Kharaishvili



ნიკო ბაღაშვილს კიდევ არ ვიცნობ. არ ვიცი, ვფიქრდები რა გაუკეთე განსხვავებული, არც არფერი. მერე ფიქრის შემდეგ თვითონვე ავხსენი ერთი რამ. ტკიოდა,? მოუსმინე... ეწყინა ? დავამშვიდე... შევპირდი? არ მოვატყუე. განა თითეული ადამინისთვის ასე არ გამიკეთებია? პასუხი ერთია, ყველა არ დაინახავს. ნიკო ბაღაშვილი ერთი ალალი , ნიჭიერი ხელოვანია, რომელიც თუ იკადრე, ისე აატრიალებდი, როგორც პატარა ბავშვი. ჩემგან მიიღო დედაშვილური დარიგება, და დღეს ის საკმაოდ დაფასებული და სახელგანთქმული პიროვნებაა. მადლობა შვილო, ნიკო ყველაფრისათვის, შენ გელასნაირი სითბო შემოგაქვს და სცოცლეს მაყვარებ.



ლალი გონგლიაშვილი

გულნაზ ხარაიშვილის იუბილე

საქართველოში საქართველოს დაბადებული
გულში ანთებულ სიყვარულის უქრობი ალით,
სიტყვის მახვილით დაუღლელად ამორძალივით,
ქვეყნის სვეტედზე მოუღლელად მებრძოლი ქალი.
ქალი დედა და ქალი ბებია, ქალი პოეტი,
ქართული სიტყვის დიდოსტატი და პრეზიდენტი,
მამულზე ფიქრით, მისი ბედით შეწუხებული,
გამოსავალი გზების მძებნი და მოქადაგე,
პირადი ბედის, პირადი სევდის განზე გამწევი
და თვის მამულის მძიმე ხვედრზე გულში მტირალი.
ფარხმალს არა ჰყრის, გზას მიგივკვლევს უკვალავ თოვლში,
და სიყვარულის ყვავილებით გვირთავს ბილიკებს.
თავის გარშემო სიყვარულის გვიქსოვს აურას,
მოსისხლე მტერსაც მოყვრადქცევას უპირებს გულით.
ნაზი გული აქვს, მიტომ ჰქვია ალბათ გულნაზი,
და მძიმე ტვირთის საზიდავად ღმერთმა უბოძა
დედაბოძივით მტკიცე გვარი – ხარაიშვილი,
დღეს ამაგდარის იუბილე სიხარულსა გვგვრის,
კიდევ მრავალჯერ მოგველოცოს მრავალი თარიღი,
დიდხანს იცოცხლე, იმოღვაწე ქვეყნის სალხენად,
და მეგობრების სიყვარული ფეხქვეშ გაგეგოს,
ფიანდაზად და საქართველოს გადასარჩენად!

05.05.2020.



ნელი გიუნაშვილი

ეძღვნება ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს

გაგიცანი, სიყვარული გამიჩნდა,
შეხვედრისას ოცნებები ამიხდა,
აფრქვევ ყველას ალერსსა და სიყვარულს,
ცხოვრებაში არ იტოვებ სინანულს.
ყველას გინდა უთანაგრძნო დროულად,
გაუკვალო გზები ამავდროულად,
ამ ცხოვრებამ გული რატომ გატკინა,
დიდმა დარდმა ცხოვრებას შეგარკინა.
მინდა ვიქცე წამლად, გულზე დაგედო.
მსურს, რომ გულზედ, მე მალამოდ დაგედო,
გადავიქცე მხოლოდ წამლად კი არა,
მოგიშუშო ჭრილობები, იარა.
გიყურებ და... არ ვიცი რას გადარო,
მინდა მზეს და ბერმუხას შეგადარო,
გითხრა რა ხარ?...
ხატად გარდასახული,
ბრილიანტი, ბაჯაღლოში ჩასმული.

75 წლის იუბილარი იყერი ჭელიძე



ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, დაბადების 75 წლის იუბილეს ულოცავს, ბატონ ივერი ჭელიძეს.

ომში გამოვლილს არ დაგკლებია,
ჭრილობები და ნაიარები,
გული იმედით განაკვებია
კვლავ უფლის რწმენით დაიარები!

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“
მთავარი რედაქტორი პოეტი.

ივერი ჭელიძის შესახებ

ივერი ჭელიძე დაიბადა 1945 წელს დაბა მესტიაში, მამა-რაჟდენ ჭელიძე დამსახურებული საგზაო მშენებელი, დედა-ლუბა ჯაფარიძე დამსახურებული პედაგოგი, რომელმაც აღუზარდა სამშობლოს მრავალი სახელოვანი შვილი. 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი, იმავე წელს მუშაობა დაიწყო სვანეთში, ჭუბერის მარმარილოს კარიერის უფროსად. 1971 წელს ინიშნება მესტიის საგზაო-სარემონტოსამშენებლო სამმართველოს ინჟინრად. 1975 წელს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორად, მისი მუშაობის პერიოდში გახდა კომბინატი ერთ-ერთი მოწინავე, საქართველოს მასშტაბით. 1980წელს აირჩიეს მესტიის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. 1983 წელს გადაიყვანეს მესტიის საგზაო სარემონტო სამშენებლო საექსპლუატაციო სამმართველოს უფროსად. 1992 გარდაბანში არჩეული იქნა საქართველოს პირველ პარლამენტში მაჟორიტარ დეპუტატად. 1995წელს მესტიის რაიონში მეორე მოწვევის პარლამენტის დეპუტატად. 1998-2000წლებში მუშაობდა საქართველოსპრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად კოდორის ხეობაში. კოდორის მოსახლეობასტან მისი მოღვაწეობის პერიოდი, ყველაზე ნათელი შტრიხია მის ცხოვრებაში 2000-2004 წელს მესამე მოწვევის პარლამენტის წევრია. პარლამენტში მოღვაწეობის პერიოდში იყო, დარგობრივი ეკონომიკის, თავდაცვისა და უშიშროების მთიანი რეგიონების კომიტეტის წევრი. საგანგებო სიტუაციების და საავტომობილო გზების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. 2002 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ის დანიშნა საქართველოს მიწისქვეშა გაზსაცავების, გენერალურ დირექტორად.მისი ხელმძღვანელობით დანიურ კომპანია ,,რამბოლთან" ერთად, დამუშავებული იქნა ნინოწმინდის საბადოზე გაზსაცავების პროექტი. მის მიერ გაწეული სიკეთე უსაზღვროა კოდორის და სვანეთის ახალგაზრდობის მიმართ, მისი ხელშეწყობით 700 ახალგაზრდა ეზიარა უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღებას. მისი იდეიის საფუძველზე და მისი ხელშეწყობით ჩატარდა 2003 წელს, დიდი მთამსვლელის ,,კლდის ვეფხვად", წოდებული მიხეილ ხერგიანის საიუბილეო საღამო ოპერისა და ბალეტის თეატრში. მისი ინიციატივის საფუძველზე დაიწერა წიგნი ,,კაცი ლეგენდა" სადაც მკითხველისთვის საინტერესო ისტორიული მასალებია განთავსებული.სამწუხაროდ ის მტკივნეულად განიცდის იმას რომ მისი მუშაობის პერიოდში ვერ მოესწრო მიხეილ ხერგიანის ძეგლის დადგმა. 2004-2007წლებში კვლავ ეროვნული კომპანია ,,საქნავთობის"გენერალური დირექტორის მოადგილეა. 2008წლიდან საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის მრჩეველია. მას ჰყავდა უკეთილშობილესი მეუღლე,შესანიშნავი ქალბატონი ნელი გელაშვილი. მათ,თანაცხოვრების 20 წელი გაატა-

რეს ერთად მესტიის რაიონში. ქალბატონი ნელი მუშაობდა მესტიის მუზეუმში მეცნიერ მუშაკად, რომელმაც შექმნა სამუშაო ნაშრომი სვანური ყოფაცხოვრების, კერძოდ: ნიშნობა-ქორწინებასთან დაკავშირებულ ადათ-წესზე.ნელი იყო არამარტო ჭელიძეების გვარის არამედ მთელი სვანეთის უსაყვარლესი რძალი და ახლობელი. სამწუხაროდ ის ნაადრევად გამოემშვიდობა ამ ლამაზ ოჯახს და ამ წუთისოფელს... ივერიმ განვლო ის გზა რომელიც ჭეშმარიტი ქართველი კაცისთვის არის დამახასიათებელი, სამშობლოს სიყვარული, კეთილშობილება, მოყვასისთვის თავგანწირვა და ღირსება რაც მისი ცხოვრების სავიზიტო ბარათია. ის, ჭირისუფალიც ღირსეული იყო ძვირფასი მეუღლის და 2011 წელს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე გარდაცვლილი შვილიშვილის ივიკო (იოანე) ჭელიძის, რომლის გარდაცვალებამ მთელი საქართველო აატირა. მას დიდ ტკივილთან ერთად ჭირთაათმენის უდიდესი ძალაც მისცა ღმერთმა.ღვთისმოშიში და მორწმუნე ადამიანი კვლავაც დგას ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში და მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით კვლავაც აგრძელებს სიკეთის კეთებას. ის არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ომის მონაწილე-ვეტერანი და ვახტანგ გორგასლის მე-2ხარისხის ორდენის კავალერი.

მე ვარ ამაყი, მაშინაც, ახლაც...

ივერი ჭელიძეს

ბევრჯერ შესცივდათ თუმცა მურყვამებს,
გულიც გაბზარა ცათა ქუხილმა,
მაგრამ ვერაფრით ვეღარ შეგცვალა
ჟამთა სიავემ, ჟამთა წუხილმა...
და გქონდა მუდამ და ახლაც დაგაქვს
სიკეთე პეშვ-პეშვ გულის ნატეხი,
რა გამოგილევს კაცობის საგზალს
გაუძელ თუმცა რამდენ ქარტეხილს?!

ისევ გახურავს ის ქუდი ახლაც,
ჯვარს რომ ატარებს მთების სიმაღლეს,
მხრებზე მოიგდე წარსულის დამღა
და შენს ნაკვალევს გასდევს სინათლე.
ბევრჯერ შესცივდათ მურყვამებს,
მაგრამ მე ვარ ამაყი მაშინაც, ახლაც,
რომ ჭირთაათმენაც, რომ ზეკაცობაც,
შენებრ არ ძალუძს არავის ვაგლახ!..

შენში ღმერთია
(ივერი ჭელიძეს)

ღმერთია შენში, როდესაც გახსოვს,
გარდაცვლილი და...სიცოცხლე გიყვარს,
სხვის განსაცდელზე,
არასდროს მასხრობ,
სხვისი ტკივილი გულთან, რომ მიგყავს.
სიმდირე არის, იცხოვრო ისე,
მზისფერი იყოს, შენი წარსული...
თუ ერს დაჭირიდა, სიცოცხლე მისცე,
თუნდაც ნაბიჯი, იყოს ჯვარცმული.
სიმდიდრე არის, იყო ძლიერი,
ქებას შენს თავზე, რომ არ მოყვები,
ასაკით იყო თუნდაც ხნიერი,
მყიფე ტოტივით, რომ არ მოტყდები.
სიძლიერეა, როცა გესვრიან,
ტყვიებს და...მაინც არ შეშინდები,
თუ გინდა გადგეს, თავზე მესია,
მაინც, რომ ყვავის შენთვის შინდები.
არ არს სიკვდილი, გარდაცვალება,
ცაში მოხდება, მზეთა მზისობა,
ეს, უფლით ხდება, ფერისცვალება,
სულს კი ეწვევა მარადისობა.
თქვენ საქართველოს შვილო, ივერი,
სიკეთისათვის, გევრჯერ შეგნისლეს...
მე მინდა იყო სულ გედნიერი,
რწმენით სიცოცხლე გაიმერმისე!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)


გულნაზ ხარაიშვილი



წიგნის თარო

ჯუმბერ ლეჟავას მრავალფუნქციური საერთაშორისო აკადემია და ჟურნალ – „ათინათის“ რედაქცია მის ერთგულ მკითხველებთან ერთად ულოცავს ბატონ ელგუჯა მგელაძეს დაბადების 70 და საზოგადო მოღვაწეობის 45 წლისთავს. უსურვებს ჯანმრთელობას, გედნიერებას და ახალახალ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ახლახან გამომცემლობა „ლეთა“-მ დასტამბა 600 გვერდიანი A-4 ფორმატის წიგნი სათაურით „დიდებული ადამიანები“, ტომი მეორე. წიგნში 27 ადრესატია! პროექტის და წიგნის ავტორი, შემდგენელი და გამომცემელია მწერალი ელგუჯა მგელაძე.



ბატონი ელგუჯა წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „მე ყოველთვის მსურდა, სათანადო პატივი მიმეგო იმ ადამიანებისთვის, ვინც გვერდით მიდგას და მედგა მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. მართალია, ბევრი მათგანი ამჟამად ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მათ რჩევებს, მე დღესაც აქტიურად ვიყენებ ცხოვრებაში და როცა რაიმე სერიოზული საკითხი მაქვს გადასაწყვეტი, ყოველთვის ვფიქრობ იმაზე, თუ ამქვეყნად უკვე ვალმოხდილად წასული ჩემი მეგობარი ან ახლობელი როგორ გადაწყვეტდა იმ საკითხს და მეც ანალოგიურად ვცდილობ შესაბამისად მოქმედებას.

მადლობა უფალს იმისათვის, რომ ცხოვრებაში უამრავი დიდებული ადამიანი შემახვედრა, რომელთა ერთ ნაწილს მკითხველი უკვე გაეცნო წიგნის პირველ ტომში, ხოლო მეორე ნაწილს ახლადგამოსულ II ტომშიგთავაზობთ“.

ახლადგმოცემული წიგნი ძვირფასი საჩუქარია როგორც ადრესატთათვის, ისე მათი ახლობლებისათვის, მეგობრებისათვის და ფართო მკითხველისათვის.

მილოცვა



ცნობილ ქართველ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ელგუჯა ალექსანდრეს ძე მგელაძეს ახლახანს დაბადებიდან 70 და საზოგადო მოღვაწეობიდან 45 წელი შეუსრულდა.

იგი დაიბადა 1950 წლის 1 აპრილს ჩოხატაურის რაიონში. იქვე დაამთავრა ვან-ზომლეთის საშუალო სკოლა, ხოლო 1976 წელს კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

1969 წლიდან დღემდე იგი ემსახურება დედაქალაქის კომუნალური მომსახურების სფეროს, სადაც განვლო ყველა ეტაპი დაწყებული მუშიდან საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის მმართველამდე, ხოლო შემდეგ კი 1987 წლიდან დღემდე მუშაობს ერთ-ერთი სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსად (ამჟამად შ.პ.ს. „ბახმარო").

თავისი ძირითადი საქმიანობის პარალელურად ელგუჯა მგელაძე 1991-2004 წლებში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე დაფუძნებულ ტელეჟურნალისტთა მუდმივმოქმედ ექსპედიცია ,,მამული"-ს, ხოლო მოგვიანებით კი რუბრიკა ,,საქართველო არის ესე..." რედაქციის საქმიანობაში. ტელევიზიაში მისი მუშაობის დროს, ამ რედაქციების მიერ ორასზე მეტი დოკუმენტური ვიდეოფილმი შეიქმნა, რაშიც განუზომელია ბატონი ელგუჯა მგელაძის წვლილი, როგორც ავტორის და ოპერატორის ყველა ვიდეოფილმი რამდენჯერმეა გადაცემული საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის და საპატრიარქოს ტელევიზია ,,ერთსულოვნება"-ს ეთერით.

შეუფასებელია ელგუჯა მგელაძის ღვაწლი საქართველოს საპატრიარქოსთან მიმართებაში. კერძოდ, მის მიერ მომზადდა და საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაიცა 500-მდე სიუჟეტი სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით ძვირფასია მის მიერ მომზადებული საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის უცხოეთში ვიზიტების ამსახველი ვიდეოფილმები.

რამდენიმე წლის წინ ელგუჯა მგელაძემ მისი უწმინდესობის თხოვნით შეაგროვა კომპაქტდისკებზე გადაწერა და მის უწმინდესობას საჩუქრად მიუძღვნა სხვადასხვა დროს საპატრიარქოზე მის მიერ გადაღებული 40 საათიანი ვიდეომასალა. ასევე სამი სპეციალური ფოტოალბომი, რომელშიც მოთავსებულია 700-მდე ექსკლუზიური ფოტოსურათი, მათი უმრავლესობა მისი უწმინდესობის უცხოეთის ქვეყნებში ვიზიტებს შეეხება.

1996 წლიდან ელგუჯა მგელაძე არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, ხოლო 2009 წლიდან სრულიად საქართველოს გაზეთ ,,რაეოს" დირექტორი. იგი 2016 წლიდან არჩეულია ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, ხოლო 2019 წლიდან ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. ამავდროულად იგი 2019 წლიდან არჩეულია საქართველოს ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო აკადემიის საპატიო პროფესორად, აკადემიკოსად და ვიცე პრეზიდენტად. 2018 წლიდან ელგუჯა მგელაძე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. მას 2019 წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა მიანიჭა ნოდარ დუმბაძის სახელობის პრემია.

2001 წლიდან იგი არჩეულია მგელაძეთა საგვარეულო კავშირის პრეზიდენტად. თავისი ძირითადი საქმიანობის აქტუალურობის გამო იგი საკმაოდ გვიან გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მაგრამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში უკვე შეძლო ხუთი სქელტანიანი წიგნის გამოცემა. ამჟამად აგრძელებს მუშაობას ,,დიდებული ადამიანები" -ს მესამე ტომზე. მისი წერილები, სტატიები, მოთხრობები და ნოველები სისტემატიურად ქვეყნდება ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში და პერიოდულ გამოცემებში.

ფაქტია, წარმატებული მშენებლის საქმიანობას ელგუჯა მგელაძემ გრწყინვალედ შეუთავსა სხვადასხვა საზოგადოებრივ სფეროში მოღვაწეობა, მათ შორის სამწერლო ასპარეზზეც.

ელგუჯა მგელაძის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით მას მისალოცი წერილი გაუგზავნა საქართველოს მწერალთა კავშირმა, ხოლო სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის იუბილარისადმი მილოცვაში ვკითხულობთ: **„ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ბატონ ელგუჯა მგელაძეს გულითადად ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს.**

მან დიდი ხანია მისი ცხოვრება დაუკავშირა ეკლესიას და ეკლესიის ისტორიიდან არაერთი მოვლენა, ფირზეც აღბეჭდილი, უნიკალური კადრების სახით შემოგვინახა.

ვუერთდებით მილოცვებს მის 70 წლისთავთან დაკავშირებით და ვუსურვებთ, ძალისამებრ მისისა ერგულად ემსახუროს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს".

პატივისცემით
ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი
30.03.2020 წელი

თამარ კერძაია
ევროპის უნივერსიტეტის რექტორი,



გულიადას იუბილე

ქალბატონ გულიადა სანოძეს სულითა და გულით ვულოცავ სამოცდაათი წლის იუბილეს და სასცენო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავს. გავიხსენებ ერთ ი-სტორიას: გარკვეული ხნით კალიფორნიის უნივერსიტეტში მომიწია მუშაობა, სადაც, ინტერკულტურული ურთიერ-თობების გაღრმავების მიზნით, მიღებულია სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებების გამართვა. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა მიეძღვნა იმ განსაკუთრებულ, კრეატიულ და არაორდინალურ ადამიანებს, რომლებმაც ისეთი ძლიერი გავლენა მოახდინეს, რომ ჩვენი ცხოვრების ინსპირაციის წყარო გახდნენ. დიდი დრო არ დამჭირვებია ჩემი მოხსენების იმ მთავარი გმირის წარსადგენად, რომელმაც თავისდაუნებურად შეცვალა ჩემი მიდგომები ცხოვრების მიმართ და, შესაბამისად, შეცვალა თავად ჩემი ცხოვრება. სიმართლე გითხრათ, გამიხარდა კიდევაც, რომ საშუალება მომეცა, მსოფლიოს ერთ-ერთ ცნობილ ცოდნის ტაძარში, კალიფორნიის ყველაზე გლამურულ ადგილას, ჰოლივუდის მთის ქვეშ, სწორედ ჰოლივუდის ცნობილ ვარსკვლავთა სავანეში (შესაძლოა ეს სიმბოლურიც იყო...) იქ დამსწრე საზოგადოების წინაშე გულიადა სანოძის პიროვნება წარმედგინა და გამეუღერებინა; ადამიანი, რომელმაც განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა ჩემს შეხედულებებზე და შესამჩნევი კვალი გაავლო ჩემს ცხოვრებაში; ადამიანი, რომელიც მისაბაძია თაობებისთვის. თავისი ნებისყოფით, გამძლეობით და კეთილგანწყობილებით ის იმედით გავსებს და არ გიტოვებს სივრცეს პესიმიზმისთვის; სოციალურ და მორალურ პასუხისმგებლობას უნერგავს ახალგაზრდებს, სამშობლოს სიყვარულით ზრდის მომავალ თაობებს.

..სწრაფად გადავლახე გონებაში ათობით ათასი კილომეტრი და დამსწრე საზოგადოების ყურადღება ვირტუალური წარმოდგენებით მაღალმთიან სოფელ გორდის ერთ ლამაზ ეზოში მდგარი პატარა ოდა სახლისკენ მივაპყარი (ეს სოფელი ჩემი დედულეთია და მასთან გავშვობის საზაფხულო არდადეგების ტკბილი მოგონებები მაკავშირებს). სწორედ, ჩვენს მეზობლად ცხოვრობს ქალბატონი გულიადა. ვხედავდი, დილიდან საღამომდე, როგორ მუხლჩაუდგმელად შრომობდა თავის კარ-მიდამოში.

მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებდა და ხშირად გადმოდიოდა ჩვენს ოჯახში სხვადასხვა მოსაკითხებით დატვირთული, ეს იქნებოდა ხილი, ბოსტნეული, თაფლი, რძე თუ სხვადასხვა ნუგბარი; ბავშვებს მოგვეფერებოდა, გაგვამხიარულებდა, სახელდახელო კონცერტს გამართავდა ჩვენთან ერთად და ამის შემდეგ სწრაფად გაუჩინარდებოდა...

მართალია, ზაფხულში ქალაქებიდან ჩამოსული ბავშვების ყიჟინა და დამსვენებლების ჟრიამული ამხიარულდებდა სოფელს, მაგრამ ამ სახლზე და იქ მცხოვრებ ამ საოცარ ქალბატონზე ფიქრისას, იქაურობა ზამთრის ფერებში წარმომიდგა. სუსხიანი, ცივი და ჭარბთოვლიანი ზამთარი იცის ამ მხარეში. ძალიან ხშირად ტრანსპორტიც ვერ ამოდის ამ ადგილამდე. აქ მცხოვრებთ, ზოგჯერ, კილომეტრების ფეხით გავლა და გზადაგზა თოვლის გაკვალვა უწევთ ყოველდღიური ყოფითი მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად. ამ ფონზე განსაცვიფრებელი იყო ჩემთვის, თუ როგორ გადიოდა ათობით კილომეტრს ნახსენები სახლის დიასახლისი არა საყოფაცხოვრებო, არამედ სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. დიახ, ჩემი მოხსენების მთავარი გმირი, ამ თოვლიან კილომეტრებს, ხონის თეტრისკენ მიმავალ გზაზე მიიკვლევდა, ხან მაია წყნეთელისა და ხან კაპულეტის როლის შესასრულებლად; მიიკვლევდა, რადგან, როგორც თვითონ ამბობდა, ამის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო... მუდამ მხიარული და პოზიტიური, თავისი ღირებულებების ერთგული, არ ეპუებოდა ცხოვრებისეულ სიძნელეებს და მაშინ, როცა ლოს ანჟელესში, მისი თაობის ადამიანები ელემენტარული ცხოვრებისეული პრობლემების გამო წუწუნებდნენ, ჩვენი დიასახლისი ფარფატა პეპელასავით, ბედნიერი ღიღინით მიაპობდა ცხოვრების სუსხიან გზას. თავადაც ხშირად უთქვამს, რომ ყველაზე მძიმე წუთებშიც კი, თვალებს დავხუჭავდი და წარმოსახვაში ჩემს თავს გაცისკროვნებული სასახლის დედოფლად წარმოვიდგენდიო; ასე ვინარჩუნებდი პოზიტიურ განწყობას, ბედნიერების შეგრძნებას და არასოდეს ვკარგავდი უკეთესი მომავლის იმედსო. ამ ქალბატონის მთელი სილამაზე და მშვენიერება მაშინ აღვიქვი, როცა დავრწმუნდი, რომ ასეთი შემართება, ცხოვრებისადმი მედეგობა და გამტანობა მისი მდიდარი, არაჩვეულებრივი სულიერი სამყაროდან გამომდინარეობდა. სწორედ ამიტომ, გულიადა ჩემი ცხოვრების ინსპირაციის წყარო გახდა. ყოველთვის, როცა საყოფაცხოვრებო „სირთულეებით“ დამძიმებულს, პოზიტივი შემომაკლდება, ეს მშვენიერი ქალბატონი წარმომიდგება თვალწინ - თეთრ თოვლზე ღიღინით, იმედიანი თვალებითა და შემართებით მიმავალი...

შეუმჩნეველი არ დარჩენილა გულიადას ცხოვრება და მოღვაწეობა. ის მრავალი ჯილდოს და, მათ შორის, ღირსების ორდენის მფლობელია. მწერალთა კავშირმა მას „საპატიო ამაგდარის“ წოდება მიანიჭა, და რაც ყველაზე მთავარია, იგი არის პოეტ ედვარდ უგულავას და სულიერებით დაჯილდოებული ხატმწერის - იაგო უგულავას

დედა, რომლის ხელნაწერი თამარ დედოფლის ხატი დიდი პატივით დააბრძანეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

კალიფორნიის უნივერსიტეტში, დარბაზში მსხდომთა თვალებზე მომდგარი ცრემლებით თუ ვიმსჯელებთ, მოხსენება შთამბეჭდავი გამოვიდა. ვინ იცის, იქ მყოფთაგან კიდევ ვისი შთაგონების წყარო გახდა ჩვენი ამბის გმირი - გულიადა სანოძე.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ქალბატონ გულიადას სამოცდაათი წლის იუბილეს და იმ დიდ გამარჯვებას, რომელიც ცხოვრების სირთულეების მისეული გადალახვისას მოიპოვა და ხალხის დიდი სიყვარულით დაჯილდოვდა!

გულიადა სანოძეს

იმ დროს, შენს დღეებს მზე რომ ათბობდა,
მახსოვს გოგონა სათნო და ზრდილი;
სცენიურ სახეს როგორ ამკობდა,
მწვანე თვალების მზერა და სხივი.

არასდროს გაკლდა კრძალვა და რიდი,
გახლდა სინაზე, სითბო და შარმი,
რომ გახდებოდი ნამდვილი გმირი,
ალბათ არავის სჯეროდა მაშინ.

ცხოვრებამ მძიმე გარგუნა ტვირთი -
იყო სიცივე, ყინვა და სუსხი;
არ გაბრკოლებდა სიმუხთლე მისი,
რადგან ყოველთვის გჯეროდა უფლის.

მიუყვებოდი კუთვნილ აღმართებს,
არა მოკირწყლულ გზას და ბილიკებს,
შენ აშენებდი მაინც ბაღნარებს,
და არიგებდი მზეს და ღიმილებს.

შენ, სიყვარულის დადევი ფიცი,
შენ, ერთგულების ააგე ხიდი;
დაასინათლე სიბნელე სხივით
და ითამაშე ცხოვრება დიდი.

ნია გორდელი

გულიადა სანოძის ბენეფისი



პოეტის დედას
ქალბატონ გულიადა სანოძეს





გაგა გომართელი

7 ივლისი, 2016

ალბათ ღმერთი ამშვიდებდა
შენ გულს მილეწ-მოლეწილს
როცა ქარის გახდი დედა
და გამზრდელი პოეტის
გახსოვს როგორ გიხაროდა
ქროლვა ქარბუქებისა
ბუნება რომ ზეიმობდა
შობას ფიქრთა მეფისას
ირღვეოდა მოზაიკა
სივრცე სუნთქვას კარგავდა
როცა ჩვილთან მუზა იდგა
როცა გვირგვინს ადგამდა
მასთან ერთად გაიარე
ხვედრის მძიმე სავალი
მარტოობა შეიყვარე
და სიმწარე მრავალი
როცა მუზა შოლტით გვემდა
და სიფხიზლე ემძიმა
ღამეებს რომ ათეთრებდა
მხოლოდ შენ არ გეძინა
ვერვინ იგრძნოს დედის გარდა
დარდის გულის წრიალი
შენ პოეტის დედა ხარ და
ხვედრის თანაზიარი.
ალბათ ღმერთი ამშვიდებდა
შენ გულს მილეწ-მოლეწილს,
როცა ქარის გახდი დედა
და გამზრდელი პოეტის...

პატივისცემით და სიყვარულით
გაგა გომართელი

მაია ფეიქრიშვილი

* * *

ხალხისგან ბოძებული ყველა ჯილდო სასიამოვნო და საამაყოა. ქალბატონ გულიადასათვის კი ყველაზე დიდი ჯილდო მისი შვილები... იაგო და ედუარდ უგულავები არიან.

იაგო უგულავა ხატმწერია. მის მიერ არაერთი ქართულიი ტაძარი იქნა მოხატული. განსაკუთრებული სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ იაგო არის შემოქმედი იმ ხატისა, რომელმაც სავანე დაიდო იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. ბერძენი არქიმანდრიტის კლავდიუსის დაკვეთით საქართველოში უნდა დაწერილიყო წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის ხატი. ხატის შექმნის იდეა მონაზონ ნინო თალაკვაძეს ეკუთვნის. ხატის შექმნა კი იაგოს მიანდვეს. ხატმწერის თქმით „ხატის შექმნის პროცესში სრულად იქნა გათვალისწინებული ჯვრის მონასტრის ინტერიერი და ფერთა გამა. შესაბამისად, ნაკლები ოქრო და მეტი სისადავე ამშვენებს წმინდანის ხატს“. ხატზე წმინდანებს სავედრებელი ლოცვა მხედრულადაა შესრულებული.

2016 წლის 14 მაისს, ხატის ჩაბრძანების აღსანიშნავად, ჯვრის მონასტერში წირვა ქართულ ენაზე წარიმართა. წირვა აღავლინა არქიმანდრიტმა სერფიმმა სვეტიცხოველის ვაჟთა გუნდთან ერთად.

წმინდა ხატმა ადგილი ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის მოპირადპირე სვეტზე დაიჭირა.

პოეტი **ედუარდ უგულავა** დაიბადა 1973 წელს, სოფელ გორდში. 1999 წელს დაამთავრა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, ლიტერატურის სპეციალობით. 2004 წელს კი დაასრულა მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის მაგისტრატურა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ასევე რედაქტორად: გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, „მერანი“. არის ხუთი პოეტური კრებულის ავტორი: „გულში შენ ხარ“, „ეს შენა ხარ – მომავალი ჩვენი“, „თუ გეყვარები“.

ედუარდ უგულავას ლექსები მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია. პოეტური დანიშნულებაა ქართული სიტყვის სიმშვენიერე და სიმდიდრე ამოამზეუროს და ყველას გააცნოს. დიდი სიყვარულით ეფერება პოეტი იმ სიტყვებს, რომლებიც დედისადმი – გულიადა სანოძისადმი – აქვს მიძღვნილი:

დედაჩემო...

ვღონდები, ჩემზე დარდით და
ლოდინით დაღლილს გხედავ.
მე არა მიშავს, ნუ წუხხარ,
შენ... შენ როგორ ხარ, დედავ?!
ამბობ, გაფრინდნენ მერცხლები,
ჭკნება ყვავილი მინდვრის,
რომ შენც ბერდები, ცხოვრება
მიდის, თავის გზით მიდის.
მაინც გვირილის სუნი გაქვს
(მამას სუნი აქვს მაჭრის).
გეტყვი, ვიდრემდის სამარეს
ბედი ჩემთვისაც გაჭრის,
რაც მიწერია, რასაც ვწერ,
კიდევ რაც უნდა ვწერო,
შენი ცრემლები და ჩემი
სისხლია, დედაჩემო!

2009

ედუარდ უგულავას ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია „ქეთევან დედოფალი“. იგი პირველად წაკითხულ იქნა ქრისტიანული პოეზიის მეორე ფესტივალზე რომელიც სამების ტაძარში გაიმართა. ლექსი ფესტივალის გამარჯვებული გახდა, ხოლო ედუარდ უგულავა წმინდა ნინოს ღირსეული მატარებელი. პოეტმა დიდი დედა-დედოფლის სახება, მისი სიწმინდე, სიმტკიცე და შეუვალობა ნაზად მიაწოდა მკითხველს და იგი დააფიქრა წარსულზე. პოეტმა კიდევ ერთხელ უთხრა საზოგადოებას, რომ უკვდავია ქართველი ერი, რომელსაც ჰყავს ასეთი წმინდანი, ქრისტესთვის თავდადებული და ნადედოფლარი:

„... ისმის – „მოჰყავთ“ და
სისხლისფერ ჯალათებს

იბერიის დედოფალი მოჰყავთ.
რწმენა მისი სხვა
სიმტკიცის ფასია,
მზერა მისი სხვა
სიმშვიდის არის...“

ლექსით პოეტმა შეგვახსენა, რომ არ არსებობს დავიწყებული გმირული წარსული, რომ იგი მუდამ ცოცხლობს ხალხის წიაღში:

„ლამის იქცეს ფერფლად.
ფრესკის სადარი,
სექტემბრის მზეს ოფლი
დასდის სიმწრის,
დედოფალი,
სანახევროდ დამდნარი,
ანთებული სანთელივით იწვის“.

ლექსი აღსავსეა პატრიოტული ლირიზმით.

ედუარდ უგულავას ლექსები გვასაზრდოებს რწმენით. იგი ნათელი მომავლისაკენ გვიხმობს, რომ ვემსახუროთ სიკეთეს, სიყვარულსა და სათნოებას.

მინდა პოეტს ვუსურვო, კიდევ უფრო მეტად გაშალოს ფრთები, ამღერდეს და ამზიანდეს. ახალი შედევრებით გაგვახაროს მისი მკითველები. ჩვენ კი, მისი მიწა-წყლის, მისი კუთხის შვილები სიამაყიტ აღვივსებით და ღვთიური მადლით დამშვენებულ პოეზიას კიდევ უფრო გატაცებით დავეწაფებით.

ხონის სახალხო თეატრის მსახიობს ქალბატონ გულიადა სანოძეს ახლახან „ქართული კულტურის ამაგდარის“ წოდება მიენიჭა, ვულოცავთ ამ დიდ და დამსახურებულ ჯილდოს!

ვულოცავთ!

ქ-ნ გულიადა სანოძეს ვულოცავთ საქართველოს მწერალთა კავშირის წოდებას „კულტურის ამაგდარი“, რომელიც ამ დღეებში მიენიჭა მსახიობს, რომელმაც 50 წელი გაატარა სცენაზე. დედას – ორი ჭეშმარიტი მამულიშვილის – პოეტისა და ხატმწერის აღმზრდელს, მეუღლეს, მეგობარს, მრავალი ღირსებით შემკულ ჭეშმარიტ ქართველ ქალბატონს, რომელსაც ამ დღეებში შესანიშნავი საღამო-შეხვედრა მოუწყვეს სამების ტაძარში და, რომელიც მიეძღვნა 17 მაისს – ოჯახის სიწმინდის დღეს.

მართლაც, გულიადა სანოძისა და ჯამლეტ უგულავას ოჯახი გამორჩეულია ყოველმხრივ. ბედნიერია დედა, რომელიც კითხულობს ერთი შვილის ლექსებს, ლოცულობს მეორე შვილის მიერ მოხატულ ტაძარში და ამაყია შვილები, რომელთაც ჰყავს ასეთი სახელოვანი, საამაყო დედა, მშობლები....

გაზეთ „ხონის“ რედაქცია

სცენის დედოფალს, გულიადა სანოძეს

ბუნებამ დაგაჯილდოვა
არა რა დაინანაო,
სცენის ეშხით და ლაზათით
მოგქარგ-შეგამკო მრავლადო.
დგახარ სცენაზე ქალ-ღმერთი,
მომნუსხე სულს ეამაო,
ვეღარ დავმალე ცრემლები
ჩუმჩუმად მომეძალაო.
გავითავისე ხელოვნის,
შემოქმედების ძალაო,
აღმასვლა ზეცად ციალი
ტაძარში დამებადაო.
აქ აბიბინდა ქართველის,
სისხლით მორწყული ყანაო,
მსხვერპლად შეწირეთ დიდება,
ზეცას წვდებოდა თანაო.
ახალგაზრდობის დამოძღვრით,
დარბაზმა შეგიყვარაო,
ცეცხლი დაანთე ისეთი,
ვინ შეგკადრებდა კმარაო...
ბედნიერია ის ერი
ვინაც კელაპტრად აგანთო,
გეღვაწოს მრავალი წელი
სცენის ეშხო და ლაზათო.

ნაზიბროლა გახოკიძე-ჩიხლაძე


თქვენმა სითბომ

(გულიადა სანოძეს და ნაირა უგულავას)

თქვენმა სითბომ, მთელ სხეულში დაიარა,
შემოალღო გული ყინვით გათოშილი...
წლებმა ცრემლში, დარდის ჟამი გაიარა,
თქვენით მზეა, სევდის გულში ამოშლილი...
დაათბუნა, მთელი სულის არეალი,
ნესტიც გაქრა, გაშრა, სველი დღის საწუთრო,
იმედები, სიცოცხლისა უკვე არი...
არ მგონია ქარმა ახლოს იფათუროს.
მეცინება ირონიით მეცინება,
უსაქმურნი მითითებებს, რომ მაძლევენ...
ფულიანებს, სული ისეც ეყინებათ, კეკელკები,
ჩემს სიძულვილს არ მალავენ...
თურმე ქალი, მხოლოდ იმით დაფასდება,
ვისაც სხვისი ჯიბე კალოდ გაუხდია,
თქვენ მყავხართ და... ქარი ვეღარ გაავდება,
თქვენთვის დედას, გულში მადლი ჩაუდია.

გულნაზ ხარაიშვილი

ღირსეული კაცი





ბატონი სიმონ ზაქარაია ცნობილმა პოეტ-აკადემიკოსმა ვაჟა ეგრისელმა გამაცნო, იმ დღიდანვე დავუმეგობრდით. უშრეტი ძალა და ენერგია აქვს ამ ადამიანს, როგორ ახერხებს იგი სხვადასხვა პროფესიების მაღალ დონეზე დაუფლებას, ალბათ ღვთის მიერ მინიჭებული დიდ მადლია.

ბატონი სიმონი პროფესით აგრონომია, სკოლის მედალზე დამთავრების შემდეგ ჯერ სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, შემდგომ კი ლენინგრადის ვავილოვის სახელობის მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურა დამთავრა.

თავისი ძირითადი პროფესით დიდი წარმატებებს მიაღწია, მე კი, როგორც ჟურნალისტი და მწერალი, მეტადრე მისი ლიტერატურულ-პუბლიცისტურ-მეცნიერული შემოქმედებით დავინტერესდი, გავეცანი და აღფრთოვანებული დავრჩი.

გამოცემული აქვს მთელი რიგი სხვადასხვა ჟანრის ღირებული წიგნები, რომლებიც გულდასმით მაქვს წაკითხული, განსაკუთრებით ამაღელვა მისმა დოკუმენტურმა ნაწარმოებმა „დევნილები გოლგოთის გზაზე“, რომელიც აფხაზეთის თემას ეხება. ბატონი სიმონი აფხაზეთის ძმათამკვლელ ომში ორჯერ დაიჭრა, სოხუმის დაცემის შემდეგ სხვა დევნილებთან ერთად ფეხით გაუყვა საკენ-ჭუბერის ჯოჯოხეთურ გზას და იქაური საზარელი ამბავი ქაღალდზე გადმოიტანა. არ შეიძლება არ აგაღელვოს და ცრემლად არ აღიგსო, როცა ამ წიგნს კითხულობ... მე ვისურვებდი, რომ ის სიმართლე, რაც ამ წიგნშია აღწერილი ყველამ წაიკითხოს, განსაკუთრებით მომავალმა თაობამ და გულთან მიიტანონ, გაიგონ ჩვენი ხალხის ტრაგიკული ახლოწარსული... კარგი იქნება, რომ ეს წიგნი დიდი ტირაჟით გავრცელდეს არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც... გადაიღონ დოკუმენტური ფილმი.

ბატონ სიმონის ცხოვრება სამაგალითოა, შეიძლება ითქვას სახელმძღვანელოა, სასწავლოა მომავალი თაობისათვის, რათა იცოდნენ თუ როგორ უნდა ემსახურონ საკუთარ ხალხს, სამშობლოს, როგორ უნდა განვლო ცხოვრება ღირსებით, პატივით, ღვთისა და მოყვასისადმი დიდი სიყვარულითა და ერთგულებით.

დიდი მადლობელი ვარ ბატონო სიმონ, რომ ჩემი უფროსი მეგობარი ბრძანდებით. ამ დღეებში 80 წელი გისრულდებათ, ძველებურად ჯანსაღად და ძლიერად გამოიყურებით, ერთდროულად რამდენიმე საქმეს მაღალ დონეზე აგვარებთ, რომელიც ერთეულთა ხვედრია ღვთისწყალობით. კარგი მეურვისა და შემოქმედის სახელი დამსახურებულად გაქვთ მოპოვებული, ამიტომაც ხართ აკადემიკოსი, მწერალი, ჟურნალისტი, ხობისა და იყალთოს საპატიო მოქალაქე, რაც ასევე ღირსეულთა ხვედრია. სული კი იცოცხლე, მეტად ამაღლებული გაქვთ.

გილოცავთ იუბილეს, გისრვებთ წარმატებებს თქვენ საყვარელ საქმეში, ულევ სიხარულს თქვენს მრავალსულიან ლამაზ ოჯახთან ერთად, ხვავი და ბარაქა ნუ მოგაკლდეთ.

პატივისცემით

ნარო კოლხელი (ნარიმან იაშაღაშვილი)

ნორჩი ათინათელების თვალით დანახული ცნობილი ადამიანები

ანანო ხუჭუა
ქ. სამტრედიის № 11 საჯარო სკოლის V-გ კლასის მოსწავლე



ინტერვიუ ბატონ რეზო მიშველაძესთან

მოგესალმებით ბატონო რეზო, მე გახლავართ, ანანო ხუჭუა, ქ. სამტრედიის 11 საჯარო სკოლის (დირექტორი ლენა ხაჟალია) V-გ კლასის(დამრიგებელი ლალი პირტახია) მოსწავლე და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი.

– ბატონო რეზო, თქვენ ახლახან გამოუშვით 25 ტომი პროზაული ნაწარმოებების, რამდენი წელი მუშაობდით ამ უნიკალური ტომების შექმნაზე?

ალბად მთელი სიცოცხლე, სხვათაშორის მწერლის მუშაობა, რაიმე სტრატეგიულ გეგმას არ ემორჩილება, შეიძლება ერთ წელიწადში დაწერო ძალიან ბევრი და მერე ორი და სამი წელი ვერ შეძლო გადააჭარბო აი იმ ერთი წლის ლიტერატურულ ნამუშევარს. ეს, ანანო, გოლგოთისებური სამუშაოა, გითხრა სიმართლე, მე ახლაც ვმუშაობ, ამ წუთში, რომ მოხვედი შენ, პატარა გოგო, ჩემთან და მე შეკითხვებს მაძლევ, შეიძლება ეს ჩემს რომელიმე ნოველაში გაკრთეს ერთერთ პარაჟად, ასე რომ რაც წერა დავიწყე, და ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ. მე ისეთი ხნიერი ვარ, რომ მეშინია ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ 75 წლის გავხდებოდი, წერა კი დავიწყე არც მეტი, არც ნაკლები 15 წლის ასაკში. ე.ი. ჩემი 60 წლის ნაწვალებ-ნაჯახირები არის ის 25 ტომი, რომელიც დევს ახლა , ჩემი მკითხველის თაროზე. სულ მეშინია, რომ ძალიან ხომ არ შევაწუხე ჩემი საქართველო ამდენი წიგნით.

– 2015 წელს, თბილისში, ექვსი აკადემია გაერთიანდა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩაატარეს თქვენი იუბილე, კმაყოფილი დარჩით თუ გაქვს რაიმე შენიშვნები?

როცა საკუთარ იუბილეს გიტარებენ, ადამიანები შეწუხდებიან, გაირჯებიან,

მე ვიცი, ეს რასთან არის დაკავშირებული, მე თვითონ სხვების უამრავი შემოქმედებითი საღამო და იუბილე ჩამიტარებია ჯერ დარბაზის შოვნა, მერე გამომსვლელების მოძიება, მერე რაც ასევე არანაკლებ მთავარია, დამსწრეთა შეგროვება. მე უდიდეს პატივისცემად მივიღე და სულ მგონია იმ დიდებული ადამიანების ვალს ვერ გადავიხდი. მოგახსენებთ ექვს გაერთიანებულ აკადემიაზე, როგორც თქვენ თქვით, რომლებმაც ამხელა პატივი დამდეს, განსაკუთრებით ორი მთავარი ფიგურა ჩანდა აი, ამ ჩემი იუბილის კალმანზე როგორც ინიციატორი და როგორც

მტავარი მოქმედი გმირი -ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი, ჩემი ძვირფასი მეგობარი, დიდებული პოეტი და საზოგადო მოღვაწე. მის ჟურნალზე როცა გინდათ ცალკე ვილაპარაკოთ, თუ გნებავთ დღესაც და ასეთივე ძალიან ღვაწლმოსილი კაცი საქართველოსთვის ბატონი ნუგზარ ნადარაია, აი ესენი შეებნენ უღელში ჩემს იუბილეს და ძალიან კარგად ჩაატარეს.

– რამდენიმე თვის შემდეგ რუსთაველის თეატრში თქვენ საპატივცემულოდ განმეორებით ჩატარდა თქვენი იუბილე, რომელიც მოიცავდა თქვენს განვლილ ცხოვრებასა და დღევანდელობას. რითი იყო განსხვავებული წინა ღონისძიებისაგან და რას იტყვით ამის შესახებ?

ჯერ განსხვავებული იმით იყო, რომ ვორონცოვის დარბაზში ანუ საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში, ეს პირველი იუბილე, ჩაატარა ექვსმა აკადემიამ, რაც შეეხება რუსთაველის თეატრში ჩატარებულ იუბილეს, რომელიც 10 ივლისს გაიმართა იგი ჩატარდა მწერალთა კავშირის, კულტურის სამინისტროს და თბილისის მერიის ინიციატივით, აი ეს განსხვავება იყო , მეორე განსხვავება კი ის იყო,რომ პირველად უჩვენეს ამ იუბილეზე ერთსაათიანი ფილმი „რევაზ მიშველაძე“. ეს ფილმი გადაიღო ძალიან კარგმა რეჟისორმა კახა კახაბრიშვილმა. სცენარის ავტორი იყო ასევე ჩემი მეგობარი , დიდებული პოეტი ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. რა თქმა უნდა,მე ორივე იუბილით აღფრთოვანებული ვარ .ვისარგებლებ შემთხვევით და ანანო, ახლა, შენ რომ გელაპარაკები, აქედანაც , მადლობას მოვახსენებ ორივე იუბილის ორგანიზატორებს, ღმერთმა გადამახდევინოს მათი პატივისცემა.

– თქვენი ესეები იბეჭდება ჟურნალ „ათინათში“, პასუხობს თუ არა ეს ჟურნალი დღევანდელ მოთხოვნებს?

ეს მართლა არის შესანიშნავი თემა, იმიტომ, რომ ჩვენ ხანდახან პატივს არ მივაგებთ ხოლმე, ლიტერატურის ორგანიზატორებს, აი, ჩვენ უფრო მხატვრულ ნაწარმოებზე ვამახვილებთ ყურადღებას და ახლა, ესეც აღარ არის,იმიტომ, რომ ლიტერატურული კრიტიკა არ არსებობს, მოკვდა. რაც შეეხება „ათინათს“, მე,როცა შეიქმნა იგი და შექმნა ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა, იმ სათავეებთან ვიდექი. ამ ჟურნალის დაბადებას ვუსურვე დიდი შემოქმედებითი გზა.



თვითონ „ათინათის“ სახელის დარქმევაშიც, მივიღე მონაწილეობა ძალიან კარგი სახელია, ისეთი ალტერაციულია ხალხმა აიტაცა და ხშირად იმეორებენ ათინათი, ათინათი...აქაც გულნაზისთან ერთად, პატარა მონაწილეობა მაქვს მიღებული. რაც შეეხება თვითონ ჟურნალს, დრო ჩვენი, ანანო, ძალიან მკაცრი დროა ლიტერატურის მიმართ, შენ შეიძლება არ იცი, მაგრამ გაუგულგრილდა მკითხველი მწერლობას. წიგნები თითქმის აღარ იყიდება ჟურნალების ტირაჟი კატასტროფულად დაეცა და ასევე გაზეთებიც. განსაკუთრებით ლიტერატურული პრესის

და რაც ჩემთვის ძალიან გულსატკენი გახლავთ ის იყო, რომ ახალგაზრდებმა წაიყრუეს ლიტერატურის მიმართ. აი, შენ, მოხვედი ჩემთან და სულ შიშით შეგცქერი თვალებში, ეს აქ მოიყვანა მისმა მამიდამ და ბიძამ, ჩამოუწერეს ეს შეკითხვები ფურცელზე თუ თვითონ აქვთ ჩემირამე წაკითხული მეთქი და მოვალეობას კი არ იხდის , მართლა აინტერესებს რეზო ბიძიასამ ნოველაში რა ვიგულისხმე, ეს როდის დავწერე. წინა ორ შეკითხვაში შენ გამოამჟღავნე, რომ იცი სად მოხვედი , რომ მე ვარ პროზაიკოსი რეზო მიშველაძე და მაქვს 25 ტომი დაწერილი, ბევრმა ესეც არ იცის, თითქოს ძალიან პოპულარული მწერალი ვარ , მაგრამ ქუჩაში რომ გახვიდე და ამ კომპიუტერით გაბრუებულ ახალგაზრდებს ჰკითხო რეზო მიშველაძე ვინ არისო, ზოგმა შეიძლება თვალებში შემოგხედოს და პირდაპირ გითხრას ფეხბურთელიაო ან პოლიტიკოსიაო და ასე შემდეგ. გულნაზი ხარაიშვილმა იპოვა გზა მწერალთა და მკითხველთა გაერთიანებისა. თუ მკითხველმა არ გადაშალა ჟურნალი შენ წერე და იკითხე რამდენიც გინდა მარტო მწერალმა. ბავშვმა ისიც უნდა ნახოს, ნეტავი მე ხომ არ ვარ შიგა, ნეტა, მე რომ პატარა დღიური გავგზავნე რედაქციაში, დაბეჭდა გულნაზი დეიდამ? მე, ხშირად მიწევს ყოფნა, ხან სკოლებში, ხან რაიონებში ვარ,ხოლმე სტუმარი. შევალ სკოლაში ,მაგიდაზე ჟურნალი „ათინათი“ დევს, შევალ რომელიმე საკრებულოში მაგიდაზე ისევ „ათინათია“, ამასწინათ ვიყავი ხაშურში იქ, ვაჟა შუბითიძეა საკრებულოს თავმჯდომარე და დავინახე მის მაგიდაზე „ათინათი“ იდო, გამეხარდა, მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ ანანო, გულნაზ ხარაიშვილმა დიდი საქმე გააკეთა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მან რეფორმა მოახდინა ქართული ლიტერატურის პერიოდიკაში. შექმნა ჟურნალი ყველა თაობის წასაკითხი, როცა ცოცხალია ჟურნალი და ცოცხალ პროცესს ასახავს, სრულიად ბუნებრივია სხვადასხვა დამოკიდებულება ლიტერატურისადმი, მაგრამ მე ყველაფერი მომწონს, რაც „ათინათში“ იბეჭდება, მივესალმები და ყველანაირად ვეცდები, რომ სული ვუბერო ამ კარგ ჟურნალს. მადლობელი ვარ, ჩემი ძვირფასი მეგობრის ქალბატონი გულნაზის.

– 2015წელს 25 ტომის შემდეგ, თქვენ გამოუშვით ახალი წიგნი: „აწ და მარადის“. თქვენს წინა სიტყვაში ასე წერთ: „მაპატიოს მკითხველმა, რომ ჯერჯერობით მე, 75 წლის კაცი, ვერც იმის პირობას ვიძლევი მეტს აღარ ვიზავ მეთქი“, ანუ კიდევ გაქვთ წიგნი გამოსაცემი?

იცინის, შენ წარმოიდგინე ჯერჯერობით არ დავჩაჩანაკებულვარ, დაჩაჩანაკებას ვეძახი მე მეხსიერება რომ გაგიფუჭდება, რომ შთაგონება აღარ გწყალობს და ნელ-ნელა ესეც კარგი თვისებაა. ზოგიერთ მოხუცს ესეც არ გააჩნია წერის ???იშტაზე მოდის ღრმა სიბერეში, გავსებული მაქვს უჯრები 75 წელს გადაცილებული და 80 წელს მიტანებული „ახალგაზრდა“ პოეტების და პროზაიკოსების ნაწარმოებებით. შე კაი კაცო, 30 წელი ვერ წერდი ვერაფერს და რა შეატყვე შენს თავს, რომ მაინცდამაინც 80 წლისა დაწერ ლექსს. მინდა გითხრა სიმართლე, საწერი მაქვს უამრავი, ჩემი უბის წიგნაკი სავსეა სიუჟეტებით, ჩვენი ცხოვრება ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაძლევს თემას, სიუჟეტს, საბაბს, რომ გაცდენად არ ვთვლი შენს მოსვლას ჩემო ანანო, პირიქით, ძალიან მიხარია, რომ გაგიცანი ასეთი პატარა და ლამაზი გოგო, თორე ისე, ყოველთვის ვერიდები ტელეფონზე პასუხს, ყოველთვის ვერიდები არასაჭირო შეხვედრებზე წასვლას, გინდა ჩემი იყოს, გინდა სხვისი, დელიკატურ უარს ვეუბნები. ახლა, რატომღაც არ ვიცი, ენაცვალოს ჩემი თავი სუყველას, მაგრამ გამოსცემს პატარა წიგნს და პრეზენტაციის გამართვა უნდა, არც მეტი არც ნაკლები ოპერის თეატრში, გაუთავებელი ზარი, ბატონო რეზო, ხომ მოხვალთ, ბატონო რეზო ხომ მოხვალთო. მე ვინ ოხერი ვარ, რომ არ მივიდე მაგრამ, გულში კი სადღაც მეთანაბ-

რება, ჯერ დაამტკიცე შე კაი ადამიანო, რომ მწერალი ხარ, ჯერ მკითხველმა გაგიცნოს, პირდაპირ პრეზენტაციებით და შეხვედრებით ნუვიწყებთ მეთქი. ეს, ისე ჩინოვნიკმა, მწერლების თავკაცმა გაჟონა ჩემს პასუხში, ვზივარ, ვწერ ნოველებს და ვერც კი გავიგე იმ 25 ტომის შემდეგ ეს პირველი წიგნია, გაჩუქებ ამას მერე შენ, არც ერთი ეს ნოველა არ არის შეტანილი ჩემს 25 ტომში. ახლაც, რამდენიმე ნოველა დაუმთავრებელი მაგიდაზე მიდევს. ერთი დავამთავრე და გამოვაქვეყნებ იმ ნოველას ჰქვია „ბოლო ღამე.“ დიდხანს მაწვალებდა ეს სიუჟეტი და დავწერე. აი ახლა, საქართველოს ბედი მაწუხებს ძალიან და გაკრთება ჩემს ნოველებში ეს დვრიტა ქვეყნის გასაჭირის აღწერისას. თემა არ მაქვსო, ხანდახან რომ შემომჩივლებს ახალგაზრდა მწერალი, მეცინება ხოლმე... გადი სახლიდან და ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდები თემას, თემა არ არის ლიტერატურისთვის, დაანგრია ვერემ ყველაფრი, სანამ გონზე მოვიდოდა დაბნეული ხელისუფლება, „აბა რითი ვუშველოთ, აბა წყალწაღებული სახლი, კარი, ყველაფერიო...“ გამოვიდა 40 000 ახალგაზრდა, ჩემი სტუდენტები, თქვენი ამხანაგები, ზოგი სკოლის მოსწავლეები დადგნენ ხელები, მაჯები წყალში,ჭუჭყში ჰქონდათ ამოსვრილი.. დილიდან- საღამომდე უჭმელები მუშაობდნენ.. ეს გმირობაა.. იმ ერთ ბავშვზე რომ დაწერო, რომელიც მივიდა იქ და თავის გარდაცვლილ ამხანაგს დაეძებდა, ან რომ დაწერო იმაზე, რომ ზოოპარკიდან გაქცეული დათვი, რომლის ბელებიც წყალმა წაიღო და თვითონაც წყალმა წაიღო, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩა და დანგრეულ კედელზე ჩაჭიდებული დგას და ჩასცქერის ამ სტიქიას, მოდის წყალი, რომელიც მოანგრევს ყველაფერს.. დათვი ჩასცქერის, ამ დროს გაისმა სროლის ხმა, ესროლეს.. მე არ ვიცი ვინ იყო ლიკვიდატორი, პოლიციელი თუ ზოოპარკის თანამშრომელი.. რა იყო შე კაი კაცო, რა საჩქარო იყო მისი მოკვლა?! მე ისე შემეცოდა ის დათვი, რომელიც ჩასცქეროდა წყალს, გული შემეკუმშა, როცა დააგდო ტყვიამ ძირს, ადამიანური პოზიციიდან გეუბნები, ანანო, განა მხეცი მხეცი არ არის?! მაგრამ იქნებ თქმა იმისა, რომ უკანასკნელი ღონე ვიხმაროთ, რომ ის დათვი როგორმე თავის ვოილერში შევაბრუნოთ და ნუ ვიჩქარებთ მის მოკვლას, ეს ქადაგება საჭიროა ჩვენი გაციებული საზოგადოებისთვის.. ჩვენ გულგრლები გავხდით ერთმანეთის მიმართ, მე ხანდახან გაოცებული ვარ ისე გულგრილად ჩაუვლიან მათხოვარს, რომელსაც ცალი ხელი არ აქვს, ცალი ფეხი არ აქვს.. ქუდი უდევს წინ და მოწყალებას თხოულობს, ზოგი ისე უხეშად მიმართავს: „- აღარ გამოილიეთ, ხომ მოგეცით გუშინ?!“ და ყვირილს უწყებს მათხოვარს.. ღმერთმა უფრო შემბრალე გახადოს საზოგადოება. მე სანამ პირში სული მიდგას სულ ვიქადაგებ ადამიანთა სიყვარულს, სათნოებას, შველას გაჭირვებულთა მიმართ, ესაა ბაბუ მწერლის საქმე. შენ წერ რამეს?

– მე უფრო სკოლაში, თავისუფალ თემებს ვწერ, ასევე მიყვარს ჩანახატების წერაც.

ქართულში ვისი ნაწარმოებები ისწავლე? მარკ ტვენის ტომ სოიერი

ქართველის?

იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებები, აკაკი წერეთელი..

დიდებულია მარკ ტვენი, მაგრამ შენ ქართველი მწერალი უნდა შეაყვარო ბავშვს და მაინც, მაინც ტომ სოიერის შეყვარებით იწყებ? კი ეს გაურიე უფრო მაღალ კლასში ფრთხილად, მაგრამ, ჯერ ბავშვის აზროვნება დაამკვიდრე თანამედროვე ქართულ მწერლობაზე, ჩვენ დიდებული ქართული მწერლობა გვაქვს, რატომღაც ჰგონიათ, რომ უფრო ნაკლებად იმოქმედებს კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის და თუ გნებავთ ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედება მოზარდის ფსიქიკაზე ვიდრე ტომ სოიერის თავგადასავალი.

– ბატონო რეზო, როგორც გავიგე თქვენი ყველაზე ახლო მეგობარი ბატონი სოსო სიგუა არის, რას იტყვით მის შესახებ?

მე ცხოვრებაში ბევრი მეგობარი მყავდა, ისე ბევრი არა, რომ ხელის თითებზე ვერ დაეტიოს არ ვარ ის კაცი, რომელიც ცხოვრებაში მეგობრებს შეიძენს, კარგავს და მეგობრების ძებნაშია, მე მეგობრებს არასოდეს არ ვეძებ, იმიტომ, რომ მეგობრობა ძალიან სათუთი რამ არის, შეიძლება უცებ მეგობარმა გული გატკინოს და მერე მთელი ცხოვრების მანძილზე სანანებელი გაგიხდეს. ადამიანს რომელსაც შენი მეგობრობა ანდე მთელი ცხოვრების მანძილზე დიდი ტვირთი აქვს და შენც მის მიმართ განსაკუთრებული ერთგულება, განსაკუთრებული სიფაქიზე, განსაკუთრებული თუ გნებავთ მომთხოვნელობა გაკავშირებს. აი ვინ იყვნენ ჩემი მეგობრები: შოთა ნიშნიანიძე, ლევან სანიკიძე, ზაურ ბოლქვაძე, გურამ ფანჯიკიძე, მორის ფოცხიშვილი, რეზო ჩხეიძე, სოსო ბუხაიძე და გივი გამსახურდია. ახლა, ესენი ყველა, ვინც ჩამოვთვალე წავიდნენ ცხოვებიდან და მე 75 წლის კაცი თითქოს წყალდიდობის მერე მესერზე შერჩენილი დავრჩი. ჩემს მეგობრად ცოცხალთა შორის ეს არის სოსო სიგუა, მაყვალა გონაშვილი, მურმან თავდიშვილი, თეიმურაზ ლანჩავა, ავთანდილ ნიკოლაიშვილი, ნუგზარ ნადარაია, ოთარ ჭუმბურიძე, მურმან ჯგუბურია, გულნაზ ხარაიშვილი, იგორ კვესელავა ნომადი ბართაია. აი, ესენია დღეს ჩემი მეგობრები. მე არ მინდა წრე გავზარდო მეგობრების თორემ სხვების დასახელებაც შეიძლება. მეგობარი ის არის ვისაც შენს სიცოცხლეს ანდობ, სულს ანდობ, მისგან ყოველთვის ჰქრის თანადგომის, სიყვარულის და ერთგულების ნიავი, რომელმაც იცის შენი ფასი და შენ იცი მისი ფასი. ერთ-ერთი გამორჩეული მათ შორის ჩემი სოსოა. მეგობრის მიმართ მადლობას არ ამბობენ ხოლმე, მეოგბრობა ვალდებულებაა, მაგრამ მე აღფრთოვენებული ვარ იმ წერილებით, რაც სოსოს დაუწერია ჩემზე.

– თქვენ დიდი მწერალი ხართ, ამავე დროს ძალიან კეთილი, ხომ ვერ გაიხსენებთ თქვენგან გაკეთებულ რაიმე სიკეთეს?

ჩემგან გაკეთებული სიკეთეების ჩამოთვლა მეტიჩრობად არ ჩამეთვალოს, კაცი იმისათვის არის გაჩენილი ამ ქვეყანაზე, რომ თუ საშუალება გაქვს სიკეთე უნდა აკეთო, სულ სანანებლად დაგრჩებათ ცხოვრებაში, იცოდე, ანანო, შენ დიდი ცხოვრება გელის, რატომ არ გაუწოდე ხელი ამ კაცს როცა უჭირდა, რატომ ვერ გამოვიჩინე ის ყურადღება რასაც ის ჩემგან ითხოვდა. შოთა ნიშნიანიძეს ერთი ლექსი აქვს დაწერილი სულ პატარა უყურადღებობაზე. ერთი ლოთი ძმაკაცი მოვიდა ჩემთანო, ჭუჭრუტანაში გავიხედეო და შამპანიურის ბოთლი უჭირავს ხელში, არადა ვზივარ ვმუშაობო და თამრიკოს, ჩემ ცოლს ვუთხარი, უთხარი რომ არ ვარ სახლშიო, გააღო თამრიკომ კარი და არ არის შოთაო, მიუგო სტუმარს, კარგი გადაეცით ვენაცვალე ჩემს შოთას მე იგი ძალიან მიყვარს, მინდოდა მასთან ახლა ერთი ჭიქა ღვინო დამელიაო, ჩემი საფიცარი შოთა, ჩემი საყვარელი შოთაო, ასეთი ბუტბუტით ჩაიარა კიბე. ამის მერე ხუთი წელი გავიდა შოთა წერს ლექსში და დღესაც მახსოვსო.. შენთან მოსული ერთგულება ბოთლით ხელში შენ უკან როგორ გააბრუნე რაღაც ერთი ჭირიანი ლექსის გულისთვის, როგორ არ გაუღე კარი. ამიტომ მე იქიდან დავიწყებ, რომ ჩემთვის არ არსებობს ტელეფონის არ აღება, ტელეფონზე არ პასუხი, ადამიანი მწერალთა კავშირში მოდის და დღეს ვერ მიგიღებ, ხვალ მოდის თქმა, ღმერთმა დამიფაროს კაცი რიგში როგორ ჩავაყენო, მე ვინ ოხერი ვარ კაცო, მოდი თუ რამე შემიძლია როგორ დაგზარდები, სადაც გინდა იქ დაგირეკავ, რა მიმართვასაც გინდა, რა ქაღალდზეც გინდა, რაც ჩემს უფლებებში შედის როგორც მწერალთა კავშირის თავმჯდომარისა. ძალიან დიდი ტვირ-

თია ცხოვრება ანანო და ძალიან მძიმე ტვირთია, ზოგს უმართლებს, ზოგს არა. რამდენი ნიჭიერი ადამიანი ვიცი მთელი ცხოვრების მანძილზე ჩრდილში მირჩენილი რომ არის და რამდენი ნარკომანი ვიცი თავს რომ წინ წევს ყელყელაობს და იძახის მე, მე და თავის ნაწერებს გააგზავნის, ქვემოთ რომ მიაწერს ამისა და ამის ლაურეატი, ამისა და ამის.... რად უნდა ლექსს ტიტული რაში სჭირდება, თუ კარგი ლექსია ისედაც წავიკითხავ და ტიტულს მერე მე თვითონ ვიტყვი შენსას. რა ტიტული ჰქონდა ტერენტი გრანელს ახლა რომ ვაღმერთებთ?! ღმერთმა არც იმის ნიჭი მისცა, რომ თავისი თავი ვინმეზე წინ დაეყენებინა, ეძებნა რაღაც შეხვედრები, აუდიტორიები, აბა პრეზენტაციები და აბა პრემიები. ტერენტი გრანელმა თავისი მძიმე წუთისოფელი გალია ისე, რომ მთელი დაფასება, დღეს, რომ ჟურნალისტები უკუგებას ეძახით არ მიუღია, აბა ახლა ნახე, ერთადერთი ლექსი თუ აქვს ახალგაზრდა მკითხველს თავის უბის წიგნაკში ამოწერილი, ტერენტი გრანელისაა, აი ასე იზრდება დღითიდღე მისი პოპულარობა. ისე, როგორ გითხრათ, კი წერენ სხვები ჩემ სიკეთეებზე, ხანდახან რომ წავიკითხავ კითხვა მებადება მართლა მე გავაკეთე? მართლა მე წავყევი ვაჟა აბაკელია მის დასაცავად სახელმწიფო კანცელერიაში, მაშინ როდესაც მკვდარი ჩემი შვილი მესვენა და პანაშვიდზე ვიდექი მეთქი? მე მივუყვანე შალვა მინაშვილს სოფელში მცხოვრებ უღარიბეს მწერალს, რომელსაც ლუკმა-პურიც რომ არ გააჩნდა, მოულოდნელად ხბო, უშობელი, რომელიც სამ თვეში დამაკდა და ოჯახი შიმშილით სიკვდილისაგან გადაარჩინა და ასეთი ბევრი რამ.. „მადლი ჰქენი ქვაზე დადე გამოივლი წინ დაგხვდება.“იმას ვერ გეტყვი ცხოვრებაში ძალიან ბევრი გაკეთებული ჩემი მადლი წინ დამხვდა მეთქი, უფრო ხშირად პირიქით არის, დათა თუთაშხია ბრწყინვალედ ამბობს ამაზე, ვისაც ჩავაცვი იმან გამხადაო, მაგრამ არ უნდა ეძებდე შენ, თუ კაცი კაცად ვარგიხარ მე შენ ამხელა პატივი გეცი კაცს არასოდეს არ უნდა უთხრა, თუ ვერ გაიგო მან შენი კეთილი გული, ღმერთმა ხელი მოუმართოს, წუთისოფელი გაასამართლებს.

– რამდენი დედმამიშვილი ხართ?

ოთხი

– რას იტყვით მათ შესახებ?

უფროსი არის ჩემი და ნათელა მათემატიკოსია, დღეს შვილიშვილები და შვილთაშილები ჰყავს, მეორე მე ვარ, რეზო მიშველაძე, რომელსაც ახლა 10 თვის წინ შემეძინა შვილთაშვილი, მასაც რეზიკო დაარქვეს. ჩემი მომდევნო არის მხატვარი გოგი მიშველაძე, და ასევე შვილიშვილი ჰყავს, მეოთხე არის ბორისი ფიზიკოსია, მას ჰყავს აგრეთვე შვილიშვილები და შვილთაშვილებიც. ჯერ-ჯერობით არც ერთი არ ჩამოგვაგდო წუთისოფელმა და ბედნიერი ვარ ,რომ დედაჩემმა და მამაჩემმა გაგვზარდეს და ცხოვრებაში ხომ ყველაფერი გვასწავლეს ფულის შოვნის გარდა. ოთხივენი ვართ ღარიბები და ხედავთ ჩემს სახლს, არც არასოდეს გვიწუწუნია, რაც მოვიპოვეთ ჩვენი შრომით, აი ეს არის. დედა მყავდა საჩხერიდან, მერჯევიდან, გვარად გველესიანი. მამა იმერელი აზნაური იყო, ჩვენ ძველი აზნაურები ვართ, მერე ბაბუას ბაბუამ დაამთავრა ხონის სასულიერო სასწავლებელი, მარტვილში გაამწესეს მღვდლად ბაბუაჩემის ბაბუა ალექსი მიშველაძე, ბაბუაჩემი მასწავლებელი იყო. მარტვილშივე დაიბადა მამაჩემიც, ჩვენი სოფელი თარგამეულია, ე.ი. თარგამოსეული, პირველი ქართული სოფელი სამეგრელოში, მარტვილთან ახლოს. იქ სულ იმერლები ვცხოვრობთ, ხონისგან ძალიან შორს არ არის, სიხარულიძეები, ნაროუშვილები, მიშველაძეები, აი ეს სოფელი, რამდენიმე გვარტომით მეგრელი ცხოვრობს. მე

შვიდ წლამდე სამეგრელოში, თარგამეულში ვიზრდებოდი და მერე ქუთაისში გადმომიყვანეს, ოჯახი გადმოვედით ქუთაისში და ქუთაისშივე დავამთავრე სკოლა.

– თქვენთან უამრავი სტუდენტი სწავლობდა გასულ წლებში და დღესაც, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულს ხომ არავის გაიხსენებთ?

ეგ შეკითხვა, დაიმახსოვრე, არასოდეს არ უნდა მისცე მასწავლებელს, მე მასწავლებელი ვარ ლექციებს ვკითხულობ, მე რომ ჩემი სტუდენტები ერთმანეთისგან გავარჩიო ამით დიდ ცოდვას ჩავიდენ, ამიტომ თუ მასწავლებელი ტაქტიანია, არასოდეს არ გამოარჩევს თავის მოსწავლეებს, არავინ არ იცის ბავშვები ვინ ვისზე უფრო ნიჭიერია, თუ მას შეუძლია ეს გაკვეთილი კარგად დაიზეპიროს , კარგად მოყვეს და ფრიადი მიიღოს, ეს იმას არ ნიშნავს ,რომ იგი ნიჭიერია იმ მეორე ბავშვზე, რომელსაც შეიძლება საშემოდგომო გამოყვა, ჩვენ არ ვიცით , არსებობს შეყოვნებული გამოხატვა ნიჭისა, არის ზეპირად დამახსოვრების უნარი, ახლა მე გეტყვით, მუხრან მაჭავარიანს, რომელსაც შედგენილი აქვს ქართული ენის ლექსიკონი , ე.ი. რამხელა საქმე აქვს ქართულ გრამატიკაში გაკეთებული, პროფესორმა იოანე ქავთარაძემ ორი დაუწერა გრამატიკაში და რეზო ინანიშვილი ასავე ბრწყინვალე პროზაიკოსი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით უნივერსიტეტიდან გარიცხეს მეორე კურსიდან, ქართულში მიღებული ორიანის გამო, აბა მითხარი, ახლა ან ერთი ან მეორე , იქ ჯგუფში ვინც დარჩა, იმათზე ნაკლებები რით იყვნენ, თუ ათასჯერ უკეთესი არა?! ამიტომ მე დიდ სიფრთხილეს ვიჩენ ათასი კუთხიდან ვზომავ, შეიძლება ეს არ იცის კარგად, მაგალითად, როდის დაიბადა ეგნატე ნინოშვილი, მაგრამ შეიძლება თვითონ წერს მშვენიერ მოთხრობებს და ლექსებს ან შეიძლება აგერ, სხვა საქმეში ისეთი ნიჭი გამოამჟღავნა. ჩვენ გამოცდაზე მასწავლებლებს არ გვაქვს იმის ძალა, რომ ზუსტად გავიგოთ ბავშვის ცოდნა, შენ არ გეგონოს ,რომ შენმა მასწავლებელმა ზუსტად იცის შენი ცოდნა, მან შენ ერთი გაკვეთილი გამოგკითხა, გკითხა ეს, ეს, მაგრამ არ უკითხავს ეს, რომელიც შეიძლება არ იცოდი, ამიტომ ნუ ვიქნებით, ჩემო ძვირფასო კოლეგებო, მასწავლებლებს მივმართავ, აჩქარებულები ბავშვის შეფასების დროს.

– რას აფასებთ მოზარდში?

მოზარდი სხვადასხვა ასაკის კატეგორიაა, მოზარდია ძალიანი პატარაც, სკოლაში რომ შევა მეოთხე კლასამდე, რომელიც პატარა ბავშვია და მას ბავშვთან ერთიერთობის საზომებით უნდა მიუდგე, მერე უკვე უფროს კლასებში რომ გადადის იქ უკვე სხვა მოთხოვნები და სხვა თვისებებია. საერთოდ მე სტუდენტში (სკოლას ისე კარგად არ ვიცნობ და გამიჭირდება თქმა)ვაფასებ უპირველეს ყოვლისა გულისხმიერებას, ზრდილობას. აი, ექსკურსიაზე რომ წაიყვან სტუდენტს და ეხუმრები რაღაცას სუფრაზე ზიხარ და მერე დღეს უნივერსიტეტის დერეფანში თუ შეგხვდა და მხარზე ხელი გადაგდო, უი, ეს ჩემი ძმაკაცი ყოფილაო, ეს მიმაჩნია უზრდელობად, უტაქტობად. ჩვენ სტუდენტები რომ ვიყავით, მოწიწებით შევცქეროდით ლექტორს, როგორ გავუთამამდებოდით, რომელიც სუფრაზე დაგვიჯდა და გიტარაც დაუკრა, ექსკურსიაზეც წაგვიყვანა, მაგრამ იქ მთავრდებოდა ჩვენი სიახლოვე ლექტორთან, მერე იწყებოდა უნივერსიტეტი და იწყებოდა აუდიტორია.ვაფასებ სამშობლოს სიყვარულის გრძნობას, ეს ცოტა მისუსტდა ამ ბოლო დროს, მე ერთ ამბავს გეტყვი, სულ ახალი ამბავია, რუსებმა 1,5 კმ-ით გორთან საზღვარი გადმოწიეს, მცოცავი ანექსია ჰქვია, მცოცავი ოკუპაცია, გადმოწევენ, გაავლებენ ეკლიან ღობეს, მავთულხლართებს, კიდევ გადმოწევენ, კიდევ გაავლებენ და ასე ნელ-ნელა იპყრობენ საქართველოს.. მე გამიკვირდა ახლა მსოფლიომ რომ არ ატეხა განგაში ამაზე..

კაი, ვთქვათ საქართველო მსოფლიოს არ აინტერესებს, მაგრამ შე კაცო, შენი ნავთობსადენი რომ მოექცა რუსის ღობეში როგორ არ ატეხე ხმაური შენ რომ ამერიკა ხარ?! რომ ამბობ საქართველოს მეგობარი ვარო. მე ღამე არ მეძინა, შუაღამეზე ვურეკავდი ჩემს მეგობრებს, 2-ჯერ დავლიე დამამშვიდებელი, ვიფიქრე გული არ გამიჩერდეს-მეთქი.. ეს ხომ საშინელებაა, გართმევენ ტერიტორიას და შენ უძლური ხარ შეებრძოლო რუსების ტანკებს. მეორე დღეს ჩავრთე ტელევიზორი და ვნახე, რომ ვაკის პარკი სავსეა ახალგაზრდებით და ჩემს ცოლს ვეუბნები: უი, გაიღვიძეს ახალგაზრდებმა, ნახე რამხელა საპროტესტიო აქციაა რუსეთის წინააღმდეგ, ოკუპაციის წინააღმდეგ ვაკის პარკში-მეთქი.დავაკვირდი ტელევიზორს, გამოდის ახალგაზრდა ბიჭი და ამბობს: „ბილეთი.. სამი დღეა აქ ვათენებ და ბილეთი არ მომცეს, როდის გაიყიდება?!! „ რა ბილეთი, რა ბილეთი შე ტუტუცო, საქართველოს იპყრობენ ნაბიჯ-ნაბიჯ, სადაცაა გულნაზის ულამაზეს სოფელსაც წაიღებს რუსი და შენ ფეხბურთის ბილეთისთვის ვაკის პარკში წევხარ?! ე.ი. შენ გამორიცხული ხარ ყველაფრისგან, მშობლიური გრძნობისგან, სამშობლოს ტკივილისგან, რომ შენს მიწა-წყალს, რომელიც შენ უნდა დაიცვა მტკაველ-მტკაველ გართმევენ, მთავარი პრობლემა თურმე შენთვის ფეხბურთის ბილეთის საკითხი ყოფილა. ანანო, ახლა შენ რომ ამას გელაპარაკები, თითები მიცივდება.. ძალიან გული დამწყდა ამაზე. ე.ი. გადაგვარდა ახალგაზრდობა, გადაგვარდა...

– ბატონო რეზო, თქვენ მწერალი ხართ, თუ დაგიწერიათ ლექსი?

კი, როგორ არა. აი, ჩემს ფილმში რომ იყო გადაღებული ჩემი ერთადერთი ლექსი, რომელიც სახელმძღვანელოებში შეიტანეს, საბავშვო ანთოლოგიებშიც იყო შეტანილი და კიდევ ბევრგან.. ეს ერთადერთი ლექსი მაქვს დაწერილი, როცა მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი. საბავშვო ლექსი დაწერეო იოსებ ნონეშვილმა, მაშინ ის ჟურნალ „დილას“ რედაქტორი იყო, მე ლექსს არ ვწერ ბატონო იოსებ-მეთქი ვუთხარი, სცადე, სცადეო მითხრა და დავწერე. აი, ასეთია ეს ლექსი:

„ჩემი ბატის ჭუჭული სასეირნოდ გავუშვი,
გაისწორა ბუმბული, გადაეშვა აუზში,
გაცურა და გავიდა, განა ბევრი იწვალა?
მხოლოდ ერთი დღის არის, ცურვა როდის ისწავლა? „

– რამდენი წლის არის თქვენი შვილიშვილი უმცროსი რეზო მიშველაძე?

ჩემი პატარა რეზიკო 1 წლის არის ახლა, აქ არ არის თორემ გაგაცნობდი

– თქვენ იუბილეზე ვნახე

კი ჩემს იუბილეზე სცენაზე გამოვიყვანე და რომ მეგონა ბავშვი ტირილით დააქცევს მეთქი ყველაფერს, როგორ იყო განაბული, გაჩერებული გავოცდი. თვითონ მიკროფონსაც ლუღლუღით ხელი წაავლო,

თქვენი შვილი, აჩიკო მიშველაძე, შეეწირა ტერიტორიულ მთლიანობას, თქვენში თუ არის ის რწმენა, რომ შვილს შეხვდებით ცათა სასუფეველში?

მე მორწმუნე ვარ ჩემო სიცოცხლე, ვფიქრობ, რომ იმ ქვეყნად შევხვდები ჩემს შვილს, მაგრამ ჩემი ამ ქვეყნად არსებობით მე იმ ქვეყნად აჩიკოსთან შეხვედრის მორალური უფლება უნდა მოვიპოვო. მე ამ ქვეყნად ჩემი ბრძოლით, ჩემი ნაწერებით არ უნდა დავტოვო ხინჯი ვინმეს თვალში, რომ პირნათლად წარვსდგე იქ, ჩემი სამშობლოსათვის შეწირული შვილის წინაშე.

– რას იტყვით ბეჟან ხარაიშვილზე, რომლის სახელიც მიენიჭა 30 წლის გარდაცვალების შემდეგ საჩხერის რაიონის ჭალვანის საჯარო სკოლას?

ბეჟან ხარაიშვილი უნიჭიერესი ბიჭი იყო, ის უნივერსიტეტში მაშინ სწავლობდა, როცა მე ახალი ფეხადგმული დოცენტი ვიყავი. საღამოს დასწრებულზე სწავლობდა და მხოლოდ ერთი სემესტრი ვუკითხავდი. გამორჩეული ბიჭი იყო, თან მე უფროსი ვიყავი, მაგრამ მეც მაშინ ახალგაზედა ლექტორად ვითვლებოდი და იყო საოცრად მოკრძალებული, იმდენად მოკრძალებული, რომ გამომყვა ერთხელ ლექციიდან და ბატონო რეზო, ახალგაზრდა მწერალთა წრეს თქვენ ხელმძღანელობთ და შეიძლება ჩავეწეროო მომმართა, წერ რამეს მეთქი მე ვუთხარი, ლექსებს ვწერო ხანდახან. მე ვუთხარი ჩაეწერემეთქი, წინასწარ ხომ არ არის რაიმე შემოწმება საჭიროო, ეს ჩემი ლექსები ღირსი იქნება თუ არა იმისა, რომ მე ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრი ვიყოო, იმიტომ, რომ მაშინ ახალგაზრდა მწერალთა წრეს დიდი სახელი ჰქონდა. თითქმის ყველა მწერალი ამ წრიდან არის წამოსული. მე ვუთხარი რა შემოწმება უნდა ჩემო ბეჟან, რაკი ლექსებს წერ ე.ი. შენ ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრი უნდა იყოთქო, ჩათვალე შენ, რომ ამ საათიდან, მე სიაში გწერ, რომ ავალ ჩემს კაბინეტში, დანარჩენს ცხოვრება გვიჩვენებს მეთქი. ოსტატობა უცებ არ მიიღწევა, ნელ-ნელა დიდი შრომით და რუდუნებით მოდის. ყველა ის პოეტი, რომელსაც შენ იცნობ და გიყვარს დიდი შრომისა და დიდი შთაგონების შედეგად გახდა დიდი პოეტი. სამწუხაროდ მე არ ვიცოდი, მას არ მოუტაია რვეული ჩემთვის, თუ ასეთი საინტერესო პოეტი იყო. მას კიდევ ერთი თვე ვუკითხავდი და ჩათვლა რათქმაუნდა დავუწერე. ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა მხოლოდ იმით, რომ სისტემატიურად ვერ ესწრებოდა სხდომებს და ვეუბნებოდი შენი ლექსები როდის განვიხილოთმეთქი. შემოქმედება რათქმაუნდა ბევრი არ დარჩა, მაგრამ რაც დარჩა აუცილებლად დაიდება მაღალ ლიტერატურულ თაროზე ქართული პოეზიისა.

– თქვენი მეუღლე ქალბატონი ნათელა რა პროფესიის ბრძადება?

ჩემი მეუღლე ბიოლოგია, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ხარისხი, დაცვა, შრომებიც აქვს გამოქვეყნებული. ძალიან გავაწვალე მე იგი ჩემი ცხოვრებით, რადგან ყველაფერი მომიძღვნა მე მთელი თავისი სიცოცხლისა.

შეიძლება ითქვას, რომ პირადი ცხოვრება, მისი მეცნიერული კარიერა . კარგა ხანს სკოლაში მუშაობდა ისე,რომ მისი მოსწავლეები დღესაც მოდიან მასთან სტუმრად, მაგრამ იმდენად მოკრძალებული ქალია, ყველაფერ ამაზე თითქმის უარი თქვა. სკოლასაც ადრე დაანება თავი. მე არ ვიცი ვარ თუ არა იმის ღირსი,რომ ჩემმა მეუღლემ ამხელა ყურადღება გამოიჩინა ჩემდამი. შეიძლება ითქვას, ჩემი პირადი მდივანიც არის. ჩემს დაწერილ ნოველებს პირველად ის კითხულობს. კაცი ცოლს არ უნდა აქებდეს, მაგრამ მაღალი ლიტერატურული გემოვნების ქალია. ერთად გამოვცადეთ უბედურება, რომელმაც გაანახევრა ჩვენი სიცოცხლე. აჩიკოს წასვლამ და ახლა რეზიკოს მოსვლამ ცოტა გამოგვახედა თვალში,თუ არა ყოველთვის იყო ეს ჩემი სახლი მეგობრების თავშეყრის ადგილი. მე თვითონ მუსიკალური კაცი ვარ, ხუმრობა მიყვარს,თამადობა მიყვარს, სიმღერა მიყვარს. ვუკრავ ფანდურზე, გიტარაზე, როიალზე და სულ იყო აი აქ შეხვედრები. აჩიკოს წასვლის შემდეგ, სიწყნარემ და მინორმა, სევდამ დაისადგურა ამ ოთახში. რა ვიცი მე ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ და რა ვიცი იქნებ ისევ შეტრიალდეს.

– წელს თქვენს იუბილეს დაემთხვა ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის 65 წლის იუბილე, რას ხედავთ ამ ქალბატონში არის თუ არა იგი ეროვნული?

ძალიან ეროვნული და პატრიოტია, მე ვილაპარაკე მის ჟურნალზე, საერთოდ ძალიან იშვიათად ხდება, რომ მე მივდიოდე და პირველ სიტყვას ვამბობდე ვინმე ჩემი მწერალთა კავშირის წევრის იუბილეზე, იმიტომ, რომ ხანდახან ვფიქრობ საზოგადოებას ჩემი აზრი თავზე არ მოვახვიო. სიამოვნებით მივედი გულნაზის იუბილეზე, მოვეფერე როგორც შემეძლო, იმიტომ ,რომ ჭეშმარიტად ეროვნული პოეტია, დიდი სიყვარულის ღირსია, ამიტომ ძალიან მიყვარს მეც და ქართულ საზოგადოებასაც. შეუფასებელია მისი შრომა იმიტომ, რომ ერთმა ქალმა გამოსცეს ჟურნალი, ამდენი პატარა მეგობარი ყავდეს, ყველა რაიონის გამგებელი გიცნობდეს, საზოგადო მოღვაწე რასაც ჰქვია, აი, ეს ნამდვილად არის გულნაზ ხარაიშვილი.

– რას უსურვებდით ჟურნალ „ათინათს“?

ჟურნალ „ათინათს“ ვუსურვებდი აყვავებას, კიდევ უფრო ტირაჟის გაზრდას, რომ მოიცვას მთელი საქართველო. საქართველოში არის ისეთი კუთხეები, სადაც „ათინათს“ არ შეუღწევია, ეს არის ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი, აჭარის მაღალმთიანი სოფლები. ყველა უნდა მოვიცვათ, ყველგან უნდა ჩავიდეს „ათინათი“. თბილისიდან ახლოს მდებარე ქალაქები განებივებული არიან ლიტერატურული პრესის ყურადღებით. მე მიმაჩნია, რომ „ათინათმა“ მთელი საქართველო უნდა მოიცვას და მე ყველანაირად დავეხმარები ამ საქმეში.

ბატონო რეზო! თქვენთან შეხვედრით აღფრთვანებული ვარ, დიდი მადლობა ქალბატონ გულნაზს, რომ მომცა საშუალება გამეცნო ბატონი რეზო მიშველაძე, ეს დღე დაუვიწყარი იქნება ჩემთვის, დიდი მადლობა, რომ დამითმეთ დრო.

ანანო, ჩემთვისაც სასიამოვნო იყო შენი გაცნობა,წარმატებას ვუსურვებ თქვენს ჟურნალს, თქვენს სკოლას და პირადად შენ. უფალი გფარავდეს!



მიხეილ ბერუაშვილი,
175-ე საჯარო სკოლა, 8 კლასი



ინტერვიუ ქალბატონ ნათელა ღაჭავასთან

ქალბატონო ნათელა რა არის თქვენთვის ბედნიერება?

ყველაზე ბედნიერად მაშინ ვგრძნობდი თავს, როდესაც ჩემი მეუღლე მყავდა გვერდით. ეხლაც ბედნიერად ვგრძნობ თავს. ბედნიერი ვარ ჩემი შვილებით და შვილიშვილებით.

რას განიცდით, როცა თქვენს გვერდით ჩაგრავენ და კანონით გეკრძალება მისი დახმარება?



განვიცდი იმას, რომ თუა ჩემი ახლობელი, რაც შემეძლება დავიცავ, იმ შემთხვევაში თუ მართალია, არავითარ კანონს არ დავემორჩილები, თუ უდანაშაულოა ადამიანი.

ცოტა რამ თქვენი მშობლების შესახებ? რამდენი დედმამიშვილი ხართ?

მე მყავდა ძალიან კეთილი და უსაყვარლესი მშობლები. დედა – ფოთოლა ღაჭავა ძალიან მზრუნველი იყო, ოთხი შვილი გაგვზარდა, ძალიან უყვარდა პოეზია და ლექსებსაც წერდა, ნოველებს. მამა – ავთანდილ ღაჭავა კი მუსიკოსი იყო, ისიც ძალიან მზრუნველი ოჯახისთვის.

რამდენი დედმამიშვილი ხართ?

ოთხი დედმამიშვილი ვიყავით, ერთი ძმა 45 წლის ასაკში გარდამეცვალა. მყავს ორი ძმა.

რას იტყვით თქვენი ოჯახის შესახებ?

მყავს ძალიან კარგი და ბედნიერი ოჯახი. ამჟამად ემიგრაციაში ვართ მე და ჩემი რძალი და ჩემი ვაჟი ზრდის შვილებს.

იცნობდით თოთხმეტჯერ გინესის რეკორდსმენს, დიდ მსოფლიო მოგზაურს?

მსოფლიო მოგზაურს, თოთხმეტჯერ გინესის რეკორდსმენს, მე მგონი, იმ დროში ყველა იცნობდა.

რა არის თქვენთვის ბედნიერება?

ყველაზე ბედნიერად მაშინ ვგრძნობდი თავს, როდესაც ჩემი მეუღლე მყავდა გვერდით. ეხლაც ბედნიერად ვგრძნობ თავს. ბედნიერი ვარ ჩემი შვილებით და შვილიშვილებით.

რა სპეციალობის ხართ?

ჩემი სპეციალობა არის კვების ინჟინერ-ტექნოლოგი.

სად მიიღეთ უმაღლესი განათლება?

უმაღლესი განათლება მივიღე ქალაქ მოსკოვსში.

რამდენი შვილი გყავთ?

მყავს ორი ქალ-ვაჟი – ამირან და თამარ თოფურიები. აგრეთვე რძალი – მარინე უგრეხელიძე, რომელიც ძალიან მიყვარს. ყავთ ოთხი შვილიშვილი – გიორგი და ნატალი თოფურიები და ლუკა და გოგიტა მონიავები.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, დაარსდა ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლეში, ის ამაყობდა აკადემიის მუშაობით, თქვენთვის ამ აკადემიის წევრობა სიამაყეა?

მეც ვამაყობ, რომ ვარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი აკადემიის წევრი.

რა არის თქვენთვის ღირებული, სულიერი სიმშვიდე თუ, მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება?

პირველ რიგში ჩემთვის ღირებულია სულიერი სიმშვიდე.

თქვენთვის მოუძღვნიათ, თუ არა ლექსი ვინმეს?

ჩემთვის დიდი სიხარული იყო, როდესაც ფეისბუქში წავიკითხე გულნაზ ხარაიშვილის ჩემდამი მოძღვნილი ლექსი, აი, ისიც:

ჩემი აკადემიის შვილს

(ნათელა ღაჭავას)

სანთლის ალზე მოჩურჩულეს,
ქალს კოლხსა და ქალს მადლიანს,
წყაროსავით მოჩუხჩუხეს,
სიტყვით ყველგან გავლენიალს,
მსურს გაუთბო ლექსით გული,
კოლხ მედიას შთამომავალს...

ფიქრითაა გადმორთული,
მზეს აქ ხედავს ამომავალს.
იმერეთში მთას სანთელას
ნისლი ტანზე მოხვევია...
მად როგორ გრძნობ თავს ნათელა,
დარდი გულს რომ გახვევია.???

რას არ დათმობდით? რას ინატრებდით?

მე ვინატრებდი პირველ რიგში ჩემს მშობლიურ სამშობლოში მალე დაბრუნებას და საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, მშვიდობას და ცხოვრებას. ყველა ემიგრანტის დაბრუნებას ჩვენს მიწა-წყალზე. აქ ყველაფერი სხვაგვარია. საქართველოს წყალიც, ჰაერიც და მიწაც მენატრება.

მიხეილ ბერუაშვილი,
175-ე საჯარო სკოლა, 8 კლასი

ინტერვიუ ქალბატონ მანანა გაგნიძესთან

მოგესალმებით ქალბატონო, მანანა, თქვენ მრძანდებით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი. თქვენ აკადემიის წევრობა, სიხარულთან ერთად რა პასუხისმგებლობას განიჭებთ?

ბატონი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მრაავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრობა რა თქმა უნდა მახარებს და ამასთანავე პასუხისმგებლობას მანიჭებს. ანუ რა პასუხისმგებლობაც ენიჭება თვითვეულ აკადემიის წევრს, ასევე მეც მათ შორის....

ქალბატონო მანანა, იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?



სამწუხაროდ, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ახლოს არ ვიცნობდი, მაგრამ ნამდვილად მახარებდა და მახარებს მისი შეუპოვარი სულისკვეთება, მისი ნიჭი, მისი გუნება და მაოცებს მისი შესაძლებლობები, რასაც თვითონ ყოველთვის კარგად და შეუდარებლად აკეთებდა.

შენი შვილისა და მთლიანად მისი ოჯახის შესახებ რას იტყვით?

ჩემი ოჯახი უზომოდ მიყვარს და მეამაყება. მყავს ერთადერთი ნანატრი შვილი. მას ყავს შესანიშნავი ქმარშვილი და აქვს ლამაზი და კანონმორჩილი ოჯახი. რაც მე მახარებს და მაბედნიერებს.

ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?

ჩემი მშობლები იყვნენ: ალექსანდრე რაზმაძე და ეთერი რაზმაძე. დედა დიასახლისი იყო, შვილებს გვზრდიდა. მამა მუშაობდა ცეკ-ას გამომცემლობაში, მაშინდელი კომუნისტის რედაქციაში. ამ უზარმაზარ კოლექტივს ჩვენს ოჯახში ძალიან უყვარდათ მოსვლა და არაჩვეულებრივი საღამოების ტარება. საუკეთესო მასპინძლობა იცოდა.

რამდენი დედმამიშვილი ხართ?

ჩვენ დედმამშვილები სულ 7-ნი ვართ. 6 და და ერთი ძმა. ყველანი დაოჯახებულები და ბედნიერები არიან. მშობლებიდან გამოყოლილი თანდაყოლილი მუსიკალური ნიჭი ყველას აქვს. ოჯახში სრულყოფილი ანსამბლი ვიყავით და ასე გრძელდებოდა მშობლიურ სახლში როცა ვიკრიბებოდით ყველა ერთად. ძალიან მოსიყვარულე დედმამიშვილობა გვაქვს.

როგორი ბავშვი იყავით?

როგორი ბავშვი ვიყავი? ძალიან ლაღი ბავშობა მქონდა, მე როგორც ყველაზე უმცროსი და, უფროსები მანებივრებდნენ, ძალიან გულჩვილა ბავშვი ვიყავი სხვათაშორის, ძალიან მოსიყვარულე. ეს თვისება ბავშობიდან მომდევს, ყველა გაჭირვებული მეცოდება. დღემდე ასეთი დავრჩი თუკი ვიმნმეს დახმარების ხელს გავუწოდებ ეს მე მაბედნიერებს. ღმერთი ხომ ხედავს ყველაფერს.

რა არის თქვენთვის სიმღერა?

სიმღერა ჩემთვის არის კეთილშობილება. სიმღერა ხომ აკეთილშობილებს ადამიანს, ჩემი ცხოვრება ვერ წარმომიდგენია მის გარეშე. ბავშობიდან მქონდა ოცნება გავმხდარიყავი მომღე-

რალი და მემღერა დიდ სცენაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი სცენა ოცნებად დამრჩა. სიმღერა არის ჩემი სულის წამალი.

რას ინატრებდით?

რას ვინატრებდი? ეს სურვილიც არის და ნატვრაც, რასაც მაინც ავისრულებ სანამ ცოცხალი ვარ. მე დავიბადე სოფელ ჭოპორტში და აი, ძალიან გულით და სულით მინდა მქონდეს ჩემი პატარა სახლი და ეზო ამ ულამაზეს ბუნებაში. ღმერთი არ გამწირავს ამ ნატვრას ავისრულებ.

რამდენი შვილიშვილი გყავთ?

მყავს სამი ულამაზესი და უსაყვარლესი შვილიშვილი, მარიამი, ზუკა და ნინი. ძალიან ნიჭიერი და მშობლების და უფროსების დამჯერი და პატივისმცემელნი. ჩემმა მარიამმა სკოლის დამთავრებისთანავე ჩააბარა უნივერსიტეტში, ის უკვე სტუდენტია, რაც უზომოდ მახარებს. ჩემი ზუკა დაკავებულია სპორტით, თამაშობს რაგბის და სწავლობს კარგად. ჩემი ნინი ტანვარჯიშით იყო დაინტერესებული და, სამწუხაროდ, ხელი მოიტეხა და, რა თქმა უნდა, ვეღარ გააგრძელა ვარჯიში. სკოლაში სამაგალითო გავშვია ისიც..







ყველაზე მტკივნეული დღე თქვენს ცხოვრებაში.

ყველაზე მტკივნეულად მახსოვს და არასოდეს არ წაიშლება ჩემი გონებიდან – მამას მოულოდნელი გარდაცვალება. ჩემი მეუღლის გარდაცვალებამ ფრთები მომტეხა. ისიც უეცრად ტრაგიკულად წავიდა ამ ქვეყნიდან. დედის გარდაცვალებას დღესაც ვერ ვიჯერებ, რადგან სკაიპით გავაცილე ჩემი თბილი და კეთილი დედა, უსაბუთო ვიყავი და ვერ წავედი საქართველოში.

რა არის თქვენთვის ყველაზე დიდი ბედნიერება?

ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება არის ჩემი ოჯახი. ამასთანავე ყველა ის ადამიანი მყავდეს ჯანმრთელად ვინც მე მიყვარს და ვისაც მე უყვარვარ.ჩემთვის დიდი ბედნიერება ის არის რომ ქართველი ვარ და მეამაყება ის ვინც ვარ.

რა კითხვა გინდოდათ, რომ დამესვა და არ დამისვამს?

მინდოდა გეკითხათ, როდის დავბრუნდებით ემიგრაციიდან?

ამ კითხვაზე კი ალბათ ვერ გაგცემდით პასუხს, მაგრამ ჩემი და ბევრი ემიგრანტის კითხვაა ეს როდის დავბრუნდეთ სამშობლოში? პასუხი კი ჯერჯერობით არ ვიცით. ეს ჩვენი ტკივილია.

რას ინატრებდით?

იცით რას ვინატრებდი? მალე დამდგარიყოს ის ნანატრი დღე როცა მივიღებ გადაწვეტილებას და ვიტყვი მე დღეს ვამთავრებ ემიგრანტობას და მივდივარ საქართველოში სამუდამოდ. აი ამას ვინატრებდი, ღირსეულად დაბრუნებას ვინატრებდი ჩემო საყვარელო ქალბატონო გულნაზი....

გზავნილი 1.

მზე გულიდან! დედის მზე!

მისი გულიდან გრწყინვალება, ღვთისმშობლის ნათება მოედინება!

დიდება მას, როგორც ქალის საწყისს! სულიერების მე-8 საფეხურზეა ასული, დაშალა და დაანგრია ძველი გადმონაშთი და საფუძველი დაუდო მწერალთა ახალ აღორძინების საწყისს. შექმნა ახალი მწერლობა!

გულნაზის გულიდან წამოსული მზის სხივები მზეს უერთდება, რომლის სითბო და სილამაზე იქ მყოფ საზოგადოებას ეფინება. .. გულნაზი ზეცას მისწვდა, ზეცის ძალა ნებას აძლევს თავისი სულისკვეთებით ააღორძინოს და აამაღლოს ის საზოგადოება, რომელიც შეკრებილი ჰყავს, რომლის მსგავსი საფუძველი არცერთ მწერალთა ჯგუფს არ შეუქმნია, მან შეკრიბა მარგალიტები და უმაღლეს კერად აქცია. .. ქალური საწყისის ბოლო ნიშანი მას ერგო წილად, რომ ეს ხვედრი გაეზიარებინა, სიბრძნე და ჭეშმარიტება მჭიდრო იარაღად გამოეყენებინა. იმ თასის სიმბოლოდ იქცა, რომელიც ქართველი ქალის სახეს წარმოადგენს და ახალ ცნობიერებას დაუდებს საფუძვლად!

ეს ჩვენი აკადემიის გვირგვინია.

გზავნილი .. 15 სექტემბერი. 2020

გზავნილი 2.

ახალი მიზნების ჩასახვა მოხდა!

დამალული ფენომენი! ისე უყურებენ. ვითომ არაფერი, მაგრამ. მარგალიტების ოქროს სხივები შეკრიბა. . გულის გაღება! გული რომ გახსნა გახდა მშვენება გულნაზი და ეს მშვენება ათბობს სამყაროს და დედამიწას!

დაუფასებელი ღვაწლი. ბევრი ებრძვის და ბევრის გადატანა მოუწია, ბევრი მტრობა გამოიარა. ამ დაუფასებელმა ღვაწლმა იდინა, იდინა, იდინა და რომელიც სამყაროს თვალებმა დაინახა. ... მოვიდა ის დრო! ფენომენი კი არა, ძალიან დიდი საქმე ააქვს. . მწერალთა კავშირი რაც დაიშალა, ამან აიღო ყველა, ყველაზე დიდი შემოქმედებითი ღვაწლი მანვე გაწია და შემოიკრიბა საზოგადოებაში სათითაოდ, როგორც ზღვაში ქვიშა, მან მობოჭა და ააგროვა.

მე-8 საფეხურიდან მე-9 საფეხურზე ავიდა.

სამყარომ გაგიშვათ წინ!


სამყაროს მშვენება. და გულნაზის მშვენება დაუკავშირდა ერთმანეთს.

გზავნილი 2.

17 სექტემბერი 2020.

მიხეილ გერუაშვილი,
175-ე საჯარო სკოლა, 8 კლასი

ინტერვიუ ელგუჯა ნოზაძესთან



ბატონო ელგუჯა, მე გახლავართ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშრისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი. თბილისის 147–ე სკოლის მოსწავლე გვანცა კვიციანი.

–ბატონო ელგუჯა, სად გაატარეთ ბავშვობა?

–საჩხერის რაიონ, სოფელ–ლიჩში, ძირულის ხეობაში.

–თქვენი ბავშვობის პერიოდიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?

–ჩემი ბავშვობის პერიოდი იყო ძალიან რთული პერიოდი. მე დავიბადე ომამდე, (მეორე მსოფლიო ომამდე) და ამდროს დიდი გაჭირვება იყო 1950 წლამდე. ცოტა ხნის შემდეგ უკვე ნათელი მოეფინა ქვეყანას და მე ბავშვობა გატარებული მაქვს იმ დროს რომელიც ახლახანს გითხარით.

–ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?

–მამა იყო სეით გიორგის ძე ნოზაძე, ხოლო დედა იყო მარიამ ხარაიშვილი დომენტის ასული.

–რამდენი დედმამიშვილი იყავით?

–ექვსი

–თქვენი საყვარელი საქმიანობა?

–შრომა.

–სკოლის პერიოდში ცელქი იყავით?

–ამბობენ რომ ცელქი ვიყავი, მაგრამ მე არ ვეთანხმები.

–გაგვაცანით თქვენი ოჯახი!

–დედ–მამა უკვე გაგაცანით, ახლა გადავალ შვილებზე მყავს 2 ქალიშვილი და ერთი ვაჟი. ასევე მყავს მეუღლე და 6 შვილიშვილი.

–რამდენი შვილიშვილი გყავთ?

–როგორც მოგახსენეთ 6. 3 გოგო და 3 ბიჭი.

–შვილიშვილებიდან ხომ არ გამოარჩევდით რომელიმეს, რაიმე ღირსებით?

–ისე ყველა ერთნაირად მიყვარს, მაგრამ განსაკუთრებულად გამოვარჩევდი ყველაზე პატარას, გიორგის. გიორგი ნოზაძეს, რომელიც თავისუფალ დროს სულ დამყვება და აინტერესებს რას ვსაქმიანობ. ინტერესიანი ბავშვია საერთოდ და კარგადაც სწავლობს. სწავლით ყველა კარგად სწავლობს, მაგრამ ეს გამოკვეთილად.

–სხვა ანალოგიური ბიზნესებიდან, თქვენი ბიზნესი რითია გამორჩეული და რატომ?

–თუ დეტალებში გაინტერესებს, აუცილებლად გეტყვით. მე თავიდან ვმუშაობდი თბილისის მეტროპოლიტენში და ბოლო 8 წელიწადი ვიყავი კავშირგაბმულობის მთავარი ინჟინერი. ჯანმრთელობის გაუარესების შემდეგ, გამიკეთეს კუჭის ოპერაცია და ექიმებმა მირჩიეს, რომ მეტროში არ დავბრუნებულიყავი და ეს არის ამის შემდეგ წამოწყებული ბიზნესი. რადაც ხომ უნდა გამეკეთებინა და მოვიფიქრე, რომ ამ დარგში დამეწყო მუშაობა. მე ეს გადავწყვიტე მაშინ, როდესაც დაიწყოკ ერძო საკუთრება, 1988 წელს, მაგრამ მანამდე რომ აგეშენებინა ან გაგეკეთებინა რამე დაგიჭერდნენ, სწორედ ასეთი კანონები იყო მაშინ. კერძო მესაკუთრეობა რომ გამოცხადდა, აი, მაშინ მოვედი აქ. რაც შეეხება კითხვას თუ რითია ჩემი საქმიანობა გამორჩეული, ახლა აგიხსნით ამას. მე თავიდანვე დიდ ყურადღებას ვაქცევდი ხარისხს და ასეა დღესაც, ცნობილი არის ესეიგი ჩვენი ქათმის ხორცი მე არ ვმალავ მაგას ვაწერ ჩემს ბრენდს (გვარს) და ყველამ იცის, რომ ეს ჩემი წარმოებულია. ხარისხი გამოირჩევა!

–თქვენი ქველმოქმედებიდან გამომდინარეა საჩხერის რაიონის ძირულის ხეობაში უშურველად დათესილი უამრავი სიკეთე. რა განცდები გაქვთ როდესაც დიდ სიკეთეს თესავთ?

–მე ვერ გეტყვი, რომ რამე განსაკუთრებული და გამორჩეული სიკეთე დამეთესოს. ჩვენს ხეობაში უამრავი სიკეთე მაქვს გაკეთებული, მაგრამ არა სხვაგან. ვინაიდან მე მიყვარს ჩემი სოფელი და ვცდილობ, რომ ადამიანებს შეძლებისდაგვარად დავეხმარო, ხოლო რაცშეეხება ქველმოქმედებას, მაგის ჩამოთვლას დიდ ხანს მოვანდომებთ.

–ძირულის ხეობაში ბოლო პერიოდში თქვენი დახმარებით ხომ არაფერი გაკეთებულა მოსწავლე ახალგაზრდების სასიკეთოდ?

–განსაკუთრებული არაფერი გაკეთებულა, თუ არ ჩავთვლით იმას რომ ძიუდოს სასწავლებელი გაიხსნა და ვეხმარები იმ ადამიანებს, რომ იქაური ბავშვები იყვნენ დაკავებულები და ჯანსაღი ცხოვრების წესით რომ იცხოვრონ.

–ჭალოვანის საჯარო სკოლა გახდა სახელობითი, თუ იცით ამის შესახებ და როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?

– ნამდვილად ვიცი, ყველაფერი შეთანხმებული იყო ჩვენთან წინასწარ ვიცოდი, ეს ადამიანი დამსახურებული იყო და დაიმსახურა კიდეც ეს ადგილი. ამ საჯარო სკოლას რომ დარქმეოდა ბეჟან ხარაიშვილის სახელი.

– კიდევ რას გვეტყოდით აღნიშნულ სკოლაში ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესების შესახებ?

– უღრმესი მადლობა უნდა გადავუხადოთ ბიძინა ივანიშვილს იმისთვის, რომ ასეთი თანამედროვე ევროპული სკოლა არის ჩვენს ხეობაში, კერძოდ, ის სკოლა, სადაც მე ვსწავლობდი თავის დროზე, მაგრამ ეს სკოლა ისეთი კი არ იყო ახლა რომ არის. ახლა არის თანამედროვე ევროპული სტანდარტის, თავისი ინფრასტრუქტურით და ყველაფრით. მე ძალიან მიხარია, დიდი ხანია იქ რომ ვიყავი, შეიძლება ვთქვათ რომ მე მეორედ დავიბადე. მე ძალიან მომწონს ახალგაზრდები, თუ როგორი ჩამოყალიბებულები არიან.

– როგორ შეაფასებთ რაიონისა და ადგილობრივი, ხელმძღვანელი მუშაკების საქმიანობას?

– ახლა, დღევანდელ პირობებში, შედარებაც არ შეიძლება წარსულთან, მე მგონი

ყველაფერი პოზიტიურია და კარგია.

– ხომ არ იცნობთ ჭალოვანის სკოლის დირექტორს და თუ იცნობთ რას გვეტყვით მის შესახებ?

– ჭალოვანის სკოლის დირექტორი არის არაჩვეულებრივი ადამიანი. მისი მშობლები ჩემი მასწავლებლები იყვნენ. განსაკუთრებით გამოვყოფ ქალბატონ მაშურას, რომელიც მასწავლიდა ქართულ ლიტერატურას. ის ძალიან კარგი ადამიანია და მშობლებიც ძალიან კარგი ჰყავდა.

– თუ იცნობდით დიდ მოგზაურს, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას

– მხოლოდ ტელევიზორით.

– არსებობს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია და თუ გსმენიათ ამის შესახებ?

–ამის შესახებ თქვენგან ვიცი, ხოლო რაც შეეხება ჯუმბერ ლეჟავას მე მას დიდ პატივს ვცემ და შემიძლია ჩავთვალო, რომ ის დიდი გმირი იყო.

– იცნობთ ჟურნალ „ათინათს”?

– არა, ნაკლებად.

– ხომ არ გაგვანდობთ, უახლოეს პერიოდში რა ქველმოქმედებას გეგმავთ?

– ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ აუცილებლად დავეხმარები ჩემს ხეობას.

– რას უსურვებთ ჩვენს ჟურნალს და მთლიანად საქართველოს ახალგაზრდობას?

– ჟურნალსა და ახალგაზრდობას ვუსურვებ კეთილდღეობას, კარგ ცხოვრებას, ყველაფერს საუკეთესოს.

ინტერვიუ გულნაზ ხარაიშვილთან

სიცოცხლის მტრედი

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან აკადემიაში, მართლაც და უფლით სასწაულები ხდება, ამ უქონელ და გაუტანელ დროში. ეს მე არც უნდა მიკვირდეს, რადგან კედლიდან ჟანა ხვიჩიას ხელით შესრულებული მამა გაბრიელის ხატი მიღიმის, თითქოს მამხნევებს, ძალას მმატებს...

აკადემიასთან არსებული ჟურნალი „ათინათი“ 13-ე ნომერი, დედაოსთან მოხვდა, მისი ყურადღება მიუქცევია ამ სიტყვებს:

„მიკვირს კეთილს რად არ მხედავთ,
რად არ გინდათ შეამჩნიოთ სიბრძნე.
დამინახეთ, მე ვარ ქართვლის დედა,
„ათინათში“ ჩემი მადლი იგრძენთ...
ცისარტყელა მომეხვევა ტანზე,
ვიცი ერთ დროს გამიტაცებს ცაში
ვიჯირითებ მთვარის შუქის რაშზე,
ვიცი ცრემლად დაიღვრებით მაშინ...“

ამ ლექსის მთელ სიგრძეზე ჩახატული იყო, ბატონი რეზო (ემელიანის) ხელით შექმნილი ჭმინდა ნინოს ხატი. ჭმინდა ნინოს მადლმა დააკავშირა ყველასათვის უცნობი დედაო ჩემთან, დედაო ყოველდღე მლლოცავს და მმოძღვრავს სიკეთითა და სითბოთი.

დეკემბრის სუსხიან დღეს აკადემიაში, სამი სხვდასხვა ასაკის ქალბატონები მეწვია, პატარა ლანას თან ახლდა დედა და ბებია. ლანამ სკამზე მოიკალათა თვალი, თვალში გამიყარა, ამოსუნთქვის საშუალებაც არ მომცა და კითხვები თოვლის ფანტელებივით მომაფინა მტკივნეულ გულზე:



– თქვენ ბევრი ბავშვები გაგიზრდიათ?

– დიდახ, ჩემო პატარავ მე შენნაირი ანგელოზები გამიზრდია თანაც ძალიან ბევრი.

– რა ჯიდლოები გაქვთ მიღებული?

– ჩემი ჯილდო ყველაზე დიდი შვილებია, ჩემი დავითი და ჩემი გელა, მერე შვილიშვილები: თამარი, ლევანი, თეონა, ნანა და ვახტანგი. თუმცა დამსახურებებიც ბევრი მაქვს მაგრამ, ეს არაფერია ადამიანი თუ მოინდომებს თ ნებისყოფა ეყოფა აუცილებლად მიაღწევს მიზანს, მიუჭრეველი არაფერია, მიუღწეველი მხოლოდ შვილებია, თუ ღმერთს არ უნდა არ გაქცევს დედობის ღირსად. ხდება პირიქითაც, მოგცემს შვილს, გაგაზრდევინებს, დაგაპურებინებს და მაშინ წაიყვანს შენგან როცა უფალი საჭიროდ ჩათვლის.

– რა დარდიანად საუბრობთ, მითხარით რა არის ამის მიზეზი?

– ეჰ, ანგელოზი შენ ამას ვერ გამიგებ კიდეც რომ გითხრა, ჩემს გულის ქვაბში ძალიან დიდი დარდია, რომელიც დღედაღამე ცრემლით იფუფქება, მოდი ამაზე არ ვისაუბროთ კარგი?... ჩემთვის ლამაზ დღეებს მაშინ ქონდა შნო და ლაზათი, როცა ჭრელ-ჭრელი ტანსაცმელი, ტანზე მემოსა, ახლა გული მაქვს, სევდიანი, ცივი, ნაზამთრი, მე გამახარებს ჩემი შვილის ხმა თუ მომესმა.

– ძაიან სევდიანათ საუბრობთ? მე კი მინდა მოგეფეროთ.

– მომეფერე მოდი, ჩაგიკრა გულში და ჩაგეხუტო, საყვარელო, შენ ჩემი სულის ფერია გახდები დღეიდან.

– როდესაც თქვენ ქუჩაში გაგივლიათ და გაჭირვებული დაგინახავთ შეგცოდებიათ?

– ძალიან გულს მტეკნს ხელგამოწვდილი ხელები დახმარებას, რომ ითხოვენ, რატომღაც ისეთებიც დამინახია, რომელბიც საეჭვოთაც ჩამითვლია. ისე პირველად როცა ეს მასიური არ იყო საქართველოში ისე ძალიან გავიცადე, ლექსიც კი დავწერე

„ხელგამოწვდილი წინ რომ შეგხვდება
და კრძალვით გეტყვის დამეხმარეო...
სირცხვილის ალი წვამს და ედება,
ზიზღით ნუ ეტყვი გამეცალეო.
იქნებ არააქვს წამალის ფული,
ან დახმარება გთხოვა დისათვის.
ვინ იცის როგორ ატკივდა გული,
შემიწყალეო გთხოვა ძმრისათვის...

იშვიათია პოეტს, რომ გქონდეს
შემირცხვენიხარ მცირე არ მისცე...
შიმშილით გული რომ შეგიღ ნდეს,
დაუხმარებლად არ გამოიქცე.
უკანაკნელი თეთრიც გაიღე,
უსულგულოს კი არ გარქმევ პოეტს
მცირე ნაღველი სახლში წაიღე
და კიდობანში შეგიშვებს ნოე.“

– რა იყო თქვენთვის სატანჯველი წუთები?

– ჩემი ტკივილი, ბავშვნობიდანვე დაიწყო, დედაჩემს ჰყავდა რვა დედმამიშვილი, რომლებიც, ზოგი ავიაროთ, ზოგიც ომს შეეწირნენ და ამიტომ დედა შავებს ატარებდა მთელი სიცოცხლე, მე ამას ბავშურად კი არა იდდი ადამიანივით განვიცდიდი, დედა თუ არ ჭამდა საჭმელს, მეც მშიერი ვრჩებოდი ერთხელ მახსოვს, მამამ წყენის კილოთი მიმართა: შენ გიდარდო თუ ეს ბავშვი, ხომ ხედავ, რა დღეშიაო და დედამ თავს ძალა დაატანა და ერთI ნაჭერი ვიჩინა ძლივს მოციცქნა. ჰოდა მახსენდება ჩემი წარსული... და ზოგჯერ მეღIმება კიდეც, როცა ბავშვებში თამაშის საშუალება მომეცემოდა, მათთან მხიარული ვიყავი, ვცეკვავდი, მღეროდი, წარმოდგენებს ვმართავდი.

– კარგად სწავლობდი?

– ძალიან კარგად, რა შესაძლებლობა მქონდა მთლიანად ვიხარჯებოდი.

– ახლა ქუჩაში ბიჭები, რომ იგინებიან ჩემი დედაო, ამაზე რას იტყვი?

– ამაზე საშინელება არაფერი გამიგონია მთელი ჩემი სიცოცხლის წლების გადასახედიდან, ამაზეც მაქვს ლექსი დაწერილი ხალხურ მოტივზე

დაჭრილ გული გაქვს მამულო,
თუმცა გესმები მალამოდ...
ო, გული მტკივა მალი-მალ
დაწერე რამე კალამი,
ვაჟაის მთები გამწყრალან,
სტუმარს არ ვასმევთ ღვინოსა..
ენა ყავისგან დამწვარა,
ხშირად ვივიწყებთ მირონსა...
დაგვიწყებია „გამზრდელი“,

შორს წასულ შვილებს გავცქერით.
ვეჭობ მათ აღზრდა დავაკლეთ,
და არ ვივარგეთ დედებმა
ჩემი დედაი, მესმის და...
გულს ეკალივით მედება.
შვილნო, ისმინეთ ვედრება,
რომ არ ვიტიროთ დედებმა...
მოყვარეს პირში უძრახეთ,
ასეთი შვილი გვერგება,
თუ მაინც აღზრდა დაგაკლდათ.
პასუხი ვაგოთ დედებმა.

და აღზრდილებზე ვბრაზდებით...
დაგვილოცნია გზა გრძელი,

–ანუ თქვენ დედებს ადანაშაულებთ?

– დიახ! ჩემო პატარამ დედამ უნდა გაზარდოს შვილი, დედა სიგარეტს, რომ ეწევა შვილს რა უნდა უთხრას, შენ არ მოწიო?..ამაზეც დავწერე მტკივნეული სიტყვები:

ქალებო, სიგარეტს ნუ მოსწევთ,
თბილისი იხრჩობა კვამლში.
ამ სენით იცოდეთ ერს მოსპობთ
გადაიჩეხებით ხრამში.

– ადამიანს, რომ უჭირდეს დაეხმარები?

– აუცილაბლად, არც დავფიქრდები, მახსენდება ერთი მტკივნეული დღე... ერთმა ქალბატონმა მაწყენინა, გზაში მას ბილეთი აუღე. ამით დიდი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ რაღაცა ადამიანური იყო ალბათ ჩემი საქციელი, უფრო მეტიც წელს, ქალბატონმა ყამარ ბლიაძემ ურეკში წამიყვანა, იქ დავრწმუნდი, რომ მე ადამიანის დასახმარებლად სიცოცხლესაც საფრთხეში ჩავაგდებ.

სიცოცხლე კვლავ მინდა, მინდა დავიხარჯო ჩემი ხალხისათვის:

დაღლილ სულს ვუყურებ ნატანჯს და დაფლეთილს
ნეტავი ეს ბედი, კიდევ რას მპირდება
სიცოცხლე არ მოდის, არასდროს დაკვეთით
არადა კვლავ მაინც ო, როგორ მჭირდება

– ია თუ მოგირწყიათ?

– არასოდეს. ია, თოვლის წყლით საზრდოობს. ასეც ამბობენ ია, დედის ცრემლებით ამოდისო.

– წლევანდელ წელს რითი გამოყოფდით?

– წელს მწერალთა კავშირის მხარდაჭერით, განათლების სამინისტროს დადგენილებით და ჭალოვანის საჯარო სკოლის პედკოლექტივის მოთხოვნით, საჩხერის რაიონის ჭალოვანის საჯარო სკოლას მიენიჭა ჩემი აწგარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის სახელი. ანუ ბეჟან ხარაიშვილი ფენიქსივით აღდგა და მისი სული დალოცვას, მის მხარდამჭერებს, ალბათ ყველაზე მეტად ამ დიდი საქმის იდეის ავტორს ბატონ დავით შუბითიძეს.

– მეტი კითხვები არ მაქვს, დიდი მადლობა.

ინტერვიუ მაყვალა გონაშვილთან



ქალბატონო მაყვალა! მოგესალმებათ ქ. ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე თამაზ აფაქიძე

1. თქვენ ბრძანდებით პოეტი, დედა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე წლების განმავლობაში როგორ ათავსებთ ამ სამ დიდ საქმეს ერთი პიროვნება?

დავიწყოთ იმით,რომ ყველაფრის სათავე სიყვარულია, აქედან გამომდინარე, როცა გიყვარს შენი საქმე, შენი ოჯახი უფრო მეტს აკეთებ. როცა სიყვარული არ უდევს საფუძვლად საქმეს, შეიძლება უმნიშვნელო საქმეც ვერ გააკეთო.



მე მადლობელი ვარ ღმერთის რომ დედობის მადლით ვცხოვრობ და მადლობელი ვარ უფლის, რომ ასეთ სამსახურში ვარ.

2004 წლიდან 2014 წლამდე ვიყავი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სადაც ამ საქმეს უძღვებოდნენ მ. მაჭავარიანი, ნ. დუმბაძე, შ. ნიშნიანიძე, ი. აბაშიძე, გ. ლეონიძე ჩვიდმეტი დიდი მწერალი თუ პოეტი, ხოლო მდივნებად იყვნენ ასევე დიდი მწერლები და პოეტები, როგორებიცაა: ი. ნონეშვილი, გ. აბაშიძე. აქედან გამომდინარე ჩემთვის დიდი პატივი იყო მათთან ერთად მუშაობა.

ახლადჩატარებულ მწერალთა ყრილობაზე ჩვენ შევცვალეთ მუშაობის სტრუქტურა. ხუთი ადამიანი ვართ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რომლებიც ერთმანეთს შევენაცვლებით.

წელს არის ბატონი რეზო მიშველაძე, შემდეგ მე. იქნება გუნდური მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს მწერლთა კავშირის გაერთიანებას. ამჟამად ვხელმძღვანელობ უცხოურ მწერლობას.

2. ქალბატონო მაყვალა! რომელი წლიდან წერთ ლექსებს?

რადგან მამა კახეთიდან იყო, ხოლო დედა გურიიდან, მთელი ჩემი ბავშვობა, ხან კახეთში ვიყავი და ხან გურიაში, მშობლები კი თბილისში ცხოვრობდნენ.

ვარ კახეთში წითელწყაროს რაიონის ერთერთ ულამაზეს სოფელ არბოშიკში, რომელიც მთებს შუაა მოქცეული, რაღაც ძალზედ გამორჩეული ცაა ჩემს სოფელში. ღამით, როდესაც აივანზე ვიყავი გამოსული და ვუცქეროდი, ამ დროს ექვსი წლის ვიყავი, გამიჩნდა ლექსის დაწერის სურვილი და დაუძახე ბებიას: ბებია! ბებია! მუზა მომივიდა, მუზა. . . მაშინვე გამოვიდა ოთახიდან. ბებოს დედილასაც ვეძახდი, რადგან ძალიან მიყვარდა. მოიტანა კალამი და ჩაიწერა ლექსი. იმ დღიდან დღემდე მომყვება ეს უფლის ნაკარნახევი მადლი. ლექსი კარგია თუ ცუდი, ყველაფერი უფლის ნებაა.

უცნაურია ისიც, რომ ჩემი პირველი ლექსი ფილოსოფიური იყო. ეძღვნებოდა სიკვდილ სიცოცხლის თემას. მახსოვს ასე მთავრდებოდა:

„მივქრივარ, თეთრ რაშზე ვზივარ,
მივაპობ მთებსა და ველებს,
მივქრივარ იქ, სადაც სიკვდილი არ არის,
მივქრივარ იქ, სადაც სიცოცხლე ჩქეფს“.

ეს იყო 1966 წელი, როცა მთელი საქართველო დიდი მწერლის, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს ზეიმობდა და ყველას, განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა პოეზიის მწერლობის მიმართ.

3. რა არის თქვენთვის პოეზია?

მოკლედ რომ გითხრათ, ალბათ ყველაფერი.

4. როგორ გაიხსენებდით ბატონ ჰამლეტს?

ჰამლეტი მარტო ჩემთვის კი არა, არამედ საქართველოსთვისაც დიდი პიროვნება იყო. იგი უბოროტო, კეთილშობილი ადამიანი იყო, რომელსაც გაგიკვირდებათ და მტერი არ ჰყავდა. მისი თვალები მოყვასის სითბოსა და სიყვარულს ასხივებდა. ამიტომ იმსახურებდა ხალხის სიყვარულს.

5. ქალბატონო მაყვალა! თუ შეიძლება როგორი მშობელი იყო ბატონი ჰამლეტი და თქვენ თუ გავხართ მას, როგორც მშობელი?

ბატონი ჰამლეტი მოსიყვარულე მამა და მშობელი იყო. მახსოვს მას ყოველთვის აგვიანდებოდა. ყველა ჰამლეტს დაეძებდა.

არ ვიცი რამდენად ვგავარ მას ამ კუთხით, მაგრამ მასავით მიყვარს ჩემი ოჯახი და შვილები.

6. თუ შეიძლება მოგვიყევით თქვენი ოჯახის შესახებ?

მყავს ქალ-ვაჟი. მარეხმა დაამთავრა თავისუფალი უნივერისტეტის იურიდიული ფაკულტეტი. გატაცებულია პოეზიით, წერს ლექსებს.

ვაჟი – ივანე კეზუა მხატვარია. გაკეთებული აქვს რამოდენიმე გამოფენა.

პროექტში, რომელიც მარეხმა გააკეთა. „თბილისი და თბილისელები“. სხვა ახალგაზრდა მხატვრებთან ერთად, ივანეს ნამუშევრებიც არის შესული.

მეუღლეს დამთავრებული აქვს სასოფლო, მაგრამ გატაცებულია დიზაინით და ამ სფეროში მოღვაწეობს.

7. თქვენი საყვარელი პოეტი, მწერალი?

სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა პოეტებითა და მწერლებით ვიყავი გატაცებული, მაგრამ გალაკტიონი მუდმივად ჩემი თანამგზავრია.

დოსტოევსკი ჩემი უსაყვარლესი მწერალია. მიყვარს ბაბელი, მარკიზი, რეზო მიშველაძე, გოდერძი ჩოხელი, რომელთანაც დიდი მეგობრობა მაკავშირებდა.

8. თქვენი საყვარელი ლექსი?

შეიძლება ითქვას, რომ საპროგრამო ლექსია „ვალი“.

ვალი

არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
საქართველოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.
ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხშიშველი
გაჰყვე ეკლიან უცნობ ბილიკებს,
ვიღაც ფეტვივით მოგაყრის ჭორებს,
ვირაც ქარივით გაგაქილიკებს,
ეს იმას ნიშნავს, ყოველ ცისმარე
მზის სხივით ქსოვდე ჩალისფერ დროშებს
და სიმართლისთვის ზღაპრის გმირივით
რკინისგან ნაჭედს იცვამდე ქოშებს,
ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ხელით
აკვანს არწევდე სად სხივი ჩადგა,
ხოლო მეორით კემსავდე ძველი
მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს.
იყო ერთგული დედა და ცოლი
თანაც ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს,
ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა,
სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო.

და სხვა კეკლუცი ქალების დარად
არ შეგისრულდეს ნატვრა აროდეს,
არ იყოს ვინმე სიმარტივიდან
შენს დასახსნელად მოუხაროდეს,
ეს იმას ნიშნავს, არ განუგეშოს,
როცა სიცოცხლედ გიღირს ნუგეში,
ეს იმას ნიშნავს იყო ქალღმერთი
კაცის და მიწის მძიმე უღელში
არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მაერტოდენ წინაპრის ვალით,
ჩემს სამშობლოში ათგზის ძნელია
იყო პოეტი და იყო ქალი.

არის ლექსი პატრიარქთან დაკავშირებით, რომელიც ჩემთვის ძვირფასია.

სიყვარულის მასწავლებელი

მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ ბედი ქართლისა,
ლოცვით და ცრემლით აგივსოთ სიბრძნის სალარო
რადგან თქვენ მყავხართ, მზის ნათელი ადგას ჩემს მამულს,
სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო
როდესაც ერი ირწეოდა, ვითარც ლერწამი
თქვენ გვაფრთხილებდით, ნუ აჰყვებით შეშლილ ქარებსო,
ერის ტკივილის ბეჭედი ხარ, სიწმინდის მცველი,
ბრძენო კეთილო, უწმინდესო უნეტარესო.
მეც ბევრჯერ მსაჯეს, თვალში ბეწვიც არ შემარჩინეს,
ბევრჯერ ეს გული, ნაწამები სევდით ამევსო
მადლობელი ვარ ნუგეშისათვის, მწყემსო კეთილო

ღირსო მამაო, უწმინდესო, უნეტარესო.
ჟამს სიძულვილის თქვენ სიკეთის გვასწავლით ანბანს,
გიყვარდეთ მტერი, ნუგეში ეც მგლოვიარესო,
შენს გზას მივყვებით სიყვარულის მასწავლებელო,
ერის მოძღვარო, უწმინდესო, უნეტარესო.

9. ქალბატონო მაყვალა! რას იტყვით ჟურნალ „ათინათის“ შესახებ?

ჯერ მინდა მის რედაქტორზე გითხრათ ორი სიტყვა, გასაკვირია როგორ ახერხებს ეს ქალბატონი ამდენს ჩვენს დროში. როდესაც მრავალი ცნობილი ჟურნალი დაიხურა უსახსრობის გამო, ქალბატონი გულნაზი წინ მიიწევს და არ უშინდება წინააღმდეგობებს, ეს ჩვენს დროში გმირობის ტოლფასია. აქედან გამომდინარე მინდა ვუსურვო მთავრობის მხრიდანაც და მეცნიერებიდანაც მეტი თანადგომა და მხარდაჭერა.

10. თუ შეიძლება გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი შემოქმედებიდან?

ადრე პოლიცია კი არა მილიცია იყო. ახალი ჩამოსული ვარ მოსკოვიდან, სადაც პირველად ვნახე ცხოველთა ბაზარი.

ბატონ ნუგზარ ერგემლიძეს მილიციის დღესთან დაკავშირებით შემოქმედებითი საღამო უნდა გაემართა მათ დაწესებულებაში და მეც მიმიწვია ამ საღამოზე მონაწილეობის მისაღებად. დადგა ჩემი ჯერიც და აი საკვირველება, ჩემი წაკითხული ლექსის „ცხოველთა ბაზარი“-ს შემდეგ ტაშის მაგივრად სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ლექსი კი ასეთი იყო:

„ცხოველთა ბაზარი“

და როგორც ჩვენში, აქ ცხოველებშიც,
მეტი ფასი აქვს ძაღლებს ფინიას,
ჩირად ფასობენ აქ უჩინონი
უცქერი ფიქრობ და მეშინია“

11. ქალბატონო მაყვალა! რას გვისურვებთ ახალგაზრდობას.

ჩემო პატარა მეგობარო! ძალიან მინდა, რომ მშვიდობიან და სამართლიან ქვეყანაში იცხოვროთ, ეს კი განუყოფელია ერთმანეთისაგან.

მინდა მადლობა გადაგიხადოთ. ჩემთვის დიდი პატივია თქვენი გაცნობა და ინტერვიუს ჩაწერა.

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი
აკადემიის წევრების ფიცი 3
ხატმწერები: ხატია და გიორგი ლარიაშვილები
ვედრება (დეისუსი), ბასილი დიდი, ქრისტე პანტოკრატორი, იოანე ოქროპირი 4
წმ. ბასილი დიდი, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი
წმ. პეტრე და წმ. პავლე 5
გულნაზ ხარაიშვილი
მამა გაბრიელ 6
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 7
ჯუბა ჯუღელი
*** რა ღვთისნიერი გზაა თქვენი გზა... 8
გულნაზ ხარაიშვილი
დაგლოცავთ 9

პოეზია

მაყვალა გონაშვილი 10
მარინე ცხვედიაშვილი 12
ბაღათერ არაბული 14
გარი ჩაფიძე 15
ეთერ ჭელიძე 16

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე 20
კახა ბაციკაძე 22
გიორგი ზუხბაია 24
ამირან ამირანაშვილი 26
ნინო უძილაური 30
ედუარდ უგულავა 32
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 34
ლამზირა შეყილაძე 36
ჯუბა ღებელი 38
ხათუნა კვესელავა 40
მანანა შალიკაშვილი 42
ლია შენგელია 44
ლიანა ჯანეზაშვილი-თათარაშვილი 46
თენგიზ პაპაშვილი 48
ნანა მომცელიძე 50
ლია პეტრიაშვილი 54
ნელი გიუნაშვილი 59
მარი კუბლაშვილი 60
გიორგი აღნიაშვილი 62
ანა-მარია ლილუაშვილი 64
ნონა გაგნიძე 68
მამუკა ოჩიაური 72
ხათუნა ჩიტაძე 76
შორენა ჩხიკვიშვილი 78

უშანგი მოსიაშვილი 80
მზია ელიაძე 82
ლალი გონგლიაშვილი 84
ლალი ლაზაშვილილ 86
თემურ გოგსაძე 92
თამარ ჯაჭვაძე 94
მარი გიბილური 96
ლალი მჭედლიძე 98
მზიური დათიაშვილი-აფციაური 100
ევლალია პერპერიდი 102
დავით არახამია 106
ლალი ჩხეიძე 108
თინათინ ხაბურზანია 110
მანანა ზაზიკაშვილი 111
დავით იოსებაშვილი 112
მაგული კუჭაშვილი-კურტანიძე 114
ირაკლი გოცირიძე 166
მარი ბერუაშვილი 118
გურამ ჭავჭანიძე 120
ეკატერინე ციცქიშვილი 122
პაპუნა ქვარიანი, ეკატერინე ციცქიშვილი 123
გერმანე საზანოელი 124
ელგუჯა ადეიშვილი 126
ლეილა ვადაჭკორია 128
ნელი სანებლიძე 130
ლაიზი ონიანი 132
ფერონია თურქაძე 134
შორენა მამალაშვილი 136
ნანა ჩარკვიანი 138
ეთერ ლობჟანიძე 142
ნუკრი ლობჟანიძე 144
მანანა კორძახია 146
გულნაზ ხარაიშვილი 148

შორს და... ახლოს

ლია პეტრიაშვილი 161
ნათელა ღაჭავა 162
ნონა გაგნიძე 163
მანანა რაზმაძე 164
ანიკო ლილუაშვილი 165
ევლალია პერპერიდი 166
ლელა კობერიძე-ჭიაურელი 167
იზოლდა ლეჟავა 168

სახავშვო განყოფილება

ლელა კობერიძე-ჭიაურელი. საყმაწვილო ანაბანა 169
ნათია დაშნიანი 185

ხელოვნება

გულნაზ ხარაიშვილი. ნაპოვარაა ეს გოგო ... 283
ნანა მომცელიძე ... 187
გულიადა სანოძე. არ დავიწყება ქართველი ხელოვანისა ... 191

პოემები

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი). ერთი ლამაზი, ქართული ოჯახის ისტორია ... 193
სერგი ლომიძე. გულნაზ ხარაიშვილის ახალი პოემის შესახებ ... 198
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი). ნამდვილი ამბავი. პოემა ... 202
სერგი ლომაძე. სიტყვა ... 211

არდავიწყება მოღვაწეთა

ნიკო ხერკელაძე. მოგზაური ბატონი ჯუმბერ ლაჟავა ... 157
თიანეთის მუზეუმების გაერთიანება. ცეცხლში ნაწრთობი პოეზია ... 159
ვაჟიკა ფხოველი ... 160
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე. გარდაცვლილთა სამეტყველო ენა ... 216
ლუარა სორდია. ქართული სულით მეოცნებე პოეტის ქნარი. *გეჟან ხარაიშვილის ქრესტომათიული, კლასიკური შედევრები* ... *219*
გეჟან ხარაიშვილი ... 226
გურა-ანგურა. გურამ გედევანიშვილი ... 228
მამუკა გოგიტიძე, მამია გოგოლაძე. გიორგი გეჟიტაშვილის ნათელ ხსოვნას. ხსოვნის ნავსაყუდელი ... 232
მამუკა გოგიტიძე. ხსოვნის ნავსაყუდელი ... 234
ნიკოლა ბაღაშვილი ... 236
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი). წახვედი (გიორგი გეჟიტაშვილს) ... 237
ნათელა გეგეჭაძე. გულით მსურდა, ასეთი მეუღლე გყოლოდა ... 238
ალექსანდრე მგელაძე ... 240
გურამ კუპატაძე. სერგო ილარიონის ძე წურწუმია ... 242
ელგუჯა მგელაძე. მილოცვა ... 244
ლადო ასათიანი ... 246

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი მარ გაჯიევი ... 247
Ratiani Lali , Luara Sordia. Aus dem Samebas Glockenturm. Fortsetzung ... 251

პ რ ო ზ ა

რეზო ადამია. პაემანი სიკვდილთან. ტერენტი გრანელი ... 253
გარი ჩაფიძე. სიყვარულის ლაბირინთი ... 258
ელგუჯა სხირტლაძე. როდესაც შენს კალთას მოვსწყდები სანუკველს, ... 263
ლია პეტრიაშვილი. მოთხრობები ... 266
სერგი ლომაძე. 2019 წლის ბოლო (შემაჯამებელი) საღამო აკადემიაში ... 280
წლის რიგით პირველი შემოქმედებითი საღამო ... 283
პოეზიის დრო აკადემიის პრეზიდენტის კაბინეტში ... 285
ოცდაშვიდი აგვისტოს შემოქმედებითი საღამო ... 288
ეთერ ჭელიძის ლიტერატურული გამარჯვება ... 292
ქალაქ რუსთავის მოღვაწეთა სტუმრობა აკადემიაში ... 294

ევლალია პერპერიდი. სამოთხის და ჯოჯოხეთის კარიბჭე 297
ელგუჯა მგელაძე. ჯონჯოლით ნაყიდი გაზქურა ..... 299.
საოცნებო თოჯინა 301
სასტვენები ..... 302.
ტყუილების გუდა 305
გულნაზ ხარაიშვილი. საიდან დავიწყო? 307
პოეტი გულნაზ ხარაიშვილი, ჩემი დე: 309
ჩემი გულის ნაწილია, დათა შუბითიძე 309
გულნაზ ხარაიშვილი. დათა შუბითიძის გულშემატკივრებო! მინდა გჯეროდეთ.
ობობას ქსელი 320
ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი 325
ვარდენ მეკალმიშვილი. ჩვენ ამერიკაში 326
გივი სიხარულიძე. ყომარბაზი მიქელ-გაბრიელთან ერთხელ ვერაზე 329
ნინო რეხვიაშვილი. წიგნი, რომელსაც ღვთიური. დუმილი სოფლის ბატონ-პატრონი! 333
ციალა ხაჟალია-ანდრიაძე. დედაჩემი 337
ლევან ბაბუხადია. წერილი მეგობარს. ეპიტაფია 340
ჯონი შავლაყაძე. იცით თუ არა 343
ნიკოლოზ ბაღაშვილი. არ დამძინებია . ნოველები– "სითეთრე". "ცხვირი". შეჩერდი წამო! 346
ხათუნა კილაძე 355
ლელა ონიანი. ,,ჩემი სულის ნაწილი''. ქალბატონი გულნაზი 356
ინგა გოგიბერიძე. წერილები სიჩუმის ქალაქიდან 361
მეყან ხარაიშვილი. უსახელო მკვდრები. ს ა ა ქ ა ო 367
ლამარა გერგედავა. დაბრუნება (რევაზ მიშველაძის „ჩხიკვი“) ესე 361

ცოცხალმკვდრების დღიურებიდან

ჯუმბერ ლეჟავა. დიდი მოგზაურობა 383
ჯუმბერ ლეჟავა. როგორ დავამარცხოთ ნაადრევი სიბერე ჯანმრთელობის ფორმულა405

წერილები

სოსო სიგუა. ტაძარი – უფლის ტახტი423
ლუარა სორდია. სიზმრების მწველი ბურუსი 430
Ratiani Lali. Eigentümlichkeiten der Hauptsätze im Satzgefüge 436
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე. 89 წელი პოეზიის საჭესთან 440
მანანა კვატაია. გიორგი გეგელია – რეპრესირებული მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი 444
ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე, თინა მაისურაძე. ციფრთა იონი - სხვა ალ - იონი, სიტყვა იონი კავკას - იონი! 448
სერგი ლომაძე. იონთა პოეტური ფილოსოფია 462

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი. სულიერ ფასეულობათა ანბანი 465

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი). ბრალის თეორია 470

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი). ადამიანი როგორც ფენომენი - ფსიქიკა, ცნობიერება, აზროვნება 479

ისტორია

ნიკო ხერკელაძე. ცრემლში ნალესი ხმალი 485
მარი მიმილური. /ჩემი საქართველო არასოდეს დაეცემა/ 492

ოჯახური ურთიერთობები

ირინა მალავაძე. რა კარგია, ვიყოთ ერთად 495
სიმონ ზაქარაია. ოჯახი ზოგადად და ოჯახი ქართული 497

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი. საბანკო სექტორის მდგრადობაზე მოქმედი ბიზნეს-მოდელების
თანამედროვე მექანიზმები 501

სოფლის მეურნეობა

ონერ ძაძუა. კაკლის კულტურა და მისი განვითარების პერსექტივა საქართველოში 514

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა. ფურიეს ინტეგრალი 516

მილოცვა

გულნაზ ხარაიშვილი - 70 518
ლამზირა შეყილაძე 520
ევლალია პერპერიდი ასია 521
ნანა მომცელიძე522
ამირან ამირანაშვილი 523
იუბილეს გილოცავთ 523
ლალი გონგლიაშვილი 528
ნელი გიუნაშვილი 528
გულნაზ ხარაიშვილი. 75 წლის იუბილარი ივერი ჭელიძე 529
წიგნის თარო 533
ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი. მილოცვა 534
თამარ კერძაია. გულიადას იუბილე 536
მაია ფეიქრიშვილი. გულიადა სანოძის გენეფისი 539
ნარო კოლხელი (ნარიმან იაშაღაშვილი). ღირსეული კაცი 543

ნორჩი ათინათელების თვალით დანახული ცნობილი ადამიანები

ანანო ხუჭუა ინტერვიუ გატონ რეზო მიშველაძესთან 544
მიხეილ გერუაშვილი. ინტერვიუ ქალბატონ ნათელა ღაჭავასთან 554
ინტერვიუ ქალბატონ მანანა გაგნიძესთან 556
ინტერვიუ ელგუჯა ნოზაძესთან 559
ტერვიუ გულნაზ ხარაიშვილთან. სიცოცხლის მტრედი 561
თამაზ აფაქიძე. ინტერვიუ მაყვალა გონაშვილთან 565

მთავარი რედაქტორი — **გულნაზ ხარაიშვილი**

რედაქტორი — **ლუარა სორდია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა — **ნანა სხირტლაძე და დავით ყანდაშვილი**

გამომცემლობა **„საარი“**

ISBN 978-9941-477-48-5